„კრიზისი - ეს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში (ორგანიზაციაში) წინააღმდეგობების მეტისმეტი გამწვავებაა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლისუნარიანობას გარემომცველ სამყაროში“ [2,გვ.12]. კრიზისი შეიძლება იყოს გარეგანი, რომელიც დაკავშირებულია მაკროეკონომიკურ განვითარებასთან, ასევე შესაძლოა იყოს შინაგანი, რომელიც წარმოებაში არსებულ მართვის პრობლემებთან და საინვესტიციო პოლიტიკასთან ასოცირდება.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა მოვლენებმა, როგორიცაა მაგალითად ლარის კურსის ვარდნა და მერყეობა, გაზარდა ბაზარზე საფინანსო რისკები. იქმნება არაპროგნოზირებადი გარემო ბიზნესისთვის, რომელიც პირველ რიგში დარტყმას აყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს.

ეკონომიკაში კრიზისის საფრთხე მუდმივად არსებობს, რის გამოც შეუძლებელია მისი თავიდან არიდება, (განსაკუთრებით მაკროკრიზისები), თუმცა აუცილებელია მათი წინასწარი პროგნოზირება და პრევენციული მოქმედებები, რაც შეამცირებს კრიზისით გამოწვეულ ზარალს და თავიდან აგვარიდებს საწარმოთა გაკოტრებას.

საწარმოთა ანტიკრიზისული მართვის ძირითადი პრინციპები და აქედან გამომდინარე მცირე საწარმოთა მართვის **ძირითადი პრობლემებია:**

- საწარმოს საქმიანობაში კრიზისული მოვლენების განვითარების **ადრეული დიაგნოსტიკა**, რაც გულისხმობს დაგეგმილი განვითარების გეგმიდან მცირე გადახრის დაფიქსირებას და მის დეტალურ ანალიზს. მცირე და საშუალო ბიზნესის უდიდესი ნაწილი ამ ნაბიჯს ვერ ახორციელებს თუნდაც იმ მიზეზით, რომ არ გააჩნიათ მკვეთრად განსაზღვრული და ნათლად ჩამოყალიბებული ბიზნესგეგმები, რის გამოც შეუძლებელი ხდება რისკების ადრეული დიაგნოსტიკა.
- **ბიუჯეტირება**, რაც გულისხმობს საწარმოს საქმიანობის ფინანსური დაგეგმვის აუცილებლობას, რათა ზუსტად მოხდეს საწარმოში გადახრის იდენტიფიცირება და შეფასება. მცირე ბიზნესის უმრავლესობას ეს დოკუმენტი საერთოდ არ გააჩნია, რის გამოც შეუძლებელია გადახრის ფინანსური სიმძიმის დადგენა, რომელიც შესაძლოა მძიმე დარტყმა აღმოჩნდეს საწარმოსთვის.
- **საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი და ანალიზი**, რაც გულისხმობს საწარმოს ბალანსის, მოგება-ზარალის უწყისის და სხვა ფინანსური დოკუმენტების ყველა მაჩვენებლის სისტემატიურ შედარებას წინა საანგარიშგებო პერიოდის მაჩვენებლებთან, მათ ანალიზს და დასკვნების გამოტანას. მცირე და საშუალო საწარმოთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მცირე საწარმოები, ზემოხსენებულ დოკუმენტაციას ადგენენ მხოლოდ საგადასახადო ანგარიშგების პერიოდში, მასაც აქვს მხოლოდ სავალდებულო ხასიათი და ბიზნესის მფლობელთა უმრავლესობისთვის მათი ანალიზი არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს, რასაც საწარმო სავალალო შედეგებამდე მიჰყავს.

- **გადახრათა დიფერენცირება მათი საფრთხის ხარისხის მიხედვით**, რაც გულისხმობს კრიზისული მოვლენების განვითარების ინდიკატორების დაფიქსირებას და დაჯგუფებას მათი საფრთხის ხარისხის მიხედვით. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ამ საფრთხეების დიფერენცირება შეუძლებელი ხდება მცირე ბიზნესისათვის.
- **კრიზისულ მოვლენებზე რეაგირების სისწრაფე**, რაც გულისხმობს კრიზისული მოვლენების ნეიტრალიზაციის მექანიზმების დროულად ამოქმედებას, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესში, როგორც სხვა ტიპის საწარმოებში, თითოეულ გამოვლენილ კრიზისულ მოვლენას გააჩნია როგორც გაფართოების ტენდენცია, ასევე წარმოშობს ახალ, თანამდევ კრიზისულ მოვლენებს, რის გამოც დაგვიანებული ნეიტრალიზაციის მექანიზმები კიდევ უფრო ურღვევს წონასწორობას საწარმოს.
- **საწარმოს რეაგირების ადეკვატურობა ფინანსურ დანახარჯებთან**. ზოგჯერ, კრიზისული მოვლენის ნეიტრალიზაციის მექანიზმი ოპერაციული საქმიანობის მოცულობის შემცირებასთან და დამატებით ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, რაც მსხვილი ბიზნესის შემთხვევაში შესაძლებელი და გამართლებულია, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში ისედაც მცირე მოცულობის წარმოებით და მცირე ფინანსური დანახარჯებით, შეუძლებელი ხდება საჭირო ეფექტის მიღება.
- ეკონომიკური კრიზისების პერიოდში მიზანშეწონილი და აუცილებელია **ექსპორტის გაფართოება** საწარმოს მიერ, რაც პროდუქციის რეალიზაციის ზრდას უწყობს ხელს, თუმცა მცირე საწარმოები ვერ ახერხებენ ექსპორტს, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში, პროდუქციის დაბალი ხარისხის და უსაფრთხოების სტანდარტების უქონლობის გამო, ასევე მარკეტინგული უნარების ნაკლებობის გამოც.
- კრიზისების პერიოდში აუცილებელია სახელმწიფოს მიერ **საგადასახადო კანონმდებლობის** გადახედვა და ცვლილებები, თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კიდევ ერთი პრობლემა ხდება თანაბარი მიდგომა მსხვილ და წვრილი მეწარმეობის მიმართ. მცირე და საშუალო ბიზნესზე არ ვრცელდება არანაირი საგადასახადო შეღავათები, განსხვავებით განვითარებული ქვეყნებისგან, სადაც მცირე და განსაკუთრებით დამწყებ ბიზნესებს სერიოზული შეღავათები აქვთ დაწესებული, რაც მათ განვითარებაში ეხმარება.

ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები და მიზეზები უარყოფით გავლენს ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით რეგისტრირებული 406669 მცირე საწარმოდან ფუნქციონირებს მხოლოდ 95128, ანუ მთლიანი ოდენობის 23,3 %. დანარჩენ მცირე საწარმოს შეჩერებული აქვს საქმიანობა. ეს კი ნეგატიურად აისახება როგორც დასაქმების და მოსახლეობის კეთილდღეობის განვითარებაზე, საბოლოო ჯამში დამანგრეველად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

იმისათვის, რომ კრიზისულ პერიოდში მაქსიმალურად მოვახდინოთ მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილურობის შენარჩუნება, ჩვენი აზრით საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. სავალდებულო გახდეს ბიზნესის რეგისტრაციის მომენტისათვის მცირე და საშუალო ბიზნესში ბიზნეს გეგმის არსებობა და მისი განხილვა. ეს თავიდან აარიდებს მცირე ბიზნესს ნაადრევ გაკოტრებას.
2. დაწესდეს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები მცირე მეწარმეებისთვის, რაც გამოიხატება მისი ბიზნესის შესაბამისი უმარტივესი ფინანსური დოკუმენტაციის შედგენაში. (განათლება ან შესაბამისი სერტიფიკატი).
3. კრიზისულ პერიოდში უნდა გაიმიჯნოს საშუალო და მსხვილი ბიზნესის გადასახადები. მიკრობიზნესში ფიქსირებული გადასახადების შემოღება, ისევე, როგორც არის აშშ-ში, ნიდერლანდებში და ა.შ. ან მისი განახევრება, მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება მცირე მეწარმისთვის, რათა გამოთავისუფლებული სახსრები მიმართონ საწარმოს სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ხოლო დამწყები ბიზნესისთვის ეს იქნება მისი ზრდის საშუალება.
4. აუცილებელია კრიზისულ პერიოდში სახელმწიფოს მიერ მცირე საწარმოთა მაქსიმალური ხელშეწყობა ექსპორტის განვითარებაში.
5. პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კრიზისულ პერიოდში შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო ბიზნესზე. თანამედროვე პირობებში, როდესაც ყველა სხვა კრიტერიუმით თანაბარი მიდგომა ხდება მცირე და მსხვილი ბიზნესის მიმართ, (მაგ. გადასახადები), სწორედ საბანკო სფერო ახორციელებს დიფერენცირე-

ბას და მცირე ბიზნესი და მცირე ზომის სესხები ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით ფინანსდება, რაც კიდევ უფრო მძიმე გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

6. მცირე ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სესხების სახელმწიფო პროგრამები. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უნდა არსებობდეს პროგრამები, სადაც ისინი შეძლებენ დაბალ პროცენტიანი სესხის მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის განვითარებას.

ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს კრიზისული პერიოდის განმავლობაში შეძლონ სტაბილურობის შენარჩუნება და არ დაუშვან გაკოტრება, რომელიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს ქართული ეკონომიკის განვითარებაზე, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ქვაკუთხედი.

## ლიტერატურა:


1. გველესიანი რ., მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბილისი, „სამშობლო“, 1999წ.
2. ქეშელაშვილი გ., ანტიკრიზისული მენეჯმენტი, თბილისი, „მერიდიანი“, 2013წ., 335 გვ.
3. **Эйкен Джон Вон**., Менеджмент. Руководство по выживанию. Москва: Альпина бизнес букс. 2009, 290 с.
4. **Эйкен Джон Вон**., Кризис остатся в живых! Настольная книга для руководителей, предпринимателей и владельцев бизнеса. Москва: Альпина бизнес букс. 2009.
5. გიგაური ი., ზურიკაშვილი ნ., მცირე და საშუალო ბიზნესის თანამდროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები., ჟურნალი „ეკონომიკა“, თბ,, 2017, N02, გვ.112-119.
6. WWW.geostat.ge
7. http://www.nplg.gov.ge
8. http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf


## Management of Small and Medium Businesses in the Period of Crisis


Maia Aladashvili,

*PhD in Economics,*
*Associated Professor*



**R e s u m e**

Currently economic growth in Georgia depends on large enterprises and the trend is growing, as for the small and medium enterprises - competition is very low, as well as effectiveness of the sector, the trend is the same for many years. Major part of the economic activity of Georgia is driven by large businesses (about 80-85%), it means that small business is not well developed in the country. However, it should be noted that small businesses still yield significant earnings and despite extreme economic vulnerability of the population, small businesses manage to survive and this is the result of the fact that major part of the population run and employ people in their small enterprises/businesses. Therefore, small and medium businesses have vital importance for the country.

The current article describes priority directions for improvement of business environment, special attention is given to describtion of micro and macro features and characteristics of small and medium enterprises, as well as deep analysis of market policy and regulations, institutional and infrastructural issues hindering speedy development of the sector. The article well reflects barriers on resource delivery, production and sales cycle, pictures the issues that affect capacity of enterprises and negatively affects the ability of the sector to serve customers. The problem solution options and ways, as well as deep analysis of the topic is well described in the article.



*Keywords: entrepreneurship; Small and medium enterprises; Problems; Crisis Management.*

# ჩინეთის ახალი გეოსტრატეგია და საქართველოს პერსპექტივები


## პაატა აროშიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*2014 წლის ბოლოს, ჩინეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ განაცხადა მზაობა ჩამოეყალიბებინა „აბრეშუმის დიდი გზის" ალტერნატივა - „ერთი სარტყელი-ერთი გზა". ახალი სტრატეგიის მიხედვით, ჩინეთი ეკონომიკურად უკავშირდება ევროპას, ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ აზიას, აფრიკასა და ავსტრალიას. ამ პროექტის მიზანია ტექნოლოგიისა და „ნოუ-ჰაუს" ექსპორტი ჩინეთიდან, მაღალსიჩქარიანი რკინიგზა, ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების გაწევა მთელი მსოფლიოსათვის. სამაგიეროდ ჩინეთი მოახდენს თავისთვის აუცილებელი პროდუქციის იმპორტირებას, რომელიც აუცილებელია ჩინეთისათვის.*



*საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ვაჭრობა; ერთი სარტყელი - ერთი გზა; სატრანსპორტო კორიდორი; სავაჭრო შეთანხმება.*


„დიდი აბრეშუმის გზის" თანამედროვე ვერსიას გააჩნია სერიოზული საფუძველი, რათა მთლიანად შეცვალოს გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტი. ჩინეთი „მსოფლიო ფაბრიკიდან" იქცევა ტექნოლოგიებისა და ტექნიკის ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად, „მსოფლიო სავაჭრო ცენტრად" და ცენტრალური ელექტრონული ვაჭრობის მთავარ ჰაბად. „ერთი სარტყელი-ერთი გზა" უზრუნველყოფს არამხოლოდ ტვირთბრუნვის გაზრდას ჩინეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, არამედ მოხდება ევროპასა და აზიას შორის გამოცდილების გაცვლა.

**ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ახალი სტრატეგია და მისი არსი**

სქემა 1




ეკონომიკური სარტყელის ძირითადი მიმართულებებია:

- ჩრდილოეთი (ჩინეთი-ცენტრალური აზია-რუსეთი-ევროპა(ბალტიის ზღვამდე)
- ცენტრალური (ჩინეთი-ცენტრალური და დასავლეთ აზია-სპარსეთის ყურე-ხმელთაშუა ზღვა)
- სამხრეთი (ჩინეთი-სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია-სამხრეთი აზია-ინდოეთის ოკეანე)

საზღვაო "აბრეშუმის გზის" ძირითადი მიმართულებები:

- ჩინეთის ნავსადგურებიდან სამრეთ ჩინეთის ზღვის გავლით, წყნარი ოკეანის სამხრეთი აკვატორია;
- ჩინეთის ნავსადგურებიდან სამხრეთ ჩინეთის ზღვის გავლით ინდოეთის ოკეანემდე და იქედან ევროპის მიმართულებით.

პროექტის ძირითადი მონაწილე ქვეყნები არიან: ჩინეთი, რისეთის ფედერაციული რესპუბლიკა, მონღოლეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, პოლონეთი, გერმანია, ნიდერლანდი, პაკისტანი, ბანგლადეში, მიამნა (ყოფილი ბირმა), ინდოეთი და ირანი. ჩინეთის ინიციატივას უკვე შეუერთდა 100-ზე მეტი ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია. 40-ზე მეტმა ქვეყანამ ჩინეთთან უკვე გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება, ბოლო სამი წლის განმავლობაში, „‡-†•·—‚‘‡“ მონაწილე ქვეყნების ეკონომიკაში ჩინეთმა უკვე დააბანდა დაახლოებით 50 მლრდ აშშ $-ის კაპიტალი. ამ პერიოდის განმავლობაში, ჩინური კორპორაციების მიერ 20-ზე მეტ ქვეყანაში შეიქმნა 56 სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ზონა, 180 ათასი სამუშაო ადგილი, ამ ქვეყნების ბიუჯეტებში შევიდა 1 მლრდ აშშ $-ზე მეტი შემოსავლები. სტრატეგიის მონაწილე 43 ქვეყნის ეკონომიკაში ჩინურმა კოპრორაციებმა დააბანდეს 3 მლრდ დოლარამდე არასაფინანსო აქტივები.

სქემა 2




ორი ძირითადი მიმართულებიდან იგეგმება შემდეგი ეკონომიკური დერეფნების შექმნა:

- „ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთი“
- „ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთი აზია“
- „ჩინეთი-ინდოჩინეთი“
- „ჩინეთი-პაკისტანი“
- „ბანგლადეში-ინდოეთი-მიამნა (ბირმა)-ჩინეთი“
- „ჩინეთი-ხმელთაშუა ზღვა-ევროპა“

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება, რადგან ჩინეთი ხმელთაშუა ზღვის ეკონომიკური კორიდორი ესაზღვრება საქართველოს ტერიტორიას და ამ კონტექსტით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა. რა შეიძლება მივიღოთ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენც ჩავერთვებით ამ პროექტში:

1. მსხვილი სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი - დღეისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე გადის ბაქო--თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გზსადენი და რუსეთი-სომხეთის გაზსადენი. სწორედ მილსადენი ტრანსპორტის განვითარებასთანაა დაკავშირებული საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის აღიარება XX საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან. ტარანსპორტის ამ სახეობის განვითარებას ხელი შეუწყო იმ დროინდელ მსოფლიოში არსებულმა ობიექტურმათუ სუბიექტურმა პირობებმა. ობიექტური პირობებიდან აღსანიშნავია, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება, ევროპის სურვილი და მისწრაფება, მოეხდინა რუსული ნავთობისა და გაზის ალტერნატიული მიმწოდებლების გამოძებნა, ხოლო სუბიექტური პირობებიდან-

ჩვენ ვთვლით საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტს, რომელმაც ფაქტიურად დაითანხმა აშშ-ს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პირველი პირები, რომ „საუკუნის პროექტის" ერთ-ერთ მონაკვეთს საქართველოს ტერიტორიაზე გაევლო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ქვეყნებმა და განსაკუთრებით აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მზადყოფნა გამოთქვეს ამ წინადადების მისაღებად. აქ მთავარი როლი ითამაშა იმანაც, რომ საერთაშორისო მილსადენების პროექტის განხორციელება საშუალებას იძლეოდა, მომხდარიყო რუსული გავლენის სფეროს გარკვეულწილად შერბილება და ამერიკული თუ ევროპული გავლენის გაძლიერება.

ჩინური სტრატეგიის განხორციელება საქართველოსათვის მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაღრმავდეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. შესაძლებელია, ნავთობპროდუქტების სატრანზიტო სტატუსს დაემატოს უმსხვილესი სატრანსპორტო სატრანზიტო ქვეყნის სტატუსიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველ რიგში ეკონომიკური აღმავლობისათვის, ხოლო შემდეგ - პოლიტიკური თუ საერთაშორისო ასპარეზზე სტბილურობისათვის, თუმცა, აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთაშორისო ნავთობსადენებმა და სატრანზიტო ქვეყნის სტატუსმა, საქართველო ვერ დაიცვა რუსული აგრესიისაგან 2008 წლის აპრილში. ჩვენი მოსაზრებით, სწორედ ეს ფაქტი გახდა რუსეთის აგრესიის გამომწვევი, რადგან ბაქო--თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა პრაქტიკულად ნავთობის გარეშე დატოვა ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენი და კითხვით ნიშნის ქვეშ დააყენა, რუსეთის, როგორც ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობმომარაგებლის სტატუსი.

**საქართველოს საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურებში 2015 წლის მდგომარეობით, შემდეგი მაჩვენებლები ფიქსირდება**

ცხრილი 1

| | ბათუმის პორტი | ფოთის პორტი | ყულევის პორტი | სუფსის საზღვაო ტერმინალი |
|---|---|---|---|---|
| გადამუშავებული ტვირთების რაოდენობა(მლნ ტ) | 5,7 | 6,8 | 2,5 | 4,2 |
| გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობა | 54,695 TEU[1] | 325,121 TEU | - | - |
| საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა(წ.) | 100 000 TEU | 400 000 TEU | - | - |

1 TEU -20 ფუტი - 6,1 მეტრი.

*ცხრილი 1 შედგენილია https://bpn.ge/ekonomika/20177-saqarthvelos-portebi.html?lang=ka-GE-ს მონაცემების მიხედვით, ჩვენ მიერ*

სტრატეგიის ოფიციალურ რუკაზე, რომელიც მოიცავს პროექტ „ერთი სარტყელი-ერთი გზას", მართალია, საქართველოს ტერიტორია „სარტყელის" უშუალო განმახორციელებელი ქვეყნების არეალში არ მოიაზრება, მაგრამ მასზე აღნიშნულია საქართველოში მშენებარე ღრმაწყლოვანი პორტი ანაკლია. კომპანია „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა" (JSC Anaklia Development Consortium (Georgia), რომელიც ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობით არის დაკავებული, წარადგინა პორტის განვითარების გენერალური გეგმა, რომლის მშენებლობა 2017 წლის შემოდგომაზე დაიწყება. პორტის მშენებლობის პირველ ფაზაზე 586 მლნ აშშ $-ის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. მთავრობის მიერ გაცხადებული ინფორმაციით, ანაკლიის პორტის სიღრმე (20,5 მ.) შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ტიპის გემების მიღებას. პორტის გამტარუნარიანობა 100 მლნ ტ იქნება[1].

როგორც ვხედავთ, შედარებითი ანალიზის მიხედვით (იხ. ცხრილი 1), ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ყველაზე უკეთეს სასტარტო პირობებში იმყოფება საქართველოს სხვა პორტებთან შედარებით. კითხვა, პერსპექტიულია თუ არა ამ პორტის მშენებლობა, ვფიქრობთ, რომ პასუხგაცემულია, რადგან სტრატეგია „ერთი სარტყელი - ერთი გზა" მიუთითებს, რომ საქართველოს პორტი გამოყენებული იქნება სატრანზიტო გადაზიდვებისათვის. პორტის ტერმინალის ოპერატორი მსოფლიოს უმსხვილესი სანავსადგურე სატერმინალო ოპერატორი SSA Marine გახდა. SSA Marine-იმსოფლიოს ხუთ კონტინენტზე, 250 ზე მეტ სტრატეგიული ტერმინალზე ახდენს ოპერირებას და წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ემსახურება. გარდა ამისა, SSA Marine-ი მთელს მსოფლიოში 75 მილიონზე მეტ მშრალ ტვირთს ამუშავებს, ახდენს საკრუიზო გადაყვანებს მექსიკასა და ამერიკაში, ხოლო ამერიკაში 30-ზე მეტ პირველი კლასის ინტერმოდალურ სარკინიგზო მაგისტრალს უწევს ექსპლუატაციას.

2. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება - თანამედროვე საქართველოს ძირითადი გამოწვევაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი ჩართვა საერთაშორისო გადაზიდვებში. ქვეყნის სატრანზიტო სტატუსის განმტკიცებისათვის ამ სფეროს განვითარება მნიშვნელოვანია. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, გარდა მილსადენი ტრანსპორტისა, წარმოდგენილია სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების სახით. სარკინიგზო მომსახურების უპირატესობები მისი ეკონომიურობა, სანდოობა და ტევადობაა. სარკინიგზო ხაზი მხოლოდ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებითაა გახსნილი.

საქართველოს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა. ამ პროექტს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დატვირთვა აქვს. გარდა იმის, რომ ერთმანეთთან აკავშირებს მასში უშუალოდ მონაწილე სამ პარტნიორ ქვეყანას, ამ რკინიგზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება აზიიდან ევროპაში ტვირთების გადატანა. რკინიგზა ჩინეთიდან წამოსულ ტვირთებს ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებით გაატარებს. ტვირთების გატარების ვადები 12-15 დღით შემოიფარგლება. საწყის ეტაპზე რკინიგზა 6 მლნ. ტ. ტვირთს გადაიტანს. 2034 წლისათვის კი - 17 მლნ. ტონას. ექსპლუატაციის დაწყებისას გადაყვანილ იქნება 1 მლნ. მგზავრი, 2034 წელს 3 მლნ. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სიგრძე 826 კილომეტრია. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის 254 კმ. პროექტის მიხედვით, რკინიგზა 2017 წელს უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ არის გარკვეული შეფერხება თურქეთის მონაკვეთზე.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა. 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე გადის 1603 კმ. საერთაშორისო მნიშვნელობის გზა, მოქმედებს 567 საერთაშორისო მნიშვნელობის ხიდი და 16 საერთაშორისო მნიშვნელობის გვირაბი. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წლიდან დაგეგმილი (ან უკვე დაწყებული) პროექტები, განვიხილოთ განსკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც შესაძლოა ჩართულ იქნენ ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკურ სტრატეგიაში.

- რიკოთის უღელტეხილზე 52-კილომეტრზე ავტობანის მშენებლობის პროექტირება იწყება. ოთხზოლიანი გზის პროექტირებისთვის მომდევნო წლის განმავლობაში 40 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯება. ალტერნატიულ მარშრუტად ხარაგაულის შემოვლითი გზა განიხილება. ავტობანს ექნება განშტოებებიც – ახალი გზები მივა ფოთსა და ანაკლიაში. ჩუმათელეთი-არგვეთას 52 კილომეტრიანი თანამედროვე სტანდარტების საავტომობილო გზის ასაშენებლად 50-მდე გვირაბის და ამდენივე ხიდის აშენებაა საჭირო. რიკოთზე ავტობანის მშენებლობის საპროექტო პერიოდია ორწელიწადნახევარი. მონაკვეთი ოთხ ლოტად არის დაყოფილი. პირველი ლოტის მშენებლობას მსოფლიო ბანკი აფინანსებს, მეორე, მესამე და მეოთხე ლოტებს კი - „აზიის განვითარების ბანკი“ „აზიის საინვესტიცო ბანკთან“ ერთად. ასეთი სირთულის პროექტი დღესდღეობით ევროპაში არსად არ მიმდინარეობს.

- ბათუმის შემოვლითი გზის 14-კილომეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისთვის სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს.Ⴛარსებული გზა გადის ტურისტულ და საცხოვრებელ ზონაში, რაც პრობლემას უქმნის განსაკუთრებით საერთაშორისო სატრანზიტო ტრანსპორტს, რომელსაც ვიწრო ქუჩებში უწევს მოძრაობა. ბათუმი-ფოთის მონაკვეთზე საერთაშორის ტრანსპორტის დიდი რაოდენობა მოძრაობს, გზაზე გადატვირთული მოძრაობა და ცუდი საგზაო პირობები იწვევს საცობებს, სახიფათო სიტუაციებს. პრობლემის გადასაჭრელად უკვე აშენდა ქობულეთის შემოვლითი გზის პირველი მონაკვეთი და მიმდინარეობს მეორე მონაკვეთის მშენებლობა. აღნიშნულ მონაკვეთებს დაემატება ბათუმის შემოვლითი გზა, რაც სრულად გატვირთავს მოძრაობას საკურორტო ზონაში, გაიზრდება სატრანზიტო ტვირთბრუნვა. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპასა და აზერბაიჯანს, სომხეთს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის შავი ზღვის პორტების საშუალებით ფოთსა და ბათუმში. მას აგრეთვე შეუძლია დააკავშიროს რუსეთი და თუქეთი. ფიზიკური მდებარეობა უზრუნველყოფს, რომ ის გახდეს ძირითადი სატრანსპორტო რგოლი შავ ზღვას, კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიას შორის. ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან, როგორც სატრანზიტო, ისე ორმხრივი, ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს.

3. ჩინეთთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება - ჩინეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების ოთხეულში შედის. 2017 წლის იანვარ-თებერვალში სავაჭრო ბრუნვამ 109,1მილიონ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 7,7%-ს შეადგენს.

ჩინეთში სპილენძის მადანი და კონცენტრატი, სპილენძის მეორადი ნედლეული და ალკოჰოლი გადის. 2015 წლის განმავლობაში ქართული ღვინის ექსპორტი 122%-ით გაიზარდა. სულ ჩინეთში 2015 წელს 2,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გავიდა, რაც ღვინის მთელი ექსპორტის 7,4 %-ს შეადგენს. ღვინის ექსპორტის მიხედვით ჩინეთი მეხუთე ადგილზეა რუსეთის, უკრაინას, ყაზახეთისა და პოლონეთის შემდეგ [8].

რეგიონში საქართველო პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა. ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 1,4 მლრდ მომხმარებელს. ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობა ექნებათ, ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ ქართული პროდუქციის დაახლოებით 94%. საექსპორტო პროდუქციას შორისაა ღვინო, თხილი, თაფლი, მინერალური წყალი, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, ჯემები, წვენები, ბოსტნეული, ხილი, შოკოლადის ნაწარმი, ჩაი, თევზი და სხვა ზღვის პროდუქტები, მარცვლეული, სამკურნალო საშუალებები, კაბელები, პლასტმასის პროდუქცია, აზოტოვანი და მინერალური სასუქების სახეობები, ფეროსილიკომანგანუმი, ლოკომოტივები და ა.შ.ჩინეთს საქართველოსთვის ტარიფების განულებისთვის არ დაუწესებია გარდამავალი პერიოდი, რაც ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 5-10 წლამდე გრძელდება.

სავაჭრო თანამშრომლობა საქართველოსა და ჩინეთს შორის

(2005-2016) [9] ცხრილი2

| *წელი* | *სავაჭრო ბრუნვა* | *ექსპორტი* | *იმპორტი* | *სალდო* |
|---|---|---|---|---|
| ***2005*** | 52,31 | 5,6 | 46,71 | -41,1 |
| ***2006*** | 113,68 | 10,35 | 103,33 | -93 |
| ***2007*** | 214,97 | 8,27 | 206,7 | -198,4 |
| ***2008*** | 307,32 | 8,99 | 298,33 | -289,3 |
| ***2009*** | 180,62 | 5,96 | 174,66 | -168,7 |
| ***2010*** | 358,56 | 24,25 | 334,31 | -310,1 |
| ***2011*** | 553,64 | 28,9 | 524,76 | -495,86 |
| ***2012*** | 591,6 | 25,6 | 566 | -540,4 |
| ***2013*** | 645,41 | 33,86 | 611,55 | -577,69 |
| ***2014*** | 823,39 | 733 | 90,39 | -642,62 |
| ***2015*** | 713,2 | 587,4 | 125,8 | -461,6 |
| ***2016*** | 717 | 547 | 170 | -377 |

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2017 წლის მაისში საქართველოსა და ჩინეთს შორის დაიდო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, ასევე ჩინეთმა გამოთქვა მზადყოფნა დააფუძნოს საქართველოში საერთაშორისო ბანკი, რომლის კაპიტალი 1 მლრდ აშშ დოლარი იქნება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ახალი სტრატეგია საქართველოს სატრანზიტო ფუნქციას ახალ შესაძლებლობებს მისცემს, რაც, პირველ რიგში, ქვეყნის გეოპოლიტიკური სტრატეგიის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს, ეს კი საფუძველი უნდა გახდეს პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

დღეისათვის ჩინური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში თანდათანობით იზრდება, ამას ხელს შეუწყობს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების გაფორმება ჩინეთთან.

საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკური თუ პოლიტიკური დაახლოება საწინდარია რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციისა, რადგან კავკასიის რეგიონი ძირითადად ხასიათდება როგორც ნავთობმომპოვებელი (აზერბაიჯანი) და ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველმყოფი (საქართველო) რეგიონი, ამიტომ პოლიტიკური სტაბილიზაცია უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რეგიონის შემდგომი განვითრებისათვის, მით უმეტეს მაშინ, როცა საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში იკვეთება რუსეთის ფედერაციის, ევროკავშირის, თურქეთის რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები. ახალი მოთამაშის შემოსვლა რეგიონში რეგიონის მიმზიდველობის ხარისხს აამაღლებს, თუმცა, არაა გამორიცხული მოხდეს ძალთა გადაჯგუფება.

ჩვენი აზრით, ამ ეტაპზე, ჩინეთი თავის პოლიტიკურ ინტერესს ღიად არ განაცხადებს, თუმცა, არაა გამორიცხული, რომ ადრე თუ გვიან დადგეს პერიოდი, როცა ჩინეთს თავისი ინტერესები გაუჩნდება საქართველოში არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური კუთხითაც. ვფიქრობთ, ამისათვის ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ხედვა, თუ როგორ მიიღებს ჩინეთის პოლიტიკურ ინტერესს.

### ლიტერატურა:


1. დანელია ი. ანაკლიის პორტი და მისი პერსპექტივები, ჟ. „ფორბსი“, აპრილი, 2016, http://forbes.ge/news/1309/anakliis-porti-da-misi-perspeqtivebi
2. China's global plan must not reproduce domestic economic problems – The Financial Times Limited, 2017 https://www.ft.com/content/d5c54b8e-37d3-11e7-ac89-b01cc67cfeec
3. Bakan Arslan, BTK Demiryolu Hattı'nda incelemelerde bulundu http://www.gazetevatan.com/bakan-arslan-btk-demiryolu-hatti-nda-incelemelerde-bulundu-1073242-ekonomi/
4. საქართველოს პორტების დახასიათება - https://bpn.ge/ekonomika/20177-saqarthvelos-portebi.html?lang=ka-GE
5. http://www.ssamarine.com
6. საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ოფიციალური საიტი - http://www.georoad.ge
7. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური საიტი - http://1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=159088
8. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ოფიციალური საიტი - http://china.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=553&info_id=41697
9. საქართველოს საელჩო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში


## New Geostrategy of China and Prospects of Georgia


Paata Aroshidze

*Academic doctor, Associate Professor*

*Batumi Shota Rustaveli State University*



**R e s u m e**

By the end of 2014, the central government of China declared the readiness to develop “alter of the Great Silk Road" – “One Belt - One Road". According to this project, China will economically be connected to Europe, the central and South-West Asia, Africa and Australia. The goal of this project is to export technology and "know-how" from China, high-speed railways, infrastructure development and service delivery to the whole world. Instead China will be able to import agricultural, health care and energy products, also other important commodities that are essential for China.



***Keywords: International trade, One Belt - One Road, Transport Corridor, Trade Agreement.***

# კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში

ნიკა ასანიძე

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბევრი პოსტსოციალისტური ქვეყნის მსგავსად, საქართველოსთვისაც რთული გამოდგა დამოუკიდებლობის პერიოდის საწყისი წლები. თავიდან სჭირდებოდა შექმნა ყველა სფეროში სამართლებრივ ბაზას. რაც პირდაპირ აისახებოდა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამისთვის უმნიშვნელოვანესი იყო სწორი, თანმიმდევრული კონკურენციული სამართლებრივი ბაზის შექმნა და შემდგომი განვითარება. სწორედ კონკურენციული პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპების დახასიათება საწყისიდან დღევანდელ დღემდე, წარმოადგენს ნაშრომის უმთავრეს მიზანს. ცალსახაა ის ფაქტი, რომ კონკურენციული სამართალი და ზოგადად კონკურენციული პოლიტიკა არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.ამიტომ,სტატიაში,ერთი მხრივ, განხილულია ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციული სამართლის მაგალითები და პარალელი გავლებულია საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო ბაზასთან. მეორე მხრივ, ასახულია ევროსტრუქტურების და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის შედეგად განხორციელებული პროექტები. შედეგად, ნაჩვენებია აღნიშნულის დადებითი შედეგი. საბოლოოდ, ერთიან ჩარჩოში ვიხილავთ საქართველოს კონკურენციის პოლიტიკას და წარმოვაჩენთ ამ პერიოდში მიღებული შედეგებს.*

*საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენციული პოლიტიკა, კონკურენციის ისტორია საქართველოში.*

ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაცია, და მისი გადაყვანა თანამედროვე, დასავლურ საბაზრო ურთიერთობებზე, უაღრესად რთული, მრავალმხრივი და გრძელვადიანი პროცესია. უდავოა, რომ თითოეული გარდამავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ახალ ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა ხანგრძლივ პერიოდს, დიდ მატერიალურ და ადამიანისეულ რესურსს მოითხოვს. ამ მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესია - კონკურენციის პოლიტიკა. სწორედ მაღალი კონკურენციის პირობებში ცდილობენ კომპანიები დანერგონ ინოვაციები, რაც ავითარებს როგორც ეკონომიკის ცალკეულ სექტორს, ასევე მთელ ეკონომიკას. კონკურენციის არ არსებობის შემთხვევაში კომპანიებს არ ექნებათ მოტივაცია დანერგონ ახალი წარმოების მეთოდები და წარმოადგინონ ახალი დასახელების პროდუქტები. ასევე, აღსანიშნავია რომ თანამედროვე საზოგადოება არის ყოველმხრივ ძებნის პროცესში და სწორედ ამ თავისებურებას ეფუძნება კონკურენციის პოლიტიკის მუდმივი აქტუალურობა.

კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობას ის ძირითადი ფაქტორები განაპირობებს, რომლებიც შესაძლებელია მოვაქციოთ რამდენიმე ძირითად საკითხში:

- დაბალი ფასები ყველასთვის;
- უკეთესი ხარისხი;
- მეტი არჩევანი;
- მეტი ინოვაცია;
- უფრო ძლიერი კონკურენტები საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების სრულ უმრავლესობაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ძალიან დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა. მოგეხსენებათ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში აუცილებელი გახდა ახალი სამართლებრივი ბაზის შექმნა. სწორედ კონკურენციის კანონმდებლობა არის მიჩნეული ეკონომიკური სისტემის კონსტიტუციად და სწორედ იგი წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს. აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის სამართლებრივ ბაზის საფუძვლის ჩაყრა 1992 წლიდან იწყება.

პირველი ნორმატიული აქტი საქართველოში, რომელიც კონკურენციის შესახებ იქნა მიღებული 1992 წლის 17 მარტს იყო - „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერ-

თი ღონისძიებების შესახებ“ დადგენილების სახით N 323. იმავე წელს, დამატებით მიღებულ იქნა „მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ „ დეკრეტი.

მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წელს, მიღებულ იქნა კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ ამის აუცილებლობა დაკავშირებული იყო 1995 წლის მოვლენებთან. ყველა სამართლებრივი ნორმა შესაბამისობაში უნდა მოსულიყო კონსტიტუციასთან.

„სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობას და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით“ (მუხლი 30, პუნქტი 2) ამავე პერიოდში იქნა მიღებული „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (1996 წელი) და „რეკლამის შესახებ“ (1998 წელი) კანონები, რამაც იმდროინდელ ანტიმონოპოლიურ სამსახურს დამატებით მისცა მეტი ფუნქციები და მისცა შესაძლებლობა ემუშავა სრული დატვირთვით. ამ მოვლენებს დაემატა ისიც რომ საბოლოოდ დასრულდა „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ კანონის ამოქმედებისთვის აუცილებელი პროცესები.

პარალელურად მიიღებოდა სხვადასხვა ნორმატიული აქტი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებოდა ანტიმონოპოლიურ სამსახურს და ქმნიდა შესაძლებლობას რომ გაუმჯობესებულიყო არსებული მდგომარეობა. მაგალითად: „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის ბრძანებულება, „საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის ბრძანებულება და „საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემოწმების მოწყობის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის ბრძანებულება.

სწორედ, გატარებულ პოლიტიკას უკავშირდებოდა წინ გადადგმული ნაბიჯები ბაზრის გაჯანსაღებიათვის, რისი დასტურიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნებში შეგვიძლია ვეძიოთ.

თუმცა, ამავე პერიოდში მოხდა „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“ კანონის ცვლილება, რის საფუძველზეც იმდროინდელი ანტიმონოპოლიური სამსახურის რეგულირების სფეროებიდან გავიდა: კომუნიკაციები და ენერგეტიკა. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელებად კი შეგვიძლია მივიჩნიოთ ის პროცესები რაც მოგვიანებით დაიწყო.

2004 წლის დეკემბრიდან ხდებოდა ქვეყნის კონკურენციული პოლიტიკის განმახორციელებელი უწყებაში დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობის შემცირება, საიდანაც ფაქტობრივ უარი ითქვა იმ გზაზე, რომელიც 1992 წლიდან იყო დაწყებული. ამის მიზეზი კი იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებითი ცვლილება. მისი ფორმირება შესაძლებელია ითქვას, რომ დასრულდა 2005 წლის 3 ივნისს „თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. ზოგადად ამ მოვლენების დასასრულად 2005 წლის საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის ლიკვიდაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დღევანდელი მდგომარეობით, კონკურენციის სააგენტო მუშაობს: 2012 წელს მიღებული კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კანონის ძირითადი მიზანი საქართველოს ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის ხელშეწყობა.

კონკურენციული პოლიტიკის ახალ სიცოცხლის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველოს უშუალოდ ეკისრებოდა ვალდებულება განეხორციელებინა ევროპული ტიპის კონკურენციის პოლიტიკა და შეექმნა შესაბამისი პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო ორგანო. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა კონკურენციის სააგენტო და „‡--†” სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებნ საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა მისი დებულება. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე.

დღევანდელი მდგომარეობით, კონკურენციის სააგენტო მუშაობს: 2012 წელს მიღებული კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კანონის ძირითადი მიზანი საქართველოს ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის ხელშეწყობა.

საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის კანონმდებლობის ჩამოყალიბება და მისადაგება ხდება ევროკავშირის შესაბამის ორგანოების კანონმდებლობასთან. ევროპულ გაერთიანებაში კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი და მარეგულირებელი ფუნქციები ნაწილდება სხვადასხვა სტრუქტურებში და სწორედ მათთან თანამშრომლობის შედეგად ყალიბდება შესაბამისი ნორმები.

ასევე, შეიძლება ითქვას რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ამ კუთხით ურთიერთობა არ დაწყებულა რამდენიმე წლის წინ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ინტენსიური თანამშრომლობის დასაწყისს უკავშირდება საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულ ხელშეკრულებას ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს, რომელიც ათწლიანი ვადით ამოქმედდა 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული ხელშეკრულება ორი კუთხით შეიძლება განხილულ იქნეს. პირველი, ზოგადად მომხდარიყო საკანონმდებლო ბაზის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის ბაზართან და მეორე, კონკურენციული პოლიტიკის გატარებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მაქსიმალური დაახლოება მომხდარიყო ევროკავშირის შესაბამის უწყებების საკანონმდებლო ბაზებთან. ასევე, ხელშეკრულებაში ნათლად იყო აღწერილი ის ფაქტი, რომ „თუ საქართველოს აღნიშნული პოლიტიკის გატარებაში შეექმნებოდა პრობლემა, ევროკავშირის შესაბამისი უწყებები ვალდებულნი იყვნენ დაუყონებლივ დახმარებოდნენ მას“. ამ უკანასკნელს მოწმობს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს დასახმარებლად გადადგმული ნაბიჯები. კერძოდ, გერმანიის მთავრობამ 1996წელს დახმარება გაუწია და ამის საფუძველზე შემუშავდა კანონპროექტი კონკურენციის სფეროში და წარედგინა პარლამენტს განსახილველად. ასეთი ტიპის თანამშრომლობის შედეგი იყო ის ტექნიკური დახმარება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურს 1998 წელს მსოფლიო ბანკმა გაუწია.

ზოგადად, უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის განვითარებისთვის საერთაშორისო მხარდაჭერა. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურენციის სააგენტოს ახალი სახით შეიქმნა 2014 წელს. სწორედ ამ პერიოდის შემდეგ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა, რაც გახდის შესაძლებელს, რომ კონკურენციის სააგენტომ მოახდინოს ოპტიმალურად კონკურენციის პოლიტიკის გატარება. სწორედ ამ ტიპის თანამშრომლობა წარმოადგენს ცოდნისა და ინფორმაციის მოპოვების ეფექტიან საშუალებას და ხელს უწყობს გამოცდილების ორმხრივ გაზიარებას. საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის გამტარებელი ორგანო ცდილობს მაქსიმალური შედეგიანობით ამ ტიპის შესაძლებლობების გამოყენებას. მაგალითის სახით შესაძლებელია მოვიყვანოთ კონკურენციის სააგენტოსთვის ევროკავშირის დახმარების პროექტი, რომლის მიზანს სწორედ კონკურენციის პოლიტიკის შექმნის ხელშეწყობა წარმოადგენს.

პროექტის ძირითადი ამოცანაა: ხელი შეუწყოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულებას სააგენტოს თანამშრომლებისთვის პროფესიული შესაძლებლობების გაუმჯობესების გზით. პროექტი განხორციელდება ორი წლის მანძილზე და მისი მიზნები არის დაყოფილი სამ ძირითად მიმართულებად:

- კონკურენციის სააგენტოს სამართლებრივი, ეკონომიკური და ტექნიკური შესაძლებლობების ეფექტიანობის გაზრდა და გაძლიერება;
- კონკურენციის სააგენტოს და დარგობრივ მარეგულირებლებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ქართულ საზოგადოებაში კონკურენციის კულტურის დამკვიდრება და ხელშეწყობა, რაც შესაძლებელს გახდის სწორად იქნეს აღქმული კონკურენციის პოლიტიკის მნიშვნელობა.

თუ შევაჯამებთ კონკურენციის პოლიტიკის განვითარების ეტაპებს, უნდა აღინიშნოს რომ იგი ხასიათდებოდა წარმატების და ჩავარდნების მონაცვლეობით. საყურადღებოა, რომ 2014 წლიდან იწყებს ძალების აღდგენას და მოსალოდნელია უახლოეს წლებში კიდე მეტად მისი გაძლიერება, რასაც მოწმობს კონკურენციის პოლიტიკის განმხორციელებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად ავიღოთ 2016 წელი გატარებული პოლიტიკა. კერძოდ: 2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა. ხსენებული 5 მოკვლევიდან:

- 1 განხორციელდა სააგენტოს ინიციატივით;
- 2 სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე;
- 2 მოკვლევა შესრულდა განცხადების საფუძველზე.

სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა დადასტურდა 5-დან 2 შემთხვევაში. მოკვლევის 1 საქმე მიმდინარეობდა „კონკურენციის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით (მე-6 მუხლი ეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას). 1 საქმე ეხებოდა მე-10 მუხლის შესაძლო დარღვევას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობას. ასევე, მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევას (მე-7 მუხლი ითვალისწინებს კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებას და შეთანხმებულ ქმედებას. ერთიც $11^3$ მუხლის სავარაუდო დარღვევას, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვას. საბოლოოდ სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ცხადყოფს რომ დარღვევა დადასტურდა 5-დან 2 შემთხვევაში, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეკომენდაციების და ქმედებების განხორციელება.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ საქართველოში კონკურენციის პოლიტიკა ვითარდება თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, რაც პირდაპირპროპორციულად გააუმჯობესებს ბაზრის ფუნქციონირებას. უმნიშვნელოვანესია, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მაქსიმალური კოორდინირებულად მოქმედება, რაც უზრუნველყოფს კონკურენტული პოლიტიკის სწრაფ განვითარებას.

**ლიტერატურა:**


[

1. პაპავა ვლადიმერ. *საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე.* თბილისი, „მეცნიერება“ 1995
2. ფეტელავა სლავა.*კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში.* თბილისი „ლოი“ 2007
3. ფეტელავა სლავა. გოგიაშვილი, შალვა. *ეკონომიკური კონკურენცია.* თბილისი, „ლოი“ 2012
4. საქართველოს კონკურენციის სააგენტო-წლიური ანგარიში 2016წ. ანგარიში გამოიცა ევროკავშირის პროექტის ფარგლებში: „ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მხარდაჭერა „ www.competition.ge
5. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ 2012 წლის 8 მაისი.
6. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია
7. რეკლამების შესახებ საქართველოს 1998 წლის კანონი
8. თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის შესახებ საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონი
9. Why is competition policy important for consumers? *European Commission.*April 16, 2012, <http://ec.europa.eu/competition/consumers/why_en.html>


## Competition Policy of Georgia - Major phases of development


Nika Asanidze

*Phd student*

*Tbilisi state university*



**R e s u m e**

The article analyzes and discusses the possibilities of competition policy in Georgia. The study uses economic analysis. The article based on the facts of the Georgian market. Nowadays, Georgia has a highly liberalized economy with few formal legislative and administrative barriers.

Laws regulating competition in Georgia were repealed in 2005. This created risks of well-established market players engaging in anti-competitive practice and abusing their market power. Today.It is clear that the Competition Agency will now face a number of difficulties and challenges when enforcing the Law.

The motivation to study competition policy of Georgia- and it's major phases of development is the step to describe 25 years period of the competition policy in Georgia.



***Keywords: competition, competition policy, history of competition in Georgia.***

# ICT and Export Performances in Visegrad and Central and Eastern European Countries: evidence from firm-level data

Tinatin Akhvlediani

*Faculty of economic sciences, University of Warsaw,*
*takhvlediani@wne.uw.edu.pl.*

*The paper examines ICT effects on export performances of firms across Central and Eastern European Countries (CEEC), with the focus on Visegrad group (V-4, Czech Republic, Hungary, Poland, Slovakia). To track all possible channels of impact of ICT, the analysis controls for ICT infrastructure, ICT use, human capital and investments in intangible capital needed for adjusting to new technologies. To conduct analysis, I employ firm-level data extracted from Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS) for the time period 2002-2014. Estimation results derived from fractional logit estimator find that having poor ICT infrastructure decreases export shares on average by 2,4 percentage point for V-4 and by 2,7 - for the rest of CEEC; while Internet use increases exports by 4,1 percentage point across V-4 and by 4,7 – across remaining CEEC. Providing workforce with trainings also contributes export intensities and investment in intangible capital further raises marginal effects of Internet use and human capital on export shares of firms.*

***Keywords: ICT, export activity, firm heterogeneity, Central and Eastern Europe, Visegrad***
***JEL classification: F14, O32, O33, O52***

In the recent century, information technology revolution and the Internet together with the fast pace of globalization gave birth to digital economy that created new opportunities to produce, deliver, trade and consume goods and services all over the world. Consequently, global economy as well as international trade is broadly affected by the recent waves of digitization. In this context, deployment of Information Communications Technology (ICT) gets the vital sense, since it is ICT that enables using recent technological advancements and reaping benefits of digitization.

According to the International Telecommunication Union (ITU) ICT development can be reflected in the following factors: in ICT infrastructure that provides readiness for employing ICT; in ICT use, since the contribution of ICT does not exist unless ICT is not deployed; and in skills (human capital) that enables usage of ICT (ICT Development INDEX (IDI), ITU 2009). In addition, the recent development in the literature on ICT effects on economic growth suggests classification of ICT as a general purpose technology (GPT) (Brynjolfsson and Hitt, 2003, Basu et al. 2003, Oliner et al. 2007, Crafts, 2008, Wang and Pearson, 2014). The latter, implies that all the advantages related to gathering, processing, and transmitting information might be fully utilized through complementary investment in intangible capital such as organizational changes, to ensure that a firm's management is in line with the most recent technological capabilities.

From the trade perspectives, studies show that ICT has positive impact on trade by creating better infrastructure for quick exchange of goods and services, and by reducing trade costs. However, while analysis is done for the aggregate economy or at the sectoral level, firm level studies on this topic still remain scarce due to the constrained data availability. Besides, studies control for one or two of the possible channels of ICT effects and there is no study in trade literature which accounts for ICT effects from GPT perspectives. Finally, while papers mainly cover the US economy or the EU founder countries, Central and Eastern European countries (CEEC) are not yet systematically studied.

The goal of this paper is to analyze ICT effects on export performances of firms across Central and Eastern European Countries (CEEC), with the focus on Visegrad group (V-4, Czech Republic, Hungary, Poland, Slovakia). I follow the "new new trade theory" and based on the Melitz (2003) model I examine effects of ICT on the export intensities of firms based on Business Environment and Enterprise Performance Survey (BEEPS) data. To track all the channels through which ICT can generate impact, together with ICT infrastructure and ICT use, I control for human capital and investment in intangible capital (according to GPT hypothesis).

To conduct analysis, I construct the data on exports, firms characteristics and ICT variables for the time period 2002-2014. Estimation results derived from fractional logit estimator find that having poor ICT infrastructure decreases

export shares on average by 2,4 percentage point for V-4 and by 2,7 - for CEEC; while Internet use increases exports by 4,1 percentage point across V-4 and by 4,7 – across CEEC. Providing workforce with trainings also contributes export intensities and investment in intangible capital further raises marginal effects of ICT infrastructure and ICT use on export shares of firms.

The value added of the paper is threefold. First, it contributes the literature by accounting for the longer list of possible channels of ICT effects. Namely, together with ICT infrastructure and ICT use, the analysis controls for human capital and for investment in intangible capital (ICT as GPT). Second, to bring plausible empirical results, the analysis is conducted based on the firm-level data. Third, the sample of analysis consists of CEEC which are not systematically covered by the literature on ICT and trade. Finally, given the valued added of the paper, the findings of analysis provide useful recommendations for firms aiming at improving their export performances.

The reminder of the paper is organized as follows: section 2 reviews the literature, section 3 specifies the empirical model and section 4 describes the data. In section 5, I bring estimation results and finally section 6 concludes.

## 1. Literature Review

This section reviews literature on ICT and trade and then moves on firm-level studies conducted particularly for export performances of firms across CEEC. The section ends by presenting the value added of the paper and introduces research hypotheses.

### *a. ICT and trade*

The literature on ICT and trade starts from the early 2000s and outlines that ICT has positive effects on trade performances via creating better infrastructure for quick exchange of goods and services, and reducing trade costs. Freund and Weinhold (2002, 2004), were very first scholars who examined the impact of Internet and ICT infrastructure on trade. Authors analysed US trade in services, and found that an increase in the number of web hosts by 10 percentage points is associated with the increase in exports by about 0.2 percentage points.

The positive impact of ICT infrastructure on export performances is also supported by study of Portugal-Perez and Wilson (2010). Authors estimate the impact of aggregate indicators of "soft" and "hard" infrastructure across developed and developing countries. Empirical results find that marginal effect of infrastructure improvement on exports appears to be decreasing in per capita income. However, the impact of ICT infrastructure on exports appears important for richer countries.

Studies further outline that the trade-enhancing effect of ICT may not depend solely on ICT infrastructure or ICT capability per se but on its use. Namely, Liu and Nath (2013) employ panel data for forty emerging market economies from 1995 to 2010 and find that Internet subscriptions and Internet hosts have significant positive effects on both exports and imports in the emerging countries. Positive impact of ICT use is furthermore outlined for trade in fruits and vegetables by Thiemann, Flemming and Mueller (2012). To account for ICT use, authors employ the data on telephone main lines, Internet usage and mobile phone subscribers. Estimation results of the trade flows in vegetables and fruits over 1995-2009 indicate that Internet usage has a positive effect on trade in imports while it negatively affects export flows. However, the paper outlines that mobile phone penetration significantly stimulates trade in vegetables and fruit. The role of ICT use for different Spanish industries is studied by Bernal-Jurado and Moral-Pajares (2010). The paper finds that the largest exporting and importing industries are the ones that are more engaged in electronic commerce through different communication channels, such as EDI, Minitel or Internet.

Together with ICT infrastructure and ICT use, skilled workforce (human capital) is underlined to be key factor for reaping benefits of ICT development. Namely, according to the International Telecommunication Union (ITU) ICT development can be reflected in the following factors: in ICT infrastructure that provides readiness for employing ICT; in ICT use, since the contribution of ICT does not exist unless ICT is not deployed; and in skills (human capital) that enables usage of ICT (ICT Development INDEX (IDI), (ITU 2009). Thus, as reported by ITU, it is human capital which enables usage of ICT.

ექსპერტების განმარტებით, გლობალიზაცია ორლესური იარაღია, ამიტომ, მათი რჩევაა, ერთი მხრივ უფრთხილდეთ გლობალიზაციას, მეორე მხრივ კი, სწორად გამოიყენეთ მისი დიდი შესაძლებლობები. საქართველოს ამ თვალსაზრისით აქვს ამის პოტენციალი, კერძოდ ტრასეკას სახელწოდებით თბილისი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი რკინიგზა და სხვა საერთაშორისო პროექტები, რომლებშიც ჩართულია მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები, ამ გეოპოლიტიკური პოზიციიდან გამომდინარე, საქართველოს აქვს ერთ-ერთი ფუნქცია, რაც რადიკალურად შეცვლის და აამაღლებს მის ადგილს. საქართველოს, გლობალიზაციის პროცესში ჩასართველად, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი მიმართულება გააჩნია, მაგრამ არის ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება ამ პროცესს. ასეთია, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, ამ თვალსაზრისით მიუღებელია უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის მიყიდვა, ჩვენს ყველა რეგიონში განვითარებული იყო და დღესაც შემორჩენილია ის ძირითადი დარგები, რომლებიც ტრადიციულად მუშაობდა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. საქართველოს სოფლის მეურნეობაში რაციონალურად შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტიციები, ექსპორტ-იმპორტი, ტექნოლოგიური სიახლეები, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციის სტრატეგიულ მიდგომებთან.

ისეთ პატარა ქვეყანას როგორიც საქართველოა, ალბათ, არ სჭირდება თავისუფალი ეკონომიკური ზონა, მიუხედავად იმისა, რომ არის ამის პრეცედენტი, ეს უბიძგებს ქვეყნის მასშტაბით უმართავი სიტუაციისკენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას, რომელსაც გააჩნია თავისი სპეციფიკა და პრიორიტეტება რეგიონებში, რომელთა დაცვა აუცილებელია, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მრეწველობა როგორც დარგი, სამწუხაროდ, მოშლილია.

მცირე ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ძალზე მტკივნეულია საკუთარი და გლობალური პრობლემების შეხამება, ეს აიხსნება იმით, რომ საქართველო ყოველთვის გარდა (1918 - 21წ.წ) მიბმული იყო სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე, ფაქტობრივად, იგი მოწყვეტილი იყო გარესამყაროს, ვინაიდან იგი საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით არ ცხოვრობდა.

საქართველო, რაც გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, ბოლო ათწლეულებმა ნათლად დაგვანახა, რომ ცდილობს მხარი აუბას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და აამაღლოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, რომელიც შეუძლებელია განხორციელდეს ეროვნული ეკონომიკის განვითარების გარეშე, რომლის მეშვეობით იქმნება ქვეყნის დოვლათი და მატერიალური ღირებულებები. დღესდღეობით ქვეყნის განვითარებაზე აქტიურად მსჯელობენ ხელისუფლება, ექსპერტები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩვენს ქვეყანაში იმართება გრანდიოზული ბიზნესფორუმები, იხილება პროექტები, რომელთა ნაწილის განხორციელება დაწყებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე ნელა უმჯობესდება ბიზნესგარემოს, კერძოდ, მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მითუმეტეს, რომ ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

საქართველოში თავისუფალი ბიზნესსაქმიანობისათვის საკმაოდ ბევრი გაკეთდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი დაბალშემოსავლიანია, ამ დროს სრულიად საპირისპიროდ იზრდება მაღალშემოსავლიანი ფენის რაოდენობა, როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. ამ პროცესის დასარეგულირებლად, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის გასააქტიურებლად აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული აქტებისა და საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიშვეობით.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას დიდი როლი ენიჭება, რაც სწორი მენეჯმენტის პირობებშია შესაძლებელი, რასაც მოსახლეობის დიდ ნაწილს დაასაქმებს, შეიქმნება სა-

მუშაო ადგილები, გაიზრდება მოსახლეობის შემოსავალი და განვითარდება ეკონომიკა. ჩვენ აქტიურად ვიყენებთ სხვა ქვეყნების გამოცდილებებს და მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესსფეროში დასაქმებულია მოსახლეობის 60-65%-ი, იგი აქტიურად ავსებს ქვეყნის შიდა ბაზარს, არის მყიდველუნარიანი და მონაწილეობას იღებს ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია შეიმუშავა, რამაც საკმაოდ დახვეწა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. გარდა ამისა, საწარმოთა კლასიფიკაციის შემუშავება გათვალისწინებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაშიც. 2017 წლამდე მსხვილ საწარმოდ ითვლებოდა ისეთი საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 100 კაცზე მეტი და წლიური საშუალო ბრუნვა შეადგენდა 1,5მლნ ლარს [2]. საშუალო ზომისას მიეკუთვნებოდა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობდა 20-დან 100 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა ჰქონდა 0,5 მლნ ლარიდან 1,5 მლნ ლარამდე.

მცირე სწარმოს წარმოადგენდა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა რაოდენობა იყო 20 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა შეადგენდა 0,5მლნ ლარს.

2017 წლიდან შემოვიდა საწარმოთა ზომის ახალი მეთოდოლოგია კერძოდ:

მსხვილ საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს, ბრუნვის მოცულობა 60 მლნ ლარს.

საშუალო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე და წლიური ბრუნვა შეადგენდეს 12 მლნ ლარიდან - 60მლნ ლარამდე.

მცირეს მიეკუთვნება საწარმო რომლის დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 50 კაცს, ხოლო ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს.

ბიზნესსექტორის გაფართოებისათვის კომპანიებისა და ფირმების მესვეურები მაქსიმალურად ცდილობენ ყველაფერი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მოაწყონ, როგორც ინფრასტრუქტურის, ასევე მანქანა-დანადგარების, დიზაინის, დისტრიბუციისა და რეალიზაციის თვალსაზრისით.

ბიზნესისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმაა საინფორმაციო-საკონსულტაციო ინსტიტუტი, ასევე ბიზნეს-ინკუბატორები, რაც ბიზნესს აწვდის ტექნიკურ და საკონსულტაციო მომსახურებას მათი საქმიანობის საწყის ეტაპზე და მათთვის კრიტიკულ პერიოდში, ესენი არიან არაკომერციული ორგანიზაციები დაქვემდებარებულნი რეგიონების მუნიციპალიტეტებისა და სპონსორების დაფინანსებაზე.

დღეისათვის, განვითარებული ქვეყნების უმეტესობა, გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკური ზრდის პროგრამებსა და კონკურენტუნარიან გარემოს განვითარებას უკავშირებს ინოვაციებს. ამასთან, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით წყდება მთელი რიგი პრობლემა, კერძოდ: ინოვაციური და საინვესტიციო პოლიტიკის მიმზიდველობა და სრულყოფა, საკადრო პოლიტიკის ორგანიზება და შერჩევა, მოსახლეობის დასაქმების ზრდის უზრუნველყოფა, აუცილებელია საქართველომაც აქტიურად გამოიყენოს თავის ხელთ არსებული პოტენციალი ასეთი ამოცანების განსახორციელებლად.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სახელმწიფო მიდგომა ასახულია „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020“ [3], აგრეთვე სამთავრობო პროგრამაში - „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქრთველოსათვის“.

მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეგულირებას კერძო სექტორში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით - “საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის“, რომელიც ეფუძვნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის პრინციპს - „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ [1].

ამ თვალსაზრისით, ქვეყნისათვის ძირითად და სამოქმედო ფაქტორებს უნდა წარმოადგენდეს: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ინტეგრირებული ფორმები, საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ეკონომიკური სტიმულირება, სრულყოფილი სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზა. ამის საფუძველზე სახელმწიფოს ექნება შესაძლებლობა ასტიმულიროს ბიზნესის ამა თუ იმ ფორმის განვითარება, ასევე შეასრულოს სახელმწიფო დაკვეთები, დაიცვას ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, ინტეგრაციული ურთიერთობები, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სოციალური პირობების გაუმჯობესება და ეკოლოგიის დაცვა.

ამრიგად, საქართველო გლობალიზაციის დიდ სივრცეში აქტიურადაა ჩართული, სადაც საჭიროა რაციონალური სტრატეგია, თვითმყოფადობის შენარჩუნება, ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური - ეკონომიკური კეთილდღეობა, ხოლო ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე დაუმკვიდროს ღირსეული ადგილი.

ლიტერატურა:


1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
2. Geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
3. საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისათვის
4. http://forbes.ge/blog/33 ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში.


## Globalization and the Development of Small and Medium Businesses in Georgia


Teimuraz Babunaishvili

*Doctor of Economics, Professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

The article discusses ways to improve the conditions for development of small and medium business in Georgia. The focus is on the economic development of the country in terms of globalization and the conditions hindering it from causing negative results in doing business.

The article also considers real prospects for the development of small and medium-sized businesses, which are contained in the documents of the Georgia-EU Associated Agreement and the Strategy for Social and Economic Development.



***Keywords: Small and medium business, innovations, supportevents,international community, development prospects.***

# ელიტები და მასები: პრეფერენციათა წინააღმდეგობის პრობლემა მოდერნიზაციის პირობებში

**ინგა ბალარჯიშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში გაანალიზებულია ელიტების და მასების ინტერესთა გაერთიანების პრობლემა მოდერნიზაციის პროცესში. გამოყოფილია ინსტიტუციური არჩევანის სხვადასხვა ვარიანტი და მათი განხორციელების შედეგები. მოცემულია ელიტების თეორიის კლასიკოსთა შეხედულებები მასების როლზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ელიტების და საზოგადოების ინსტიტუციურ უპირატესობათა დაახლოვების შესაძლებლობაზე. შემოთავაზებულია „ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმში“ გადასვლის დამატებითი პირობები საზოგადოებისთვის: კანონის უზენაესობა ყოველი მოქალაქისთვის და კონსოლიდირებული კოლექტიური მოქმედებებისთვის მზადყოფნა.*

***საკვანძო სიტყვები:*** ***ელიტები, საზოგადოება, ინსტიტუციური არჩევანი, ინსტიტუციური უპირატესობანი, მოდერნიზაცია, „ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმი“.***

ნებისმიერი საზოგადოება თავისი განვითარების თითოეულ ეტაპზე იძულებულია გადაწყვიტოს ეფექტიანი ინსტიტუტების არჩევანის პრობლემა, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება. ამასთან, ამ არჩევანს თან ახლავს გარკვეულ სოციალურ ჯგუფთა დანაკარგებიც, რომლის სიდიდეც შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. ამასთან, ინსტიტუციური არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ საკუთარი მომავალი მოქმედებების შედეგებზე პასუხისმგებლობის არ აღება მეტად ეფექტიანი პრაქტიკაა, რადგან ასეთი შეთანხმების დაცვა, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ხელისუფლებაში დარჩენის პერსპექტივებზე.

როგორც მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, ინსტიტუციური არჩევანი, უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება სახელმწიფოს სახელით მოქმედი ადამიანთა მცირე ჯგუფის - მმართველი ელიტის მიერ. მაგრამ ელიტების ქცევა, შესაძლებელია, უკიდურესად ეგოისტური, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული აღმოჩნდეს. ელიტების ეგოისტური მისწრაფებების შეზღუდვისათვის კი უნდა შეიქმნას ინსტიტუტების ეფექტიანი სისტემა, რომელიც განსაზღვრავს წესებს, პირველ რიგში, თვით ელიტისათვის. თუ ასეთი შეზღუდვები რაიმე მიზეზით არ არსებობს, ქვეყანა ადრე თუ გვიან გაემართება დიქტატურისკენ. ამგვარად, ნებისმიერი საზოგადოებრივი ინსტიტუტი საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა ურთიერთხელსაყრელი კომპრომისის ძიების და ურთიერთქმედების შედეგია. „დემოკრატია საჭიროებს არა მარტო ინტერესების ფორმულირებას, არამედ ინტერესთა გაერთიანებას, რისთვისაც მთავრობებისგან მოითხოვება სხვადასხვა საჭიროებებს შორის ბალანსის მოძებნის და კომპრომისის მიღწევის უნარი, რაც აუცილებლად იმედს გაუცრუებს მათ, ვისი უპირატესობებიც პრევალირებადი არ გახდა [1, გვ.112].

რით ხელმძღვანელობენ მოქალაქეები და სახელმწიფო ინსტიტუციური არჩევანისას? მოცემული პრობლემის განხილვისას შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ვარიანტი.

პირველის საფუძველია „პოლიტიკური „ქოუზის თეორემა“, რომლის თანახმად, „თუ ტრანსაქციური ხარჯები ნულის ტოლია, მაშინ რესურსების საბოლოო განთავსება ეფექტიანია საკუთრების უფლებების თავდაპირველი განაწილებისგან დამოუკიდებლად“ [2]. მოცემული თეორემის გამოყენება შესაძლებელია პოლიტიკური სფეროს ანალიზისთვისაც: მოქალაქეები და პოლიტიკოსები ამჯობინებენ განახორციელონ არჩევანი იმ ინსტიტუტების და პოლიტიკის სასარგებლოდ, რომლებიც საუკეთესო შედეგების მიღების საშუალებას იძლევა. ამასთან, ამგვარმა პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების მოთხოვნილებათა მთელი მრავალფეროვნება, მიუხედავად იმისა, თუ რომელი პოლიტიკური პარტია თუ სოციალური ჯგუფი ფლობს რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას. მოცემული მიდგომის თანახმად, ინსტიტუციური განსხვავებები არ წარმოადგენს განსხვავებული ეკონომიკური შედეგების მიღწევის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს.

მეორე სტრატეგია ეფუძნება ქოუზის თეორემის მოდიფიცირებულ ვარიანტს, რომლის მიხედვით, საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს თავისი განვითარების სხვადასხვა სტრატეგია მიღებული გადაწყვეტილების

არაცხადი შედეგების დროს. მოცემულ სიტუაციაში მოქალაქეებს და პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ, მივიდნენ საერთო აზრამდე იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ დოვლათად საზოგადოებისთვის. საქმე ეხება პოსტკონტრაქტულ ოპორტუნისტულ ქცევას. თუ საზოგადოებას და პოლიტიკოსებს ოპორტუნისტული ხარჯების მინიმიზირების უნარი შესწევთ, მოცემული ქვეყანა იღებს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობებს სხვა ქვეყნებთან შედარებით.

მესამე ვარიანტია სოციალური კონფლიქტის თეორია. რომლის თანახმად, საზოგადოებას შეუძლია აირჩიოს თავისი განვითარების სხვადასხვა ვარიანტი, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ეს კი იმით აიხსნება, რომ გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის შემდგომ განვითარებას, იღებენ გავლენიან სოციალურ ჯგუფთა ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ გადაწყვეტილებებიდან საკუთარი სარგებლიანობის მაქსიმიზაციით და არა - ქვეყნის განვითარების დადებითი დინამიკით. მკაცრი შინაგანი კონფლიქტი საზოგადოებაში, ადრე თუ გვიან დამთავრდება მცდარი გადაწყვეტილებების მიღებით, რაც გამოიწვევს არაეფექტიანი ინსტიტუტების ფორმირებას. როგორც ამტკიცებს დ. ასემოგლუ, საზოგადოება ხშირად აკეთებს არჩევანს არაეფექტიანი პოლიტიკის და ინსტიტუტების სასარგებლოდ არა რწმენაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიზეზით, არამედ პრინციპული წინააღმდეგობების გამო გადაწყვეტილების მიმღებ აქტორთა ეკონომიკურ ინტერესებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის [3]. სოციალური კონფლიქტის თეორიის პრაქტიკული გამოყენების მთავარი სირთულე მდგომარეობს იმ პრობლემის გადაწყვეტაში, თუ რატომ არ შეუძლიათ ელიტებს საზოგადოებასთან შეთანხმების მიღწევა, თუკი ამ შეთანხმების შედეგი ეფექტიანი ინსტიტუტების ფორმირება და კეთილდღეობის ზრდა იქნება.

ელიტების თეორიის კლასიკოსები (ვ. პარეტო, გ. მოსკა, მ. ვებერი, რ. მიჰელსი) თუმცა აღიარებდნენ, რომ ელიტებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მასების უპირატესობანი, მაგრამ მოელოდნენ, რომ ელიტები ამას გააკეთებენ თავის სასარგებლოდ მასების მანიპულირებით. ისინი ვარაუდობდნენ, რომ თუ პოლიტიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს წარმოშობილი პრობლემები და გაუმკლავდეს სოციალურ ცვლილებებს, ეს, პირველ რიგში, „მმართველი კლასების არაკომპეტენტურობის და არაადეკვატური მოქმედებების“ შედეგია. განსაკუთრებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ მასებით ვ. პარეტო და გ. მოსკა, რომლებიც მათ პოლიტიკისათვის მეტ-ნაკლებად არარელევანტურად თვლიდნენ.

რ. მიხელსმა და ჯ. შუმპეტერმა პირველებმა გააანალიზეს პოლიტიკოსებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის „შრომის დანაწილება“. ორივე მეცნიერი პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრაში აქტიურ როლს პოლიტიკოსებს ანიჭებდა. ჯ. შუმპეტერის აზრით, ამომრჩეველთა უმრავლესობას არ ჰყოფნის პოლიტიკური საკითხების ცოდნა და მათი ინტერესები ლატენტური რჩება მანამდე, სანამ ისინი ფორმულირებული არ იქნება პოლიტიკური ლიდერების მიერ [4]. ჯ. შუმპეტერის მოდელით მოქალაქეთა როლი შემოიფარგლება მთავრობების არჩევით და გადაყენებით. აღსანიშნავია, რომ შუმპეტერის დემოკრატიის კონცეფცია ძალიან ჰგავს მ. ვებერის თვალსაზრისს.

ჯ. სარტორი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკური კურსები იშვიათად ინიცირდება ამომრჩეველთა მიერ. „საშუალო სტატისტიკური ამომრჩეველი იშვიათად მოქმედებს - ის რეაგირებს. პოლიტიკური გადაწყვეტილებები იშვიათად გენერირდება დამოუკიდებელი ადამიანების მიერ - ისინი მიეწოდება მათ განსახილველად. ხოლო აზრის ფორმირების პროცესები არ მომდინარეობს ადამიანებისგან - ისინი მათზე გაივლის“ [5, გვ. 123].

ვ. კორნჰაუზერის „მასობრივი საზოგადოების პოლიტიკის“ უპირატესობა ისაა, რომ იგი აღწერს ელიტების და მასების ურთიერთობებს. მისი აზრით, მოცემული ურთიერთობა ორ პერსპექტივას მოიცავს. აღმავალი პერსპექტივა ვარაუდობს ელიტების მისაწვდომობას მასების მოთხოვნებისათვის. დაღმავალი პერსპექტივა - არაელიტების მისაწვდომობას ელიტების მხრიდან დომინირებისა და მანიპულაციისათვის [6]. როგორც ვ. კორნჰაუზერი ამტკიცებს, პლურალისტური საზოგადოება ხასიათდება ელიტების მაღალი გულისხმიერებით მოქალაქეთა მოთხოვნებისადმი, აგრეთვე, ელიტების მაღალი დამოუკიდებლობით საზოგადოებრივი ზეწოლისაგან. მოქალაქეთა მოთხოვნები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებს გადაეცემა საშუამავლო გაერთიანებების ქსელის მეშვეობით, ინტერესთა გამოხატვის ინსტიტუციონალიზირებული არხებით და არა პირდაპირი მასობრივი მოქმედებებით. მასების საზოგადოება, პირიქით, ამგვარი გაერთიანებების უკმარისობით ხასიათდება, ეს კი ნიშნავს, რომ ელიტებისა და არაელიტების ურთიერთქმედება არასტაბილური ხდება. ამიტომ, ვ. კორნჰაუზერი მიიჩნევს, რომ მასების საზოგადოება, შეიძლება, ტოტალიტარიზ-

მის მსხვერპლი გახდეს, რადგან დაქსაქსულ ინდივიდებს, პირდაპირ პოლიტიკურ მოქმედებებში მონაწილეობის გარდა, პოლიტიკაზე ზეგავლენის სხვა საშუალება არ გააჩნიათ.

ს. ჰანტინგტონი გამოყოფდა ამგვარი განვითარების სამ მიზეზს: ეგალიტარული და ინდივიდუალისტური შეხედულებების გავრცელება, სამთავრობო ინსტიტუტებისადმი საზოგადოებრივი ნდობის შემცირება და ხელისუფლების დელეგიტიმაცია, რაც სულ უფრო ართულებს პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო პოლიტიკაში [7].

ზემოთ აღნიშნულიდან აშკარაა, თუ რამდენად პრობლემატურია მოდერნიზაციულ საზოგადოებაში ინტერესთა გაერთიანების საკითხი. როგორც პ. როზენვალონი ამტკიცებს, გაცილებით ადვილია რაიმეს წინააღმდეგ მობილიზაცია, რადგან ეს არ მოითხოვს ალტერნატიულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით კონსენსუსის პოვნას [8]. რ. დალი ინტერესთა გაერთიანების პრობლემას განსაზღვრავდა როგორც პლურალისტული დემოკრატიის ფუნდამენტურ დილემას და თვლიდა, რომ ინტერესთა ჯგუფები ახდენენ სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის სტაბილიზაციას, ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ცნობიერების დეფორმაციას, რამდენადაც საჯაროდ იცავენ ვიწრო ინტერესებს. ისინი არღვევენ საზოგადოებრივი დღის წესრიგს იმით, რომ თავიანთი რესურსების მეშვეობით განსაზღვრავენ, თუ რომელი პოლიტიკური ალტერნატივები უნდა განიხილებოდეს [9, გვ. 47].

ამგვარად, იმ ინსტიტუტების გარეშე, რომლებიც ახდენენ მოქალაქეთა მოთხოვნების ტრანსლირებას პოლიტიკურ სისტემაში, აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში დაარღვევს უპირატესობათა გაერთიანების შესაძლებლობას და სასარგებლო იქნება მხოლოდ მათთვის, ვისაც შეუძლია უკეთესად გამოიყენოს თავისი პოლიტიკური გავლენა საკუთარი ვიწრო ინტერესებისათვის [1, გვ.130].

მკვლევართა ნაწილი არ გამორიცხავს საზოგადოების და ელიტების ინსტიტუციურ უპირატესობათა მეტი ჰარმონიის შესაძლებლობას. განვითარებაში საერთო ინტერესი შეიძლება წარმოიშვას საერთაშორისო არენაზე ქვეყანათა კონკურენციის შედეგად [10]. ეს მოსაზრება უკიდურესი ფორმით გამოხატა ჩარლზ ტილიმ თავის ცნობილ თეზისში იმის შესახებ, რომ ომები ხელს უწყობს სახელმწიფოთა კონსოლიდაციას და განვითარებას ეგზისტენციალური საერთო ინტერესის საფუძველზე [11; 12]. ამასთან, მხოლოდ გარედან ზეწოლა არასაკმარისია ინკლუზიური ინსტიტუტების ფორმირებისა და სტაბილური განვითარებისთვის. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება რუსეთის ისტორია, როდესაც განვითარების პერიოდები საგარეო გამოწვევების და საფრთხეების პასუხად (მაგალითად, პეტრე პირველის და სტალინის მმართველობის წლებში) შედარებით მოკლევადიანი აღმოჩნდა, არაადეკვატური ფასი დაჯდა და მოპოვებული პოზიციებიდან უკან დაბრუნებით დასრულდა.

მ. ოლსონმა შემოგვთავაზა საზოგადოების და ელიტების ინტერესთა დაახლოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა [13] - მმართველი კლასი ეკონომიკას განიხილავს როგორც თავის საგადასახადო ბაზას და ამიტომ ბუნებრივად დაინტერესებულია ეკონომიკური განვითარებით. ელიტების ეკონომიკური ინტერესების არსებობა მათ ინსტიტუციურ უპირატესობებს საზოგადოების საჭიროებებთან აახლოვებს. მყარი ავტორიტარული რეჟიმი, რომელმაც „სტაციონარული ბანდიტის“ მეტაფორული სახელწოდება მიიღო, მ. ოლსონის აზრით, ეკონომიკური განვითარებისთვის კეთილსასურველ პირობებს ქმნის, რამდენადაც შეუძლია გადასახადების გაზრდით აანაზღაუროს გრძელვადიანი ინვესტიციები საბაზრო ინფრასტრუქტურაში, მათ შორის, შედარებით ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნაში. „სტაციონარული ბანდიტი“ ამცირებს თავის დღევანდელ მადას იმისათვის, რომ მიიღოს გადაჭარბებული მოგება მომავალში. ასეთ პირობებში, ჯ. საქსის სიტყვებით, „დიქტატორები ზოგჯერ ღრმა რეფორმების აგენტები ხდებიან“ [10, გვ. 143]. თუმცა, ამგვარი სტიმულები გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ [14]. ჯერ ერთი, „სტაციონარული ბანდიტის“ საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად აჭარბებს საზოგადოებრივ ოპტიმუმს, ვინაიდან საგადასახადო შემოსავლები ისევ წარმოადგენს ელიტების გამდიდრების წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახსრების ნაწილი საზოგადოებრივ დოვლათზე იხარჯება. მეორე, ნარჩუნდება საზოგადოებრივი საქონლის დეფიციტი, რადგან ელიტები საზოგადოებრივი დოვლათისგან უკუგებას მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების ზრდაში ხედავენ, რაც მთლიანი საზოგადოებრივი მოგების მხოლოდ ნაწილია. შედეგად, ელიტები, მთელ საზოგადოებასთან შედარებით, ნაკლებად აფასებენ საზოგადოებრივ დოვლათს და მას ნაკლები რაოდენობით აწვდიან, ვიდრე ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები. ინსტიტუტებზე მყარი ავტორიტარული რეჟიმების სასიკეთო გავლენა ემპირიული მონაცემებითაც საეჭვოა - არადემოკრატიული ხელისუფლების უცვლელობა უარყოფით კორელაციაშია საკუთრების უფლებების დაცვასთან [15, 16].

მ. მაკგირი და მ. ოლსონი [14] მიუთითებენ ელიტების და საზოგადოების ინსტიტუციურ უპირატესობათა დაახლოვების კიდევ ერთ შესაძლო მექანიზმზე - ესაა მმართველი კლასის მიერ კერძო საკუთრებაში საბაზრო აქტივების ფლობა. ეს სიტუაცია ქმნის მოთხოვნილებას საბაზრო ინფრასტრუქტურაზე და კარგ საინვესტიციო კლიმატზე. თუმცა, ამგვარი ჰიპოთეზა გამომდინარეობს იმ საეჭვო ვარაუდიდან, რომ გაუკონტროლებელი ელიტები დააწესებენ ყველასათვის საერთო თამაშის წესებს ნაცვლად პრინციპისა: „მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს - კანონი“.

უფრო რეალისტური ანალიზი მიუთითებს „არაელიტური“ სექტორისთვის საგადასახადო ტვირთის სავარაუდო ზრდაზე ელიტების საკუთარი საბაზრო ინტერესების არსებობისას, რათა ჩაახშოს კონკურენცია და არ დაუშვას მასების ეკონომიკური გაძლიერება, რამაც შეიძლება ელიტების პოლიტიკური პრივილეგიები საფრთხის ქვეშ დააყენოს [17]. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასები არ ექვემდებარებიან პირდაპირ ექსპროპრიაციას და ეკონომიკაში ყველასთვის ერთნაირი „თამაშის წესები“ დგინდება, ელიტები ამჯობინებენ ამ წესების საზოგადოებრივად არაოპტიმალურ ვარიანტს, კერძოდ, ეწინააღმდეგებიან საკუთრების უფლებების სრულფასოვან დაცვას და ბაზრების დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას. ელიტების ინსტიტუციურ უპირატესობათა ამგვარი დამახინჯება აიხსნება რენტისათვის ბრძოლაში მასშტაბიდან მზარდი უკუგებით. გარდა ამისა, თუ ელიტების აქტივები თავმოყრილია ეკონომიკის განსაზღვრულ სექტორებში (მაგალითად, რესურსულ დარგებში), ეს აღრმავებს წარმოების საზოგადოებრივ ფაქტორთა დეფიციტს სხვა დარგებში [18].

დაბოლოს, ელიტებმა შეიძლება ხელი შეუშალონ ეკონომიკურ პროგრესს იმის შიშით, რომ ეკონომიკის მოდერნიზაცია შეარყევს ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წესრიგს და საფრთხეს შეუქმნის მათ დომინირებას. ასეთ შემთხვევაში, მოდერნიზაციიდან ელიტების შესაძლო ეკონომიკური მოგება დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ რისკებთან, რის გამოც ისინი უარს ამბობენ განვითარებაზე და აკეთებენ, მათი აზრით, რაციონალურ არჩევანს არაეფექტიანი სტატუს-კვოს შენარჩუნების სასარგებლოდ [19].

დ. ასემოგლუ და ჯ. რობინსონი ნაშრომში „Why Nations Fail“ მოცემული ეფექტის ილუსტრირებას ახდენენ ავსტრო-უნგრეთის, ოტომანის და რუსეთის იმპერიების მაგალითზე. ავსტრო-უნგრეთის მონარქია XIX ს-ის დასაწყისში ხელს უშლიდა ინდუსტრიალიზაციას ქალაქებში მუშათა პოლიტიკურად არასასურველი კონცენტრაციის შიშით. კონკურენცია იხშობოდა მონოპოლიებით და გილდიებით. რკინიგზების მშენებლობა არ დაიშვებოდა, რათა მათი გზით „არ მოსულიყო რევოლუცია“. ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ უფრო დამოუკიდებელი და ეკონომიკური კეთილდღეობის მქონე ქვეშევრდომების მართვა უფრო ძნელია. ანალოგიური მაგალითების აღმოჩენა შეიძლება XIX ს-ის რუსეთის ისტორიაშიც. ოტომანის იმპერიაში წიგნების ბეჭდვა იკრძალებოდა ევროპაში მისი გამოგონებიდან თითქმის 300 წლის განმავლობაში. კიდევ ერთი იმპერია - ჩინეთის - სტაბილურობის საფრთხეს ხედავდა საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც მკაცრად იზღუდებოდა და დროდადრო სრულ აკრძალვასაც ექვემდებარებოდა. მმართველი ელიტის წინააღმდეგობამ მოდერნიზაციისა და ინკლუზიური ინსტიტუტების დამკვიდრებისადმი გამოიწვია უფრო დინამიური სახელმწიფოებისგან აღნიშნულ იმპერიათა ქრონიკული ჩამორჩენა, სამხედრო მარცხი, ხოლო ავსტრო-უნგრეთის და ოტომანის იმპერიის შემთხვევაში - მათი ნგრევა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნულიდან ცხადია, თუ რატომ აქვს პოლიტიკურ ინსტიტუტებს ასე დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისთვის. პოლიტიკური ინსტიტუტები ანაწილებენ უფლებამოსილებებს საზოგადოებრივ გადაწყვეტილებათა მიღებაში, მათ შორის, ეკონომიკური ინსტიტუტების არჩევაშიც და მეტ-ნაკლებად აიძულებენ ელიტებს, გაითვალისწინონ საზოგადოების საჭიროებანი ამ არჩევანის გაკეთებისას. გაუკონტროლებელი ელიტები ადგენენ თავისთვის ოპტიმალურ ექსტრაქტულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ხოლო პოლიტიკური სისტემის პლურალიზმი არაელიტური ჯგუფებისთვის პოლიტიკური გავლენის შესაძლებლობას ქმნის. ამის შედეგად, ეკონომიკური ინსტიტუტების არჩევანი უფრო დაბალანსებული და ინკლუზიური ხდება. ამგვარად, პოლიტიკური ინსტიტუტები ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენენ ეკონომიკური ინსტიტუტების გაცნობიერებული არჩევანით და იმით, თუ ვისი ინტერესები გაითვალისწინება ამ არჩევანში.

ინსტიტუციურ არჩევანში მონაწილეობის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია სხვადასხვა ჯგუფს საზოგადოებაში საკუთარი ინტერესების გაცნობიერება და ერთობლივად მოქმედება ერთიანი მიზნისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად შეუძლიათ, გადაწყვიტონ კოლექტიური მოქმედებების პრობლემა. ამ პრობლემის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი იყო მ. ოლსონი [20], რომელმაც ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კოლექტიურ მოქმედებებში მონაწილეობის ქმედითი სტიმულების უზრუნველყოფა უფრო ადვილია მცირე ჯგუფებში. ეს გარემოება ელიტებს მასებთან შედარებით მნიშვნელოვან უპირა-

ტესობას აძლევს და წარმოშობს შეზღუდული ხელმისაწვდომობის რეჟიმებს, რომლებიც ეყრდნობა შიდაელიტურ კოალიციებს [21]. გარდა ამისა, ელიტებს შეუძლიათ ინსტიტუტებში თავისი გავლენის და სიმდიდრის ინვესტირება. სწორედ ამიტომ, შეზღუდული ხელმისაწვდომობის რეჟიმებში ინსტიტუციური არჩევანი ელიტების ხელშია. ელიტების მიერ ინსტიტუტების კონტროლის შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ელიტების ინსტიტუციური უპირატესობები ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს.

როგორც აღვნიშნეთ, ელიტების და საზოგადოების უპირატესობები ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფება - საზოგადოებას სჭირდება ინკლუზიური ინსტიტუტები, ხოლო ელიტებს - ექსტრაქტული. ამგვარი კონფლიქტის ხასიათის ილუსტრირება ყველაზე ადვილია საზოგადოებრივი დოვლათის მაგალითზე, რადგან ინსტიტუტები სწორედ საზოგადოებრივ დოვლათს წარმოადგენს. მოგება საზოგადოებრივი დოვლათიდან სრული მოცულობით რეალიზდება მთელი საზოგადოების მიერ და ამიტომ, მოსახლეობის რაც უფრო მცირე ნაწილი (ელიტები) განკარგავს საზოგადოების რესურსებს საკუთარი ინტერესებისთვის, ამ რესურსების მით უფრო მცირე წილი იქნება მიმართული საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისკენ. ეს დასკვნა არ ეწინააღმდეგება იმას, რომ ელიტები ისევე, როგორც ყველა სხვა, აფასებენ საკუთარ მოგებას საზოგადოებრივი დოვლათიდან. ელიტების ასეთი პირდაპირი მოგება მათი მცირერიცხოვნობის გამო მთელი საზოგადოების მოგების მხოლოდ მცირე წილს შეადგენს, რის შედეგადაც საზოგადოებრივი დოვლათი საზოგადოებრივ ოპტიმუმზე გაცილებით ნაკლები აღმოჩნდება და ელიტები ამ დეფიციტს აკომპენსირებენ კერძო მოხმარებით. ინსტიტუტების მიმართ ეს დასკვნა ნიშნავს, რომ ელიტები მსხვერპლად სწირავენ მთლიან ეკონომიკურ ეფექტიანობას საკუთარი სარგებლიანობისათვის და ინკლუზიური ინსტიტუტების ნაცვლად აყალიბებენ ექსტრაქტულ ინსტიტუტებს, რომლებიც საზოგადოების რესურსების მითვისების შესაძლებლობას იძლევა. ეს არის „თამაში უარყოფითი ჯამით".

ს. ეიზენშტადტი, ჯერ კიდევ 1965 წ. დაწერილ სტატიაში „მოდერნიზაციის ჩავარდნები", სვამდა კითხვას: რატომ შეწყვიტა მუშაობა მოდერნიზაციის საწყის პერიოდში ჩამოყალიბებულმა ბევრმა ინსტიტუტმა და ადგილი დაუთმო ნეკლებად რთულ და, როგორც წესი, უფრო ავტორიტარულ პოლიტიკურ რეჟიმებს?" [22, გვ. 43]. ის აღნიშნავს, რომ მოდერნიზაციის გზაზე დამდგარი ახალგაზრდა სახელმწიფოები აღმოჩნდნენ პრობლემის წინაშე: უნდა შეენარჩუნებინათ სტაბილური ეკონომიკური ზრდა და, ამავე დროს, გაეტარებინათ თანმიმდევრული ცვლილებები ინსტიტუციურ სფეროებში, მაგრამ სწორედ აქ, მათ ელოდა იმედგაცრუება: თვით ეკონომიკურ ზრდაში წარმატებების დროსაც, მათ ვერ შეძლეს სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუციური სტრუქტურის აშენება. ყოველივე ეს მოწმობდა „არა იმდენად მოდერნიზაციული იმპულსის არარსებობას ან მოდერნიზაციის წარუმატებელ სტარტს, რამდენადაც ზოგიერთი თანამედროვე (ძირითადად, პოლიტიკური) ინსტიტუტის ბზარს, მაშინაც კი, თუ ...ეს ბზარები განახლების ადრეულ ფაზებში გაჩნდა [22, გვ. 45-46]. ს. ეიზენშტადტი ვარაუდობდა, რომ მოდერნიზაციის გზაზე დამდგარი სახელმწიფოები ზარალდებიან არა იმისგან, რომ მათი ძალისხმევის დიაპაზონი მეტისმეტად ვიწროა. რეფორმატორები ყველგან აწყდებიან იმ მექანიზმების არარსებობას, რომლებსაც შეუძლია „გადაწყვიტოს პრობლემები, რომლებიც აღმოცენდება სხვადასხვა ჯგუფთა ურთიერთშეხების გაფართოებასა და გაღრმავებასთან ერთად" [22, გვ. 56]. ამასთან, ახალი პირობებისადმი ადაპტირების მცდელობისას, ადამიანთა ბუნებრივი ქცევა ხდება სულ უფრო გაფართოებადი პატერნალიზმი, სურვილი - თავისი პრობლემების გადაწყვეტა გადააკისრონ ვინმე „ძლიერს", უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს.

სრულიად ბუნებრივია, რომ მსგავს პირობებში აღმოჩენილი ადამიანები ორიენტირდებიან „გადარჩენის ფასეულობებზე" და არა „თვითგამოხატვის". როგორც აღნიშნავს რ. ინგლჰარტი, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნის ფასეულობითი სტრუქტურის გაანალიზებისას, ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ამ ფასეულობებს წამყვანი ადგილი უკავია [23]. გარდა ამისა, მოდერნიზაციის თანმხლები კონფლიქტები, „კონსენსუსის დეფიციტი წარმოდგენებში იმაზე, თუ რა არის საჭირო პირველ რიგში" [22, გვ. 47], ძალიან სწრაფად აჩენს საზოგადოებაში „წესრიგის დამყარების", სიტუაციის სტაბილიზაციის მძაფრ მოთხოვნილებას.

დ. ნორტის და მისი კოლეგების აზრით, თანამედროვე საზოგადოების ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმზე გადასვლისთვის აუცილებელია გარკვეული „სამიჯნე პირობები":

- „სამართლის უზენაესობა ელიტებისათვის";
- „საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციათა მუდმივად არსებული ფორმები" (ინსტიტუციური უპიროვნობის პირობა);
- „კონსოლიდირებული პოლიტიკური კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე" [24, გვ. 76].

თუმცა, როგორც თავად მკვლევარები აღნიშნავენ, ეს პირობები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია ბუნებრივი სახელმწიფოს ღია ხელმისაწვდომობის რეჟიმზე გადასასვლელად. სახელმწიფოები, რომლებიც დგანან გადასვლის მიჯნაზე, „შეიძლება გადასვლის უუნარონი აღმოჩნდნენ და დაბრუნდნენ კიდეც ბუნებრივი სახელმწიფოსკენ“ [24, გვ. 322]. არსებითად, ეს სხვაგვარი კონსტატაციაა იმისა, რასაც ს. ეიზენშტადტმა „მოდერნიზაციის ჩავარდნები უწოდა.

ამგვარად, მოცემული თეორია ახალი სოციალური წესრიგის მთავარ ფაქტორად შიდაელიტურ ურთიერთობებს მიიჩნევს. საზოგადოების აქტიურობა კი მხოლოდ ასახავს ელიტური კლანების ბრძოლას გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის. მასებისათვის შეზღუდული ხელმისაწვდომობის რეჟიმის „სიმწიფის“ კრიტერიუმები ძალადობის შემცირება, სამართლის სფეროში განჭვრეტადობა, აგრეთვე, ქონებრივი უთანასწორობის შემცირება, შემოსავლების ზრდა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაფართოებაა [24, გვ. 13–15]. თვით, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში „ქვემოდან“ ზეწოლის შედეგად განხორციელებული რეფორმებიც შიდაელიტურ დაპირისპირებათა შედეგია. მათ იყენებდნენ ახლად ჩამოყალიბებული ელიტური კოალიციების გამარჯვებულები, ხოლო მთავარი სოციალური პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა, თუ ელიტა არ აცნობიერებდა ზემოთ აღნიშნული სამიჯნე პირობების მიღების აუცილებლობას [24, გვ. 408–410].

შესაბამისად, ნორტი და მისი კოლეგები არ იზიარებენ დ. ასემოგლუს და ჯ. რობინსონის იმ არგუმენტს, რომ მასებს შეუძლიათ ელიტებზე ზეგავლენა, რაც მათ პრივილეგიების დათმობას და ძალაუფლების გაყოფას აიძულებს [25]. დ. ასემოგლუ და ჯ. რობინსონი ამოდიან, ასე ვთქვათ, „სახალხო სუვერენიტეტის უდანაშაულობის პრეზუმპციიდან“ და არც კი ვარაუდობენ, რომ ცუდი ინსტიტუტების არჩევა შეიძლება არა მარტო გაუკონტროლებელი ელიტების ინიციატივა, არამედ ამომრჩეველთა შეკვეთაც იყოს. ამიტომ პროგრესი მათთვის ასოცირდება ინკლუზიურობის გაფართოებასთან: მასების ჩართულობასთან საზოგადოებრივ აქტიურობაში.

დ. ნორტის და მისი კოლეგების თეორიის შეზღუდულობა შეიძლება ის იყოს, რომ ისინი მნიშვნელობას ანიჭებენ მხოლოდ ელიტის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი პასიურ როლს თამაშობს, ექვემდებარება ამა თუ იმ ლიდერს. ეს კი, ფაქტობრივად, ნიშნავს პერსონალისტური პატერნალიზმის, როგორც ბუნებრივი მდგომარეობის აღქმას. ამგვარი წარმოდგენა მოსახლეობის უმრავლესობის პასიურობაზე, განსაკუთრებით იმ საზოგადოებებში, რომლებმაც ინდუსტრიული მოდერნიზაციის ეტაპი გაიარეს, რამდენადმე არაკორექტულია. თანამედროვე გლობალურ სამყაროში ადამიანთა უმრავლესობა უკვე აცნობიერებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა მნიშვნელოვან სპექტრს და უსამართლოდ თვლის არამარტო საკუთარ მდგომარეობას, არამედ ელიტური ჯგუფების პრივილეგიებსაც. ხოლო ადამიანთა მიერ ხელისუფლების არალეგიტიმურობის აღქმამ შეიძლება ბიძგი მისცეს სოციალურ ძვრებს.

თანამედროვე გლობალიზაციისა და ღია ინფორმაციის პირობებში, გამარტივება იქნებოდა იმაზე მსჯელობა, რომ სოციალური და პოლიტიკური ზეწოლა „ქვემოდან“ მხოლოდ ელიტურ დაჯგუფებებში მიმდინარე პროცესებს ასახავს. თუ ჩვენ ვაყენებთ ქვემოდან პროტესტის მიზნად ბუნებრივი სახელმწიფოს შეზღუდული ხელმისაწვდომობის წესის („ძალაუფლება-საკუთრების“ სისტემის) შეცვლას განვითარებული სახელმწიფოს ღია ხელმისაწვდომობის წესით, მაშინ აუცილებელია დამატებითი „სამიჯნე პირობები“ საზოგადოების ფართო მასებისთვისთვისაც: 1) ცივილიზებული ფასეულობების, უპირველეს ყოვლისა, კანონის უზენაესობა ყოველი მოქალაქისთვის და 2) კონსოლიდირებული კოლექტიური მოქმედებებისთვის მზადყოფნა. ხოლო თვით ამ პირობების შექმნა განსაზღვრული „კრიტიკული მასის“ ადამიანური და სოციალური კაპიტალის დაგროვებას მოითხოვს.

## ლიტერატურა:


1. Хоффманн-Ланге У. Граждане и элиты во времена экономического кризиса и общественных волнений //Власть и элиты / Гл. ред. А.В. Дука. Т. 1. СПб.: Интер социс, 2014.
2. Коуз Р. Природа фирмы / пер. с англ. Б. Пинскера //: Теория фирмы / сост. В.М. Гальперин. СПб.: Экономическая школа, 1995, 534 с.
3. Acemoglu D. Why not a political Coase theorem? Social conflict, commitment, and politics // Journal of Comparative Economics / Massachusetts Institute of Technology. 2003. № 31.

4. Шумпетер Й. Капитализм, социализм и демократия. М.: Экономика, 1995.
5. Sartori G. The Theory of Democracy Revisited. Chatham, 1987.
6. Kornhauser W. The Politics of Mass Society. L.: Routledge and Kegan Paul, 1960.
7. Huntington S.P. Postindustrial Politics: How Benign Will It Be? // Comparative Politic. 1974. Vol.6. No.2.
8. Rosanvallon P. Counter-Democracy. Politics in an Age of Distrust. Cambridge: Cambridge University Pres, 2008.
9. Dahl R.A. Dilemmas of Pluralist Democracy. New Haven: Yale University Press, 1982.
10. Sachs, J. Government, Geography, and Growth. The True Drivers of Economic Development // Foreign Affairs, 2012. Vol. 91(5). P. 142–150.
11. Tilly, Ch. The Formation of National States in Western Europe. Princeton: Princeton University Press. 1975.
12. Besley, T., Persson, T. Pillars of Prosperity. The Political Economics of Development Clusters. Princeton: Princeton University Press. 2011.
13. Olson M. Dictatorship, Democracy, and Development // American Political Science Review, Vol. 87(3). 1993. P. 567–576.
14. McGuire, M., Olson M. The Economics of Autocracy and Majority Rule: The Invisible Hand and the Use of Force //Journal of Economic Literature, Vol. 34 (1). 1996. P. 72–96.
15. Besley, T., Ghatak, M. Property Rights and Economic Development // Handbook of Development Economics, Vol. 5 / Eds. Rodrik D., Rosenzweig M. The Netherlands: North-Holland. 2010. P. 4525–4595.
16. Polishchuk L., Syunyaev G. Ruling Elites' Rotation and Asset Ownership: Implications for Property Rights // Public Choice, Vol. 162(1). 2015. P. 159–182.
17. Acemoglu D. A Simple Model of Inefficient Institutions // Scandinavian Journal of Economics, Vol. 108(4). 2006. P. 515–546.
18. Polischuk L. Institutional Performance // Oxford Handbook of the Russian Economy / Eds. S. Weber, M. Alexeev. Oxford: Oxford University Press. 2013. P. 189–220.
19. Robinson, J., Acemoglu D. Economic Backwardness in Political Perspective // American Political Science Review Vol. 100(1). 2006. P. 115–131.
20. Olson M. The Logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups. Cambridge MA: Harvard University Press. 1965.
21. North D., Wallis J., Weingast B. Violence and Social Orders: A Conceptual Framework for Interpreting Recorded Human History. Cambridge: Cambridge University Press. 2009.
22. Эйзенштадт Ш. Срывы модернизации // Неприкосновенный запас. 2010. № 6.
23. Инглхарт Р., Вельцель К. Модернизация, культурные изменения и демократия. Последовательность человеческого развития. М., 2011.
24. Норт Д., Уоллис Д., Вайнгаст Б. Насилие и социальные порядки. Концептуальные рамки для интерпретации письменной истории человечества. М., 2011. 480 с.
25. Acemoglu D., Robinson J.A. Economic Origins of Dictatorship and Democracy. Cambridge University Press, Cambridge and New York, 2006. 416 pp.

## Elites and Masses: the problem of contradiction of preferences in the context of modernization

Inga Balarjishvili

*Academic doctor of economics,*
*Associated professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The article considers the problem of interests consolidate of elites and masses in modernization procces. It is separated many different variants and implimentaion results of institutional choices. There are given calasics views of elite theory of role society. A particular accent is made on opportunity of making closer institutional preferences of elites and society. It is offered to society the additional terms of "open access order": the rule of law for every citizen and the readiness for consolidated collective actions.

***Keywords: elites; society; institutional choice; institutional preference; modernization; "open access order".***

# ფინანსური დაგეგმვა - კომპანიების გაკოტრების თავიდან აცილების მექანიზმი

ხათუნა ბარბაქაძე

*ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საბაზრო ეკონომიკის პირობებში კონკურენციის მაღალმა დონემ, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად შემცირებამ, დისბალანსმა ფინანსურ ბაზარზე, არაპროგნოზირებადმა გარე ფაქტორებმა გამოიწვია გაკოტრებული კომპანიების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა კომპანიების ხელმძღვანელებისა და კრედიტორების აქტიური თანამშრომლობა, რათა არ დაუშვან გაკოტრების ისეთი ინდიკატორების ამოქმედება, როგორიცაა: გადახდისუუნარიანობის, ლიკვიდობისა და ფინანსური მდგრადობის დაბალი მაჩვენებლები. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვა, რადგან ხშირ შემთხვევაში, ფინანსური დაგეგმვა მოწყვეტილია ბაზრის კვლევებს და ეყრდნობა მხოლოდ წარმოების და არა რეალიზაციის გეგმას, რის გამოც, ფაქტობრივი და დაგეგმილი მაჩვენებლები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვისას აუცილებელია განხორციელდეს რენტაბელობის ანალიზი, ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და ფინანსური მდგრადობის გამოთვლა, რათა კომპანია უზრუნველყოფილი იყოს იმ აუცილებელი ფინანსური რესურსებით, რომელიც მომავალში გაზრდის მისი საქმიანობის ეფექტიანობას და თავიდან აცილებს გაკოტრებას.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური დაგეგმვა, ფინანსური მდგრადობა,ფინანსური მაჩვენებლები, ლიკვიდობა, გაკოტრება.*

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კონკურენციის მაღალი დონის არსებობის გამო, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ნებისმიერი კომპანიისთვის აუცილებელია გააუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების პირობები. გაკოტრება ფინანსური კრახია, რომელიც გამოწვეულია საწარმოს შეუძლებლობით დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები და სხვა ვალდებულებები [1]. წარმოებისა და შესაბამისად, რეალიზაციის მოცულობის მკვეთრად შემცირებამ, ასევე ფინანსური კრიზისის შედეგებმა, როგორიცაა წარმოების შემცირება, დისბალანსი ფინანსურ ბაზარზე, არაპროგნოზირებადმა გარე ფაქტორებმა გამოიწვიეს გაკოტრებული კომპანიების რაოდენობის ზრდა. აღნიშნული პრობლემები გათვალისწინებულ უნდა იქნეს კომპანიების ხელმძღვანელებისა და კრედიტორების მიერ, რათა ფინანსური კრიზისის პირობებში მათ შეძლონ დაგეგმილი ფულადი საშუალებების მიღება. როდესაც კომპანიების საქმიანობის პროცესში წარმოიშობაფინანსური კრიზისი, ფულადი სახსრების დეფიციტი ან გადახდისუუნარობა რაც გაკოტრების წინაპირობაა. თუ კომპანია გადახდისუუნაროა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იგი განხილულ უნდა იქნეს, როგორც კომერციულად გაკოტრებული. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში კომპანიის გაკოტრებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მისი ვალდებულებები აჭარბებს აქტივების საბაზრო ღირებულებას. კომპანიებს, რომლებზეც ფინანსურმა კრიზისმა ყველაზე მეტად იმოქმედა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები ძირითადად იყვნენ - საკრედიტო ორგანიზაციები, სამშენებლო ბაზარზე არსებული დეველოპერები, ასევე კომპანიები, რომლებიც დაკავშირებულები იყვნენ უძრავ ქონებასთან. კომპანიის გადასვლას გაკოტრების რეჟიმში წინ უსწრებს რამდენიმე ეტაპი, კერძოდ:

1. საწყის ეტაპზე კომპანია იმყოფება გაკოტრების ფარულ სტადიაზე – ორგანიზაციის არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა. თუმცა, ამ ეტაპზე ფინანსური არამდგრადობა შეიძლება ნორმალურ დონეზე იყოს შენარჩუნებული. ფინანსური მდგრადობა ითვლება დასაშვებად, თუ მარაგებისათვის საჭირო მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალის სიდიდე ნედლეულის, მასალების და მზა პროდუქციის ჯამურ ღირებულებას არ აღემატება;
2. შემდეგი ეტაპია ფინანსური არასტაბილურობა – კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ფინანსური პოტენციალი პრაქტიკულად ამოწურულია და შეიძლება დახასიათდეს, როგორც არამდგრადი ფი-

ნანსური მდგომარეობის დაუშვებელი სიდიდე. არარსებობს დაბანდებულ კაპიტალზე უკუგება და შესაბამისად, საქმიანი აქტივობა მნიშვნელოვნად ეცემა;

3. რეალური გაკოტრების სტადია, რომელიც ვლინდება მდგრადი გადახდისუუნარობით, როდესაც კომპანიას არ შეუძლია შეასრულოს საკუთარი ფინანსური ვალდებულებები.

აღნიშნული ეტაპების გათვალისწინებით შესაძლებელია გაკოტრების დადგომის წინასწარი განჭვრეტა, რისთვისაც აუცილებელია ადეკვატური ქმედება, რომელმაც უნდა განსაზღვროს და თავიდან აიცილოს კომპანიის საქმიანობაში არსებული ფარული უარყოფითი მიმართულებები, კერძოდ, გადახდისუნარიანობის, ლიკვიდობის და ფინანსური მდგრადობის დაბალი მაჩვენებლები, რომლებიც ამავე დროს გაკოტრების ინდიკატორის როლს ასრულებენ. ამავე დროს, მნიშვნელოვანია კომპანიის საქმიანობის ფინანსურ დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებიც. ფინანსური დაგეგმვა განსაზღვრავს ფულადი თანხების ნაკადების შემოსულობებსა და გასვლის მიმართულებებს [2. გვ., 8].

ფინანსური დაგეგმვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ფინანსური გეგმის შედგენა, მისი რეალიზაცია და კორექტირება მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ამასთან კომპანიიის ფინანსური გეგმის შედგენისას, მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარების სტრატეგილი გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ფინანსური დაგეგმვის ძირითად მიმართულებებს, ბიზნესის განვითარების ძირითადი ამოცანებისა და კომპანიის ზრდის მაჩვენებლებიდან გამომდინარე [4. გვ., 72].

ფინანსური დაგეგმვა გულისხმობს ფინანსური მაჩვენებლების სისტემის შემუშავების პროცესს, რომელიც მოიცავს:

- კომპანიის განკარგულებაში არსებული საინვესტიციო დაფინანსების შესაძლებლობების ანალიზს;
- მიმდინარე გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირებას, რადგან შესაძლებელი იყოს კავშირი მიმდინარე და მომავალ გადაწყვეტილებებს შორის და თავიდან იქნეს აცილებული გაუთვალისწინებელი შემთხვევები;
- კომპანიის მიერ მიღწეული შედეგების შეფასებას, მოცემულ მიზნებთან შედარებით.

საკუთრივ, ფინანსური დაგეგმვის მიზანია:

- წარმოების მოცულობიდან გამომდინარე, ფულადი ნაკადების მოძრაობის ბიუჯეტების ფორმირება;
- დაგეგმილი დანახარჯების დასაბუთება;
- დადებული ხელშეკრულებებისა და ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების განსაზღვრა;
- საბოლოო ფინანსური შედეგების თვალსაზრისით შემოსავლების, ხარჯების, ფინანსური შედეგებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაგეგმვა;
- კომპანიის გადახდისუნარიანობისა და მისი მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის შედგენილი გეგმების შესრულების კონტროლი და ანალიზი.

ფინანსური დაგეგმვის პროცესში შესაძლებელია ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ [3. გვ., 396]:

- ყველაზე ეფექტიანი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით რეზერვების გამოვლენა და რესურსების მობილიზაცია;
- საბრუნავი სახსრებისა და მათი ფორმირების წყროების მიხედვით ოპრიმალური და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ფინანსური გრძელვადიანი ნორმებისა და ნორმატივების დადგენა;
- კომპანიის მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა სახსრების დაბალანსებული შენატანებისა და გახარჯვის გზით;
- კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და გადახდისუნარიანობის კონტროლი.

კომპანიის საქმიანობის სათანადო მონიტორინგითა და ფინანსური დაგეგმვის მეთოდების გამოყენებით შესაძლოა გაკოტრების თავიდან აცილება.

ცნობილია ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის რამდენიმე მეთოდი, როგორიცაა: ანგარიშსწორებისა და ანალიზის; დაგეგმვის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის; საბალანსო; ნორმატიული და ეკონომიკურმათემატიკური მოდელირების მეთოდი.

*ანგარიშსწორებისა და ანალიზის მეთოდი* – ფინანსური მაჩვენებლების საბაზისო სიდიდის ანალიზისა და დაგეგმვის პერიოდში მისი ცვლილების ინდექსების საფუძველზე გაიანგარიშება ამ მაჩვენებლის გეგმიური სიდიდე. ანგარიშსწორებისა და ანალიზის მეთოდი ფართოდ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მაჩვენებლებს შორის ურთიერთკავშირის დადგენა შესაძლებელია ირიბად, მათი დინამიკისა და კავშირების ანალიზის საფუძველზე.

*დაგეგმვის გადაწყვეტილებების ოპტიმიზაციის მეთოდი* გულისხმობს რამდენიმე შემუშავებული ვარიანტებიდან ყველაზე ოპტიმალური ვარიანტის არჩევას. თუმცა, შესაძლებელია გამოყენებული იყოს არჩევანის განსხვავებული კრიტერიუმები, როგორიცაა: მიმდინარე დანახარჯების მინიმუმი; მიმდინარე მოგების მაქსიმუმი; კაპიტალის ბრუნვის მინიმალური დრო, ანუ კაპიტალისბრუნვის დაჩქარება; მაქსიმალური შემოსავალი დაბანდებულ კაპიტალზე; ფინანსური რესურსების მაქსიმალური შენარჩუნება, ანუ მინიმალური ფინანსური დანაკარგები.

ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის *საბალანსო* მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მოგების განაწილების დაგეგმვის, დაგროვებისა და მოხმარების ფონდების ფორმირების დროს.

*ნორმატიული მეთოდი* გულისხმობს წინასწარ დადგენილი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე განისაზღვროს კომპანიის ფინანსური რესურსები და მათი წყაროები. ასეთი ნორმატივებია საგადასახადო განაკვეთები, სატარიფო შენატანებისა და მოსაკრებლების განაკვეთები, საამორტიზაციო გადარიცხვების ნორმები, საბრუნავი კაპიტალის საჭიროება და სხვა.

*ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი* საშუალებას იძლევა დადგინდეს ურთიერთკავშირი დაგეგმილ მაჩვენებელსა და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი მათემატიკური მოქმედებების საშუალებებით აღწერს მხოლოდ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მოცემული ეკონომიკური მოვლენის სტრუქტურას და ცვლილების კანონზომიერებებს ახასიათებს.

ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის მეთოდების გამოყენება ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება მათი გამოყენების პრინციპები, რომელიც გამოავლენს კომპანიაში დაგეგმილი საქმიანობის ხასიათსა და შინაარსს. ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის პრინციპებია:

*ერთიანობის პრინციპი* გულისხმობს, რომ დაგეგმვას სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს, კერძოდ, კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან და განვითარების ერთიანი მიმართულებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს ინდივიდუალურ ერთეულებსშორის მჭიდრო ურთერთკავშირი, რომელიც ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების გადაჭრისთვის არისაუცილებელი.

*ცალკეულ ინდივიდუალურ ერთეულებს შორის კოორდინაცია გულისხმობს, რომ* ცალკეული ინდივიდუალური ერთეულების საქმიანობის ეფექტიანად დაგეგმვა შეუძლებელია სხვა ინდივიდუალური ერთეულების კავშირის გარეშე. ერთი სტრუქტურული ერთეულის გეგმაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს სხვა სტრუქტურული ერთეულების გეგმებში. შესაბამისად, ურთიერთკავშირი და ერთდროულობა წარმოადგენს ორგანიზაციაში დაგეგმვის კოორდინაციის ძირითად მახასიათებლებს.

*მონაწილეობის პრინციპი* - ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის საქმიანობის მონაწილე ხდება კომპანიის თითოეული სპეციალისტი, მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა და მის მიერ შესრულებული ფუნქციისა.

*უწყვეტობის პრინციპი* - ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის პროცესი სრულდება სისტემატურად, დადგენილ ვადებში. შემუშავებული გეგმები შეიძლება შემდეგნაირად გამოიყურებოდეს: შესყიდვების - წარმოების - მარკეტინგის - ფულადი ნაკადების მოძრაობის გეგმა. აუცილებელია კომპანიის გეგმების კორექტირება და დეტალიზაცია.

*მოქნილობის პრინციპი* უშუალო კავშირშია უწყვეტობის პრინციპთან და ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის პროცესშიგაუთვალისწინებელი მოვლენების დროს, შესაძლებელია მიმართულების შეცვლა.

*სიზუსტის პრინციპი* გულისხმობს, რომ კომპანიის შიდა გეგმები უნდა იყოს დეტალიზებული და კონკრეტიზებული იმ დონემდე, რის საშუალებასაც კომპანიის საქმიანობის შიდა და გარე პირობები იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვის შემუშავების არსებული მიდგომები მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს მოიცავს, რადგან ხშირ შემთხვევაში, ფინანსური დაგეგმვა მოწყვეტილია ბაზრის კვლევებს და ეყრდნობა მხოლოდ წარმოების და არა რეალიზაციის გეგმას, რის გამოც ფაქტობრივი დადაგეგ-

მილი მაჩვენებლები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. ფინანსური მაჩვენებლების დაგეგმვისას აუცილებელია განხორციელდეს რენტაბელობის ანალიზი, ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და ფინანსური მდგრადობის გამოთვლა, რათა კომპანიამ შეძლოს იმ აუცილებელი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომელიც მომავალში გაზრდის მისი საქმიანობის ეფექტიანობას და თავიდან აცილებს გაკოტრებას.

ლიტერატურა:


1. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=15327
2. ი. ჭილაძე. ფინანსური ანალიზი (ფინანსური ანგარიშგების ანალიზი). სახელმძღვანელო. თბილისი, 2011;
3. ინგოროყვა ა. ცაავა გ; ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები და პრაქტიკა (ტომი I). თბილისი, 2011.
4. Зви Боден. Роберт К. Мертон Финансы. Изд. Дом Вильмс Москва Санкт–Петербирг Киев 2004;


## Financial Planning – The mechanism to avoid the bankruptcy of companies


Khatuna Barbakadze

*Associate Professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

In the market economy, high level of competition, sharp decrease of production and realization, imbalance on financial market, unpredictable external factors led to increase of the number of bankrupt companies. In order to avoid such indicators of bankruptcy such as solvency, liquidity, low indices of financial sustainability, permanent collaboration of management representatives and creditors is necessary. Also, it has no less importance to plan financial indicators of the company activities as in most cases financial planning does not consider market investigation and is based on production plan and not on realization plan; therefore, actual and planned indicators substantially differ from each other. While planning financial indicators, it is necessary to implement profitability analysis, assessment of efficiency of operational activity and calculation of financial sustainability, then the company will be able to provide those inevitable financial resources, which will increase efficiency of its activity and will avoid bankruptcy.



***Keywords: Financial Planning, Financial sustainability, Financial indicators, Liquidity, bankruptcy***

# საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ასოცირების შეთანხმების გაფორმების შემდეგ

**გიორგი ბენაშვილი**

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც ქვეყანას ევროკავშირთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობისთვის ახალ შესაძლებლობებს აძლევს. საქართველოს შეუძლია დაამყაროს ახალი და უფრო ღრმა სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და მოახდინოს ეროვნული პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე. ქართულ პროდუქტს გზა ეხსნება ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზრისკენ. საქართველოს საშუალება ეძლევა ეროვნული ეკონომიკური რესურსების აქტიურად გამოსაყენებლად. ამასთან, ქვეყანამ საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიანი პროდუქტი უნდა აწარმოოს; რაც დიდ ძალისხმევას საჭიროებს. მხოლოდ საექსპორტო პროდუქტის წარმოების მასშტაბების ზრდითაა შესაძლებელი ვაჭრობის დეფიციტის შემცირება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის პროგრესი.*

*საკვანძო სიტყვები: ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირი, საგარეო ვაჭრობა, თავისუფალი ვაჭრობა*

## ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მნიშვნელობა

დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განვითარება დინამიკური და თანმიმდევრული იყო. ჩვენი ქვეყნისთვის არაერთ რთულ სიტუაციაში, ევრო-გაერთიანება ყოველთვის მნიშვნელოვან პარტნიორად და მხარდამჭერად გვევლინებოდა. რამაც დადებითი როლი შეასრულა საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში.

მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბების პერიოდში, სხვადასხვა ფორმით საქართველო სიღრმისეულად თანამშრომლობდა ევროკავშირთან. რამაც დროთა განმავლობაში პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის უფრო გაღრმავების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმება განიხილება, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე მორგებული ასოცირების შეთანხმებების "ახალი თაობა". რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, იგი მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep And Comprehensive Free Trade Area – DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს. შეთანხმება ქმნის საქართველო-ევროკავშირის გრძელვადიანი ურთიერთობების საფუძველს და არ გამორიცხავს მომავალში ევროკავირში სრულფასოვნად გაწევრიანების ამბიციას. შეთანხმება ქმნის სივრცეს ევროკავშირთან უფრო ღრმა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, სადაც ერთიანდება პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტები.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ყოვლისმომცველი შეთანხმებაა, რომლითაც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები რეგულირდება. იგი ქმნის სამართლებრივ ჩარჩოს, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში სამომავლო თანამშრომლობა.

უდავოა, რომ ასოცირების შესახებ ხელშეკრულება ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია საქართველოსთვის. გარდა შეთანხმების ძირითადი ნაწილისა, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან საკითხებს ეხება, აღსანიშნავია შეთანხმების პოლიტიკური მნიშვნელობაც. ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისა და დაახლოების პრეცედენტით, საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოწინავე ქვეყანაა, რაც მას ახალ შესაძლებლობას აძლევს წარმოადგენდეს ღრმა ინტერესის ობიექტს თანამედროვე განვითარებული სამყაროსთვის.ამავე დროს, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა, დაუახლოვდეს ტექნოლოგიურად მოწინავე ქვეყნებს და გაიზიაროს ინოვაციები, რაც პოსტსაბჭოური ეკონომიკის სწრაფი ტემპით მოდერნიზაციის დამატებითი სტიმულია.

აღსანიშნავია საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2017 წლის 28 მარტს ამოქმედებული უვიზო მიმოსვლაც, რაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. გამოიკვეთა მისი მთავარი მიზანი: ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურება და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ხელშეწყობა. ამავე დროს, ვიზალიბერალიზაცია უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკური მხარდაჭერის მნიშვნელოვან გამოხატულებად, რომელსაც ევროკავშირი იჩენს საქართველოს მიმართ. აღსანიშნავია, რომ ევროპაში უვიზოდ მიმოსვლის პერსპექტივამ, შესაძლოა გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშოს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ინტეგრაციის კუთხითაც. ამისთვის კი, საჭიროა მთავრობამ აქტიური სოციალური კამპანია აწარმოოს, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მიმართ და მიზნად დაისახავს ევროკავშირის ქვეყნებიდან მაქსიმალური სიკეთეების მიღების შესაძლებლობების გაცნობას.

### ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის საკითხები (DCFTA)

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობასა და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შესახებ შეთანხმებით (DCFTA) განისაზღვრება, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ასოცირების შეთანხმების ეკონომიკური ნაწილის ძირითადი ბირთვია და მოიცავს ტარიფების და არასატარიფო ვაჭრობის ბარიერების შესახებ შეთანხმების ორივე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის შიგა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან, მიიღოს სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის გადაადგილების თავისუფლება. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შედეგად გაუქმდება საბაჟო გადასახადები იმპორტზე, რაც საბოლოო ანგარიშით გაზრდის საქართველოს ეკონომიკას.

შეთანხმების ეკონომიკური ნაწილი პირობითად 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ხოლო 2016 წლის 1 ივლისს შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში. 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირმა სრულად გახსნა თავისი ბაზა საქართველოდან ექსპორტირებული საქონლისთვის და გააუქმა იმპორტის ტარიფები.

ევროკავშირმა საქართველოსთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით პროცესების დაჩქარებისათვის პოლიტიკური ნება ჯერ კიდევ ევროპული საბჭოს 2008 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადასტურა. 2008 წლის შემოდგომაზე ევროკომისიას დაევალა, შეეფასებინა საქართველოს მზაობა DCFTA-ის თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად. 2009 წლის მარტში ევროკომისიის გენერალურმა დირექტორატმა ქართულ მხარეს გადასცა აღნიშნული მოლაპარაკებებისათვის საქართველოს მზადყოფნის შეფასების დოკუმენტი და შესაბამისი რეკომენდაციების პაკეტი, (როგორც მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, ევროკავშირის თხოვნით, ეს დოკუმენტი არ არის გასაჯაროებული, თუმცა, შინაარსთან დაკავშირებით შეუძლიათ ზოგადი ინფორმაციის გაცემა). დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებები ეხმაურება საქართველო-ევროკავშირის ENP-ის სამოქმედო გეგმას და რიგ შემთხვევაში ახდენს მისი დებულებების შემდგომ განმარტებასა თუ დაკონკრეტებას. ამ რეკომენდიციების შესრულება მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობად განისაზღვრა.

მოლაპარაკებების დასაწყებად აუცილებელი პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, 10 მიმართულებიდან (ტარიფების და არასატარიფო ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო ადმინისტრირება, ინვესტიციები და მომსახურება, წარმოშობის სერტიფიკატი, ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მდგრადი განვითარება (გარემო, სოციალური საკითხები), ევროკავშირმა საქართველოსთვის 4 შედარებით პრობლემატური სფერო გამოყო. რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ აიღო შესაბამისი ზომების მიღების ვალდებულება ოთხივე მიმართულებით:

- ტექნიკური ბარიერების მოხსნა ვაჭრობისთვის – საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი ყოვლისმომცველი სტრატეგია ამ კუთხით. სტრატეგიის გარდა, თავად ქართული მხარის ინიციატივით, ასევე შემუშავდა სამოქმედო გეგმა;

- სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებები სოფლის მეურნეობაში – საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი სტრატეგია და ხანგრძლივი პეიოდისა და ვალდებულების რამდენჯერმე გადავადების შემდგომ, აამოქმედა სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის შეჩერებული მუხლები და 2010 წლის 1 ივლისიდან დაიწყო ექსპორტის პროდუქციის კონტროლი;
- კონკურენციის პოლიტიკა – ევროკომისიის რეკომენდაციის თანახმად უნდა შემუშავდეს კონკურენციის შესახებ ახალი კანონი. რამდენადაც ანტიმონოპოლიური რეგულაციების საკითხი და ეფექტიანი კონკურენციის პოლიტიკა არ განიხილებოდა წინა მთავრობის დერეგულაციის პოლიტიკის პირობებში პრიორიტეტულად, ეს სფერო ევროკავშირთან მოლაპარაკებებში პრობლემატურად რჩებოდა დიდხანს. ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონმდებლობაზე.
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – ასევე ევროკომისიის რეკომენდაციების თანახმად, ჩატარდა კვლევა (UNDP-მიერ) და საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი სამრეწველო პროდუქტების დიზაინის შესახებ, რომელიც შეესაბამება ევროკომისიის რეგულაციებს. ჩამოყალიბდა ინტელექტუალური საკუთრების სამსახური. თუმცა, ამ სფეროში სრული ჰარმონიზაციისთვის, რომელიც რიგ სირთულესთან არის დაკავშირებული დღეისათვის, საქართველოს მხარეს მოუწევს ევროკავშირის სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოებისთვის გრძელვადიანი გეგმის შემუშავება.

თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნისთვის ძირითადი ამოსავალია ტარიფების ლიბერალიზება. ამ თვალსაზრისით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ კიდევ 2006 წელს გადადგა, როდესაც ცალმხრივად მოახდინა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ლიბერალიზება. 2014 წლის პირველ სექტემბერს, DCFTA-ის პირობითად ძალაში შესვლის შემდეგ, ევროკავშირმაც განახორციელა საქართველოდან იმპორტირებულ საქონელზე ტარიფების სრული ლიბერალიზება და ამით დაასრულა თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლა ტარიფების ნაწილში.

განსხვავებით ზოგადი პრეფერენციული სისტემის „GSP+"-საგან, რომელსაც საქართველო 2005 წლიდან შეუერთდა და უკვე სარგებლობდა დაბალი და ცალკეულ შემთხვევაში ნულოვანი ტარიფებით ევროკავშირში ზოგიერთი საქონლის ექსპორტისას, შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის შესახებ, საქართველოს საშუალებას მისცემს, ევროკავშირთან ყველანაირი დაბრკოლების გარეშე, ანუ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ჰქონდეს ურთიერთობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

სქემა 1. საქართველო - ევროკავშირის სავაჭრო ბრუნვა, 1995-2016 წწ.

($ ათასი ) [წყარო: საქსტატი (15/09/2017)]




„GSP+"-ის ვაჭრობის პრეფერენციულ სისტემაში საქართველოს ჩართვამ, მნიშვნელოვნად წაახალისა სავაჭრო ურთიერთობები საქართველოსა და ევროკავშირს შორის. ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა სისტემის მიხედვით, საქართველოს უფლება მიენიჭა ევროკავშირის ქვეყნებში ეროვნული საქონლის ექსპორტისას, იმპორტზე დაწესებულ საერთო ტარიფთან შედარებით, შეღავათიანი ტარიფით ესარგებლა. კერძოდ,

განვითარებად ქვეყნებს საშუალებას აძლევდა შეღავათიანი პირობებით (ტარიფების მთლიანი ან 10 %-მდე შემცირება ან სპეციალური ტარიფი 1 კგ-ზე 1 ევროს ოდენობით), შესაბამისი სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დაცვით, ევროკავშირში შეეტანათ 7200 სახეობის სხვადასხვა პროდუქცია. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოება იყო საქართველოსთვის, ვინაიდან თუ ძველი სქემით (GSP) საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე უბაჟოდ შეეტანა მხოლოდ 3300 დასახელების პროდუქცია და 6900 საქონელზე მოქმედებდა მხოლოდ გარკვეული შეღავათები, GSP+-ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველოს მიეცა საშუალება, მნიშვნელოვნად გაეზრდა ევროკავშირში საბაჟო გადასახადის გარეშე შესატან საქონლის სია.

ვაჭრობის გამარტივებულმა პირობებმა გავლენა იქონია საქართველოს ექსპორტის მოცულობაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. 2000 – 2005 წლებში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში, რაც ცალსახად ხელს შეუწყობდა წარმოების ზრდას და ქართული ეკონომიკის განვითარებას (იხ. ნახაზი 1).

თუმცა, საქართველოსთვის სტრატეგიული ვაჭრობის საქონელი – ღვინო, აგრეთვე, მინერალური პროდუქტები არ შედიოდა „GSP+"-ის ჩამონათვალში და, შესაბამისად, ის ევროკავშირის ბაზარზე შეტანისას იბეგრებოდა სრული განაკვეთით (შუშხუნა ღვინო €32 - 100 ლიტრზე და წითელი ან შავი ღვინო ალკოჰოლის შემცველობით 13 %-ზე ნაკლები €13,1-თი ყოველ 100 ლიტრზე). ეს საკითხი გარკვეულწილად შემაფერხებელი იყო ქართული ღვინის ექსპორტიორებისთვის.

**ინსტიტუციური რეფორმები ევროკავშირთან ვაჭრობის გამარტივებისთვის**

თავისუფალი ვაჭრობა საბაჟო ტარიფების და კვოტების გარეშე ვაჭრობას ნიშნავს. თუმცა, ტარიფების გარდა არსებობს ე.წ. არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება სწორედ ამ ბარიერების მოხსნასაც გულისხმობს, რაც პარტნიორებს შორის საქონლითა და მომსახურეობით ვაჭრობაში საერთო თამაშის წესებით ხელმძღვანელობიდან გამომდინარეობს. ეს კი თავის მხრივ, მნიშვნელოვან საკანონმდებლო ჰარმონიზაციას და სხვადასხვა სფეროში პრაქტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას გულისხმობს.

ევროკავშირი საქართველოს მთავრობისგან მოითხოვს, ახალი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები მიიღოს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, რაც ამ პროდუქციის ევროკავშირის საერთო ბაზარზე შესვლას უზრუნველყოფს. ამგვარი შეთანხმების დადება ნიშნავს იმას, რომ პარტნიორი ქვეყანა დანერგავს ევროკავშირის კანონმდებლობის, ფაქტობრივად 80%-ზე მეტს.

საქართველო ანვითარებს ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურას საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. დღეის მდგომარეობით, საქართველოს მიერ დამტკიცებული სტანდარტების 98%-მდე საერთაშორისო და ევროკავშირის სტანდარტებს სრულად შეესაბამება. სახელმწიფო აცნობიერებს, რომ სოფლო-მეურნეობის პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით საჭიროა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სისტემის განვითარება საერთაშორისო/ევროპული ნორმების შესაბამისად.

ეფექტიანი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული რეგულაციების არ არსებობა, განსაკუთრებით კი, სურსათის უვნებლობის კმხრივ, მნიშვნელოვნად აფერხებდა ქართული სოფლო-მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს. ამის მიზეზი საკვების უვნებლობის რეგულაციების და ზედამხედველობის სისუსტე, აგრეთვე, საკვების მწარმოებლების მიერ ამ სფეროში ეფექტიანი საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობა იყო. ამრიგად, გაუმჯობესებული საკვების უვნებლობის მენეჯმენტი სარგებლის მომტანი იქნება, როგორც შიდა მომხმარებლისთვის, ასევე საგარეო ვაჭრობის სტიმულირებისთვის. ოფიციალური უწყებების განმარტებით, საქართველო ეტაპობრივად ავითარებს საკუთარ ეროვნული რეგულირების სისტემას ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც კიდევ უფრო დაჩქარდა DCFTA-ს ხელმოწერის შემდეგ. მთავრობა, აგრეთვე ,ხელს უწყობს ეფექტიანი აგროსამრეწველო საქმიანობის პრაქტიკის დანერგვას სხვადასხვა სფეროში.[1]

---

[1] საქართველოში განხორციელდა ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტები: ISPM 1, ISPM 5, ISPM 7, ISPM 12, ISPM 13, ISPM 15 (ნაწილობრივ), ISPM 23 და ISPM 32.

### ვაჭრობის გამარტივების შესაძლო ეკონომიკური ეფექტები

მიუხედავად რთული სოციალური ეკონომიკური მდგომარეობისა, რომელსაც თან ერთვის რუსული ოკუპაცია, ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება დიდ იმედებს წარმოშობს საქართველოსთვის. ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა უკვე დემოკრატიულ და პროგრესულ გარემოში ყალიბდება, რაც ინსტრუმენტების გამოყენების რაციონალურობას განაპირობებს.

წინასწარი გამოთვლებით, DCFTA-ს ამოქმედების შედეგად გენერირებული ეკონომიკური სარგებელი საქართველოსთვის საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. ნავარაუდევია, მშპ-ის 6,5%-მდე, ხოლო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 13.5%-ით ზრდა. ევროკავშირიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლისათვის 11,5 მლრდ დოლარამდეა მოსალოდნელი. გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (ჰოლანდია) და Case-ის (პოლონეთი) მიერ DCFTA-ის შედეგების შესახებ ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა.

რაც შეეხება საქართველოსათვის DCFTA-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მომგებიანობას, მოსაზრება ორად იყოფა: ერთი მხრივ, ამ საკითხთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში DCFTA-თან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება გამოიწვევს დანახარჯებს როგორც სახელმწიფო ადმინისტრაციისთვის, ისე კერძო სექტორისთვის.

აღსანიშნავია, რომ DCFTA საქართველოს იმიჯზე დადებითად იმოქმედებს. სავარაუდოა, რომ გაიზრდება ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ამასთან, ევროკავშირის ხარისხის სტანდარტებთან დაახლოება, კონკურენტუნარიანს გახდის ქართულ პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე, რადგან ევროპული ხარისხი მაღალი მოთხოვნით სარგებლობს სხვა ბაზრებზეც. ის გააიოლებს ქართული პროდუქციის გატანას გარე ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს მცირე ზომის ეკონომიკისთვის, რადგან ვაჭრობის ბაზრის დივერსიფიცირება ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ლიტერატურა:


1. ბასილია, თ., სილაგაძე, ა., ჩიკვაიძე, თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი.
2. Benashvili. G. (2017) The Impact of Regional Economic Cooperation - Case of South Caucasus, Development & Growth, Economic Impact of Globalization, Edition: First Edition, pp.63-78, IJOPEC Publication https://www.academia.edu/33227772/The_impact_of_regional_economic_cooperation__case_of_South_Caucasus
3. Cadier, D. (2013), Is the European Neighbourhood Policy a Substitute for Enlargement?, http://www.lse.ac.uk/IDEAS/publications/reports/pdf/SR018/Cadier_D.pdf
4. EUMM, Delegation of the European Union to Georgia,http://eumm.eu/en/eu_in_georgia/delegation_of_the_eu_commission
5. Rinnert, D. (2011). The Eastern Partnership in Georgia (Increasing efficiency of EU Neighborhood Policy in the South Caucasus)
6. Papava, V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After. New York: Nova Science Publishers
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.Geostat.ge
8. საქართველოს ეროვნული ბანკი https://www.nbg.gov.ge/

# Georgia - EU Trade - Economic Relations after Signing the Association Agreement

Giorgi Benashvili

*PhD student*
*TSU*

**Resume**

After destruction of Soviet Union and Since announced the state independence, Georgia has been going through very damaged and difficult stage of development. During this period traditional trade relations have been destructed. Georgia was faced to necessity of launched new trade connections and agreements. From that period Georgia set up and has experienced pro-western foreign policy. It means the ambition of joining to the European democratic family.

The South Caucasus has a special importance for the EU. EU's growing interest in diversification of the energy supplies, first of all gas, pushes it towards closer cooperation with the Caucasus. The South Caucasus is a main part of strategic Southern Gas corridor, which will deliver Caspian-basin natural gas from Azerbaijan end later from Turkmenistan and Iraq to European Markets, outside of Russia. Since 2009, the importance of the South Caucasus has been increased, after the EU Eastern Partnership policy was launched. The EU is committed to building strong and mutually beneficial relations with this region. Georgia is very important member of this project. It faced very deeply relations with EU.

The Association Agreements/Deep and Comprehensive Free Trade Areas (AA/DCFTAs), concluded in 2014, have brought the relations between the EU and Georgia to a new level. These agreements aim at strengthened political association and economic integration and create new opportunities in the country as increasing economic development. Georgia has a chance to use intensely its national economic resources. Also, the issues of competition is high demanded to increase export of goods and services to the European markets. But Georgia should improve its export and trade balance, to decrease unemployment and adjust the social and economic situation in the country.

*Keywords: European Union, Association Agreement, International Trade, Free Trade.*

# მცირე და საშულო ბიზნესი გლობალიზებულ ბიზნესგარემოში: ელექტრონული კომერციის მნიშვნელობა და გამოწვევები


ვანო ბენიძე

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*მცირე და საშუალო ბიზნესსექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესი კი გაფართოებულ შესაძლებლობებთან ერთად, პოტენციურ საფრთხეებსაც უქმნის ამ სექტორის მეტად ზრდასა და განვითარებას. თუმცა, ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესებს მნიშვნელოვანი სარგებლის ნახვა შეუძლიათ გლობალიზაციისაგან, თუ ელექტრონული კომერციის სტრატეგიის შემუშავებასა და მის დახვეწას სათანადო ყურადღება დაეთმობა მთავრობის მხრიდან. სტატიაში გაანალიზებულია ელექტრონული კომერციის მნიშვნელობა, იდენტიფიცირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მისი ათვისების შემაფარხებელი ბარიერები და გამოვლენილია ამ ბარიერების გადალახვისათვის აუცილებელი სამთავრობო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.*



***საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, გლობალიზაცია, ელექტრონული კომერცია, სამთავრობო პოლიტიკა.***


გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც საზოგადოებების, ქვეყნებისა და კორპორაციების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი ,,გლობალიზაციაო XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა და გახდა პოპულარული, გლობალიზაციის პროცესს რამდენიმე საუკუნის წინ დაედო სათავე, როდესაც აბრეშუმის დიდი გზის საშუალებით პროდუქციისა და იდეების მიმოცვლა დაიწყო ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის [8]. თუმცა, დღევანდელი გლობალიზაციის პროცესი ადრეულისაგან თავისი სისწრაფითა და მასშტაბებით განსხვავდება, რაც, ერთი მხრივ, პოლიტიკური, ხოლო მეორე მხრივ, ტექნოლოგიური მიზეზებითაა განპირობებული.




ნახაზი 1 | ექსპორტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ნაკადების დინამიკა 1980-2015 წლებში | [12]

სახელმწიფოთა უმრავლესობის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლისა და ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის შესაძლებლობის გაჩენის შედეგად, მსოფლიო სავაჭრო მოცულობა 1980 წლიდან 2015 წლამდე 10-ჯერ, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები კი 30-ჯერ გაიზარდა [12] (იხ. ნახაზი). ამ ტიპის სწრაფად მზარდი ურთიერთდამოკიდებულების პროცესი გაფართოებულ შესაძლებლობებთან ერთად, პოტენციურ საფრთხეებსაც ქმნის. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია

თითქმის შეუქცევადი პროცესია, აუცილებელია მისი სწორად განსაზღვრა, გაანალიზება და სასიკეთოდ გამოყენება [5, გვ. 662-665].




ნახაზი 2 | ევროკავშირში დასაქმებულთა და შექმნილი დამატებული ღირებულების პროცენტული წილი საწარმოთა ზომის მიხედვით. [14]

გლობალიზაციის დადებითმა და უარყოფითმა მხარეებმა, კულტურულ და სოციალურ გარემოსთან ერთად, ქვეყნების ბიზნეს გარემოზეც პოვა ასახვა. ბოლო წლების განმავლობაში, გლობალიზაციის გავლენას ბიზნესზე, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესზე (მსბ) [1], უამრავი ლიტერატურა მიეძღვნა. გამომდინარე იქედან, რომ მსბ სექტორი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, დამატებული ღირებულების შექმნით ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში ნიშანდობლივი წვლილი შეაქვს, ამ სექტორის გაძლიერება გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულად პრიორიტეტულია როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის [14] (იხ. ნახაზი 2). მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ინტერნალიონალიზაცია მსბ სექტორს ბევრი რთული გამოწვევის წინაშე აყენებს, ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსბ-ებს მნიშვნელოვანი სარგებლის ნახვა შეუძლიათ გლობალიზაციისაგან, თუ ელექტრონული კომერციის სტრატეგიის შემუშავებასა და მის დახვეწას სათანადო ყურადღება დაეთმობა მსბ სექტორისა და სახელმწიფოს მხრიდან [1] [4, გვ. 205-221].

## ელექტრონული კომერციის პოტენციალი მსბ სექტორის განვითარებაში და მის ათვისებასთან დაკავშირებული ბარიერები

ბოლო წლების განმავლობაში, ელექტრონული კომერცია[2] ძალზედ სწრაფად გახდა ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი. მსოფლიო ელექტრონული კომერციის მოცულობამ 2017 წელს 2.8 ტრლნ დოლარს გადააჭარბა და 2020 წლისათვის მისი გაორმაგებაა პროგნოზირებული [13] (იხ. ნაზაზი 3). უდავოა, რომ ელექტრონული კომერციის ასეთი მზარდი ტენდენცია მრავალ შესაძლებლობას ქმნის მსბ სექტორის განვითარებისა და წარმატებისათვის. კერძოდ, მსბ-ებს ეძლევათ საშუალება გააფართოვონ თავიანთი

---

[1] მსბ სექტორის სტანდარტული განმარტება არ მოიძებნება და იგი ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში 2017 წლიდან მცირე ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარს. საშუალო ზომისაა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალოწლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ - 60 მლნ ლარამდე [6].

[2] ინდუსტრიის ტიპი, სადაც საქონლისა და მომსახურების ყიდვა ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით. ელექტრონული კომერცია მოიცავს B2B (ბიზნესი ბიზნესზე), B2C (ბიზნესი მომხარებლისთვის), B2G (ბიზნესი მთავრობაზე), C2C (მომხმარებელი მომხმარებელზე), mcommerce (მობილური კომერცია) მიმართულებებს [10].

კლიენტების ბაზა, შევიდნენ გასაღების ახალ ბაზრებზე და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი იმ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელშიც ისინი ოპერირებენ. ელექტრონული კომერცია მსბ-ებს ეხმარება იოპერირონ 24 საათის გამმავლობაში, შეამცირონ ტრანსაქციული და მარკეტინგული დანახარჯები, დაზოგონ სატრანსპორტო და მიტანის დანახარჯები, გააუმჯობესონ კომუნიკაცია მათი პროდუქტის ან სერვისის მყიდველებთან და მეტად აიმაღლონ კონკურენტუნარიანობა [7].




ნახაზი 3 | მსოფლიო ელექტრონული ვაჭრობის მოცულობის დინამიკა, მთლიან საცალო ვაჭრობასთან მიმართებაში | [13]

მიუხედავად ელექტრონული კომერციის ცალსახა სარგებლიანობისა, მსბ სექტორი, მსოფლიო მასშტაბით, ამ ტექნოლოგიის ათვისების შედარებით ნელი ტემპით გამოირჩევა [3]. ათვისების ამგვარი ტემპი გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, რომლებიც შესაძლოა ექვს ფართო კატეგორიაში გაერთიანდნენ (იხ. ცხრილი). ცხრილში ჩამოთვლილი ბარიერების გადალახვის სირთულე და მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონის ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყანაში ან რა ტიპის ინდუსტრიაში ოპერირებს ესა თუ ის მსბ [9]. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ბარიერის გადალახვა მსბ-ებს თითონ შეუძლიათ სწორი მენეჯმენტის პირობებში, ჩამოთვლილ წინაღობათა უმრავლესობის გადაწყვეტა მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩარევით, და კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობითა და ძალსხმევითაა შესაძლებელი.

| ელექტრონული კომერციის ათვისებაზე ზეგავლენის მქონე კატეგორიები | ელექტრონლი კომერციის ათვისებაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები |
|---|---|
| 1. სოციალური და კულტურული ბარიერები | • ელექტრონული კომერციით სარგებლობის დადებითი მხარეების არ ცოდნა<br>• მომხმარებლების მხრიდან ინტერნეტით ვაჭრობის ნაკლებად გამოყენების შიში |
| 2. პოლიტიკური ბარიერები | • სახელმწიფო პოლიტიკა მსბ-ებთან და ზოგადად ბიზნესთან მიმართებაში<br>• ელექტრონული კომერციისათვის შესატყვისი სამართლებრივი გარემოს არარსებობა |
| 3. ტექნიკური ბარიერები | • ინტერნეტუსაფრთხოების სიმწირე<br>• ელექტრონული კომერციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობა (საგზაო, ა.შ)<br>• ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, მისი ფასი და სიჩქარე |

| | |
|---|---|
| 4. ორგანიზაციული ბარიერები | • არსებული მუშაობის მეთოდების შეცვლის სურვილის არქონა<br>• ნაკლებად კვალიფიციური მუშა ხელი<br>• ელექტრონული კომერციის დანერგვისადმი მენეჯმენტის გულგრილი დამოკიდებულება<br>• ორგანიზაციული ცვლილებისათვის მზადყოფნის არქონა |
| 5. ეკონომიკური ბარიერები | • სათანადო ფინანსური ინფრასტრუქტურის არარსებობა<br>• ელექტრონული კომერციის დასანერგად საჭირო მაღალი დანახარჯები<br>• ფულის ელექტრონულად გადახდისთვის საჭირო უსაფრთხოების სისტემების ნაკლებობა |
| 6. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერები | • პროცედურული რეკომენდაციებისა და გაიდლაინების არქონა<br>• ელექტრონული კომერციის შესახებ კანონმდებლობის არარსებობა |

მსბ-ების მიერ ელექტრონული კომერციის ათვისებასთან დაკავშირებული ბარიერები [11]

### მთავრობის როლი მსბ-ების მიერ ელექტრონული კომერციის ათვისების ხელშეწყობაში

ელექტრონული კომერციის დანერგვა მსბ სექტორში დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ სექტორის ზრდისა და განვითარებისათვის. შესაბამისად, ქვეყნების მთავრობებმა, არასამთავრობო და კერძო სექტორთან ერთად, აუცილებელია შეიმუშავონ სამოქმედო და საკანონმდებლო გეგმა, რომელიც მიმართული იქნება მსბ-ების მიერ ელექტრონული კომერციის ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისაკენ. მნიშვნელოვანია ერთობლივი მუშაობა, შემდეგი საკვანძო მიმართულებებით [2;9]:

1. **ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესება** - ჯანსაღი ბისნესგარემოს არსებობა აუცილებელია როგორც მსხვილი ბიზნესის, ასევე მსბ-ების ზრდისა და განვითარებისათვისაც. მნიშვნელოვანია ბიზნეს კანონმდებლობისა და ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს მსბ-ების საჭიროებებზე მორგება, რათა მათ მარტივად და შეუფერხებლად იფუნქციონირონ კონკურენტულ ბიზნეს გარემოში.
2. **ელექტრონული მმართველობის დანერგვა** - სხვადასხვა სამთავრობო სერვისის მსბ-ებისთვის ელექტრონულად მიწოდება ზრდის მსბ სექტორის ეფექტიანობასა და პროდუქტიულობას. ამ ტიპის სერვისების დანერგვით, მთავრობა ერთგვარი მაგალითი და მოტივატორიც ხდება მსბ სექტორისთვის საინფრომაციო ტექნოლოგიების ათვისების მიმართულებით.
3. **ლოჯისტიკისა და ინტერნეტინფრასტრუქტურის განვითარება** - მსბ სექტორის ელექტრონული კომერციის საშუალებით გასაღების ბაზრის გაფართოებისათვის აუცილებელია შესაბამისი სატრანსპორტო, ლოგისტიკური, სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტ ინფრასტურტურის არსებობა. მნიშვნელოვანია მთავრობამ უზრუნველყოს საავტომობილო გზების გამართვა, სატელეკომუნიკაციო სექტორის სწორი მიმართულებით განვითარება და ბიზნესისთვის ისეთი თავისუფალი გარემოს შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს კერძო სექტორს თავად შექმნას ადეკვატური ინტერნეტინფრასტრუქტურა. ისეთ ადგილებში, სადაც ინტერნეტის მიწოდება კერძო სექტორისთვის შესაძლოა წამგებიანი იყოს (მაგ. სოფლებში და მაღალმთიან რეგიონებში), მთავრობამ თავად უნდა უზრუნველოყოს ადეკვატური ინტერნეტინფრასტრუქტურის მოწყობა.
4. **ცნობიერების ამაღლება ელექტრონული კომერციის მიმართულებით** - მსბ-ებს ხშირად არ გააჩნიათ ინფორმაცია ელექტრონული კომერციის მნიშვნელობასა და მისი დანერგვისათვის საჭირო რესურსების შესახებ. შესაბამისად, აუცილებელია მთავრობამ, სხვადასხვა ბიზნესასოციაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ხელი შეუწყოს ამ ტიპის ინფრომაციის გავრცელებას და შესაბამისი პრაქტიკული სწავლების კურსების მსბ-ებისათვის შეთავაზებას.
5. **ელექტრონული უსაფრთხოების დაცვა** - ელექტრონული კომერციის განვითარებას ესაჭიროება სათანადო კიბერუსაფრთხოების სისტემა, რათა მომხმარებელი დაცული იქნეს სხვადასხვა მოსალოდნელი კი-

ბერსაფრთხის წინაშე. კიბერუსაფრთხოების განვითარება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, რადგან, გარდა ელექტრონული კომერციის ათვისებისთვის ხელის შეწყობისა, მისი განვითარება წარმოაგდგენს ეროვნული უსაფრთხოების ინტერესსაც.

ზემოთ ხსენებული საკვანძო მიმართულებების განხორციელებადობა დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის პრიორიტეტებზე, მათ მონდომებასა და შრომისუნარიანობაზე. თითოეული მიმართულებით არსებობს მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება, რომელთა გაცნობისა და გაზიარების შედეგად შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ ქვეყნის მცს სექტორის მიერ ელექტრონული კომერციის ათვისებისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა.

## დასკვნა

მსბ სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. მსოფლიო გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამ სექტორის გაძლიერება პირდაპირპროპორციულად აისახება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე. შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში მსბ სექტორის განვითარებას მრავალი ქვეყნის მთავრობისაგან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. თუმცა, ბიზნესგარემოს დაჩქარებული გლობალიზირება როგორც, მსბ სექტორს, ასევე მთავრობებსაც ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ამ ტიპის გარემოში, მსბ-ებმა აუცილებელია დანერგონ ელექტორნული კომერციის ინფორმაციული ტექნოლოგიები, რათა მეტად განვითარდნენ და მომზადებული შეხვდნენ XXI საუკუნის ბიზნესგარემოს გამოწვევებს. არსებული საჭიროების მიუხედავად, მსბ-ების მიერ ელექტრონული კომერციის ათვისების ტემპი დაბალია, რაც სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, ტექნიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი ბარიერითაა განპირობებული. არსებული ბარიერების გადალახვისათვის ქვეყნების მთავრობებმა, არასამთავრობო და კერძო სექტორთან ერთად, აუცილებელია შეიმუშავონ სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადი ბიზნესგარემოს გაჯანსაღებას, წაახალისებს ელექტრონულ მმართველობას, განავითარებს სატრანსპორტო და ინტერნტერ ინფრასტრუქტურას, აამაღლებს მსბ-ების ცნობიერებას ელექტრონული კომერციის მიმართულებით და დაიცავს მომხმარებელთა ინფორმაციას სხვადასხვა მოსალოდნელი კიბერსაფრთხისაგან.

### ლიტერატურა:


1. Corbitt, B. J., and N. A. Y. Al-Qirim. E-business, E-government & Small and Medium-size Enterprises: Opportunities and Challenges. Hershey, PA: Idea Group, 2004. Print.
2. Cruz-Cunha, M. M., and J. Varaja. "Chapter 17." *E-business Issues, Challenges and Opportunities for SMEs: Driving Competitiveness*. Hershey, Pa.: Business Science Reference, 2011. 291-316. Print.
3. Dan, C. "Matters Arising from SMEs E-Commerce Adoption: Global Perspective." *International Journal of Internet of Things*. Scientific & Academic Publishing, 2014. Web. 28 Sept. 2017.
4. Etemad, H., and R. Wright. "E-commerce and the Internationalization of SMEs." Globalization and Entrepreneurship: Policy and Strategy Perspectives. Cheltenham: Elgar, 2005. 205-21. Print.
5. Friedman, T. L. The Lexus and the Olive Tree. Thorndike, Me.: Thorndike, 1999. 662-65. Print.
6. *GeoStat.Ge*. N.p., n.d. Web. 28 Sept. 2017. <http://www.geostat.ge/?action=page&p_id=1489&lang=geo>.
7. Nejadirani, F., M. Behravesh, and R. Rasouli. "Developing Countries and Electronic Commerce the Case of SMEs." *World Applied Sciences Journal 15 (5)* (2011): 756-64. Web. 28 Sept. 2017.
8. Osterhammel, J., and N. P. Petersson. *Globalization: A Short History*. Princeton, NJ: Princeton UP, 2009. Print.
9. "Realising The Potential Of Electronic Commerce For SMEs In The Global Economy." *OECD*. OECD, 2000. Web. 28 Sept. 2017. <http://www.oecd.org/cfe/smes/2011580.pdf>.
10. Rivera, Andreas. "What Is E-Commerce?" *Business News Daily*. N.p., 16 Aug. 2017. Web. 28 Sept. 2017. <http://www.businessnewsdaily.com/4872-what-is-e-commerce.html>.

11. Vrazalic, L., D. Stern, R. MacGregor, S. Carlsson, and M. MAgnusson. "Barriers to E-Commerce Adoption in SMEs: Underlying Factors from a Swedish Study." *AIS ELibrary*. 14th Australasian Conference on Information Systems, 26 Nov. 2003. Web. 28 Sept. 2017.
12. "World Bank Open Data." Data.worldbank.org. N.p., n.d. Web. 27 Sept. 2017. <https://data.worldbank.org/>.
13. "Worldwide Retail Ecommerce Sales Will Reach $1.915 Trillion This Year." *EMarketer*. N.p., 22 Aug. 2016. Web. 28 Sept. 2017. <https://www.emarketer.com/Article/Worldwide-Retail-Ecommerce-Sales-Will-Reach-1915-Trillion-This-Year/1014369>.
14. "Your Key to European Statistics." *Home - Eurostat*. N.p., n.d. Web. 28 Sept. 2017. <http://ec.europa.eu/eurostat>.

# Small and Medium-Sized Enterprises in a Globalizing Business Environment: Importance and Challenges of E-commerce Adoption

Vano Benidze

*Ph.D. student*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Small and medium-sized enterprises (SMEs) play key role in boosting economic activity both in developed and developing countries. Therefore, many governments have given top priority to fostering this sector. An irreversible process of globalization, however, creates new challenges both for SMEs and for the governments. In order to cope with these new challenges, recent literature argues, that SMEs need to integrate e-commerce in their daily business operations. Nevertheless, SMEs have been very slow in adopting e-commerce due to different social, political, technical, organizational, economic and regulatory barriers. In most cases, SMEs are not capable of solving these problems themselves without the help of government, whose role in facilitating healthy business environment, technological and transport infrastructure, secure cyberspace and educational assistance, is crucial for promoting e-commerce adoption and use by SMEs.

*Keywords: SMEs, Globalization, E-commerce, Government policy.*

# გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში

**ხათუნა ბერიშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად შეიცვალა ფემინიზმის როლი გლობალური ბიზნესის განვითარებაში. კვლევები გვიჩვენებს, რომ კულტურა და გენდერული დისბალანსი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. რაც უფრო მაღალია ქვეყანაში კულტურის დონე, მით უფრო ნაკლებად იგრძნობა ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავება. ქალები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ბიზნესში, მიუხედავად ამისა, მათი წილი ამ სფეროში ძალზე მცირეა, რაზეც აქტიურ ზეგავლენას ახდენენ კულტურის დეტერმინანტები. თუ საზოგადოება ეცდება დაამსხვრიოს წარსულის სტერეოტიპები, გენდერული თანასწორობის სხვა ხელშემშლელი ფაქტორი არ იარსებებს. გენდერს, როგორც ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემას, აქტიურად განიხილავენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათთან მჭიდროდ თანამშრომლობენ ისეთი ქვეყნები, რომლებიც ისწრაფვიან ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ.*

*საკვანძო სიტყვები: გენდერული დისბალანსი; თანასწორობა; ფემინიზმი; გლობალური ბიზნესი.*

ფემინიზმის როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბებას, XIX საუკუნეში ხელი შეუწყო იმ საზოგადოებრივმა გაერთიანებამ, რომელმაც ქალი დამოუკიდებელ სუბიექტად მიიჩნია და იწამა მისი როლი მთლიანად საზოგადოების და განსაკუთრებით ბიზნესის განვითარებაში. ფემინიზმი მოიცავს ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კომპონენტს – ქალთა მოძრაობას და ფემინისტურ იდეოლოგიას. ის ლიბერალიზმის პრინციპებს დაეფუძნა და მოითხოვს ქალებისა და მამაკაცების თანასწორუფლებიანობას, მათი შესაძლებლობების გამოვლენას, რაციონალური არჩევანის უფლებას.

ფემინიზმი ცხოვრების სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სფეროებში ქალის უფლებების აღიარება და მამაკაცის უფლებებთან გათანაბრებაა. ის ასევე გულისხმობს ამავე სახელწოდების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას [1, გვ. 12].

ქალის საზოგადოებრივი როლის დადგენის პირველი ცდა გვხვდება ნიკეის (თურქეთი) პირველ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჩატარდა 325 წელს. ქრისტიანობის ისტორიაში ამ პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა ქრისტიანობის ძირითადი დოქტრინები. ერთ-ერთი მუხლი შეეხებოდა ქალთა როლის განსაზღვრას საზოგადოებაში. ნიკეის საერთაშორისო კრება შეიძლება მივიჩნიოთ გლობალიზაციის განვითარების საფუძვლად, რადგან იგი ერთმნიშვნელოვნად მიისწრაფვოდა, რომ მსოფლიოში დაემკვიდრებინა საერთო დოქტრინები და წესები, რაც არსებითად გაამარტივებდა ქვეყნებს შორის ინტეგრაციულ კავშირს [2].

გლობალიზაციის ეპოქაში მეტად აქტუალურია ქალის ჩართულობა ბიზნესში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა დღემდე ცდილობს ქალსა და მამაკაცს შორის დარღვეული დისბალანსის აღდგენას. ცნობილია, რომ განვითარებად ქვეყნებში, სადაც დომინირებს ფანატიკური რელიგიური სეგმენტი, ქალებს მამაკაცებთან შედარებით ნაკლები უფლებები და დასაქმების მხრივ შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. თუ საკითხს განვიხილავთ რელიგიურ და მულტიკულტურული ასპექტით, ცხადი გახდება, რომ ზოგიერთ აღმოსავლურ კულტურასა და რელიგიაში ქალების უფლებები უხეშად ირღვევა, რაც განსაკუთრებულად ვლინდება აზრის თავისუფალი გამოხატვისა და დასაქმების სფეროებში.

ქალთა უფლებების დაცვა გახდა გლობალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა და კულტურათაშორისი ურთიერთობების ძირითადი საკითხი, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ 1979 წელს გაეროს ფორმატით სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ საჭირო იყო ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სპეციალური კონვენციის მიღება, საქართველო ამ დოკუმენტს 1994 წელს შეუერთდა. 2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონის-

ძიებათა სამოქმედო გეგმა. 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა [3,გვ.24].

არსებობს რიგი საერთაშორისო დოკუმენტი, რაც ამყარებს ქალთა უფლებებს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია: „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1958 წლის კონვენცია", „№111 დოკუმენტი შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ", 1851 წლის კონვენცია „მამაკაცისა და ქალის თანაბარი ღირებულების შრომის ანაზღაურების შესახებ", რომლებსაც ასევე შეუერთდასაქართველო [4]. მიუხედავად ამისა, ქალთა უფლებები, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში დაცული როდია, ამ მხრივ ისინი კვლავაც განიცდიან დისკრიმინაციას. როგორც ცხადყოფს მსოფლიო პრაქტიკა, რიგ ქვეყნებში ქალები მამაკაცებთან შედარებით ბიზნესის სფეროში აწყდებიან სირთულეებს. მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ქალები დღესაც აქტიურად იბრძვიან ამ სფეროში საკუთარი უფლებების დაცვისა და საზოგადოებაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპების მსხვრევისათვის. ამ მხრივ საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს, სადაც რეალურად იკვეთება გენდერული დისბალანსის პრობლემა. სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. ქვეყანაში არსებული კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ უზრუნველყოფს ქალისა და კაცის გენდერულ თანასწორობას. შრომის კოდექსში ამ საკითხების ინტენსიური განხილვის მიუხედავად, ქალთა დასაქმების სფეროში კვლავ პრობლემებია. ინფორმაციის განვითარების თავისუფალი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული 165 ორგანიზაციის გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ დასაქმებულების 70.7% კაცები, ხოლო 29.3% ქალები არიან [5,გვ.8]. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სექტორი მოქალაქეებს ხელფასებისა და სამუშაო პირობების კონკურენტუნარიან გარემოს სთავაზობს, ასეთი უთანასწორობა საგანგაშოა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სექტორში ანაზღაურების პირობები კანონით რეგულირდება. უფრო რთული მდგომარეობაა კერძო სექტორსა და თვითდასაქმების სფეროებში, სადაც ქალების შრომა მამაკაცებთან შედარებით ზევრად უფრო იაფია.

2007 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაცია Mckinsey-მ, რიგ ქვეყანაში ქალების დისკრიმინაციის საკითხზე ჩაატარა კვლევები. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ქალის როლი გლობალურ სამუშაო ადგილებზე, მათი გამოცდილება და მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, ორგანიზაციული პერფორმანსის გაუმჯობესებული მაჩვენებლები გენდერული მრავალფეროვნების ჭრილში. Mckinsey-ის კვლევა, 235 წამყვანი ევროპული კომპანიის შედეგებს აგენერირებს და ეხება ქალს ლიდერ პოზიციებზე ბიზნესსფეროში. აღმოჩნდა, რომ იმ კომპანიების პერფორმანსი, სადაც გენდერული ბალანსი დაცულია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, კრიტიკულ მასას ქმნის. ფინანსური და კორპორატიული ანალიზის მიხედვით ქალების ქცევის თავისებურებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაცილებით პოზიტიურ შედეგებს იძლევა, ვიდრე იგივე სიტუაციაში მამაკაცის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები. [6., გვ 12] ამ მხრივ საქართველოში გამოვლინდა საინტერესო ტენდენციები, რომლებიც ნათლად ასახავს გენდერულ დისბალანსს ბიზნესის სფეროში, რაც ასევე დადასტურდა საერთაშორისო ორგანიზაცია IBR ჩატარებული კვლევის „ქალები გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე“ შედეგებით. კვლევა ჩატარდა კერძო სექტორის ოც დარგში და ოთხმოც კომპანიაში, სადაც დადგინდა, რომ მენეჯერულ პოზიციებზე ქალები მხოლოდ 12.8%-ია, რაც ძალზე მცირე მაჩვენებელს შეადგენს [6, გვ., 15] მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მეტი ქალია წარმოდგენილი ტოპ მენეჯმენტის პოზიციებზე. ორგანიზაცია „გრანთ თორნთონის" კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებულ ანგარიშში „ქალები ბიზნესში: გზა ლიდერობისკენ" აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ისეთი ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს, როგორებიცაა: ქვეყნების ისტორია, კულტურა და დემოგრაფია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქალთა მეწარმეობის და ბიზნესში მათი აქტიური ჩართულობის კულტურა კომუნისტური პერიოდის მემკვიდრეობაა, რომელიც თანასწორ შესაძლებლობათა იდეას ეფუძნებოდა. სწორედ, ეს ისტორიული მემკვიდრეობა ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ამ რეგიონში ბიზნესპროცესებში ქალთა აქტიური ჩართულობის. ქალები რეგიონში ტოპმენეჯერის პოზიციებს იკავებენ მომსახურების დარგებშიც. ისეთი ტრადიციული დარგების გარდა როგორიცაა: ჯანდაცვა და ტურიზმი, ქალები ლიდერობენ ფინანსურ და ტექნოლოგიურ სექტორებში.

ქალების მიერ ტოპ მენეჯმენტში თანამდებობების დაკავების მხრივ გლობალური მაჩვენებელი 2016 წელს შეადგენს 22%-ს, ის მცირედ განსხვავდება 2000 წლის მონაცემებისგან (19%), ხოლო 2015 წელთან შედარებით (24%) შემცირდა [7,გვ.18].

ორგანიზაცია „გრანთ თორნთონის" კვლევის შედეგების მიხედვით, რუსეთში, ბიზნესში უმაღლესი პოზიციების 40%-ს ქალები იკავებენ. ეს მსოფლიოს მასშტაბით უმაღლესი პროცენტული მაჩვენებელია და თითქმის აორმაგებს გლობალურ საშუალო მაჩვენებელს (22%). საქართველოში (38%), პოლონეთი (37%), ლატვია (36%), ესტონეთი (35%) და ლიტვა (33%). სიის ბოლოსაა წარმოდგენილი იაპონია 8%, რომელსაც წინ უსწრებს გერმანია (14%) და ინდოეთი (15%). ევროკავშირის ქვეყნებში ამ მხრივ მაჩვენებელი მკვეთრად გაუმჯობესებულია 26%. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო წლების მაჩვენებლებს შორის. ევროკავშირის ქვეყნებიდან ლიდერობენ საფრანგეთი (33%), შვედეთი (28%) და საბერძნეთი (27%). ამავდროულად, ლათინურ ამერიკაში მონაცემი 18%-ზე დაეცა და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ბოლო პერიოდის მონაცემებთან შედარებით [7. გვ. 21].

ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის საგრძნობი განსხვავება მთელ მსოფლიოში შეინიშნება. Eurostat-ი ამ ფენომენის საზომად გენდერული სახელფასო სხვაობის მაჩვენებელს (Gender Pay Gap – GPG) იყენებს. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის საშუალო საათობრივ ხელფასებს შორის სხვაობას, შეფარდებულს მამაკაცის საშუალო საათობრივ ხელფასთან. Eurostat-ის მონაცემების მიხედვით, 2016 წელს ქალები მამაკაცებთან შედარებით საათში 19.4%-ით ნაკლებ თანხას გამოიმუშავებდნენ. ეს სხვაობა იცვლება ქვეყნების მიხედვით: ყველაზე ნაკლები თანხა სლოვენიაშია დაფიქსირებული (2.3%), ყველაზე მეტი კი – ესტონეთში (27.3%). მსოფლიო ბანკის ანგარიში „Development Report on Gender Equality" წარმოგვიდგენს მონაცემებს სამოცდაოთხი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შესახებ, სადაც ჩანს, რომ ქალის ხელფასი საშუალოდ 8-დან 48 პროცენტამდე ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ეს სხვაობა უფრო დიდია დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. საინტერესოა ასევე ეკონომიკური სტატუსის მიხედვით მოსახლეობის განაწილების მონაცემები. ეკონომიკურად აქტიური არის ქალების მხოლოდ 57% და მამაკაცების 78%. ამ მოცემულობას თავისი მიზეზი აქვს. ეკონომიკურად არააქტიური ქალების 16% დიასახლისებზე მოდის. დიასახლისების შრომა კი არ კვალიფიცირდება, როგორც ეკონომიკურად აქტიური და მისი შეფასება არც ერთი მაკროეკონომიკური მნიშვნელობის მქონე პარამეტრით არ ხდება. კვლევებით დადგინდა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც შრომის ეკონომიკაში გენდერული ბალანსი დაცულია, მშპ მაღალია [8, გვ.23].

კვლევაში კავკასიური ბარომეტრის ფარგლებში [9, გვ. 45] საქართველოს ქალებისა და კაცების სხვადასხვა საშემოსავლო კატეგორიებში მოხვედრის ალბათობაა წარმოდგენილი. ანალიზის გასამარტივებლად სავარაუდო კატეგორიები ოთხ დიდ ჯგუფად არის გაერთიანებული: მაღალი შემოსავლის მქონე – 400 დოლარი და მეტი; საშუალო შემოსავლის მქონე – 100-დან 400 დოლარამდე; დაბალი შემოსავლის მქონე – 1-დან 100 დოლარამდე და შემოსავლის არმქონე. დიაგრამა 1-ზე მოცემულია თითოეულ საშემოსავლო ჯგუფში მოხვედრის ალბათობა სქესის მიხედვით. კოეფიციენტები გამოთვლილია სტატისტიკური მოდელიდან, რომელიც გარდა სქესისა, ითვალისწინებს შემოსავლის ისეთ განმსაზღვრელ ფაქტორებს, როგორიც არის: რესპონდენტის განათლება, რესპონდენტის მშობლის განათლება და რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი. დემოგრაფიული მახასიათებლების (ასაკი, საცხოვრებელი დასახლების ტიპი, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, ბავშვები) და სამუშაო მახასიათებლების (დასაქმება, კვირაში ნამუშევარი საათების რაოდენობა, პროფილი, ეკონომიკური სექტორი, დასაქმების ტიპი) გათვალისწინების შემდეგაც კი სახელფასო სხვაობის დიდი ნაწილი აუხსნელი რჩება. ეს მიუთითებს, რომ სხვაობა გამოწვეული უნდა იყოს ისეთი მოვლენებით, რომელთაც ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევათ.

სხვა მიზეზთა შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე.წ. ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა – ინდივიდუალური უპირატესობა. უპირატესობის თეორია წარმოადგენს ბრიტანელი სოციოლოგის, კ.ჰაკიმის [8, გვ. 32] მიერ შექმნილ მულტიდისციპლინარულ თეორიას, რომელიც ეყრდნობა ჰიპოთეზას, რომ ქალთა მიერ ცხოვრების სტილისადმი განსხვავებული მიდგომა მათი დასაქმებულობის უკეთესი საზომია, ვიდრე განათლების დონე. მ.ჰაკიმის აზრით, უპირატესობის თეორია დიდწილად ხსნის დასაქმების ბაზარზე სქესის მიხედვით არსებულ განსხვავებებს და მათ შორის, ხელფასთა შორის სხვაობასაც. მისი მიხედვით, ქალები ცხოვრების ხარისხსა და სამუშაოდან მიღებულ სიამოვნებას მაღალ ხელფასზე უფრო ღირე-

ბულად მიიჩნევენ. ამ მოსაზრების დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომისტის, არნო შევალიეს [8, გვ. 71] მიერ 10 000 ადამიანზე ჩატარებული კვლევა. კვლევამ დაადგინა, რომ კაცები უმეტესად კარიერულ წინსვლასა და ფინანსურ მოგებას თვლიან მნიშვნელოვნად და საკუთარ თავს უმეტესად ამბიციურ პიროვნებებად წარმოადგენენ, ხოლო ქალები პირველ ადგილას აყენებენ სამუშაოდან მიღებულ კმაყოფილებას, თანამშრომლების კეთილგანწყობასა და მათი სამუშაოს სოციალურ მნიშვნელობას.

დიაგრამა 1 [10]




საქართველოში ინდივიდუალური უპირატესობის როლი დიდია იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული ხედვა გენდერული როლების შესახებ. საქართველო გამორჩეული ქვეყანაა თავისი აღმოსავლურ-დასავლური ფასეულობების კოქტეილის გამო.

2012 წლიდან ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მიმდინარეობს საქართველოსთვის მომხმარებელთა ნდობის ინდექსის (CCI) გაანგარიშება [11,გვ.56]. ინდექსი ასახავს შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 400 ქართველი მომხმარებლის მიერ მიმდინარე და მოსალოდნელი ეკონომიკური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებას. მომხმარებელთა ნდობის ინდექსი მოსახლეობის ოპტიმიზმის ხარისხის დამდგენი მაჩვენებელია. თუ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა მაღალია, მომხმარებლები უფრო მეტ შესყიდვებს ახორციელებენ, ხოლო თუ დაბალია, მაშინ ნაკლები თანხების ხარჯვას და მეტის დაზოგვას ცდილობენ. მამაკაცებისა და ქალების მომხმარებელთა ნდობას შორის განსხვავების შემჩნევა არც ისე რთულია. დიაგრამა №2 ასახავს ინდექსის 2012 წლიდან შემდგომ დინამიკას, როგორც მამრობითი, ასევე მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. 2017 წლის იანვარდმარტში მდედრობითი სქესის მაჩვენებელი იყო 5.2, ხოლო მამრობითი 2.7. აქ კარგად ჩანს, რომ დინამიკაში მოყოლებული, მხოლოდ ხუთჯერ აღემატებოდა მდედრობითი სქესის მიერ ხარჯვის სურვილი საპირისპირო სქესის შესაბამის მაჩვენებელს.

დიაგრამა 2

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი [12]



ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ საანალიზო პერიოდში ფინანსური რესურსები ქალების განკარგულებაში რომ ყოფილიყო, ქვეყანაში მეტი დანაზოგი და ინვესტიცია იქნებოდა. საქართველოს მსგავსი მცირე ეკონომიკის შემთხვევაში კი, დანაზოგების ასეთი სიმწირისა და მაღალი სარგებლის განაკვეთების პირობებში, ამგვარი გენდერული განსხვავებები ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

მომხმარებელთა ნდობის ინდექსი მრავალ ქვეყანაში გამოითვლება და გენდერული განსხვავება ოპტიმიზმის სეგმენტში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იჩენს თავს. 2008 წლის ეკონომიკური კვლევის [13] თანახმად აღმოჩნდა, რომ გამოკვლეული თვრამეტი ქვეყნიდან ჩვიდმეტში მამაკაცები უფრო ოპტიმისტები იყვნენ. „თვრამეტი სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა ნდობის ინდექსის მონაცემები ადასტურებს, რომ მდედრობითი სქესი ნაკლებად ოპტიმისტია. მაგალითად, აშშ-ში 1978 წლიდან მხოლოდ ერთხელ, 2000 წლის მარტში აღემატებოდა ქალების მომხმარებელთა ნდობის ინდექსი მამაკაცებისას“[11,გვ.67]. ამ ემპირიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საშუალოდ უკეთესია, როცა ფულად სახსრებს ქალები განკარგავენ. მრავალ საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციები ქალს ფინანსურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლებასაც კი უზღუდავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერული თანასწორობის ინდექსის მიხედვით საქართველო 145 ქვეყნიდან 82-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ვიეტნამი და უზბეკეთი [14].

საინტერესოა საქართველოს მიდგომა გენდერულ პრობლემასთან დაკავშირებით, რაც კარგად ვლინდება ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში. ამ კვლევით დადგინდა რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ ტოპ მენეჯერების პოზიციაზე 49% უპირატესობას ანიჭებს მამაკაცებს, ხოლო მხოლოდ 28 ქალებს. რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია (დიაგრამა 3) [15].

დიაგრამა 3




იგივე დისპროპორცია ისახება სამსახურში მიღების უპირატესობის თვალსაზრისით, სადაც რესპონდენტთა 40%-ს მიაჩნია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს მამაკაცებს და მხოლოდ 31%-ს მიაჩნია, რომ ამ უფლებით უნდა სარგებლობდნენ ქალები (დიაგრამა 4) [15].

დიაგრამა 4



რესპონდენტთა 88 %-ს მიაჩნია, რომ ეს არის მამაკაცის ფუნქცია და მხოლოდ 1% ამ ფუნქციას აკისრებს ქალს. კვლევით ისიც დადგინდა, რომ რესპონდენტთა 50.7%-ის აზრით კარგი ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს; ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-18-20 რესპონდენტი აცხადებს, რომ ქმარს ისინი დაუმცირებია სხვა ადამიანების წინაშე ან გამიზნულად შეუშინებია; ყოველი 100 ქალიდან, რომლებიც ოდესმე ყოფილან ფეხმძიმედ, ორი ან სამი ქალი ამბობს, რომ ფეხმძიმობის პერიოდში ქმრის/პარტნიორის ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა [16]. ეს მაჩვენებლები მეტყველებს იმ საკმაოდ საგანგაშო დინამიკაზე, რომელიც არსებობს საქართველოში გენდერული დისბალანსის დარგში.

ლიტერატურა:


1. ი. მერკვილაძე. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი „ფემინიზმი"თბ., 2016
2. „ნიკეის პირველი საეკლესიო კრება" www. ka.wikipedia.org
3. გაეროს ქალთა ორგანიზაციის / ევროკავშირის პროექტი „ინოვაციური ინიციატივა გენდერული თანასწორობისათვის" (IAGE) . გენდერული მეინსტრიმინგი. www.unwomen.org
4. „ქალი და ბიზნესი" საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. www.nplg.gov.ge
5. მ. რატიანი. გენდერი როგორც გლობალური პრობლემა. თბ., 2017
6. ლ . პატარაია. ქალების როლი ეკონომიკაში -თანამედროვე ტენდენციები www.forbes.ge
7. გრანთ თორნთონის კვლევის საფუძველზე მომზადებული ანგარიში „ქალები ბიზნესში: გზა ლიდერობისკენ" www./forbes.ge/
8. მ. ჭითანავა. გენდერული სახელფასო სხვაობა. www.iset-pi.ge
9. ლ. ჩახაია. გენდერული უთანასწორობა: ქალების და კაცების შემოსავლები საქართველოში. თბ, 2015
10. „გენდერული სახელფასო სხვაობა" http://www.iset-pi.ge/
11. რ. კუხალაშვილი. ეკონომიკური კეთილდღეობის გენდერული ასპექტი ანუ ფინანსური მართვის სადავეები ქალებს. www.iset-pi.ge
12. ეკონომიკური კეთილდღეობის გენდერული ასპექტი ანუ ფინანსური მართვის სადავეები ქალებს. www.iset-pi.ge
13. B. Jacobsen, John B. Lee, and W. Marquering. "Are men more optimistic?", 2016.
14. World economic forum The Global Gender Gap Index Results in 2017. www. reports.weforum.org/
15. ეკონომიკური კეთილდღეობის გენდერული ასპექტი ანუ ფინანსური მართვის სადავეები ქალებს. www.iset-pi.ge
16. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში. ეისითის კვლევა თბ., 2016


## The Role of Gender Imbalance and Feminism in Global Business


Khatuna Berishvili,

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

Studies conducted in Georgia show that the gender imbalance is found in all the spheres. Masculine-dominant approaches restrict correct understanding of potentials of women and use of these potentials for acievement of the socio-economic benefit of the country. In the epoch of globalization involvement of women in business is most urgent. Different countries of the world try to restore violated imbalance in this sphere up to the present-day. It is known that in developing countries, in which domineers religious segment, women possess less rights and restricted potentials of employment, compared with men. If we discuss the issue in the religious and masscultural aspects, it becomes clear that in some cultures and religions the women's rights are grossly violated, which is especially revealed in free expression of thought and in the spheres of employment. The present work highlights visible increase of women's functions noticed in the society. The studies show that equality is positively reflected on all the spheres. Balance of representatives of female and male sex at the highest managerial positions is profitable for business. The problem of imbalance existing in Georgia in this regard does not have positive impact on the economic development of the country.



***Keywords: gender disbalance; equality; feminism; global business.***

# ავტომატიზაციის თანამედროვე ტემპების გავლენა შრომის ბაზარზე

ქუჯი ბიჭია

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ავტომატიზაციის დღევანდელი ტემპების პირობებში სწრაფად იცვლება ეკონომიკური გარემო, რასაც დიდი გავლენა აქვს შრომის ბაზარზე. ადამიანების მიერ შესრულებული სამუშაოს რობოტექნოლოგიებით ჩანაცვლების პირობებში მეტად აქტუალური ხდება დასაქმების პრობლემა. უმუშევრობის მაღალი ტემპების თავიდან ასაცილებლად განიხილება საყოველთაო საბაზისო შემოსავლის პროგრამა, მაგრამ იგი მრავალმხრივ დახვეწას საჭიროებს. თუმცა, ის მოსალოდნელ ეკონომიკურ ცვლილებებთან გამკლავების ერთადერთი საშუალება არ არის. მთავარია ამ გარდამავალ პერიოდში ადამიანებმა შეძლონ ფეხი აუწყონ განვითარების ტემპებს.*

*საკვანძო სიტყვები: ავტომატიზაცია; საყოველთაო საბაზისო შემოსავალი; შრომის ბაზარი.*

## ავტომატიზაციის თანამედროვე ტემპები

ავტომატიზაციის პროცესი დღეს როგორც არასდროს, განსაკუთრებულად სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნოლოგიები, ადამიანის ჩარევა უფრო ნაკლებად ხდება საჭირო სხვადასხვა სახის წარმოებასა თუ მომსახურებაში. ადამიანის როლი მინიმუმამდე დადის და ის უფრო მეტად ინაცვლებს ტექნოლოგიების შემუშავების სფეროში. შედეგად მომუშავეების დიდი ნაწილი კონკურენციას ვერ გაუწევს რობოტებს და ხელოვნურ ინტელექტს. პირველ რიგში ეს განვითარებულ ქვეყნებს დაეტყობა, სადაც აქტიურად მიმდინარეობს რობოტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის კვლევა, თუმცა დღევანდელი გლობალიზაციის წყალობით მალევე გადავა ეფექტი განვითარებად ქვეყნებზეც. მათთვის გამწვავდება კონკურენტული წარმოების შენარჩუნების საკითხი, რადგან ავტომატიზებული წარმოება მეტად პროდუქტიული და ნაკლებ ხარჯიანი იქნება.

მაკინზის გლობალური ინსტიტუტის კვლევების [1] მიხედვით, 2055 წლისთვის დღეს არსებული სხვადასხვა საქმიანობის ნახევრის ავტომატიზაცია იქნება შესაძლებელი. მსგავს მომავალს წინასწარმეტყველებენ კარლ ფრეი, მაიკლ ოზბორნი [2], სკოტ სანტერსი [3] და სხვა მკვლევარებიც. ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა პოლიტიკა და ძველი ტექნოლოგიების მიმართ სენტიმენტური დამოკიდებულება, შესაძლოა ავტომატიზაცია დამატებით 20 წლით დაყოვნდეს. თუმცა, ის გარდაუვალია, რადგანაც საშუალებას იძლევა წარმოების ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდეს და წარმოების შედეგი გაუმჯობესდეს. ზემოაღნიშნული კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ავტომატიზაციის შედეგად მწარმოებლურობა წლიურად 0.8-1.4%-ით შეიძლება გაიზარდოს გლობალურად. ადამიანური შეცდომის გამორიცხვა და ავადმყოფობით, დაღლილობითა თუ სხვა მიზეზით გამოწვეული წარმოების შენელების აღმოფხვრა აუცილებლად გაზრდის მწარმოებლურობას ნებისმიერ სფეროში, სადაც ავტომატიზაცია შესაძლებელია [1].

მკვლევართა გარკვეული ნაწილი კლაუს შვაბის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარის, მეთაურობით ამჟამად მიმდინარე ტექნოლოგიურ წინსვლას მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციადაც მოიხსენიებს. აქ საუბარია არა მხოლოდ რობო-ტექნიკაზე, რომელსაც შეუძლია მარტივი, რუტინული დავალებების შესრულება, არამედ „ხელოვნურ ინტელექტზეც", რომელიც გონებრივ სამუშაოს ჩაანაცვლებს. მაიკლ ჩუი [1], მაკინზის გლობალური ინსტიტუტის პარტნიორი, აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ტიპის საქმიანობის 60%-ში ადამიანის მიერ შესრულებული სამუშაოს 30%-ის ავტომატიზაციაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით ადამიანს რობოტები, ხელოვნური ინტელექტი, „მანქანური სწავლება" თუ „ღრმა სწავლება" ჩაანაცვლებს [4].

როცა სამუშაო ძალის მოზრდილი ნაწილის ჩანაცვლება ხდება, ჩნდება კითხვა - რა ბედი ეწევათ ადამიანებს, ვისი შრომაც ჩაანაცვლა ავტომატიზაციამ? ტექნოლოგიური უმუშევრობის ძალიან მაღალი მაჩვენებლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიძლება მომუშავეთა გადამზადების განხილვა. დოქტორი ჩუი [1] აღნიშნავს, რომ მსგავსი მასობრივი გადამზადების გამოცდილება არსებობს გარდამავალი პერიოდიდან, როცა ადამიანური რესურსის დიდი ნაწილი გადავიდა სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიაში. მაგალითად, აშშ-ში სა-

მუშაო ძალის 40% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, რაც მხოლოდ 2%-მდე ჩამოვიდა XX საუკუნის ბოლოს. დანარჩენებმა მოახერხეს ადაპტაცია და ახალი საქმიანობის გამონახვა. თუმცა, რომელი გადააჭარბებს ამ შემთხვევაში - არსებული სამუშაოების ავტომატიზაციის დონე თუ მის შედეგად შექმნილი ახალი სამუშაოების რაოდენობა - წინასწარ ძნელი შესაფასებელია. ადრე არსებული გამოცდილებისგან განსხვავებით, დღეს დაბალკვალიფიციური სამუშაოს უდიდესი ნაწილის ჩანაცვლება ხდება, წარმოშობით კი მაღალკვალიფიციური სამუშაო უფრო ჭარბობს, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის.

ტექნიკური თვალსაზრისით შეიძლება გამოვარჩიოთ კატეგორიები, სადაც ავტომატიზაცია განსაკუთრებით შესამჩნევი იქნება. აშშ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, ყველაზე მეტად ეს შეეხება ფიზიკურ აქტივობასთან ან ტექნიკის მართვასთან დაკავშირებულ სამუშაოს მრეწველობაში, კვების სერვისებში, საცალო ვაჭრობასა და საცხოვრებელ ბინებთან დაკავშირებულ სერვისებში. განსაკუთრებით ეს შეეხება შედარებით რუტინულ სამუშაოს, სადაც პროცესის უდიდესი ნაწილი მკვეთრად განსაზღვრულია. როგორც კვლევები აჩვენებს, აშშ-ს სამუშაო ძალის მეხუთედი სწორედ ამ მიმართულებითაა დასაქმებული და ავტომატიზაციით მოსალოდნელია მისი 78%-ის ჩანაცვლება. ნაკლებად მკვეთრად განსაზღვრული სამუშაოს შემთხვევაში ავტომატიზაცია საქმიანობის მხოლოდ 25%-ს ჩაანაცვლებს. მრეწველობაში შემდუღებლების, მჭრელების და მსგავსი საქმიანობის ჩანაცვლება შედარებით ადვილია, ხოლო მომსახურების სერვისი შედარებით ძნელად ჩანაცვლებადია. ამიტომ შესაძლო ავტომატიზაციის დონე იცვლება 90%-დან 30%-მდე და ქვევით. თუმცა, ზოგადად, მრეწველობა მხოლოდ მეორე ადგილზეა ავტომატიზაციის კატეგორიებში. პირველ ადგილს იკავებს მომსახურების სფერო, სადაც საქმიანობის ნახევარი რუტინულ საქმიანობას გულისხმობს. მაკინზის ინსტიტუტის კვლევით კვების ინდუსტრიაში საქმიანობის 73%-ის ავტომატიზაცია შეიძლება. რაც შეეხება საცალო ვაჭრობას, აქ მოსალოდნელი ავტომატიზაციის მაჩვენებელი 53%-ა [1].

მაკინზის ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, გაყიდვების, კვების სფეროში მომსახურების, განათლების, ჯანდაცვის და მრავალი სხვა მიმართულებით სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია 800-მდე სხვადასხვა საქმიანობის 2000-მდე აქტივობის ჩანაცვლება. მიმართულებები მთლიანი შრომის ბაზრის 45%-ზე მეტს მოიცავს, რაც ხელფასებში 2 ტრლნ დოლარამდე ადის წლიურად მთელი აშშ-ს მასშტაბით [5]. ხელოვნური ინტელექტის და ღრმა სწავლების ტექნოლოგიები იგივე ტემპით გააგრძელებს განვითარებას, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 13%-ით შეიძლება გაიზარდოს. მაგალითად, ელექტრონული ვაჭრობის კომპანია Amazon უკვე ამუშავებს რობოტექნოლოგიებს, რომელთა დახმარებითაც საჭირო საქმიანობა საწყობებში ადრინდელზე 4-ჯერ სწრაფად შესრულდება დაგეგმვის, ნავიგაციის და კოორდინაციის საჭირო უნარებით [6]. ამავდროულად ვითარდება თვითმართვადი ელექტრომობილების ტექნოლოგიები, რაც მძღოლების საჭიროებას აღმოფხვრის. ტესლას ავტომობილები უკვე აღჭურვილია ავტოპილოტის ფუნქციით. დუბაიში სულ ცოტა ხნის წინ მიიღეს გადაწყვეტილება პოლიციის დამხმარე რობოტების გამოყენების შესახებ. ისინი დაეხმარებიან მოქალაქეებს, რომ პოლიციას დანაშაულის შესახებ შეატყობინონ, ჯარიმები გადაიხადონ. განათლების მიმართულებით ონლაინ სასწავლო კურსები ამცირებს მასწავლებლების საჭიროებას, რადგან უკვე ერთი საკლასო ოთახით არაა შეზღუდული სწავლის პროცესი და ყველას შეუძლია მისთვის საუკეთესო პროგრამა შეარჩიოს დისტანციურად. რობოტექნოლოგიები გამოიყენება სოფლის მეურნეობაშიც, ავტომატიზაციამ ხელი დაატყო ყველა სფეროს და ეს ჯერ კიდევ პირველი ნაბიჯებია.

ხელოვნური ინტელექტის ღრმა სწავლება და მანქანური სწავლება ერთგვარი გამოწვევაა და ცვლის ჩვენს წარმოდგენებს იმის შესახებ, რამდენად ჩაუნაცვლებელია ადამიანის ერთი შეხედვით კომპლექსური საქმიანობა. ხელოვნური ინტელექტის მიღწევების შესახებ მუდმივად ვრცელდება ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით. 1997 წელს ხელოვნურმა ინტელექტმა Deep Blue დაამარცხა ჭადრაკის მოქმედი ჩემპიონი გარი კასპაროვი, 2016 წელს კი ყველაზე კომპლექსური ჩინური თამაში „გო"-ც დათმეს ადამიანებმა Google-ის ხელოვნურ ინტელექტთან AlphaGo-სთან. სულ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნდა სტატია, რომელიც გვამცნობდა, რომ ხელოვნური ინტელექტი დაახლოებით 90%-იანი სიზუსტით ახდენს თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების ამოცნობას ფსიქოლოგიური კლინიკის პაციენტებში უბედურების დადგომამდე 1 კვირით და ზოგჯერ 1-2 წლით ადრე [7]. საშიში, მაგრამ უტყუარი რეალობაა, რომ მსგავსი სიტუაციების ამოცნობა შესაძლებელია და ტექნოლოგიის დახვეწის შემთხვევაში ის უამრავ ადამიანს დაეხმარება.

დღევანდელი ავტომატიზაციით გამოწვეული ცვლილებები ისეთი ცხადი არაა, როგორც სოფლის მეურნეობის მაგალითზე იყო. ინდუსტრიულმა რევოლუციამ ბევრი ახალი სამუშაო გააჩინა დანადგარების სოფლის მეურნეობაში ჩართულობის ზრდასთან ერთად, რამაც შესაძლებელი გახადა უმუშევრობის მკვეთრი ზრდის თავიდან აცილება. ავტომატიზაციის შემთხვევაში შესაძლოა ახალი როლების გაჩენა გარკვეული მაღალ-კვალიფიციური მუშახელისთვის, თუმცა, სხვები (განსაკუთრებით დაბალკვალიფიციური მუშახელი) ცხადი პოზიციის გარეშე დარჩებიან ახალ რეალობაში. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ავტომატიზაციის ტემპები წარმოადგენს საუკუნის გამოწვევას შრომის ბაზრისთვის მსოფლიო მასშტაბით. სწორედ ამიტომ შეიძლება საუბარი რადიკალური ზომების აუცილებლობაზე. მოსახლეობა მოახდენს ადაპტაციას დროთა განმავლობაში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, თუ დღევანდელი სიტუაცია სრულიად განსხვავებულია და აუცილებელ ჩარევას საჭიროებს, ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა აუცილებლად იარსებებს, სანამ რეალურად ვიხილავთ შედეგს.

## რა შეიძლება გაკეთდეს მზარდი ავტომატიზაციის საპასუხოდ?

საყოველთაო საბაზისო შემოსავლის (სსშ) იდეა აქტიურად განიხილება, როგორც მოსალოდნელი პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა. *სსშ გულისხმობს ფულის გაცემას ყველა მოქალაქისთვის პერიოდულად, თანაბრად და უპირობოდ სახელმწიფოს ან სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ, სხვა წყაროებიდან გამომუშავებულ შემოსავალზე დამატებით* [8]. სსშ-ს მომხრეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის უნდა განისაზღვროს ისე, რომ პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საკმარისი იყოს. ამიტომ სიღარიბის ზღვარზე დაბალი საბაზისო შემოსავალი ითვლება ნაწილობრივ საბაზისო შემოსავლად.

სსშ-ს იდეა საკმაოდ ძველია და მასზე მსჯელობდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე ფილოსოფოსები. თუმცა, დღევანდელი ავტომატიზაციის ტემპებიდან გამომდინარე, ის ბოლო წლებში მეტად აქტუალური გახდა და ბოლო პერიოდში პოლიტიკური დებატების არენაზეც გადაინაცვლა. თითოეული მოქალაქისთვის გარანტირებულ თანაბარი დონის შემოსავალი, რომლითაც მათ შეუძლიათ ელემენტარული საჭიროებები დაიკმაყოფილონ, პოლიტიკოსებისთვის მიმზიდველ სალაპარაკო თემას წარმოადგენს. ამასთან, სსშ-ს არ დაკარგავს მოქალაქე, რომელიც დამატებით იმუშავებს მისი შემოსავლის გაზრდის მიზნით.

ამ პროგრამის აქტუალურობა განსაკუთრებით გამოიკვეთა დღევანდელი ავტომატიზაციის სწრაფი ტემპების მიერ შექმნილი საფრთხის ფონზე. სსშ-ს შესახებ ალაპარაკდნენ როგორც ეკონომისტები, ასევე ცნობადი სახეები და მილიარდელებიც (მათ შორის მილტონ ფრიდმანი, კრისტოფერ პისარიდისი, გაი სტენდინგი, ბილ გეითსი, მარკ ცუკერბერგი, ილონ მასკი...). ფრიდმანის წიგნში „კაპიტალიზმი და თავისუფლება“ [9, გვ.164-165] მსჯელობაა უარყოფით საშემოსავლო გადასახადზე, რომელიც მოსახლეობას გარკვეულ სუბსიდიებს სთავაზობს შემოსავლების დონის მიხედვით, რომელიც მცირდება და ნელ-ნელა გადასახადში გადადის შემოსავლის ზრდასთან ერთად (სსშ-ს მსგავსი პროგრამა, თუმცა, მისგან განსხვავებით, ყველა თანაბარ სარგებელს არ იღებს). ბილ გეითსი [10] თვლის, რომ სსშ-ს პროგრამის განხორცილების რესურსი ქვეყნების უმრავლესობას არა აქვს და ის ვერ გაამართლებს. მის ნაცვლად მთავრობამ რობოტების დაბეგვრა უნდა დაიწყოს და ეს ფული გამოიყენოს უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დასახმარებელი ან განათლების პროგრამებისთვის. მისი თქმით, ადამიანები თუ საშემოსავლო და დაზღვევის გადასახადს იხდიან, რობოტებთან თანაბარ სიტუაციაში რომ იყვნენ, ისინიც უნდა დაიბეგრონ [11] და მის აზრს სხვებიც იზიარებენ. მარკ ცუკერბერგმა 2017 წლის 25 მაისს ჰარვარდის დამთავრების ცერემონიაზე საკმაოდ დიდი აუდიენციის წინაშე გააჟღერა სსშ-ს იდეა, როგორც მოსახლეობისთვის „დამზღვევი ბალიშის“ ფუნქციის შემსრულებელი პროგრამა მაღალი ავტომატიზაციის ტემპების პერიოდში და მხარი დაუჭირა მას.

სსშ-ს ირგვლივ გრძელდება დებატები და პარალელურად მიმდინარეობს ექსპერიმენტები მსოფლიო მასშტაბით. მათ შორის, ფინეთში, ნიდერლანდებში, კანადაში, აშშ-ში, ინდოეთისა და კენიის გარკვეულ სოფლებში და სხვა. ექსპერიმენტების მიზანია, დაადგინოს, რამდენად რეალისტურია სსშ-ს პროგრამის მასშტაბურად განხორციელება და როგორ შეიძლება იმოქმედოს მან მუშაობის მოტივაციაზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე და მათ სამომხმარებლო ქცევაზე. უკვე ჩატარებული ექსპერიმენტები აჩვენებს, რომ განვითარებად ქვეყნებში სსშ-ს მოყვება საცხოვრებელი პირობების, კვებითი ღირებულების, სანიტარიის, ჯანმრთელობის და განათლების დონის გაუმჯობესება მოსახლეობაში და სერიოზული უარყოფითი ეფექტი არა აქვს მუ-

შაობის მოტივაციაზე [12;13]. თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც საარსებო მინიმუმზე მაღალი სსშ იგეგმება, შედეგი შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს. მით უმეტეს აშშ-ში, სადაც სოციალური დაცვის ლიბერალურ მოდელს იყენებენ [14] და სსშ-ს მსგავს პროგრამას ბევრი სკეპტიკურად უყურებს.

საყოველთაო საბაზისო შემოსავლის იდეას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. სსშ-ს პროგრამას აქვს როგორც მრავალი დადებითი მხარე, ასევე გამოწვევაც. სსშ-ს მომხრეები ახასიათებენ მას, როგორც ყველაზე მარტივ და გამჭვირვალე სოციალური კეთილდღეობის სისტემას. მართლაც, თუ ყველა თანაბრად მიიღებს სარგებელს, სისტემა მრავალი ბიუროკრატიული საფეხურისგან გათავისუფლდება, ხოლო პროცესი - სუბიექტური ფაქტორებისგან [15]. სსშ გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ ზრდის მოსახლეობის თავისუფლების ხარისხს. ადამიანებს უჩნდებათ არჩევანის მეტი საშუალება და შესაძლებლობა, მისდიონ იმას, რაც ყველაზე მეტად სურთ. ეს საშუალებას იძლევა, მუშაობას ნაწილობრივ ჩამოსცილდეს თავის შენახვის ფუნქცია და მეტად გახდეს კარიერის შექმნის საშუალება, რაც თავის მხრივ პროდუქტიულობაზე დადებითად იმოქმედებს [15]. ამასთან, სსშ ხალხს შესაძლებლობას აძლევს მეტი დრო დაუთმონ განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც შემდგომ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს.

სსშ-ს მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია პროგრამის შედეგად მუშაობის მოტივაციის მოსალოდნელი შემცირება. უპირობოდ მიღებულმა შემოსავალმა მოსახლეობის ნაწილი შეიძლება იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს, რომ არ იმუშაონ, რაც მათგან შესულ გადასახადებს შეამცირებს. თუმცა, მუშაობის მსურველთა რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება არ არის მოსალოდნელი, რადგან მოსახლეობის ნაწილს მუშაობა სურს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და სსშ-ს მიღების შემდეგ არათუ მოტივაციას კარგავს, არამედ მეტი შესაძლებლობები ექმნება მუშაობის დასაწყებად [16]. ზოგის აზრით, პირიქით, სსშ-ს დახმარებით უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებას შეძლებენ. მსგავსი შედეგი მიიღეს კიდეც ნამიბიაში ჩატარებულ საპილოტე პროგრამაში [17].

მიუხედავად ყველაფრისა, სსშ-ს მთავარი გამოწვევა ისაა, რომ ასეთი პროგრამის დაფინანსება ძვირია. თითოეული ზრდასრული მოქალაქისთვის შემოსავლების თვიურად გადასანაწილებლად ბიუჯეტის საკმაოდ დიდი ნაწილი უნდა დაიხარჯოს. შესაძლოა ამისთვის გადასახადების განაკვეთის აწევაც გახდეს საჭირო დაფინანსების სხვა წყაროების მოძებნასთან ერთად. ვილიამ ენსორი და სხვები [18] მიიჩნევენ, რომ სსშ-ს დაფინანსება საკმაოდ ძვირი ჯდება და გადასახადების აწევის გარეშე მისი დანერგვა არათუ დაეხმარება, შეიძლება დააზარალოს კიდეც მოსახლეობის ღარიბი ნაწილი [19]. თუმცა, რუზველტის ინსტიტუტის მოხსენების მიხედვით [20], სსშ-ზე მოქმედ მაკროეკონომიკურ ეფექტებს თუ გავითვალისწინებთ, მას დადებითი გავლენა აქვს მშპ-ს ზრდაზე სახელმწიფო ვალით დაფინანსების შემთხვევაში და პრაქტიკულად არა აქვს ეფექტი გადასახადების ზრდით დაფინანსების დროს. კვლევა მსგავს შედეგს აღწერს თვიური სსშ-ს 3 სცენარის მიხედვით: $1000 ყველა ზრდასრულ მოქალაქეს, $500 ყველა ზრდასრულ მოქალაქეს და $250 დახმარება ყველა ბავშვს. ასევე აღსანიშნავია, რომ სსშ-ს მოწინააღმდეგეებშიც ბევრია უარყოფითი საშემოსავლო გადასახადის მომხრე, როდესაც მოსახლეობა დახმარებას იღებს შემოსავლის არ არსებობის ან დაბალი შემოსავლის შემთხვევაში და შემოსავლის ზრდასთან ერთად ნელ-ნელა უარყოფითი გადასახადიდან დადებითი გადასახადის გადამხდელთა ჯგუფში გადადიან [19]. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სსშ-სთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები დღეს არსებულ პროგრამებთან შედარებით იმდენად დაბალია, რომ დაზოგვის საშუალებაც კი შეიძლება გაჩნდეს (თუ სსშ უკვე არსებულ გარკვეულ სოციალურ პროგრამებს ჩაანაცვლებს) [15].

## სსშ საქართველოში და სიტუაციასთან გამკლავების ალტერნატიული მეთოდები

სსშ-ს მოქმედება დამოკიდებულია ინსტიტუციურ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოზე. ამიტომ ყველა ქვეყანას ინდივიდუალური მიდგომა ჭირდება და პროგრამა ერთნაირად ვერ განხორციელდება განსხვავებულ ქვეყნებში. პირველ რიგში სსშ-ს ერთიანი ჩამოყალიბებული პროგრამა არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ ვარიაციებს ცდის და განსხვავებული წარმატებით ხასიათდება. შედარებით ოპტიმისტურად გამოიყურება ბუნებრივ რესურსებზე დამყარებული პროგრამა (ალიასკის მაგალითი) ან სიღარიბის ზღვარზე დაბალი მოცულობის სსშ. თუმცა, დიდ ყურადღებას იქცევს პროექტები ჰელსინკში და უტრეხტში, რომლებიც საკმაოდ მაღალ შემოსავალს სთავაზობს მოსახლეობას.

რაც შეეხება საქართველოს, ასეთი პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხის გაორმაგება და, უკვე არსებული პროგრამების სრულად ჩანაცვლება, რაც დღევანდელ პირობებში არარეალურია. საარსებო მინიმუმის სახით 180 ლარის გათვალისწინებით [21], ასეთი პროგრამის დაფინანსებას ბიუჯეტიდან დაახლოებით 7 მლრდ ლარის მობილიზება დასჭირდება. სსშ-ს პროგრამის ძირითადი გამოწვევა მისი დაფინანსებაა, რაც განსაკუთრებით მწვავეა განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. თუმცა, შესაძლებელია ნაწილობრივი სსშ-ს პროგრამის განხილვა. დამატებითი ანალიზის და საცდელი პროგრამის ჩატარების გარეშე შეუძლებელია ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორი შედეგი ექნება ასეთ პროგრამას.

ავტომატიზაციის გამოწვევები საზოგადოების ყველა ფენისთვის არსებობს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყანაში. თუ სსშ-ს პროგრამის განხორციელება ვერ ხერხდება, საჭიროა სხვა გზების ძიება. მარტივი გამოსავალი ამ სიტუაციაში არ არსებობს, თუმცა, ჯერ კიდევ არის დრო ქვეყნის დონეზე სათანადო სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრისთვის. პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს ავტომატიზაციის შედეგად ყველაზე მეტად რისკის წინაშე რომელი პროფესიები დგას (ქვეყნის მასშტაბით) და რომელი პროფესიებია შედარებით დაცული. უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება და მოტივაციის შექმნა, მეტი დაინტერესება გაჩნდეს უფრო დაცული პროფესიების მიმართულებით. ეს შესაძლებელს გახდის მოსალოდნელი კრიზისის სიმწვავე საკმაოდ შემცირდეს. ერთი რამ, რაზეც მოთხოვნა სტაბილურად იზრდება, არის პროგრამირების უნარები. აშშ-ს შრომის ბიუროს მონაცემების მიხედვით [22] დეველოპერების და პროგრამისტების საქმიანობაზე მოთხოვნა 2014-2024 წლებში მოსალოდნელია 17%-ით გაიზარდოს, რაც სხვა პროფესიების ზრდის ტემპზე ბევრად სწრაფ ზრდად არის შეფასებული. ენდი ორამის და ჯონ კინგის [23] მიერ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული 2016 წლის კვლევის მიხედვით პროგრამისტები შედარებით ადვილად პოულობენ ახალ სამსახურს და მათი უმრავლესობისთვის ბოლო 3 წლის განმავლობაში ხელფასი გაიზარდა, მათ შორის გამოკითხულთა 10%-ზე მეტისთვის ორმაგად ან მეტად. მომავლის საზოგადოებაში კომპიუტერული ტექნოლოგიები განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი პროფესია, არამედ როგორც ყველა სხვა პროფესიის ნაწილი. კომპიუტერული ტექნოლოგიების უნარებზე მოთხოვნა მზარდია, რადგან ის სრულიად ყველა სფეროში გამოიყენება. ამასთან, ეს ისეთი უნარია, რომელსაც ტერიტორიული საზღვრები არ ახასიათებს და გლობალური მასშტაბით არის საქმიანობა შესაძლებელი, ანუ ღარიბი ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ განვითარებული ქვეყნის წარმომადგენლებისგან მიიღონ დაკვეთა უფრო იაფად, ვიდრე იქაური პროგრამისტი დათანხმდებოდა, თუმცა უფრო მაღალი ანაზღაურებით, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში ოდესმე მიიღებდა. ამ პროფესიაში ტერიტორიული საზღვრების არ არსებობა უნიკალური შესაძლებლობაა ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის სხვაობა ცოტათი მაინც შემცირდეს. პროგრამირების პრიორიტეტად განსაზღვრა ქვეყნის დონეზე ერთ-ერთი სწორად გადადგმული ნაბიჯი იქნება მომავლისთვის ფეხის აწყობის და ინოვაციებისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარების გზაზე. სწავლება სკოლებში, ამ მიმართულებით გრანტის სახით დახმარება უმაღლეს სასწავლებელში და სხვა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებადი ღონისძიებები შესაძლებელია გატარდეს არსებულ სიტუაციასთან გამკლავების მიზნით. თანამედროვე ტექნოლოგიებთან ბრძოლა სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით თავიდანვე განწირულია დამარცხებისთვის და არავითარ შემთხვევაში ქვეყანამ ეს გზა არ უნდა აირჩიოს. ეკონომიკის ბედი დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების უნარზე, ადვილად აუწყონ ფეხი ცვალებად გარემოს, გარემოს ცვლილება კი გარდაუვალი მოვლენაა.

## დასკვნა

ავტომატიზაციის სწრაფმა ტემპებმა ახალი გამოწვევები წარმოაჩინა ეკონომიკაში, რამაც შექმნა ახლებური მიდგომების საჭიროება. მუშახელის უფრო და უფრო მეტად ჩანაცვლების შედეგად კიდევ უფრო მწვავდება არსებული უმუშევრობის დონის პრობლემა. მისი გადაჭრის ერთ-ერთ გზად მოიაზრება საყოველთაო საბაზისო შემოსავლის პროგრამა, რომელიც არც ისე ახალი იდეაა, თუმცა, განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა დღევანდელი სიტუაციის პირობებში როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ასეთი პროგრამის განხორციელება დიდ რესურსებს მოითხოვს და მის მიმართ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული განწყობა არსებობს. განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე ექსპერიმენტები აჩვენებენ მის ძირითადად

დადებით ეფექტს საზოგადოებაზე. სილატაკის ზღვარზე მცხოვრებ მოსახლეობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სსშ-ს პროგრამამ მათი ჯანმრთელობის, განათლების, საკრედიტო თუ საცხოვრებელი პირობები გააუმჯობესა, თუმცა, ეფექტები საშუალო შემოსავლიან მაცხოვრებლებზე შეიძლება განსხვავებული იყოს და ამას მომავალი ექსპერიმენტები სჭირდება. პროგრამის ქვეყნის მასშტაბით განხორციელება ჯერაც დიდი გამოწვევაა. ძირითადი პრობლემა მსგავსი პროგრამის დაფინანსებაა, რისთვისაც არსებულის ბიუჯეტის გარდა ნახშირორჟანგის გამოყოფაზე გადასახადი ან კერძო დაფინანსების წყაროებიც მოიაზრება.

სსშ-ს პროგრამა შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს გარკვეული ქვეყნებისთვის და პრაქტიკულად შეუძლებელი - დანარჩენებისთვის. საქართველოს შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია ასეთი პროგრამის მოქმედება მრავალი ფაქტორის გამო. ამიტომ, საჭიროა განსხვავებული პროგრამის შემუშავება, რაც ძირითადად გულისხმობს ინდივიდების მოტივაციას ისეთი პროფესიების დასაუფლებლად, რაზე მოთხოვნაც მომავალში მზარდი იქნება და ავტომატიზაციით ჩანაცვლებაც ნაკლებად მოსალოდნელია. ასეთია მაღალკვალიფიციური პროფესიები, ძირითადად კი ის საქმიანობა, რაც კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ამ მიმართულებით განათლებაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია; საგანმანათლებლო დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნოლოგიების ღრმა სწავლება და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება აუცილებლად შეუწყობს მოსახლეობას ხელს, არ ჩამორჩეს დროებას და მისი შრომა მოთხოვნადი დარჩეს. თუ ავტომატიზაციის ტექნოლოგიების დაუფლება მოხდება, ეს გამოწვევა შეიძლება დიდ უპირატესობად იქცეს ქვეყნისათვის, არსებული სიტუაციის უგულებელყოფის შემთხვევაში კი მოსახლეობა დიდ სირთულეებს გადააწყდება.

## ლიტერატურა:


1. J. Manyika, M. Chui, M. Miremadi, J. Bughin, K. George, P. Willmott and M. Dewhurst, Harnessing automation for a future that works, McKinsey Quarterly, January 2017.
2. C. B. Frey and M. A. Osborne, The Future of Employment: How susceptible are jobs to computerization, September 17, 2013.
3. S. Santers, Deep Learning Is Going to Teach Us All the Lesson of Our Lives: Jobs Are for Machines, Mar 16, 2016. https://medium.com/basic-income/deep-learning-is-going-to-teach-us-all-the-lesson-of-our-lives-jobs-are-for-machines-7c6442e37a49
4. P. Caughill, New Study Predicts Nearly Half of All Work Will Be Automated, January 31, 2017. https://fuuism.com/new-study-predicts-nearly-half-of-all-work-will-be-automated/
5. M. Chui, J. Manyika and M. Miremadi, Four fundamentals of workplace automation, McKinsey Quarterly, November 2015.
6. W. knight, "Inside Amazon's Warehouse, Human-Robot Symbiosis", July 7, 2015. https://www.technoogyeiew.com/s/538601/inside-amazons-warehouse-human-robot-symbiosis/
7. O. Goldhill, Artificial intelligence can now predict suicide with remarkable accuracy, June 10, 2017. https://qz.om/1001968/artificial-intelligence-can-now-predict-suicide-with-remarkable-accuracy/
8. U. W. Chohan, Universal Basic Income: A Review, Discussion Paper, August 4, 2017.
9. M. Friedman. 1962. Capitalism and freedom. Chicago, IL: University of Chicago Press, p.164-165.
10. K. Houser and J. Javelosa, Bill Gates: The World Isn't Ready for Universal Basic Income Now, But We Will be Soon, February 28, 2017. https://futurism.com/4-bill-gates-thinks-countries-arent-ready-for-basic-income-yet/
11. A. Blackwell, Bill Gates Addresses UBI on Reddit AMA, March 11, 2017. http://basicincome.org/news/2017/03/bill-gates-addresses-ubi-reddit-ama/
12. R. Schjoedt, India's Basic Income Experiment, Pathway's Perspectives on Social Policy in International Development, N0 21, April 2016.
13. J. Perkiö, Universal Basic Income – A New Tool for Development Policy?, International Solidarity Work, 2014.
14. ი. გაგნიძე, კეთილდღეობის ეკონომიკა, რიდერი, თბ., თავი 6, 2012.
15. Scott Santens. March 21, 2017. This is Why Experts Think All People Should Have a Universal Basic Income. Futurism.com. https://futurism.com/why-experts-think-all-people-should-have-universal-basic-income/

16. Universal Basic Income: A Conversation With and Within the Mahatma. India's Ministry of Finance: Economic Survey 2016-17, Chapter 9.
17. C. Haarmann and D. Haarmann, Relief through cash. Impact assessment of the emergency cash grant in Namibia. Windhoek, 2015.
18. W. Ensor, A. Frailey, M. Jensen and A. Xu, A Budget-Neutral Universal Basic Income, AEI Economics Working Paper. 10 May, 2017.
19. P. L. Harvey, The Relative Cost of a Universal Basic Income and a Negative Income Tax, Basic Income Studies, 2006.
20. M. Nikiforos, M. Steinbaum and G. Zezza, "Modeling the Macroeconomic Effects of a Universal Basic Income", The Roosevelt Institute, August 29th, 2017.
21. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo
22. https://www.bls.gov/ooh/computer-and-information-technology/software-developers.htm#tab-6
23. A. Oram and J. King, European Software Development Salary Survey, 2016.

## The Effect of Modern Globalization and Automatization Trend on Labor Market

Quji Bichia

*Doctoral Student*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Economic environment is changing quickly with automation happening in every industry and it has a huge effect on labor market. The problem of unemployment is becoming more intense as human capital is being replaced by robo-technologies. One of the possible solutions to this is the idea of introducing Universal Basic Income but it is far from being feasible or widely accepted yet. Nonetheless, UBI is not the only way of dealing with immense automation. A better solution may be adapting to a changing economy and embracing new technologies to answer future demands on labor market.

***Keywords: Automation; Universal Basic Income; Labor Market.***

# საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის რთიერთმიმართების საკითხისათვის

ბესიკ ბოლქვაძე

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ წარმმართველ მექანიზმად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, განიხილება საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკა, რითაც სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს კერძო სექტორის განვითარებას. გარდამავალი ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, საინვესტიციო პოლიტიკა მჭიდროდ კორელირებს საპრივატიზაციო პოლიტიკასთან. სტატია აქცენტს სწორედ საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის ურთიერთმიმართების პრობლემატურ საკითხებზე აკეთებს და გვთავაზობს მათი ოპტიმალური გადაწყვეტის შესაძლო მიმართულებებს.*

*საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო პოლიტიკა; პრივატიზაცია; ქონების მმართველი; პრივატიზაციის ფორმები; საპრივატიზებო საფასური; საინვესტიციო მონიტორინგი; საინვესტიციო ინფრასტრუქტურა; სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საინვესტიციო მოდელი.*

გარდამავალი ეკონომიკის მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ და მაკროფინანსურ საკითხად საინვესტიციო ნაკადების ფორმირებისა და გამოყენების საკითხი განიხილება, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების დინამიზმი კი პირდაპირაა დაკავშირებული საპრივატიზაციო პოლიტიკის ეფექტიანობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის მექანიზმები საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის ყველაზე მჭიდროდ კორელირებადი ინსტრუმენტებია. შესაბამისად, წონად მნიშვნელობას იძენს, სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონეზე, მათ შორის არსებული კავშირების გამოვლენა და ურთიერთკოორდინაციის ქმედითი მექანიზმის შემუშავება-გამოყენება.

საინვესტიციო პოლიტიკის გატარების დინამიურობა და ეფექტიანობა უმნიშვნელოვანესწილად დამოკიდებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის (ძირითადად კი პრივატიზების) და სარგებლობაში გადაცემის პოლიტიკაზე, ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია შესაბამისი პროცესების პროცედურულ გაჭვირვალობასთან, სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი ბაზების არსებობასთან, ქონების პრივატიზების, მართვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმების ადეკვატურ და ეფექტურ შერჩევა-გამოყენებასთან, საინვესტიციო პირობების რაციონალურად ჩამოყალიბებასთან, დაინტერესებულ ინვესტორებთან მჭიდრო საქმიან კოორდინაციასთან, შესაბამისი გადაწყვეტილებების დროულ და გაუჭიანურებელ მიღებასთან.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორთა ძირითადი პირველადი საბაზისო ინტერესი, თუ არ ჩავთვლით საინვესტიციო გარემოს, ძირითადად ფოკუსირებულია უძრავი ქონების მიღების და შემდგომი გამოყენების მომენტთან, ხოლო ამ თვალსაზრისით სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა რანჟირდება შესაბამისი ქონების საკუთრების დონეების მიხედვით (სახელმწიფო ქონება, ავტონომიური რესპუბლიკების ქონება, თვითმმართველი ერთეულების ქონება). საინვესტიციო გადაწყვეტილებებიც სწორედ აღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების მიდგომებით მიიღება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მმართველობით და, შესაბამისად, საკუთრებით დონეებს შორის ქონების გადაცემის ცალკეულ შემთხვევებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას, თუ ინვესტორი უკვე ფლობს საბაზისო ინფორმაციას საინვესტიციო გარემოს შესახებ, მისი პირველადი ინტერესის საგანს საინვესტიციო ობიექტი და მასთან დაკავშირებული ნიუანსები (მდგომარეობა, ღირებულებითი შეფასება, საინვესტიციო პირობები და სხვა) წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნული მიდგომა თითქმის სტანდარტულია სახელმწიფო და კერძო საინვესტიციო ობიექტებთან მიმართებით, განსხვავება აისახება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეფასებასა და განკარგვის ფორმების გამოყენებაში. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, სახელმწიფოსთვის ორივე ტიპის ინვესტიცია თანაბარმნიშვნელოვანად პოზიტიურია, რად-

გან ორივე შემთხვევაში განხორციელებული ინვესტიცია წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის კომპონენტს, ხოლო მაკროფინანსური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვნად სახელმწიფო ობიექტების პრივატიზების ან სარგებლობის უფლებით გადაცემით განხორციელებული ინვესტიცია მიიჩნევა, განსხვავებით კერძო საკუთრების ობიექტებზე წარმოებული ინვესტიციისაგან, რადგან სახელმწიფო დამატებით სარგებელს ღებულობს საპრივატიზებო და საიჯარო შემოსავლების სახით. ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო სექტორისაგან განსხვავებით, კერძო სექტორის სუბიექტები (განსაკუთრებით ფიზიკური პირები) ვერ ფლობენ ხელთ განვითარებულ მარკეტინგულ ინსტრუმენტებს, მეტადრე უცხოურ ინვესტორთა მოზიდვისთან მიმართებით, ამიტომ სასურველია სახელმწიფოს ქონდეს გარკვეული მანევრირებადი საინფორმაციო ბაზა მნიშვნელოვანი კერძო საინვესტიციო ობიექტების შესახებაც, რაც საშუალებას მისცემს მას, ისეთ ინვესტორთა წინადადებები, რომლებიც ვერ პასუხობენ სახელმწიფო ობიექტებთან მიმართებით არსებულ მოთხოვნებს გარკვეული მიზეზების გამო (ობიექტის ღირებულება, კომპლექსური პირობები, ინვესტიციის მასშტაბურობა და ა.შ), ,,გადაამისამართოსკკ კერძო საინვესტიციო ობიექტებზე, რითაც გარკვეულწილად თავიდან იქნება აცილებული შესაძლო განხორციელებადი ინვესტიციების დაკარგვის რისკები.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ინვესტორებთან მიმართებით სახელმწიფო ქონების განკარგვის და სარგებლობაში გადაცემის ფორმების შერჩევისას მნიშვნელოვანია სახელმწიფო (ქონების მმართველი) იყენებდეს უპირატესად ,,ex ante'' მიდგომას, რაც გულისხმობს საინვესტიციო-საპრივატიზებო პროცესისათვის შესაბამისი საპრივატიზაციო ობიექტების და მათი საინვესტიციო პირობების პროაქტიულად მომზადებას, განსხვავებით ინვესტორთა საინვესტიციო წინადადებებზე შემდგომი რეაგირებისაგან (რაც ასევე გავრცელებული პრაქტიკა და ინვესტორთა კანონიერი უფლებაა), ვინაიდან უკანასკნელი ვარიანტისას, გარკვეული ალბათობით, შეიძლება წარმოიშვას ინვესტორთა წინადადებებისადმი (წარმოდგენილი პირობებისადმი) სახელმწიფო ქონების მმართველის მხრიდან საპრივატიზებო/საიჯარო პირობების ,,მისადაგებისკკ ან კიდევ, ინვესტორთა მხრიდან ქონების საპრივატიზებო საფასურის შემცირების მიზნით, აუქციონის ,,ჩავარდნისკკ და მისი განმეორებითი ჩატარების რისკები.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საპრივატიზაციო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა უნდა წარმოადგენდეს, რაც გულისხმობს ეფექტიანი კერძო მესაკუთრის ფორმირებას, ინიციატივების მხარდამჭერი გარემოს შექმნას და მეწარმეთა საშუალო ფენის ჩამოყალიბებას [3, გვ. 95,101,109]. აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საპრივატიზებო ურთიერთობებში უპირატესად პირობებიანი აუქციონის ფორმის გამოყენება, რაც უპირობო აუქციონის ფორმისაგან განსხვავებით, გამორიცხავს პრივატიზებული ქონების ,,დაკონსერვებას'' და ეკონომიკურ აქტივობაში მისი ჩართვის იგნორირებას, სპეკულაციური თუ სხვა მიზნებით. ამასთან, საპრივატიზებო ფორმების გამოყენების პარალელურად, უნდა გააქტიურდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი საიჯარო ურთიერთობები განსაკუთრებით მაღალი კაპიტალტევადობის საინვესტიციო პროექტებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული მიზნით, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ინვესტორების მოთხოვნებთან მიმართებით ქონების პრივატიზების და სარგებლობაში გადაცემის ფორმების ადეკვატური შერჩევა და გამოყენება, კონკრეტული საინვესტიციო პროექტის და შესაბამისი ობიექტის (ასევე მიწის დანიშნულების) სპეციფიკიდან გამომდინარე. მხედველობაში გვაქვს აუქციონის და პირდაპირი მიყიდვის ქვეფორმები. კერძოდ, პირობებიანი აუქციონისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად გამოიყენება ,,სტრატეგიულ“ საინვესტიციო ობიექტებთან მიმართებით, საიდანაც სახელმწიფო ელოდება მრავალმხრივ საინვესტიციო ეფექტებს, უპირობო აუქციონები შეიძლება გამოყენებულ იქნეს შედარებით პერიფერიულ ან მცირე საინვესტიციო ნაკვეთებთან მიმართებით და მიზნად ისახავდეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ,,უმოქმედო აქტივების'' ეკონომიკურ ბრუნვაში პოტენციური ჩართვის უზრუნველყოფას. რაც შეეხება პირდაპირ მიყიდვას კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე ალტერნატიული საინვესტიციო პროექტის შემთხვევაში მათ ,,ფილტრაციასკკ, იგი შედარებით იშვიათად გამოყენებადია, რადგან ერთ საინვესტიციო ობიექტთან ხშირად პრაქტიკულად მიბმულია ერთი საინვესტიციო პროექტი, განსხვავებით პირადაპირი მიყიდვისაგან, რაც ძირითადად სამთავრობო ექსკლუზიური უფლებაა, თუმცა მისი კანონისმიერი ფორმულირება, ვფიქრობთ, დასახვეწია. კერძოდ, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის მიხედვით, ,,სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზანია, საკუთრების უფლება გადაე-

ცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით დადგენილ პირობას (პირობებს)კკ [5, მუხლი 10.1]. ჩვენი აზრით, უმართებულოდ მიგვაჩნია სამომავლოდ სათუოდ შესასრულებელი ქმედება გახდეს აწმყოში მისაღები გადაწყვეტილების საფუძველი და, ამავე დროს, მისი გამოყენება მიზანშეწონილია დაკავშირებული იყოს წინასწარ შერჩეულ გარკვეულ მკაფიო კრიტერიუმებთან (მაგალითად, ,,სტრატეგიული მნიშვნელობის'' საინვესტიციო ობიექტი, ,,განსაკუთრებული მნიშვნელობის'' ინვესტიცია და სხვა).

საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების მიზნით, პრივატიზაციის პროცესთან ერთად, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ე.წ. პირობებიანი საინვესტიციო პროექტების სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების კონტროლს, რაც პრაქტიკაში საინვესტიციო ხელშეკრულებათა მონიტორინგის სახელწოდებით არის ცნობილი და გარკვეულწილად წარმოადგენს საპრივატიზებო/საიჯარო პროცესის გაგრძელებას. საინვესტიციო პირობების გადახედვის თვალსაზრისით, შეიძლება ადგილი ქონდეს, დასაბუთებული აუცილებლობიდან გამომდინარე, ინვესტორთან მიმართებით, საუკეთესო შემთხვევაში, საინვესტიციო პირობების შეცვლას ან, უარეს შემთხვევაში, პირობების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული სანქციებისაგან გათავისუფლებას. თავის მხრივ, საინვესტიციო-საპრივატიზებო პირობების შეცვლა შეიძლება განპირობებული იყოს საინვესტიციო ვადების გაგრძელების აუცილებლობით, ინვესტორის მხრიდან დამატებითი მიწის ნაკვეთის მოთხოვნით ან სხვა ფაქტორებით, რაც უნდა წყდებოდეს საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით. შედარებით დელიკატურ საკითხს კი ინვესტორთა დაკისრებული სანქციებისაგან გათავისუფლება წარმოადგენს, რაც უნდა ეყრდნობოდეს სამართლიან მიდგომასთან ერთად, გადაწყვეტილების მიმღებ უფლებამოსილ პირთა ობიექტურ მიდგომასაც და ამოდიოდეს, კონკრეტული საინვესტიციო პროექტების სტიმულირების გზით, სამომავლო საინვესტიციო ეფექტების გენერირების ამოცანიდან, სახელმწიფო ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. ამასთან, საინვესტიციო მონიტორინგის მიზანს, ჩვენი აზრით, არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტის მიმდინარეობისა და პირობების შესრულების ,,ტექნიკურიკკ კონტროლი, არამედ ქონების მმართველი სუბიექტი და, ზოგადად, სახელმწიფო ასევე დაინტერესებული უნდა იყოს საინვესტიციო პროექტების ,,პოსტაუდიტით'', ანუ თუ რა მაკროეკონომიკური ეფექტები მოუტანა პრივატიზების პროცესმა და მასზე მიბმულმა კონკრეტულმა საინვესტიციო პროექტებმა ქვეყანას, კონკრეტულ რეგიონს თუ თვითმმართველ ერთეულს [1, გვ. 55-60], რამდენად ჰქონდა ადგილი პოსტსაინვესტიციო აქტიურობას რეინვესტირების თვალსაზრისით, რამდენად მივიდა კონკრეტული საინვესტიციო პროექტი განხორციელების ფაზამდე და მიღწეულ იქნა თუ არა წინასწარ ნავარაუდევი ეფექტიანობა. აღნიშნული თვალსაზრისით, უნდა გააქტიურდეს პოსტსაინვესტიციო საქმიანობა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ე.წ. პოსტპრივატიზაციული კვლევები.

საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისათვის, პრივატიზაციის თვალსაზრისით, ასევე აქტუალურ საკითხად რჩება საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციის საკითხი პრივატიზაციის ტემპების კონტექსტში, რაც კომპლექსური ფენომენია [4, გვ. 81-82]. აქ, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ პრივატიზებისადმი, როგორც დელიკატური და თანმიმდევრული პროცესისადმი, ,,აგრესიულ'' მიდგომას, თუმცა, მიზანშეწონილია, ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკის მოცემული ფაზის გათვალისწინებით, სახელმწიფომ მმართველობის ყველა დონეზე უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვის შეუქცევადი პროცესის დაჩქარება, რაც საშუალებას მისცემს მას, გამოუყენებელი აქტივების ამოქმედების გზით, ხელი შეუწყოს კერძო სექტორს უფრო მეტი დამატებული ღირებულების შექმნაში, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოს საშუალოვადიან პერსპექტივაში პრივატიზების პროცესის ,,მილევადობა'' და ,,წერტილოვან'' პრივატიზებაზე გადასვლა (რაც აპრობირებული დასავლური პრაქტიკაა) [2, გვ. 16-17], ცალკეულ შემთხვევებში საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, უკან დაბრუნებული ქონებრივი აქტივების ხელახალი გაყიდვის, ანუ ,,მეორადი" პრივატიზაციის გზით. აღნიშნული თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი და არაეფექტიანად ფუნქციონირებადი საწარმოებში სახელმწიფო წილებისა და აქციების პრივატიზებას და ლიკვიდაცია-გაკოტრებას დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ შესაბამისი კანონისმიერი ღონისძიებების დროულ გატარებას.

საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის ურთიერთმიმართების კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხს ასევე მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების დაბალანსების სა-

კითხი წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას მსხვილი საინვესტიციო პროექტების განხორციელე-ბის პროცესში მისაღები გადაწყვეტილებებისას ვლინდება. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია დიდი ოდე-ნობის საპრივატიზებო საფასურის გადახდის მომენტთან, რაც სახელმწიფოსთვის (შესაბამისი დონის ბიუჯე-ტისათვის) მოკლევადიან ფისკალურ წყაროს, ხოლო ინვესტორისათვის, მისი თანდათანობითი გადახდის შემთხვევაში, საინვესტიციო აქტიურობის დამატებით წყაროს წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ის გარე-მოება, რომ საპრივატიზებო საფასურის გადახდის ფორმები და ვადები კანონით არის განსაზღვრული [5. მუხლი 19], რაც ითვალისწინებს შესაბამისი საფასურის როგორც ერთიანად, ასევე განვადებით გადახდას. სა-ინვესტიციო პროექტის სპეციფიკურობის და საინვესტიციო პროცესის გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდი-ნარე, განსაკუთრებით პირობებიანი აუქციონისა და ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმების გამოყენებისას, შესაბამისმა უფლებამოსილმა საპრივატიზებო ორგანოებმა მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ ინვესტორთა ინტერესები საპრივატიზებო საფასურის თანდათანობითი დაფარვის ოპტიმალური გრაფიკის გამოყენებით გრძელვადიანი საინვესტიციო დინამიზმის სტიმულირების მიზნით, მოკლევადიანი ფისკალური მიზნების საპირისპიროთ, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტორებს საინვესტიციო რესურსის გამოყენებაში, ხო-ლო შესაბამის ბიუჯეტებს საპრივატიზებო შემოსავლების გრადუალურ მობილიზებაში.

განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მსხვილი მიწის ნაკვეთე-ბის საინვესტიციო მიზნებისთვის გამოყენების საკითხი. აღნიშნული თვალსაზრისით, შესაბამისმა სახელმწი-ფო საინვესტიციო პოლიტიკის გამტარებელმა სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს კომპლექსური ან სელექციუ-რი მიდგომა, კერძოდ: 1. მსხვილი ტერიტორიების სიდიდის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოახდინოს მა-თი ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა, შესაბამისი კვლევის საფუძველზე შექმნას გამართული საინვესტიციო კონცეფცია და მოიწვიოს პოტენციური ინვესტორები ინტერესთა გამოხატვის გზით, რაც შექმნის საფუძველს მოცემული საინვესტიციო ნაკვეთის კომპლექსურ-ინტეგრალური გამოყენებისა და დატვირთვისათვის; 2. მსხვილი საინვესტიციო არეალის გამოუყენებლობის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლოა მოხდეს მისი ,,დანაწევრება'' მცირე საინვესტიციო ნაკვეთებად, შესაბამისი მინიმალური ინფრასტრუქტურის უზრუნველ-ყოფით, რაც ერთი მხრივ გაზრდის აქტივის საბაზრო ღირებულებას, ხოლო მეორე მხრივ აამაღლებს მის საინ-ვესტიციო მიმზიდველობასაც.

ამრიგად, როგორც საინვესტიციო და საპრივატიზაციო პოლიტიკის ურთიერთმიმართების ზემოთ გან-ხილული ასპექტები ცხადყოფს, საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის მიღწევაში საპრივატიზაციო პო-ლიტიკის ქმედითი მექანიზმის გამოყენება ქვეყნის გარდამავალი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გრძელვადიანი გადასვლის პროცესის განუყოფელი ნაწილია. უფრო მეტიც, სახელმწიფო საინვესტიციო პო-ლიტიკა, შიდა და უცხოური საინვესტიციო ტრენდული ნაკადების მოძრაობის კონტექსტში, დაფუძნებულია საპრივატიზაციო პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და მიდგომებზე, ხოლო თავის მხრივ საპრივატიზაციო პო-ლიტიკის მასშტაბები და ტემპები განპირობებულია საინვესტიციო გარემოს შესაბამისი მიმზიდველობითი და აქტივობითი დეტერმინანტებით. ამდენად, საინვესტიციო-საპრივატიზაციო პოლიტიკა ქვეყნის საფინან-სო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთიან ქსოვილად შეიძლება განვიხილოთ, რომლებიც მჭიდროდ კორელირე-ბენ და, ამავე დროს, აპირობებენ ტრანზიტული ეკონომიკური პროცესების დინამიზმს.

ლიტერატურა:

1. Privatizatin: Successes and Failures, Edited by Roland G., Foreword by Stiglitz J. 2008. New York, "Columbia University Press'', 231 p.
2. პავლიაშვილი ს. 2009. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბ., ,,ტექნიკური უნივერ-სიტეტი'', 149 გვ.
3. ჯიბუტი ა. 2012. სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგები საქართველოში. თბ., ,,დარბეგი'', 113 გვ.
4. ბახტაძე ლ. 2009. გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები. თბ., ,,დარბეგი'', 155 გვ.
5. საქართველოს კანონი ,,სახელმწიფო ქონების შესახებ''.

# Towards the Correlation Issue between Investment and Privatization Policies

Besik Bolkvadze

*PhD in Economics, Associate Professor*
*Batumi Shota Rustaveli State University*

**R e s u m e**

The work is dedicated to the correlation issue between investment and privatization policies, where the role of investment policy and the importance of privatization policy are given, regarding the privatization process investors behavior determinants are discussed, forms of privatization and their effectiveness are analyzed, significance of post-investment and post-privatization activities is reasoned, Brown-field and Green-field investments and the PPI model are also characterized. The article encompasses some respective recommendations, which, as the author suggests, will help policy implementation persons at state, regional and local governmental levels.

***Keywords: investment policy; Privatization; Property manager; Privatization Forms; Privatization fee Investment Monitoring; Investment Infrastructure; State-Private Partnership Investment Model.***

# საუნივერსიტეტო სისტემის ახლებური გააზრების ზოგიერთი ასპექტის შესახებ

**ინეზა გაგნიძე**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სალხელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში განხილული განვითარებული ქვეყნების მეცნიერთა ნაშრომები ადასტურებს, რომ სამეწარმეო უნივერსიტეტების ფორმირება მეტნაკლები წარმატებით დაწყებულია მრავალ ქვეყანაში. დასაბუთებულია ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც სამეწარმეო უნვერსიტეტი ზემოქმედებს რა მის გარშემო არსებულ კლასტერსა და პორტერის ალმასის მოდელზე, იმავდროულად უშუალო ზეგავლენას ახდენს ბიზნესის ნაციონალურ გარემოზე და შედეგად - მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე.*

*საკვანძო სიტყვები: სამეწარმეო უნივერსტეტი, კლასტერი, კონკურენტუნარიანობა.*

ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპები და ციფრული ერა განათლების სისტემას განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე აყენებს. აღნიშნული სირთულეების გადალახვა კი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება უნივერსიტეტების საქმიანობის ეფექტიანობას.

ზოგადად, უნივერსიტეტებმა განვითარების რამდენიმე საფეხური გაიარეს. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მათი როლი და მისია. XX საუკუნის ბოლოს გაჩნდა ახალი ტემინი „სამეწარმეო უნივერსიტეტი“. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება სხვა სახელწოდებებიც, ტექნოლოგიის გადაცემის უნივერსიტეტი, ინოვაციური უნივერსიტეტი, საბაზრო უნივერსიტეტი და ბიზნეს უნივერსიტეტი.

ევროკომისიის მრავალ დოკუმენტსა და მისთვის მომზადებულ ანგარიშებში გაანალიზებულია ის ფაქტები, რის გამოც დღის წესრიგში დგება უნივერსიტეტების ტრანსფორმირების აუცილებლობა და შედეგად, საუნივერსიტეტო სისტემის ახლებური გააზრების აუცილებლობა.

ქვემოთ მოვიყვანთ ამ დოკუმენტებში არსებულ რამდენიმე შეფასებას, კერძოდ:

- ბიზნესში დასაქმებული მკვლევარების წილი განსხვავებულია ევროკავშირსა(ეკ) და აშშ-ს შორის, ეკ-ის 27 ქვეყანაში მკვლევართა მხოლოდ 45%-ია დასაქმებული კერძო სექტორში, მაშინ როცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი 78%-ია, ჩინეთში - 62%, ხოლო იაპონიაში - 74% [1. გვ.7];
- სამუშაო ძალაში ევროკავშირში ყოველ 100 კაცზე 6 მკვლევარია, როცა იგივე მაჩვენებელი აშშ-ში არის 9, ხოლო იაპონიაში - 11 [2, გვ.2];
- მსოფლიო რანჟირების სისტემაში 4000 ევროპული უნივერსიტეტიდან მხოლოდ 200 უნივერსიტეტია პირველ 500 უნივერსიტეტს შორის, და მხოლოდ 3 პირველ ოცეულში [2, გვ. 2];
- ევროკავშირში უმაღლეს განათლებაზე მთლიანი დანახარჯები მცირეა, საშუალოდ მშპ-ს 1,3%, როცა ეს მაჩვენებელი აშშ-ში არის 2,7%, ხოლო იაპონიაში - 1,5% [2. გვ.8];
- სუსტია უმაღლესი განათლების ინსტიტუტების კვლევითი შედეგებისა და ინოვაციური პრაქტიკის ინტეგრირება განათლებაში და საბაზრო პროდუქტებად მათი გარდაქმნის პოტენციალის გამოყენება[2, გვ.7].

თუმცა, აღვნიშნავთ იმასაც, რომ ევროკომისიის რეკომენდაციით „არ არსებობს წარმატებული უნივერსიტეტის რომელიმე ერთადერთი მოდელი, არამედ უმაღლესი განათლების ინსტიტუტები უნდა იყოს დივერსიფიცირებული. მთავარია სწორად განისაზღვროს უნივერსიტეტის როლი და სტრატეგიული პრიორიტეტები“ [2, გვ.2] მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები მიუთითებენ, რომ „საუნივერსიტეტო სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი მსოფლიო ფენომენია“ [3,გვ.121]. „ევროპის პასუხი ამ გამოწვევებზე კი არის „სამეწარმეო უნივერსიტეტი“. თუმცა, ევროკავშირში ასეთი უნივერსიტეტის ცალსახად ჩამოყალიბებული განსაზღვრებისა და კონცეფციის მოძებნა რთულია“ [4, გვ.1-2].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შეისწავლა მრავალი ქვეყნის წარმატებული სამეწარმეო უნივერსიტეტი, ასე მაგალითად, გერმანიაში განსაზღვრეს სამეწარმეო უნი-

ვერსიტეტად გარდაქმნის კრიტერიუმები: 1.მეწარმეობისთვის ხელშემწყობის სტრატეგია; 2. საფინანსო და ადამიანური რესურსები; 3. დახმარების მექანიზმები; 4. სამეწარმეო განათლება და სტარტაპების ხელშეწყობა; 5. მათი შეფასების პრაქტიკა [5,გვ.5]. აქვეა აღწერილი საფრანგეთში წარმატებული ლიონის ბიზნესის სკოლა, სადაც „წარმატების განმაპირობებელ აქტივობებში შედის სწავლება და განათლება (სემინარები, სამაგისტრო ხარისხი, სასწავლო პროგრამების გარდა დამატებითი ღონისძიებები), მეწარმეობის კვლევა, სწავლება, ინფრასტრუქტურა (ბიზნეს ინკუბატორი) და სხვა" [5 გვ.42].

ავსტრიული სამეწარმეო უნივერსიტეტები გამოიკვლიეს სპერერმა და სხვებმა [6,გვ.37] და აღნიშნეს, რომ სამეწარმეო აქტივობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია სტუდენტთა წახალისების მეთოდების ეფექტიანობა. რაითმა და ფუმ [7. გვ.5] გააანალიზეს გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტებში არსებული მდგომარეობა და აღნიშნეს, რომ სამეწარმეო შედეგების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია აკადემიური მეწარმეობისთვის სათანადო ეკოსისტემის შექმნა.

პორტუგალიის [8,გვ.171], ჰონგ კონგის [9, გვ.48], ინდონეზიის [10,გვ.46], ბრაზილიის [11, გვ.27] უნივერსიტეტების კვლევისას ავტორებმა მიუთითეს ცოდნისა და ტექნოლოგიის გადაცემის პროცესების გასააქტიურებლად სწავლების, ინფრასტრუქტურისა და სახელმწიფოს მხრიდან თანადგომის აუცილებ-ლობის შესახებ.

ევროკომისიის კომუნიკაციაში აღნიშნულია, რომ „უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შეუძლია ეკონომიკა განავითარონ იმ რეგიონებში, სადაც ისინია განლაგებული. მათ შეუძლია იმოქმედონ, როგორც ცოდნის ქსელის ცენტრი ან ადგილობრივი კლასტერის წევრი" [2, გვ.8]. განათლების ეკონომიკის ევროპელი ექსპერტების ქსელის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „1999 წელს იმ ფირმების 82%, რომლებიც საუნივერსიტეტო ლიცენზიებით საქმიანობდნენ, განლაგებული იყო იმავე რეგიონში, სადაც ეს უნი-ვერსიტეტები. 2009 წელს ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ უნივერსიტეტდამთავრებულთა 71% ბიზნესს იწყებდა იმ რეგიონში, სადაც დაიბადნენ, ხოლო თუ უნივერსიტეტიც ახალგაზრდების მშობლიურ რეგიონში იყო, მაშინ ეს მაჩვენებელი 87%-მდე იზრდებოდა" [12, გვ.45-46]. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული არაფორ-მალური ცოდნის ბიზნესის ინტერესებში ჩაყენებაცაა.

იმის დასაბუთებას, რომ სამეწარმეო უნივერსიტეტი ზემოქმედებს მიკროეკონომიკის კონკურენტუ-ნარიანობაზე, შევეცდებით მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშსა და ცნობილი მეცნიერების ნაშრომებზე დაყრდნობით.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისთვის კლასტერებისა და სამეწარმეო უნივერსიტეტის ურთიერთზეგავლენის შესახებ მსჯელობას დავიწყებთ ო. სოლველისა და მ. ვილიამსის ნაშრომის განხილვით. ავტორებმა გამოავლინეს კლასტერის წევრებს შორის შვიდი ნაპრალი, კერძოდ, ხუთი შიდა და ორი გარე. კლასტერის შიგნით არსებული ნაპრალებია: 1. კვლევითი ნაპრალი ფირმებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის; 2. საგანმანათლებლო ნაპრალი ფირმებსა და საგანამნათლებლო ორგანიზაციებს შორის; 3. კაპიტალის ნაპრალი ფირმებსა და საგანამნათლებლო ორგანიზაციებს შორის; 4. სამთავრობო ნაპრალი ფირმებსა და საჯარო ორგანიზაციებს შორის; 5. ფირმებს შორის ნაპრალი კლასტერის წვერ ფირმებს შორის. ხოლო გარე ნაპრალებია: 1. კლასტერებს შორისი ნაპრალი ფირმებსა და სხვა კლასტერებს შორის; 2. გლობალური ბაზრის ნაპრალი, რომელიც აბრკოლებს ურთიერთობას გლობალურ ბაზრებთან [13,გვ.22]. ნახაზზე 1 წარმოდგენილია კლასტერში არსებული ეს ნაპრალები.

მეორე მხრივ, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ სამეწარემო უნივერსიტეტზე, რომლის ფორმირება იწყება „განათლება, მეცნიერება, ბიზნესის" ერთ სივრცეში გაერთიანებით, რაც არის ცოდნის სამკუთხედის მხარეები. ამ სამ მხარეს შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბებით, უნივერსიტეტების საერთაშორისო კვლევებსა და პროექტებში ჩართვით გადაილახება ის 7 ნაპრალი, რომლებიც უკვე ჩამოვთავლეთ. ეს პროცესი გამოსახულია ნახაზზე 2 არსებული წყვეტილი მოხაზულობის სამკუთხედებისა და გლობალურ ბაზრებსა და სხვა კლასტერს შორის კავშირით.

მსჯელობის გაგრძელების მიზნით გვსურს შევეხოთ ო. სოლველის კიდევ ერთ ნაშრომს, სადაც ის აანალიზებს კლასტერების განვითარების საფეხურებს და აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი კლასტერი გადადის დაცემის ფაზაში და შესაბამისად „მუზეუმში", ან ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი ფირმების შექმნით

გადადის „რენესანსის“ ფაზაში, სადაც ალმასის მოდელი სრულად მოქმედებს. ზოგიერთი კლასტერი სტატიკურ მდგომარეობაშია დროის ხანგრძლივ პერიოდში“ [15,გვ.75]. აღწერილი პროცესი ო. სოლველს სქემატურად აქვს გამოსახული (იხ. ნახაზი 3). ჩვენი აზრით, კლასტერის რენესანსის ფაზაში გადასვლას და ალმასის მოდელის მოკლე ვადაში სრულად ამოქმედებას იმ რეგიონში სამეწარმეო უნივერსიტეტის ჩამოყალიბება შეუწყობს ხელს.




ნახაზი 1. კლასტერის წევრებს შორის არსებული 7 ნაპრალი [14, გვ.38]




ნახაზი 2. კლასტერების ინოვაციურობის 7 ნაპრალი და მათი გადალახვის შესაძლებლობა სამეწამეო უნივერსიტეტის ფორმირებით

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამეწარმეო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალი ფირმების წარმოქმნას თავის გარშემო, რაც უნივერსიტეტეში აკადემიური მეწარმეობის სტიმულირების შედეგია.




**ნახაზი 3. კლასტერის სასიცოცხლო ციკლი და „S“ მრუდი**

ანალიზის შემდგომ ეტაპზე განვიხილავთ გლობალური კონკურენტუნარიანობის ახალ ინდექსს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის მკვლევარებმა 2008 წელს შემოიღეს. ინდექსი მათ წარმოადგინეს, როგორც მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ერთობლიობა. აღნიშნული ინდექსის გაანგარიშება მოიცავს 6 დონეს, რაც გამოსახულია სქემაზე 1 [16,გვ.55]. (შენიშვნა: ნაშრომში განხილული თემიდან გამომდინარე, სქემა 1 გამარტივებულია, მესამე დონეზე და შემდგომ, გამოსახულია მხოლოდ მიკროეკონომიკის კონკურენტუნარი-ანობის დონეები).

შეფასების მესამე დონეზე მიკროეკონომიკის მიმართულებით არსებული ინდიკატორები ეხება კომპანიების მართვისა და სტრატეგიების განვითარების ხარისხს და ნაციონალური ბიზნესგარემოს ხარისხს, რომელიც ეფუძნება მ. პორტერის ალმასის მოდელს.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. სამეწარმეო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალი ფირმების წარმოქმნას იმ რეგიონში, სადაც ის ფუნქციონირებს (ეს აღნიშნულია ევროკომისიის დოკუმენტებსა და ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში);
2. სამეწარმეო უნივერსიტეტი ხელს უწყობს რეგიონში არსებული კლასტერის გაჯანსაღებას (ეს ფაქტიც აღიარებულია ევროკომისიის დოკუმენტებსა და ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში);
3. ჩვენი აზრით, სამეწარმეო უნივერსიტეტი არის კლასტერის წევრებს შორის სოლველის და ვილიამსის მიერ გამოკვლეული 7 ნაპრალის გადალახვის საშუალება (როგორც ეს გამოსახულია ნახაზებზე 1 და 2);
4. მიგვაჩნია, რომ კლასტერში არსებული ნაპრალების გადალახვით სამეწარმეო უნივერსიტეტი ხელს უწყობს ახალი ფირმების სწრაფად წარმოქმნას ბაზარზე და კლასტერების რენესანსს. ეს განაპირობებს მ. პორტერის ალმასის მოდელის სრულად ამოქმედებას (ნახაზი 3);
5. 2008 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მკვლევარების მიერ შემოღებულ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობა დიდწილად განისაზღვრება მ. პორტერის ალმასის მოდელით. ამგვარად, სამეწარმეო უნივერსიტეტის ეფექტიანი ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მიკროეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.




**სქემა 1. გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდექსები მიკროეკონომიკის მიმართულებით**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სასურველია დავიწყოთ კვლევა საქართველოს რეგიონებში არსებული უნივერსიტეტების როლისა და მისიის ხელახალ გააზრებასა და მათ სტრუქტურაში სამეწარმეო უნივერსიტეტის მოდელის განვითარებაზე. სამცხე-ჯავახეთისა და თელავის უნივერსიტეტების სამეწარმეო შესაძლებლობების შესახებ მოსაზრებები გამოქვეყნებული გვაქვს სამეცნიერო პერიოდიკაში [17;18].

ლიტერატურა:


1. Support for continued data collection and analysis concerning mobility patterns and career paths of researchers, Deliverable 8 – Final report MORE2 Prepared for: European Commission Research Directorate-General Directorate B – European Research Area, Brussels, August 2013 https://cdn4.euraxess.org/sites/default/files/policy_library/final_report_0.pdf (29.08.2017).
2. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS Supporting growth and jobs – an agenda for the modernization of Europe's higher education systems {SEC(2011) 1063 final}. Brussels, 20.9.2011, COM(2011) 567 final. http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52011DC0567&from=EN (22.08. 2017).
3. Etzkowitz H. and Leydesdorff L. (2000) The dynamics of innovation: from National Systems and "Mode 2" to a Triple Helix of university–industry–government relations, Research Policy, ტომი 29, N.2, გვ. 109–123.
4. A Guiding Framework for Entrepreneurial Universities, European Commission, OECD Better policies for better lives, Final version 18th December 2012, https://www.oecd.org/site/cfecpr/EC-OECD%20Entrepreneurial%20Universities%20Framework.pdf 30.08.17.
5. Universities, innovation and entrepreneurship criteria and examples of good practice, OECD, 2009.
6. Sperrer, M., Muller, Ch., and Soos, J. The Concept of the Entrepreneurial University Applied to Universities of Technology in Austria: Already Reality or a Vision of the Future? *Technology Innovation Management Review,* 2016, ტომი 6, N.10, გვ.37-44.
7. Wright and Fu (2015) University Spin-outs: What do we know and what are the policy implications? Evidence from the UK, *Journal of Innovation Management,* ტომი 3, N.4, გვ.5-15.
8. Moutinho, R., Au-Yong-Oliveira, M., Coelho, A., & Manso, J. P., Determinants of knowledge-based entrepreneurship: an exploratory approach. *International Entrepreneurship and Management Journal*, 2016. ტომი 12, N.1, გვ. 171-197.
9. Sharif N. and Baak E., Mobilizing technology transfer from university to industry The experience of Hong Kong universities, *Journal of Technology Management in China*, 2008, ტომი 3, N. 1, გვ.47-65.
10. Mudde, H. L.M., Widhiani, A.P. and Fauzi A.M. (2017) Entrepreneurial University Transformation in Indonesia: A Comprehensive Assessment of IPB, GSTF Journal on Business Review (GBR), ტომი 5, N.1, გვ. 46-61.
11. Stal E., Andreassi T., Fugino A., THE ROLE OF UNIVERSITY INCUBATORS IN STIMULATING ACADEMIC ENTREPRENEURSHIP *Revista de Administração e Inovação,* ISSN: 1809-2039, 2016, ტომი 13, N.2, გვ.27-47.
12. The contribution of universities to innovation, (regional) growth and employment, EENEE Analytical Report No. 18, Prepared for the European Commission, European Expert Network on Economics of Education (EENEE), 2014, Reinhilde Veugelers KULeuven, Bruegel and CEPR *With the help of* Elena Del Rey University of Girona Revised version January 2014.
13. Solvell,O., Williams, M., Building the Cluster Commons–An Evaluation of 12 Cluster Organizations in Sweden 2005-2012. Stockholm: Ivory Tower Publishers, 2013. [Online] http://www.clusterobservatory.eu/system/modules/com.gridnine.opencms.modules.eco/providers/getpdf.jsp?uid=7a70a31d-3f8a-41c9-b415-f88e464d116a (10.06.2017).
14. Lindqvist, G., Ketels, Ch. and Solvell, O. *The Cluster Initiative Greenbook 2.0*, Published by: Ivory Tower Publishers, Stockholm, 2013. http://www.czechinvest.org/data/files/the-cluster-initiative-greenbook-3916-cz.pdf (30.08. 2017).
15. Solvell O., On Strategy & Competitiveness: 10 Recipes for Analytical Success, First edition, Stockholm: Ivory Tower Publishers & SIR., ISBN 978-91-974783-6-6 (pdf), 2015, [Online] http://www.clusterobservatory.eu/permalink/c07a-b1c4-3976-11e7-a7a3-4b82e643446b.pdf (10.06. 2017).
16. World Economic Forum; The Global Competitiveness Report 2008-2009; www.weforum.org
17. გაგნიძე ი., სამეწარმეო უნივერსიტეტი - ბიზნესის ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი IX, #3, 2016, გვ.117-129.
18. გაგნიძე ი., სამეწარმეო უნივერსიტეტი - განათლებისა და მეცნიერების ეფექტიანი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი, იგივე ჟურნალი ტომი VIII, #4, თბ., 2015, გვ. 121-133.

# On some Aspects of Rethinking the University System

Ineza Gagnidze

*Doctor of Economics, Associate Professor,*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The works of recognized scientists confirme that formation of entrepreneurial universities has started more or less successfully in many countries. On the one hand, the entrepreneurial university positively effects Porters' diamond framework. On the other hand the diamond framework is the basis of the national business environment (NBE) and a part of microeconomic competitiveness. Thus Effective functioning of entrepreneurial university is connected directly to the microeconomic competitiveness capacity of the country.

***Keywords: Entrepreneurial University, Cluster, Porters' diamond framework, Microeconomic Competitiveness***

# საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და ცხოვრების დონის მაჩვენებელთა ანალიზი

**გიორგი გაფრინდაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია ვიშეგრადის ქვეყნებში გატარებული ეკონომიკური რეფორმები და შეფასებულია ის ეკონომიკური პოლიტიკა, რასაც დღემდე იყენებენ. პოსტკომუნისტური სივრციდან აღნიშნულმა ქვეყნებმა ყველაზე წრაფად გაიარეს დემოკრატიის გზა და გაატარეს ის ეკონომიკური რეფორმები, რასაც საქართველო დღეს გადის. აქედან გამომდინარე, სტატიაში ვაანალიზებთ საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და ცხოვრების დონის მაჩვენებლებს შედარებითობის ასპექტით. სტატიაში ჩატარებული ანალიზის შედეგად დასახულია საქართველოში ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის გასატარებელი ეკონომიკური პოლიტიკა.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველო; ვიშეგრადის ქვეყნები; ეკონომიკური პოლიტიკა; ცხოვრების დონე.*

„ვიშეგრადის ჯგუფი“ მოიცავს ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ალიანსს, რომელსაც ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის, ვაცლავ ჰაველის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში. ჩამოთვლილმა ქვეყნებმა ის ეკონომიკური გზა უკვე გაიარეს, რომელსაც დღეს საქართველო გადის, ამიტომ მათი ევროპასთან ინტეგრაციის გამოცდილება საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური განვითარების კუთხით.

ვიშეგრადის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ეს მექანიზმი შეიქმნა კომუნიზმის მემკვიდრეობის დასაძლევად და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის საჭირო რეფორმების მხარდასაჭერად, შესაბამისად, ჩეხოსლოვაკიის (შემდეგში ჩეხეთი და სლოვაკეთი), უნგრეთისა და პოლონეთის კომუნისტურ-სოციალისტურ ეკონომიკების ნაცვლად საჭირო იყო ახალი, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება, რასაც მეტ-ნაკლებად გაართვეს თავი და ჩამოყალიბდნენ როგორც განვითარებული, მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები.

აღნიშნულ ქვეყნებს საქართველოსთან შედარებით ის უპირატესობაც გააჩნიათ, რომ ისინი უფრო არიან ინტეგრირებულნი დასავლეთთან, ვიდრე საქართველო, მეტად არიან დაახლოებული დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს და დაშორებული აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს, რომლებიც დღესაც კი საბჭოთა გავლენის ქვეშ არიან და ვერ მოახერხეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა.

1990-იანი წლების დასაწყისში (ტრანსფორმაციის პერიოდის დასაწყისი) ვიშეგრადის ოთხივე ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დაბალი იყო. რეცესიის ფაზა ამ ქვეყნებში ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩეოდა. ჩეხეთის რესპუბლიკაში ვარდნა 1997-1998 წლებში შეინიშნებოდა, სლოვაკეთში – 1999-2000 წლებში, ხოლო პოლონეთში – 2001-2002 წლებში. როცა განვიხილავთ პოლონეთის ეკონომიკურ განვითარებას და ამ ქვეყნის წინსვლას, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ **ლეშეკ ბალცეროვიჩი**, ეკონომიკის პროფესორი, რომელიც 1989-1991 წლებში ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი იყო მაზოვეცკისა და ბელეცკის მთავრობაში. ამ პერიოდში ბალცეროვიჩის სახელს უკავშირდება სოციალისტური ეკონომიკის კაპიტალისტურად გარდაქმნა, რომლის მთავარი მიღწევაა პრივატიზების პროცესის ეფექტიანად წარმართვა ქვეყანაში[1].

წარმოვადგენთ იმ ძირითად დასკვნებს, რაც გაკეთებულია ცნობილი მეცნიერების რომან ფრიდმანის, ჩერილ გრეის, მარკ ჰესელის და ანდრეი რაპაჩინსკის სპეციალურ გამოკვლევებში და რომელიც ეხება პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პრივატიზაციის შედეგებს. თანამედროვე სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, ავტორებმა ჩეხეთში, პოლონეთსა და უნგრეთში 1990-1994 წლებში განხორციელებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის შედეგები ერთმანეთს შეადარეს და მიიღეს კვლევების საბოლოო დასკვნები:

1. 1990-93 წლებში ამ ქვეყნების ყველა საწარმომ განიცადა ძლიერი დარტყმა, რაც სოციალისტური ეკონომიკის ლიკვიდაციითა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვით იყო გამოწვეული. მხოლოდ 1990-91 წლებში, შესწავლილ ფირმათა უმრავლესობამ, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობები 30%-ზე მეტად შე-

ამცირა. ამასთან, საანალიზო პერიოდის განმავლობაში პრივატიზებულმა ფირმებმა მიაღწიეს გაცილებით უკეთეს შედეგებს, როგორც დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდის, ასევე პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიხედვით, ვიდრე სახელმწიფო საწარმოებმა, ანუ მათ, რომელთაც არ შეეხოთ პრივატიზაცია;

2. პრივატიზებულ საწარმოებს, სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით, განსაკუთრებით დიდი უპირატესობა ჰქონდათ გასაღების ბაზრების, მათ შორის, ახალი ბაზრების მოპოვების სფეროში. შედეგად, პირველი სახის ფირმებმა წლიური ვაჭრობის მაჩვენებლები გაზარდეს 1,5%-ის ოდენობით, მაშინ როდესაც სახელმწიფო საწარმოებმა ანალოგიერი მაჩვენებლები 17,5%-ით შეამცირეს;

3. სახელწიფო საწარმოებთან შედარებით, გაცილებით მაღალი მობილურობის წყალობით, კერძო ფირმებმა შეძლეს ასევე გაცილებით უფრო დიდი და სერიოზული შედეგების მიღება შრომითი რესურსების დასაქმების სფეროშიც. სახელმწიფო საწარმოები, იმის გამო, რომ მათ არ ძალუძთ წინ აღუდგნენ წარმოების დაცემის და განსაკუთრებით, წარმოების რეალიზაციის მაჩვენებლების შემცირების პროცესებს, სხვა გზას ვერ ნახულობენ, გარდა შრომითი რესურსების ახალი და ახალი პარტიების გათავისუფლებისა. ამ მხრივ პრივატიზებული ფირმების უპირატესობა თვალსაჩინოა, რადგან საწარმოების პრივატიზაციისთანავე იზრდება დასაქმების მაჩვენებელი, რომელიც დიდწილად ანეიტრალებს აქამდე დასაქმებული ზოგიერთი მუშაკის გათავისუფლების შედეგად წარმოშობილ უმუშევრობას;

4. პრივატიზებულ ფირმათა შორის დასაქმების სფეროში ყველაზე საუკეთესო შედეგებს ავლენენ ის ფირმები, რომელთაც უცხოური კაპიტალი მოიზიდეს;

5. პრივატიზებულმა ფირმებმა, სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით, გაცილებით უკეთესი შედეგები უჩვენს ასევე შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლების მიხედვითაც, რაც აქ დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამაღლებასაც უზრუნველყოფს. აღნიშნულ კვლევებში წარმოდგენილი დასკვნები სრულიადაც არ იყო მოულოდნელი მათთვის, ვინც სწრაფ რეფორმებში, მ. შ. სწრაფ პრივატიზაციაში, ხედავდნენ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების აუცილებელ წინაპირობას და ასევე იმ უარყოფითი მემკვიდრეობის ლიკვიდაციის გზას, რაც სოციალისტურმა წარმოების წესმა დატოვა.

იმისათვის, რომ საქართველო გახდეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა, აუცილებელია, იმ გამოცდილების გაზიარება რაც გაიარა ჩეხეთმა და პოლონეთმა. დღეს საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა გავლენის ქვეშაა, ეკონომიკური მოწყობაც არის სოციალისტური, რადგან ქვეყნის აქტივების ძირითადი მესაკუთრე ჯერაც სახელმწიფოა. იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს და გაუთანაბრდეს ვიშეგრადის ქვეყნებს ამისთვის აუცილებელია ჩვენც გამოვიყენოთ მათი გამოცდილება, მოხდეს სრული განსახელმწიფოებრიობა, ეკონომიკური აქტივები რასაც დღეს სახელმწიფო ფლობს სრულად უნდა გადავიდეს კერძო სექტორში და თავისუფალი კონკურენციის პირობებში შექმნას ეკონომიკური დოვლათი, ისე როგორც ეს ხდება ჩეხეთსა და პოლონეთში, თუმცა, აღსანიშნავია რომ ამ ქვეყნებში არ მომხდარა სრული პრივატიზება, რაც კიდევ უფრო დიდ დადებით ეკონომიკურ შედეგებს მისცემდა ამ ქვეყნებს, საქართველოს კი შეუძლია რომ ეს შანსი გამოიყენოს და გახდეს განვითარებული ქვეყანა, რომელიც უკვე მაგალითის მიმცემი გახდება აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის ქვეყნებისათვის.

ქვეყნების განვითარების დონიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება, თუ შედარებითობის ასპექტით განვიხილავთ საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში ცხოვრების დონის მაჩვენებლებს.

ცხოვრების დონე დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ ფაქტორზე, როგორიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ეროვნული და ბუნებრივი პირობები. მათ შორის მთავარია ეკონომიკური ფაქტორები: ეკონომიკური ზრდა, დასაქმების დონე, სიღარიბე და სხვ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით, მოცემული ქვეყნები შევადარეთ მოსახლეობის ერთ სულზე ზე მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით (დიაგრამა 1) [2]. რეიტინგში პირველია ჩეხეთი, ხოლო საქართველო როგორც განვითარებადი ქვეყანა, ბოლო საფეხურზეა და მისი მაჩვენებელი 5-ჯერ ნაკლებია ჩეხეთის მაჩვენებელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ქვეყნების ეკონომიკურ დონესა და განვითარებას საქართველო ჯერ ვერ უახლოვდება და ამისთვის ქვეყანაში ეფექტიანი ეკონომიკური რეფორმებია გასატარებელი.

რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, აქ გვაქვს შემდეგი სურათი: საქართველო - 3.4%, სლოვაკეთი 3.4%, პოლონეთი 3.1%, ჩეხეთი 2.5%, უნგრეთი 2.0%. მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ამ ქვეყნებთან შედარებით ყველა მაღალი მაჩვენებელი აქვს, ეს იმას არ ნიშნავს რომ უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს. იმისათვის, რომ საქართველო განვითარდეს და თავისი ეკონომიკური განვითარებით გაუთანაბრდეს

როგორც ცენტრალური ევროპის ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ამისათვის აუცილებელია ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რაც შემდეგში აისახება როგორც ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდაში.

მთლიანი შიგა პროდუქტი (აშშ დოლარი) მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში, 2016 წელი [3]

დიაგრამა 1.




კიდევ ერთი მაჩვენებელი, რითაც ახასიათებენ მოსახლეობის ცხოვრების დონეს ქვეყანაში, არის გაეროს მიერ შემუშავებული ადამიანის განვითარების ინდექსი (ჰუმანური განვითარების ინდექსი), რომლის ანგარიშიც ყოველწლიურად ქვეყნდება. ადამიანის განვითარების ინდექსი იყენებს სამ ძირითად მაჩვენებელს: სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი, განათლების ინდექსი და შემოსავლების ინდექსი.

დიაგრამა 2-ში მოცემული რეიტინგით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის განვითარების ინდექსით საქართველო მაღალ განვითარებული ქვეყნების რიგშია, ის მაინც დიდად ჩამორჩება ვიშეგრადის ქვეყნებს - მოცემულ რეიტინგში პირველ ადგილზე მყოფ ჩეხეთს კი - 42 საფეხურით. ამასთან, საქართველო არის რანგით მეორე, მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში, ხოლო ვიშეგრადის ოთხივე ქვეყანა რანგით პირველ, ძალიან მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში.

ადამიანის განვითარების ინდექსი, 2016 წელი[3]

დიაგრამა 2.



შრომის ბაზარი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიკური სფეროა, მასზე უშუალოდ აისახება ეკონომიკური რეფორმების ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით ვიხილავთ უმუშევრობის მაჩვენებლებს მოცემულ ქვეყნებში.

უმუშევრობის დონე ვიშეგრადის ქვეყნებსა და საქართველოში, 2016 წელი [4]

დიაგრამა 3.




უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჩეხეთში დაფიქსირდა - 4.0%, ხოლო ყველაზე მაღალი საქართველოში. ისევე როგორც სხვა განხილულ მაჩვენებლებში, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ჩეხეთში ყველაზე უკეთესია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო საქართველო ჩამორჩება ჩამოთვლილ ყველა ქვეყანას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და დასაქმების დონის ზრდა არის ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლები. იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა განვითარდეს, აუცილებელია დასაქმების დონე გაიზარდოს ქვეყანაში. უნდა განვითარდეს კერძო სექტორი და ბიზნესი, განვითარდეს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგები, რაც მეტ ეკონომიკურ დოვლათს შექმნის ქვეყანაში, გაზრდის დასაქმების დონესა და ცხოვრების უკეთესი პირობების საწინდარი გახდება.

ქვეყანაში, სადაც უმუშევრობა მწვავე პრობლემაა, იქ მაღალია სიღარიბის დონეც, ვინაიდან დაუსაქმებელი, უმუშევარი ადამიანი სტაბილური შემოსავლის გარეშე რჩება და დამოკიდებული ხდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ შემწეობებზე, რაც უკვე მოსახლეობის გარკვეული მასის გაღატაკებასაც ნიშნავს. სიღარიბის შემცირების მთავარი ფაქტორი კი დასაქმების პრობლემის მოგვარებაა. ფაქტია, რომ საქართველოს რეალობაში ბევრია ისეთი დასაქმებული ადამიანი, რომლის შემოსავალიც არ აღემატება საარსებო მინიმუმს (სიღარიბის ზღვარს).

ცხოვრების დონის ანალიზისას აუცილებელია განვიხილოთ სიღარიბის დონე. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სიღარიბის რისკის ზღვარს მედიანური შემოსავლების 60% წარმოადგენს, ხოლო პოსტსაბჭოთა უმეტეს ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს საარსებო მინიმუმი წარმოადგენს[5].

განვითარებული ქვეყნების იმ პრაქტიკის გადმოღება, რომლითაც სიღარიბის დონეს არ ითვლიან საარსებო მინიმუმის მიმართ, საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას, რომლის მოსახლეობის ცხოვრების დონეც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ ცხოვრების დონეს, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური მაჩვენებლებით, ჩვენი აზრით, არ გამოდგება. გამართლებული იქნება მხოლოდ სიღარიბის მეთოდოლოგიურად მართებული ზღვარის დადგენა და ამ ზღვარის მიმართ სიღარიბის დონის გამოთვლა.

სიღარიბის დონე ვიშეგრადის ქვეყნებში 2016 წელი[5]

დიაგრამა 4.




როგორც უმუშევრობის დონის განხილვისას, სიღარიბის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა ჩეხეთში, ხოლო ყველაზე მაღალი - პოლონეთში. სიღარიბის დონის განსხვავებული მეთოდოლოგიით დათვლის გამო, ცხადია, მოცემული მაჩვენებლებს ვერ შევადარებთ საქართველოს.

2017 წლიდან საქსტატმა დაიწყო სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლების გამოქვეყნება, რომლის მეთოდოლოგია ეფუძნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ ,,საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდს.'' სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2016 წელს შეადგენდა 21.3%-ს (დიაგრამა 5), ხოლო წინა წელს - 20.8%-ს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სიღარიბის დონის გამოთვლის განსხვავებული მეთოდოლოგია აქვს და უფრო შერბილებულ კრიტერიუმს იყენებს, ის ბევრად მაღალია ვიშეგრადის ქვეყნებთან შედარებით და ნათლად მიუთითებს ამ ქვეყნებს შორის ცხოვრების დონის დიფერენციაციაზე.

სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში (%)[6]

დიაგრამა 5.




მოსახლეობის დიფერენციაციას ცხოვრების დონის მიხედვით კარგად ახასიათებს ისეთი მაჩვენებლების გამოყენება, როგორიცაა ლორენცის კონცენტრაციის, ჯინისა და სხვათა კოეფიციენტები. როგორც ცნობილია, თუ ჯინის კოეფიციენტი უახლოვდება ნულს, მაშინ მოსახლეობის შემოსავლებისა და დანახარჯების თანაბარი განაწილების ხარისხი იზრდება, ხოლო თუ უახლოვდება 1-ს, უთანაბრობა ღრმავდება. შემოსავლების ყველაზე უთანაბრო გადანაწილებაა პოლონეთში, ხოლო სოციალურად ყველაზე თანაბარი მდგომარეობაა სლოვაკეთში. რაც შეეხება საქართველოს, საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2016 წელს ჯინის კოეფიციენტმა შეადგინა 40,0%-ს, რაც ოთხივე ქვეყნის მაჩვენებელზე მაღალია.

შემოსავლების მიხედვით ჯინის კოეფიციენტი ვიშეგრადის ქვეყნებსა და საქართველოში, 2016 წელი[7]

დიაგრამა 6.




როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ შერჩეული მაჩვენებლების საფუძველზე ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე არის ჩეხეთში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე საქართველოში, ხოლო ინდექსებს შორის სხვაობა ნათლად გვაჩვენებს საქართველოსა და დანარჩენ ქვეყნებს შორის ცხოვრების დონეს შორის დიდ დიფერენციაციას. ჩვენ მიერ გაანგარიშებულ ინდექსს არ განვიხილავთ უნიკალურ მაჩვენებლად, რომელიც სრულად ასახავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, თუმცა, მისაღებია ცხოვრების დონის საერთო ინდექსის ამ სახით წარმოდგენა, რომელიც ახალი მაჩვენებლების დამატებით, მაჩვენებელთა ბლოკების შექმნითა და სრულყოფით მიიღებს ინდექსის სახეს, რომელიც კიდევ უფრო უკეთ წარმოგვიჩენს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის სურათს.

ვიშეგრადის ქვეყნებმა ასევე სწორი გზა აირჩიეს ევროკავშირთან ინტეგრაციის კუთხით, რაც ნიშნავს მათ დაახლოებას ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან, მეტ ინვესტიციას ამ ქვეყნებიდან და მეტ სავაჭრო ურთიერთობებს, რაც საწინდარი გახდება ეკონომიკის კიდევ უკეთ განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდისა.

ახალ წევრსახელმწიფოებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პოზიტიურ ასპექტად შეიძლება მივიჩნიოთ ფინანსური დაჩქარების პროგრამები, განსაკუთრებით – საშინაო ფინანსური სექტორის განვითარებისა და გლობალური ფინანსური ინტეგრაციისთვის. ეს განაპირობა დიდძალი უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას, ზრდასა და ეფექტიანი შიდა ფინანსური სექტორის გაფართოებას, შესაფერის მაკროპოლიტიკასა და სავაჭრო გახსნილობას, რადგანაც ამთ ხელი მიუწვდებათ უზარმაზარ ერთიან ბაზარზე. საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელმაც სტრუქტურული რეფორმების თვალსაზრისით ისეთივე პროგრესს უნდა მიაღწიოს როგორც ვიშეგრადის ქვეყნებმა, რომლებმაც მათ საკუთარი ეკონომიკა ცენტრალური დაგეგმარების მოდელიდან ბაზარზე დაფუძნებულ მოდელზე გადაიყვანეს.

ლიტერატურა:

1. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL4.1&d=HASH0128b873fbc673eda67341f2.12
2. http://statisticstimes.com/economy/countries-by-projected-gdp-capita.php
3. http://hdr.undp.org/en
4. http://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.TOTL.ZS
5. http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tessi012&plugin=0
6. http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo
7. http://ec.europa.eu/eurostat/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tessi190&plugin=1
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016.

# Economic Policy of Georgia and Visegrad Countries and Analysis of Living Indicators

Giorgi Gaprindashvili

*Ph.D in Economics, Assistant professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Presented article reviews economic reforms in Visegrad countries and evaluates economic policy which is used till present times. From post-communist countries, Visegrad Countries are the first countries that have passed the way of democracy and made economic reforms that Georgia has been going through today. Therefore, in the article, we have made analysis of economic development of Georgia and Visegrad countries and have compared living standards of these countries. As a result of the analysis in the article projected the economic policy of living standards and economic development.

***Keywords: Georgia; Visegrad Countries; Economic Policy; living standards.***

# საქართველო–ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობები პოსტსაბჭოთა პერიოდში: სტატისტიკური ანალიზი


სიმონ გელაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოსა და ინდოეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის სტატისტიკის სხვადასხვა ასპექტი, რისთვისაც გამოყენებულია 1995–2016 წლების გრძელვადიანი დროითი მწკრივები. განხორციელდა საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რანჟირება როგორც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის, ასევე საქონლის რეგისტრირებული ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის მიხედვით და დადგინდა ინდოეთის რიგითი პოზიცია. გამოვლინდა როგორც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის, ასევე ექსპორტისა და იმპორტის ტენდენციების ხასიათი და მიმართულება. ანალიზის პროცესში გაანგარიშებული იქნა აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო მაჩვენებლები. ბოლოს, სტატისტიკურად ნაჩვენებია ინდოეთის, როგორც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის, როლის ზრდა.*



*საკვანძო სიტყვები: სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი, იმპორტი, შეფარდებითი მაჩვენებლები, მატების ტემპი.*


1921–1991 წლებში საქართველო იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და მას დამოუკიდებლად არ ჰქონდა პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. 1992 წლიდან საქართველომ უკვე დაიწყო ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, მაგრამ 1995 წლამდე საგარეო ვაჭრობის შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არასრულყოფილია, რის გამოც მათი გამოყენება მეცნიერული ანალიზისა და ობიექტური რაოდენობრივი შეფასებების მიზნით, მიზანშეწონილი არ არის. ამიტომაც საანალიზო პერიოდად ჩვენ ავიღეთ 1995–2016 წლები და გამოვიყენეთ ამ პერიოდის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციის პროცესი მეტად რთული და ხანგრძლივი აღმოჩნდა, განსაკუთრებით ეკონომიკაში. ამ ქვეყნებს შორის ძველი ეკონომიკური ურთიერთკავშირების მომენტალურად გაქრობამ გამოიწვია ენერგეტიკისა და მრეწველობის საწარმოების გაჩერება, რამაც ეს ქვეყნები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩააყენა. მაგალითად, 1995 წელს საქართველოს მშპ–ის მოცულობა, 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის ნახევარიც კი არ იყო (45%) და 1990 წლის დონეს საქართველომ 16 წლის შემდეგ, ანუ 2006 წელს მიაღწია. ამდენივე დრო დასჭირდა პოსტსაბჭოთა 8 ქვეყანასაც, მათ შორის რუსეთს, უკრაინას და ა. შ. [6, გვ. 238]. ასეთმა სიტუაციამ აიძულა ისინი დაემყარებინათ სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობები როგორც ცალკეულ ქვეყნებთან, ისე საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვ.). თუ 1995 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა 67 ქვეყანასთან, 2000 წელს ეს ციფრი უკვე 102 იყო, ხოლო 2016 წელს – 135 [2, გვ. 17]. მაშასადამე, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია, რაშიც დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთდერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს [5, გვ. 315]. საინტერესო მაჩვენებელია ასევე სავაჭრო ბრუნვის მოცულობა საშუალოდ 1 ქვეყანაზე გაანგარიშებით. 1995–2016 წლებში ეს მაჩვენებელი 7,3–ჯერ გაიზარდა (1995 წელს იყო 9,6 მლნ და 2016 წელს კი 69,7 მლნ დოლარი).

ცხრილში (1) წარმოდგენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგიერთი განზოგადებული მაჩვენებელი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები*

ცხრილი 1

| წლები | საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი | საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვა, მლრდ $ | სავაჭრო ბრუნვა საშუალოდ 1 ქვეყანაზე, მლნ $ |
|---|---|---|---|
| 1995 | 67 | 0,644 | 9, 612 |
| 1996 | 84 | 0,954 | 11, 357 |
| 1997 | 95 | 1,240 | 13,053 |
| 1998 | 101 | 1,074 | 10,634 |
| 1999 | 105 | 0,928 | 8,838 |
| 2000 | 102 | 1,034 | 10,137 |
| 2001 | 110 | 1,069 | 9,718 |
| 2002 | 113 | 1,142 | 10,106 |
| 2003 | 115 | 1,603 | 13,939 |
| 2004 | 123 | 2,493 | 20,268 |
| 2005 | 126 | 3,355 | 26,627 |
| 2006 | 129 | 4,613 | 35,760 |
| 2007 | 127 | 6,444 | 50,740 |
| 2008 | 129 | 7,797 | 60,442 |
| 2009 | 128 | 5,609 | 43,820 |
| 2010 | 133 | 6,913 | 51,977 |
| 2011 | 140 | 9,259 | 66,136 |
| 2012 | 137 | 10,433 | 76,153 |
| 2013 | 136 | 10,933 | 80,390 |
| 2014 | 141 | 11,463 | 81,298 |
| 2015 | 137 | 9,505 | 69,380 |
| 2016 | 135 | 9,407 | 69,682 |

1995 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ 644 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 1996 წელს – 9,5 მლრდ, ანუ 15–ჯერ მეტი. ამავე პერიოდში ბევრად უფრო მეტად გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ინდოეთთან – 428 ათასი აშშ დოლარიდან თითქმის 100 მლნ დოლარამდე, ანუ 234–ჯერ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდოეთის წილი საქართველოს მთლიან საგარეო ვაჭრობაში ჯერჯერობით დიდი არ არის, თუმცა, მას პროგრესული ტენდენციის ხასიათი აქვს (2016 წელს მან შეადგინა 1,06 %, ნაცვლად 0,25–სა 2000 წელს და 0,65–ის 2010 წელს).

გარკვეულ ინტერესს იწვევს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, ქვეყნების რანჟირებულ მწკრივში, ინდოეთის რიგითი პოზიცია როგორც მთლიანი სავაჭრო ბრუნვის, ასევე ექსპორტისა და იმპორტის მიხედვით. ამის საილუსტრაციოდ იხ. ცხრილი 2.

1995 წელს საქართველოს 67 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მოცულობით ინდოეთი იყო 37 ადგილზე, ხოლო ექსპორტის სიდიდით კი 24 ადგილზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1995–2016 წლებში ექსპორტის მოცულობის მაჩვენებლით ინდოეთი 8–ჯერ იყო ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ოცეულში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინდოეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ამ ქვეყნის მნიშვნელობა იმითაც არის განპირობებული, რომ ინდოეთში ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 18 პროცენტი [1, გვ. 30]. ქვემოთ მოტანილი ცხრილი 3 ნათლად ახასიათებს საქართველოსა და ინდოეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას პოსტსაბჭოთა პერიოდში.

* ტექსტში მოყვანილი ყველა ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ინდოეთის რიგითი პოზიცია

ცხრილი 2

| წლები | მთლიანი სავაჭრო ბრუნვა | ექსპორტი | იმპორტი |
|---|---|---|---|
| 1995 | 37 | 24 | 45 |
| 1996 | 20 | 30 | 17 |
| 1997 | 49 | 27 | 58 |
| 1998 | 51 | 29 | 54 |
| 1999 | 44 | 40 | 40 |
| 2000 | 37 | 20 | 43 |
| 2001 | 22 | 13 | 34 |
| 2002 | 23 | 20 | 29 |
| 2003 | 20 | 14 | 28 |
| 2004 | 26 | 18 | 33 |
| 2005 | 30 | 32 | 32 |
| 2006 | 30 | 17 | 36 |
| 2007 | 29 | 23 | 30 |
| 2008 | 30 | 20 | 33 |
| 2009 | 28 | 28 | 28 |
| 2010 | 27 | 22 | 29 |
| 2011 | 23 | 20 | 26 |
| 2012 | 22 | 24 | 24 |
| 2013 | 30 | 37 | 29 |
| 2014 | 29 | 28 | 29 |
| 2015 | 28 | 28 | 28 |
| 2016 | 21 | 24 | 20 |

საქართველო-ინდოეთის სავაჭრო ბალანსის მაჩვენებლები (მლნ $)

ცხრილი 3

| წლები | მთლიანი სავაჭრო ბრუნვა | ექსპორტი | იმპორტი | სალდო |
|---|---|---|---|---|
| 1995 | 0,428 | 0,317 | 0,111 | 0,206 |
| 1996 | 8,516 | 0,189 | 8,327 | -8,138 |
| 1997 | 0,655 | 0,305 | 0,350 | -0,045 |
| 1998 | 1,116 | 0,360 | 0,756 | -0,396 |
| 1999 | 1,822 | 0,292 | 1,530 | -1,238 |
| 2000 | 2,561 | 1,320 | 1,241 | 0,079 |
| 2001 | 6,524 | 4,443 | 2,081 | 2,362 |
| 2002 | 6,315 | 2,125 | 4,190 | -2,065 |
| 2003 | 12,374 | 6,352 | 6,022 | 0,330 |
| 2004 | 11,801 | 6,028 | 5,773 | 0,255 |
| 2005 | 10,594 | 2,259 | 8,335 | -6,076 |
| 2006 | 20,522 | 8,685 | 11,837 | -3,152 |
| 2007 | 40,275 | 8,141 | 32,134 | -23,993 |
| 2008 | 39,941 | 9,089 | 30,852 | -21,763 |
| 2009 | 33,912 | 5,816 | 28,096 | -22,280 |
| 2010 | 44,818 | 12,355 | 32,463 | -20,108 |
| 2011 | 74,670 | 19,290 | 55,380 | -36,090 |
| 2012 | 89,059 | 14,941 | 74,118 | -59,177 |
| 2013 | 62,005 | 6,362 | 55,643 | -49,281 |
| 2014 | 61,227 | 10,757 | 50,470 | -39,713 |
| 2015 | 64,977 | 14,327 | 50,650 | -36,323 |
| 2016 | 99,710 | 22,201 | 77,509 | -55,308 |

როგორც ცხრილი 3–დან ჩანს, საანალიზო პერიოდში, ანუ მთელი 22 წლის განმავლობაში, საქართველოს ინდოეთთან დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა მხოლოდ 5–ჯერ (1995, 2000–2001 და 2003–2004 წლებში). დანარჩენი 17 წლის მანძილზე საქართველოს სავაჭრო ბალანსი ინდოეთთან, სამწუხაროდ, უარყოფითი იყო. ეს არასასურველი სიტუაცია მკვეთრად გამოხატულ რეგრესულ ტენდენციად ჩამოყალიბდა 2005–2016 წლებში. ამ პერიოდში მაქსიმალური უარყოფითი სავაჭრო ბალანსი იყო 2012 და 2016 წლებში, როდესაც ინდოეთიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა, შესაბამისად, 5,0 და 3,5–ჯერ მეტი იყო იმავე წლებში საქართველოდან ინდოეთში განხორციელებულ საქონლის ექსპორტზე. საერთოდ, ანომალიურად დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო საქართველოს ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემაა [4, გვ. 23].

საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში ინდოეთის ხვედრითი წონა

ცხრილი 4

| წლები | ექსპორტის მთლიანი მოცულობა, მლნ $ | ინდოეთის წილი ექსპორტში,% | იმპორტის მთლიანი მოცულობა, მლნ $ | ინდოეთის წილი იმპორტში, % |
|---|---|---|---|---|
| 1995 | 155 | 0,21 | 489 | 0,02 |
| 1996 | 203 | 0,09 | 751 | 1,11 |
| 1997 | 244 | 0,13 | 995 | 0,04 |
| 1998 | 191 | 0,19 | 883 | 0,09 |
| 1999 | 238 | 0,12 | 690 | 0,22 |
| 2000 | 324 | 0,41 | 710 | 0,18 |
| 2001 | 317 | 1,40 | 752 | 0,28 |
| 2002 | 346 | 0,61 | 795 | 0,53 |
| 2003 | 461 | 1,38 | 1139 | 0,53 |
| 2004 | 647 | 0,93 | 1844 | 0,31 |
| 2005 | 866 | 0,26 | 2488 | 0,34 |
| 2006 | 936 | 0,93 | 3675 | 0,32 |
| 2007 | 1232 | 0,66 | 5212 | 0,62 |
| 2008 | 1495 | 0,61 | 6302 | 0,49 |
| 2009 | 1134 | 0,51 | 4476 | 0,63 |
| 2010 | 1677 | 0,74 | 5236 | 0,62 |
| 2011 | 2186 | 0,88 | 7072 | 0,78 |
| 2012 | 2377 | 0,63 | 8056 | 0,92 |
| 2013 | 2910 | 0,22 | 8023 | 0,69 |
| 2014 | 2861 | 0,38 | 8602 | 0,59 |
| 2015 | 2205 | 0,65 | 7300 | 0,69 |
| 2016 | 2113 | 1,05 | 7294 | 1,06 |

გრძელვადიან პერიოდში საქართველოსა და ინდოეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა არ არის სტატისტიკურად სტაბილური და მას ცვალებადი ხასიათი აქვს. ცვლილების არათანაბარი სიჩქარე ნათლად დასტურდება ჩვენ მიერ გაანგარიშებული სავაჭრო ბრუნვის მოცულობის წლიური მატების ტემპებით (იხ. ცხრილი 5).

როგორც ცხრილი 5–დან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობის მატების ტემპი უფრო მაღალია ინდოეთთან, ვიდრე მთლიანად მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან. ასე, მაგალითად, 2006–2016 წლებში საქართველო–ინდოეთს შორის ვაჭრობის საშუალოწლიური მატების ტემპმა შეადგინა 52,51%, ხოლო მთლიანად ყველა ქვეყნის მიხედვით კი 22,21%, ანუ ბევრად (2,4–ჯერ) უფრო ნაკლები. ეს მაჩვენებლები იმაზე მიუთითებენ, რომ საქართველოსთვის ინდოეთი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა ხდება.

საქართველო–ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობის სტატისტიკური კვლევა მოიცავს ასევე ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი თანაფარდობის ანალიზს. მომდევნო, მე–6 ცხრილში წარმოდგენილია სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წონა (%).

მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და ინდოეთთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მოცულობის წლიური მატების ტემპები (%)

ცხრილი 5

| წლები | საქართველო და მსოფლიო | საქართველო და ინდოეთი |
|---|---|---|
| 1995 | 41,02 | 32,31 |
| 1996 | 48,14 | 1889,72 |
| 1997 | 29,98 | –92,31 |
| 1998 | –13,39 | 70,38 |
| 1999 | –13,59 | 63,26 |
| 2000 | 11,42 | 40,56 |
| 2001 | 3,39 | 154,74 |
| 2002 | 6,83 | –3,20 |
| 2003 | 40,37 | 95,95 |
| 2004 | 55,52 | –4,63 |
| 2005 | 34,58 | –10,23 |
| 2006 | 37,50 | 93,71 |
| 2007 | 39,69 | 96,25 |
| 2008 | 21,0 | –0,83 |
| 2009 | –28,06 | –15,09 |
| 2010 | 23,25 | 32,16 |
| 2011 | 33,94 | 66,61 |
| 2012 | 12,68 | 19,27 |
| 2013 | 4,79 | –30,38 |
| 2014 | 4,85 | –1,25 |
| 2015 | –17,08 | 6,13 |
| 2016 | –1,03 | 53,45 |

საქართველო–ინდოეთის სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წონა (%)

ცხრილი 6

| წლები | ექსპორტის წილი | იმპორტის წილი |
|---|---|---|
| 1995 | 74,07 | 25,93 |
| 1996 | 2,22 | 97,78 |
| 1997 | 46,57 | 53,43 |
| 1998 | 32,26 | 67,74 |
| 1999 | 16,03 | 83,97 |
| 2000 | 51,54 | 48,46 |
| 2001 | 68,10 | 31,90 |
| 2002 | 33,65 | 66,35 |
| 2003 | 51,33 | 48,67 |
| 2004 | 51,08 | 48,92 |
| 2005 | 21,32 | 78,68 |
| 2006 | 42,32 | 57,68 |
| 2007 | 20,21 | 79,79 |
| 2008 | 22,76 | 77,24 |
| 2009 | 17,15 | 82,85 |
| 2010 | 27,57 | 72,43 |
| 2011 | 25,83 | 74,17 |
| 2012 | 16,78 | 83,22 |
| 2013 | 10,26 | 89,74 |
| 2014 | 17,57 | 82,43 |
| 2015 | 22,05 | 77,95 |
| 2016 | 22,27 | 77,73 |

როგორც ცხრილი 6–დან ჩანს, საქართველოსა და ინდოეთს შორის ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წონების ცვლილების გრძელვადიან ტენდენციებს ურთიერთსაპირისპირო მიმართულებები აქვს. 1995 წელს ექსპორტის წილმა შეადგინა 74,07 %, 2000 წელს 51,54 %, 2005 წელს 21,32 % და 2016 წელს – 22,27 %. მაშასადამე, ადგილი აქვს მკაფიოდ გამოხატულ შემცირების ტენდენციას, მაგრამ მისი შემობრუნება შესაძლებელია, რადგან საექსპორტოდ ასათვისებელია ინდოეთის უდიდესი ბაზარი. გრძელვადიანი საპირისპირო ტენდენცია ჩამოყალიბდა იმპორტის წილის ცვლილებაში: 1995 წელს იმპორტის წილმა შეადგინა 25,93 %, 2000 წელს 48,46 %, 2005 წელს 78,68 % და 2016 წელს – 77,73 პროცენტი. მაშასადამე, ზრდის ტენდენცია ადვილად შესამჩნევია. რა თქმა უნდა, ექსპორტისა და იმპორტის ასეთი თანაფარდობა არასასურველია საქართველოსთვის, ხოლო ინდოეთისთვის პირიქით, სასურველია. თუმცა, მომდევნო მე–7 ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს ინდოეთთან მოსახლეობის 1 სულზე ვაჭრობის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი აქვს.

**ინდოეთთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის შეფარდებითი მაჩვენებლები**

**(მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, ათასი $)**

ცხრილი 7

| წლები | მთლიანი სავაჭრო ბრუნვა | ექსპორტი | იმპორტი |
|---|---|---|---|
| 1995 | 90 | 67 | 23 |
| 1996 | 1 794 | 41 | 1 753 |
| 1997 | 144 | 67 | 77 |
| 1998 | 249 | 80 | 169 |
| 1999 | 409 | 66 | 343 |
| 2000 | 579 | 299 | 280 |
| 2001 | 1 497 | 1 015 | 482 |
| 2002 | 1 450 | 488 | 962 |
| 2003 | 2 858 | 1 468 | 1 390 |
| 2004 | 2 730 | 1 395 | 1 335 |
| 2005 | 2 429 | 517 | 1 912 |
| 2006 | 4 666 | 1 975 | 2 691 |
| 2007 | 9 178 | 1 853 | 7 325 |
| 2008 | 9 109 | 2 074 | 7 035 |
| 2009 | 7 688 | 1 320 | 6 368 |
| 2010 | 10 065 | 2 775 | 7 290 |
| 2011 | 16 656 | 4 301 | 12 355 |
| 2012 | 19 831 | 3 328 | 16 503 |
| 2013 | 13 819 | 1 418 | 12 401 |
| 2014 | 14 926 | 2 622 | 12 304 |
| 2015 | 17 481 | 3 855 | 13 626 |
| 2016 | 26 810 | 5 968 | 20 842 |

ცხრილი 7–ის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ცვლილებების დანახვა: 1995 წელს ინდოეთთან საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით, სულ რაღაც 90 ათასი დოლარი იყო, ხოლო 2016 წელს კი ამ მაჩვენებელმა 26,8 მლნ დოლარი შეადგინა. ზრდა ნათლად შესამჩნევია (თითქმის 300–ჯერ), რაც ნებისმიერი დიდი თუ პატარა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უფრო დიდი ზრდა დაფიქსირდა საქონლის იმპორტის მოცულობის შეფარდებით მაჩვენებლებში: თუ 1995 წელს ინდოეთიდან საქართველოში იმპორტის მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით მხოლოდ 23 ათასი დოლარი იყო, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა 20,8 მლნ დოლარი შეადგინა, ანუ 906–ჯერ გაიზარდა. მაშასადამე, იმპორტის შეფარდებითი მაჩვენებელი 3–ჯერ აღემატება ექსპორტის მიხედვით გაანგარიშებულ ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც საგარეო ვაჭრობის ბალანსის მეტად დიდ დეფიციტზე მიუთითებს. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ–ერთი პრიორიტეტია [5, გვ. 199].

## დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სავაჭრო ბრუნვა. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ თუ 1995 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა 67 ქვეყანასთან, 2016 წელს მათი რიცხვი გაორმაგდა და 135 გახდა. ამან გამოიწვია ის, რომ მნიშვნელოვნად (თითქმის 15–ჯერ) გაიზარდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა.

1995–2016 წლებში ექსპორტის მოცულობის მაჩვენებლით ინდოეთი 8–ჯერ იყო ძირითადი

სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ოცეულში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინდოეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია.

საანალიზო პერიოდში, ანუ მთელი 22 წლის განმავლობაში, საქართველოს ინდოეთთან დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა მხოლოდ 5–ჯერ (1995, 2000–2001 და 2003–2004 წლებში). დანარჩენი 17 წლის მანძილზე საქართველოს სავაჭრო ბალანსი ინდოეთთან, სამწუხაროდ, უარყოფითი იყო. ეს არასასურველი სიტუაცია მკვეთრად გამოხატულ რეგრესულ ტენდენციად ჩამოყალიბდა 2005–2016 წლებში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობის მატების ტემპი უფრო მაღალია ინდოეთთან, ვიდრე მთლიანად მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან. ასე, მაგალითად, 2006–2016 წლებში საქართველოსა და ინდოეთს შორის ვაჭრობის საშუალოწლიური მატების ტემპმა შეადგინა 52,51 პროცენტი, ხოლო მთლიანად ყველა ქვეყნის მიხედვით 22,21 პროცენტი, ანუ ბევრად უფრო ნაკლები.

საქართველოსა და ინდოეთს შორის ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წონების ცვლილების გრძელვადიან ტენდენციებს ურთიერთსაპირისპირო მიმართულებები აქვს. 1995 წელს ექსპორტის წილმა შეადგინა 74,07 %, 2000 წელს 51,54 %, 2005 წელს 21,32 % და 2016 წელს – 22,27 %. მაშასადამე, ადგილი აქვს მკაფიოდ გამოხატულ შემცირების ტენდენციას. გრძელვადიანი საპირისპირო ტენდენცია ჩამოყალიბდა იმპორტის წილის ცვლილებაში: 1995 წელს იმპორტის წილმა შეადგინა 25,93 %, 2000 წელს – 48,46 %, 2005 წელს – 78,68 % და 2016 წელს – 77,73 %. ექსპორტისა და იმპორტის ასეთი თანაფარდობა არასასურველია საქართველოსთვის, ხოლო ინდოეთისთვის პირიქით, სასურველია.

საანალიზო პერიოდში (1995–2016 წლები) მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდოეთთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის შეფარდებითი მაჩვენებლები (მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით): მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მიხედვით 300–ჯერ, ხოლო იმპორტის მოცულობის შეფარდებითი მაჩვენებელი კი 906–ჯერ, რაც საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის ანომალიურ დეფიციტზე მიუთითებს.

### ლიტერატურა:


1. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. თბ., ,,მერიდიანი“, 2015, 496 გვ.
2. გელაშვილი ს. საქართველო–ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობები მე–20 საუკუნის ბოლოს და 21–ე საუკუნის დასაწყისში: ემპირიული სტატისტიკური ანალიზი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“ მასალების კრებული. თბ., 2016, გვ. 53–58.
3. მეძმარიაშვილი თ. საქართველოს საგარეო ვაჭრობა დამოუკიდებლობის 20 წლის მანძილზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და სტატისტიკა“ შრომების კრებული. თბ., ,,უნივერსალი“, 2014, გვ. 314–321.
4. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. გ. ღაღანიძე, ზ. რამიშვილი და სხვ. თბ., თსუ გამომცემლობა, 2017, 47 გვ.
5. Gelashvili, S. Georgia's economic development Priorities in beginning of XXI century. Collected articles of Russian State Humanitarian University, Moscow, 2002, pp. 197–205.
6. Mikeladze, G., Gelashvili, S. Gradualistic strategy of transition to market economy. Theoretical and Applied Economics. Vollume XXIII, 2016, No 4 (609), Winter, pp. 237-242.
7. http:// www.data.worldbank.org
8. http://www.nbg.gov.ge
9. http:// www.geostat.ge

## Georgia-India Trade Relations in the Post-Soviet Period: Statistical Analysis

Simon Gelashvili

*Doctor of economics Professor,*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The article deals with statistical aspects of trade relations between Georgia and India during the post-Soviet period, for which the long-term time series of 1995-2016 years were used. Ranking of Georgian trade partner countries was carried out according to whole trade turnover, as well as registered export and import volume of goods and established India's ordinary position. The nature and direction of total trade turnover, as well as the export and import tendencies have been identified. In the process of analysis, both absolute and relative and average indicators were calculated. Finally, there is shown statistically the increase of India’s role as an important trading partner for Georgia.

***Keywords:*** *trade turnover, export, import, relative indicators, growth rate.*

# აუდიტური საქმიანობა საზღვარგარეთის ქვეყნებში


**ნაზი გვარამია**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია აუდიტის არსი, მიზნები, როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, აუდიტის საფუძვლები, რეგულირება და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ასევე, აუდიტორული საქმიანობის გამოცდილება საზღვარგარეთის ქვეყნებში. მასში მნიშნელოვანი ადგილი ეთმობა აუდიტის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებს, წარმოდგენილია აუდიტური დასკვნის შედგენის პროცედურები, მისი სტრუქტურა, ფორმა, შინაარსი და სტატუსი. განხილულია, აგრეთვე, აუდიტის დასრულების შემდგომი ეტაპის - აუდიტური დასკვნის (აქტის, ცნობის) განხილვის, მისი გასაჩივრების პროცესი, გამოვლენილ შედეგებზე რეაგირების ფორმები და სამართლებრივი ასპექტები.*



*საკვანძო სიტყვები: აღრიცხვა; აუდიტი; სტანდარტები; რეგულირება.*


აუდიტური საქმიანობის დიდი გამოცდილება არსებობს ევროპასა და ამერიკაში, სადაც განვითარდა აუდიტის საერთაშორისო თეორია და პრაქტიკა. დღეს უკვე გვაქვს საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბებული აუდიტის კანონიერი საფუძველი, რომლის საშუალებითაც ტარდება სხვადასხვა ქვეყანაში აუდიტი. რათქმაუნდა, სპეციფიკიდან გამომდინარე, რითაც ხასიათდება აუდიტი სხვადასხვა ქვეყნაში.

ჯერ კიდევ ძველი დროის ჩინეთში, ჩჟოუს დინასტიის ეპოქაში (1122-256 წ. ჩვ. წ. აღ-მდე) აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა მოიცავდა საფუძვლიანად დამუშავებულ ბიუჯეტს და ყველა სახელმწიფო დაწესებულების კონტროლს (აუდიტს). ათენში, ძველი წელთაღრიცხვის V ს-ში, სახალხო კრება აკონტროლებდა სახელმწიფოს შემოსავალს და გასავალს, ხოლო ქვეყნის საფინანსო სისტემაში შედიოდა სამთავრობო აუდიტორები, რომლებიც ამოწმებდნენ თანამდებობის პირთა დოკუმენტებს მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ. კერძო სექტორში ქონების მეპატრონეები თვითონ ატარებდნენ თავიანთი ანგარიშგების აუდიტს. რომის რესპუბლიკაში სახელმწიფო ფინანსები სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტს ხაზინადარის მეთვალყურეობით ამოწმებდა აუდიტორთა შტატი.

რომაელებმა პრაქტიკაში დანერგეს მოვალეობათა დანაწილება, თანამდებობის პირთათვი სგანსხვავებული პასუხისმგებლობის დაკისრება: ზოგი მათგანი გადასახადებისა და დანახარჯების საქმეს უძღვებოდა, სხვები ამონაგებსა და ზეგარაზე აგებდნენ პასუხს.

ინგლისურ ენოვან ქვეყნებში ცნობა აუდიტის შესახებ და ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი სააღრიცხვო დოკუმენტია ინგლისისა და შოტლანდიის „სახაზინო არქივი“, რომელიც დათარიღებულია 1130 წლით. XIII ს-ში ცნობებია უდიტორთა და აუდიტის შესახებ გვხვდება როგორც ინგლისში, ისე იტალიაში. ხოლო ამავე საუკუნეში საფრანგეთში დაწერილი თხზულება ქონების მართვის შესახებ მეპატრონეებს ურჩევდა ყოველწლიურად ჩაეტარებინათ აღრიცხვის აუდიტი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ლონდონის სიტიში აუდიტი დანერგილი იყო უკვე 1200 წლიდან, ხოლო XIV-ეს-ის დასაწყისში თანამდებობის პირთა არჩევნებში აუდიტორის არჩევაც შედიოდა. იმ დროიდან მოყოლებული არქივებში დაგროვდა დიდძალი დოკუმენტაცია, რომელიც მოწმობს აუდიტის მნიშვნელობის ფართო აღიარებას და ადასტურებს, რომ რეგულარულად ტარდებოდა მუნიციპალიტეტების, კერძო მიწათმფლობელობისა და ხელოსანთა გილდიების ანგარიშგების აუდიტი.

ძველად დიდ ბრიტანეთში ორი ტიპის აუდიტს ატარდებდნენ. ქალაქებში აუდიტი საჯაროდ ტარდებოდა და მას მმართველი თანამდებობის პირები და მოქალაქეებ იესწრებოდნენ. აუდიტი მთავრდებოდა აუდიტორის ანგარიშის მოსმენით, რომელსაც ხმამაღლა კითხულობდა ხაზინადარი (ანგარიშის მოსმენის პრაქტიკა დაინერგა იმასთან დაკავშირებით, რომ ძველ დროში მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თვით ტერმინი „აუდიტი“ ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს და მოსმენას ნიშნავს). ანალოგიური სახით ტარდებოდა გილდიების აუდიტის მოსმენა მისი წევრების თანდასწრებით. XVI საუკუნის

დასაწყისისათვის ქალაქების აუდიტორებმა დაიწყეს თავიანთ ანგარიშებში ასეთი ტიპის შენიშვნების ჩართვა: „მოსმენილია ქვემორე ხელისმომწერი აუდიტორების მიერ“. [1,გვ.14]. ასეთი იყო აუდიტორული დოკუმენტის პირველადი ფორმა. აუდიტის მეორე ტიპი წარმოადგენდა მსხვილი მამულების ფინანსურ მმართველთა საგადასახადო ანგარიშების დეტალურ შემოწმებას „დებეტისა და კრედიტის“ მიხედვით, რომელიც მთავრდებოდა `აუდიტორული დეკლარაციით, ე.ი. ზეპირი ანგარიშგებით მამულის მეპატრონისა და მმართველთა საბჭოს წინაშე. აუდიტორი, ჩვეულებრივ ამ საბჭოს წევრი იყო და, ამრიგად, თანამედროვე შიდა აუდიტორის წინამორბედად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

აუდიტის ორივე ტიპი, რომლებიც ტარდებოდა დიდ ბრიტანეთში თითქმის XVIII საუკუნემდე, პირველ რიგში იმისკენ იყო მიმართული, რომ უზრუნველყოს ახელმწიფო და კერძო თანამდებობის პირთა ანგარიშგება მათ გამგებლობაში არსებულ საშუალებებზე. ამ სახეობათა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენდა გაანგარიშებათა ხარისხის შემოწმება, თუ არ ჩავთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა უზუსტობები მოტყუების მცდელობას უკავშირდებოდა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1600 წლიდან 1800 წლამდე პერიოდში, როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა ქალაქების ზრდა, მრეწველობისა და ვაჭრობის გაფართოება, – ახალი მოთხოვნები წაუყენა სააღრიცხვო საქმეს. ყურადღების ცენტრში მოექცა ქონებაზე საკუთრების უფლება და მოგება-დანაკარგის კალკულაცია, ამ სიტყვის ეკონომიკური აზრით. აუდიტმაც თანდათან იცვალა სახე და მოსმენის პროცესიდან წერილობითი დოკუმენტაციის დაწვრილებით ანალიზად და დამამტკიცებელი მოწმობის კვლევად იქცა. XVII საუკუნის ბოლოს შოტლანდიაში მიღებულ იქნა პირველი კანონი ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის ქალაქის აუდიტორად მუშაობის აკრძალვის შესახებ. ამით დასავლეთის სამყაროში შემოღებულ იქნა თანამედროვე ცნება – აუდიტორის დამოუკიდებლობა.

აუდიტორული პრაქტიკის ასეთი პროგრესის მიუხედავად, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იქცა პროფესიონალი აუდიტორი საქმიანი სამყაროს ორგანულ ნაწილად. ეს დაკავშირებული იყო რკინიგზების მშენებლობასთან, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სააქციო საზოგადოებების მომრავლებასთან. სარკინიგზო ტრანსპორტი ერთ-ერთი პირველი დარგია აშშ-ში, რომელმაც შექმნა შიდა აუდიტორების სამსახური. XIX საუკუნის დასასრულს ე.წ. გამსვლელი აუდიტორები უკვე მუშაობდნენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ სატრანსპორტო სააგენტოებში იმ მიზნით, რომ შეეფასებინათ ანგარიშგების სისტემა და ქონებაზე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა.

XX საუკუნის მიჯნამდე გარე აუდიტი აშშ-ში ინგლისური მოდელის მიხედვით იყო აგებული. მასში იგულისხმებოდა საბალანსო მონაცემთა დეტალური გამოკვლევა. აუდიტორის სამუშაო დროის სამი მეოთხედი საბუღალტრო წიგნების შედგენასა და გაანგარიშებებზე იხარჯებოდა. ამერიკაში არ არსებობდა კანონით დადგენილი მოთხოვნები აუდიტორის მიმართ და შემოწმება სუმეტეს შემთხვევაში ახორციელებდნენ აშშ-ს ფირმებში ინგლისიდან ინგლისელი ინვესტორების მიერ გამოგზავნილი აუდიტორები, რის გამოც ესპროფესია თავიდან ნელა ვითარდებოდა.

ამერიკული აუდიტი თანდათანობით „ტესტურ აუდიტში“ გადაიზარდა, როდესაც სწრაფად განვითარებადმა ამერიკულმა ბიზნესმა საკმარისად აითვისა აუდიტის პროცედურები, ამერიკელმა ბიზნესმენებმა ჩათვალეს, რომ შემოწმების ბრიტანული სტილი მეტისმეტად ბევრ დროსა და საშუალებებს მოითხოვდა. გარდა ტესტირების მეთოდისა, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა, აუდიტორებმა დაიწყეს იმ ფორმათა და საქმიანობის ამსახველი ცნობების შეკრება, რომლებიც მონათესავე ბიზნესთან იყვნენ დაკავშირებული. პარტნიორთა საქმიანობის ანალიზი ეხმარებოდა მათ ოპერაციების შემოწმებაში. ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინებით ამერიკელმა აუდიტორებმა მეტი ყურადღება დაუთმეს აქტივებისა და პასივების შეფასებას. ყველა ეს სიახლე ასახავდა აუდიტის ამოცანათა გაფართოებას. აუდიტი უკვე აღარ იზღუდებოდა კანცელარიული სიზუსტეების შემოწმებით, აშშ-ში ვითარდებოდა დამოუკიდებელი აუდიტი. მისი აუცილებლობა მნიშვნელოვან წილად ნაკარნახევი იყო კრედიტორების, განსაკუთრებით ბანკების მოთხოვნილებით საიმედო ფინანსურ ინფორმაციაზე, რომლის საფუძველზეც ისინი შეძლებდნენ კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

აუდიტის სტანდარტიზაციის თანამედროვე ერა დაიწყო 1939 წლიდან, როდესაც ნაფიც ბუღალტერთა ამერიკის ინსტიტუტმა დააწესა აუდიტურ პროცედურათა კომიტეტი და ამ კომიტეტმა გამოსცა აუდიტორული პროცედურის პირველი დებულება (IAP). 1973 წლამდე გამოვიდა 54 დებულება, ხოლო კომიტეტმა ამასო-

ბაში ახალი სახელწოდება მიიღო: აუდიტორულ სტანდარტთა აღმასრულებელი კომიტეტი (შემდგომში აუდიტორული სტანდარტების საბჭო), რომელმაც მოახდინა ყველა დებულების კოდიფიცირება და თავი მოუყარა მათ „‑‣–'•"†‣,' პროცედურების დებულება #1"-ის სახით, რომელიც ამჟამად მოქმედებს.

აშშ-ში, საფრანგეთ-ში, შვედეთში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საბაზრო ურთიერთობები, ცდილობენ მოამზადონ მაღალ კვალიფიცირებული აუდიტორები, აშშ-ში ბუღალტრის დიპლომის მისაღებად საჭიროა წელიწადში ორჯერ გამოცდის ჩაბარება, წერითი გამოცდით, რომელიც შედგება ოთხი ნაწილისგან: აუდიტი, ბუღალტრული პრაქტიკა, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია და სამეურნეო საქმე, გამოცდა გრძელდება 2.5 დღე. გამოცდის მსვლელობაში ადამიანმა უნდა გამოავლინოს თავისი ცოდნა პროფესიულ ეთიკაში, აუდიტორის იურიდიულ პასუხისმგებლობაში, სახელმწიფო გადასახადებში, აგრეთვე შემოსავლებში და ბუღალტრულ აღრიცხვის რაოდენობრივ მეთოდებში, ამიტომაც გამოცდას გადიან მხოლოდ ჩამბარებლების დაახლოებით 10%, ევროპაში კი აუდიტორად მუშაობის უფლება აქვს ადამიანს უმაღლესი განათლებით, აგრეთვე უნდა ჰქონდეს ნამუშევარი ბუღალტრად ან აუდიტის ასისტენტად 10 წელი (საფრანგეთში-15 წელი), აუდიტორად მუშაობა ეკრძალება პირებს, რომელთაც აქვთ ნასამართლეობა, ფსიქიკური დარღვევები და იმ პირებს, რომელთაც აქვთ პრობლემები ფინანსურ სფეროში. რაც შეეხება ჩვენ მეზობელ ქვეყანას რუსეთს, აქ სიტუაცია განსხვავდება, რადგან საბჭოთა რესპუბლიკის შემდეგ ახლად ჩამოყალიბებულ ქვეყანაში, აქ აუდიტორად მუშაობისთვის საჭიროა გაიაროს ატესტაცია და მიიღოს აუდიტორის კვალიფიციროული ატესტატი, აუდიტორი შეიძლება გახდეს პირი როგორც უმაღლესი განათლებით, აგრეთვე საშუალო განათლებით. განათლება უნდა ჰქონდე სმიღებული იურიდიული ან ეკონომიკური განხრით, თან აუდიტორად მუშაობის სტაჟი სამ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. საქართველოს მიზანია გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება და სრულყოს თავისი აუდიტორული საქმიანობა.

საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად [5]. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA) არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლება მონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს დამარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი. აუდიტორიგსერტიფიცირებული ბუღალტერია, რომელიც არის ბუღალტერთა ან-/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი, რეგისტრირებულია აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში და უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორული საქმიანობა (მომსახურება), მათ შორის, ინდივიდუალურად: აუდიტორული (აუდიტური) ფირმაგსაქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია ან სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში და აუდიტორულ საქმიანობას(მომსახურებას) ახორციელებს გარიგების პარტნიორის (პარტნიორების) მეშვეობით: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – პროფესიულ მომსახურებას ახორციელებს აუდიტორი-/აუდიტორული ფირმა საბუღალტრო, აუდიტორულ, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის ან სხვა, მსგავს ბიზნეს საკონსულტაციო სფეროში და რომელიც ბუღალტრულ და მასთან დაკავშირებულ უნარებს მოითხოვს: კანონმდებლობის შესაბამისად, სერტიფიცირებული ბუღალტერიარის ფიზიკური პირი, რომელიც სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის შესაბამისად სერტიფიცირებულია ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ ან სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებულია ამ კანონით და რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს: გარიგების პარტნიორიდაუდიტორი, რომელიც აუდიტორულმა ფირმამ კონკრეტული აუდიტის ჩატარებისათვის ან სხვა აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მთავარ პასუხისმგებელ პირად დანიშნა და რომელიც აუდიტორული ფირმის სახელით მოქმედებს, ან აუდიტორი, რომელიც ხელს აწერს აუდიტორულ დასკვნას ან სხვა აუდიტორული საქმიანობის(მომსახურების) განხორციელების შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს:

აუდიტორული დასკვნადაუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დოკუმენტია,რომელშიც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რამდენად არის ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით,წარდგენის შესაფერისი საფუძ-

ვლების შესაბამისად, ან უარს განაცხადებს მოსაზრების გამოთქმაზე; წარდგენის შესაფერისი საფუძვლები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელთა გამოყენება სუბიექტისათვის სავალდებულოა ან ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად[5];

➢ მარწმუნებელი გარიგება, რომლის განხორციელების შედეგად აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსახილველი საგნისადმი მესამე პირის ნდობის ხარისხის ასამაღლებლად გამოთქვამს მოსაზრებას ამ საგნის შეფასებისან/და გაზომვის შედეგის სათანადო კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

➢ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭო სამსახურთან არსებული, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოა;

➢ ბუღალტერთა ან აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია პროფესიულიო რგანიზაციაა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

➢ სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანო - იურიდიული პირია, სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალისა ქართველოში, რომელიც ამ კანონის მიზნებისათვის სამსახურის მიერ აღიარებულია შესაბამის პირთა სერტიფიცირებული ბუღალტრის გამოცდების ორგანიზების განმახორციელებელ ორგანოდ.

**ლიტერატურა:**


1. მონტგომერი. აუდიტი.
2. https://matsne.gov.ge/


## Audit Practice in Foreign Countries


Nazi Gvaramia

Academic doctor of economics Associate professor

Sukhumi state university


**R e s u m e**


The paper reviews the essence of the audit, goals, the role and importance in market economy, audit basics, regulations and development prospects in Georgia as well as the audit experience in foreign countries. Significant place is given to organizational issues of audit, there are also presented the procedures for making an audit conclusion, its structure, form, content and status.

The paper also considers the next stage of completion of the audit -the review of the audit conclusion (act, recognition), the appeal process, response forms and legal aspects of the results revealed. It is argued that development of audit activities will help entrepreneurial subjects to make decisions that are justified for improvement of management processes and improvement of financial condition. Besides, development of audit activities is necessary to ensure the state interests of courts, prosecutors and investigators.

The scientific paper aims to present the perspectives of necessity and development of audit activities in modern conditions.



*Keywords: Accounting, Auditing, Standards, Regulation.*

# ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების ეფექტიანი რეალიზაციის პირობები

რევაზ გველესიანი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის შემეცნების საგანია პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა. მან, ერთიმხრივ, უნდა განსაზღვროს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, შეადგინოს პროგნოზები ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევის შესახებ. ამ გვარი ძალისხმევა მიმართულია ეკონომიკური პოლიტიკის პოზიტიური თეორიის შექმნასა და მის ემპირიულ უზრუნველყოფაზე. ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკური თეორიის გამოყენებას იმის ასახსნელად, თუ როგორც ვლინდება ნება პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სფეროებში; ეს იმას ნიშნავს, რომ ამით დახასიათებულია ,,საზოგადოებრივი არჩევანის" ან/და პოლიტიკის ეკონომიკური თეორიის კვლევის პროცესი [1,გვ.243-250]..*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევა; რჩევის მოდელები; რჩევების ბაზარი; ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილება; გადაწყვეტილების ველი; მრჩეველი; რჩევის მიმღები.*

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც წესი, გავლენას პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეცნიერული რჩევის ფორმით ახდენს. ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის რჩევებსა და ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკაში გატარებულ ღონისძიებებს შორის ხშირად მკვეთრი შეუსაბამობა არსებობს. ცენტრალური პრობლემა, რომელიც წარმოიშობა თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებში გათვალისწინებისას, ეფუძნება საბოლოოდ იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების ინტერესები ხშირად მრჩეველი ეკონომისტების ინტერესებისაგან სრულიად განსხვავდება. ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეშვეობით გამჭვირვალე გახდა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მოღვაწე პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების წინააღმდეგობრივი ქმედებები. თუმცა, ამით ეკონომიკური პოლიტიკის სოლიდურ ირეკომენდაციების რეალიზების შანსები მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა [8,გვ.36-37;39].

ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემების მეცნიერული ანალიზი საბოლოოდ უნდა ემსახურებოდეს რაციონალური პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის (ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების) ფორმირებას და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას.

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს „ანალიზისა და შეფასების სოციალურ ფრაგმენტირებას" [2,გვ.104] უწოდებენ. ამ მოდელის მიხედვით გადაწყვეტილების პროცესი მოიცავს: დიაგნოზს, პროგნოზს, პროგრამისმონახაზს, პროგრამის არჩევას (საკუთრივ გადაწყვეტილება), პროგრამის განხორციელებასა და მისი შედეგების კონტროლს. ამასთან, მთელი ეს პროცესი ანალიტიკურად მიზანშეწონილი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ელემენტების სახით წარმოგვიდგება. ასეთი ელემენტები მოიაზრება, როგორც გადაწყვეტილების მომზადების ფაზები, რომლებიც ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს და კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებების სახით გვევლინებიან.

რეალურად ეკონომიკურ-პოლიტიკურ რჩევას ინტენსიური კომუნიკაციის სტრუქტურა გააჩნია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღების რთულ პროცესთან, ვინაიდან ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემები თავისი კომპლექსურობით არც მრჩეველისთვისაა საკმარისად ხელმისაწვდომი და არც რჩევის მიმღებისათვის; მოქმედების პროგრამის აქცენტირება ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა მნიშვნელობის დასადგენად მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ამ პროცესში გადაწყვეტილების მიმღებია ჩართული. საქმე ეხება მასთან კონსულტაციებს ან/და მისი შეხედულებების გათვალისწინებას. ეს ვითარება საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი მრჩეველთა კონსულტაციებით ჩავანაცვლოთ; გადაწყვეტილებათა განხორციელება პროცესია, რომელშიც გადაწყვეტილების ველისა და მისი შეფასების შესახებ ახალი სიტუაციები და ინ-

ფორმაცია ჩნდება. შესაძლებელი და აუცილებელიცაა - რჩევების გათვალისწინებით - იმ მოქმედებების გამოსწორება და შევსება, რომელთა თაობაზეც გადაწყვეტილება უკვე მიღებულია [12,გვ.421-422].

ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევა, როგორც მეთოდი ორიენტირებული უნდა იყოს იმ ინსტიტუტებზე, რომლებსაც ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ევალებათ. რეალურ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მათი განხორციელების ის პირობებიც, რომლებსაც მოქმედების პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოები გვთავაზობს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკურმა რჩევამ დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რომლებსაც მას მართვის შესახებ მოძღვრება უყენებს. ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული არ არის ის, რისი მეცნიერულად დამკვიდრებაც შეიძლება და ის, რაც სუბიექტურად და პოლიტიკურად ხელსაყრელია [6,გვ. 260,263,265].

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლები გასაგები გახდება რაციონალურობის, როგორც მეთოდური ნორმის დახმარებით. ამასთან, აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ცოდნა და მეთოდები. ინტერვენციის შესახებ ეკონომიკურ-პოლიტიკური მოძღვრების მთავარი საკითხის წორედ ის არის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ამ გვარი ცოდნა და მეთოდები იმ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესში, რომელიც არსებითად რაციონალურობით ხასიათდება. კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა სწორედ მათმა გამოყენებამ უნდა გააადვილოს. ამასთან, საფუძველს მოკლებულია პრეტენზია იმის თაობაზე, რომ თითქოსდა შესაძლებელი იყოს მეცნიერულად დეტერმინირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება. ამგვარი მცდელობა იმ შემთხვევაშიც კი მარცხით მთავრდება, როცა ეკონომიკურ-პოლიტიკურ მრჩეველებს თავიანთი ადრესატები ან/და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები პოლიტიკური სისტემებიდან და შესაძლო საკუთარი ინტერესებიდან განყენებულ პერსონებად წარმოუდგენიათ. ასეთი შეხედულება ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ იგი ან დემოკრატიული პროცესის მცდარ გაგებას ემყარება ან/და მთლიანად მოწყვეტილია ეკონომიკურ-პოლიტიკურ იდეათა და შეხედულებათა ფორმირების რეალურ პროცესს. ამიტომაც აუცილებელია, ცალ-ცალკე გავაანალიზოთ, როგორც დემოკრატიული პროცესი და გადაწყვეტილების მიღების წმინდა ლოგიკური საზღვრები, ისე ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების რეალიზების პირობები.

დემოკრატია, როგორც პოლიტიკური მეთოდი, არაფერს ამბობს იმ მიზნების შესახებ, რომლებიც მისი მეშვეობით მიიღწევა. მხოლოდ მაშინ, თუ მეთოდის, როგორც ასეთის, პოზიტიურ საკუთრივ ღირებულებას გავზომავთ, ამით შესაძლებელი გახდება მსჯელობა მისი მეშვეობით მიღებული შედეგების შეფასების შესახებ. აქედან გამომდინარე, არამარტო სავალდებულოა ის, რასაც უმრავლესობა წყვეტს, არამედ პოზიტიურად უნდა შეფასდეს ასეთი გადაწყვეტილების შინაარსიც [7,გვ.103]. იგივე დასკვნა გამოაქვს ყველას, ვინც დემოკრატიას მხოლოდ ნორმატიულ თეორიად კი არ მიიიჩნევს, არამედ მის პოზიტიურ ხასიათსაც აღიარებს. ერთ-ერთი ამ თეორიათაგანია ის, რომელსაც შუმპეტერი [10,გვ.397] აკრიტიკებს, როგორც „დემოკრატიის კლასიკურ მოძღვრებას“: „დემოკრატიული მეთოდი არის ინსტიტუციური წესრიგი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ახორციელებს იმით, რომ ხალხს ანიჭებს საკითხების გადაწყვეტის უფლებას; ხალხი თვითონ ირჩევს იმ პირებსაც, რომლებიც საერთო ნების განსახორციელებლად მოქმედებენ. „როცა დემოკრატია გვესმის, როგორც პოლიტიკური მეთოდი, მაშინ ასახსნელია ის თუ როგორ ემსახურება იგი ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს და ახდენს მათ ლეგიტიმაციას. იმ წინააღმდეგობის აზრით, რომელიც ინდივიდუალურ თავისუფლებასა და გარდაუვალ პოლიტიკურ ბატონობას შორის არსებობს, მნიშვნელოვანია შემდეგი დებულების გათვალისწინება: „რაკი ბატონობისა და სინამდვილის ლეგიტიმურობა - საზოგადოდ - დამოკიდებულია თანხმობის (პოლიტიკური თვალსაზრისით პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება) შესაძლებლობაზე, როგორც ბატონობა, ისე მორჩილება კარგავს თვითნებური ძალადობის ხასიათს და ყველა ინდივიდისათვის თანაბარი თავისუფლების შესაძლებლობასთან თავსებადი ხდება“ [3,გვ.276]. სხვაგვარად, დემოკრატიული მეთოდი დროსა და წარმავლობაზე გაბატონებაა, რადგან თვითონ მორჩილებაში მყოფები წყვეტენ თუ ვინ და რა ხანგრძლივობით უნდა ახორციელებდეს მას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატია თავისუფლებისათვის აბსოლუტურად უსაფრთხო პროცესია, რადგან გამორიცხული არ არის უმრავლესობის გრძელვადიანი უზურპაცია. მეორე მხრივ, არასაკმარისადაა გარანტირებული უმცირესობის უფლებები; ამიტომაც უმრავლესობის მხრიდან უმცირესობის უფლებათა დარღვევის პრევენცია ძირითადი უფლებების და მისი დაცვის მთავარი ფუნქციაა სამართლებრივ სახელმწიფოში.

პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული რჩევებით უზრუნველყოფა ადასტურებს, რომ 1. ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების ველის შესახებ ცოდნა ლოგიკური ოპერაციების საშუალებით შეიძლება ეკონომიკურ-პოლიტიკური მოქმედების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციად გარდაიქმნას; 2. დებულებები ეკონომიკურ-პოლიტიკური შეფასებების შესახებ სხვა შეფასებითი დებულებებისგან განსხვავდება. ასეთი დებულებები კი იმ შეფასებების იდენტიფიცირებად გვევლინება, რომლებიც მათ შორის არსებულ ლოგიკურ დამოკიდებულებებს განაპირობებს; 3. განსაზღვრული მეთოდების ცოდნის გაღრმავებით მიღებულმა შედეგებმა უნდა გააადვილოს რაციონალური ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. პირველი მათგანი ხასიათდება, როგორც ცოდნაზე ორიენტირებული, მეორე, როგორც ანალიტიკურ-შეფასებითი, ხოლო მესამე, როგორც გადაწყვეტილების ლოგიკასთან დაკავშირებული [12,გვ.414].

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა გავითვალისწინოთ როგორც „ფაქტობრივი," ასევე ,,პოლიტიკური" მიზანშეწონილობა. „ფაქტობრივი" მიზანშეწონილობა გულისხმობს, რომ მოქმედების შესაძლებლობათა საფუძველზე გამოყენებული ტექნოლოგია მიესადაგება გადაწყვეტილების ველს და გამოვლინდება და შემოწმდება ისეთი რელევანტური შეფასებები, რომლებიც პროგრამის მონახაზში მოხვდება [12,გვ.422]. რაც შეეხება „პოლიტიკურ" მიზანშეწონილობას, იგი მოითხოვს, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ფორმულირების პროცესში „პოლიტიკური ინსტიტუტების ფილტრის ფუნქცია" იქნეს გათვალისწინებული [9,გვ.93].

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ფილტრი მრჩეველს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებს როდი უზღუდავს. თუმცა ზოგჯერ პოლიტიკური კომპრომისის ინტერესებიდან გამომდინარე იგი იძულებულია ეკონომიკური ასპექტით „საუკეთესო გადაწყვეტილებებში" კორექტივი შეიტანოს. ამასთან ერთად, პოლიტიკური ინსტიტუტების ფილტრის ფუნქციის გათვალისწინება გულისხმობს, რომ მრჩეველი რეკომენდაციების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას ანგარიშს უწევს, რაც პოლიტიკური პროცესების კანონზომიერებებიდან გამომდინარე მოსალოდნელია.

ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების რეალიზების პირობების ზეგავლენით რაც უფრო მეტად „იხრება" მრჩეველი პოლიტიკოსისაკენ, მით უფრო იზრდება სპეციფიკური პრობლემის წარმოშობის შანსი. საქმე ეხება იმ პრობლემას, რომელიც ორგვარ შესაძლებლობას ემყარება: ერთი მხრივ, არ არსებობს კრიტიკული დისტანცია მრჩეველსა და პოლიტიკოს სშორის; მეორე მხრივ, პოლიტიკოსი მრჩევლის აბსოლუტური ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ამგვარი შესაძლებლობები არსებითია არამარტო მათთვის, ვისაც უშუალოდ ეხება გადაწყვეტილება, არამედ მათ პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნიათ [12,გვ.423].

თუ გავითვალისწინებთ, როგორც მრჩევლის, ისე რჩევის მიმღების კერძო ინტერესებს და ამ ასპექტით შევაფასებთ მათ შორის არსებულ ურთიერთობას, მაშინ რჩევის მიმღების პოზიციიდან ასეთი რამ პრობლემურია. ეს დამოკიდებულება უპრობლემო იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მრჩეველი რჩევის მიმღებს საკმარისად ობიექტური ტექნოლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფდა. მაგრამ საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური გადაწყვეტილების ველის კომპლექსურობა გასხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, ცალკეული პრობლემის შეფასებაზე არსებით ზეგავლენას ანალიტიკური ინსტრუმენტების არჩევანიც ახდენს. ამ გზით ანალიზში კერძო პოლიტიკური ინტერესების ხელშემწყობი საბაზისო შეფასებები ერთვება [4,გვ.76].

ეკონომიკური პოლიტიკის თეორიაში - მიზნის რაციონალურობის, როგორც მეთოდური ნორმის დახმარებით–ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევების მიცემის ლოგიკური საფუძვლები შემუშავდა. ამ მხრივ, მალზე მნიშვნელოვანია ცოდნის ის წანამძღვრები, რომლებიც ამ რაციონალურობას თანახლავს. საქმე ეხება იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც რაციონალურობა სხვა არაფერია, თუ არა მიზნის ფუნქციის მაქსიმიზება (როგორც იმ საშუალების იდენტიფიკაცია, რომელიც ინსტრუმენტების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენების საშუალებას იძლევა). საფრთხე, რომელსაც ასეთი წარმოდგენები გადაწყვეტილების მიღების პრობლემას ფორმალური ასპექტი თუ ქმნის, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხელს უწყობს ეკონომიკაში გაურკვეველი მიზნით ჩარევებს (კონსტრუქტივისტულ ინტერვენციას) [5,გვ.127].

ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული ცოდნის დეფიციტი და გაურკვევლობა იმაზე მიუთითებს, რომ მხოლოდ შეზღუდული რაციონალურობაა შესაძლებელი [6,გვ.260]. საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილების პრობლემის შინაარსობრივი შეზღუდულობის გამო მეცნიერ-მრჩეველს

მხოლოდ ის შეუძლია, რომ არასრულყოფილად ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი საშუალებები. თანმიმდევრული და გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად ეს არც მას აფერხებს და არც რჩევის მიმღებს უშლის ხელს. დამხმარე საშუალება მხოლოდ იმ შემთხვევაში აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღებას, თუ იგი გადაწყვეტილების მიმღებს ეჭვისაგან ათავისუფლებს. მეცნიერული რჩევა უფრო მეტ შედეგს მხოლოდ მაშინ გამოიღებდა, თუ კონვერგენციის ვარაუდს ანგარიშს გავუწევდით. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის გაფართოებას ობიექტური რაციონალურობის შედეგთან თანმიმდევრული მიახლოების სახე ექნებოდა. მაგრამ ამ ვარაუდის შემოწმება შეუძლებელია, ვინაიდან ბუნდოვანია მომავლის ის მოვლენები, რომლებსაც იგი ეხება. ამიტომ გადაწყვეტილების ლოგიკაზე ორიენტირებული რჩევის შესაძლებლობები შეზღუდულია. იქედან გამომდინარე, რომ რჩევის პროცესი ყოველთვის სუბიექტურ რისკს უკავშირდება, შეუძლებელია რაციონალური გადაწყვეტილების საყოველთაო კრიტერიუმების ჩამოყალიბება, ამიტომ მრჩეველის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები შესრულების აუცილებლობით არ ხასიათდება [11,გვ.193]. მეცნიერული რჩევის ასპექტით ობიექტური რაციონალურობის ფიქტიური ხასიათის გათვალისწინება იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების ლოგიკასთან დაკავშირებული დამხმარე საშუალებები გადაწყვეტილების მომზადების შედარებით მოკრძალებულ პრინციპებსა და მეთოდებზე დაიყვანება.

მეცნიერული რჩევის მოდელის კონცეფციის შესახებ დისკუსია წინწამოსწია იურგენ ჰაბერმასმა. იგი რჩევების კონცეფციის დიფერენცირებას ახდენს იმ დიაპაზონში, რომელშიც მეცნიერი მრჩეველები პოლიტიკის მიზნებზე გავლენის მოხდენას შეძლებენ. იგულისხმება ტექნოკრატიული, დეციზიონისტური და პრაგმატული რჩევის მოდელები [8,გვ.39]. ტექნოკრატიული მოდელის მიხედვით პოლიტიკოსები საზოგადოებრივ-ეკონომიკური წესრიგის შეფასებასა და შესაბამისი ინსტრუმენტების კონცეფციას სამეცნიერო მრჩეველებს მიანდობენ. ეს გახლავთ ტიპური სიტუაციები, როდესაც მეცნიერები არამარტო მრჩეველის ამპლუაში გვევლინებიან, არამედ თავადაც წარმატებით ასრულებენ პოლიტიკოსის როლს, რაც მათ განსაკუთრებულ პროფესიულ კომპეტენციას ეფუძნება. დეციზიონისტური მოდელის შემთხვევაში კონკრეტული მიზნების ფორმულირება ხდება პოლიტიკოსების მიერ, მაშინ როდესაც მრჩეველები დასახული მიზნების განხორციელების საშუალებებს მოიძიებენ. პრაგმატული მოდელის დროს მრჩეველი პოლიტიკოსის მოთხოვნებს სრულად ემორჩილება. თუმცა მეცნიერული კონსულტაცია წინ უნდა აღუდგეს მცდარ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

კრიტიკული დისტანცია მრჩეველსა და პოლიტიკოს სშორის, უპირველეს ყოვლისა, იმ ვითარებას უკავშირდება, რომ მრჩეველი ყოველთვის განსაზღრული შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული. გარდა იმისა, რომ იგი მის მიერ გაწეული რეკომენდაციის განხორციელებას ცდილობს, გასათვალისწინებელია აგრეთვე ისეთი მატერიალური სტიმულები, როგორიცაა მაგ., სოციალური პრესტიჟი, რასაც მრჩეველის სტატუსი გულისხმობს. რა კი რჩევის მიცემის პროცესი ფორმალურად თუ არაფორმალურად ინსტიტუციონალიზებულია, ამდენად სათანადო პერსონალის მომზადების საჭიროება ყოველთვის წარმოიშობა. ამას რჩევის პროცესის ინსტიტუციური უწყვეტობის პრობლემა უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს. საქმე ეხება რჩევების ბაზრის ჩამოყალიბებას, სადაც მოთხოვნას ქმნიან პოლიტიკოსები, ხოლო მიმწოდებლებად მეცნიერები და სამეცნიერო ორგანიზაციები გვევლინებიან [6,გვ.265]. რეკომენდაცია, რომელიც მრჩეველიდან რჩევის ადრესატამდე კრიტიკულ დისტანციას გადის, საბაზრო პროდუქტს წარმოადგენს. რჩევის მიცემის პროცესი კი უამრავ მატერიალურ თუ არამატერიალურ სტიმულთან არის დაკავშირებული.

პოლიტიკის ეკონომიკური თეორია (მოთხოვნის ასპექტით) შედარებით მოკლე ვადიან პოლიტიკურ ინტერესებზეა ორიენტირებული. რაც შეეხება რჩევაზე მოთხოვნას, რომელიც საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებაზეა მიმართული, შედარებით მცირეა და მას უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს კარგად ჩანს ისეთი რჩევების მაგალითზე, რომლებიც ორიენტირებულია საბაზრო ურთიერთობათა გაფართოებაზე და იმ პრივილეგიების გაუქმებაზე, რომლებსაც სახელმწიფო (ხელისუფლება) ინტერესთა ჯგუფებს ანიჭებს [13,გვ.174].

იმ სტიმულების გარდა, რომლებიც ,,მისაღებ" რჩევებს განაპირობებს, სხვა მიზეზებიც არსებობს, რაცხელს უწყობს მრჩეველსა და რჩევის მიმღებს შორის კრიტიკული დისტანციის გაქრობას. საქმე ეხება იმ ვითარებას, როცა ორივე მათგანი თავიდან მსგავს შეფასებებს აკეთებენ ან/და როცა რჩევის პროცესში მათი შეფასებების ურთიერთ დაახლოება ხდება. ასეთი რამ შესაძლოა ხელს უწყობდეს კომუნიკაციის პროცესს და

მეცნიერულადაც გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ შეფასებები გაცნობიერებულია. ეს კი ერთობ ძნელია და იშვიათი, ვინაიდან შეფასებების მიმართ ყურადღების კონცენტრირების ეფექტი ან სულ არ არსებობს ან/და თანდათან ქრება. ასეთი ქცევით, როგორც წესი, რჩევის ხარისხი ეცემა, რაც იმაში გამოიხატება, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი (მოქმედებისათვის საჭირო) საშუალება მოქმედების სფეროდან ნაჩქარევად გამოირიცხება. ეს, რომ არ მოხდეს აუცილებელია სიტუაცია დამოუკიდებელი მეცნიერის მიერ კონტროლდებოდეს. მრჩეველსა და რჩევის მიმღებს შორის კრიტიკული დისტანციის შესანარჩუნებლად საჭიროა, რომ მასალები რჩევის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ქვეყნდებოდეს. კონტროლი აუცილებელია იმისთვისაც, რომ კონკრეტული პოლიტიკოსი მრჩეველის აბსოლუტური ზეგავლენის ქვეშ არ აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკოსის პიროვნულ თვისებებს, თუ რამდენად შესწევს მას დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი. იგი პასუხისმგებელია არა რჩევაზე, არამედ იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც დამოუკიდებლად ღებულობს. კონტროლის შესაძლებლობა გულისხმობს, რომ კონკურენციის ინსტიტუციონალიზება ეკონომიკურ-პოლიტიკურ რჩევაზე მონოპოლიას სპობს. რჩევის შედეგების გამოქვეყნების მიზანი კონკურენციის წახალისებაცაა. შესაძლებელია ეფექტიანი იყოს იმ წინადადებათა გათვალისწინებაც, რომლებსაც დამოუკიდებელი მეცნიერები აყენებენ. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამგვარი წინადადებები ლეგიტიმური უნდა იყოს რჩევის მიმღების პოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების პარლამენტებში ეკონომიკური პროფილის კომიტეტების ექსპერტთა (შესაძლებელია სხვა ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მოწვევაც) მოსმენა ამ პროცეს სხელს შეუწყობს.

მეცნიერული რჩევის ფუნქციის შესრულებისას ზოგადად საქმე ეხება პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკულ ანალიზს, რომელსაც დამოუკიდებელი მეცნიერი ატარებს. ასეთი ანალიზის საფუძველზე უმჯობესდება საზოგადოების შეფასების უნარი და პოლიტიკური კონტროლის ინსტანციის, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის მუშაობა. კრიტიკის ფუნქციას ახორციელებს ეკონომიკური პროფილის და სხვა კომიტეტები. გარდა ამისა, შესაძლებელია საერთო ეკონომიკური განვითარების შესახებ ექსპერტთა საბჭოების შეხედულებებიც იქნეს გათვალისწინებული. მსჯელობაა იმ შეხედულებებზე, რომლებიც „ეკონომიკური პოლიტიკის პასუხისმგებლობის მქონე ინსტანციების" მუშაობას ხელს უწყობს.

დამოუკიდებელ მეცნიერთა კრიტიკული შეფასებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიული განვითარების პროცესში. იგი ხელს უწყობს გადაწყვეტილების საინფორმაციო ბაზის გაფართოებას. მეცნიერებს, რომლებიც იდეოლოგიის კრიტიკის ფუნქციას ასრულებენ, დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების გაუმჯობესების საქმეში, რაც სამოქალაქო საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებს ანეიტრალებს და განვითარების პროცესს აჩქარებს.

ლიტერატურა:


1. BUCHANAN, J.M. (1987), The Constitution of Economic Policy. American Economic Review 77, p.243-250.
2. BRAYBROOKE, D. und CH.E. LINDBLOM (1963), A Strategy of Decision - Policy Evaluation as a Social Process, London. p.104, 235.
3. DAHRENDORF, R. (1958), Pfadeaus Utopia - ZueinerNeuorientierung der soiologischenAnalyse; wiederabgedruckt in ders. (Hrsg.): Gesellschaft und Freiheit - Auf dem WegzurDienstklassengesellschaft. GesammelteAbhandlungen II, Muenchen 1972. S.276.
4. ENGELHARDT, G. (1974), Politik und Wissenschaft – Versuch einer kritischen Synopse zu einem gleichnamigen Sammelband. Zeitschrift fuer Politik 21, S.76.
5. GAEFGEN, G. (1976), Politische Oekonomie und Lehre von der Wirtschaftspolitik – Zur Realisierbarkeit wirtschaftspolitischer Vorschlaege; in H. KOERNER u.a. (Hrsg.): Wirtschaftspolitik – Wissenschaft und politische Aufgabe (Festschrift zum 65. Geburtstag von Karl Schiller), Bern, S.127.
6. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. (2012).ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებთან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაბამისობა, თბილისი, გვ.260; 263; 265.
7. HAYEK, F.A. (1960), The Constitution of Liberty, Neudruck, London u.a. Widerabdruck in: BOSCH, A. und R. VEIT (Hrsg.), Hayek Gesammelte Schriften Bd. B3, Die Vefassung der Freiheit, Tuebingen 2005, S.103.
8. KLUMP, R., (2011), Wirstcahftspolitik, 2., Aktualisierte Auflage, Muenchen, S.36-37; 39.

9. MOLITOR, B. (1963), Theorie der Wirtschaftspolitik und Werturturteil. Hamburger Jahrbuch fuer Wirtschafts- und Gesellschaftspolitik 8, S.93.
10. SCHUMPETER, J. (1942), Kapitalismus, Sozialismus und Demokratie, 7. erw. Aufl.,Tuebingen u. a., 1993. S.448.
11. SCHNEEWEISS, H. (1967), Entscheidungskriterien bei Risiko, Berlin u.a. S.193.
12. STREIT, M. E. (2005), Theorie der Wirtschaftspolitik, 6. Auflage, Stuttgart. S.414; 421-423.
13. STREIT, M. E. (1983c), Zur politischen Oekonomie von Reformen wohlfahrtsstaatlicher Institutionen; in H. SIEBERT (Hrsg.): Perspektiven der deutschen Wirtschaftspolitik, Stuttgart u.a., S.174.

# Effective Realization Conditions of Economic-Political Advice

Revaz Gvelesiani

*Doctor of economics Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Reference, passing the critical distance from the advisor up to the addressee, represents the market product. Process of advising is related with lots of material or non-material stimulus. Besides those stimulus, which can condition the “acceptable” advices, there are other reasons, supporting disappearing the critical distance between the advisor and the advice recipient. The matter is about the circumstance, when both of them make similar estimations from the beginning or/and when during the process of advising interconnection of their estimation takes place. Such thing may support communication process and may be scientifically justified if the estimations are recognized. It is very difficult and rare, as effect of attention concentrating towards estimation does not exist at all or/and it disappears step by step. By such behavior, as a rule, quality of advising is dropped, what is expressed in the fact, that any important (necessary for action) means is early excluded from the acting field. To avoid this it is necessary to control the situation by the independent scientist. For maintaining the critical distance between the advisor and advice recipient it is necessary to publish the materials about ongoing process of advising. Control is useful for the concrete politician, not to happen under the absolute influence of the advisor. In this case personal characters of the politician have a great importance, how he/she can maintain his/her own independence. He/she is responsible for not his/her advice, but for that decision, which he/she takes independently

***Keywords: economical-political advice; models of advice; market of advices; economical-political decision; field of decision; advisor and advice recipient.***

# ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის

მაია გოგოხია

*ეკონომიკის დოქტორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიის მიზანია თანამედროვე ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვთარების ძირითადი ტენდენციებისა და მისი კავშირის გამოვლენა ქვეყანაში ფულადდსაკრედიტო სტაბილურობასთან ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების, საფონდო ინდექსების, ბირჟაზე მიმდინარე პროცესების, საფონდო ბაზრისა და მონეტარული პოლიტიკის ურთიერთქმედების წარმოჩენის საფუძველზე.*

*საკვანძო სიტყვები: საფონდო ბაზარი და ინდექსები; ბიჰეივორიული თეორია; საინვესტიციო საქმიანობა; მონეტიზაცია.*

### თანამედროვე გლობალური საფონდო ბაზრის სპეციფიკა

ფინანსური შუამავლობის (financial intermediation) განვითარებასთან ერთად გაჩნდა დიდი მრავალფეროვნება ფინანსური აქტივებისა, ანუ ფინანსური ინსტრუმენტებისა – აქციები, ობლიგაციები, გირავნობის სიგელები, ურთიერთფონდები, REPO გარიგებები. ეს აქტივები იყიდება (ივაჭრება) საფონდო ბაზრებზე. თანამედროვე ფინანსური სისტემა განტოტვილი ქსელია, რომელშიც სხვადასხვა ტიპის საფინანსო დაწესებულება ვაჭრობს მრავალფეროვანი ფინანსური აქტივების დიდი რაოდენობით სპეციალიზებულ ფინანსურ ბაზარზე [1, გვ. 94].

უახლოეს დრომდე აშშ-ის საფონდო ბაზარი უმსხვილესი იყო მსოფლიოში, მაგრამ ბოლო წლებში შეინიშნება სხვა ქვეყნების ფინანსური ბაზრების სწრაფი განვითარება. ამერიკელი ინვესტორები ახლა ინტერესდებიან არამხოლოდ დოუ-ჯონსის ინდექსით, არამედ, აგრეთვე, საზღვარგარეთის საფონდო ბაზრების აქციების კურსების ინდექსებით, როგორიცაა Nikkei 225 Average (ტოკიო) და Financial Stock Exchange 100 – Share Index (ლონდონი) [2, გვ. 66].

ინდექსები წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ქცევის შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ასახავს მიმდინარე მაკროეკონომკურ პროცესებს. საფონდო ინდექსები გაიანგარიშება და ქვეყნდება სხვადასხვა წყაროს მიერ (საინფორმაციო სააგენტოები, საფონდო ბირჟები). ინდექსები შემუშავებულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტისათვის, როგორიცაა: აქციები, სავალო ფასიანი ქაღალდები, უცხოური ვალუტა და ა.შ. მაგრამ ინდექსები აქციებზე (რომლებიც საფონდო ინდექსებად იწოდება) ყველაზე მეტად არის ცნობილი.

საფონდო ინდექსებისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად იმითაც არის განპირობებული, რომ ის გამოიყენება საბაზო აქტივის სახით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა ინდექსი როდი გამოიყენება ამ დანიშნულებით. მაგ., კომპანია ,,Dow Jones&C°“ კრძალავს დოუ ჯონსის სამრეწველო ინდექსის გამოყენებას ამ მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე საფონდო ინდექსების მარავლფეროვნებაა (მისი გაანგარიშების მეთოდები, კომპანიების ჩამონათვალი, რომელთა აქციებიც გამოიყენება ინდექსების გაანგარიშებისათვის, ინფორმაციის შემადგენლობა, რომლითაც ის გაიანგარიშება), ეს ინდექსები ძალზე ძლიერად კორელირებს ერთმანეთთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ კლასიკურად ქცეული საფონდო ინდექსები (DJIA, Nikkei, s&p 500, DAX-30, CAC-40, FTSE-100 და სხვ.):

- ობიექტურად ასახავს როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო საფონდო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს;
- საფონდო ბაზარი წარმოადგენს ერთიან გლობალურ სავაჭრო სივრცეს, რომელიც ემორჩილება ერთიან კანონებს და ფუნქციონირებს როგორც ერთი მთლიანი. სხვადასხვა ქვეყნის საფონდო ბაზრების დინამიკა, ზევრ შემთხვევაში განიროზებულია ყველა ბაზრისათვის საერთო პროცესებით.

დღეისათვის თავად აშშდის კაპიტალის ბაზარზე შეღწევის კარგი საშუალება ADR – ამერიკული დეპოზიტარული მოწმობა (ხელწერილი) წარმოადგენს ფასიან ქაღალდს, გამოშვებულს ამერიკული ბანკის მიერ, რომელსაც ფინანსური უზრუნველყოფის სახით აქვს უცხოური ემიტენტის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეძენილია ბანკის მიერ და ინახება ბანკ–კასტოდიანში მათი შეძენის ადგილზე [3, გვ. 220].

ამერიკელი ინვესტორი შედის კონტაქტში ბროკერთან, ვთქვათ, ნიუ–იორკის საფონდო ბირჟაზე თხოვნით ADR–ის ყიდვისა უცხოურ ფასიან ქაღალდებზე. ეს ბროკერი უკავშირდება უცხოეთის ბროკერს უცხოეთის ბაზარზე აქციების ეკვივალენტური რაოდენობის ყიდვის წინადადებით, რომელიც აინტერესებს ინვესტორს. უცხოელი ბროკერი ყიდულობს აქციებს, რაც დეპონირდება დეპოზიტარი ბანკის კასტოდიანის მიერ. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ფასიანი ქაღალდები არ კვეთს ქვეყნის საზღვრებს. შემდგომ, კასტოდიანი აკრედიტებს დეპოზიტარი ბანკის ანგარიშს და აცნობებს მას დეპოზიტისა და ADR–ის გამოშვების შესაძლებლობის შესახებ საერთაშორისო ბაზარზე. დეპოზიტარი ბანკი უშვებს ADR-ს იმ აქციათა რაოდენობის შესაბამისად, რაც წარმოდგენილია კონვერტაციისათვის და გადასცემს მათ ნიუდიორკელ ბროკერს ცენტრალური დეპოზიტარით DTC (დეპოზიტარული სატრასტო კომპანია). თავის მხრივ, DTC გადარიცხავს ADR–ს ბროკერის ანგარიშზე.

ფიქტიური კაპიტალი კონცენტრირდება როგორც ბანკებსა და სხვა საკრედიტოდსაფინანსო დაწესებულებებში, ასევე საფონდო ბირჟაზე. ბირჟაზე აქციების შესყიდვით ხორციელდება კონტროლის ფორმირება და გადანაწილება სხვადასხვა ფინანსურ ჯგუფებს შორის. დამოუკიდებელი ბროკერების გამოდევნა მსხვილი საბროკერო კომპანიების, საინვესტიციო ბანკების და ბანკირთა სახლების მიერ,ხოლო ფასიანი ქაღალდების პაკეტების ინდივიდუალური მფლობელებისა – კოლექტიურების მიერ, ნიშნავს ბირჟის მონოპოლიზაციის შემდგომ პროცესს [4, გვ. 265].

საბაზრო ეკონომიკაში საფონდო ბირჟა ასრულებს 3 მთავარ ფუნქციას: პირველი, ის ეხმარება სამეურნეო ოპერაციების მონაწილეების დაცალკევებული დანაზოგების მობილიზებაში, მეორე, ის შესაძლებლობას იძლევა ეს დანაზოგი მიმართულ იქნეს კომპანიებისაკენ საუკეთესო საინვესტიციო პერსპექტივებით, და, მესამე, ის ხელს უწყობს იმ აქტივების უფრო ეფექტიან გამოყენებას, რომლებშიც განსახიერებულია ადრე ფორმირებული დანაზოგები. ამავდროულად შთანთქმა შესაძლებელია ინტერპრეტირდეს, როგორც საფონდო ბაზრის მიერ განხორციელებული გადარჩევის პროცესის ცენტრალური ელემენტი. ზოგიერთი ავტორის მიერ ემპირიული გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გადარჩევის პროცესი, რომელიც ხორციელდება შთანთქმათა შედეგად, დამოკიდებულია კომპანიების სიდიდესა და მომგებიანობაზე, ამასთან გადარჩევა – რენტაბელობის კრიტერიუმით – ,,მუშაობს“ ძალზედ სუსტად, ამით მყარდება არა ნეოკლასიკური სისტემის და მასთან დაკავშირებული, სამეურნეო ცხოვრებაში ,,ბუნებრივი გადარჩევის“ დოქტრინის პრინციპები, არამედ ფირმის მენეჯერული და ბიჰეივორიული თეორიის ძირითადი დებულებები [5, გვ, 424].

ქცევითი (ბიჰეივორიული) თეორია არ გამორიცხავს საფონდო ბაზარზე დროდადრო აქციათა არარეალური კოტირებების აღმოცენებას. არის თუ არა აქციების ფასის ნებისმიერი დინამიკა მომავალი დივიდენდების ან საპროცენტო განაკვეთების შესახებ ახალი ამბების შედეგი? მრავალი ეკონომისტი ამას ეჭვის თვალით უყურებს, ამის ნაცვლად ისინი ამტკიცებენ, რომ აქციების ფასი ყოველთვის არ ემთხვევა მის ძირითად ღირებულებას. ფინანსური საპნის ბუშტისა და ახირების შედეგად აქციის ფასი შეიძლება თავისი ძირითადი ღირებულებიდან გადაიხაროს [6, გვ. 487].

## საფონდო ბაზარი და მონეტარული პოლიტიკა

როგორი მიმზიდველიც უნდა იყოს პერსპექტივები, საერთაშორისო კომპანიები განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედებენ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირების დროს. ჩნდება მოსაზრება კაპიტალის ღირებულების მაღალი დონის შესახებ, რომელიც თითქმის ავტომატურად ორმაგდება განვითარებად ბაზრებზე. ცხადია, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში ინვესტირებას ისეთი დამატებითი რისკები ახლავს, როგორიცაა – ინფლაციის მაღალი ტემპი, სავალუტო კურსების მერყეობა, არახელსაყრელი საკანონმდებლო და მარეგულირებელი გარემო კაპიტალის უკუგებისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ასეთ სიტუაციაში კაპიტალდაბანდებაზე გადაწყვეტილება განსაკუთრებული სახით უნდა იქნეს მიღებული [7].

ბანკების მაქსიმალური საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანი სისტემის დროს. მრავალწყობიანობა ლოგიკურად კონკურენციის განვითარების შედეგია, რამდენადაც იგი ფინანსური რესურსების ოპტიმალური გამოყენების პრობლემას წყვეტს. სწორედ ფინანსური ბაზრის მრავალწყობიანობა ზღუდავს და აჩერებს კრიზისულ მოლენებს [8, გვ. 299].

ფასიანი ქაღალდების ბაზარი შედის ფინანსური ბაზრის სტრუქტურაში როგორც შემადგენელი ნაწილი, რომელიც აერთიანებს ფულის ბაზრისა და კაპიტალის ბაზრის სეგმენტებს. მისი ფუნქციონირებისა და ურთიერთქმედების წესი განისაზღვრება ქართული კანონმდებლობით. საჭიროა შევიდეს ცვლილებები კანონმდებლობაში, პირველად და მეორად ბაზარზე დაშვებული იქნეს სხვა შუამავალი სტრუქტურები და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები არ იყოს მხოლოდ კომერციული ბანკის ექსკლუზიური სფერო [9, გვ. 136].

ნიშანდობლივია, რომ 2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს, რაც შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. 2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, ამჯერად 10–წლიანი ობლიგაცია, რომლის ფინანსური პარამეტრები, მიმზიდველობის თვალსაზრისით, გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს.

ამ შეთავაზებით საქართველოს ევროობლიგაციები შევიდა EMBI–ის ბენჩმარკად წოდებულ ინდექსში, რომელსაც ინვესტორები იყენებენ ამ ტიპის ობლიგაციების შესაფასებლად სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების მაჩვენებლებთან და ზოგადად განვითარებადი მსოფლიოს ტენდენციების საილუსტრაციოდ.

ერთი მხრივ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია ხელს უწყობს ლარის კურსის განმტკიცებას, თუმცა, მეორე მხრივ, მიღებული დებულებებისა და არსებული პრაქტიკის საფუძველზე კომერციული ბანკების მიერ შეძენილი ეს სახელმწიფო ვალი ,,განაღდებულ იქნა“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ – რეფინანსირების სესხებით და რიგი სხვა ინსტრუმენტით. შედეგად, ლარის მასა მიმოქცევაში გაიზარდა, რაც ლარის დევალვაციის დამატებითი მიზეზი გახდა [10, გვ. 23].

ფინანსური ბაზრის რეგულირებაში შეუფასებელია ქვეყნის ცენტრალური ბანკის როლი. მაგ., აშშ–ის საფონდო ბაზრის პოტენციური დაცემის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ ფსს–ს ქვეყნის ეკონომიკის რეცესიიდან გამოყვანის ეფექტიანი პოლიტიკით.

მშპ–ის ზრდის ტემპები იქნება უფრო მაღალი, თუ მცირდება კრედიტზე პროცენტი ფიქსირებული მარჟისას ან საპროცენტო მარჟა ფიქსირებული პროცენტისას. მონეტიზაციის ზრდის საზღვრები განსხვავებულია: საბაზრო გაცვლითი კურსებით 2015წ. 1 იანვრისთვის ისინი ვარიირებს 70%–დან აშშდსა და გერმანიაში, 160%–მდე – იაპონიაში და 180% – ჩინეთში. მიჩნეულია, რომ მონეტიზაციის მაღალი დონის ძირითადი წანამძღვრები – ეს არის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში საშაულო კლასის დომინირება, აგრეთვე, ნაციონალური ფინანსური ბაზრის განვითარების სიღრმე და თავისუფალი წვდომა მისი მომსახურებისადმი (ფინანსური ინსტრუმენტებისადმი).

ამასთან, რეალური დადებითი საპროცენტო განაკვეთები კრედიტებსა და დეპოზიტებზე ხშირად წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მაკროეკონომიკურ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკის მონეტიზაციაზე. საქართველოში კი მოზიდული რესურსი საკმაოდ ძვირია, რაც ინფლაციასა და სავალუტო კურსის ძლიერ ვოლატილობასთან ერთად ხსნის ქართული ეკონომიკის მონეტიზაციის დაბალ დონეს.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულყოფილი ფუნქციონირება. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს მოსახლეობის, საწარმოების და სახელმწიფოს თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზება და კრედიტის სახით განთავსება წარმოების განვითარებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ლიტერატურა:


1. Роджер Лерой Миллер, Дэвид Д. Ван-хуз. Современные деньги и банковское дело, Москва, Инфра. М., 2000.
2. Фредерик С. Мишкин. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, Москва-Санкт-Петербург-Киев, 2006.
3. Килячков А.А., Чалдаева Л.А. Рынок ценных бумаг и биржевое дело, М. Юристь, 2000.
4. Деньги, кредит, банки, под. ред. У.Ф. Жукова, М., Юнити, 2011.
5. Takeovers and Stock Market. Alan Hughes and Ajit Singh. Finance, Edited by John Eatwell, Murray Milgate, Peter Newman. The New Palgrave, 2008.
6. ოლივიე ბლანშარის წიგნის „მაკროეკონომიკა“ ინგლ. გამოცემის ავტორიზებული თარგმანი (მეხუთე გამოცემა), გამომცემელი Pearson Education, Inc. Pearson Prenctise Hall, თსუ გამომცემლობა, 2010.
7. რისკების მართვა და განვითარებადი ბაზრები, ავტორი: თემურ კუპრავა, ESM თბილისი – ეკონომიკის და ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელი, პრესტონის უნივერსიტეტის MBA.
8. კოვზანაძე ირ., საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თსუ გამომცემლობა, თბ., 2001.
9. დ. ასლანიშვილი, საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბ., 2015.
10. ასლანიშვილი დ., მიულერი დ., ომაძე ქ., სავალუტო კრიზისები და საქართველო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოლოდინში, თბ., 2016.


## For the Efficient Functioning of Securities and Money Market


Maia Gogokhia

*Doctor of economics*

*Tbilisi state university*



**R e s u m e**

Perfect functioning of securities market is one of the most important factors, which support economic and social development of the country. The paper discusses the main tendencies of securities market at the current stage and its relation with the monetary stability in the country. Instruments of financial market, stock exchange indexes, the processes developing on the stock exchange market and interactions of monetary policy are displayed.



***Keywords: securities market, stock exchange indexes, behavioural theory, investment, monetization.***

# სოციალური დაცვის მდგომარეობა საქართველოში

ნინო გრიგოლაია

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*
*თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია სოციალური დაცვის მდგომარეობა საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში სოციალური დაცვის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები. გაანალიზებულია მოსახლეობის საპენსიო და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის მდგომარეობა 2007-2015წლებში. ასახულია სახელმწიფოს მიერ გაწეული ფინანსური დახმარებების დინამიკა. გაკეთებულია დასკვნა, რომ სახელმწიფოს უმთავრესი ვალდებულებაა ქვეყანაში ეფექტიანი რეფორმების გატარება, რაც ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესების საფუძველია.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვა, სიღარიბე, საარსებო მინიმუმი, ცხოვრების დონე.*

საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები, მათ შორის სიღარიბე, საერთო სოციალური მდგომარეობა და ცხოვრების დონე, მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყანაში მოქმედი სოციალური სამსახურების ფუნქციონირების ეფექტიანობით. საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში პირდაპირ მოითხოვს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტებზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკისა და მისი უზრუნველმყოფი რეფორმების გატარებას, რომელიც გაწერილია სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით. ეს უკანასკნელი ევროკომისიამ სწორედ გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.

დღემდე მთავრობის უმთავრეს საშუალოვადიან მიზნად რჩება სიღარიბის შემცირება და მოსახლეობაში სოციალურად დაუცველი ფენის კეთილდღეობის დაცვა. სოციალური დაცვა წარმოადგენს მთავრობის პოლიტიკის ძირითად მახასიათებელს, რომელიც გულისხმობს სოციალურად დაუცველ ჯგუფებზე სიღარიბის ზემოქმედების შემსუბუქებას. ამავდროულად, ეკონომიკური ზრდის ხელისშემწყობი ბიზნესგარემოს შექმნის მეშვეობით, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ღარიბებზე ორიენტირებული კონკრეტული პროგრამების განხორციელებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური სარგებლის სიდიდემ არ უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანების დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დარჩენის სტიმულირება. სოციალური სარგებელი არ უნდა იყოს დასაქმებით მიღებული პოტენციური შემოსავლის ტოლი ან მასზე მეტი. ეს გამოიწვევს შრომითი საქმიანობის დემოტივირებას.

სოციალური დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება 2005 წლიდან დაიწყო. დღეისათვის სოციალური დახმარების პოლიტიკა მოსახლეობის უკიდურესი სიღარიბისაგან დაცვაზე არის მიმართული. განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობის საპენსიო და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფის პრობლემა.

როგორც სქემიდან ჩანს, 2008-2015 წლებში საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა ყოველწლიური მაჩვენებლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდება, 2008 წელთან შედარებით, 2015 წელს აღნიშნული პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა 3,9% -ით არის გაზრდილი.

სქემა 1. საპენსიო პაკეტის და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა საქართველოში 2008-2015 წწ [3]




საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო ბოლო პერიოდში ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, ახორციელებდა:

• ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა), დევნილთა და ლტოლვილთა დახმარების და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული ფულადი დახმარების ანაზღაურებას;

• კომპეტენციის ფარგლებში, ბენეფიციარებისათვის არასწორად ჩარიცხული თანხების საბიუჯეტო ანგარიშზე აღდგენას;

• სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის" ფორმირებაში პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევას.

სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი, 2015 წლის განმავლობაში, კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრირებას უწევდა შემდეგ სახელმწიფო გასაცემლებს:

1. საპენსიო პაკეტი - თვეში საშუალოდ 701 877 ბენეფიციარი;
2. სოციალური პაკეტი – თვეში საშუალოდ 168 270 ბენეფიციარი;
3. სახელმწიფო კომპენსაცია – თვეში საშუალოდ 20 692 ბენეფიციარი;
4. საყოფაცხოვრებო სუბსიდია – თვეში საშუალოდ 31 721 ბენეფიციარი;
5. მინდობით აღზრდა – თვეში საშუალოდ 1 221 ბენეფიციარი;
6. რეინტეგრაცია – თვეში საშუალოდ 439 ბენეფიციარი;
7. „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების" ასანაზღაურებელი დახმარება – თვეში საშუალოდ 1 071 ბენეფიციარი;
8. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური დახმარება – 967 ბენეფიციარი [2].

ცხრილი 1 გვიჩვენებს 2015 წლის განმავლობაში შემწეობებზე ჩარიცხული თანხის რაოდენობას თვეების ჭრილით თითოეული სოციალური სტატუსისათვის. მონაცემები ადასტურებს, რომ გასაცემლებს შორის ლიდერის პოზიციას საარსებო შემწეობები იკავებს. მისი სიდიდე ადასტურებს ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონის არსებობას, თუმცა, ამავდროულად მეტყველებს იმაზეც, რომ სახელმწიფო ამჩნევს ამგვარი საჭიროების მქონე მოსახლეობას და ცდილობს მცირეოდენი შემწეობებით გაუადვილოს მათ ყოველდღიური ყოფა.

ცხრილიდან ჩანს სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების /ბენეფიციარების რაოდენობა. მასში ასევე ასახულია 2015 წლის მდგომარეობით საქართველოში დევნილთა და ლტოლვილთა დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობა, სადაც ცალკეა გამოყოფილი მოსახლეობის ჯგუფი, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფება და დევნილობის პარალელურად იღებს საარსებო შემწეობას.

საქართველოში შემწეობებზე ყოველთვიურად ჩარიცხული თანხები 2015 წლის განმავლობაში [3]

ცხრილი 1.

| შემწეობებზე ჩარიცხული თანხები 2015 წელს | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გასაცემელი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი | სულ |
| საარსებო შემწეობა | 22,462,715 | 22,111,124 | 22,008,999 | 21,813,483 | 22,036,836 | 20,484,941 | 16,648,746 | 19,489,308 | 21,567,888 | 21,417,272 | 21,535,791 | 22,218,642 | **253,795,745** |
| დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობა | 9,722,019 | 10,002,939 | 9,993,370 | 9,974,225 | 9,946,439 | 10,114,540 | 10,352,508 | 10,303,208 | 10,310,740 | 10,276,355 | 10,245,329 | 10,219,846 | **121,461,518** |
| დემოგრაფიული | 308,500 | 355,250 | 401,900 | 446,300 | 490,300 | 528,400 | 589,150 | 629,950 | 692,300 | 740,700 | 790,050 | 826,650 | **6,799,450** |
| ჯამი | | | | | | | | | | | | | **382,056,713** |
| სულ | 32,493,234 | 32,469,313 | 32,404,269 | 32,234,008 | 32,473,575 | 31,127,881 | 27,590,404 | 30,422,466 | 32,570,928 | 32,434,327 | 32,571,170 | 33,265,138 | **382,056,713** |
| | | | | | | | | | | | | | |
| თებერვლის თვეში 144 ლარი და აპრილის თვეში 504 ლარი (საარსებო შემწეობა) გადაირიცხა დამატებითი წერილით | | | | | | | | | | | | | |

სქემა 2. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში საქართველოში [ 3]




სქემა 3. საქართველოში საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა სქესის მიხედვით (ათასი) [ 3]



2-3 სქემაში  მოყვანილია მონაცემები საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წლებისა და სქესობრივი სტრუქტურის შესახებ.

როგორც სქემა 3 გვიჩვენებს, საპენსიო და სოციალური პაკეტის მიმღები ქალბატონების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცებს. ამის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია განსხვავებული ქვედა ასაკობრივი ზღვარი პენსიის მიმღები ქალებისა და მამაკაცებისათვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2004 წელს შეიცვალა სიღარიბის დონის გაანგარიშების მეთოდიკა. თუ ადრე სიღარიბის ინდიკატორების გამოთვლისას დაკვირვების ერთეულს შინამეურნეობა წარმოადგენდა, ახალი მიდგომისას დაკვირვების ერთეული ინდივიდია. გარდა ამისა, მოხდა საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის ზღვარის უბრალოდ მექანიკურად გადაანგარიშება შემცირების მიმართულებით, რამაც ღარიბთა რიცხოვნობა შეამცირა. სწორედ ამ მიზეზებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ მკვეთრი და ნახტომისებური კლების პროცესი არ შენარჩუნებულა, თუმცა სერიოზულ რყევასაც აღარ ჰქონია ადგილი [1, გვ;125].

ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანესია, რომ მოსახლეობის შემოსავლები შესაბამისობაში მოდიოდეს საარსებო მინიმუმთან.

თუმცა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად დახმარებისა, ბენეფიციართა უმეტესობას მაინც უღირს უკიდურესი სიღარიბიდან გამოსვლა, ფიქსირდება ასევე ფაქტებიც, როდესაც ზევრი ოჯახი დარჩა დახმარების გარეშე, ეს და კიდევ სხვა მრავალი ფაქტი მიუთითებს იმის აუცილებლობაზე, რომ უმწეოთა გამოვლენის მეთოდოლოგია დასახვეწია და ასევე გადასახედია ბენეფიციარების რაოდენობაც, რომელთა დახმარებაც საარსებო მინიმუმის ნიშნულისგან საკმაოდ დაშორებულია.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ქვეყანაში ეფექტიანი რეფორმების გატარება, რაშიც მას შეუძლია გამოიყენოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, რაც არაერთი ქვეყნის სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესების საფუძველი გახდა. მნიშვნელოვანია ახალი პროექტები მიმართული იყოს ისეთი პრობლემური საკითხების გადაჭრისაკენ, როგორიცაა: ჯანდაცვა, სოციალური დახმარება, სამუშაო ადგილების შექმნა. ყოველივე ეს გამოიწვევს სიღარიბის შემცირებას და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რაც საბოლოო ანგარიშით ქვეყანაში საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას განაპირობებს.

### ლიტერატურა:


1. გაგნიძე ი. კეთილდღეობის ეკონომიკა, რიდერი, თსუ, თბ., 2015
2. გელიტაშვილი ნ. ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში, თბ., 2011
3. ჭიპაშვილი ა. სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდგომ, თბ; 2010.
4. hssa.gov.ge სოციალური მომსახურების სააგენტო.
5. geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ჯანდაცვა და სოციალური დაცვა/სოციალური დაცვა.


## Situation of Social Protection in Georgia


Nino Grigolaia

*Doctor of economics*
*Professor*



**R e s u m e**

In the work is discussed the social security reforms implemented in the field of social protection in recent years in Georgia. There is analyzed the situation of pension and social assistance provision for the population in 2007-2015 years, reflected the dynamics of financial aid provided by the state.

In the work is made the conclusion that the state's main commitment represents to implement effective reforms in the country, which will become the basis for improving the country's social security system.



***Keywords: social security, poverty, minimum wage, level of living.***

# ეკონომიკის გლობალიზაცია და საერთაშორისო სერვისული ოპერაციების მენეჯმენტი


ნოდარ გრძელიშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი*

შორენა ხალვაში

*დოქტორანტი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია ეკონომიკის გლობალიზაციისა და საერთაშორისო სერვისული ოპერაციების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები. აღნიშნულია, რომ მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ახალი პარადიგმა გამოისახა_სერვისული მენეჯმენტი, რომლის მიზანიცაა ფართო სისტემური, დარგთა შორისი და კონკრეტული ეკონომიკური პოზიციებიდან იმ პროცესების განხილვა და ახსნა, რაც სერვისულ და კვაზისერვისულ სისტემებში მოხდა. აღნიშნულია, რომ გლობალიზაციის პირობებში, კულტურული ადაპტაციის ზემოქმედება უნდა გახდეს მთავარი მიმართულება საოპერაციო მენეჯმენტის სხვადასხვა აქტუალური თემეის შესასწავლად.*



*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, გლობალიზაცია, სერვისმენჯმენტი, კონკურენცია, ოპერაციათა მეეჯმენტი*


XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დამდეგს მსოფლიოში არსებითი ცვლილებები მოხდა, რამაც არამარტო სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მენეჯმენტის სახე, არამედ მისი საგნობრივი დარგის განვითარების მიმართულებაც შეცვალა. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია სერვისიზაციასთან, აგრეთვე მენეჯმენტის საგნობრივი დარგის ინფორმატიზაციასა და კომპიუტერიზაციასთან. არაერთი ავტორიტეტული საზღვარგარეთელი მეცნიერი მომხდარ ტრანსფორმაციას უწოდებს სერვისულ რევოლუციას, რაც ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულ და ქსელურ (სამოქალაქო) საზოგადოებაზე გადასვლას ნიშნავს.

თანამედროვე ეკონომიკასა და საზოგადოებაში გლობალიზაციის და ტრანსფორმაციის პირობები - ეკონომიკურ და საორგანიზაციო - მმართველობითი დისციპლინების თეორიასა და პრაქტიკაში ქმნის თვისებრივად ახალ სიტუაციას, რაც იწვევს მათი საგნობრივი დარგების მახასიათებლების შეცვლას და მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს.

მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ახალი პარადიგმა გამოისახა სერვისული მენეჯმენტი, რომლის მიზანიც ფართო სისტემური, დარგთაშორისი დ აკონკრეტული ეკონომიკური პოზიციებიდან იმ პროცესების განხილვა და ახსნაა, რომლებიც სერვისულ და კვაზისერვისულ სისტემებში მოხდა, ასევე იმ ურთიერთობებისაც, რომლებიც წარმოიშვა მათ ქვესისტემებსა და ურთიერთ ქმდებებში გარემოსთან მათი რეგულირებისა და თვითორგანიზაციის კონტექსტში, აგრეთვე მეთოდების (მეთოდიკათა) შემუშავება ორგანიზაციისა და გარემოს პოტენციალის უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის.

სპეციფიკური სერვისული პრობლემების შესწავლის ინტერესი თავდაპირველად გაუჩნდათ მარკეტინგის მკვლევრებს. მომსახურების მახასიათებლებზე, მათ წარმოებასა და მიწოდების პროცესებზე დამყარებული ახალი მოდელების, კონცეფციებისა და ინსტრუმენტების განვითარება დაიწყო XX-საუკუნის 70-იან წლებში. ყველაზე ადრეული სადოქტორო დისერტაციები და სტატიები ეძღვნებოდა ამ პრობლემატიკას. მათში აღწერილი იყო მომსახურებისა და გარკვეული პრობლემების ბუნება მომსახურების მარკეტინგში. უილსონის (1972) და რატმელის (1974) წიგნები მომსახურებასა და ზოგადად სერვისის სექტორზე პირველი იყო მარკეტინგის პრობლემების კვლევაში სერვისულ ფირმებში.

ცნება - „სერვისული მენეჯმენტი“ თანდათანობით სულ უფრო ხშირად გამოყენებული ტერმინია, რომელიც მიუთითებს ზოგად პერსპექტივზე. მაგრამ თავად ეს პერსპექტივა განვითარდა ტერმინზე ზევრად უფ-

რო ადრე, ეს ტერმინი შევიდა ისეთი დისციპლინების ბრუნვაში, როგორიცაა: მარკეტინგი, საორგანიზაციო თეორია, ადამიანური რესურსებისა და ოპერაციების მართვა. სხვადასხვა დისციპლინამ თავისი წვლილი შეიტანა სერვისულ მენეჯმენტში. მაგალითად, სერვისული კონკურენცია, გრძელვადიანი ურთიერთობების მარკეტინგი, დიალოგური (ინტერაქტიური) და შიდა მარკეტინგი, ოპერაციების მართვა და სერვისული გარანტიები, ორიენტაცია საბაზრო ეკონომიკაზე და კლიენტთა ბაზის შენარჩუნების ანალიზი. ეს მხოლოდ ზოგიერთი შემადგენელია, რომლებიც იმსახურებს ხსენებას, თუმცა სინამდვილეში დისციპლინათაშორისი კვლევები ჯერ კიდევ იშვიათია. იმედია, მომავალში ასეთი კვლევითი სამუშაოები ახალი რაკურსით კიდევ უფრო მეტად გააფართოებს და გააღრმავებს სერვისულ პერსპექტივას.

გინცბერგი და ვოიტა ამტკიცებენ, რომ მომსახურებამ შეცვალა საქონელი, როგორც ყველაზე დომინირებული ძალა ეკონომიკაში, ვინაიდან „ადამიანურმა კაპიტალმა" შეცვალა ფიზიკური კაპიტალი, როგორც ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყარო. არ შეიძლება, – აცხადებენ ავტორები, – შეზღუდო თავი ტრადიციული გაგებით და ჩათვალო, რომ მხოლოდ საქონელი შეადგენს ერის სიმდიდრეს (დოვლათს) მაშინ, როცა მომსახურება – რაღაც არამწარმოებლურია და ეფემერული. სინამდვილეში კი საჭიროა გამოვიდეთ ადამ სმიტის ლოგიკიდან, რომელმაც თქვა, რომ ერის დოვლათი დამოკიდებულია ადამიანების უნარ-ჩვევებზე, სიმარჯვესა და ცოდნაზე. [4,გვ.48-55]

სერვისული კომპანიების ინტერნაციონალიზაცია თვალსაჩინოა ნებისმიერი ტურისტისათვის ან ბიზნესის ხელმძღვანელისათვის, რომლებიც მოგზაურობენ საზღვარგარეთ. კომპანიები, რომლებიც დაკავებულია ავიაგადაზიდვებითა და ავიაფოსტით, არსებობდნენ რა ადრე მხოლოდ შიდა შესაძლებლობების მიხედვით, ახლა ფლობენ მარშრუტების საერთაშორისო ქსელებს. უამრავი ფირმა, რომლებიც ეწევა ფინანსურ მომსახურებას, ასევე სარეკლამო სააგენტოები, სასტუმროების ჯაჭვი, სწრაფი მომსახურების რესტორნები, ავტომობილების გაქირავების სააგენტოები და აუდიტორული ფირმები, ახლა მუშაობენ რამდენიმე კონტინენტზე. ეს სტრატეგია შეიძლება ასახავდეს სურვილს, უკეთ მოემსახურონ კლიენტებს ან შეაღწიონ ახალ ბაზრებზე, ან ერთსაც და მეორესაც.

დღეს, მწვავე გლობალური მოვლენებისა და პრობლემების, მსოფლიო ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისის ფონზე, მომხმარებლის მოზიდვა-დაინტერესება პროდუქტის შეძენით არც თუ ისე ადვილი საქმეა. მარკეტინგულ-სერვის მენეჯმენტურ სამყაროში მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობის მართვა და წარმართვა, მარკეტინგული და სერვის მენეჯმენტური პროგრამების შედგენა, მყიდველთა სასურველი და მიზანმიმართული ურთიერთობის ჩამოყალიბება და კომპანიისათვის ფასეულობათა გაშლა-გაფართოება და განვრცობა, კონკურენტულ გარემოში ნაბიჯის წინ გადადგმა და ა. შ. მართლაც ძალიან ძნელი საქმე გახლავთ.

ლიტერატურა ოპერაციათა მენეჯმენტზე შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მომსახურებათა გლობალიზაციას, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამრეწველო წარმოების საერთაშორისო ხასიათს. საკითხის არსი აქ ისაა, რომ შიდა ეროვნულ ბაზარზე მოქმედი ფირმები, მომსახურებისათვის დამახასიათებელი კლიენტთან კონტაქტის ფაქტორის გამო, თავისუფალია საერთაშორისო კონკურენციისაგან. კოლიერმა შენიშნა, რომ „...თუ კი დაადგენდნენ საერთო ენასა და კულტურულ ნორმებს, თუნდაც 1000 წლის წინ, „მსოფლიო მომსახურებები", მსგავსად „მსოფლიო ავტომობილისა", დომინირებული იქნებოდა გლობალურ ეკონომიკაში [5,გვ.15]. იმ დროს, როცა ზოგიერთი მომსახურება შეზღუდულია შიდა ბაზრებით, სხვებისათვის ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. სერვისული ფირმების მენეჯმენტი იძულებულია მუდმივად შეაფასოს ფაქტორები, რომლებიც ეხება მათი სერვისული პაკეტის ტრანსპორტაბელურობას". ქუინი და გაგნონი უმცირესობაში იყვნენ, როდესაც აფრთხილებდნენ, რომ „სხვა მომსახურებებისათვის საფრთხე რეალურია და უშუალო... მომსახურების ბევრი ამერიკული ბაზარი დაცულია უცხოური კონკურენციისაგან, თუმცა იმაზე მეტად არა, ვიდრე შიდა სამრეწველო საქონლის ბაზრები„ [6,გვ.95-103]. როაჩმა ამერიკულ ბაზარზე პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ტენდენცია გამოავლინა მომსახურებებში, როცა ეს დაწერა „ამერიკული სერვისული სექტორის ფარულ მოწყვლადობას – უზომო ინვესტირება საინფორმაციო ტექნოლოგიებში და ქრონიკული არაეფექტიანობა" [2,გვ82-92].

ეროვნულ მომსახურებათა მხარდაჭერა თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი არანაკლებ ღირებულია მომავალი საწარმოო დარგებისათვის. სამხრეთ კორეელთა უნარმა, იაფად და ეფექტიანად უზრუნველეყოთ საინჟინრო დაპროექტება, მიიყვანა ისინი საერთაშორისო კონტრაქტების დადებამდე, რომლებმაც, თა-

ვის მხრივ, გახსნეს ბაზრები მათ მიერ წარმოებული ფოლადისა და სხვა სამრეწველო საქონლისათვის. გარდა ამისა, მომსახურება, რომელიც ინფრასტრუქტურის საფუძველია, ნებისმიერ ქვეყანაში დამოკიდებულია ეფექტიანი საწარმოო კონკურენციაზე. პორტერი (1993) დარეიჩი (1991) ხაზგასმით აღნიშნავენ ამ ფაქტს თავიანთ ნაშრომებში, რომლებიც ქვეყანათაშორის კონკურენციას ეძღვნება [3].

მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემები შეზღუდულია, მაგრამ საეჭვო არაა, რომ მომსახურების მიწოდება სულ უფრო მეტად ხდება გლობალური, როგორც ცალკეული ქვეყნის ეკონომიკისათვის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. იმ დროს, როცა არსებობს მრავალი ბარიერი საერთაშორისო ვაჭრობისათვის, განსაკუთრებით პროფესიულ მომსახურებათა შექმნაში, ასეთი ვაჭრობა სწრაფად იზრდება. სამომხმარებლო მომსახურებით დაკავებული კომპანიები მთელ მსოფლიოში კვეთს საზღვრებს. გერმანელები ფლობენ და მართავენ არაერთ სერვისულ კომპანიას, აშშ-სა და სხვა ადგილებში A&E - ჯგუფის იაპონური ბანკები მთავარი მოთამაშეები არიან. სასტუმროთა ჯაჭვებმა და საერთაშორისო ავიახაზების ალიანსებმა დაფარა მთელი მსოფლიო.

ინფორმაცია საზღვარგარეთ - „უკანა ხაზის“ სერვისული სამსახურების საქმიანობის გადანაცვლებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აუცილებელია კონცეფციათა ბევრად უფრო ძლიერი ნაკრები, რათა გავიგოთ ფაქტორები, რომლებიც მომსახურებათა გლობალიზაციას ეხება, რომელთაგამრავალი ასახავს არა მარტო უცხოური კაპიტალის მოძრაობას შიდა სერვისულ ოპერაციებში, არამედ საზღვარგარეთ მომსახურების ბაზრებზე შიდა სამუშაო ადგილების გადანაცვლებასაც. აპტი და მესონი ამტკიცებენ, რომ საინფორმაციო მომსახურება, სავარაუდოდ, იმოძრავებს საზღვარგარეთ ტელეკომუნიკაციის [1] მიმდინარე გარემოში. მრავალი მათგანი დიდი ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფას და მიმდინარე საკრედიტო ინფორმაციას ემსახურება, რასაც რეგულარულად ანახლებენ კომპიუტერული პროგრამისტები, რომლებიც იმყოფებიან სხვადასხვა ინდურ ქალაქებში. აშშ-ში მყოფი ინდოელი პერსონალი, პროგრამისტებს ინდოეთში თანამგზავრის მეშვეობით, ყოველდღიურად უკავშირდება, ამ დროს კი ბანკის მენეჯმენტი კმაყოფილია იმით, რომ სამუშაო სრულდება სწრაფად და ხარისხიანად.

მომსახურებათა გლობალიზაცია მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო მეტი სტიმულია შრომის ანაზღაურების უფრო დაბალი განაკვეთების გამოსაყენებლად. ფირმები და სერვისის დარგები იძულებულია, გლობალურ კონკურენტულ სტრატეგიებში ყურადღება მიაპყრონ საჭიროებებს თავიანთ მიერ წარმოდგენილი მომსახურებებისათვის. რაიტი და პაული (1988) ამტკიცებენ, რომ იაპონელებმა არსებითად წარმატებით გამოიყენეს იგივე სტრატეგია საერთაშორისო საბანკო სისტემაში შესასვლელად, რათა მიკრო ჩიპების [7, გვ.187-210] ბაზარზე დომინირებული მდგომარეობისათვის მიეღწიათ.

ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება სერვისული ოპერაციების გლობალიზაციის საკითხების გადასაჭრელად, ჩვენი აზრით, უნდა იყოს შემდეგი: შეესაბამება თუ არა მოცემული სტრატეგია ფირმის გლობალურ სტრატეგიას. როაჩი დაჟინებით მიუთითებს ამ გარემოებაზე, როდესაც ამტკიცებს, რომ` ... გამოწვევა, რომელსაც აწყდებოდა მომსახურებები, უპირველესყოვლისა, მმართველობითია. სერვისული კომპანია, რომელიც უპასუხებს გაძლიერებულ კონკურენციას, იქნება ძალიან განსხვავებული მისი წინამორბედებისაგან. მას, როგორც სტრატეგიულად კონცენტრირებულს, ექნება ეფექტიანი მიწოდების სისტემა, მაღალხარისხიანი პროდუქტი და დანახარჯების მოქნილი სტრუქტურან [2,გვ.82-92].

შესაძლებელია გლობალიზაციის 5 ძირითადი სტრატეგიის იდენტიფიცირება:

1. საერთაშორისო ექსპანსია მრავალ ქვეყანაში;
2. კლიენტების იმპორტირება;
3. გაყოლა თავიანთ კლიენტებზე;
4. სერვისული ,,დაუკავშირებლობაკკ;
5. დროებითი შეზღუდვების მოხსნა.

ყურადღება მივაქციოთ, რომ ეს სტრატეგიები – ყველა არაა ურთიერთ გამომრიცხავი. შეიძლება ვიფიქროთ სტრატეგიის კომბინირების საშუალებათა სიმრავლეზე, მაგალითად, საერთაშორისო ექსპანსიის შეხამებაზე დროებითი შეზღუდვების მოხსნასთან.

გლობალიზაციის პირობებში, კულტურული ადაპტაციის ზემოქმედება უნდა გახდეს მთავარი მიმართულება საოპერაციო მენეჯმენტის იმ თემების შესასწავლად, როგორიცაა: ვენჩურული საწარმოები, მასალე-

ბის მენეჯმენტი, რესურსების შეძენა, ახალი პროდუქტების განვითარება, პროცესის დაგეგმვა და დაპროექტება, კონტროლი და მოტივაცია, სწავლება, სამუშაო ძალის გამოყენების გრაფიკები, ეკოლოგიური მენეჯმენტი და ურთიერთობა შრომასა და მენეჯმენტს შორის. ისინი ყველა „წინა“ და „უკანა“ ხაზის სერვისული მენეჯმენტის საკვანძო დარგებია, რომლებიც საჭიროებს ადაპტაციას ქვეყნიდან, ქვეყანაში მომსახურებათა გლობალიზაციის კვალობაზე.

ნებისმიერმა მენეჯერმა, რომელსაც სჯერა, რომ მისი სერვისი უცხოური კონკურენციისაგან თავისუფალია, რეალურად უნდა შეხედოს მოვლენებს და დარწმუნდეს, რომ საერთაშორისო კონკურენციის იგნორირება მომსახურებებში, განსაკუთრებით „უკანახაზის“ ოპერაციების გლობალიზაცია უკვე შეუძლებელია. სწორედ ამიტომ სერვისული მენეჯმენტისათვის აუცილებელია საწყისი პრინციპები, რათა განავითაროს კონკურენტული სტრატეგიები მომსახურების გლობალურ ბაზარზე.

ლიტერატურა:


1. Apte, U.M. and Mason, R.Q. (1992), “Global outsourcing of information processing services”, Workind Paper, Edwin L. Cox School of Business, Southern Methodist University, Dallas, TX.
2. Roach S.S. (1991), “Service under siege - the restructuring imperative”, Harvard Business Review, September-October, pp. 82-92.
3. Reich K.B. (1991), The Work of Nations, Alfred A. Knopf, Jr., NewYork, NY.; Porter, M. (1990), The Competitive Advantage of Nations, New York, NY.
4. Ginzberg, E., and G. Vojita: `The Service Sector of the U.S. Economy˜, Scientific American, vol. 244, no. 3, March 1981, pp. 48-55.
5. Collier D.A. (1985), Service Management: The Automation of Service, Reston Publishing, Reston, VA, p. 15.
6. Quinn J.B. and Gagnon G.E. (1986) “Will servixes follow manufacturing into decline”, Harvard Business Review, Vol. 64, No. 6, pp. 95-103.
7. Wright, R.W. and Pauli, G.A. (1988), “International trade in financial services: the Japanese Challenge”, in Guile, B.R. and Quinn, J.B. (Eds), Technology in Services: Policies for Growth, Trade, and Employment, National Academy Press, Washington, DC, pp. 187-210.


## Globalization of Economy and International Service Operations Management


Nodar Grdzelishvili

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Davit Aghmashenebeli University of Georgia*

Shorena Khalvashi

*Doctoral student,*
*Georgian Technical University*



**R e s u m e**

The paper deals with the topical issues of Globalization of Economics and Management of International Service Operations.It is mentioned thatThe new paradigm is indicated in the direction of management development- Service management, which aims at the broad systemic, intersectoraland specific economic point of view to the discussion and explanation of the processes that are happened in service and quasar service systems.It is said that under conditions of globalization, the impact of cultural adaptation should be the main direction for studying various current issues of operational management.



***Key words: economy, globalization, service management, competition, operation management.***

# შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის საერთაშორისო გამოცდილება, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმი


მაია გრძელიძე

*დოქტორანტი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



*საქართველოს საბიუჯეტო სექტორი საჭიროებს საბიუჯეტო დაწესებულებების საქმიანობის ოპტიმიზაციას, რათა გააუმჯობესოს მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის შედეგები, აგრეთვე, საჭიროებს პასუხისმგებლობის გაზრდას, რათა შესაძლებელი გახდეს მომხმარებელთა შესაბამისი ხარისხისა და რაოდენობის მომსახურებით დაკმაყოფილება. გამომდინარე აქედან, სტატიაში განხილულია ბიუჯეტირების ახალი მეთოდების დანერგვის საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც ორიენტირებულია საბიუჯეტო დაწესებულებების ეფექტიან საქმიანობასა და მათ მიერ მოსახლეობის სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების უზრუნველყოფაზე.*



***საკვანძო სიტყვები: ხარჯების მიხედვით ბიუჯეტირება; შედეგების მიხედვით ბიუჯეტირება; საბიუჯეტო რესურსების კონტროლი; სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების ხარისხი.***


გასული ოცწლეულის განმავლობაში, განვითარებული ქვეყნების უმეტესობამ, შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის მიმართულებით ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა საბიუჯეტო სისტემაში. მაშინ, როდესაც ბიუჯეტირების თავდაპირველი ხედვა ეფუძნებოდა დანახარჯებისა და რესურსების კონტროლს და, ძირითადად, ცენტრალიზებულ ხასიათს ატარებდა, შედეგებზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემა ფოკუსირებულია გაწეული დანახარჯებით დაგეგმილი მიზნების/შედეგების მიღწევაზე.

ამასთან დაკავშირებით, 2004 წლიდან საქართველოში დაიწყო ყოვლისმომცველი საბიუჯეტო რეფორმების განხორციელება, რომლის მიზანი იყო, სახელმწიფო ფინანსების მართვის თანამედროვე და ძლიერი სისტემის შექმნა და საჯარო დაწესებულებების პასუხისმგებლობის გაზრდა მოსახლეობისთვის გაწეული სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების ხარისხსა და რაოდენობაზე.

საქართველოში საბიუჯეტო რეფორმის ერთ-ერთი ეტაპი იყო შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის (პროგრამული ბიუჯეტის) დანერგვა, როგორც საჯარო დაწესებულებების საქმიანობის დაფინანსების ახალი მექანიზმისა, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის არა მხოლოდ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპის შინაარსს, არამედ თვით საჯარო ხარჯების მართვის კონცეფციასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვა ხელისუფლების ორგანოებში გაჩნდა XX საუკუნის 80-იან წლებში და აქედან მოყოლებული, მან ფართო გავრცელება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. რეფორმის ძირითად მოტივატორებად შეიძლება დასახელდეს: ფინანსური კრიზისი, საბიუჯეტო ხარჯების შემცირების წნეხი და პოლიტიკური ადმინისტრაციის ცვლილება. ხშირ შემთხვევაში, გატარებული რეფორმები წარმოადგენა უფრო ფართო საბიუჯეტო რეფორმის ნაწილს, რომლის მიზანსაც სახელმწიფო ხარჯებზე კონტროლის გაუმჯობესება ან შედეგებზე ორიენტირებული მართვის დანერგვა იყო. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის ძირითადი მოტივი და მახასიათებლები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, გატარებული რეფორმების ძირითადი მიზნები რიგ შემთხვევაში უახლოვდება ერთმანეთს და შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია სამ ძირითად კატეგორიად:

- ❖ მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახდელების კონტროლთან, რესურსების განაწილების გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ზრდასთან;
- ❖ მიზნები, რომლებიც ფოკუსირებულია შედეგზე ორიენტირებულ მართვასა და საჯარო სექტორის მომსახურების დონის გაუმჯობესებაზე;
- ❖ მიზნები, რომლებიც ფოკუსირებულია საზოგადოებისადმი საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებაზე.

ყველაზე წარმატებული რეფორმები ჩატარდა ანგლო-საქსონური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში - აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ახალი ზელანდია და ავსტრალია, ისევე, როგორც ანალოგიური სამართლებრივი სისტემის სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, ნორვეგია, დანია). მოგვიანებით შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის ყველა მოდელმა გადაადგილება დაიწყო კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყანებში (საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, კორეა) სადაც ფედერალურ დონეზე ძირითადად შემონახული იყო ტრადიციული მართვის მოდელი, ინიციატორი ახალი მართვის მეთოდებისა იყო რეგიონების და მუნიციპალიტეტების განვითარება [1,გვ.12].

განხორციელების პროცესში პროგრამული ბიუჯეტირების ელემენტები დაფიქსირდა ასევე მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში. აქ ჭარბობს ღარიბი აფრიკული ქვეყნები, რომლებსაც უმთავრესად ამძიმებდათ საგარეო ვალები, როგორიცაა ანგოლა, ლიბერია, მოზამბიკი, ნიგერია, უგანდა ეთიოპია, სადაც საბიუჯეტო რეფორმები ინიცირებულია საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აზიის განვითარების ბანკი) ისევე, როგორც კრედიტორი ქვეყნები [2, გვ 8-12].

ბიუჯეტის ახალი მიდგომების არსებითი ელემენტია საჯარო სექტორის მართვის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ბიზნეს ტექნოლოგიების მართვის საქმიანობის გავრცელებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ეს ტენდენცია მსოფლიოში ახალი საჯარო მენეჯმენტის (New Public Management) სახელითაა ცნობილი და მოიცავს პრაქტიკულად საჯარო ადმინისტრაციის ყველა ასპექტს, მოითხოვს პასუხისმგებელი ფინანსური პოლიტიკის, მართვის და ბიუჯეტის შედეგების, ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის ოპტიმიზაციას და კონკურენციის შემოღების დაწყებას საჯარო (მუნიციპალური) მომსახურების უზრუნველყოფაში, მათ შორის სოციალურ სფეროში [3, გვ 80].

საქართველო არ იყო გამონაკლისი საჯარო სექტორის გაუმჯობესების პროცესში და საბიუჯეტო რეფორმების მეშვეობით სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მართვის პრაქტიკაში გაჩნდა „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის" გამოყენების გამოცდილება საზღვარგარეთის გამოცდილების მიხედვით. თუმცა, ამ დრომდე „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი" საქართველოში ვერ გახდა ის სრულფასოვანი მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო ინსტიტუტების ეფექტურობისა და მათ მიერ ქვეყნის მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების გაუმჯობესებას.

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის" შედარებით ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ არც საქართველოში და არც მსოფლიოში არ მოხდა, როგორც თავად შედეგზე დაფუძნებული ბიუჯეტის, ასევე, მისი ცალკეული ელემენტების საყოველთაოდ ცნობილი ცნებების ჩამოყალიბება. ეს შეიძლება აიხსნას მოცემული კონცეფციის კომპლექსურობით, მისი სირთულით და გამჭვირვალობით, განვითარების უნარით. ჩვენის აზრით „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი" შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების, ასევე როგორც საბიუჯეტო კონტროლის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს გაწეულ სახელმწიფო ხარჯებსა და მიღწეულ შედეგებს შორის ურთიერთმიმართების მოკვლევას და ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების დონის გაზრდას [4].

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი" უპირატესობას ანიჭებს სამთავრობო ინსტიტუტების (აგრეთვე, მმართველი ორგანოების) სტრატეგიული მიზნებსა და ტაქტიკურ ამოცანებს, მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს. ეს ხორციელდება რესურსების მობილიზების შესაბამისი პროგრამების მეშვეობით. გარდა ამისა, „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის" ამოსავალ წერტილს წარმოადგენს საბიუჯეტო ხარჯების პირდაპირი და საბოლოო შედეგების ინდიკატორების განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნების შესრულების ხარისხზე მსჯელობა.

„შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტ"-ზე გადასვლა გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების კონტროლის მექანიზმების ეტაპობრივ ცვლილებას, რომელიც სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

- ხარჯების გარე კონტროლი, რომელიც ხორციელდება ისეთი ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ, როგორიცაა ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სხვა.
- ხარჯების შიდა კონტროლი, რომელიც ხორციელდება თავად დარგობრივი სამინისტროების/საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ.
- დარგობრივი სამინისტროების/საბიუჯეტო ორგანიზაციების განყოფილებების მმართველობითი დამოუკიდებლობა და მათი პასუხისმგებლობა შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით.

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს სისტემის არსია საბიუჯეტო სახსრების ადმინისტრატორებსა და მათ მიერ განხორციელებულ საბიუჯეტო პროგრამებს შორის საბიუჯეტო რესურსების განაწილება, იმის გათვალიწინებით, რომ კონკრეტული შედეგები მიიღწევა ხდება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესაბამისად და დაგეგმილი გრძელვადიანი საბიუჯეტო სახსრების მოცულობის ფარგლებში.

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს დანერგვა გულისხმობს, არა მხოლოდ საბიუჯეტო პროცესის ოპტიმიზაციას, არამედ საჯარო და კერძო ინსტიტუტების (ან დაწესებულებების) მუშაობის ორგანიზაციას, ამავე დაწესებულებების მიზნების, ამოცანების და ორგანიზების მისიის მკაფიო და ცალსახა ფორმულირებას, ინსტიტუციური და საბიუჯეტო საქმიანობის კომპლექსურ ამოქმედებას, რომელიც მიმართულია ამ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისკენ.

ჩვენის აზრით, ბიუჯეტის შესრულების მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამხოლოდ ხელისუფლების ორგანოების ხარჯების დაგეგმვისთვის, არამედ ცალკეული ბიუჯეტმიმღების ხარჯების დაგეგმვისთვის, როგორებიცაა სამინისტროები, დეპარტამენტები, საჯარო სექტორის ინსტიტუტები, სახელმწიფო საწარმოები და ა.შ. ამით განისაზღვრება შედეგების მიხედვით ბიუჯეტირების სირთულე და მრავალმხრივობა.

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვისა და მისი შესრულების კონტროლის ახალი მეთოდი, უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების განაწილებას მიზნებისთვის, ამოცანებისთვის და სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ პრიორიტეტი არის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მოსალოდნელი სარგებლის სოციალური მნიშვნელობა.

ბიუჯეტირების შედარება ხარჯების და შედეგების მიხედვით: [5, გვ .19]

სქემა 1

| *შედარების კრიტერიუმები* | *ხარჯების მიხედვით ბიუჯეტირება* | *შედეგების მიხედვით ბიუჯეტირება* |
|---|---|---|
| ფულადი სახსრების გამოყენების პრინციპი | ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება - გეგმის შესაბამისად | ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება - გეგმების, მიზნების და შედეგების შესაბამისობა |
| ფინანსური გეგმა | წლიური ხედვა = წლიური ბიუჯეტი | მრავალწლიანი "ჭერი" (3-4 წელი) = საშუალოვადიანი ფინანსური გეგმა |
| რა არის საფუძველი | გაწეული ხარჯების ინდექსაცია | პროგრამების კონკურენცია |
| გამოყენებული კლასიფიკაციის სახეობა | ფუნქციური და დეტალური ეკონომიკური კლასიფიკაციის პრიორიტეტი | უწყებრივი (პროგრამული) კლასიფიკაციის პრიორიტეტები |
| კონტროლის განხორციელება | ხარჯების კონტროლი | შედეგების კონტროლი (მონიტორინგი) |

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს მთავარი მიზანი ბიუჯეტირების ხარჯებსა და მიღებულ შედეგებს შორის კავშირის დამყარებაა. ამასთან ერთად ფასდება სხვადასხვა საქმიანობების ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობა, რომელიც ფინანსდება ბიუჯეტიდან. შესაბამისად, ჩვენის აზრით, „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“ ეს არის ფინანსური მექანიზმი, რომელიც შექმნილია არა მხოლოდ იმისთვის, რომ აამაღლოს სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ბიუჯეტირების სფეროების დამოუკიდებლობის ხარისხი, არამედ ორგანიზება გაუწიოს საბიუჯეტო სახსრების ეფექტურ და მიზანმიმართულ გამოყენებას. „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“ მიმართულია იმისკენ, რომ ხელისუფლებამ მოსახლეობას გაუწიოს სოციალური მნიშვნელობის მომსახურება უფრო პროდუქტიულად და წარმოადგენს გარანტიას

იმისა რომ ნებისმიერი ინსტიტუტის ქმედება არის გამართლებული და შეუძლია მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

საქართველოში „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“ სახელმწიფო და მუნიციპალური ფინანსების მართვის შედარებით ახალი ინსტრუმენტია. საბიუჯეტო პროცესის რეფორმირების კონცეფციის მიღებით მიზნობრივი ბიუჯეტირების თემამ აქტუალურობა 2004 წლიდან შეიძინა, რომელიც გულისხმობდა ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის შემოღებას, საბიუჯეტო პროცესის ზოგად გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაცის თანხვედრას საერთაშორისო სტანდარტებთან GFSM 2001 ყველა დონის ბიუჯეტისათვის და პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლას.

2009 წელს ჩვენს ქვეყანაში ახალი საბიუჯეტო კოდექსის მიღებით საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება, სადაც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი 2012 წლიდან, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები 2013 წლიდან უნდა დაგეგმილიყო პროგრამულ ფორმატში [6].

„შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს დანერგვის სტრატეგია იყო მისი მექანიზმების გადმოტანა აშშ-დან დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებთან, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან და საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, ასევე საბიუჯეტო პროცესის მონაწილე ყველა მხარესთან აქტიური კონსულტაციებითა და თანამშრომლობით, 2011 წელს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია [7], რომელიც მიზნად ისახავდა საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის შეძლებისდაგვარად ნათელი წარმოდგენის შექმნას, პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვას სახელმწიფო/ მუნიციპალურ დონეზე თან ახლდა მოსამზადებელი პერიოდი და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა, „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს დანერგვის საწყის ეტაპზევე გამოჩნდა პრობლემები, მათ შორის:

- ერთიანი სისტემის ინდიკატორების და მაჩვენებლების ნაკლებობა;
- ეფექტიანობის მაჩვენებლების სისტემაში მხოლოდ რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი მახასიათებლების ასახვა;
- საჯარო მომსახურებაზე კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით დამატებითი ხარჯების აუცილებლობა და სხვა.

ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს დანერგვის გამოცდილება ლიდერ ქვეყნებში, სადაც ხაზი გაესვა მათ წვლილს და შემოთავაზებული იქნა ის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება მაქსიმალურად სასარგებლო იყოს „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი“-ს პრინციპების შემდგომი რეალიზაციისთვის საქართველოს ტერიტორიაზე, ხელისუფლების მიერ მოსახლეობისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებისთვის [8] (იხ. სქემა 2).

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნების უმრავლესობისთვის, რომლებიც „შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტს“ იყენებენ, დამახასიათებელია სიტუაცია, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური და საბიუჯეტო პოლიტიკა ხორციელდება ერთი სამინისტროს მიერ. ასეთი მმართველობის უპირატესობაა ის, რომ იგი ამცირებს დაშორებას სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებსა, დადგენილ ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებსა და მათი განხორციელებაზე გაწეულ საბიუჯეტო ხარჯებს შორის.

სახელმწიფო ხარჯების მართვა ქვეყნის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და მეტწილად განისაზღვრება საბიუჯეტო პროცესის მდგომარეობით, მისი დაგეგმვის, დამტკიცების და შესრულების თანმიმდევრობით, აგრეთვე მის შესრულებაზე კონტროლით. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბიუჯეტირების პრაქტიკის გაუმჯობესება (სრულყოფა) განხილულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფო ხარჯების ეფექტურობის ამაღლების და სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც ნიშნავს, სახელმწიფოს პოზიტიურ განვითარებას მთლიანობაში და ნაწილობრივ რეგიონებში.

შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების საერთაშორისო

გამოცდილების გამოყენების სპეციფიკა:

სქემა 2

| *ქვეყანა* | *გამოცდილება* |
|---|---|
| აშშ | ▪ „შედეგზე ორიენტირებულ ბიუჯეტ"-ზე გადასვლა მოითხოვს სახელმწიფო და საჯარო სექტორში მმართველობითი პრინციპების ერთდროულად ტრანსფორმაციას - ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკური ინიციატივების სფეროზე გადასვლას;<br>▪ პროგრამების განხორციელების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ანგარიშები მოიცავს დაგეგმილი შედეგების მიღწევის რამდენიმე ვარიანტს, განსაზღვრული მოცულობის ხარჯების ფარგლებში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური სოციალურ - პოლი-ტიკური არასტაბილურობით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში. |
| დიდი ბრიტანეთი | ▪ მთავრობის გეგმების სამდონიანი სისტემა (როგორც ფედერალურ, ასევე რეგიონულ დონეზე);<br>▪ სოციალურად მნიშვნელოვანი მომსახურების მომწოდებლები - არამხოლოდ საჯარო, არამედ კერძო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენტული გარემოს განვითარებას საბი-უჯეტო სექტორში, შეთავაზებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, და აგრეთვე საჯარო სექტორის ინსტიტუტების ხარჯების შემცირებას. ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება თავისი ეფექტიანობა საქართველოს პრაქტიკაშიც გამოავლინოს (საბიუჯეტო სისტემის რესტრუქტუ-რიზაცია, საჯარო დაწესებულებების შინაარსისა და დაფინანსების ახალ პრინციპზე გადასვლა). |
| კანადა | ▪ მეთოდოლოგიური მიდგომების დიდი მოცულობა საბიუჯეტო ხარჯების მაჩვენებლების ეფექტიანობისა და შედეგების განსაზღვრისთვის. სასარგებლო ინფორმაცია ხელისუფლების ყველა დონისთვის იმიტომ, რომ შეფასების მაჩვენებლების სიის განსაზღვრა და მათი გათვლების მეთოდოლოგიური მხარდაჭერა ყველაზე რთული ამოცანაა. |
| ავსტრალია | ▪ მჭიდრო თანამშრომლობა ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს შორის, რომლებიც ზედა-მხედველობას უწევენ შედეგების მიხედვით ბიუჯეტირებას (ფინანსთა სამინისტრო, პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტი და აუდიტის ორგანოები). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონთა-შორისი და შიდა მუნიციპალური თანამშრომლობა, რაც ნამდვილად გააუმჯობესებს მოსახლეო-ბისთვის გაწეული მომსახურების ხარისხს;<br>▪ საბიუჯეტო უფლებამოსილების მნიშვნელოვანი დელეგირება, რითაც დეპარტამენტებს შეუძ-ლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ იმ რესურსების კონკრეტული სტრუქტურა, რომლებიც მათ აუცილებელად მიაჩნიათ საჭირო შედეგების მისაღებად;<br>▪ შედეგების მიხედვით ბიუჯეტირების სისტემაში აუდიტორული დაწესებულების სავალ-დებულო არსებობა, რომელიც აანალიზებს ქვეყნის სამთავრობო პროგრამების ეფექტიანობას. |

საერთაშორისო გამოცდილება და ქართული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხები უნდა მოგვარდეს სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის საბიუჯეტო თანხებზე კონკურენციის შემოღების გზით. ამავე დროს, საბიუჯეტო ინსტიტუტების კონტროლი უნდა გაძლიერდეს არა „ძალაუფლების ვერტიკალის გაძლიერების" გზით, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ინ-სტიტუტებზე დაყრდნობით, კერძოდ ამ ორგანიზაციების საზოგადოებრივი საბჭოს მიერ შექმნილი ინსტიტუტების ხელმძღვანელების ანგარიშვალდებულებების დანერგვის გზით. ამიტომ, ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი"-ს გამოყენების საერთაშორისო გამოცდილების საქართველოს პრაქტიკაში დანერგვა და ადაპტაცია.

ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, შესაძლო პრობლემები, რაც შეიძლება წარმოიშვას „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი"-ს დანერგვისა და მისი მექანიზმების შემდგომი განხორციელებისას. ჩვენი აზრით, პრობლემური სიტუაციების მოსაგვარებლად აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ საქმიანობის შემდეგი მიმართულებებით წარმართვა:

◙ *მეთოდოლოგიური:* ქვეყნის რეგიონებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ორგანიზება, წარმოქმნილი სირთულეების ეფექტიანად გადასაწყვეტად. რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნა მოსახლეობის სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.

◙ *ფინანსური:* სახელმწიფო (მუნიციპალური) მომსახურების ღირებულების მინიმალური და მაქსიმალური ზღვარის დაფიქსირება (დამატებითი დაფინანსების შესაძლებლობა „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი"-ს მექანიზმების განხორციელებისას);

◙ *საკანონმდებლო:* ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო და მუნიციპალურ ნორმატიულ აქტებს, რაც თავის მხრივ, განსაზღვრავს საჯარო სექტორის საქმიანობას „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი"-ს პრინციპების შესაბამისად;

ლიტერატურა:


1. Kelly, J. Performance Budgeting in Municipal Government [Electronic resource] / J. Kelly, W. C Rivenbark // Goliath Business Centre. - 2009. - 12 p.
2. Сулима, О. Ю. Бюджет в условиях кризиса / О. Ю. Сулима // Финансы. - 2009. - №4 - С. 8-12.
3. Дробышевский, С. М. Зарубежный опыт участия региональных и местных органов власти в инвестиционной деятельности и уроки для России / С. М. Дробышевский, Г. У. Ильясова. - М.: Институт экономики переходного периода, 2008. - С.80.
4. Жигалов Д.В., Перцов Л.В., Чалая Ю.Ю. Использование инструментов бюджетирования, ориентированного на результат, в практике муниципального управления [Электронный ресурс]. URL: www.asdg.ru/asdghtmlSsov-200909_24_0905 (дата обращения: 25.07.2012 г).
5. Батина И. Н., Тульская А. Ю. Бор как инструмент повышения эффективности бюджетных услуг. // Финансы. 2008. № 8. С. 19-23.
6. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, საქართველოს კანონი, - თბ., 2009 წელი.
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N385, 2011 წლის 8 ივლისი - „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე".
8. Обзор международного опыта внедрения бюджетирования, ориентированного на результат [Электронный ресурс]. URL: http://www.rostu-comp.ru/content/view/143/ (дата обращения: 15.08.2012 г).


## International Experience in Result-Oriented Budgeting, as a Tool for Developing State and Municipal Services


Maia Grdzelidze

*Doctoral student*
*Georgian Technikal University*



Budgeting practices in Georgia needs optimization in order to improve quality and effectiveness of public (municipal) services provided to citizens by local and state government bodies. It also needs to promote feeling of responsibility among office employees and managerial personnel. Thereby, the article considers issues of new budgeting methods, approved to be effective in different countries throughout the world.



*Keywords: cost-oriented budgeting; Result-oriented budgeting; budgetary resources management; quality of public (municipal) services.*

# გაეროს და ევროსტატის რეკომენდაციების დანერგვის პრაქტიკა საბაჟო სტატისტიკაში

მერი დაუშვილი

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება საბაჟო სისტემის ევროკავშირის მოდელთან დაახლოებას გულისხმობს. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს შესაბამის ინფორმაციულ უზრუნველყოფას. ამიტომ დღეს განსაკუთრებით აქტუალურია საბაჟო სტატისტიკაში არსებული ხარვეზების გამოვლენა და მეთოდოლოგიური სრულყოფა.*

*საკვანძო სიტყვები: მეთოდოლოგია; საბაჟო; სრულყოფა; ხარისხი; სტატისტიკა.*

საბაჟო ინფორმაციის სრულყოფილად ასახვის და მონაცემთა მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, სტატისტიკის ეროვნული სამსახური სხვადასხვა წყაროს იყენებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მონაცემები საზღვარზე გადაადგილებული ტვირთების შესახებ, ასევე, საქართველოს შსს-სსსიპ მომსახურების სააგენტოს ინფორმაცია ავტომანქანების ექსპორტ-იმპორტის შესახებ.

გაეროს განახლებული რეკომენდაციების შესაბამისად, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველთვიურად, რომლის შესაბამისადაც ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ახალ ველებს: მეორად პარტნიორ ქვეყანას - კერძოდ, იმპორტის შემთხვევაში საქონლის წარმოშობის ქვეყანას, ტრანსპორტირების სახეობას საბაჟო საზღვარზე, იმპორტის მონაცემებს ფასებში და სხვა. [3.გვ44-45], ტრანსპორტირების სახეობის მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება და გავრცელება განსაზღვრულია ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების 2017 წლის სამოქმედო გეგმით.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა დამუშავება ხორციელდება 2 საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით: ფართო ეკონომიკური კატეგორიების (BEC) და საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მიხედვით [3,გვ.47];[7]. რაც თავის მხრივ არის გაეროს 2010 წლის რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ აღრიცხვის თვალსაზრისით პრობლემებს ქმნისის ფაქტი, რომ სასაქონლო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის და ფიქსირება ზოგჯერ ხდება არასრულყოფილად. საქმე იმაშია, რომ საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზებში არ ფიქსირდება საქონლის წარმოშობის ქვეყანა, არამედ აისახება მხოლოდ მოვაჭრე ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, აუცილებელია საგარეო ვაჭრობაში წარმოშობის ქვეყნის აღრიცხვა, 2015 წლის ივნისის მონაცემებით ბაზაში წარმოშობის ქვეყანა არ ფიქსირდება დეკლარაციების 61%-ში.

აღსანიშნავია, რომ დღეს საბაჟოზე სტატისტიკური აღრიცხვის ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე" შევსება სისტემატიურად არ ხდება. [1,გვ.66-67]. გაეროს 2010 წლის რეკომენდაციების შესაბამისად, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. ეს შესაძლებელი იყო 2010 წლამდე, მაგრამ დეკლარაციების შევსებაზე დროითი შეზღუდვის დაწესების შემდეგ, აღნიშნული ველის შევსება ნებაყოფლობითი გახდა, რამაც გამოიწვია ის, რომ 2010 წლიდან საგარეო ვაჭრობის მონაცემები ტრანსპორტის სახეობების ჭრილში აღარ მუშავდება.

საბაჟოს ტატისტიკის აღრიცხვის პრობლემები ცხადია მოიცავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემებსაც.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ხარვეზები შეინიშნება შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული ავტომობილებზე მიახლოებითი (და არა ზუსტი საბაზრო) ღირებულების მიწერის საკითხში, ამასთან ფიქსირდება ავტომობილებზე არასწორი ღირებულების მითითების შემთხვევებიც. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი იმისა, რომ შეინიშნება გარკვეული შეუსაბამობები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებს შორის, რადგან მომსახურების სააგენტოდან ყოველთვიურად მიღებულ მონაცემთა ბაზებში იმპორტირებული, ექსპორტირებული და რეექსპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ მითითებულია საქონლის მიახლოებითი საბაზრო ღირებულება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში გარკვეულ პრობლემები დაკავშირებულია, აგრეთვე, იმპორტირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე შესაბამისი სასაქონლო კოდების არასწორად მინიჭებასთან. ამის ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ზოგჯერ ხდება ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი ავტომანქანების კოდების არევა, სიტუაციას ართულებს ის, რომ დეკლარაციების ნაწილში საერთოდ არ ფიქსირდება საქონლის კოდები, ხოლო ექსპორტისა და რეექსპორტის შემთხვევაში ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სრულად არ ხდება ქვეყნის კოდების მინიჭება. მართალია ასეთი შემთხვევები ბოლო მონაცემებით შემცირებულია, (2013 წლიდან 2015 წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი 11.0%-დან 0.01 %-მდე შემცირდა), მაგრამ მაინც ფიქსირდება. არადა, აღნიშნული ველის შევსებაა უცილებელია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისთვის ქვეყნების ჭრილით.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეექსპორტისას მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში რეგისტრაციისას არ ფიქსირდება ამ ავტომანქანის იმპორტიორი ქვეყანა, იმპორტირების თარიღისა და ღირებულების მითითებით, ამის ძირითად მიზეზს კი წარმოადგენს იმპორტის დეკლარაციის შეუვსებლობა. მიგვაჩნია, რომ პირდაპირი რეექსპორტის რეჟიმით დეკლარირებულ სატრანსპორტო საშუალებებზე იმპორტის ქვეყანა, თარიღი და ღირებულება აუცილებლად უნდა ფიქსირდებოდეს. რომ არ დავდგეთ ფაქტი სწინაშე: რეექსპორტით გავიდა მანქანა, რომელიც/++++ქვეყნის იმპორტში არ არის ასახული.

შედეგად, ექსპორტირებული მანქანების რაოდენობა აჭარბებს იმპორტის მოცულობას, რაც სტატისტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია საქსტატი ახორციელებს აღნიშნული დისბალანსის შევსებას, თუმცა სასურველია პირველ წყაროს მიერ მოხდეს შესაბამისი საიმპორტო ნაკადების დეტალურად აღრიცხვის მეტად ფორმალიზება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის სრულყოფილად შევსება ქვეყნების, თერთმეტ ნიშნა დონეზე საქონლის კოდებისა და ღირებულების მითითებით. ფაქტობრივად, გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია არითვალისწინებს საქონლის წარმოშობის ქვეყნის, საქონლის კოდის და საზღვარზე სატრანსპორტო საშუალები საღრიცხვას. საქონლის აღწერილობაც არ არის ისეთი დეტალური, რომ შესაძლებელი იყოს მისთვის ზუსტი კოდის მინიჭება სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით. ყველა დეკლარაციაში არ ფიქსირდება საქონლის ღირებულება. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების მიზანია საბაჟო++*დამუშავების-ოპერაციების განხორციელებისათვის დახარჯული დროის შემცირება [3,გვ.95-98];[7]. ეს კი პრობლემას ქმნის ექსპორტის სრულყოფილად აღრიცხვის მიმართულებით. ასეთი გზით ძირითადად მეზობელ ქვეყნებში გადის სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რაც ფაქტიურად ექსპორტში არ ჩანს.

რადგან საბაჟოზე ხდება ერთი ტერმინალიდან მეორეში გადასაწყობება, საბაჟო მოვლენების აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია საწყობიდან საწყობში გადატანის ოპერაციებისათვის რეჟიმის სწორედ მინიჭება [2]. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია განხორციელდეს ორმაგი აღრიცხვა, რომლის მიზეზიც შეიძლება გახდეს ისეთი დეკლარაციები, რომლებიც დროებითი რეჟიმით იყო შემოტანილი, მაგრამ შემდეგ გადაიტანეს საწყობში.

დღეისათვის, ჯერ კიდევ პრობლემატურია საბაჟო საწყობიდან რეექსპორტის რეჟიმით ტვირთების იმავე ქვეყანაში გატანის აღრიცხვის საკითხი, საიდანაც მოხდა შემოტანა (გარდა უკან დაბრუნებისა), აღრიცხვის სრულყოფისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ასეთი ტვირთების აღრიცხვა უნდა

მოხდეს იმ შემთხვევაში როდესაც უცხოელ მყიდველს ურჩევნია საქონლის მიღება იმავე ქვეყნიდან, საიდანაც მოხდა და¬საწყობება.

კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ დეკლარაციაში მითითებულ იქნეს საქონლის გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა [4], რადგან ზოგ დეკლარაციაზე ეს ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული, ამიტომ, იქმნება გარკვეული პრობლემები აღრიცხვის თვალსაზრისით, რაც შემოსავლების სამსახურის მხრიდან ადვილად მოგვარებადია. შედეგად: გადაწყვეტილ იქნება შესაბამის მონაცემთა ბაზის საკითხი.

საბაჟოზე აღრიცხვისას შესაძლებელია გარკვეული ხარვეზები გამოვლინდეს გადამუშავების შემთხვევაში საქონლის დეკლარაციებში დაფიქსირებისას. როგორც წესი, გადამუშავების შემთხვევაში მზა საქონელი უნდა დაბრუნდეს იმ ქვეყანაში, საიდანაც მოხდა ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატის ექსპორტი/იმპორტი. ზოგჯერ ასე არ ხდება. შესაძლოა ერთი ქვეყნიდან შემოსული ტვირთი (ნედლეული) გადამუშავების რეჟიმით, გადამუშავების შემდეგ გავიდეს სხვა ქვეყანაში. რეალურად გარიგების პირობის თანახმად, შესაძლებელია გადამუშავების შემდეგ საქონლის მიწოდება მოხდეს მესამე ქვეყანაზე. გაეროს საერთაშორისო მეთოდოლოგიის თანახმად კი გადამუშავების რეჟიმი უნდა აისახოს საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, ხოლო რემონტის ოპერაციები მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში. დღეისათვის საბაჟოს მიერ გადამუშავებისა და რემონტის რეჟიმების გამიჯვნა წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს.

ექსპორტსა და იმპორტს შორის გარკვეულ დისბალანსს იწვევს საშეღავათო პერიოდში ავტომანქანის ექსპორტირების შემთხვევაში პირდაპირი რეექსპორტის დეკლარაციის გაფორმება, რის გამოც აღნიშნულია ვტომანქანა არ ფიქსირდება იმპორტის ოპერაციებში.

ექპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთი პრობლემა არასწორად მინიჭებული რეჟიმებია. საქმე ისაა, რომ როცა იმპორტის რეჟიმით ხვდება საქონელი, ენიჭება ქართული საქონლის სტატუსი, მისი ქვეყნიდან გატანის დროს ფორმდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი და არა რეექსპორტი. მოსაგვარებელია დროებითი რეჟიმების აღნიშვნის პრობლემა, რაც შეძლებისდაგვარად საბაჟოს მხრიდან უნდა მოწესრიგდეს. რადგან ზოგჯერ საქონლის იმპორტს და ექსპორტს აფიქსირებს ერთი და იგივე კომპანია, რეალურად ეს რეექსპორტია, მაგრამ უფიქსირდება ჩვეულებრივი ექსპორტის რეჟიმი; ზოგჯერ ფიქსირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საქონელს აღწერილობაში უწერია „უკან დაბრუნების პირობა", ანუ მას მინიჭებული უნდა ჰქონდეს დროებითი რეჟიმი, თუმცა რიგ შემთხვევებში ეს ასე არ ხდება; რაოდენობის ველში ყველა საქონელს არ აქვს მითითებული სესსნ H2012-ით განსაზღვრული დამატებითი ზომი სერთეული, მაგ.: სპირტიან სასმელებს - აბსოლუტური ალკოჰოლი, სიგარეტებს - ღერები. დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ კი აქციზის გადასახადის განსაზღვრის მიზნით, საბაჟო სიგარეტებს აღრიცხავს კოლოფებში, ხოლო სასმელებს - ლიტრებში. საბაჟო მონაცემთა ავტომატიზირებული სის-ტემა"AASYCUDA"-ს მეშვეობით ავტომატურად იანგარიშება დასაბეგრი თანხა [6,გვ.276].

ინფორმაცია, რომელსაც შეიცავდა სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები, 2015 წლამდე არ იყო ასახული საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში. აღნიშნული დეკლარაციების გაფორმება ხორციელდებოდა მხოლოდ იმპორტის ოპერაციების დროს, საქართველოს ფოსტის მიერ და გარდა იმისა, რომ მასში არასრულყოფილად იყო ასახული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო აუცილებელი პარამეტრები, პრობლემის გადაჭრას ართულლებდა ის ფაქტიც, რომ ინფორმაციის მიღება ვერ ხერხდებოდა შესაბამისი წყაროდან. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდა ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, რომელიც საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და სტატისტიკური ინფორმაციის არსებითი ხარვეზი, რომელიც 2011 წლიდან 2014 წლის ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ფიქსირდებოდა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, იმპორტის ნაწილში და რომელიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, არის სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები. აღნიშნული დეკლარაციების შევსება შესაბამის წლებში წარმოებდა საქართველოს ფოსტის მიერ. არა ერთი თხოვნის და ოფიციალური მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნული უწყებიდან ვერ მოხერხდა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ. არადა შესაბამისი ინფორმაციის მიღება მეტად მნიშვნელოვანი იყო საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაღალი ხარისხით წარმოებისათვის.

2014 წლის ბოლოდან ზემოაღნიშნული ტვირთების დეკლარირების ფუნქცია გადაეცა შემოსავლების სამსახურს. ამის შემდეგ ამ ტვირთების დეკლარირება ხდება ჩვეულებრივი სატვირთო-საბაჟო დეკლა-რაციების საფუძველზე, რაც საშუალებას იძლევა საგარეო ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია მიღებული იქნას შესაბამისი სტატისტიკი სსაერთაშორისო სტანდარტებით წარმოებისათვის.

სპეციალურ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში ფიქსირდებოდა შემდეგი ნაკლოვანებები: საქონლის კოდები ხშირ შემთხვევაში შეცდომით იყო მინიჭებული ან დეტალიზებული იყო მხოლოდ 4-ნიშნა დონეზე, ამიტომ საქონლის სწორი კოდების დადგენა 11 ნიშნა დონეზე განხორციელდა საქონლის აღწერილობის საფუძველზე; თითქმის არ იყო დაფიქსირებული იმპორტიორი ქვეყნები. ქვეყნების დადგენა მოხერხდა იმ ვალუტების შესაბამისად, რომელშიც განხორციელებული იყო შესაბამისი ოპერაციები.

2015 წელს მოხერხდა სპეციალური სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მიღება და სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა განახორციელა ინფორმაციის კორექტირება, დამუშავებადა 2011-2014 წლების იმპორტის მონაცემების განახლება.

კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ დეკლარაციაში მითითებულ იქნეს საქონლის გამომგზავნი და საბოლოო დანიშნულების ქვეყანა, ზოგ დეკლარაციაში ეს ინფორმაცია არ არის დაფიქსირებული;

საბაჟოზე აღრიცხვისას შესაძლებელია გარკვეული ხარვეზები გამოვლინდეს გადამუშავების/რემონტის შემთხვევაში საქონლის დეკლარაციებში დაფიქსირებისას და არასწორად მინიჭებული რეჟიმების დროს, რაც ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური აღრიცხვისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს. კერძოდ: რემონტის რეჟიმი ენიჭება როგორც გადასამუშავებლად განკუთვნილ, ისე სარემონტო საქონელს. მეთოდოლოგიის თანახმად გადამუშავება აისახება საქონლით საგარეო ვაჭრობაში, ხოლო რემონტი წარმოადგენს მომსახურებით ვაჭრობის საგანს;

2017 წლის დასაწყისიდან შესაძლებელი გახდა ინფორმაციის დამუშავება გაეროს მიერ რეკომენ-დებული ფორმატით სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, საკითხი ეხება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოებას ტრანსპორტირების სახეების ჭრილში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების სააგენტოს მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების დეკლა-რირებისას გამოყენებული ფორმა - "ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია" (დამტკიცებული ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290 ბრძანებით) არ ითვალისწინებს საზღვარზე სატრან-სპორტო საშუალების ველის გრაფას, რის გამოც მათგან ფიზიკურად შეუძლებელია აუცილებელი ინფორმაციის მიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო მეთოდოლოგიურ სტანდარტებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის და გაეროს რეკომენდაციების შესრულების მიზნით, მიგვაჩნია, რომ უნდა დადგეს ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა დაემატოს საზღვარზე სატრანსპორტო საშუალების ველის გრაფა, რათა სსიპ მომსახურების სააგენტომ შეძლოს სრული ინფორმაციის მოწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპორტ-იმპორტის შესახებ. მათ მიერ მოწოდებულ დროულ და სრულყოფილ ინფორმაციაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა უტყუარობა და მაღალი ხარისხი.

ასევე, გაეროს მოთხოვნების გათვალისწინებითა და რეკომენდაციების შესაბამისად, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია განხორციელდეს ცვლილება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში და მას დაემატოს FOB ფასები იმპორტისთვის. იმპორტი აღრიცხული უნდა იქნეს როგორც CIF, ისე FOB ფასში. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია საგადასახდელო ბალანსისთვისაც, ვინაიდან მასში იმპორტი აისახება FOB ფასებში. მოცემულ ეტაპზე ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი – CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო- საზღვრის ფასებში (გარდა FOB ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

გაეროს რეკომენდაციების შესრულება, პირველ რიგში, უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაქსიმალურ მიახლოებას საერთაშორისოს ტანდარტებთან, პარტნორი ქვეყნების მონაცემებთან ჩვენი ქვეყნის მონაცემების ურთიერთშესადარისობას, საგადასახდელო ბალანსისა და

ეროვნულ ანგარიშთა სისტემისთვის სტატისტიკურ მონაცემთა წყაროების სრულყოფას, რაც საბოლოო ჯამში საგარეო ვაჭრობისა და მთლიანად საგარეო სექტორის სტატისტიკის ხარისხობრივი გაუმჯობესების მყარი გარანტი იქნება. ეს ერთ-ერთი აუცილებელი და მოსაგვარებელი საკითხია საქართველოსა და ევროკავშირსშორის ასოცირების შეთანხმების მიხედვით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებასაც. ამ შეთანხმებით, ასოცირების მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ სტატისტიკის განვითარების და ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან დაახლოების მიმართულებით.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულების მიზნით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის განვითარების და სრულყოფის საკითხებს. საგარეო სექტორის სტატისტიკის ხარისხის გაუმჯობესება ასევე წარმოადგენს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთ-ერთ პრიორიტეტს.

საყურადღებოა, რომ ევროდელეგაციის რეკომენდაციით, საქსტატმა განაცხადი გააკეთა ტვინინგის პროგრამაზე, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ინსტიტუციური თანამშრომლობის ინსტრუმენტს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ბენეფიციარი ქვეყნების საჯარო უწყებებს შორის.

საგარეო სექტორის სტატისტიკის ძირითად კომპონენტებია სარკისებური შედარება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა.

საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მონაცემებში არსებული ასიმეტრიის მიზეზების დადგენა. ეკონომიკური დიალოგის ფარგლებში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ქვეკომიტეტის შეხვედრებზე ხშირად ისმის საკითხი ევროსტატის და საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს შორის განსხვავების შესახებ და მხარეები გამოხატავენ დაინტერესებას განსხვავების მიზეზების დადგენაში.

საქართველოს სტატისტიკაში სარკისებური შედარებები, საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, 2006 წლის შემდეგ არ განხორციელებულა. სარკისებური შედარება გულისხმობს პარტნიორი ქვეყნების ორმხრივი ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების შედარებას და განსხვავების მიზეზების დადგენას. აღნიშნული სამუშაოები მოითხოვს დიდი ოდენობით ფინანსურ რესურსს. სამუშაოები მოიცავს არა მხოლოდ მონაცემების მარტივ არითმეტიკულ შედარებას, არამედ სრული მეთოდოლოგიური და ტექნიკური სამუშაოების შესრულებას უცხოელი ექსპერტების და დარგის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით.

რაც შეეხება მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკას, მისი წარმოება რეკომენდებულია, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და უზრუნველყოფს მზარდი ინტერესის და საჭიროებების დაკმაყოფილებას საერთაშორისო სავაჭრო მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებში. მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიო ვაჭრობის ყველაზე დინამიკური სეგმენტია. დეტალური სტატისტიკის არსებობა მომსახურების კატეგორიების და პარტნიორი ქვეყნების ჭრილში, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ანალიტიკოსებს საქართველოს მიერ მიღწეული შედეგების შეფასებისას ასოცირების შეთანხმების განხორციელების მიმართულებით.

პროექტის განხორციელებამ ნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს სტატისტიკური კანონმდებლობის, ნორმების, სტანდარტების და მეთოდოლოგიების დაახლოების პროცეს სევროკავშირის სტანდარტებთან.

საქართველოს სტტისტიკის ეროვნული სამსახური დაინტერესდა 2-წლიანი ტვინინგის მიმართულებით და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, პროცესის დაწყებ აიგეგმება 2018 წლის 1 კვარტლიდან.

ლიტერატურა:


1. აბესაძეო. საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. თბ., 2015;
2. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ნიუიორკი, აშშ 2004; http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%
3. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ნიუიორკი, აშშ 2011;http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/IMTS2010-
4. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის, რევიზია, 2010" (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუიორკი, აშშ, 2013 წ.);http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/IMTS2010-CM%20-%20white%20cover%20version.pdf
5. ძებისაური ლ., საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბ., 2012;
6. Daushvili M. Improvement of customs statistics in Georgia. 21st International Scientific Conference Economics and Management. Brno,Czech Republic.2016
7. www. geostat.ge;


## The Practice of Implementing the UN and Eurostat Recommendations in the Customs Statistics


Meri Daushvili

*Doctoral student*

*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The Association Agreement between the European Union and Georgia implies the approximation of the Customs system to the EU model. This itself requires the appropriate informational support. Therefore, nowadays, a particularly relevant issue is the identification and the methodological improvements of the drawbacks, existing in the Customs statistics.



*Key words: methodology; customs; improvement; quality; statistics.*

# ინოვაციური ეკონომიკა: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები

**თამარ დუდაური**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*

**ნინო სამჭკუაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი*

*ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს განვითარების ინოვაციური გზა. ინოვაციები იძენს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, როგორც მიკროეკონომიკურ, ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე, ვინაიდან შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს გახდნენ კონკურენტუნარიანი, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე. სტატიაში გაანალიზებულია ინოვაციური ეკონომიკის არსი და მისი განვითარების შესაძლებლობები, ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციები. ყურადღება გამახვილებულია ინოვაციური განვითარების ზოგიერთ პრობლემაზე და მისი გადაჭრის საკითხებზე.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა, ინოვაციები, კონკურენტუნარიანობა, მეცნიერებატევადი დარგები, პატენტი, ვენჩურული ფონდი, ტექნოპარკი, ბიზნეს-ინკუბატორი.*

ცვლილებების განუწყვეტლად ზრდადი ტემპი გახდა ეკონომიკის ზრდის ძირითადი ფაქტორი. იმისათვის, რომ ეკონომიკური სუბიექტები დარჩნენ კონკურენტუნარიანი უნდა შეინარჩუნონ საკუთარი ინოვაციური აქტიურობის მაღალი ტემპი. ყველა სახის ინოვაცია წარმოადგენს ერთდროულად ეკონომიკური სუბიექტების როგორც სიცოცხლისუნარიანობის, ასევე კონკურენტუნარიანობის ფაქტორს.

ახალი იდეების, უახლესი პროდუქციისა და ტექნიკის პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს თანამედროვე საზოგადოების ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ განვითარებას. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სიახლეთა დანერგვის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის მრავალ სფეროში. განვითარებული ქვეყნებიდან ჩამორჩენის დაძლევის მიზნით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელია მაღალი ტექნოლოგიებისა და მეცნიერებატევადი დარგების განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის ინოვაციებზე ორიენტირებულ ეკონომიკად გარდაქმნა ძნელად და ქაოტურად მიმდინარეობს. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო [1], 2015 წლის 3 თებერვალს კი მთავრობის დადგენილებით კვლევებისა და ინოვაციების საბჭო [2], რომლის თავმჯდომარე არის საქართველოს პრემიერმინისტრი, ხოლო საქართველოს რეგიონებში - ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერისათვის შესაბამისი სტრუქტურები (ინვესტიციურ-ვენჩურული ფონდები, ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები და ა. შ.), სიტუაცია ამ მიმართებით ჯერ კიდევ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების გზაზე ერთ-ერთი ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია ინოვაციური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა. ზოგადად, ქვეყნების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეგვიძლია ვუწოდოთ ინოვაციურები.

მსოფლიოში ყველაზე ინოვაციური ქვეყნების რეიტინგს ძირითადად ადგენს ორი ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (UNO) არსებული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO) და საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ი, თუმცამათი მიღებული შედეგები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია ინდექსის შესადგენად 80-ზე მეტ კრიტერიუმს იყენებს. ექსპერტთა კოლეგია დაკომპლექტებულია კორნელის უნივერსიტეტის (აშშ), საფრანგეთში გან-

ლაგებული ბიზნესის მართვის ევროპული ინსტიტუტის (INSEAD) და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებით. რეიტინგის შემდგენლები აფასებენ ქვეყნების ინოვაციურ პოტენციალს და მათ მიღწევებს ინოვაციების შემუშავებაში. 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ული შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი 1). საქართველო ამ რეიტინგში იმყოფება 34,39 ქულით 68-ე ადგილზე.

ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ული 2017 წელს[3]

ცხრილი 1

| ადგილი | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | შვეიცარია | 67,69 |
| 2 | შვედეთი | 63,82 |
| 3 | ნიდერლანდები | 63,36 |
| 4 | აშშ | 61,40 |
| 5 | დიდი ბრიტანეთი | 60,89 |
| 6 | დანია | 58,70 |
| 7 | სინგაპური | 58,69 |
| 8 | ფინეთი | 58,49 |
| 9 | გერმანია | 58,39 |
| 10 | ირლანდია | 58,13 |

ოდნავ განსხვავებულია საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგი. მისი თანამშრომლები რეიტინგების გაანგარიშებისას იყენებენ მხოლოდ შვიდ პარამეტრს. ესენია: სამეცნიერო-საკვლევ ბაზის განვითარების დონე, საქონლის წარმოება მაღალი დამატებითი ღირებულებით, დიპლომირებული სპეციალისტების წილი შრომით ბაზარზე, სამეცნიერო ცენტრების კონცენტრაცია და მათი პერსონალის რაოდენობა, hi-tech ტექნოლოგიების გამოყენების დონე და გამოგონებების დაპატენტების სფეროში ბიზნესის აქტიურობა(იხ. ცხრილი 2) [4].

საინფორმაციო სააგენტო Bloomberg-ის რეიტინგის მიხედვით, საქართველო ვერ მოხვდა 50 ქვეყნის სიაში, ხოლო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ინდექსის მიხედვით კი, როგორც აღინიშნა 68-ე ადგილზე იმყოფება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველო ჩამორჩება ესტონეთს (25-ე ადგილი), ლატვიას (33-ე), რუსეთს (45-ე), უკრაინას (50-ე), მოლდავეთს (54-ე) და სასომხეთს (59-ე ადგილი).

ყველაზე ინოვაციური ქვეყნების ტოპ-10-ული 2017 წელს[3]

ცხრილი 2

| ადგილი | ქვეყანა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | სამხრეთ კორეა | 89,00 |
| 2 | შვედეთი | 83,98 |
| 3 | გერმანია | 83,92 |
| 4 | შვეიცარია | 83,64 |
| 5 | ფინეთი | 83,26 |
| 6 | სინგაპური | 83,22 |
| 7 | იაპონია | 82,64 |
| 8 | დანია | 81,93 |
| 9 | აშშ | 81,44 |
| 10 | ისრაელი | 81,23 |

როგორც ცხრილებში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ერთობ დაბალ დონეზეა ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის პროცესი იმის მიუხედავად, რომ 2016 წლის 22 ივნისს მიღებული იქნა, საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მიზანია: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკუ-

რი განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით[5]. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არასათანადო ყურადღება ექცევა ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობას სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას აფერხებს, ასევე, გამოგონებების სიმცირე, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2017 წლის რვა თვის განმავლობაში საქპატენტის მიერ დარეგისტრირებული და პატენტგაცემულია მხოლოდ 151 გამოგონებააზე[6].

ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა ავტომატურად არ უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების პროცესში ინოვაციური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. შესაბამისად, საქართველოს გადაყვანა განვითარების ინოვაციურ გზაზე მოითხოვს ამ მიმართულებით დიდ ძალისხმევას ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციებს ქვეყანაში ამჟამადაც აქვს ადგილი, მაგრამ მათი რეალიზაცია საწარმოთა უმრავლესობაში არ ხდება და ბიზნესის ცალკეული წარმომადგენლების კერძო ინიციატივებია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის პერსონალი არ არის მზად მასშტაბური ინოვაციების განხორციელებისათვის, უფრო მეტიც, იგი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ინოვაციის დანერგვისას ორგანიზაციაში. ამის მიზეზია ისისც, რომ არასაკმარისადაა განვითარებული ინფრასტრუქტურა. იმის მიუხედავად, რომ ინოვაციური სამეწარმეო სტრუქტურებისათვის დაწესებულია შეღავათები ვენჩურული ფონდების, ტექნოპარკების და ბიზნესინკუბატორების ფუნქციონირების ჩარჩოებში, მათი მოცულობა არ არის საკმარისი ინოვაციური საწარმოო კომპანიის სტაბილური განვითარებისათვის. ამ მიმართულებით აუცილებელია ინოვაციების შემუშავებაში უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა, ისინი დაეხმარებიან ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს პრობლემების გადაწყვეტაში ინოვაციების შემუშავების გზით. ამ საკითხის გადაწყვეტა საკმაოდ რთული ამოცანაა და მოითხოვს სისტემურ მუშაობას, რაშიც უნდა ჩაერთონ როგორც სახელმწიფო, ასევე აკადემიური და სამრეწველო სფეროები. აუცილებელია შეიქმნას აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებს შორის დამაკავშირებელი რგოლი.

საქართველოს საწარმოებში ინოვაციების მიზერული რაოდენობის მიზეია ფულადი სახსრების პერიოდული უკმარისობა, რის გამოც შემოსული თანხებით ფარავენ მიმდინარე ხარჯებს და არა განვითარებას ვერ აფინანსებენ.

ამ მიზეზების დასაძლევად სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული ტენდენციები, რაც ძლიერ გავლენას ახდნს ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე და მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ტენდენციებია:

1. ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა;
2. ეკონომიკაში ინოვაციებზე მოთხოვნის გაზრდა;
3. ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება;
4. გლობალურ ინოვაციურ სისტემაში ეფექტიანი ინტეგრაცია.

ამ ტენდენციებზე დაყრდნობით და ინოვაციური ეკონომიკის წარმატებით ფორმირებისათვის შემუშავებულ და რეალიზებულ უნდა იქნეს მეცნიერული და ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც საფუძვლად დაედება სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, იგი უნდა მიმართული იყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაზე, ესენია:

- ეროვნული ინოვაციური სისტემის შექმნა, რომელსაც შეეძლება ინოვაციების მასობრივი ათვისება;
- სახელმწიფო ორგანოების ფორმირება, რომლებიც განახორციელებენ ინოვაციური საქმიანობის კოორდინაციას. მართალია, ამ მიმართებით საქართველოში შექმნილია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და კვლევებისა და ინოვაციების საბჭო, მაგრამ სასურველი იქნებოდა შექმნილიყო ერთი

სახელმწიფო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა მთავრობის წინაშე ეკონომიკის ინოვაციური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე;

- მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმის შემუშავება და რეალიზაცია;
- მეცნიერების ფუნდამენტური და გამოყენებითი სექტორების შენარჩუნებისა და დაბალანსებული განვითარებისათვის ღონისძიებების კომპლექსის შემუშავება;
- პირობების შექმნა, რც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური მეწარმეობის დაჩქარებულ განვითარებას;
- მთლიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნა;
- მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიღწევების ბაზაზე ეკონომიკის მოდერნიზაციის ღონისძიებების რეალიზაცია.

ჩამოთვლილი პრობლემებისა და შემაფერხებელი ფაქტორების მიუხედავად, საქართველოში ბევრი რამ კეთდება ინოვაციების შემუშავებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნისა და მათი დანერგვისათვის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. მაგალითად: თბილისის მახლობლად, დაბა ოქროყანაში, გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, მას ზედამხედველობას საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უწევს. ტექნოპარკის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე ინკუბატორები, სასწავლო ცენტრები და ლაბორატორიები, საერთაშორისო მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგცენტრები და საგამოფენო ოთახები, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია. ტექნოპარკის დანიშნულებაა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, ახალი გამოგონებების ხელშეწყობა და ორიგინალურ იდეათა პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტს, რომლის დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა 2016 წლის 18 მარტს 40 მლნ დოლარი გამოყო [7]. სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები შეიქმნა და იქმნება სხვადასხვა უნივერსიტეტების ბაზაზე და მუნიციპალიტეტებში; ხორციელდება მინი გრანტების პროგრამა და სხვა. მაგრამ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასაყვანად, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მცირეა ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მათ შემუშავებაზე გამოყოფილი თანხები ბიუჯეტიდან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სსიპ-საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს როგორც 2016, ასევე 2017 წელს გამოეყო 25 მლნ ლარი, ხოლო მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამაზე 2016 წელს გამოყოფილი იყო 62 687 000 ლარი, ხოლო 2017 წელს 62 458 000 ლარი.[8] რაც მიგვაჩნია, რომ არის ძალიან მცირე იმ მიზნის მისაღწევად, რასაც მოითხოვს ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა.

## დასკვნა

ამრიგად, ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა - გადავიდეს ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე - ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბებაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეცნიერების, მეწარმეობის, საზოგადოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ნაყოფიერი ურთიერთქმედებით იქნება შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა და ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება. საქართველოსათვის ინოვაციური ეკონომიკა - ეს შესაძლებლობაა იმპორტიორი ქვეყნიდან გახდეს მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა. საწარმოო სფეროში ინოვაციების დანერგვა აამაღლებს არამხოლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხს და შეამცირებს დანახარჯებს, არამედ შეიქმნება პრინციპულად ახალი სახის პროდუქცია და მომსახურება, გაჩნდება გასაღების ახალი ბაზრები, გაიზრდება ეკონომიკური სუბიექტების კონკურენტუნარიანობა, ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, რითაც საქართველო დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

ლიტერატურა:


1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება №1-1/66. 5 მარტი 2014 წელი. https://-matsne.gov.ge/ka/document/view/2269957
2. საქართველოს მთავრობა. კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მთავრობის დადგენილება №32. 3 თებერვალი 2015 წელი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/-view/2712487
3. The Global Innovation Index 2017. Report Now Available. https://www.globalinnovationindex.org/
4. Южная Корея и другие: 50 самых инновационных стран мира. https://dev.by/lenta/main/world-innovation-leaders
5. საქართველოს კანონი. ინოვაციების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 22.06.2016. https://matsne.-gov.ge/ka/document/view/3322328
6. საქპატენტი. ოფიციალური ბიულეტენები №1-№16. http://www.sakpatenti.gov.ge/ka/publications/?subject=OFFI-CIALBULLETINSOFINDUSTRIALPROPERTY
7. მსოფლიო ბანკი. მსოფლიო ბანკი მხარს უჭერს ინვესტირებას საქართველოს მომავალში და ინოვაციაზე და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებას. პტესრელიზი. ვაშინგტონი 2018 წლის 18 მარტი. http://pubdocs.worldbank.org/en/846991458317907954/PR-Board-Approval-GENIE-March-2016-Geo.pdf
8. საქართველოს კანონი „საქართველოს 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“. http://www.parliament.ge/ge/ajax/do-wnloadFile/50295/1


## Innovative Economy: Problems and Perspectives of Development


**Tamar Dudauri**

*academic doctor of economy, Associated Professor*
*Caucasus International University*

**Nino Samchkuashvili**

*doctor of economy, Associated Professor*
*Georgian National University*



**R e s u m e**

The priority direction of the country's economic development is the innovative way of development. Innovations are becoming increasingly important for the sustainable development of the economy as a microeconomic and macroeconomic level, as they allow economic subjects to become competitive in both domestic and international markets. The article analyzes the essence of the innovative economy and the possibilities of its development, revealed the main trends of innovative economics development. The main problems and perspectives of innovative development are defined.



*Key Words: Innovative economics, innovations, competitiveness, science fields, patent, venture fund, techno park, business incubator.*

# გაცვლითი კურსის გავლენა საქართველოს ეკონომიკის სექტორულ გამოშვებასა და მაკროეკონომიკურ გარემოზე

ალექსანდრე ერგეშიძე

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განიხილულია ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გავლენა საქართველოს ეკონომიკის სექტორულ გამოშვებასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლეზე გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის მოდელის (CGE) საშუალებით. კვლევის შედეგად შეფასებულია, რომ ნომინალური გაუფასურება აუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს, თუმცა, ჰეტეროგენული გავლენა აქვს გამოშვებაზე სექტორების მიხედვით. კერძოდ, გაუფასურება ზრდის ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების გამოშვებას, ხოლო უარყოფითად მოქმედებს იმ სექტორებზე რომლებიც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულები არიან იმპორტირებულ შუალედურ საქონელზე. ასევე, ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ გაუფასურებამ მოსალოდნელია გაზარდოს ინფლაცია და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.*

***საკვანძო სიტყვები: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის მოდელი (CGE), დოლარიზაცია, ვალუტის შეუსაბამობა.***

გაცვლითი კურსი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ერთდროულად ზემოქმედებს ეკონომიკის სხვადასხვა კომპონენტზე. ერთი მხრივ, გაუფასურებული ვალუტა ექსპორტის ხელშემწყობია, რომელმაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დახურვაში. მეორე მხრივ ამის საწინააღმდეგოდ, იმპორტირებულ შუალედურ საქონელზე დამოკიდებული ფირმები შესაძლოა მგრძნობიარე იყვნენ კურსის მიმართ. ასევე, დოლარიზებულ ეკონომიკაში, შინამეურნეობებისა და ფირმების საბალანსო უწყისი გაცვლითი კურსის შეუსაბამობით გამოწვეულ რისკს შეიცავს. მაგალითად, 2017 წლის აგვისტოში, მთლიანი სესხებისა და დეპოზიტების 60%-ზე მეტი დენომინირებული იყო უცხოური ვალუტით. აქედან გამომდინარე, გაცვლითი კურსის ცვლილებას გავლენა ექნება ინდივიდუალური მსესხებლის წმინდა სიმდიდრეზე. თუ განვიხილავთ ეკონომიკას მიწოდების მხრიდან, გაცვლითი კურსის რყევებმა შეიძლება ზეგავლენა იქონიოს შუალედური საქონლის ფასებზე, შედეგად კი წარმოების ხარჯებზე. წინამდებარე კვლევა აანალიზებს სავალუტო კურსის ცვლილებებით გამოწვეულ საპირისპირო ძალებს. გამოთვლადი ზოგადი წონასწორობის (CGE) მოდელის გამოყენებით, კვლევა რაოდენობრივად აფასებს გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენას ეკონომიკაზე. ძირითადად კონცენტრირება გაკეთებულია მაჩვენებლებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიტიკის გამტარებლებისათვის, როგორიცაა მშპ-ის ზრდა, წმინდა ექსპორტი, ინფლაცია და სექტორული გამოშვება.

გაცვლითი კურსის ეფექტი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით მათი ეკონომიკის სტრუქტურიდან გამომდინარე, რაც ძალიან მნიშვნელოვანს ხდის ქვეყნის მახასიათებლების გათვალისწინებას სწორი სავალუტო პოლიტიკის იმპლემენტაციისთვის. ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურება ექსპანსიურია თუ რესტრიქციული საქართველოს ეკონომიკისთვის, არ არის საკმარისად შესწავლილი. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის მიზანია გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული შეხედულებების განხილვაში და რაოდენობრივად შეაფასოს გაცვლითი კურსის გავლენა მაკროეკონომიკურ ცვლადებზე. სტანდარტულ მცირე-ღია ეკონომიკის მოდელებში ნომინალური გაცვლითი კურსის გაუფასურებას წმინდა ექსპორტის გაუმჯობესების გზით დადებითი გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, როგორც სხვადასხვა კვლევებმა[1;2;3] აჩვენეს მაღალი დოლარიზაციის პირობებში გაცვლითი კურსის გაუფასურებას შესაძლებელია ჰქონდეს რესტრიქციული ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე. რესტრიქციული გაუფასურების მიზეზები შეჯამებულია ბაჰმანი-ოსკოისა და მიტეზას ნაშრომში[4], რომლის მიხედვით რესტრიქციული გაუფასურების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია:

- შემოსავლის გადანაწილება დაბალი მოხმარების მიდრეკილების მქონე ადამიანებზე,
- ინვესტიციების შემცირება,

- ვალის მომსახურების ზრდა,
- იმპორტირებული პროდუქციის ღირებულების ზრდა,
- ხელფასების ინდექსაცია ფასების დონეზე დაყრდნობით
- კაპიტალის ღირებულების ზრდა.

თუმცა, მტკიცებულება რესტრიქციული გაუფასურების შესახებ საკმაოდ შერეულია. არსებობს ვრცელი ლიტერატურა, რომელიც ვერ ადასტურებს რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზას. კრუეგერმა[5] და გილფასონმა[6] გამოიკვლიეს 22 და 33 მნიშვნელოვანი გაუფასურების პერიოდი სხვადასხვა ქვეყანაში და ვერ იპოვეს რესტრიქციული გაუფასურების მტკიცებულება. საერთო ჯამში, შედეგები დამოკიდებულია კვლევაში გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და ქვეყნის მახასიათებლებზე.

ეკონომისტები იყენებენ სხვადასხვა მიდგომებს ეკონომიკაზე გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის შესაფასებლად. ძირითადი მიდგომები შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს ეკონომეტრიკული ანალიზი და ზოგადი წონასწორობის მოდელები. გაუფასურების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტების, ასევე სექტორული გავლენის შესაფასებლად ანალიზი ჩატარდა გამოთვალადი ზოგადი წონასწორობის (CGE) მოდელის გამოყენებით. CGE მოდელირება არის ერთ-ერთი ინსტრუმენტი ემპირიული ანალიზისთვის და ეკონომიკური ფაქტორების ცვლილების ეფექტების შესასწავლად. გარდა ამისა, ზოგიერთი ეკონომისტი[7] ამტკიცებს რომ CGE მოდელირების უპირატესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისთვის, რადგან მოდელის პარამეტრები კალიბრაციით აირჩევა და არ საჭიროებს მონაცემთა დროით მწკრივებს, რომელიც არ არის ყოველთვის სანდო და ხელმისაწვდომი მრავალ ქვეყანაში.

ასევე, CGE მოდელის უპირატესობა მდგომარეობს მის შესაძლებლობაში გაითვალისწინოს ეკონომიკის მრავალი მახასიათებელი და რაოდენობრივად ასახოს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ეფექტები. მოდელის კალიბრაცია მოხდება 2011 წლის მონაცემებით აგებულ სოციალური აღრიცხვის მატრიცის (SAM) საფუძველზე. SAM არის სრულყოფილი, ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის აღმწერი მონაცემთა ბაზა, რომელიც ასახავს ურთიერთქმედებას აგენტებსა და სხვადასხვა სექტორებს შორის. ნაშრომი გაანალიზებს მონაცემებს 15 ძირითადი სექტორის და შინამეურნეობების ორი საყოფაცხოვრებო ტიპის მიხედვით: თბილისისა და დანარჩენი საქართველოს მიხედვით.

CGE მოდელი, რომელიც გამოყენებული იქნება კვლევაში, ეფუძნება მატიესენის[8] და რუტერფორდის[9] დაშვებებსა და ეროუ-დებრეს[10] წონასწორობის პირობებს. მოდელში განვიხილავთ მცირე ღია ეკონომიკას, სადაც შიდა ფირმები გავლენას ვერ ახდენენ მსოფლიო ფასებზე და ვალრასის წესის მიხედვით წონასწორობაში მიწოდება უტოლდება მოთხოვნას ენდოგენური საფასო მექანიზმის მეშვეობით. ამავდროულად, სამი ტოლობის პირობები უნდა შესრულდეს ერთდროულად: შემოსავლის ბალანსის, ნულოვანი მოგების და ბაზრის წონასწორობის.

მოდელში, შინამეურნეობები ფლობენ შრომით რესურს და ორი სახეობის კაპიტალს: ეროვნული და უცხოური ვალუტით. შესაბამისად, გაცვლითი კურსის რყევებს პირდაპირი გავლენა ექნება შინამეურნეობების ფინანსურ მდგომარეობაზე უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივების ღირებულების ცვლილების გზით. შინამეურნეობები, რომლებიც ზოგავენ უცხოური ვალუტით ისარგებლებენ გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად, რადგან გაიზრდება მათი აქტივების ღირებულება ეროვნული ვალუტით. თუმცა მსესხებლები დაზარალდებიან, რადგან მათ დასჭირდებათ მეტი ეროვნული ვალუტა ვალების მომსახურებისთვის. შინამეურნეობები აწოდებენ ამ ორი სახის კაპიტალსა და შრომით რესურს წარმოების სექტორებს, ასევე აგზავნიან (ღებულობენ) ფულად გზავნილებს დანარჩენი მსოფლიოსგან, იხდიან გადასახადებს და სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური დახმარებით მთავრობისაგან. საბოლოოდ, ისინი მოიხმარენ სხვადასხვა დასახელების იმპორტირებულ და ადგილობრივ წარმოებულ საქონლებს, და ასევე ინახავენ მომავლისთვის.

მოდელში, მთავრობა ბიუჯეტს ავსებს გადასახადებითა და უცხოეთიდან მოზიდული დაფინანსებით, რათა აწარმოოს საზოგადოებრივი საქონელი, გადაურიცხოს ფული შინამეურნეობებსა და დანარჩენ მსოფლიოს. თავის მხრივ, დანარჩენი მსოფლიო ფლობს ორივე სახის კაპიტალს, ახორციელებს ფულად გზავნილებს და მოიხმარს იმპორტირებულ პროდუქციას.

ლეონტიევის და კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციების გამოყენებით, ადგილობრივი ფირმები იყენებენ შრომით რესურსს, ორივე ტიპის კაპიტალსა და შუალედურ საქონელს. არმინგტონის[11] დაშვება არის გამოყენებული გამოშვების დასაყოფად შიდა მიწოდებად და ექსპორტად. შემდგომ, შიდა მიწოდება და იმპორტი კომბინირებულია როგორც არასრულყოფილი შემცვლელები. საბოლოოდ, მთლიანი საქონელი იყოფა სა-

ბოლოო მოხმარების საქონლად, ინვესტიციებად და შუალედურ საქონლად, რომელიც წარმოებაში გამოიყენება.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ მაღალი დოლარიზაციის ხარჯი და წარმოების სექტორებისა და შინამეურნეობების მგრძნობელობა გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ, გაანგარიშებულია მათი წმინდა პოზიციას (აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა) უცხოური ვალუტით. წარმოების სექტორების უცხოური ვალუტით არსებული ხარჯი გამოითვლება უცხოური ვალუტით არსებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯებისა და დეპოზიტებიდან საპროცენტო შემოსავლების სხვაობით. საბოლოოდ სხვაობა მიბმულია გაცვლით კურსზე, რაც საშუალებას იძლევა მისი ღირებულება გამოთვლილ იქნას ეროვნული ვალუტით.

გარდა ამისა, იმპორტი დაყოფილია შუალედურ და სამომხმარებლო საქონლად, რადგან ზოგიერთი წარმოების სექტორი უაღრესად დამოკიდებულია იმპორტირებულ შუალედურ პროდუქტზე და ეროვნული ვალუტის გაუფასურება გაზრდის მათ ხარჯებს.

აღნიშნულ მოდელში, ვალუტის კურსის ცვლილებება (მაგალითად, გაუფასურება) გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ერთდროულად ორი არხის - მიწოდებისა და მოთხოვნის მეშვეობით. პირველ რიგში, ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი მიწოდების შოკი, რადგან ფირმებისთვის იმპორტირებული შუალედური საქონლისა და უცხოური ვალუტით დენომინირებული კაპიტალის ფასი გაიზრდება. მეორე მხრივ, გაუფასურებამ შეიძლება გამოიწვიოს დადებითი მოთხოვნის შოკი ექსპორტის ხელშეწყობის გზით. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მთლიანობაში უცხოური ვალუტით წმინდა მსესხებელია, გაუფასურება გაზრდის ვალის მომსახურების ხარჯს, რამაც შესაძლოა შეამციროს აგრეგირებული მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, კვლევის მიზანია შეაფასოს გაცვლითი კურსის ურთიერთსაპირისპირო ძალების ზემოქმედება მაკროეკონომიკურ გარემოზე და შეამოწმოს რესტრიქციული გაუფასურების ჰიპოთეზა საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებით.

CGE მოდელის სტრუქტურა




*კვლევის შედეგების მიხედვით, გაცვლითი კურსის გაუფასურება ზრდის კონკურენტუნარიანობას მრეწველობის სექტორში, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი წილი მშპ-ში (17%) და არის მთავარი მამოძრავებელი მშპ-ის ზრდის. გაცვლითი კურსის გაუფასურება 10%-ით ზრდის გამოშვებას მრეწველობის სექტორში 9%-ით (იხ. ცხრილი1). მრეწველობის სექტორის გამოშვების ზრდა განპირობებულია დანარჩენი მსოფლიოდან გაზრდილი მოთხოვნით. ასევე, მნიშვნელოვნად იზრდება წარმოება სოფლის მეურნეობის სექტორში, რადგან ეს არის შრომა-ინტენსიური სექტორი და შრომითი რესურსის ფასი ნაკლებად იზრდება გაცვლითი კურსის გაუფასურების შედეგად ვიდრე უცხოური კაპიტალის და შუალედური იმპორტირებული საქონლის ფასი. ამიტომ, აღნიშნული სექტორის კონკურენტუნარიანობა არსებითად იზრდება როგორც შიდა, ასევე სა-*

*ერთაშორისო ბაზარზე. კვლევა ასევე აკვირდება მნიშვნელოვანი ზრდის მაჩვენებელს სექტორებში, რომლე-ბიც უფრო მეტად არიან ექსპორტზე ორიენტირებულები, როგორიცაა სამთომომპოვებელი მრეწველობა და სატრანსპორტო სექტორი. თუმცა, გაუფასურებას აქვს უარყოფითი ეფექტი სექტორებზე, რომლებიც ძირითა-დად დამოკიდებულები არიან შიდა მოთხოვნაზე და წარმოებაში მაღალი წილი აქვთ უცხოური ვალუტით მოზიდული საშუალებების, მათ შორის, ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების, განათლების, უძრავი ქონების, ფინანსური შუამავლობისა და სამშენებლო სექტორებს.*

გაცვლითი კურსის გაუფასურება ზრდის ფასებს თითქმის ყველა სექტორში, რადგან იზრდება უცხოუ-რი კაპიტალის და შუალედური იმპორტირებული საქონლის ფასი. მკვეთრად იზრდება ფასები მრეწველობის პროდუქტში იმპორტირებული შუალედური საქონლის მაღალი წილისა და დანარჩენი მსოფლიოსგან გაზ-რდილი მოთხოვნის გამო. მთლიანობაში, ყველაზე მეტად ფასების ზრდა ფიქსირდება სექტორებში, რომლე-ბისთვისაც წარმოების ფაქტორების ფასის ზრდას თან ახლდა გაზრდილი გარე მოთხოვნა, როგორიცაა სამ-თომომპოვებელი მრეწველობა, სატრანსპორტო და სოფლის მეურნეობის სექტორები. ფასების მაღალი ზრდა საფინანსო შუამავლობის და სამშენებლო სექტორებში აიხსნება ამ სექტორებში უცხოური კაპიტალის და შუა-ლედური საქონლის იმპორტის მაღალი წილით. ფასები სხვა სექტორებში ნაკლებად იცვლება, რადგან წარმო-ების ფაქტორების ფასების ზრდის ეფექტი ნაწილობრივ გადაფარულია დაბალი მოთხოვნით.

ცხრილი 1. ნომინალური კურსის გაუფასურების გავლენა ეკონომიკის სექტორების გამოშვებაზე

| | გაცვლითი კურსის 10%-ით გაუფასურების ეფექტი |
|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 4.5% |
| მეთევზეობა, თევზჭერა | 8.1% |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 29.2% |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 9.0% |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება | -2.1% |
| მშენებლობა | -8.0% |
| ვაჭრობა | 0.0% |
| სასტუმროები და რესტორნები | -6.0% |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 4.3% |
| საფინანსო საქმიანობა | -7.5% |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | -4.9% |
| სახელმწიფო მმართველობა | 1.1% |
| განათლება | -9.4% |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | -11.4% |
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება; შინამომსახურება | 0.9% |

ცხრილი 2. ნომინალური კურსის გაუფასურების გავლენა ფასებსა და უმუშევრობაზე

| | გაუფასურება 10%-ით |
|---|---|
| ფასების ზრდა (%) | 1.5 |
| უმუშევრობის დონე (პპ) | -0.4 |

გაცვლითი კურსის გაუფასურება აუმჯობესებს სავაჭრო დეფიციტს ექსპორტის გაზრდისა და იმპორტის შემცირების გზით. ასევე, შედეგებიდან გამომდინარე იზრდება მოთხოვნა შუალედურ იმპორტირებულ საქონელზე, რადგან მთლიანობაში წარმოება იზრდება და სექტორებს უფრო მეტი წარმოების საშუალებები სჭირდებათ. გაუფასურება აძლიერებს მშპ-ის ზრდის ტემპს და აუმჯობესებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. 10%-ით ვალუტის გაუფასურება ზრდის მშპ-ის 1,4 პროცენტული პუნქტით. გარდა ამისა, 10%-ით ვალუტის გაუფასურება ამცირებს უმუშევრობის დონეს 0,4 პროცენტული პუნქტით.

მიღებული შედეგების მიხედვით, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების ეფექტი დომინირებს უარყოფითი მოთხოვნისა და მიწოდების შოკებს, რის გამოც ეკონომიკა ახალ წონასწორობას აღწევს, სადაც ფასებიც და მშპ-იც უფრო მაღალია. შესაბამისად, ვასკვნით, რომ გაცვლითმა კურსმა შეიძლება შეასრულოს მხარდამჭერი როლი ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდულია იმპორტირებული შუალედური საშუალებების მაღალი წილითა და დოლარიზაციის დონით.

## დასკვნა

მოცემული კვლევა, CGE მოდელის გამოყენებით, აანალიზებს გაცვლითი კურსის გავლენას საქართველოს ეკონომიკასა და მის სექტორულ გამოშვებაზე. მიღებული შედეგების მიხედვით, ვალუტის კურსის გაუფასურებამ მოსალოდნელია გაზარდოს მრეწველობის სექტორის კონკურენტუნარიანობა, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი წილი მშპ-ში (17%). ასევე, ზრდის მაღალი პოტენციალი ფიქსირდება სოფლის მეურნეობის სექტორში, სადაც მთლიანი სამუშაო ძალის დაახლოებით ნახევარია დასაქმებული. აღნიშნული სექტორების გარდა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი სარგებლობს გაუფასურების შედეგად, ხოლო სექტორები, რომლებიც უფრო მეტად არიან დამოკიდებული იმპორტირებულ შუალედურ საქონელზე, ვიდრე საექსპორტო შემოსავლებზე (როგორიცაა მშენებლობა, უძრავი ქონება, ჯანდაცვა), ამცირებენ გამოშვებას. შეფასების თანახმად, გაცვლითი კურსის გაუფასურებამ მოსალოდნელია გააუმჯობესოს სავაჭრო ბალანსი, შეამციროს უმუშევრობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას.

საჭიროა შემდგომი კვლევების ჩატარება სხვადასხვა სექტორისათვის მიკრო დონეზე არსებული შეზღუდვების უფრო დეტალური ანალიზისთვის. კავშირები გაცვლით კურსსა და საწარმოო ფაქტორების ფასებს შორის, ასევე უფრო მეტად უნდა იქნეს გაანალიზებული, კერძოდ, თუ როგორ რეაგირებს ხელფასი და კაპიტალის უკუგება კურსის ცვლილებებზე. ასევე, გაცვლითი კურსის ეფექტის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის არაწრფივ ეფექტს საბანკო სექტორის ფინანსურ სიჯანსაღეზე. შინამეურნეობებისა და კომპანიების ანგარიშებზე არსებული ვალუტების შეუსაბამობის გამო, გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანმა ცვლილებამ შესაძლოა გაზარდოს ფინანსური სტაბილურობის რისკები, რაც შეაფერხებს ეკონომიკურ ზრდას.

ლიტერატურა:


1. Aghion, P., Bacchetta, P., & Banerjee, A. (2000). A simple model of monetary policy and currency crises. European economic review, 44(4), 728-738.
2. Kamin, S. B., & Rogers, J. H. (2000). Output and the real exchange rate in developing countries: an application to Mexico. Journal of development economics, 61(1), 85-109.
3. Krugman, P. (1999). Balance sheets, the transfer problem, and financial crises. In International finance and financial crises (pp. 31-55). Springer Netherlands.
4. Bahmani-Oskooee, Mohsen, and Ilir Miteza. "Are devaluations expansionary or contractionary? A survey article." Economic Issues Journal Articles 8, no. 2 (2003): 1-28.
5. Krueger, Anne O. "Liberalization attempts and consequences." NBER Books (1978)
6. Gylfason, Thorvaldur, and Michael Schmid. "Does devaluation cause stagflation?." Canadian Journal of Economics (1983): 641-654.
7. Lofgren, Hans, Rebecca Lee Harris, and Sherman Robinson. A standard computable general equilibrium (CGE) model in GAMS. Vol. 5. Intl Food Policy Res Inst, 2002
8. Mathiesen, L., 1985. Computational Experience in Solving Equilibrium Models by a Sequence of Linear Complementarity Problems.Oper. Res. 33, 1225–1250.
9. Rutherford, T.F., 1995. Extension of GAMS for complementarity problems arising in applied economic analysis. J. Econ. Dyn. Control 19, 1299–1324
10. Arrow, K. J., & Debreu, G. (1954). Existence of an equilibrium for a competitive economy. Econometrica: Journal of the Econometric Society, 265-290.
11. Armington, P. S. (1969). A theory of demand for products distinguished by place of production. Staff Papers, 16(1), 159-178.


## The Impact of Exchange Rate on Macroeconomic Environment and Sectoral Output of the Georgian Economy


Aleksandre Ergeshidze

*PhD student*

*Tbilisi State University*



**R e s u m e**

Georgia is exposed to a currency mismatch problem, and is therefore highly sensitive to exchange rate risk. This study uses a computable general equilibrium model (CGE) to assess the impact of nominal exchange rate on various components of the economy. The paper finds out that depreciation improves trade balance significantly, through increasing competitiveness in the manufacturing, agricultural, transport and communication sectors, while sectors that are to a greater extent dependent on imported intermediate inputs rather than export revenues (such as construction, real estate and renting, healthcare) are negatively affected. In addition, study identifies that depreciation is expected to increase inflation and promote economic growth.



***Keywords: Nominal Exchange Rate, Computable General Equilibrium Model (CGE), Dollarization, Currency Mismatch.***

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

**გულნაზ ერქომაიშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) თანამედროვე მდგომარეობა და მისი მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ ჩვენ სქვეყანაში ნაკლებად არის კომპანიები, რომელთა შემოსავლებითაც მოხდება ეკონომიკაში რეინვესტირება, ამიტომ საქართველოს ეკონომიკური განვითარება დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციების მოზიდვაზე.*

*ნაშრომში გადმოცემულია პუი-ების განმსაზღვრელი ფაქტორები და სტიმულირების ძირითადი მიმართულებები, ასევე პერსპექტიული დარგები, სადაც საჭიროა ახალი ინვესტიციების განხორციელება. გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების ძირითადი თანამედროვე მიმართულებები, მათი მოზიდვის ხელშემშლელი ფაქტორები და მასტიმულირებელი ღონისძიებები. Mმოცემულია დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები.*

***საკვანძო სიტყვები.** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; ინვესტორი; რეინვესტირება; ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი პოლიტიკა.*

განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციური საქმიანობის ხელშეწყობა და მისი განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, რაც თავისთავად გულისხმობს თანმიმდევრული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებას, ინვესტორისათვის ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმისა და საკანონმდებლო სისტემის არსებობას, ადმინისტრაციული ბარიერებისა და შეზღუდვების შემცირებას, სამართლიანი კონკურენციის პირობების და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის შექმნას.

თანამედროვე პირობებში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

ბოლო წლებში საქართველოში პუი-ების მოზიდვის მიმართულებით რეკორდული აღმოჩნდა 2014 წელი (იხ. დიაგრამა 1), როდესაც წლიურმა მაჩვენებელმა 1 მლრდ 758 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია და 2013 წლის მონაცემებს 87%-ით აღემატება. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პუი-ების 19% შეადგინა. პუი-ების ზრდა განაპირობა ინვესტიციების ზრდამ სამშენებლო სექტორში.

დიაგრამა 1.




2014 წლისათვის უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია: ნიდერლანდები _ 21%, აზერბაიჯანი - 19%, ჩინეთი - 12%.

2014 წლისათვის უმსხვილესი პუი-ების ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 27%; მშენებლობა – 23%, დამამუშავებელი მრეწველობა - 13%; ენერგეტიკა - 8%; უძრავი ქონება - 7%; საფინანსო სექტორი - 6%; სამთო მომპოვებელი მრეწველობა -3%; დანარჩენი სექტორი -12%.

2015 წელს პუი-ების ოდენობამ 1564,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11%-ით ნაკლებია 2014 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პუი-ების 9% შეადგინა.

2015 წელს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა გახდა აზერბაიჯანი - 35%, გაერთიანებული სამეფო - 25% და ნიდერლანდებმა წინა წლის პირველი ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა - 10%. პირდაპირი ინვესტიციების 78% თბილის ზემოდის, მეორე ადგილზეა აჭარის რეგიონი.

2015 წელს 2014 წელთან შედარებით პუი-ების მკვეთრად გაიზარდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში. აღნიშნული ზრდა უკავშირდება გაზსადენის მშენებლობის პროექტს, რომელსაც აზერბაიჯანი ახორციელებს და სწორედ აზერბაიჯანიდან გაიზარდა პუი-ების შემოდინება საქართველოში. ინვესტიციების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა ჯანდაცვის სექტორში, ასევე შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში: სამთომომპოვებელი მრეწველობა; სასტუმროები და რესტორნები; საფინანსო სექტორი; სოფლის მეურნეობა, თევზჭერა. ინვესტიციები შემცირდა მშენებლობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, უძრავ ქონებაში, ენერგეტიკაში.

2016 წელს საქართველოში განხორციელებული პუი-ების მოცულობამ 1565.9 მლნ დოლარი შეადგინა და 2015 წლის მაჩვენებელს 0,1 %-ით აღემატება. რეინვესტირების ოდენობამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32% შეადგინა.

2016 წელს ინვესტიციების განხორციელების მხრივ პირველ ადგილზე ისევ აზერბაიჯანია (35%), მეორეზე თურქეთი (17%), მესამეზე გაერთიანებული სამეფო (7%). ნიდერლანდებმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა (6%) (იხ. დიაგრამა 2). ინვესტიციების განხორციელების მხრივ პირველ ადგილზე ისევ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობაა, შემდეგ მოდის ენერგეტიკა და სამშენებლო სექტორი[ 5].

დიაგრამა 2.




2016 წელს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული ენერგეტიკისა და საფინანსო სექტორებში, თუმცა განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე სწრაფი ზრდის ტემპი სამშენებლო სექტორს აქვს.

საპარტნიორო ფონდის მონაცემებით, 2017 წელს ინვესტირება გაგრძელდება მშენებლობაში, ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად მოსალოდნელია პროგრესი სასტუმროების და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ბიზნესში. გაგრძელდება ინვესტიციები სამედიცინო და საფინანსო სექტორშიც.

რაც შეეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, ისინი კვლავაც საგზაო და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურაში, ასევე სოციალური პროფილის ობიექტებში ჩაიდება.

როგორც ვხედავთ, ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო და საფეიქრო მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს აქვს შედარებითი საგრძნობი უპირატესობები. ისინი ნაკლებადაა გამიზნული სამუშაო ადგილების შექმნისა და პროდუქტიულობის ამაღლებისაკენ, მაგრამ უზრუნველყოფს ხანგრძლივ დროში აღმავლობას და ეკონომიკურ განვითარებას.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს [ 2, გვ. 204].

საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი კანონი მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1991 წლის 25 ივლისს, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1995 წლის კანონის ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ“ მიღების შ ემდეგ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

1996 წელს მიღებულ იქნა კანონი ,,საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი ინვესტორისათვის მეტი სტიმული სგაჩენას. კანონმა განსაზღვრა როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები საქართველოში.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი ,,საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლის მიზანი სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირებაა. ეროვნული საინვესტიციო სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში.

2006 წლის კანონი ,,ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზნად ისახავდა ინვესტიციების ხელშეწყობას აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით, ასევე დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას. მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული

მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამარტივებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას. აღნიშნული კანონი ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომელსაც დააბანდებენ და გამოიყენებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი ,,საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა [ 6].

აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020), პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა და ა. შ. [ 4].

როგორც ზემოთ თქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს [ 1, გვ.44].

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელის შემშლელი ფაქტორებია: მცირე ბაზარი, მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად უმუშევრების დიდი რაოდენობისა დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა და სხვ.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის მოქმედმა კანონებმა ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა“ და ,,თავისუფალი ტურისტული ზონების“ განვითარების ხელშეწყობის შესახებ რეალურად ვერ მოახდინა ინვესტიციების მასშტაბური ზრდა. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

საჭიროა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადება\გადამზადება, რაც გაზრდის დასაქმებას. მნიშვნელოვანია დაბალ კონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშვება (იგულისხმება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობა).

აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ინვესტორებისათვის საგადასახადო შეღავათების დასაწესებლად.

ლიტერატურა:


1. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, ,,უნივერსალი“, 2016.
2. ერქომაიშვილი გ., პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. აკად. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული ,,ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები,,. 10-11 ივლისი, 2015.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
4. G. Erkomaishvili, The strategy for Increasing the Competitiveness of Georgia. International Conference on Economics, Industrial and Business Management. World Academy of Science, Engineering and Technology, Barcelona, Spain, 28-28 October, 2014. www. waset.org.
5. www. geostat.ge
6. www. parliament.ge

## Economic Policy Stimulating Direct Foreign Investment in Georgia

Gulnaz Erkomaishvili

*Doctor of Economics, Associate Professor,*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**R e s u m e**

Attracting foreign direct investment and placing them in optimal fields is particularly for developing countries.

There are not enough corporations or companies, in Georgia, whose income will allow reinvesting in economy. Thereforedependence of Georgia in foreign capital is great. There are obstacles to attracting foreign investments in Georgia: small market, low qualifications of employees, high interest rates, currency fluctuation instability, existence of conflict zones and others.

The main thing that foreign investors are worried about is that their rights to the property in the country is jeopardized.

***Keywords***: *Foreign Direct Investments; Investor; Reinvestment; Stimulating policy of attracting investments.*

# გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში

მარიამ ვარდიაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საჯარო სექტორის ორგანიზაცების შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის დიდი ნაწილი ფორმულირდება გაცვლითი ოპერაციებიდან. სტატიაში განხილულია გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ბუღალტრული აღრიცხვის წესები, მისი არსი, კლასიფიკაცია, შეფასება და აღიარება, რომელიც ეფუძნება სსბას 9-ით „შემოსავალები გაცვლითი ოპერაციებიდან" და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციიით გათვალისწინებულ დებულებებს.*

*საკვანძო სიტყვები: გაცვლითი ოპერაციები, რეალური ღირებულება, საჯარო სექტორი.*

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 19 აპრილის ბრძანებით ინსტრუქციაში - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ", რომელიც განსაზღვრავს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, შეტანილი იქნა ცვლილებები. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ასახვა პოვა რამდენიმე სტანდარტმა, მათ შორის არის სსბასს 9 „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან". საკითხი აქტუალურია რადგან ამ ტიპის შემოსავლებს საჯარო სექტორის ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მათი აღრიცხვა და შეფასება გავლენას ახდენს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაზე.

**გაცვლითი ოპერაციების არსი და კლასიფიკაცია.** საჯარო სექტორის ერთეულებს შემოსავლის მიღება შეუძლიათ როგორც გაცვლითი, ასევე არაგაცვლითი ოპერაციებიდან. გაცვლითია ოპერაცია, რომლის დროსაც ერთეული იღებს აქტივებს ან მომსახურებას, ან იფარება მისი ვალდებულებები და გაცვლაში მონაწილე მეორე მხარეს უხდის დაახლოებით იმავე ღირებულების საფასურს.

გაცვლითი ოპერაციების მაგალითებია:

- საქონლის გაყიდვა;
- მომსახურების გაწევა;
- სხვა პირთა მიერ ერთეულის კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა პროცენტის, დივიდენდის, როიალეტის და სხვთა სახით.

გაცვლითი ოპერაციები ძირითადად ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, რომლებიც ორგანიზაციის დებულებას არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ლიცენზიის შესაბამისი ფასიანი მომსახურება გაწიოს დამტებით საგანმანათლებლო პროგრამის, კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ან გადამზადების ფარგლებში და სხვა მიმართულებით.

გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლები საბიუჯეტო კლასიფიკაციით სხვა შემოსავლების მუხლით განიხილება.[3] გაცვლითი და არაგაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებული შემოსავლების გასამიჯნად ყურადღება უნდა მიექცეს ოპერაციის შინაარსს და არა მის ფორმას. არაგაცვლითი ოპერაციების მაგალითია შემოსავალები, რომლებიც მიღება ხელისუფლების მიერ დაწესებული გადასახადების, გრანტებისა და შემოწირულობების შედეგად.

**ოპერაციის განსაზღვრა.** გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები გამოიყენება თითოეული ოპერაციის მიმართ. თუმცა, ზოგჯერ აუცილებელია მათი ცალ-ცალკე გამოყენება, ერთი და იმავე ოპერაციის დამოუკიდებელი კომპონენტების მიმართ, რათა დადგინდეს ოპერაციის რეალური შინაარსი.[4]

მაგალითად, თუ საქონლის სარეალიზაციო ფასში შედის შემდგომი მომსახურებისთვის განკუთვნილი იდენტიფიცირებადი თანხა, ეს უკანასკნელი ცალკე გამოიყოფა და აღიარდება როგორც შემოსავალი, აღნიშნული მომსახურების შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მაგალითი. კონტრაქტით, რომლის მთლიანი ღირებულება 250 000 ლარია, პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვისას პროდუქციის სარეალიზაციო ფასში შედის გაყიდვის შემდგომი მომსახურების (ტექნიკური უზრუნველყოფა 70 000 ლარი და პროდუქციის ხარისხის ამაღლება 30 000ლარი) იდენტიფიცირებადი თანხა.

ამ შემთხვევაში კონტრაქტით გათვალისწინებული საქონელი და მომსახურება განცალკევებადია, რადგან ისინი ერთმანეთის კომპონენტებს არ წარმოადგენენ და თითოეული მათგანი შეიძლება ცალკ-ცალკე იქნეს შეძენილი. შეაბამისად შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პერიოდში.

მოცემული მაგალითის მიხედვით, შემოსავლების იდენტიფიცირება მოხდება შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

| საკონტრაქტო ვალდებულებები | ინდივიდუალური ფასები | % |
|---|---|---|
| პროგრამული უზრუნველყოფა | 150 000 | 60 |
| ტექნიკური უზრუნველყოფა | 70 000 | 28 |
| პროდუქციის ხარისხის ამაღლება | 30 000 | 12 |
| კონტრაქტის მთლიანი ღირებულება: | 250 000 | 100 |

**შემოსავლის შეფასება**. შემოსავლის შეფასება ხდება ერთეულის მიერ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ნებისმიერი საცალო და საბითუმო სავაჭრო ფასდათმობის გათვალისწინებით. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების უმრავლესობა შეიცავს რეალური ღირებულების შაფასების რეგულაციებს.

რეალური ღირებულება არის საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება რომელიც ასახავს მიმდინარე საბაზრო პირობებს და არა საწარმოს მიმდინარე მოლოდინს, მომავალ საბაზრო პირობებთან დაკავშირებით.[5]

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მიღებული საქონლისა და მომსახურების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, შემოსავლის შეფასება ხდება გაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით. ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელისა და და მომსახურების გაცვლისას შემოსავალი არ წარმოიქმნება. შემოსავალს წარმოქმნის განსხვავებული სახის საქონლის ან მომსახურების გაცვლა.

როდესაც მისაღები თანხების შემოსვლა ყოვნდება, ანაზღაურების რეალური ღირებულება შეიძლება მიღებული ან მისაღები ფულადი სახსრების ნომინალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში სხვაობა უნდა აღიარდეს როგორც საპროცენტო შემოსავალი.

თუ ოპერაციებიდან მიღებული კომერციული შედეგების გამოცალკევება, შესრულებული ოპერაციების მთელი ერთობლიობის განხილვის გარეშე შეუძლებელია, აღიარების კრიტერიუმების გამოყენება შეიძლება საჭირო იყოს ერთდროულად, ორი ან მეტი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოპერაციის მიმართ. მაგალითად, ერთეულმა შეიძლება გაყიდოს საქონელი და, იმავდროულად, დადოს სხვა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ამავე საქონლის უკან შესყიდვას გარკვეული პერიოდის შემდეგ. ცხადია, ასეთი გარიგებით ანულირდება ოპერაციის რეალური შედეგი და ამიტომ ორივე ოპერაცია ერთად უნდა იქნეს განხილული.

**მომსახურების გაწევა.** მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს ერთეულის მიერ მომსახურების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, რომელიც შეიძლება დასრულდეს ერთ ან მეტ საანგარიშგებო პერიოდში.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესრულებული ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.[2]

მაგალითად, მერიის კეთილმოწყობის„საქალაქო„სამსახურს გაწეული მომსახურებისათვის დადებული ხელშეკრულებით ეკუთვნის 240 000 ლარი. სამუშაო დასრულდა 2017 წლის 1 აგვისტოს, დამკვეთმა თანხა ჩაურიცხა 20 აგვისტოს. შემოსავლის აღიარება მოხდება 2017 წლის 1 აგვისტოს, რადგანაც აღიარების კრიტერიუმებს ამ დროისთვის უკვე აკმაყოფილებს.

შემოსავლის აღიარებას, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, პროცენტული შესრულების მეთოდს უწოდებენ. აღნიშნული მეთოდის თანახმად, შემოსავალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომლებშიც ხდება მომსახურების გაწევა. ამ მეთოდით შემოსავლის აღიარება უზრუნველოფს სასარგებლო ინფორმაციას, მთლიანად შესრულებული მომსახურების მოცულობისა და მოცემული პერიოდის შედეგების შესახებ.

მაგალითად, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტმა მიიღო დაკვეთა ტექნოლოგიურ კვლევაზე, რომელიც ხელშეკრულების მიხედვით უნდა განხორციელდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან, 2017 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 1 700 000 ლარს, ხოლო მასთან დაკავშირებული მთლიანი დანახარჯები შეფასდა 1 350 000 ლარად. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს სამ საანგარიშგებო პერიოდს.

2015 წელს შესრულებული სამუშაო შეფასდა მთლიანი სამუშაოს 20 %-ის ოდენობით. ამ პერიოდისთვის ავანსად ჩარიცხული თანხა შედაგენს 595 000 ლარს, რაც მთლიანი თანხის 35%-ია. 2015 წელს კვლევებზე გაწეული დანახარჯი შეადგენს 255 000 ლარს.

რადგან მომხმარებლებისაგან გადახდილი ავანსები ხშირად არ ასახავს შესრულებული მომსახურების სიდიდეს, 2015 წელის შემოსავალი განისაზღვრება პროცენტული შესრულების მეთოდით მთლიანდ შესასრულებელი სამუშაოს მიმართ. ამ შემთხვევაში 2015წ 31 დეკემბერს შემოსავლი აღიარდება 340 000 ლარის ოდენობით (1 700 000 * 20% = 340 000). როდესაც შესრულებული სამუშაოს გამოკვლევისას შესრულების სტადია ვერ დგინდება, შემოსავალი აღიარდება გაწეული დანახარჯების მიხედვით, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ მთლიან დანახარჯების მიმართ.

ცხრილი 2-ში მოცემულია, ზემოაღნიშნული მონაცემებით, შემოსავლების განსაზღვრა - გაწეული დანახარჯების ხვედრითი წონის მიხედვით (იხ. ცხრილი 2):

**შემოსავლების განსაზღვრა გაწეული დანახარჯების მიხედვით.**

**ცხრილი 2**

| ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მთლიანი დანახარჯები | საანგარიშგებო პერიოდში გაწეული დანახარჯები | შესრულების % | შემოსავლის განსაზღვრა |
|---|---|---|---|
| 255 000 | 1 350 000 | 18.8 | 1 700 000*18.8/100 = 319 600 |

ამრიგად, გაწეული დანახარჯების მიხედვით 2015 წელის შემოსავალი შეადგენს 319 600 ლარს.

**საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებში.** განიხილება ერთეულის მიერ წარმოებულ პროდუქციისა და იმ საქონელს რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც შეძენილია ხელმეორედ გაყიდვის მიზნით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ერთეული მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ერთეული არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ერთეული მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

იმის დასადგენად, ერთეულმა მყიდველს როდის გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი, საჭიროა გარიგების პირობების შემოწმება. უმეტეს შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველისათვის იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. ძირითადად, ასე ხდება საცალო ვაჭრობაში. სხვა შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა არ ემთხვევა იურიდიული ან ქონებრივი უფლების გადაცემას.

თუ ერთეული ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, შემოსავალი არ აღიარდება.

ერთეულს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი უნარჩუნდება:

- როდესაც ერთეული იტოვებს არადამაკმაყოფილებელ მიწოდებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფილი არ არის გარანტიის ჩვეულებრივი პირობებით;
- როდესაც ერთეულში რომელიმე საქონლის გაყიდვიდან შემოსავლის მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ საქონლის გაყიდვაზე. მაგალითად, როდესაც სახელმწიფო საგამომცემლო ხასიათის ოპერაციის შედეგად საგანმანათლებლო მასალა უნაწილდება სკოლებს, გაყიდვის პირობით; ამ შემთხვევაში საქონლის გამგზავნი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის მიმღები მას მესამე მხარეზე გაყიდის;
- როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვან ვალდებულებაა, რომელიც ერთეულს ჯერ არ შეუსრულებია.[1]

მაგალითად, გაგზავნილია საქონელი, რომელიც ექვემდებარება დამონტაჟებას და ტექნიკური შემოწმებას. შემოსავალი აღიარდება მყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის მიღების და მისი დამონტაჟებისა და ტექნიკური შემოწმების დამთავრების შემდეგ.

- როდესაც მყიდველს უფლება აქვს, გაყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის თანახმად, უარი თქვას საქონლის შეძენაზე და, ამდენად, ერთეულისთვის გაურკვეველია საქონლის დაბრუნების შესაძლებლობა.

თუ ერთეული იტოვებს მხოლოდ საკუთრებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს, ოპერაცია მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, შემოსავალი აღიარდება. მაგალითად, როდესაც საცალო ვაჭრობაში დაშვებულია მომხმარებლისთვის საქონლის ღირებულების უკან დაბრუნება, მისი უხარისხობის გამო მყიდველის უკმაყოფილების შემთხვევაში.

ამრიგად, სტანდარტით შემოსავლის აღიარების ზუსტი მომენტი განსაზღვრული არ არის, ეს დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობებზე და საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელის გადაცემაზე.

თუ შემოსავალი უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოუღებელი თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული შემოსავლის თანხის კორექტირება.

როგორც გაცვლითი, ასევე არაგაცვლითი ოპერაციები საბიუჯეტო პროცესის ნაწილია. ამიტომ მათგან წარმოქმნილი შემოსავლები განხილული და აღრიცხული უნდა იქნეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლობრივი ჭრილით. სხვა შემთხვევაში, საბიუჯეტო აღრიცხვა ვერ უზრუნველყოფს მის ძირითად ამოცანას საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულების პროცესში განხორციელებული ოპერაციებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ სრული და საიმედო ინფორმაციის ფორმირება.

ამრიგად, გაცვლითი ოპერაციებიდან შემოსავლების აღრიცხვის ეროვნული სტანდარტებით აღიარებული კრიტერიუმები, სახელმწიფო სექტორის კონტექსტით, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებას და აამაღლებს მის სანდოობას.

**ლიტერატურა:**


1. სსბასს **9—**შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან, 2012,www. mof.ge.
2. ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, 2017, www.mof.ge.
3. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია, 2010, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,www.mof.ge.
4. Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, On Recognition and Measurement of the Revenues according to IFRS 15, 2017, Journal of International Scientific Publications www.scientific-publications.net
5. Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili, MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS, 15th International Scientific Conference on Economic and Social Development, https://inomics.-com/15th-international-scientific-conference-economic-and-social-development-human-resources-development, Varazdin, 9-10 June 2016


## Accounting the Revenues Received by Legal Entities of Public Law from Exchange Transactions


Mariam Vardiashvili

*Academic Doctor of Economics Assistant professor*
*Tbilisi State University*



Resume

In the incomes of organizations operating in the public sector, the revenues gained from the economic activity take an important place, a major part of which is formed as a result of the exchange transactions.

The Article deals with essence, classification, measurement and recognition of the revenues received from the exchange transactions, that is based on the provisions envisaged by IPSAS 9 – “Revenue from Exchange Transactions” and the relevant instructions of accounting and financial reporting for the budgetary organizations.



*Keywords: Exchange Transactions; Fair value; public sector.*

# უნივერსალური ჯანდაცვის მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს რეფორმები


## თენგიზ ვერულავა

*მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავდაპირველად საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება ხორციელდებოდა სოციალური დაზღვევის მოდელით (ბისმარკის მოდელი). თუმცა, 2007 წლიდან იგი გადავიდა გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელზე (ბევერიჯის მოდელი). განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადებზე დაფუძნებულ სისტემას გააჩნია უპირატესობა სოციალური დაზღვევის მოდელთან შედარებით. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც უფრო მეტადაა განვითარებული არაფორმალური სექტორი, გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელს აქვს შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით მოიცვას იგი. თუმცა, გადასახადებზე დაფუძნებული სისტემა ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.*

*2013 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა. ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა თუ კერძო სადაზღვევო პროგრამებით.*

*სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს აქვს საშუალება ისარგებლოს, წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა საჭიროა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება დაფინანსების ხარჯთეფექტური მეთოდების, სერვისების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით. ხარჯების შეკავების მეთოდებიდან მთავარია გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, სადაც ყურადღება ექცევა პრევენციულ სერვისებს. ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ყველაზე საუკეთესო მეთოდი არის ის, რომლითაც მიიღწევა ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესება არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების მეშვეობით.*



***საკვანძო სიტყვები: უნივერსალური ჯანდაცვა, საყოველთაო ჯანდაცვა, საბაზისო მომსახურება, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა.***


### უნივერსალური ჯანდაცვის თავისებურებები

მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, უნივერსალური დაზღვევის განვითარება თანდათანობითი პროცესია. იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად საკმარისია ქვეყანაში არსებული რესურსი უნივერსალური ჯანდაცვის მოთხოვნებისთვის. განვითარებულ ქვეყნებში ჯანმრთელობაზე საშუალოდ 2500 დოლარი იხარჯება მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო დაბალშემოსავლიან ქვეყნებში - 15 დოლარზე ნაკლები. ამასთან, ქვეყნებში ბაზისურ პაკეტით შედარებით ნაკლები სერვისებია მოცული, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად ადამიანები იხდიან პირდაპირი გადახდით უშუალოდ სამედიცინო მომსახურების გაწევისას და არაპირდაპირი, გადასახადების გადახდით. არაპირდაპირი, ანუ წინასწარი გადახდების სისტემას აქვს დადებითი მხარე, რადგან ავადმყოფობის პერიოდში ადამიანებს არ უწევთ დიდი ხარჯების გაღება და შეუძლიათ აღნიშნული ხარჯები გადაინაწილონ მთელი ცხოვრების განმავლობაში.

ჯანდაცვის არაპირდაპირი გადასახადების სისტემა ორი სახისაა: დაზღვევა, რომლის დროსაც დაზღვეულები იხდიან სადაზღვევო შენატანებს და ზოგადი გადასახადების სისტემა, რომელსაც იხდის მოსახლეობის ნაწილი, ან მთელი მოსახლეობა. ზოგადი გადასახადებით დაფინანსების დროს მთელი მოსახლეობა, ან მოსახლეობის ნაწილი მოცულია, მიუხედავად იმისა, ისინი იხდიან თუ არა გადასახადებს. უნივერსალური დაფინანსება მჭიდროდ არის დაკავშირებული გადასახადების სისტემის ადმინისტრირების უნართან. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში გადასახადებით გროვდება მთლიანი შიდა პროდუქტის 30%, მაშინ როცა დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20%- დან 5%-მდე მერყეობს [1].

სადაზღვევო სისტემის ორი სახე არსებობს: ნებაყოფლობითი და სოციალური. ნებაყოფლობითი, ანუ კერძო დაზღვევის დროს სადაზღვევო პრემიები დგინდება ჯანმრთელობის რისკის შესაბამისად. ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა არაკომერციულ პრინციპებს ეფუძნება და ფინანსდება სავალდებულო გადა-

სახადებით. მას უმთავრესად სახელმწიფო უზრუნველყოფს, თუმცა, შეიძლება მართოს კერძო ორგანიზაციამაც [2,გვ.442].

სოციალური დაზღვევა ეფუძნება იდენტიფიცირებად სახელფასო გადასახადებს და შედარებით სტაბილურ სამუშაო ძალას. სოციალური დაზღვევის და ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემებში ხდება შემოსავლების გადანაწილება რისკის გადაცემის გზით ჯანმრთელიდან ავადმყოფზე, მდიდრიდან ღარიბზე. კერძო დაზღვევაში რისკის გადანაწილების ეს მექანიზმები არ არის და შენატანები ფიქსირებული განაკვეთებია [2,გვ.442].

ჯანმრთელობის დაზღვევით მოსახლეობის მოცვის გაფართოებამ შესაძლოა გარკვეული პრობლემები წარმოშვას. უპირველესად უნდა გამოვყოთ ნეგატიური რისკის შერჩევა. ეს პრობლემა დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ადამიანებმა უფრო მეტი იციან თავიანთი რისკის მდგომარეობის შესახებ, ვიდრე მზღვეველმა. როდესაც პაციენტს აქვს ქრონიკული დაავადება, იგი ცდილობს დაეზღვიოს. ხოლო ჯანმრთელი ახალგაზრდები, რომელთაც არაფერი აწუხებთ, ცდილობენ არ დაეზღვიონ. აღნიშნულის გამო რისკები გადანაწილდება მაღალრისკიან პაციენტებს შორის, რაც თავის მხრივ განაპირობებს სადაზღვევო პრემიის გაძვირებას [3,გვ.885].

ნეგატიური რისკების შერჩევის პრობლემის გამო მოსახლეობის მოცვის გაფართოების ყველაზე ხელსაყრელი მექანიზმია სავალდებულო დაზღვევა. ამ შემთხვევაში სადაზღვევო შენატანები დამოკიდებულია არა რისკზე, არამედ გადახდისუნარიანობაზე. სხვა ტექნიკურ სირთულეებს განეკუთვნება პოტენციური დაზღვეულების იდენტიფიცირება, შენატანების შეფასება, პრემიების შეგროვება. ეს სირთულეები განსაკუთრებით შეინიშნება დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სადაც ლეგალურად დასაქმებულთა რაოდენობა ძალიან მცირეა და უფრო მეტი რაოდენობა არალეგალურად დასაქმებულია, რომელთა აღრიცხვა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, სავალდებულო მოცვის დროს, რომელიც ეფუძნება დაზღვევის სოლიდარობის პრინციპს, მცირდება ზემოაღნიშნული სირთულეები [4.გვ.800]. მოცვის გაფართოებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური მდგრადობა. შენატანები უნდა ეფუძნებოდეს დაზღვეულთა რისკის ზუსტ შეფასებას. მოულოდნელი მაღალი ხარჯების დასაფარავად გამოიყენებენ სადაზღვევო რეზერვებს. ცხადია, რაც უფრო ფართოა სადაზღვევო მოცვა მით მცირდება რისკი და პირიქით, რაც უფრო მცირე მოსახლეობაა მოცული, მით უფრო მეტია მზღვეველის რისკი [4,გვ.801].

## სოციალური დაზღვევის (ბისმარკის) სისტემა

უნივერსალური ჯანდაცვის სისტემა მსოფლიოში პირველად *გერმანიაში* ჩამოყალიბდა კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის მიერ. დამსაქმებელი ვალდებული იყო დაქირავებულები გაეწევრებინა სადაზღვევო ფონდში. სადაზღვევო შენატანი დამოკიდებული იყო სახელფასო შემოსავლებზე. 1883 წელს მიღებული სადაზღვევო კანონის ძალით სოციალური დაზღვევა სავალდებულო გახდა გარკვეული კატეგორიის მუშაკებისათვის. ბისმარკის სოციალური კანონმდებლობის მთავარი პუნქტები მიმართული იყო სოციალისტური მოძრაობების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ცდილობდნენ მუშაკებისათვის სოციალური დაცვის ფართო პაკეტის შეთავაზებას. 1883 წელს მიღებულმა კანონმა ხელი შეუწყო სადაზღვევო დაფარვის შემდგომ გაფართოებას. პროფკავშირები ტრადიციულად სთავაზობდნენ მოწყვლადი ჯგუფების დაკრძალვის, საკვების და საცხოვრებელი ხარჯების დაფინანსებას. დამსაქმებლებს ეკისრებოდათ იურიდიული პასუხისმგებლობა დასაქმებულთა უბედური შემთხვევების ხარჯებზე, თუმცა ეს ვალდებულება მძიმე ტვირთად აწვა მცირე საწარმოებს და ხშირად არ სრულდებოდა. თავდაპირველად სადაზღვევო კანონით დაფარული იყო ლურჯსაყელოიანი დაქირავებულების დაახლოებით 26%, მოსახლეობის დაახლოებით 10%. საჯარო მოხელეების მოცვა დაიწყო 1914 წლიდან, უმუშევართა მოცვა - 1918 წელს, ხოლო სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებული მუშაკების - 1972 წელს, სტუდენტების - 1975 წელს. დღეისათვის მოსახლეობის 0,1%-ზე ნაკლებია დარჩენილი მოცვის გარეშე. 2007 წლის კანონმდებლობით მოცვა სავალდებულოა მთელი მოსახლეობისათვის, როგორც კერძო, ასევე სოციალური დაზღვევის მეშვეობით. სოციალური დაზღვევის მთავარი პრინციპია სოლიდარობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. გერმანიის შემდეგ, სოციალური დაზღვევის სისტემა განვითარდა ავსტრიაში (1888), უნგრეთში (1891), საფრანგეთში. შვეიცარიაში უნივერსალური მოცვის კანონმდებლობა მიღებულ იქნა დიდი ხნის შემდეგ, 1996 წელს [5].

სოციალური დაზღვევის სისტემის დროს იზრდება ჯანდაცვის სისტემისათვის საჭირო რესურსები. იგი ხშირად განიხილება როგორც ჯანდაცვაზე რესურსების გაზრდის ეფექტიანი გზა. სადაზღვევო შენატანები განცალკევებულია სხვა გადასახადებისაგან და მხოლოდ ჯანდაცვისთვისაა განკუთვნილი, გადამხდელმა ზუსტად იცის რაზე იხარჯება მისი შენატანები, რაც მოსახლეობას ნდობას მატებს, რომ სახსრები არ გამოიყენება სხვა, შესაძლოა, ნაკლებად მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამების დაფინანსებაზე. სახსრების გამჭვირვალე მოძრაობა ხელს უწყობს გადასახადების გადახდის სტიმულს, ადამიანებს უფრო მეტი სურვილი აქვთ გადაიხადონ სადაზღვევო შენატანები.

სოციალური დაზღვევის დროს ჯანდაცვის დაფინანსება არაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე, შედეგად მცირდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. იგი ნაკლებად პოლიტიზირებულია, მასზე გავლენას არ ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტები, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება იცვლებოდეს. შესაბამისად, ჯანდაცვის სექტორს დაფინანსების გარანტირებული წყარო გააჩნია.

სოციალური დაზღვევის შენატანებზე გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ეკონომიკური კრიზისის დროს დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად მცირდება სადაზღვევო შენატანების მოცულობა. როდესაც გადასახადის მნიშვნელოვნად დიდ ნაწილს დაქირავებულები იხდიან, მოსალოდნელია მათი ხელფასის ხელოვნური შემცირება ან გაზრდილი გადასახადების საკომპენსაციოდ დაქირავებულებმა შეიძლება მოითხოვონ ხელფასის გაზრდა. ორივე შემთხვევაში მოსალოდნელი მდგომარეობა დამოკიდებულია სამუშაო ძალის ბაზრის სტრუქტურაზე.

ქვეყნებში, სადაც სამუშაო ძალის ბაზარი არაკონკურენტულია, სადაზღვევო შენატანების ზრდის საპასუხოდ დამქირავებლებმა შესაძლოა ვერ მოახდინონ დაქირავებულთა ხელფასის შემცირება. შესაბამისად, სოციალური დაზღვევის მზარდმა შენატანებმა შეიძლება გაზარდონ დაქირავებულთა სახელფასო ხარჯები. შედეგად, დამქირავებელი დაინტერესებულია შეამციროს დასაქმებულ პერსონალთა რაოდენობა, რადგან, რაც მეტია მათი რაოდენობა, მით იზრდება საწარმოს გადასახადი. შედეგად, ქვეყანაში იზრდება უმუშევრობის დონე. აღნიშნული მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკონომიკური კრიზისის პერიოდში. მეორე მხრივ, სადაზღვევო შენატანების ზრდამ შესაძლოა დამქირავებლის მიერ დაქირავებულის ხელფასის შემცირება განაპიროზოს. თავის მხრივ, სადაზღვევო შენატანების ზრდა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე, ამცირებს ინვესტიციებს. ამასთან, თუ სახელმწიფო წარმოადგენს მთავარ დამქირავებელს, სადაზღვევო შენატანებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდონ სახელმწიფო დანახარჯები.

სოციალური დაზღვევის სისტემა შედარებით რთული სისტემაა და მოითხოვს ეფექტურ მართვას, ძვირადღირებულ საინფორმაციო სისტემებს, პროცედურების ტრანსპარენტულობას, სათანადო მონიტორინგის მექანიზმებს, გაწეულ სერვისების საფუძვლიანობაზე კონტროლს, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური საზედამხედველო ღონისძიებების გატარებას, შენატანების შეგროვების სრულყოფილი მექანიზმის არსებობას.

განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა სისტემის ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან ეკონომიკურ კრიზისს, მცირე ხელფასის ან საწარმოთა დახურვის გამო, ბევრი ადამიანი ტოვებს სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს და ცდილობს მუშაობა დაიწყოს არაფორმალურ სექტორში. საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობის გამო, ასეთ ქვეყნებში ხელფასზე სადაზღვევო გადასახადის შეგროვება რთულ პროცესს წარმოადგენს, რაც ამცირებს სოციალური დაზღვევის შენატანების მოცულობას.

ამგვარად, ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა მოითხოვს ქვეყანაში მძლავრი ეკონომიკური სტრუქტურების არსებობას. სოციალური დაზღვევა ქვეყნის განვითარებულ ეკონომიკას ეყრდნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მხოლოდ სადაზღვევო შენატანების ხარჯზე ჯანდაცვის დაფინანსება.

### ჯანდაცვის ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემა (ბევერიჯის მოდელი)

სოციალური დაზღვევით უნივერსალური მოცვის ალტერნატიული მექანიზმია ზოგადი გადასახადებით მოსახლეობის მოცვა. 1942 წელს უილიამ ბევერიჯმა შეიმუშავა უნივერსალური ჯანდაცვის პრინციპები, რომელიც შემდგომ გახდა ჯანდაცვის *ბევერიჯის მოდელის* საფუძველი.

ბევერიჯის მოდელის მთავარ ნიშნებს წარმოადგენს: სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება სახელმწიფო სავალდებულო გადასახადების (ზოგადი გადასახადების) მეშვეობით, ჯანდაცვის სისტემის სახელ-

მწიფო რეგულირება, საყოველთაო ხელმისაწვდომობა, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევა სამედიცინო სერვისებსა და დაწესებულებების მართვაში, ექიმების ანაზღაურება ხელფასით ან კაპიტაციით, პაციენტების მხრიდან მცირე ჯიბიდან გადახდები [6].

ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემის დადებითი მხარეებია: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების რამდენიმე წყაროს არსებობის გამო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებზე ბიუჯეტის განაწილებისას რომელიმე სფეროზე დაფინანსების შემცირება სხვა სფეროს დაფინაანსების გაზრდით მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს საერთო ბიუჯეტზე. ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემა ეკონომიკურად ხარჯთეფექტურია, რადგან შემოსავლების შეგროვება ხორციელდება ერთ და არა რამოდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციებში. შესაბამისად, შედარებით ადვილია ხარჯებზე კონტროლი, რადგან ბიუჯეტი ფიქსირებულია და მხოლოდ ერთი წყაროსგანაა მიღებული [6, გვ. 284].

ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემის უარყოფითი მხარეებია: დაბალია ნდობის ფაქტორი, რომ გადასახადები დანიშნულებისამებრ დაიხარჯება. რადგან გადასახადები საერთო ფონდში იყრის თავს, გადამხდელისთვის ძნელია გარკვევა, შენატანებიდან ზუსტად რამდენი იხარჯება ჯანდაცვაზე, ან საერთოდ რაზე იხარჯება მის მიერ გადახდილი გადასახადები. ასეთი მდგომარეობა ხელს არ უწყობს გადასახადების გადახდის სტიმულს. აღნიშნული პრობლება განსაკუთრებით მწვავედ დგას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც გადასახადების შეგროვებისა და შეფასების სისტემა არაა სრულყოფილი; გადამხდელებმა შეიძლება თავი აარიდონ გადასახადებს [6, გვ. 284].

გარდა ამისა, ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემის დროს არ მოქმედებს სოციალური დაზღვევის სისტემისთვის დამახასიათაბელი პრინციპი: გადაიხდი სამედიცინო სადაზღვევო შენატანს, მიიღებ სამედიცინო დახმარებას. რადგანაც გადამხდელმა იცის, რომ მიუხედავად იმისა, გადაიხდის თუ არა იგი გადასახადს, მასზე მაინც გავრცელდება სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული სამედიცინო მომსახურება, მას გადასახადების გადახდის ნაკლები სტიმული აქვს [6, გვ. 284].

ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემის დროს შეინიშნება არასტაბილური დაფინანსება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის სხვადასხვა სფეროზე დადგენილი ყოველწლიური ბიუჯეტები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან, რადგანაც იგი დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, თუ რომელი დარგია სახელმწიფო ინტერესებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი (მაგალითად, საომარი კონფლიქტები მოითხოვს თავდაცვის ხარჯების გაზრდას). ამგვარად, ჯანდაცვის ბიუჯეტი სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ზოგჯერ იგი არაპროგნოზირებადია, შესაბამისად ჯანდაცვის სექტორს არ აქვს მყარი გარანტია იმისა, რომ მომავალ წელს მიიღებს იმავე მოცულობის დაფინანსებას, რაც წინა წელს იყო მისთვის გამოყოფილი [6, გვ. 284].

ჯანდაცვის დაფინანსება, უპირატესად სახელმწიფო სავალდებულო გადასახადებით, (ზოგადი გადასახადები) შემოღებულ იქნა ახალ ზელანდიაში (1939 წ.), შვედეთში (1953), ნორვეგიაში (1956 წ.), ფინეთში (1963 წ.), დანიაში (1971წ.), ისლანდიაში(1972 წ.), კანადაში (1966 წ.), ავსტრალიაში(1974 წ.), პორტუგალიაში(1978), ესპანეთში (1978) და იტალიაში (1980). მკვლევართა აზრით, ბევერიჯის სისტემის ფართოდ გავრცელება დაკავშირებულია ჯანდაცვის ხარჯებზე ეფექტური კონტროლით.

განვითარებულ ქვეყნებში უნივერსალურ მოცვაზე გადასვლის შემდეგი ტენდენციები შეიძლება გამოიყოს [7, გვ 140-151]:

1. საყოველთაო მოცვის პროცესი იყო ძალიან ნელი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის ფართო ფენების მოცვა თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა.

2. რისკების გაერთიანების მექანიზმები თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა, და მოცვის გაფართოების მცდელობებიც სწორედ ამ მექანიზმებს ეყრდნობოდა. მაგალითად, ბრიტანეთში მეგობრული საზოგადოებები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინტეგრირდნენ ეროვნული დაზღვევის ორგანიზაციებად. ასევე, საფრანგეთში ურთიერთდახმარების ორგანიზაციები (Mutuelles) გადაკეთდნენ დაზღვევის საზოგადოებრივ ფონდებად (იგი დღესაც დიდ როლს თამაშობს დამატებითი დაზღვევის უზრუნველყოფაში).

3. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე ისტორიულად იყო დაკისრებული ვალდებულებები, რომ უზრუნველყოს ღარიბი მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარბის დაფინანსება. ასევე დამსაქმებლებს უნდა განეხორციელებინათ უბედური შემთხვევების და დაავადებების დაზღვევა. აღნიშნულმა გარემოებებმა

ხელი შეუწყო რისკების გაერთიანების ეფექტური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას. სოციალური დაცვის ორგანიზაციების შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფომაც.

4. უნივერსალური მოცვის შემდეგ პროვაიდერთა ადმინისტრირების მექანიზმები ძალიან მცირედით შეიცვალა. მხოლოდ დიდ ბრიტანეთში განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, ხოლო საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს ხელში გადავიდა ჯანდაცვის მთელი სისტემა.

5. საყოველთაო მოცვის სისტემაზე გადასვლამ მოითხოვა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევები. იგი გულისხმობდა სადაზღვევო ფონდების რეგულირებას. აშშ წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას, სადაც ვერ განხორციელდა მოსახლეობის უნივერსალური მოცვა.

6. პოლიტიკურ ფაქტორებს ძალიან დიდი როლი ჰქონდათ სოციალური დაზღვევის სისტემის დანერგვაში. გერმანიაში სოციალური დაზღვევა შემოღებულ იქნა სოციალისტური მოძრაობების ოპოზიციური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასევე, რუსეთში სოციალური რეფორმები მიმართული იყო რევოლუციონერების დასაშოშმინებლად. იტალიაში ომებს შორის სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღება დაკავშირებული იყო კლასებს შორის ერთობის განმტკიცებასთან. ბევერიჯის რეფორმა ნაწილობრივ დაკავშირებული იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოწვეული სოლიდარობის გრძნობასთან.

7. განვითარებულ ქვეყნებში განხორციელდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მოცვა. ზოგიერთ ქვეყნებში ადრეულ ეტაპებზე უნივერსალური მოცვის დანერგვას ხელი შეუშალა მოცვის გაფართოებასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა.

უნივერსალური ჯანდაცვა და საქართველო

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა უნივერსალური ჯანდაცვის სხვადასხვა სისტემა (სოციალური დაზღვევა, საყოველთაო ჯანდაცვა). გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნებში არსებობდა ჯანდაცვის სემაშკოს მოდელი, რომელიც თეორიულად თავად წარმოადგენდა უნივერსალურ მოცვას. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით ყველა თანასწორად გარანტირებული იყო ჯანდაცვის სერვისებით, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგალითად, პარტიული მუშაკები, ე.წ. ნომენკლატურა უზრუნველყოფილი იყო მაღალი სტანდარტის სერვისებით. მოსახლეობის სხვა ფენები ღებულობდნენ შედარებით დაბალი სტანდარტის სერვისებს. ფართოდ იყო გავრცელებული ჯიბიდან არაფორმალური გადახდები [10].

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება თავდაპირველად ხორციელდებოდა სოციალური დაზღვევის მოდელით (ბისმარკის მოდელი). სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღებით განხორციელდა დამფინანსებელი მხარის (სადაზღვევო კომპანია, ამ ჯანდაცვის სამინისტრო) და მიმწოდებლების განცალკევება. დამფინანსებელს უფლება ჰქონდა აერჩია მისთვის სასურველი სამედიცინო დაწესებულება, რაც ზრდიდა მათ შორის კონკურენციას და შესაბამისად დადებითად მოქმედებდა მომსახურების ხარისხზე[11, გვ.874].

სოციალური დაზღვევის მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, საწარმოების დაბალი გადახდისუნარიანობა, გადამხდელთა მონაცემების ერთიანი ბაზის არარსებობა [12]. ჯანდაცვაზე სახელმწიფო დაფინანსების სიმწირის გამო ფართოდ იყო გავრცელებული ჯიბიდან არაფორმალური გადახდები[13].

2007 წლიდან იწყება გადასვლა გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელზე (ბევერიჯის მოდელი), რაც დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის გადასახადებზე დაფუძნებულ სისტემას გააჩნია უპირატესობა სოციალური დაზღვევის მოდელთან შედარებით. კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში, სადაც უფრო მეტადაა განვითარებული არაფორმალური სექტორი, გადასახადებზე დაფუძნებულ მოდელს აქვს შესაძლებლობა უფრო სწრაფი ტემპით მოიცვას იგი. თუმცა, გადასახადებზე დაფუძნებული სისტემა ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. გარდა ამისა, შეინიშნება არათანასწორი დაფინანსება, რადგან შესაძლოა განაპირობოს ისეთი პირების სუბსიდირება, რომლებიც თვითდასაქმებულია, მაგრამ არ არის ღარიბი ფენა. ამგვარად, საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისათვის მიზანშეწონილია ჯანდაცვის ზოგადი გადასახადებით დაფინანსების სისტემა (ბევერიჯის მოდელი).

2013 წლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა [14]. ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სადაზღვევო პროგრამებით. ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა 2017 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაორმაგდა და 365 მლნ ლარიდან 800 მლნ ლარამდე გაიზარდა.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება, გადაუდებელი სტაციონალური მკურნალობა, გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი) და მათთან დაკავშირებული გამოკვლევები შესაბამისი ლიმიტის ფარგლებში [14]. პროგრამა ბენეფიციარს აძლევს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევანის უფლებას. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ყველა ქვეყანამ განვითარებულმა თუ განვითარებადმა, თავისი უნიკალური გზა განვლო უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში. უნივერსალური მოცვის მოდელები სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, სამთავრობო პოლიტიკა.

უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, მითუმეტეს ისეთი მწირი ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ უნივერსალური ჯანდაცვის მშენებლობა, რომლითაც ყველა ადამიანს აქვს საშუალება ისარგებლოს, საკმაოდ კარგი ნაბიჯია, თუმცა, საჭიროა სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელება დაფინანსების ხარჯთეფექტური მეთოდების, სამედიცინო მომსახურების ხარისხის და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კასპექტით.

ხარჯების შეკავების მეთოდებიდან ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის არსებობა, რადგან ასეთ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული სერვისების მიწოდებას. შეიძლება ითქვას, ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ყველაზე საუკეთესო მეთოდი არის ის, რომლითაც მიიღწევა ჯანმრთელობის საერთო მაჩვენებლების გაუმჯობესება არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების მეშვეობით (16).

## ლიტერატურა:


1. World Health Organization (2000) The World Health Report 2000, Health Systems: Improving Performance. Geneva, Switzerland: World Health Organization.
2. Ensor T Universal Coverage in Developing Countries. International Encyclopedia of Public Health, Vol 6. San Diego: Academic Press; 2008.
3. Atim C (1999) Social movements and health insurance: A critical evaluation of voluntary, non-profit insurance schemes with case studies from Ghana and Cameroon. Social Science and Medicine 48 (7).
4. Carrin G, Waelkens MP, and Criel B (2005) Community-based health insurance in developing countries: A study of its contribution to the performance of health financing systems. Tropical Medicine and International Health 10(8): 799–811.
5. Mesa-Lago C (1991) Social security in Latin America and the Caribbean: A comparative assessment. In: Ahmed E, Dreze J, Hills J, and Sen A (eds.) Social Security in Developing Countries, pp. 356–394. New York: Oxford University Press.
6. ვერულავა თენგიზ, ჯანდაცვის პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.
7. ვერულავა თ, კვანჭილაშვილი ა, კვიკვინია მ, გვარამია ლ, ბურჭულაძე ლ, მაჩიტაძე ა, ყაჭიური, ც. უნივერსალური მოცვის მსოფლიო გამოცდილება და საქართველოს ჯანდაცვის რეფორმა. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია (3). 140-151. 2017
8. Tangcharoensathien V, Prakongsai P, Patcharanarumol W, and Jongudomsuk P (2007) University Coverage in Thailand: The Respective Roles of Social Health Insurance and Tax-Based Financing. Extending Social Protection in Health. Berlin, Germany: GTZ/ILO/WHO.

9. Mesa-Lago C (1991) Social security in Latin America and the Caribbean: A comparative assessment. In: Ahmed E, Dreze J, Hills J, and Sen A (eds.) Social Security in Developing Countries, pp. 356–394. New York: Oxford University Press.
10. Frenk J, Knaul F, Gonzalez-Pier E, and Barraza-Llorens M (2007) Poverty Health and Social Protection. Extending Social Protection in Health. Berlin, Germany: GTZ/ILO/WHO.
11. Ensor T (1999) Developing health insurance in transitional Asia. Social Science and Medicine 48 (7)
12. Verulava, T., Kalandadze, T., Vasadze, O. (1999). Введение системы обязательного медицинского страхования в Грузии. Georgian Medical News (9 (54): 60-62.
13. Bennett S, Creese A, and Monasch R (1998) Health Insurance Schemes for People Outside Formal Sector Employment. Geneva, Switzerland: WHO Analysis Research and Assessment Division.
14. სოციალური მომსახურების სააგენტო, 2013. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა - მოსარგებლეები და სამედიცინო მომსახურების პირობები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების ფარგლებში.
15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2014. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა: ერთი წლის შედეგების შეფასება, პრესრელიზი.

## Universal Health Care in Georgia: Achievements and Challenges

**Tengiz Verulava**

*Doctor of Medicine, Professor*
*Ilia State University*

**R e s u m e**

The process of health care system reorientation in Georgia began in 1995. Health insurance mandatory contributions or the targeted healthcare tax imposed on wages (“3+1”) and being a part of social tax, were the major sources of state healthcare financing until 2005. It was replaced by mandatory government taxes. Tax Department of the Ministry of Finance of Georgia is responsible for collection of taxes, which ultimately are consolidated on single state treasury account.

Since 2013, the Universal Healthcare Program has been enacted. all citizens of Georgia are provided with basic medical services through unviersal healthcare or state and private insurance programs. Despite increased government spending on healthcare, its share in overall health expenses is significantly lower compared to the recommended by WHO. Despite the serious advancements, there are still problems associated with the primary health care. It is necessary to increase the financial accessibility of services linked with high expenses.

***Keywords: Universal Healthcare Program, Healthcare System in Georgia.***

# GLOBALIZATION AND MIGRATION PROCESSES

Tamaz Zubiashvili

*PhD, Associate Professor*
*Tbilisi State University*

*The globalization of migration processes is one of the characteristics of the modern world economy, which in turn affects the socio-cultural and political climate of individual countries and entire regions of the world. This phenomenon is usually understood as "increase of the scales of international migration of population, involving more and more countries of the world in the migration interaction, qualitative change in the structure of migration flows in accordance with the needs of the globalizing labor market". At the same time, the globalization of migration flows is thought to be derived from the liberalization of the flow of goods and capital and the globalization of population.*

*The globalization of migration processes is not only quantitative increase of the number of migrants, as well as sending and receiving countries. This phenomenon has a significant impact on the formation of modern migration policies at the global, international level. There is a unification of the requirements for labor migrants, no matter how skillful they are. On the other hand, working conditions and methods of personnel management are standardized and unified at the same time. The processes of globalization in this sphere lead to the fact that the geography finally loses its meaning: both for the host country, for the country of origin, citizenship and nationality of the labor migrant, in accordance with its requirements for skills and general qualification in a specific field, and for the migrant himself - in accordance with the conditions of employment and residence in the country to his requests and expectations.*

***Keywords: International migration, globalization, migrants, migratory streams***

***JEL Classification: F20, F22, F23***

## I. INTRODUCTION

Globalization is characterized by establishment of strong economic, information, political, cultural and other ties between states and these connections become a determining component of their future development. The important form of these connections are migratory streams, i.e. the interstate movement of people conditioned by uneven development of world economy, inequality of economic conditions and opportunities in different countries, different degree of their involvement in the processes of modernization and globalization, demand of the world labor market.

Revolutionary development of transportation and communication systems in the 1960s in the world became a precondition of "migratory explosion;" It was also promoted by the growth of demand for foreign labor force in certain regions of the world. For example, the history of the post-war Europe is closely connected with the formation of mass migratory streams directed to the West-European countries from many regions of the world.

In the process of globalization at the contemporary stage of the world development there are close interconnections between the streams of goods and capitals and migratory movement of people. Thus sometimes they have different geographical direction, supplement each other, become a condition and result of each other.

Without globalization of population when all new and new masses of people get involved in labor markets, in the markets of consumer goods, when owing to migratory streams it became possible to explore new lands and natural resources, when, at last, a great part of the world population acquired necessary labor skills and got involved in public division of labor, without all of these it would be impossible to create modern systems of manufacture.

On the other hand, globalization of the world economic system has led to cardinal changes of scales and structures of migratory streams. As a result of the processes of globalization there is a formation of new division of labor in which migrants play an important role, filling the economic niches in the developed countries. In the low sector of the world labor market low-skilled migrants, including illegal ones, become important elements of competitive struggle both between powerful transnational corporations and between "outsiders" of the world globalization process with small-sized enterprises of the sphere of manufacture and services. Simultaneously labor migration of managers and

experts from the highest echelons which in the conditions of transnational scale of activity of the largest world companies practically does not have national borders provides these companies with the flexible and effective mechanism of hiring and production management.

Globalization of production processes and distribution of information and computer technologies leads to the unification of demand for qualified labor force, increases a role of modern trades for which the national identity loses its previous value and geographical borders cease to be real restriction on employment.

Influence of globalization of the world economy on migratory processes is shown in the formation of essentially new migratory situation in the world whose characteristic features are:

- Unprecedented expansion of the scales of international migration;
- Qualitative changes of migratory streams;
- Feminization of labor migration;
- Growth of illegal migration;
- Transformation of migration into globally organized international business, including criminal one.

## II. SCALES OF INTERNATIONAL MIGRATION

The scales of international migration enable to consider this phenomenon as of global importance. According to the data of the United Nations, at the beginning of the 21st century in the world more than 220 million people lived in those countries where they were not born and did not hold citizenship (this number has increased three times in comparison with 1950). It makes up approximately 3% of the world population. If we consider estimations of those experts on migration which adhere to wide interpretation of the phenomenon of international migration and include in it economic tourists, seasonal workers, pendular migrants, illegal migrants, etc then the number of international migrants in the world will be quite a great one.

International migration contains essentially all the countries of the world which to some extent, in this or that form are involved in the world migratory streams. If in 1965 in the world there were 41 countries with the number of migrants more than 300 thousand persons in each one, in 2000 such countries were already 66, and in 43 countries out of them the number of international migrants exceeded 600 thousand persons.

Migration of labor resources out of the all forms of international migration to the greatest degree is interconnected with the globalization processes of the world economy. The research conducted by the International Labor Organization in 152 countries on the existing situation in the field of international labor migration showed that in the 1970-1990s the number of the countries-importers of labor resources increased from 29 up to 55, and the number of countries with "mixed migratory status" increased from 4 up to 15 (ILO, 2000, p. 7).

Globalization plays a role of the catalyst in transformation of traditional roles of the countries in international migration. It is shown:

(1) When transnational corporations and large companies transfer their manufactures more close to the sources of cheap labor sources and the areas of consumption of their production; their purpose is to reduce production costs and accordingly to increase profit. E. Petras called this "movement of the capital to maximization of profit." However if we consider this process from a position of influence on the dynamics of labor migration it is necessary to notice the opposite process – "movement of labor to the evening out of wages." For example, placing of manufacture in the countries with redundant labor resources with the purpose to reduce migratory inflow from there, the developed countries sometimes get opposite results: familiarizing of the population of poorer countries with the international standards of manufacture and consumption strengthens motivation to move to richer countries. So, Petras observes that Mexicans, having acquired the certain industrial skills in American enterprises located in their country, thought that they could be also demanded at the enterprises in the United States, where labor reimbursement is somewhat higher.

(2) If a country which traditionally was a supplier of labor force and gets involved in globalization processes (for example, through active investment of the international capital, creation of offshore zones, manufactures of

transnational companies, etc on its territory) then new job places are created and the country starts to draw labor resources from neighbor countries; thus in this way it turns into the country-recipient. This occurred in many countries where economy experienced sharp rise in the last decades owing to the investments of transnational capital in industry and agriculture (Southern European countries, Ireland), oil production (countries of the Near East) or in high technological branches (Korea, Malaysia, Singapore, Taiwan, Ireland).

Several decades ago, especially in traditional societies, a person could live all life in one city or village without going anywhere from there at all and meeting a migrant among friends, neighbors and acquaintances. In a modern globalized society such situation is practically impossible (Castles S. *Migration at the Beginning of the 21st Century: Global Trends and Issues.* 2000 p. 269). People's behavior becomes inevitable result of globalization that has an effect not only on the development and distribution of modern forms of production in the world, but also on improvement of transport conditions for movement between countries and availability of information.

It should be noted that in the last decades activization of migratory movement in the world occurs in the conditions when the migrant receiving countries restrict immigration and close the borders for foreigners, and the public opinion on immigrants gets negative. However the restrictive policy of the recipient countries which actually is selective and not so much prohibitive virtually cannot stop streams of international migrants. And economically and demographically host countries become dependent on inflow of migrants. The economic advantage of receiving countries (and permanent existence of migratory streams of high intensity in sending countries) allows regulation of migratory streams and their provision with qualitative structure that will be most acceptable to the receiving countries.

## III. QUALITATIVE CHANGES OF MIGRATORY STREAMS

Globalization "adjusts" the movement of migratory streams under changing requirements of the world labor market, transforms qualitative structure of international migration streams. Classification of current changes can be done by some characteristics; these characteristics are:

• *Time characteristics of migratory streams.*

Out of all kinds and forms of international migration *temporary* labor migration developed most dynamically during the last decades. It is connected, on the one hand, with the development of transport that simplified movement of people and "reduced" distances between countries and continents. In such conditions temporary work abroad appears more rational, than permanent emigration as it means smaller material and emotional expenses.

On the other hand, globalization of the world labor market demands greater flexibility of migratory behavior which just can be ensured by temporary labor migration. Temporary attraction of foreign workers also corresponds to the migration policies of developed countries which, actually, and make the "globalization elite" and in many respects determine the conditions with which other countries participate in the processes of globalization.

• *Qualification characteristics of migrants.*

On the labor markets in developed countries which basically determine the direction and intensity of world migratory streams of labor migrants, steady demand for labor of foreign workers on two qualification "poles:" on workers with low and the highest qualification has been created.

Non-prestigious job places which don't demand high qualification and labor conditions are heavy and wages are low, are available as subsidiary works on construction, in agriculture and manufacture, and also in the sphere of public service and house services. These kinds of works are already actually fixed for migrants (For example, in Germany in the 1990s the expressions "an assistant in the house," "cleaner" (die Putzfrau) and "Polish cleaner" (polnische Putzfrau) practically are used as synonyms), so it can be said that labor migrants have not only simply created the certain enclaves on the labor markets of host countries, but also they have turned into the structural element *of a global economic regime,* with which the economy of developed countries is built and developed. At the same time economic and social well-being of these countries more increasingly depends on inflow of labor migrants.

Simultaneously thanks to migrants developed countries successfully overcome permanent shortage of specialists of the modern trades demanding high qualification: scientists, managers, developers of information technologies, etc.

Thus, on the world labor market there is polarization of temporary labor migrants by their qualification characteristics, so-called "professional migrants," (scientists, supreme administrative personnel, engineers, technicians, entrepreneurs) for whom favorable conditions for employment in host countries are created, and low-skilled workers, the demand on them also is rather high and selection procedure is tough when there is a huge offer of them.

• *Gender characteristics.*

Traditionally it was considered that overwhelming majority of labor migrants were men. Women participating in labor migration streams mainly were members of the families of male migrants. However already at the beginning of the 1990s it was noted by researchers that women make up not less than 50 % of "independent" labor migrants. In many respects it is basically related with structural changes in the world economy, accompanying globalization processes. Development of so-called "service economy" has led to growth of the sphere of services in the structure of employment of developed countries and created constantly growing demand on women-migrants who are engaged in the sphere of low-skilled labor service.

Women-migrants generally are employed in such spheres of the labor market of host countries which are developing rapidly in recent years. This sphere includes the leisure and entertainment industry (dancers in restaurants, participants of show-programs), sphere of public services (the personnel of hotels, bars, casinos, etc.), house service (nurses, governesses, servants), sex-service. Many of these kinds of employment can be related to the "spheres of risk." Risky employment of women-migrants virtually is connected to sex-employment, and so-called to sex-related employment, which frequently is related to sex-services (striptease-show, consumation, massage, etc.). These spheres of employment, as a matter of fact, also represent the basic migratory opportunities for women.

Thus, feminization of migratory streams that became a characteristic feature of the present stage of the development of international labor migration, simultaneously means the tendency of marginalization of big groups of migrants on the world labor market and raises a problem for protection of the rights of labor migrants in the line of priority tasks of the national and international institutes who are engaged in migration study.

## IV. CONTRADICTIONS IN THE EPOCH OF GLOBALIZATION

The most acute problems accompanying the modern process of globalization are reflected in international migration as in a mirror. It is an increase of differences in economic and demographic potential of developed and developing countries that is expressed in growing inequality of incomes and opportunities and that accordingly stimulates international migration. It is an increase of competition on national labor markets of host countries, strengthening of ethno-confessional standoffs in the areas of immigrants' concentration that is expressed in general aggravation of social tension in migrants host countries. It is strengthening of labor migrants exploitation by employers that is expressed in reduction of really earned wages, restrictions on payment of various benefits, etc., that incurs infringement of migrants social rights.

Migration and globalization become so connected by this complex system of mutual relations that they act not only as "mutually provoking" processes but also mutual problems causing. In general view the contradiction between migration and globalization are shown in the problem of person's customs. The right to free movement which is not simply one of the fundamental laws of person, but also a condition of development of globalization processes encounters the control by the states on the movement of people in order to maintain optimum size and structure of population of the country. Against a background of free movement of capitals, goods, technologies and information "people are less mobile; they always belong to any state, are depended on passports, visas, permission for residence and the conjuncture on a labour market." (Hirst P., Thompson G. *Globalization and the Future of the Nation State//*Economy and Society. p. 410. 1995).

The contradictions inherent in the period of globalization are shown in migration sphere in the form of transformation of migration into globally organized branch of international business including various migratory services, starting from the assistance in obtaining a visa and in searching jobs and ending with illegal contraband and human trafficking. Such kind of business manipulating hundreds of thousands of job places worldwide and is operated

by the network of organizations and institutions. In such conditions regulation of migratory streams in receiving countries can be productive only in the case if it is oriented not only to migrants, but also to those formal and informal institutes which are engaged in commercialization of migration and make profit from it.

## V. CONCLUSION

Regulation of migration in the conditions of globalization becomes possible only by the joint efforts of the majority of the world countries (first of all by the largest and the most developed countries), i.e. by means of multilateral international cooperation. It is obvious, that it concerns first of all those problems that incur growing number of refugees and increase of the scales of illegal migration which have got really global character. However, not to smaller degree it concerns international labor migration as maintenance of legal guarantees for those citizens of the countries who work in other countries, became an important component of the global process of struggle for human rights.

## Reference:


1. Huddleston T., Niessen J. and Dag Tjaden J. Using EU Indicators of Immigrant Integration. Final Report for Directorate-General for Home Affairs. Brussels: European Commission. 2013.
2. Coleman D. The demographic effects of international migration in Europe. Oxford Review of Economic Policy. 2008. № 24(3).
3. OECD, International Migration Outlook 2014. Paris: OECD Publishing, 2014.
4. OECD, Education at a Glance 2012: OECD Indicators. OECD Publishing, 2012. URL: http://www.oecd.org/edu/-EAG%202012_e-book_EN_200912.pdf.
5. European Migration Network, Immigration of International Students to the EU. Directorate General Home Affairs, European Commission, 2013.
6. Attracting Highly Qualified and Qualified Third-Country Nationals. European Migration Network Study 2013. Directorate General Home Affairs, European Commission, 2013. URL:http://emn.ie/files/p_201311180323172013_-attractinghqworkers_finalversion_23oct2013.pdf.
7. Directive 2014/36/EU of the European Parliament and of the Council of 26 February 2014 on the conditions of entry and stay of third-country nationals for the purpose of employment as seasonal workers OJ L 94, 28.3.2014.
8. Eurostat, Migration and migrant population statistics – Statistics explained, 17.02.2015. URL: http://ec.europa.eu/-eurostat/statisticsexplained/index.php/Migration_and_migrant_population_statistics.
9. World Migration in Figures, OECD-UNDESA October 2013. URL: http:// www.oecd.org/els/mig/World-Migration-in-Figures.pdf.
10. Greek Action Plan on Asylum and Migration Management. Executive Summary. Progress Report. January–May 2013. URL: http://www.europarl.europa.eu/
11. European Union Maritime Security Strategy URL: http://register.consilium europa.eu/doc/srv?l=EN&f=ST%2011205%-202014%20INIT.
12. Western Balkans. Annual Risk Analysis 2012. P. 18. URL: http://frontex.europa. eu/assets/Publications/Risk_Analysis/-WB_ARA_2012.pdf.
13. Costello C. and Hancox E. The UK, the Common European Asylum System and EU Immigration Law. COMPAS. 2.05.2014. The University of Oxford. P. 7. URL: http://www.migrationobservatory.ox.ac.uk/sites/files/migobs/UK-_EU_Asylum_Law_0.pdf.
14. Borders, Citizenship and Immigration Act 2009. URL: http://www.legislation. gov.uk/ukpga/2009/11/contents.
15. International Migration Outlook: 2008 Edition. P.: OECD, 2008. P. 69, 83.
16. Silagadze, A., Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. Refereed International Journal of Business and Management Studies (IJBMS), pp. 441-448.

# თბილისის მიწათსარგებლობის 2017 წლის გენერალური გეგმის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები


**ნინო ზურაშვილი**

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*თანამედროვე თბილისი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. თბილისისთვის აქტუალური და პრობლემატური საკითხებია: სატრანსპორტო სისტემის გაუმართაობა, გზების გადატვირთულობა, ქაოსური ტაქსების სისტემა, მოუწესრიგებელი მიწისქვეშა ურბანისტიკა, საპარკინგე ადგილების ნაკლებობა, მანქანების რაოდენობის ზრდა ქალაქში, ნარჩენების მართვისა და უტილიზაციის პრობლემები და ა.შ.*

*2017 წლის მაისში გამოქვეყნებულ იქნა თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელება განმუხტავს ვითარებას დედაქალაქში. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მდინარე მტკვრის სანაპიროების განვითარება და სარეკრეაციო ზონად გადაქცევა. პრიორიტეტულ მიმართულებებს მიეკუთვნება, ასევე, თბილისის მეტროს განვითარება, ახალი სამი ხაზის დამატება. პრიორიტეტია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელების მოწყობა და ნარჩენების ეფექტიანი მართვის სისტემის შემუშავება. მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, თბილისის სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება და თბილისის გზების გადატვირთულობის პრობლემის შემსუბუქება. სტატიაში გაანალიზებულია, გენგეგმის მიხედვით ძირითადი პრობლემების გადაჭრის გზები.*



*საკვანძო სიტყვები: გენერალური გეგმა, თბილისი, ტრანსპორტი, ნარჩენების მართვა*


2017 წლის მაისში დამტკიცდა თბილისის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმა, რომლის აუცილებლობა წარმოშვა საქალაქო სივრცის „ურბანულმა უწესრიგობამ“, რომელმაც მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. 2009 წლის გენგეგმამ ვერ შეძლო გარდატეხის შეტანა თბილისის სტრუქტურულ- ფუქნციური მოწყობის გაუმჯობესების საქმეში. ამგვარად, ახალი გენგეგმის მთავარი ამოცანა გახდა ურბანულ-გეგმარებითი წესრიგის აღდგენა საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით და მდგომარეობის თანდათანობითი შემობრუნების გზით. საჭიროებიდან გამომდინარე, მოხდა ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ჩამოყალიბება დედაქალაქ თბილისისთვის.

თბილისის ტერიტორიული განვითარების მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს არსებული განაშენიანებული ტერიტორიების განვითარება - ინტენსიური მოდელი ექსტენსიურის ნაცვლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმთავრეს ამოცანად დასახულ იქნა ტერიტორიების „ბალანსირებული განვითარება” და „რეკონსტრუქციაზე ორიენტირებული განვითარება” [1,გვ.6].

ახალი გენგეგმის მიხედვით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მდინარე მტკვარს, ვინაიდან თბილისი მდინარის გასწვრივ განვითარებული ქალაქია. ისტორიულად, მტკვრის ნაპირები, ხალხმრავალ და ქალაქის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სივრცეებს წარმოადგენდა. გასულ საუკუნეში მიღებულმა გეგმარებითმა გადაწყვეტილებებმა მტკვარს შეუცვალა ბუნებრივ-ისტორიული სახე. მდინარე მოაქციეს ჯებირებში, ხოლო მტკვრის სანაპიროები, რომლებიც ისტორიულად ხალხმრავალ სანაპიროებს წარმოადგენდა, გარდაიქმნა გადატვირთულ საავტომობილო ტრასებად. მტკვარმა დაკარგა მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც გულისხმობდა მოქალაქეთა თავშეყრის, ურთიერთობის, დასვენების, ქალაქის გაგრილების ფუნქციებს. [2, გვ. 3].

ქართველმა ურბანისტებმა იხელმძღვანელეს საერთაშორისო გამოცდილებით, ასევე გააანალიზეს პოსტ-სოციალისტური სივრცის ევროპულ ქალაქებში (ვილნიუსი, კაუნასი, ბუქარესტი, ტიმიშარა, ა.შ.) მიღებული ურბანული გადაწყვეტილებები. გაანალიზებულ იქნა ამერიკული ქალაქების (დეტროიტი, ჩიკაგო და ა.შ), აზიურ (სეული) ქალაქებში მიღებული ურბანული გადაწყვეტილებები, რომლებიც ახდენენ ქალაქებში მდინარის ნაპირების რეგენერაციას. ყოველი ასეთი პროექტის მთავარი ჩანაფიქრია, სარეკრეაციო სივრცედ გადაიქცეს მდინარის ნაპირები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, თბილისი მსგავსად, საავტომობილო ტრასებადაა გადაქცეული.

მტკვრისპირა მწვანე სისტემის ჩამოყალიბება ქალაქის ცენტრის სარეკრეაციო სივრცეებით გამდიდრების ერთადერთი პრაქტიკული გადაწყვეტაა. მტკვარი თბილისის ქვაბულის ფსკერზე მიედინება და შესაბამისად, მის გასწვრივ რელიეფი ყველაზე რბილია. ეს ფაქტორი, მდინარის მიერ ჰაერის გაგრილების და განიავების უნართან ერთად, მტკვრის სანაპიროებს, საფეხმავლო თუ საველოსიპედო გადაადგილებისთვის ყველაზე ხელსაყრელ დერეფნად აქცევს [2, გვ.4].

ახალი გენგეგმის მიხედვით უნდა მოხდეს ერთიანი საფეხმავლო ქსელის ჩამოყალიბება მტკვრის სანაპიროს გასწვრივ. საფეხმავლო ქსელი ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყო საველოსიპედო – საფეხმავლო ხიდებითა და უწყვეტი ბილიკებით. სარეკრაციო ზონა უნდა ვრცელდებოდეს ქალაქის სიგრძეზე და მიუყვებოდეს მტკვრის კალაპოტს. მდინარეზე უნდა მოხდეს საფეხმავლო ხიდების განთავსება, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს მტკვრის ერთმანეთისგან იზოლირებული მარჯვენა და მარცხენა სანაპირო. დედაქალაქის ისტორიულ ნაწილში უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი საქალაქო სივრცეების: ორთაჭალა, რიყე, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, საქანელას ქუჩა, მუშტაიდის ბაღისა და ცირკის მიმდებარე ტერიტორიების ერთიან სარეკრეაციო სისტემად ჩამოყალიბება. დედაენის პარკში, რიყესა და 300 არაგველის მონუმენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარის ჯებირებისაგან გათავისუფლების შედეგად, შესაძლებელი გახდება უშუალოდ მტკვრის ნაპირთან დასვენება, რაც კიდევ უფრო ორგანულად შეაკავშირებს მდინარესა და ქალაქის ისტორიულ ნაწილს.

ახალი გენგეგმის მიხედვით, აქტუალურობას იძენს „მიწისქვეშა ურბანისტიკის“ საკითხი. მიწისქვეშა სივრცე არის მნიშნელოვანი რესურსი, რომელიც ქალაქის ნაშენ ტერიტორიაზე სამშენებლო განვითარებისათვის განკუთვნილი მიწის რესურსის ოპტიმიზაციის გაზრდის საშუალებას იძლევა [3, გვ.1].

მიწისქვეშა სივრცეებისადმი განსაკუთრებული ინტერესი დიდია მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, რაც განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით:

- მზარდი მოთხოვნა მაღალი გამტარიანობის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე;
- მიწისზედა ღია გამწვანებული სივრცეების საჭიროება და "სქაილაინის" შენარჩუნებისათვის ქალაქის სიმაღლეში ზრდის შეზღუდვის აუცილებლობა.

XXI-ე საუკუნეშიც კი თბილისში მიწისქვეშა სივრცეების შესახებ ინფორმაცია არის ძალიან მცირე. ქალაქს არ გააჩნია ზუსტი გეორადირების მონაცემები, რომელთა გარეშეც მიწისქვეშა სივრცეების დაგეგმარება შეუძლებელია.

არსებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მიწისქვეშა სივრცეები ძალიან ცუდად არის ინტეგრირებული მიწისზედა ფუნქციებთან, უსისტემოდ არიან განთავსებულნი. გენერალური გეგმის მიხედვით, არ არის განსაზვრული მიწისქვეშა სივრცეებში ჩარევის კონკრეტული არეალები. თუმცა კონცეფციის მიხედვით შემოთავაზებულია უბნები, სადაც უნდა მოხდეს მიწისქვეშა სივრცეების ათვისება არის აუცილებელი ქალაქის განვითარების ამ ეტაპზე. ესენია:

- ქალაქის ცენტრალური უბნები, სადაც საცხოვრისისა და დასაქმების მაღალი სიმჭიდროვის გამო მიწისქვეშა პარკირებასა და საინჟინრო ინფრასტრუქტურაზე მოთხოვნა დიდია;
- თბილისის ისტორიული ნაწილი, სადაც არსებული ისტორიული განაშენიანების ნაწილში მიწისქვეშა სართულები ძველადაც გამოიყენებოდა. რეგულირების სპეციალური რეჟიმის შემთხვევაში, შესაძლებელია ამ სივრცეების სათანადო ადაპტირება მოსახლეობის თანამედროვე საჭიროებებთან;
- პოლიცენტრული არეალები, რომლებშიც მოიაზრება განვითარების კონცენტრირების ხელშეწყობა სხვადასხვა ფუნქციებით. გარკვეულ პოლიცენტრებში შესაძლებელია მოქმედებდეს სხვადასხვა სივრცითი, გეგმარებითი ან გარემოსდაცვითი შეზღუდვები და, ამდენად, შეუძლებელი იყოს მაღალსართულიანი, ინტენსიური მშენებლობა. შესაბამისად, გარკვეული ფუნქციების მიწისქვეშ განთავსება უნდა მოიაზრებოდეს პოლიცენტრულ არეალში მაღალი სიმჭიდროვის ხელშეწყობის ღონისძიებად [3,გვ.2].

მიწისქვეშა სივრცის ათვისების შეზღუდვა უნდა გავრცელდეს იმ არეალებში, სადაც:

- მოქმედებს წყლის, მათ შორის გრუნტის წყლების დაცვის შეზღუდვები;
- ისტორიული დაცვის ზონასა და იმ არეალებში, სადაც არსებობს არქეოლოგიური ფასეულობები. ასეთი არეალების გამოვლენა და მათთვის მიწისქვეშა დაგეგმარების განსაკუთრებული რეჟიმი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მომდევნო ეტაპზე უნდა შესრულდეს.
- მიწისქვეშა ობიექტები ასევე უნდა იყოს გააზრებული ქალაქის უშიშროების სტრატეგიაში. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საინჟინრო ქსელები

სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს. ამასთან, კაპიტალურად ნაშენი მიწისქვეშა სივრცეები, შესაძლებელია, გამოყენებული იყოს სხვადასხვა სახის საგანგებო სიტუაციების დროს.

- საკითხის განხილვისას, ყურადღება აგრეთვე უნდა დაეთმოს სამართლებრივ მხარეს. კერძოდ, „'-- …'‡ შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს წიაღი სახელმწიფო საკუთრებაა.
- მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წიაღზე საკუთრების უფლებას. შესაბამისად, მიწისქვეშა სივრცეების დაგეგმარების პროექტთან ერთად, აუცილებელია შემუშავდეს თბილისის ტერიტორიაზე წიაღის მართვის სამართლებრივი მექანიზმებიც [3,გვ.3].

საქართველოს დედაქალაქისთვის გამოწვევაა საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისის საზოგადოებრივი სტრანსპორტის სისტემა მეტროს ქსელზეა დამოკიდებული.

ახლანდელი სატრანსპორტო კონფიგურაცია სწრაფი და მაღალი გამტარობის მქონეა მიწისქვეშ, რასაც ვერ ვიტყოდით მიწისზედა სატრანსპორტო სისტემაზე. სატრანსპორტო ტიპებს შორის კონკურენტული პოზიციები გაჩნია ასევე მიკროავტობუსების პარა-სატრანზიტო ქსელს, გარდა ავტობუსებისა და მეტროსი.

თანამედროვე თბილისისთვის ნამდვილი გამოწვევაა, მოხდეს ისეთი ეფექტიანი სატრანსპორტო ქსელის შექმნა, რომლის სხვადასხვა იერარქიული დონეებიც ერთმანეთს შეავსებს. შემოთავაზებული სისტემა შემდეგ საჭიროებებს უნდა პასუხობდეს:

- მეტროს ქსელის განვითარებისათვის ალტერნატივების მოძებნა;
- დამატებითი მაღალი გამტარობის მქონე მიწისზედა სატრანსპორტო სისტემის დაარსება;
- არსებული საავტობუსო მარშრუტების უფრო გრძელი ხაზების მქონე დერეფნებად რეკონფიგურაცია;
- 2 კატეგორიის მარშრუტების ზეგავლენის შეზღუდვა, განსაკუთრებით, ცენტრალურ გზებზე;
- ქალაქის რთულად მისადგომი და მოშორებული არეალების ტრანსპორტით უზრუნველყოფა [4,გვ.7].

კვლევების მიხედვით, თბილისში არსებული საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის ყველაზე დიდ ნაკლოვანებას მის ქსელთა ინტეგრირების პრობლემა და მოდალური იერარქიის არარსებობა წარმოადგენს. ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით, საჭიროა აღქმადი მულტიმოდალური სისტემის შემუშავება, რომელიც მიზნად დაისახავს მეტროს არსებული სისტემის სრული პოტენციალით ფუნქციონირების უზრუნველყოფას. მისი დაფარვის კომპლიმენტირება აუცილებელია მაღალი გადაზიდვის მოცულობის უზრუნველყოფის საშუალების მქონე მიწისზედა ტრანსპორტით (ტრამვაი ან BRT), ქალაქის იმ არეალებში, სადაც მეტროს ქსელი დღეისათვის არ ფუნქციონირებს.

საავტობუსო სატრანსპორტო ქსელის ძირითადი ფუნქციაა ერთმანეთთან დააკავშიროს ის არეალები, რომლებსაც არ აქვთ პირდაპირი წვდომა მაღალი გადაზიდვის მოცულობის მქონე ჩქაროსნულ ტრანსპორტზე. სასურველია მიკროავტობუსთა ქსელი შეიზღუდოს და ფუნქციონირებდნენ ისეთ უბნებზე, რომელთა დაფარვაც ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათის გამო, შეუძლებელია სხვა საზოგაოდებრივი ტრანსპორტის სახეობებით.

პიკის საათის დროს ხდება თბილისის რამდენიმე ცენტრალური ქუჩის ბლოკირება, რაც საზგაო სისტემაში ქუჩებისა და ქუჩათა გადაკვეთების მოცულობითი დეფიციტით არის განპირობებული. შესაძლებელია დედაქალაქის მთავრობამ გამონახოს გარკვეული გზები ამ გადატვირთულობის შესამსუბუქებლად, მაგ, საგზაო პარკირებების სივრცეების მოხსნა, საგზაო მარშრუტების გადახალისება, მოძრაობის დივერსიფიკაცია და ა.შ.

თბილისისთვის აუცილებელი საჭიროებაა ცენტრალური სააგენტო რომელიც იქნება ურბანული ტრანსპორტის განხრით გეგმარებითი და მართვითი სისტემების ზედამხედველი. ურბანული სატრანსპორტო მმართველობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია უნდა ახდენდეს ურბანული გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება-განხორციელებას, ასევე უზურნველყოს საჯარო ტრანსპორტის სრული ინტეგრირება, ტრანსპორტის მენეჯმენტი და მოახდინოს აუცილებელი რეგულირებების შემუშავება-განხორციელება თბილისის მდგრადი განვითარებისთვის.

საპარკინგე სისტემასთან დაკავშირებით რეგულაციები დღევანდელ საქართველოში, მათ შორის დედაქალში არის ძალიან სუსტი და არ წარმოადგენს ეფექტიან მართვის ინსტრუმენტს. საპარგინგე სისტემის მოსაწესრიგებლად შესაძლებელია მოხდეს სხვადასხვა რეგულაციების დაწესება, რომელიც გარკვეულწილად მოა-

ხერხებს მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს შეიძლება იყოს გარკვეულ გადატვირთულ საპარკინგე ტერიტორიებზე დროითი შეზღუდვების, ზონალური დაშვებების, საათობრივი გადასახადის დაწესება და ა.შ.

ტაქსების სისტემის ქაოსური გავრცელება და გაუმართაობა განაპირობებს დედაქალაქის სატრანსპორტო სისტემის პარალიზებას. თბილისში მოძრაობს უამრავი ოფიციალური და არაოფიციალური ტაქსი, ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს მართვის მოწმობა შეუძლია გახდეს ტაქსისტი. ტაქსისტობა მიმზიდველი საქმიანობა გახდა იქიდან გამოდინარეც, რომ არაოფიციალურ ტაქსებს არ უწევთ გადასახადების გადახდა ბიუჯეტში. მომრავლებული ტაქსების გამო დიდია კონკურენცია მათ შორის, რის გამოც ერთმანეთთან კონკურენციაში ჩაბმული ტაქსები აჩერებენ ნებისმიერ ადგილას მგზავრების აყვანის მიზნით, რითაც ხელს უწყობენ მოძრაობის შეფერხებასა და საცობის წარმოქმნას. აუცილებელია მოხდეს ამ სექტორის დარეგულირება. ტაქსის კომპანიების ოფიციალურად დარეგისტრირება და სპონტანური ტაქსების გაქრობა დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელიდან. თუმცა მეორე მხრივ, ეს მიეკუთვნება არაპოპულარულ რეფორმათა რიცხვს. ბევრი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს თბილისში, ან თბილისთან ახლო რეგიონებში და არის დაუსაქმებელი, ახდენს თვით-დასაქმებას და შოულობს გარკვეული რაოდენობის თანხას. ასეთი რეგულაციების შემოღებით კი, დიდ მოგებას მიიღებენ დარეგისტრირებული ოფიციალური კომპანიები. შემცირდება ტაქსების რაოდენობა, რაც გაზრდის ტაქსით მგზავრობის საფასურს. ეს კი იქნება უკმაყოფილების გამომწვევი, როგორც მომხმარებლებისთვის, ასევე არაოფიციალური ტაქსის მძღოლებისთვის. ასევე ასეთი ტიპის რეგულაციები შეიძლება გახდეს ხელშემწყობი ფაქტორი მოქალაქეებისთვის შეიძინონ ავტომობილი და კიდევ უფრო გადატვირთონ ქალაქი, ვინც რეგულარულად მგზავრობდა ტაქსით, მაგრამ საფასურის გაზრდის გამო, აღარ უღირს ტაქსით მგზავრობა და ურჩევნია ჰყავდეს პირადი ავტომობილი. ამ და სხვა მოსაზრებების გამო მთავრობა ჯერ კიდევ თავს იკავებს მსგავსი ტიპის რეგულაციების შემოღებისგან.

ბოლო წლებში კერძო ავტომობილების რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. თბილისში რეგისტრირებულმა ავტომობილების რიცხვმა 2017 წლის 1 თებერვლის მონაცემებით (სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დეპარტამენტი) 669255 -ს მიაღწია (ზრდა - 9.5%). ამას ემატება ყოველდღიურად ტრანზიტულად ქალაქში შემოსული ავტომობილები [5].

ასეთი მონაცემების მიუხედავად, თბილისი ევროპის ბევრ ქალაქს ჩამორჩება ავტომობილიზაციის დონით. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ე.წ. საცობების მიზეზი სულაც არ არის განსაკუთრებულად ბევრი ავტომობილის არსებობა ქალაქში.

ძირითადად პრობლემაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობრივი უკმარისობა და ამასთანავე დაბალი ხარისხი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ძალიან არაპოპულარულია დღევანდელ თბილისში. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე რთულია განსაზღვრა, თუ რა რაოდენობის და რა ტევადობის ავტობუსი ან სამარშუტო ტაქსი უნდა დაემატოს ქალაქის ავტოპარკს, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარდეს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოხდეს საკითხის სიღრმისეული და კომპლექსური შესწავლა, უნდ შემუშავდეს ქალაქის სატრანსპორტო მოდელი. ეს კი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კვლევის მიხედვით მხოლოდ სატრანსპორტო დერეფნების განსაზღვრითა და მიწის გამოყენების პირობების დონის განსაზღვრით შემოიფარგლება.

თუ მოხდება ქალაქის სატრანსპორტო მოდელის ჩამოყალიბება, სათანადო პირებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ არსებული განაშენიანების შესაბამისი სატრანსპორტო ნაკადების გენერირება. შესაძლებელი იქნება განისაზღვროს - ერთ ქუჩაზე კონკრეტული მცირე ქმედებით თუ რა ზემოქმედება შეგვიძლია მოვახდინოთ მიმდებარედ და თუნდაც, ქალაქის ბოლოში არსებულ ქუჩებზე გამავალ სატრანსპორტო ნაკადებზე.

გენერალურ გეგმაში ასევე ჩადებულია მეტროს განვითარების გეგმა, რომელიც გულისხმობს სამი ახალი ხაზის გაყვანას. მეტროს ეს ხაზები ჯერ მხოლოდ დამუშავების პროცესშია და არ არის ცნობილი ზუსტი თარიღი, როდის მოხდება მისი განხორციელება, თუმც, ეს უნდა იყოს 2030 წლამდე პერიოდში.

ხაზი 1: იწყება დიდ დიღომში, კვეთს დიდუბეს და გრძელდება საბურთალოს ტერიტორიაზე ახალ სადგურამდე („უნივერსიტეტი“, რომელიც წარმოადგენს მე-2 ხაზს). შემდგომში ხაზის გაგრძელება შესაძლებელია ზაჰესში არსებულ სარკინიგზო სადგურამდე.

ხაზი 2: იწყება საბურთალოს მეტროს ახალ სადგურში და მიემართება სამხრეთით ვაკის გავლით. მიუყვება ჭავჭავაძის გამზირს ფილარმონიამდე და კვეთს ვარდების მოედანს. ამის შემდგომ კი მიუყვება რუსთაველის გამზირს. ხაზი გაივლის კოტე აფხაზის ქუჩას და გამოვა მარჯვენა გორგასლის ქუჩაზე, სადაც სრულ-

დება გულიას მოედნის ხიდის გადაღმა. ეს შეიძლება იყოს ძალიან ჩქარი და საიმედო კავშირი, რომელიც თბილისის თითქმის ყველა მნიშვნელოვან და ცენტრალურ უბანს დააკავშირებს ერთმანეთთან.

ხაზი 3: ეს ხაზი იყენებს გრძივ ღერძს, რომელიც ჩაანაცვლებს სარკინიგზო კორიდორს და გააერთიანებს დიდუბისა და სამგორის სადგურებს [4,გვ. 23].

გენერალურ გეგმაში ყურადღება დათმობილი აქვს ნარჩენების მართვის მნიშვნელოვან საკითხებს. ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება არის როგორც თბილისისთვის, ასევე ნებისმიერი ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. აღნიშნული წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. მყარი ნარჩენების მართვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის როგორც ქალაქის დაგეგმარების, ასევე გარმოსდაცვითი თვალსაზრისით. რაც უფრო გამართულად მუშაობს მყარი ნარჩენების სისტემა, მით უფრო საიმედოა ქალაქის საიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ამასთანავე მოწესრიგებული ნარჩენების სისტემა გავლენას ახდენს ქალაქის სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვაზე, ტურისტული პოტენციალის განვითარებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე და ა.შ.

ბოლო წლებში თბილისში განხორციელდა პოზიტიური ცვლილებები, რაც გულისხმობს ძველი - საბჭოთა დროიდან მოქმედი, გლდანისა და იაღლუჯას ნაგავსაყრელი პოლიგონების დახურვა, ქუჩების დაგვა-დასუფთავების საკითხის მოწერსირგება, ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების რიცხოვნობის პრაქტიკულად ოპტიმუმამდე მიყვანა, ნარჩენების გატანის სიხშირისა და ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სხვა.

ამ სასიკეთო ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსაგვარებელი ამ კუთხით. მათ შორის განსაკუთრებული ღირებულება აქვს ნარჩენების საბოლოო განთავსება-უტილიზაციის პროცესის გაუმართაობას. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოაგენს, ასევე სახიფათო და სპეციფიური ნაჩენების განცალკევებული შეგროვება, გატანა-განთავსების სისტემის არარსებობა. არ ხდება ნარჩენების განცალკევებითი შეგროვება. ინერტული ნარჩენების შეგროვების, გატანისა და საბოლოო განთავსების სისტემა არის დღემდე გაუმართავი, ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო და ცხოველური ნარჩენების უტილიზაციის პრობლემა.

თბილისში მყარი ნარჩენების საბოლოო განთავსება – უტილიზაციის პროცესი გულისხმობს მხოლოდ მათ მოთავსებას ნაგავსაყრელ პოლიგონზე. ამავე ნაგავსაყრელებზე ხდება ყველა სახის სახიფათო, სპეციფიური და სამედიცინო ნარჩენების განთავსება. ასეთი პრაქტიკა მიუღებელია და სახიფათოდ არის მიჩნეული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, ასევე საქართველოს “ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვითაც იკრძალება სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელ პოლიგონზე მოთავსება. მიუხედავად გარკვეული ძვრებისა და მცდელობებისა, ჯერ-ჯერობით სახიფათო მყარი ნარჩენების განთავსება კვლავ ხდება ლილოს ნაგავსაყრელ პოლიგონზე. ნარჩენების ერთმანეთთან შერევა კი უფრო მეტად ზრდის საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. ასეთ დროს არასახიფათო მყარი ნარჩენებიც სახიფათოდ გადაიქცევა.

ლილოს ნაგავსაყრელი პოლიგონი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში, თუმცა მაინც არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე აუცილებელია მისი დახურვა – კონსერვაცია მოხდეს უახლოეს მომავალში. ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენები წარმოადგენს საფრთხეს, თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვურის თბილისის ზღვის წყლის დაბინძურების კუთხით. ნაგავსაყრელი მდებარეობს ე.წ. სამგორის არხის სიახლოვეს, ნაგავსაყრელიდან ერთი კილომეტრიც დაშორებით, რაც წარმოადგენს დაბინძურების საკმაოდ დიდ საფრთხეს. ამასთანავე არსებობს სამგორის ველების (შავმიწა) ნიადაგების დაბინძურების საკითხი. პოლიგონიც ამ ტერიტორიაზეა განთავსებული.

2010 წელს დაიხურა გლდანისა და იაღლუჯას ნაგავსაყრელების პოლიგონები, რაც წარმოადგენდა დადებით გადაწყვეტილებას, თუმცა მათგან მომავალი საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. ამ ნაგავსაყრელების დახურვის შემდგომ მოხდა მათი მიწის ფენილით დაფარვა. მიწის ფენით დაფარვა მხოლოდ მცირედით წყვეტს ჰაერის დაბინძურების საკითხს, მაგრამ მათგან ჯერ კიდევ მომდინარეობს მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების დაბინძურების საფრთხე.

მიუხედავად იმისა,რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქი და ყველაზე დიდი ქალაქია ქვეყანაში, მას არ გააჩნია ნარჩენების მართვის სრულფასოვანი გეგმა. ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული პრობლემების უმეტესობა ჯერ კიდევ სამართლებრივ დონეზე საჭიროებს რეგულირებას.

თბილისის მიწათსარგებლობის 2017 წლის გენერალური გეგმა ეხება და მიმოიხილავს თითქმის ყველა საკითხს, რომელიც პრობლემატური და აქტუალურია ქალაქისთვის. მიუხედავად გენერალური გეგმის კომ-

პლექსურობისა, ხშირ შემთხვევაში რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არ არის განსაზღვრული კონკრეტული სამოქმედო ნაბიჯები და მხოლოდ ზოგადი რეკომენდაციებით შემოიფარგლება. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გენერალური გეგმის შემუშვების გარდა, თითოეული ურბანული გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებელია საკითხის სიღრმისეული შესწავლა, იქნება ეს მიწისქვეშა ურბანისტიკა, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა თითოეული რაიონისთვის და ა.შ. ამასთანავე, აუცილებელია ქალაქის განვითარებასთან ერთად ხდებოდეს ცვლილებების გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ვფიქრობთ, მიწათსარგებლების გენერალური გეგმის შემუშავება წინ გადადგმული ნაბიჯია თბილისის განვითარების ასპექტით. ვიმედოვნებთ, გენგეგმაში ასახული პრიორიტეტული მიმართულებები განხორციელდება და დედაქალაქისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება.

## ლიტერატურა:


1. ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება, ტომი 1. ზოგადი დებულებები , 2017.
2. ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა-კონცეფცია „მდინარე და ქალაქი“, 2017.
3. ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა. “მიწისქვეშა ურბანისტიკის“ არეალების სქემა, 2017.
4. ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საპროექტო მომსახურება. ტომი 5, “ტრანსპორტი, საინჟინრო კომუნიკაციები და ნარჩენების მართვა“ ,2017.
5. www.police.ge


# The Main Priority Directions of the General Plan of 2017 Land Use of Tbilisi


Nino Zurashvili

*doctoral student*

*Tbilisi State University*



**R e s u m e**

*Modern Tbilisi faces varied challenge. There are lot of actual and problematic issues for Tbilisi: traffic system failure, road overload, chaos made by taxes, unarranged underground urbanistic system, lack of parking places for cars, increasing trend of number of vehicles, waste management and utilization problems and so on.*

*In 2017 May has been published Tbilisi General Plan for Land Use. There are defined superiority issues of Tbilisi. To accomplish these assues will help to improve the situation in Tbilisi. According to General Plan of Tbilisi the important issue is development of banks the river Mtkvari and turn them into a recreation zone. Also, priorities include to develop of Tbilisi subway system by adding three new lines. It is priority to make a new modern international standart accepted landfill. For the Capital, it is very important direction to create effective traffic system and overcome the problem of very load roads in peak time. In the article analyzed, the ways of solving the main problems according to Tbilisi General Plan for Land Use.*



***Keywords: General plan, Tbilisi, Transport, Waste management.***

# გლობალიზაციის გავლენა ჯანსაღი კვებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებაზე

**ნუგზარ თოდუა**

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ნაჩვენებია გლობალიზაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარის სასურსათო უსაფრთხოებას უკავშირდება. შესწავლილია ჯანსაღი კვების როლი მომხმარებელთა სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. მთავარი აქცენტი გაკეთებულია ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებაზე, რომელიც წარმოდგენილია, როგორც სოციალური მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი საკითხი. ჯანსაღი კვებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. კვლევის შედეგად გამოვლენილია ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერების დონეები, ინფორმაციის მიღების წყაროები და მათი სანდოობა, პროდუქტის შემადგენლობის სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით მყიდველობითი დამოკიდებულება. ჯანსაღი კვებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ნაშრომში იდენტიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპები და განსაზღვრულია მომხმარებლების მიერ ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერებაზე ასაკის, განათლებისა და შემოსავლების გავლენა. მოცემულია აგრეთვე მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერების ზემოქმედება. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომლებიც ჯანსაღი კვებისადმი ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულების შესახებ გლობალური ხედვის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.*

***საკვანძო სიტყვები:*** ***გლობალიზაცია, სასურსათო უსაფრთხოება, ჯანსაღი კვება, საქართველოს ბაზარი, მომხმარებელთა დამოკიდებულება, მარკეტინგული კვლევა***

***პრობლემის აქტუალობა და შესწავლის დონე.*** ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა კაცობრიობის წინაშე ყოველთვის იდგა, მაგრამ 21-ე საუკუნის დასაწყისში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. ეს აიხსნება იმით, რომ თანამედროვე ეტაპზე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამწვავება გლობალურ ხასიათს ღებულობს. გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების დამახასიათებელი ნიშანი და ძირითადი კანონზომიერებაა. ეკონომიკის გლობალიზაციის შედეგების ცალმხრივად შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან იგი რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ერთი მხრივ, გლობალიზაცია ამარტივებს ქვეყნებს შორის კავშირებს, ქმნის კაცობრიობის მოწინავე მიღწევებისადმი მისაწვდომობის პირობებს, უზრუნველყოფს რესურსების ეკონომიას და ასტიმულირებს მსოფლიო პროგრესს. მეორე მხრივ, მას თან ახლავს უარყოფითი შედეგები, როგორიცაა, მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების მიერ საკუთარი რესურსების დაკარგვა და მათ შორის კონკურენტული ბრძოლის გაძლიერება, რაც იწვევს ამ ქვეყნებში მცირე ბიზნესის განვითრების შეფერხებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება პირველხარისხოვან მნიშვნელობას, ახალ თვისებრივ შინაარსს იძენს.

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამი ძირითადი ასპექტი: ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფა, სასურსათო დამოუკიდებლობა და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის სურსათის უსაფრთხოება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) თანახმად, სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომელიც, საშინაო და საგარეო პირობების მიუხედავად, საშუალებას აძლევს მოსახლეობას, უწყვეტად მიიღოს ეკოლოგიურად სუფთა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო კვების პროდუქტები მისაღებ ფასად და ფიზიოლოგიური ნორმის ფარგლებში [1].

გლობალიზაციის ტენდენციების დამკვიდრება დაემთხვა თანამედროვე საქართველოს ისტორიის ყველაზე უფრო დრამატულ პერიოდს. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში გლობალურ კონკურენციაში საქართველოს ჩამორჩენა გაიზარდა შიდა სისტემური კრიზისის, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვისა და ხში-

რად სახელმწიფოს მხრიდან არაგონივრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდა. გლობალიზაციამ განსაკუთრებული დაღი დაასვა საქართველოში სასურსათო ბაზრის განვითარებას. დაირღვა საწარმოო ჯაჭვი, მოიშალა ინფრასტრუქტურა და განადგურდა ბუნებრივი გარემო. ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების კვალდაკვალ სულ უფრო აქტუალური ხდება საშინაო სამომხმარებლო ბაზრის დაცვის საკითხი, რომელშიც ჯანსაღი კვების პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორებიდან უმნიშვნელოვანესია ცხოვრების წესი და სწორი კვება. საკვები, გარდა იმისა, რომ ენერგიის წყაროა და ადამიანის ორგანიზმის განვითარებისათვის აუცილებელია, არაჯანსაღი კვების პირობებში შეიძლება სხვადასხვა დაავადების მიზეზი გახდეს. ამიტომ ადამიანის მდგრადი განვითარების მიღწევა შესაძლებელია ჯანსაღი კვების საპასუხისმგებლო შერჩევით [2].

ჯანსაღი (რაციონალური, სწორი) კვება, როგორც ცნება, მოიცავს ორ ელემენტს - სრულფასოვნებას და უსაფრთხოებას. საკვების მოხმარება დაკავშირებულია უამრავ რისკთან, რომლებიც, ერთი მხრივ, გამოწვეულია თვითონ პროდუქტების ქიმიური ან მიკრობიოლოგიური დაბინძურებით. ასეთი რისკის თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისათვის შემუშავებულია სისტემა HACCP, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას [3]. ევროკავშირისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეს ნორმები კანონითაა დარეგულირებული. მეორე მხრივ, რისკი შეიძლება გამოიწვიოს კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (სიჭარბით ან დისბალანსით) შემცველობამ. ასეთი რისკის შემცირება, ასევე მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილება, მოითხოვს იმ ფაქტორების წინასწარ ცოდნას, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობაზე კვების პროდუქტების ზემოქმედებასთან. ევროკავშირისა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია ნორმები, რომლებიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, კვების პროდუქტების შეძენისას გაცნობიერებული, დასაბუთებული და საპასუხისმგებლო არჩევანი გააკეთონ. კვების პროდუქტების სხვადასხვა სახეობებს მრავალგვარი ქიმიური შემადგენლობა და, შესაბამისად, განსხვავებული კვებითი ღირებულებები გააჩნია. ამიტომ ისინი არაერთნაირად უზრუნველყოფენ საკვებზე ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილებას. დაბალანსებული კვებისას ადამიანი, იყენებს რა მაქსიმალურად მრავალფეროვან პროდუქტებს, უფრო სრულყოფილად აკმაყოფილებს თავის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

ჯანსაღი კვება უნდა მოიცავდეს ყველა საკვები დანამატების ბალანსს. ხშირად კვების პროდუქტების მრავალფეროვნების, პორციების თვალსაჩინოებისა და კვების რეჟიმის დაცვის აუცილებლობისათვის გამოიყენება CINDI (Countrywide Integrated Noncommunicable Disease Intervention)-ის ჯანსაღი კვების პირამიდა. ამ პირამიდის მიხედვით, ადამიანის კვების რაციონში ყველაზე მეტ რაოდენობას უნდა შეადგენდეს მარცვლეულის საკვები (დაახლოებით 40%-მდე), 35%-ს - ხილი და ბოსტნეული, 20%-ს - ხორცი, თევზი და რძის პროდუქტები და მხოლოდ 5%-ს - ცხიმებით გამდიდრებული და შაქრის შემცველი პროდუქტები [4].

უკანასკნელ წლებში ევროკავშირმა მიიღო უამრავი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კვების მწარმოებლებმა მომხმარებლებს გარკვეული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ასეთი ინფორმაციის მოცულობის ზრდა, ცხადია, იწვევს სირთულეებს მომხმარებლებისათვის. ეს ეხება არა მარტო შეზღუდული ფართობის მქონე ეტიკეტზე დიდი მოცულობის ინფორმაციის დატანების აუცილებლობას, არამედ თვითონ ინფორმაციის შინაარსაც. მისი უდიდესი ნაწილი გაუგებარია მომხმარებელთა უმეტესობისათვის. საკვები ცხიმები, მათ შორის ცხიმოვანი მჟავები, ტრანსცხიმები და სხვა ნივთიერებები - ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც მომხმარებელმა, ასაკისა და განათლების მიუხედავად, უნდა იცოდეს, რათა თავისი ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფისათვის კვების პროდუქტები გააზრებულად შეარჩიოს. 2011 წელს ევროკავშირმა მიიღო რეგლამენტი 1169/2011, რომელიც ავალდებულებს კვების პროდუქტების მწარმოებლებს, ეტიკეტზე გამოსახონ არა მხოლოდ ძირითადი კომპონენტების რაოდენობა, არამედ მათი დღიური მოხმარების ნორმა [5].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურსათო უსაფრთხოების მთავარი მიზანია მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და საზოგადოების სურვილს შორის ოპტიმალური თანაფარდობის მოძებნა, რათა არ დაზიანდეს ადამიანთა საარსებო გარემო. ამ პრობლემის გადაჭრაში კი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სოციალურ მარკეტინგს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა გათვითცნობიე-

რებაზე. დღეისათვის მომხმარებელს უზარმაზარი ინფორმაცია აქვს გარემოს შესახებ. მაგრამ გათვითცნობიერება მარტოოდენ ინფორმაციულ დონეზე ცოდნას კი არ გულისხმობს, არამედ ამ ცოდნის რაციონალურ და ემოციურ შეთვისებას, რომელიც შესაბამის ქმედებებში გამოიხატება. სოციალური მარკეტინგი, აკეთებს რა ძირითად აქცენტს მომხმარებლების მიერ ჯანსაღი კვების აუცილებლობის გათვითცნობიერებაზე, პირველ რიგში, მიზნად ისახავს ადამიანთა ჯანმრთელობის პრობლემების შემცირებას. ცხადია, სავაჭრო ქსელში გასაყიდად გამოტანილი ყველა პროდუქტი უნდა იყოს უსაფრთხო. დღეისათვის ეს დებულება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სურვილად რჩება. სამწუხაროდ, საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილია უზარმაზარი რაოდენობის კვების პროდუქტები, რომლებიც, უსაფრთხოების თვალსაზრისით, უდიდესი პრობლემაა როგორც მომხმარებლების, ისე მაკონტროლებელი ორგანოებისათვის.

არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელთა ჯანსაღ კვებაზე. დღეისათვის მარკეტინგი სულ უფრო მეტადაა მიმართული სოციალურ ღირებულებებზე და არა კომპანიების მომხმარებლებზე ორიენტირებულ სტრატეგიებზე [6]. სოციალური მარკეტინგი იყენებს მარკეტინგულ კონცეფციებს, რომლებიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის. მაგალითად, სოციალური მარკეტინგული კამპანიები განაპირობებს მოსახლეობისათვის ჯანდაცვის დაწესებულებების ხელმისაწვდომობას და მიმზიდველობას. სოციალური მარკეტინგი ფოკუსირებულია ადამიანებზე, რომელთა მოთხოვნილებები, სურვილები, მისწრაფებები, ცხოვრების სტილი და მყიდველობითი არჩევანი განაპირობებს ქცევის ცვლილებებს [7]. ამიტომ სოციალური მარკეტინგის გააზრება საკმაოდ პოპულარულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაძლებლობების გაფართოებისათვის [8].

ჯანსაღი კვებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა სოციალური მარკეტინგის უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას [9]. არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელიც მომხმარებლების ჯანსაღ კვებასთან დამოკიდებულებას განაპირობებს. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი კომპანია ხშირად ვერ იყენებს სოციალური მარკეტინგის მიდგომებს პრობლემების არასათანადოდ გააზრების გამო. სოციალური მარკეტინგის სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ კომპანიების მიერ მომხმარებელთა ქცევის შესახებ ინფორმაციის უქონლობა ხშირად იწვევს მათ არაეფექტიან ქმედებებს [10]. სოციალური მარკეტინგი იყენებს ტრადიციულ მარკეტინგულ ინსტრუმენტებს ჯანსაღ კვებასთან მიმართებით მომხმარებელთა ქცევის შესასწავლად [11, 12]. სოციალური მარკეტინგის ღონისძიებები და ინიციატივები აუმჯობესებს მომხმარებელთა კომპეტენტურობას და დამოკიდებულებას ჯანსაღი კვების მიმართ. ამ სფეროში არსებული მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ჯანსაღი კვების მიმართ მომხმარებელთა ქცევის დადგენა შესაძლებელია მიზნობრივი აუდიტორიის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე. ბრიტანეთის მარკეტინგის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მომხმარებლებს აღელვებთ ჯანსაღი კვების შესახებ ინფორმაციის სიუხვე და არაერთმნიშვნელოვანება. ამიტომ მათ სჭირდებათ დახმარება, რათა სურსათის მარკირების დეტალებში დეტალურად გაერკვნენ [13]. მარკეტინგული კვლევების ბრიტანულმა კომპანია YouGov-მა შეისწავლა ჯანსაღი კვების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება, კერძოდ, ინფორმირება, გაგება, ასოციაციები, მოლოდინი, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და სანდოობა [14]. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ, მომხმარებელთა ქცევისა და სოციალური მარკეტინგის თვალსაზრისით, გარკვეული კვლევები ტარდება საქართველოში [15, 16]. შესწავლილია სასურსათო უსაფრთხოებისა [17] და ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება კვების პროდუქტებისადმი [18-20], აგრეთვე გენმოდიფიცირებული აგროსასურსათო პროდუქციისადმი მომხმარებლებისა და ფერმერების დამოკიდებულება [21-23]. საკმაოდ საინტერესოა საქართველოში სასურსათო პროდუქტების მარკირების ზოგიერთი საკითხის კვლევა [24, 25]. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჯანსაღი კვების შესახებ ქართველი მომხმარებლების გათვითცნობიერებისა და მყიდველობითი ქცევის საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, 2016 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით მარკეტინგის კათედრაზე დამუშავდა საგრანტო პროექტი თემაზე: „სასურსათო პროდუქტების მარკირების გავლენა მომხმარებელთა ქცევის ცვლილებაზე (საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში)“. წინამდებარე კვლევა დასახელებული პროექტის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ბაზარზე ჯანსაღი კვებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების განსაზღვრა.

*კვლევის მეთოდოლოგია.* კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდებს [26]. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა ისე, რომ მოგვეცვა მიზნობრივი ბაზრის ყველა კატეგორია. ამ ეტაპზე მოხდა ჰიპოთეზების ფორმულირება და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენა. მეორე ეტაპზე ვისარგებლეთ მომხმარებელთა გამოკითხვის მეთოდით, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად შევარჩიეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტა მოიცავდა ინფორმაციას რესპონდენტის თანხმობისა და კონფიდენციალობის შესახებ, აგრეთვე კვლევის განმარტებებს და შევსების ინსტრუქციებს. ანკეტაში გამოყენებულია ლიკერტის ხუთბალიანი სკალა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული და პირისპირ ინტერვიუს მეთოდებით. კვლევაში გამოვიყენეთ თვითადმინისტრირებადი გამოკითხვის მეთოდი, რათა თავიდან აგვეცილებინა ინტერვიუერის სუბიექტურობით გამოწვეული შეცდომები. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე. კვლევის არეს წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სიღნაღი, გორი, ზუგდიდი და სენაკი. 95%-იანი სანდო ალბათობისა და 4%-იანი ცდომილების გათვალისწინებით, სულ გამოიკითხა 18 წელზე მეტი ასაკის 1200 რესპონდენტი (მათ შორის მამაკაცი იყო 40%, ქალი - 60%). მიღებული შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. კვლევაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე ჰიპოთეზა, რომლებშიც ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებასა და შესაბამის ქცევაზე.

H1: ასაკი დადებით გავლენას ახდენს ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე;

H2: განათლება დადებით გავლენას ახდენს ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე;

H3: შემოსავლები დადებით გავლენას ახდენს ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე;

H4: ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერება დადებით გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე (ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე).

*კვლევის შედეგები.* მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯანსაღი კვების შესახებ ინფორმირებულია გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი (85%), თუმცა, რესპონდენტების გათვითცნობიერების დონე განსხვავებულია. კერძოდ, რესპონდენტთა 52% თვლის, რომ მისი გათვითცნობიერების დონე საშუალოა, 32%-ის აზრით, დაბალია. მხოლოდ 11%-ს მიაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე მისი გათვითცნობიერების დონე მაღალია, ხოლო 5%-ს პასუხის გაცემა უჭირს. ასეთი სიტუაცია შეინიშნება რესპონდენტთა ყველა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებში. ამასთან, სქესის მიხედვით რესპონდენტების განაწილების სიხშირე გვიჩვენებს, რომ ჯანსაღი კვების შესახებ ქალების გათვითცნობიერების დონე, საშუალოდ, 2-ჯერ აღემატება მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელს. შესაბამისად, აშკარაა, რომ საკუთრი ჯანმრთელობის მიმართ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, მეტი ინტერესი გააჩნიათ. ჯანსაღი კვების შესახებ ყველაზე მეტად ინფორმირებულია 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. ამასთან, ჯანსაღი კვების აღქმა ქართველ მომხმარებლებში ერთდროულად უკავშირდება ნატურალური პროდუქტებით (ახალი ხილი, ბოსტნეული, რძის ნაწარმი და სხვ) და დაბალანსებული პროდუქტებით (დიეტური, ვიტამინებით გამდიდრებული და სხვ) კვებას, თუმცა, ისინი განიხილება, როგორც ურთიერთგადამკვეთი, მაგრამ არა ტოლმნიშვნელოვანი ცნებები.

რესპონდენტები ჯანსაღი კვების შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა გზით ღებულობენ. უმეტესობა (41%) ასეთ ინფორმაციას ეცნობა ინტერნეტიდან, 21% - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, 16% - შეფუთვაზე არსებული მასალებიდან, 10% - ახლობლებისგან, 7% - სპეციალიზებული ლიტერატურიდან, ხოლო 5% ამისათვის სხვადასხვა ხერხს მიმართავს. რაც შეეხება დასახელებული ინფორმაციის წყაროების სანდოობას, განსხვავებული სიტუაცია შეიმჩნევა. კერძოდ, რესპონდენტთა უმეტესობა (35%) ყველაზე უფრო მეტად ენდობა სპეციალიზებულ ლიტერატურას, 33% - ახლობლების მოსაზრებებს, 14% - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, 11% - შეფუთვაზე არსებულ მასალებს, 7% - ინტერნეტს. როგორც ჩანს, ქართველი მომხმარებელი, ჯანსაღი კვების შესახებ ინფორმირებისას, ძირითადად, სპეციალიზებულ ლიტერატურას და ახ-

ლობლების მოსაზრებებს ეყრდნობა, რაც საქართველოს ბაზარზე ინფორმაციის წყაროების სანდოობისა და გავლენის შესახებ ჩვენ მიერ ადრე მიღებული კვლევის შედეგებს [27] კიდევ ერთხელ ადასტურებს.

კვლევამ დაგვანახა, რომ ქართველი მომხმარებლები ჯანსაღი კვების მიმართ მყიდველობით დამოკიდებულებას, ძირითადად, ავლენენ სასურსათო პროდუქტების შეფუთვაზე არსებული ინფორმაციისადმი ყურადღების მიქცევით. რესპონდენტების 65%-მა განაცხადა, რომ ისინი შეფუთვაზე დატანილი მასალებიდან პირველ რიგში აკვირდებიან პროდუქტის შემადგენლობას. გამოკითხულთა 48% კი პროდუქტს დახლზე უკან აბრუნებს, თუ მასში საკვები ნივთიერებების შემადგენლობა არ მოეწონა. ასეთი ქცევის უმთავრეს მიზეზად რესპონდენტთა უმეტესობა (39%) თვლის იმ ფაქტს, რომ მასზეა დამოკიდებული ადამიანის ჯანმრთელობა. რესპონდენტთა 33%-ს დასახელებულ მიზეზად მიაჩნია საკვებდანამატების ან გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველი პროდუქტების შეძენისაგან თავის არიდება, 10%-ს - ნაკლები დანამატების მქონე პროდუქტების შერჩევა, 6%-ს -საკვებდანამატების შესახებ წარმოდგენის შექმნა პროდუქტის ვარგისიანობის ვადის მიხედვით (რაც უფრო ხანგრძლივია იგი, მით მეტ დანამატებს შეიცავს პროდუქტი), 5%-ს - დაინტერესება, 4%-ს - დაკვირვება, ხოლო 3%-ს - უნებლიე ქცევა. დისპერსიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროდუქტის შემადგენლობისადმი ყურადღების მიქცევაზე დადებით გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკი ($F = 3.780$, $P<0.001$), ყოველთვიური საშუალო შემოსავლები ($F = 3.038$, $P<0.001$) და ოჯახური მდგომარეობა ($F = 4.756$, $P<0.003$). ჯანსაღი კვების უზრუნველყოფის მიზნით პროდუქტის შემადგენლობისადმი დაინტერესების ძირითად ფაქტორად რესპონდენტთა 48% ასახელებს ბუნებრივი კომპონენტების შემცველობას, 22% - გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შემცველობას, 17% - სხვადასხვა დანამატების შემცველობას, ხოლო 13% - ვიტამინების შემცველობას. აღსანიშნავია, რომ პროდუქტის შემადგენლობის შესახებ ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაციას ყველა დასახელების პროდუქტზე ეცნობა რესპონდენტთა 45%, ზოგიერთი დასახელების პროდუქტზე - 50%, მხოლოდ საბავშვო პროდუქტზე - 5%. ამასთან, ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯანსაღი კვებიდან გამომდინარე, პროდუქტის შემადგენლობისადმი დაინტერესებაზე დიდ გავლენას ახდენს რესპონდენტთა ასაკი ($F = 4,24$, $P<0.01$), ნაკლებ გავლენას სქესი ($F = 19,8$, $P<0.05$), განათლება ($F= 6,05$, $P<0.05$) და ოჯახური მდგომარეობა ($F= 5,56$, $P<0.05$).

კვლევამ აჩვენა, რომ ჯანსაღი კვების შესახებ რეკლამებს ყურადღებას აქცევს რესპონდენტთა უმეტესობა (53%), რომელთაგან ქალი არის 69%, ხოლო მამაკაცი - 31%. რეკლამების მიმართ რესპონდენტების დაინტერესება აიხსნება იმით, რომ ასეთი რეკლამა მათ ჯანსაღი კვების შესახებ ინფორმირების ხელშემწყობ ფაქტორად მიაჩნიათ. კვლევის შედეგების თანახმად, დაინტერესებული რესპონდენტების 58% ჯანსაღი კვების შესახებ რეკლამებს ყოველთვის აქცევს ყურადღებას, 23% - ხშირად, ხოლო 19% - იშვიათად. რესპონდენტები, რომლებიც ჯანსაღი კვების რეკლამების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას გამოხატავენ (მთლიანი რაოდენობის 47%), თვლიან, რომ ასეთი რეკლამების უმეტესობა მაცდურია და ხშირად მომხმარებელს სწორი დასკვნების გაკეთების საშუალება არა აქვს. ამასთან, ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერების დონის ამაღლებისათვის უმთავრეს პირობად რესპონდენტთა 27%-ს მიაჩნია მასმედიის საშუალებებში ჯანსაღი კვების პროპაგანდა, 21%-ს - ჯანსაღი კვების სახელმწიფო რეგულაციებით უზრუნველყოფა, 20%-ს პროდუქციის შეფუთვაზე შესაბამისი ნიშანდების არსებობა, 15%-ს - ჯანსაღი კვების ბიზნესში სახელმწიფო მხარდაჭერა, 13%-ს - ეკოპროდუქტების სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის განვითარება, ხოლო 4%-ს ჯანსაღი კვების შესახებ სპეციალური ლიტერატურის გაცნობა.

ჩატარებული მარკეტინგული კვლევა საშუალებას იძლევა, ჯანსაღი კვებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, გამოვყოთ მომხმარებელთა ტიპები, რომლებიც, შესაძლებელია, მარკეტოლოგებმა გამოიყენონ მიზნობრივ სეგმენტებად და მათზე მოახდინიონ თავიანთი პროდუქტების ძირითადი სახეების საბაზრო შეთავაზება. ასეთი სეგმენტებია:

- მომხმარებლები, რომელთა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული მყიდველობითი უპირატესობები, ძირითადად, ორიენტირებულია ჩვეულ კვების პროდუქტებზე. მოცემული ტიპის დამახასიათებელი ნიშანია კვების პროდუქტების დაბალი ფასი შესაბამისი ხარისხით. ასეთი მომხმარებლები ყველა ასაკობრივ ჯგუფშია.
- მომხმარებლები, რომლებიც მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს. ასეთია 40 წლამდე და 60 წელზე ზევით ასაკის მომხმარებლები. მათთვის მთავარია პროდუქტის შემადგენლობა, ნედლეულის ხარისხი და

ტექნოლოგიური დამუშავება. ამ სეგმენტში, შემოსავლების მიხედვით, რამდენიმე ფენაა. განსაკუთრებით გამოიყოფა მილენიუმის თაობა (21-დან 34 წლამდე ასაკის მომხმარებლები), რომლებიც მზად არიან, სასარგებლო პროდუქტებზე ფასნამატი გადაიხადონ. ცხოვრების აქტიური წესი, საკუთარ ჯნმრთელობაზე ზრუნვა და ფინანსური შესაძლებლობა მათ უფრო მეტი ყიდვისაკენ უბიძგებს. ამავდროულად, ასეთი მომხმარებლები უფრო მეტად მომთხოვნი არიან. მათი აზრით, ჯანსაღი კვება გემრიელიც უნდა იყოს. ამიტომ ეს აუდიტორია პრემიუმ პროდუქტების ძირითადი მყიდველია.

- მომხმარებლები, რომელთა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული მყიდველობითი უპირატესობები გამოკვეთილი არაა. ამ ტიპის ასაკი, პირობითად, შეიძლება განვსაზღვროთ 40-დან 60 წლამდე. ამასთან, მოცემული ჯგუფი მომხმარებელთა მეორე ტიპისკენ იხრება.

ზემოთ ჩამოყალიბებული H1 ჰიპოთეზის დასამტკიცებლად გამოვიყენეთ One Way ANOVA F-Test. პირველ რიგში დავადგინეთ, თუ რამდენად მოქმედებს ასაკი ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე (იხ. ცხრილი 1). დისპერსიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ასაკი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაში (F=5.229, p=0. 000).

ცხრილი 1

**ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე ასაკის გავლენის დისპერსიული ანალიზი**

| დამოკიდებული ცვლადი: ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| ასაკი | 33.241 | 4 | 8.310 | 5.229 | .000 |
| ცდომილება | 1698.913 | 1069 | 1.589 | | |

დისპერსიულმა ანალიზმა ასევე გვიჩვენა, რომ განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაში (F=5.033, p=0. 001) (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

**ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე განათლების გავლენის დისპერსიული ანალიზი**

| დამოკიდებული ცვლადი: ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| განათლება | 20.899 | 4 | 5.225 | 5.033 | .001 |
| ცდომილება | 843.675 | 813 | 1.038 | | |

შემდგომ ეტაპზე გამოვიკვლიეთ, თუ რა გავლენას ახდენს შემოსავლები ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე (იხ. ცხრილი 3). აღმოჩნდა, რომ შემოსავლების გავლენა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია (F = 5.229, p=0.000).

ცხრილი 3

**ჯანსაღი კვების შესახებ მომხმარებლების გათვითცნობიერებაზე შემოსავლების გავლენის დისპერსიული ანალიზი**

| დამოკიდებული ცვლადი: ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| შემოსავლები | 33.241 | 4 | 8.310 | 5.229 | .000 |
| ცდომილება | 1698.913 | 1069 | 1.589 | | |

საბოლოოდ, დავადგინეთ, მოქმედებს თუ არა ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერება მომხმარებელთა ქცევაზე. აღმოჩნდა, რომ ასეთი გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია (F=4.756, p=0.003) (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

**მომხმარებელთა ქცევაზე ჯანსაღი კვების შესახებ გათვითცნობიერების გავლენის დისპერსიული ანალიზი**

| დამოკიდებული ცვლადი: ქცევა (ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | კვადრატების ჯამი | df | საშუალო კვადრატი | F | p |
| გათვითცნობიერება | 30.602 | 3 | 10.201 | 4.756 | .003 |
| ცდომილება | 1992.341 | 929 | 2.145 | | |

*დასკვნები.* კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, რომლებიც გლობალიზაციის გავლენით ჯანსაღი კვების მიმართ ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულებას გამოხატავს.

- საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების შედეგად ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია გაურკვეველი წარმოშობისა და ხარისხის კვების პროდუქტებით, რომლებიც ხშირად საზიანოა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საქართველოს ინტეგრაცია გავლენას ახდენს ადგილობრივი მომხმარებლების მყიდველობით ქცევაზე, რაც ჯანსაღი კვებისადმი დამოკიდებულებას უკავშირდება.
- ჯანსაღი კვების შესახებ საქართველოს ბაზარი არასაკმარისადაა ინფორმირებული. განსაკუთრებით, საგულისხმოა ჯანსაღი კვების ახალი ასორტიმენტის (დაბალკალორიული სორტების, ფუნქციური დანიშნულებისა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტების) დანერგვის შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერების დაბალი დონე. ასეთ პროდუქტებზე არსებული პოტენციური მოთხოვნა არ იზრდება. შესაბამისად, ბაზარზე მსგავსი საქონლის გამოჩენისას მისი რეალიზაციის დონე დაბალია. ამასთან, საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი კვების პროდუქტების ასორტიმენტი ჯანსაღი კვებისათვის არასაკმარისია, ხოლო არსებული მოთხოვნა, მაღალი ფასის გამო, შეზღუდულია.
- ქართველი მომხმარებლები თვლიან, რომ ჯანსაღი კვების შესახებ რეკლამირება სასარგებლოა მათი ინფორმირებისათვის, თუმცა, იმის გამო, რომ საქართველოს ბაზარზე სარეკლამო შეტყობინებები ხშირად მაცდურია, ისინი სწორ დასკვნებს ვერ აკეთებენ. ასევე, საქართველოს ბაზარზე ხშირია შემთხვევა, როცა კვების პროდუქტების შეფუთვაზე მოცემულ გამოსახულებებსა და ტექსტებში, პროდუქტის უფრო სარგებლიანად წარმოჩენის მიზნით, აღინიშნება დარღვევები. ბრენდების მფლობელები და საცალოდ მოვაჭრეები შეგნებულად ურთულებენ მომხმარებლებს სურსათის კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის მოძიებას.
- არსებული მდგომარეობის მიუხედავად, ჯანსაღი კვების შესახებ ქართველი მომხმარებლების სულ უფრო მეტად გათვითცნობიერება და დაინტერესება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი ბაზარი, სწორი საინფორმაციო მხარდაჭერის შემთხვევაში, საკმაოდ გაფართოვდეს. განსაკუთრებით ეს ეხება ახალგაზრდულ სეგმენტს, რომელიც უფრო მეტად ავლენს ჯანსაღი კვების მნიშვნელობის გააზრებას, საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას, აგრეთვე მზადყოფნას, გასწიოს დამატებითი ხარჯები ეკოლოგიურად სუფთა რეგულარულ კვებაზე.
- მომხმარებელთა უმეტესობა ჯანსაღი კვების პროდუქტების ხარისხს არ უკავშირებს კონკრეტულ მწარმოებელს, ვინაიდან მწარმოებლები თავიანთი ბრენდების სტიმულირებას არასკმარის ყურადღებას აქცევენ. უმეტესწილად, რეკლამირდება მთლიანი ასორტიმენტი, რომელშიც არაა გამოყოფილი კონკრეტული დასახელება, ასევე გაურკვეველია ფუნქციური დანიშნულების პროდუქტების პოზიციონირება.
- ჯანსაღი კვების პროდუქტების მარკირებაში მითითებულ ინფორმაციებში ქართველი მომხმარებლების მხოლოდ მცირე ნაწილი ერკვევა ადვილად. ამის ძირითადი პრობლემაა არა თვითონ მარკირება, არამედ მომხმარებლებისათვის მიწოდებული მსგავსი ინფორმაციის არაერთნაირი გაგება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საქართველოს ბაზარზე ჯანსაღი კვების შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციებს ავრცელებენ, ამიტომ ქართველ მომხმარებლებს უჭირთ სასარგებლო პროდუქტების გაცნობიერებული შერჩევა.
- მოსახლეობის შემოსავლების მატება არ იწვევს ჩვეულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას, ამიტომ, სავარაუდოდ, თავისი პოტენციალის რეალიზებას შეძლებს ის მწარმოებელი, რომელიც აქცენტს გააკეთებს ჯანსაღი კვების პროდუქტების ხარისხზე, ინოვაციებზე (მათ შორის ბაზრისა და სამომხმარებლო უპირატესობების მარკეტინგულ კვლევებზე), აგრეთვე კონკურენციის ახლებურად გაწევაზე.

ამრიგად, მწარმოებლებმა ბაზარს უნდა შესთავაზონ სასურველი ასორტიმენტის, საჭირო რაოდენობისა და სტაბილური ხარისხის ჯანსაღი კვების პროდუქტები. ამ შემთხვევაში, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, ძირითად ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ფასი, ხარისხის ამაღლება, ფუნქციური მიმართულება და გაყიდვების პირობების გაუმჯობესება. ამასთან, ჯანსაღი კვების პროდუქტების ბაზრის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ასორტიმენტის განახლება იმ თვალსაზრისით, რომ იგი სრულად შეესაბამებოდეს მომხმარებელთა გემოვნებებს და შესაძლებლობებს ისე, რომ არ დაირღვეს ჩამოყალიბებული ტრადიციები და ჩვევები.

ჩატარებული კვლევა წარმოადგენს საფუძველს საქართველოს ბაზარზე ჯანსაღი კვების პროდუქტების შემუშავებისა და გაუმჯობესების მიზნით ობიექტური მონაცემების მიღების, აგრეთვე შესაბამისი სამომხმარებლო მოთხოვნის შემდგომი შესწავლისათვის. კვლევის შედეგები სასარგებლოა საქართველოს სასურსათო ბიზნესში დასაქმებული ადამიანებისათვის ჯანსაღი კვებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების შესახებ გლობალური ხედვის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გაიგონ და განჭვრიტონ ადგილობრივი ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები.

## ლიტერატურა:


1. http://www.fao.org/publications/en/
2. http://www.who.int/en/
3. https://www.fda.gov/Food/GuidanceRegulation/HACCP/ucm2006801.htm
4. https://www.ncbi.nlm.nih.gov/
5. https://ec.europa.eu/food/safety/labelling_nutrition_en
6. Blair, J.E. (1995). *Social marketing: consumer-focused health promotion*, AAOHN Journal, Vol.43, No 10, pp. 527-531.
7. Lefebvre, R. Cr. (2013). *Social Marketing and Social Change: Strategies and Tools for Improving Health, Well-Being, and The Environment.* Jossey –Bass, San Francisco.
8. Lee, N., and Kotler, P. (2011). *Social marketing: influencing behavior for good.* 4th Ed., Sage, Los Angeles.
9. Donovan, R. (2011). *The role of social marketing in public health program.* Australian Review Public Health, Vol.10 , No1, pp. 23-40.
10. Hieke, S., and Harris, J. (2016). *Nutrition information and front-of-pack labeling: issues in effectiveness.* Public Health Nutrition, Vol. 19, No 12, pp. 2103–2105.
11. Glanz, K., Rimer, B., and Viswanath, Th. (2008 ). *Health behavior and health education: theory, research and practice.* 4th Ed., Jossey-Bass, San Francisco.
12. Gordon, R., McDemont, K., Stead, M., and Angus, K. (2006). *The effectiveness of social marketing interventions for health improvement: what's the evidence?* Public Health, Vol.120, No 12, pp. 1133-1139.
13. https://www.cim.co.uk/
14. http://global.yougov.com/
15. Apil, A., Kaynak, E., and Todua, N. (2009). Product Preference Differences of High and Low Ethnocentric Consumers in Georgia. 18th World Business Congress „Management Challenges in an Environment of Increasing Regional and Global Concerns“. International Management Development Association. Research Yearbook. Vol. 18, pp. 531-539.
16. **Jashi, C., and Todua, N. (2013).** ***Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case).*** Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada). pp. 95-97.
17. Meskhia, I. (2016). *Food security problems in post Soviet Georgia.* Annals of Agrarian Science. Vol. 14. pp. 46-51.
18. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013*).* *On the Multiple Linear Regression in Marketing Research.* Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No 3, pp. 135-139.
19. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *Anova in Marketing Research of Consumer Behavior of Different Categories in Georgian Market.* Annals of'Constantin Brancusi University of Targu-Jiu. Economy Series, Issue 1, pp. 183-190.
20. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *On the Marketing Research of consumer prices and inflation process.* British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No2, pp. 48-57.
21. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). *Georgian consumer attitudes towards genetically modified products,* International Journal of Management and Economics, Vol. 46, No1, pp. 120-136.

22. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). *Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops.* Economics World, Vol. 5, No 4, pp. 362-369.
23. Todua, N., and Gogitidze, T. (2017). *Marketing Research of Attitudes Towards Genetically Modified Crops by Georgian Farmers.* Annals of'Constantin Brancusi'University of Targu-Jiu. Economy Series. Issue 1, pp. 69-76.
24. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Characteristics of Food Products Labeling in Georgia.* Journal of International Economic Research. Vol. 2, No. 1, pp. 129-133.
25. Todua, N. (2017). *Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers.* Ecoforum Journal. Vol. 6, No. 2.
26. Malhotra, N. (2004). *Marketing Research: an Applied Orientation*. 4th ed., Upper Saddle River, NJ: Prentice Hall.
27. Apil, A., Kaynak, E., and Todua, N. (2008). *Georgian Consumers Evolution of Products Sourced From a Geographically Close Proximity Country.* Journal of Euromarketing, Vol. 17, No. 3/4, pp.199-218.

## The Impact of Globalization on the Attitude of Georgian Consumers to Healthy Nutrition

Nugzar Todua

*Doctor of Economics, Professor,*
*Tbilisi State University*

**Resume**

The article shows the influence of globalization on the Georgian economy and the main problems, related the food security of the local consumer market. The paper studies the role of healthy nutrition in ensuring food security and sustainable development of consumers. The main focus is on awareness consumers about healthy nutrition, which is presented, as the most important issue of social marketing. To determine the attitude of Georgian consumers to healthy nutrition, conducted a marketing research. On the basis of the research revealed levels of consumers' awareness of healthy nutrition, sources of information and their reliability, also attitudes to different categories of product composition. From the point of view of the relation to healthy nutrition, in the work are identified the main types of consumers and is determined influence on consumer awareness to be healthy nutrition of the age, sex and income. In the paper is given the impact of consumers' awareness of healthy nutrition on the decision-making to purchase. On the basis of the conducted study, conclusions have been drawn that give a possibility of global vision on the attitude of the Georgian consumers towards healthy nutrition.

***Keywords: globalization, food security, healthy nutrition, Georgian market, consumer attitudes toward, marketing research:***

# Some Aspects of the Term Spread Prediction Ability for Economic Growth

Lia Totladze

*Doctor of Economics, Assistant Professor*
*Tbilisi State University*

*The term spread (the difference between the yields on long-term and short-term Treasury securities) has been found useful for forecasting such variables as output growth, inflation, industrial production, consumption, and recessions.*

*The article briefly discusses theoretical explanations for why the spread might predict future economic activity and then surveys empirical studies that investigate how well the spread predicts output growth.*

*This paper analyses some aspects of the effectiveness of the spread between short and long term interest rates for predicting economic growth in Georgia.*

*Key word: Term spread, Interest Rate, Prediction.*

The term spread and the yield curve are equivalent concepts. the term spread can be used to study historical trends as well as for predicting. The difference between long-term and short-term interest rate called "the lope of yield curve" or "the term spread".

When the term spread is positive, long-term bond yields are higher than short-term yield. This means long-term borrowing is rewarded more than short-term borrowing. Yield is inversely proportional to price. So, this means the price of the long-term bond is cheaper than the short-term bond. Thus, there is a supply (and demand) for long-term bonds. Meaning the economy is doing well and investors happy to borrow for the long-term. When the term spread is small or close to zero, then there is uncertainty about the economy. When the spread is negative then investors do not want to borrow for the long-term.

The term spread is also indicative of future interest rates and inflation. Interest changes directly affect short-term bonds. When rates increase, the value of existing short-term bonds will fall and their yields will increase. The value of existing bonds have to fall becomes new short-term bonds are available at a higher interest rate.

If the term spread is positive and large, it means it is bound to decrease (one cannot say when). That is, short-term yields are currently low and are about to increase. For this to happen, the price of short-term bonds has to decrease. Meaning, rates of new bonds have to be higher. Meaning the RBI will have to increase rates (due to increasing inflation). The monetary review policy is slated for today. Inflation has recently increased, but the hope is the RBI will maintain status quo.

If the term spread become negative or at least small positive or near-zero, it means it is bound to increase. That is short-term yields are high and are about to decrease. Meaning the value of short-term bonds have to increase, which will happen when the RBI decrease rates (due to falling inflation). This is possible assuming that the rates are positive and can be decreased (one cannot go beyond zero).

Interest rate spread is the interest rate charged by banks on loans to private sector customers minus the interest rate paid by commercial or similar banks for demand, time, or savings deposits. The terms and conditions attached to these rates differ by country, however, limiting their comparability.

Both banking and financial systems enhance growth, the main factor in poverty reduction. At low levels of economic development commercial banks tend to dominate the financial system, while at higher levels domestic stock markets tend to become more active and efficient. The size and mobility of international capital flows make it increasingly important to monitor the strength of financial systems. Robust financial systems can increase economic activity and welfare, but instability can disrupt financial activity and impose widespread costs on the economy. The interest rate spread - the margin between the cost of mobilizing liabilities and the earnings on assets - measures financial sector efficiency in intermediation. A narrow spread means low transaction costs, which reduces the cost of funds for investment, crucial to economic growth.

Many empirical studies find that the term spread predicts future economic activity, there is no universally agreed-upon theory as to why a relationship between the term spread and economic activity should exist (Wheelock David C., Wohar Mark E. , 2009).

Many studies attribute the apparent ability of the term spread to forecast economic activity to actions by monetary authorities to stabilize output growth. For example, monetary policy tightening causes both short- and long-term interest rates to rise. Short-term rates are likely to rise more than long-term rates, however, if policy is expected to ease once economic activity slows or inflation declines. Hence, a policy tightening is likely to cause the yield curve to flatten or possibly invert.

However, as stated by Feroli (2004), Estrella (2005), and Estrella and Trubin (2006), the extent to which the term spread is a good predictor of output growth depends on the monetary authority's policy objectives and reaction function. For example, the term spread forecasts output growth better the more responsive the monetary authority is to deviations of output growth from potential. The spread forecasts less accurately if monetary authorities concentrate exclusively on controlling inflation. Further, changes in the relative responsiveness of the monetary authority to either output growth or inflation could cause changes in the ability of the term spread to forecast output growth.

The central assumption of Harvey, for example, is that individuals prefer stable consumption rather than high consumption during periods of rising income and low consumption when income is falling. Thus, when consumers expect a recession one year in the future, they will sell short-term financial instruments and purchase one-year discount bonds to obtain income during the recession year. The theoretical implications of consumption-smoothing models apply to the real term structure, that is, the term structure adjusted for expected inflation. However, much of the empirical evidence on the information content of the term structure pertains to the nominal term structure.

The consistency of the empirical evidence linking the nominal yield curve to changes in output with the theoretical relationship depends on the persistence of inflation. If inflation were a random walk, implying that shocks to inflation are permanent, then inflation shocks would have no impact on the slope of the nominal yield curve because expected inflation would change by an identical amount at all horizons. However, if inflation has little persistence, an inflation shock will affect near-term expected inflation more than long-term expected inflation, causing the slope of the nominal yield curve to change. Hence, the extent to which changes in the slope of the nominal yield curve reflect changes in the real yield curve depends on the persistence of inflation which, in turn, reflects the underlying monetary regime.

Much of the empirical literature has focused on estimating the precision with which the term spread forecasts economic activity, rather than on attempting to discriminate between the monetary policy and consumption-smoothing explanations.

Several studies find that the term spread has significant predictive power for economic growth independent of the information contained in measures of current and future monetary policy, suggesting that monetary policy alone cannot explain all of the observed relationship (Wheelock David C., Wohar Mark E., 2009).

Harvey (1988) and Rendu de Lint and Stolin (2003) offer support for the consumption-smoothing explanation by showing that the slope of the yield curve is useful for forecasting both consumption and output growth. Benati and Goodhart (2008), however, find that changes over time in the marginal predictive content of the nominal term spread for output growth do not match changes in inflation persistence, which they argue is evidence against the consumption-smoothing explanation.

Several studies find that the spread has forecast output growth less accurately since the mid-1980s, which some attribute to greater stability of output growth and other key macroeconomic data (e.g., D'Agostino, Giannone, and Surico, 2006).

Stock and Watson (2003) examine the stability of the forecasting relationship between the term spread and output growth for the United States and other countries and consider both in-sample and out-of-sample forecasts. Like prior studies, Stock and Watson (2003) find that the term spread forecasts U.S. output growth less accurately after 1985. The study also finds that the spread forecasts output less accurately during 1985-99 than a simple autoregressive model. A recent study by Giacomini and Rossi (2006) reexamines the forecasting performance of the yield curve for

output growth using forecast breakdown tests developed by Giacomini and Rossi (2009). Giacomini and Rossi (2006) show that output growth models are characterized by a breakdown of predictability. In particular, they find strong evidence of forecast breakdowns at the one-year horizon during 1974-76 and 1979-87.

Several studies that find diminished performance of the term spread forecasts of output growth in recent years point to the increased stability of output growth and other macroeconomic variables since the mid-1980s (at least until 2007) as a possible reason for the apparent change.

Bordo and Haubrich (2004, 2008) find that the term spread tends to forecast output Growth better during periods when the persistence of inflation was relatively high, such as the first 13 years after the collapse of the Bretton Woods system. In such periods, inflation shocks increase both short- and long-term interest rates and thus do not affect the slope of the yield curve. Real shocks that are expected to be temporary, however, increase short-term rates by more than long-term rates and signal a future downturn in economic activity. Bordo and Haubrich (2004, 2008) find that the term spread forecasts output growth less accurately when inflation persistence is relatively low, as it was during the interwar period and the Bretton Woods era. In such periods, both inflation and real shocks increase short-term interest rates more than long-term rates. Bordo and Haubrich argue, however, that only real shocks are likely to affect future output growth and, hence, the lower the persistence of inflation, the noisier the signal produced by the term spread about future output growth.

Benati and Goodhart (2008) extend the work of Bordo and Haubrich (2004, 2008) by considering the marginal predictive content of the term spread for forecasting output growth in a multi-variate model and (ii) attempting to date more precisely changes in the marginal predictive content of the spread over time. Whereas Bordo and Haubrich (2004, 2008) estimate bivariate regression models similar to equation (1), Benati and Goodhart (2008) estimate Bayesian time-varying parameter vector autoregressions (VARs) (Estrela A., Trubin Mary R. 2006).

Benati and Goodhart (2008) find that the term spread forecasts U.S. output growth better during the 1880s and 1890s than during the first two decades of the twentieth century. Further, like Bordo and Haubrich (2004, 2008), Benati and Goodhart (2008) find that the spread has almost no predictive content for the interwar years or the Bretton Woods era. In addition, the study finds that the term spread contains significant predictive information about output growth during 1979-87 but none for other postwar years. Benati and Goodhart (2008) also find that estimates of the marginal predictive content of the spread are sensitive to whether a short-term interest rate and inflation are included in the forecasting model, and they find considerable variation in the marginal predictive content of the term spread over time for other countries and for different forecast horizons. Thus, like Bordo and Haubrich (2004, 2008), Benati and Goodhart (2008) find numerous breaks in the relationship between the term spread and future changes in output over time. However, unlike Bordo and Haubrich (2004, 2008), the breaks identified by Benati and Goodh art (2008) are not clearly associated with changes in the monetary regime or inflation persistence (Wheelock David C., Wohar Mark E. , 2009).

Figure 1 shows the difference between the yields on 10-year and 3-month U.S. Treasury securities for 1953-2008. The shaded regions indicate recession periods as defined by the National Bureau of Economic Research. As Figure 1 shows, every U.S. recession since 1953 was preceded by a large decline in the yield on 10-year Treasury securities relative to the yield on 3-month Treasury securities, and several recessions were preceded by an inversion of the yield curve.

Figure 1.

USA Term Spread and Recession




*Source:* National Bureau of Economic Research, "Information on Recessions and Recoveries, the NBER Business Cycle Dating Committee, and Related Topics"; www.nber.org/cycles/main.html.

Similar relation between spread and recessions are in case England and Germany.

How useful will be term spread for forecasting such variables as output growth, inflation, industrial production, consumption, and recessions for Georgia?

In this order we investigate period from 2000 to 2016 years and used statistical data from National Bank of Georgia and National Statistics Office of Georgia. We used long term interest rate and short term interest rate and calculate term spread (average for periods). Figure 2 picture time spread dynamics for this period.

Figure 2.

Spread between long-term and short-term yields




Source: Authors calculations, based on data from National bank of Georgia statistical release.

Figure 3 captured real GDP dynamics for the same period.

Figure 3.

GDP Dynamics




Source: Authors calculations, based on data from National Statistics Office of Georgia statistical release.

Our results suggest that over some periods the term spread has been useful for forecasting cumulative real GDP growth. The literature on the relationship between the yield curve and economic activity is large. Much of the literature examines empirically how well the term spread forecasts output growth or recessions. Several studies note that the relationship between the nominal yield curve and future economic activity is likely to depend on the nature of the monetary regime, including the relative responsiveness of the monetary authority to output and inflation. For example, the term spread is likely to forecast output growth better when the monetary authority is more responsive to output than inflation and when inflation is relatively persistent.

## References:


1. Bordo, Michael D. and Haubrich, Joseph G. "The Yield Curve as a Predictor of Growth: Long-run Evidence, 1875-1997." Review of Economics and Statistics, February 2008, 90(1), pp. 182-85.
2. Brock, P. L. and L. Rojas-Suarez (2000) "Understanding the Behaviour of Bank Spreads in Latin America," Journal of Development Economics, 63(1), 113–34.
3. National Bureau of Economic Research, "Information on Recessions and Recoveries, the NBER Business Cycle Dating Committee, and Related Topics"; www.nber.org/cycles/main.html.
4. Estrela A., Trubin Mary R. The Yield Curve as a Leading Indicator: Some Practical Issues. Federal Reserve Bank of New York. Current Issues in Economics and Finance. Vol.12, #5, 2006.
5. Estrella, Arturo. "Why Does the Yield Curve Predict Output and Inflation?". Economic Journal, July 2005, 115 (505), pp. 722-44.
6. Giacomini, Raffaella and Rossi, Barbara. "How Stable Is the Forecasting Performance of the Yield Curve for Output Growth?" Oxford Bulletin of Economics and Statistics, December 2006, 68(Suppl. 1), pp. 783-95.
7. Kogan R., DaSilva, Rejeski J. Difference Between Economic Growth Rates and Treasury Interest Rates Significantly Affects Long-Term Budget Outlook. February 27, 2015. SDPP.
8. Rosenberg, Joshua V. and Maurer, Samuel. "Signal or Noise? Implications of the Term Premium for Recession Forecasting." Federal Reserve Bank of New York. Economic Policy Review, July 2008, 14(1),pp. 1-11; www.newyor-kfed.org/research/epr/ 08v14n1/0807rose.pdf.
9. Sensier, Marianne; Artis, Michael J.; Osborn, Denise R.and Birchenhall, Chris. "Domestic and International Influences on Business Cycle Regimes in Europe." International Journal of Forecasting, April/June 2004, 20(2), pp. 343-57.
10. Wright, Jonathan, H. "The Yield Curve and Predicting Recessions." Finance and Economics Discussion Series No. 2006-07, Federal Reserve Board of Governors, February 2006;
11. Wheelock David C., Wohar Mark E. Can the Term Spread Predict Output Growth and Recessions? A Survey of the Literature. Federal Reserve Bank of St. Louis Review, 91 (5, Part 1), 2009.
12. www.nbg.gov.ge
13. www.geostat.ge

# ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისათვის საპროცენტო სპრედის გამოყენების ასპექტები

ლია თოთლაძე

ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი

რ ე ზ ი უ მ ე

საპროცენტო პრედი, რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა გრძელვადიან და მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს შორის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გამოშვების მოცულობის, ინფლაციის და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა პროგნოზირებიათვის.

სტატიაში განხილულია საპროცენტო პრედის თეორიული ასპექტები, ახსნილია თუ რატომაა შესაძლებელი მისი ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებიათვის გამოყენება. მიმოხილულია ემპირიულ კვლევები რომლებშიც ასახულია საპროცენტო სპრედის საპროგნოზო შესაძლებლობები ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებიათვის. სტატიაში ასევე ანალიზირებულია საპროცენტო პრედის დინამიკა საქართველოში.

*საკვანძო სიტყვები: ტერმ სპრედი, საპროცენტო განაკვეთი, პროგნოზირება*

# მცირე ქვეყნების ფინანსური განვითარების გლობალური გამოწვევები (შედარებით ანალიზი)

მიხეილ თოქმაზიშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში მიმოხილულია მცირე ქვეყნების ფინანსური განვითარების მახასიათებლები და ტენდენციები. შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომლის თანახმად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო დაუცველნი არიან ფინანსური გამოწვევებზე, პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად. ეკონომიკური ციკლების დროს ინდუსტრიულიზებული ევროპული მცირე ქვეყნების წარმოება შემცირდა. ეკონომიკის დაცემა კი უფრო დაბალი იყო აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპისა და პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში, თუმცა ამ ქვეყნებში ეკონომიკის ციკლების სიხშირე და ხანგრძლივობა უფრო მაღალი იყო. ეს პარადოქსული გარემოება მონეტარული პოლიტიკის განვითარებითა და დოლარის გაცვლითი კურსის დომინანტური როლით აიხსნება. იგი განსაზღვრავს ეკონომიკური ციკლის, სავალუტო რყევებისა და ფინანსური პრობლემების გადაცემის ბუნებას.*

*საკვნძო სიტყვები: მცირე ეკონომიკა; ფინანსები; სავალუტო ურთიერთობები.*

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს მცირე ქვეყნების განვითარება ეკონომიკური გარდაქმნების საკმაოდ რთულ გზებზე მეტყველებს. პრობლემები და ეკონომიკურ და ფინანსურ ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებები, ზეგავლენას მათ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზეც ახდენს. სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, მათმა ეკონომიკამ ღრმად ციკლური ხასიათი მიიღო. მცირე ეკონომიკის მკვლევარები განსხვავებულად აფასებენ ასეთ მოვლენებს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მცირე ქვეყნების ეკონომიკური რყევები, სავალუტო-საფინანსო კრიზისებში გამოვლინდა. ყველა ქვეყანამ მეტ-ნაკლებად რამდენიმე ძლიერი კრიზისი განიცადა. ისინი დროში ერთმანეთთს არ ემთხვეოდა. წარმოშობის განსხვავებული პირობები ჰქონდათ და ტრასფერტის მექანიზმებიც განსხვავებული იყო.

ჩვენი სტატიის მიზანია ავხსნათ, თუ რატომ არიან ახლადაღმოცენებული საბაზრო ქვეყნები ფინანსურად უფრო არასტაბილური, ვიდრე განვითარებული მცირე ქვეყნები. ამის საფუძველზე განვსაზღვროთ მცირე ქვეყნების განვითარების დეტერმინანტები, თავისებურებები და ტენდენციები.

**ზოგადი ნიშნები**. XX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად შეიცვლა მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური რუქა. ევრაზიის კონტინენტზე წარმოიშვა ახალი სახელმწიფოები, რომელთა შორის 85% მიეკუთვნება მცირე ქვეყნების რიცხვს. მცირე ქვეყნების განვითარებას ახალი ხასიათი მიეცა. მათ დაიწყეს ეკონომიკის გარდაქმნა და რეფორმირება სხვადასხვა ინტენსივობით.

ყველა მცირე ქვეყანას გააჩნია მრავალდარგიანი ეკონომიკის განვითარებისათვის არასაკმარისი რესურსი და მათი შიგა მოთხოვნის დაკმაყოფილება საკუთარი რესურსებით ძლიერ შეზღუდულია. ისინი, უფრო მეტად ვიდრე დიდ ქვეყნები, განიცდიან რეგიონალური ინტეგრაციის აუცილებლობას. მათი რესურსების დეფიციტის კომპენსირება შესაძლებელი ხდება მხოლოდ აქტიური საგარეო ვაჭრობით.

პოსტსაბჭოთა და ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ფინანსური ურთიერთობები ინდუსტრიულ ქეყნებთან სულ უფრო ფართოვდება. შესაბამისად ისინი უფრო მეტად დამოკიდებულნი გახდნენ იმ პროცესებზე, რომლებიც მიმდინარეობს მათ პარტნიორ ქვეყნებში.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებობს ინფლაციის შედარებით მაღალი დონე, საკრედიტო ინსტიტუტების დაბალი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, განუვითარებელი საფონდო ბირჟები და დაბალი დანაზოგები. ფინანსური მდგრადობა ბევრად არის დამოკიდებული ფინანსურ ნაკადებზე საზღვარგარეთის ქვენებიდან. დაბალგანვითარებულ მცირე ქვეყნებს აქვს ფინანსური შეზღუდულობის პრობლემები. დაბალი ეროვნული დანაზოგების შედეგად ისინი დამოკიდებულნი არიან გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე და ტრან-

სფერებზე. მათი ეკონომიკური ციკლები მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურას და აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საკუთარი რესურსებით უზრუნველყონ ეკონომიკური და ფინანსური მდგრადობა.

ეკონომიკური ციკლები (მშპ %, 1996-2015 წწ) [7].

ცხრილი 1

| ქვეყნები | ეკონომიკის დაცემის ხანგრძლიობა (წელი) | ეკონომიკის დაცემის სიხშირე | წარმოების კუმულატიური შემცირება (საშუალო, %) | მშპ ზრდის საშუალო წლიური ტემპი |
|---|---|---|---|---|
| ინდუსტრიულად განვითარებული ევროპის მცირე ქვეყნები, მ.შ | 2.4 | 1.6 | 6.9 | 2.8 |
| ავსტრია | 1 | 1 | 3.8 | |
| ბელგია | 1 | 1 | 2.3 | |
| კვიპროსი | 4 | 2 | 12.4 | |
| დანია | 3 | 2 | 7 | |
| მალტა | 3 | 3 | 4.9 | |
| ფინეთი | 4 | 2 | 11.2 | |
| ისლანდია | 1 | 1 | 4,6 | |
| ირლანდია | 2 | 1 | 7,8 | |
| პოსტსაბჭოთა მცირე ქვეყნები, მ.შ. | 1.9 | 1.7 | 9.9 | 6.5 |
| აზერბაიჯანი | 0 | 0 | 0 | |
| სომხეთი | 1 | 1 | 14.5 | |
| საქართველო | 1 | 1 | 3.7 | |
| ყირგიზეთი | 4 | 4 | 1 | |
| მოლდოვა | 5 | 4 | 21.7 | |
| ტაჯიკეთი | 1 | 1 | 16.7 | |
| თურქმენეთი | 1 | 1 | 11.4 | |
| აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტური მცირე ქვეყნები | 3 | 2.1 | 17 | 4.1 |
| ბოსნია და ჰეცოგოვინა | 2 | 2 | 3,8 | |
| ხორვატია | 7 | 2 | 14 | |
| ესტონეთი | 3 | 2 | 21 | |
| უნგრეთი | 2 | 2 | 3,3 | |
| ლატვია | 3 | 1 | 21,7 | |
| ლიტვა | 2 | 2 | 16 | |
| მაკედონია | 3 | 3 | 3,9 | |
| მონტენეგრო | 3 | 3 | 17,7 | |
| სლოვენია | 3 | 2 | 11,5 | |
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 5,7 | |

*გაანგარიშებულია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაზე.*

ამ ქვეყნების სავალო მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია და არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ეკონომიკურ სისტემას მიეკუთვნებიან ან რა წარმოშობა აქვთ მათ. განსხვავება მხოლოდ ქვეყნების მიერ გატარებული ფინანსური პოლიტიკით შეიძლება აიხსნას. თუ კვიპროსსა და ირლანდიაში სახელმწიფო ვალის წილი მშპ-ში 130 %-ს აღემატება, ისლანდიაში, ბელგიაში, უნგრეთში დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც მათი მშპ-ია, ხოლო აზერბაიჯანში და ესტონეთში იგი 10 %-ზე ნაკლებია. სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შედარებით ზომიერია. საერთოდ კი, დაბალგანვითარებულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სახელმწიფო ვალის დაბალი წილი ფინანსური ბაზრებისადმი დაბალ ხელმისაწვდომობაზე მეტყველებს[2]. ინდუსტრიულად განვითარებულ მცირე ქვეყნებს, განსხვავებით დაბალგანვითარებული ქვეყნებისაგან, აქვთ აქტიური საგადასახდელო ბალანსი.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სავალუტო და საბანკო კრიზისები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსური სისტემა სწორედ ამ ორი ინსტიტუტის სუსტ განვითარებაზე, კერძოდ, ბანკების განუვითარებლობასა და სახელმწიფო რეგულირების პრობლემებზეა აგებული. ეკონომიკური რყევების შედეგად, 1996-2015 წლებში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში წარმოება საშუალოდ 9.9-ჯერ შემცირდა, ხოლო ინდუსტრიულად განვითარებულ ევროპის მცირე ქვეყნებში კი - 6,9-ჯერ. ამასთან, თუ მთლიანად ევროკავშირის ეკონომიკის დაცემამ შეადგინა 4.8 % და დაცემის პერიოდი საშუალოდ 2 წელს შეადგენდა, მცირე ქვყნებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო. შესაბამისად მცირე ქვეყნებში უფრო მტკივნეულად აისახება გლობალური ეკონომიკური კრიზისი.

როგორც შედარებითი სტატისტიკა მეტყველებს, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მცირე ქვეყნები უფრო მეტად დაუცველნი აღმოჩნდნენ ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკური გამოწვევებისადმი, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნები (იხ. ცხრილი 1). ეს გარემოება ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ევროპის აღნიშნული ქვეყნები, სადაც განაკუთრებით ღრმა იყო ეკონომიკის დაცემა, კრიზისის პერიოდში არ იყვნენ ევროზონის წევრი ქვეყნები და ევროპასთან უფრო ღრმა ინტეგრირების შედეგად ევროპაში მიდინარე გლობალურმა კრიზისმა მათზე უფრო ძლიერი ზეგავლენა მოახდინა, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომლებსაც სავაჭრო კავშირები უფრო მეტად პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰქონდათ დივერსიფიცირებული.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტისპირეთის ქვეყნებში სტაბილიზაციამ და სტრუქტურულმა რეფორმებმა 90-იან წლებში დადებითი შედეგები გამოიღო და ზრდის ტემპებიც დაჩქარდა. მათ შეძლეს საგარეო ფინანსურ-სავალუტო შოკებზე რეაგირება და ნაკლები დანაკარგებით მოახერხეს მათგან თავის დაღწევა. უკვე 2000 წელს ბევრმა მათგანმა მიაღწია 1989 წლის დონეს და გადააჭარბა კიდეც მას, მაშინ როდესაც მეორე ჯგუფის პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა შედარებით ნაკლები ტემპებით მოახდინეს ფინანსური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ვერ მიაღწიეს სტაბილიზაციას და სტრუქტურული რეფორმებიც სანახევროდ განახორციელეს.

პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან მხოლოდ რამდენიმე (ძირითადად ბალტიისპირეთის) ქვეყანამ დააღწია თავი განვითარების დაბალ დონეს და მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი კეთილდღეობა. მხოლოდ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების (აზერბაიჯანი,) ეკონომიკური ზრდის ტემპები დაჩქარდა ბუნებრივი რესურსებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება ძირითადად საბაზრო დისციპლინის მოთხოვნების უგულებელყოფა განაპირობებებდა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდისათვის[5].

**მონეტარული პოლიტიკა.** პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფასების ლიბერალიზაციამ გაზარდა სავაჭრო ბალანსში საგადასახდელო დეფიციტი ქვეყანაში დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო. ვალუტის თავისუფალი კურსის შემოღებამ კი გამოიწვია მკვეთრი დევალვაცია და იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდა. ინფლაციის ზრდისა და ფინანსური კრიზისების შედეგად გავრცელებული ხშირი მოკლეციკლური განვითარება ნეგატიურად მოქმედებს მის ეკონომიკურ ზრდაზე.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ინფლაცია ყოველთვის გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე პოსტკომუნისტურ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში ფართო ფულის წილი (M3) მშპ-ში დაახლოებით 2.5 ჯერ მტია, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და 1.5 ჯერ მეტი, ვიდრე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, მაგრამ ინფლაცია კი 3 ჯერ ნაკლები, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და 1.2 ჯერ ნაკლები, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშია (იხ. ცხრილი 2).

ინფლაციის ზრდის ტემპები (%) [7].

ცხრილი 2

| | 1995-2000 | 2000-2005 | 2005-2010 | 2010-2015 |
|---|---|---|---|---|
| პოსტსაბჭოთა მცირე ქვეყნები | 45.4 | 5.4 | 8.7 | 5.2 |
| ინდუსტრიულად განვითარებული მცირე ქვეყნები | 1.8 | 2.5 | 2.9 | 1.6 |
| ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიისპირეთის ქვეყნები | 15.3 | 4.7 | 4.6 | 2.1 |

*გაანგარიშებულია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაზე.*

ეს გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკის ლიბერალიზაციასთან ერთად ხორციელდებოდა ექსპანსიონისტური მონეტარული პოლიტიკა, რაც ფაქტობრივად, ფულის მასის ზრდასთან ერთად ინფლაციის ზრდას განაპირობებდა.

ინდუსტრიულად განვითარებულ მცირე ქვეყნებში ფინანსური განვითარება ძირითადად ასოცირებულია ეკონომიკის ზრდის ტემპების ცვლილებებთან, რომელიც განპირობებულია ინფლაციის მართვის მაკროეკონომიკური პოლიტიკით. საგარეო დეფიციტის და უმუშევრობის ზრდის შემდგომი შეჩერება და მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენა ხდება ინფლაციის მართვის გზით.

ძირითადი საკითხი, რომელიც დგება მკვლევარების წინაშე, არის ფასების სტაბილურობა, როგორც ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიის ორიენტირი და ერთადერთი მიზანი. ცენტრალური ბანკები მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისათვის იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს: საპროცენტო განაკვეთებს ბანკის ოპერაციებზე, სავალდებულო რეზერვების ნორმას ცენტრალური ბანკის დეპოზიტებზე, ოპერაციებს ღია ბაზარზე, ბანკების რეფინანსირებას ანუ ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების დაკრედიტებას, სავალუტო რეგულირებას, ანხორციელებს სავალუტო ინტერვენციებს, განსაზღვრავს ფულის მასის აგრეგატების ზრდის ორიენტირებს და სხვ.

თუ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ინფლაციის მართვა მონეტარული და ფისკალური ბერკეტების კომპლექსური გამოყენებით ხდება, დაბალგანვითარებულ მცირე ქვეყნებში დამოკიდებულება საგარეო შოკებისადმი იმდენად ძლიერია, რომ ეკონომიკის დაბალანსებისათვის იმანენტური ინსტრუმენტების გამოყენება მხოლოდ უმნიშვნელო ეფექტს იძლევა. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ხდება ფინანსური ბაზრის სტრუქტურული მდგომარეობა.

ფინანსური ბაზრების სტრუქტურა განსხვავებულია ინდუსტრიულ და არაინდუსტრიულ ქვეყნებში. იგი განვითარებულია წამყვანი ეკონომიკის ქვეყნებში. ამ ქვეყნებში არსებობს ლიკვიდური ბაზრები, რაც საშუალებას აძლევს ცენტრალურ ბანკს აირჩიოს ის სეგმენტები, სადაც განახორციელებს ოპერაციებს. ამასთან, იგი გარანტირებულია იმით, რომ ერთ ბაზარზე განხორციელებული ოპერაცია პირდაპირ და წინასწარ განსაზღვრული ეფექტით გავრცელდება ან გადაედება სხვა ბაზრებს. დაბალგანვითარებულ ქვეყნებში კი ფინანსური გარემო განუვითარებელია.

მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ფინანსურ ბაზრებს აქვთ სხვადასხვა დატვირთვა. ტრადიციულად მნიშვნელოვანია ბანკთაშორისი ბაზარი: ამ ბაზარზე ბანკების აქტიური მონაწილეობა ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ დასახული მონეტარული პოლიტიკა გავრცელდეს და სწრაფად აისახოს გაცვლითი კურსის რეგულირებაზე. განუვითარებელ ბაზარზე კი, რაც ერთობ დამახასიათებელია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, ფერხდება ცენტრალური ბანკის მიერ ბაზრის ოპერაციების ეფექტიანად გამოყენება.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მთავარ ამოცანას უკვე სწორედ ფასების სტაბილურობა და დაბალი ინფლაციის შენარჩუნება წარმოადგენდა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ, დასაქმებამ და სხვა მახასიათებლებმა, როგორც ცენტრალური ბანკის მიზნობრივმა ფუნქციებმა, უკანა პლანზე გადაიწია.

ბევრი ეკონომისტი ფიქრობს, რომ დისკრეციულმა მონეტარულმა პოლიტიკამ შეიძლება ეფექტურად შეასუსტოს ეკონომიკური რყევები [4,gv.6-7]. სხვა ეკონომისტების ემპირიული კვლევების თანახმად, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და მონეტარული ხელისუფლების მიერ ინფლაციის კონტროლის უნარი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წინაპირობაა [3,gv.485-512].

დღეს ყველა მცირე ქვეყნისათვის დამახასიათებელია ძირითადად დისკრეციული ფინანსურ-სავალუტო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია ინფლაციის ტარგეტირებაზე. ამ ქვეყნების საერთო კანონზომიერებაა

ხელისუფლების სწრაფვა ინფლაციის გასაკონტროლებლად. ეს სცენარი თითქმის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ყველა მცირე ქვეყნისათვის გახდა დამახასიათებელი.

ევროზონისა და სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ფასების სტაბილურობა არის პოლიტიკის დეტერმინანტი. ამის შედეგად, 1996-2016 წლებში, ევროზონის ფასების მაქსიმალური რყევა მინუს 0.6 - პლიუს 4.1 პროცენტს არ აღემატებოდა [1].

არსებობს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი არგუმენტები იმის მხარდასაჭერად, რომ მონეტარული პოლიტიკის მიზნები მხოლოდ ფასების სტაბილურობას უნდა ემსახურებოდეს განვითარებად, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ეს ქვეყნები აქტიური მონეტარული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში აწყდებიან წინააღმდეგობებს. როდესაც ეკონომიკა ორიენტირებულია მცირე წარმოებაზე და შესაბამისად, ფინანსური ბაზრები არის შეზღუდული, ხოლო რისკები კი არ არის დივერსიფიცირებული, მაშინ იზრდება დესტაბილიზაციის რისკები და ეკონომიკა როგორც საგარეო, ისე საშინაო შოკებისადმი მგრძნობიარე ხდება.

გარდა ამისა, მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის შეზღუდულია საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე შესვლა, რაც მოითხოვს მათი მონეტარული პოლიტიკის მიზნებში საგადამხდელო ბალანსის წონასწორობისათვის მნიშვნელოვანი ადგილის დათმობას.

და ბოლოს, როდესაც ფინანსური სისტემა რჩება განუვითარებელი, ხელისუფლება ცდილობს მონეტარული პოლიტიკა გამოიყენოს ეკონომიკის პირდაპირი დაკრედიტებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ფასების სტაბილურობის გარდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მონეტარულ პოლიტიკას, განსხვავებით ინდუსტრიული ქვეყნებისაგან, გააჩნია ნაკლები შესაძლებლობა სხვა მიზნების მიღწევაში. ინდუსტრიულ ქვეყნებში, მონეტარული ექსპანსია გავლენას ახდენს გამოშვებაზე მოკლევადიან პერიოდში და მან შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა, მაგრამ ნაკლებად იმოქმედოს საქმიანი აქტივობის ცვლილებაზე. ასეთი სიტუაცია იქმნება მაშინ, როდესაც წარმოიშვება ინფლაციური მოლოდინი და ცენტრალური ბანკისადმი ნდობის დეფიციტი. მონეტარული პოლიტიკის შედეგად წარმოშობილი ინფლაციური მოლოდინი გადაიზრდება ფასების ცვლილებებში. მცირე და ცვალებადი ფინანსური ბაზრების არსებობა კიდევ უფრო მეტად ამცირებს მონეტარული პოლიტიკის მხრიდან გამოშვებაზე გავლენის შესაძლებლობებს და მონეტარული პოლიტიკა კონცენტრირებული ხდება მხოლოდ ფასების სტაბილურობის მიზნის მიღწევაზე.

ამასთან, არსებობს სხვა განსხვავებებიც ინდუსტრიულ ქვეყნებსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მონეტარულ პოლიტიკაში. განვითარებად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, საპროცენტო განაკვეთები ვერ ასრულებს სიგნალის როლს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ცვლილების შესახებ. ერთობლივი მოთხოვნა ხშირად განიცდის უფრო მეტ ზემოქმედებას კრედიტის ზრდისაგან, ვიდრე ფასისაგან. თვით ევროკავშირის ლიბერალურ, ინდუსტრიულ ბაზრებზე, კრედიტის ცვლილები და მასთან ერთად საპროცენტო განაკვეთები ეკონომიკურ საქმიანობაზე მოქმედი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

ყველა ქვეყნაში ფინანსური პოლიტიკა გავლენას ახდენს ფასებზე გაცვლითი კურსის ბერკეტის გამოყენებით. ევროპისა და პოსტსაბჭოთა მცირე ქვეყნებში, სადაც, უძრავი ქონების, ობლიგაციებისა და აქციების განუვითარებელი ბაზრები არსებობს, გაცვლითი კურსი არის მონეტარული პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება ზრდის საპროცენტო განაკვეთებს, მატულობს მოთხოვნა შიდა აქტივებზე და მყარდება ნომინალური და რეალური კურსი.

მცირე ქვეყნების, განსაკუთრებით განვითარებადი პოსტსაბჭოთა ქვეყნების, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბანკები, დანაზოგების არასაკმარისი დონის გამო, ჩვეულებრივ არიან დანარჩენი მსოფლიოს წმინდა დებიტორები და გაცვლითი კურსის გამყარება იწვევს შიდა მოთხოვნის გაფართოებას. პარალელურად შიდა საქონელი ხდება უფრო ძვირი უცხოურ საქონელთან შედარებით. შესაბამისად, მცირდება ერთობლივი მოთხოვნა.

ყველა ქვეყანაში გაცვლითი კურსის ცვლილება არის ფასების მომავალი ცვლილების სიგნალი. ეს კანონზომიერია განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრებისათვის, სადაც მაღალი და ცვალებადი ინფლაციაა. თავისუფალი გაცვლითი კურსის პირობებში გაცვლითი კურსი არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან ის გავლენას ახდენს არა მხოლოდ ერთობლივ მოთხოვნაზე, არამედ ერთობლივ მიწოდებაზეც. მონეტარული პოლიტიკის ლიბერალიზაციამ მცირე ქვეყნებში გამოიწვია გაცვლითი კურსის გაუფასურება, ეროვნულ ვალუტაში იმპორტის ღირებულების გაზრდა. ამის შედეგად გაიზარდა მწარმოებელთა ფასებიც. გაცვლითი კურსის და

ფასების დამოკიდებულება განსაკუთრებით მგრძნობიარეა ლიბერალური მონეტარული პოლიტიკის მქონე განვითარებადი ბაზრის ქვეყნებში, სადაც გაცვლითი კურსი ყალიბდება ინტენსიური და ხშირი რყევების გზით.

მრავალ ქვეყანაში ფინანსურმა ლიბერალიზაციამ და განვითარებამ უარყო ერთი რომელიმე ნათელი, ზუსტი მიზნის როლი მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას. ინდუსტრიულ ქვეყნებში მრავალი ცენტრალური ბანკი პოლიტიკის ინდიკატორად ირჩევს ან გაცვლით კურსს ან რეალური ეკონომიკისა და ფინანსური სექტორის განვითარების მაჩვენებლების ფართო სპექტრს. ამის მიუხედავად, მრავალი ქვეყანა ინფლაციას იყენებს როგორც ინდიკატორს, რომელიც გამოიყენება საპროცენტო განაკვეთებთან და გაცვლით კურსთან ერთად. დეინფლაციურ ღონისძიებებს ასტიმულირებს სერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამებიც, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ინტენსიურად დაინერგა. იგი განსაზღვრავს ცენტრალური ბანკების ბალანსის მუხლების ზღვრულ მაჩვენებლებს.

**ინსტიტუციური განვითარება**. პოსტსაბჭოთა, აღმოსვლეთი და ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებული ისტორიული პირობების შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა ინსტიტუციური გარემო. ეს პირობები განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული. ნეოკლასიკოსები აქცენტს მაკროეკონომიკურ პირობებზე აკეთებენ, ინსტიტუციონალისტები კი - ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმების ხანგრძლიობაზე. სწორედ ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ინსტიტუტების მშენებლობა, გაცილებით რთული აღმოჩნდა სახელმწიფოსადმი პატერნალისტური მენტალიტეტის გამო.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციის განმაზოგადებელი პირობა იყო სახელმწიფოს როლის მნიშვნელობის შემცირება. ცხადია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები უნდა შემცირებულიყო, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე, არც ინსტიტუტების სპონტანური წარმოშობა იქნებოდა დამაკმაყოფილებელი. 90-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ბანკმა თავისი დამოკიდებულება შეცვალა და გარდამავალ ქვეყნებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გაძლიერებაზე გაამახვილა ყურადღება [6,გვ.115-132].

ნეოკლასიკური სკოლის აღიარებით, სახელმწიფომ შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირების ძალაუფლება ბაზარს უნდა გადასცეს და იგი საბანკო, საგადასახადო და სხვა კანონმდებლობებით უნდა გაძლიერებულიყო. ამასთან, სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში უნდა შემცირებულიყო.

ინსტიტუციური სკოლის მოთხოვნით, საბაზრო ინსტიტუტების მშენებლობა სახელმწიფოს უნდა განეხორციელებინა, ეს საკითხი დღესაც კი საკამათოა, რამდენადაც საგარეო ვაჭრობის სწრაფმა ლიბერალიზაციამ და ტარიფების შემცირებამ ქვეყნები საგარეო ბაზრების შოკების ზემოქმედებისაგან დაუცველი დატოვა. ეს განსაკუთრებით ძლიერად ფინანსურ რყევებში გამოვლინდა. ახლად ჩამოყალიბებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა საგარეო შოკებს ვერ გაუძლეს, ამიტომ ეკონომისტების გარკვეული ნაწილი წარმოების დაცვას მოითხოვს. ეს მიმდინარეობა განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის გლობალური კრიზისის შემდეგ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი გახდა ეროვნული ვალუტის მიბმა სავალუტო სუბსტიტუტთან, კერძოდ დოლართან ან ევროსთან. იგი არამყარი ვალუტის მქონე ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობაში საანგარიშო და საგადამხდელო ფუნქციას ასრულებს, ამიტომ მისი ზემოქმედება ეროვნული ვალუტის კურსის რყევებზე საკმაოდ ძლიერია. მისი ეფექტი განსაკუთრებით დიდია მცირე ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ერთი ნაწილი ორიენტირებულია ევროკავშირის ბაზრებზე, ხოლო სხვები კი რუსულ ბაზრებზე ან ევრაზიულ კავშირზე, ყველა მათგანი იყენებს აშშ დოლარს, როგორც სავალუტო სუბსტიტუტს. რუსულ ბაზრებთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად რუსული რუბლი არ გამოიყენება სუბსტიტუტად, რადგან სუსტი ვალუტაა. აშშ დოლარის, როგორც სავალუტო სუბსტიტუტის, ცვლილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამ ქვეყნების სავალუტო რყევებზე.

## დასკვნა

მცირე ქვეყნების ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია როგორც მათი ინსტუტუციური განვითარების ისტორიულ-პოლიტიკურ კონტექსტთან, ასევე ფინანსური რეგულირების თავისებურებებთან. მათ განსხვავებული ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ და განვითარების განსხვავებული ციკლები ახასიათებთ, რაც მათი კლასიფიკაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვლინდება, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მცირე ქვეყნები უფრო მეტად დაუცველნი არიან XXI საუკუნის ეკონომიკური გამოწვევებისადმი, ვიდრე პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ეკონომიკური ციკლების პერიოდში ინდუსტრიულად განვითარებული ევროპის მცირე ქვეყნებში წარმოების შემცირება, ისევე როგორ ზრდის საშულო წლიური ტემპები, აღმოჩნდა უფრო დაბალი, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ხოლო აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ მცირე ქვეყნებში ყველაზე მაღალი იყო დაცემის საშუალო მაჩვენებელი, ეკონომიკის დაცემის სიხშირე და მათი ხანგრძლიობაც. ამ ქვეყნების ინტეგრაცია ევროპულ ბაზრებზე ხდებოდა შედარებით მტკივნეულად. განსხვავებულია მონეტარული პოლიტიკის მიზნები და ზემოქმედების არეალი.

განსხვავებული ფინანსური და ინსტიტუციური განვითარების მიუხედავად, მცირე ქვეყნების ინტეგრაცია მიმდინარეობს ევროს და დოლარის სავალუტო კურსების ზემოქმედებით და მათ შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარება და ეკონომიკური ინტეგრაცია განსაზღვრავს მათი ეკონომიკური ციკლების ბუნებას, ვალუტის რყევებსა და საფინანსო ტრანსმისიას ერთმანეთს შორის, რის შედეგადაც რეგიონალურ სავაჭრო ზონებთან ერთად ყალიბდება სავალუტო რყევების და ციკლების მოქმედების ერთიანი სივრცე, კანონზომიერებები და ტენდენციები. ევროსა და დოლარის დომინანტური როლი მათ სავაჭრო ურთიერთობებში ქმნის ამ ქვეყნების უალტერნატივო რეგიონული ინტეგრაციის შესაძლებლობებს

ლიტერატურა:


1. ევროპის ცენტრალური ბანკი. http://sdw.ecb.europa.eu/quickview.do?SERIES_KEY=122.ICP.M.U2.N.000000.4-.ANR
2. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა, http://databank.worldbank.org/data/home.aspx
3. Fisher S. The Role of Macroeconomic Factors in Growth, *Journal of Monetary Economics*. N32 (3), 1993. 485-512.
4. Kamin S., Turner P., Van't dack J. The transmission mechanism of monetary policy in emerging market economies: an overview, 1-60. http://www.bis.org/publ/plcy03a.pdf
5. The first Ten Years: Analysis and Lessons for Eastern Europe and the Former Soviet Union, Report #23511, World Bank, 2002, 1-164. http://documents.worldbank.org/curated/en/319481468770972868/pdf/multi0page.pdf
6. Transition report 1999: Ten years of transition, European Bank for Reconstruction and Development, 1999, 1-299. www.ebrd.com/publications/transition-report-1999-english.pdf
7. http://databank.worldbank.org/data/home.aspx


## Global Challenges for the Financial Development of Small Countries (Comparative Analysis)


Mikheil Tokmazishvili

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The article reviews characteristics and trends of the financial development of small countries. A comparative analysis indicates that in the last 20 years Central and Eastern European countries were vulnerable to the economic challenges, together with the post-soviet countries. During the economic cycles a production of the industrialized European small countries has failed. In post-socialist small countries of Eastern and Central Europe and in post-communist countries the decline of the average growth rate was lower, but the frequency and duration of cycles of the economy were notably higher. This paradoxical circumstance could be explained by the monetary policy development and the dominant role of the exchange rate of the Dollar. It defines the nature of transmission of economic cycles, currency fluctuations and financial problems.



*Keywords: small economy; finance; currency relations.*

# სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობის მექანიზმის გაუმჯობესების გზები

ნატო კაკაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*დაზღვევა ფინანსების განუყოფელი შემადგენელინაწილი და ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური სტაბილურობის გარანტია. დაზღვევა ფულადი საშუალებების მობილიზებას ანხორციელებს სადაზღვევო რეზერვების სახით, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესის საგანს, რადგან საშუალებას იძლევა გადაწყვეტილ იქნეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია: მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა და უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების გამო;დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა;მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა. სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო შეუძლებელია.*

***საკვანძო სიტყვები: დაზღვევა; სადაზღვეო კომპანია; სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები; გადახდისუნარიანობის მარჟა.***

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები. აბსოლუტურ მაჩვენებლებს განეკუთვნება: დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა; დაზღვეულიობი ექტების სადაზღვევო თანხა; სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება; სადაზღვევო პრემიების მოცულობა; შემოსავლების დახარჯების მოცულობა; სადაზღვევო რეზერვების მოცულობა.ფარდობით მაჩვენებლებს კი განეკუთვნება: მოგება; საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა (ROE); ინვესტირების შემოსავლიანობა (ROI); ხარჯების მაჩვენებელი (Expense Ratio) და ასევე ხარჯების სუფთამაჩვენებელი (Expense Net Ratio);სადაზღვევო საქმიანობის შემოსავლიანობა (ROS);ლიკვიდურობა:ფულადი თანაფარდობა (Cash Ratio); სწრაფი თანაფარდობა (Quick Ratio); მიმდინარე თანაფარდობა (Current Ratio).ამასთანსადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და განსაზღვრისთვის გამოყენებულია ფინანსურ-კოეფიციენტური ანალიზი სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლების, საბალანსო და მოგება-ზარალის უწყისების საფუძველზე. კოეფიციენტების ორი სახე არსებობს:საბალანსო (ბალანსური) კოეფიციენტი - ინფორმაცია ფინანსურ მდგომარეობაზე დროის განსაზღვრულ მომენტში ბალანსის შედგენის დროს და შემოსავლის/ბალანსის ანგარიშგების კოეფიციენტი - ინფორმაცია სადაზღვევო სისტემის საქმიანობის რომელიმე სახეობაზე. კოეფიციენტების საშუალებით შესაძლებელია ჩატარდეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი.ლიკვიდობის კოეფიციენტები: მიმდინარე კოეფიციენტი - ასახავს ვალების დაფარვის შესაძლებლობას აქტივებით; სააქციო კაპიტალთან ვალის დამოკიდებულების კოეფიციენტი - ასახავს ვალით და საკუთარი კაპიტალით დაფინანსების დამოკიდებულებას; ვალის და მთლიანი აქტივების დამოკიდებულების კოეფიციენტი - ასახავს ნასესხები კაპიტალის გამოყენებას. აქტიურობის კოეფიციენტები: დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა (RT) - ასახავს რამდენჯერ მოხდა ვალდებულებების ბრუნვა (ნაღდი ფულით) წლის განმავლობაში, იძლევა ინფორმაციას ვალდებულებების ხარისხზე; დებიტორული მოთხოვნების ბრუნვა დღეებში (RTD) - ასახავს მოთხოვნის ამოღების დღეების საშუალო რაოდენობას. მომგებიანობის კოეფიციენტები: მოგება ინვესტიციაზე ROI - ასახავს არსებული აქტივებით მოგების მიღების მთლიან ეფექტურობას; მოგება საკუთარ კაპიტალზე ROE - ასახავს გამომუშავების სიმძლავრეს აქციონერების ნარჩენი ღირებულების ინვესტიციაზე.სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისათვის დაწესებულია გადახდისუნარიანობის მარჟა, განისაზღვრება - საზედამხედველო კაპიტალი, რომელიც განმტკიცებულია როგორც კანონქვემდებარე ასევე საკანონმდებლო აქტებით. გადახდისუნარიანობის პრინციპის თანახმად, სადაზღვევო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, გადახდისუუნარობის რისკი იყოს კონტროლირება-

დი. სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის შესწავლის მიზნით ფინეთსა და შემდგომ დიდ ბრიტანეთში შეიქმნა „Finnish Solvency Working Party“ და „British Solvency Working Party“, ჯგუფები, რომელთა ამოცანას წარმოადგენდა სადაზღვევო პროცესის მოდელების შექმნა და მეთოდიკის შესწავლა. აღნიშნული დირექტივების საფუძველზე შეიქმნა თანამედროვე ევროპული კანონმდებლობა, შემუშავდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ახალი სტანდარტები „Finnish Solvency Working Party“, „British Solvency Working Party“-ის საფუძველზე, ხოლო 2001 წლიდან ევროკომისიამ დაიწყო პროექტის Solvency II-ის განხორციელება, სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხედველობის ევროპული სისტემის გადახედვის მიზნით. აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება, საბაზრო პრინციპების საფუძველზე, არის Solvency II-ის ძირითადი სიახლე, რომელიც არსებით გავლენას ახდენს გათვლების შედეგებზე გადახდისუნარიანობის შეფასებისას. სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობა მიიღწევა მაშინ, როცა საკუთარი სახსრების ფაქტიური სიდიდე შეესაბამება ნორმატიულს. საკუთარი სახსრების გადახდისუნარიანობის ნორმატიული სიდიდე განისაზღვრება სამი მაჩვენებლით: გადახდისუნარიანობის მარჟა; გარანტირებული ფონდი-1/3; მინიმალური გარანტირებული ფონდი. გადახდისუნარიანობის წესი არის ევროპული რეგლამენტაციით ყველაზე მახასიათებელი გამოხატულება, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ევროკავშირის ყველა სადაზღვევო კომპანია. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სადაზღვევო კომპანიები გრძელვადიან დაფინანსებას, ძირითადად, კაპიტალის ბაზრის მეშვეობით უზრუნველყოფენ. ქართულ სადაზღვევო კომპანიებს შედარებით მცირე წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაში. საქართველოში სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო ფონდები არ არის მიმართული საფონდო ბაზარზე და იმ საინვესტიციო პროგრამებზე, რაც უზრუნველყოფს, ეკონომიკის ინვესტირებას.

თუ გავაანალიზებთ საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკურ მონაცემებს, ვნახავთ, რომ მოზიდული პრემიის მიხედვით, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციამ (5 წამყვანი სადაზღვევო კომპანია) 2015 წლისათვის 74% (20%;20%;17%;9%;8%) შეადგინა, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი 2014 წლისათვის 81%-ს შეადგენდა. შესაბამისად, სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი 7%-ით შემცირდა.სადაზღვევო კომპანიების მიერ 2015 წელსმოზიდულმა პრემიამ 359 798 773 ლარი შეადგინა. 2014 წლის მაჩვენებელს 118,9%-ითაღემატება. სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო შემოსავალი (გამომუშავებული სადაზღვევო პრემია) 2016 წელს 281 840 606 ლარს შეადგენდა, ხოლო პერიოდის ნეტოსადაზღვევო ზარალი 186 751 310 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, 2016 წლის ზარალიანობის კოეფიციენტი შეადგენს 50.9%-ს (281 840 606 ლარი * 100 / 186 751 310 ლარი), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (69.9%) 19%-ით ნაკლებია. 2016 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემიის დაახლოებით 44,61% სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, მეორე ადგილი ქონების დაზღვევას უჭირავს 16.63%-ით, ხოლო შემდგომ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა მოდის 15.19%-თ[1].2014-2016 წლებში სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო ზარალის შემცირებაგანაპირობა სოციალური პროექტების კერძო სექტორისთვის ჩამოშორებამ.სადაზღვევო კომპანიების სადაზღვევო შემოსავალი (გამომუშავებული სადაზღვევო პრემია) 2015 წელს 245 603 035 ლარს შეადგენდა, ხოლო ამავე პერიოდის ნეტო სადაზღვევო ზარალი 171 787 962 ლარით განისაზღვრა. შესაბამისად, 2015 წლის ზარალიანობის კოეფიციენტი შეადგენს 69.9%-ს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (75.2%) 5.3%-ით ნაკლებია.2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, ზარალიანობის კოეფიციენტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2014 წლიდან მოცემული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა.2015 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული ჯამური პრემიის დაახლოებით 42,76% სამედიცინო დაზღვევაზე მოდის, მეორე ადგილზე ქონების დაზღვევა –19,27%-ით, ხოლო შემდგომ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა –15,65%-ით[2]. სადაზღვევო კომპანიების ჯამურმა კაპიტალმა 2015 წლის ბოლოს 100 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2014 წლის იგივე მაჩვენებელმა 95 მლნ ლარი. ხოლო 2015 წელს მზღვეველების ჯამურმა აქტივებმა 520 მლნ ლარი შეადგინა, 2014 წლისათვის კი - 492 მლნ ლარი. სადაზღვევო კომპანიების ჯამურმა კაპიტალმა 2016 წლის ბოლოს 136 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 2015 წლის იგივე მაჩვენებელმა 100 მლნ ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს მზღვეველების ჯამურმა აქტივებმა542,30 მლნ ლარი შეადგინა, 2015 წლისათვის კი - 520 მლნ ლარი[3].

მოზიდულმაპრემიებმა პირდაპირი დაზღვევის სახეობებიდან 2015 წელს 359,80 მლნ ლარი შეადგინა ხოლო 2016 წელს 393,04 მლნ. ლარი. რაც შეეხება მოზიდული პრემიების რაოდენობა 2015-2016 წლებში პირ-

დაპირი დაზღვევის სახეობებიდან ასე გადანაწილდა: სამედიცინო ჯანმრთელობის დაზღვევა (155,85-175,32) მლნ. ლარიშეადგინა და ბაზრის 42,2% წილიდან 44,62% დაიკავა, რომლის წილიც 2016 წელს 2015-თან შედარებით გაზრდილია,მეორე ადგილზე ქონების დაზღვევა, თუმცა აღნიშნულ სახეობაში მოზიდული პრემია 2016 წელს შემცირებულია 2015 წელთან შედარებით და ბაზრის 19,2% წილიდან 2016 წელს 16,63% შაადგინა, მოზიდული პრემია კი 69,33 მლნ. ლარიდან დან 65,37 მლნ. ლარი გახდა. შემდეგ მოდის სახმელეთო სატრანსპორტო საშულებების დაზღვევა რომლის წილი ბაზარზე ასევე გაზრდილია. მეოთხე ადგილზე სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც 2016 წელს 2015-თან შედარებით, 56,32 მლნ. ლარიდან-დან გაზრდილია 59,71მლნ. ლარამდე და ბაზრის წილი 15,19% -ს შეადგენს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში მოზიდული პრემიამ2016 წელს შეადგინა 25,19 მლნ ლარი,(2015 წელს კი 16,08 მლნ. ლარი), ბაზრის წილი კი 4,47%-დან 6,41%-მდე გაიზარდა;სამოგზაურო დაზღვევაში მოზიდულმა პრემიამ 2016 წელს 6,05 მლნ. ლარი შეადგინა, (2015 წელს კი -5,27 მლნ. ლარი), ბაზრის წილი კი 1,46%-1,54%- მდე გაიზარდა[4.].

დაზღვევისთვის დამახასიათებელია რამდენიმე არსებითი თავისებურება, რაც განპირობებულია დაზღვევის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის სპეციფიკურობით,როგორიცაა:

- დაზღვევისას წარმოქმნილი ფულადი გადანაწილებითი ურთიერთობები, რაც განპირობებულია სადაზღვევო რისკის არსებობით;
- დაზღვევისას წარმოქმნილი ჩაკეტილი გადანაწილებითი ურთიერთობები მონაწილეებს შორის, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე მეურნეობაში მომხდარი ზარალის სოლიდურ გადანაწილებასთან დაზღვევაში ჩართულ ყველა მეურნეობაზე;
- დაზღვევით განპირობებული ზარალის გადანაწილება, როგორც ტერიტორიულ ერთეულებს, ასევე დროითიჭრილით. სადაზღვევო ფონდის ეფექტიანი ტერიტორიული გადანაწილებისათვის დაზღვეულ მეურნეებს შორის საჭიროა ვრცელი ტერიტორიისა და მრავალი მეურნე ობიექტების არსებობა[5].

საქართველოში სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების ტემპი საშუალებას იძლევა დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის სადაზღვევო პროდუქტის ბაზარი, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის და პროფესიული დონის ზრდა.

მიზანშეწონილია დაზღვევის გარკვეული სახეობისათვის კონკრეტული საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, როგორიცაა აგროდაზღვევა. სადაზღვევო პროდუქტის საიმედოობის მაღალ დონეს განაპირობებს ეფექტიანად განხორციელებული გადაზღვევის პოლიტიკა, რაც სადაზღვევო პორტფელის დაბალანსების პრაქტიკის გამოყენებით საშუალებას იძლევა ოპერატიულად დაიფაროს ზარალი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიები რეიტინგული მონაცემებით მაღალი კლასის გადამზღვეველ კომპანიებს განეკუთვნებიან.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტიანიფუნქციონირების, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშემშლელფაქტორებად მიგვაჩნია:

- ✓ მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა და უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების გამო;
- ✓ დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა;
- ✓ მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა;
- ✓ სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო შეუძლებელია.

არსებული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირებით, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებით, სადაზღვევო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით,სახელმწიფოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგისადმი მხარდაჭერით, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობით.

სადაზღვევო პროდუქტების საიმედოობის მაღალ დონეს განაპირობებს ეფექტიანად განხორციელებული გადაზღვევის პოლიტიკა, რაც სადაზღვევო პორტფელის დაბალანსების პრაქტიკის გამოყენებით საშუალებას იძლევა ოპერატიულად დაიფაროს ზარალი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიები რეიტინგული მონაცემებით მაღალი კლასის გადამზღვეველი კომპანიებია.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების, ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშემშლელიფაქტორებია: მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა და უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების გამო; დაზღვევის ზოგიერთი სახეობისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობა; მოსახლეობის დაბალი სადაზღვევო კულტურა;სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო შეუძლებელია. არსებული პრობლემების დაძლევა შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის რეგულირებით, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებით, სადაზღვევო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით,სახელმწიფოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგისადმი მხარდაჭერით, სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობით.

ლიტერატურა:


1. http://insurance.gov.ge/Page4.htm
2. http://insurance.gov.ge/Page4.htm
3. http://heconomic.wordpress.com/2013/09/08/national-bank-georgia/
4. http://heconomic.wordpress.com/2013/09/08/national-bank-georgia/
5. შათირიშვილიჯ. კაკაშვილინ. სადაზღვევო საქმეთბ. 2012


## Ways of Improving the Financial Stability Mechanism of Insurance Companies


Nato Kakashvili

*PHD in Business Administration, Associate professor*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The high level of reliability of insurance product sisbase done ffectivere insurance policy, which make sitpossible to effectively use insurance operations for the insurance portfolio. It is not eworthy that the panthers-insurers of Georgian insurance companiesare high level reinsuran cecompaniesinaccordancewiththeratingindicators. We believe that the effective functioning, stability and sustainability of the Georgian insurance market areal sobecauseof: distrustof the population to wards long-termlifeand pension insurance; the rapidly changing political and economic risksin the country; lackofanap propriate legislative frame work for certaintypesofinsurance; lowcostofinsurancepayments, hightariffrateimposed by the insurance company. The existing problems canbeover come by regulatin gthe activity of insurance companies, devel oping relevant legislation, approachinginter national standard so finsurance legislation, with the support of various sectors of the state economy, super vision of insurance activities.



***Keywords: insurance; insurance company; absolutive and proportionate index of finantional results of insurance companies; margin of insolvent.***

# მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტები

**ნაზირა კაკულია**

*ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ნინო ჟორჟიკაშვილი**

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე აკადემიურ წრეებში გავრცელებული იყო ხედვა, რომ მონეტარულ პოლიტიკასა და პრუდენციულ პოლიტიკას შორის არსებობს კონფლიქტი (ინფლაცია/ფინანსური სტაბილურობა), რაც ამართლებს მონეტარული და პრუდენციული ფუნქციების დაყოფას. თუმცა, კრიზისმა აშკარად გამოკვეთა აღნიშნული მიდგომის სისუსტეები და აუცილებელი გახადა მაკროპრუდენციული და მონეტარული პოლიტიკების ინტეგრაცია, ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით აქტუალურია მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების აქტიური გამოყენება, რომელიც სისტემური რისკების იდენტიფიცირებისა და ფინანსური ზარალის მინიმალურ დონემდე შემცირებას უწყობს ხელს.*

*საკვანძო სიტყვები: მაკროპრუდენციული პოლიტკა; კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი; კრედიტის მართვის ინსტუმენტები; ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტები.*

მაკროპრუდენციული ინსრტუმენტები და მათი ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს ინოვაციას დღევანდელი ფინანსური სექტორისათვის და მათი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გააჩნიათ მეტად დეტალიზებული და ორიენტირებული კონკრეტულ ობიქტთან მიმართებაში, ვიდრე მონეტარული და ფისკალური ინსტრუმენტები. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ისტრუმენტები საკმაოდ მრავალფეროვანია,- თუმცა ძირითადად 3 კატეგორიად ყოფენ [5,pp8]:

**კრედიტის მართვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები**: სესხის მოცულობის გირაოსთან ფარდობის მაქსიმუმი(LTV), ვალის მოცულობის შემოსავალთან ფარდობის მაჩვენებელი (debt-to-income (DTI)), სესხის შენატანის შემოსავალთან ფარდობის მაჩვენებელი Payment-to Income(PTI) და ა.შ.;

**ლიკვიდობის მართვის ინსტრუმენტები**: სარეზერვო მოთხოვნა, ლიმიტები სავალუტო პოზიციაზე, ლიმიტები მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების შეუთავსებლობაზე ვადების მიხედვით( maturity mismatch);

**კაპიტალის მართვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები**: კონტრციკლური/დროში ცვალებადი კაპატალის მოთხოვნის ნორმა, სარეზერვო მოთხოვნის ნორმა, რეგულაციები მოგებაზე და ა.შ.

ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულია რისკების განაწილების შეზღუდვაზე, მოიცავს დამატებით კაპიტალს და ლიკვიდობის მოთხოვნებს, სისტემატურად მნიშვნელოვანი ბანკებისათვის. ასევე შეზღუდვებს ბანკის არაპროფილურ საქმიანობაზე. მაკროპრუდენციული პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **სისტემური მნიშვნელობის ბანკებს** [1,გვ.7] - ამ ტიპის ბანკებს მიეკუთვნებიან ბანკები, რომლებიც საკმარისად დიდი იმისათვის, რომ მთავრობამ მათი გაკოტრება დაუშვას.ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამატებითი უსაფრთხოებისა და რეგულირების ნორმები, რათა მთლიანად ფინანსურ სისტემას საფრთხე არ დაემუქროს ასეთი ბანკის მხრიდან და გადასახადის გადამხდელებს არ დააწვეთ ტვირთი.

<u>კაპიტალის კონტრ-ციკლური ბუფერი-ეს</u> ინსტრუმენტი გულისხმობს კაპიტალის მოთხოვნის ცვლილებას ეკონომიკური ციკლის პარალელურად.კერძოდ, ეკონომიკური ბუმის დროს იზრდება სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნა საშუალო ნიშნულზე მაღლა, ხოლო რეცესიის დროს-მცირდება. კაპიტალის მოთხოვნის ცვლილება მიმართულია ფინანსური ციკლის პრო-ციკლურობის განეიტრალებისაკენ.(ამ ტიპის რეგულირების ცნობილი მაგალითია დინამიკური დარეზერვების მოდელი ესპანეთისათვის). კონტრციკლური ბუფერის გამოყენების ძირითადი იდეაა ეკონომიკის აღმავლობის ფაზაში საკმარისი ოდენობის ფინანსური კაპი-

ტალის მარაგის შექმნა, რაც რეცესიის დროს იქნება გამოყენებული საკრედიტო მიწოდების გასაზრდელად. მისი განსაზღვრისა და გამოყენების ორიენტირია კრედიტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი (credit-to-GDP ). ხშირ შემთხვევაში, გაითვალისწინება მხოლოდ საბანკო კრედიტის მოცულობა, თუმცა ბაზელ III-ის მიხედვით, ასევე გასათვალისწინებელია მთლიანი კრედიტის მოცულობა(როგორც საბანკო, ისე არასაბანკო.

კრედიტის GDP-სთან ფარდობის გეპი და დამოკიდებულება კონტრციკლურ ბუფერთან[6]




ნახაზზე წარმოდგენილია აშშ-ის მაგალითზე, 1974-2009 წლებში კრედიტის მშპ-სთან ფარდობის გეპისა (გეპი-კრედიტის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის გადახრა მისი ტრენდული მნიშვნელობიდან) და კონტრციკლური ბუფერის ევოლუცია. იკვეთება, რომ როცა გეპი იწყებს ზრდას, ამ პერიოდში აუცილებელია კონტრციკლური ბუფერის გააქტიურება, რისკების შესამცირებლად და პირიქით, რეცესიის პერიოდში ბუფერის მნიშვნელობა მცირდება. კრიზისის პერიოდებში ბუფერის მნიშვნელობა აღწევს მაქსიმალურ მნიშვნელობას(2.5%).

ბაზელის კომიტეტის თანახმად, კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის მნიშვნელობა უნდა მერყეობდეს 0-2,5% საზღვრებში [4,p.10]. 2017 წლისათვის იგეგმება მისი ნიშნულის 0,625%-მდე დადგენა, შემდგომ 2019 წლისათვის 2,5%-მდე გაზრდა [2,p. 22]. კონტრ-ციკლური ბუფერის დონის ცვლილებისას უნდა მოხდეს მისი საჯაროდ გამოცხადება, რათა საბანკო სისტემამ შეძლოს ახალ რეგულაციასთან შეგუება 12 თვის მანძილზე [2,p.25]. ბუფერის გამოყენებაც გარკვეულ სიძნელეებს აწყდება, კერძოდ, საზედამხედველო კომიტეტები ახალი ნიშნულის შესახებ განცხადებას აკეთებენ, როცა ფინანსური სექტორი გარკვეული სიძნელეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს. ბუფერის ახალ დონესთან შეგუება საბანკო სისტემის მხრიდან და მისი განხორციელება და მოიცავს დაახლოებით 1 წელს, ე.ი. მისი გააქტიურება გვიან ხდება და ამ პერიოდის განმავლობაში შეიძლება სისტემური რისკების აკუმულირება მოხდეს. ამიტომ პოლიტიკის გამტარებლები რეკომენდაციას იძლევიან, რომ მისი გააქტიურება მოხდეს უფრო ადრე, სანამ ფინანსურ სექტორს პრობლემები შეექმნება, ამისათვის კი აუცილებელია საბანკო სისტემის მუდმივი მონიტორინგი და მოსალოდნელი სიძნელეების გამოვლენა.

Loan-to-Value(LTV) სესხის მოცულობის აქტივის ფასთან ფარდობის მაქსიმუმის. ინსტრუმენტის გამოყენება გულისხმობს ეკონომიკური ბუმის დროს საგირავნო აქტივის გაზრდილი ფასის ფონზე გასაცემი სესხის მოცულობის შეზღუდვას, ხოლო რეცესიის დროს,შემცირებული ფასების ფონზე მაქსიმალური გასაცემი თანხის ზრდას [5,p.10].

LTV ratio=სესხის მოცულობა/აქტივის ღირებულება ისეთი უძრავი ქონებისათვის, როგორიცაა ბინა, აღნიშნული მაჩვენებლის სასურველი მნიშვნელობაა 80% [5,p.11].

ამ ინსტრუმენტის გამოყენება აწესებს ლიმიტებს ბანკების მხრიდან გასაცემ სესხებზე,რაც თავის მხრივ, იცავს ბანკებს დეფოლტისაგან. ამ შემთხვევაში კრედიტორი გარკვეული საფრთხის წინაშე დგას და ეს საფრთხე არის მსესხებლის დეფოლტის შესაძლებლობა. ამის თავიდან ასაცილებლად ხშირად კრედიტორები მოითხოვენ მსესხებლისაგან დაზღვევას, რაც თავის მხრივ, ზრდის აქტივის ღირებულებას და ხარჯიანია მსესხებლისათვის. გამომდინარე აქედან, აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა რისკის მატარებელია ფინანსური სექტორისათვის, და 100%-ით სასესხო საშუალებებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ გადამხდელუნარიანი და კარგი საკრედიტო რეიტინგის და ისტორიის მქონე პირებისათვის. ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა და მისი ლიმიტები დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე, სტადიაზე,-ქონების ბაზრის მდგომარეობაზე.ამიტომ მისი მნიშვნელობა მერყეობს სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით [5,p.16]. თუმცა აუცილებელია საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშება,რათა შევძლოთ ქვეყნების შედარება ამ მაჩვენებლის გამოყენების ხარისხის და ეფექტების მიხედვით. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში ემპირიული გამოთვლებით დადგენილია ამ მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობაა 71% [5,p.17].

LTV -ზე მკაცრი სტანდარტის არსებობა ხელს უწყობს:

- კრედიტების აკუმულირების ეფექტურად შემცირებას,
- ქონების ფასების ზრდას,
- ამცირებს კრედიტების მოცულობას მთლიან შიდა პროდუქტში
- ამცირებს საგირავნო აქტივებზე სესხების მოცულობა მთლიან შიგა პროდქუტში [5, p 20].

<u>Payment-to Income(PTI) სესხის შენატანების შემოსავალთან ფარდობის მაქსიმუმის.</u> ეს საზედამხედველო ნორმა ითვალისწინებს მსესხებლის შემოსავლის მიხედვით, ყოველთვიური შენატანის მაქსიმალური მნიშვნელობის დადგენას. რაც უფრო დიდია ეს მაჩვენებელი,იზრდება მსესხებლის გაკოტრების ალბათობა. შესაბამისად, ამ ნორმის კონტრ-ციკლურად გამოყენება გულისხმობს ეკონომიკური ბუმის დროს დაბალი ნიშნულის დადგენას, რათა შეიზღუდოს დაკრედიტების ზრდა, ხოლო რეცესიის დროს - პირიქით.

მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ითვლება **კომუნიკაცია** პოლიტიკს გამტარებლებსა და საზოგადოებას შორის.ევროპის ცენტრალური ბანკი ახორციელებდა აქტიურ კომუნიკაციას კრიზისის პერიოდში და შემდეგაც,ფინანსურ სექტორში კვარტალურ მაკრო სტრეს-ტესტების შედეგების შესახებ. კომუნიკაცია არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ფინანსური რისკების აკუმულირების ფაზაში

## დასკვნა

მაკროპრუდენციული პოლიტიკა და მისი ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება ერთგვარი ინოვაციაა თანამედროვე მსოფლიოსათვის, მათ შორის განვითარებული ქვეყნებისათვის. აღნიშნული პოლიტიკა ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და მასზე აქტიური მსჯელობა მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ დაიწყო. განვითარებული ქვეყნები მუდმივად მიმართავენ აღნიშნული პოლიტიკის ინსტრუმენტების ინტეგრაციას, სხვადასხვა მოდელისა და სტრეს-ტესტირების საფუძველზე მოსალოდნელი შესაძლო სისტემური რისკებისა და ფინანსური შოკების იდენტიფიცირებას. აღნიშნული მიდგომა იძლევა საშუალებას განხორციელდეს ეფექტიანი საბანკო-საზედამხედველო პოლიტიკა და მოხდეს პროციკლურობის განეიტრლება ფინანსურ სექტორში.

### ლიტერატურა:


1. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში 2014, გვ. 7;
2. Basel committee working paper. ,, Countercycial capital buffer”, pp 22, 20 may, 2016;
3. Trivedi K. ,,An empirical study of the *circumstances* under which macroprudential policy can be compounding, neutral or conflicting to the conduct of monetary policy”, pp 8;
4. Riskbank Studies. ,,countercyclical capital buffers as a macroprudentia;l policy”, pp10, dec 2012;
5. Subakova dominika. ,,caps on loan to value: can they reduce housing bubble and credit growth?”, pp 10, 2015;
6. IMF, The International Regulatory Reform Agenda:Implementation Issues and Implications, 2015 october.

# Macroprudential Policy Tools

Nazira Kakulia

*Associate professor*
*Tbilisi state university*

Nino Zhorzhikashvili

*Doctoral student*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

In the academic circles before the global financial crisis there was a widespread perspective that there was a conflict between the monetary policy and macroprudential policy (inflation / financial stability), which justifies the division of monetary and prudential functions. However, the crisis has clearly identified the weaknesses of this approach and made it necessary to integrate macroprudential and monetary policies to ensure financial stability. Active utilization of macroprudential policy instruments is particularly relevant to the reduction of system risks and financial loss to the minimum level.

***Keywords: macroprudential policy, capital counter cyclical buffer, credit management instruments, liquidity management tools.***

# ფრენჩაიზინგის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ლევან კალანდაძე

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ფრენშაიზინგი მნიშვნელოვანია სამეწარმეო აქტივობისათვის, გააჩნია მრავალი უპირატესობა და იზიდავს დამწყებ ბიზნესმენებს. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა განაპირობებს ინტერესს, ვინაიდან მომეტებული ეკონომიკური სარგებლიანობა აუცილებელია სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს.*

*დღეისათვის საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარების უდიდესი პერსპექტივა არსებობს, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამასთან, ფრენშაიზინგის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში სრულად მხარდაჭერილია ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მიერ. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში ფრენშაიზინგის სექტორი ძირითადად აგებულია სწრაფი კვების ინდუსტრიის ირგვლივ, თუმცა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებისა და აშშ-ის ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში გვხვდება წარმატებული ფრენშაიზინგის მაგალითები. საქართველოსთვის ფრენშაიზინგის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს ახალი ინოვაციური იდეების დანერგვის შესაძლებლობა მისცეს, რაც პერპექტივაში მათი პროდუქტიულობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.*

*საკვანძო სიტყვები: ფრენშაიზინგი, ბიზნესი, მართვის მოდელი, ინდუსტრია, ხელშეკრულება.*

ფრენშაიზინგი მნიშვნელოვანია და ის იქცა სამეწარმეო აქტივობის კატალიზატორად, რადგან გააჩნია მრავალი უპირატესობა და იზიდავს დამწყებ ბიზნესმენებს. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა განაპირობებს მისდამი ინტერესს, ვინაიდან მომეტებული ეკონომიკური სარგებლიანობა აუცილებელია სამართლებრივ ჩარჩოში მოექცეს.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით, როგორც ტერმინ ფრენშაიზინგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსში), ასევე ფრენჩაიზინგს (ბიზნეს ლიტერატურაში) და ფრანჩაიზინგს (ინტერნეტ სივრცეში). ამასთან, სამივე მათგანი გამოიყენება ერთი აზრით.

,,ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას" [1, მუხლი 607].

ფრენშაიზინგი - ერთი წარმატებული კომპანიის ბიზნესის მართვის მოდელის, მეორე კომპანიის მიერ გამოყენებაა, სალიცენზიო და როიალტის გადასახადის სანაცვლოდ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში ჩართულ სუბიექტებს, კერძოდ ფრენშაიზის მიმცემსა და ფრენშაიზის მიმღებს, ამასთან, იგი მკაფიოდ აყალიბებს მათ ვალდებულებებს. ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია ფრენშაიზის მიმღებს წარუდგინოს მის მიერ გამოყენებული ფორმით არამატერიალური ქონებრივი უფლებები, სასაქონლო (სავაჭრო) ნიშნები, ნიმუშები, შეფუთვა, საქონლის წარმოების, შეძენის, გასაღებისა და საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გასაღებისათვის ხელშესაწყობად. აგრეთვე, ფრენშაიზის მიმცემი ვალდებულია დაიცვას ერთიანი მოქმედების სისტემა მესამე პირთა ჩარევებისაგან, განუწყვეტლივ განავითაროს იგი და საქმიანი ჩვევების გაზიარებით, ინფორმაციების მიწოდებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით მხარი დაუჭიროს ფრენშაიზის მიმღებს [1, მუხლი 608].

თავის მხრივ, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებაში ჩართვისთანავე, ფრენშაიზის მიმღებს წარმოეშობა ვალდებულებები, კერძოდ - გადაიხადოს საზღაური, რომლის ოდენობაც არსებითად გამოითვლება ფრენშაიზინგის სისტემის განხორცილებაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. ამასთან, ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია კეთილსინდისიერი მეწარმის გულისხმიერებით აქტიურად განახორციელოს საქმიანობა, მიი-

ღოს მომსახურება და შეიძინოს საქონელი ფრენშაიზის მიმცემის ან მის მიერ დასახელებულ პირთა მეშვეობით, თუკი ეს უშუალო კავშირშია მიზანთან [1, მუხლი 609].

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, ქართულ ბიზნესში ფრენშაიზინგის სისტემის გამოყენების ერთ-ერთი პირველი მაგალითია უალკოჰოლო სასმელების კომპანიის მსოფლიო ბრენდი ,,Coca-cola", რომელიც ამასთანავე მსოფლიო ფრენშაიზინგის სისტემის ერთ-ერთ ლიდერად გვევლინება.

ასევე, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით ოპერირებს საქართველოში ,,McDonald's"-ი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს სწრაფი კვების რესტორნების უმსხვილეს ქსელს მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ ,,McDonald's"-ის პირველი რესტორანი საქართველოში 1999 წლის თებერვალში გაიხსნა, რომელიც ამავდროულად პირველი რესტორანია მთელი კავკასიის მასშტაბით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია ,,McDonald's"-ს ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანახმად გადაუხადოს 400 ათასა აშშ დოლარი, კონკრეტულ ადგილას 20 წლის ვადით რესტორნის გახსნის სანაცვლოდ. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ, ფრენშაიზის მიმღები ვალდებულია გადაუხადოს ფრენშაიზის მიმცემს დამატებით 40 000 აშშ დოლარი თავისი საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში [4, გვ. 14].

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე ფრენშაიზის მიმღებმა ,,ვისოლი ჯგუფმა" საქართველოში განავითარა ამერიკული რესტორნების უმსხვილესი ქსელი ,,DUNKIN' DONUTS". აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მიმღები გეგმავს ჯამში 35 რესტორნის გახსნას საქართველოში [5, გვ. 1].

საქართველოში მოქმედ კომპანიებს ასევე გააჩნიათ შიდა ფრენშაიზინგის განვითარების შესაძლებლობები. დღეისათვის რამდენიმე მათგანი აქტიურად იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას. მაგალითისათვის, საერთაშორისო საცალო ვაჭრობის წამყვანი ბრენდის ,,SPAR"-ის ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი, ,,სპარ საქართველო", ყველა ადგილობრივ საცალ მოვაჭრეს, მაღაზიას თუ მაღაზიათა ქსელს შიდა ფრენშაიზინგის ლიცენზიის მოპოვებას და ბრენდის ქვეშ გაერთიანებას სთავაზობს. ლოკალურად ,,SPAR"-ის ბრენდის ქვეშ გაერთიანება, დამოუკიდებელ საცალო მოვაჭრეებს ყველა იმ უპირატესობით სარგებლობას სთავაზობს, რითაც თავად ,,SPAR"-ი ოპერირებს. ამასთან, პროექტში ჩართვა და ,,SPAR" ლიცენზიის მოპოვება შესაძლებელია როგორც არსებული მაღაზიებისათვის, ისე ნებისმიერი მსურველი ინვესტორისა თუ მეწარმისათვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში პირველი ფრენშაიზის მიმღები შპს ,,ევროფუდია", რომელიც სწორედ აღნიშნული პროექტის საფუძველზე ჩამოყალიბდა [6, გვ. 1].

შიდა ფრენშაიზინგის მაგალითს ვხვდებით სატრანსპორტო ბიზნესშიც. კერძოდ, საერთაშორისო თურქულ სატრანსპორტო კომპანია ,,METRO"-ს ფრენშაიზის მიმღებს საქართველოში წარმოადგენს ,,მეტრო ჯორჯია", რომელთანაც თავის მხრივ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება 2015 წელს გააფორმა ზუგდიდში დაფუძნებულმა შპს ,,მეტრო +"-მა [7, გვ. 1].

საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარების დიდი შესაძლებლობები არსებობს. კერძოდ, ბიზნესის სხვადასხვა სექტორში წარმატებული არაერთი მსოფლიო ბრენდი, ქართულ კომპანიებს სთავაზობს წარმოდგენილი იყვნენ როგორც ფრენშაიზის მიმღებები. ასე, მაგალითად, მსოფლიო მოდის ბრენდი ,,ZARA" კომპანიებს თავაზობს გახდნენ ფრენშაიზის მიმღებები და შესაბამისად, თვითონ აარჩიონ ასორტიმენტისა და ფასების კატეგორია თავისი რეგიონის შესაბამისად. ამასთან, კომპანიებს მოუწევთ მცირე ოდენობის დანახარჯის გაწევა ბიზნესში შესვლისა და ასორტიმენტის განახლებისათვის; მიმღები კომპანიებისათვის ,,ZARA"-სგან ხელმისაწვდომი იქნება უფასო კონსულტაციები ყველა დამწყებ ეტაპზე და ასევე, რეკომენდაციები სავაჭრო აღჭურვილობის შერჩევასა და დამონტაჟებაზე. ამასთან, ფრენშაიზი ღებულობს პერსონალის სწავლების მზა პროგრამას და მზა მაღაზიის ადგილს. აღსანიშნავია, რომ ,,ZARA"-სგან ფრენშაიზის მიღების შემთხვევაში, ქართული კომპანია გახდება უზარმაზარი ქსელის ნაწილი, რომელიც განახორციელებს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცვლას რეგიონში მომხმარებლების მოთხოვნების თაობაზე.

საქართველოში სამშენებლო ბიზნესის გამოცოცხლების პარალელურად, საინტერესო შემოთავაზება გააჩნია მსოფლიოში ცნობილ ბრენდს ,,STALDOM"-ს, რომელიც ჩვენ ქვეყანაში მოქმედ და ახლადჩამოყალიბებულ კომპანიებს სთავაზობს კარკასული სისტემების წარმოების მინი ქარხნის მოწყობას მცირე სართულიანი შენობების მშენებლობისათვის. შემოთავაზების ფარგლებში, აღნიშნული კომპანიისაგან ფრენშაიზის მიმღები

ღებულობს პრესტიჟულ და მაღალრენტაბელურ ბიზნესს ინვესტირებული სახსრების ამოღების მოკლე პერიოდით. ასევე, მუდმივ საკონსულტაციო მხარდაჭერას ბიზნესის წარმოების საკითხებზე და შემოსავლების მიღებას სეზონის მიუხედავად. ფრენშაიზის მიმღები უზრუნველყოფილი იქნება მშენებლობის ყველა ეტაპზე ეფექტიანი კონტროლის ავტომატიზებული სისტემებით და სარეკლამო მხარდაჭერით, რაც გულისხმობს სარეკლამო საშუალებების ეფექტიან გამოყენებებას და რეკომენდაციებს ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით [8, გვ. 1].

ქვეყანაში ტურისტების ნაკადის ზრდის პარალელურად, ავტომობილების დაქირავების მსურველთა რაოდენობა მკვეთრად მატულობს. აღნიშნული ბიზნესის განვითარების პარალელურად, საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება გააჩნია ავტომობილების გაქირავების საერთაშორისო კომპანია ,,naniko"-ს. კომპანიასთან ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ, ფრენშაიზის მიმღებ ქართულ კომპანიას ენიჭება უფლება კომპანიის ბრენდის სახელით ლეგალურად აწარმოოს ბიზნესი, გამოიყენოს კომპანიის ლოგოტიპი და ბრენდის მოდელი და რაც მთავარია ისარგებლოს კომპანიის ბიზნეს მოდელით, ყველა პროგრამითა და ახალი ტექნოლოგიებით.

აღნიშნული კომპანიასთან ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ქართული კომპანია მიიღებს რჩევებს ბიზნესის განვითარების საკითხზე. ფრენშაიზის მიმღებ ქართულ კომპანიას წვდომა ექნება ,,naniko"-ს გლობალური საიტიდან ჯავშნების სისტემაზე და შიდა ჯავშნების მართვის პროგრამაზე, რომელიც ინტეგრირებულია საიტის ჯავშნის პროგრამასთან.

,,Naniko"-ს კომპანიის შემოთავაზება განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან აღნიშნული კომპანიისაგან ფრენშაიზის მიმღები განთავისუფლებულია პირველადი შესატანისაგან პირველი ერთი წლის განმავლობაში. იგი იხდის მხოლოდ სალიცენზიო გადასახადს (Royalty Fee). ამასთან კომპანია აზუსტებს რომ ფრენშაიზინგის და სალიცენზიო გადასახადის ღირებულება დგინდება კონკრეტული ქვეყნის, ფრენშაიზის მიმღები კომპანიის ავტოპარკის და სხვა მონაცემების საფუძველზე. ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული კომპანია, თავის მხრივ, ფრენშაიზის მიმღებ პოტენციურ კომპანიებს უყენებს მოთხოვნებს, კერძოდ: ფრენშაიზის მიმღებმა კომპანიებმა თავიანთი ავტოპარკი უნდა შეავსონ მინიმუმ 5 წლის ავტომობილებით, რომელთა გავლილი კილომეტრაჟი არ აღემატება 50 000 კილომეტრს. ამასთან, ფრენშაიზის მიმღები კომპანიის საბრუნავი კაპიტალი არ უნდა იყოს 150 000 აშშ დოლარზე ნაკლები, ხოლო თავისუფალი ლიკვიდური საშუალებები 80 000 აშშ დოლარზე ნაკლები. ამასთან ფრენშაიზის მიმღებს უნდა ქონდეს სუფთა საკრედიტო ისტორია ან უნდა მოიპოვს ავტოპარკის შეძენის ფინანსური წყაროები [9, გვ. 1].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს, აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან ურთიერთობის გაღმავების პარალელურად, სულ უფრო მატულობს ქვეყნის მოსახლეობის სურვილი სრულყოფილად დაეუფლოს ინგლისურ ენას. მოთხოვნილების არსებობის პარალელურად, ,,TESOL'' ინგლისური ენის მასწავლებლების გადამზადების და საერთაშორისო სერტიფიკატისა და ლიცენზირების ამერიკული ცენტრი, დაინტერესებულ პირებს საქართველოში საშუალებას აძლევს გააფორმონ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, რაც მათ საშუალებას მიცემს ააწყონ საკუთარი ბიზნესი უმოკლეს ვადებში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ფრენშაიზის მიმღები იღებს ფრენშაიზინგის ლიცენზიასა და აკრედიტაციის სერტიფიკატს. აგრეთვე, კურსდამთავრებულების მონაცემების შეყვანის შესაძლებლობას საერთაშორისო სერტიფიცირებული მასწავლებლების მონაცემთა ბაზაში; ბიზნეს ვებ-გვერდს ამერიკული ცენტრის ვებ-საიტზე და სამუშაოთა მონაცემთა ბაზაში. ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ ფრენშაიზის მიმღებმა ფრენშაიზის მიმცემს უნდა გადაუხადოს 2 699 დოლარი.

ამას გარდა, ამერიკული ცენტრი სრული დამოუკიდებლობის არჩევის შემთხვევაში 5 199 დოლარის სანაცვლოდ, ფრენშაიზის მიმღებს სთავაზობს საერთაშორისო ,,TESOL''-ის ამობურცულ ბეჭედს; აკრედიტაციასა და პრემიუმ ფრენშაიზინგის დიპლომს; ფრენშაიზის მიმღების მიერ ულიმიტო რაოდენობის სერტიფიკატების გაცემის შესაძლებლობას; 5 ქვეყანაში ფილიალების გახსნის ავტორიზაციას; დამოუკიდებლად სერტიფიცირებული მასწავლებლების ინფორმაციის შეყვანას საერთაშორისო ,,TESOL'' მონაცემთა ბაზაში [11, გვ. 1].

ფრენშაიზინგის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში სრულად მხარდაჭერილია ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მიერ რის მაგალითსაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სა-

ხელმწიფო პროგრამას ,,აწარმოე საქართველოში", 2016 წლიდან დაემატა ახალი კომპონენტი რეგიონებში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით, რაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის პარალელურად, ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებას. ამასთან, როგორც სამთავრობო პროგრამაშია აღნიშნული, ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანადაფინანსებით, რაც ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში საერთაშორისო ბრენდების შემოსვლისა და შესაბამისად, მომსახურების თანამედროვე სტანდარტების დანერგვის კუთხით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს შესაძლებლობა ეძლევა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თბილისისა და ბათუმის გარდა, ააშენოს ახალი სასტუმრო, ასევე მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის განახლება, გააფორმოს ფრენშაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე.

ფრენშაიზინგის ხელშეკრულების თანადაფინანსება (საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ხარჯების ანაზღაურება) საქართველოს ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება შემდეგი პირობებით: საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის (ფრენშაიზინგის/მენეჯმენტ კონტრაქტის) ე.წ. ,,Royalty Fee"-ს ანაზღაურების დაფინანსება პირველი ორი წლის განმავლობაში, წელიწადში არაუმეტეს 300 000 ლარისა. ასევე საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება [3, გვ. 9].

საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარების უდიდეს პოტენციალზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ 2017 წლის ივნისში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მხარდაჭერით, თბილისში პირველად, ფრენშაიზინგის საერთაშორისო გამოფენა ,,BUYBRAND Transcaucasia" გაიმართა. აღნიშნული ღონისძიება საგამოფენო ცენტრ ,,ექსპო ჯორჯიაშიო ჩატარდა და წარმოდგენილი იქნა რამდენიმე ათეული ბრენდი, რომლებმაც საკუთარ ფრენშაიზის პირობები გააცნეს ინვესტორებს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.

ღონისძიების ორგანიზატორთა მოსაზრებით, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, მართალია, ამიერკავკასიის ქვეყნებში ფრენშაიზინგის განვითარების ტენდენცია არ იგრძნობა, მაგრამ ბაზრის მოცულობა იძლევა საფუძველს, რომ უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში რეგიონში შესაძლოა გაიხსნას ათასამდე წამომადგენლობა ფრენშაიზინგის სისტემით, სადაც დასაქმდება თხუთმეტ ათასამდე ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნულ გამოფენასთან ერთად საქართველოში ბიზნეს-ფორუმიც გაიმართა, სადაც სიტყვით ფრენშაიზინგის სფეროს ექსპერტებთან და კონსულტანტებთან ერთად, მსოფლიო ფრენშაიზინგის წამყვანი კომპანიების პირველი პირები გამოვიდნენ.

არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონში ყველაზე დიდი მოთხოვნა არსებობს ფრენშაიზინგის კონცეფციებზე ,,HORECA" სისტემაში, რომელიც მოიცავს სასტუმროებს, კაფეებს, რესტორნებს, სწრაფი კვების ქსელებს, ასევე მომსახურების სფეროს პროექტებს. ამასთან, ჩვენს რეგიონში მაღალი მოთხოვნა არსებობს ე.წ. ,,საბავშვოო ფრენშაიზინგზე, ისეთი როგორიცაა: საგანმანათლებლო სკოლები, უცხო ენის სასწავლო ცენტრები, გასართობი ცენტრები და ა.შ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფრენშაიზინგის განვითარება საქართველოში რიგი სირთულეებით ხასიათდება. რიგ შემთხვევებში, ფრენშაიზის მიმღები არ ასრულებს ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაც საბოლოოდ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი ხდება. რის დასტურადაც გამოდგება ნავთობისა და გაზის ტრანსნაციონალური კომპანია ,,Lukoil"-ი, რომლის სავაჭრო ნიშნით საქართველოში რამდენიმე ათეული ავტოგასამართი სადგური მუშაობს. საიდანაც მხოლოდ ნაწილი წარმოადგენს ,,Lukoil"-ის საკუთრებას, ხოლო დანარჩენი ავტოგასამართი სადგურები კომპანიასთან ფრენშაიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობენ [10, გვ. 1].

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგურების რეგულარულად განხორციელებული შემოწმების შედეგად კომპანიამ დაადგინა, რომ რამდენიმე ავტოგასამართი სადგური არ აკმაყოფილებდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულების პირობებს და დაკისრებულ ვალდებულებებს, რაც სადგურის ტექნიკურ გაუმართაობაში და სავაჭრო ნიშნის არასწორად გამოყენებაში გამოიხატებოდა. აქედან გამომდინარე, კომპანიის გადაწყვეტილებით, ერთდროულად თერთმეტ ავტოგასამართ სადგურთან გაუქმდა ფრენშაიზინგის ხელშეკრულება.

გასათვალისწინებელია 2015 წლის ზაფხულში კონკურენციის სააგენტოს მიერ დასრულებული კვლევა ავტოსაწვავის (ბენზინი, დიზელი) სასაქონლო ბაზრის შესახებ, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ ბაზარზე 2004-2015 წლების პერიოდში მიმდინარე ტენდენციების ანალიზს. აღნიშნული პერიოდის შესწავლის შემდგომ კონკურენციის სააგენტომ დაადგინა, რომ საავტომობილო საწვავის სასაქონლო ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტების შორის დადებული ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში განსაზღვრული შეთანხმებული საცალო რეალიზაციის ფასები, წარმოადგენდა ,,კონკურენციის შესახებო საქართველოს კანონის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის დარღვევას, რაც გულისხმობს, რომ: ,,აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება, რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ: ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება)" [2, მუხლი 7].

აღნიშნული კვლევის შედეგად, ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების ფარგლებში განსაზღვრული შეთანხმებული საცალო რეალიზაციის ფასების შეფასებისას სააგენტომ შპს ,,ლუკოილ ჯორჯიასა" და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ 10 ეკონომიკურ აგენტს შორის არსებული შეთანხმება და შპს ,,რომპეტროლ საქართველოსა" და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ 13 ეკონომიკურ აგენტს შორის არსებული შეთანხმება მიიჩნია, როგორც ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის დარღვევა. ამასთან, კონკურენციის სააგენტომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ფრენშაიზინგის ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ იმოქმედონ ლოიალური კონკურენციის პრინციპის შესაბამისად, თუმცა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ლოიალური კონკურენცია არ მოიცავს კონკურენციის გამორიცხვას ფასთან მიმართებით, რასაც ადგილი ჰქონდა განსახილველ შემთხვევაში. კონკურენციის სააგენტომ გაითვალისწინა ფრენშაიზის მიმღები მხარეების პასიური როლი ხელშეკრულების პირობების ფორმირების პროცესში, ასევე მათი თანამშრომლობის მაღალი ხარისხი მოკვლევის პერიოდში და მათ დააკისრა სიმბოლური ჯარიმა, თითოეულს 200 ლარის ოდენობით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ფრენშაიზის მიმცემ კომპანიებს გაცილებით სოლიდური ფინანსური ჯარიმების გადახდამ მოუწიათ.

აქვე აღსანიშნავია, 2015 წლის ივნისში ა(ა)იპ ,,ახალგაზრდა ადვოკატებიო-ს მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებენ ძვირადღირებული ნივთების, პროდუქტებისა და სხვა საჭიროებების შეძენას მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული კომპანიები პროდუქციას საერთაშორისო ნდობის მქონე ბრენდების სახელწოდებით სთავაზობენ, თუმცა სიღრმისეულად დაკვირვების შემთხვევაში, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ასეთი კომპანიები ბაზარზე თვალთმაქცურად მოქმედებენ, შესაძლოა მათ არ გააჩნდეთ შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, არ სარგებლობდნენ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით და არც ქონდეთ რაიმე ვალდებულება, საკუთარი სტატუსის თაობაზე არსებული ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებელს.

კვლევის ჩამტარებელმა ორგანიზაციამ ყურადღება დაუთმო კომპანიების მხრიდან სასაქონლო ნიშნის გამოყენების საფუძვლის დადგენას, გააჩნდათ თუ არა რაიმე ნებართვა/ლიცენზია, უფლება, რომ გამოიყენონ უცხოური კომპანიის სახელწოდება ან ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. კვლევის პროცესში კომპანიების ,,Yves Rocher", ,,Villeroy & Boch", ,,National Geographic", ,,Forbs" და ,,Swatch" ცნობით, მათი კომპანიები დაკავშირებული არ არიან რომელიმე უცხოური კომპანიის საქმიანობასთან, დაფუძნებულია ადგილზე და არ წარმოადგენენ არც ერთი უცხოური კომპანიის ფილიალს. ამასთან, არ სარგებლობენ რომელიმე უცხოური კომპანიის შვილობილის სტატუსით.

დღეისათვის საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარების უდიდესი პერსპექტივა არსებობს, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. საქართველოში ფრენშაიზინგის სექტორი და ინდუსტრია ძირითადად აგებულია სწრაფი კვების ინდუსტრიის ირგვლივ. თუმცა, ევროპის განვითარებულ ქვეყნებისა და აშშ-ის ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში გვხვდება წარმატებული ფრენშაიზინგის მაგალითები. აქვე აღვნიშნოთ ამერიკელი ექსპერტების ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც გამოჩნდა, რომ საქართველოში ფრენშაიზინგის განვითარება განსაკუთრებით ხელსაყრელია ისეთ დარგებში, სადაც არ მოითხოვება მილიონობით დოლარის ინვესტიცია, არამედ, სადაც საჭიროა შედარებით მცირე ოდენობის ინვესტიციები. მაგალითად, სერვისის ინდუსტრიაში, ძალიან დიდია ნიშა მცირე და საშუალო კომპანიების, რომელთაც სურვილი

გააჩნიათ დანერგონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიების და გამოცდილების მეშვეობით ანალოგიური ბიზნესი საქართველოში. შესაბამისად, საქართველოსთვის ფრენშაიზინგის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა სწორედ ეს არის, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესს, ახალი ინოვაციური იდეების დანერგვის შესაძლებლობა ნაკლებად აქვს, რაც იწვევს პროდუქტიულობის დაბალ დონეს და საბოლოოდ, აისახება მათი შეტანილი არასაკმარისი წვლილით საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ლიტერატურა:


1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.
2. საქართველოს კანონი ,,კონკურენციის შესახებ",თბ., 21.03.2014
3. სამთავრობო პროგრამა ,,ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი, საქართველოსათვის", დეკემბერი, 2015
4. ზარიძე მ., ბინიაშვილი ლ., გოჩიაშვილი ს. ფრენჩაიზინგის არსი და ეკონომიკური სარგებელი, თბ., 2012.
5. https://bpn.ge/biznesi/7327-saqarthveloshi-dunkin-donuts-is-restornebi-gaikhsneba.html?lang=ka-GE
6. http://www.spar-georgia.com/ge/content/prenchaizingi
7. http://www.transparency.ge/ge/post/general-announcement/gantskhadeba-metro-jorjiastan-dakavshirebit-zugdidshi-ganvitarebul-movlenebze
8. http://staldom.ge/franchising
9. http://naniko.com/ge/franchise/
10. http://lukoil.ge/index.php?m=press_realeses&allreleases&rid=74
11. http://biznes.ge/g/98843/TESOL


## Prospects of Development of Franchising in Georgia


Levan Kalandadze

*Doctor of Business Administration*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

Franchising is important for entrepreneurial activity, has many advantages and attracts start-up businessmen. Its economic importance stipulates interest towards it, since the increased economic benefits must be embedded within the legal framework.

Nowadays, there is a huge prospect of development of franchising at both the international and the regional levels in Georgia. In addition, the development of franchising in some sectors of the Georgian economy is fully supported by the government's economic team. It should be noted that the franchising sector in our country is built around the fast food industry. However, examples of successful franchising are found in any sector of the economy of developed countries in Europe and the United States of America. The major driving force for franchising development for Georgia is to give small and medium businesses the opportunity to introduce new innovative ideas, that is an important factor in performance improvement in the future.



*Keywords: franchising, business, management model, industry, contract.*

# კომპანიების შერწყმა-შესყიდვის (შთანთქმის) გლობალური ტენდენციები

**თეა კასრაძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*

*შერწყმა და შესყიდვა (შთანთქმა) (Mergers and Acquisitions, M&A) ხშირად ერთადერთი გზაა მცირე ან ნაკლებად მომგებიანი კომპანიებისთვის ბაზარზე დასარჩენად ან სულაც გადასარჩენად. იგი გლობალური ბიზნესსტრატეგია, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმებს ახალ პოტენციურ ბაზრებზე ან ახალ ბიზნეს-სივრცეში შესასვლელად. შერწყმა-შესყიდვის გარიგებების პირველ ტალღად (ეტაპად) 1890 -1900 წლები ითვლება და აქედან მოყოლებული დღემდე მსოფლიო ეკონომიკას ამგვარი გარიგებების შვიდმა დიდმა ტალღამ გადაუარა. გლობალიზაციის გაღრმავებამ და დაჩქარებამ, საფონდო ბირჟების ბუმმა და ბაზრების მაღალი დონის დერეგულაციებმა ბიძგი მისცა შერწყმა-შესყიდვის გარიგებების ფართომასშტაბიან ზრდას. თუმცა, კვლევებმა აჩვენა, რომ მათი უმეტესობა წარუმატებელი აღმოჩნდა. შერწყმა-შესყიდვის გარიგებების ზრდის გლობალური ტენდენცია საქართველოშიც შეინიშნება. ამ მხრივ 2016 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. აღნიშნული გარიგებებით გაჯანსაღდება თუ პირიქით დასუსტდება კონკურენტული გარემო, ხელოვნურად გაიზრდება ფასები თუ პირიქით შემცირდება, დაცული თუ პირიქით უგულვებელყოფილი იქნება მომხმარებელთა ინტერესები - ამას დრო გვიჩვენებს. ისევე როგორც იმას, მთავარი მიზანი, რისთვისაც აღნიშნული გარიგებები შედგა, მიღწეული იქნება თუ ისინიც იმ გლობალური გარიგებების რიცხვში აღმოჩნდებიან, რომლებიც კრახით დასრულდა.*

*საკვანძო სიტყვები: შერწყმა და შესყიდვა; გარიგებები; კონკურენცია; მონოპოლიზაცია.*

შერწყმა და შესყიდვა (Mergers and Acquisitions, M&A) ხშირად ერთადერთი გზაა მცირე ან ნაკლებად მომგებიანი კომპანიებისთვის ბაზარზე დასარჩენად ან სულაც გადასარჩენად. ის გლობალური ბიზნესსტრატეგიაა, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმებს ახალ პოტენციურ ბაზრებზე ან ახალ ბიზნესსივრცეში შესასვლელად [1, გვ. 521].

ბოლო პერიოდში საქართველოშიც და ქართულ კომპანიებთან მიმართებითაც არაერთი შერწყმა და შესყიდვის გარიგება განხორციელდა. ზოგიერთ მათგანს დიდი ინტერესი და გამოხმაურება მოყვა როგორც საზოგადოების, ასევე ბიზნესწრეების მხრიდან. გაჩნდა არაერთი კითხვა: რამდენად კანონის დაცვით განხორციელდა ისინი? შეიცავდა თუ არა ბაზრის მონოპოლიზების ნიშნებს? გახდა თუ არა ეს გარიგებები ანტიმონოპოლიური სამსახურის მხრიდან ინტერესის ობიექტი? შეუწყობს თუ არა ხელს ეს გარიგებები შემდგომში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას? ხომ არ მოხდება ფასების ზრდა? და სხვ.

სამწუხაროდ, საქართველოში ამგვარი გარიგებები, მათი მოტივები და შედეგები (მიღწეულია თუ არა ის მიზნები, რისთვისაც გარიგებები განხორციელდა) მეცნიერულად, ფაქტობრივად შეუსწავლელია. უფრო მეტიც, არ არის ერთიანი მიდგომა ტერმინის „Mergers and Acquisitions" ქართულ შესატყვისში. „Acquisitions" პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება როგორც შეძენა, შესყიდვა და სწორედ შერწყმა-შესყიდვის სახელწოდებით მოიხსენიებს M&A გარიგებებს არაერთი ქართველი ავტორი და გარიგებაში ჩართული (როგორც მხარე ან კონსულტანტი) კომპანია. თუმცა, თავისი არსით, იგი ერთი კომპანიის მიერ მეორის აბსორბციას, შთანთქმას, შესრუტვას, დაუფლებას უფრო გულისხმობს.

ბუნებრივია, სანამ ზემოთ ხსენებულ კითხვებს დავსვამდეთ, სასურველია, გავერკვეთ თავად „Mergers and Acquisitions" გარიგების არსსა და ბუნებაში და როგორია ამ მიმართულებით მსოფლიო პრაქტიკა.

შერწყმა-შესყიდვას ისეთივე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც ვაჭრობას. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის განხორციელდა პირველი შერწყმა-შესყიდვის ოპერაცია, არ არსებობს. მიუხედავად ამისა შერწყმა-შესყიდვის გარიგებების ისტორია რამოდენიმე ტალღად (ეტაპად) შეიძლება დაიყოს [2,გვ.2-7]:

**შერწყმისა და შთანთქმის პირველი ტალღა** 1890 -1900 წლებს მოიცავს, როდესაც აშშ-ის კომპანიები შეეცადნენ თავისი საქმიანობის სფეროში მონოპოლიების შექმნას, ე.წ. "Trust"-ების შექმნით ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზით. აშშ-ის კონგრესი გამოეხმაურა შერწყმის ამ ტალღას 1890 წელს შერმანის (Sherman) ანტი-

მონოპოლიური კანონის, ე.წ შერმანის აქტის მიღებით, რომლის მიზანი იყო მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლა, რათა თავიდან აეცილებინათ კონგლომერანტების მიერ კონტროლირებად სექტორებში ფასების ზრდა. 1890-1905 წლებში 1800-ზე მეტი კომპანიის შერწყმა და შთანთქმა განხორციელდა, რომელთაგან უმეტესობა კრახით დსრულდა, რადგან ეფექტიანობის სასურველი დონე ვერ იქნა მიღწეული. აღნიშნულმა 1903 წელს აშშ-ში ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია, რასაც 1904 წელს საფონდო ბირჟის კოლაფსი მოყვა.

პირველი მსოფლიო ომი გახდა მიზეზი შერწყმის პირველი ტალღის შეჩერების.

**მეორე ტალღა** 1926-1929 წლებში განხორციელდა. აშშ-ში მკაცრი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამო მონოპოლიების შექმნა გართულდა, რის გამოც მე-2 ტალღა ხასიათდება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებს შორის ოლიგოპოლიების და ვერტიკალური გაერთიანებების შექმნით. ამ პერიოდში მოხდა გიგანტური საავტომობილო კორპორაციების შერწყმა, მაგ. „.”†–‘“-‘ პერიოდში აერთინებდა ფოლლადის მომწოდებლებს, რკინიგზას და აწყობილ მანქანებს. უმთავრესი ფაქტორი, რამაც დასაბამი მისცა მე-2 ტალღის დაწყებას იყო დიდი მოცულობის საინვესტიციო კაპიტალის არსებობა აშში-ში, რომლის დაგროვების მიზეზიც პირველი ომის შემდგომი ეკონომიკური ბუმი იყო. ამ პერიოდში შეიქმნა პირველი ფართომასშტაბიანი კონგლომერატები. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამერიკული საინვესტიციო ბანკები. ისინი იყვნენ გარიგებების მთავარი ფასილიტატორები. ამ პერიოდში შექმნილი კონგლომერანტებია IBM, General Motors, John Deere and Union Carbide. კაპიტალის ხელმისაწვდომობა გახდა როგორც დიდი ოდენობით შერწყმა-შთანთქმის ოპერაციების განხორციელების, ასევე 1929 წელს აშშ-ს საფონდო ბირჟის კრახის მიზეზი, რაც დიდი დეპრესიით დასრულდა. დიდი დეპრესიის დაწყებამ შერწყმა-შესყიდვის მე-2 ტალღის დასრულება განაპირობა.

**შერწყმა-შესყიდვის მესამე ტალღა 1965-1969 წლებს** მოიცავდა და მისთვის დამახასიათებელი იყო კომპანიებსშორისი დივერსიფიკაცია. მესამე ტალღაც, მეორეს მსგავსად, გამოწვეული იყო ეკონომიკური ბუმით, რამაც ბაზარი იაფი კაპიტალით წალეკა. ეს ტალღა ცნობილია კონგლომერატების შერწყმის ფაზად. ამ პერიოდში მოხდა შერწყმის ბუნების ცვლილება. დაიწყო ისეთი ტიპის გარიგებების განხორციელება, როგორიც მანამდე უჩვეულო იყო. მაგ. პატარა კომპანიების მიერ დიდი კომპანიების შესყიდვა/შთანთქმა და ოპერაციების დაფინანსება აქციების პირველადი საჯარო შეთავაზებით (IPOs) და სააქციო სვოპებით (equity swaps). ამ პერიოდში შექმნილი კონგლომერატები მაქსიმალურად დივერსიფიცირებული იყო წარმოებული საქონლისა და მომსახურების მიმართულებით. ამის მაგალითია ITT -ის (International Telephone & Telegraph) მიერ Avis Rent a Car (მანქანის გაქირავების კომპანია) და Sheraton Hotels შეძენა. მიზეზი ამგვარი დივერსიფიკაციის იყო ანტიმონოპოლიური გარემო აშშ-ში. კლეიტონის აქტი, რომელიც მიღებული იქნა 1914 წელს კრძალავდა კომპანიის მიერ სხვა კომპანიის აქციების შესყიდვას, თუ ასეთი შერწყმა მნიშვნელოვნად ამცირებდა კონკურენციას დარგში. მაგრამ კლეიტონის აქტს ქონდა გეპი (ხარვეზი). იგი კრძალავდა აქციების და არა აქტივების შეყიდვას. 1950 წელს ეს სიცარიელე ამოვსებული იქნა კონგრესის მიერ the Celler-Kefauver Act-ის მიღებით, რომელმაც გააძლიერა კლეიტონის აქტი და კომპანიებს დაუტოვა ალტერნატივა ჩამოყალიბებულიყვნენ კონგლომერატების სახით (სხვადასხვა ბიზნეს სფეროს კომპანიების გაერთიანება). მე-3 ტალღა დასრულდა 1969 წელს აშშ-ს მთავრობის ძალისხმევით მოეხდინა კონგლომერატების დანაწევრება და შეეჩერებინა შერწყმა--შესყიდვების გარიგებები, რომლებიც ასუსტებდნენ კონკურენციას. გარდა ამისა ამ პერიოდში შექმნილი კონგლომერატების ფინანსური შედეგებიც არც ისე სახარბიელო იყო.

**მეოთხე ტალღა დაიწყო 1981 წლიდან** და ხასიათდებოდა კომპანიების მიერ სხვა კომპანიის მტრული ჩაყლაპვით (hostile takeovers) - აქციების შესყიდვით ბაზარზე კომპანიების მენეჯმენტის ან მთავარ აქციონერების სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს ტალღა წინამორბედი სამისგან განსხვავდებოდა თავისი მასშტაბურობით და სამიზნე კომპანიების ცნობადობით, რის გამოც მას „მეგა შერწყმების“ ტალღა უწოდეს. გარიგებები ძირითადად სესხებით იყო დაფინანსებული. მე-4 ტალღა დასრულდა 1989 წელს 80-იანი წლების ეკონომიკური ბუმის დასრულებასთან ერთად. 1990 წელს დაწყებულმა ხანმოკლე ეკონომიკურმა რეცესიამ მე-4 ტალღის დროს შერწყმული ბევრი კომპანიის კოლაპსი გამოიწვია.

**მეხუთე ტალღის** დაწყებას ბიძგი მისცა გლობალიზაციის გაღრმავებამ და დაჩარებამ, საფონდო ბირჟების ბუმმა და ბაზრების მაღალი დონის დერეგულაციებმა 1992 წელს. ეს იყო ფარტომასშტაბიანი გარიგებების

ტალღა, ისევე როგორც მე-4 ტალღა. თუმცა ამ ტალღის დროს მე-4 ტალღის შეცდომები გათვალისწინებული იქნა და განხორციელებული გარიგებები უფრო მეტად სტრატეგიულ ხასიათს ატარებდა, ორიენტირებული იყო გრძელვადიან შედეგზე და არ ქონდა ლევრიჯის მაღალი დონე. უმეტესი გარიგებები დაფინანსებული იყო სესხისა და აქციების გონივრული შეთანწყობით. შეიძლება ითქვას, რომ მე-5 ტალღა იყო შერწყმა-შესყიდვის პირველი საერთაშორისო ტალღა. 90-იანი წლები ითვლება შერწყმა-შესყიდვის საერთაშორისო გარიგებების (ე.წ. cross-boarder mergers and acquisitions) “ოქროს ხანად“. ამ პერიოდში დაახლოებით 200%-ით გაიზარდა ამგვარი გარიგებების მოცულობა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რომლის მიზეზიც რეგიონის სახელმწიფოების ღია, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა გახდა, რაც მიმზიდველს ხდის ქვეყნებს ამგვარი გარიგებების განსახორციელებლად.

დიდი ბიზნეს გარიგებები განხორციელდა ევროპასა და აზიაშიც, ძირითადად საბანკო და ტელეკომუნიკაციების დარგში. მეხუთე ტალღა დასრულდა 2000 წელს საფონდო ბირჟაზე საპნის ბუშტის გასკდომით.

**შერწყმა-შესყიდვის მეექვსე ტალღა 2001-2008 წლებს მოიცავს** და მას სტიმული მისცა დოლარის დიდმა ნაკადმა ბაზარზე, რაც ეკონომიკის სტიმულირების მიზნით აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ სარგებლის განაკვეთის დაწევამ განაპირობა. M&A გარიგებებმა იმატა ბაზრის მაღლი ლიკვიდურობისა და იაფი კაპიტალის პირობებში. თუმცა ამ პირობებმა წარმოშვა დამახინჯებებიც (distortions), განსაკუთრებით სამიზნე კომპანიების ფასებში. კომპანიების მიერ, სპეკულაცის და რისკების გაუცნობიერებლობის გამო, დიდი რესურსების „გაფუჭებულ“ აქტივებში დაბანდებამ მათი ღირებულების ზედმეტად შეფასება გამოიწვია. შედეგად 2007 წელს დაიწყო კრიზისი, რამაც მსოფლიო ეკონომიკა დიდ რეცესიაში ჩააგდო და მე-6 ტალღაც დასრულდა.

**2014 წელს შერწყმა-შესყიდვის ახალი, მეშვიდე**, ტალღა დაიწყო, რომელიც დღემდე გრძელდება და წინამორბედი ტალღებისგან გარიგებების მასშტაბურობით გამოირჩვა. 2014 წლის განმავლობაში მსოფლიოში განხორციელებული შერწყმა-შესყიდვის გარიგებების მოცულობამ 3,230 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 47,7%-ით აჭარბებდა და მხოლოდ 11%-ით ჩამორჩებოდა 2007 წლამდე (კრიზისამდე პერიოდის) ანალოგიურ მაჩვენებელს. გარიგებების საერთო ღირებულების დაახლოებით 43% (1,399 მლრდ აშშ დოლარი) საერთაშორისო ე.წ. cross-border გარიგებებზე მოდიოდა [3,გვ.3].

**2011-2016 წწ-ებში მსოფლიოში განხორციელებული შერწყმა-შესყიდვის გარიგებების ღირებულება (მლრდ. აშშ დოლარში) [4]**

გრაფიკი 1




მიუხედავად 2016 წელს გარიგებების საერთო რაოდენობის 17%-იანი შემცირებისა 2015 წელთან შედარებთ, 2011 წლიდან მოყოლებული შერწყმა-შესყიდვის გარიგებები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2016 წელს მსოფლიოში სულ 17,369 გარიგება განხორციელდა, რომლის ჯამურმა ღირებულებამ 3,2 ტრლნ აშშ დოლარი შეადგენდა. აქედან 1,3 ტრლნ აშშ დოლარი ღირებულების ე.წ. cross-border გარიგებები იყო.

M&A გარიგებების რაოდენობით და ღირებულებით 2016 წელს აშშ კვლავ უცვლელი ლიდერია ბაზარზე. აქედან აშშ-ში 2016 წელს განხორციელებული M&A გარიგებების საერთო რაოდენობა 12,524 იყო

ღირებულებით 1,5 ტრილიონი აშშ დოლარი. აშშ-ში 2016 წელს განხორციელებული უმსხვილესი M&A გარიგების, AT&T Inc-ის მიერ Time Warner Cable-ის შესყიდვა, ღირებულება 105 მლრდ. აშშ იყო [5,გვ.7].

ევროპაში ყველაზე მეტი შერწყმა-შესყიდვის გარიგება 2015 წლის მე-2 კვარტლიდან 2017 წლის მე-2 კვარტლამდე პერიოდში დიდ ბრიტანეთში განხორციელდა. შემდეგ მოდიან საფრანგეთი და გერმანია(იხ. გრაფიკი 2).

ევროპაში განხორციელებული შერწყმა და შესყიდვის გარიგებების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით 2013 წლის Iკვარტლიდან 2015 წლის I კვარტლამდე პერიოდში: [6]




ამავე პერიოდში, აზიაში გარიგებების რაოდენობით ლიდერობენ ჩინეთი და ჰონგკონგი, შემდეგ კი იაპონია, ავსტრალია და ინდოეთი.

აზიაში განხორციელებული შერწყმა და შესყიდვის გარიგებების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით 2015 წლის II კვარტლიდან 2017 წლის II კვარტლამდე პერიოდში: [7]




შერწყმა-შესყიდვის გარიგებებთან დაკავშირებული ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები მართლაც შთამბეჭდავია, მაგრამ გარიგებების დიდი რაოდენობა და მოცულობა სულაც არ ნიშნავს გარიგებების წარმატებულობას. ჰარვარდის ბიზნეს მიმოხილვის (HBR - Harvard Business Review) 2015 წლის ანგარიშის თანახმად წარუმატებელი შერწყმა-შესყიდვის გარიგებების რაოდენობა 70%-დან 90%-მდე მერყეობს. კომპანიამ შეისწავლა 2500 შერწყმა-შესყიდვის გარიგება და აღმოჩნდა, რომ 60%-ზე მეტ შემთხვევაში მესაკუთრეთა კეთილდღეობა გაუარესდა ამ გარიგებებით, ანუ გარიგების მთავარი მიზანი ვერ იქნა მიღწეული, რის მიზეზადაც არასწორად გათვლილი რისკები და წინასწარი შეფასებებია დასახელებული

[8].

მიუხედავად ამგვარი, არცთუ სახარბიელო, სტატისტიკისა, შერწყმა-შესყიდვის გარიგებების რაოდენობა მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2008 წლის კრიზისის შემდეგ კომპანიები გააქტიურებულნი არიან ამ მიმართულებით, რადგან მარტო ორგანული (შინაგანი) ზრდით და ხარჯების შემცირებით მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგის მიღება შეუძლებელია. როგორც სჩანს მენეჯერები თვლიან, რომ ზრდის „ყიდვა" უფრო მარტივია, ვიდრე „აშენება" [2, გვ.7].

შერწყმა-შესყიდვის გარიგებების ზრდის ტენდენცია განვითარებად ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოშიც შეინიშნება. როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ, საქართველოშიც შესყიდვისა და შერწყმის არაერთი გარიგება დაიდო ბოლო პერიოდში საბანკო, სადაზღვევო, კომუნიკაციების და ფარმაცევტულ ბაზარზე. 2016 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა ამ გარიგებების მასშტაბურობით. მინდა ყურადღება რამოდენიმე, ქართული ბაზრისთვის უმსხვილეს, გარიგებაზე გავამახვილო:

2016 წელს "თიბისი ჯგუფსა" და ფრანგულ „სოსიეტე ჟენერალს" შორის გაფორმებული შეთანხმების თანახმად "თიბისი ბანკმა" ბანკების ხუთეულში შემავალი „ბანკი რესპუბლიკის" აქციების 93.7% (სოსიეტე ჟენერალის 100%-იანი წილი) 315 მლნ ლარად შეიძინა. ბანკ "რესპუბლიკის" ყიდვის პარალელურად, თიბისი ბანკმა, ასევე შეიძინა „პროგრესს ბანკის" - 108 მლნ ლარის აქტივები და 108 მლნ ლარის დეპოზიტები. ეს ტრანზაქცია უდიდესია ქართული შერწყმა-შესყიდვის ისტორიაში და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მოვლენას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. შერწყმის შედეგად "თიბისი ბანკი" გახდა ლიდერი ბანკი საქართველოში სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით. "თიბისი ბანკის" ბაზრის წილი მთლიან სესხებში გაიზარდა 7.3 % -ით და მიაღწია 35.7 %-ს, ხოლო დეპოზიტებში შეადგენს 34.5 %-ს. "თიბისი ბანკის" პოზიციები ბაზარზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა ყველა საოპერაციო სეგმენტში, განსაკუთრებით კი საცალო საბანკო მომსახურების მიმართულებით. კლიენტების რაოდენობა მიუახლოვდა 2 მლნ-ს, გაფართოვდა მომსახურების ქსელი - ფილიალების რაოდენობა გაიზარდა 169-მდე, ხოლო ბანკომატების – 517-მდე. "თიბისი ბანკი" გაძლიერდა გამოცდილი, მაღალკვალიფიციური კადრებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ შერწყმა-შესყიდვის შედეგად ჩამოყალიბებულ ძლიერ ბანკს შესწევს უნარი პოზიტიური გავლენა მოახდინოს როგორც მომხმარებელზე, ასევე ეკონომიკაზე მთლიანობაში (დაწიოს სარგებლის განაკვეთები, გასცეს გრძელვადიანი სესხები და მეტი მსხვილი პროექტი დააფინანსოს), საზოგადოება მაინც ეჭვის თვალით უყურებს ამ გარიგებას. არსებობს რეალური საშიშროება, რომ ეს გაერთიანება მონოპოლიაში გადაიზარდოს. საბანკო ბაზარზე ორი მსხვილი ბანკი - "თიბისი" და "საქართველოს ბანკი" რჩება და კონკურენციის სიმცირის გამო დღეს სწორედ ისინი აწესებენ ფასებს ბაზარზე. ასეთი სიტუაცია ლოგიკურია, როდესაც კონკურენცია ნაკლებია და ეს არც ეკონომიკისთვის, არც მომხმარებლისთვის დადებით შედეგს არ მოიტანს. მეორე მსხვილი გარიგება 2016 წელს კომუნიკაციების სფეროში შედგა შპს „კავკასუს ონლაინსა" და შპს „'–‗''"‡" შორის, რომლის საფუძველზეც კავკასუს ონლაინმა მაგთიკომს გადასცა თავისი კორპორატიული და საცალო მომსახურება. ამ გარიგებით მაგთიკომი გახდა საქართველოში პირველი და ერთადერთი ოპერატორია, რომელიც სრულ ოთხმაგ სერვისს სთავაზობს მოსახლეობას (მობილური ტელეფონი, ფიქსირებული ტელეფონი (რადიო და საკაბელო), ინტერნეტი (მობილური და საკაბელო) და ტელევიზია (თანამგზავრული და IPTV)). ამავე წელს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თანხმობით მაგთიკომმის მიერ კიდევ ერთი შერწყმა-შეძენის მსხვილი გარიგება განახორციელდა - „დელტაკომის" 100%-იანი წილის შესყიდვა. დელტაკომის შესყიდვით მაგთიკომმა ინტერნეტის რეგიონალური წვდომის არეალი მნიშვნელოვანდ გააფართოვა, რასაც როგორც მომხმარებლების, ისე ტელესაკომუნიკაციო დარგის და მთლიანად ქართული ეკონომიკისათვის სასიკეთო შედეგების მოუტანა შეუძლია.

რაც შეეხება რისკებს, ამ გარიგებით, როგორც კომუნიკაციის ეროვნული კომისია აღნიშნავს, ბაზრის სტრუქტურა მნიშვნელოვნად ვერ შეიცვლება, რამენადაც საცალო ბაზარზე დელტაკომი ძალიან პატარა წილით არის წარმოდგენილი. მას დაახლოებით 32 ათასი საცალო მომხმარებელი ჰყავს.Jმაგრამ ის არის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მფლობელი. საცალო შემთხვევაში ბაზრის სტურუქტრა ოდნავ შეიცვლება, არაუმეტეს 6%-7%-ისა. ინფრასტრუქტურულ შემთხვევაში ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კომპანია და არსებობს რისკი, რომ მაგთიკომმა საბითუმო ბაზარზე ძალაუფლება ბოროტად გამოიყენოს - საცალო მომსახურების სეგმენტზე კონკურენტებს გაუძვიროს საბითუმო მომსახურება და შეზღუდოს კონკურენტები სხვადასხვა

ქმედებებში. სწორედ ამ რისკის შესამცირებლად კომუნიკაციის ეროვნული კომისიის რეკომენდაცით, არ მოხდა კომპანიების ერთმანეთთან შერწყმა და მაგთიკომმა მხოლოდ 100%-იანი წილის შესყიდვა განახორციელა. თუმცა, საეჭვოა, რომ ამან რეალურად შეამციროს ზემოთხსენებული რისკი.

კიდევ ერთი საინტერესო შერწყმა-შესყიდვის გარიგება შედგა 2016 წელს ფარმაცევტულ ბაზარზე. საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის „ეი-ბი-სი ფარმაციას" ABC Pharmacia, რომელმაც 2015 წლის შემდეგ დომინანტური პოზიცია (მე-2 ადგილი „პსპ'-ს შემდეგ) ეკავა ქართულ სააფთიაქო ბაზარზე, „ჯი-პი-სის"-თან გაერთიანება. გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი კორპორაცია - „ქართული აფთიაქი" Georgian Pharmacy, შემოკლებით GEPHA, რომელიც აერთიანებს „ფარმადეპოს" და „ჯი-პი-სის" მართვას. საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის წილი ახალ კომპანიაში 67%-ია, დარჩენილი 33% აქციების მფლობელი კი "ფარმადეპოა". საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა "ფარმადეპოს" აქციებში 25 მლნ დოლარი გადაიხადა, აქციების 33%-ს კი ახალ ფარმაცევტულ კომპანიაში "ფარმადეპოს" 2 აქციონერს გადასცა.

თუ ზემოთ მოყვანილი სამი გარიგების შემთხვევაში არ მოითხოვებოდა კონკურენციის სააგენტოს წინასწარი შეფასება (კონკურეენციის სააგენტოს მხრიდან შეფასების ობიექტს არ წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს წარმომადგენელი კომპანიების საქმიანობის შესწავლა. ასეთ შემთხვევებში შერწყმა--შესყიდვის გარიგების საბოლოოდ გაფორმებამდე მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი ინსტიტუტების - ეროვნული ბანკის, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის და სხვ. წინასწარი შეფასება და თანხმობა გარიგებაზე), ამ უკანასკნელისთვის ეს შეფასება სავალდებულო იყო.

კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია თანხმობა მისცეს გაერთიანებაზე თუ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონისა და ამ წესის რეგულირების სფეროში, მაგრამ არსებითად არ ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას ქვეყნის სასაქონლო/მომსახურების ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობასთან დაკავშირებით ან მიიღოს გადაწყვეტილება გარიგების დაუშვებლობის/აკრძალვის შესახებ თუ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონისა და ამ წესის რეგულირების ქვეშ და არსებითად ზღუდავს ეფექტურ კონკურენციას საქართველოს (ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის) სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და რომლის შედეგია დომინირებული მდგომარეობის მოპოვება ან გაძლიერება [9].

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის სააგენტომ იცოდა, გარიგებით GEPHA მთლიანი ბაზრის 25% დაიკავებდა, რითაც ბაზრის დომინანტ პოზიციაზე - პირველ ადგილზე გადაინაცვლებდა და ბაზრის ძირითადი მოთამაშეების რაოდენობაც ხუთიდან ოთხამდე შეამცირდებოდა, მაინც ვერ დაინახა ბაზრის მონოპოლიზების და კონკურენციის შესუსტების ნიშები და გარიგებაც შედგა [10].

აღნიშნული გარიგებებით გაჯანსაღდება თუ პირიქით დასუსტდება კონკურენტული გარემო, ხელოვნურად გაიზრდება ფასები თუ პირიქით შემცირდება, დაცული თუ პირიქით უგულვებელყოფილი იქნება მომხმარებელთა ინტერესები - ამას დრო გვიჩვენებს. ისევე როგორც იმას, მთავარი მიზანი, რისთვისაც აღნიშნული გარიგებები შედგა, მიღწეული იქნება თუ ისინიც იმ 70%-დან - 90%-მდე გარიგებების რიცხვში აღმოჩნდებიან, რომლებიც კრახით დასრულდა.

ლიტერატურა:


1. Mergers and Acquisitions: A Conceptual Review, Muhammad Faizan Malik, International Journal of Accounting and Financial Reporting, Vol. 4, No. 2, 2014
2. Marcos Cordeiro, The seventh M&A wave, http://camaya.com.br/wp-content/uploads/2016/06/The-seventh-MA-wave.pdf
3. Global and regional M&A: 2014, http://www.mergermarket.com/pdf/Mergermarket%202014%20M&A%20Trend%20Report.%20Financial%20Advisor%20League%20Tables.pdf
4. https://www.statista.com/statistics/267369/volume-of-mergers-and-acquisitions-worldwide/
5. Global and regional M&A: Q1-Q4 2016,
6. http://www.mergermarket.com/pdf/MergermarketFinancialLeagueTableReport.Q42016.pdf

7. https://www.statista.com/statistics/247127/m-and-a-deal-value-in-europe/
8. https://www.statista.com/statistics/247104/m-and-a-deal-volume-in-asia-by-target-country/
9. Alan Lewis, Dan McKone, So many M&A deal fail because companies overlook this simple strategy, HBR, may, 2016. https://hbr.org/2016/05/so-many-ma-deals-fail-because-companies-overlook-this-simple-strategy
10. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, მუხლი 11
11. ფარმაცეტული ბაზარი საქართველოში, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2016

## Global Trends of Mergers and Acquisitions

**Tea Kasradze**

*Academic Doctor of Economics, Professor*
*Caucasus International University*

**R e s u m e**

For small or less profitable companies, merger and acquisition (M&A) often is the only way to keep the place in market or survive in general. It is the global business strategy allowing the companies to enter potential markets or new business environment. 1890-1900 years are considered as the first wave of the mergers and acquisitions acts, thus, since then, the world economics has seen seven huge waves of such deals. Accelerating and developing of globalization, stock exchange boom and high level deregulation of markets stimulated large-scale growth of M&A deals. However researches show that most of the deals failed. Global tendency of mergers and acquisitions growth is revealed in Georgia as well. 2016 was especially remarkable. Time will show whether the given deals will improve or weaken the competitive environment, prices will rise or cut off, interests of the consumers will be ignored or protected. It will also show whether the main goal of these deals is reached or they will fall among those global deals that failed.

*Keywords: Mergers and Acquisitions; Deals; Competition; Monopolization.*

# ფრინველებზე დაკვირვება - საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების კიდევ ერთი შესაძლებლობა


ნანა კაციტაძე

*ასოცირებული პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

გვანცა კიკნაძე

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია აშშ-სა და ევროპაში უკვე ტრენდად ქცეული ტურიზმის ახალი მიმართულება - „ფრინველებზე დაკვირვება“, რომელიც წარმოადგენს მდგრად განვითარებაზე აქტიურად ორიენტირებულ ეკოტურიზმის მიმართულებას. კვლევაში მოცემულია ყურადღება გამახვილებულია ბაზარზე ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის წარმოშობის საფუძვლებზე და განვითარების მიმართულებებზე. შესწავლილი და დადასტურებულია საქართველოში ტურიზმის ამ მიმართულების განვითარებისათვის უნიკალური შესაძლებლობები, რაც ემყარება ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის განმსაზღვრელ ძირითად, ბუნებრივ, რესურსებს (გადამფრენი, მოგრანტი და ადგილობრივ ფრინველტა სახეობების მრავალფეროვნება და მრავალრიცხოვნება, საქართელოს სიახლოვე პოტენციურ სეგმრნტებთან საერთაშორისო ბაზრზე). ნაჩვენებია საქართველოს რეგიონებისათვის მისი განვითარებით სოციო-ეკონომიკური ეფექტიანობა მდგრადი განვითარების კონტექსტით.*



*საკვანძო სიტყვები: მდგრადი ტურიზმი, ფრინველებზე დაკვირვება, საქართველოს ტურიზმი.*


თანამედროვე ტურიზმში, ბოლო ათწლეულში აქტიურად ჩნდება მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, არასტანდარტული ტურიზმის ფორმები, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროა და ტურისტების რეკრეაციის გაუმჯობესებაზეა კონცენტრირებული. ზოგადად კი ეს არის განვითარება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკოტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე ეგზოტიკური ფორმა - ფრინველებზე დაკვირვება (Birdwatching). ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადამიანთა ახალი გატაცება, დატკბეს ფრინველთა ქცევის ცქერით ბუნებრივ გარემოში, სულ უფრო პოპულარული ხდება. მასში ჩართულია 80 მლნ-ზე მეტი ადამიანი. ეს არის ჰუმანური ნადირობა ჭოგრიტებითა და კამერებით [1]; [2]; [3].

ბერდვოჩერებისათვის ამ მიმართულებით აქტივობა ძირითადად ხორციელდება რეკრეაციული ან სოციალური მიზნებით და განსხვავდება ორნიტოლოგების საქმიანობისაგან, რომლებიც ფრინველებს სამეცნიერო მიზნებით და კვლევის ფორმალური მეთოდების გამოყენებით შეისწავლიან [1];[2].

ტერმინი "ბერდვოჩინგი“ (Birdwatching), რაც ქართულად ფრინველებზე დაკვირვებას გულისხმობს, უკავშირდება 1901 წელს ორნითოლოგ („ორნითოლოგია“ფრინველების შემსწავლელი დარგი) ედმუნდ სელოუს წიგნის გამოქვეყნებას სახელწოდებით "Birdwatching» (ფრინველებზე დაკვირვება). იმ პერიოდისათვის უკვე პოპულარული მოძრაობის აღსანიშნავად ეს ფრაზა სწრაფად დამკვიდრდა და დღესაც მრავალ ენაში „ბერდვოჩინგი“ გამოიყენება, როგორც სლენგი, ამასთან ბერდვოჩერებს მოყვარულ ორნიტოლოგებსაც უწოდებენ[1];[2].

ფრინველებზე დაკვირვების მიმართულებით მოძრაობამ ევროპასა და აშშ-ში წარმოშვა ინდუსტრია, რომელიც ბერდვოჩერებს სთავაზობს სპეციალურ აღჭურვილობას (ტანსაცმელს, გამლიერებული ხედვის ჭოგრიტებს, ფოტოაპარატებს, კამერებს. სპეციალურ მაგნიტოფონებს ფრინველთა ხმის ჩასაწერად, თავშესაფარებს და სხვა) იქმნება კლუბები ბერდვოჩერებისათვის, ბეჭდავენ ლიტერატურას ფრინველთა აღწერით, რომლებშიც ხვდება მათ მიერ გადაღებული ფრინველთა ფოტოები, რაც შემდგომ მათი სიამაყის ობიექტი ხდება.

ველურ ცხოველთა დაცვის აშშ-სსამსახურის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად ბერდვოჩერების (ფრინველებზე დამკვირვებლები, ორნიტოლოგ-მოყვარულები) წვლილი 2006 წელს აშშ-ს მშპ-ში შეადგენდა 36 მილიარდ აშშ. დოლ., ხოლო ამერიკის მოქალაქეების მეხუთედი იდენტიფიცირებული იქნა, როგორც ბერდვოჩერი [3]

ფრინველებზე დაკვირვების პოპულარიზაციას განსაკუთრებული იმპულსი შესძინა 1934 წელს ამერიკელი მხატვრის როჯერ ტორი პეტერსონის ფრინველთა ცნობარის გამოსვლამ, ამგვარი საცნობარო წიგნები ფრინველებთან დაკავშირებით დღესაც მრავალრიცხოვანი ტირაჟით იბეჭდება აშშ-სა და ევროპაში და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს [3].

შეიძლება ითქვას, რომ ფრინველებზე დაკვირვება დღეს მსოფლიო ტრენდი ხდება[5]. ამგვარი პოპულარობის მიზეზი პირველ რიგში, უნდა ვეძებოთ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებით გამოწვეული აუცილებლობით, გაექცეს ყოველდღიურ რუტინას და ასევე მიდრეკილებებში, რომელიც ყალიბდება თანამედროვე საზოგადოებაში. საინტერესოა იმ ადამიანთა მოტივაციები, რომლებიც მზად არიან ამგვარი ტურებისთვის გადაიხადონ სოლიდური თანხები, ნებისმიერ ამინდში ადგნენ რიჟრაჟზე, ფეხით გაიარონ სახიფათო ადგილებში ათეულობით კილომეტრი და მოთმინებით ელოდონ იშვიათ ჩიტთან შეხვედრას.

თუ რატომ გახდა არაპროფესიონალებს შორის მაინცდამაინც ჩიტი დაკვირვების ასეთი პოპულარული ობიექტი, ამასთან დაკავშირებით მეცნიერების მოსაზრებას ძირითადად პრაქტიკული საფუძველი აქვს. კერძოდ, მსოფლიოში ჩიტის მრავალი სახეობაა (9600) და ამავე დროს იმდენი, რამდენიც საშუალებას იძლევა გაერკვეს არაპროფესიონალიც (მაგ. მწერები 1მლნ-ზე მეტია და ეს უკვე სირთულეა არაპროფესიონალისთვის). ფრინველები ყველაზე დიდ ქალაქებშიც კი, ჩვენ გვერდით არიან მთელი წელი, ისინი არ მიეცემიან ზამთრის ძილს და მათი ქცევა იცვლება სეზონის მიხედვით. ამდენად, მასზე დაკვირვება უფრო საინტერესოა და მიუხედავად ამ პრაქტიკული შეხედულებისა არსებობს ადამიანის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩიტების მიმართ, მათ შეუძლიათ ფრენა, რაც ადამიანს არ ძალუძს. ცაში მონავარდე ჩიტების ცქერა, ფოტოს გადაღების მოსწრება აღაფრთოვანებს ადამიანს. ამასთან, ჩიტის გარეგნობა მაღალ ესთეტიურ მოთხოვნებს პასუხობს. ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი ითვლება ელიტარულ და ამავე დროს ყველაზე დემოკრატიულ ტურიზმის მიმართულებადაც. „ბერდვოჩინგის“ ტურები ითვლება ძვირადღირებულად, ეს არის ისეთი გატაცება, რომლითაც შეიძლება დაკავდეს ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ ადგილას, ეს იქნება შორეული ტროპიკული ჯუნგლები თუ უდაბნოები, ასევე დიდ ქალაქებშიც კი, საცხოვრებელი სახლის აივნებზე, თუ სკვერებსა და პარკებში. ამგვარი შესაძლებლობა ხელს უწყობს არა მხოლოდ საერთაშორისო ბაზარზე ეკოტურიზმის განვითარებას, არამედ ანვითარებს მას შიდა ბაზარზეც.

„ბერდვოჩინგში“ შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება: შეჯიბრი და შემეცნება. მთელი მსოფლიოს მაშტაბით ტარდება მრავალი თემატური ფესტივალი, მონაწილეთა მიზანია ნახონ რაც შეიძლება მეტი ფრინველი მოცემულ დროში.ეს არის ერთგვარი შეჯიბრი. ყოველწლიურად მსოფლიოს მაშტაბით ტარდება პოპულარული კონკურსი – „დიდი წელიწადი“, როდესაც „ბერდვოჩერები“ აჯამებენ წლის განმავლობაში ნანახ, ან ფოტოგრაფირებულ ფრინველის სახეობათა რაოდენობას. „ბერდვოჩრებს“ აქვთ გამონათქვამი „ცხოვრების ფრინველი“, რომელიც გულისხმობს იმ ჩიტს, რომელიც მანამდე არ უნახავთ. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ბუნებრივ გარემოში ფრინველებზე დაკვირვებას და მისი მშვენიერების ცქერით ტკბობას და არ იტვირთავენ თავს ბიოლოგიური და ეკოლოგიური ღრმა სამეცნიერო კვლევებით.

მსოფლიოში არიან ისეთი ჩემპიონი „ბერდვოჩერები“, რომელთა კოლექციებში მოიძებნება 5000-ზე მეტი სახეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები თავის სიცოცხლის მანძილზე ასწრებენ „პირისპირ“ შეხვდნენე პლანეტის ფრთოსანთა ნახევარზე მეტს. ბევრი ადამიანებისათვის ის შეიძლება ჩაითვალოს ჰობად, ვინც დასვენების დღეებში მეგობრებთან ან ოჯახთან ერთად გადის ბუნებაში და აკვირდება ფრინველებს. ამგვარი აქტივობით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დაკავებულია აშშ-ს მოსახლეობის 20% [3].

**ბერდვოჩინგის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში** ფრინველებზე დაკვირვებას, როგორც ტურისტული ატრაქციას, განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, რომლის საფუძველს იძლევა რეგიონის ტოპოგრაფია, კლიმატი და ფრინველთა სახეობის მრავალფეროვნება. აღნიშნული ფაქტორები ამ ტიპის ტურიზმის განვითარების ძირითადი პირობაა.

მსოფლიოში გავრცელებული ფრინველთა დაახლოებით 10 ათასი სახეობიდან, 400 მდე სახეობა გვხვდება საქართველოში, ამას ემატება მიგრანტ და გადამფრენ ფრინველთა დიდი რაოდენობა. ბათუმის შემოგარენი გადამფრენ ფრინველთა „აღმოსავლეთ შავი ზღვის საემიგრაციო დერეფნის" სახელითაა ცნობილი, საიდანაც აგვისტოს შუა რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მლნ-ზე მეტი გადამფრენი ფრინველი მიიკვლევს გზას აფრიკისკენ. შავი ზღვის სანაპირო მტაცებელი ფრინველების მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვნი დერეფანია, რის გამოც ეს ადგილები მსოფლიოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების თვალსაზრისით თავისის მნიშვნელობით მესამეა.

სპეციალისტთა აზრით, საემიგრაციო დერეფანი, ანუ ძაბრი იქმნება მას შემდეგ, რაც ფრინველები გადმოლახავენ დიდი კავკასიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს, ეშვებიან კოლხეთის დაბლობზე, ენერგიის დაზოგვის მიზნით, ერიდებიან შავი ზღვის ზედაპირს, ლიხის და მესხეთის ქედებს. ამის გამო, ძალაუნებურად, მათი დიდი ნაწილი თავს იყრის ბათუმის მიდამოებში, საქართველოს საზღვრის გადალახვის შემდეგ თანდათან ისევ შორდებიან ერთმანეთს და ეს, სანახაობრივი თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა. დედამიწაზე იშვიათია ადგილები, სადაც სანახაობრივად ფრინველების მრავალსახეობისა და რაოდენობის თვალსაზრისით, ასეთ საშუალებას იძლეოდეს, შესაბამისად, ეს ადგილები „ბერდვოჩერებისთვის" ძალიან მიმზიდველია.

BRC (Batumi Reptor Count)-ის მიერ შავი ზღვის ზოლზე მტაცებელი ფრინველების 34 სახეობაა რეგისტრირებული. BRC-ის მონაცემები ასევე მოიცავს შორ მანძილზე გადამფრენი მტაცებელი ფრინველების დიდ რაოდენობას, რომლებიც სავარაუდოდ, ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ კავკასიიდან და დასავლეთ რუსეთიდან მოფრინავენ, ესენი: კრაზანაჭამია, ძერა, მცირე მყივანი არწივი და ჩია არწივი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძერა და ჭაობის ძელქორი, მდელოს ძელქორი და ველის ძელქორი. შავ ზღვაზე ამ სახეობების ყველაზე დიდი რაოდენობაა დაფიქსირებული, მათ შორისაა გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი გადამფრენი ფრინველები[7].

უცხოელი ბერდვოჩერებისთთვის საინტერესოა ენდემური სახეობებიც. მაგალითად შურთხი (Tetrao-gallus), სხვაგვარად - "მთის ინდაური", რომელიც ძირითადად მაღალ მთაში ბინადრობს. ორნიტოლოგებს ყველაზე ჭკვიან ფრინველად ყვავი მიაჩნიათ. არსებობს ფრინველთათვის სპეციალურად შემუშავებული ტესტები, რომელთაც ყველაზე უკეთ სწორედ ყვავები უმკლავდებიან. საქართველოში ყვავისებრთა რამდენიმე სახეობაა, მათ შორის კაჭკაჭი (ლათ. Pica pica). მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კაჭკაჭებს თუთიყუშების მსგავსად ლაპარაკი შეუძლიათ და ამასთან ყველაზე ჭკვიან ფრინველებად მიიჩნევენ. ყველაზე სწრაფი ფრინველებიდან საქართველოში ორი სახეობა გვხვდება – შევარდენი (ლათ. Falco), რომელსაც საათში 200 კმ.-ის განვითარება შეუძლია და მეკირია (ლათ. Apus melba), რომლის სისწრაფეც საათში 170 კმ.-ია. ფერადი და ჭრელი ჩიტები კვირიონები(ლათ.Merops) ძალიან ლამაზი ფრინველია მწვანე, ლურჯი და წითელი ბუმბულით. კვირიონები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში გვხდება [7].

ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ფრინველი, რომელიც დღეს საქართველოში გვხვდება – გავაზია (ლათ. Falco cherrug), სამწუხაროდ, ძალიან მცირე პოპულაციაა, ფრინველი წითელ წიგნშია შეტანილი, როგორც გადაშენების გზაზე მყოფი სახეობა. მისი ღირებულება რამდენიმე ათეულ ათას დოლარს შეადგენს. ბაზიერებს ძირითადად სხვა ჩიტებზე სანადიროდ იყენებენ.

პალიასტომის ტბასა და კოლხეთის ჭაობებში შესაძლებელია, როგორც ცაში, ასევე წყალზე მოხდეს ფრინველებზე დაკვირვება, რისთვისაც შექმნილია სათვალთვალო კოშკურები. კოლხეთის ტყე -პარკი საიმედო თავშესაფარია ცხოველთა და ფრინველთა იშვიათი სახეობებისათვის. აქ გადის აზია- აფრიკისა წყლისა და ჭაობების გადამფრენი ფრინველების ერთ-ერთი გზა. ამ რეგიონში ბუდობს, იზამთრებს, ან გადაფრენის დროს ხანმოკლე დროით ჩერდება 190 სახეობაზე მეტი ფრინველი, რომელთა ნაწილი ამჟამად გადაშენების პირასაა და დაცვას საჭიროებს. შემოდგომაზე - ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, გაზაფხულზე-თბილი ქვეყნებიდან თავიანთი ბუდობის ადგილებისკენ გადასაფრენ, ხოლო ზოგიერთი სახეობისთვის გამოსაზამთრებელ ადგილს (უფრო სამხრეთით წასვლა მათ აღარ სჭირდებათ) წარმოადგენს.

ოქტომბერში შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ სამხრეთისკენ მფრინავ მტაცებელ ფრინველებზე შესაძლებელია დაკვირვება. სამხრეთისკენ ზღვის ნაპირს მიუყვებიან სხვადასხვა სიმაღლეზე კაკაჩები, ძერები, კირკიტები, მარჯნები, შევარდნები, ძელქორები, კრაზანაჭამია, თეთრკუდა, ველის და ბექობის

არწივები და სხვა. ზამთარში ჩრდილოეთიდან იხვების, ბატების, გედების, კოკონებისა და ჩვამების გუნდები მოფრინავენ [8].

ცხრილი1. ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის განვითარების მაჩვენებლები




წყარო:http://adjara.gov.ge/uploads/Docs/c7c57852b1954c8faaf0bbf0a99e.pdf

აჭარის რეგიონს ფრინველებზე დაკვირვების მიზნით, უკვე 10 წელზე მეტია უცხოელი „ბერდვოჩერები“ სტუმრობენ. მათ თავად აღმოაჩინეს ამ ადგილების უნიკალურობა და მას შემდეგ ინტერესი კიდევ უფრო იზრდება, რასაც მეცნიერთა და მოყვარულთა რიცხვის ყოველწლიურად ზრდა ადასტურებს(იხ. გრაფიკი)[8]. ბერდვოჩერ ტურისტთა მიერ გაწეულ დანახარჯებშიც შეინიშნება ზრდის დადებითი ტენდენცია. საოჯახო სასტუმროში განთავსების ფასი დღეში 15-20 ევროა. მაგალითად, სოფელ სახალვაშოში, შუამთის პლატფორმის მახლობლად სულ ცოტა ოცი-ოცდაორი საოჯახო სასტუმროა. თითოეული მათგანი 6-10 კაციანი ჯგუფებს მასპინძლობს. სასტუმროთა მეპატრონეების თქმით , ფესტივალების პერიოდის გარდა, სხვა პერიოდში სულ ცოტა 4-5 ტურისტი მაინც სტუმრობს. ვინაიდან ფრინველებზე დაკვირვება ხდება განთავსებული პლატფორმებიდან, შესაბამისად, ღამისთევა ხდება მიმდებარე სოფლებში. ამდენად, რეგიონში ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის კიდევ უფრო განვითარდება, კიდევ უფრო წაახალისებს და განავითარებს ტურიზმს სოფლად[5].

2012 წლიდან, ყოველი წლის სექტემბრის თვეში, აჭარა ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალს მასპინძლობს. ფესტივალის ფარგლებში იმართება სამეცნიერო კონფერენციები, გასართობი შემეცნებით ექსკურსიები. ფრინველებზე 2016 წელს, მხოლოდ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალის ფარგლებში, 1500 ღამისთევა დაფიქსირდა.

ორგანიზაცია BRC (ბიარსი)-ის ინფორმაციით 2017 წელის ფესტივალზე ბათუმის საიმიგრაციო დერეფანში მსოფლიო რეკორდი დაფიქსირდა. აღირიცხა 1591 მდელოს ბოლობეჭედა, მათ შორის 400 მხოლოდ ერთ დღეს, რაც ასევე მსოფლიო რეკორდია. ასევე აღირიცხა დიდი რაოდენობით კრაზანაჭამია ირაო და ძერა, ზოგადად კი, შემოდგომის მიგრაციის პერიოდში ბათუმის სამიგრაციო დერეფანში მილიონზე მეტი ფრინველი ფიქსირდება. BRC-ის წარმომადგენელის იოანეს იანსენის აზრით ბათუმი ერთადერთი ადგილია მსოფლიოში სადაც ზემოთ აღნიშნულის ნახვაა შესაძლებელი. მტაცებელ ფრინველებზე დასაკვირვებლად აჭარას ეწვია მეცნიერები (250-ზე მეტი, მათ შორის, მსოფლიო დონის ორნითოლოგი ბელგიიდან, ჰოლანდიიდან და ინგლისიდან), მოხალისეები და ტურისტები 25 ქვეყნიდან. [10].

აჭარაში მოგზაურობის მიზნობრიობა შემდეგნაირად გამოიყურება: „ბერდვოჩინგი“ -64.7%, ფოტოგრაფია-18,8%, კვლევა/შესწავლა-6,%. აქედან 74%-ის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, როგორც ფრინველთა მიგრაციაზე და ისე გამრავლებაზე დაკვირვება. განთავსების საშუალებების არჩევანში ყველაზე მეტი მოთხოვნა ადგილობრივ კერძო სახლებსა და „გესთჰაუზებზე“ (79,7%) მოდის, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფინანსური სარგებელის მიღების საშუალებას იძლევა[9].

აჭარაში ფრინველთა დაკვირვების ტურიზმის არსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა წყარო სახელდება, ყველაზე მეტად (50%) ინტერნეტით, შემდეგ მეგობრებისგან (6,7%), კომპანია BRC-ის ინფორმაციით (16,7%), მკვლევარი ვიზიტორებისგან (16,7%) [9].

საყურადღბოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სხვა რეგიონებშიც შეინიშნება ეგზოტიკის მოყვარულთათვის ფრინველებზე დაკვირვების ტურების შეთავაზება., მაგალითად, მადაფას ტბაზე სპეციალურად მოწყობილი კოშკურიდან წყლის ზედაპირზე მოფარფატე ფრინველების ყურებით ტკბობა და ფოტონადირობა. ეს არის ერთდღიანი ტურები და მისი ღირებულება 45ლარია. ტურში შედის - ტრანსპორტირება, ჭოგრიტით აღჭურვა, გამყოლის მომსახურება, ფოტოგადაღება.

ამდენად, საქართველოში გაჩნდა ტურიზმის ძალიან საინტერესო მიმართულება, რომლის განვითარების უნიკალური შესაძლებლობებია ქვეყანაში და რომელიც, ვფიქრობთ, აუცილებლადდ უნდა იქნეს გამოყენებული შემდეგ ფაქტორთა გამო:

1. ფრინველებზე დაკვირვება ეკოტურიზმის ერთ -ერთ ყველაზე დემოკრატიულ ი ტურიზმია. ის ემყარება მდგრადი განვითარების ყველა პრინციპს;

2. ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმის განვითარებამუკვე აჩვენა ტურიზმის სოფლად განვითარების შესაძლებლობები (მოთხოვნა კერძო სახლებსა და საოჯახო სასტუმროებზე) და განსაკუთრებით კი იმ რეგიონებში, სადაც შემორჩენილია ხელუხლებელი ბუნება, ეს კი ძირითადად ის რაიონებია, სადაც მაღალია სიღარიბისა და უმუშვრობის დონე;

3. ფრინველებზე დაკვირვება არ არის მხოლოდ ტურიზმი გართობისა და რეკრეაციის მიზნით, მას აქვს დიდი საგანმანათლებლო და სამეცნიერი მნიშვნელობა. მისი განვითარება ადგილობრივ მოსახლეობაში გაზრდის ცოდნას გარემოსდაცვით საკითხებში და აამღლებს ბუნებისადმი დამზოგავ დამოკიდებულებას,

4. ის, როგორც ეკოტურიზმის მიმართულება, ხელს შეუწყობს ეკოლიგიურ მდგრადობას, კერძოდ გადაშენების საშიშროების წინაშე მყოფ ფრინველთა კონსერვაციას და სხვა.

ზემოთ აღნიშნულის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი სწრაფი განვითარების თვალსაზრისით, საჭიროებს მეტ მხარდაჭერას შემდეგი მიმართულებებით:

- მარკეტინგული საინფორმაციო საქმიანობის გაძლიერება, საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებით ( ბროშურებისა და სარეკლამო ვიდეო რგოლების შესაბამის თემატურ ვებ-გვერდებსა და სოციალურ მედიაში გავრცელება);
- ფრინელებზე დაკვირვების ტურიზმის პოპულარიზაცია შიდა ბაზარზე, როგორც მედიის საშუალებით ასევე სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებებით და საგანმანათლებლო ორგანიზაციების ფართო ჩართულობით (სკოლები, ბაგა- ბაღები, უმაღლესი სასწავლებლები);
- ინფრასტრუქტურის შექმნა, რაშიც პირველ რიგში ვგულისხმობთ სათვალთვალო კოშკურების გამართვას შესაბამისი პოტენციის მქონე ადგილებში მთელი საქართველოს მაშტაბით, განსაკუთრებით, კი, დაცულ ტერიტორიებზე, და ასევე ქალაქად სკვერებსა და პარკებში. რაც ხელს შეუწყობს, როგორც საერთაშორისო ტურისტების მოზიდვას საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ასევე დადებითად იმოქმედებს ეკოტურისტული შიდა ბაზრის განვითარებაზე.
- სათვალთვალო კოშკურების მიმდებარე ტერიტორიებთან საოჯახო სასტუმროების მოწყობის ხელშეწყობა და სხვა.

დღეისათვის აშკარაა საქართველოს მთავრობის მისწრაფება ტურიზმიდან მიიღოს მეტი შემოსავალი, რისთვისაც სტიმულირებას უკეთებს ტურისტთა ნაკადების ზრდას. 2016 წლისათვის მათმა რიცხვმა გადააჭარბა 6 მილიონს, რაც უკვე თითქმის ორჯერ მეტია ქვეყნის მოსახლეობაზე. აღნიშნული გარემოაბა საყურადღებია და დღის წესრიგში აყენებს ტურიზმის მდგრადი განვითრების პრინციპებით განვითარების აუცილებლობას. პრაქტიკამ აჩვენა არა ერთი მაგალითი იმისა, რომ ტურიზმის არასწორმა განვითარებამ სარგებლის ნაცვლად მეტი ზარალი მიაყენა ქვეყნებს. ამგვარი მომხმარებლური დამოკიდებულების შედეგად წაიშალა და განადგურდა ის, რაც ხდიდა მათ მიმზიდველს და ტურიზმის განვითარების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა ამ ქვეყნებში [4].

აღნიშნულიდან გამომდინარე ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა უნდა დაემყაროს არა მხოლოდ ტურისტთა რაოდენობას, არამედ მდგრადობაზე ორიენტირებულ ტურიზმის განვითარებას, დიფერენცირებულ სტრატეგიებს - ქვეყნისათვის უფრო მიმზიდველი ბაზრების მოზიდვისა და მაღალშემოსავლიანი ტურიზმის სახეობების განვითარების საფუძველზე.

ლიტერატურა:


1. Dunne, Pete (2003). Pete Dunne on Bird Watching. Boston: Houghton Mifflin. ISBN 0-395-90686-5. OCLC 50228297.
2. Oddie, Bill (1980). Bill Oddie's Little Black Bird Book. Frome & London: Butler & Tanner Ltd. ISBN 0-413-47820-3. OCLC 8960462
3. *Pullis La Rouche, G. (2003). Birding in the United States: a demographic and economic analysis. Addendum to the 2001 National Survey of Fishing, Hunting and Wildlife-Associated Recreation. Report 2001-1. (PDF). U.S. Fish and Wildlife Service, Arlington, Virginia*
4. Katsitadze N , DEVELOPMENT OPPORTUNITIES OF MICE TOURISM IN DEVELOPING COUNTRIES: CASE OF GEORGIA International Journal of Business and Management Studies, CD-ROM. ISSN: 2158-1479 :: 06(01):163–170 (2017)
5. https://ua.igotoworld.com/ru/article/903_birdwatching.htm (გადამოწმებულია 30.10.2017)
6. http://netgazeti.ge/life/1413(გადამოწმებულია 30.10.2017)
7. https://sputnik-georgia.com/nature/20170401/235445383/frinvelta-saertashoriso-dge.html (გადამოწმებულია 30.10.2017)
8. http://www.apa.gov.ge/ge/biomravalferovneba/kolxetis-erovnuli-parkis-biomravalferovneba (გადამოწმებულია 30.10.2017)
9. http://adjara.gov.ge/uploads/Docs/c7c57852b1954c8faaf0bbf0a99e.pdf(გადამოწმებულია 30.10.2017
10. http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=608367&gid=7#.WdqdyWiCw2w (გადამოწმებულია 30.10.2017


## Birdwatching - one more chance for sustainable tourism development in Georgia


Nana Katsitadze

*Associate Professor*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Gvantsa Kiknadze

*Doctor Student*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*



**R e s u m e**

In this scientific work is reviewed the direction of tourism 'Bird Watching' which is already trended in America and Europe and represents ecotourism, one of the most oriented direction of sustainable development. In our research there are given origins and developments of bird watching tourism on international market . The unique development ways of this direction in Georgia are already researched and confirmed. They are based on major resourses of Bird watching tourism (vagrant,migrant and local species, plurality of birds and proximity of Georgia to potential segmentation on international market). Thereby, with its development, there are shown a socio-economic afficacy in the context of sustainable development.



*Keywords: sustainable tourism, bird watching, tourism of Georgia.*

# საგადასახდელო ბალანსზე მოქმედი ფაქტორები და მდგრადობასაქართველოში

ნათია კახნიაშვილი

*ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც ასახავს დროის გარკვეულ პერიოდში ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ძირითადი ანგარიშისაგან: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელსა და მომსახურებას, პირველად და მეორად შემოსავალს, ხოლო ბალანსის მეორე ანგარიში შედგება კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშებისაგან. საგადასახადო ბალანსის შესაფასებლად სტატიაში განხილულია მისი შემადგენელი ანგარიშების ფაქტობრივი მდგომარეობა საქართველოში.*

*საკვანძო სიტყვები: საგადასახდელო ბალანსი; მიმდინარე ანგარიში; კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში; დეფიციტი; კაპიტალის ნაკადები.*

მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურა, დაფინანსება და მდგრადობა უშუალოდ შეესაბამება ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის მიმდინარე და სამომავლო მოდელებს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (CAB) ასახავს ინვესტიციებისა და სამომხმარებლო ხარჯების მეტობას ადგილობრივ წარმოებასთან შედარებით და ეკვივალენტურია იმისა, თუ რამდენს სესხულობს ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსაგან აღნიშნული სიჭარბის დასაფინანსებლად. განვითარებად ეკონომიკას შესაძლოა, სჭირდებოდეს ნასესხი სახსრების მოზიდვა მაღალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. შედეგად შესაძლებელია ახლანდელი დეფიციტი მომავალში უფრო მაღალი ზრდის, ექსპორტისა და დანაზოგების წყარო გახდეს. უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს მიმდინარე ანგარიშს დეფიციტი ქონდა, რაც ცალკეულ შემთხვევაში აღემატება მშპ-ს 20%-ს. უცვლელმა დეფიციტმა განაპირობა გარედან დაფინანსების საჭიროება და ქვეყნის სუფთა გარე ვალდებულებების პოზიციის ზრდა მშპ-ს 100 %-ზე მეტად, ასევე, რისკის ზრდა, რამაც აამაღლა სესხების ხარჯები ფირმებისა და შინამეურნეობებისათვის. კაპიტალის მაღალმა შემოდინებამ, ხელი შეუწყო საქართველოს ფინანსური სისტემის დოლარიზაციას. საქართველოში აღებული სესხების 2/3 უცხოური ვალუტითაა გაცემული, როდესაც აქტივები უპირატესად ლარითაა წარმოდგენილი. 2008 წელს მომხდარმა ფაქტორებმა უარყოფითად იმოქმედეს ჩვენი ქვეყნის მიკრო და მაკრო ეკონომიკურ ცვლადებზე. ამ პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს დაახლოებით 22%-ს შეადგენდა. რუსეთთან კონფლიქტურ სიტუაციას დაემატა გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოთხოვნის შემცირება. შედეგად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა. 2015 წელს საქართველოს ეკონომიკა ძლიერი საგარეო შოკის წინაშე იდგა. შემცირდა საგარეო მოთხოვნა, ამასთან ერთად საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში დაიწყო ეროვნული ვალუტის გაუფასურება. შედეგად საქართველოს ეკონომიკა კარგავდა კონკურენტუნარიანობას. რუსეთსა და საბერძნეთში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა ფულადი გზავნილების შემოდინება. მოთხოვნა გაიზარდა იმპორტზე და შემცირდა საექსპორტო საქონელზე. ყოველივე ამის ფონზე გარდაუვალი გახდა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურება. 2015 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ს 11.8%-ს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, ბალანსი 2014 წელთან შედარებით 66.56 მლნ დოლარით გაუმჯობესდა. მაგრამ Mმთავარ პრობლემად მაინც საგარეო ვაჭრობის დეფიციტი რჩებოდა. 2016 წლის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, საგადასახდელო ბალანსის ანგარიშის დეფიციტმა 486.9 მლნ.აშშ დოლარი (მეორე კვარტლის მშპ-ს 13.4%) შეადგინა. უარყოფითი სალდოს ფორმირებაში მთავარი როლი ,ამ შემთხვევაშიც, საქონლით ვაჭრობას ეკისრება. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ასახავს შემოსავლის უარყოფით ნაშთს, რომელიც ბალანსდება მზარდი მიმდინარე ტრანსფერებით. ინვესტიციები, რომლებიც ხელს უწყობენ მოგების რეპატრიაციას, საქართველოში ძირითადად საგარეო ვაჭრობასთან კავშირის არმქონე დარგებშია წარმოდგენილი. უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალის ნაკადების მოცულობა, დინამიკა და სტუქტურა მნიშვნელოვან გავლენას

ახდენს რისკებზე, ეკონომიკურ ზრდაზე და სამომავლო განვითარებაზე [1, გვ. 6]. კაპიტალის შემოდინების სიდიდე, რომელიც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლადაა საჭირო, მნიშვნელოვანია. შედარებით დიდმა ნაკადებმა შეიძლება დააზარალოს კონკურენტუნარიანობა გაცვლითი კურსის ან საპროცენტო განაკვეთის ზრდის გამო. მცირე ნაკადებს უკეთესი შანსი აქვს, მასზე რეაგირება მოხდება ექსპორტის ზრდის საშუალებით. მიუხედავად საქართველოს წარმატებისა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში, რამაც მნიშვნელოვნად დააფინანსა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მათი შემოდინება მოხდა საგარეო ვაჭრობასთან კავშირის არმქონე სფეროებში და შედეგად მოიტანა იმპორტზე უფრო მაღალი მოცულობა ექსპორტთან შედარებით. საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურის ცვლილება, უნდა გაიზარდოს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულ დარგებთან მისი ხვედრითი წილი, განსაკუთრებით მრეწველობასა და თანამედროვე სერვისებში, რომ შეიქმნას ექსპორტის საკმარისი ნაკადები. გარდა ამისა უკანასკნელ წლებში პორტფელური და საკრედიტო ნაკადების გაზრდამ ხელი შეუწყო სუფთა უცხოური ვალდებულებების დაგროვებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველო ორმაგი დეფიციტის პირობებში იმყოფება. სახეზეა ფისკალური და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი. დღეს სავალუტო სახსრების შემოსავალ-გასავალს შორის თანაფარდობა დარღვეულია უცხოეთის ქვეყნების სასარგებლოდ. ორმაგი დეფიციტის ჰიპოთეზის თანახმად, ბიუჯეტის ხარჯები პირდაპირ აისახება მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე. ხანგრძლივი ფისკალური შოკები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს აუარესებს, მიმდინარე ანგარიშის გაუარესებასაც იწვევს. ევროპის ცენტრალური ბანკის ანგარიშის თანახმად, ფისკალურ პოლიტიკასა და მიმდინარე ანგარიშის ცვლილებას შორის კავშირი დამოკიდებულია სახელმწიფო ვალის მშპ-სთან შეფარდებაზე. კვლევამ აჩვენა, რომ დაბალი და საშუალო ვალის მქონე ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო ვალის დონე მშპ-ს 44%-მდეა ეს კავშირი პოზიტიურია. ამჟამად საქართველოში ვალი 360 მლნ ლარია, რაც დაგეგმილს 200 მლნ-ით აჭარბებს. გასათვალისწინებელია, რომ ფისკალური დეფიციტის ზრდა მიმდინარე ანგარიშის უფრო დიდ დეფიციტს იწვევს. საჭიროა, რომ დეფიციტის დასაძლევად საქართველოს მთავრობამ ფისკალური პოლიტიკის კონსოლიდირება ზედმეტი ხარჯების შემცირებით მოახდინოს. საჭიროა გაუმჯობესდეს სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობა და ეფექტიანობა.

საინტერესოა, თუ რა იწვევს საქართველოს საგადასახდელო დისბალანსს. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ბალანსის მდგომარეობაზე.

ეროვნული დანაზოგები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ზოგადად ცნობილია, რომ ქართველებს ფულის დაზოგვა არ უყვართ. რატომ არ ვზოგავთ ფულს ? ქვეყანაში მეტი დანაზოგი ხომ საინვესტიციო კაპიტალის მიწოდებას ზრდის, რაც სხვა თანაბარ პირობებში იწვევს საპროცენტო განაკვეთის შემცირებას, აქედან გამომდინარე, დაკრედიტების ზრდას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით 2014 წელს საქართველოში მთლიანმა დანაზოგმა მშპ-ს 21.5 % (6.3 მლნ ლარი) შეადგინა. ამ მაჩვენებლით მან მსოფლიოში მე-80 ადგილი დაიკავა. დანაზოგების დაბალი დონე იწვევს შეშფოთებას იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტიციის მაჩვენებელი უნდა შენარჩუნდეს ან გაიზარდოს, თუ საქართველოს სურს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტში ასახულ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის სხვაობა სტრუქტურული და ციკლური ფაქტორების კომბინაციის შედეგია. მიმდინარე ანგარიშის სტრუქტურული კომპონენტი შედგენს მშპ-ს დაახლოებით 6%-ს, ხოლო ციკლური დაახლოებით 3%-ს.

რაც შეეხება ქვეყნის საგარეო მდგრადობას. მიმდინარე ანგარიშის უცვლელმა დეფიციტმა განაპირობა წმინდა უცხოური ინვესტივების პოზიციის გაუარესება. წმინდა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა, რომელიც მიმდინარე ანგარიში დეფიციტის დაფინანსების უნიშველოვანესი წყაროა, 2016 წლის მეორე კვარტალში 380.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ პერიოდში ყველაზე მეტი ინვესტიცია ტრანსპორტის, საფინანსო და ენერგეტიკულ სექტორებში განხორციელდა. სურათს ამძაფრებს ის, რომ ფირმებისა და შინამეურნეობების დოლარში არსებული სასესხო ვალდებულებების დონე მაღალია. ამ კონტექსტით ვალუტის კურსის მკვეთრი ცვლილება, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს კაპიტალის შემოდინების მოულოდნელ შეჩერებას, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ბალანსზე. ეს ყოველივე თავისთავად გამოიწვევს ინვესტიციების, სამომხმარებლო ხარჯების მტკივნეულ კორექტირებას და ზიანის მომტანი იქნება. აქ ჩვენ განვსაზღვრავთ მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობას, როგორც სტაბილურს, რომელშიც მიმდინარე ანგარიშის სალდო დამოუკიდებლად არ

ქმნის ეკონომიკურ ფაქტორს საკუთარი ტრაექტორიის შესაცვლელად. ვალუტის რეალური კურსის გამოყენება სუსტი ინსტრუმენტია საგადასახდელო ბალანსის დარღვევის გამოსასწორებლად. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან და სუფთა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციასთან მიმართებაში რეალური კურსის გავლენის სხვადასხვა სცენარების განხილვა მხოლოდ სუსტ გავლენას ახდენს ბალანსის დარღვევაზე. პროგნოზირებული საგადასახდელო ბალანსი 2018 წლისათვის უძლიერესი გაუფასურების დაშვების საფუძველზე პროცენტული ერთეულის მხოლოდ 1/20 შეადგენს. მშპ-ს ზრდის მოსალოდნელი ეფექტი მნიშვნელოვანია შემოსავლის ფარდობითი დომის გათვალისწინებით. მშს-ს ზრდის საბაზისო ნიშნულიდან გამომდინარე საგადასახდელო ბალანსი 2018 წელს თითქმის 9%-ს მიაღწევს.

საქართველოს მიმდინარე ანგარიში გარდამავალი პერიოდის დაწყებდან არჩეული ზრდის მიმართულების სიმპტომია. საქართველომ სარგებელი მიიღო 2004 წლის რეფორმებიდან. ის გახდა და რჩება დანიშნულების კონკურენტულ ადგილად პირდაპირი უცხოური ინვეტიციებისათვის და ზრდის თვალსაზრისით საკმაო კარგი შედეგები აქვს. თუმცა, კაპიტალის დაგროვება, პროდუქტიულობის ზრდა უნდა იყოს კონცენტრირებული საგარეო ვაჭრობასთან კავშირის მქონე დარგებთან. ისინი ითვისებენ შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდ ნაწილს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდის ეს წყარო არ არის მდგრადი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეაგირებას ახდენს საქართველოს პოლიტიკის ჩარჩოზე, გლობალურ საბაზრო პირობებზე, მან მნიშვნელოვნად დააფინანსა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დარჩება სავარაუდოდ 6%-იან დონეზე საშუალოვადიან პერიოდში, რაც საკმარისია საქართველოს სავარაუდო სტრუქტურული მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესავსებად.

სიმცირის მიუხედავად, სავაჭრო ღიაობამ ხელი შეუწყო საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესებას და მიუთითა სავაჭრო პოლიტიკის პოტენციურად მნიშვნელოვან გავლენაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობა მიუთითებს, რომ საშემოსავლო ბალანსი დარჩება უარყოფითი საშუალოვადიან პერიოდში და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესება უნდა მომდინარეობდეს გაუმჯობესებული სავაჭრო ბალანსიდან. საქართველოს საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო 2016 წლის მეორე კვარტალში წლიურად 2.2-ჯერ გაიზარდა. ეს ძირითადად გამოიწვია ცე ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის გრანტით მიღებული მედიკამენტების იმპორტმა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს მომსახურებით ვაჭრობის სალდო გაიზარდა, ყველაზე მეტად აქტიურობდა ტურისტული მოსახურება, რომლის ექსპორტი (წლიურად) 12%-ით გაიზარდა. ამ დადებითი მონაცემების მიუხედავად, საქართველოს საგადასახდელო ბალანსი კვლავ ებრძვის დეფიციტს. სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკის, ფისკალური პოლიტიკის გატარებას ამ პრობლემის აღმფხვრის მიზნით. ვფიქრობ, რომ დანაზოგების ხელშეწყობისა და მომზიდველი საფინანსო ინსტრუმენტების შექმნა ხელს შეუწყობს დანაზოგების ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებას, კრედიტის ხელმისაწვდომობას და საფინანსო სისტემის თანდათანობით დედოლარიზაციას. ადგილობრივი ინვესტიციების შიდა რესურსებით დაფინანსებასთან ერთად, ,აღნიშნული პოლიტიკა გააძლიერებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებებს და შეამსუბუქებს გარვეულ ზეწოლას ფისკალურ პოლიტიკაზე.

## ლიტერატურა:


1. ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი, საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის
2. მისაღწევად, დეკემბერი, 2014;
3. www.imf.org;
4. www.nbg.gov.ge;
5. http://muchstudentworks.blogspot.com;
6. http://siteresources.worldbank.org/;
7. http://www.geostat.ge/

# Factors Influencing the Balance of Payment and Sustainability

Natia Kakhniashvili

*Doctor of Business Administration*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The balance of payment is the most important statistical document in the external sector of an economy. It describes a country's economic links with the rest of the world. The balance of payments is a statistical statement that summarizes the economic transactions of an economy with the rest of the world for a specific time period. That includes all transactions between residents and non-residents for goods, services, and income; financial claims on and liabilities to the rest of the world; and those classified as transfers.

Discussion of the balance of the payment is very important. It gives opportunity to evaluate condition of Georgian economy. we presented information about current situation of the balance of payment in Georgia. There are discussed facts ,that affect on sustainability of balance. We found out some reasons why nowadays Georgia's balance of payment is in crisis. Our country is a small country with a small economy. we have the storage of balance because of our economical policy. But, our government can takes such policy which decreased the deficit and the balance of payments will become less.

***Keywords: Balance of payment; checking account; capital and financial account; deficit; capital flows.***

# რეალური ღირებულების კონცეფცია

ნადეჟდა კვატაშიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ზეინაბ გოგრიჭიანი

*უფროსი მასწავლებელი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ანჟელი ხორავა

*უფროსი მასწავლებელი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძლების შესაბამისად კორპორაციის ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო უნდა იყოს, რათა ინფორმაციის მომხმარებლებმა შეძლონ ადეკვატური დასკვნების გაკეთება. ამ უკანასკნელს კი განაპირობებს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მათი რეალური ღირებულებით შეფასების საფუძველზე. ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ შეიმუშავა ფასს 13 „რეალური ღირებულების შეფასება". სტანდარტი იძლევა რეალური ღირებულების განსაზღვრის ერთიან კონცეფციას, რომელიც მკაფიოდ და სისტემატიზებულად აყალიბებს რეალური ღირებულების განსაზღვრის პრინციპებს.*

*ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას რეალური ღირებულება გამოიყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა ასახვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულოა ან ნებადართულია ბალანსსა ან განმარტებით შენიშვნებში. კერძოდ, რეალური ღირებულების კონცეფციის გამოყენება ნებადართულია შემდეგი ობიექტების თავდაპირველი აღიარებისა და შემდგომი შეფასებისათვის: არაფინანსური აქტივები; ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები); საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.*

*საკვანძო სიტყვები: რეალური ღირებულება, ბაზრის მონაწილენი, ძირითადი ბაზარი, ხელსაყრელი ბაზარი, შეფასების იერარქია, დაკვირვებადი ფასები, არადაკვირვებადი ფასები, შეფასების მეთოდები, მოსალოდნელი ფულადი ნაკადები.*

ფასს 13-ის „რეალური ღირებულების შეფასების" თანახმად, **რეალური ღირებულება** არის ის ფასი [1, გვ.659], რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, **ბაზრის მონაწილეებს შორის** შეფასების თარიღისათვის **ნებაყოფლობით განხორციელებული** ოპერაციის დროს. სხვაგვარად, შეფასების თარიღისათვის უნდა განისაზღვროს ფასი, რომლითაც ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ ჩვეულებრივი ოპერაციით მიმდინარე საბაზრო პირობებში განახორციელონ აქტივის გაყიდვა ან ვალდებულების გადაცემა (აქტივებისა ან ვალდებულებების მფლობელთა პოზიციიდან).

რეალური ღირებულების განმარტებაში ხაზგასმულია, რომ რეალური ღირებულება არის შეფასება, რომელიც **ეფუძნება ბაზრის მონაწილეთა მოსაზრებებს** და არა საწარმოს მოსაზრებებს და შესაბამისად, ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მასზე. რეალური ღირებულების განმარტების მთავარი მახასიათებლებია:

1) რეალური ღირებულება არის აქტივის **გაყიდვის** და არა შეძენის ფასი. ეს ფასები ზოგჯერ განსხვავბულია, ძირითადად ეს ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს;

2) ეს არის **საბაზრო კოტირება**. რეალური ღირებულების შეფასების დროს ამოსავალია ბაზრის მონაწილეთა წარმოდგენა და უნდა გამოირიცხოს საწარმოს ყოველგვარი უნიკალურობა, რაც დაკავშირებულია კონკრეტულ პირობებთან, რომელშიც იმყოფება გამყიდველი საწარმო;

3) **ბაზრის მონაწილენი** არიან დამოუკიდებლები და კარგად ინფორმირებულები, აქვთ სურვილი განახორციელონ ოპერაცია, აქვთ წვდომა ბაზარზე;

4) მოსალოდნელი გაყიდვის ოპერაცია უნდა იყოს **„ჩვეულებრივი"** და არა იძულებითი;

5) რეალური ღირებულება უნდა იყოს მიბმული **შეფასების თარიღთან**.

ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ მათი ღირებულება **არის დაკვირვებადი**. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად შეუძლებელია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ **არ არის დაკვირვებადი**. სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა, რომ რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდებად გამოყენებულ იქნეს შეფასების ის მეთოდები და ტექნიკა, რომელიც ყველაზე მეტად არის შესაფერისი კონკრეტული ვითარებისათვის და რომლისთვისაც არსებობს საკმარისი ინფორმაცია. იგი იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული დაკვირვებადი მონაცემები და მინიმალურად - არადაკვირვებადი ინფორმაცია.

სტანდარტით რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებული ინფორმაცია ჯგუფდება სამ დონედ – არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების იერარქიად [3,14]:

1. აქტიური ბაზრის კოტირების არაკორექტირებული მონაცემები, რომელიც შეფასების მომენტისათვის კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების იდენტურია;
2. პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც განსხვავდება პირველი დონის აქტიური ბაზრის კოტირების მონაცემებისაგან;
3. არადაკვირვებადი მონაცემები (იხ.სქემა).

**აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქია**

[1, გვ.653]

| იერარქიის დონე | აქტივის და ვალდებულების შესადარისობა | აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ამოსავალი მონაცემები | მაგალითი |
|---|---|---|---|
| 1-ლი დონე | იდენტური | **დაკვირვებადი კოტირებული მონაცემები** აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (არაკორექტირებული), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისათვის | უცხოური ვალუტა, კოტირებული აქციები და ობლიგაციები |
| მე-2 დონე | მსგავსი | **დაკვირვებადი არაკოტირებული მონაცემები** პირდაპირ ან არაპირდაპირ (ირიბად) დაკვირვებადი მონაცემები, რომელიც განსხვავდება 1-ლი დონის აქტიური ბაზრის კოტირების მონაცემებისაგან | ქონება |
| მე-3 დონე | არამსგავსი | **არადაკვირვებადი მონაცემები** რეალური ღირებულების შეფასების მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივე რჩება - განისაზღვროს გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის, ბაზრის იმ მონაწილის პოზიციიდან, რომელიც განკარგავს აქტივს, ან გააჩნია ვალდებულება. | ინსტრუმენტები, რომელიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით; მსგავსი აქტივების შერჩევა. |

რეალური ღირებულების განსაზღვრისას გარკვეული სირთულეები წარმოიქმნება როდესაც ინფორმაცია არ არის დაკვირვებადი, ანუ მე-3 დონეზე, აგრეთვე, როდესაც საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდი, ანუ მე-2 დონეზე.

ფასს მოითხოვს, რომ მე-2 და მე-3 დონის აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებების განსაზღვრისას არ იყოს გამოყენებული მარტივი, ფორმალური მიდგომები. მაგალითად, თუ აქტივები არ არის კოტირებადი, ან მონაცემები არ არის დაკვირვებადი, გამარტივებისათვის თვითღირებულებას აიგივებენ რეალურ ღირებულებასთან, ყოველგვარი განსჯის, დასაბუთებული გათვლებისა და მეთოდიკის გამოყენების გარეშე. ფასს 13 ასაბუთებს, რომ აქტივებისა და ვალდებულებების არადაკვირვებადი მონაცემების პირობებშიც ყოველთვის შეიძლება დადგინდეს მათი რეალური ღირებულება, რომელიც უდრის "გამოსვლის ფასს", ანუ ფასს, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყიდოს და ვალდებულება დაიფაროს კონკრეტულ ვითარებაში. ამიტომ, არადაკვირვებადი მონაცემები, რომელიც გამოიყენება აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების დასადგენად, უნდა ითვალისწინებდეს დაშვებებს, რომელსაც გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილენი ამ აქტივებისა და ვალდებულებების ფასის დადგენისას, რისკების დაშვებების ჩათვლით.

როდესაც აქტივისა ან ვალდებულების ფასი არ არის ბაზარზე დაკვირვებადი, რეალური ღირებულება უნდა განისაზღვროს შეფასების სხვა მეთოდებით (დანახარჯ-მეთოდი, შემოსავალ-მეთოდი) და მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული საწყისი დაკვირვებადი და მინიმუმამდე დაყვანილი არადაკვირვებადი მონაცემები.

რეალური ღირებულებით შეფასებისათვის აუცილებელია განისაზღვროს:

- შესაფასებელი კონკრეტული აქტივები და ვალდებულებები;
- ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი/მომგებიანი ბაზარი;
- ბაზრის მონაწილენი;
- შეფასების მეთოდები;
- გასვლის ფასი;
- არაფინანსური აქტივებისათვის – აქტივის გამოყენების წესი.

განვიხილოთ აღნიშნული მოთხოვნები.

**შესაფასებელი აქტივები და ვალდებულებები**:

- აქტივებისა და ვალდებულებების მახასიათებლები გაითვალისწინება იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის მონაწილენი გამოიყენებენ ამ მახასიათებლებს აქტივების ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას შეფასების თარიღისათვის. მაგალითად, აქტივების მდგომარეობა და ადგილმდებარეობა; შეზღუდვები აქტივების გაყიდვის ან გამოყენების მიმართ;
- შესაფასებელი აქტივები და ვალდებულებები შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი სახით: ცალკეული აქტივები ან ვალდებულებები; აქტივების ჯგუფი; ვალდებულებების ჯგუფი; აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფი;
- აქტივებისა და ვალდებულებების სააღრიცხვო ერთეული განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი სტანდარტებით.

რეალური ღირებულებით შეფასებისას კეთდება დაშვება, რომ აქტივების გაყიდვა ან ვალდებულებების გადაცემა ხდება **ძირითად ბაზარზე**, ხოლო თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი, მაშინ ყველაზე ხელსაყრელ-/მომგებიან ბაზარზე. **ძირითადი ბაზარი** არის აქტივებისა და ვალდებულებების ყველაზე დიდი მოცულობისა და საქმიანობის დონის ბაზარი. ინფორმაცია მათი ფასების შესახებ არსებობს მუდმივობის საფუძველზე. **ყველაზე ხელსაყრელი/მომგებიანია** ბაზარი, რომელიც იძლევა აქტივის გაყიდვიდან მისაღები თანხების მაქსიმალური ზრდის, ან ვალდებულებების დასაფარავად გადასახდელი თანხის მინიმუმამდე შემცირების საშუალებას.

**ბაზრის მონაწილენი** არიან ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის გამყიდველები და მყიდველები. ბაზრის მონაწილეთა განსაზღვრისას კეთდება დაშვება, რომ ისინი:

- მოქმედებენ საკუთარი ინტერესებისათვის და არიან ურთიერთდამოკიდებულნი;
- აქვთ სათანადო წარმოდგენა და კარგად არიან ინფორმირებულნი აქტივების, ვალდებულებებისა და ოპერაციების შესახებ, მაქსიმალურად იყენებენ ხელმისაწვდომ ინფორმაციას;
- შეუძლიათ განახორციელონ გარიგება;
- აქვთ სურვილი განახორციელონ გარიგება, არიან მოტივირებულნი და არ არიან ვალდებული ან იძულებული განახორციელონ ოპერაცია, ანუ გამოიყენონ ლიკვიდაციის/იძულებით გასაყიდი ფასი.

**შეფასების მეთოდების** გამოყენების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომლითაც რეგულირდება აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების გადაცემის ოპერაციები ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათ-ვის ბაზრის მოცემულ პირობებში. რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის ფასს-თ გამოიყენება შეფასე-ბის შემდეგი მეთოდები [5, გვ.3]:

- **საბაზრო მეთოდი** იყენებს ფასებს და სხვა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც დგინდება ბაზარზე იდენტურ (ანალოგიურ) ან შესადარის აქტივებთან, ვალდებულებებთან, ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებთან განხორციელებული გარიგებებით;
- **დანახარჯ-მეთოდი** ადგენს თანხებს, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა მიმდინარე ეტაპზე მოხ-დეს მოქმედი აქტივის ჩანაცვლება;
- **შემოსავალ-მეთოდი** ახდენს მომავალი ფულადი სახსრების გადაანგარიშებას ერთ ფულად ნაკადად (ფულადი სახსრების, შემოსავლებისა და ხარჯების წმინდა დისკონტირებული ღირებულება).

რეალური ღირებულება განისაზღვრება ძირითადი ბაზრის მონაცემებით და ფასს მას „გასვლის ფასს" უწოდებს. **გასვლის ფასი** (exit price) არის აქტივების ფლობიდან „გასვლაში" გადახდილი ფასი. სხვაგვარად, ეს არის აქტივების გაყიდვიდან მისაღები, ან ვალდებულების დაფარვისათვის გადასახდელი ფასი. იმავდროუ-ლად, რეალური ღირებულება არის აქტივების **მიმდინარე ღირებულება** შეფასების თარიღისათვის [6, გვ.8].

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას გაითვალისწინება ბაზრის მონაწი-ლეთა ფულადი ნაკადების გენერირების უნარი აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენებით ან მისი გა-ყიდვით ბაზრის მონაწილეებზე, რომლებიც საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებენ ამ აქტივებს. **საუკე-თესო და უფრო ეფექტიანი გამოყენება** ნიშნავს არაფინანსური აქტივების ისეთ გამოყენებას, რაც მაქსიმალუ-რად გაზრდიდა აქტივების ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ღირებულებას (მაგალითად, ბიზნე-სის), რომელც შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქტივები. ასეთი აქტივების რეალური ღირებულების დასადგე-ნად, იმ დაშვებით, რომ ისინი საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენება, გაანგარიშებული უნდა იქნეს **მოსა-ლოდნელი ფულადი ნაკადები** - მისაღები ფულადი ნაკადების შესაძლო (საშუალო შეწონილი) ალბათობა.

არაფინანსური აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენების დაშვებისას გაითვალისწინება აქტი-ვების ისეთი გამოყენება, რომელიც არის ფიზიკურად შესაძლებელი, იურიდიულად დასაშვები და ფინანსუ-რად გამართლებული.

აქტივების საუკეთესო და ეფექტიანი გამოყენება განისაზღვრება ბაზრის მონაწილეთა პოზიციიდან, თუნდაც ამ აქტივების სხვა გამოყენება იყო გათვალისწინებული.

## დასკვნა:

- საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრება (თუ არ არის კოტირებადი) ბაზრის იმ მონაწილეთა თვალსაზრისით, რომლებიც ფლობენ იდენტურ ინსტრუმენტებს აქტივების სახით.
- ვალდებულებების რეალური ღირებულების დადგენისას გაითვალისწინება ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი, ანუ საწარმოს საკრედიტო რისკი.
- ვინაიდან რეალური ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება ბაზარს, შესაბამისად, ის იგივე საბაზრო ღირებულებაა, ხოლო ვინაიდან ღირებულების განსაზღვრა ხდება შეფასების თარიღისათვის, ის იგივე მიმდინარე ღირებულებაა.
- ფინანსური ანგარიშგების მუხლების შეფასება ერთიანი რეალური ღირებულების კონცეფციის საფუძველზე (როდესაც ეს არის სავალდებულო ან ნებადართული) უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფინანსური ინფორმაციის შესადარისობის ხარისხის ამაღლებას, არამედ ინფორმაციის მომხმარებლებს მისცემს რეალისტური დასკვნებისა და პროგნოზების გაკეთების საშუალებას.

ლიტერატურა:


1. ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასება.თბ., ტ,2. 2015წ.
2. Practical guide to IFRS. October 2011.
3. IFRS News Special Edition. IFRS 13 Fair Value Measurement. Grant Thornton.
4. IFRS 13 — Fair Value Measurement. Deloitte. http://www.iasplus.com/en/standards/standard53/
5. IFRS 13 Fair value measurement. Ernst & Young. 2012.
6. IFRS Outlook. May-June. 2011. Ernst & Young.
7. Практическое руководство по применению новых стандартов МСФО (2012). PricewaterhouseCoopers (PWC).


## Real Value Concept


**Nadezhda Kvatashidze**

*Academic Doctor of Economics*
*Associate Professor of TSU*

**Zeinab Gogrichiani**

*Senior TSU Teacher*

**Anzheli Khorava**

*Senior TSU Teacher*



**R e s u m e**

- The real value of Investments & Liabilities (of not listed company) is determined by the market participants who owns identical instruments;
- When determining the real value of liabilities, the risk of meeting the obligations is considered, i.e. the Credit Risk of the entity;
- As real value depends on the market, it actually represents market value, and as value is determined at a certain valuation date, it is the same as current value;
- The valuation of the Financial Statements components based on the real value concepts (whether it's mandatory or voluntary) not only increases the quality of comparativeness of the financial information, but it also gives ability of making realistic conclusions and forecasts to the users of the information.



***Keywords: market participants, main market, favorable market, valuation hierarchy, observable prices, non-marketable prices, valuation methods, expected cash flows.***

# Наукоемкость как ключевой фактор успешности трансформации нефтяной отрасли

Кетеван Кикилашвили

*Аспирант*
*Московский Государственный Университет*

*Современная система глобального экономического развития диктует странам, превращающим доходы от сбыта сырья в основу конкурентоспособности, переходить на качественно новый уровень развития. Трансформируя нефтяную отрасль исходя из наукоемкости и энергоэффективности мы получаем конкурентоспособную систему, подчиненную современным потребностям. Систематизация технологических укладов позволяет прогнозировать состояние нефтяной отрасли и представлять рекомендации при создании стратегического планирования. Основой для новых трансформаций принято считать инновационный потенциал, заложенный в структуре отрасли. Потребность мира в нефтяных ресурсах сохраняется на стабильном уровне, не смотря на повышение эффективности отрасли в целом. Для сохранения глобальной конкурентоспособности России необходимо сосредоточится на научных разработках и повышении иновационной активности в отрасли, преодолев рубеж конфликта международных отношений.*

***Ключевые слова: нефтяная отрасль, трансформация, наукоемкость, научная база, глобальные вызовы, экономический цикл, стратегия развития, иновационное развитие, энергоэффективность.***

В последние десятилетия нефтяная отрасль стала для России ведущей отраслью экономики со всеми вытекающими из этого положения преимуществами и издержками. Мы живем в период глобальной трансформации экономики, которая, несомненно, потребует и перестройки мировой энергетической, и в частности, нефтяной отрасли, не говоря уже о перестройках ряда национальных экономик, ориентированных на добычу сырья, в том числе – российской. В период предыдущей трансформации резкое и относительно спекулятивное повышение цен на нефть в 1970х годах позволило СССР наращивать ее экспорт, что уже в 1980е годы сыграло со страной «злую шутку» - после резкого снижения цены на нефть валютные поступления в бюджет СССР уменьшились, и в стране стал неумолимо расти дефицит бюджета, который, как полагает ряд отечественных экономистов, например, Е.Т. Гайдар [1], привел к экономическому коллапсу СССР и его распаду. Вместе с тем, доля «нефтяных денег» в бюджете СССР была значительно меньше, чем в бюджете нынешней России, как и суммарный объем экспорта нефти, однако, сегодня рыночная экономика страны позволяет значительно быстрее подстроиться под неблагоприятные условия. Каков же ключевой фактор успешности встраивания в глобальный процесс трансформации - в аспекте нефтяной отрасли?

Прежде всего, попробуем разобраться с понятием трансформации в целом и применительно к отрасли. В глобальном смысле о трансформации экономики говорятпрежде всего как о переходе к постиндустриальному обществу, начавшимся в 1970-х гг. эволюционное преобразование общественно-экономических систем, формирование постиндустриального общества. Однако, трансформации, по существу, были и раньше, и для более полного их описания необходимо привлечь более масштабные теории.

Так, с учетом современных достижений теории глобальных экономических циклов Н.Д. Кондратьева можно составить табличный перечень глобальных трансформаций экономических систем начиная с конца Первой мировой войны до настоящего времени, а также их проекций на Россию. Трансформационные переходы и их отражение к экономике России.

Наиболее интересна для нас в работе – Эпоха нефти, которая по большому счету все еще продолжается и не завершена и которая в наилучшей, как будет показано, степени освоена отечественной экономикой. IV технологический уклад – это двигатель внутреннего сгорания, реактивный и турбореактивный двигатели; ракеты, атомное топливо, компьютер, лазер, конвейерное производство, радиосвязь. Эпоха нефти названа так по содержанию составляющих его ядра, это, прежде всего, автомобилестроение, самолётостроение и нефтехимия, более современные технологии, также получившие развитие в нефтяную эпоху - объединенные энергосистемы,

атомная энергетика, электронная промышленность, ракетостроение, космические спутники. Для целей нашего исследования особенно важно, что лидерами 4-го технологического уклада – Эпохи нефти были (являются): США, Западная Европа, СССР[3].

**Трансформационные переходы от одного экономического цикла к другому (циклы Кондратьева) и их отражение в экономике России (период СССР – Российская Федерация**[2]

**Таблица 1.**

| Трансформационный период (от чего к чему) | Описание | Временной период | Отражение в России |
|---|---|---|---|
| От III к IV технологическому укладу | От Эпоха стали (Вторая промышленная революция) к Эпохе нефти – примерно с 1908 года (изобретения автомобильного конвейера Г.Фордом (ССЫЛКА) до периода начала Великой депрессии в США | Примерно с 1908 года по середину 1930х годов. Страны-лидеры – США, Западная Европа, СССР. | Социальная революция, период Гражданской войны, стагнации, восстановления и начала Индустриализации (со значительным отставанием от развитых стран и с быстрыми сокращением этого отставания вплоть до обретения технологического лидерства в ряде направлений) |
| От IV к V укладу | От Эпохи нефти к Эпохе компьютеров и телекоммуникаций («Научно-техническая революция») изобретения Интернета до примерно начала 1990х годов и | Примерно с конца 1960х годов по начало 1990х годов | Запоздалое начало развития информационно-коммуникационных технологий из-за глубокого, так и непреодоленного кризиса системы управления страной и экономикой в целом. Завершился сменой тренда в развитии экономики с сокращения отставания СССР от развитых стран к наращиванию этого отставания вплоть до создания условий для распада экономической и политической системы. |
| От V к VI укладу | От Эпохи компьютеров и телекоммуникаций к Эпохе цифровых и нанотехнологий | С начала тысячелетия по примерно середину-конец 2020х годов | Базовые технологии «цифрового прорыва» современного уровня в отсутствует,повышается интерес к цифровому управлению экономикой. |

Выражаясь языком «технологических укладов», СССР, по существу, остался в IV укладе, лишь частично, в основном – для оборонных целей, «проникнув» в 5-й и 6-й уклады частью своей экономики. Как полагает на основе своих расчетов В.Василенко, к началу 2010-х годов 5% экономики США уже приходилось на VIтехноуклад, 60% - на V, 20% - на VI и практически уже ничего в ней не относилось к IIIтехноукладу (что также не очень хорошо в социально-экономическом и общественно-политическом аспектом, так как сопровождалось появлением так называемого «Ржавого пояса» деинстриализации, связанного с появлением большого числа незанятого и недостаточно образованного населения). В России же на новый, VI уклад в экономике приходилось лишь доли процента (старапы, ряд предприятий ОПК, опытные производства), на V уклад – 10%, на IIIтехноуклад – 30% (сталь, добыча угля, других полезных ископаемых, теплоэлектростанции и тд), а IV уклад составил основу экономки – 50%.

От нефтегазовой отрасли в целом ждут роли «локомотива» инноваций. Эта роль прописана в «Энергетической стратегии России на период до 2030 г», утвержденной Правительством РФ в 2009 г [4]. Действительно, в выручке российского экспорта нефть в 2012 году составляла 34%, а газ - 15% [5]. Россия занимает 8 место в

мире по запасам нефти, была мировым лидером по добыче нефти, и в 2015 г заняла 3 место по добыче после США и Саудовской Аравии. В 2016 году – второе после Саудовской Аравии.

Однако, сегодня запасы наиболее интенсивно разрабатываемых пластов с текущим темпом отбора более 6%, обеспечивающих более половины добычи нефти, сократились на 110 млн т, а отбор из пластов с текущим темпом отбора 2-6% увеличился на 76 млн т. При этом значительный прирост запасов произошел на объектах с текущими темпами отбора менее 2%[6].

В технологическом отношении Россия не просто отстает, в все более отстает от развитых стран - значение коэффициента извлечения нефти (КИН) в России упало в 2009 г до 0,3, а в 2015 г составляло 0,27 [7], а в США КИН вырос до 0,4 при существенно худшей структуре запасов. По отдельным объектам за рубежом нефтяные компании имеют КИН на уровне 0,4-0,45, а на крупных объектах - 0,5. К 2020 г западные страны планируют выйти на средний КИН=0,5[8]. Только на Ромашкинском месторождении КИН достигал уровня 0,5[9].

Несмотря на продолжающийся мировой рост потребления нефти, ее потребление на душу населения Земли уже несколько десятилетий стабильно (рис. 1 - приведены данные из работы А.В. Иванищева и А.А. Пермякова[10], то же - для рисунка 2).

Рис. 1.




Потребление нефти на душу населения планеты тнэ/чел. По оси абсцисс-годы.

Рис. 2.




Доля нефти в мировом энергопотреблении (в %). По оси абсцисс - годы.

Мир стал значительно более «энергоэффективен». Несмотря на рост тоннажа перевозимой мировым флотом нефти, ее доля среди грузов неуклонно снижается по крайней мере с 1970 года до настоящего времени, упав более чем на 20% - с 55% до 32% в 2011 году[11]. Причины трансформации конца 20 века, как и всех предыдущих - развитие технологий.

Так, причинами первой трансформации, связанной с началом собственно эпохи нефти является изобретение конвейера и начало эпохи активного автомобилестроения в США и во всем мире, совпавшего по времени с постепенным отказом от керосина в освещении и заправке тех же тракторов. При этом нефтедобыча претерпела региональную трансформацию – появилась нефть Персидского залива. Повышение спроса на нефть, а также естественное развитие механизации как основного технологического тренда 20 века привело к новым способам добычи – с больших глубин, с использованием механических насосов и даже к первым нефтяным вышкам.

Вторая большая трансформация произошла в период Второй мировой войны и сразу после нее, в эпоху дальнейшего развития массового автомобилестроения, появления магистральных трубопроводов. Вторая мировая война вызвала усиление геологоразведки во всем мире, развитие эффективности собственно переработки и транспортировки топлива, однако к большой трансформации нефтяной промышленности привела только временно – этот период рассматривать неэффективно.

Третья глобальная трансформация – добыча на шельфах, создание супертанкеров, революция в нефтепереработке (экологические нормы для бензина и т.д.). Постепенно мировая добыча нефти приближается к своему историческому пределу насыщения – нефтяному пику. Концепция пика добычи нефти была предложена в 1956 году американским геофизиком К.Хаббертом. Истощение нефтяных месторождений идет по так называемой «кривой нормального распределения»: объемы добычи на любом нефтяном месторождении вначале резко растут, затем остаются на некотором стабильном уровне и в результате падают, причем окончательно[12]. Действительно, мировые запасы традиционной нефти неуклонно истощаются, о чем говорит растущий разрыв между ежегодным объемом добываемой нефти и объемом разведываемых запасов. Начиная с 1984 года, ежегодный прирост традиционных запасов оказывается стабильно ниже годовой добычи нефти[13].

В последние годы началась четвертая трансформация происходит сейчас – нетрадиционные и труднодоступные запасы (битумная, сланцевая нефть) стали традиционными. Развиваются технологии сланцевой добычи. При этом спрос на нефть с развитием развивающихся стран и созданием новых технологий для двигателей постепенно стабилизируется при повышении качества топлива.

Если в период СССР страна практически полностью обеспечивала себя технологиями добычи и переработки нефти (пусть и отстающими в последние годы от современного уровня), то сегодня баланс технологических платежей страны складывается далеко не в ее пользу - особенно в сфере добычи полезных ископаемых.

**Табл. 2. Баланс российских платежей за технологии (тыс. долл. США) - в целом и в сфере добычи полезных ископаемых[14].**

| | Поступления от экспорта технологий | | | Выплаты по импорту технологий | | | Сальдо платежей за технологии | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Годы | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 | 2013 | 2014 | 2015 |
| Всего | 770584.8 | 1279213.1 | 1654732.1 | 2463626.3 | 2455830.7 | 2205429.3 | -1693041.5 | -1176617.6 | -550697.2 |
| | | | | | | | | | |
| Добыча полезных ископаемых | 1407.2 | 2057.1 | 11210.7 | 134826.8 | 208401.9 | 264897.9 | -133419.6 | -206344.8 | -253687.2 |

В то же время, в мире в целом, вместе с тем, наблюдается неуклонный рост числа научных публикаций по темам, связанным с нефтью, ее добычей, переработкой, разведкой, экономикой. При этом доля этих

публикаций в мировом объеме научной литературы, по-видимому, не падает, а растет - несмотря на определенную стагнацию в доле нефти в мировом энергопотреблении.

А)




Б)




**Рис. 3. Число публикаций в Scopusco словом «petroleum» в названии, аннотации, ключевых словах (А) и доля таких публикаций в общем числе публикаций по годам - в % (Б). По оси абсцисс - годы.**

Таким образом, для эффективного участия в начавшейся волне трансформации нефтяной отрасли России необходима активная поддержка собственных научных разработок и инноваций, что осложняется начавшимся периодом обострения международных отношений и экономическими санкциями против России. Тем не менее, альтернативы в развитии именно научно-технологической составляющей нефтяной индустрии для устойчивого развития страны в ближайшее десятилетие, по всей видимости, не предвидится, поскольку длительный период экстенсивного освоения природных богатств и в России, и во всем мире подошел к концу, и отставание не то что от трендов в развитии развитых стран, но и от среднемирового уровне попросту небезопасно.

## Список использованных источников:

1. Гайдар Е.Т. Гибель империи. Уроки для современной России. 2-е изд., испр. и доп. - М.: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН), 2006. - 448 с.
2. Василенко В. Технологические уклады в контексте стремления экономических систем к идеальности // Соціально-економічніпроблеми і держава : журнал. Тернополь, 2013.Т. 8, № 1. С. 65-72.
3. Нанотехнологии как ключевой фактор нового технологического уклада в экономике / Под ред. С. Ю. Глазьева и В. В. Харитонова. — М.: Тровант, 2009. — 304 с
4. Энергетическая стратегия России на период до 2030 года, 2009. http://www.inreen.org.
5. Кашин В.И. Приоритет - национальные интересы // Нефтегазовая вертикаль, 2012, № 8, с.40-43.
6. Григорьев М. Приросты запасов крайне малы // Нефтегазовая вертикаль, 2012, № 8, с.56-57
7. Энергетическая стратегия России на период до 2035 года // Проект, 2015, http://ac.gov.ru/files/content/1578/11-02-14-energostrategy-2035-pdf.pdf.
8. Концепция программы преодоления падения нефтеотдачи / Спиридонов Ю.А., Храмов Р.А., Боксерман А.А., Хавкин А.Я. и др. // М., Госдума РФ, ОАО «Зарубежнефть», 2006, 144с.

9. Государственный доклад «О состоянии и использовании минеральных ресурсов в 2008г.» / Гл. ред. С.Е.Донской // Минерал, Центр «Минерал» ФГУНПП «Аэрогеология», 2009, 400с.
10. Иванищев А.В., Пермяков А.А. Ис следование структурных закономерностей. в долгосрочной динамике объема мировой добычи нефти. Инновации и инвестиции. 2016. № 4. С. 99-106.
11. Обзор морского транспорта - 2012 год. Доклад секретариата ЮНКТАД. Интернет-ресурс: http://unctad.org-/en/PublicationsLibrary/rmt2012_ru.pdf (дата обращения 28.09.2017).
12. Агафонов И.А. Кривая Хубберта и нефтяной кризис. Вестник Самарского государственного технологического университета. 2013. Интернет-ресурс: http://vestnik.samgtu.ru/uploads/series/1/21/214/2013-4-10-0012.pdf (дата обращения 28.09.2017).
13. Костина Г, Оганесян Т. Мало не покажется. Интернет-издание «Эксперт-онлайн». Интернет-ресурс: http://expert.-ru/expert/2012/16/malo-ne-pokazhetsya (дата обращения 28.09.2017).
14. Индикаторы науки. М. ВШЭ. 2017. Интернет-ресурс: https://www.hse.ru/primarydata/in2017 (дата обращения 28.09.2017).

## The Science Intensity as a Key Factor of Transformation of Oil Industry

Kikilashvili Ketevan

*Doctoral student*
*Moscow state university*

**R e s u m e**

The modern system of global economic development transforms traditional methods of production and extraction of rent into qualitatively new level of growth. Evolution of income in oil industry creates new rules of the global game. Current needs of competitiveness illuminate the transformation based on science intensity and energy efficiency. Technological innovations and new ways of structural systematization enhances a competitive system that is subordinated to modern needs. Systematization of technological structures allows to predict the state of the oil industry and to make recommendations while creating the strategic plan. The basis for new transformations is considered to be the innovative potential inherent in the structure of the industry. Despite the increase in the efficiency of the whole industry the world's demand for energy resources remains at a stable level. The main focus of Russian oil industry is to maintain global competitiveness in scientific developments and innovative activity, by overcoming the conflict of international relations.

***Key words: oil industry, transformation, science-intensive, scientific base, global challenges, economic cycle, strategy, innovation, energy efficiency.***

# გლობალიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

**მარინე კობალავა**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საზოგადოებასთან ურთიერთობა გლობალური მასშტაბით, სახელმწიფო ინსტიტუციისა და საჯარო, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების მიდგომებია საზოგადოებრივი ინტერესების მიმართ ქვეყნის მოსახლეობასთან ურთიერთობების დასამყარებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი კონცეპტის - გლობალიზაციის მასშტაბები ხელს უწყობს მსოფლიოში განხორციელებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების ახალი ეპოქის დამკვიდრებას.*

*საკვანძო სიტყვები: საზოგადოებასთან ურთიერთობა, გლობალიზაცია, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია, პიარი, ფემინიზაცია.*

დღევანდელი ეკონომიკური სივრცე ხელს უწყობს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის შეღწევას როგორც საზოგადოების ფართო მასებში, ასევე, კომერციულ და არაკომერციულ საქმიანობაში. ჩვენს რეალობაში, რამდენიმე ათეული წელია მყარად დამკვიდრდა საზოგადოებასთან ურთიერთობის პოპულარიზაცია. აღსანიშნავია, რომ გლობალური მარკეტინგი ბაზრის სისტემური კონსტრუირებით ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობას. სხვადასხვა მარკეტინგული მართვითი მექანიზმების შეთავაზებით საზოგადოებასთან ურთიერთობა, ერთი მხრივ, მიმართულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, დამარწმუნებელი ინფორმაციის, პროპაგანდის მექანიზმების, შემეცნებითი მანიპულაციის აქტივობებზე, ხოლო მეორე მხრივ, ბიზნესის ოპტიმიზაციაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა დიდი ხანია მსოფლიოში ზესტსელერად იქცა, ხოლო აღნიშნული ტერმინი გამოყენებულია როგორც ზოგადი ტერმინი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ტერმინოლოგიური კონოტაცია ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრიტანული ინსტიტუტი (IPR) განმარტავს: „საზოგადოებასთან ურთიერთობა არის გავლენის მქონე ქცევა, რომელიც დასახულ ამოცანებს აღწევს ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ეფექტიანი მართვით“ [1, გვ. 6]. ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ანუ იგივე პიარი, ოდნავ განსხვავებულია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმის საზოგადოებასთან ურთიერთობისაგან. მარკეტინგში მისი აღიარებული დეფინიცია შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „კომპანიის მიერ საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება სასურველი რეკლამითა და კარგი კორპორაციული იმიჯით, აგრეთვე არასასურველი ამბებისა და ჭორების თავიდან აცილება“ [2, გვ. 467]. აღნიშნული დეფინიციების ინტეგრირებული ვარიანტი საზოგადოებასთან ურთიერთობების მასშტაბებს კონცეპტუალურ დონეზე ასახავს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგიული მმართველობითი ფუნქციაა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებასთან კომუნიკაციას, წინასწარშერჩეულ აუდიტორიასთან მიდგომების ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივი ინტერესების აღიარებას და ამავდროულად, ის არის სოციალური მეცნიერება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საზოგადოებრივი ინტერესების პროგნოზირება. საზოგადოებასთან ურთიერთობა როგორც მეცნიერება, პრიორიტეტული ღირებულების მატარებელი გახდა. საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს კომპანიის დაგეგმარების ძირეულ კომპონენტს და ამასთან, უზრუნველყოფს კომპანიის მიზნების შეფასების პროცესს. მარკეტინგული კომუნიკაციის მასტიმულირებელი კომპლექსის საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმი კომპანიის დადებითი იმიჯის შესაქმნელად გეგმავს პერცეფციებისა და სტრატეგიული ურთიერთობების მართვას მულტიკულტურულ სამყაროში.

საზოგადოებასთან ურთიერთობა წინასწარდაგეგმილი, ორგანიზებული და მმართველობითი ფუნქციის მატარებელია რომლის ფუნდამენტალური ფუნქციაა მართვის ძირითადი მექანიზმების შემუშავება და ამავდროულად, საჯარო და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შეფასება, რომელიც ორიენტირებუ-

ლია კორპორაციების მოდერნიზაციისა და სოციალურ დაჯგუფებებს შორის პოზიტიური თანხმობის მიღწევაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა გენერირდება ოთხი, ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებული ძირითადი კომპონენტისაგან. ამ კომპონენტთა ერთობლიობას RACE სისტემას უწოდებენ - თითოეული შემადგენელი ინგლისური სიტყვის პირველი ასოების მიხედვით: *კვლევა* (Research - პრობლემის საკითხის ანალიზი, კვლევა და ფორმულირება), *ქმედება* (Action - სამოქმედო პროგრამისა და ბიუჯეტის შედგენა), *კომუნიკაცია* (Communication - საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინაცია) და *შეფასება* (Evaluation - შედეგების კონტროლი, დაზუსტება და სავარაუდო ცვლილებების შეტანა).

1990-იანი წლების ბოლოს სოციალურ ბრუნვაში შემოვიდა ცნება "გლობალიზაცია“. ეს სიტყვა ფაქტობრივად პარადიგმაა, რომელიც მოიცავს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, ეპოქალური ცვლილებების გაგებას. გლობალიზაციის ცნება რთული პროცესების კომპლექსის მოკლე დასახელებაა, რომლის არსია ის,რომ მდგომარეობს იმაში, რომ, ეს პროცესების კომპლექსი დროსა და სივრცეში "კუმშავს" მსოფლიოს და პირობითს და გამჭვირვალეს ხდის ყველა ტერიტორიულ საზღვარს. გლობალიზაცია ისტორიული პროცესია, რომელიც მსოფლიოს გარდაქმნის ერთიან სისტემად, ერთიანი მახასიათებლებით.

გლობალიზაციის პირობებში მულტიკულტურალიზმის ცნება მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფციისათვის. XXI საუკუნის დასაწყისში მულტიკულტურული ტენდეციები ეთნიკურ და კულტურულ კრიტერიუმებად იწყებს განვითარებას. თანამედროვე სამყაროში საზოგადოებასთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს მიღწევად დარგის ფემინიზაცია მოიაზრება. დარგის ფემინიზაციის ინდიკატორს ქალთა დასაქმების მაჩვენებლების უპირობო ზრდა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია მარინა მაჰერის საზოგადოებასთან ურთიერთობის ფირმის დამფუძნებლისა და პრეზიდენტის მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია “პიარუიკისათვის“ დაწერილ სტატიაში. იგი ამბობს, რომ: „ქალები ცოცხლობენ, იზრდებიან და ვითარდებიან ამ სფეროში, იმიტომ რომ ჩვენ კარგად ვგრძნობთ თავს მასში. იგი ჩვენს ბუნებრივ შესაძლებლობებს შეესატყვისება. ჩვენ ძლიერი ინტუიცია გვაქვს, დიდ ყურადღებას ვაქცევთ დეტალებს და მოწოდებული ვართ თავდადებით მსახურებისათვის. ჩვენ კარგად შეგვიძლია საერთო საფუძვლის მოძებნა და იმ ემოციური ჯაჭვების გაბმა, რომელიც მიზნობრივი ურთიერთობის არსს წარმოადგენს“ [1, გვ. 62]. აქვე აღსანიშნავია, რომ დარგის ფემინიზაცია უკვე ჩამოყალიბებული და მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე ტენდენციაა.

ვინაიდან, ჩვენ მულტიკულტურულ სამყაროში ვცხოვრობთ, რაც ჩვენგან მრავალგვარი მიზნობრივი და არამარტო მიზნობრივი აუდიტორიის შესახებ ცოდნასა და ინფორმაციის მოპოვებასა და შესწავლას მოითხოვს, უმნიშვნელოვანესი ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის საზოგადოებრივი პრაქტიკის ტრანსფორმაცია ძირითადი ტენდენციების მიმოხილვისათვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საქმიანობას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში (ასე მაგალითად, მაიკროსოფტი, დისნეი და სხვ.). ასეთ პირობებში, ინფორმაცია კომპანიის შესახებ ორიენტირებულია სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებსა და მზარდ გლობალიზებულ სივრცეში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობა, ანუ იგივე პიარი წყვეტს პრობლემებს, რაც დაკავშირებულია ქვეყნის იმიჯთან, ტურისტულ და საინვესტიციო ნაკადების ზრდასთან.

ყველაფრის მიუხედავად, გლობალიზაციის პირობებში ყველაზე მნიშვნელოვანია ოთხი ძირითადი კონცეფცია, რის შესაბამისად გაითვლება ამა თუ იმ ინფორმაციის ზემოქმედება საზოგადოებაზე:

*პირველი,* ეს არის - სელექტიური შერჩევისა და დამახსოვრების კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ ინფორმაციის მიმღებს ახსოვს მხოლოდ ის შეტყობინებები, რაც შეესაბამება მათ ღირებულებებს და ფასეულობებს. აქ მოქმედებს შერჩევითი დამახსოვრების პრინციპი.

*მეორე* - "დუმილის სპირალის" კონცეფციაა, რომელიც ამტკიცებს, რომ გავრცელებული ინფორმაციის საშუალებით საზოგადოება, როგორც წესი, ცდილობს გაბატონებული თვალსაზრისის დადგენას. თუ აღმოჩნდა, რომ საზოგადოების აზრი არ არის მხარდაჭერილი უმრავლესობის მიერ, ადამიანები ღიად აღარ გამოხატავენ საკუთარ აზრს და უერთდებიან საერთო შეხედულებებს. ამდენად, დუმილის სპირალი ინდივიდუალურ დონეზე ვითარდება.

*მესამე* - მედიადამოკიდებულების თეორია,რომელიც ამტკიცებს, რომ საინფორმაციო სისტემები ჩართულია სტაბილურობის, ცვლილებებისა და კონფლიქტების ფორმირების პროცესში საზოგადოებისა და

ინდივიდების დონეზე. დღეს საინფორმაციო ვიდეორელიზები, მაუწყებლობა, ვებკასტინგები და კომუნიკაციის ყველა სხვა ფორმა უმნიშნელოვანესია სამიზნე აუდიტორიისათვის კორპორაციული ინტერესების შესათავაზებლად და შესაბამისი აზრის ჩამოსაყალიბებლად. საზოგადოების წევრები დამოკიდებული არიან საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მედიაში გავრცელებულ შეფასებებზე და ეს დამოკიდებულება იზრდება, თუ საზოგადოება ტრანსფორმაციის ან კონფლიქტის მდგომარეობაშია.

*და ბოლოს,* ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობის სარგებლობისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების თეორია, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი ინფორმაციიდან აუდიტორია აირჩევს მხოლოდ ისეთს, რაც აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს, მოთხოვნები კი არის საინფორმაციო, თვითიდენტიფიცირების, ინტეგრაციის, სოციალური ურთიერთქმედებისა და ა.შ.

გლობალიზაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა თავის მწვერვალს აღწევს პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში (აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპა და აზიის ნაწილი). საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების კომპონენტთა ერთობლიობას ლაიტმოტივად გასდევს ქვეყნის კულტურასთან ადაპტირება, ადგილობრივ წეს-ჩვეულებებთან სინთეზი და სხვადასხვა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციიები.

ლიტერატურა:


1. უილკოქსი დ. ლ, კამერონი გ. ტ. საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა. თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“, 2011, 610 გვ.
2. კოტლერი ფ., ამსტრონგი გ. მარკეტინგის საფუძვლები, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013, 746 გვ.


## Globalization and Public Relations


Marine Kobalava

*PhD in Economics,, Associated Professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

The notion of multiculturalism in the context of globalization becomes important for the concept of public relations.At the beginning of the 21st century multicultural tendencies began to develop into ethnical and cultural criteria.Feminization of the field is considered to bethe most important achievement of public relations in the modern world.Unconditional increase of women employment rates is the indicator of the feminization of the field.

The article focuses on four main concepts:The author has reviewed the concept of selective choice and remembering, which proves that, the recipient remembers only those messages that correspond to their morals and values.Later there is reviewed the concept "Spiral of silence" which proves the fact that society, as a rule, tries to percept the dominant idea in the information spread.

It also discusses the theory of media dependence on a target audience that influences the public opinion formation and its transformation.

According to the author, historically such a system arises from the influence of globalization factors and is largely a contributing condition for the alliance of public relations and society.



***Keywords: Public Relations, Globalization, Integrated Marketing Communications, PR, Feminization***

# გადასახადის ელემენტები, ფუნქციები და განსაზღვრის პრინციპები

**ელგუჯა კონჯარია**

*ეკონომიკის დოქტორი,*
*ასოცირებული პროფესორი*

*ნებისმიერი ქვეყნის მიზანია შექმნას ისეთი მოქნილი და მიზანდასახული საგადასახადო სისტემა, რომელიც ადვილად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას და დროის კონკრეტულ მომენტში ქვეყნის ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების ხასიათის გათვალისწინება შეეძლება. გადასახადების ოდენობის, მისი სახეების, განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური, სოცილურ-ყოფითი პირობების,სამართლიანობისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით, ყველა დროის ცნობილ მოაზროვნეთა მსჯელობის საგანი იყო*

*ქვეყნის ეკონომიკური სისტემის გამართული და ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგადასახადო პოლიტიკასა და სისტემის გამართულ მუშაობაზე. გადასახადები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის არის და დარჩება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკვანძო საკითხად.*

***საკვანძო სიტყვები:** გადასახადის სუბიექტი; გადასახადის ობიექტი; საგადასახადო სარგო; გადასახადის წყარო; საგადასახადო შეღავათი.*

გადასახადები ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარომეტრი და ინსტრუმენტია. იგი სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტს შორის ურთიერთდამოკიდებულობის დონეს და ხარისხს ასახავს. გადასახადის გარეშე სახელმწიფო ვერ იფუნქციონირებს. სხვადასხვა ავტორის განსაზღვრებით, გადასახადს სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონერების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითად საშუალებაა [1,გვ.10], ,,გადასახადი, პირველ ყოვლისა, არის განაწილებისა და გადანაწილების გზით მიღებული შემოსავლისა და სიმდიდრის ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მოთხოვნილებებს აკმაყოფილებსნ [2.გვ.82].

გადასახადი წარმოადგენს რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილების მთავარ საშუალებას, მისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაცია.

გადასახადი, როგორც კომპლექსური ეკონომიკურ-სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს განსაზღვრული ურთიერთდამოკიდებული ელემენტების ერთობლიობას. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული მნიშვნელობა.

გადასახადი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. თითოეული გადასახადის შესახებ კანონი უნდა მოიცავდეს ინფორმაციის ამომწურავ ერთობლიობას, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას კონკრეტულად დავადგინოთ:

ვალდებული პირი, საგადასახადო ვალდებულების მოცულობა და მისი აღსრულების წესი; გადასახადის გადამხდელის ქონების მიმართ სახელმწიფო მოთხოვნის საზღვრები [3.გვ.24-25].

გადასახადი შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით განსაზღვრულია საგადასახადო ვალდებულების არსებითი ელემენტები.

გადასახადის სტრუქტურა შემდეგია: გადასახადის სუბიექტი; გადასახადის ობიექტი; გადასახადის წყარო; გადასახადის დაბეგვრის ერთეული; გადასახადის განაკვეთი; საგადასახადო სარგო; საგადასახადო შეღავათი; გადასახადის გადახდის ვადები.

გადახადის სუბიექტი გამოდის გადასახადის გადამხდელის სახით, წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც კანონით დაკისრებული აქვს გადასახადის გადახდა ხოლო გადაუხდელობის შემთხვევაში, იურიდიულადაა პასუხისმგებელი გადასახადის გადაუხდელობისათვის.

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ყველა ის საგანი, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარება. გადასახადების წყარო - ესაა სუბიექტის შემოსავალი, საიდანაც გადასახადი ამოიღება. დაბეგვრის ერთეული, ანუ დასაბეგრი ობიექტის გაზომვის ერთეული. საგადასახადო განაკვეთი, ანუ გადასახადის ოდენობა დასაბეგრი ობიექტის ერ-

თეულზე. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს გადასახადების ოდენობას დაბეგვრის ერთეულზე. საგადასახადო სარგო არის გადასახადის თანხა, რომელსაც სუბიექტი ერთი ობიექტიდან იხდის.

საგადასახადო შეღავათი გულისხმობს კანონის საფუძველზე გადასახადიდან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებას. გადასახადის გადახდის ვადები დადგენილია კანონმდებლობით და მოიცავს იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შეიტანოს გადასახადი ბიუჯეტში.

აღნიშნული ელემენტების გარდა, არსებობს ფაკულტატური ელემენტებიც, რაც გავლენას ვერ ახდენს საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის ხარისხზე, თუმცა კი არსებითად ამცირებს ამ ვალდებულებების სათანადო შესრულებას.

გადასახადებს, როგორც ფინანსურ კატეგორიას, ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურებანი, რომლებიც მათ განასხვავებს სხვა ფინანსური კატეგორიებისაგან. ესაა მათი ფუნქციები, რაც ახასიათებს და ავლენს გადასახადების ძირითად დანიშნულებას, მოვალეობასა და მოძრაობის ფორმებს.

გადასახადის ფუნქცია გულისხმობს მისი არსისა და თვისების გამოვლენას, აგრეთვე საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრას.

ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტარის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება- სტიმულირება [5.გვ.38].

გამოყოფენ გადასახადების მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ორ ძირითად ფუნქციას: ფისკალურსა და მარეგულირებელს. თითოეულ მათგანში ვლინდება გადასახადების როგორც ფინანსური კატეგორიის შინაგანი ბუნება, თავისებურებანი და ნიშნები.

ფისკალური ფუნქცია გადასახადების ძირითადი ფუნქციაა და ახასიათებს მათ ძირითად დანიშნულებას: გადაანაწილოს ეროვნული შემოსავალი და სახელმწიფოს ფულადი ფონდების ფორმირების გზით უზრუნველყოს ხელისუფლების ფუნქციონირების მატერიალური საფუძველი.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ფორმირდება სახელმწიფოს შემოსავლები, ამავე დროს ქმნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისათვის ობიექტურ წინაპირობებს. შესაბამისად იგი არსებითად განაპირობებს გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებასა და რეალიზაციას.

სახელმწიფო ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დაბალანსების მიღწევას;
- საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად გადანაწილებას;
- მაღალი დონის სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას სახელმწიფოსა და ცალკეულ რეგიონებში.
- ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შესრულებას.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსია ის, რომ ახორციელებს რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებას, ასტიმულირებს ან ანელებს ამ გადანაწილების ტემპებს, აძლიერებს ან ასუსტებს კაპიტალის დაგროვებას, ანუ ეკონომიკურ ზრდას, აფართოებს ან ამცირებს მოსახლეობის მყიდველუნარიანობას [4.გვ.35].

გადასახადების მარეგულირებელ ფუნქციას ხშირად ეკონომიკურ ფუნქციასაც უწოდებენ, ამ ბოლო დროს ეკონომიკურ ლიტერატურაში მას გადასახადების მასტიმულირებელ ფუნქციადაც მოიხსენიებენ, თუმცა, მისი შინაარსის გაგებაში რაიმე პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება.

გადასახადების ფუნქციების ეფექტიანი რეალიზაცია დიდადაა დამოკიდებული მათი განსაზღვრის ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა სამართლიანობა (თანასწორობა), ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა.

სამართლიანობის (ანუ თანასწორობის) პრინციპის დაცვის მიზანია გადასახადების გადახდის სიმძიმის თანაბარი გადანაწილება გადასახადის ნებისმიერი კატეგორიის გადამხდელზე.

ეფექტიანობის პრინციპმა უნდა უზრუნველყოს გადასახადების ეფექტიანობა, კერძოდ, გადასახადების გადახდის გზით ფინანსური რესურსების გადანაწილებისას, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე გადამხდელისათვის, გადასახადის არასასურველი შედეგები მინიმუმამნდე უნდა იქნეს დაყვანილი.

გადახდისუნარიანობის პრინციპი გულისხმობს ისეთი გადასახადების განსაზღვრას, რითაც ამოსაღები თანხის მოცულობა დამოკიდებულია შემოსავლის მოცულობაზე ან სიმდიდრეზე. იგულისხმება, რომ სახელ-

მწიფო მომსახურების ანაზღაურება მდიდრებისათვის უნდა იყოს მაღალი, ხოლო ღარიბებისა და სოციალურად ნაკლებად დაცული ფენებისათვის, დაბალი.

ნებისმიერი სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებას ახდენს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის ცვლილებებით, საგადასახადო განაკვეთებისა და შეღავათების მოხდენილად გამოყენებით. პრაქტიკაში ეკონომიკური რეგულირებისათვის გამოიყენება ორი საგადასახადო მოდელი: ლიბერალური და მკაცრი.

ლიბერალური საგადასახადო მოდელის გამოყენებისას დაწესებულია დაბალი საგადასახადო განაკვეთები და შედარებით მრავალფეროვანი საგადასახადო შეღავათები, რითაც გადასახადის გადამხდელებს შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ურჩებათ საინვესტიციო საჭიროებისათვის. რეგულირების ლიბერალური მოდელი ხელს უწყობს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას, ამაღლებს საქონლის კონკურენტუნარიანობას და აჩქარებს რეალიზაციას.

მკაცრი საგადასახადო მოდელი ითვალისწინებს მაღალი განაკვეთების დაწესებას და საგადასახადო შეღავათების მინიმიზაციას, რის გამოც მეწარმეთა შემოსავლების დიდი ნაწილი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტსა და ცენტრალიზებულ ფონდებში, ხოლო ფირმა განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, რაც საბოლოო ანგარიშით, იწვევს წარმოების ტემპების დაცემას და საგადასახადო ბაზის სიმწირეს.

გადასახადების მარეგულირებელი და ფისკალური ფუნქციები წარმოადგენს წინააღმდეგობათა ერთიანობას. ორივე ფუნქცია შინაგანად ერთიანია. ფისკალური ფუნქცია წარმოიშვა რა გადასახადებთან ერთად, განაპირობა მარეგულირებელი ფუნქციის ამოქმედება და განვითარება. საგადასახადო შემოსავლების მზარდმა ფისკალურმა მნიშვნელობამ შექმნა წარმოების პროცესზე ფართო და გაღრმავებული ზემოქმედების შესაძლებლობა. ამასთან, წარმოების რეგულირება, რომელიც მიმართულია ეკონომიკური ზრდის დასაჩქარებლად, ამაღლებს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების შემოსავლიანობას, რომელიც მომავალში გააფართოვებს გადასახადების ფისკალური ფუნქციის სამოქმედო ბაზას.

გადასახადების ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების შინაგანი ერთიანობა არ გამორიცხავს თვით ფუნქციებში და ფუნქციებს შორის წინააღმდეგობებსაც, რაც უშუალოდ გადასახადების არსშია ჩადებული, როგორც წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმაში.

ფისკალური ფუნქცია გამოხატავს გადასახადის გადამხდელის ურთიერთობას სახელმწიფოსთან, ხოლო მარეგულირებელი ფუნქცია სახელმწიფოს ურთიერთობას გადასახადის გადამხდელთან.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია აისახება სახელმწიფოს შემოსავლებში მისი მონაწილეობით.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შესამჩნევად იზრდება გადასახადების, როგორც ეროვნული ეკონომიკის რეგულატორის როლი და მნიშვნელობა. გადასახადები წარმოადგენს მართვის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ მეთოდს, რომელიც უზრუნველყოფს საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების მეწარმეთა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის მქონე სამეურნეო ერთეულების კომერციულ ინტერესებთან მჭიდრო კავშირს. გადასახადების მეშვეობით განისაზღვრება მეწარმეთა და საკუთრების ყველა ფორმის საწარმოთა შორის ურთიერთობა, იქნება იგი სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებთან მიმართებაში. გადასახადების მეშვეობით წარმოებს საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება.

გადასახადები მოწოდებულია ხელი შეუწყოს ახალი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა როგორიცაა: სახელმწიფოსა და რეგიონების (ტერიტორიული ერთეულების) ფინანსური სისტემების სტაბილიზაცია; ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარება; სამეურნეო საქმიანობის აქტივიზაცია; მეწარმეობის განვითარების, წარმოების ზრდისა და მისი ეფექტიანობის ამაღლება.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა გადასახადის ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციებს შორის. საგადასახადო განაკვეთების შემცირება და საგადასახადო ლიბერალიზაცია, თავისი შინაარსით, ძალიან მიმზიდველია და მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ასეთი კონცეფცია უფრო გავრცელებული იყო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მათ შორის საქართველოშიც. საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ თეორიულად და პრაქტიკულად ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რეალუ-

რი სექტორის განვითარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებით უზრუნველყოფა.

ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა დღის წესრიგში აყენებს ხარჯების შემცირების ამოცანებს, რაც ყოველთვის არაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო ეკონომიკისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზას დაადგნენ. საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად ისინი ხშირ შემთხვევაში მეტისმეტად ზრდიან საშინაო და საგარეო ვალებს, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერიოდში ბიუჯეტის ხარჯების გადიდებას იწვევს. ამასთანავე, დეფიციტის ზრდა მეწარმეთა საბრუნავი საშუალებების და მოსახლეობის ფულადი შემოსავლების გაუფასურებას იწვევს.

მეწარმეთა უმეტესი ნაწილი თვლის, რომ გადასახადის ორი მიზნის ერთობლივად მიღწევისათვის, ანუ გადასახადების შემცირების პარალელურად საბიუჯეტო შემოსავლების ზრდისათვის საჭიროა წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის ზრდა.

სწორედ ამიტომაა თანამედროვე საქართველოს საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნაა.

## ლიტერატურა:


1. მესხია ი. ბასარია რ. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბილისი, 2001;
2. ჩანტლაძე ვ., ფინანსური მეცნიერების საფუძვლები, თბილისი, 1995;
3. როგავა ზ. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი. 2002;
4. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007;
5. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა, 2002.


## The Elements, Functions and Principles of Determining the Tax


Elguja Konjaria

*Doctor of Economics*



**R e s u m e**

The goal of every country is to have the flexible and purposeful tax system, that will promote easily the changing economic situation and at a concrete period be able to take into account the economic goal and the character of the tasks. The amount of taxes , determination of its kinds taking into consideration justice and effectiveness was the subject matter of well-known thinkers of all times.

The efficient functions of economic system depends greatly on tax policy and system staid work. Bills from the state is the instrument of influence on economics. Issue connected with payment system infringing will always remain the key issue of economic politics of the country.



*Keywords: subject of tax; tax object; tax remuneration; tax source; tax credit.*

# სადაზღვევო ბაზარი და მისი განვითარება საქართველოს აგრარულ სექტორში

**თამარ ლაზარიაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში დახასიათებულია სადაზღვევო ბაზარი აგრარულ სექტორში, შესწავლილია სადაზღვევო პროდუქტებით ფერმერების დაინტერესების დონე და მასზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია, დასაბუთებულია სოფლის მეურნეობაში დაზღვევის მნიშვნელობა.*

*ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, შეფასებულია აგროდაზღვევის სფეროში არსებული პრობლემები რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.*

*სტატიაში დასაბუთებულია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავების, კადრების მომზადება-გადამზადების, ბაზრის მონოპოლიისაგან დაცვის, კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის საფონდო ბაზრის განვითარების და სხვათა აუცილებლობა. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას ხელს შეუწყობს.*

*სადაზღვევო ბაზრის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები აგროდაზღვევის პრობლემების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.*

*საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო პროდუქტი, აგრობაზარი, აგროდაზღვევა, სადაზღვევო რისკები, რისკის პრემია*

საქართველო დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ქართველებისთვის მიწათმოქმედება იყო არა მხოლოდ სამეურნეო საქმიანობა, არამედ ცხოვრების წესი და მენტალიტეტის განმსაზღვრელი ფაქტორი [1]. მსოფლიო ბაზარზე დღითიდღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში[2]. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;
- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;
- საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;
- აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა, საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება. მთლიან ფართობში სახნავ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში - 22,7%, თურქეთში -27,7%, უკრაინაში კი - 56,1% [3].

საქართველოში ფერმერთა უმეტესობა ფლობს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, ამ ზომის მიწაზე კი თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს საქარ-

თველოში უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მაინც უამრავი პრობლემა აქვს, რომელთა გადასაჭრელადაც აუცილებელია სახელმწიფოს ფინანსური დახმარება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე, დაზღვევის სისტემის განვითარება და სხვ.

აგრარული სექტორის განვითარება, მისი მაღალრისკიანობიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია გამართული სადაზღვევო სისტემის გარეშე. აგროდაზღვევის წარმოშობას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორის, მათ შორის სტიქიური უბედურებების მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შეფერხების ნაწილობრივ აღმოფხვრას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს შემოსავლების სტაბილიზაცია ისე, რომ ფერმერების აქტივობები წლების განმავლობაში გრძელდებოდეს, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით [4]. აგროდაზღვევა საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში შედარებით ახალი სადაზღვევო პროდუქტია, რომელიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ეროვნულ ბაზარზე. თავის მხრივ, აგროდაზღვევა უაღრესად სპეციალიზირებული და კომპლექსური ქვეკლასია, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურის და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანი ფერმერების ფინანსური ინტერესების დაცვა და მათი შემოსავლის სტაბილიზაციაა, რათა ფერმერების აქტივობები გრძელდებოდეს შეუწყვეტლივ წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში თუკი ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსავალი ერთადერთია, რაც არსებული ფერმერის სამომავლო შემოსავალს წარმოადგენს და მოსავლის განადგურების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ფერმერები საკმაოდ მძლავრი ფინანსური საფრთხეების წინაშე დგებიან. თუმცა, აქაც არსებობს პრობლემადფერმერთა დაბალი შემოსავლიანობა, სადაზღვევო პრემიების გადაუხდელობის რისკი.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად უამრავი ფერმერი, რომელთათვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გამო, მთელი წლის შემოსავალს კარგავს. მხოლოდ 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიის (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი, წვიმა და ა.შ.) შედეგად მიყენებული ზარალი შეადგენს. დაზარალებული ადამიანების სავარაუდო რაოდენობა -108 360, დაზიანებული ფართობები - 107 043 ჰა-ს, მიყენებული ზარალი - 136 236 343 ლარს. აქედან, მარცვლოვნების დაზიანებული ფართობი შეადგენს - 63 695 ჰა-ს, მზესუმზირისა - 9 516 ჰა-ს, ლობიოს - 384 ჰა-ს, კარტოფილის - 3 194 ჰა-ს, ბაღჩეული კულტურების 1 708 ჰა-ს, ვენახის - 10 957 ჰა-ს, ხეხილის - 1 595 ჰა-ს, თხილი - 15 898 ჰა-ს, კაკლოვნები -79 ჰა-ს, ფრინველის - 2 661 ფრთას და 95 ფუტკრის ოჯახის. [5].

სასოფლო-სამეურნეო წარმოება, განსაკუთრებით კი მემცენარეობა, სეზონურია. მემცენარეობაში პროდუქციას იღებენ წელიწადის განსაზღვრულ პერიოდში და არა უწყვეტად მთელი წლის მანძილზე, ხოლო რძის წარმოებაში პროდუქტიულობა სეზონზეა დამოკიდებული. ამასთან, მრავალწლიანი კულტურები გაშენებიდან რამდენიმე წელი არ იძლევა მოსავალს. სოფლის მეურნეობის ეს თავისებურება გასათვალისწინებელია სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის დროს. სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა უზრუნველყოფს, რომ მსოფლიო ბაზრებზე ფასების რყევამ ეროვნული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო დარგებს დამანგრეველი ზიანი არ მიაყენოს.

ქვეყანაში სადაზღვევო სისტემის განვითარებას მთავარ დაბრკოლებას უქმნის მცირე ფერმერები და მათი არასაკმარისი ინტერესი სადაზღვევო პროდუქტის შესაძენად. სადაზღვევო კომპანიები ამჯობინებენ ურთიერთობას მსხვილ ფერმერებთან, რომელთა რაოდენობა საქართველოში ძალზე მცირეა,საკრედიტო ბაზრის მსგავსად, ამ სექტორშიც სახელმწიფოს ჩარევა დიდ სიფრთხილესთან არის დაკავშირებული. უმჯობესია, რომ ყველა სადაზღვევო პროდუქტი მომხმარებელს კვლავინდებურად კერძო სადაზღვევო კომპანიებმა შეთავაზონ. თუმცა, სახელმწიფოს შეუძლია გააძლიეროს ფერმერების ინფორმირება სადაზღვევო სისტემის მახასიათებლებისა და უპირატესობების შესახებ, რათა გაიზარდოს დაზღვეულთა რაოდენობა და შემცირდეს სადაზღვევო პრემიები ფერმერთათვის.

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში ფერმერებისთვის აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდა, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით სოფლის მეურნეობის პროექტების

მართვის სააგენტო ახორციელებს.ჺპროგრამის ფარგლებში აგროდაზღვევის სტიმულირების მიზნით, სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის დიდ ნაწილს (70%-დან 90%-მდე), ფერმერის მხრიდან კი უნდა გაფორმდეს სადაზღვევო პოლისი ამა თუ იმ კომპანიასთან, სადაც დაფიქსირდება ნაკვეთის მდებარეობაჺდა მოსალოდნელი მოსავლის მოცულობა. ფერმერებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ხელმისაწვდომ ფასად დააზღვიონ მოსავალი. სტიქიური მოვლენები ერთ-ერთი ყველაზე დიდი რისკია აგრობიზნესში. ხშირად ხდება, რომ მოსავალი სრულიად ნადგურდება ამა თუ იმ ბუნებრივიჺსტიქიის გამოჺდა ფერმერი შემოსავლის გარეშე რჩება. აგროდაზღვევა ერთადერთი მექანიზმია, რომ ფერმერმა მიიღოს ანაზღაურება, თუკი მოსავალი გაუნადგურდა და მომდევნო წელს კვლავ შეძლოს მოსავლის მოყვანა. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, რომ რაც შეიძლება მეტი ფერმერი ჩაერთოს ამ პროექტში. მნიშვნელოვნად გაიზრდება ასევე რეგიონში დასაქმებული კადრების რაოდენობა. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში 5 სადაზღვევო კომპანია მონაწილეობს: ჯიპიაი ჰოლდინგი" , „ალდაგი", „აისი ჯგუფი", „ირაო" და „ქართუ". „ჯიპიაი ჰოლდინგი" ერთ-ერთი პირველი კომპანიაა, რომელმაც მომხმარებელს აგროდაზღვევა შესთავაზა. დღეს კომპანიაში რამდენიმე ასეული ფერმერია დაზღვეული. მხოლოდ 2014 წლის პირველი ორი კვარტალის განმავლობაში ფერმერებს სეტყვით მიყენებული ზარალისთვის 400000 ლარზე მეტი თანხა გადაუხადა. „ჯიპიაი ჰოლდინგის" აგროდაზღვევის პორტფელში შედის ხორბლის, ქერის, სიმინდის, ვაშლის, ატმის, მანდარინის, ვენახის, თხილის ნარგავებისა და კარტოფილის დაზღვევა. საპილოტე პროექტის პარალელურად, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკმა (KFW) აგროსადაზღვევო გარემოს შესწავლის მიზნით საქართველოს მთავრობას გრანტის სახით 200 ათას ევრო გამოუყო. 2016 წელს აგროდაზღვევის პროგრამისთვის ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გამოიყო. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამა 2015 წლის დეკემბერს დასრულდა, თუმცა, 4 თვიანი წყვეტის შემდეგ ისევ გაგრძელდა [5].

საქართველოს 300 ათასი ფერმერიდან აგროდაზღვევით 16 ათასამდე ადამიანი სარგებლობს. მთლიანობაში, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამას ფერმერების მხოლოდ 5 % იყენებს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ცნობით, 2016 წელს 2014 წელთან შედარებით, აგროდაზღვევით 5 000 ბენეფიციარით ნაკლები სარგებლობდა, ბენეფიციარების შემცირება კი სახელმწიფო სუბსიდიის კლებამ გამოიწვია, თუმცა მიზეზებს შორის ექსპერტები აგროდაზღვევის შესახებ ფერმერების ინფორმირებულობის დაბალ დონესა და ზარალის შეფასების სისტემის გაუმართაობაზე [6].

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგროდაზღვევა სიახლეა და ამ მიმართულებით, სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ, ამიტომ, ეს სფერო ჯერჯერობით სულაც არ არის მომგებიანი სადაზღვევო კომპანიებისათვის. საქართველოში რეალურად არსებობდა აგროდაზღვევის მოთხოვნა და მისასალმებელია, რომ აგროდაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების მიმართულებით სახელმწიფო ჩაერთო. თუმცა, ამ ეტაპზე, აუცილებელია ფერმერთა გადამზადება, აგროდაზღვევის საკითხებზე ცნობადობის ამაღლება და ინფორმირება, რათა მაქსიმალური შედეგი იქნეს მიღწეული. საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგროდაზღვევის სისტემის ამოქმედება. აგროდზაღვევა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალი საგრძნობლად შეამციროს, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგროდაზღვევის სფეროს განვითარებისათვის უნდა გადაიჭრას ორი ძირითადი პრობლემა, რომლებიც ხელს უშლიან სოფლის მეურნეობის სადაზღვევო ბაზრის შექმნასა და შემდგომ განვითარებას.ეს პრობლემებია:ჺურთიერთნდობის მიღწევა და რისკის კონტროლის ეფექტიან სისტემის შექმნა. ურთიერთნდობის მიღწევა მთავარი ფაქტორია აგრობიზნესის დაზღვევის ბაზრის საფუძვლის შექმნასა და განვითარებაში. დაზღვევის ბაზრის შექმნა, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც დაზღვევის მომხმარებლები ხშირად 1 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობენ, ძალიან რთული ამოცანაა. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი უკიდურესად მცირე მეურნეობები დომინირებენ სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების სადაზღვევო ქსელი ხშირად არც არსებობს ამ სეგმენტის დაბალშემოსავლიანობის გა-

მო. დაზღვევის შესახებ ცოდნის გავრცელება და დაზღვევის სისტემისადმი ნდობის ამაღლება შესაძლებელია, მიღწეულ იქნას სხვადასხვა ბერკეტების მეშვეობით:დცენტრალური მთავრობა და მუნიციპალიტეტები,საფინანსო ინსტიტუტები და სხვა.

სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა და მათი მდგრადობა განსაზღვრავს ბაზარზე კონკურენციის დონეს. ბუნებრივია, როცა ბაზარზე მოქმედებს დიდი რაოდენობის სადაზღვევო კომპანიები, კონკურენცია მაღალია, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა. კონკურენციის საზომი არის კლიენტებზე მიწოდებული სადაზღვევო პროდუქტი. იმ შემთხვევაში, როცა ყოველი კომპანია მომხმარებელს თავაზობს მომსახურების საკუთარ განსხვავებულ პაკეტს, კონკურენცია ბაზარზე დაბალია, და პირიქით, როცა ერთნაირი მომსახურების პაკეტის მიწოდება ხდება, კონკურენცია მაღალია. ეს რა თქმა უნდა არის უკიდურესი შემთხვევები. პრაქტიკულად საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან სადაზღვევო მომსახურების პაკეტით და აქედან გამომდინარე, კონკურენციაც უნდა იყოს მაღალი, მაგრამ, სადაზღვევო კომპანიების შესახებ მოსახლეობის ნაკლებად ინფორმირების გამო კონკურენცია დაბალია. სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით. დაზღვევის სფეროში არსებული პრობლემების გამოსავლენად შევისწავლეთ ახმეტის მუნიციპალიტეტის ფერმერთა დამოკიდებულება სადაზღვევო პრობლემებისადმი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, ახმეტის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერთა ნაწილი რამდენიმე დარგს ერთდროულად მისდევს. (იხ. ცხრილი).

**ახმეტის მუნიციპალიტეტის ფერმერთა განაწილება ძირითადი დარგების მიხედვით** [7].

| სოფლის მეურნეობის დარგები | %% |
|---|---|
| მემცენარეობა | 92 |
| მათ შორის: მევენახეობა | 37 |
| მეძროხეობა | 47 |
| მეცხვარეობა | 16 |
| მეღორეობა | 1 |
| მეფრინველეობა | 1 |
| მეფუტკრეობა | 10 |

ახმეტის მუნიციპალიტეტში 2015 წელს ვენახის საერთო ფართობი იყო 3950 ჰა. აქედან: რქაწითელის ჯიშის ვენახი – 1400 ჰა, საფერავი – 350 ჰა, მწვანე და ქისი – 200 ჰა-ს შეადგენს. აღნიშნულ ფართობზე მიღებულმა ყურძნის მოსავალმა 9700 ტონა შეადგინა. აქედან მხოლოდ ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 2 700 ტონა საფერავი, 1 950 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენი და 500 ტონა მწვანე და ქისი. მიღებულმა შემოსავალმა სულ დაახლოებით 7 850 000 ლარი შეადგინა. ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ადვილი შესამჩნევია, რომ ყურძნის მოსავალი მნიშვნელოვან მოგებას აძლევს მის მწარმოებლებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მეურნეობა შემოსავლიანია, ფერმერიც უფრო მეტად ზრუნავს მასზე და დაზღვევას მიმართავს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთითდკავკასიონის მთისწინეთში და სამხრეთდასავლეთითდგომბორის ქედის განშტოებას შორის, რაც განაპირობებს ამინდის (ტემპერატურის) კონტრასტულობას და სწრაფ ცვალებადობას. ეს კი ხშირად ხდება ისეთი სტიქიური მოვლენების მიზეზი, როგორიცაა სეტყვა, ქარიშხალი და წყალდიდობა. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, მხოლოდ ბოლო 3 წელიწადში დაისეტყვა 1378 ჰა ვენახი (69%), მათ შორის ზოგიერთი ფართობი რამდენჯერმე – ანუ თითქმის ყოველწლიურად. 2013 წელს სტიქიური უბედურებებით (ძირითადად სეტყვა) მიყენებულმა ზარალის საერთო თანხამ შეადგინა – 1 458 300 ლარი, 2014 წელს – 833 700 ლარი. მხოლოდ წელს, ამ გაზაფხულზე მოსული სეტყვის შედეგად, დაზიანდა 693 ჰა ვენახი, ზარალის თანხა კი – 1 752 600 ლარია. ეს ფაქტიც მნიშვნელოვნად განაპირობებს მევენახეების დაზღვევით დაინტერესებას [7]. ფერმერთა უმრავლესობამ იცის აგროდაზღვევის შესახებ, რასაც მათი დიდი ნაწილი აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შემოღებას უკავშირებს. რო-

გორც ჩანს, სახელმწიფოს ამ ინიციატივამ დადებითად იმოქმედა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე აგროდაზღვევის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული ფერმერები სკეპტიკურად არიან განწყობილი დაზღვევის მიმართ, რის მიზეზადაც ასახელებენ შემთხვევებს, როდესაც ზარალი არ აანაზღაურეს წინასწარ სიტყვიერად დაუთქმელი იმ პირობების გამო, რაც შემდგომ ხელშეკრულებაში იქნა ასახული და შინაარსი ფერმერისათვის არ იყო დეტალურად მიწოდებული. ფერმერების თქმით, არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ზარალის შეფასების დროს ვერ თანხმდებიან დაზიანების პროცენტზე, რის გამოც დამზღვევი (ფერმერი) უკმაყოფილო რჩება. ფერმერების უმრავლესობა (80%), რომლებსაც უსარგებლიათ დაზღვევით, კმაყოფილები არიან აგროდაზღვევით, რაც უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მათი ნაწილი მონაწილეობს სახელმწიფო პროგრამაში. წელს ახმეტის მუნიციპალიტეტში მოსული სეტყვის შედეგად ბევრი ფერმერი დაზარალდა ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ვაზი ჯერ არ იყო გამოსული ყვავილობიდან. მაგრამ წელს ეს პირობა არ მიიღეს მხედველობაში და ზარალი მაინც აუნაზღაურდათ, ამასთან დაზიანების პროცენტიც მათი აზრით სამართლიანად შეფასდა.

2016 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი მარცვლეული კულტურის შემთხვევაში – 30 ჰა., თითოეული დამზღვევი 70-%-იან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე – 50 %-ს. მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში ან უკვე არსებული საკადასტრო კოდით დაზღვევისას თანადაფინანსება არსებულზე 10 %-ით მეტი იქნება. 2016 წელს იმოქმედებს მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. ხელისუფლებაში ვარაუდობდნენ, რომ აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას. სადაზღვევო ბაზრის ანალიზი საქართველოს აგრარული სექტორში ადასტურებს, რომ დაზღვევა ცივილიზებულ სახეს იღებს. გამოიკვეთა ბაზრის ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება, ბაზარზე თანდათან შემოვიდა უფრო რთული და დახვეწილი პროდუქტია, მიუხედავად გატარებული ღონსძიებებისა, ჯერ კიდევ ბევრი გლობალური და სპეციფიკური საკითხია დაზღვევის სფეროში განსახორციელებელი. სხვადასხვა სახეობების მიხედვით საქართველოში აგროდაზღვევა არსებითად არასრულყოფილ სურათს იძლევა, ეს მოითხოვს სერიოზული მუშაობის ჩატარებას, რაც სადაზღვევო სისტემის განვითარების შემდგომი ამოცანაა. თანდათან იკვეთება სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები, რომლებიც უახლოვდება საერთაშორისო მასშტაბით აპრობირებულ სადაზღვევო საქმიანობის ნორმებსა და სტანდარტებს. სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს სთავაზობენ დამზღვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობას იწვევს ფერმერებს შორის. ამ მხრივ, მიზანშეწონილია სადძრვევო კომპანიის მხრიდან ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება, რომ დამზღვევმა მიიღოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. იგი ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე. მიზანშეწონილია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლება. ფერმერებს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ. სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა სადაზღვევო პირობებს თავაზობენ დამზღვევებს, რაც ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობას იწვევს ფერმერებს შორის. ამ მხრივ,მიზანშეწონილია სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება, რომ დამზღვევმა მიიღოს სათანადო, ამომწურავი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული სადაზღვევო პირობების შესახებ. ეს ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და დადებითად იმოქმედებს დამზღვევის მიერ მისთვის სასურველი სადაზღვევო კომპანიის თავისუფალი არჩევის უფლებაზე. თანდათან იზრდება როგორც ორგანიზაციების, ასევე მოსახლეობის სადაზღვევო კულტურის დონე, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში, ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, საბანკო დეპოზიტების გარდა, პრაქტიკულად, არც არსებობს სხვა, სტაბილურ შემოსავლიანი საინვესტიციო ინსტრუმენტები, რაშიც შესაძლებელი იქნება კაპიტალის დაბანდება.

ლიტერატურა:

1. თვალჭრელიძე ა, სილაგაძე ა, ქეშელაშვილი გ, გეგია დ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, 2011.
2. ერქომაიშვილი გ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თბილისი, 2013.
3. ხარაიშვილი ე, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011.
4. სიმონია თ. სადაზღვევო ბიზნესის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში, ავტორეფერატი, თბილისი, 2016.
5. ვერულავა თ., ობგაიძე ნ. აგროდაზღვევის მნიშვნელობა და მისი ძირითადი ფუნქციები, ჟურნ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა", N1, თბილისი, 2015.
6. https://www.radiotavisupleba.ge/
7. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო http://www.moa.gov.ge

## Insurance Market and its Development in the Georgian Agricultural Sector

Tamar Lazariashvili

*Assistant Professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The paper deals with the insurance market in agricultural sector, studies the level of farmers' interest in insurance products and the tendency to increase demand for it.

The paper analyzes the trends in the development of insurance market, the main consumers are identified and the importance of insurance in agriculture is substantiated.

The paper shows the experience of developing countries, assesses the current problems in agricultural insurance sector that hinder the development of the agricultural insurance market.

The paper substantiates the need for the development of legislative acts with the coordination between state authorities and insurance companies, training and retraining of specialists, protecting the market from monopolists, development of stock market for investing the funds attracted by the companies, etc. Implementation of agricultural insurance will increase the interest of financial institutions in agricultural sector. Financial resources will become available for the farmer, which, in turn will promote stable development of the sector.

Based on the analysis of the insurance market, conclusions on the problems of agricultural insurance are made and relevant recommendations are suggested.

***Keyword: insurance product, agribusiness, agro insurance, insurance risks, risk premium.***

# გლობალური მართვა და გლობალური მენეჯმენტი

**ელისო ლანჩავა**

*ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თანამედროვე ეკონომიკური გლობალიზაცია უფრო და უფრო ინტენსიური ხდება ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საქონლის მომსახურებისა და კაპიტალის გაცვლა-გამოცვლის ლიბერალიზაციის ხარჯზე. მისი მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამდენად მართვადი იქნება ეს მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავსე ფენომენი. გლობალიზაცია შეუქცევადი და უსასრულო პროცესია. ამიტომაც გლობალური საბაზრო კონკურენციის შენარჩუნებისათვის, ადამიანის პროგრესის ხელშეწყობისათვის აუცილებელია გლობალიზაციის ეფექტიანი რეგულირება. გლობალური მართვისა და გლობალური თანამშრომლობის პრობლემების შესწავლა და ანალიზი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან და აქტუალურ თემას. ეკონომიკის თანამედროვე გლობალიზაციის ტენდეციის ანალიზი და მისი გადასვლა უფრო მაღალ „გლობალურ" საფეხურზე გულისხმობს მენეჯმენტის სფეროშიც შესაბამისი რეფორმების გატარებას. ბუნებრივია, ტრადიციული მენეჯმენტი, მართვის ტრადიციული მეთოდები თავის აქტუალობას არ კარგავს, მაგრამ მომავალი გლობალურ მენეჯმენტს ეკუთვნის.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალური მენეჯმენტი; გლობალიზაცია; სტრატეგიული კავშირები; მენეჯერი.*

XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ვითარდება,როგორც საზოგადოებრივ ასევე, სოციალრ-ეკონომიკური ურთიერთობების პროცესების გლობალიზაციით, საერთაშორისო კომპანიებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ზრდით. სპეციალისტები აღიარებენ, რომ გლობალიზაცია რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია. ამის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება, წარმოადგენს სტრატეგიული კავშირები, რომელშიც შედიან სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის კომპანიები. კავშირის მიზანია ფინანსურ, ტექნიკურ და მატერიალურ ძალისხმევათა გაერთიანება მსხვილი, სარისკო პროექტების რეალიზაციისა და მსოფლიო ბაზარზე კომპანიათა კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სტრატეგიული კავშირების და ბიზნესის ქსელის განვითარება კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკურ ინტეგრაციას საერთაშორისო დონეზე.

XX საუკუნეში ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში განხორციელებულმა რევოლუციურმა ტრანსფორმაციებმა (ცვლილებებმა) უბიძგა სრულიად ახალი გლობალური მსოფლიო წესის, შესაბამისად ადეკვატური სისტემის, გლობალური მართვის ჩამოყალიბებას. გლობალური მართვა - ეს არის კავშირებისა და ურთიერთობების კომპლექსი ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს შორის, სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და გლობალურ საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის, რომელთა მიზანია გლობალური ხასიათის რესურსების რეგულირება. ეს არის თანამედროვე ხელმძღვანელობის პროცესი, რომელიც ართიანებს სხვადასხვა სახელმწიფოს, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, საერთო მიზნის მისაღწევად. ის უზრუნველყოფს სტრატეგიულ მიმართულებებს და აერთიანებს ერთობლივ ძალისხმევას გლობალური ამოცანემის გადაწყვეტის მიზნით. იმისათვის, რომ ეფექტიანი იყოს გლობალური მართვა, ის უნდა იყოს კომპლექსური, დინამიკური, მოიცავდეს მრავალნაციონალურ და სექტორულ საზღვრებს და ინტერესებს. უნდა იყოს დემოკრატიული და არა ავტორიტატული, მოქმედებდეს ღია პოლიტიკური და არა ბიუროკრატიული პროცესების ფარგლებში და უნდა ატარებდეს უფრო ინტეგრირებულ, ვიდრე სპეციალიზებულ ხასიათს. საერთაშორისო ბიზნესის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა გლობალური მართვის პრობლემებს XX საუკუნის 70-80 წწ. მიჯნაზე, როდესაც საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მასშტაბების ზრდამ და სირთულეებმა აიძულა მსოფლიოს მსხვილი კომპანიები რადიკალურად გადაესინჯათ თავიანთ საწარმოთა მენეჯმენტის ფილოსოფია, ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები. ამ დროისათვის ბევრი ქვეყნის (პირველ რიგში, აშშ-ის, იაპონიის და დასავლეთ ევროპის) ტრანსეროვნული კომპანიები გადაიქცნენ ურთულეს სამეურნეო წარმონაქმნად, რომლებიც მოიცავენ მსოფლიოს ბევრ რეგიონში ბაზრისა და მოგებისათვის მწვავე ბრძოლაში ჩაბმულ სხვადასხვა საწარმოს. მრავალ ქვეყანაში, სადაც კომპანიებს გააჩნიათ თავიაანთი საწარმოები (ფირმები), საჭიროა სპეციფიკური მიდგომები აქ წარმოშობილი პრობლემების მთელი კომპლექსის გადასაწყვეტად. გლობა-

ლური მართვა და მის ირგვლივ არსებული პრობლემები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული (აქტუალური) და სადისკუსიო თემა გახდა საერთაშორისო ექსპერტებს, პოლიტოლოგებს, მენეჯერებსა და იურისტებს შორის. ის აქტიურად განიხილება აგრეთვე საზოგადოებრივი გაერთიანებების დაინტერესებულ წრეებში. გლობალიზაციის გამოწვევები და პრობლემები სულ უფრო ნათელი ხდება ყველასთვის, მაგრამ პასუხები, რომლებსაც გვთავაზობენ თანამედროვე სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისო ინსტიტუტები, არასაკმარისად დამაჯერებელია.

ამასთან დაკავშირებით, საზოგადოების წინაშე გაჩნდა ამოცანა, რომ შეიქმნას ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს გლობალური მასშტაბებით. საქმე ეხება გლობალური მენეჯმენტის სისტემას. გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, გლობალური მენეჯმენტის სისტემის ფორმირებაა, რომელიც თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიებით გამოდევნის მენეჯმენტის ტრადიციულ ნაციონალურ-ლოკალურ სისტემას. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მეცნიერებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გლობალური მენეჯმენტი არის უალტერნატივო. გლობალური მართვა, თავისი ბუნებით, არის პოლიტიკური და სტრატეგიული მენეჯმენტი. მის ფუნქციებში შედის გლობალური გადაწყვეტილებების მიღება და რეალიზება. გლობალური მენეჯმენტის თანამედროვე ცენტრები თანმიმდევრულად და ინტენსიურად ქმნიან შესაბამის ინფრასტრუქტურებს, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის ჰუმანიტარული და სოციალური, არიან აღჭურვილები და ახორციელებენ კონტროლს ადამიანის გონებასა და ქცევაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს აშშ-ში, იაპონიასა და ევროპის რიგ ქვეყანაში დადგა საკითხი ე. წ. „გლობალური მენეჯერის“ მომზადების შესახებ, რომელსაც ძალუძს არარაციონალურ და რთულ სიტუაციებში მოქმედება. ამას მოითხოვს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის ამოცანები. გლობალურმა მენეჯერმა, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლობის მართვისას, უნდა შეძლოს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების, სამოქალაქო და შრომის კოდექსის ნორმების გათვალისწინებით, მათთან სათანადო საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება და კოორდინება. იმისათვის, რომ მენეჯერმა გლობალურ გარემოში ეფექტიანად იმუშაოს, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი უნარ-ჩვევები.უპირველეს ყოვლისა, მან უნდა შეძლოს სხვადასხვა კულტურის მიმართ პატივისცემის გამოხატვა, ფართო აზროვნება და მრავალნაციონალურ გარემოში წარმატებული მუშაობა. დღეს რთულია, გლობალიზაციის არსში ჩაწვდომის (არსის გაგების) გარეშე იყო ეფექტიანი მენეჯერი, მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილებები, შექმნა პერსონალის რაციონალური მართვის სისტემა. ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია უშუალოდ ახდენს გავლენას ბიზნესის სფეროზე, სადაც დღესდღეობით, საქმიანი კულტურების გადაკვეთა და საერთაშორისო კომპანიებში მუშაობისათვის პერსონალის მომზადების რთული პროცესი მიმდინარეობს. მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხა კულტურის თანამშრომელთა ფასეულობები, ტრადიციები, სწრაფად და დროულად მოახდინოს მათ შორის არსებული უთანხმოებების აღმოფხვრა. მსოფლიო ბაზარზე მოქმედი კომპანიების წარმატება თუ წარუმატებლობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული პერსონალის მართვის ეფექტური სისტემის შექმნაზე. გლობალიზაცია გულისხმობს სხვადასხვა კულტურებს შორის საზღვრების წაშლას, უნდა შეუწყოს ხელი მათ ერთმანეთში ადაპტირებას. მაგრამ, ეს არც თუ ისე მარტივია: არსებობს სერიოზული წინააღმდეგობები დაკავშირებული კანონმდებლობასთან, ტრადიციებთან, ღირებულებებთან, ბოლოს და ბოლოს, კლიმატურ პირობებთან. შესაბამისად, XXI საუკუნის მენეჯერი უნდა ფლობდეს უფრო მეტ საერთაშორისო გამოცდილებას, ვიდრე აქამდე ფლობდა. კულტურული მრავალფეროვნება მოითხოვს მენეჯერებისგან უფრო ღრმად ჩაწვდნენ ეთნიკურ და რელიგიურ განსხვავებებში. გლობალურმა მენეჯერმა უნდა იაზროვნოს გლობალური კატეგორიებით,რაც მის აზროვნებაში გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევს. ის სრულფასოვნად უნდა ერკვეოდეს საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო ბაზრის თანამედროვე ტენდეციებში .ყოველივე ეს, აძლევს მას საშუალებას, არა მარტო შეისწავლოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურა, არამედ შეიძინოს მისთვის ფრიად საჭირო კომუნიკაციური უნარები. გლობალიზაციის პირობებში ნათლად ვლინდება საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი კანონზომიერება: არცერთ კომპანიას, მიუხედავად მისი მასშტაბისა, არცერთ ქვეყანას, მიუხედავად მისი განვითარებისა, არცერთ რეგიონს თუ რეგიონალურ დაჯგუფებას, არ უჭირავს მუდმივი ადგილი მსოფლიო ბაზარზე. მაგ.: როგორიც არის ერთ-ერთი ყველაზე გლობალიზებული დარგი - ფარმაცია. ლიდერის პოზიცია აქ უკავია ევროპულ კომპანიებს, მაგრამ გლობალური კონკურენტუნარიანობა მოითხოვს მუდმივ ყურადღებას, ბრძოლას, ხარისხის ამაღლებას, ინოვაციურ ზრდას და შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების ყოლას.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ბუნებრივია, ქვეყანას უნდა შეეძლოს კარგის გამორჩევა და ცუდის თავიდან არიდება.ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის ყველა დადებითი მხარეც ყოველთვის არ მოერგება ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამიტომ, ლოგიკურია სუვერენულმა სახელმწიფომ ინდივიდუალურად (საკუთარი ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით) შეიმუშაოს გლობალიზაციასთან ადაპტირების შესაბამისი სტრატეგია.

ლიტერატურა:


1. ჭითანავა ნ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შრომების კრებული, თბ., 2010.
2. შუბლაძე გ., მღებრიშვილი გ., წოწკოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2008.
3. იან შოლტე, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (ქრესტომათია). თბილისი, 2004.
4. Bond S., Lemasson J. A New World of Knowledge, Canadian Universities and Globalization; Ottawa, ON, Canada: International Development Research Centre, 1999.
5. Kirkbride P. Globalization: The External Pressures. JOHN WILEY & SONS, LTD 2001.


## Global Governance and Global Management


Eliso Lanchava

*Doctor of Economics,, Assistant Professor*
*Sokhumi State University*



**R e s u m e**

Economic development of the world community of 21st century is characterized with the processes of globalization of the economic relations, expansion of the international companies and transnational corporations. In the recent period particular attention is paid to reformation of international organizations to make them more effective and more legitimate in the political respect. To achieve actual progress as a result of these reforms, the goals of such organizations within the specific sectors should be coherent with the complex ones, for the purpose of dealing with the global objectives. This results in necessity of creation of the new mechanisms for global systems management. Global managers play most important role in successful operation of the international companies as they provide management of all production and organizational resources and, what is the most important – the human resources, the most sophisticated resources of the company. New realities in the spheres of economics and competition require global thinking that is necessary at all managerial levels within the firm.



***Keywords: global management; globalization; strategical links; manager.***

# კომუნისტური ექსპერიმენტის მემკვიდრეობითი პრობლემების იდენტიფიკაცია ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტით (საქართველოს მაგალითი)

ეკა ლეკაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ეხება კომუნისტური ექპერიმენტის მემკვიდრეობითი პრობლემების ძიებას თანამედროვე პერიოდში საქართველოს ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტით. კვლევაში სინთეზირებულია საერთაშორისოდ აღიარებული სარეიტინგო კვლევების მონაცემები. აქცენტირება გაკეთდა იმ ძირითად მემკვიდრეობით პრობლემებზე, რომლებიც საქართველოში ეკონომიკური წესრიგის ოპტიმალური ჩარჩო პირობების ქმედითუნარიანობას უშლიან ხელს. კვლევაში გავაანალიზეთ საქართველოში დემოკრატიული მმართველობის მოდელის ჩამოყალიბების პრობლემატიკა, რომელთა სათავეც კომუნისტური რეჟიმის შედეგების დაძლევას უკავშირდება.*

*საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაციის პოლიტიკა; საერთაშორისო შეფასებები; საქართველოს ეკონომიკა.*

1989-91 წლებში საბჭოთა კავშირის დრამატული კოლაფსის შედეგად მსოფლიო რუკა შეიცვალა და გაჩნდნენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომელთა უმრავლესობაშიც ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაცია დღემდე მიმდინარეობს. საქართველოსთვის, სხვა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მსგავსად, ახალი ეპოქა დაიწყო სისტემური ტრანსფორმაციის პრეცენდენტის არ არსებობის პირობებში, რასაც დღემდე უამრავი გამოწვევა ახლავს თან. წესრიგის პოლიტიკის ძირითადი ჩარჩოს ფორმირების მიუხედავად, გართულებულია რაციონალური პროცესის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორით არის განპირობებული. საშინაო ფაქტორების რიცხვში მნიშვნელოვანწილად წარმოდგენილია 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმის გრძელვადიანი შედეგები, რომლებსაც გავლენა აქვთ ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებზე როგორებიცაა თავისუფლება, თანასწორობა და უსაფრთხოება.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს 70 წლიანი კომუნისტური ექსპერიმენტის მემკვიდრეობითი პრობლემების იდენტიფიცირება და სისტემატიზაცია, რაც გავლენას ახდენს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანაა კომუნისტური ექსპერიმენტის შედეგების დაძლევის პრობლემების იდენტიფიკაცია გამოგვეკვლია ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის თეორიასთან შესაბამისობაში, დამოუკიდებელი საქართველოს მაგალითზე.

კვლევაში გამოყენებულია ეკონომიკური პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები ვალტერ ოიკენის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების მიხედვით, რითაც ავტორი კონკრეტული ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში ისტორიული განსხვავებების ფართო სპექტრს ხედავდა. სწორედ ამ მიდგომამ გვიბიძგა კრიტიკულად შეგვეფასებინა საქართველოში ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებები, რომელიც მიმართულია კომუნისტური ექსპერიმენტის მემკვიდრეობის დაძლევისკენ. ტრანსფორმაციის მიზეზებისა და შედეგების ანალიზისას გამოვიყენეთ დჯანკოვის (Simeon Djankov) და სხვების (2003) ნაშრომი, რომელშიც შედარებულია სოციალისტური და კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგები. ნაშრომში განხილულია ნებისმიერი საზოგადოების ორი ძირითადი საფრთხე: **უწესრიგობა და დიქტატურა**. უწესრიგობაში მოიაზრება ბანდიტიზმი, მკვლელობა, დანაშაული, თაღლითობა, ხელშეკრულებების დარღვევა, მონოპოლიური ფასები და ა.შ. დიქტატურა კი მიმართულია სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდების საკუთრებისა და განკარგვის უფლებების შეზღუდვისკენ, საკუთრების ექსპოპრიაციისკენ, ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვისკენ და ა.შ. **კორუფცია** ამ ორივე საფრთხის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს. ავტორების აზ-

რით, ინსტიტუციების ფუნქცია ამ საფრთხეების კონტროლში გამოიხატება. კვლევა ემყარება დანახარჯებსა და საფრთხეებს - უწესრიგობასა და დიქტატურას - შორის შესაბამისობის კონფეციას.

ასევე, ლეშეკ ბალცეროვიჩის ტრანსფორმაციის ეკონომიკური თეორიაზე დაყრდნობით გავაანალიზეთ ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები, რომელთა ემპირიულ მტკიცებულებად გამოვიყენეთ საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსები: მათ შორის - ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზისთვის ვისარგებლებთ ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსით, რომელიც აფასებს სამართლებრივი სახელმწიფოს დემოკრატიის მდგომარეობას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საბაზრო ეკონომიკას, ასევე, რეფორმებთან დაკავშირებული იდეების პოლიტიკური განხორციელების შედეგებს, ასევე, პოლიტეკონომიკური ანალიზის მიზნით შევისწავლეთ freedom house-ის დემოკრატიზაციის, ჰუმანური განვითარების, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები და მათი დინამიკა.

კვლევის განხორციელებისას მიზნობრივად შევისწავლეთ კომუნისტური და პოსტკომუნისტური სამეცნიერო ეკონომიკური ლიტერატურა, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სტრუქტურების ოფიციალური დოკუმენტები, ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემები, ექსპერტული შეფასებები.

ეკონომიკური წესრიგის კომუნისტური ექსპერიმენტის და ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო პირობების თეორიული და ემპირიული შეფასების თვალსაზრისით დიდი დახმარება გაგვიწია ქართველი მეცნიერ ეკონომისტების რ. ასათიანის (2014), ვ. პაპავას (2005), რ. გველესიანის (2014), ა.სილაგაძის (2001) და სხვათა ნაშრომებმა, რომლებშიც მოცემულია საბჭოთა ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიურ სისტემაზე გადასვლის პროცესის კრიტიკული გააზრება, ტრანსფორმაციის შედეგების შეფასება და მკვლევართა სუბიექტური თვალსაზრისები ტრანსფორმაციის პროცესის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ფილოსოფიური, სოციოანალიზის, ქრონოლოგიური, ანალიზის და სინთეზის, შედარებითი ანალიზის, დედუქციური მსჯელობის და ინდუქციური განზოგადების მეთოდები. კვლევისას გამოვიყენეთ ემპირიული და ნორმატიული მიდგომები. ემპირიული მიდგომის საფუძველზე მოვახდინეთ პრობლემების დიაგნოსტიკა, ხოლო ნორმატიული მიდგომით განვსაზღვრეთ რეკომენდაციები.

კვლევაში გავაანალიზეთ საქართველოში დემოკრატიული მმართველობის მოდელის ჩამოყალიბების პრობლემატიკა, რომელთა სათავეც კომუნისტური რეჟიმის შედეგების დაძლევას უკავშირდება.

**არსებული მდგომარეობის ანალიზი**: წესრიგის პოლიტიკა თვისებრივი ეკონომიკური ცვლილებების განმსაზღვრელი პოლიტიკაა. ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაცია ერთი ეკონომიკური წესრიგიდან მეორე ეკონომიკურ წესრიგზე გადასვლას ნიშნავს, კონკრეტულად კი სოციალისტური გეგმიური ეკონომიკიდან - კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე. იგი ეკონომიკის მთლიანი ინსტიტუციური სისტემის შეცვლას გულისხმობს [1, გვ.244]. კლუმპის [2014] მიხედვით, არ არსებობს ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ეფექტიან ინტიტუციური ცვლილებებს მოიტანს. მსგავს განვითარებას ხელს უშლის შემდეგი მიზეზები: სოციალისტური ეკონომიკური წესრიგის ინერციით მოქმედების გაგრძელება; ტრანსფორმაციის პროცესის პოლიტიკური მხარდაჭერა; დემოკრატიული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დანერგვა; ინტერესთა კონფლიქტები; სხვადასხვა ინსტიტუციაში ტრანსფორმაციის განსხვავებული სიჩქარე.

ჩვენი თვალსაზრისით, წარმოდგენილი მიზეზების ჩამონათვალი ურთიერთკავშირშია და მათი უმრავლესობის არსებობა სწორედაც კომუნისტური რეჟიმის გრძელვადიანი შედეგების გავლენით აიხსნება.

ტრანსფორმაციის შედეგებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა სფეროში გატარებული რეფორმების სინქრონულობა და თანმიმდევრულობა, რეფორმების დროითი და შინაარსობრივი კოორდინაცია, შესაბამისობა ეკონომიკური წესრიგის ცვლილებებსა და ინსტიტუციური კულტურის ცვლილებებს შორის (იხ. სქემა).

ტრანსფორმაციის სისტემური მოდელი[1]




საბჭოთა საქართველოშიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ფუნქციონირებდა, რომელიც წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას ემყარებოდა. სოციალისტური ეკონომიკური წესრიგი არ ქმნიდა ჩარჩო-პირობებს ეკონომიკის ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის შესაქმენლად. ინდივიდუალური საჭიროებებისადმი გაუცხოებული დამოკიდებულება საბოლოო ჯამში აისახა ეკონომიკური ინტერესების შესუსტებაში, შრომისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის სტიმულის დაქვეითებაში, ცოდნის ამაღლების ინტერესის შესუსტებაში (რაც სრული დასაქმების და შრომის ბაზარზე კონკურენციის არარსებობით აიხსნება), საქონლისა და მომსახურების ხარისხის დაცემაში და ა.შ. იზოლირებული სოციალისტური სისტემა ვერ უმკლავდებოდა გლობალიზაციის გამოწვევებს, მაშინ როცა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შეძლეს საკუთრების პლურალიზმზე დამყარებული შერეული ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბება. საბჭოთა სისტემაში 80-იანი წლებიდან დაწყებული დეზინტეგრაციის პროცესი უმართავი გახდა და სისტემა სპონტანურად დაიშალა [2,გვ.145]

ტრანსფორმაციის პოლიტიკის ეფექტიანობის ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირების მიზნით საერთაშორისოდ აღიარებული ინდექსების ანალიზით გამოვლინდა, რომ ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსის (BTI) დინამიკაში [3] მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება. 2006-2016 წლებში ინდექსიების უმნიშვნელო ზრდა იმას მოწმობს, რომ ტრანსფორმაცია ამ ეტაპზე გრადუალური სტრატეგიით და ნელი ტემპით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმების ანალიზმა წინ წამოწია სოციალური კაპიტალის, პარტიული და სოციალური ჯგუფების პრობლემები. ტრანსფორმაციაში ასეთი ნელი წინსვლა სავარაუდოდ განპირობებულია პრიორიტეტების/მიზნების განუსაზღვრელობით. ამასთან, საქართველოში კორუფციის მაღალი დონე, სუსტი ანტიმონომპოლიური რეგულირება და საკუთრების უფლებისადმი პატივისცემის ნაკლებობა უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ეკონომიკურ კეთილდღეობაზეც.

[1] სქემა შედგენილია ავტორის მიერ

The Economist Intelligence Unit-ის მიერ მსოფლიო ქვეყნების დემოკრატიის ინდექსით 2015 [4] წლისთვის საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებს მიეკუთვნება. მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მთავრობის ფუნქციონირება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მთავრობა ვერ ახორციელებს ტრანსფორმაციის პირობებში ოპერატიული და სტრატეგიული გამოწვევების ეფექტიან მენეჯმენტს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით[5, გვ.4], ეკონომიკური წესრიგის ძირითადი კრიტერიუმი - საკუთრების უფლება ქვეყანაში არ არის დაცული, ხოლო კორუფციის პრობლემა საქართველოში ყველაზე პრობლემატურ საფრთხედ გვევლინება ტრანსფორმაციის წესრიგის პირობებში. აღნიშნული ორი ინდიკატორი გვიჩვენებს, რომ კომუნისტური ექსპერიმენტის შედეგების სახით ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტით კვლავ განიხილება საკუთრების უფლებების და კორუფციის დაძლევის პრობლემები.

Freedom Hause-ის მიერ შეფასებული [6], დემოკრატიის მაჩვენებლით საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ერების რიცხვშია. იგი ერთადერთი ქვეყანაა გარდამავალ ქვეყნებში, რომელმაც გაიუმჯობესა საარჩევნო რეიტინგის მდგომარეობა 2012 წლის არჩევნების შემდეგ. საქართველოსთვის კვლავ პრობლემურია კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც სამთავრობო დანიშვნების და სახელფასო და პრემიალური ანაზღაურებების გაუმჭირვალე პროცესს უკავშირდება [7].

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასება ხორციელდება ჰუმანური განვითარების ინდექსით (Human Development Index - HDI) . საქართველო ამ ინდექსით მაღალი ჰუმანური განვითარების კატეგორიის ჯგუფშია [8,გვ.6]. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე საქართველოსთვის გაუმჯობესდა 1980 წელთან შედარებით, ხოლო მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაუარესდა 2.5 %-ით 1990 წელთან შედარებით. მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებულია ადამიანური განვითარების ინდექსის განვრცობის უთანასწორობა ქვეყნის ფარგლებში.

რაც შეეხება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის [9] შედარებითი უპირატესობის კომპონენტები ადასტურებს, რომ სასტარტო პირობები სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის დაწყებისთვის ეკონომიკური გარემოს პოზიციებიდან თანამედროვე ეტაპზე პოზიტიური შედეგებით წარმოგვიდგება, თუმცა ეს არასაკმარისი პირობაა იმისათვის, რომ ბიზნესი ბაზარზე დამკვიდრდეს და სარგებელიანი გახდეს.

საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებად მიხედვით მიჩნეულია არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე წვდომა, არასათანადო ინფრასტრუქტურა, პოლიტიკის არასტაბილურობა, არაეფექტიანი სამთავრობო ბიუროკრატია, სუსტი სამუშაო ეთიკა, საგადასახადო რეგულირების სირთულე, არასამთავრობო მართვის არასტაბილურობა და ა.შ [9, გვ.176] აღსანიშნავია, რომ ტრანსფორმაციის პირობებში არ არის გამახვილებული ყურადღება ეკონომიკისა და შრომის ბაზრის სტრუქტურულ კოორდინირებულ ცვლილებებაზე.

ამასთან, ინდექსების (BTI, გლობალური კონკურენტუნარიანობის და დემოკრატიის ინდექსების) შედარებითი ანალიზი საქართველოსთვის ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგს გვაძლებს მენეჯმენტის შეფასების ნაწილში.

აღსანიშნავია, რომტრანსფორმაციის პოლიტიკა ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობს ღია ეკონომიკა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის ახალ გამოწვევად იქცა ტრანსფორმაციის გზაზე. გლობალიზაციის KOF ინდექსის ქვეინდექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სულ უფრო იზრდება ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში, მაგრამ პოლიტიკური გლობალიზაციის თვლასაზრისით კვლავ ჩამორჩენაა. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ საბჭოთა კავშირის ჩაკეტილი იზოლაციური პოლიტიკური სისტემის ნგრევის მუხედავად, ქვეყანამ ვერ შეძლო გაეტარებინა ეფექტიანი პოლიტიკა და ესარგებლა გლობალიზაციის პოზიტიური შედეგებით, განსხვავებით ეკონომიკური და სოციალური გლობალიზაციისგან. გლობალიზაციის KOF ინდექსის დინამიკა საქართველოსთვის მკაფიოდ გვიჩვენებს ქვეყნის ჩაკეტილი ეკონომიკიდან ღია ეკონომიკაზე გადასვლის ტენდენციას. ეს ნიშნავს, რომ მისაღწევია თავისუფლება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალური სფეროების მრავალ ასპექტში. თუმცა პოლიტიკური თავისუფლების დაბალი ხარისხი გულისხმობს დემოკრატიზაციის დაბალ დონეს.

კვლევის შედეგები: ამრიგად, საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოსთვის ტრანსფორმაციის პოლიტიკის გამოწვევების რიცხვში კვლავ დაუძლეველ პრობლემებად რჩება არაეფექტიანი სახელმწიფო მმართველობა, ბიუროკრატია, კორუფცია, სუსტი ანტიმონომპოლიური

რეგულირება, საკუთრების უფლების დაცვა და ა.შ. პრობლემების დიდი ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს კომუნისტური ექსპერიმენტის გადმონაშთის სახით.

მმართველობით ჯგუფებში გარკვეულ პოზიციებს იკავებენ ყოფილი კომუნისტური პარტიის მოწინავე წევრები, რომელთა მსოფლმხედველობა და მართვის უნარები თითქმის არ შეცვლილა და მოუქნელია. მართვის არადემოკრატიული სტილი, კონკურენციის დაბალი დონე აძლიერებს კონფორმიზმის ტენდენციებს და კლანური სისტემის შენარჩუნებას მმართველობით რგოლებში. საქართველოში კლანური სისტემის სიმძლავრე გამოწვეულია 70-წლიანი ექსპერიმენტით, ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციის. სწორედ კლანური სისტემა განაპირობებს რეფორმების შენელებას, ტრანსფორმაციის პოლიტიკური მხარდაჭერის სიცხადის მიუღწევლობას, ინტერესთა კონფლიქტებს, სხვადასხვა ინსტიტუციში ტრანსფორმაციის განსხვავებული სიჩქარეს, დემოკრატიზაციის დაბალ ხარისხს, არასამართლიან კონკურენციას (ბიზნესს ხშირ შემთხვევაში პოლიტიკასთან დაკავშირებული ადამიანები აკონტროლებენ შეფარული გზით). ამ გამოწვევის დასაძლევად სასურველია კლანიზმის წარმოშობის ფსიქოლოგიურ, სოციალური, ეკონომიკური და ისტორიული ფაქტორების შესწავლა საქართველოს თვისებურებების გათვალისწინებით და მხოლოდ შემდგომ მისი დაძლევის გზების ძიება საკანონმდებლო და სხვა გზებით.

ტრანსფორმაციის პერიოდში ქრონიკულ ხასიათს ატარებს, კომუნისტური პარტიის მსგავსად, ერთპარტიული, ავტორიტარული და პოპულისტური მმართველობისკენ მიდრეკილება. დღევანდელ ვითარებაში კომუნისტური ექსპერიმენტის შედეგის სახით თავს გვახსენებს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებების გამოყენების უუნარობა, რასაც ისევ კონფორმიზამამდე მივყავართ. ამასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობებში კვლავ მაღალია არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა ფორმალურთან შედარებით.

საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის მიუხედავად, არ არის მიღწეული დაწესებულებების სრული ავტონომია. სახელმწიფო გეგმავს საჯარო ორგანიზაციების მუშაობის წესებს, ხელფასებს, პროგრამებს. რეფორმა არ იწყება ქვემოდან, საჭიროებებიდან გამომდინარე. აღნიშნული მიდგომა კვლავ საბჭოურ მემკვიდრეობად შეგვიძლია განვიხილოთ, როდესაც ჯერ კიდევ არასრულფასოვანია სამოქალაქო საზოგადოება და ცვლილებები უპირატესად თავსმოხვეულია ზემოდან.

ამასთან, ტრანსფორმაციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტებით, 1991 წლიდან მოყოლებული, ხელახალ შეფასებას საჭიროებს. როდესაც ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური პროცესების მანკიერებებმა შეაფერხა ქვეყნის რეალური ეკონომიკის წინსვლა, დროში გახანგრძლივდა შედეგები, საჭიროა რეფორემირების ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ინსტრუმენტების, პიროვნებების და ინსტიტუციების როლის ხელახალი შეფასებების განხორციელება ქვეყნის ობიექტური, დაუმახინჯებელი ისტორიისათვის.

ლიტერატურა:


1. კლუმპი რაინერ, ეკონომიკური პოლიტიკა. მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები, მესამე განახლებული გამოცემა. თარგმანი ქართულ ენაზე. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015. 423 გვერდი;
2. Lekashvili Eka, Gaprindashvili George, Socialist Integration in the Context of Regional Economic Integration (On the Example of the South Caucasian States), "Empires and Nations from the 18th to the20th century", *Volume 2,* edited by Antonello Biagini and Giovanna Motta. Cambridge Scholars Publishing, 2014.pp.142-152;
3. http://www.bti-project.org/en/reports/country-reports/detail/itc/GEO/; 5.04.2016;
4. The Economist Intelligence Unit, Democracy Index 2015, Democracy in a age of anxiety. http://www.yabiladi.com/img/content/EIU-Democracy-Index-2015.pdf ; 5.04.2016;
5. http://www.heritage.org/index/pdf/2016/book/index_2016.pdf 20.01.2016;
6. Nation in Transit 2015: Democracy on the Defensive in Europe and Eurasia, by Sylvana Habdank-Kofaczkowska, Freedom House, 2015;
7. https://freedomhouse.org/report/nations-transit/2016/georgia; 15.05.2016 ;
8. http://hdr.undp.org/sites/default/files/2015_human_development_report.pdf; 15.05.2016 ;
9. http://reports.weforum.org/global-competitiveness-report-2015-2016/ 2.04.2016

# Identification of the Hereditary Problems of the Communist Experiment in the Context of Transformation Economic Policy (the case of Georgia)

Eka Lekashvili

*PhD in Economic, Associated Profesoor*

*Tbilisi state University*

**R e s u m e**

The study is about researching the hereditary problems of the Communist Experiment in the context of Georgia's transformation economic policy in modern times. The study is synthesized by the internationally recognized data of the ratings. In the research, the major inherited problems were emphasized, which impede the efficiency of the optimal framework conditions of the economic system. Moreover, we analyzed the problem of forming a democratic governance model in Georgia which has the origins related to the overcoming of the results of the communist regime.

***Keywords: transformation policy; international essessments; economy of Georgia.***

# ქართული მინერალური წყლების ბაზარი და საექსპორტო პოტენციალის შეფასება

**ნინო ლობჟანიძე**

*დოქტორანტი*

*თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში მინერალური წყლების ბაზარი, შესწავლილია დღეისათვის საქართველოში ქართული მინერალური წყლების ყველაზე წარმატებული კომპანიების საექსპორტო საქმიანობა.*

*წინა და უახლესი წლების მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე მიმოხილულია ქართული მინერალური წყლების ექსპორტის დინამიკა ევროკავშირის, დსთ-ის და სხვა ქვეყნებში და შეფასებულია ქართული მინერალური წყლების სამომავლო საექსპორტო პოტენციალი. ქართული მინერალური წყლების ექსპორტის დინამიკის ანალიზისა და შესაბამისი ბაზრის განვითარების პოტენციალის შეფასების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ექსპორტის მოცულობის გაზრდის შესაძლებლობებზე.*

*საკვანძო სიტყვები: მინერალური წყლები, საკვებ პროდუქტთა ჯგუფი, ექსპორტის დინამიკა, სახელმწიფო მხარდაჭერა.*

გლობალური კონკურენციის პირობებში მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისთვის არსებითი ფაქტორია თავისუფალი კონკურენცია, რაც განპირობებულია ქვეყანაში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განვითარებით, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებით, კონკურენტული ფასების დაწესებით, საწარმოო პროცესში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, პროდუქტიულობის ამაღლებითა და ინოვაციური იდეების გენერირებით. მინერალური წყლების ბაზარი დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ბაზარია, მით უფრო, რომ ბევრი ქვეყნისთვის სასმელი წყლის დეფიციტის პრობლემა სულ უფრო და უფრო მწვავე ხდება და მისი გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მეტად საყურადღებოა ამ კუთხით მსოფლიო ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის შესწავლა და აღნიშნული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის შეფასება. ბაზრის განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი მწარმოებელი კომპანიების მაქსიმალური ხელშეწყობა, ეფექტიანი საკრედიტო სისტემის ამოქმედება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, სარეკლამო კამპანიების ორგანიზება, უცხოური ბრენდების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორების შესწავლა და გამოყენება. სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის სტიმულირება ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდისა და სურსათის ადგილობრივი წარმოების შემდგომი გაფართოების საფუძველი გახდება [1, გვ. 174].

უნდა აღინიშნოს, რომ მინერალური წყლები საკვებ პროდუქტთა ჯგუფს მიეკუთვნება [2], შესაბამისად, მარკეტინგული დაგეგმვისა და მენეჯმენტის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ყველა დანარჩენ ფაქტორთან ერთად, მისი ადგილი და როლი ადამიანის კვების რეჟიმში ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები უნდა ხასიათდებოდეს კვებითი ღირებულებით და ემსახურებოდეს ჯანმრთელობის შენარჩუნებას [3]. ვინაიდან საქართველოში არსებული მინერალური წყლები გამოირჩევა მაღალი ფიზიოლოგიური აქტივობით და თვისებებიდან გამომდინარე, მიეკუთვნება ფუნქციონალური კვების პროდუქტების რიცხვს, მიზანშეწონილია განვიხილოთ მისი კონკურენტუნარიანობა და ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

ფირმის საქმიანობაზე გავლენას ახდენს გარემო პირობები. იმისათვის, რომ კომპანიამ კონკურენცია გაუწიოს როგორც სამამულო, ასევე საერთაშორისო ფირმებს აუცილებელია ბაზრის ანალიზი, რომლის მიზანია განისაზღვროს ფირმის ადგილი ბაზარზე და განვითარების შესაძლებლობები [4, გვ 77]. დღეისათვის ქართული მინერალური წყლების ბაზარზე ექსპორტის ზრდით გამოირჩევა „ბორჯომი“,„ნაბეღლავი“ და „საირმე“. 2006 წელს რუსეთის ბაზარზე ემბარგოს გამოცხადების შემდეგ „ბორჯომმა“ განახორციელა სრული რებრენდინგი. ბრენდი განახლებული სახით წარსდგა მომხმარებლის წინაშე, დაიგეგმა აქტიური მარკეტინგული კამპანიები სტრატეგიულად მნიშვნელოვან ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად, „ბორჯომზე“ მოთხოვნა ბოლო წლებში ზრდადია და დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში გაყიდვების მიხედვით პირველ

ადგილზეა. 2013 წლის ბოლოს რუსეთის ბაზარი კვლავ გაიხსნა [5]. რაც შეეხება „ნაბეღლავს“, ამჟამად ის 25-ზე მეტ ქვეყანაში ექსპორტირდება. მათ შორის 2016 წელს მათ დაემატა სამხრეთ კორეის ბაზარი. მეზობელ ქვეყნებსა და დსთ-ის სივრცესთან ერთად ამ ქვეყნების სიაშია თურქეთიც. კომპანიის მიზანი ევროკავშირის ქვეყნებში მოწინავე ადგილის დაკავებაა [6]. „საირმე“, 2016 წლის მონაცემებით, მინერალური წყლის ექსპორტს 17 ქვეყანაში ახორციელებს. მათ შორის 2015-2016 წელს კომპანიამ 5 პარტნიორი შეიძინა: 2015 წელს პირველი ექსპორტი განხორციელდა თურქმენეთში, ყაზახეთში, მოლდოვასა და ისრაელში, 2016 წელს კი მათ რიცხვს შეუერთდა საუდის არაბეთი და იმავე წელს განახორციელა მინერალური წყლის 240 000 ბრენდირებული ბოთლის ექსპორტი [7].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 350 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1.4%-ით ნაკლებია (იხ. ცხრილი 1). ექსპორტი 2015 წელთან შედარებით შემცირდა 4%-ით და 2 114 მლნ დოლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა 1), ხოლო იმპორტი შემცირდა 1%-ით და 7 236 მლნ დოლარით განისაზღვრა.

ცხრილი 1. საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2008-2016 წწ. (მლნ დოლარი) [8]

| წლები | 2008წ. | 2009წ. | 2010წ. | 2011წ. | 2012წ. | 2013წ. | 2014წ. | 2015წ. | 2016 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | 7 797 | 5 609 | 6 913 | 9 259 | 10 413 | 10 433 | 11 463 | 9 935 | 9 350 |
| ზრდის ტემპი (%) | 21% | -28% | 23% | 33% | 13% | 5% | 5% | -13% | -1.4% |
| ექსპორტი | 1 495 | 1 134 | 1 677 | 2 186 | 2 377 | 2 911 | 2 861 | 2 205 | 2 114 |
| ზრდის ტემპი (%) | 21% | -24% | 48% | 31% | 8% | 22% | -1.7% | -23% | -4% |
| იმპორტი | 6 302 | 4 476 | 5 236 | 7 072 | 8 056 | 8 023 | 8 602 | 7 730 | 7 236 |
| ზრდის ტემპი (%) | 21% | -29% | 17% | 34% | 14% | -0.2% | 7% | -10% | -1% |
| სალდო | -4 806 | -3 342 | -3 559 | -4 886 | -5 680 | -5 112 | -5 741 | -5 525 | -5 112 |
| | | | | | | | | | |
| ექსპორტი რეექსპორტის გარეშე | 1 326 | 990 | 1 380 | 1 693 | 1 606 | 1 812 | 1 873 | 1 637 | 1 658 |
| ზრდის ტემპი | 19% | -32% | 39% | 23% | 5% | 13% | 3% | 13% | 1% |

დიაგრამა 1. საქართველოს ექსპორტი თვეების მიხედვით (2015-2016 წწ.) [8]



აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთლიანი ექსპორტის უარყოფითი მაჩვენებლისგან განსხვავებით, 2016 წელს სოფლის-მეურნეობის პროდუქციაზე ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა ღვინოსა და სპირტიან სასმელთან ერთად, მინერალურ წყალზეც. 2016 წლის მონაცემებით, ქართული მინერალური წყლის ექსპორტმა ევროკავშირის ქვეყნებში შეადგინა 12.2 მლნ დოლარი, რაც 2015 წლის მონაცემებთან შედარებით 14%-ით და შესაბამისად, 1.5 მლნ დოლარით მეტია. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ლიტვაში, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული მინერალური წყლის 97%-ს გაუტოლდა. 2015 წელთან შედარებით ლიტვაში ექსპორტი 13%-ით და შესაბამისად, 1.4 მლნ დოლარით გაიზრდა [8].

რაც შეეხება დსთ-ის ქვეყნებს, 2016 წელს ქართული მინერალური წყლის ექსპორტმა შეადგინა 65.1 მლნ. აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 5%-ით და შესაბამისად, 3.5 მლნ დოლარით ნაკლებია. დსთ-ის სივრცეში ძირითადი ექსპორტი განხორციელდა რუსეთში (54%), უკრაინაში (21%), ყაზახეთში (10%), ბელარუსში (8%) [8] (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. ქართული მინერალური წყლების ექსპორტი დსთ-ის ქვეყნებში (2016 წ.)




მთლიანობაში, ქართული მინერალური წყლების ექსპორტმა 2016 წელს შეადგინა 79.8 მლნ დოლარი, 2015 წელთან შედარებით 3%-ით და შესაბამისად, 2.4 მლნ დოლარით ნაკლები. ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (44% - 35.3 მლნ დოლარი), უკრაინაში (17% - 13.9 მლნ დოლარი), ლიტვაში (15% - 11.8 მლნ დოლარი), ყაზახეთში (8% - 6.3 მლნ დოლარი), ბელარუსში (7% - 5.2 მლნ დოლარი) [8] (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. ქართული მინერალური წყლების მთლიანი ექსპორტი (2016 წ.)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ქართული მინერალური წყლების ექსპორტი, 2016 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით შეადგენს, 31.5 მლნ ლიტრს, რაც წინა წლის იმავე, ბოლო კვარტლების მონაცემებთან შედარებით, გაზრდილია, თუმცა, საშუალოდ 2016 წლის მინერალური წყლების ექსპორტის დინამიკა წინა წელთან შედარებით შემცირებულია (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. მთლიანი, სურსათის და ქართული მინერალური წყლების ექსპორტი (2014-2016 წწ.) [9]

| საქონლის დასახელება | 2015 | | | | 2016 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Iკვარტ. | II კვარტ. | IIIკვარტ. | IVკვარტ. | Iკვარტ. | IIკვარტ. | IIIკვარტ. | IVკვარტ. |
| მთლიანი ესქპორტი (მლნ დოლარი) | 501.4 | 579.8 | 563.7 | 559.8 | 442.8 | 505.4 | 563.5 | 602.0 |
| სურსათის ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი) | 79.7 | 41.1 | 57.5 | 101.8 | 57.5 | 59.8 | 77.4 | 110.6 |
| სურსათის წილი მთლიან ექსპორტში (%) | 15.9 | 7.1 | 10.2 | 18.2 | 13.0 | 11.8 | 13.7 | 18.4 |
| **მინერალური წყლები (მლნ ლიტრი)** | **26.1** | **28.8** | **20.0** | **27.2** | **27.6** | **32.0** | **26.2** | **31.5** |

აღსანიშნავია ის, რომ მინერალური წყლები 2016 წლის სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში მოხვდა და მთლიანი წილის 4%-ს იკავებს სპილენძის მადნებთან (15%), თხილთან (9%), მსუბუქ ავტომობილებთან (8%), ფეროშენადნობებთან (8%), ღვინოსთან (5%), სამკურნალო საშუალებებთან (5%), სპირტიან სასმელებთან (4%), აზოტოვან სასუქებთან (3%) და დანარჩენ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებთან ერთად (35%) (იხ. დიაგრამა 4).

დიაგრამა 4. უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში (2016 წ.) [8]




საქართველოში მინერალური წყლების სიიაფე და მდიდარი მარაგი მისი რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში, საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ ექსპორტის მოცულობა, თუმცა,

არსებობს რიგი დაბრკოლება [10, გვ. 1404]. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ძირეული პრობლემები:

- სახელმწიფო მხარდაჭერის სისუსტე;
- ინვესტიციების ნაკლებობა;
- ქართული მინერალური წყლების პროდუქტის საერთაშორისო ბაზრის სტანდარტების შეუსაბამო ხარისხი;
- არასაკმარისი მარკეტინგული ღონისძიებები ქართული მინერალური წყლების პროდუქტის პოპულარიზაციისთვის საერთაშორისო მასშტაბით.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- აუცილებელია საქართველოს წყლის რესურსების საფუძვლიანი შესწავლა და მისი ფუნქციონალური კლასტერიზაცია რეგიონების მიხედვით;
- მნიშვნელოვანია მოპოვების წყაროების და ჭაბურღილების ექსპლოატაცია კონცენტრირებული იყოს, რათა მოხერხდეს მისი ეფექტიანად და დანიშნულებისამებრ გამოყენება. საჭიროა ევროპის ურთიერთთანამშრომლობის კავშირის რეკომენდაციების გათვალისწინება და მინერალური წყლების საერთაშორისო ბაზრის მარკეტინგული შესწავლა;
- საყურადღებოა, სანიტარულ-ჰიგიენური და ეკოლოგიური ღონისძიებების დაცვა [11]. ზემოთ აღნიშნული ყველა გარემოების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სწორი სტრატეგია, რომელიც ქართველ მწარმოებლებს დაეხმარება მსოფლიო ბაზარზე მინერალური წყლების ეფექტიან რეალიზაციაში;
- მნიშვნელოვანია ქართული მინერალური წყლების საინვესტიციო პროექტების მიხედვით შეიქმნას მონაცემთა ბაზა, სადაც განთავსებული იქნება საქართველოში არსებული მინერალური წყლების კომპანიების შესახებ დეტალური და საჭირო ინფორმაცია პოტენციური ინვესტორებისთვის მისაწოდებლად;
- ევროპის ქვეყნების გამოცდილება გვკარნახობს, რომ პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ამაღლების სტრატეგიულ ამოცანად აღიარებულ უნდა იქნეს მისი კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა არსებული რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენების და წარმოების და რეალიზაციის პროცესში ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით.

## ლიტერატურა:


1. ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები: სამომხმარებლო კალათა, მინერალური წყლები (კოდი 012).
3. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/samomxmareblo%20kalatis%20met
4. odologiis%20shesaxeb%202017.pdf.
5. მინისტრის ბრძანება N301/ნ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“
6. https://matsne.gov.ge/ka/document/view/52588.
7. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., ფირმის ეკონომიკა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2015.
8. ქართული მინერალური წყლის კომპანიის „ბორჯომი“ ოფიციალური ვებგვერდის მონაცემები https://www.-borjomi.com/ge/.
9. ქართული მინერალური წყლის კომპანიის „ნაბეღლავი“ ოფიციალური ვებგვერდის მონაცემები
10. http://nabeghlavi.ge/.
11. ქართული მინერალური წყლის კომპანიის „საირმე“ ოფიციალური ვებგვერდის მონაცემები
12. http://sairmewater.com/.
13. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ანგარიში „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2016
14. წელი“ http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2016_new.pdf.
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები www.geostat.ge

16. Erkomaishvili, G., "Consumer Market for Mineral Water and Development Policy in Georgia", International journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:9, No:5, 2015.
17. http://waset.org/publications/10001169/consumer-market-for-mineral-water-and-development-policy-in-georgia.
18. მინისტრის ბრძანება N301/ნ „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" https://matsne.gov.ge/ka/document/view/52588.

## Georgian Mineral Water Market and Export Potential Assessment

Nino Lobzhanidze

*PhD student*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The article reviews the mineral water market in Georgia and provides examples of export dynamics of the most successful companies in Georgia and their major partner countries.

Based on the comparative analysis of recent and previous years data, the Georgian mineral water export dynamics in the European Union, CIS and other countries is reviewed and the future export potential of Georgian mineral waters is estimated.

According to the analysis of dynamic analytics of Georgian mineral waters export and the assessment of market development potential, conclusions have been made and recommendations on the possibilities of rising of mineral waters export volume are proposed.

*Keywords: Mineral waters, Food products group, Export dynamics, State support.*

# გლობალიზაცია და საქართველოს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციები

გელა ლობჯანიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*XXI საუკუნის ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ საკმაო ცვლილებები განიცადა როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური კუთხით. უარყოფითი ტენდენციებიდან აღსანიშნავია ეკონომიკური მდგომარეობის არასაკმარისი განვითარება, სახელმწიფო ვალის და ინფლაციის ზრდა, ინვესტიციების დაბალეფექტიანობა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი დონე და ა.შ. თუმცა, აღსანიშნავია ის დადებითი გარემოებები, რომ ეკონომიკური ზრდა შედარებით სტაბილურია, სხვა თანაბარ პირობებში რამდენადმე იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), მნიშვნელოვანი წინსვლაა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მხრივ, დაიხვეწა სახელმწიფო სამსახურების მხრიდან მომსახურება, ქვეყანაში ვითარდება თანამედროვე საბანკო სისტემა, მომსახურების მაღალტექნოლოგიური დარგები, ოპერაციები უძრავ ქონებასთან და ა.შ.*

*სტატიის მიზანია კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ და საერთაშორისო რეიტინგის ძირითად მაჩვენებლებზე დაყრდნობით (მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობის დონე, საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელი, ექსპორტის მაჩვენებელი, ინფლაცია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სხვ.) შეფასდეს ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში და განისაზღვროს ქვეყნის სისტემური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში.*

***საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; მაკროეკონომიკური მაჩვენებლები; საერთაშორისო რეიტინგები; ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.***

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა, რაც პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციას უკავშირდება, პოზიტიური მიმართულებით შეცვალა მსოფლიო რუკა. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო, რასაც გლობალური პროცესების გაღრმავება მოჰყვა. გლობალიზაცია, ეს საერთაშორისო რეზონანსის მოვლენა, ითვალისწინებს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ა.შ. პროცესების უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევას), მის საფუძველზე ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრას. გლობალიზაცია – დინამიკური და შეუქცევადი მსოფლიო პროცესი და მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი (გლობალური) საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერ-ნაციონალიზაციას, იწვევს მდგრადი განვითარების კონცეფციის (ფილოსოფიის) პრაქტიკულად ამოქმედებას [1,გვ.258-269]. ამასთან, გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამიცდილების სწრაფი გაცვლა. აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბებას. გლობალიზაციის რთულმა, მრავალწახნაგოვანმა, წინააღმდეგობრივი პროცესმა, რომელიც მოიცავს რა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარეს და მნიშვნელოვნად განაპირობებს როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე მთელი სახელმწიფოების, რეგიონების ცხოვრების პირობებსა და განვითარების პერსპექტივებს, მნიშვნელოვნად დააჩქარა ცალკეულ, მათ შორის, ტრანზიტულ ქვეყნებში ღია საზოგადოების ჩამოყალიბება, ინტერნეტული ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფი განვითარება, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა და განსაკუთრებით ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახული ზრდა. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა მართალია, გამოიწვია რადიკალური ცვლილებები და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში საქართველოს ჩართვისათვის, მაგრამ მას საკმარისი პოზიტიური გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ჯერ არ მოუხდენია.

ამასთან, აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს მიღებული და მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებული პოსტინდუსტრიული ეპოქის გრანდიოზული პროგრამა (მდგრადი განვითარების პრინციპები და ,,XXI საუკუნის დღის წესრიგინ), რომელიც მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს ორგანულად დაუკავშირონ ერთმანეთს ტრადიციული და თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიღწევები ხანგრძლივი და მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, 22-ე პრინციპში ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში უდიდესი როლი ენიჭება მკვიდრ მოსახლეობას, მის ცოდნას და ტრადიციულ პრაქტიკას. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოსახლეობის თვითმყოფადობას, კულტურას, ინტერესებს და უზრუნველყონ მისი ეფექტიანი მონაწილეობა მდგრადი განვითარების საქმეში [2, გვ.36-78; 3, გვ. 249–273].

ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალიზაციის ინდექსს, რომელიც 207 ქვეყანას მოიცავს. ინდექსის მაჩვენებლები 3 ძირითად კატეგორიადაა დაყოფილი, რომლებიც მოიცავს შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ეკონომიკური გლობალიზაციის დონის განსაზღვრა საერთაშრისო ვაჭრობის და უცხოური კაპიტალის მოძრაობის სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება. ქვეყნის გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს, თუ რამდენად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიოში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კუთხით. გლობალიზაციის მაღალი დონე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეულია.

როგორც ცნობილია, საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით, მსოფლიოში მე-16 ადგილს იკავებს, ხოლო ზოგადად გლობალიზაციის დონით 64-ე ადგილზეა. 2015 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში საქართველოს მე-19 ადგილი ეკავა. საქართველოს მე-16 ადგილი განაპირობა საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალურმა პოლიტიკამ და უცხოური კაპიტალის თავისუფლად შემოსვლის შესაძლებლობამ. საქართველოს მაღალი პოზიცია უფრო ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველია, ვიდრე მიღწეული განვითარების დონის [4].

ცხადია, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, საქართველოს სახელმწიფოს განვითარება ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების გარეშე მიზანშეუწონელია, რაც თავის მხრივ, ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული ჩვენი ქვეყნის იმ ფუნდამენტური ინტერესების დაცვას, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას სუვერენიტეტი, უსაფრთხოება, მშვიდობა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა და, რომელმაც მთლიანობაში სწარფად მზარდი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი ეროვნული ეკონომიკის საფუძველი უნდა შექმნას.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის დივერსიფიცირებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას. თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზნით საერთაშორისო ინტეგრაციულ ურთიერთობებში ჩართვა და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენება წარმოადგენს. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მიუხედავად გატარებული მთელი რიგი რეფორმებისა, ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია და ხასიათდება მთელი რიგი ნეგატიური ტენდენციებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: სახელმწიფო მართვის სტრუქტურების არასაკმარისი ეფექტიანობა, ეროვნული მიზნების, უცხოური სუროგატებით კულტურული მიღწევებისა და სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფის ან კიდევ მათი მასობრივი შეცვლის მცდელობის ნიშნები, ეკონომიკური და სხვადასხვა სახის კრიზისების არსებობა, უმუშევრობის მაღალი დონე და მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებენ მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების შესუსტებას, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ზრდას და საზოგადოების სამართლიან ნეგატიურ განწყობას. საქართველოში არსებული სოციალური პრობლემები (უმუშევრობა, არასაკმარისი საარსებო მინიმუმი, დაბალი მსყიდველობითი უნარი, ფასების ზრდა და სხვ.) ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, რამოდენიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდექსში შედარებით მაღალი ადგილების დაკავება, საერთაშორისო ორგანიზაციების ოპტიმისტური შეფასებები, აშკარად ქმნის ერთგვარ გარკვეულ დაბნეულობას და ხშირად გამოიხატება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ამ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების და ინდექსებისადმი დაბალ ეფექტიანობის შეფასებებში.

როგორც შესწავლილი მასალების ანალიზიდან ირკვევა, 2012-2016 წლების ეკონომიკურ ზრდას საქართველოში მოჰყვა ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებში მისი რეიტინგის ცვლილება პოზიტიური კუთხით. ამ თვალსაზრისით, მართალია, მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა საქართველოს საერთაშორისო რეიტინგი, თუმცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება კვლავ წინააღმდეგობრივი რჩება მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი) სახელდობრ, 2016 წლის ნომინალური მშპ-ის მოცულობამ დაახლოებით 33,9 მლნ ლარი, ანუ 14,3 მლრდ აშშ $ და მოსახლეობის ერთ სულზე იმავე 2016 წელს 9,1 ლარი ანუ 3,9 აშშ $ შეადგინა, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი, – მოსახლეობის ერთ სულზე მშპ დაახლოებით 30 ათასი $-ია. 2003 წლიდან 2016 წლამდე საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი დაახლოებით 9-ჯერ გაიზარდა და საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 15.5 მლრდ აშშ დოლარი (41.0 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2016 წლის მშპ-ს 108.2 %-ია.

სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 6.6 მლრდ დოლარი (17.5 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 46.1 %-ია, რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 4.7 მლრდ დოლარი (12.4 მლრდ ლარი, ანუ მშპ-ს 32.6 %), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 200.3 მლნ დოლარი (530.1 მლნ ლარი, ანუ მშპ-ს 1.4 %), ხოლო სახელმწიფო საწარმოების ობლიგაციები და სესხები შესაბამისად - 871.8 მლნ დოლარი (2.3 მლრდ ლარი, ანუ მშპ-ს 6.1 %) და 855.9 მლნ დოლარი (2.3 მლრდ ლარი, ანუ მშპ-ს 6.0 %) [5].

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები [5]

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | წლები | | | | | | წყარო |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2011 | 2012 | 2013 | 2014* | 2015 | 2016 | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| მოსახლეობა წლის ბოლოს (ათასი კაცი) | 4,498 | 4,484 | 4,491 | 3,714 | 3,720 | 3,718 | საქსტატი |
| უმუშევრობის დონე, % | 15.1% | 15.0% | 14.6% | 12.4% | 12.0% | 11.8% | საქსტატი |
| წლიური ინფლაცია (დეკემბერი/დეკემბერთან), % | 2.0% | -1.4% | 2.4% | 2.0% | 4.9% | 1.8% | საქსტატი |
| მშპ, მლრდ ლარი | 24.3 | 26.2 | 26.8 | 29.2 | 31.7 | 33.9 | საქსტატი |
| მშპ, მლრდ დოლარი | 14.4 | 15.8 | 16.1 | 16.5 | 14.0 | 14.3 | საქსტატი |
| მშპ რეალური ზრდა, % | 7.2% | 6.4% | 3.4% | 4.6% | 2.9% | 2.7% | საქსტატი |
| მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი/$ | 3,231 | 3,523 | 3,600 | 3,676 | 3,767 | 3,852 | საქსტატი |
| მშპ ერთ სულზე, მყიდველობითი უნარის პარიტეტით, PPP (მიმდინარე საერთაშორისო აშშ დოლარი/$) | 7,315 | 8,027 | 8,543 | 9,204 | 9,679 | – | მსოფლიო ბანკი |
| მიმდინარე ანგარიში/მშპ, % | -12.8% | -11.7% | -5.8% | -10.7% | -12.0% | -13.3% | სებ-ის გაანგარიშება |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ, % | 7.7% | 5.8% | 5.8% | 10.7% | 11.2% | 11.5% | სებ-ის გაანგარიშება |
| საერთაშორისო რეზერვები, მლრდ აშშ დოლარი | 2.8 | 2.9 | 2.8 | 2.7 | 2.5 | 2.8 | სებ |
| მთლიანი საგარეო ვალი/მშპ,% | 80.2% | 83.8% | 82.3% | 83.8% | 107.8 % | 108.1 % | სებ-ის გაანგარიშება |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთავრობის საგარეო ვალი/მშპ,% | 25.6% | 26.8% | 25.9% | 25.7% | 31.3% | 32.6% | სებ-ის გაანგარიშება |
| დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, მლრდ ლარი | 6.7 | 7.6 | 9.7 | 11.6 | 14.3 | 17.0 | სებ |
| დეპოზიტები კომერციულ ბანკებში, ზრდა, % | 22.9% | 13.4% | 26.3% | 20.2% | 23.5% | 18.4% | სებ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| დეპოზიტების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), % | 59.9% | 64.1% | 59.9% | 60.2% | 69.5% | 71.4% | სებ |
| სესხების დოლარიზაცია (საბანკო სექტორი), % | 68.9% | 67.6% | 62.5% | 60.8% | 64.6% | 65.4% | სებ |
| მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, % | 6.75% | 5.25% | 3.75% | 4.00% | 8.00% | 6.50% | სებ |
| S&P/ Standard & Poor's | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | სტანდარდ ენდ ფუარს |
| FITCH | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | BB- | ფიჩ რეიტინგს |
| MOODY'S | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba3 | Ba4 | კორპორაცია მუუდის |
| ადამიანის განვითარების ინდექსი (რეიტინგი/ქვეყანა) | 0.740 (75/187) | 0.747 (81/187) | 0.750 79/187 | 0.754 76/188 | 0.754 76/188 | 0.769 70/188 | გაეროს განვითარების პროგრამა |
| გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რეიტინგი (ადგილი/ქვეყანა) | 3.95 (88/142) | 4.07 (77/144) | 4.15 (72/148) | 4.22 (69/144) | 4.22 (66/140) | 4.32 (59/138) | მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი |
| ბიზნესის კეთება (რეიტინგი/ქვეყანა) | 16/183 | 9/185 | 8/189 | 15/189 | 23/189 | 16/190 | მსოფლიო ბანკი |

*) *აღნიშნული მონაცემი ეფუძნება 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგსა და 2014 წლის ბოლო ორი თვის საერთო მატების (ბუნებრივ მატებას + მიგრაციული სალდო) ჯამს. აღწერათაშორისი პერიოდის მოსახლეობის რიცხოვნობის გადაანგარიშება მოხდება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.*

როგორც ცნობილია, საგარეო ვალით მიღებული ფული არის ძვირადღირებული ფინანსური რესურსი, რაც ზრდის ქვეყნის გადასახადის გადამხდელების, მათ შორის მომავალი თაობების ფისკალურ ტვირთს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მთლიანი საგარეო ვალის დაახლოებით 95 % დენომინირებულია უცხოური ვალუტით. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ვალის მომსახურება, ლარის კურსის ვარდნასთან ერთად, მუდმივად უძვირდება ქართულ ვალუტაში. 2017 წელს სახელმწიფო საგარეო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველო 685 მლნ ლარს დახარჯავს, საიდანაც 431 მლნ ვალის ძირითადი თანხის დაფარვას, ხოლო 254 მლნ – პროცენტის თანხას მოხმარდება [6].

2005 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 14 551, 4 მლნ $ შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით, 2016 წელს წინა წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 0,1 %-ით გაიზარდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1565.9 მლნ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის, 2015 წელს მაჩვენებელი 1,564.5 მლნ დოლარს შეადგენდა. ამასთან, 2016 წელს ინვესტიციები შემცირებულია 2014 წელთან შედარებით და აღემატება 2012 და 2013 წლებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს [7].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დაზუსტებული მონაცემებით 2016 წელს სავაჭრო ბრუნვამ 9,407 მლნ დოლარი შეადგინა, რაც გასული 2015 წლის მაჩვენებელზე 1 %-ით ნაკლებია, (2015 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 928 მლნ $ შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 13 %-ით ნაკლებია).

„საქსტატის" მონაცემებით, 2016 წელს, 2015 წელთან შედარებით, ექსპორტი 4,2 %-ით შემცირდა და 2,113.1 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 91 600 დოლარით ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებელზე.Aაღნიშნულ პერიოდში 0,1 %-ით შემცირდა იმპორტი და 7,294.2 მლნ დოლარი შეადგინა. 2016 წლის საგარეო ვაჭრობაში ქვეყნების ჯგუფების წილი ბრუნვაში ასე გამოიყურება: ევროკავშირის ქვეყნები 29.6 %, დსთ-ის ქვეყნები 28.9, დანარჩენ ქვეყნებს კი 41.5 % უჭირავთ [8]. კვლავაც პრობლემურია ევროკავშირის ბაზარზე შეღწევა, რასაც განაპირობებს ჩვენში წარმოებული საქონლის შეუსაბამობა ევროპულ სტანდარტებთან და ტექნიკურ რეგლამენტთან. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მკვეთრად გაღრმავდა ქონებრივი დიფერენციაცია, რასაც მოყვა შემოსავლების უთანასწორო გადანაწილების უარყოფითი ტენდენცია და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა. სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ირკვევა, 2016 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 0.2 %-ული პუნქტით შემცირდა და 11.8 % შეადგინა (დასაშვები დონე 7 %). იმავე 2016 წელს, ფარდობითმა და აბსოლუტურმა სიღარიბემ 20,6 % და 21,3 %, ხოლო ჯინის კოეფიციენტმა მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 0,39 და მთლიანი შემოსავლების მიხედვით 0,40 შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 0,5 და 0,1 პროცენტული პუნქტით მეტია; ამასთან, 2015 წლის მონაცემებით, ფარდობითი საბიუჯეტო დანახარჯები ჯანდაცვაზე (მშპ-ის 2.2 %) და განათლებაზე (მშპ-ის 2.5 %) დაბალია, ვიდრე OECD-ის ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მაჩვენებლები მშპ-ის 9.3 %-სა და 5.3 %-ის უტოლდება [9,10].

ჰუმანური განვითარების 2016 წლის გლობალური ანგარიშის სტატისტიკურ დანართში წარმოდგენილია ჰუმანური განვითარების უახლესი ინდექსი (HDI), რომელიც ეყრდნობა 2015 წლის მონაცემებს 188 ქვეყნისა და გაეროს მიერ აღიარებული ტერიტორიისათვის. საქართველოს ჰუმანური განვითარების ზოგადი მაჩვენებელია 0.769 და 70-ე ადგილზეა 188 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის. რაც შეესაბამება მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფს და ოდნავ გაუმჯობესებულია 2015 წლის მონაცემთან შედარებით (0.754). 2000-2015 წლებში საქართველოს მაჩვენებელი გაიზარდა 0.673-დან 0.769-მდე და მთლიანმა ზრდამ 14.3 % შეადგინა.

1990 – 2015 წელს, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში გაიზარდა 4.7 წლით, სწავლის ხანგრძლიობა - 0.5 წლით, ხოლო სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 1.5 წლით. მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე (GNI per capita) გაიზარდა 17.1 %-ით [11].

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor's", „Fitch" და „Moody's". ჩვენი ქვეყანა ინარჩუნებს სტაბილურ რეიტინგს, ამჟამად საქართველოს ,,Standard & Poor's"-თან, „Fitch"-თან "BB-" და Moody's"-თან ,,Ba4" სტაბილური რეიტინგი აქვს.

2017 წლის მარტში Moody's-მა გამოაქვეყნა საქართველოს რეიტინგის შეფასება, რომლის თანახმადაც საქართველოს სუსტ მხარეებად მიჩნეულია: საგარეო მოწყვლადობის მაღალი მაჩვენებელი (უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის ჩათვლით) და გეოპოლიტიკური რისკები რეგიონში. ძლიერ მხარეებს მიეკუთვნება: მაღალი ეკონომიკური ზრდა, ინსტიტუციური სიძლიერე და ვალის ზომიერი დონე. ანგარიშის თანახმად, წამოწყებული სტრუქტურული რეფორმები და პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მნიშვნელოვნად წაახალისებს ეკონომიკურ ზრდას საშუალოვადიან პერიოდში [12].

ცხადია, საქართველოში ჩატარებული რეფორმები დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ 2,7 % შეადგინა. 2015 წლის ამერიკული გამოცემა გლობალ Global Finance Magazine-ის ვერსიით, ეკონომიკის დონის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში The Richest Countries in the World საქართველოს 113-ე ადგილი უკავია. გამოცემამ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა საფუძველზე ყველაზე მდიდარი ქვეყნების რეიტინგი შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიხედვით, რაც ერთ სულ მოსახლეზე მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველს ეყრდნობა, იგი ითვალისწინებს ცხოვრების შეფარდებით ღირებულებასა და ინფლაციის დონეს ქვეყნებში. სულ სიაში 185 სახელმწიფო შევიდა [13].

ჩვენთან დღესდღეობით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა, საგარეო ვალი, ინფლაცია და ა.შ. ცხადია, სანამ ამ პრობლემების ზეგავლენა არ შემცირდება, ქვეყანა ვერ შეძლებს მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევას. საქართველოსთვის, ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და ინვესტო-რების ნდობის გაძლიერება. ასევე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გამოყენებით ქართული ექსპორტისთვის ბაზრების დივერსიფიკაცია.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, 2017 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 3,5 % და 2018 წელს 4% იქნება, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 4,5 %-ს მიაღწევს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მსოფლიო ეკონომიკის ახალი ანგარიშის თანახმად, საქართველოს ეკონომიკა 2017 წელს 3,5 %-ით გაიზრდება ხოლო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველოს მშპ წლეულს 3,9 %-ით გაიზრდება. რაც შეეხება 2018 წელს, ევრობანკის პროგნოზით, მშპ გაისად 4,2 %-ით მოიმატებს.

სსფ-ის ვარაუდით, 2017 წელს მშპ 3,5 %-ით გაიზრდება, ინფლაცია კი ეროვნული ბანკის 4 %-იან სამიზ-ნე მაჩვენებელს აშკარად გადააჭარბებს ვალუტის გაუფასურების, მაღალი სასაქონლო ფასებისა და აქციზის ზრდის გამო [14].

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაბალ-საშუალო შემოსავლის მქონე საქართველოსთვის, ზემოაღნიშნუ-ლი ეკონომიკის ზრდა საკმარისი არ არის, ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების სასურველი ეფექტურობის გა-დასაჭრელად.

ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია საქართველოს მშპ-ის რეალური ზრდის რამდენადმე მაღალი მაჩვე-ნებელის პროგნოზი და ჩვენი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მშპ-ს რეალური ზრდის მე-ტი მაჩვენებლის მიღწევა; საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგ-ვაჩნია სისტემური მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება საკანონმდებლო, ინსტიტუციური, სო-ციალური, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, ადამიანური კაპიტალის, ეკოლოგიური პოლიტიკის, განათ-ლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროების რეფორმების დაჩქარებული განვითარებით, რითაც შესაძლებელია საქართველოს ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანი გამოყე-ნება და მშპ-ს ზრდა კიდევ უფრო მაღალი ტემპებით.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. ეს მოდელი ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, რომელშიც წამყვან როლს ინტელექტუალური კაპიტალი, ინტერნეტული ქსელი და, საერთოდ, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებს. ამიტომ, დღეს აქცენტი კეთდება ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაზე, რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიებ-ზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქციის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა.შ. ამიტომ, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, თუ რომელი დარგების განვითარებას მიანიჭოს უპირატესობა, რა უნდა იყოს მისი ეკონომიკური განვითარების გენერალური სტრატეგია.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემური განვითარების ნაწილი უნდა იყოს ეკონომიკის დარგობრივი რესტრუქტურიზაცია პრიორიტეტული და სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრის თვალსაზრისით, რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანასწო-რობის აღმოფხვრა, ინფრასტრუქტურული განვითარება, კაპიტალის ბაზრის რეფორმა, საპენსიო და მიწის ეფექტიანი რეფორმა, ურბანული გან-ვითარება, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სრულყოფა, განათლების, მ.შ. ტექნიკური განათლების დონის ამაღლება და სხვა მნიშვნელოვანი, რათა უახლოესი ათწლეულებისათვის შეიქმნას მყარი ფუნ-დამენტი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დინამიური, სწრაფი და კონკურენტუნარიანი განვითარებისათვის, რომ ქვეყანამ იპოვოს თავისი ეკონომიკური ფუნქცია და ადგილი მსოფლიო ბაზარზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ორიენტირების პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას, ინფლაციური პროცესების დარეგულირებას, საგარეო ვაჭრობის გაღრმავება-გამარტივებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მათ ეფექტიან გამოყენებას და სხვა ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას, რამაც საბოლოო გაანგარიშებით უნდა უზრუნველყოს მდგრადი, სტაბილური ეკონომიკური განვითარება და ცხოვრების დონის ამაღლება.

ლიტერატურა:


1. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა ,,სიახლე", 2014. 368 გვ.
2. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბილისი, ,,ესპესკ"-ის გამომცემლობა, 2001. 423 გვ.
3. შიხაშვილი გ. სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფციის და საგადასახადო-საფინანსო საქმიანობის ბიბლიური გააზრება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, ტ. 11, №3, 2003, გვ. 249–273.
4. http://forbes.ge/news/1893/ekonomikuri-globalizaciis-msoflio-indeqsi
5. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494
6. http://netgazeti.ge/business/158836/
7. http://bpi.ge/index.php/2016-wels-pirdapiri-uckhouri-investiciebis-didi-wili-kvlav-tbilisshia-koncentrirebuli/
8. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo
10. http://pbo.parliament.ge/ge/q2015/item/234-meotxe-kvartali
11. http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2017/04/11/undp-presents-global-and-regional-human-development-reports-.html
12. http://www.economy.ge/uploads/publications/economy_8626772359b1019bdf0c91.14347462.pdf
13. https://sputnik-georgia.com/georgia/20160404/230955489/msoflios-kvelaze-mdidari-qveknebis-reitingshi-saqartvelo-113-e-adgilzea.html
14. http://alia.ge/news/355


## Globalization and the Trends of Modern Socio-economic Development of Georgia


Gela Lobjanidze

*Academic Doctor of Economics,, Associate Professor*
*Georgian technical university*



**R e s u m e**

Modern trends of globalization and the country's political and socio-economic development of the current state of analysis allows us to conclude that the country needs a secure and sustainable development of the target system-plan program, which will have a leading role in the economic and security, which will be based on socio-economic and socio-political situation and the complex analysis, the organizational and economic mechanisms. During the transition period, Georgia's economic security strategy should be oriented primarily to increase the living standards of the population, to ensure the socio-economic security of the country, maintain the constitutional arrangement and territorial integrity of the national values and interests. Here it requires special attention not to stop or confront the process of globalization, but also to determine the political, socio-economic and moral-ethical principles of its regulatory mechanisms, correctly and with the prospect of human development development.



*Key words: Globalization; macroeconomic indicators; international ratings; main directions of economic policy.*

# აქტივების შეფასების ზოგიერთი საკითხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

მარინა მაისურაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია აქტივების შეფასების საკითხები, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოთხოვნების შესაბამისად. გამოთქმულია მოსაზრებები აქტივების შეფასების სხვადასხვა მეთოდის მიმართ. მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარებული და ასახული უნდა იქნეს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ მას გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ეს მოთხოვნა ეხება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებსაც, რომელთა რეალური ღირებულება ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. საწარმომ გარკვეული პერიოდულობით უნდა მოახდინოს მის განკარგულებაში მყოფი აქტივების ხელახალი შეფასება და დაადგინოს მათი რეალური ღირებულება.*

*საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება; თვითღირებულება; რეალური ღირებულება;შეფასება.*

ბუღალტრულ აღრიცხვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების პროცესი წარმოადგენს. შეფასება არის ფულადი თანხების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რაც გულისხმობს შეფასების გარკვეული მეთოდის შერჩევას.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი საქმიანობის შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ შეფასების რა მეთოდი გამოიყენება საწარმოში. დიდი ხნის განმავლობაში აქტივებს შეძენის ღირებულებით აფასებდნენ. მოცემული მეთოდი, სტაბილური ფასების პირობებში, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე ინფლაციის ზრდამ შეფასების განსხვავებული მეთოდების გამოჩენა განაპირობა. გაჩნდა შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დანახარჯების მეთოდი, საბაზრო ღირებულების მეთოდი, ნეტო სარეალიზაციო ღირებულების მეთოდი, საშუალო დანახარჯების მეთოდი, აღდგენითი ღირებულების მეთოდი, დისკონტირებული ღირებულების მეთოდი და ა. შ.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაჩნდა ფინანსური ინსტრუმენტების და საფინანსო ინსტიტუტების ახალი ფორმები, რამაც განაპირობა ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ღირებულების შეფასებაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის განმსაზღვრელი როლი. სწორედ მსგავსმა პროცესებმა გამოიწვია შეფასების სხვადასხვა მეთოდების შემუშავება. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეალური ღირებულების შეფასებას.

ფასს 13 ,,რეალური ღირებულება“, განსაზღვრავს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც შეტანილია ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებაში.

ფასს 13 მთლიანად არ შეუცვლია რეალური ღირებულების წინა, მანამდე არსებული განმარტება, თუმცა ის მნიშვნელოვნად დაზუსტდა.

რეალური ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისათვის განისაზღვროს ფასი, რომლითაც განხორციელდებოდა აქტივის გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაცია ბაზრის მონაწილეებს შორის მიმდინარე საბაზრო პირობებში, ე.ი. რეალური ღირებულება ბაზრის მონაწილე, აქტივის მფლობელის (ან, რომელსაც აქვს ვალდებულება) პოზიციიდან , არის აქტივის გასვლის ფასი შეფასების თარიღისთვის [1,გვ.638].

პირვანდელი ღირებულების (თვითღირებულების) მეთოდით აქტივების აღიარება ხდება მათი შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულით, ან ფულის ეკვივალენტებით, ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხით. თვითღირებულებაში შედის:

- შესყიდვის ფასი, საბაჟო და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობის და შეღავათების გარეშე;
- ტრანსპორტირებისა და მონტაჟის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები თავდაპირველი შეფასებით, დისკონტირებული ღირებულებით, რის ვალდებულებასაც კომპანია იღებს შეძენის მომენტში, ან შემდგომ.

საბალანსო ღირებულება ის თანხაა, რომლითაც ძირითადი საშუალებები ასახულია ბალანსში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შემდეგ.

მიმდინარე ღირებულებით აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების იმ თანხით, რომელიც გადახდილი იქნებოდა იმ მომენტისათვის საწარმოს მიერ მისი ან ანალოგიური აქტივის შეძენისას.

ანაზღაურებადიჶღირებულებაჶარის უდიდესი თანხა ძირითადი საშუალებების წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

სარეალიზაციო ღირებულებით აქტივების აღრიცხვა ხდება ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების იმ თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მიმდინარე პერიოდში ამ აქტივის გაყიდვის შედეგად საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის ბაზარზე დაფუძნებული შეფასების მიხედვით.

დისკონტირებული ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმენლი ერთეულიდან საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება. აქტივის გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შეფასება;
- მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შესაძლო ცვლილების სავარაუდო შედეგი;
- ფულის დროითი ღირებულება, პროცენტის ურისკო მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე დაყრდნობით;
- სხვა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად, ლიკვიდობა, რომლებსაც ბაზრის მონაწილენი გაითვალისწინებდნენ აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას.

ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე აღარ აქვს მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ასაკი და მდგომარეობა. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება პერიოდით, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება ან პროდუქციის,ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის საწარმო ამ აქტივიდან.

ცვეთადი, ანუ ამორტიზებადი ღირებულება არის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ძირითადი საშუალებების ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უმრავლეს შემთხვევაში იყენებენ პირვანდელი ღირებულების მეთოდს. აქტივების შეძენის შემდეგ მათი შეფასება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. მაგალითად:

- ძირითადი საშუალებები, რომელიც შეძენილია ყიდვით, აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით (შეძენის მომენტში), ხოლო როდესაც ძირითადი საშუალებები მიიღება ჩუქებით ან გაცვლით, ის ფასდება რეალური ღირებულებით.
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება პირვანდელ ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით;
- ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა შესაძლებელია მათი საბაზრო ღირებულებით;
- საპენსიო უზრუნველყოფის ვალდებულებები აღირიცხება დისკონტირებული ღირებულებით და ა.შ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის საწარმომ უნდა მოახდინოს აქტივის შესაძლო გაუფასურების ფაქტორების იდენტიფიცირება, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მოეთხოვება განსაზღვროს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

ასევე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება გაუფასურებაზე, საწარმო ვალდებულია ყოველწლიურად შეამოწმოს საწარმოთა გაერთიანებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილი, ასევე, განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ გამოუყენებლი არამატერიალური აქტივები გაუფასურებაზე, მათი საბალანსო და ანაზღაურებადი ღირებულების შედარების გზით.

ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იმ პირობით, რომ ეს მოხდება ყოველწლიურად ერთსა და იმავე დროს. სხვადასხვა არამატერიალური აქტივის შემოწმება გაუფასურებაზე შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დროს. თუ არამატერიალური აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს, მისი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება იმავე საანგარიშგებო წლის დასრულებამდე, გამომდინარე იქიდან რომ ჯერ გამოუყენებელი არამატერიალური აქტივის უნარი - გამოიმუშაოს სარგებელი, რთული შესაფასებლია და მაღალი განუსაზღვრელობით ხასიათდება, რაც მისი ღირებულების ხშირ ცვლაში შეიძლება აისახოს.

საანგარიშგებო პერიოდში საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ან ინვესტიციებზე უკუგების საბაზრო განაკვეთების მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში, საწარმოს არ მოეთხოვება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შემოწმება გაუფასურებაზე თუ მოსალოდნელია, რომ:

- აქტივის გამოყენების ღირებულების გასაანგარიშებლად საჭირო დისკონტის განაკვეთი არ შეიცვლება აღნიშნული საბაზრო განაკვეთების ზრდის შედეგად. მაგალითად, მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა არ მოახდინოს იმ აქტივის დისკონტის განაკვეთზე, რომელსაც ხანგრძლივი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს; ან
- აქტივის გამოყენების ღირებულების გასაანგარიშებლად გამოყენებული დისკონტის განაკვეთი შეიცვლება საბაზრო განაკვეთების ზრდის შედეგად.

აქტივების გაუფასურების განსაზღვრა რეალური ღირებულების შეფასების მეთოდზეა დამოკიდებული. აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებისა და მისი გამოყენების ღირებულების განსაზღვრა ყოველთვის აუცილებელი არ არის. თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და მაშასადამე, არ არსებობს მეორეს შეფასების აუცილებლობა.

თუ აქტივის რეალური ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების ტოლია, რეალურ ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ ღირებულებას შორის ერთადერთ განსხვავებას მოცემული აქტივის გასვლასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები წარმოადგენს:

- თუ აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები უმნიშვნელოა, გადაფასებული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება აუცილებლად უახლოვდება ან მეტია მის გადაფასებულ (რეალურ) ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ნაკლებსავარაუდოა, რომ გადაფასებული აქტივი გაუფასურებული იყოს და საჭირო არ არის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება; და
- თუ აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯები არ არის უმნიშვნელო, გადაფასებული აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება აუცილებლად ნაკლებია მის რეალურ ღირებულებაზე. შესაბამისად, გადაფასებული აქტივი გაუფასურებულია, თუ აქტივის გამოყენების ღირებულება ნაკლებია გადაფასებულ (რეალურ) ღირებულებაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ საწარმო განსაზღვრავს, გაუფასურებულია თუ არა მოცემული აქტივი.

იმ შემთხვევაში, თუკი აქტივის რეალური ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ღირებულებიდან განსხვავებულ საფუძველზე, გადაფასებული (რეალური) ღირებულება შესაძლოა მეტი ან ნაკლები იყოს მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. აქედან გამომდინარე, გადაფასების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, საწარმო განსაზღვრავს, მოსალოდნელია თუ არა მოცემული აქტივის გაუფასურება.

აქტივის გაუფასურების იდენტიფიცირებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია სწორად განიმარტოს შეფასების ის მეთოდები, რომელთა შედარებაც განსაზღვრავს - არის თუ არა აქტივი გაუფასურებული. ეს ეხება კონკრეტულად საბაზრო ფასისა და გამოყენების ღირებულების განსაზღვრებებს.

ფასს 13 საბაზრო ფასს განსაზღვრავს, როგორც გადასახდელ თანხას, რომელიც საწარმოს შეუძლია მიიღოს აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების მესამე მხარეზე გადაცემისთვის, საბაზრო პრინციპების გათვალისწინებით.

აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელია ბაზარზე დაფუძნებული შეფასებით შესრულებული გარიგების დროს გაყიდვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, რომელიც კორექტირებულია აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით. თუ არ არსებობს აქტივის გაყიდვის ხელშეკრულება და ამ აქტივით ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს აქტივის საბაზრო ფასი, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობით. საბაზრო ფასის მიახლოებით ფასს, როგორც წესი, წარმოადგენს მყიდველის მიერ შეთავაზებული მიმდინარე ფასი ან ბოლო გარიგებაში დაფიქსირებული ფასი.

ფასს 13 ასევე განმარტავს, რომ შემფასებელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს შეფასების დროს არსებითად თვალსაჩინო მონაცემებს დაეყრდნოს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში არათვალსაჩინო მონაცემებს. მონაცემების თვალსაჩინოება წარმოდგენილია სამი დონის იერარქიით:

- პირველი დონე მოიცავს იდენტური აქტივების და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებულ ფასებს;
- მეორე დონე - მსგავსი აქტივების და ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებულ ფასებს, კოტირებულ ფასებს იდენტურ აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომელთაც არ გააჩნიათ აქტიური ბაზარი ან აქტიურ ბაზარზე მოცემული ფასის გარდა სხვა რაიმე მონაცემი აქტივის შესახებ, რაც შეიძლება დაეხმაროს შემფასებელს აქტივის ან ვალდებულების შეფასებაში;
- მესამე დონე გულისხმობს არათვალსაჩინო მეთოდების გამოყენებას შეფასების დროს, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის პირველი ან მეორე დონის იერარქიის მონაცემები არ არსებობს.

ლიტერატურა:


1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორიოსო სტანდარტი 13 ,,რეალური ღირებულება“,თბილისი, 2014.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი, ბასს 16, ,,ძირითადი საშუალებები “თბილისი, 2014.
3. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი, ბასს 36,,,აქტივების გაუფასურება“ თბილისი, 2014.
4. მაისურაძე მ. - „ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების და შეფასების საკითხები“, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის - „ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია“ მასალების კრებული, 2012წ, 37-43გვ.
5. მაისურაძე მ. – „საწარმოთა აქტივების გაუფასურების აღრიცხვა“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013წ, N1, 143-151გვ.
6. მამუკელაშვილი ი. – „ფიქსირებული აქტივების გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები საქართველოს ეკონომიკაში“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013წ, N4, 171-181გვ.
7. Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili, **THE ISSUES OF RECOGNITION AND MEASUREMENT OF THE INVESTMENT PROPERTY ACCORDING TO IAS 40**
8. Journal of **International Scientific Publications, Economy & Business** ISSN 1314-7242, Volume 11, 2017, Page 416-423.
9. **Marina Maisuradze** ,Mariam Vardiashvili MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS. Economic and Social Development 15 th International Scientific Conference on Economic and Social Development – Human Resources Development.Varazdin, 9-10 June 2016 Croatia pp 385.http://www.esd-conference.com/?page=past-conferences

# Assets Measurement-related Issues according to IFRS

Marina Maisuradze

*Doctor of Economics,, Associated Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Thus, classes of the assets, considering their nature and features, require different measurements. In this Article we have introduced the methods of measurement and other usabhle procedures,which enale the entities toevaluate assets in the financial reports by their fair value.

By our viewpoint a fair value of assets must be measured:

1. with a discounted value of the money flows to be received in future through use of the assets, or
2. with calculation of the costs of expected consumable value of the asserts.

However both the above factors depend upon uncertainties like deviations of the currency exchange rate, changes in the interest rates, changes in the price of energy resources, etc.

*Keywords: financial reporting; cost; real cost; assessment.*

# საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი და მისი განვითარების პერსპექტივები

ქეთევან მარშავა

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ემერიტუსი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ირაკლი მაკალათია

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაშიჟგანხილულია დასაქმებისა და უმუშევრობის დონის ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლები, მათი ცვლილებები დინამიკაში, თვითდასაქმებულთა კატეგორია, მისი გამოთვლის მეთოდოლოგია და სტრუქტურული ანალიზი. განხილულია თვითდასაქმებულთა კატეგორიის პრობლემატური საკითხები საქართველოში. ხაზგასმულია შრომის ბაზრის სტატისტიკის ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება შრომის ბაზრის შესახებ არასრული ინფორმაციის არსებობაში. სტატიაში ნაჩვენებია უმუშევრობის მდგომარეობის თანამედროვე სურათი საქართველოში და დასახულია უმუშევრობისა დონის შემცირებისათვის გასატარებელი ეკონომიკური პოლიტიკა.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველო; შრომის ბაზარი; დასაქმება; უმუშევრობის დონე; ფარული უმუშევრობა; თვითდასაქმებულთა კატეგორია.*

შრომის ბაზარი მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია, რაც უფრო მაღალია დასაქმების დონე ქვეყანაში, მით უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და მოსახლეობის ცხოვრების პირობები. დასაქმების მაღალი დონის პირობებში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ჰქონდეთ მაღალი შემოსავლები და თავი დააღწიონ სიღარიბეს. მაღალი და სტაბილური შემოსავლების მქონე ადამიანს ხელმისაწვდომობა უჩნდება ხარისხიან ჯანდაცვასა და განათლებაზე, ასევე მისთვის აუცილებელ იმ პროდუქტსა და მომსახურებაზე, რის შეძენასაც ვერ ახერხებს უმუშევრობის პირობებში. დასაქმებაზე უშუალოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

ქვეყანაში შრომის ბაზრის შესწავლა და ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორიცაა დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, უმუშევართა განაწილება ასაკის, სქესისა და განათლების დონის მიხედვით და სხვ., შესაძლებლობას იძლევა დეტალურად იქნას გამოკვლეული შრომის ბაზარი, ხოლო მიღებული შედეგები ზუსტად აჩვენებს თუ რა პრობლემებია შრომის ბაზარზე და როგორ შეიძლება დავსახოთ მათი გადაჭრის ეფექტიანი გზები.

თუ განვიხილავთ უმუშევრობის დონეს ბოლო 10 წლის დინამიკაში (დიაგრამა 1), ვნახავთ რომ ის შემცირების ტენდენციით ხასიათდება, ხოლო მისი მინიმალური მნიშვნელობა 2015 წელს 12.0% დაფიქსირდა. მსგავსი მონაცემები საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს. როგორც მოსახლეობის, ასევე ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებლები არ ასახავს რეალობას. ამის მთავარ მიზეზად კი ასახელებენ თვითდასაქმებულთა მაღალ წილს დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. თავად თვითდასაქმებულებს არ მიიჩნევენ რეალურად დასაქმებულებად, რადგან მათი უმეტესობა სოფლად არის დასაქმებული და ვერ იღებს იმ რაოდენობით შემოსავლებს, რაც მათ რეალურად დასაქმებულთა კატეგორიას მიაკუთვნებდა (დიაგრამა 2). მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა წილი მცირდება დასაქმებულებში, მისი ხვედრითი წონა მაინც მაღალია სოფელში, ხოლო პრობლემის არსში გარკვევისათვის აუცილებელია თვითდასაქმებულების სტრუქტურული ანალიზი.

უმუშევრობის დონე (%) 2007-2016 წლები[1]

დიაგრამა 1




თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში, 2007-2016 წლები[2]

დიაგრამა 2




თვითდასაქმებულთა კატეგორია, თავის მხრივ, იყოფა დამქირავებლებად, ინდივიდუალურად მომუშავეებად და ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის უსასყიდლოდ მომუშავეებად (დიაგრამა 3). სწორედ ეს ბოლო კატეგორია იწვევს თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდას. ოჯახურ მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები, რომლებიც თვითდასაქმებულთა უმრავლესაობას წარმოადგენენ, რეალურად არ არიან დასაქმებულები. ეს ნაწილი სამუშაოს არ ქონის გამო იძულებულია დაბალი ანაზღაურებით, ან სულაც ანაზღაურების გარეშე იმუშაოს და დაეხმაროს ოჯახს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში, რომელთა უმრავლესობასაც ძირითადად სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვთ.

თვითდასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით საქართველოში (%)[2]

დიაგრამა 3




მეორე პრობლემა, რაც თვითდასაქმებულთა სტრუქტურულ ანალიზში გვაქვს, არის ის ფაქტი, რომ როგორც ქალაქში, ასევე სოფელში თვითდასაქმებულთა უდიდეს ნაწილი ინდივიდუალურად მომუშავეა, რომელთა შემოსავლები მთლიან შემოსავლებში 8,0%-ს არ აღემატება და საკუთარი შესაძლებლობებით ეწევიან ამა თუ იმ საქმიანობას.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულთა რიცხოვნობაში ითვლება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ აქვთ თუნდაც 1ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში პრობლემა არ უნდა ვეძიოთ მეთოდოლოგიაში, საქართველო ისევე როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნები, იყენებს ,,შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის'' მეთოდოლოგიას, სადაც სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანი დასაქმებულად ითვლება. საქართველოში თვითდასაქმებულთა ეს ნაწილი რეალურად დასაქმებულად არ შეიძლება ჩაითვალოს იმ მიზეზით, რომ მიწის აქტივს დაბალი ფასი აქვს, რის გამოც მის მესაკუთრეს არ გააჩნია იმ ღირებულების კაპიტალი, რითაც შეძლებდა ფულადი სახსრების მოზიდვასა და ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას, განსხვავებით ევროპული განვითარებული ქვეყნებისა, სადაც 1 ჰა მიწის ფასი ათეულობით ათასი ევროა.

იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობაში მომუშავე ადამიანები რეალურად გახდნენ დასაქმებულები, აუცილებელია არა მეთოდოლოგიური ხარვეზების ძიება, არამედ მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის კაპიტალის მატება და ამ კაპიტალზე ღირებულების ზრდა. საქართველოს მთლიანი აქტივების დაახლოებით 70% ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაშია (სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით - 60%; ხე-ტყის რესურსის - 100%; სასარგებლო წიაღისეულის (ოქრო, სპილენძი, მარმარილო, თუთია, რკინა, ქვანახშირი და სხვ.) 100%; შენობა-ნაგებობები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გამოუყენებელია და სხვ.) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები არ არის ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, არ ხდება წარმოება და მათგან ქვეყანა ვერ იღებს ეკონომიკურ სარგებელს, ხოლო მეორე მხრივ, აქტივების ჭარბი მიწოდება განაპირობებს კერძო სექტორში არსებული აქტივების დაბალ ფასს. ის აქტივები, რომლებსაც დაბალი ფასი აქვს, ვერ ახდენს დამატებითი ფინანსური თუ არაფინანსური რესურსების მოზიდვას. სწორედ ამ ეკონომიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მდგომარეობის შეფასებისას მცდარ სურათს იძლევა.

უმუშევრობის დონის განხილვისას აუცილებელია სტატისტიკის სწორი წაკითხვა, საქართველოში უმუშევრობის დონე, ბოლო მონაცემებით, 11.8%-ია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანარჩენი 88,2% სრულად დასაქმებულია. უმუშევრობის დონე გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ 15 წლის და უფროსი ასაკის დასაქმებული და იმ უმუშევარი მოსახლეობიდან, რომელიც ეძებს სამუშაოს (და არა ის უმუშევრები, რომლებიც არ არიან მზად მუშაობის დასაწყებად[1]), 11,8% დაუსაქმებელია, რაც ამ პირობებში მაღალი მაჩვენებელია და ,,ფარული უმუშევრობის'' პრობლემები იკვეთება. აქვე უნდა განვიხილოთ ,,არასრული დასაქმების'' პრობლემა, რაც ნიშნავს იმას, რომ დასაქმებულად ითვლება პირი, თუ

[1] ,,პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.''

მან გასული 7 დღის მანძილზე იმუშავა 1 საათით მაინც, ასევე სეზონურად დასაქმებულები, ანუ წლის განმავლობაში პერიოდულად მომუშავენი, რომლებიც მოკლებულნი არიან სტაბილურ დასაქმებას.

შრომის ბაზრის შესახებ არასრული ინფორმაცია გვაქვს, ოფიციალური მონაცემებით მხოლოდ დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლებია მოცემული, რაც შრომის ბაზრის სიღრმისეულ ანალიზის ჩატარებაში ხელს გვიშლის. ასე მაგალითად, უმუშევართა მთლიანი რაოდენობიდან არ გამოიყოფა სამუშაო ძალის ის რაოდენობა, რომელიც კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებს, ან ისეთი პროფესიის მქონე უმუშევრები, ვისზეც არსებული დასაქმების ბაზარე მოთხოვნა დაბალია. შესაბამისად, რთულია განვსაზღვროთ, თუ რა პროფესიები, კვალიფიკაცია ან უნარებია მოთხოვნადი დღეს შრომის ბაზარზე.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკისა და მსგავსი მეთოდოლოგიების დანერგვა საქართველოში დაეხმარება როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორს, რომ შრომის ბაზრის დეტალური და რეალური ანალიზის საფუძველზე ეფექტიანად წარმართონ ეკონომიკური საქმიანობა და გაატარონ შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა.

### ლიტერატურა:


1. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
3. ი. მაკალათია - უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს შრომის ბაზარზე, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2015
4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა 2015 წელი (წლიური)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016
6. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009.


## Statistical Analysis of Labor Market and its Development Prospects in Georgia


Ketevan Marshava

*Ph.D in Economics, Professor*
*Tbilisi state university*

Irakli Makalatia

*Ph.D in Economics,*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

In the article are discussed Statistical indicators of employment and unemployment level and there are given changes in dynamics. In the article there are reviewed the category of self-employed, it’s calculation methodology and structural analysis. There are discussed the problematic issues in the category of self-employed in Georgia. There are shown flaws of labor market statistics in Georgia, which is expressed incomplete information of the labor market. Conducted research in the article there have been shown modern image of unemployment in Georgia and projected the main ways of the reduction of the unemployment rate.



***Keywords: Georgia; labor market; employment; unemployment rate; hidden unemployment; self-employed category.***

# საწარმოს ინფორმაციული პოტენციალი – ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ნაწილი, ინსტრუმენტი და კატალიზატორი

მურთაზ მაღრაძე

*პროფესორი, ემერიტუსი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დემურ სიჭინავა

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სხვადასხვა ავტორის შეხედულება ეკონომიკური და ინფორმაციული პოტენციალების ცნებებისა და შედგენილობის შესახებ, მოცემულია ავტორებისეული მიდგომა ეკონომიკის მართვის მაკრო და მიკრო დონეებისთვის ეკონომიკური და ინფორმაციული პოტენციალების ტერმინის და შედგენილობის შესახებ. მოცემულია საწრმოს ინფორმაული პოტენციალის განმსაზღვრელი მაჩვენებლები.*

*საკვანძო სიტყვები: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ქვეყნის ინფორმაციული პოტენციალი, საწარმოს ინფორმაციული პოტენციალი, ინფორმაციული პოტენციალის სტრუქტურა.*

ეკონომიკური პოტენციალი მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის შეფასების მაჩვენებელს. ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა ეკონომიკის მართვის სხვადასხვა დონეზე, სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან მახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზნების შესამუშავებლად, საწარმოს კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად. ამიტომ, ეკონომიკური პოტენციალის არსის, შედგენილობის და შეფასების კვლევებით დაინტერესებულია მრავალი მკვლევარი, რომლთა შეხედულებები აღნიშნული პრობლემის შესახებ ძირითადად განსხვავებულია. დღეისათვის არ არსებობს ეკონომიკური პოტენციალის საყოველთაოდ მიღებული განმარტება, შედგენილობა და შეფასების მეთოდიკა.

რამდენიმე ათეული წლის წინ, ეკონომიკურ პოტნციალს განსაზღვრავდა საწარმოს განკარგულებაში არსებული ნივთობრივი, შრომითი და ფულადი რესურსები. დღეს ინფორმატიზაციის ეპოქაში ეკონომიკური პოტენციალის განვითარების და ეფექტანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორია ინფორმაციული პოტენციალი. ის, ამა თუ, იმ ზომით, დადებით ზეგავლენას ახდენს მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების განვითარებაზე. აგრეთვე, წარმოადგენს მათი სრულყოფის ინსტრუმენტსა და კატალიზატორს. გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან ჩვენი მიზანია გავაანალიზოთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულების მკვლევართა მიერ ეკონომიკური პოტენციალისადმი მიძღვნილი მოსაზრებები და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულებები ეკონომიკური და ინფორმაციული პოტენციალების შედგენილობის შესახებ.

ტერმინი – „პოტენციალი“ ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ნიშნავს სიძლიერეს, დაფარულ შესაძლებლობებს. იგი წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან „Potentia˜.

ეკონომიკური პოტენციალის კატეგორიის შესწავლა ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. აქედან მოყოლებული საწარმოს ეკონომიკური პოტეციალის განსაზღვრისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორი მიდგომა: ავტორების ნაწილი უპირატესობას და ძირითად აქცენტებს აკეთებენ ეკონომიკური პოტენციალის მატერიალურ ანუ რესურსულ შემადგენლობაზე, მეორე შეხედულების მიხედვით კი აქცენტები კეთდება შედგენილობაზე, უნარებზე დაფარულ რეზერვებზე.

ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში „ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი“ შემდეგნაირადაა განმარტებული – „ქვეყნის ეკონომიკის, მისი დარგების, საწარმოების, მეურნეობების ერთობლივი უნარი განახორციელონ წარმოებრივ-ეკონომიკური საქმიანობა, გამოუშვან პროდუქტი, საქონელი, დააკმაყოფილონ მოსახლეობის სულიერი, საზოგადოებრივი მოთხოვნილება, უზრუნველყონ წარმოებისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი განისაზღვრება მისი ბუნებრივი რესურსებით,

წარმოებრივი საშუალებებით შრომითი და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით, დარგობრივი ეროვნული სიმდიდრით” [1, გვ. 499].

ამ განმარტებაში არ არის მითითებული ინფორმაციული პოტენციალი როგორც ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ნაწილი.

ვ. პ. ვეილერის აზრით [2], ქვეყნის განზოგადებული ეკონომიკური პოტენციალი შედგება:

1. ფინანსური პოტენციალისაგან – საწარმოს ფულადი აქტივები.
2. საწარმოო პოტენციალისაგან – საწარმოს რესურსების ერთობლიობა.
3. საკადრო პოტენციალისაგან – მომუშავეთა შესაძლებლობები და უნარები ორგანიზაციის საქმიანობის ფარგლებში მახდინოს საკუთარი უნარების რეალიზაცია.
4. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისაგან – საწარმოს ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობები, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის საშუალებების ხარჯზე.
5. ინოვაციური პოტენციალისაგან – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოება, პრინციპულად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შექმნა.
6. მარკეტინგული პოტენციალისაგან – კლიენტებისა და მომწოდებლების, ბაზრის კონიუნქტურის, სერვისებისა და გასაღების ქსელების მონიტორინგი.

ზემოთ მოყვანილი „ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის“ განმარტებში არ არის მითითებული „ქვეყნის ინფორმაციული პოტენციალი“, რომლის გარეშეც ინფორმატიზაციის ეპოქაში შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი განვითარება, კონკურენტუნარიანი ქვეყნის ფორმირება.

ა. კოშელიოვი ქვეყნის ერთობლივ ეკონომიკურ პოტენციალს განმარტავს შემდეგნაირად _ „ნაციონალური ეკონომიკის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალი _ არის ნაციონალური ეკონომიკის დარგების კონკრეტული დროის შუალედში ერთობლივი უნარი აწარმოოს განსაზღვრული სიკეთე, რომელიც განსხვავებულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლებით“[3]. მისი აზრით ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ნაწილებია:

1. ადამიანური რესურსების რაოდენობა და ხარისხი.
2. სამრეწველო საწარმოების პოტენციალის მოცულობა და ხარისხი.
3. სოფლის მეურნეობის მოცულობა და ხარისხი.
4. ქვეყნის სატრანსპორტო მაგისტრალების სიგრძე და ხარისხი.
5. ეკონომიკის არასაწარმოო სფეროს განვითარების ხარისხი
6. ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.
7. სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა, ხარისხი და რაციონალური გამოყენება [2].

აღნიშნულ განმარტებაშიც არაა მოხსენიებული ინფორმაციული პოტენციალი, როგორც ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ელემენტი. ამიტომ ავტორების მიერ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განმარტებაში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი ქვეყნის ინფორმაციული პოტენციალი როგორც მისი შემადგენელი ელემენტების განვითარებისა და სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ჩვენის აზრით, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ინფორმატიზაციის განვითარების დონეზე, რომლის შეფასებაც უნდა მოხდეს ქვემოთჩამოთვლილ მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე, როგორიცაა:

1. ინფორმაციულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.
2. ინფორმატიზაციის ტექნიკური საშუალებების წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა.
3. ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების მოცულობა.
4. ინფრასტრუქტურის განვითარების მაჩვენებლები (მონაცემთა ბაზების, გამოთვლითი ცენტრების, გამოთვლითი ქსელების რაოდენობა).
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მწარმოებელ საწარმოთა რაოდენობა ცალკეული სახეობების მიხედვით.
6. ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტის მოცულობა.
7. ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა.
8. ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა.
9. ქვეყანაში არსებული კომპიუტერების, რობოტებისა და ინფორმატიზაციის სხვა ტექნიკურ საშუალებათა რაოდენობა.

10. იმ მომუშავეთა რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი არიან ინფორმაციის წარმოებით და გავრცელებით (პირველ რიგში პროგრამისტთა რაოდენობა).

11. ეროვნული სიმდიდრის ზრდაში ინფორმატიზაციის წილი.

12. მატერიალურ და არასაწარმოო ეკონომიკაში ინფორმატიზაციის საფუძველზე მომხდარი ცვლილებები (ინფორმაციული სექტორის პროდუქციისა და მომსახურების წილი საერთო ეროვნულ სიმდიდრეში).

13. ინფორმატიზაციის შედეგად შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა.

14. მოსახლეობის ათას სულზე კომპიუტერების რაოდენობა.

15. ინფორმაციული მომსახურების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე.

16. ავტომატიზებული ბანკებისა და ბიბლიოთეკების რაოდენობა.

17. ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშულებათა განვითარების მდგომარეობა (მობილური კავშირის მოსახლეობაში შეღწევადობა, რადიო და სატელევიზიო არხებისა და სატელევიზიო და რადიო დანადგარების რაოდენობა, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების ტირაჟი და ა. შ.).

მოსახლეობაში მობილური კავშირის შეღწევის მაჩვენებლით საქართველო 100%-იანი ქვეყნების სიაშია. 2015 წლის პირველი იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნება ტოლი იყო 3729,5 ათასის, ხოლო როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მობილური კავშირის აბონენტთა რაოდენობამ კი აღნიშნული თარიღისათვის შეადგინა 5,6 მლნ.

საზოგადოების ინფორმაციული პოტენციალის ცნებას ვ. ბულგაკოვა ასე განმარტავს:

საზოგადოების ინფორმაციული პოტენციალი ფართო გაგებით – ეს არის საზოგადოებაში დაგროვილი ინფორმაციული რესურსი, ხოლო ვიწრო გაგებით ეს არის გააქტივებული, მოქმედებაში მოყვანილი ინფორმაციული რესურსი [4].

ერთობლივი ნაციონალური ეკონომიკური პოტენციალის ამ განმარტებაშიც არ არის შეტანილი ქვეყნის ინფორმაციული პოტენციალი .

ადრე, საზღვარგარეთ ბიზნესმენები წარმოების ეფექტიანობის ზრდაში პრიორიტეტს ანიჭებდნენ ისეთ ძირითად კაპიტალს, როგორიცაა: მანქანები, დაზგები, მოწყობილობები და სხვა სახის მატერიალურ-ნივთობრივი რესურსები. დროთა განმავლობაში ამოიწურა რა ამ გზით დიდი ეფექტის მიღების საშუალება, შემდეგ ეტაპზე ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა ადამიანურ ფაქტორზე, მათი პირადი პოტენციალის შესაძლებლობებზე. ამიტომ საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის წარმატებული მოდელი ვ. ბულგაკოვას მიხედვით ასე გამოიყურება: ადამინურ კაპიტალს + ძირითადი კაპიტალი + საბრუნავი კაპიტალი = ფირმის ეკონომიკურ პოტენციალს.

ლ. ნ. ჩაინიკოვას და ვ.ნ. ჩაინიკოვის აზრით[5,გვ.192] საწარმოს დონეზე ეკონომიკური პოტენციალი - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსების (შრომითი, მატერიალური, არამატერიალური, ფინანსური და ა.შ.) და მისი თანამშრომლებისა და მენეჯერების მიერ რესურსების გამოყენების უნარები, საქონლისა და მომსახურების მაქსიმალური რაოდენობის შექმნისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი – არის საწარმოს ქონებრივი და ფინანსური პოტენციალების იმ რესურსების (შრომითი, მატერიალური, არამატერიალური, ფინანსური და სხვ.), მისი თანამშრომლებისა და მენეჯერების უნარების ერთობლიობა, რომელიც არის საწარმოს განკარგულბაში საქონლის, მომსახურების შექმნისა და მაქსიმალური მოგების მისაღებად [5, გვ. 192].

ავტორებს ამ განმარტებაშიც არა აქვთ გამოყოფილი საწარმოს ინფორმაციული პოტენციალი, როგორც ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი ნაწილი. თუმცა ზოგიერთი პოტენციალის დახასიათებისას, მაგ., მარკეტინგის პოტენციალის ქვეპუნქტად მითითებული აქვთ კომუნიკაციური კავშირები და ინფორმაცია.

ს. აშმარინაs (Ашмарина Светлана) აზრით, სამრეწველო საწამოს ინფორმაციულ პოტენციალში იგულისხმება ინფორმაციული რესურსები, ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემების ერთობლიობა და მათი მაქსიმალური შესაძლებლობები, სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო დროული, საიმედო და სრული ინფორმაციით უზრუნველყოფა [6].

ტ. გ. შეშუნოვასა და ე. ვ. კოლესენის განმარტებით, საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის სქემა შემდეგია:

$$Эп = f(Пп;Тп;Фп;Ип)$$

სადაც, Эп _ არის საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი; Пп – არის საწარმოო პოტენციალი; Тп _ არის შრომის პოტენციალი; Фп _ არის ფინანსური პოტენციალი; Ип – არის ინოვაციური პოტენციალი [7, გვ.122].

საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის მოცემულ სქემას თუ დავუმატებთ ინფორმაციულ პოტენციალს, მაშინ შეიძლება მას ვუწოდოთ საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის წარმატებული მოდელი, ვინაიდან მასში ასახული იქნება საწარმოს ერთიანი ინფორმაციული სივრცე, რაც აუცილებელია ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად და საწრმოს მიერ გარე ინფორმაციული კავშირების დასამყარებლად.

ქვეყნისა და საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის სტრუქტურაში ავტორებს არ შეჰყავთ ინფორმაციული პოტენციალი, როგორც ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელი რევოლუციური ნაწილი, რომლის გარეშეც საუბარი ქვეყნისა და საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და ეფექტიან გამოყენებაზე ზედმეტია. მითუმეტეს დღეს, როდესაც მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მიმდინარეობს ინფორმაცული ეკონომიკის ფორმირება. მრავალი ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის 50%-ზე მეტი დაკავებულია ინფორმაციის წარმოებით და გავრცელებით, განუხრელად იზრდება ინფორმციული ტექნოლოგიების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. მაგ., 1990-1994 წწ. კომპიუტერების სექტორის წილმა აშშ-ის მშპ-ში შეადგინა 5-7%. 1995-1999 წწ. იგი გაიზარდა 19-21%-ით [8, გვ.50].

საწარმოს ინფორმაციული პოტენციალის განსაზღვრა პირველ რიგში დამოკიდებულია საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალზე და საწარმოს სტრატეგიულ მიზნებზე. საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ბიზნეს-პროცესები წარმოადგენენ საწარმოს ინფორმაციულ პოტენციალზე მოქმედ შიდა ფაქტორებს. საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება აგრეთვე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებილი გარე გარემოზე, გარე ფაქტოტებზე: კლიენტები, მომწოდებლები, საფინანსო ორგანოები და სახელმწიფო დაწესებულებები.

აუცილებელია გარე სამყაროსთან ოპრატიულად ინფორმაციის გაცვლა, ვინაიდან გარე ფაქტორები მსოფლიოში და ქვეყნის შიგნით განიცდიან სწრაფ ცვლილებებს, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა საწარმოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე. მაგ., კლიენტების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გამო, შეიძლება საჭირო გახდეს მათთან დადებულ კონტრაქტებში ცვლილებების შეტანა, ან მომწოდებელებთან აღმოცენებული პრობლემების გამო შეიძლება საჭირო გახდეს გაფორმებული საწარმოო ხელშეკრულებების კორექტირება. ამ შეთხვევაში საწარმომ მიღებული ოპრატიული ინფორმაციის საფუძველზე უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მოიძიოს სხვა კლიენტები და მომწოდებლები, ან მოახდინოს დასახული მიზნების კორქტირება. შექმნილ სიტუაციაში საწარმო შეძლებს დროულ რეაგირებას, თუ იგი უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ინფორმაციით. აგრეთვე საწარმოში თუ იქნება შექმნილი ერთიანი საინფორმაციო სივრცე, როგორც საწარმოს ინფორმაციული პოტენციალის ფორმირების საფუძველი.

ო. ლ. კოროლიოვი არამარტო აღიარებს ინფორმაციულ პოტენციალს ეკონომიკური პოტენციალის შემადგენელ ელემენტად, არამედ გვთავაზობს, რომ ინფორმაციული პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება მოხდეს ინფორმაციული სიმძლავრის მეშვეობით [9].

ავტორები ე. ს. ზამბრჟიცკაია), ტ. ვ. კალინინა და მ. ვ. ალექსანდროვა საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს შემდენაირად განმატავე: საწარმოს უნარი (შესაძლებლობა) უზრუნველყოს წარმოება და მისი განვითარება ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებების პირობებში, რომელიც გამოიხატება ბუნებრივ-რესურსული, კადრების, საწარმოო-ინოვაციური, ფინანსური პოტენციალების ინტეგრირებულ შეფასებაში, მათი სინერგეტიკული ეფექტის გათვალისწინებით. ფორმულის სახით საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

$$ЭП=ПРП+ПП+ИП+КП+ФП+S$$

სადაც: ЭП – არის საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი; ПРП – არის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ПП – არის საწარმოო პოტენციალი, ИП – არის ინოვაციური პოტენციალი, КП – არის კადრების პოტენციალი, ФП – არის ფინანსური პოტენციალი, S – არის სინერგეტიკული შემადგენელი ნაწილი [10].

ჩვენი აზრით აღნიშნულ ფორმულას თუ დავუმატებთ ინფორმაციულ პოტენციალს, ის სრულყოფილად გამოხატავს საწარმოს ეკონმიკური პოტენციალის არსს.

ი. ა. გუნინას განმარტებით, საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი შედგება : ინოვაციური, მარკეტინგული, ფინანსური, საწარმოო, ორგანიზაციულ-მმართველობითი, შრომითი, ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი ფონდების პოტენციალებისაგან [11].

ე. ე. ნილოვას აზრით, ეკონომიკური პოტენციალი შედგება: საწარმოო, შრომითი, ფინანსური და ინფორმაციული პოტენციალებისაგან.

ჩვენ ვიზიარებთ ე. ე. ნილოვას შეხედულებას ეკონომიკური პოტენციალის შეგენილობის შესახებ მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც იგი ინფორმაციულ პოტენციალს განიხილავს, როგორც ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს [12].

ა. მანსუროვა და კ. ვ. ორლოვა საწარმოს ინფორმაციულ პოტენციალს შემდეგნაირად განმარტავენ: „ინფორმაციული პოტენციალი - არის საშუალებების, მეთოდების, პირობების, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას იძლევა, შევინახოთ, განვაზოგადოთ, გავაანალიზოთ და გავააქტიუროთ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოს ბაზრის პირობებთან ადაპტაციისათვის [13].

ჩვენთვის გაუგებარია ავტორებმა პროგრამული უზრუნველყოფა რატომ არ გააერთიანეს „საშუალებებში“. მოცემულ განმარტებაში არ არის, აგრეთვე, მითითება საწარმოში არსებულ ინფორმაციულ რესურსებზე, რომლის გარეშეც შეუძლებელია საწარმოს მართვის ფუნქციების სრულყოფილი განხორციელება. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ შემუშვებული ინფორმაციული პოტენციალის შეფასების მეთოდი ყველაზე სრულყოფილად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გამოქვეყნებულ მეთოდებს შორის.

ჩვენის აზრით, **საწარმოს ინფორმაციული პოტენციალი არის ინფორმაციული, შრომითი და ფინანსური რესურსების, გამოთვლითი ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, კომუნიკაციის საშუალებებისა და ინოვაციების ერთობლიობა, მათი გამოყენების უნარები და პირობები, სრულად დააკმაყოფილოს საწარმოო და მართვის პროცესები საჭირო ინფორმაციით საწარმოს სტრატეგიული გეგმების განსახორციებლად, შიგა და გარე ბაზრებზე ხანგძლივი პერიოდისათვის მისი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად.**

საწარმოს ინფორმაციული პოტენციალი შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი პარამეტრებით:

1. ინფორმაციული რესურსების მოცულობა.
2. გამოთვლითი ტექნიკური საშუალებების მოცულობა და ხარისხი.
3. პროგრამული საშუალებების მოცულობა და ხარისხი.
4. ინფორმატიზაციის კადრების რაოდენობა (უნარები, მოტივაცია) და მათი ხვედრითი წილით საწარმოში არსებული კადრების საერთო რაოდენობასთან.
5. ინფორმატიზაციის ბიუჯეტის მოცულობა.
6. გამოთვლითი ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის წილი საწარმოს ძირითადი ფონდების საერთო ღირებულებაში.
7. საწარმოს ინფორმატიზაციის ინოვაციური პოტენციალი.
8. ბიზნესპროცესების ინფორმატიზაციის დონე.
9. საწარმოს თანამშრომლების წვდომის ხარისხი ინფორმაციასთან.
10. საწარმოს ვებსაიტის ფუნქციონირების ხარისხი.
11. საწარმოს მართვის ფუნქციების ინფორმატიზაციის დონე.
12. ძირითადი და დამხმარე საწარმოო პროცესების ინფორმატიზაციის დონე.
13. ელექტრონული დოკუმენტების წილი საწარმოში ბრუნვაში არსებული და გარედან შემოსული დოკუმენტების საერთო რაოდენობაში.

ამრიგად, კვლევების შედგად დადგინდა, რომ ეკონომიკის მართვის ყველა დონეზე (ქვეყანა, რეგიონი, დარგი, საწარმო, ანუ მიკრო და მაკრო დონეზე) ინფორმაციული პოტენციალი უნდა იყოს ეკონომიკური პოტენციალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, როგორც მისი დანარჩენი ნაწილების განვითარებისა და სრულყოფის ინსტრუმენტარი და კატალიზატორი.

## ლიტერატურა:


1. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს მეც. აკად. წევრ-კორესპოდენტის ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თბ.; თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 499.
2. Вейлер В.П. Интеллектуально-информационный потенциал как фактор развития предприятий сектора ИКТ // Современные тенденции в экономике и управлении: новый взгляд. – 2010. – № 3-2. – С. 91-96.

3. https://economylit.online/ekonomika-stran_725/sovokupnyiy-ekonomicheskiy-potentsial-ponyatie-23003.html А.Н. Кошелев. Конспект лекций. 2008 г. Совокупный экономический потенциал: понятие и сущность.
4. http://fit208.mirbb.net/t33-tfic. Булгакова Виктория. Информационный потенциал.
5. WWW.1-fin.ru/?id=281&t=126. Чайникова Л. Н. Конкурентоспособность предприятия: учеб. пособие / Л. Н. Чайникова, В. Н. Чайников. - Тамбов: Изд-во Тамб. гос. техн. ун-та, 2007. 192 с.
6. http://www.dissercat.com/content/metodologiya-formirovaniya-i-ispolzovaniya-informatsionnykh-resursov-na-promyshlennykh-predp#ixzz4tCmmbgLP. Ашмарина, Светлана Игоревна. автореферат докторской дисесртации Методология формирования и использования.
7. Т. Г. Шешункова, Е. В. Колесень. Экономический потенциал предприятия: Сущность, компоненты, структура. Вестник пермского университета. Экономика. 2011г. выпуск 4 (11). с. 118-127. с. 122.
8. Рыжкова И. К. Рынок информации: особенности и проблемы развития. Вестник Московского Университета. Серия 6 «Экономика» №1 1995. с. 50.
9. http://sn-econmanag.crimea.edu/arhiv/2011/uch_24_1econ/013_koro.pdf. Королев О. Л. Методика оценки информационного потенциала предприятия. Ученые записки Таврического национального университета имени В. И. Вернадского. Серия «Экономика и управление.
10. https://moluch.ru/archive/111/27360/ Замбржицкая Е. С., Калинина Т. В., Александрова М. В. Экономический потенциал промышленного предприятия как инструмент управления на современном этапе развития России // Молодой ученый. 2016. №7, С. 848-852.
11. Гунина И. А. Методологический подход к исследованию возможностей развития экономического потенциала предприятия на основе анализа регионально-отраслевых тенденций. Машиностроитель. 2004, № 12.
12. Нилова Е. Е. Состовляющие экономисеского потенциала потребительской коопераций. потребительская кооперация №4 (43). 2013.
13. http://bit.ly/2wTxl4l. Мансурова Н. А., Орлова К. В. Оценка интенсивности развития информационного потенциала предприятия. 2016.

## Information Potential of the Enterprise as a Part, Tool and Catalyst of Economic Potential

Murtaz Maghradze

*Professor*

*Tbilisi state university*

Demur Sitchinava

*Professor*

*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The article examines and analyzes the views of various authors in scientific literature on the concepts and compositions of economic and information potential. The authors' approach to the terms and composition of economic and information potential of micro and macro levels of managing economy is provided.

***Keywords: economic potential of the country, information potential of the country, information potential of the enterprise, structure of information potential.***

# სასწავლო ცენტრის როლი ორგანიზაციის განვითარებაში

მიხეილ მაჩიტიძე

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

შორენა დავითაია

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიის მიზანია წარმოაჩინოს თუ რამდენად აუცილებელია პერსონალისთვის სწავლება-გადამზადების პროცედურების ჩატარება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება კომპანიის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. სტატიაში ჩამოყალიბებულია ტრენინგების ჩატარების არსი და როლი ორგანიზაციის განვითარებაში, ასევე, განხილულია სასწავლო ცენტრის არსებობის აუცილობლობა კომპანიის სტურქტურული ერთეულის სახით. კვლევა ჩატარდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" დასაქმებულებს შორის .*

*საკვანძო სიტყვები: სასწავლო ცენტრი, ტრენინგი, პერსონალის განვითარება, კვალიფიკაციის ამაღლება, სტრუქტურული ერთეული, უნარ-ჩვევების სრულყოფა, ცოდნის გაღრმავება.*

პერსონალის განვითარება ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა პერსონალის მართვის საქმიანობასა და კომპანიის წარმატების მიღწევაში. ინვესტიციების ჩადებას კადრების განვითარებაში უფრო მნიშვნელოვანი როლი აქვს, ვიდრე წარმოების წარმადობის გაზრდასა და ოპტიმიზაციაში. პერსონალის განვითარებაში იგულისხმება ღონისძიებების კომპლექტი, რომელიც მიმართულია კვალიფიკაციის ამაღლებასა და თანამშრომლების ფსიქოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესებისთვის, ის მოიცავს[4, გვ. 47]:

- პროფესიონალურ სწავლებას, რომელიც დაფუძნებულია ცოდნაზე, გამოცდილებასა და პრაქტიკულ გამოყენებაზე.
- კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლის მიზანია პროფესიონალური ცოდნისა და უნარების განვითარება.

სწავლება ორგანიზაციაში ეს არის სპეციალურად ორგანიზებული პროცესი, რომლის ეფექტიანობა განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, პირველ რიგში, მენეჯერის პროფესიონალიზმით, რომელიც ორგანიზებას უწევს სწავლებას, ხოლო მეორე, თუ რამდენად ხორციელდება ის დასახული მიზნების შესაბამისად. ამგვარად, პერსონალის პროფესიონალური სწავლება - ეს არის თანამშრომლების ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფა, მათი შემოქმედებითი საქმიანობის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება[6, გვ. 247].

სწავლების პროცესის მთავარ მიზანს განსაზღვრავს ორგანიზაციის სპეციფიკაციები და მის წინაშე არსებული ამოცანები. ქვემოთ, მოცემულია სწავლება-გადამზადების მთავარი ფაქტორები და მიზნები:

- ადამიანური რესურსების ხარისხის ამაღლება;
- ორგანიზაციის მიერ წარმოებული პროდუქციის და მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- ორგანიზაციული ცვლილებების ჩატარება, მათ შორის გარე სამყაროში მომხდარ ცვლილებებთან ადაპტირება;
- პერსონალის განვითარება;
- კომუნიკაციის გაუმჯობესება კომპანიის შიგნით;
- ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება;
- თანამშრომლების ერთგულების გაზრდა კომპანიის მიმართ.

პერსონალის სწავლება-გადამზადება არის პროფესიონალური ცოდნის, უნარების, მოქმედებების გაღრმავება თანამშრომლებში, რომელიც დამოკიდებულია მათი ქვედანაყოფების მიზნებზე და თავის მხრივ მიბმულია ორგანიზაციის განვითარების საერთო სტრატეგიასთან.

სწავლების როლის გაზრდა ორგანიზაციული ცვლილებების და განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა რომელიც, განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით[2, გვ.80]:

1. პერსონალის სწავლება-გადამზადება სტრატეგიული მიზნების მიღწევის მთავარი საშუალებაა;
2. პერსონალის სწავლება-გადამზადება აუცილებელია ადამიანის რესურსების ფასეულობის გაზრდისთვის;
3. ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია პერსონალის გადამზადების გარეშე;

დღესდღეობით წარმატების მისაღწევად აუცილებელია დასაქმებული ერკვეოდეს როგორც სპეციალურ საკითხებში, ისე საერთაშორისოშიც, როგორიცაა: მენეჯმენტი, ფინანსების მართვა, ლოჯისტიკა, მარკეტინგი და სხვა. თუ თანამშრომელს არ აქვს შესაბამისი უნარები და ცოდნა, რათა წარმატებულად შეასრულოს მოცემული ამოცანები, მისი საქმიანობა არაეფექტიანი იქნება და შეიცვლება მისი დამოკიდებულება კომპანიის მიმართ. თავის მხრივ, ადამიანთა რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულისთვის თანამშრომლების განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას და იგი თანხვედრაში უნდა მოდიოდეს იმ ამოცანებსა და მიზნებთან, რომელსაც უსახავს ორგანიზაცია თავის მუშაკებს. მეორე მხრივ, სწავლება მოტივაციის ერთ-ერთი სახეობაა თანამშრომლებში, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, სადაც უპირატესობა ენიჭება პერსონალს პროფესიონალური მოტივაციის მიხედვით. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დასაქმებულს, რომელმაც გაიარა სწავლება, უნდა შეექმნას მიღებული ცოდნის სრულად გამოვლენის და უნარ-ჩვევების გაღრმავების საშუალება.

სწავლების გარკვეული ფორმის ამორჩევა დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე[3, გვ. 156]:

**მონაწილეების რაოდენობა, სწავლების რეჟიმი, სწავლების საფასური.**

ქვემოთ ჩამოთვლილია პერსონალის სწავლების ძირითადი ფორმები:

**კომპანიის შიგნით სწავლება, ტრენინგ-ცენტრი, სწავლება სამუშაო ადგილზე, ინსტრუქტაჟი, როტაცია, მენტორობა, სწავლება ორგანიზაციის გარეთ, ლექცია, სემინარები, ტრენინგები, თვითსწავლება.**

დღესდღეობით, პერსონალის სწავლება - იქნება ეს მომზადება, თუ კვალიფიკაციის ამაღლება, წარმოადგენს კომპანიის განვითარების ნაწილს, ხოლო სწავლების ფორმის არჩევისას თითეული ორგანიზაცია გამომდინარეობს თავისი სტრატეგიული მიზნებისა და იმ ამოცანებიდან, რომელსაც ის უსახავს თავის თანამშრომლებს.

სწავლება კომპანიის შიგნით გამიზნულია სპეციფიკური მიზნების ან საკითხების გადასაწყვეტად, პერსონალის გადამზადების და მათი პროფესიული უნარჩვევების ამაღლების გზით. თანამშრომლების სწავლებისთვის კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს როგორც საკუთარი ბაზა, ასევე მოიწვიოს სპეციალიზებული ორგანიზაციები, რომლებიც სთავაზობენ პერსონალის სწავლების ეფექტიან სისტემებს.

თანამედროვე ორგანიზაციებსა თუ კომპანიების შიგნით შეგვიძლია გამოვყოთ სისტემურ მიდგომაზე დაფუძნებული ღონისძიებები, როგორიცაა:

**„ინოვაციური“ მიდგომა, ექსპერტული და პროცესუალური მიდგომა, ტრადიციული და ინტეგრირებული მიდგომა;**

პერსონალის სწავლების ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა ირჩევს მათგან ერთ-ერთს.

დღესდღეობით, კომპანიების უმეტესობა ქმნის საკუთარ სასწავლო ცენტრებს. სასწავლო ცენტრის შექმნის და ფუნქციონირების მიზანია პერსონალისთვის ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგების ჩატარება, პერსონალის ცოდნის და პროფესიონალური უნარ-ჩვევების ასამაღლებლად, ასევე კომპანიის კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად გრძელვადიან პერიოდში.

განვიხილოთ ამოცანები, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია სასწავლო ცენტრის ინტეგრაციით კომპანიაში [5, გვ.114]:

- სწავლების სისტემატიზაცია;
- სასწავლო პროგრამების ხარისხიანი დაგეგმვა, როგორც ხანმოკლე, ესევე გრძელვადიან პერიოდში, ყველა თანამშრომლის კატეგორიის გათვალისწინებით;
- სწავლებაში საერთო სტანდარტების გამოყენება;

- თანამშრომლების უზრუნველყოფა ხარისხიანი სწავლების პროგრამებით და ცოდნის გაღრმავება;
- პერსონალისა და ბიზნესისთვის აუცილებელი მონაცემების დროული წარმოდგენა;
- სწავლების ჩატარება კონკრეტული ბიზნესერთეულის და მისი პერსონალის მოთხოვნის გათვალისწინებით;
- მეთოდოლუგიური უზრუნველყოფა ახალი პროდუქტების და სერვისების დასანერგად;
- პერსონალის სწავლების მუდმივი კონტროლი და ანალიზი;
- სწავლების ჩატარება კომპანიის კორპორატიული, კულტურული, ისტორიული ღირებულებების გათვალისწინებით.

სასწავლო ცენტრი შეიძლება ვუწოდოთ კომპანიის იმ სტრუქტურულ ერთეულს,რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს[1,გვ.220]:

- უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის პერსონალის მომზადებას ბიზნესის სპეციფიკის შესაბამისად და თითეული თანამშრომლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ასამაღლებლად, რომელიც დაფუძნებული იქნება კომპანიის წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად;
- წარმოადგენს ორგანიზაციული ფილოსოფიის და კულტურის გავრცელებას კომაპნიის თანამშრომლებს შორის;
- ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რაც ქმნის საწარმოს წარმატებული განვითარების საფუძველს;
- წარმოადგენს ორგანიზაციული განვითარების კატალიზატორს.

სურათზე მოცემულია შიდა კორპორატიული სასწავლო ცენტრის მთავარი ფუნქციები:




სასწავლო ცენტრი მოითხოვს დროის და ფინანსების სერიოზულ დანახარჯებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზას, რისი ფუფუნებაც ყველა კომპანიას არ გააჩნია. მიუხედავად იმისა, თუ რა სახით განხორციელდება სწავლება, ის ყოველთვის უნდა იყოს დაფუძნებული ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზე. სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა უნდა იყოს დაფუძნებული ბიზნესის რეალურ მოთხოვნებზე, რომელიც გამოვლინდება სიტუაციის ანალიზის პროცესსა და ფირმის მთავარ მიზნებთან თანხვედრაში. ამასთან, აუცილებელია მუდმივად შევადაროთ სწავლების შედეგები იმ ამოცანებთან, რომელსაც უსახავს ხელმძღვანელობა სასწავლო ცენტრს და მოხდეს მათი კორექტირება აუცილებლობის შემთხვევაში.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სასწავლო ცენტრს აქვს ორი ძირითადი მიმართულება:

1. მოახდინოს ტექნიკური და არატექნიკური პერსონალის გადამზადება შესაბამისი სასწავლო პროგრამების მიხედვით.

2. მოამზადოს ახალგაზრდა სპეციალისტები ელექტროენერგეტიკის დარგში, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაზე, და შეძლებს დინამიკურად ცვალებად გარემოში ორიენტირებასა და ამ გარემოსთან ადაპტაციას.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" პერსონალს შორის ჩატარდა გამოკითხვა, თუ რამდენად აუცილებელია მათთვის კორპორატიული სწავლება კარიერული განვითარების მხრივ. ცხრილი 1-ში ნაჩვენებია სწავლების ეფექტიანობა რამდენად შეესაბამება მოლოდინს პერსონალს შორის:

**სწავლების ეფექტიანობის შეფასება**

ცხრილი 1

| | ეფექტიანობის შეფასება % | | |
|---|---|---|---|
| | ეფექტიანი | არაეფექტიანი | მიძნელდება პასუხის გაცემა |
| პირველადი სწავლება | 80% | 20% | 20% |
| შიდა ტრენინგები | 94% | 2.5% | 3.5% |
| გარე ტრენინგები | 87.5% | 9.5% | 3% |

ყველაზე ეფექტიანად მიჩნეულია შიდა ტრენინგები. სსე-ს თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ კომპანიას შიგნით შეკრებილია ტრენერების საკმაოდ ძლიერი კონტიგენტი, რომელიც ეხმარება მათ ცოდნისა და უნარჩვევების გაღრმავებასა და პროფესიონალური ამოცანების გადაჭრაში.

მე-2 ცხრილში ნაჩვენებია თუ რამდენად კმაყოფილები არიან თანამშრომლები ჩატარებული ტრენინგებით და რამდენად გამოადგათ მათ სამუშაოს ეფექტურად შესრულებაში.

**ჩატარებული ტრენინგებითა და მიღებული ცოდნით კმაყოფილება**

ცხრილი 2

| | ჩატარებული ტრენინგებით კმაყოფილება | | მიღებული ცოდნის გამოყენება | |
|---|---|---|---|---|
| | კმაყოფილი | უკმაყოფილო | ეფექტური | არაეფექტური |
| რაოდენობა | 380 | 20 | 295 | 105 |
| % | 95 | 5 | 73,7 | 16,3 |

მონაცემებიდან ჩანს, რომ 95% კმაყოფილია ჩატარებული ტრენინგებით, ხოლო 73.7% ეფექტიანად იყენებს მიღებულ ცოდნას თავისი სამუშაოს შესრულებისას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, სასწავლო ცენტრი, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეული პერსონალის უნარჩვევების გაღრმავებისა და მოტივაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს მთლიანად კომპანიის მთავარ მიზნებსა და ამოცანებთან.

## ლიტერატურა:


1. Травин В.В., Дятлов В.А. Менеджмент персонала предприятия. М.: Дело, 2010. 393с.
2. Сидоров В.А. Образование и подготовка кадров в условиях новой технической реконструкции. М.: Высш. шк., 2008. 271с.
3. Маслов Е.В. Управление персоналом предприятия. М.: Инфра-М, 2009. с.295-301.
4. Ладанов И.Д. Под ред. проф. Сергеюка П.И. Практический менеджмент. Управление персоналом: Секреты современного бизнеса. Пособие для руководителей и предпринимателей .Ника, 2010. с.155-157.
5. Алфтан Т. Воздействие технологических изменений на характер и организацию подготовки работников // Человек и труд, 2012. № 3 с. 106-120.

6. Кибанов А.Я.. Управление персоналом организации: отбор и оценка при найме, аттестация: Учеб. пособие для вузов по спец. "Менеджмент организации" и "Упр. персоналом" / А.Я. Кибанов, И.Б. Дуракова; Государственный университет управления. Москва: Экзамен, 2009.с. 245-254.
7. www.hro.ru/hrm/ - онлайновый журнал для менеджеров по персоналу, специалистов в области управленческого консультирования и работников кадровых служб предприятий и организаций.

## The Role of a Training Center in the Development of an Organization

Mikheil Machitidze

*Doctoral student*
*Tbilisi State University*

Shorena Davitaia

*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The aim of the article is to demonstrate the need to conduct training and retraining procedures for staff and enhance their qualifications for achieving strategic goals set by the company. The essay is set up in the essence of trainings, their role in the development of the organization, as well as the necessity of the existence of a training center as a company's structural unit (an example of JSC "Georgian State Electrosystem"). Research have shown that the training center, as an organizational structural unit, is one of the strategic directions for deepening skills and motivation. Which must be in conformity with the main goals and objectives of the company.

*Keywords: training center, training, personnel development, qualification raising, structural unit, improvement of skills, enhancing knowledge.*

# პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ინსტიტუციური ჭრილით: შოკური თერაპიისა და გრადუალიზმის წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ

თამთა მესხორაძე

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია ყოფილი კომუნისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისტორიული პროცესები, ასევე განხილულია აღნიშნული პროცესის დასაწყისშივე ეკონომიკური რეფორმების შესახებ წარმოქმნილი შეხედულებების ორი სკოლა და მათი წინააღმდეგობრივი ხასიათი. ასევე ნაჩვენებია, რომ სწრაფი და საყოველთაო რეფორმების წყალობით შესაძლებელი გახდა უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის, მეტი პოლიტიკური თავისუფლებისა და უკეთესი ინსტიტუტების მიღება.*

*საკვანძო სიტყვები: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია; შოკური თერაპია; გრადუალიზმი.*

კომუნისტურმა პერიოდმა ქვეყნებს დაუტოვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური დისბალანსები და სტრუქტურული პრობლემები. ფისკალურმა და მონეტარულმა პოლიტიკამ, რაც მიზნად ისახავდა უფრო მეტად სამრეწველო ზრდის მხარდაჭერას, ვიდრე მაკროეკონომიკური ბალანსის მიღწევას, წარმოქმნა ქრონიკულად ჭარბი მოთხოვნა და ფართოდ გავრცელებული საქონლის დეფიციტი. საბოლოოდ, ამ ქრონიკულმა ჭარბმა მოთხოვნამ ასევე გამოიწვია არამდგრადი საგარეო ვალი და მაღალი ან ჰიპერინფლაცია. სამწუხაროდ, ამ დროს ეკონომისტებისა და პოლიტიკოსების მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რაც მათ შეეხიდებოდა რთულ ამოცანებთან გამკლავებაში. ფაქტობრივად, თავდაპირველად, მკვლევარების უმეტესობა ფიქრობდა, რომ ძალისხმევა შედეგს არ მოიტანდა. როგორც გრიგორი იავლინსკმა აღწერა ტრანსფორმაციის გამოწვევა ლაკონურად: „არ არის რთული აკვარიუმიდან ამოყვანილი თევზებით წვნიანის მომზადება, მაგრამ რამდენად შესაძლებელია თევზის წვნიანის ისევ თევზებით სავსე აკვარიუმად გადაქცევა - ამაში მდგომარეობს მთავარი შეკითხვა"[წყარო]

ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე აღინიშნა გამოშვების მკვეთრი ვარდნა. საბოლოოდ, ქვეყნებმა ფეხზე წამოდგომა მოახერხეს, თუმცა, ამისთვის თითოეულს განსხვავებული დრო დასჭირდა. საინტერესოა, რა განსაზღვრავდა ამ ტემპებს.

სხვადასხვა მკვლევარის მიერ გაკეთებულმა ტრანსფორმაციის ადრეულმა ანალიზმა ეს საკითხი შემდეგნაირად განიხილა:

- ჰავრილიშინმა და სხვებმა მიმოიხილეს 1990-97 წლების ეკონომიკური ზრდის დეტერმინანტები ტრანსფორმაციულ ქვეყნებში. მათი კვლევებით დადასტურდა, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია (ფისკალური შეზღუდვების ჩათვლით) და სტრუქტურული რეფორმები ხელს უწყობდა მდგრადი ზრდის მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ გამოშვების თავდაპირველი შემცირება გარდაუვალი იყო, გრძელვადიანი ზრდა ასოცირებული იყო მდგრადი რეფორმის განხორციელებასთან. მათშენიშნეს, რომ არასასურველი საწყისი პირობების როლი - საიდანაც ქვეყნებმა დაიწყეს ტრანსფორმაციის პროცესი - უარყოფითია, მაგრამ მცირე [8, გვ. 141].
- ანალოგიურად, ფიშერმა და სხვებმა დაადგინეს, რომ უფრო წარმატებული სტაბილიზაციის საზომები (რომელიც აისახებოდა დაბალ ინფლაციასა და უფრო სტაბილურ გაცვლით კურსებში), ძლიერი დახმარება, და უფრო სწრაფი და ყოვლისმომცველი სტრუქტურული რეფორმები დაკავშირებული იყო ამ პერიოდის განმავლობაში ზრდის უკეთეს შედეგებთან [6, გვ. 52].
- დე მელუმ და სხვებმა აღნიშნეს, რომ: „ეკონომიკური ლიბერალიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის განსხვავებებს" [4, გვ. 1]. მაგრამ, კამპოსმა და კორზელმა შემდგომში, შეაჯამეს რა უამრავი კვლევა, აღნიშნეს, რომ ფასის ლიბერალიზაცია და მკაცრი მაკროეკონომიკური პოლიტიკა არ არის საკმარისი ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. ისინი

აღნიშნავდნენ: „ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას, წარმოადგენენ ფუნდამენტურ წინაპირობას, რომელიც კერძოდ, დაკავშირებულია ფინანსურ ბაზრებთან და სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემასთან“ [3,გვ.825].

კომუნიზმის დაცემის შემდეგ, ძალიან მალევე წარმოიქმნა ეკონომიკურ რეფორმებზე შეხედულების ორი სკოლა. ზოგიერთი ეკონომისტი უპირატესობას ანიჭებდა წარსულიდან სწრაფ გამოსვლას, მაშინ როცა დანარჩენები მხარს უჭერდნენ თანმიმდევრულ პოლიტიკას. მოგვიანებით ამ ორი მხარის მომხრეებს შორის მწვავე დებატები გაჩაღდა. ბევრი გრადუალისტი ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის სტრუქტურული ხარვეზები ჩაშლიდა ლიბერალიზაციის განხორციელების მცდელობებს, და, შესაბამისად, თვლიდა, რომ რეფორმები უნდა განხორციელებულიყო თანდათანობით, თანმიმდევრული გზით. მაგრამ სხვებისთვის - მათ შორის ისეთი მთავარი ფიგურის ჩათვლით, როგორიცაა ლეშეკ ბალცეროვიჩი პოლონეთში და მოგვიანებით, იგორ გაიდარი რუსეთში - პრობლემის გაგება საპირისპიროს გულისხმობდა: სწრაფი რეფორმა იქნებოდა უნაკლო და მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებდა, თუკი ყველა ცვლილება ერთად მოხდებოდა, რადგან საჭირო იყო, რომ ლიბერალურ ფასებს, გაუმჯობესებულ მმართველობასა და სტაბილურ ეკონომიკურ თუ ფინანსურ გარემოს ერთმანეთი გაეძლიერებინათ; მათი აზრით, ნაწილობრივი რეფორმით მხოლოდ ცოტას მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი.

მაგალითად, პოლონეთში 1989 წელს საბაზრო რეფორმის კომისიამ ლეშეკ ბალცეროვიჩის მეთაურობით შეაფასა გეგმები, რომელთა განხორციელება დაიწყო 1990 წლიდან და ცნობილი გახდა, როგორც „შოკური თერაპია“; ტერმინი შემოიღო ჯეფრი საქსმა - პოლონელი რეფორმატორების მრჩეველმა - შუა 1980-იან წლებში ლათინურ ამერიკაში მიმდინარე რეფორმებისთვის [9,გვ.102]. პოლონეთში განხორციელებულმა სწრაფმა რეფორმებმა შექმნა მაგალითი რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის.

დასაწყისში, ტრანსფორმაციის იგივე გზა აირჩია სსრკ-მაც, როდესაც ახლადარჩეულმა რუსულმა პარლამენტმა მხარი დაუჭირა გრიგორი იავლინსკისა და სტანისლავ შატალიანის მიერ შეთავაზებულ პროგრამას სახელწოდებით „500 დღე“, რომელიც ითვალისწინებდა სწრაფი რეფორმების განხორციელებას. გეგმის მიხედვით, პირველი 100 დღე დაეთმობოდა სახელმწიფო ქონების ფართო პრივატიზებას, შემდეგი 150 დღე - ფასების ლიბერალიზაციასა და ადმინისტრაციული კონტროლის მოხსნას. მომდევნო 150 დღის განმავლობაში მოხდებოდა ბაზრის სტაბილიზაციის მიღწევა თავდაპირველი ფასების შოკის შემდეგ, და ბოლო 100 დღეში - ეკონომიკური ზრდის განახლება. თუმცა საბჭოთა პარლამენტმა და მთავრობამ ეს პროგრამა ზედმეტად ამბიციურად მიიჩნიეს. და საბოლოოდ, პრეზიდენტმა გორბაჩოვმა აღნიშნულ პროექტზე უარი თქვა სოციალური შედეგების შიშით, მან სანაცვლოდ აირჩია გრადუალური ტრანსფორმაციის გზა, რამაც ნაკლებად გაამართლა.

ამერიკელი მაკროეკონომისტებისთვის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის, მსოფლიო ბანკისა და აშშ-ის მთავრობისთვის ლათინური ამერიკის 1980-იანი წლების მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გამოცდილება საკმარისი აღმოჩნდა სასურველი გზის ასარჩევად. მათი შეხედულებით, რადიკალური და საყოველთაო რეფორმის პროგრამა განკურნების საუკეთესო საშუალება იქნებოდა [2, გვ. 275]. ამ პროგრამას ჯონ უილიამსონმა „ვაშინგტონის კონსენსუსი“ უწოდა (1990). მისი შეჯამება შეიძლება, როგორც „წინდახედული მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გარე ორიენტაცია და თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმი,“ და იგი ემყარებოდა ნეოკლასიკურ ძირითად (mainstream) ეკონომიკურ თეორიას. ისიც შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სახელი არასწორად შეარჩიეს, რადგან ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ეკონომიკურ პოლიტიკას მსოფლიოს ვაშინგტონი კარნახობდა.

ვაშინგტონის კონსენსუსის მიხედვით, რეფორმის 10 განზომილებიდან 5 უნდა შესრულებულიყო ადრე და სწრაფად. ეს იყო: მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ბაზრის ლიბერალიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ლეგალური რეფორმები, და უმუშევრობის კომპენსაცია. დანარჩენი, მსხილ-მასშტაბიანი პრივატიზაციის ჩათვლით, უნდა დაწყებულიყო მოგვიანებით და უნდა გაწელილიყო დროში.

გრადუალისტები ეთანხმებოდნენ სწრაფი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვნებას და ხშირ შემთხვევაში ხედავდნენ პატარა ზომის ობიექტების ადრეული პრივატიზაციის საჭიროებასაც, ასევე ახალი ბიზნესის დაწყებისთვის თავისუფლების მინიჭების აუცილებლობას [10, გვ. 27]. თუმცა, ვაშინგტონის კონსესუსი მაინც ნაკლებად სარწმუნო იყო მათთვის, რადგან ისინი კომუნიზმიდან კაპიტალიზმზე

გადასასვლელად „ჯერ ინსტიტუტები“ მიდგომას არჩევდნენ. ადრეული გრადუალისტები, მათ შორის ფილიპ აგიონი და ოლივიე ბლანშარი, ამტკიცებდნენ, რომ ტრანსფორმაციის მნიშვნელობა მეტწილად მოცემული იქნებოდა სოციალისტური ეკონომიკის უუნარობაში. არეულობების თავიდან ასაცილებლად, მათი აზრით, ცვლილებები თანმიმდევრული/გრადუალური უნდა ყოფილიყო, რაც ახალ ინდუსტრიებსა და სამუშაო ადგილებს დროს მისცემდა შესაქმნელად, რადგან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მოხდა ძველი ინდუსტრიებისა და სამუშაო ადგილების მასობრივი დახურვა ან რესტრუქტურიზაცია [1, გვ. 283].

შეხედულებების ორივე სკოლა აღიარებდა ინსტიტუტების მნიშვნელობას, მაგრამ იგი, უდავოდ, უფრო ცენტრალური იყო გრადუალისტებისთვის, რომლებიც თვლიდნენ, რომ უკეთესი ინსტიტუტების შექმნამდე ლიბერალიზაცია უნდა გაჭიანურებულიყო.

მეტიც, გრადუალიზმის დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ინსტიტუციური განვითარება გაუსწრებდა ბაზრის ლიბერალიზაციას, რითაც გაზრდიდა ამ უკანასკნელის ეფექტიანობას. რეალურად კი არცერთი პოსტ-კომუნისტური ქვეყანა არ გაჰყოლია მოვლენათა ამ თანმიმდევრობას. ყველგან ინსტიტუციური განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ეკონომიკურ რეფორმებს.

რაც შეეხება შოკური თერაპიის მომხრეებს, მათი მტკიცებით, ინსტიტუციური განვითარებისთვის ლოდინი, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებამდე, შეიძლებოდა, რეფორმების საერთოდ არ ქონის წინაპირობა გამხდარიყო. ისინი თვლიდნენ, რომ უკეთესი იყო პოსტკომუნისტური ეიფორიის მოკლე „თაფლობის თვის“ პერიოდის გამოყენება, რათა ახალი ლიბერალური რეჟიმი სწრაფად მოსულიყო მწყობრში და თავიდან აცილებულიყო რეფორმის ცვლილებები. უმუშევრობასთან გასამკლავებლად, შოკური ტერაპიის მომხრეები გვთავაზობდნენ სოციალური უსაფრთხოების სისტემას, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო.

ბოლო 25 წლის განმავლობაში მიღწეულმა შედეგებმა დაადასტურა ე.წ. შოკური თერაპიის უპირატესობა. გრადუალიზმის ძირითადი არგუმენტით, ძალიან სწრაფ რეფორმებს, წესით, უნდა გამოეწვიათ დიდი სოციალური დანაკარგები. სინამდვილეში კი, მოხდა ისე, რომ სწრაფმა რეფორმატორებმა განიცადეს უფრო მოკლე რეცესიები და შედარებით მალე დადგნენ ფეხზე, ვიდრე გრადუალური რეფორმატორები. მართლაც, კეთილდღეობის უფრო ფართო საზომიც - ადამიანის განვითარების ინდექსი (Human Development Index) იგივე დასკვნაზე მიუთითებს: ტრანსფორმაციის სოციალური დანახარჯები სწრაფად მოძრავ ქვეყნებში უფრო დაბალი იყო [11, გვ. 1].

25 წელზე მეტი გავიდა სოციალისტური სისტემის კრახიდან. დროის ეს მონაკვეთი საკმარის ინფორმაციას აწვდის მკვლევარებს ტრანსფორმაციის პროცესში ჩართული ქვეყნების გამოცდილებების შესახებ. სიძნელეს წარმოადგენდა რეფორმატორების დაყოფა სწრაფ და გრადუალურ რეფორმატორებად. თუმცა კლასიფიკაცია მაინც შესძლებელი გახდა, რადგან ტრანსფორმაციამ მოიცვა ბევრი ისეთი განზომილება, რომელთა საშუალებითაც მოხდა ქვეყნების დალაგება რეფორმების განხორციელების სიჩქარის დონის მიხედვით [7, გვ. 1].

სხვადასხვა ქვეყანაში რეფორმების მუშაობის უკეთ გასაგებად, განვიხილავთ პოსტკომუნისტურ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ტრანსფორმაციის-ინდექსს- ტრანსფორმაციის პროგრესის ინდიკატორს (TPI), რომელიც ყოველწლიურად ითვლება რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ. TPI ზომავს ქვეყნის საბაზრო ორიენტაციის ხარისხს 1-დან 4.5 შკალაზე, სადაც 1 გამოხატავს ცენტრალურად დაგეგმილ რეჟიმს, ხოლო 4.5 – მთლიანად ფუნქციონირებად ბაზარს.

გრაფიკი 1. გვიჩვენებს 2004 წელს 28 ყოფილი კომუნისტური ქვეყნისთვის TPI-ის რეიტინგებს. ქვეყნები 5 კატეგორიად არიან დაჯგუფებული: ცენტრალური ევროპა, ბალტიისპირეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ევროპა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნები (აღსანიშნავია, რომ ამ დროს საქართველო ჯერ დსთ-ს ქვეყნებს შორის შედიოდა) რეფორმების ზომიერი ხარისხით, და დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის სამი წევრი ქვეყანა ძალიან შეზღუდული რეფორმებითქვეყნები(იხ. ცხრილი1).

EBRD-ის ტრანსფორმაციის პროგრესის ინდიკატორი, 2004წ. [12]

გრაფიკი 1




რეფორმის სტრატეგიების მიხედვით დაჯგუფებული ტრანსფორმაციული ქვეყნები [12]

ცხრილი 1

| I ჯგუფი | II ჯგუფი | III ჯგუფი | IV ჯგუფი | V ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | უნგრეთი | ალბანეთი | აზერბაიჯანი | ბელორუსია |
| ლატვია | სლოვენია | ბულგარეთი | სომხეთი | უზბეკეთი |
| ლიტვა | | მაკედონია | საქართველო | თურქმენეთი |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | | ყირგიზეთი | ყაზახეთი | |
| პოლონეთი | | რუსეთი | უკრაინა | |
| სლოვაკეთი | | | ტაჯიკეთი | |

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ექვს ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ მტკიცე შოკური თერაპიის რეფორმატორი. ამ ქვეყნებმა კომუნისტური მმართველობის დასრულების შემდეგ პირველ რამდენიმე წელიწადში გააკეთეს დიდი ნახტომი ლიბერალიზაციის მიმართულებით. მათ მიაღწიეს და შეინარჩუნეს დაბალი ინფლაცია, და განუწყვეტლად ზრდიან თავიანთ TPI-ის მაჩვენებლებს დღესაც. გეგმებჩაშლილი შოკური თერაპიის მომხრე ქვეყნებმა პირველ წლებში მიაღწიეს TPI-ის მაღალ მაჩვენებლებს, მაგრამ მათ რეფორმის ტემპი ვერ შეინარჩუნეს. ქვეყნები გრადუალური რეფორმების კატეგორიაში თავიდანვე ითვისებდნენ თანმიმდევრულობას. ამ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია გადაიდო თითქმის 2-დან 3 წლამდე ვადით და ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო დიდხანსაც. და ბოლოს, შეზღუდული რეფორმების კატეგორია შედგება ქვეყნებისგან, რომელთაც მიაღწიეს ძალიან შეზღუდულ პროგრესს საბჭოთა კავშირის ეკონომიკიდან.

რაც შეეხება ინსტიტუციურ განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინსტიტუციური განვითარების ბევრი ინდიკატორი არსებობს, ვუბრუნდებით ისევ EBRD-ს, რადგან იგი გვაძლევს უფრო თანმიმდევრულ დროით მონაცემებს ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისთვის, ვიდრე სხვა შეფასებები და ასევე გვაძლევს საშუალებას, პირდაპირ შევადაროთ ლიბერალიზაციის ინდიკატორი სხვა ინდიკატორებს. ცხრილი 2 TPI-ის მონაცემებს ალაგებს ლიბერალიზაციისა (ლიბ) და ინსტიტუციური განვითარების (ინსტ) მონაცემებად.

ეკონომიკური ლიბერალიზაციისა და ინსტიტუციონალური განვითარების რიგითობა [13].

ცხრილი 2

| ქვეყნები | ინდექსი | 1994 | 1999 | 2005 |
|---|---|---|---|---|
| ცენტრალური ევროპა | ლიბ | 3.7 | 4.2 | 4.3 |
| | ინსტ | 2.7 | 3.1 | 3.3 |
| ბალტისპირეთი | ლიბ | 3.7 | 4.1 | 4.3 |
| | ინსტ | 2.3 | 2.9 | 3.2 |
| ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპა | ლიბ | 3.0 | 4.0 | 4.1 |
| | ინსტ | 1.7 | 2.2 | 2.5 |
| დსთ, საქართველო | ლიბ | 2.2 | 3.1 | 3.9 |
| | ინსტ | 1.4 | 2.1 | 2.2 |
| ბელორუსია, უზბეკეთი, თურქმენეთი | ლიბ | 1.9 | 2.0 | 2.3 |
| | ინსტ | 1.4 | 1.6 | 1.5 |

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრმა ქვეყნებმა უმნიშვნელო პროგრესს მიაღწიეს ინსტიტუციური განვითარების მხრივ, მათ შორისაა საქართველოც, მაგრამ ისინი ჩამორჩებოდნენ ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ჯერ ლიბერალიზაცია აირჩიეს, ინსტიტუციური განვითარების მხრივ უფრო სწრაფ პროგრესს მიაღწიეს.

ყოველივე აღნიშნულით, ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება. პირველი, ყველა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ინსტიტუციური განვითარება ჩამორჩა ეკონომიკურ ლიბერალიზაციას; მეორე, ის ქვეყნები, რომლებიც სწრაფად და ადრე მოძრაობდნენ ლიბერალიზაციისკენ, ასევე სწრაფად მიისწრაფოდნენ ინსტიტუციური განვითარებისკენ. მესამე, არცერთ ქვეყანაში, გრადუალისტური ქვეყნების ჩათვლით, ინსტიტუციური განვითარება წინ არ უძღოდა ლიბერალიზაციას.

საბოლოო ანგარიშით, დღეს სწრაფ რეფორმატორებს უკეთესი ინსტიტუტები აქვთ, ვიდრე თანმიმდევრულ რეფორმატორებს. ეს შედეგი შეესაბამება ჰიპოთეზას, რომ პოლიტიკური ელიტები, რომლებიც მისდევდნენ ეკონომიკურ ლიბერალიზაციას, ასევე მისდევდნენ შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებას. და, პირიქით, პოლიტიკური ელიტები, რომლებიც მხარს უჭერდნენ თანმიმდევრულ რეფორმებს, ამას იმ მიზნით აკეთებდნენ, რომ ეკონომიკისგან მიეღოთ მაქსიმალური რენტები. გრადუალიზმის (თანმიმდევრულობის) ერთ-ერთი უკიდურესი შედეგი იყო ოლიგარქიული კლასების ჩამოყალიბება. რაც შეეხება რეფორმების სიჩქარესა და სიღრმეს, ქვეყნების შედარებითი პოზიცია დიდწილად უცვლელი რჩებოდა. ქვეყნების უმეტესობა, რომელიც ადრე წავიდა წინ, ისევ ყველაზე წინაა.

დაბოლოს, იმის გასაგებად, თუ რამ განაპირობა სწრაფი რეპორმატორების ძალისხმევის წარმატებულობა, შეიძლება ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყოფა:

პირველი, თვითონ **რეფორმატორები**. გაბედულმა პოლიტიკოსებმა და რეფორმატორებმა წინ გადადგეს ნაბიჯები და მიიღეს გამოწვევა, შეემუშავებინათ რეფორმები და აეხსნათ მათი შედეგები წინდახედული საზოგადოებისთვის. ამ რეფორმატორებს ესმოდათ თავიანთი ამოცანის ისტორიული ბუნება და გაბედულად გადალახეს კიდევაც ტრანსფორმაციის ეს გამოწვევა.

მეორე, **ჭკვიანური რეფორმის სტრატეგიები**. რეფორმის სტრატეგიები შეიქმნა ტრანსფორმაციის ძირითად იმპერატივებზე დაყრდნობით, როგორიცაა: რესურსების გადანაწილების წახალისება, ქრონიკული დეფიციტისა და ინფლაციის აღმოსაფხვრელად ფინანსების დასტაბილურება, კომპანიებსა და მათ კაპიტალზე გაუმჯობესებული მმართველობის პროცესის დასაწყებად სახელმწიფო კომპანიების/აქტივების პრივატიზება, ფასების ლიბერალიზაციის საჭიროებაზე ორიენტირება.

მესამე, **მაგნიტური ევროპა**. წლების განმავლობაში დასავლეთის ეკონომიკური სისტემისგან იზოლაციაში ყოფნის შემდეგ, და კომუნისტური სისტემის დარღვევის შემდეგ, მოქალაქეების უმეტესობას უბრალოდ

სურდა, ეცხოვრა ნორმალური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, და მათი ისტორიისა და გეოგრაფიის გათვალისწინებით, ეს ხედვა მდგომარეობდა დასავლეთის ქვეყნებთან რეინტეგრაციაში. ევროკავშირის მხრიდან რეგიონის ქვეყნებისთვის გაკეთებულმა ისტორიულმა შეთავაზებამ გრავიტაციულად უბიძგა პოლიტიკოსებს განეხორციელებინათ რთული რეფორმები. ვინაიდან, რეფორმების განხორციელების პროცესში მთავრობები მიდიოდნენ და მათ ადგილს ახალი მთავრობები იკავებდნენ, ლაკმუსის ტესტი კი ნებისმიერი ახალი პოლიტიკისთვის ერთი და იგივე რჩებოდა: „ისევ გაგვიძღვება ის უკან ევროპისკენ?" ტესტი, რომელიც გამორიცხავდა უფრო მეტად არასასურველ ექსპერიმენტს. მაგალითად, პოლონეთში მთავრობები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მაგრამ რეფორმა ისევ წინ მიიწევდა.

და მეოთხე, **საგარეო მხარდაჭერა**. ვალისა და საგადამხდელო ბალანსის ტვირთი მთავრობებს მკაცრ პირობებს უწესებდა, თუმცაღა, იქმნებოდა სტრუქტურული რეფორმების განსახორციელებლად ფინანსურ დესტაბილიზაციასთან ბრძოლის პროცესში. მაგრამ, დაფინანსებამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, EBRD-ისა და ორმხრივი კრედიტორების მხრიდან, და ზოგიერთ საკვანძო შემთხვევაში, ოფიციალური და კომერციული ბანკის კრედიტორების მხრიდან ვალის შემსუბუქებამ, ხელი შეუწყო ამ შეზრუდვების შემცირებას.

ლიტერატურა:


1. **Aghion Philippe & Blanchard Olivier J.**, 1994, "On the Speed of Transition in Central Europe," NBER Chapters, in: NBER Macroeconomics Annual 1994, Volume 9, pages 283-330 National Bureau of Economic Research, Inc.
2. **Bruno Michael**, 1988, Econometrics and the Design of Economic Reform. NBER Working Paper No. 2718, Econometrica, vol. 57, no. 2, pp275-306.
3. **Campos, Nauro F., and Fabrizio Coricelli, 2002**, "Growth in Transition: What We Know, What We Don't, and What We Should," Journal of Economic Literature, Vol. 40, No. 3, pp. 793-836.
4. **De Melo, Martha, Cevdet Denizer, Alan Gelb, and Stoyan Tenev, 2001**, "Circumstance and Choice: The Role of Initial Conditions and Policies in Transition Economies," World Bank Economic Review, Vol. 15, No. 1, pp. 1-31.
5. EBRD, 1994-2005, Transition Reports (London: European Bank for Reconstruction and Development).
6. **Fischer, Stanley, Ratna Sahay, and Carlos Végh, 1998**, "From Transition to Market: Evidence and Growth Prospects," IMF Working Paper No. 98/52 (Washington: IMF).
7. **Havrylyshyn, Oleh, 2016**, "25 Years of Reforms in Ex-Communist Countries," Development Policy Analysis no. 795 (Washington: Cato Institute).
8. **Havrylyshyn, Oleh, Ivailo Izvorski, and Ron van Rooden, 1998**, "Recovery and Growth in Transition Economies 1990-97: A Stylized Regression Analysis," IMF Working Paper No. 98/141(Washington: IMF).
9. **Sachs, Jeffrey, and Wing Thye Woo, 1994**, "Structural Factors in the Economic Reforms of China, Eastern Europe and the Former Soviet Union," Economic Policy, April, pp. 102-145.
10. **Stiglitz , Joseph, 2000**, "Whither Reform? Ten Years of Transition," Annual Bank Conference on Development Economics, B. Pleskovic and J.E. Stiglitz (eds.), Washington: World Bank, 2000, pp. 27-56.
11. United Nations Development Program, Human Development Report 1998 (UK: Oxford University Press, 1998).
12. EBRD, Transition Report 2004 (London: EBRD, 2004), http://www.ebrd.com/pubs/econo/series/tr.htm
13. EBRD, 1994-2005 Annual Transition Reports, http://www.ebrd.com/pubs/econo/series/tr.htm

# Post-communist Transition in Institutional Context: Shock Therapy versus Gradualism

Tamta Meskhodze

*Doctoral student*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The paper tells us about the historic transition of ex-communist countries from socialism to the market economy. Herewith, it analyzes the transition produced divide between those who advocated rapid reforms, and those who advocated a gradual approach. This paper shows that early and rapid reformers ended up with better institutions than gradual reformers. As to the timing of institutional development, the arguments that it should precede liberalization are not supported by the historical facts. The fastest progress on institutions was made by the very same countries that undertook rapid liberalization.

*Keywords: Post-communist transformation; shock therapy; gradualism.*

# საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის ანალიზი

თინათინ მეძმარიაშვილი

*დოქტორანტი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სახელმწიფო შესყიდვებისადმი საზოგადოებრივი ნდობის ასამაღლებლად და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად 2010 წლის 10 დეკემბერს შეიქმნა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოში“ შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. საბჭო დაკომპლექტებულია პარიტეტის პრინციპით - სააგენტოს თანამშრომლებისა და არასამთავრობო სექტორის სამი წარმომადგენლით. დღითიდღე იზრდება საზოგადოების ნდობა დავების განხილვის საბჭოს მიმართ. მხოლოდ 2016 წელს, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილ იქნა 1 573 საჩივარი. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ მიერ განხორციელდა რიგი ღონისძიება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცესების უფრო მეტად სრულყოფას.*

*საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები, დავების განხილვის საბჭო, საჩივრები, ტენდერები*

სახელმწიფო შესყიდვები ყველა ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია არადისკრიმინაციული და კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირება. სწორედ ამიტომაც, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონის მთავარ მიზნებს სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროსადმი საზოგადოების ნდობის ასამაღლებლად და ჯანსაღი კონკურენციის განსავითარებლად 2010 წლის ბოლოს შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო. 2010 წლამდე საჩივრის წარდგენა ბეჭდური სახით ხდებოდა და დავების განხილვას სააგენტო ახორციელებდა. დღეისათვის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ექვსი წევრით და შემადგენლობაში პარიტეტული პრინციპით შედიან სააგენტოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება, რაც გარკვეულწილად ზრდის არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს და მიზანშეწონილია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული მიმართულებით [2, გვ. 40]. სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია ამ წესის შესაბამისად, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები [4, გვ. 2]. საჩივრის წარდგენა მომჩივანის მიერ ხდება ელექტრონულად, სისტემაში სატენდერო/საკონკურსო განცხადებაში არსებული სისტემური ღილაკის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ დავების განხილვის საბჭოს ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირთა ნდობა, რაც დასტურდება საბჭოში წარმოდგენილი საჩივრების ყოველწლიურად ზრდადი მაჩვენებლით (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1




სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელია გასაჩივრდეს სატენდერო/საკონკურსო პირობების ჩანაწერები ან სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება.

2016 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილი 1 573 საჩივრის მოთხოვნიდან ჭარბობს შემსყიდველი ორგანიზაციის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილება/ქმედების გაუქმების მოთხოვნა [5, გვ. 36]. (იხილეთ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2




ტენდერის ყველა ეტაპის გამჭვირვალობა, ისევე როგორც მარტივი და სწრაფი გასაჩივრების შესაძლებლობა, სახელმწიფო შესყიდვების სისტემას კიდევ უფრო მეტი უსაფრთხოების მექანიზმს სძენს, რის პრაქტიკაც ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანასაც არ აქვს [3, გვ. 18]. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სწორი და სამართლიანი ფუნქციონირება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა. მისი მთავარი პრინციპებია სახელმწიფო შესყიდვების სამართლიანობა,

გამჭირვალობა, ეფექტურობა და არადისკრიმინაციულობა. მას ასევე დიდი წვლილი შეაქვს სახელმწიფო შესყიდვებში არსებული სისტემური პრობლემებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირებაში [1, გვ. 77]. 2016 წელს დავების საბჭოში შესული საჩივრების 18 % სრულად დაკმაყოფილდა, ხოლო 19 % - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ამასთან, საბჭოს მიერ დაუშვებლად იქნა მიჩნეული საჩივრების 25 %, არ დაკმაყოფილდა - 35 % (იხილეთ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3




სატენდერო/საკონკურსო პირობების გასაჩივრება უფასოდ შეუძლია ნებისმიერ მსურველს. 2017 წლის 19 ივლისიდან დაინერგა დაინტერესებული მხარის ინსტიტუტი, რის საფუძველზეც შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს მხოლოდ ტენდერის მონაწილე პრეტენდენტი, რომლის უფლებაც შეილახა, ამასთან დაწესებულია საჩივრის წარდგენის საფასური. საფასურის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. საჩივრის წარდგენის საფასური ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. აღნიშნული ცვლილება აღმოფხვრის დაუსაბუთებელი საჩივრებისა და სატენდერო პროცედურების გაჭიანურების პრობლემას.

სახელმწიფო შესყიდვების დავების განხილვის საბჭოს არსებობა ხელს უწყობს კერძო სექტორის მეტ ჩართულობას და უზრუნველყოფს სატენდერო/საკონკურსო პროცედურების გამჭვირვალე და ობიექტურ გარემოში განხორციელებას. ამასთან, იქმნება მაქსიმალურად ჯანსაღი კონკურენტული გარემო, სადაც აზრისა და შენიშვნის გამოთქმის საშუალება ეძლევა სახელმწიფო შესყიდვების სფეროთი დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. დავების განხილვის საბჭოს გამართული ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფისათვის.

## ლიტერატურა:

1. გაფრინდაშვილი გ., შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2015.
2. მემარიაშვილი თ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2015, გვ. 39-43.

3. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, თბილისი, ივნისი 2013.
4. „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 27 თებერვლის #1 ბრძანება.
5. სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ 2016 წლის ანგარიში.


## Review of the Activities of State Procurement Disputes Council of Georgia


Tinatin Medzmariashvili

*PhD student*

*Tbilisi state university*



**R e s u m e**

For the improvement of public confidence in state procurement and ensuring the fair competition the Dispute Resolution Board related to procurement, was set up within agency on 10th of December, 2010. Public confidence in Dispute Resolution Board is being continuously increased and only in 2016 in total 1,573 complaints were submitted to the Dispute Resolution Board with regard to SPA procurements; State procurement agency accomplished various arrangements within the framework of international cooperation, which will promote the further improvement of state procurement-related processes in Georgia.



*Keywords: State Procurement; Dispute Resolution Board, Complaints, Tenders*

# შრომითი რესურსების ეფექტიანიანობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება


**ნინო მიქიაშვილი**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*რესურსების ეფექტიანად მოხმარება ქვეყნის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტია. განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას და ყველაზე მობილური ფაქტორის შრომის. წარმოებრივი შესაძლებლობების გამოვლენას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. შრომის ბაზრის მართვა მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნისთვის განსაკუთრებით საშურია, რადგან, როგორც სხვა, ასევე ადამიანისეული რესურსები საკმაოდ შეზღუდულია. შრომითი რესურსების კვლევის აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პროცესი წარმოუდგენელია შრომითი ფაქტორის გამოყენების გარეშე.*

*შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენება ეკონომიკურ ციკლსა და სტრუქტურულ ძვრებს უკავშირდება. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, არსებული სამუშაო ადგილების გაუქმება საწარმოო, დარგობრივ, მაკროეკონომიკურ, რეგიონულ და მსოფლიო ჭრილშიც კი განიხილება, თანაც სამუშაო ადგილების შექმნა და გაუქმება შინაარსობრივად განსხვავებულია და დამოკიდებულია ანაზღაურების ოდენობაზე, განათლებაზე, სქესზე, ასაკზე, უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებაზე. შესაბამისად, თითოეული ქვეყნის განვითარების დონეს განსაზღვრავს ადამიანისეული კაპიტალის უნარი, მზად იყოს და შეეგუოს ცვლილებებს. წამყვანი როლი, ცხადია, ენიჭება განათლებასა და მეცნიერებას.*

*უმუშევრობის შემცირებითა და დასაქმების ზრდით მნიშვნელოვნად შემცირდება სიღატაკისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა რაოდენობა. სოციალური დახმარებების საერთო ჯამური ოდენობის შემცირება სახელმწიფოს საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს დაზოგილი სახსრები.*

*შრომითი რესურსების ეფექტიანად მართვის პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფოს პრეროგატივაა, რომელმაც გარკვეული სახის კორექტივები უნდა შეიტანოს სტრატეგიულ დოკუმენტებში, რათა ეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარე და სამომავლო მიზნები შეუფერხებლად იყოს მიღწეული.*



*საკვანძო სიტყვები: შრომითი რესურსები, შრომის ბაზარი, ეფექტიანობა, შიგა მიგრაცია.*


საქართველო და სოციალისტური ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნები, მეოთხედ საუკუნეზე მეტია ეკონომიკური ტრანფორმაციის პროცესში არიან. საკმაოდ რთული აღმოჩნდა ისეთი საბაზრო ეკონომიკის მოდელის შექმნა, რომელიც პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას მისცემდა საზოგადოებას. ეკონომიკურ ტრანსფორმაციის პრობლემებს თან დაერთო გლობალიზაციის გაღრმავება, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა განვითარებადი ეკონომიკის მქონე მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნები, განსაკუთრებით რესურსების რაციონალურად გამოყენების მიმართულებით.

მსოფლიო გლობალიზაცია გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს შრომით რესურსებს. შრომა, როგორც წარმოების ფაქტორი, უცილობელი შემადგენელია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობისას. უპირატესად კვალიფიციური სამუშაო ძალა განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებებსა და ტემპებს. ცხადია, არაკვალიფიციურ სამუშაო ძალას თავისი ადგილი აქვს, თუმცა მისი როლი გაცილებით მოკრძალებულია და შესაბამისად, შეიძლება მხოლოდ დამხმარე ფუნქციის სახით განიხილებოდეს.

მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებს შრომითი რესურსების მართვა, მათი მწარმოებლურობის ზრდა ერთ-ერთი უპირველეს ამოცანად უნდა ესახებოდეს, რაც ლოკალურად ვეღარ განხორციელდება. თავისუფალი გადაადგილება თანამედროვე მსოფლიოს ატრიბუტია, გლობალიზაციამ მეტი მოქნილობა შესძინა შრომის საერთაშორისო ბაზარს. შესაბამისად, მიგრანტთა და ემიგრანტთა ნაკადები მნიშვნელოვნად ცვლიან ამა თუ იმ ქვეყნის შრომით პოტენციალს.

უმუშევრობისა და ინფლაციის დონე, სახელფასო და საპროცენტო განაკვეთები, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები, მმართველობითი უნარები და ა.შ. მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ წარმოების ფაქტორების რაციონალურ მოხმარებაზე, თუმცა ზოგჯერ მაკროეკონომიკური და სამართლებრი-

ვი გარემო ერთ კონტექსტში განიხილება [16, გვ.12-13). ეკონომიკური გარემო და წარმატებული ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ სხვა გარემოთა (პოლიტიკურ-სამართლებრივი, სოციალური, საინფორმაციო-ტექნოლოგიური) მდგომარეობას [12, გვ.31-42].

ეკონომიკურ თეორიაში ძირეულია რესურსების რაციონალურად გამოყენება, ბაზრის ეფექტიანობის პრობლემა [13, გვ. 14-16], რესურსების ეფექტიანად განაწილება [9, გვ. 48-49), რადგან ერთია რესურსების რაოდენობა და მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მათი ეკონომიკის დარგებს შორის ისე განაწილება, რომ საერთო მწარმოებლურობა იყოს რაც შეიძლება მაღალი. მატერიალური წარმოების პროცესში ადამიანისეული კაპიტალის როლი თანდათან იზრდება [10, გვ. 234-235]. მასში ინვესტირება, მომზადება-გადამზადების უწყვეტი პროცესი [11, გვ. 304-340] უზრუნველყოფს მწარმოებლურობის დონის ზრდასა და სამუშაო ძალის მობილობას. შრომის ფაქტორის შესაძლებლობები, ზოგადად, სხვა ფაქტორებისგან განსხვავებით, ამოუწურავია განათლების მაღალი დონისა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე. შრომის, როგორც სხვა ფაქტორების, მწარმოებლურობის ამაღლება ინტენსიური ზრდის მძლავრი ინსტრუმენტია. განვითარებულ ქვეყნებში სოციალური პრობლემები, დასაქმების საკითხები, რეგიონალური დისპროპორციები და სიღარიბის აღმოფხვრა ჩვეულებრივ წყდება საინოვაციო პოლიტიკის საშუალებით [15, გვ.115]. თავის მხრივ, შრომის ბაზრის განვითარებაზეა დამოკიდებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარება, ინოვაციების დანერგვა, სტრუქტურული გარდაქმნები, მატერიალურ-ტექნიკური ძვრები და ა.შ. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნის შრომის ბაზრის მდგომარეობა და ფუნქციონირების თავისებურებანი განსაზღვრულია მოცემული მომენტისთვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და მაკროეკონომიკური სტაბილურობის ხარისხით. ცხადია, მაკროეკონომიკური სტაბილურობა მეტწილად განსაზღვრავს მცირე ღია ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას [14, გვ.12]. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტივობისას დასაქმების დაბალი დონეა, რაც აფერხებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და უბიძგებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყველაზე მობილურ ნაწილს საზღვარგარეთ ეძიოს სამუშაო.

მიგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის თანმდევია, მაგრამ მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის მან შეიძლება თვისებრივად შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს,- დაეცეს ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანობა, პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტი და მისგან გამომდინარე სხვა ნეგატიური პროცესები, პირიქით, გაძლიერდეს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ქვეყანას ტოვებს უპირატესად კვალიფიციურ სამუშაო ძალად ჩამოსაყალიბებელი კატეგორია, ხოლო ქვეყანაში შემოდის ნაკლებკვალიფიციური კადრები, რაც განვითარების ტემპს დაბლა წევს. მცირე ეკონომიკის შრომის ბაზარი შედარებით მობილური კი არის, მაგრამ მაინც უჭირს კარდინალურ ცვლილებებთან უმტკივნეულოდ შეგუება, აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მწვავედ გამოჩნდა ეკონომიკური ტრანფორმაციის პირობებში. რეფორმები პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში უშუალოდ აისახა შრომის ბაზარზე.

შრომითი რესურსების რაციონალური მართვა მოითხოვს კვლევის ტრადიციული მეთოდების გამოყენებას. ყურადღება უპირატესად გამახვილებულია ბოლო ორ ათწლეულზე, ძირითადი ტენდენციები კი განხილულია XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როცა დაიწყო პოსტსოციალისტური ეპოქა. ტრანსფორმაცია განსაკუთრებით მტკივნეულად შრომის ბაზარს შეეხო, რომელსაც ციკლურ უმუშევრობასთან ერთად ფართომასშტაბიანი სტრუქტურული უმუშევრობა უნდა დაეძლია. ყოველივე ამას თან დაერთო სამუშაო ძალის გადინება ქვეყნის გარეთ, შიგა მიგრაცია (თუმცა ბოლო პერიოდში შემოდინების ტენდენციაც შეიმჩნევა). სტატისტიკური მონაცემები უპირატესად ოფიციალური წყაროებიდანაა მოძიებული.

**შრომის ბაზარი, როგორც საზოგადოების განმავითარებელი ბერკეტი.** შრომითი რესურსების რაციონალურად მმართველი შრომის ბაზრის ფორმირება არც თუ იოლია. პრობლემა მწვავდება მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის, რადგან მათთვის გაცილებით რთულია კვალიფიციური მუშახელის მომზადება და შენარჩუნება, ე.წ. „ტვინების გადინების" წინააღმდეგ ღონისძიებების გატარება და ა.შ. მცირე ღია ეკონომიკის ფარგლებში მასიური უმუშევრობა მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ეკონომიკას. პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობას მსგავსი პრობლემა დაუდგა, ზოგმა (ბალტიისპირა ქვეყნები) შედარებით მოკლე ხანში დაძლია მასიური უმუშევრობა (ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ევროკავშირის პოზიტიური როლი), ზოგ ქვეყანას (მათ შორის საქართველოს) გაურთულდა უმუშევრობასთან და დაბალ შემოსავლებთან გამკლავება.

სტაბილური სამუშაო ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ფასობს. იგი განსხვავებულად აღიქმება ქვეყნის, რეგიონის, სექტორის, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიხედვით. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია [6] აქცენტს აკეთებს: სტაბილურ (მუშაობა ხანგრძლივი ხელშეკრულებების საფუძველზე); ხარისხიან (მუშაობა მისაღები ხელფასით, სამუშაო პირობებით, სწავლის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებით); უსაფრთხო (მუშაობა შრომითი უსაფრთხოების წესების დაცვით და მორალურად სასიამოვნო გარემოში) შრომაზე. მსგავსი მახასიათებლების მქონე შრომის ბაზრის ფორმირებას სჭირდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის კოორდინირებული მუშაობა, რადგან მხოლოდ საერთო ძალისხმევით მიიღწევა საზოგადოებრივი კეთილდღეობა, რაც ამ შემთხვევაში ორგანიზებული, განვითარებაზე ორიენტირებული შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში გამოვლინდება.

საქართველოს შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები და არსებული ტენდენციები აქტუალური და საინტერესოა ინვესტორებისთვის, დასაქმებულთათვის, დამსაქმებლებისთვის და ყველა დაინტერესებული პირისთვის, ამასთან პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის მაგალითიცაა. იგი მეოთხედ საუკუნეზე მეტია ცდილობს ორგანიზებული და მობილური შრომის ბაზრის ფორმირებას, თუმცა ამ მიმართულებით დიდი მიღწევები არ ჩანს. საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია დასაქმების შესაძლებლობები; არსებული შრომითი რესურსები ნაწილობრივ გამოიყენება, რაც ქვეყნის წარმოების ეფექტიანებას მთლიანობაში დაბლა წევს, მაღალია უმუშევართა რაოდენობაში ხანგრძლივ უმუშევართა, ხოლო უმუშევრებში კი უმაღლესდამთავრებულთა წილი; ჭარბადაა დაბალანაზღაურებადი და არაკვალიფიციური სამუშაო ადგილები; დისბალანსია შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის და ა.შ. შეუსაბამობა გამოწვეულია შრომაზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის სიმწირით, ანუ ფიქსირდება ასიმეტრიული ინფორმაციის პრობლემა. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ისიც დასახელდეს, რომ არ ხდება შრომის ბაზრის, რომელიც ნაკლებელასტიკურია, სისტემატური და სისტემური კვლევა, არ არსებობს დეტალური და სანდო ინფორმაცია ეკონომიკისა და დასაქმების სფეროში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

შრომითი რესურსების მოქმედების არეალი შეზღუდულია, რადგან დაქირავებულთა 40%-ზე მეტი სახელმწიფო (ძირითადად საჯარო) სექტორშია დასაქმებული, ასევე მაღალია არაფორმალური დასაქმების წილი [7]. ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია შრომის ბაზარზე ქცევის წესები. ამ მიმართულებით ქმედით ღონისძიებებს ატარებენ როგორც სახელმწიფო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, პრობაციის ეროვნული სააგენტო და სხვა), ასევე კერძო და სამოქალაქო სექტორები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2003-2016 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 13.8%-დან (2005 წელი) 11,84%-მდე მერყეობდა (2016 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს- 16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია [7]. საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 32.0-39.0%-ის ფარგლებშია, რადგან საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს“ [5]. „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ კრიტერიუმებით, 2016 წელს საქართველოში უმუშევრობის დაბალი საშუალო დონეა, მხოლოდ 11,8%, მამაკაცებში ის უფრო მაღალია - 14,2, ხოლო ქალებში - 8,8 [8], თუმცა, ქალების შრომის ანაზღაურება რამდენადმე ჩამორჩება მამაკაცების საშუალო ხელფასს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ფარული უმუშევრების კრიტერიუმები და მომუშავეთა კვალიფიკაციის შეფასება გათვალისწინებული არ არის.

ექსპერტული შეფასებებით უმუშევრობის დონე ოფიციალურს 3-ჯერ და მეტადაც კი აჭარბებს. მთავარი პრობლემა დასაქმების სტრუქტურაა, რადგან დასაქმებულთა 50%-მდე თვითდასაქმებულია, სწორედ ეს გარემოება განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმების მაღალ დონეს, კერძოდ, 2014 წლის მონაცემების მიხედვით 50,9%-ია, სამრეწველო სფეროში დასაქმების მაჩვენებელი დაბალია 10,0%, ხოლო მომსახურების სფეროში შედარებით მაღალი 39,1% [7]. დასაქმების სტრუქტურა 1996 წლიდან სერიოზულად არ შეცვლილა და ეკონომიკის რეალური სექტორი იმავე დონეზე დარჩა, არადა სწორედ რეალური სექტორის განვითარება იძლევა მუდმივი ეკონომიკური ზრდის გარანტიას.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, რეგიონულ ჭრილში ტრადიციულად მკვეთრად მაღალი მოთხოვნაა დედაქალაქში, თბილისში, სხვა რეგიონებში: იმერეთი, აჭარა, კახეთი, შიდა ქართლი, სამეგრელო-ზემო

სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, ქვემო ქართლი, სამცხეჯავახეთი, გურია, მოთხოვნა დაახლოებით მსგავსია. ანაზღაურების მხრივ, ყველაზე მაღალანაზღაურებადია საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა და სახელმწიფო მმართველობა, დაბალშემოსავლიანი კი განათლების სექტორი. ფულად ანაზღაურებასთან ერთად არაფულადი სარგებლის ყველაზე გავრცელებული სახეებია: სამედიცინო დაზღვევა, მობილური კომუნიკაციის ხარჯების დაფარვა, კვების ხარჯების ანაზღაურება, ტრანსპორტირება სამუშაო ადგილამდე, საპენსიო დაზღვევა და ა.შ.

საქართველოში ძალიან მაღალია იმედდაკარგული მუშახელის წილი, 42,7% [7]. მათ ვერ იშოვეს სამსახური, ვერ დასაქმდნენ დიდი ხნის განმავლობაში და აქტიურად აღარ ეძებენ სამუშაოს. ახალგაზრდებში (15–დან 30 წლამდე) უმუშევრობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (30,8%), თუმცა ამ შემთხვევაში მამაკაცებში ნაკლებია უმუშევრობის დონე 28,6%, ვიდრე ქალებში 35,2%. ამის ერთ-ერთ მიზეზი ისიცაა, რომ ახალგაზრდები სამსახურს აქტიურად ეძებენ, უფრო ასაკოვანებში კი მეტია ხელჩაქნეულნი [7]. უმუშევრობა ამწვავებს სოციალურ პრობლემებს, იზრდება სიღარიბე, UNDP-ის 2012 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 70% სოციალურად ან ეკონომიკურად დაუცველია [1, გვ.24]. ქვეყნის უმუშევართა თითქმის 1/3 უმაღლესი განათლებითა. ეკონომიკურად აქტიურ ქალაქებში უმუშევრობა ბუნებრივად მაღალია, სოფლად აღნიშნული მაჩვენებელი მცირეა, რადგან დათვლის მეთოდის მიხედვით 1 ჰა მიწის მფლობელი დასაქმებულად ითვლება.

**საქართველოს შრომის ბაზრის ეფექტიანობა**. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის მიხედვით საქართველო შრომის ბაზრის ეფექტიანობის მიხედვით 144 ქვეყანას შორის 41-ე პოზიციაზეა 4,5 ქულით. ქვეყნის შრომის ბაზრის ეფექტიანობის 10 კომპონენტის მიხედვით ქულები შემდეგნაირად გადანაწილდა: შრომითი ურთიერთობები-4,2; ხელფასის მოქნილი სისტემა-5,6; დაქირავება-დათხოვნა-4,7; დამატებითი დანახარჯები, სახელფასო კვირეები-4,3; გადასახადების გავლენა შრომის სტიმულებზე-4,4; ანაზღაურება და მწარმოებლურობა-4,1; პროფესიული მართვა-4,1; ტალანტების შენარჩუნება-3,0; ტალანტების მოზიდვა-2,6; ქალები სამუშაო ძალაში მამაკაცებთან მიმართებაში-0,77. საუკეთესო პოზიციები ფიქსირდება სახელფასო სისტემის მოქნილობისა და მუშახელის დაქირავება-დათხოვნის კუთხით, უარესი კი ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობის, ასევე ტალანტების შენარჩუნების და განსაკუთრებით, მოზიდვის მხრივ. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2014–2015 წლის რეიტინგის მიხედვით ბიზნეს-ლიდერების და ინვესტორების უმრავლესობა (21%) საქართველოში ბიზნესის ხელისშემშლელ მთავარ ფაქტორად სამუშაო ძალის არაკვალიფიციურობას ასახელებს [2]. ერთგვარი პარადოქსია მაღალი მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე და მეორე მხრივ, ჭარბი სამუშაო ძალის არსებობა, შესაბამისად, მთავარი გამოწვევა სწორედ არასათანადო კვალიფიკაციაა.

უახლოეს წარსულში სამუშაო ადგილების ოპტიმიზაცია სახელმწიფო სექტორს მწვავედ შეეხო. ორგანიზაციების გაფართოებითა და წასული თანამშრომლების ჩანაცვლებით გამოწვეული დენადობა საკმაოდ მცირე-ა. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელთა ნაწილი თანამშრომლებს სუბიექტური მიზეზებით ითხოვენ. გარკვეული პოზიტიური ცვლილებები 2013 წლიდან შევიდა შრომის კოდექსში [4], კერძოდ, ზეპირი ხელშეკრულებისა და გამოსაცდელი ვადის ექვს თვეზე მეტი ხნით დაწესება აიკრძალა. რაც შეეხება თანამშრომელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას, ამ მიმართულებით ინვესტირება მცირეა, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია ორგანიზაციების პასიურობით, მეორე მხრივ, კანონიერი ბერკეტის უქონლობით, რომელიც სამსახურიდან წასვლას კონკრეტული ვადით მაინც შეუზღუდავს დატრენინგებულ თანამშრომელს.

საქართველოს შრომის ბაზრის დახასიათებისას მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის მოძრაობის გათვალისწინება, რომელსაც მეტწილად არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა [3]. სამუშაო ძალის შიგა მიგრაცია გარკვეული საზღვრებში შეიძლება ეკონომიკისთვის წამახალისებელიც იყოს, თუმცა დიდი ნაკადების შემთხვევაში საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ქვეყანა. როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ადასტურებს, შიგა მიგრაციამ საქართველოში დიდ მასშტაბებს მიაღწია. მთიან რეგიონებში მოსახლეობის რაოდენობა პერმანენტულად მცირდება, იხურება საშუალო სკოლები, მოსახლეობის უმეტესობა პენსიონერია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ქალაქის მოსახლეობის წილი 5%-ით გაიზარდა. ქ.თბილისისა (5,2%-იანი ზრდა) და ქ.ბათუმის (26,3%-იანი ზრდა) მოსახლეობის შემთხვევაში ზრდა ძირითადად ქალაქების საზღვრების გაფართოებით იყო გამოწვეული, ხოლო ქ.რუსთავის მოსახლეობის შემთხვევაში 7,3%-იანი ზრდა ქალაქის იგივე საზღვრებში აღინიშნება [7].

2014 წლის საყოველთაო აღწერით ორივე სქესის მიხედვით, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ფარგლებში სულ 1058227-მა ადამიანმა შეიცვალა. ისინი ქ.თბილისსა და რეგიონებში შემდეგნაირად არიან გადანაწილებულნი: ქ.თბილისი - 350013 ადამიანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 74144, გურია - 32922, იმერეთი - 160035, კახეთი - 90564, მცხეთა-მთიანეთი - 34424, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 11494, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 101441, სამცხე-ჯავახეთი - 35815, ქვემო ქართლი - 94564, შიდა ქართლი - 72811 [6]. გადაადგილების საშუალო მაჩვენებელია 176371, მედიანა 82354, სტანდარტული გადახრა კი 291797, 95%-იანი სანდოობის ინტერვალით. საქართველოს მასშტაბისთვის (მოსახლეობით 2015 წლისთვის 3173700 ადამიანი), არც თუ მცირე მოძრაობაა. მიუხედავად იმისა, რომ შიგა მობილობა გარკვეულწილად სეზონურია, მაინც აშკარაა, რომ შიგა მობილობა საკმაოდ მაღალია. საკმაოდ ინფორმაციულია მიგრაციის მიმართულებების განსაზღვრაც.

**შედეგები და დასკვნები**. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის შრომითი რესურსების მართვა მეტ სიმწვავეს იძენს, ამიტომ ფასდაუდებელია გრძელვადიანი, სტრატეგიული ხედვა, რომელიც ორიენტირებული იქნება შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაზე. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია გამოცდილება, რომლის მიხედვით ეკონომიკური ზრდა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს სრულ დასაქმებასა და ხარისხიანი შრომის პირობებს.

დასაქმების ზრდის პოლიტიკის ალტერნატივებიდან, რომელთაგან ერთი გულისხმობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის ირიბ პოლიტიკას კერძო სექტორისთვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფით, ხოლო მეორე პირდაპირი დასაქმების პოლიტიკას სამთავრობო ორგანოების უშუალო ჩარევით, მცირე ეკონომიკის ქვეყნებისთვის უფრო პირველი მათგანი იქნება უპრიანი, რადგან საბაზრო სტიმულებს მეტად განავითარებს.

სოციალურად დაუცველთათვის დასაქმების სტიმულის გასაძლიერებლად სახელმწიფოს შეუძლია სოციალური დახმარება არ მოუხსნას ოჯახს შემოსავლების გარკვეულ ზღვრამდე, სტაბილური სამსახურის შემთხვევაში კი თანდათანობით შეამციროს სრულ მოხსნამდე. თანაბარზომიერი რეგიონული განვითარებისთვის მეტი სტიმული უნდა მიეცეს საშუალო და მცირე ბიზნესს, რათა მცირე ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში შესაძლებელი გახდეს არა უპირატესად სეზონური, არამედ მთელი წლის განმავლობაში დასაქმება.

კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებისთვის ახალი ტექნოლოგიები დასანერგია როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე ეკონომიკის ყველა სექტორში. ამ მიმართულებით დაწყებული ქმედებები, ტექნოპარკის, ფაბ-ლაბებისა და ა.შ. შექმნის სახით, უნდა გაფართოვდეს ახალი თვისებრიობის ჩამოყალიბებამდე.

კვალიფიციურ შრომაზე დაბალანსებული მოთხოვნის ზრდა ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს: შემცირდება „•—‘“—‘‡ გადინებან, მეტი ცოდნა და ენერგია დაიხარჯება ეროვნული ეკონომიკის გასაჯანსაღებლად. მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნების შრომის ბაზარზე რაციონალური ზემოქმედებით რეალური გახდება კონვერგენციის თეორიის რეალიზება, რაც რეგიონულ და გლობალურ მდგომარეობას გააჯანსაღებს.

უმუშევრობის დონის შემცირება უნდა იყოს რეალური და არა მიგრაციის ხარჯზე, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის. გადინებული სამუშაო ძალის ძალისხმევა ხმარდება ეკონომიკურად უფრო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას, ხოლო დიფერენციაცია ქვეყნებს შორის კიდევ მეტად იზრდება, რაც გლობალური მასშტაბით ჰუმანიტარულ თუ სხვა სახის პრობლემებს ამწვავებს.

თვითდასაქმების რაციონალური რეგულირება ეკონომიკისთვის სტიმულის მიმცემია, მაგრამ მას მხოლოდ მაშინ აქვს რეალური ეფექტი, თუ თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი ცხოვრების დონის გაუმჯობესებას გამოიწვევს.

ღონისძიებები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს მიგრაციული პროცესების დასარეგულირებლად, საკმარისი არაა. ბოლო 25 წლის მანძილზე შრომითი მიგრაციის მასშტაბები არ მცირდება. შრომით მიგრაციას განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის უარყოფითი ეფექტი უფრო მეტი აქვს, ვიდრე დადებითი. მხოლოდ ფულადი გზავნილები, თუ მას თან არ ახლავს ახალი ცოდნისა და გამოცდილების „‘„”†•‘“, მოკლევადიან ეფექტს იძლევა და საშუალოვადიან თუ გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ წინსვლას ვერ უზრუნველყოფს.

მომხმარებლური ეკონომიკიდან მწარმოებლურ ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებული მცდელობა არის ერთგარი გამოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსახლეობას სამშობლოში მონახოს მისთვის მისაღები ანაზღაურებადი სამუშაო და არ გახდეს შრომითი მიგრანტი. ხანგრძლივი შრომითი მიგრაციის შემცირება ორმაგი ეფექტის მომტანია, ერთი მხრივ, მოხდება გამოცდილების დაგროვება საზღვარგარეთ და მეორე მხრივ, მისი სამშობლოში გამოყენებით გაიზრდება შრომის მწარმოებლურობა და გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა.

### ლიტერატურა:


1. ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში. ეროვნული ანგარიში. 2014. UNDP. http://www.-ge.undp.org/
2. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში 2014–2015. World Economic Forum, New York: Oxford University Press for World Economic Forum, at http://www.weforum.org/ http://www3.weforum.org/docs/GCR2014-15/Georgia.pdf.
3. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ. N3418, 01.04.2015. ქუთაისი.
4. საქართველოს შრომის კოდექსი. N4113, 17.12.2010. თბილისი
5. არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. უნივერსალი. თბილისი. 2013. *მიგრაცია N6*.
6. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (OECD): www.oecd.org
7. სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზები (PC-AXIS). ელგვერდი: http://geostat.ge/?-action=page&&p_id=2080&lang=geo
8. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. ILOSTAT Country Profiles. Georgia. https://www.ilo.org/ilostatcp/CPDesktop/?list=true&lang=en&country=GEO
9. Baumol W.J., Blinder A.S. *Economics: Principles & Policy.* South-Western, Cangage Learning. 2012.
10. Begg D., Fisher S., Dornbusch R. *Economics.* New York: McGraw-Hill, Higher Education. 2008.
11. Ehrenberg R.G., Smith R.S. *Modern Labor Economics. Theory and Public Policy.* Westford: Pearson Education. 2003.
12. Griffin R. W., Ebert R.J. *Business.* Pearson Prentice Hall. 2004.
13. Krugman P., Robin W. *Economics.* New York: Worth Publishers. 2013.
14. Mikiashvili N., Lobzhanidze N. Important Aspects of the Macroeconomic Stability and Competitiveness of a Small Open Economy. CASE-Center of Social and Economic Research. 25th Anniversary conference. 17-18 November, Warsaw, Poland. 2016a.
15. Mikiashvili N., Lobzhanidze N. The role of innovations in improving competitiveness if the small economics. Institute of Researches and International Symposiums IRIS–ALKONA, International Scientific Symposium "Economics, Business & Finance," Proceedings, ISSN 2500-9737, Jurmala, Latvia, 5-9 July, p.113-123. 2016b
16. Nickels, William G., McHugh, James M., and Susan M. McHugh. 2012. Business: Connecting Principles to Practice. New York: McGraw-Hill/Irwin.


## Effectiveness of Labor Resources and Economic Development of the Country


Nino Mikiashvili

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The economic growth and development need the supply of resources. The countries rich in human capital develop more swiftly and evenly. One of the main components of the success of economically developed countries of the world is the use of an efficient human resource management system in almost all fields of activity.

Labor resource management and caring about the improvement of their productivity in small open economies with the goal of the economic development must be one of the priorities. In addition, it must be noted that some of such countries (including Georgia) are not rich in human resources. This is why boosting the productivity and mastering and introducing the new technologies ensure the continuous growth of such countries.

The rational management of human resources cannot be done locally, as the free movement of labor resources becomes an attribute of the modern world. Today, the barriers to entering the world market are much less both, for the companies and the physical entities. Globalization gave more flexibility to the international labor market, and the flows of migrants and emigrants change the labor potential in the concrete country.

*Keywords: Human resources, Labor market, Efficiency, Inter migration.*

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციების როლი საქართველოს საკრედიტო სისტემაში


## ვალერი მოსიაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## მედეა ჭელიძე

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*



*მიკროსაფინანსო სექტორი, როგორს არასაბანკო საკრედიტო სექტორის მნიშვნელოვანი სეგმენტი, ერთ-ერთი განვითარებადი სფეროა და საკრედიტო ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს. იგი ხასიათდება გარკვეული თავისებურებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ის, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მცირე მეწარმეებისა და ფერმერების დაკრედიტება ეფუძნება არა მსესხებლის ფინანსების ანალიზს, არამედ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების შეფასებას, ხოლო სახსრები ბიზნესის დაფინანსების ნაცვლად, ხშირად მიემართება ნემისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისთვის. გასესხების აღნიშნულ მოდელში იგნორირებულია მსესხებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, რაც შესაძლოა ჭარბი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი გახდეს.*



*საკვანძო სიტყვები: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია; საკრედიტო სისტემა; საკრედიტო ბაზარი; მიკროსესხი; საკრედიტო პორტფელი.*


თანამედროვე საკრედიტო ბაზარი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკური ნიშნებით, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზრებისგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით, აბსოლუტური ლიკვიდობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. შესაბამისად, ფული არ არის ელასტიკური მოთხოვნის საქონელი. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან. განსხვავებით სხვა სახეობის კაპიტალისგან, ფინანსური კაპიტალი უფრო მეტად არის მობილური, ვიდრე ფიზიკური საქონელი, რადგან მას შეუძლია უფრო სწრაფად განერიდოს იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრია საბანკო რეგულირების მექანიზმი.

საკრედიტო ბაზარზე მრავალი სახეობის საკრედიტო ინსტიტუტია წარმოდგენილი. თავის მხრივ, ეს ინსტიტუტები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ - ბანკები და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები. ჩვენი კვლევის მიზანს, სწორედ არასაბანკო საკრედიტო სექტორი, კერძოდ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები (მისო) წარმოადგენს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით [2].

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, როგორც კერძო სექტორის შემადგენელ სუბიექტებს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და წარმოადგენს ფინანსური ინფრასტრუქტურისა და საბაზრო ეკონომიკის უმთავრეს ნაწილს.

საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციები შეიძლება მივაკუთვნოთ სწრაფად მზარდ და განვითარებად სექტორთა რიცხვს. 1999 წლისთვის ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, დღეისათვის (01.09.2017) კი მათმა რაოდენობამ 81-ს მიაღწია [3].

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საიმედო და ეფექტური ფუნქციონირება ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილურობას. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუქციონირებისათვის საჭიროა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები იყვნენ სწრაფი, უსაფრთხო, საიმედო და ეფექტური. საქართველოში მოქმედი მიკროსაფინან-

სო ორგანიზაციების სამართლებრივი რეგულირების წყაროა კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ 2006 წლის 18 ივლისს იქნა მიღებული. აღნიშნული კანონის მიღებამდე, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მიკროსაფინანსო ცენტრის მიერ 2004 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს მიკროსაფინანსო სექტორი ერთგერთ ყველაზე განვითარებულ სეგმენტად შეფასდა, თუმცა 2006 წლამდე არ მომხდარა ამ საქმიანობის შესაბამის საკანონმდებლო გარემოში მოქცევა, რაც მიკროსაფინანო ბაზრის შემდგომ პროგრესს აფერხებდა. სწორედ ამ ვაკუუმის შევსების მიზნით იქნა შემუშავებული კანონპროექტი ეროვნული ბანკის მიერ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“. 2006 წელს კანონპროექტის შემუშავება საქართველოს ეროვნულ ბანკს დაევალა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებების და დამატებების შესაბამისად.

კანონპროექტზე მუშაობისას კონსულტაციები მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობასთან, მიკროსაფინანო სექტორის წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ ბანკში სემინარიც ჩატარდა თემაზე „მიკროსაფინანსო კონცეფციები“, რომელსაც უძღვებოდა ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის სააგენტოს ექსპერტი პიერ ბულთეზი. სემინარში მონაწილეობდნენ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

მიკროსაფინანსო საქმიანობა გულისხმობს მცირე მეწარმეებისა და ფერმერების დაკრედიტებას, რომელიც ხორციელდება მათი შემოსავლის ანალიზისა და არა სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების შეფასების საფუძველზე. ამ განსაზღვრების თანახმად, მიკროსაფინანსო ინდუსტრია მოიცავს რამდენიმე მიკროსაფინანსო ინსტიტუტს და კომერციულ ბანკს, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის მქონე, საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირებული ინსტიტუტების უმრავლესობა, თავისი შინაარსით, სამომხმარებლო ფინანსების კომპანიას. მათი საქმიანობა აბსოლუტურად ლეგიტიმურია, მაგრამ გასესხება ეფუძნება არა მომხმარებლის ფინანსების ანალიზს, არამედ მის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი ნივთის ან ქონების (ძვირფასეულობა, ავტომობილი ან უძრავი ქონება) შეფასებას, ხოლო სახსრები მიემართება არა ბიზნესის დასაფინანსებლად, არამედ ნემისმიერი სამომხმარებლო საჭიროებისათვის. გასესხების აღნიშნულ მოდელში იგნორირებულია მომხმარებლის ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი, რაც შესაძლოა, ჭარბი საკრედიტო ტვირთის წარმოშობის მიზეზი გახდეს. ამიტომ მცდარია წარმოდგენა, რომ ყველა „მისო“ თავისი არსით არის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. სასურველია, არსებული სტატუსი შეიცვალოს და მსგავს კომპანიებს დაერქვას საკუთარი სახელი, მაგალითად – „რეგისტრირებული ფინანსური კომპანია“ და მათგან მხოლოდ მცირე ნაწილს მიენიჭოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი. იგივე სტატუსი შეიძლება მიენიჭოს კომერციულ ბანკებსა და საკრედიტო კავშირებს, რომლებიც იცავენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპებს, ორიენტირებულნი არიან ბიზნესის დაფინანსებაზე, დაკრედიტების პროცესში კი ეყრდნობიან გადახდისუნარიანობის ანალიზს და არა ქონების შეფასებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით შესაძლებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბიზნესდაკრედიტებასთან ერთად, გასცემდნენ სამომხმარებლო სესხებს ან აწარმოებდნენ სალომბარდო ოპერაციებს, მაგრამ სამომხმარებლო ფინანსების ელემენტი ამ ფინანსური ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის მცირე ნაწილს უნდა შეადგენდეს.

რეგისტრირებულ ფინანსურ კომპანიებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფინანსურ ბაზარზე და მათი რეგულირება უნდა გაგრძელდეს მინიმუმ არსებული ფორმით. პრობლემურია, რომ დღეისათვის რეგულირების მიღმაა დარჩენილი მრავალი ფინანსური კომპანია, ლომბარდი, ინტერნეტგამსესხებელი თუ კერძო პირი. რეგულირების მიღმა მომუშავე ფინანსური შუამავლების შემთხვევაში თითქმის არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტია, რაც ქმნის ბაზარზე მტაცებლური დაკრედიტების პრაქტიკის გავრცელების საფრთხეს, რომლის მსხვერპლი გაუთვითცნობიერებელი მომხმარებელი ხდება. საქართველოში მომხმარებლების, მასმედიისა და გადაწყვეტილების მიმღებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ განასხვავებენ

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ყველა დანარჩენი არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტისგან, ამიტომ ხშირად კრიტიკა ხვდება წილად მათ, ვინც ამას ნამდვილად არ იმსახურებს [1, გვ. 458-460].

საინტერესოა, რომ წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი დამფინანსებელი მიკროსაფინანსო სექტორი იყო. სებ-ის მონაცემებით, სოფლის მეურნეობისთვის გაცემული სესხებით 2014-2016 წწ. განმავლობაში მისო-ები ლიდერობდნენ. აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ კომერციული ბანკების მეშვეობით დაიწყო იაფი აგროკრედიტის პროგრამის სუბსიდირება [4].

მიკროსაფინანსო სექტორი განაგრძობს განვითარებას და მრავალ ინოვაციას ჰპირდება როგორც მომხმარებელს, ასევე ქართველ თუ უცხოელ ინვესტორებს. მნიშვნელოვანია, რომ დარგის ლიდერები აცნობიერებენ პასუხისმგებლიანი დაკრედიტების მნიშვნელობას და უფრთხილდებიან როგორც სექტორის, ასევე საკუთარ პროფესიულ რეპუტაციას. სწორედ მიკროსაფინანსო სექტორი და მისი მომხმარებლები უნდა გახდნენ ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მთავარი მოსარგებლეები. ინდუსტრიაში ყველა იზიარებს მომავლის ხედვას, რომ დღევანდელი თვითდასაქმებული მეწარმეები და მიკროფერმერები ვიხილოთ მზარდი მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებად, რომლებსაც თვისებრივად ახალი ეკონომიკური და დემოკრატიული რეალობის შექმნა შეუძლიათ საქართველოში.

ვინაიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები არიან დაბალი შემოსავლების მქონე პირები და სოციალური მდგომარეობა მათ არ აძლევს შესაძლებლობას იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი, კანონი მათი ინტერესებიდან გამომდინარე ითვალისწინებს სესხის გაცემის პირობებს და მსესხებლის და გამსესხებლის უფლებაგმოვალეებებს. კერძოდ, მე-9 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობებს: მიკროსესხის გაცემის თაობაზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და მსესხებელს შორის იდება წერილობითი საკრედიტო ხელშეკრულება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, უზრუნველყოფილი ან საბლანკო. მიკროსესხის გაცემის წესებს და პირობებს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შეუძლია განახორციელოს კონტროლი მსესხებლის მიერ კრედიტის გამოყენების მიზნობრიობაზეც, ხოლო მსესხებელი ვალდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უზრუნველყოს ასეთი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობით. თუ მსესხებელი არ შეასრულებს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულებას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს უარი თქვას კრედიტის გაცემის თაობაზე ხელშეკრულების შესრულებაზე გაუცემელი კრედიტის ნაწილში და მოითხოვოს კრედიტის გაცემული ნაწილის ვადამდე დაფარვა [5].

საქართველოში საპროცენტო განაკვეთის ოდენობას, საკომისიო გასამრჯელოს და მომსახურების გადასახდელს ადგენს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამურ ოდენობასაც, რაც ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50 000 (ორმოცდაათი ათას) ლარს. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების კუთხით კიდევ უფრო აქტიური ნაბიჯები იქნას გადადგმული სახელმწიფოს და საზედამხედველო ორგანიზაციების მიერ, რათა ქვეყანაში კომერციული ბანკების დომინირების გამო არ მოხდეს მათი დაკნინება.

მსოფლიოში საკრედიტო ბაზრის ფუნქციონირების თანამედროვე თეორიული მიდგომების გაანალიზებამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ იგი თანდათან იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ხოლო საკრედიტო ურთიერთობათა შესახებ კონცეფციები ფართოვდება და უფრო მრავალფეროვან შინაარსს იძენს, ვიდრე ისტორიულ წარსულში, რაც განპირობებულია კრედიტის და საფინანსო ბაზრების როლის გაფართოებით, გამოყენების მრავალფეროვნებით და იმ რისკებით, რომელიც მას თან ახლავს.

მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირებასა და სტაბილურობასთან მიმართებით, ვფიქრობთ, სასურველია შემდეგი რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით დაწესდეს გადახდის გრაფიკი, სადაც ყოველთვიურ შენატანში გათვალისწინებული იქნება როგორც საპროცენტო სარგებელი, ასევე სესხის ძირიც;

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის მოხდეს სესხის მოცულობის ლიმიტების გაზრდა კლიენტის ფინანსური სტაბილურობის გათვალისწინებით;

- მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გამკაცრდეს კონტროლი და დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ თამასუქებზე (მაქსიმალური ვადიანობის, ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის და სხვა პირობების განსაზღვრა);

- შემუშავდეს ღონისძიებები მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხების გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფისა და გამკაცრების მიმართულებით.

თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიის პირობებში საქართველომ შესაძლებელია გადაჭრას მის წინაშე მდგომი ისეთი ამოცანები, როგორიცაა:

- საკრედიტო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის ოპტიმიზაცია და მეწარმეთათვის კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- საკრედიტო ბაზრისადმი ძირითადი მიდგომების განხილვა;
- საკრედიტო ბაზრის შემადგენელი ინსტიტუტების გაანალიზება ფუნქციონალური და ინსტიტუციონალური თვალთახედვით;
- საქართველოს საკრედიტო ბაზარზე საკრედიტო ინსტიტუტების მართვის ეფექტური ინსტიტუციონალური მექანიზმის ფორმირება;
- საკრედიტო ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მართვის სრულყოფა;
- თანამედროვე მსოფლიო საკრედიტო ურთიერთობათა განზოგადების საფუძველზე საქართველოს საკრედიტო ბაზრის მდგრადი განვითარება.

ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრის შედეგად ქვეყნის საკრედიტო ბაზარზე სახეზე გვექნება: საბანკო და არა საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელის ოპტიმალური სტრუქტურა; ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა ეკონომიკური ზრდის ხარჯზე; მყარი და საიმედო საკრედიტო ბაზარი; მეწარმე სუბიექტების ინტერესებზე მორგებული საკრედიტო სისტემა.

ლიტერატურა:


1. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბილისი. გამომცემლობა „დანი“, თბ., 2017. 670 გვ.
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/kanonebi/mikro_kanoni_27_03_13.pdf გადამოწმებული იქნა 05.09.2017.
3. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529 გადამოწმებული იქნა 09.09.2017.
4. http://forbes.ge/news/409/mikrosafinanso-samyaro გადამოწმებული იქნა 05.09.2017.
5. http://www.microfinance.ge/legislation/ გადამოწმებული იქნა 10.09.2017.

# The Role of Microfinance Organizations in the Georgian Credit System

Valeri Mosiashvili

*Associate Professor,*
*Georgian Technical University*

Medea Chelidze

*Associate Professor*
*Georgian Technical University*

**R e s u m e**

Microfinance sector, as a significant segment of the non-banking credit sector, is one of the developing spheres and an important player in the credit market.

Microfinance sector is characterized by certain peculiarities, in particular, lending to small entrepreneurs and farmers is not based on an analysis of the financial condition of the borrower, but on the value of the collateral or real estate, while funds instead of financing the business are often spent on consumer needs.

In this borrowing model, the analysis of the borrower's economic activity is ignored, which may be the cause of excessive credit burden.

*Keywords: Microfinance organization; Credit system; Credit market; Microcredit; Credit portfolio.*

# საწარმოს გაკოტრების პროგნოზირების სიმულაციური მოდელი

თეა მუნჯიშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში გაანალიზებულია საწარმოს ფინანსური მდგრადობის და გაკოტრების პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, ნაჩვენებია, რომ მოდელების აგებისას სტატისტიკური მეთოდების გამოყენება განვითარებადი ქვეყნებისა და პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებისათვის (როგორიც საქართველოა) გაკოტრების შესახებ სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, პრობლემატურია.*

*სტატიაში ნაჩვენები არსებული მოდელების სიმრავლიდან შერჩეული მოდელის შინაარსობრივი მხარის უცვლელად დატოვებისას, სასურველი შედეგი შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ საწარმოს ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით სიმულაციის რეჟიმში ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტით შეირჩევა მოდელში გამოყენებული კოეფიციენტების მნიშვნელობები. ამ წესით ფორმირებული საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ადაპტირებულია კონკრეტულ საწარმოზე. ის, გარედან ჩარევის გარეშე, ავტომატურად მიისწრაფვის ოპტიმალური დინამიკური წონასწორობისაკენ, ანუ წინასწარ მითითებულ საზღვრებში რჩებოდეს საწარმოს გაკოტრების პროგნოზის ცდომილება.*

*საკვანძო სიტყვები: გაკოტრება, z-score მეთოდი, ფინანსური ანალიზი, პროგრამული პაკეტი, სიმულატორი.*

ფინანსური ანალიტიკოსის წინაშე სამი ძირითადი ამოცანაა:

- საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეფასოს ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე;
- ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით მოახდინოს ფინანსური მდგრადობის პროგნოზი;
- არასასურველი პროგნოზის მიღებისას შეიმუშაოს გეგმის ის ვარიანტი, რომლის დროსაც მომავალში ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილ იქნება;
- პროგნოზის შედეგების საფუძველზე შეიმუშაოს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები და მოახდინოს მისი მონიტორინგი.

ანალოგიური ამოცანები ისმის ფინანსური ანალიზის სპეციალისტთა მომზადებისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მან უნდა აითვისოს ფინანსურ ანალიზში გამოყენებული მათემატიკური მეთოდები და მოდელები, შეძლოს მათემატიკური მოდელის გამოყენებით მოახდინოს მოდელირება - სიმულაცია, გამოავლინოს მოდელში შემავალი რომელი მაჩვენებლების რა მნიშვნელობებისთვის შეიძლება მიღწეულ იქნება სასურველი ფინანსური სტაბილური სიტუაცია.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მეთოდია კოეფიციენტების მეთოდი. მისი საფუძველია კოეფიციენტების გამოანგარიშება და ფაქტობრივი მნიშვნელობის შედარებაა ნორმატიულთან. ეს საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცალკეულ ასპექტებზე.

კოეფიციენტების მეთოდით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად 100-მდე კოეფიციენტი გამოიანგარიშება. რიგი კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობები ცნობილია. უმრავლესობის კოეფიციენტების ნორმატიული მნიშვნელობის ცალსახად განსაზღვრა კი შეუძლებელია. ეს განპირობებულია დარგების სპეციფიკით, საწარმოს თავისებურებით და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით[1].

ამჟამად, საწარმოს ფინანსური ანალიზის მდგომარეობის შეფასებისთვის კოეფიციენტთა საფუძველზე სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, რომელთა შორის შეიძლება აღვნიშნოთ: დიუპონის მეთოდი, „‡’”†‘“–“-‘‡ სახელით ცნობილი სტატისტიკური მეთოდები, ალტმანის მოდელები, ოლსონის მოდელი, მრავალფაქტორული მოდელირების, ლოგისტიკის მეთოდები და სხვა [1].

საწარმოს გადახდაუნარობის პროგნოზის მრავლცვლადიან სტატისტიკურ მეთოდებს შორის პოპულარულია დისკრიმინაციული ანალიზის მეთოდი. XX საუკუნის 80-იანი წლებიდან გამოიყენება ლოგიკური რეგრესიის მეთოდები. ამ მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა გაცემულ იქნეს პასუხი კითხვებზე:

- საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასებისთვის რა კოეფიციენტებია მნიშვნელოვანი?
- რა თანაფარდობით უნდა იქნეს გამოყენებული ახალი კოეფიციენტები?
- რა მეთოდით შეიძლება ამ კოეფიცინტების და მათ შორის კავშირების გამოვლენა?

საინტერესოა საწარმოთა გადახდისუნარიანობის შეფასების ფულმერისა და სპრინგეიტის მოდელები. პრაქტიკული გამოყენებისას ამ მოდელებმა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კარგი შედეგები მოგვცა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებაში გამოყენებული მათემატიკური მოდელებიდან მხოლოდ ერთი მოდელი _ არამკაფიო სიმრავლეებზე დაფუძნებულიV&M მაჩვენებლი იძლევასაშუალებას ფაქტიური მონაცემების საფუძველზე შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა სტატისტიკური მონაცემების გამოყენების გარეშე. V&M მაჩვენებლით შეუძლებელია საწარმოს ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა ვარიანტების შემთხვევაში განხორციელდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მოდელირება და მრავალვარიანტული გაანგარიშებები, შედგეს ოპტიმალური გეგმა, გამოვლინდეს ინტეგრირებულ მაჩვენებლში შემავალი თითოეულ მაჩვენებლის და მაჩვენებელთა ერთობლიობების საიმედოობის /არასაიმედოობის ყოფნის და საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მათი ზემოქმედების ალბათობა.

ჩვენ მიერ გაანალიზებულ იქნა საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებაში გამოყენებული მათემატიკური მოდელები და ალგორითმები - სულ 20 მოდელი. ეს მოდელებია: ალტმანის ხუთ ფაქტორიანი (4 მოდელი), ალტმან საბატოს,რიჩარდ ტაფლერის, ოლსონის, ძმიჟევსკის, სპრინგეიტის, ფულმერის, დიუპონის (ორი მოდელი), ლისის, ლეგოს, კონანისა და გოლდენის, დეპლაინის, ჩესერის, ირკუტსკის სახელმწიფო ეკონომიკური აკადემიის, პერფილიევის, შერმეტის მოდელები.[4]

გამოვლენილ იქნა მათი დადებითიმხარეებიდაპრაქტიკულიგამოყენებისსიძნელეები. კვლევის მიზანი იყო ტექნიკასა და ეკონომიკის სხვა სფეროებში (ფასიანი ქაღალდების ბაზარი და სხვა) გამოყენებული მათემატიკური მოდელებიდან შეგვერჩია ისეთი, რომლის გამოყენება საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების საშუალებას მოგვცემს სტატისტიკური მონაცემების გარეშე:

1. მოდელირების საფუძველზე შემოწმებული იქნეს ჰიპოთეზები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებლის სტრუქტურის დ აშინაარსის შესახებ. ე.ი. დასაბუთდეს შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა;
2. საწარმოს შესაძლო ფინანსური მდგომარეობების გათვალისწინებით გაანგარიშებული იქნეს თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის საიმედოობა/არასაიმედოობის ალბათობა;
3. გამოანგარიშებული იქნეს თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედრითი წილი საწარმო სფინანსურ მდგომარეობაში;
4. განხორციელდეს თითოეული მაჩვენებლის და მაჩვენებლთა ერთობლიობის ხვედრითი წილის ზემოქმედების მოდელირება საწარმოს მოსალოდნელ ფინანსურ მდგომარეობაზე;
5. მოდელირების საფუძველზე ნაჩვენები იქნეს საწარმოს ფინანსური განვითარების სტრატეგიები;
6. გაანგარიშებული იქნეს საწარმოს ფინანსურად არამდგარობის რისკი და შემუშავდეს მისი თავიდან აცილების გზები;
7. მოდელირების საფუძველზე შეირჩეს საწარმოს განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და ეს ვარიანტი გამოყენებული იქნეს საწარმოს ფინანსური მდგრადობის მონიტორინგის ჩასატარებლად;
8. ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეფასდეს საწარმოს ფინანსური მდგრადობა და განხორციელდეს საწარმოს გაკოტრების შეფასების პროგნოზი.

ჩვენი მიზანია, აქ ჩამოთვლილი ამოცანების მისაღწევად საწარმოს ფინანსური მდგრადობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საფუძველი არ იყოს მრავალწლიანი სტატისტიკა საწარმოთა გაკოტრების შესახებ, რაც ჩვენ მიერ განხილული მოდელების საფუძველია. ნებისმიერი მოდელში ეკონომიკური არსიდან გამომდინარე შერჩეული მაჩვენებლების გარდა, მნიშვნელოვანია ამ მოდელის $b_i$ კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრა, რაც სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გარეშე წარმოუდგენელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად არსებული ნებისმიერი მოდელი მოცემული ტიპის და ქვეყნის საწარმოებისთვის უნივერსალურია.

განვითარებად და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (როგორიც საქართველოა)არ არსებობს მრავალწლიანი სტატისტიკ ასაწარმოთა გაკოტრების შესახებ, ამიტომ დღის წესრიგშია შემუშავებულ იქნეს ისეთი მიდგომა, რო-

მელიც საშუალებას მოგვცემს საწარმოს ფინანსური მდგრადობის ეკონომიკურ მათემატიკური მოდელის საფუძველი გაკოტრების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ იქნება.

ჩვენ ამ ამოცანის რეალიზაციის ორი გზა გვესახება:

პირველი - ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელში გათვალისწინებულ იქნეს შერჩეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ლოგიკური კავშირები. ლოგიკურიკავშირების, ექსპერტის (ექსპერტების) მიერშეფასებულიმაჩვენებლებისნორმატიული მნიშვნელობების ფაქტობრივმნიშვნელობებისშეჯერებითგანხორციელდესსაწარმოსფინანსურიმდგრადობისშეფასება;

მეორე - კონკრეტული საწარმოსთვის შემუშავებულ იქნეს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და პროგნოზირების **ინდივიდუალური** ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი. $\sqrt{P_t}$და$\sqrt{P_{t+1}}$საწარმოთა მოდელები კოეფიციენტების მნიშვნელობებით განსხვავდება.

ამჟამად ჩვენ მიერ რეალიზებულია საწარმოთა ფინანსური მდგრადობისა და პროგნოზირების მეორე მიდგომა. იგი მდგომარეობს შემდეგში:

1. ჩვენს მიერ განხილული 20 მოდელით შერჩეულ იქნა 4 მოდელი: ლისის, სპრინგეიტის, ალტმანის 2000წლის გადამუშავებული მოდელები და ფულმერის მოდელი;

2. მოდელთა შერჩეული სიმრავლიდან შერჩევა $m_i \in M$მოდელი და $t_j$--ური წლისთვის ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით გამოიანგარიშება მოდელში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობების მიხედვით Z-ის მაქსიმალური მნიშვნელობა, ხოლო Z-ის მინიმალური მნიშვნელობა გამოიანგარიშებისას კოეფიციენტების მნიშვნელობა 0,001 - ის ტოლად აიღება;

3. სურვილის მიხედვით, მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობების დიაპაზონიდან გამოინაგარიშება Z-ის მნიშვნელობა ან ჩვენ მიერ მითითებული ბიჯით გამოითვლება გეგმის მრავალი ვარიანტი, სადაც ვარიანტები განსხვავდებიან მოდელში შემავალი კოეფიციენტების მნიშვნელობებით. ნებისმიერ ვარიანტის შედეგის შეფასება ავტომატურად ხორციელდება;

4. ნებისმიერი $m_i \in M$ მოდელისთვის გეგმის მრავალი ვარიანტი იანგარიშება $t_i, i = 1,n$წლისათვის. შემდეგ მიღებული გეგმების მრავალი ვარიანტის სიმრავლიდან შეირჩევა ოპტიმალური ვარიანტი. აქ ოპტიმიზაციის კრიტერიუმი გაკოტრების პროგნოზის ცდომილების მინიმუმია. ეს მოდელი აიღება სახელმძღვანელოდ მოცემული საწარმოს ფინანსური მდგრადობისა დ გაკოტრების პროგნოზის მოდელად [3].

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავების (არსებული მოდელებიდან კონკრეტული საწარმოს ადეკვატური მოდელისა და ამ მოდელში შემავალი კოეფიციენტების შერჩევის) პროგრამული პაკეტი სახელწოდებით FINSIM2 დაწერილია დაპროგრამების ენაზე VB.NET, ხოლო მონაცემების ბაზა ორგანიზებულია SQL სერვერზე. პროგრამა მრავალენოვანია. მასთან მუშაობა შეიძლება ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე [2].

მოდელის შედგენა FINSIM1 - ით შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:

1. პროგრამასთან მუშაობის სამუშაო ენისა და მომხმარებლის იდენტიფიკაციის შემდეგ გამოვა ფანჯარა, რომელშიც მოდელთა სიმრავლიდან შეირჩევა სასურველი მოდელი/სურ. 1/;

2. მოდელის დასახელებაზე თაგუნას დაწკაპუნების შემდეგ გამოვა ფანჯარა, რომელშიც მოდელში შემავალი კოეფიციენტების მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების მიხედვით გამოითვლებაZ -ის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები(კოეფიციენტების მაქსიმალურ მნიშვნელობებად აიღება მოდელშია არსებული კოეფიციენტების მნიშვნელობები. ჩვენს მიერ მითითებული ბიჯით (ამ შემთხვევაში 1.5 - ით) გამოითვლება გეგმის მრავალი ვარიანტი/სურ. 2,3/.

შედეგები გამოიტანება ცხრილის, დიაგრამის სახით/სურ. 2/ და გეგმის მრავალი ვარიანტის ფორმით /სურ. 3/. ვარიანტები განსხვავდებიან კოეფიციენტების მნიშვნელობებით. თითოეული ვარიანტისთვის იანგარიშება Z-ის მნიშვნელობა და ხორციელდება ამ მნიშვნელობით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება.




სურ. 1 მოდელის შერჩევა




სურ. 2 მოდელირების შედეგი წარმოდგენილი ცხრილისა და დიაგრამის სახით

| | | Current Values: | 0.0008 | -4.7740 | -3.2740 | -1.7740 | -0.2740 | 1.2260 | 2.7260 | 4.2260 | 5.7260 | 7.2260 | 8.7260 | 10.2260 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Changing | კოეფიციენტები | | | | | | | | | | | | | |
| | b1 | 3.7960 | 0.0001 | 0.0001 | 0.1655 | 0.4480 | 0.7492 | 1.1267 | 1.5125 | 1.8982 | 2.2839 | 2.6696 | 3.1960 | 3.7960 |
| | b2 | 0.2120 | 0.0001 | 0.0001 | 0.1655 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 | 0.2120 |
| | b3 | 0.0001 | 0.0001 | 0.1200 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 |
| | b4 | 2.3350 | 0.0001 | 0.0001 | 0.1379 | 0.3734 | 0.6244 | 0.9390 | 1.2604 | 1.5818 | 1.9033 | 2.2247 | 2.3350 | 2.3350 |
| | b5 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 |
| | b6 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 |
| | b7 | 0.5750 | 0.0001 | 0.0001 | 0.1222 | 0.3309 | 0.5534 | 0.5750 | 0.5750 | 0.5750 | 0.5750 | 0.5750 | 0.5750 | 0.5750 |
| | b8 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 | 0.0001 |
| | b9 | 0.0730 | 0.0001 | 0.0001 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 | 0.0730 |
| | b10 | 2.6771 | 0.0001 | 4.5750 | 4.4924 | 4.3511 | 4.2005 | 4.0117 | 3.8189 | 3.6260 | 3.4332 | 3.2403 | 2.9771 | 2.6771 |
| Result Cells: | | | | | | | | | | | | | | |
| | $O$1 | | | | | | | | | | | | | |

| ვარიანტის № | Z | შეფასება |
|---|---|---|
| 1 | 0.0008 | სტაბილურია |
| 2 | -4.774 | კრიტიკულია. პროგნოზის სიზუსტე 98% -ია |
| 3 | -3.274 | კრიტიკულია. პროგნოზის სიზუსტე 98% -ია |
| 4 | -1.774 | კრიტიკულია. პროგნოზის სიზუსტე 98% -ია |
| 5 | -0.274 | კრიტიკულია. პროგნოზის სიზუსტე 98% -ია |
| 6 | 1.226 | სტაბილურია |
| 7 | 2.726 | სტაბილურია |
| 8 | 4.226 | სტაბილურია |
| 9 | 5.726 | სტაბილურია |
| 10 | 7.226 | სტაბილურია |
| 11 | 8.726 | სტაბილურია |
| 12 | 10.226 | სტაბილურია |

სურ. 3. გეგმის მრავალი ვარიანტი

## დასკვნები:

1. განვითარებად და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში (როგორიც საქართველოა)არ არსებობს მრავალწლიანი სტატისტიკა საწარმოთა გაკოტრების შესახებ, ამიტომ დღის წესრიგშია შემუშავებულ იქნეს ისეთი მიდგომა, რომელიც საშუალებას მოგვცემს საწარმოს ფინანსური მდგრადობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საფუძველი გაკოტრების შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ იქნება. დასმული ამოცანა შეიძლება გადაწყდეს პირველი - ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელში გათვალისწინებულ იქნეს შერჩეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის ლოგიკური კავშირები. ლოგიკურიკავშირების, ექსპერტის (ექსპერტების) მიერ შეფასებული მაჩვენებლების ნორმატიული მნიშვნელობების ფაქტობრივ მნიშვნელობების შეჯერებით განხორციელდეს საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება; მეორე - კონკრეტული საწარმოსთვის შემუშავებულ იქნეს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და პროგნოზირების <u>ინდივიდუალური</u> ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომელიც შერჩეული არსებული(ეტალონური) მოდელისგან კოეფიციენტების მნიშვნელობებით იქნება განსხვავებული;
2. ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტით -FINSIM1 ხორციელდება სიმულაციური რეჟიმით არსებული შერჩეულ მოდელში კოეფიციენტების ცვლილება, ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება და მოდელის ოპტიმალური ვარიანტის ფორმირება;
3. აქ აღწერილი მიდგომით, პროგრამული პაკეტის დახმარებით შეიძლება ნებისმიერი საწარმოსათვის შემუშავებულ იქნეს მისი ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების ეკონომიკურ- მათემატიკური მოდელი;
4. ეკონომიკური პროფილის სტუდენტების, მაგისტრების სწავლების პროცესში აღწერილი მიდგომით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მათემატიკური მოდელის შემუშავება, ადაპტაცია სიმულატორის - პროგრამული პაკეტის FINSIM1-ის გამოყენებით სტუდენტს აჩვევს დამოუკიდებელ აზროვნებას, პროექტებთან მუშაობის მეცნიერული კვლევისა და შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარ-ჩვევებს. აქ მთავარია ყურადღება მიექცეს სიმულაციის შედეგების შინაარსობრივ ანალიზს, განზოგადებას, ეკონომიკური მაჩვენებლების როლს, ადგილს და ა.შ.

ლიტერატურა:


1. Altman Edward I., Predicting Financial Distress Of Companies: Revisiting The Z-Score And Zeta® Models, July 2000.
2. TeaMunjishvili, ZurabMunjishvili, Knowledge demonstration and assessment system “Cyber1”, international Journal "Information Technologies & Knowledge" Volume 8, Number 3, 2014, pp. 271-279.
3. Tea Munjishvili, ZurabMunjishvili.The semantic analysis method and algorithms of open tests answers on "Cyber-2" patternin the Knowledge revival and evaluation systems. 2015 IEEE Seventh International Conference on Intelligent Computing and Information Systems(ICICIS 2015), Volume 3, 12 - 14 December, 2015, Cairo, Egypt pp. 50-55
4. http://www.statisticshowto.com/probability-and-statistics/z-score/


## The Simulator of Enterprise Bankruptcy Prediction


Tea Munjishvili

*Doctor of economics, Associate professor*

*Tbilisi state university*



**R e s u m e**

*Economic mathematical modeling of financial stability and forecasting of bankruptcy is that the statistical methods used to build models are problematic for the spread of countries and countries of the former Soviet Union (for example, for Georgia) due to the lack of statistical data on bankruptcy.*

*The desired result can be obtained if the model is not changed depending on the model or if the actual data can be used in simulated simulation mode. In addition, the values vary in the model to obtain the optimal result. Economic mathematical model of financial stability assessment is formed separately for a specific enterprise. The created program automatically finds the optimal dynamic equilibrium from the outside, the marginalization of bankruptcy forecasts at predetermined boundaries.*



***Keywords:*** *Simulator, Financial analysis, bankruptcy models; FinSim1*

# რეკლამა XIX საუკუნის საქართველოში


## ბაბულია მღებრიშვილი

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*ნებისმიერი საწარმოს მართვაში მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილებების მიღება საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის სარეკლამო საქმის მიმართულებით. მიღებულ გადაწყვეტილებებს ასე აჯგუფებენ: ინტუიციური და განსჯაზე დამყარებული ან რაციონალური გადაწყვეტილებები. სარეკლამო საქმის სფეროში განსჯაზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს საფუძვლად უდევს ამ მიმართულებით არსებული სიტუაციების გამეორების ტენდენცია და ამ გზით დაგროვებული ცოდნა, რომლის საფუძველზეც მენეჯერები წარსულში მიღებული გადაწყვეტილებების მსგავს გადაწყვეტილებებს იღებენ. გარდა საკუთარი გამოცდილებისა, განსჯაზე დამყარებული გადაწყვეტილების მიღებისას, სასურველია, გაითვალისწინონ, საერთოდ არსებული და მოცემულ კონკრეტულ ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილებაც. ეს დაეხმარება მენეჯერებს თავიანთი საქმიანობის კრიტიკულად შეფასებასა და სწორი ალტერნატივის არჩევაში. ვფიქრობთ, სარეკლამო საქმიანობის სფეროში ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილების შესწავლა და ახალი სიტუაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს სარეკლამო საქმიანობის ოპტიმიზაციას. გამომდინარე აღნიშნულიდან, საჭიროდ ჩავთვალეთ სარეკლამო საქმის ანალიზი XIX საუკუნის საქართველოში და მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.*



*საკვანძო სიტყვები: რეკლამა, რეკლამის მისია, განვითარება.*


საწარმოთა საქმიანობის საბოლოო შედეგები არ არის დამოკიდებული მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტების წარმოებაზე, მათი ფასების ბაზრის მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანასა და პროდუქტების მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომ ადგილამდე გადაადგილებაზე. ძალიან მნიშვნელოვანია შექმნილი პროდუქტების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირებაც, რაშიც დიდ როლს რეკლამა ასრულებს. მაგრამ, რეკლამა არ იქნება ეფექტიანი, თუ ის იზოლირებულად იქნება გამოყენებული. ადამიანებმა რომ პროდუქტი იყიდონ, ხშირად საჭიროა მივმართოთ გასაღების სტიმულირებას [6,გვ.150] და მარკეტინგული კომუნიკაციების სხვა სახეობებს, რადგან რეკლამა უკეთეს შედეგს იძლევა კომუნიკაციის სხვა საშუალებებთან ერთად გამოყენების შემთხვევაში.

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანები რეკლამის გვერდით ვცხოვრობთ და მასთან ერთად ვიზრდებით. ბევრი ჩვენთაგანი რეკლამას აღიქვამს როგორც ჩვენი ცხოვრების აუცილებელ ელემენტს . . . ბევრი რეკლამა ჩვენზე უბრალოდ არ მოქმედებს და ამას რეკლამის შემქმნელები აღიარებენ. მასობრივი საშუალებების ბუნება ისეთია, რომ მათი დიდი ნაწილი „არსად მიდის“. ბევრი ადამიანი ამბობს, რომ „მასზე რეკლამა არ მოქმედებს და ისინი დიდ ნაწილში მართლები არიან. რეკლამის ეფექტიანობა მისი ორიენტირებულობაა ადამიანების განსაზღვრულ ჯგუფზე [7, გვ. 681]. რეკლამის ეფექტიანობის უზრუნველყოფა შესაძლებელია კარგი რეკლამის შექმნით. კარგია რეკლამა, თუ ის შექმნილია ხუთი „M“-ის (მისია, მიმართვა, ინფორმაციის საშუალებები, ფული და გაზომვის ხერხები) გათვალისწინებით [6, გვ.152].

რეკლამა თავის მიზანს მიაღწევს, თუ სწორად განისაზღვრა მისია (ინფორმირება, დარწმუნება, შეხსენება) და ამის შესაბამისად შეიქმნა მიმართვა, რომელშიც ხაზი გაესვა პროდუქტის განმასხვავებელ ფასეულობას. ამასთან, მიზნობრივი ბაზრის მინიმალური დანახარჯებით მოცვის შესაძლებლობების გათვალისწინებით შეირჩა ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და განისაზღვრა სარეკლამო ბიუჯეტი. დაბოლოს, რაც შეეხება მეხუთე „M“-ს. რეკლამირების პროცესში ითვალისწინებენ, აგრეთვე, მისი შედეგების წინასწარ და საბოლოო შეფასებას. დღეს სწორედ ხუთი „M“-ის გათვალისწინებით იქმნება რეკლამები მოწინავე კომპანიებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მიმართულებით გამოყოფილი სახსრები შეიძლება „უკვალოდ გაქრეს“.

რა მდგომარეობა იყო, რეკლამების შექმნის თვალსაზრისით, XIX საუკუნის საქართველოში? რა სახეობის რეკლამები იქმნებოდა და რასთან იყო დაკავშირებული მათი შექმნა და გავრცელება? როგორი იყო რეკლამების

შექმნის პროცესში გამოყენებული მიდგომები. ამ კითხვებზე პასუხების გაცემის შესაძლებლობას, გარკვეულწილად, XIX საუკუნის ქართული პრესის შესწავლა იძლევა. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართულ ბეჭდურ პრესას და შესაბამისად ამისა ქართული ბეჭდური რეკლამის ისტორიას. ამ პერიოდში იყენებდნენ გარე რეკლამასაც. აღმაშენებლის გამზირის რესტავრაციისას სპეციალისტებმა შენობებზე XIX საუკუნის დასაწყისის აბრები აღმოაჩინეს, რომლებზეც მეპატრონის ინიციალები ან კომერციული ობიექტების სახელები ეწერა [10]. იმ პერიოდში, „როგორც სარეკლამო საქმის „სპეციალისტები ამბობენ, რეკლამა ორ კატეგორიად იყოფოდა, პირველი განცხადებების ფორმას არ სცილდებოდა, ხოლო მეორე სახის რეკლამაში მოთხრობილი იყო პროდუქციის დანიშნულება“ [8}. მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო რეკლამამ სერიოზული რეკლამის სახე. მასში გამოიკვეთა ძირითადი მიზანი და ხაზი გაესვა პროდუქციის დანიშნულებას.

ქართული საწარმოების მიერ XIX საუკუნეში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადებებიდან ვლინდება, რომ მათი ავტორები გარკვეული იყვნენ რეკლამის მისიაში. მათ იცოდნენ, რომ ამ განცხადებებით ინფორმაცია უნდა მიეწოდებინათ მომხმარებლებისთვის პროდუქტის შესახებ ან უნდა დაერწმუნებინათ ისინი, შეეძინათ ესა თუ ის საქონელი. ეს კარგად ჩანს განცხადებების შინაარსიდან. ზოგიერთ განცხადებაში ყურადღება იყო გამახვილებული სხვა საწარმოების საქონელსა და მომსახურებასთან შედარებაზეც. ე.ი. იმდროინდელ საქართველოში ქართველი მეწარმეები უკვე იცნობდნენ რეკლამის სამ სახეს, საინფორმაციო, დამარწმუნებელ და შემხსენებელ რეკლამას. მათთვის უცნობი არ იყო შედარებითი რეკლამაც.

საინფორმაციო ხასიათს ატარებს შემდეგი სარეკლამო განცხადება: „თბილისში სასახლის ქუჩაზე გაიხსნა საზღვარგარეთული საქონლის სარეალიზაციო საწყობი, სადაც ყოველთვის არის შამპუნები - ჰიპერ-ჰეიდციკი, მუმი, ლუი-რედერერი, მონოპოლ-ჰეიდცილი, ჰომბერი სეკი, მოეტი და შანდონი . . .[1, გვ. 21}. საინფორმაციო შინაარსის მატარებელია, აგრეთვე, ასეთი განცხადება: ვორონცოვის ძეგლთან გაიხსნა ახალი რესტორანი „პურ-ღვინო“. ყოველდღე არის ხაში, ცოცხალი, გუდის ყველი, კახური ღვინო, ჭაჭის არაყი და დედას პურები [1, გვ. 22}. მოცემული განცხადებების შინაარსიდან ჩანს სამეწარმეო სუბიექტების მცდელობა - დაეინტერესებინათ ადამიანები საქონლისა და მომსახურების შეძენით, პროდუქტის ასორტიმენტის შესახებ ინფორმაციის სრულად მიწოდების გზით. რესტორან „პურ-ღვინოს“ განცხადება, მნიშვნელოვანი გასაყიდი პროდუქტების ჩამონათვლის კლიენტებისთვის მიწოდების საშუალებით, მაცდუნებელ ხასიათს ატარებს და კლიენტებს რესტორნის მომსახურებით სარგებლობისკენ უბიძგებს.

შემხსენებელი ხასიათისაა ასეთი შინაარსის სარეკლამო განცხადება: „თბილისში მ. ქავთარაძის რესტორანში საუზმის სახლში გატანა გრძელდება 11 -დან 1 საათამდე, სადილის 1 სთ-დან 5 საათამდე, ვახშმის - 8 საათამდე. რესტორანი მუშაობს ღამის 2 საათამდე. სადილის ფასი ორი კერძისგან შეადგენს 50 კაპიკს, სამი კერძისგან 70 კაპიკს. ბინაზე მიტანაში ფასს არ ახდევინებენ. რესტორანში სტუმრებისთვის მუშაობს სამი კაბინეტი“ [1, გვ.22]. აღნიშნული რეკლამის ძირითადი მიზანია, შეახსენოს კლიენტებს, რომ რესტორანი აგრძელებს საუზმის, სადილისა და ვახშმის ბინაზე მიტანით მომსახურებას, რაც უფასოდ ხორციელდება. უფასოდ მიტანის შეთავაზება გასაღების სტიმულირების საშუალებაა.

დამარწმუნებელი ხასიათისაა შემდეგი სარეკლამო განცხადება: „ერნესტ ირრუას და K საკმაოდ ცნობილი ფრანგული სახლია, რომელიც ყოველწლიურად ამერიკასა და ინგლისში აგზავნის სამ მილიონ ბოთლს. ეს შამპანური არ საჭიროებს რეკომენდაციებს, რადგანაც საუკეთესო ხარისხის არის. იყიდება როგორც ბითუმად, ასევე საცალოდ. ფასი ნორმალურია-145 მანეთი ერთ ყუთში, 50 ბოთლში“ [1, გვ.20]. მოცემული რეკლამა ხაზს უსვამს ფრანგული სახლის მიერ გასაყიდად გამოტანილი შამპანურის კონკურენტუნარიანობას (მისი ხარისხიდან გამომდინარე) და მიზნად ისახავს მასზე მოთხოვნის ამაღლებას. ფაქტობრივად, სარეკლამო განცხადება ურჩევს კლიენტებს შამპანურის ყიდვას და ცდილობს მათ დარწმუნებას ხარისხზე ორიენტაციით.

XIX საუკუნის საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, შედარებით რეკლამასაც იყენებდნენ. საწარმოების მფლობელები ამ სახის რეკლამის მეშვეობით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მომხმარებლები თავიანთი საქონლის უპირატესობაში კონკურენტების საქონელთან მიმართებით. დამარწმუნებელი რეკლამის ამ სახესხვაობას საწარმოები მიმართავდნენ სხვა საწარმოების საქონელთან ან მომსახურებასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ შესადარებლად. XIX საუკუნის ბოლოს თბილისში ერთ-ერთი სასტუმრო კლიენტებს ოთახებს სთავაზობდა შემდეგი შინაარსის განცხადებით: „იძლევა ქირით ოთახები თვიურად და

დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე. დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე. ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება დაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება. „გთხოვთ, ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროთ სხვის ორ მანეთიან ოთახს“ [9].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სარეკლამო საქმიანობის მხრივ, საქართველოში მნიშვნელოვანი წინსვლა გამოიკვეთა, რაც ბეჭდური მედიის შემდგომ განვითარებასა და რეკლამის არსში უკეთესად გარკვევას უკავშირდება. რეკლამებში ყურადღება გამახვილდა პროდუქციის დანიშნულებასა და მისგან მისაღებ სარგებელზე. ამ პერიოდში რეკლამის შემქმნელებმა უკვე გაიაზრეს, რომ სარეკლამო მიმართვის წარმატება არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმაზე, თუ რა არის მასში ნათქვამი, არამედ იმაზეც, თუ როგორ არის ნათქვამი [5, გვ. 330]. მათ ესმოდათ, რომ სარეკლამო მიმართვას უნდა მიექცია მიზნობრივი აუდიტორიის ყურადღება და გამოეწვია მისი ინტერესი.

1861 წელს სასოფლო-სამეურნეო გაზეთში „გუთნის დედა“ დაიბეჭდა პირველი ქართული რეკლამა. გაზეთის გარეკანზე დაბეჭდილი იყო შემდეგი შინაარსის რეკლამა: „დღეში ცხრა თუნგის მომწველი ფლამანდრიული ძროხა“[8]. ბეჭდურ რეკლამასთან ერთად გამოქვეყნებული იყო სურათიც. რეკლამა ინფორმაციას აწვდიდა მომხმარებლებს იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნიდან ჩამოყვანილი ძროხა რამდენ ლიტრ რძეს იწველიდა. მოცემულ რეკლამაში ყურადღებაა გამახვილებული იმ სარგებელზე, რომელსაც მომხმარებელი ფლამანდრიული ძროხის ყიდვის შემთხვევაში მიიღებდა.

რეკლამის მიზანი ლამაზი და იუმორისტული ტექსტით იყო გადმოცემული ლაღიძის წყლების სარეკლამო აბრაში, რომელიც მაღაზიაში იყო გამოკრული. რეკლამა ასე ჟღერდა: „თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლაღიძის წყალი“ [8]. ეს რეკლამა, ყველა ქალის ოცნების შესრულებაზე ორიენტირებით, მიზნად ისახავს მომხმარებლების დაინტერესების დონის ამაღლებას ლაღიძის წლებით და ამ გზით მყიდველთა რაოდენობის გაზრდას. საერთოდ, სარეკლამო მიმართვის შედგენის დროს ძალიან დიდ როლს მიმართვის იდეის სწორად ფორმირება ასრულებს. სარეკლამო მიმართვის შემდგენლებს ამ მიმართულებით სათანადო დახმარებას უწევს „ . . . საუბარი მომხმარებლებთან, დილერებთან, ექსპერტებთან და კონკურენტებთან“, სხვა იდეის წყაროებთან ერთად. ზოგიერთი, შემოქმედებითი უნარის მქონე, „მუშაკი ცდილობს, წარმოიდგინოს, თუ ოთხი ტიპის ჯილდოს - რაციონალური, გრძნობითი, საზოგადოებრივი ან თავმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი განცდის - სახით, რომლის მიღებას ვარაუდობენ მყიდველები [5, გვ. 330]. ცხადია, რაც უფრო სრულად წარმოიდგენს რეკლამის შემქმნელი, როგორი განცდის მიღებაზეა ორიენტირებული მყიდველი, მით უფრო უკეთეს შედეგს მოიტანს რეკლამა. ასეა დღეს და ასე იყო წარსულშიც.

ჩვენი აზრით, ლაღიძის წყლების რეკლამით, მისი შემქმნელები მომხმარებლებში გრძნობითი განცდის გამოწვევას ცდილობენ. რაც შეეხება გაზეთ „გუთნის დედა“-ში გამოქვეყნებულ რეკლამას, რომლითაც მომხმარებლებს მაღალი წველადობის მქონე ძროხის ყიდვას სთავაზობდნენ, ის რაციონალური გადაწყვეტილების მიღების განცდის გამოწვევას ისახავდა მიზნად. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანია როგორც მყიდველისთვის, ასევე გამყიდველისთვის.

მომხმარებელთა ყურადღების მიქცევის, მათში პროდუქტის შეძენის ინტერესის აღძვრის მიზანი კარგად ჩანს XIX საუკუნის სხვა რეკლამებშიც. 1884 წლის გაზეთ „დროების“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა ასეთი შინაარსის რეკლამა: „ინგლისის მაღაზიებში თმის ამომყვანი ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს მას. ფასი: ერთი შუშისა - 2 მანეთი. გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპიკი“ [8].

ამ რეკლამით მაღაზიამ მომხმარებლებს ლამაზი თმის ქონის შესაძლებლობა შესთავაზა „თმის ამომყვანის“ ყიდვაზე მინიშნებით. ამით, რეკლამის შემქმნელები შეეცადნენ, მომხმარებლებისთვის აღეძრათ ლამაზი თმით მათი თავმოყვარეობის დაკმაყოფილების ვარაუდი და ამ საფუძველზე შეთავაზებული საქონლის შეძენის სურვილი.

ბეჭდური რეკლამის მიმართ XIX საუკუნეში წაყენებული მოთხოვნები დაცულია 1898 წელს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ შემდეგ სარეკლამო მიმართვაში:

„პირველ ხარისხოვანი და საგანგებო ველოსიპედები

(თვით მავალა)

ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ქარხნებიდან. ყველაფერი იყიდება შეღავათიანის ფასით. ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. ყველაფერი რაც კი ამ სავაჭრო სახლიდან გაიყიდება მკვიდრი და მაგარია, რაშიც სრული თავდებობაა.

„ტორგოვი დომ" ს.პ. პავლოვისა

ტფილისში. ლორის-მელიქოვის ქ. #6" [8].

ამ რეკლმით მისი შემქმნელები ცდილობდნენ მომხმარებლის დაინტერესებას შეღავათიანი ფასის, მისი ნაწილ-ნაწილ გადახდის (იგივე განვადებით) გადახდის, სათანადო ხარისხის პროდუქტის ყიდვის გარანტიის შეთავაზებით.

მარკეტინგის გურუს - ფ. კოტლერის აზრით, რეკლამის მიზანია არა საქონელსა და მომსახურებასთან დაკავშირებული ფაქტების გადმოცემა, არამედ გადაწყვეტილებებისა და ოცნებების გაყიდვა [6, გვ.149-150]. როგორც გამოჩნდა, XIX საუკუნის საქართველოში რეკლამის შემქმნელებმა ეს უკვე იცოდნენ და მას ითვალისწინებდნენ. ისინი რეკლამებში ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ოცნებებზე, რომლის მიღწევაც სურდათ მყიდველებს ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების ყიდვით.

ოქტომბრის რევოლუციამდელი ქართული რეკლამების ნაწილში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მარკეტინგული მიდგომები. ეს კარგად ჩანს შემდეგ სარეკლამო განცხადებაში: „კოჯრის დამსვენებელთა საყურადღებოდ ქვეყნდება განცხადება: სოლოლაკში ღვინის საწყობში არსებული ღვინოები ყოველ შაბათს მიეწოდება კოჯორს, ქალაქის ფასებით. სურვილის მიხედვით შესაძლებელია ოჯახში მიტანაც. მიტანის თანხა არ იანგარიშება. ერთი ბოთლი კახური ღვინის ფასია 15 კაპიკიდან 1 მანეთამდე. ვედროებით გაცემა იწარმოება შეღავათებით. მისამართი მიუთითეთ ზუსტად. აქვე შეიძლება დილიჟანსების შეკვეთა კოჯრისა და მანგლისის მიმართულებით. ბილეთის ფასია წინა რიგში 1 მან. 20 კაპ. უკანა რიგში - 1მანეთია". აღნიშნული განცხადებიდან ვლინდება, რომ მომხმარებლისთვის ბიძგის მისაცემად ღვინის საწყობის მეპატრონე მიმართავდა სხვადასხვა მარკეტინგულ ხერხს: საქონლის დაბალი ფასებით შეთავაზება, საქონლის შინ მიტანა უფასოდ, საქონლის დიდი პარტიობით ყიდვის შემთხვევაში მყიდველისთვის დათმობის მიცემა, განსხვავებული ფასების შეთავაზება მომსახურების ადგილის მიხედვით [4, გვ. 195]. მსგავსი მარკეტიგული მიდგომები სხვა სარეკლამო განცხადებებშიც არის გამოკვეთილი.

დასასრულ, XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელებული ქართული რეკლამების შესწავლამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

- ✓ წარსულში ქართველი მეწარმეები (რეკლამის შემქმნელები) რეკლამირების ხელოვნებას სათანადოდ ფლობდნენ. მათი რეკლამების ენა გასაგები და მარტივი იყო და არ მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას აღსაქმელად. ამ მიმართულებით, ეს რეკლამები პასუხობს დღეს მოქმედ საქართველოს კანონს რეკლამის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „რეკლამა მისი წარდგენის მომენტშივე გასაგები უნდა იყოს სპეციალური ცოდნისა და ტექნიკური საშუალებების გამოუყენებლად . . ." [3, მუხლი 4, პუნქტი 1].
- ✓ რეკლამის შემქმნელებს სათანადოდ ჰქონდათ გაცნობიერებული რეკლამის მისია. იმდროინდელ და დღემდე მოღწეულ რეკლამებში გამოკვეთილია მისი ძირითადი მიზანი. ნაწილი რეკლამებისა მხოლოდ მომხმარებლების ინფორმირებას ისახავდა მიზნად, ნაწილს სურდა მომხმარებლების დარწმუნება საქონლის ყიდვის საჭიროებაში, ნაწილს კი, პროდუქტების ბაზარზე არსებობის შეხსენება მომხმარებლებისთვის. შესაბამისად აღნიშნულისა, საფუძველი ჩაეყარა ქართულ საინფორმაციო, დამარწმუნებელ და შემხსენებელ რეკლამებს.
- ✓ იმდროინდელ საქართველოში რეკლამა ვრცელდებოდა ბეჭდური მედიის საშუალებით. ამასთან, არსებობდა გარე რეკლამაც.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული ღვინის შესახებ მომხმარებლების ინფორმირებას, სარეკლამო განცხადებებში მინიშნება არ იყო მათ სარგებელზე საზოგადოებისთვის მიუღებელი ფორმით. ამ მიმართულებითაც იმდროინდელი რეკლამები ეხმაურებოდა დღეს მოქმედ საქართველოს კანონს რეკლამის შესახებ. ამ კანონში ნათქვამია: „ალკოჰოლიანი სასმელების . . . რეკლამა, გავრცელების წესის მიუხედავად, არ უნდა ქმნიდეს შთაბეჭდილებას, რომ ალკოჰოლის . . . გამოყენება ხელს უწყობს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივ თუ სპორტულ სარბიელზე წარმატების მიღწევას" [3, მუხლი 8, პუნქტი 1].

✓ რეკლამებში მოხერხებულად იყო გამოყენებული ქართული იუმორი, რაც ხელს უწყობდა მის აღქმას და დასახული მიზნის მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეკლამირების სფეროში დაგროვებული გამოცდილების შესწავლა და გაცნობიერება ხელს შეუწყობს სარეკლამო საქმიანობის შემდგომ განვითარებას ქვეყანაში.

ლიტერატურა:


1. კალანდაძე ზ. ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მატიანე. თბილისი., (2008).
2. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი., (2008).
3. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ თბ., (1998). apps.who.int/fctc/.../database/.../georgia_2016_annex8_law-_on_advertisement.pdf
4. Mghebdrishvili B. (2017). Development of Managerial and Marketing Thinking in Georgia http://www.iises.net/-proceedings/32nd-international-academic-conference-geneva/front-page
5. Котлер Ф. (2015). Основы маркетинга. Краткий курс. Пер с анг. Москва.
6. Котлер Ф. (2016). Маркетинг от А до Я. 80 концепций, которые должен знать каждый менеджер. Москва.
7. Маркетинг. Этциклопедия. (2002). Под ред М .Беикера. Пер с анг. Санкт-Петербург.
8. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=5&id_artc=34294
9. http://www.nsp.ge/view.php?id=2384
10. https://www.marketer.ge/19-saukunis-abrebi-tbilisi/


## Advertising in XIX Century Georgia


Babulia Mghebrishvili

*Doctor of Economics, Associated Professor*
*Tbilisi State university*



**Resume**

The article is dedicated to the study of methodological foundations of advertisement in the nineteenth century in Georgia. The author believes that when making decisions based on the judgments, it is desirable that managers take into consideration not only their own, but also the experience accumulated in Georgia in different issues. Obviously, the author points out that this should be done in the context of considering new situations. Based on the study of advertising announcements existing in Georgia in the nineteenth century, the author of the article concludes that: 1. in the past Georgian entrepreneurs (advertisement creators) possessed the art of advertisement. Their advertisements were performed in an understandable and simple language and did not require special knowledge. 2. Advertisers had adequate understanding of the advertising mission. Their main purpose of the advertisements that are available in that and the present day was to provide the foundation for the Georgian news, convincing and reminder advertisements. 3. Advertisements in the nineteenth century Georgia were distributed through printed media and stores signboards. 4. Information about the benefit received from the product was not provided to the public in the unacceptable form (conclusion is based on wine advertisements). 5. Georgian humor was adroitly used in advertisements, which facilitated their perception. Based on these conclusions, the author of the article believes that the study of the experience accumulated in the sphere of advertisement and putting it into practice will contribute to further development of advertising activities in the country.



***Key words: advertisement, advertisement mission, development.***


.

# ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობების თავისებურებები საქართველოში (უნივერსიტეტის სტუდენტების მაგალითზე)

ია ნაცვლიშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობების თავისებურებების გამოვლენა, იმის დადგენა, თუ რა გავლენა აქვს სტუდენტი ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობებს მათი სამეწარმეო პოტენციალის რეალიზებისთვის. ეკონომიკური კრიზისებისთვის დამახასიათებელი უარყოფითი გავლენები განსაკუთრებული სიმძაფრით აისახება სამუშაო ძალის ბაზარზე ახლად შესულ მონაწილეებზე-ახალგაზრდებზე. მათი შრომის ბაზარზე უკეთ ინტეგრირების მიზნით ახალგაზრდებს შორის ეფექტური სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანეს განვითარების სტარტეგიად მიიჩნევა. ახალგაზრდების სამეწარმეო განწყობების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი სამეწარმეო მისწრაფებების დადგენისა და ახალგაზრდობის სამეწარმეო პოტენციალის სამომავლოდ რეალიზაციის მიზნით. კვლევისას გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, ასევე სამაგიდო კვლევის მეთოდი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში ახალგაზრდობის დადებითი განწყობა მეწარმეობისადმი და მათი სამეწარმეო მისწრაფებების სპეციფიკური მახასიათებლები.*

***საკვანძო სიტყვები:** სამეწარმეო განწყობა; სამეწარმეო პოტენციალი; სამეწარმეო მისწრაფებები; ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობა.*

მიკროეკონომიკურ დონეზე სამეწარმეო აქტივობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სთავაზობს რა ინოვაციურ პროდუქტებსა და მომსახურებას სხვადასხვა ბაზარს. მას მაკროეკონომიკურ დონეზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, რადგან ხელს უწყობს დასაქმების ზრდას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა სამეწარმეო აქტივობისა და მეწარმეობისადმი ინდივიდის დამოკიდებულების მიხედვით.ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში მიმდინარე მტკივნეულ გარდამავალ პროცესებს დიდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობაში მეწარმეობისადმი განწყობის ჩამოყალიბებაზე. ზოგადად, ეკონომიკური კრიზისებისა და დაღმავლობის პერიოდებისთვის დამახასიათებელი უარყოფითი გავლენები განსაკუთრებული სიმძაფრით აისახება სამუშაო ძალის ბაზარზე ახლად შესულ მონაწილეებზე-ახალგაზრდებზე. მსოფლიო მასშტაბით უფროსი ასაკის მოსახლეობასთან შედარებით ახალგაზრდებში უმუშევრობა სამჯერ უფრო მაღალია. დასაქმებულ ახალგაზრდებს შორის ბევრ ახალგაზრადს აქვს მხოლოდ არაფორმალური, დროებითი ან აუნაზღაურებელი საოჯახო სამუშაო [3,გვ.4]. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდებს შორის ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება განვითარების უმნიშვნელოვანესსტარტეგიად მიიჩნევაახალგაზრდების შრომის ბაზარზე უკეთ ინტეგრირების მიზნით. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდობის პოტენციალის ეფექტურად გამოყენებას. ახალგაზრდების სამეწარმეო საქმიანობის ესოდენ დიდი მნიშვნელობის გამო ფრიად აქტუალურია ახალგაზრდების სამეწარმეო განწყობების შესწავლა მათი სამეწარმეო მისწრაფებებისა და პოტენციალის სამომავლოდ უკეთ გამოყენებისა და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით.

კვლევის მიზანია საქართველოში ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობების თავისებურებების გამოვლენა, იმის დადგენა, თუ რა გავლენა აქვს სტუდენტი ახალგაზრდობის სამეწარმეო განწყობებს მათი სამეწარმეო პოტენციალის რეალიზებისთვის. მეწარმეობისადმი განწყობის შესახებ არსებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების მიმოხილვის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ახალგაზრდობის მეწარმეობის მახასიათებლები მსოფლიოში და ახალგაზრდობის მეწარმეობისადმი განწყობა საქართველოში.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია გლობალური მასშტაბით სხვადასხვა ქვეყანაში მეწარმეობის ტენდეციების კვლევის მიზნით მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ორგანიზაციის - „გლობალური მეწარმეობის მონიტორი“ (Global Entrepreneurship Monitor - GEM) მიერ შექმნილი მეთოდიკა. 1999 წლიდან მოყოლებული GEM-ი ყოველწლიურად აგროვებს, აანალიზებს და ინტერპრეტირებას უკეთებს მონაცემებს ინდივიდების სამეწარმეო აქტივობის, მისწრაფებების და განწყობის შესახებ მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში.

თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში GEM-ი განიხილავს ორ ელემენტს: (1) სამეწარმეო ქცევას და ინდივიდების განწყობებს; (2) ქვეყნის ნაციონალურკონტექსტს და მისი გავლენას მეწარმეობაზე. GEM ახალგაზრდობას განმარტავს, როგორც ინდივიდებს 18 წლის ასაკიდან 34 წლამდე. ხშირად კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ახალგაზრდობაში გამოყოფილია ორი ასაკობრივი ჯგუფი: 18-24 წლის ახალგაზრდები (უმცროსი ახალ-გაზრდობა) და 25-34 წლის ახალგაზრდები (უფროსი ახალგაზრდობა) [3, გვ 4]. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ფოკუსირება მოხდა 18-24 წლის ასაკის სტუდენტ ახალგაზრდობაზე და ანკეტური გამოკითხვის კითხვარი შემუშავდა „გლობალური მეწარმეობის მონიტორის პერსპექტივა ახალგაზრდობის მეწარმეობის შესახებ“ კვლევით ანგარიშში წარმოდგენილი მეთოდიკის საფუძველზე.

კვლევა ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის მა-ის-ივნისში. ანკეტური გამოკითხვის ორგანიზებაში ავტორს დახმარებას უწევდნენ აღნიშნული უნივერსიტე-ტის მიკროეკონომიკის კათედრის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები. კვლევაში გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სულ გამოიკითხა 409 სტუდენტი, რო-გორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტარტურის საფეხურზე ფაკულტეტზე არსებული სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სამიზნე უნივერსიტის სტუდენტობის წარმომადგენ-ლებთან, ასევე ფოკუს ჯგუფები დაი ნტერესებულ პირებთან და ექპერტებთან. რაოდენობრივი კვლევის მონა-ცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამა SPSS-ის მეშვეობით.

სამეწარმეო განწყობების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის ხელშემწყობილი პოლიტი-კის ღონისძიებების დაგეგმვისთვის. გლობალური მეწარმეობის მონიტორმა 2014 წელს ჩაატარა მეწარმეობი-სადმი საქართველოს მოსახლეობის განწყობის ფართომასშტაბიანი კვლევა (2.გვ.5). ეს კვლევა გარკვეულ დო-ნეზე მოიცავს მთელ ქვეყანას, აანალიზებს მეწარმეობის მიმართ მოსახლეობის განწყობის სპეციფიკურ მახა-სიათებლებს და ახდენს შედეგების სისტემატიზაციას.რესპოდენტების აზრით, წარმატებულ მეწარმეებს მა-ღალი სტატუსი აქვთ საზოგადოებაში (ზრდასრული მოსახლეობის 75.9%) და ზრდასრულთა 66% მიიჩნევს, რომ მეწარმეობა არის კარგი კარიერული არჩევანი. ქართველების მხოლოდ 7.2% აპირებს გახსნას ან უკვე ფლობს ახალ საწარმოს. მოტივაცია სამეწარმეო აქტივობებში ჩასართავად თითქმის თანაბრადაა განაწილებუ-ლი საჭიროებით განპირობებულ მეწარმეობასა (48.6%) და შესაძლებლობით განპირობებულ მეწარმეობას (50.6%) შორის (2, გვ 8).

მეწარმეობასთან დაკავშირებული სოციალური ფასეულობების ამსახველი საქართველოს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირისა და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებლები. ეფექტიანობაზე დაფუძნებულ (efficiency-driven) ევროპის ქვეყნებს შორის საქართველო მე-6 ადგილზეა მოსახლეობის აღქმის მიხედვით, რომლის თანახმადაც ბიზნესის დაწყება კარგი კარიერული არჩევანია. ევროკავშირის და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საქართველოში მაღალია მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ (1) ბიზნესის დაწყება კარგი კარიერული არჩევანია; (2) წარმატებულ მეწარმეებს მაღალი სტატუსი აქვთ საზოგადოებაში და (3) მედიის ყურადღება მეწარმეობის მიმართ მაღალია. საქართველოს მაჩვენებელი, ასევე, უფრო მაღალია, ვიდრე ორიენტირად აღებულ ქვეყანაში - ესტონეთში (2,გვ 25).

ეფექტიანობაზე დაფუძნებული ევროკავშირის და ევროკავშირის არაწევრ ეკონომიკებთან შედარებით, საქართველოში სამეწარმეო აქტივობა ადრეულ ეტაპზე ძირითადად საჭიროებით განპირობებული (necessity driven) და არა შესაძლებლობებით განპირობებული (opportunity driven) სამეწარმეო აქტივობაა.სამოტივაციო ინდექსი - თანაფარდობა გაუმჯობესებაზე დაფუძნებულ შესაძლებლობასა და საჭიროებით განპირობებულ მეწარმეობას შორის ასახავს სამეწარმეო სიმძლავრეებს ქვეყანაში. მაღალი სამოტივაციო ინდექსი აჩვენებს გაუმჯობესებაზე დაფუძნებული მეწარმეების მაღალ წილს, რომელიც განაპირობებს უფრო გრძელვადიან და ამბიციურ მოლოდინებს საწარმოს შექმნასთან დაკავშირებით [1,გვ.43]. ყველაზე დაბალი სამოტივაციო ინდექსი აღინიშნება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, საქართველოს ჩათვლით.

საქართველოში ახალგაზრდების სამეწარმეო განწყობების ფართომასშტაბიანი კვლევა დღემდე არ ჩატარებულა. თუმცა, არსებობს ზოგადად სამეწარმეო განწყობების კვლევისადმი მიძღვნილი კვლევები. ჩვე-ნი კვლევა წარმოადგენს ამ მიმართულებით კიდევ ერთ მოკრძალებულ ნაბიჯს. იგი მოიცავს მხოლოდ ერთი (მართალია, საქართველოში უდიდესი და უპირველსი) უნივერსიტეტის ერთი ფაკულტეტის სტუდენტების გამოკითხვას. შესაბამისად კვლევის შედეგების განზოგადება მთლიანად საქართველოს მასშტაბით არ შეიძ-ლება. კვლევის შეზრუდვას წარმოადგენს ისიც, რომ ანკეტა-კითხვარის შემუშავებისას კითხვების ფორმული-

რებისთვის სტუდენტთა, ექსპერტთა და დაინტერესებულ პირთა აზრის შესწავლა მოხდა თვისებრივი მეთოდებით-ჩაღრმავებული ინტერვიუს და ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი ზოგადი ტენდენცია, რომელიც თანხვედრაშია ანალოგიური საკითხების კვლევისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილ ტენდენციებთან.

რესპოდენტთა 52,3% მდედრობითი სქესისაა, ხოლო 46,9% კიმამრობითი. რესპოდენტთა ასაკი 18-დან 25 წლამდეა. გამოკითხულთა 82,2%-ს შემოსავალი თვეში 550 ლარზე ნაკლებია. შეჭირვებულია ახალგაზრდობა და საშუალო ხელფასზე ნაკლებს იღებენ. გამოკითხულთა 50,4%-ის შემოსავალი 150 ლარზე ანუ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. სტუდენტა 48,7% არმუშაობს. 24% დაქირავებულია სხვა კერძო ორგანიზაციის/პირისმიერ, 2,2% დაქირავებული საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ, 9% თვითდასაქმებულია, 1,5% დაკავებულია მეწარმეობით მცირე და/ან საშუალო ბიზნესში, რესპოდენტების 13,4% პასუხად უთითებს - "სხვა". აღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ ჩვენი სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.

კითხვაზე- „ეწევით თუ არა მეწარმეობას (გაქვთ თუ არა საკუთარი ბიზნესი)?" რესპოდენტთა 89,7% პასუხობს უარყოფითად, დანარჩენი რესპონდენტები უთითებენ, რომ არიან თვითდასაქმებული (6,4%), ეწვიან მეწარმეობას მცირე და/ან საშუალო ბიზნესში (3,2%), ეწევიან მეწარმეობას მსხვილ ბიზნესში (0,7%). აღნიშნული ციფრები გვიჩვენებენ, რომ გამოკითხულ სტუდენტთა 10.3 % სწავლასთან ერთად დაკავებულია მეწარმეობით.

კითხვაზე - „რომ შეგეძლოთ, ისურვებდით თუ არა, ყოფილიყავით მეწარმე/თვითდასაქმებული?" -რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (94,9%) პასუხობს დადებითად. ასეთი მაღალი რიცხვი მიუთითებს სტუდენტი ახალგაზრდების მეწარმეობისადმი უაღრესად დადებით დამოკიდებულებაზე.

ზოგადად, უფროსი ასაკის (25-34 წლის) ახალგაზრდები ამჟღავნებენ სამეწარმეო მისწრაფებების უფრო მაღალ დონეს, ვიდრე უმცროსი ასაკის (18-24 წლის) ახალგაზრდები. თუმცა, როგორც კვლევები გვიჩვენებს, იმედის მომცემია ის გარემოება, რომ უმცროსი ასაკის ახალგაზრდების თითქმის 40%-ს აქვს პერსონალური კონტაქტები დამწყებ მეწარმეებთან [3. გვ. 4]. მეწარმეებთან პერსონალური კონტაქტების საშუალებით ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიძინონ სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეწარმეო განათლების იმგვარად განხორციელება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობდეს სტუდენტი ახალგაზრდების მეწარმეებთან კონტაქტების გაღრმავებას.

კითხვაზე - „თქვენი აზრით, რა არის ყველაზე დიდი საშიშროება სამეწარმეო საქმიანობისთვის?" პასუხებიდან ჩანს, რომ რესპონდენტთა უმეტესობისთვის (42,8%) გაკოტრების საფრთხეა ყველაზე დიდი საშიშროება, რესპონდენტთა 35,7%-ს ყველაზე დიდ საშიშროებად არარეგულარული შემოსავალი მიაჩნია, ხოლო რესპოდენტთა 21,0% მეწარმეობისთვის ყველაზე დიდ საშიშროებად სხვა ფაქტორებს მიიჩნევს.

პასუხები კითხვაზე - „მიგაჩნიათ თუ არა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდებით მეწარმეობით დაკავებული?" - მიანიშნებენ ახალგაზრდების საკმაოდ ოპტიმის ტურგანწყობებსა და ამბიციურ გეგმებზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას თანდაკავშირებით. რესპონდენტთა 65,5% დადებითად პასუხობს კითხვას და მიუთითებს, რომ გახდება თვითდასაქმებული (22,7%), დაიწყებს მეწარმეობას მცირე და/ან საშუალო ბიზნესში (36, 2%), დაიწყებს მეწარმეობას მსხვილ ბიზნესში (6,6%).

ახალგაზრდების საკმაოდ ოპტიმისტურ განწყობებსა და ამბიციურ გეგმებზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიანიშნებს, ასევე, რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე - "არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, თვითდასაქმებული გირჩევნიათ იყოთ, თუ სხვა ორგანიზაციის/პირის მიერ დაქირავებული?". რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (85,1%) აირჩევდა თვითდასაქმებულად ყოფნას.

ზოგადად, გამოკითხულთა უმრავლესობა გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას ეკონომიკის კერძო სექტორისადმი. მათთვის სახელმწიფო სექტორთან შედარებით კერძო სექტორში დასაქმება უფრო სასურველია. პასუხები კითხვაზე "არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, სახელმწიფო სექტორში (საბიუჯეტო ორგანიზაციებში) ისურვებდით დასაქმებას თუ კერძო სექტორში?ო ასე გადანაწილდა: რესპოდენტთა 33,7% სახელმწიფო სექტორში ისურვებდა დასაქმებას, ხოლო კერძო სექტორში დასაქმებას ისურვებდა გამოკითხულთა 63,8%.

სამეწარმეო საქმიანობისთვის ეკონომიკის სასურველ სექტორებს შორის რესპონდენტებისთვის ყველაზე მიმზიდველი პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: საბანკო, საფინანსო და სადაზღვევო მომსახურებას (18,6%), ვაჭრობა/კომერცია (13,7%), ტურიზმი/საკურორტო მეურნეობა (12,5%), სოფლის მეურნეო-

ბა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება (11%), სასტუმროები დ არესტორნები, კვების ობიექტები (10%). უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტებისთვის ტურიზმი/საკურორტო მეურნეობა და სასტუმროები/რესტორნები, კვებისობიექტები ერთობლივად ჯამში ყველაზე უფრო მიმზიდველია სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად (22,5%) და უფრო მეტად სასურველია, ვიდრე საბანკო, საფინანსო და სადაზღევვო მომსახურება. ეს განწყობები სავსებით შეესაბამება საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარების სამომავლო პოტენციალს(იხ. ცხრილი1).

ეკონომიკის სასურველი სექტორები მეწარმეობის დასაწყებად

ცხრილი 1

არჩევანის საშუალება რომ გქონდეთ, რომელ სექტორში ისურვებდით თვითდასაქმებას/მეწარმეობის დაწყებას?

| | სიხშირე | პროცენტი | ვალიდური პროცენტი | კუმულაციური პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება | 45 | 11.0 | 11.0 | 11.0 |
| მრეწველობა | 29 | 7.1 | 7.1 | 18.1 |
| ვაჭრობა/კომერცია | 56 | 13.7 | 13.7 | 31.8 |
| მშენებლობა | 18 | 4.4 | 4.4 | 36.2 |
| ტრანსპორტი | 5 | 1.2 | 1.2 | 37.4 |
| კავშირგაბმულობა | 2 | .5 | .5 | 37.9 |
| სათბობი, ენერგეტიკა | 4 | 1.0 | 1.0 | 38.9 |
| ტურიზმი, საკურორტო მეურნეობა | 51 | 12.5 | 12.5 | 51.3 |
| საფინანსო, საბანკო, სადაზღვევო მომსახურება | 76 | 18.6 | 18.6 | 69.9 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით | 9 | 2.2 | 2.2 | 72.1 |
| ჯანდაცვა | 2 | .5 | .5 | 72.6 |
| განათლება, კულტურა, დასვენება | 39 | 9.5 | 9.5 | 82.2 |
| სასტუმროები და რესტორნები, კვების ობიექტები | 41 | 10.0 | 10.0 | 92.2 |
| სხვა მომსახურება | 6 | 1.5 | 1.5 | 93.6 |
| სხვა | 26 | 6.4 | 6.4 | 100.0 |
| სულ | 409 | 100.0 | 100.0 | |

მეწარმეობისადმი დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად და გრძელვადიან პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ოპტიმისტური მოლოდინის პარალელურად (როგორც აღვნიშნეთ, რესპონდენტთა მხოლოდ 34% პასუხობს უარყოფითად კითხვაზე - „მიგაჩნიათ თუ არა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში გახდებით მეწარმეობით დაკავებული?"), რესპონდენტები საკმაოდ პესიმისტურად არიან განწყობილი მოკლევადიან პერიოდში. გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში მათ საცხოვრებელ ადგილზე არიქნება სამეწარმეო საქმიანობის დაწყების კარგი შესაძლებლობა. კითხვაზე - "თქვენი აზრით, მომავალი ექვსი თვის განმავლობაში თქვენი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქნება თუ არა ბიზნესის დაწყების კარგი შესაძლებლობა?", გამოკითხულთა 30,1% პასუხობს დადებითად, ხოლო 69,2% უარყოფითად.

სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ მათ არ გააჩნიათ სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად სათანადო ცოდნა და გამოცდილება. კითხვაზე "თქვენი აზრით, გაქვთ თუ არა ახალი ბიზნესის დასაწყებად საჭირო ცოდნა, უნარები და გამოცდილება?", დადებითად პასუხობს მხოლოდ გამოკითხულთა 37,7%, ხოლო უარყოფითად რესპოდენტთა 62,3% პასუხობს.

იმედის მომცემია პასუხები კითხვაზე - "პირადად იცნობთ ვინმეს, ვინც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაიწყო ბიზნეს საქმიანობა/გახდა მეწარმე?". რესპოდენტთა 70,2% დადებითად, ხოლო 29,3% უარყოფითად პასუხობს მოცემულ შეკითხვას. ის ფაქტი, რომ სტუდენტი ახალგაზრდების 70,2% პირადად იცნობს პიროვნებას, რომელმაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაიწყო ბიზნეს საქმიანობა, დამაიმედებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ახალგაზრდების სამეწარმეო განზრახვებისა და მეწარმეობისადმი მათ

დამოკიდებულებების ფორმირებაზე დადებითად მოქმედებს მეწარმეებთან ნაცნობობა და მათი საქმიანობის წარმატებული მაგალითები.

რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე “თქვენ იაზრით, სად შეიძინეთ/სად შეიძლება შეიძინოთ ისეთი უნარები, როგორიცაა თვითეფექტიანობა/საკუთარი ძალებისადმი რწმენა, შესაძლებლობის შემჩნევა, სარისკო მოქმედების/გარისკვის სურვილი?” იძლევა ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას მეწარმეობისთვის საჭირო ინდივიდუალური უნარების გამომუშავების პოტენციური წყაროების შესახებ. რესპონდენტთა 58,7% ფიქრობს, რომ ასეთი უნარების გამომუშავება ხდება საწარმოში/ორგანიზაციაში მუშაობით, 21,3% მიიჩნევს, რომ მოცემული უნარების გამომუშავება შესაძლებელია განათლების მიღების დროს, რესპოდენტთა მხოლოდ 4,9% თვლის, რომ სოციალიზაციის პროცესში ხდება მეწარმეობისთვის საჭირო უნარების გამომუშავება. მოცემულ შეკითხვაზე რესპოდენტთა 13,4% პასუხად “სხვა”-ს მიუთითებს (იხ. ცხრილი 2).

ქართველი რესპონდენტებისგან განსხვავებით, ზოგადად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ახალგაზრდა ადამიანებს არ შეუძენიათ ისეთი სამეწარმეო უნარები, როგორიცაა თვითეფექტიანობა/საკუთარი ძალებისადმი რწმენა, შესაძლებლობის შემჩნევა, სარისკო მოქმედების/გარისკვის სურვილი საწარმოში მუშაობით მიღებული გამოცდილებით. ამის ნაცვლად, ახალგაზრდები იძენენ აღნიშნულ უნარებს სოციალიზაციის პროცესში (თუ მშობლები არიან მეწარმეები) და განათლების მეშვეობით [3,გვ. 9].

**მეწარმეობისთვის საჭირო უნარების შეძენის შესაძლებლობები**

ცხრილი 2.

**თქვენი აზრით, სად შეიძინეთ/სად შეიძლება შეიძინოთ ისეთი უნარები, როგორიცაა თვითეფექტურობა/საკუთარი ძალებისადმი რწმენა, შესაძლებლობის შემჩნევა, სარისკო მოქმედების/გარისკვის სურვილი?**

| | სიხშირე | პროცენტი | ვალიდური პროცენტი | კუმულაციური პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| საწარმოში/ორგანიზაციაში მუშაობით | 240 | 58.7 | 58.7 | 58.7 |
| განათლების მიღების დროს | 87 | 21.3 | 21.3 | 80.0 |
| მეწარმეობით დაკავებული მშობლებისგან (სოციალიზაციის პროცესში) | 20 | 4.9 | 4.9 | 84.8 |
| სხვა | 55 | 13.4 | 13.4 | 98.3 |
| მონაცემი არ არის | 7 | 1.7 | 1.7 | 100.0 |
| სულ | 409 | 100.0 | 100.0 | |

ახალგაზრდების სამეწარმეო განათლებასა და ტრეინინგში ინვესტირების უდიდესი მნიშვნელობის დამადასტურებლად გამოდგება ის გარემოება, რომ ბევრ ახალგაზრდა ადამიანს განზრახული აქვს გახდეს მეწარმე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანი იწყებს სამეწარმეო საქმიანობა, სავარაუდოდ, არასაკმარისი ტრეინინგის გამო [3,გვ.10]. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულიაუმაღლეს სასწავლებლებში სამეწარმეო განათლების ხელშეწყობა, ხოლო ბიზნესის და ეკონომიკის პროფილის საგანმანათლებლო კურიკულუმებში საწარმოო/ორგანიზაციაში პრაქტიკისა და სტაჟირებისკომპონენტის გაზრდა.

ანალიზისთვის საინტერესო მასალას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა დიდ უმრავლეობა საქვს მეწარმეობის დაწყების სურვილი. კითხვაზე “გსურთ თუ არა, გახდეთ მეწარმე?“ გამოკითხულთა 86,8% პასუხობს დადებითად, უარყოფითად პასუხობს მხოლოდ გამოკითხულთა 12%. მეწარმეობის დაწყების მსურველთა ასეთი დიდი ციფრი შესაძლებელია ავხსნათ ე. წ. “საჭიროებით წამოწყებული მეწარმეობის” ფენომენით და იმ ვითარებით, რომ დღეისთვის საქართველოში ისედაც მაღალი უმუშევრობის პირობებში განსაკუთრებით დიდია უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის. დასაქმების მწირი შესაძლებლობების ფონზე თვითდასაქმების/მეწარმეობის დაწყების მსურველთა რაოდენობა მაღალია.

მეწარმეობის დასაწყებად მთავარ დაბრკოლებათა პირველი სამეული შემდგენაირად გამოიყურება: გამოკითხულ რესპონდენტთა 44,5% მიიჩნევს, რომ მთავარ დაბროკოლებას მეწარმეობის დასაწყებად წარმოად-

გენს არასაკმარისი ფინანსები, რესპონდენტთა 26,4%-ს მიაჩნია, რომ არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება, განათლება და ტრეინინგი არის მათთვის მთავარი დაბრკოლება ბიზნესის დასაწყებად, ხოლო რესპონდენტთა 14,2% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული არახელსაყრელი სამეწარმეო გარემო არის მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი.

მეწარმეობის დაწყების მთავარი დაბრკოლებები

ცხრილი 3.

**რა მიგაჩნიათ თქვენი მეწარმედ გახდომის (თქვენი ბიზნესის დაწყების) მთავარ დაბრკოლებად?**

| | სიხშირე | პროცენტი | ვალიდური პროცენტი | კუმულაციური პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| არასაკმარისი ცოდნა-გამოცდილება, განათლება და ტრეინინგი | 108 | 26.4 | 26.4 | 26.4 |
| არასაკმარისი ფინანსები ბიზნესის დასაწყებად | 182 | 44.5 | 44.5 | 70.9 |
| ქვეყანაში არსებული არახელსაყრელი სამეწარმეო გარემო | 58 | 14.2 | 14.2 | 85.1 |
| წარუმატებლობის შიში | 29 | 7.1 | 7.1 | 92.2 |
| სხვა | 27 | 6.6 | 6.6 | 98.8 |
| მონაცემი არ არის | 4 | 1.0 | 1.0 | 99.8 |
| არ ვიცი | 1 | .2 | .2 | 100.0 |
| სულ | 409 | 100.0 | 100.0 | |

ქართველი რესპონდენტების მსგავსად, ევროპის ქვეყნებშიც, კერძო სექტორის მხრიდან არასაკმარისი ფინანსური დახმარება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დაბრკოლებას ბიზნესსაქმიანობაში ახალგაზრდა მეწარმეებს შორის [3, გვ. 11].

საინტერესო აღმოჩნდა მონაცემები იმის შესახებ, თუ რამიაჩნიათ რესპონდენტებს მთავარ პრობლემად დღეისთვის საქართველოში: რესპონდენტთა დაახლოებით 42%-ს მთავარ პრობლემად მიაჩნია დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე/უმუშევრობა, დაახლოებით 17%-სიღარიბე, 15% მიიჩნევს მთავარ პრობლემად კორუფციას და ნეპოტიზმს, ხოლო ოკუპირებული ტერიტორიები მთავარ პრობლემად მიაჩნია რესპოდენტთა დაახლოებით 12%. ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დასაქმების შესაძლებლობების სიმწირე მიჩნეულია ქვეყნის ყველაზე დიდ პრობლემად მსოფლიო მოსახლეობის 2/3-ზე მეტის მიერ (აზიაში-62%, ჩრდილოეთ ამერიკაში 64%, ახლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში-70%, ლათინურ ამერიკაში-79% და საჰარის ქვემოთ მდებარე აფრიკაში-88%) [3,გვ.7].

**დასკვნები და რეკომენდაციები**: კვლევის შედეგები მეტყველებს ახალგაზრდობის საკმაოდ ოპტიმისტურ მოლოდინებზე, მეწარმეობისადმი დადებით განწყობებსა და ახალგაზრდობის ამბიციურ გეგმებზე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უმრავლესობა გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას ეკონომიკის კერძო სექტორისადმი. მათთვის სახელმწიფო სექტორთან შედარებით კერძო სექტორში დასაქმება უფრო სასურველია. გრძელვადიან პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის დაწყების ოპტიმისტური მოლოდინის პარალელურად რესპოდენტები საკმაოდ პესიმისტურად არიან განწყობილი მოკლევადიან პერიოდში.

კვლევის შედეგები იძლევა ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას მეწარმეობისთვის საჭირო ინდივიდუალური უნარების გამომუშავების პოტენციური წყაროების შესახებ. გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ მათ არ გააჩნიათ სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად სათანადო ცოდნა და გამოცდილება. რესპოდენტთა 58,7% ფიქრობს, რომ ასეთი უნარების გამომუშავება ხდება საწარმოში/ორგანიზაციაში მუშაობით, 21,3% მიიჩნევს, რომ მოცემული უნარების გამომუშავება შესაძლებელია განათლების მიღების დროს,

რესპოდენტთა მხოლოდ 4,9% თვლის, რომ სოციალიზაციის პროცესში ხდება მეწარმეობისთვის საჭირო უნარების გამომუშავება.

გამოკითხული სტუდენტი ახალგაზრდების 70,2% პირადად იცნობს პიროვნებას, რომელმაც უკანასკნელი ორიწლის განმავლობაში დაიწყო ბიზნეს საქმიანობა. ეს ფაქტი-მეწარმეებთან ნაცნობობა და მათი საქმიანობის წარმატებული მაგალითები, ახალგაზრდების სამეწარმეო განზრახვებისა და მეწარმეობისადმი მათ დამოკიდებულებების ფორმირებაზე დადებითად მოქმედებს. მეწარმეებთან პერსონალური კონტაქტების საშუალებით ახალგაზრდებს შეუძლიათ შეიძინონ სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეწარმეო განათლების იმგვარად განხორციელება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ხელს უწყობდეს სტუდენტი ახალგაზრდების მეწარმეებთან კონტაქტების გაღრმავებას. ამასთან,რეკომენდებულიაუმაღლეს სასწავლებლებში სამეწარმეო განათლების ხელშეწყობა, ხოლო ბიზნესის და ეკონომიკის პროფილის საგანმანათლებლო კურიკულუმებში საწარმოში პრაქტიკისა და სტაჟირების კომპონენტის გაზრდა.

## ლიტერატურა:


1. Global Entrepreneurship Monitor. (2014). *GEM Global Report, 2014.*[online] Available athttp://www.gemconsortium.org/report[Accessed 20 December, 2016].
2. Lezhava, B., Brekashvili P., Melua I., (2015). *Global Entrepreneurship Monitor., 2014 Georgia Report).* [online] Available at http://www.cu.edu.ge/images/caucasus_university/docs/csb/GEM%20Georgia/Georgia_GEM_National_Report_2014-%20final_CS.pdf [Accessed 20 December 2016].
3. Schottt Thomas, Kew Penny, Cheraghi Maryam., (2015). Future Potentia. A GEM Perspective on Youth Entrepreneurship 2015. [online] Available at http://www.gemconsortium.org/report [Accessed 20 March, 2017].


## Characteristics of Youth Entrepreneurial Attitudes in Georgia (Case of University Students)


Ia Natsvlishvili

*Associate Professor*
*Tbilisi State University*



**Resume**

The research paper aims to identify the characteristics of youth entrepreneurial attitudes in Georgia. It aims to find out what are the effects of entrepreneurial attitudes of young population on realization of youth entrepreneurial potential. Recent years governments, business and civil society leaders collaborate to focus on inclusive and sustainable growth to increase the number of better job opportunities for all groups of population. Economic downturns have especially negative effects on youth as a new entrants on labor market. Fostering the effective entrepreneurial activities among young population is considered as important development strategy for the better integration of young population into the labor market. Exploration of youth entrepreneurial attitudes is an important task for the identification of youth entrepreneurial propensity and for its future realization. In the research process quantitative and qualitative research methods as well as desktop research method were used to address the research question. Research results show the youth positive attitudes toward entrepreneurship in Georgia and represent the specific characteristics of their entrepreneurial propensity.



*Keywords: Entrepreneurial Attitudes; Entrepreneurial Potential; Entrepreneurial Propensity; Youth Entrepreneurial Attitudes.*

## ორგანიზაციული კულტურა, როგორც სამეურნეო პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი

მაია ნიკვაშვილი

*დოქტორანტი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ორგანიზაციული კულტურა ყოველთვის იყო ადამიანთა შემოქმედებითი მუშაობის განუყოფელი ნაწილი, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის პირობებში. დღეს, იგი ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო სტაბილურად და ეფექტიანად მუშაობს ნებისმიერი შრომითი კოლექტივი. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციული კულტურის, როგორც ეკონომიკური ფენომენის კვლევის საკითხებს საქართველოში ნაკლები ყურადღება ექცევა. სწორედ მოცემულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სამეცნიერო სტატია.*

*საკვანძო სიტყვები: ორგანიზაცია, ორგანიზაციული კულტურა, კულტურის ფორმირება, ფასეულობები, როლის კულტურა, შრომითი კოლექტივი.*

ორგანიზაციული კულტურა, როგორც უკვე აღინიშნა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი შრომითი კოლექტივის წარმატებისათვის, იგი უშუალო კავშირშია ორგანიზაციის, როგორც ინტერესთა ერთობლიობის, იმიჯის შექმნასთან. ორგანიზაციული კულტურა, მისი ძირითადი ფასეულობები დღეისათვის თანამედროვე შრომითი კოლექტივის აუცილებელ აქტივად იქცა. იგი ორგანიზაციის წევრების მიერ არჩეული, შექმნილი და გათავისებული ნორმების, პირობებისა და მორალური ფასეულობების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციულ მთლიანობას და გარემოში ადაპტაციას.

XX საუკუნის მე-2 ნახევარში ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა იაპონურმა გამოცდილებამ, კერძოდ, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების იაპონური კონცეფციის წარმატებამ. მისი საფუძველი იყო საზოგადოების ტრადიციებზე დამყარებული სპეციფიკური ორგანიზაციული კულტურა. ნათელი გახდა, რომ „მკაცრ“ ინსტრუმენტებსა (ორგანიზაციული სტრუქტურა, გეგმები, ბიუჯეტი და სხვ.) დამყარებულ მეთოდებზე დაფუძნებული ტრადიციული მმართველობითი თეორიები სათანადოდ ვერ ამართლებს.

ახლა მმართველობითმა სტრუქტურებმა ძირეულად შეცვალეს დამოკიდებულება ორგანიზაციული კულტურისადმი. ისინი მას აქტიურად იყენებენ როგორც კონკურენტუნარიანობის, ადაპტაციისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მძლავრ ფაქტორს. რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო ნაკლებად მოითხოვს წარმოების პერსონალი ხელმძღვანელობიდან დირექტივებს, მუშაობის დეტალურ სქემებსა და ინსტრუქციებს. ამასთან ერთად, რაც უფრო მაღალია ორგანიზაციული კულტურა, მით უფრო მაღალია მისი პრესტიჟი და კონკურენტუნარიანობა.

“”†–-““‖-‘‣,‘ კულტურა განიხილება როგორც მძლავრი სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ორგანიზაციის ყველა ქვედანაყოფი და მათი თითოეული წევრი მომართოს ძირითად მიზნებზე. იგი ახდენს თანამშრომელთა ინიციატივის მობილიზებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციისადმი ერთგულებას და აადვილებს ადამიანებს შორის ურთიერთობასნ [1, გვ. 339].

გლობალიზაციის პირობებში ორგანიზაციული კულტურის ცნება გაფართოვდა და სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ყოველ ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი კულტურა, რაც მოიცავს ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას და პრინციპებს, ფასეულობათა სისტემას, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებს და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს. ორგანიზაციული კულტურა არის აზროვნების სტილი და მოქმედებების საშუალება, რომელიც გადაიზარდა ჩვევებში და გახდა ტრადიცია. მას ამა თუ იმ ხარისხით იზიარებს ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი. აუცილებელია ორგანიზაციის ახალბედა წევრებმა ის გაითავისონ და აღიარონ, რათა გახდნენ კოლექტივის სრულფასოვანი წევრები.

ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ძლიერი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება, რაც უმაღლესი დონის მენეჯერების პრეროგატივაა. თუმცა, აქ ვაწყდებით ერთ სერიოზულ პრობლემას, რაც აფერხებს ამ მიმართულების განვითარებას საქართველოში. ძირითადად იგი მდგომარეობს ორგანიზაციული კულტურის თეორიულ-მეთოდოლოგიური მექანიზმების არასათანადოდ შესწავლაში.

ყველა ორგანიზაციას, როგორც უკვე აღინიშნა აქვს საკუთარი კულტურა, რომელიც განსაზღვრავს როგორ უნდა და როგორ არ უნდა იქცეოდნენ მისი მუშაკები. ნებისმიერ კომპანიაში არსებობს და მოქმედებს განსაზღვრული სისტემების და ფასეულობების, სიმბოლოების, რიტუალების, ტრადიციების და წესრიგის მოდელები, რომლებიც განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ გარკვეული დროის განმავლობაში. ასეთი ფასეულობათა სისტემები, რომლებიც ხდებიან საერთო ორგანიზაციის ყველა წევრისთვის, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმას, თუ როგორ ხედავენ მუშაკები გარემომცველ სამყაროს და როგორ რეაგირებენ მასზე, რაიმე პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში. ორგანიზაციული კულტურა შემოსაზღვრავს მუშაკთა შესაძლო ქმედებებს, მართებული მიმართულების შეთავაზებით _ ,,ისე როგორც მიღებულია ჩვენს ორგანიზაციაშიო, რაც ეხმარება ადამიანებს გამოავლინონ, გაიაზრონ, გააანალიზონ და გადაწყვიტონ ეს პრობლემა.

ადამიანები ორგანიზაციულ კულტურას აღიქვამენ კონკრეტულად, იქიდან გამომდინარე, თუ რას ხედავენ და ესმით თავიანთ ორგანიზაციაში. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მოსამსახურეებს აქვთ განსხვავებული განათლება, პროფესიული მომზადება და მუშაობენ განსხვავებულ ორგანიზაციულ დონეებზე, მიდრეკილნი არიან ორგანიზაციული კულტურა აღწერონ ერთნაირად, და ბოლოს, ეს არის განსაკუთრებით აღწერადი ტერმინი. იგი ეხება თანამშრომელთა მიერ საკუთარი ორგანიზაციის აღქმას და მისი შეფასებისა და მოწონების დონეს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ორგანიზაციული კულტურა და ორგანიზაციული კლიმატი იდენტური ცნებებია.

სინამდვილეში, ორგანიზაციული კულტურა მაკრო დონის ფენომენია, რომელიც მოიცავს რწმენებს, დაშვებებს, ღირებულებებს და ქცევებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანურ ურთიერთობებზე, ხოლო ორგანიზაციული კლიმატი კი არის მიკრო დონის ცნება და ასახავს ორგანიზაციის წევრთა დამოკიდებულებას მორალთან, კეთილგანწყობასთან, ორგანიზაციის წევრთა ურთიერთობასთან. იგი ასევე დაკავშირებულია სამუშაოთი კმაყოფილებასთან და ასახავს ფსიქოლოგიურ გარემოს, რომელიც კავშირშია ორგანიზაციის წევრთა ქცევასთან.

ორგანიზაციული კულტურა აძლიერებს ორგანიზაციის მიმართ ერთგულებას და ზრდის დაქირავებულის ქცევის ლოგიკურობას. ამას ორგანიზაციისათვის კი აშკარა სარგებლობა მოაქვს. დაქირავებულის თვალსაზრისით, კულტურა ღირებულია, რადგან ის შედარებით გარკვეულს ხდის ყველაფერს. ის ამცნობს დაქირავებულებს თუ როგორ სრულდება სამუშაო და რა არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციისათვის. მაგრამ, ამასთანავე არ უნდა უარვყოთ კულტურის, განსაკუთრებით კი ძლიერი კულტურის პოტენციურად დისფუნქციური ასპექტები, რაც ორგანიზაციის ეფექტიანობაზე ახდენს გავლენას.

ორგანიზაციული კულტურა დამაბრკოლებელი ხდება, როცა საერთო ფასეულობები წინააღმდეგობაშია ორგანიზაციის ხელშემწყობ ფაქტორთან. ამის ალბათობა ყველაზე დიდია, როცა ორგანიზაციის გარემო დინამიკურია. თუ მასში სწრაფი ცვლილებები ხდება, ორგანიზაციაში დამკვიდრებული კულტურა შეიძლება ორგანიზაციას აღარ შეეფერებოდეს. ქცევის თანმიმდევრულობა ორგანიზაციისათვის სასრგებლოა, როცა იქ მდგრადი გარემოა, მაგრამ გარკვეულ პირობებში იგი შესაძლოა ორგანიზაციისათვის ტვირთიც გახდეს და ორგანიზაციის ცვლილებებზე რეაგირება გაართულოს.

შრომითი კოლექტივის საქმიანობის ორგანიზაციის უმთავრესი ელემენტების ადგილი მენეჯმნენტში მკაფიოდაა განსაზღვრული: მენეჯმენტის ფუნქციებს ახორციელებს პერსონალის განსაზღვრული ნაწილი (მმართველები), ხოლო ორგანიზაციული კულტურა, მიუხედავად მისი უხილავობისა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე.

ჩ. ჰენდი გამოყოფს ძალაუფლებაზე, როლზე, ამოცანებსა და პიროვნებაზე დაფუძნებულ ორგანიზაციულ კულტურებს. ძალაუფლების კულტურაში დომინირებს ორგანიზაციის ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს ძალაუფლების ყველა ბერკეტს და ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მუშაკებზე. შემსრულებლები ახორ-

ციელებენ დასახულ პოლიტიკას და ახალი სიტუაციის ინტერპრეტაციისას ეყრდნობიან ხელმძღვანელის შეფასებას. ეს კულტურა დამახასიათებელია მცირე სტრუქტურებისათვის, რომელთა ხელმძღვანელებად ძირითადად გვევლინებიან კომპანიის დამაარსებლები. ფორმალურ წესებზე უფრო მეტად ასეთ ორგანიზაციებში ყურადღება გადატანილია ქცევისა და შრომის მკაცრ ნორმებზე. ასეთი კოლექტივები გარემოში ადაპტაციისას ამჟღავნებენ განსაზღვრულ მობილურობას და სწრაფი რეაქციის უნარს, ორგანიზაციული ზრდის კვალობაზე კი სუსტდება არსებულ პროცესებზე ლიდერის კონტროლი.

როლის კულტურა დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია. ის ეფუძნება მენეჯერების მიერ სამუშაოებისა და პროცედურების დაწვრილებით აღწერას. როლის კულტურაში გამოკვეთილია თუ რას მოელის მენეჯერი შემსრულებლისგან და ამის მიხედვით ხორციელდება მათი შერჩევა. ინდივიდის მდგომარეობას იერარქიაში განსაზღვრავს მისი უფლებამოსილებები და თანამდებობრივი ძალაუფლება. ეს კულტურა შეესატყვსება სტაბილური გარემოს პირობებში მართვას, როცა ცოდნა და გამოცდილება განსაზღვრავს ყველაფერს. როლის კულტურა დამახასიათებელია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის. მას მიმართავს ზოგიერთი მსხვილი კომპანიაც. თუმცა, დინამიკური გარემოს პირობებში მისი ეფექტიანობა ძალზე დაბალია.

დავალებათა კულტურაში ყურადღება გამახვილებულია ორგანიზაციული ამოცანების განხორციელებაზე: თანამშრომლები ერთმანეთს აფასებენ ამ ამოცანათა განხორციელებაში შეტანილი წვლილის მიხედვით და კოლეგების ურთიერთდახმარება ჩვეულებრივი მოვლენაა; მუშაობას აქვს გუნდური ხასიათი და აქცენტი გადატანილია რესურსების გაერთიანებაზე; უნარ-ჩვევები და გამოცდილება დავალებათა კულტურაში ძალაუფლების საფუძველია. ორგანიზაციული კულტურა ხასიათდება მოქნილობითა და გარემოში ადაპტაციის დიდი შესაძლებლობებით. დავალებათა კულტურა შეესაბამება მაღალტექნოლოგიური წარმოებების, ფინანსური კომპანიების, საკონსულტაციო ფირმების, კვლევითი ლაბორატორიებისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების კულტურას. დავალებათა კულტურაში გაძნელებულია რესურსებზე კონტროლი. პიროვნების კულტურა ორგანიზაცული კულტურაა, რომელშიც თანამშრომელთა საქმიანობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ინდივიდების (ორგანიზაციის წევრების) სურვილები. აქ ყურადღების ცენტრში დგას პიროვნება, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს მთელი ორგანიზაციული სისტემა. ამ კულტურასთან ყველაზე ახლოსაა პროფესიულ და შემოქმედებით კავშირებში დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურები. სამმართველო პრაქტიკაში პიროვნების ორგანიზაციული კულტურა სრუყოფილი სახით იშვიათად გვხვდება, მაგრამ ტრადიციულ ორგანიზაციებშიც კი არიან ინდივიდები და ადამიანთა ჯგუფები, რომელთათვისაც პიროვნული და პროფესიული ინტერესი ყველაზე მაღლა დგას [2, გვ.106 ].

ჩვეულებრივ, როცა საუბარია ორგანიზაციულ კულტურაზე, როგორც წესი, იგულისხმება, რომ იგი შედგება რამდენიმე შემადგენლის – სუბკულტურისაგან. სუბკულტურა – შეესატყვისება ორგანიზაციაში დომინირებულ კულტურას, ან ძირითადად იზიარებს მის მთავარ ფასეულობებს და დამატებით გააჩნია სხვა მახასიათებლებიც. ორგანიზაციაში შემავალი ქვეგანყოფილებების, რეგიონების, ფუნქციონალური ერთეულების ფასეულობები, ფილოსოფია, სამუშაოს შესრულების მეთოდები და ა.შ. ხშირად მნიშვნელოვნად განხვავებულია. ქვეგანყოფილებების სუბკულტურები შეიძლება შეესაბამებოდეს ერთმანეთს ან იყოს მკვეთრად განსხვავებული. გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც წესი ეფუძნება მულტიკულტურას, რაც აიხსნება კორპორაციაში შემავალი წევრების განსხვავებული ტრადიციებითა და ფსიქოლოგიით, რომლებიც ხშირად სხვა ენაზეც კი საუბრობენ. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სუბკულტურები, გლობალურ და ტრანსნაციონალურ კორპორაციაში არ გამორიცხავს ერთიანობას. ტრანსნაციონალური კომპანიები სწავლობენ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კულტურული ტრადიციების გატანას სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში, რასაც აღწევენ ერთიანი კორპორატიული კულტურის შექმნით.

საქართველოს საბანკო სისტემაში ორგანიზაციული კულტურის საკითხებზე ჩვენს მიერ ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის შედეგი ასეთია: პირველი კითხვა ეხებოდა იმის დადგენას, თუ რამდენი სამუშაო წელი ჰქონდა გატარებული თითოეულ კომპანიაში თანამშრომელს.

ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ 1-დან 3 წლამდე ერთ ორგანიზაციაში მუშაობდა რესპოდენტთა უმრავლესობა (60%), გამოკითხულთა 30% მხოლოდ 1 წლამდე, ხოლო 10% მუშაობდა 5 წლამდე და მეტხანს. მიუხედავად არსებული შედეგებისა, კვლევა ცხადყოფს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა საკმაოდ კარგად იცნობს თავის ორგანიზაციულ კულტურას. კითხვაზე - გამოირჩევა თუ არა მათი როგანიზაციები რაი-

მე მახასიათებლებით, 94%-მა უპასუხა რომ გამოირჩევა, 4%-მა უპასუხა რომ არა, ხოლო 2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 78% ეთანხმება ორგანიზაციის ნორმებსა და ფასეულობებს, 6% არ ეთანხმება, ხოლო 16%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 88% თვლის, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის წარმატებაზე, 12%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 52%-ს მიაჩნია, რომ ორგანიზაციული კულტურა ემთხვევა ეროვნულ კულტურას, ხოლო 14% თვლის, რომ არ ემთხვევა, 32%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 2%-მა არ ისურვა კითხვაზე პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 78% თვლის რომ მათი ორგანიზაციული კულტურა ძლიერია, 8% -ს მიაჩნია, რომ არ არის ძლიერი, ხოლო 14%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 25% აცხადებს, რომ მათი ორგანიზაციული კულტურა გამხდარა კონფლიქტის მიზეზი წარსული საქმიანობის დროს, 41% აცხადებს რომ არ გამხდარა, 24%-ს უჭირს პასუხის გაცემა, ხოლო 10%-ს არ სურს პასუხის გაცემა.

გამოკითხულთა 55% აცხადებს, რომ ახალი თანამშრომელი ადვილად ითვისებს მათ ორგანიზაციულ კულტურას, 10% საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს, ხოლო 35%-ს უჭირს პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 60%-ის მოსაზრებით, იგი ხელძღვანელი, რომ ყოფილიყო, ცვლილებებს შეიტანდა ორგანიზაციულ კულტურაში, 25% აცხადებს, რომ არ შეიტანდა, ხოლო 15%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 67% თვლის რომ ორგანიზაციული კულტურა შეესაბამება არსებულ გარემოს, ხოლო 33%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. კითხვაზე თუ რამდენად ითვალისწინებს მათი კომპანიების ორგანიზაციული კულტურა სამუშაო ძალის მრავალფეროვნებას, რესპოდენტთა 67%-მა უპასუხა რომ ითვალისწინებს, ხოლო 20% თვლის რომ არ ითვალისწინებს, 10%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 3%-მა არ ისურვა პასუხის გაცემა.

კითხვაზე ხდება თუ არა თქვენს ორგანიზაციაში შესრულებული სამუშაოს დაფასება რესპოდენტთა 83% აცხადებს, რომ ხდება, მხოლოდ 3% ამბობს, რომ არ ხდება, ხოლო 14%-ს უჭირს პასუხის გაცემა. შიძლება ითქვას, რომ მიღებული შედეგი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია, რადგან საკმაოდ დიდი რაოდენობა გამოკითხულებისა აცხადებს, რომ მათი სამუშაოს დაფასება ხდება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სამუშაო პროცესში. კითხვაზე ორიენტირებულია თუ არა მათი ორგანიზაცია მომხმარებელზე, გამოკითხულთა უმრავლესობამ (83%) უპასუხა რომ ორიენტირებულია, 3% თვლის რომ არ არის ორიენტირებული, ხოლო 33%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. კითხვაზე, თუ რამდენად მდგრადია კულტურა ორგანიზაციაში გატარებული ცვლილებების მიმართ 80%-მა უპასუხა, რომ მდგრადია, ხოლო 20%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

ქართულ რეალობაში კვლევის შედეგები არც ისე დამაკმაყოფილებელია. აქედან გამომდინარე, სასურველია ამ მიმართულებით მოხდეს როგორც უმაღლესი დონის მენეჯერების, ისე საშუალო და დაბალი რგოლის მენეჯერების გადამზადება და დატრენინგება, რომ მათ, მათდამი დაქვემდებარებულ შრომით კოლექტივებში, შეძლონ მაღალი ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრება, რაც საშუალებას მისცემს ქართულ კომპანიებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს და ა.შ. გაზარდონ შრომის ეფექტიანობა და აამაღლონ კონკურენტუნარიანობა როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანიზაციული კულტურა მძლავრი სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ქვედანაყოფებისა და მათი პერსონალის ძირითად მიზნებზე მომართვასა და მობილიზებას, უზრუნველყოფს ორგანიზაციისადმი ერთგულებას და ხელს უწყობს ადამიანებს შორის ურთიერთობას. ეკონომიკის სწრაფი განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება დაეთმოს, როგორც მოცემული პრობლემის თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერულ შესწავლას, ასევე მასზე ორგანიზაციის მმართველი პერსონალის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლებას.

ლიტერატურა:


1. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა, თბ., 2003.
2. თემურ ხომერიკი, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., თსუ გამომცემლობა, 2008.
3. ნინო ფარესაშვილი, ორგანიზაციული ქცევა, II ნაწილი,თბ., 2010.

4. სტეფან (სტივენ) როზინსი, მერი კოლტერი; მენეჯმენტი; ორგანიზაციული კულტურა და გარემო., 2005.
5. ht http://managementconsultingcourses.com/Lesson35OrganisationalCulture.pd
6. tp://fds.oup.com/www.oup.co.uk/pdf/bt/fincham/Chapter15.pdf
7. http://www.au.af.mil/au/awc/awcgate/ndu/strat-ldr-dm/pt4ch16.html

## Organizational Culture as an Integral Part of Agricultural Practices

Maia Nikvashvili

*Doctor Student*
*Georgian Technical University*

**R e s u m e**

*გლობალიზაცია, როგორც ადამიანური ცივილიზაციის ახალი მდგომარეობა, სულ უფრო მზარდ ასახვას ჰპოვებს როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მათი რეგიონების ფუნქციონირებაზე. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა და როლი ენიჭება რეგიონის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მიიღწვა რეგიონის ეფექტიანი მართვის თანამედროვე მეთოდოლოგიის -რეგიონული მარკეტინგის მეშვეობით. რეგიონული მარკეტინგი დღეისათვის რეგიონის მმართველობითი ორგანოების მიერ შემუშავებული სისტემატიზებული პროცესია, რომელიც მიმართულია რეგიონის სუბიექტების ინტერესთა ბალანსის, რეგიონის კომპლექსური განვითარების პროცესში არსებული პრობლემების გადაწყვეტის და რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ. რეგიონული მარკეტინგის რეალიზება ხდება რეგიონის განვითრებისათვის ეფექტიანი და ოპტიმალური მოდელის აგებით, რომელიც ორიენტირებულია რეგიონის უნიკალური თავისებურების წინწაწევაზე. აღნიშნული მნიშვნელოვანი და აქტუალური თეორიულ-პრაქტიკული საკითხების კვლევას ეძღვნება წარმოდგენილი სტატია. მისი მიზანია რეგიონული მარეტინგის როგორც რეგიონის ეფექტიანი მართვის, მისი ინვესტიციური და სოციალურ-ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა დასაბუთება ადეკვატური კონკრეტული ღონისძიებების რეკომენდაციების შემუშავებასთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ეფექტიან მართვას.*



***საკვანძო სიტყვები:** რეგიონული მართვა; რეგიონული მარკეტინგი, რეგიონის მარკეტინგული პოტენციალი, რეგიონული პოლიტიკა, რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა.*


თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში რეგიონთა შორის სულ უფრო მეტად მწვავდება კონკურენცია, რომელიც მიმდინარეობს ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის არსებობა, რეგიონის მმართველობითი ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა, შრომითი რესურსები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რეგიონის მმართველობითი ორგანოების მიერ რეგიონის შიდა (რეგიონის მაცხოვრებლები, ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც მოცემულ რეგიონში ფუნქციონირებენ) და გარე სუბიექტთა (ინვესტორები, სხვა რეგიონის მეწარმეები, ტურისტები, სტუდენტები სხვა რეგიონებიდან) დროული და ეფექტიანი მომსახურება. ყველა ეს ფაქტორი თავისთავად წარმოადგენს რეგიონის კონკურენტუნარიანობისა და კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ პოტენციალს. თუმცა, თითოეული მათგანი ხანგრძლივად შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ პოტენციალის და არა რეალური კონკურენტუნარიანობის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომ არა რეგიონის მარკეტინგული პოტენციალი, რომელსაც ძალუძს ყველა ზემოთჩამოთვლილი მახასიათებლის გარდაქმნა რეგიონის კონკურენტუნარიანობის მძლავრ ფაქტორად. ინვესტორთა მოზიდვის ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგიონის მარკეტინგული პოტენციალი. ეს უკანასკნელი შედარებით ახალი და ძალზე სუსტად გამოკვლეული ცნებაა მისი შემადგენლების, სტრუქტურის და ურთიერთზემოქმედების თვალსაზრისით. დღეისათვის, ფართოდ განიხილება ფირმათა და კომ-

პანიათა მარკეტინგული პოტენციალი - აღნიშნულ სუბიექტთა უნარი და შესაძლებლობა დროულად და ხარისხიანად შეასრულონ მარკეტინგული ფუნქციები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სწორედ რეგიონის მმართველობითი ორგანოების მარკეტინგული ფუნქციების შესრულების უნარსა და რეგიონის მარკეტინგულ პოტენციალზე, დიდადაა დამოკიდებული რეგიონში ინვესტიციური ნაკადების და შესაბამისად, ეკონომიკური აქტივობის ამოცანათა პრაქტიკული რეალიზაცია.

საინვესტიციო საქმიანობის დონე საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მაღალგანვითარებული ქვეყნების დონეს. ეკონომიკური რეფორმების განვლილ პერიოდში ჩვენთან ინვესტიციური პროცესები, ინვესტიციური აქტივობა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება დღემდე ერთ-ერთ მტკივნეულ სფეროდ და როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების მდგრადი განვითარების გზაზე თითქმის გადაულახავ ბარიერად რჩება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები(პუი) ფინანსური ინვესტიციების მნიშვნელოვანი წყაროა განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც შიდა ინვესტიციებს შედარებით ნაკლები წილი უჭირავს. პუი უცხოური ვალუტის ქვეყანაში შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა და შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ არაერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგში დაწინაურებას და ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმენტებში ინვესტიციების მოზიდვა ერთ-ერთ პრიორიტეტად არის დასახელებული[1; 2], ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს, რომ ინვესტიციები ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, პუი-ის მოცულობამ 2016 წელს 1,566 მლნ აშშ დოლარიჟშეადგინა, რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ 0.1%-ით აღემატება 2015 წლის მონაცემებს, თუმცა, საგრძნობლად ჩამორჩება 2014 წლის პუი-ს მაჩვენებელს. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული პუი-ის საშუალოწლიური ზრდის ტემპი 2006-2015 წლებში 2,8%-ია, რაც დამაიმედებელი მაჩვენებელი ნამდვილად არ არის და ვერ პასუხობს ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის აუცილებელ მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის დაბალი დონე, ინვესტიციების უკმარისობა, ინვესტიციების დაფინანსების წყაროების არარაციონალური სტრუქტურა, მოსახლეობის ერთ სულზე ინვესტიციების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სხვა ქვეყნებთან შედარებით და სხვა არასახარბიელო ტენდენციები, კიდევ უფრო ნათლად ვლინდება რეგიონულ დონეზე. დღეისათვის საქართველოში არსებული ტერიტორიული მოწყობის მიხედვით ფუნქციონირებს 9 რეგიონი, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს. მათ მხოლოდ საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქცია გააჩნიათ თვითმმართველობის ერთეულებსა დაჟსაქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას შორის. აღნიშნულ რეგიონებში მთავრობას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი თავისი აპარატით, ამასთან საქართველოს დედაქალაქს მინიჭებული აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რაც რეგიონს. 2015-2016 წლებში რეგიონებში პუი-ის მოცულობა ნაჩვენებია ცხრილში.

2016 წელს პუი-ის დიდი წილი (78% - 1.2 მლრდ დოლარი) კვლავ თბილისში იყო კონცენტრირებული. ამავე პერიოდში გაზრდილია თბილისში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა (41 მლნ დოლარით). თბილისის შემდეგ, ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი რეგიონებია აჭარა (მთლიანი ინვესტიციების 10%), ქვემო ქართლი (5%) და სამეგრელო - ზემო სვანეთი და გურია (3%), ხოლო ნაკლებად მიმზიდველია შიდა ქართლი (0.04%). 2016 წელს ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნადაა შემცირებული კახეთსა (-94%; 15 მლნ დოლარით) და აჭარაში (-21%; 43 მლნ დოლარით). 2013 წლიდან, აჭარაში პუი-ის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა, თუმცა 2016 წელს დაფიქსირდა შემცირება.

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის რეგიონთა ინვესტიციურ აქტივობას არათუ ზრდის, არამედ, გარკვეულ შემთხვევაში, კლების ტენდეცია გააჩნია. თითოეული რეგიონი, რომელიც ორიენტირებულია ინვესტიციების მოზიდვაზე, უნდა ცდილობდეს შექმნას მიმზიდველი სახე სუბიექტთა, განსაკუთრებით კი გარე სუბიექტთა თვალში. ინვესტიციები საქართველოს რიგ რეგიონში განიცდის კლებას, რაც აისახება იქ არსებული სოციალური პრობლემების, კერძოდ კი - უმუშევრობის, სიღარიბისა და სოცალური უთანასწორობის ზრდაში. რეგიონებში არსებული უმუშევრობის არცთუ სახარბიელო მდგომარეობა ასახულია დიაგრამაზე,-(იხ. დიაგრამა1,2)

პუი საქართველოში რეგიონების მიხედვით [3]

| | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ** | **658,400.6** | **814,496.6** | **1,117,244.1** | **911,564.3** | **941,902.6** | **1,758,422.9** | **1,564,499.8** | **1,645,368.6** |
| **რეგიონი** | | | | | | | | |
| **თბილისი** | 345,125.5 | 559,903.8 | 805,228.2 | 693,433.8 | 688,367.7 | 1,326,936.6 | 1,234,657.0 | 1,275,857.0 |
| **აჭარა** | 99,386.4 | 56,573.1 | 93,868.0 | 39,105.4 | 61,544.3 | 159,275.1 | 204,531.0 | 160,976.9 |
| **კახეთი** | 4,193.9 | -4,810.3 | 352.4 | 15,088.0 | 9,892.7 | 10,530.4 | 16,118.6 | 962.2 |
| **სამცხეთ ჯავახეთი** | -459.4 | 21,405.3 | 4,547.0 | 21,251.3 | 51,732.6 | 74,040.7 | 28,099.3 | 50,180.6 |
| **ქვემო ქართლი** | 49,765.0 | 66,685.4 | 146,882.6 | 41,648.3 | 14,430.2 | 55,083.4 | 21,159.8 | 77,478.5 |
| **სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია** | 100,357.2 | 25,013.4 | 66,326.5 | 55,278.2 | 57,229.8 | 93,648.2 | 49,822.3 | 52,614.5 |
| **იმერეთი, რაჭა-ლეჩხული და ქვემო სვანეთი** | 61,058.0 | 80,126.5 | -14,714.5 | 37,773.2 | 58,882.0 | 26,363.7 | 25,701.8 | 26,584.1 |
| **შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი** | -1,026.0 | 9,599.4 | 14,754.0 | 7,986.0 | -176.5 | 12,544.8 | -15,590.1 | 714.7 |

უმუშევრობის დონე რეგიონული ჭრილით 2016 წელს, (%) [3]

დიაგრამა 1




წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში გაზრდილია იმერეთის, თბილისისა და შიდა ქართლისა რეგიონებში. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია, აღნიშნული მაჩვენებელი 0.6 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი, ხოლო იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში შესაბამისად 2.0 და 0.2 პროცენტული პუნქტით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად შემცირებულია სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონსა და აჭარის ა.რ.-ში, შესაბამისად 2.5 და 2.1 პროცენტული პუნქტით.

უმუშევრობის დონის ცვლილება 2016 წელს 2015 წელთან მიმართებაში, პროცენტული პუნქტი[3]

დიაგრამა 2




მოყვანილი მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დღეისათვის საქართველოს რეგიონებს არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული სახე, რითაც შეეძლებათ ინვესტიციების მოზიდვას და უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ორ ათეულ წელზე მეტია, რაც აღარ არსებობს მეურნეობრიობის არასაბაზრო სისტემა, ინვესტიციური აქტივობის წარმართვა კვლავ ცენტრალიზებულად ხორციელდება, რეგიონები ფუნქციონირებას აგრძელებენ ძველი მიდგომებით, როდესაც გეგმური ეკონომიკის პირობებში ინვესტიციების გადანაწილება რეგიონებს შორის ცენტრალიზებულად ხდებოდა. ასეთი მიდგომის საბაზრო პირობებთან წინააღმდეგობრიობა, განსაზღვრავს იმას, რომ საქართველოს რეგიონები, მიუხედავად მდიდარი ბუნებრივი რესურსული და სხვა შესაძლებლობებისა, კვლავაც განუვითარებლად და ინვესტორთათვის არამიმზიდველად რჩება.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობრიობის დაძლევის ქმედითი ინსტრუმენტისა რეგიონული მარკეტინგი, რაც გულისხმობს ინვესტიციური აქტივობის მმართველობისადმი არსებული მიდგომის ცვლილებას. იგი რეგიონის ყოვლისმომცველი და სისტემური ანალიზის საფუძველზე ახდენს რეგიონის განვითარების პრიორიტეტების გამოყოფას, რეგიონის შესაძლებლობებისა და რესურსების გადანაწილებას სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. სწორედ ეფექტიანი რეგიონულ მარკეტინგის მეშვეობით მიიღწევა რეგიონის კონკურენტუნარიანობის, და შესაბამისად მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდა. მიგვაჩნია, რომ როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების მდგრადი და სწრაფი განვითარება უკავშირდება სახელმწიფო მარკეტინგისა და რეგიონული მარკეტინგის, როგორც მისი პრიორიტეტული მიმართულების ურთიერთდაკავშირებულ და კოორდინირებულ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას. ქვეყნის განვითარების მიმართულებით შემუშავებული ვერცერთი გადაწყვეტილება ვერასოდეს ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ მასში ორგანულად არ არის ჩაქსოვილი ყოველი ცალკეული რეგიონის ეკონომიკის განვითარების მიზნები და ამოცანები. ასევე, არაეფექტიანი იქნება ნებისმიერი რეგიონული მარკეტინგის სტრატეგია და უშედეგო იქნება ნებისმიერი ძალისხმევა რეგიონის ეკონომიკის განვითარებისა, თუ იგი არ ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ერთიან ეროვნულ ინტერესებს. ქვეყნისა და რეგიონის ინტერესთა თანხვერდა როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის შეუქცევადი განვითარების უმთავრესი ფაქტორია.

რეგიონული მარკეტინგი მოწოდებულია უზრუნველყოს რეგიონის სიცოცხლისუნარიანობა კონკრეტულ ტერიტორიაზე ლოკალიზებული გარემოს ყველა ელემენტის შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული განვითარებისათვის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. რეგიონული მარკეტინგული პოლიტიკის მთავარი სუბიექტი უნდა იყოს ადამიანი, კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა თავისი ინტერესებით, ამ ინტერესთა რეალიზაციის ფორმებით და მეთოდებით, თავისი მოთხოვნილებებით და ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, რეგიონული მარკეტინგის შედეგებს აფასებენ უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის ცხოვრების დონით. რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანობა დიდადაა

დამოკიდებული რეგიონული მარკეტინგის შიდა და გარე სუბიექტთა ინფორმირებულობაზე რეგიონული მარკეტინგული სტრატეგიების მიზნების, ამოცანებისა და მათი განხორციელების გზებისა და მეთოდების შესახებ. მხოლოდ ასეთი ინფორმირებულობის შემთხვევაში შეიძლება რეგიონული მარკეტინგის ცნობიერების, აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება .

რეგიონების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების არარსებობა დიდი ზიანის მომტანია. ამიტომ, ჩამორჩენის ფაქტორთა დაძლევა მუდმივი ზრუნვის და გადაუდებელი ჩარევის ობიექტი უნდა იყოს. რეგიონების ეკონომიკურ-კულტურულ დეგრადაციას მოჰყვა მთელი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური ჩამორჩენა. რეგიონების მიმართ არასწორი პოლიტიკის გატარებამ, მათ განვითარებაში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია მოსახლეობის ქვეყნის ცენტრში ცხოვრებისაკენ სწრაფვა, ბევრი რეგიონის მოსახლეობისაგან მთლიანი დაცლა. რეგიონების ჩამორჩენილობა, მათი უთანაბრო განვითარება განსაკუთრებით გამოიკვეთა დღეს, როდესაც ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად დაადგა საბაზრო ურთიერთობების ფორმირების გზას. თუმცა, ეს გზა ავტომატურად ვერ გადაწყვეტდა რეგიონების განვითარებაში არსებულ დისპროპორციებს.

რეგიონის და მასში შემავალი ტერიტორიული ერთეულების, როგორც მეურნეობრიობის სუბიექტის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი გაფართოება მისი კვლავწარმოებით პროცესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ქმნის. ეს ურთიერთობები კვლავწარმოებით პროცესში ფართოდ რთავს ხელისუფლების ორგანოებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ფუნქციონალურად დაკავებულნი არიან მოსახლეობისა და არაკომერციული (საზოგადოებრივი) ორგანიზაციისთვის ეკონომიკური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების ორგანიზაციით. ეს კი მათი მხრიდან განხორციელებულ მარკეტინგულ აქტივობას, არათუ სასურველ, არამედ აუცილებელ პირობად გარდაქმნის. აღნიშული გარემოების გამო, დემოკრატიულ ქვეყნებში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან აქტიურად დაიწყო მკვლევართა დაინტერესება სახელმწიფო და რეგიონული მარკეტინგის პრობლემებით, რამაც თანდათანობით სისტემური ხასიათი შეიძინა. სახელმწიფოსა და რეგიონის კონკურენტუნარიანობის შესახებ, არსებულ მკვლევართა ნაშრომებიდან, აღსანიშნავია ფ. კოტლერისა და ნ. ლის ნაშრომი - მარკეტინგი საჯარო სექტორში [4]. აღნიშნულ კვლევაში გადმოცემულია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, არსებული რიგი ღონისძიების შემუშავებისა და გატარების მეთოდოლოგია. ასევე, მეტად საყურადღებოა ფ. კოტლერის, ქ. ასპლუნდის, ი. რეინისა და დ.ჰაიდერის ერთობლივი კვლევა - ადგილის მარკეტინგი: ინვესტიციების, მრეწველობისა და ტურიზმის მოზიდვა ქალაქებში, შტატებსა და ქვეყნებში[5], სადაც გადმოცემულია, თუ როგორ ახორციელებენ ადგილობრივი სამთავრობო უწყებები სტრატეგიული მარკეტინგის გეგმის მიღებას, რაც საშუალებას მისცემს ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვას, მუდმივად განვითარებადი მსოფლიო ბაზართან ადაპტირებასა და მასში შეღწევას. სახელმწიფო დაწესებულებათა მარკეტინგული, მათ შორის კომუნუკაციური სტრატეგიების შემუშავების მეთოდოლოგია მეტად საინტერესოდაა გადმოცემულია მ. პასქუერისა და ჯ. ვილენიუვის ნაშრომში - მარკეტინგის მენეჯმენტი და კომუნიკაცია საჯარო სექტორში [6].

მარკეტინგის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, რეგიონული მარკეტინგი მარკეტინგის განვითარების, გაღრმავებისა და გაფართოების ტენდენციების ასახვაა რეგიონულ დონეზე. რეგიონული მარკეტინგი ქმნის პირობებს კვლავწარმოების რეგიონული სისტემის საზოგადოებრივ მოთხოვნებთან მისასადაგებლად, ახდენს ბაზრის შესწავლის ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის ფორმირებას, აქტიურად ზემოქმედებს და ქმნის ხელსაყრელ ეკონომიკურ გარემოს, ახდენს კოორდინირებას და შესაბამისად ზრდის ტერიტორიაზე მოქმედ სამეურნეო სუბიექტების კონკურენტუნარიანობის დონეს.

რეგიონის დონეზე გადასაწყვეტ ამოცანათა მასშტაბურობა, სიღრმე და სირთულე მოითხოვს რეგიუნული მარკეტინგის არსებითად ახალ კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიურ საფუძველზე ადაპტირებულ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ, საფინანსო-საბიუჯეტო და რეგიონის მიმზიდველობის მარკეტინგულ მარვას სხვადასვა მარკეტინგული ინსრუმენტის გამოყენებით. სწორედ რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს რეგიონული მარკეტინგის ძირითად ამოცანას.

რეგიონი ღია სამეურნეო სისტემაა. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შექმნან მართვის ისეთი სისტემა, რომელიც მიმზიდველი იქნება არა მარტო მეწარმეთათვის, არამედ ეს ახდენს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს თვითგანვითარების სტიმულირებას, ხელს შეუწყობს სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონის მოსახლეობის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებებთან. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები განსაზღვრავს რეგიონის კვლავწარმოებითი პროცე-

სების განვითარების მიმართულებას, მარკეტინგი კი გამოდის, როგორც მისი რეალიზაციის ინსტრუმენტი. ამდენად, რეგიონული მარკეტინგი თანამედროვე პირობებში მარკეტინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სახე და მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის პერსპექტიულ მიმართულებაა დღევანდელ მსოფლიოში, რომელიც რეგიონის მარკეტიგული და ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების გზით უზრუნველყოფს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას. გასატარებელი ეკონომიკური პროგრამის რეალისტურ - ოპტიმალური მიზნების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარკეტინგული გარემოს ფაქტორთა შესახებ ობიექტური წარმოდგენის შექმნას. ბაზრის ზეგავლენა, თავის მხრივ, განაპირობებს სეგმენტაციის, მიზნობრივი ბაზრების შერჩევისა და პოზიციონირების განხორციელების აუცილებლობას.

რეგიონში ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვის მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს პოტენციურ ინვესტორებისა და ტურისტთა გამოვლენა და მათგან ყველაზე უფრო პერსპექტიულ სეგმენტთა შერჩევა. ამის შემდგომ კი აუცილებელია შემუშავდეს რეგიონის პოზიციონირების ეფექტიანი სტრატეგია, პოზიციონირების შედეგების პოტენციურ მომხმარებლამდე ეფექტიანი დაყვანის უზრუნველყოფა რეგიონული მარკეტინგის შესაბამისი კომპლექსის მეშვეობით. ინვესტიციური და ტურისტული ნაკადების მოზიდვის რეგიონული მარკეტინგული კომპლექსი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც კონტროლს დაქვემდებარებული მარკეტინგის ცვალებად ფაქტორთა ნაკრები, რომლის ერთობლიობას რეგიონის მმართველობითი ორგანოები გამოიყენებს სუბიექტ – მომხმარებლებში -პოტენციურ ინვესტორსა თუ ტურისტებში - სასურველი საპასუხო რეაქციის მისაღწევად. გასატრებელი ღონისძიებების მარკეტინგის კომპლექსის შემუშავება გულისხმობს შერჩეულ პერსპექტიულ ინვესტორებსა და ტურისტებზე ზემოქმედებას მარკეტინგული ძალისხმევათა გზით.

რეგიონში არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისა და შესაბამისად, ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია რეგიონული მარკეტინგის განხორციელება სხადახვა დონეზე: რეგიონის იმიჯის მარკეტინგი, რეგიონის ღირშესანიშნაობათა მარკეტინგი, რეგიონის პერსონალის მარკეტინგი, რეგიონის ინფრასტრუქტურის მარკეტინგი, რომელთა საფუძველზეც ყალიბდება რეგიონის მაღალი მარკეტინგული და შესაბამისად, მაღალი ინვესტიციური მიმზიდველობა. რეგიონული მარკეტინგის ზემოთაღნიშნული მიმართულებით გონივრულად შემუშავებულ სტრატეგიებს ძალუძს მოიზიდოს რეგიონისათვის საჭირო ინვესტიციები, კადრები, შექმნას რეგიონის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისათვის საკმარისი სამუშაო ადგილები და მეტ-ნაკლებად გადაჭრას ყველა ის სოციალური პრობლემა, რომელიც დღეისათვის ესოდენ მწვავეა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

ღირსშესანიშნაობათა მარკეტინგი აერთიანებს ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მოცემულ რეგიონში არსებული ბუნებრივ სიმდიდრეთა (მდინარეები, ტბები, ზღვები, მთები და სხვ.) და ისტორიული (მუზეუმები, ეკლესიები და სხვ.) დაცვისა და განვითრებისაკენ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ღირსშესანიშნაობათა რაოდენობა, თუმცა, თითოეული მათგანი უნდა წარმოადგენდეს არა ცალკე არსებულ, განყენებულ ფაქტორს, არამედ ერთიანი მთელის ნაწილს. მხოლოდ კომლექსურად წარმოგენილი რეგიონის ღირსშესანიშნაობათა სისტემა ზრდის რეგიონის მიმზიდველობასა და უნიკალურობას, შესაბამისად, კონკურენტულ უპირატესობას როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. თუ რეგიონს არ გააჩნია ღისშესანიშნაობები, სასურველია შეიქმნას უნიკალური და მიმზიდველი არქიტექტურის შექმნითა და განვითარებით, კულტურის, სპორტისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების შექმნით, რეგიონის ეკოლოგიურობის დონის ამაღლებით.

რეგიონის ინფრასტუქტურის მარკეტინგი რეგიონის შიდა და გარე სუბიეტების ცხოველმყოფელობისათვის საჭირო კომფორტული პირობების - საცხოვრებელი კომპლექსების, სამრეწველო და სავაჭრო ზონების და სხვ. შექმნასთან დაკავშიებული ღონისძიებათა სისტემაა. რეგიონის ინფრასტრუქტურის მარკეტინგი უშუალოდ უკავშირდება ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო ქსელების განვითარება, ენერგომომარაგების, წყალმომარაგების, საწვავმომარაგების მდგრადი და გამართული სისტემების შექმნა.

რეგიონის პერსონალის მარკეტინგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ღონისძიებათა სისტემა - რეგიონის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეფექტიანი განვითარებისათვის საჭირო სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

რეგიონული მარკეტინგის პერსპექტიულ და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს რეგიონის იმიჯის მარკეტინგი. ის რეგიონის ეფეტიანი მართვისა და მის წინაშე არსებული ამოცანების მიღწევისათვის სტრა-

ტეგიულად ყველაზე უფრო მომგებიანი ისეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და განვითარებაა, რომელიც განაწყობს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რეგიონთან თანამშრომლობისათვის. მთავარი მიზანი ამ შემთხვევაში უკავშირდება რეგიონის გარე სუბიექტების ინფორმირებულობას, რეგიონის კონკურენტულ უპირატესობას და მისი შესამლო კავშირებისათვის ღიაობის დემონსტრირებას. აღნიშნული ამოცანის მისაღწევად, რეგიონის მართვის მეტად პრიორიტეტულ მიმართულებად გამოყოფენ რეგიონის ინფორმაციულ მარკეტინგს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის შესახებ დადებითი ინფორმაციის გავრცელებას და შესაბამისად, რეგიონისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ფორმირებას. რეგიონის ეფექტიან სტიმულირების შეუძლია უცხოური ინვესტიციების ნაკადების მოზიდვა, ამდენად რეგიონის სწრაფი და მდგრადი განვითარება.

რეგიონული მარკეტინგის თითოეული კონკრეტული მიმართულება უნდა განხორციელდეს როგორც ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ასევე მოცემული რეგიონის მცხოვრებთა, მოქალაქეთა გაერთიანებისა და კავშირების მეშვეობით. რეგიონული მარკეტინგის ფუნქციათა შესრულებისას რეგიონის სუბიექტთა ფართო ჩართულობა ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებას, ეკონომიკის ახალი დარგების ჩამოყალიბებას, რეგიონში საინვესტიციო და ტურისტული ნაკადების გაზრდას, მასში მოქმედი სუბიექტების კონკურენტუნარიანობას. რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანი სტრატეგია უზრუნველყოფს ეკონომიკის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, რეგიონის უნიკალური თავისებურებებათა ცნობადი სისტემის შექმნას მისი სასაქონლო სპეციალიზაციისა და რეგიონის საქონლისა და მომსახურების პოტენციური გასაღების ბაზრების გაფართოების გზით. რეგიონის სწორი ადმინისტრირების, ეფექტიანი პოზიციონირებისა თუ რეპოზიციონირების მეშვეობით, მასში იქმნება ინვესტიციური მიმზიდველობის, ტურისტული ნაკადებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ახალი პირობები. ყოველივე ეს კი უნდა მივიჩნიოთ სოციალური პრობლემების გადაჭრის უმთავრეს საშუალებად, რამეთუ შედეგი - ეკონომიკური აქტივობის დონის ამაღლება, მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდა, უმუშევართა რაოდენობის შემცირება და სხვ. - ყველაზე მკაფიოდ გამოხატული სოციალური ბუნების მატარებელია.

დემოკრატიული, მაღალგანვითარებული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის დადებითი გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობა, განსაკუთრებით კი პუი-ის მიზიდვის რეგიონისათვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა, უშუალოდ უკავშირდება რეგიონის მარკეტინგულ პოტენციალს, როგორც ეფექტიანი რეგიონული მარკეტინგის რეალიზაციის გამოხატულებასა და შედეგს. ამდენად, რეგიონის მარკეტინგული პოტენციალი შეიძლება შევაფასოთ, როგორც რეგიონის სტრატეგიული განვითარების უნარი მასში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

ის ფაქტი, რომ საქართველოს რეგიონების მმართველობით სტრუქტურაში არ არსებობს მარკეტინგის სტუქტურული ერთეულები, რომელიც მოახდენდა რეგიონული მარკეტინგის ამოცანებისა და ფუნქციების რეალიზაციას, გვაძლევს საფუძვლიანი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ, ფაქტობრივად, რეგიონის მმართველობითი სტუქტურები არათუ არ ზრუნავენ რეგიონის მარკეტინგული პოტენციალის ზრდაზე, არამედ არ ან ვერ აცნობიერენ მის როლსა და მნიშვნელობას რეგიონის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების საქმეში. რეგიონის ადმინისტრირების აღნიშნული მიდგომა შეიძლება შევაფასოთ როგორც არაეფექტიანი, რომელიც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს, არსობრივად ეწინააღმდეგება რეგიონის მმართველობითი საქმიანობისადმი არსებულ მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკას.

აუცილებელია, შემუშავდეს რეგიონის მარკეტინგული პოტენციალის მართვის თანამედროვე ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმი, რომლის მიზანი იქნება რეგიონის მიმზიდველობის ამაღლება. ამისათვის, პირველი რიგის ღონისძიებად მიგვაჩნია რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში სტრუქტურული ერთეულის სახით ჩამოყალიბდეს მარკეტინგის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული მარკეტინგის ყველა ასპექტისა და მიმართულების განხორციელებას. აღნიშნული სამსახური რეგიონული მარკეტინგის ისეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების სახით, როგორიცაა რეგიონის იმიჯის მარკეტინგი, ღირშესანიშნაობათა მარკეტინგი, ინფრასტრუქტურის მარკეტინგი, პერსონალის მარკეტინგი, უზრუნველყოფს რეგიონის მარკეტინგული პოტენციალის ფორმირებას, რომელსაც, თავის მხრივ, ძალუძს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა და შესაბამისად რეგიონში არსებული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

ლიტერატურა:

1. http://www.geostat.ge
2. თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა, სამთავრობო პროგრამა 2016-2020 წ., http://mrdi.gov.ge/-sites/default/files/samtavrobo_programa_2016 -2020_tavisupleba_scrapi_ganvitareba_ketildgeoba.pdf
3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, https://napr.gov.ge/-source/pdf
4. Kotler P. Lee N. Marketing in the Public Sector: A Roadmap for Improved Performance, Wharton School Publishing. 2006
5. Kotler, P., D. H. Haider, et al. Marketing Places : attracting investment, industry, and tourism to cities, states, and nations, New York., 1993
6. Pasquier, M. and J. P. Villeneuve, Marketing Management and Communication in the Public Sector, New York: Routledge, 2011
7.

## Regional Management Problems and Modern Approaches to their Solutions

Nana Okruashvili

*PhD in Economics, Associated professor of TSU*

Nino Paresashvili

*PhD in Economics, Associated professor of TSU*

Lia Metonidze

*Doctoral student St. Andrew the First-*
*Called of the Patriarchate of Georgia Georgian university*

**R e s u m e**

The aim of the presented paper is to analyze the current problems of regional management and the modern state of their solution. The given work examines the methodology of region's socio-economic development policy. Specifically, regional marketing, the positive experience which has been acquired in the west's highly developed economies. The paper discloses the essence, features, functions and principles of regional marketing. The authors formulate methodical approaches to stimulation and regulation of region activity by methods of regional marketing and shows advantages of this tool in the general control system of regional development. The article describes the modern situation of regional marketing formation in Georgia. The paper concludes that it is impossible to convert the region into the most attractive place without elaboration of effective regional marketing strategies and practical realization. The authors of the research have identified the problems of the country's regions. The conclusion is that the Effective Regional Marketing Strategy ensures the creation of a recognizable system of unique peculiarities of the region, which is the key factor in attracting investments, including foreign direct investments. Such strategy will contribute to the creation of the region's recognized system of marketing features. In addition, the proper governance of the region, its effective positioning or repositioning creates new conditions for regions Investment attractiveness and its long-term development.

***Keywords: Regional management, regional marketing, regional marketing potential, regional policy, investment attractiveness of the region.***

# შრომის ბაზარი საქართველოს სახელმწიფო სექტორში


**ნუგზარ პაიჭაძე**

*ეკონომიკურ მენიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის ფუნქციონირების აქტუალური საკითხები. მის პირველ ნაწილში მსჯელობაა სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის მოდელებზე და მათზე შესაბამის მკვლევართა, შეხედულებებზე.*

*სტატიის მეორე ნაწილი ეძღვნება სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის რეგულირების საკითხებს. კერძოდ, მსჯელობაა სახელმწიფო სექტორში დასაქმების პროგრამებზე.*

*დასასრულ, მოცემულია საქართველოში შრომის სახელმწიფო ბაზრის ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზი და, მისი სრულყოფის მიზნით, ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, გასატარებელ ღონისძიებებზე ზოგიერთი ავტორისეული მოსაზრება.*



***საკვანძო სიტყვები:** შრომის ბაზარი, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი, შრომის ბაზრის მოდელი, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, დასაქმების პროგრამები სახელმწიფო სექტორში.*


შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული ელემენტია. აქ არამარტო ერთმანეთშია გადახლართული მომუშავისა და დამქირავებლის ინტერესები, არამედ მასში ნათლადაა გამოხატული საზოგადოებაში მიმდინარე ყველა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. მოცემულ პრობლემაზე მრავალი საინტერესო სამეციერო შრომაა გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ეცონომისტ-მკვლევართა მიერ [1,2,3,4,5]. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პრობლემის სირთულისა და მრავალმხრივობის, აგრეთვე, დროში მისი მუდმივი ცვალებადობის გამო, მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა კვლავაც აქტუალურია და ასე იქნება მომავალშიც. სწორედ მოცემულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სამეცნიერო სტატია. მასში, საქართველოს სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის ფუნქციონირების კრიტიკული ანალიზიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია მისი (შრომის ბაზრის ფუნქციონირების) რეგულირების ზოგიერთი კონკრეტული ღონისძიება.

სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის გამოკვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამის მზეზი მრავალია. მათ შორისაა: 1)მოცემულ სექტორში მომუშავეთა დამქირავებლების მიზანი, კერძო სექტორის დამქირავებლებისგან განსხვავებით, არაა მაქსიმალური მოგების მიღება. აქედან გამომდინარე, შრომის ბაზრის ის მოდელები, რომლებიც ითვალისწინებს მაქსიმალური მოგების მიღებას არ შეიძლება გავავრცელოთ სახელმწიფო სექტორში ფუნქციონირებად შრომის ბაზარზე და ამ უკანასკნელისთვის აუცილებელია დამუშავდეს ალტერნატიული მოდელები [1, გვ.551 ]; 2)მეორე მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფო სექტორსა და კერძო სექტორში, როგორც წესი, დასაქმების ზრდის ტემპები განსხვავებულია, ზოგჯერ მკვეთრადაც. მაგალითად, აშშ-ში 1951-1975 წლებში სახელმწიფო სექტორში დასაქმება იზრდებოდა გაცილებით უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრეკ კერძო სექტორში. ამის შედეგად ქვეყანაში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა წილი მთლიანად დასაქმებულებში 1951 წლის 8,5%-დან 1975 წლისათვის გაიზარდა 15,5%-მდე. აშშ-ში მოცქმულ წლებში სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა აბსოლუტური რისხვი გაიზარდა თითქმის 4-ჯერ, ხოლო მთლიანად ეკონომიკაში (სოფლის მეურნეობის გარდა) – 2-ჯერ [1,გვ.551-552]. რაც შეეხება საქართველოს – აქ 2006-2015 წლებში განსხვავებულ ტენდენციას აქვს ადგილი. სახელდობრ: მოცემულ წლებში მთლიანად ეკონომიკაში და მათ შორის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რიცხვი არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდეც, შესაბამისად,1,3 და 24%-ით; 3)მესამე მიზეზი დაკავშირებულიასახელმწიფო სექტორში სახელფასო განაკვეთების განსაზღვრის თავისებურებებთან და ა. შ.

## ზოგიერთი რამ სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის მოდელების შესახებ

სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის მოდელებზე ზოგადი წარმოდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გაირკვეს, თუ რა ძალები ზემოქმედებს ეკონომიკის მოცემულ სექტორში დასაქმებასა და ხელფასის დონეზე. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, აქ ადგილი არ აქვს მისწრაფებას მაღალი მოგებისაკენ. სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის მარტივად აღქმისათვის, მოცემულ პრობლემაზე მომუშავე ცნობილი მკვლევარები რ. ერენბერგი და რ. სმიტი [1,გვ.559] აკეთებენ დაშვებას, რომ არსებობს პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო სამსახურის დონესა და მის ღირებულებაზე, მოქალაქეთა სურვილების შესაბამისად. ცხადია, მოქალაქეები დაინტერესებულია როგორც სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათთვის გაწეული საზოგადოებრივი მომსახურების სიდიდითა და ხარისხით, ასევე, აღნიშნული მომსახურების გაწევის შემდეგ მათთან დარჩენილი სახსრების სიდიდით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საჭირო საქონლისა და მომსახურების შესაძენად ან სხვა რაიმე საჭიროებისთვის.

ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა და ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკა ქმნის საფუძველს სახელმწიფო სექტორში დასასაქმებულ მომუშავეთა მოთხოვნაზე. რაც უფრო მაღალია ამ უკანასკნელთა სამუშაო ძალის ფასი, ანუ ხელფასის სიდიდე, სხვა თანაბარ პირობებში, მით მაღალია სახელმწიფო სამსახურის ღირებულება. ამის უშუალო შედეგი კი არის ასეთ მომსახურებაზე დასასასაპირისპიროქმებულ მომუშავეებზე მოთხოვნის შემცირება. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა მათ დამქირავებლებს აიძულებს შეამციროს მოთხოვნა მათზე. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის მოცემულ სფეროში ადგილი არ აქვს სწრაფვას მაქსიმალური მოგებისაკენ, სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფო მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა განაპირობებს მათი სახელფასო განაკვეთის შემცირებას, ანუ იგი მისი კლებადი ფუნქციაა. საპირისპირო მოვლენა კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამცირებს მოთხოვნას სახელმწიფო სექტორში დასასაქმებელ მომუშავეებზე.

სახელმწიფო სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა დამოკიდებულია, აგრეთე, მრავალ ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა: ქვეყნის მოსახლეობის, ანუ საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევ პირთა რიცხოვნობა, ამ უკანასკნელთა საოჯახო-სულადობრივი შემოსავალი, საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსების მოცულობა, ქვეყნის ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალური პოლიტიკა და ა. შ. რაც უფრო დიდია ქვეყნის მოსახლეობის საშუალო სულადობრივი შემოსავალი და საზოგადოების განკარგულებაში არსებული რესურსების მოცულობა, ხელისუფლებას საშუალება აქვს მეტი ყურადღება დაუთმოს მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო საწინააღმდეგო მოვლენისას_მცირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების მოცულობა, ისე როგორც მთლიანად ეკონომიკაში, განპირობებულია სხვა ისეთი ფაქტორებითაც, როგორიცაა: დამატებითი პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე შრომისა და კაპიტალის მატების ტემპებს შორის თანაფარდობა, სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) დადგენილი ხანგრძლივობა, ზეგანაკვეთური და მოქნილი სამუშაო რეჟიმებით მუშაობის ქვეყანაში არსებული პრაქტიკა და ა. შ. [2,გვ.11].

გარდა ზემოაღნიშნულისა, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ცალკეულ ქვედარგში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განსახღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მისი (ქვედარგის) მომსახურების სახე და მოცულობა. მაგალითად, სასკოლო ასაკის მოსახლეობის ზრდა განაპირობებს განათლების სისტემაში დასაქმებულ მომუშავეთა რიცხონობის ზრდას.

რაც შეეხება სახელმწიფო სექტორისადმი შრომის, განსაკუთრებით კვალიფიციურის, მიწოდებას, იგი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ხელფასის სიდიდეზე. რაც უფრო მაღალია სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი, მოსახლეობის მეტ ნაწილს ექნება სურვილი დასაქმდეს აქ. მოცემულ შემთხვევაში ნიშვნელობა აქვს, აგრეთე, სამუშაო ადგილის შენარჩუნების პერსპექტივასაც. თუ იგი დაბალია, ცხადია, აქ დასაქმების მსურველი ნაკლები იქნება და პირიქით.

სახელმწიფო სექტორის მოსამსახურეთა ხელფასის სიდიდე, როგორც წესი, განისაზღვრება შესადარ სამუშაოებზე კერძო სექტორის მოსამსახურეთა ხელფასთან მიმართებით. იგი დგინდება სპეციალური კვლევე-

ბის საფუძველზე. ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორებში მომუშავე მოსამსახურეები რომლებიც ასრულებენ შესადარის სამუშაოებს, ღებულობენ ზუსტად თანაბარ ანაზღაურებას. აშშ-ში XX საუკუნის ბოლო წლებში ჩატარებული სპეციალური გამოკვლევებით დადგინდა, რომ პირები, როლებიც მუშაობდნენ ფედერალურ მთავრობაში იღებდნენ 13-20%-ით მეტს, ვიდრე კერძო სექტორის მომუშავენი. იმავე გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ განსაკუთრებით დიდი იყო სხვაობა სახელმწიფო და კერძო სექტორში დასაქმებული ქალების საშუალო ხელფასის სიდიდეებს შორის, სახელმწიფო სექტორის სასარგებლოდ. ჩვენი დაკვირვებით, ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქართველოს შემთხვევაშიაც. ბოლო წლებში მსოფლიო პრაქტიკაში და ჩვენთანაც შეიმჩნევა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მქონე შესადარ მომუშავეთა ხელფასის დონე სახელმწიფო სექტორში უფრო მაღალია, ვიდრე კერძო სექტორში. რაც შეეხება მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, უკანასკნელ წლებში მათი ხელფასის დონე კერძო სექტორში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სახელმწიფო სექტორში და, შესაბამისად, მისი დონეც უფრო მაღალია. ყოველივე ამან შეამცირა მაღალკვალიფიური სპეციალისტების ლტოლვა_დასაქმდნენ სახელმწიფო სექტორში.

### დასაქმების პროგრამები სახელმწიფო სექტორში

ქვეყნის სახელმწიფო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან უშუალო კავშირშია ეკონომიკის მოცემულ სექტორში დასაქმების სახელმწიფო პროგრამები. მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი პროგრამების გამოყენებას წარმატებულად მიმართავს ეკონომიკურად მოწინავე ცივიზებული ქვეყნების მთავრობები. ამით ისინი ცდილობენ თავიანთ ქვეყანაში მაქსიმალურად შეამცირონ უმუშევრობის დონე, რასაც შედეგად მოჰყვება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ამ მხრივ სამაგალითოა აშშ-ის ხელისუფლების მოქმედება, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ახალი „საზოგადოებრივი სამუშაოების გაჩენასთან.“ [4,გვ.127]. ამ მიზნით, აშშ-ის ფედერალური მთავრობა დრო და დრო, საჭიროების შესაბამისად, მოსახლეობის დასაქმების დონის გაზრდის მიზნით, მიმართავს შტატებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის დაფინანსებას. მაგალითად, ასე ხდებოდა XX საუკუნის 70-იან წლებში, შრომით მოწყობაში საგანგებო სიტუაციისა და სრული დასაქმებისა და პროფესიული სწავლების თაობაზე მოცემული ქვეყნის ფედერალური მთავრობის მიერ მიღებული კანონების შესაბამისად [1,გვ.575]. ცხადია ამ ღონისძებით სახელმწიფო სექტორში და, შესაბამისად, ქვეყანაში დასაქმების დონე გაიზრდება, ხოლო უბუშევრობა შემცირდება.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერებათა ცოდნა და სამეურნეო პრაქტიკაში მისი გათვალისწინება. ამისათვის კი საჭიროა ქვეყანაში სათანადო დონეზე მიმდინარეობდეს აღნიშნული პრობლემის აქტუალურ საკითხეზე მეცნიერული კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში შრომის ბაზრის ფუნქციონირების საკითხეზე არაერთი მეცნიერული შრომაა გამოქვეყნებული [2,3,4 ], ჯერ კიდევ ამ პრობლემასთან დაკავშირებული ბევრი აქტუალური საკითხი ნაკლებადაა შესწავლილი. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს შრომის სახელმწიფო ბაზრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოში შრომის სახელმწიფო ბაზარი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, იგი, 2015 წლის ოფიციალური მონაცემებით, მოიცავს ქვეყანაში მთლიანად დასაქმებულთა მხოლოდ 15,4%-ს, მაშინ, როცას ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შესაბამისი მაჩვენებელი, როგორც წესი, უფრო მაღალია [1,გვ.552]. საქართველოში ბოლო წლებში დამკვიდრდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. როგორც რაოდენობრივად, ასევე პროცენტულადაც მთლიანად დასაქმებულებში. მაგალითად, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2006 წელს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებული იყო 360,3, ხოლო 2015 წელს 274,8 ათასი კაცი, ანუ, შესაბამისად, მთლინად დასაქმებულთა 20,6 და 15,4%. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შემცირება უმეტესად ხდება არა „გაბერილი“ სახელმწიფო და მუნიციპალური მმართველობითი აპარატის, არამედ მოსახლეობის უშუალო მომსახურებასთან დაკავშირებული სამსახურების მომუშავეთა ხარჯზე, რაც აუარესებს

მოსახლეობის მომსახურების მდგომარეობას და ზრდის უმუშევრობას ქვეყანაში. ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბაზრისადმი ასეთი დამოკიდებულება მცდარია. ამაზე მეტყველებს აშშ-ის გამოცდილება. მაგალითად, ამ ქვეყანაში XX საუკუნის 70-იან წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის დასაქმების ამაღლების მიზნით, შემოღებულ იქნა ე. წ. საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამები. კერძოდ, ქვეყანაში არსებული დასაქმების კანონის საფუძველზე, ფედერალურმა მთავრობამ შტატების მთავრობებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციებს გამოუყო სახსრები დასაქმების დონის ამაღლებისათვის იმ იმედით, რომ სახელმწიფო სექტორში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით გაჩნდებოდა შესაძლებლობა უმუშევართა დასასაქმებლად. არსებული ოფიციალური მონაცემებით, მოცმულ პერიოდში, საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამების სახსრების დახმარებით, სამუშაო მიიღეს 568 ათასმა კაცმა [1,გვ.556]. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ხდება პირიქით. მაგალითად, 2017 წელს, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის მიზნით საჯარო სექტორში განხორციელებული მომუშავეთა შემცირება ძირითადად შეეხო არა სახელმწიფო სექტორის მმართველობით სფეროს, არამედ მოსახლეობის მომსახურებისა და ქვეყნის სასიცოცლო ინტერესებისათვის საჭირო სხვა სფეროებს. ცხადია, ამით კიდევ უფრო დამძიმდა მოსახლეობის დასაქმებისა და, შესაბამისად, ცხოვრების დონე.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა გააქტიურონ ქვეყნის შრომის სახელმწიფო ბაზრის რეგულირება. ამ მიზნით, სასურველია, ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაღალგანვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამების შემოღებას, რაც შეამცირებს უმუშევრობის დონეს და აამაღლებს მოსახლეობის კეთილდღეობას. რაც შეეხება საჯარო სექტორში დასაქმებულთა შემცირებას, იგი მომავალში, როგორც წესი, უნდა შეეხოს მხოლოდ საჯარო სექტორის იმ ორგანოთა მმართველობით აპარატს, რომლებშიაც კადრების სიჭარბეა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში შრომის ბაზარი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ამასთან, მისი მოქმედების მექანიზმი სათანადო დონეზე არაა შესწავლილი, რაც განაპირობებს მომავალში მოცემული პრობლემის მეცნიერული კვლევისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის აუცილებლობას და სახელმწიფოს მხრიდან მასზე (შრომის სახელმწიფო ბაზარზე) მარეგულირებელი ზემოქმედების გაძლიერებას.

## ლიტერატურა:


1. Рональд Дж. Эренберг. Роберт С. Смит. Современная экономика труда. Перевод с антлийкото. Издотельство Моковкого университета. 1996, 777стр.
2. პაიჭაძე ნ. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2016, #1, გვ.9-27.
3. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, #1, გვ.77-88.
4. ხარიტონაშვილი ჯ. უმუშევრობა და მისი დაძლევის პროგრამები: უცხოეთის გამოცდილება, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2008, #3, გვ.122-129.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წლიური ანგარიშები.

# Labor Market in the Georgian State Sector

Nugzar Paichadze

*Doctor of Economic Science, Associated Professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

In this article are reviewed the actual issues of Labor Market functioning in the Georgian State Sector. In the first part of the work are discussed about the models of labour market in the State sector and about relevant views of Researchers.

The second part of the article is devoted to the issues of labour market regulation in the State sector. Particularly, discussion concerns the employment programs in the state sector.Finally, in the above article is given critical analysis of State labour market in Georgia for the purpose of its farther development. There are also given some author's opinions about the measures to be taken by the Government's authorities.

***Keywords: labor market, state sector economy, labor market model, job demand, employment programs in the public sector.***

# Evaluation of the Military Career Structure in Lithuania

Dalia Prakapienė

*Ph.D*

Romas Prakapas

*Ph.D*

*The aim of the presentation is to analyze the military career structure in the National Defence System (NDS) as well as its improvement in the context of modern developments. The aim of the research is to provide guidelines for the improvement of the structure after the assessment of the military career structure of professional military officers in the Lithuanian Armed Forces. The presentation is prepared using the following methods: meta-analysis of scientific and specific literature, comparison, generalization and the survey of the professional military officers from the NDS.*

*A research revealed that the management of career processes of modern statutory bodies is still based more on the concept of a traditional rather than modern career. A career is seen here as career advancement, moving to a higher level and being rewarded a higher military rank. The military career structure and its management are regulated by law. However, due to the abundance of legislation we face with too much information and too many procedures in different normative documents, long bureaucratic procedures which do not ensure the efficiency of the military career structure and may violate the basic management principles, i.e. complexity, equality, competition, impartiality, transparency and consistency. A quantitative research revealed that the majority of Lithuanian officers are dissatisfied with the existing military career structure, which is formal, fragmented and focused on the organization rather than the person as a valuable element of the organization. After analyzing managerial aspects of the career structure, was identified that the military career structure applies only individual career planning and organizing tools. Also, the research revealed key problematic areas: officers lack information with respect to career opportunities, they are not included in career planning, request forms regarding their career or qualifications are rarely filled in, the potential of a career manager is not explored and prepared individual career plans are purely a formality. This is in conflict with the procedures and requirements found in the Officer Career Concept and other legislation.*

***Key words: military career, military career structure, career management, training system.***

# The Importance of Special Economic Zones in Regions' Business Environment Development

Bituta Pūle

*Dr.oec., assistant professor,*
*Programme Director of Master Study Programmes*
*"Finance" and "Finance Management"*

Gunta Innuse

*Mg.oec., assistant professor.,*
*Programme Director of Bachelour Study Programme "Finance"*
***BA School of Business and Finance***

*The basis of balanced and sustainable development in regions is purposefully created regional development policy, region development planning and targeted progression according to the set strategy. In reality, the further the municipality is stationed from the capital, the lower are its socioeconomic indicators. The noticeable infrastructure problems in regions lower the business activity in these regions. Therefore, a trend can be seen where during a year the number of liquidated businesses in outermost municipalities exceeds the number of newly established businesses. As a result, the unemployment rate increases in the region and the workers receive the lowest gross salary in the country. Such circumstances pressure the citizens of the region to move elsewhere, where there is a much better socioeconomic situation. It can be concluded, that the outermost regions do not have effective business supporting tools and additional incentives are required for their development. To promote region development, special economic zones are created by attracting investments to production and infrastructure development and by creating new jobs.*

***Keywords: region development, special economic zones, business environment.***

## Introduction

To ensure balanced and sustainable growth, one of the governments tasks is to reduce the disproportions that, up until now, have developed between the country's regions and to exclude further development of such disproportions. Every region of the country is considered a unique unit of territory, that brings its specific features into the overall image of the country. To keep their specifics and to promote further growth, it is necessary to pay special attention to the development of regions' territory and to the wellbeing of their citizens. The United Nations and the World Bank have two different opinions regarding SEZ. In the World Bank's report it is highlighted that a more positive attitude towards businesses that are located in SEZ is not fair to the rest of businesses in the country. On the other hand, in the United Nations' report it is proven, that SEZ provide noticeable benefit not only within SEZ, but also promote the economic progress in the country (Schweinberger, 2003, p. 710). Although, for territorially small countries that is the only effective development tool for depressive regions. The authors of the publication have researched the role of SEZ creation in a such territorially small country like Latvia.

For a full territory development of regions in Latvia, two aspects can be pointed out.

The first one has to do with the five Latvian regions – Kurzeme, Vidzeme, Latgale, Zemgale and Riga - sustainable development of their countryside and urban areas, to make full use of each region's distinct advantages and economic drivers to ensure the country's overall growth, at the same time reconciling economic activity with conservation and enhancement of nature and cultural heritage. The second aspect comes from the different features of the countryside and urban areas. The main activity is the economic and social cohesion, which ensures that the economic upturn provides a balanced development of the country and the different society groups as well as the multiplicative effect throughout the country.

In reality, in Riga and the rest of Latvia the differences in salary and therefore the living standards not only have not reduced, but in many places have increased. It is shown by the correlation of regional differences in the such indicators as:

- employment;
- average income;
- the number of businesses in relation to the population.

Territorial differences justifies the need of a targeted national development policy that could increase the competitiveness of certain areas as well as even out unfavourable disproportion. The prerequisite of sustainable growth of municipalities and regions is the balancing of socioeconomic development and the interests of environmental protection. Furthermore, a successful territory development is not possible without involving the interested parties and respecting the interests of the citizens and the working businesses in the area.

Special economic zones (from now on – SEZ) are used in almost all of the world's regions, although a precise number is hard to determine, because the name of these zones in several places may differ. A united zone classification that could make it possible to separate these zones by their functions has not been established. The main goal of SEZ should be the development of regions and evening out the regional disparities, therefore stimulating the business activity.

## 1. Territories with special privileges and their influence on business development

The term "territories with special privileges" has been known since the 16th century. However, the origins of the first modern SEZ can only be found in the second half of the 20th century – in 1959 in Ireland (Guangwen, 2003, pp. 26-30).

Two decades later SEZ gained international popularity after the China's economic reform in the eighties. That is why their numbers can be measured in thousands. The largest amount of SEZ is located in the development countries (Carter un Harding, 2011, p. 8).

სტრატეგიული ალტერნატივების გენერირება, შეფასება და შერჩევა ის საკითხებია რაც ალბათ ყველაზე კარგადაა დამუშავებული კომერციული ორგანიზაციის სტრატეგიულ მენეჯმენტში და ამის მრავალი ინსტრუმენტი და მათი მოდიფიკაცია არსებობს, მაგალითად: ბრეინშტორმინგი, ჟიურის აზრი, ექსპერტული შეფასება, ალტერნატიული გუნდები, დელფის ანალიტიკური მოდელი და ა.შ. ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლები, მაგრამ აგრეთვე აქვთ ერთი მნიშვნელოვანი საერთო თვისება - ისინი გადაწყვეტილების მიღების ჯგუფური პროცესებია. ჩვენი აზრით, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების ზემოაღნიშნული მეთოდები ფართოდ უნდა დაინერგოს სახელმწიფო სტრუქტურებში, რადგან იქ მათი აუცილებლობაცა და შესაძლებლობებიც არსებობს.

ბიზნესორგანიზაციაში სტრატეგიის დანერგვისა და რეალიზების მრავალი ინსტრუმენტია, ესენია: ისეთი ორგანიზაციის ფორმირება, რომელიც სტრატეგიის რეალიზებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, შესაძლებლობებს და რესურსულ ბაზას ფლობს; ფუნქციურ ქვედანაყოფებს შორის სტრატეგიის რეალიზებისთვის საჭირო რესურსების გადანაწილება; სტრატეგიის მხარდამჭერი პოლიტიკის, პროცედურის და წესების შემუშავება; მუდმივი სრულყოფის მეთოდების დანერგვა; კომპანიის პერსონალის სტაბილური და ხარისხიანი

მუშაობის უზრუნველყოფისთვის საჭირო პირობების შექმნა; თანამშრომელთა მოტივაცია და სტიმულირება სტრატეგიის რეალიზებისთვის მათი დაინტერესების ასამაღლებლად; სტრატეგიის რეალიზების ხელშემწყობი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება; სტრატეგიის რეალიზების ხელშემწყობი შიდა ლიდერობის სისტემის შექმნა. ყველა ამ ღონისძიების გამოყენება შეიძლება სახელმწიფო ორგანიზაციების შემთხვევაშიც, ცხადია მათი სპეციფიკის გათვალისწინების შემდეგ.

სტრატეგიის პერმანენტული შეფასება და მასში კორექტირების შეტანა ბიზნესორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნდამენტური ქმედებაა და ის სახელმწიფო სტრუქტურებშიც უნდა განხორციელდეს, რადგან სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება სტრატეგიული მენეჯმენტის არსი სრულყოფილად, რაც ცვლილებებისადმი მუდმივ ადაპტირებას გულისხმობს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უკვე შედგენილ გეგმაში კორექტივების შეტანა სახელმწიფო ორგანიზაციების შემთხვევაში მეტად რთული იქნება სხვადასხვა მარეგლამენტირებელი ნორმებისა და ბიუროკრატული აპარატის გამო.

ლიტერატურა:


1. Fred R. David, Forest R. David, Strategic Management Concepts and Cases, Fifteenth edition, USA, Pearson, 2015 pp. 647.
2. Helmut K. Anheier, Managing non-profit organisations: Towards a new approach, London 2000 pp.18.
3. Mark H. Moore, Strategic Management in Government, London, Harvard University Press 1995 pp.338.
4. *Лайм Фаэй, Роберт Рэнделл,* Курс MBA по стратегическому менеджменту. Москва.: Альпина Паблишер, 2002. — 608 с.
5. Benedict Wauters, Strategic management in the public sector: a tool for improving performance of ongoing operations or for redefining performance to meet new challenges?, Report to the European Commission’s Public Administration and Governance network March 2017 pp. 118.
6. http://udik.com.ua/books/book-1474/chapter-51386/
7. ბ. რამიშვილი, საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ თბილისი, თსუ #1, 2015 წ. გვ.39-52


## On some Challenges of Deploying Strategic Management in Public Sector and ways of finding solutions to the Issues


Badri Ramishvili

*PhD in Economics, Associate professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

Strategic planning has long been used successfully as a tool for transforming and revitalizing business organizations and therefore, non-profit organizations including governmental agencies have started its deployment. This article is devoted to the problems of using strategic management in state organizations. The author analyzes the practices of applying strategic management in the commercial sector and considering this background suggests ways of solution to the challenges and issues that arise before the management of governmental organizations.



*Key Words: Strategic management,; Non-profit organizations; Creating public value; State organizations.*

# აუდიტორული მტკიცებულებების ანალიზი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების მიხედვით

ლევან საბაური

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბუღალტრული ღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე რეფორმის ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამავდროულად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საიმედოობისა და უტყუარობის დადასტურება, რაც აუდიტორული დასკვნის გარეშე შეუძლებელია. სტატიაში განხილულია ის ძირითადი საკითხები, რომლის ცოდნაც აუცილებელია საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. ასევე ყურადღებაა გამახვილებული აუდიტორული შემოწმების დროს მტკიცებულებების მოპოვების ანალიზზე. თეორიულ ნაწილთან ერთად განხილულია აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებისა და დოკუმენტურად ასახვის პრაქტიკული ნაწილიც.*

*საკვანძო სიტყვები: აუდიტორული მტკიცებულება, ფინანსური ანგარიშგება, შეფასება და განაწილება, აუდიტორული დასკვნა.*

აუდიტის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ბუღალტრული აღრიცხვა, ასევე ფინანსური ანგარიშგება. აუდიტორი გამოთქვამს მოსაზრებას აღრიცხვის წარმოების შესაბამისობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და წესებთან და ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის (არსებითი უზუსტობების არარსებობის) შესახებ. ამიტომ შიდა მომხმარებლებისათვის აუდიტის შედეგები მნიშვნელოვანია არა მარტო როგორც ფირმის საიმედოობის მტკიცებულება, არამედ როგორც ბუღალტერიისა და სააღრიცხვო ინფორმაციის შიდა კონტროლის მუშაობის ხარისხის შეფასება. გარეშე მომხმარებლებისათვის მეტ ინტერესს წარმოადგენს აუდიტორის დასკვნები ფინანსური ანგარიშგების თაობაზე, ვინაიდან იგი საჯაროა აღრიცხვის მონაცემებთან (რომლებიც მოცემულია სააღრიცხვო რეგისტრებსა და შიდა ბუღალტრულ ანგარიშგებაში) შედარებით, რომლებიც კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს, ანუ მათი გასაჯაროება არ შეიძლება მესაკუთრეთა შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე ან კანონმდებლობით (ძირითადად საპროცესო კოდექსით) გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ აუდიტორთა დასკვნები აღრიცხვის შესახებ არ არის საინტერესო აუდიტორული დასკვნისა და ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლებისათვის.

აღრიცხვისა და ანგარიშგების თანაფარდობაში (თითოეული ცალკე ხაზის მიხედვით) შეიძლება წარმოიშვას შემდეგი კომბინაციები:

ბუღალტრული აღრიცხვა საიმედოა, ანგარიშგება - არა;

ბუღალტრული აღრიცხვა არ არის საიმედო, ანგარიშგება კი საიმედოა (ანუ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენის მექანიზმი ბუღალტრული აღრიცხვის უზუსტობის ნიველირების საშუალებას იძლევა);

არც ბუღალტრული აღრიცხვა და არც ანგარიშგება საიმედო არ არის.

უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ურთიერთდაკავშირებული უზუსტობები (არასწორი აღრიცხვა და, შესაბამისად, არასწორი ანგარიშგება ობიექტზე), ისე ავტონომიური უზუსტობები (როდესაც არასწორ აღრიცხვას უნდა გამოეწვია ერთი შეცდომა, მაგრამ სინამდვილეში ანგარიშგებაში ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურამ მიგვიყვანა სხვა შეცდომამდე), ასევე, შერეული ხასიათის უზუსტობები.

უზუსტობათა ანალიზისას აუცილებელია გამოიყოს წინასწარ განზრახული და შემთხვევითი. აუდიტორის გამოცდილება და ფინანსური ანგარიშგების ანალიტიკა საშუალებას იძლევა წამოყენებული იქნეს საკმაოდ ლეგიტიმური ჰიპოთეზები უზუსტობათა მიზეზებისა და, შესაბამისად, მომავალში მათი წარმოშობის შესახებ.

აუდიტორული დასკვნის მომხმარებელს უზუსტობათა სფეროების შედარებისა და შეფასების საფუძველზე შეუძლია გამოიტანოს დასკვნები ხელმძღვანელობისა და მესაკუთრეთა პოლიტიკის შესახებ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით, მართვის ხარისხის, ფირმის განვითარების მიმართულებების შესა-

ხებ როგორც ინსაიდერთა გეგმის მიხედვით, ისე ანალიტიკოსთა საკუთარი პროგნოზების გათვალისწინებით (მაგალითად, ბაზრის მოსალოდნელი ქცევის საფუძველზე, თუ ანალოგიურ დასკვნებს გამოიტანს ანგარიშგებით მოსარგებლეთა დიდი რაოდენობა).

ამიტომაც აუდიტორულ მტკიცებულებათა შეგროვების მიმართულებამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიიღო დასახელება „მტკიცებულებები" (assertions). ეს ის მტკიცებულებებია, რომლებიც აშკარად ან ფარულად ქმნიან აუდირებადი პირის მენეჯმენტს და რომლებიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. მთლიანობაში მტკიცებულებები აყალიბებს მოსაზრებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შედგენილია და წარდგენილია შესაბამისი სახით.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (შემდგომში - ასს) 500 „აუდიტორული მტკიცებულება" წარმოგვიდგენს უფრო დეტალურ მიდგომას წინაპირობათა გამოყოფასა და მათზე აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვებაზე.

**ასს** 500-ის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, აუდიტორმა უნდა მიიღოს საკმარისი (sufficient) და შესაფერისი (appropriate) აუდიტორული მტკიცებულებები, რათა შეძლოს დასაბუთებული დასკვნის გაკეთება, რომლებსაც დაეყრდნობა მისი მოსაზრება[1]. აუდიტორული მტკიცებულებები მოიცავს ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებულ და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ, ასევე სხვა ინფორმაციას. აუდიტორისაგან არ არის მოსალოდნელი ყველა არსებული ინფორმაციის მიღება. **ასს** 500-ში ხაზგასმულია, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც კუმულაციური ხასიათისაა, აუდიტის მიერ განიხილება ერთობლიობაში. ამრიგად, საუბარია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია აუდიტის პროცესში აუდიტორული პროცედურების მეშვეობით, და აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია სხვა წყაროებისაგან (მაგალითად, წინა აუდიტორული შემოწმებებისა და კლიენტის ნებართვით ორგანიზაციის შიდა კონტროლის პროცედურებისაგან).

თუ აუდირებადი პირის ინფორმაცია აუდიტორის მიერ გამოიყენება აუდიტორული მტკიცებულებების შესაგროვებლად, აუდიტორმა უნდა მოიპოვოს ამ ინფორმაციის სიზუსტისა და სისრულის აუდიტორული მტკიცებულებები. **ასს** 500-ში მტკიცებულებათა ადეკვატურობისა და თანმიმდევრულობის მოთხოვნები შეესაბამება ისეთ ცნებებს, როგორიცაა საკმარისობა (მტკიცებულებათა რაოდენობის მიხედვით) და მიზანშეწონილობა/შესაბამისობა (შინაარსით, მტკიცებულებით ანუ მტკიცებულებათა ხარისხის მიხედვით). თავისი მოსაზრების გასამყარებლად აუდიტორი იყენებს პროფესიულ განსჯას და ამჟღავნებს პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტორული მტკიცებულებების რაოდენობისა და ხარისხის, ანუ მათი საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასებისას.

მტკიცებულებების რაოდენობასთან დაკავშირებით ყოველ შესამოწმებელ ფაქტზე აუდიტორი, ჩვეულებრივ, მოქმედებს შემდეგნაირად: თუ მტკიცებულება (კონკრეტული დოკუმენტი, ჩანაწერი და ა.შ.) არასაიმედოდ გამოიყურება (არასაკმარისად მყარია), მაშინ აუცილებელია ამავე ფაქტზე სხვა მტკიცებულების მოპოვება და ა.შ. მიზანშეწონილობა, შესამოწმებელ ფაქტებთან, ჩანაწერებთან მტკიცებულების შესაბამისობა უნდა დადგინდეს ფინანსური ანგარიშგების მომზადების მტკიცებებით (assertions) ან წინაპირობებით. აუდირებადი პირის მენეჯმენტი (entity) პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების უტყუარ და სამართლიან (fair) წარდგენაზე, რომელშიც ასახულია სამეურნეო ობიექტის ბუნება და ოპერაციები. თუ დარწმუნებულია, რომ ფინანსური ანგარიშგება იძლევა სარწმუნო და ნათელ სურათს (true and fair view) ან წარმოდგენილია ყველა არსებითი ასპექტის მიხედვით (presented fairly, in all material respects) ფინანსური ანგარიშგების მოქმედი საფუძვლების შესაბამისად, მენეჯმენტს უპირობოდ და ცალსახად გამოაქვს დასკვნა ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ელემენტის აღიარების, გაზომვის, წარდგენისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პრინციპების თანახმად განეკუთვნება: აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები. ეს ელემენტები ასახავს ორგანიზაციის რეალურ ეკონომიკურ პროცესებს. აუდიტორმა უნდა გამოიყენოს მტკიცებები ოპერაციათა კლასების, ნაშთებისათვის, ასევე ინფორმაციის საკმარისად დეტალურად წარმოდგენისათვის, რათა შექმნას საფუძველი რისკების არსებითი გაუმჟღავნებლობის შეფასებისათვის, ასევე, შემდგომი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის[4].

მტკიცებულებათა კლასიფიკაცია მათი გამოყენების სფეროების მიხედვით ასს 500-ის შესაბამისად წარმოდგენილია ცხრ.1-ში.

**აუდიტორის მიერ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების კლასიფიკაცია და ინტერპრეტაცია**

ცხრილი 1

| მტკიცებულებები | ინფორმაციის კატეგორია | | |
|---|---|---|---|
| | ოპერაციებისა და მოვლენების კლასები აუდიტის პერიოდში | ნაშთები ანგარიშებზე პერიოდის ბოლოსათვის | წარმოდგენა და გამჟღავნება (ფინანსურ ანგარიშგებაში) |
| წარმოშობა (occurrence) | ოპერაციები და მოვლენები, რომლებიც ჩაწერილი იყო (ასახულია აღრიცხვაში), უკვე მოხდა და განეკუთვნება საწარმოს | | გამჟღავნებული მოვლენები, ოპერაციები და სხვა საკითხები წარმოიშვა და ეხება სააუდიტო პირს |
| უფლებები და მოვალეობები (rights and obligations) | | სააუდიტო პირი ფლობს ან აკონტროლებს უფლებას აქტივებზე, და ვალდებულებები მისი მოვალეობაა | |
| სისრულე (completeness) | ყველა ოპერაცია და მოვლენა, რომელიც უნდა ყოფილიყო ჩაწერილი, ჩაიწერა | | ყველა ინფორმაცია, რომელიც ჩართული უნდა ყოფილიყო ფინანსურ ანგარიშგებაში - ჩართულია |
| სიზუსტე (accuracy) | ჩაწერილ ოპერაციებთან და მოვლენებთან დაკავშირებული თანხები და სხვა მონაცემები ჩაწერილი იქნა სათანადო წესით | | ფინანსური და სხვა ინფორმაცია გამჟღავნებულია პატიოსნად (fairly) და შესაბამის თანხებში (შეფასების დამტკიცებასთან ერთად) |
| შეზღუდვა (cutoff) - საანგარიშო პერიოდის შესაბამისობა | ოპერაციები და მოვლენები ჩაიწერა შესაბამის საანგარიშო პერიოდში | | |
| არსებობა (existence) | | აქტივები, ვალდებულებები და სააქციო კაპიტალში მონაწილეობა (მესაკუთრეთა მონაწილეობა) არსებობს | |
| შეფასება და განაწილება (valuation and allocation) | | აქტივები, ვალდებულებები და მესაკუთრეთა მონაწილეობა ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი თანხებით; ნებისმიერი შემაჯამებელი შესწორება და საკლასიფიკაციო შეფასება ჩაწერილია სწორად | |
| კლასიფიკაცია (classification) | ოპერაციებისა და მოვლენების ჩასაწერად ბუღალტრული ანგარიშები შერჩეული იყო სწორად | | ფინანსური ინფორმაცია შესაბამისი სახით არის წარმოდგენილი და აღწერილი; გამჟღავნება გამოხატულია მკაფიოდ |
| გასაგები (understandability) | | | |

აუდიტორს შეუძლია გამოიყენოს მტკიცებულებები, ან შეუძლია გამოხატოს ისინი სხვაგვარად, რათა უზრუნველყოს ცხრილში აღწერილი ყველა ასპექტის გაშუქება. კერძოდ, ასს 500-ში მოყვანილია შემდეგი მაგალითები:

აუდიტორს შეუძლია გამოიყენოს ოპერაციებისა და მოვლენების მტკიცებულებების კომბინაცია ანგარიშებზე ნაშთების მტკიცებულებებთან ერთად;

შეიძლება არ იყოს ოპერაციებისა და მოვლენების „განცალკევებასთან (დაყოფასთან)" დაკავშირებული ცალკე მტკიცებულება, თუ წარმოშობისა და სისრულის მტკიცებულებები მოიცავს შესაბამის საანგარიშო პერიოდში ოპერაციების ჩანაწერის განხილვას[3].

შემოწმების ობიექტის მიხედვით აუდიტორული პროცედურები ასს 500-ის შესაბამისად დაყოფილია კონტროლის ტესტებად (შიდა კონტროლის საშუალებებთან მიმართებით) და არსებით პროცედურებად (აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი შეცდომების მოძიებასთან დაკავშირებით). აუდიტორის მოქმედებიდან გამომდინარე, ასს 500 გამოყოფს აუდიტორული პროცედურების შემდეგ სახეებს:

ჩანაწერების ან დოკუმენტების ინსპექტირება (inspection of records and document s) - შიდა და გარე დოკუმენტაციის შესწავლა, რომელიც წარმოდგენილია ქაღალდზე, ელექტრონული ან სხვა ფორმით;

მატერიალური აქტივების ინსპექტირება (inspection of tangible assets) - ობიექტის ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა;

დაკვირვება (observation) - სხვების მიერ ჩატარებულ პროცესზე ან პროცედურაზე დაკვირვება; მოთხოვნა (inquiry) - ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის მოძიება საქმეში ჩახედული პირებისაგან აუდირებადი პირის ფარგლებში ან მის გარეთ; განსაკუთრებული მითითებაა, რომ მოთხოვნას არ შეუძლია უზრუნველყოს შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები არც მტკიცების დონეზე და არც შიდა კონტროლის სისტემის საოპერაციო ეფექტურობის დონეზე;

დადასტურება (confirmation) - მოთხოვნის სპეციფიკური ტიპია, არსებული პირობების შესახებ ინფორმაციის ან მონაცემების შეგროვების წარმოდგენის პროცესი პირდაპირ მესამე პირებისაგან, მაგალითად, აუდირებადი პირის მიერ გამჟღავნებული მოთხოვნების ანგარიშების დადასტურება მის დებიტორებთან კონტაქტების დამყარების გზით;

ხელახალი გამოთვლა (recalculation) - დოკუმენტებისა და ჩანაწერების მათემატიკური სიზუსტის შემოწმება;

აუდიტორის ალტერნატიული ქმედებები (reperformance) - აუდიტორის მიერ პროცედურების ან საკონტროლო ქმედებების დამოუკიდებლად შესრულება, რომლებიც თავდაპირველად წარმოდგენილი იყო, როგორც აუდირებადი პირის შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი, მაგალითად, აუდიტორის მიერ ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების გამოვლენა;

ანალიტიკური პროცედურები (analytical procedures) - ფინანსური ინფორმაციის შეფასება ფინანსურ და არაფინანსურ მონაცემებს შორის შეუსაბამო ურთიერთობების შესწავლის მეშვეობით; ეს პროცედურები, ასევე გამოიყენება ისეთი ცვალებადობის ან თანაფარდობის გამოსავლენად ჩატარებულ გამოკვლევაში, რომელიც არ შეესაბამება სხვა რელევანტურ ინფორმაციასთან ან მნიშვნელოვნად განსხვავდება საპროგნოზო მნიშვნელობებისაგან.

მაშასადამე, აუდიტის მეთოდიკა წარმოადგენს პროცედურათა სისტემას, რომლებიც სხვადასხვა კლასიფიკაციას განეკუთვნება და უფრო შესაფერისია შემოწმების კონკრეტული პირობებისათვის. კერძოდ, დაგეგმილი პროცედურები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით (ე.წ. ანგარიშგების დანაწევრებითა და დაშლით)[2]:

უმაღლეს დონეზე - მთლიანად ფინანსური ანგარიშგების მიხედვით (ფორმები, ანგარიშგების მუხლები);

შემდეგ - ანგარიშგების მაჩვენებლებთან დაკავშირებული ანგარიშების მიხედვით;

ბოლოს - ანგარიშებზე ასახული ოპერაციების მიხედვით (მიზანშეწონილია ანგარიშებისა და ეკონომიკური ოპერაციების ციკლების შემოწმების გაერთიანება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ანგარიშებით დაკავშირებული ციკლების შემმოწმებელი სხვადასხვა აუდიტორის მიერ განსაზღვრული შეუსაბამობები).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების წინაპირობების (მტკიცებების) აუდიტის დოკუმენტირებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ცხრ. 2–4-ის ოპერაციები, რომლებიც მოხვდა აუდიტორულ შერჩევაში და შეამოწმა აუდიტორმა, უნდა შევიტანოთ ცხრ.2-ში, რომელშიც ინფორმაციის დაჯგუფება ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების მიხედვით. ყველა პირველადი დოკუმენტი ჯგუფდება ბლოკებში, რომელთაგან თითოეული შეიცავს სააღრიცხვო და არასააღრიცხვო ხასიათის დოკუმენტებს, დაკავშირებულს ერთ ოპერაციასთან ან ერთი ტიპის ოპერაციებთან. მაგალითად, მზა პროდუქციის გაყიდვის ოპერაციაზე დოკუმენტების ასეთი პული შეიძლება შეიცავდეს პროდუქციის გაცემის ზედნადებს (შედარება ხდება ანგარიშების: შემოსავალი რეალიზაციიდან, ანგარიშსწორება მიწოდებიდან და მომსახურებიდან; მზა პროდუქციის მონაცემებთან), ანგარიშ-ფაქტურას (შედარება ხდება გაყიდვების წიგნთან და შემოსავალი რეალიზაციიდან და საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშებთან), პროდუქციის ჩამოწერის უწყისს (შედარება ხდება შემოსავალი რეალიზაციიდან და მზა პროდუქციის ანგარიშებთან), ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულებას (შედარება ხდება ჩამოთვლილ პირველად დოკუმენტებთან), საწყობის მენეჯერის მატერიალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებას. პულების შექმნა საშუალებას იძლევა უფრო სრულად დადასტურდეს კონკრეტულ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა წინაპირობა.

შემდეგ (ან იმავდროულად) ყველა ოპერაცია ჯგუფდება ეკონომიკური ოპერაციების ციკლების მიხედვით და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წინაპირობების მიხედვით ხდება ცხრ. 3-ის შედგენა, რომელშიც აისახება ყველა შეგროვილი მტკიცებულება ყველა გამოვლენილ უზუსტობაზე. შემოწმების შედეგების მიხედვით უზუსტობათა კონსოლიდირებულ უწყისს შეიძლება ჰქონდეს ცხრ. 4-ში წარმოდგენილი ფორმა. 2 – 4 ცხრილების შევსების მაგალითები მოცემულია ქვემოთ.

ცხრილი 2

ცალკეული ეკონომიკური ოპერაციების შემოწმების შედეგები

| ოპერაციის შინაარსი | საარიცხვო რეგისტრებში ასახვა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პირველადი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი | ანგარიშის უწყისი, თანხა | ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრი (დებეტი) | ანგარიშის ჟურნალ-ორდერი, თანხა | ანალიტიკური აღრიცხვის რეგისტრი (კრედიტი) | დასკვნები |
| ანგარიში „ძირითადი საშუალებები“ | | | | | | |
| შეძენილი დანადგარების ექსპლოატაციაში გაშვება | ძირითადი საშუალებების ობიექტების მიღება-ჩაბარების აქტი ძს - 01 #5, 15.11.2017 | „ძირითადი საშუალებები“, 150 000 ლარი | ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის სარეგისტრაციო ბარათი ძს -6 #245, 15.11.2017, 150 000 ლარი | „ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენა“ 150 000 ლარი | არ არსებობს (თანხა დადასტურებულია პირველადი დოკუმენტების მიხედვით ), 150 450 ლარი | შემცირებულია ობიექტის საწყისი ღირებულება ობიექტის შეძენასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ჩაურთველობის გამო (ანგარიში #1854 10.11.2017) აუდიტორის შემდგომი ქმედება - ობიექტის ამორტიზაციის თანხის კორექტირება ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ანგარიშის მიხედვით) |
| და ა.შ. | ... | ... | ... | ... | ... | ... |
| ანგარიში „ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია“ | | | | | | |
| და ა.შ. | ... | ... | ... | ... | ... | ... |

ცხრილი 3

ოპერაციებისა და ანგარიშების ციკლების კონტროლის შედეგები

| აუდიტის მიმართულება | წინაპირობების შედეგები <*> | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წარმოშობა | უფლებები და მოვალეობები | სისრულე და სიზუსტე | შეზღუდვა | არსებობა | შეფასება და განაწილება | კლასიფიკაცია | გასაგები |
| 1. საოპერაციო ციკლი | | | | | | | | |
| 1.1. მასალების გადაცემა ძირითად წარმოებაში | მოთხოვნები - ზედნადებები ## 10-58, 03-30.05.2018 | მასალათა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება #245, 24.04.2017 | არ არის ჩამოწერილი ცდომილება მასალების ღირებულებაში (30,000 ლარი) | ჟურნალ-ორდერი და ანგარიშების უწყისი: ძირითადი წარმოება, ცდომილება მასალების ღირბულე-ბაში, მატერია-ლური ფასეულობების შეძენა მაისი 2017 წ. | მასალების საინვენტარიზაციო აღწერა N 1, 12.02.2018, უკუანგარიში - 2017 წ. მაისისათვის - თანხები დადასტურებულია არითმეტი-კულად | 2017 წ. ბოლოსათვის აწეულია თანხის დონე სტრიქონზე „ნედლეული, მასალები და სხვა მსგავსი ღირებულებები ფორმა #1, 30 000 ლარით, იმავე თანხით შემცირებულია მაისში წარმოებული და გაყიდეული პროდუქციის თვითღირებუ-ლება - სტრიქონზე „გაყიდული საქონლის, პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების თვითღირებუ-ლება“ ფორმა #2 | გადახრები განეკუთვნება ძირითად წარმოებაში გადაცემულ მასალებს (აუდირებადი პირის საწარმოო ტექნოლოგიის ანალიზის შედეგების მიხედვით) | სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნე-ბულია 2017 წ. განმარტებით ბარათში |
| და ა.შ.... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... |
| 2. საინვესტიციო ციკლი | | | | | | | | |
| 2.1. შეძენილი დანადგარისექსპლოატაციაში გაშვება | მიღება-ჩაბარების აქტი ძს-1 #5, 15.11.2017 | დანადგარის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება #24, 11.11.2017 | შემცირებულია ობიექტის საწყისი ღირებულება 450 ლარით ობიექტის | 2017 წ. ნოემბრის ჟურნალ-ორდერი და ანგარიშების უწყისი | ძირითადი საშუალებების ობიექტების საინვენტარიზაციო აღწერა #1, 12.02.2018 - | ობიექტი ასახულია სტრიქონში „მანქანა-დანადგარები“ ფორმა #5, | ობიექტი განეკუთვნება ძირითად საშუალებებს | სააღრიცხვო პოლიტიკა გახსნილია 2017 წ. განმარტებით ბარათში |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შეძენასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ჩაურთველობის გამო | | ობიექტი არსებობს | საერთო თანხის შემადგენლობაში - სტრიქონი „ძირითადი საშუალებები" ფორმა #1; ჩამოუწერელი თანხა - სტრიქონი „სხვა არასაბრუნავი აქტივები" | | |
| და ა.შ. | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... |
| 3. ფინანსური ციკლი | | | | | | | | |
| 3.1. გრძელვადი-ანი კრედიტის გადატანა მოკლევა-დიანის შემადგენ-ლობაში (სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით) | გადატანა განხორციე-ლებული არ არის | | არ არის დაცული | 2017 წ. დეკემბრის ჟურნალ-ორდერი „გრძელვადი-ანი სესხის მიმდინარე ნაწილი" და უწყისი „გრძელვადი-ანი სესხის" ანგარიშებზე | კრედიტორული დავალიანების ინვენტარიზა-ციის აქტი #1, 12.02.2018 - ობიექტი არის | არ არის ჩანაწერი: დებეტი გრძელვადიანი სესხი, კრედიტი გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი – 100 000 ლარი ობიექტი ასახულია მუხლში „სესხები და კრედიტები" ფორმა #1 გადატანილი იქნეს ფორმა #1 ანალოგიურ მუხლში | კრედიტი განეკუთვნება მოკლევა-დიანს და სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით (01.01.2018-სათვის დაფარვამდე დარჩა არაუმეტეს 12 თვისა) | სააღრიცხვო პოლიტიკა არ არის გახსნილი 2017 წ. განმარტებით ბარათში |
| და ა.შ. | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... | ... |

--------------------------------------

<*> შენიშვნა. რაოდენობრივი/ხარისხობრივი (არ ექვემდებარება ფულად განსაზღვრებას); არსებითი/არაარსებითი; მაჩვენებლის აწევა/შემცირება; კატეგორიული/სავარაუდო (მაგალითად, შესაძლო სამომავლო, ან დაუდასტურებელი - როდესაც მტკიცებულებები არასაკმარისია ან მათ აქვთ არაშესაბამისი ხასიათი).

ცხრილი 4

**უზუსტობათა შემაჯამებელი უწყისი**

| დამახინჯებათა შინაარსი | ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებელზე ზეგავლენა | | | |
|---|---|---|---|---|
| | უზუსტობის ხასიათი <*> | ფორმის #, სტრიქონის კოდი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ჩასწორება | წელი | შეცდომის თანხა |
| არ არის ჩამოწერილი გადახრები მასალათა ღირებულებაში (30 000 ლარი) | მაჩვენებლის შემცირება: რაოდენობრივი არსებითი კატეგორიული | ფორმა #2, სტრიქონი „გაყიდული საქონლის, პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების თვითღირებულება“, და შემდეგ ფორმასთან დაკავშირებული ყველა მაჩვენებლის მიხედვით | 2017 წ. ბოლო | 30 000 ლარი |
| | მაჩვენებლის აწევა: რაოდენობრივი არსებითი კატეგორიული | ფორმა #1, სტრიქონი „ნედლეული, მასალები და სხვა მსგავსი ღირებულებები“ | 2017 წ. ბოლო | 30 000 ლარი |
| შემცირებულია ობიექტის საწყისი ღირებულება 450 ლარით ობიექტის შეძენასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ჩაურთველობის გამო | მაჩვენებლის აწევა: რაოდენობრივი არსებითი კატეგორიული | ფორმა #1, სტრიქონი „სხვა არასაბრუნავი აქტივები“ | 2017 წ. ბოლო | 450 ლარი არ ითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილების შეტანას (ვინაიდან მისი შედგენა ხდება მთლიანი ათასი ან მილიონი ლარით). ამორტიზაციის უზუსტობა ასევე არ არის არსებითი |
| არ განხორციელებულა გრძელვადიანი კრედიტის გადატანა მოკლევადიანის შემადგენლობაში (100 000 ლარი) | მაჩვენებლის აწევა: რაოდენობრივი არსებითი კატეგორიული | გადატანილი იქნეს მუხლიდან „სესხები და კრედიტები“ ფორმა #1 შესაბამისი მუხლში | 2017 წ. ბოლო | 100 000 ლარი |

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აუდიტორული მტკიცებულებების მიღებისა და ანალიზის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული არა მარტო **ასს** 500-ის, არამედ ჯგუფის 500-599 „აუდიტორული მტკიცებულებები“ სხვა სტანდარტებიც.

**ასს 550** ორიენტირებულია **ბასს** 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“-ს დაცვის კონტროლზე. ამასთან, ცნება „დაკავშირებული მხარეები“ უფრო ვრცელია, ვიდრე ცნება „აფილირებული პირები“. ეს დაკავშირებულია, ერთი მხრივ (იურიდიული), იმასთან, რომ **ფასს** საერთაშორისოა და არ შეუძლია ასახოს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა, მეორე მხრივ (ეკონომიკური), იმასთან, რომ ასახავს აუდირებადი პირის ურთიერთკავშირების სისტემის უფრო სრული დახასიათების მოთხოვნას იურიდიულად რეგისტრირებული საკუთრებისა და ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენის ეკონომიკური შესაძლებლობების საფუძველზე.

მთლიანობაში **ასს** სისტემა თანდათან რთულდება - საწარმოს რისკების მართვის კონცეფციაზე (Enterprise Risk Management Framework) ორიენტაციით. აუდიტის დროს მხედველობაში მიიღება აუდიტორული

ორგანიზაციის (ინდივიდუალური აუდიტორის) რისკები, ასევე, აუდირებადი ორგანიზაციის რისკები (როგორც ბუღალტრული, ისე არაბუღალტრული), რომლებსაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ფინანსური აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საიმედოობაზე. ამდენად, რისკების მართვის კონცეფცია იძენს უფრო მოცულობით ასპექტებს - გამოიყენება აუდიტორული გარიგების ორი მხარის: აუდიტორისა და კლიენტის, შიდასაფირმო და გარეშე ფაქტორები. ეს საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ფინანსურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ახალი, „დისციპლინათაშორისი“ ურთიერთკავშირები.

ლიტერატურა:


1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 315 „აუდიტორული მტკიცებულება“-2009.
2. Mohamed Abulgasem Zakari; Nassr Saleh Mohamad Ahmad; The Role of Audit Evidence Source in Enhancing the Quality and Reliability of Libyan Auditor's Report; Rev. Integr. Bus. Econ. Res. Vol 3(1)2014, p.7.
3. Saunders, M., Lewis, P. and Thornhill, A. (2009): “Research Methods for Business Students”, Pearson Education Ltd, 5th ed, London, UK.
4. ლ. საბაური, სახელმძღვანელო - აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2016 წელი, გვ.121.


## The Analysis of Audit Evidence Based on the Instructions for the Preparation and Submission of Financial Statements


Levan Sabauri

*Associate professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

Complying financial accounting of the enterprise with international accounting standards takes on an added importance, especially on the ongoing phase of the Accounting and Audit reforms in the country. Meanwhile, verification of reliability and authenticity in financial accounting emphasizes importance of audit conclusions. The article explores principal topics necessary for preparing financial account for the enterprise. Also, it focuses on the analysis of obtaining evidences during auditing. Together with theoretical constructs we will discuss some practicalities of collecting and documenting evidences



***Key words: Audit Evidence; Financial Reporting; valuation and allocation Audit Report.***

# ბიზნესი-საქართველოში ეკონომიკური ზრდის ძირითადი დეტერმინანტი

## უშანგი სამადაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ეკონომიკის განვითარების საუკეთესო დეტერმინანტია ბიზნესის განვითარება. თავის მხრივ, ბიზნესის პროგრესს ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნესი, ანუ ინოვაციური მეწარმეობა. საჭიროა ბიზნესის სიმეტრიული გან-ვითარება რეგიონული და დარგობრივი ჭრილით. ეროვნულ მეურნეობას ააღორძინებს ცალკე აღებული არა მრეწ-ველობა, ტურიზმი ან, თუ გნებავთ, აგრარული სექტორი, არამედ მეწარმეობა, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა და ეხება ეკონომიკის ყველა დარგსა და რეგიონს. ტურიზმი საქართველოს ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს და არა იმპორტულმა პროდუქციამ.*

***საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის განვითარება, ინოვაციური ბიზნესი, მეწარმეობა, დეტერმინანტი, სი-მეტრიულობა და ასიმეტრიულობა, ხარვეზი და რეზერვი, დელეგირება.*

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2016 წელს საქართველო მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მყიდველობითი უნარის (PPP) გათვალისწინებით 190 ქვეყანას შო-რის 108-ე ადგილზეა **[1]**. მსოფლიოს ორ ასეულ ქვეყანას შორის საქართველოს მეორე ასეულში ყოფნა მეტყველებს მისი მოსახლეობის ცხოვრების არასაკმარის დონეზე და ევროკავშირისგან სერიოზულ ჩა-მორჩენაზე. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისა და ევრვოკავშირთან ეტაპობრივი დაახლოებისთვის კი ობიექტურად აუცილებელია ბიზნესის განვითარება, რადგანაც ეკონომიკის განვითარების საუკეთესო დეტერმინანტი სწორედ ბიზნესის განვითარებაა.

თავის მხრივ, ბიზნესის პროგრესს ხელს უწყობს ინოვაციური ბიზნესი, ანუ მეწარმეობა. დიახ, მე-წარმეობა ბიზნესის შემოქმედებითი სახეობაა, რომელიც ხორციელდება ინტელექტუალური და ორგანი-ზატორული უნარების საფუძველზე. **ისმის კითხვა - რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ ბიზნესში?** საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებულია 652 046 ბიზნესი, თუმცა, მათგან მხოლოდ 171 532, ანუ დაახლოებით 26% ფუნქციონირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში 479 514 კომპანია მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული. ბიზნესი ყველაზე აქტიურია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ვაჭრობა, ავტომანქანათა იმპორტი და რემონტი. ამ სფეროში 130 488 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომელთაგან აქტიურია მხოლოდ 66 528; მეორე ადგილზეა გადამამუ-შავებელი მრეწველობა, სადაც 29 574 დარეგისტრირებული კომპანიიდან რეალურად მუშაობს 13 028; მესამე ადგილზეა უძრავი ქონების სააგენტოები, სადაც დარეგისტრირებული 25 585 საწარმოდან, ნამ-დვილად მუშაობს მხოლოდ 13 849. **[2]**.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამჟამად ბიზნესის წამოწყება ბევრად იოლია, ვიდრე პროფესიის მიხედვით სამუშაო ძალის გაქირავებით დასაქმება. ეს იმიტომ, რომ ბოლო დროს ბიზნესის რეგისტრი-რება ერთობ გამარტივდა და მოხდა მისი ელექტრონულ რეჟიმში გადაყვანა. ამან შესამჩნევად გაზარდა ბიზნესის წამომწყებთა რაოდენობრივი მაჩვენებლი, მაგრამ ამავდროულად ხელი შეუწყო ბიზნესში ბევ-რი შემთხვევით ადამიანის მოსვლას, რომელსაც მოგების მიღების სურვილი კი აქვს, მაგრამ ბიზნესის მომგებიანი გაძღოლის ელემეტარული ცოდნა არ გააჩნია. ამის გამოა, რომ ახალი ფირმების თითქმის 70% იხურება ერთი წლის განმავლობაში. ამ ფონზე მოსახლეობაში ბიზნეს ცოდნის გავრცელება ერთობ აქტუალურია.

ჩვეულებრივ, ბიზნესში არსებობს გადარჩენისა და განვითარების სტრატეგია. დღეს საქართველო-ში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ფიქრობს არა ზრდის პერსპექ-ტივაზე, არამედ ელემენტარულ გადარჩენაზე. სხვა სიტყვებით, დღეს საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელთა უმრავლესობა ორიენტირებულია არა განვითარების, არამედ გა-

დარჩენის სტრატეგიაზე. აღნიშნულს ზოგჯერ ხელს უწყობს კანონმდებლობაც, არადა, ეკონომიკურად მიზანშეწონილია განვითარებაზე ორიენტცია.

ასე, მაგალითად, 2011 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მოტივით, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში და საგადასახადო კანონში ცვლილებების შედეგად, წარმოიშვა მიკრო ბიზნესის სტატუსის ფიზიკური პირისა და მცირე ბიზნესის სტატუსის მეწარმე ფიზიკური პირის ცნება. მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს თუკი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

ამ მოთხოვნების დაცვით ბიზნესი, ერთი მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და მუშაკთა დასაქმების და, მეორე მხრივ, წარმოების ზრდა-გაფართოების წინააღმდეგ არის მიმართული. Eს მაშინ, როდესაც უცხოელმა ბიზნესმენმა, მაგალითად, აშშ-ი საკუთარი საქმე, რომ წამოიწყოს სხვა მოთხოვნებთან ერთად სულ ცოტა ადგილობრივი 5-6 კაცი მაინც უნდა დაასაქმოს. ან კიდევ, ევროკომისიის მიხედვით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია ასეთნაირად ხდება. მიკროსაწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 9 კაცს, ხოლო მაქსიმალური წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 2 მილიონ ევროს. შესაბამისად, მცირე საწარმოში - 49 კაცს და - 10 მილიონ ევროს; საშუალოში კი - 249 კაცს და - 50 მილიონ ევროს [3]. ვფიქრობთ, ევროკავშირზე ორიენტირებულ საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ზღვრები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ევროკომისიის მოთხოვნებთან.

ამგვარი მიდგომით, საწარმოთა კლასიფიკაციის ევროპულ სტანდარტებზე გადასვლით, საქართველოში დაახლოებით 300 მსხვილი საწარმო დარჩება. შესაბამისად, მსხვილი საწარმოების წლიური ბრუნვა და წილი მშპ-ი მინიმუმ ორჯერ შემცირდება. მცირე და საშუალო საწარმოებისა კი პირიქით - გაიზრდება. მაშასადამე, მომავალში გასახორციელებელი ცვლილებების შემდეგ საქართველოს ბიუჯეტი სამასი მსხვილი საწარმოს ამარა შეიძლება დარჩეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებისათვის საწყის წლებში საჭიროა მათი გადასახადებისგან საერთოდ განთავისუფლება, შემდგომ კი საგადასახადო შეღავათების დაწესება.

საერთაშორისო სტანდარტებით სამეწარმეო უნარები აქვს საქართველოს მოსახლეობის არა უმეტეს 10 %-ს, ე.ი. დღევანდელი მდგომარეობით დაახლოებით 372 000 კაცს. ზემოთ მოხმობილი მონაცემებით კი რეალურად მხოლოდ 171 532 საწარმო, ანუ დაახლოებით 26% ფუნქციონირებს. ცხადია, ეს სერიოზული ხარვეზია, მაგრამ დიდი რეზერვიც. წყარო

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს დღევანდელი მოსახლეობის დაახლოებით 75% საბჭოთა თაობაა, რომლისთვისაც, იმხანად გაბატონებული ეკონომიკური სისტემისა და იდეოლოგიის გამო, არავის უსწავლებია და, მაშასადამე, უცხოა გამდიდრების ანუ ბიზნესის წარმართვის მეთოდები. ვფიქრობ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოში ფართოდ გავრცელებული უმუშევრობისა და ეკონომიკური სიდუხჭირისა. ჩვენი ბიზნესმენები უპირატესად 45 წელს გადაცილებული არიან. მათი მენტალიტეტი ყალიბდებოდა სსრკ-ს დაშლის პროცესში. მათი ყველაზე დიდი პრობლემა მარკეტინგის, გაყიდვების პრობლემაა. რაც შეეხება ამჟამინდელ თაობას, რომელმაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მიიღო კლასიკური განათლება ბიზნესის მენეჯმენტში, არა აქვს სათანადო ბიზნეს-გამოცდილება.

ორი ათეული წელია, რაც საქართველოში მეწარმე-სუბიექტების საქმიანობას აწესრიგებს "საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ", რომელიც მიღებულია 1994 წლის 28 ოქტომბერს და ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან. 1995 წლიდან 2017 წლამდე აღნიშნულ კანონში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ დაქვემდებარებია. Aამის გამო მასში დაილექა მრავალი პრობლემა, რომელიც საკანონმდებლო დონეზე უნდა იქნას გადაწყვეტილი, რათა ჰარმონიზებაში მოვიდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან და წახალისდეს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. შევნიშნავთ, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები

კარგია, რადგან კანონი უკეთესობისაკენ იცვლება, ყოველი ცვლილება უფრო და უფრო თანამედროვეს ხდის კანონს და მისაღებს ბიზნესისა და საზოგადოებისათვის, უსადაგებს თანამედროვე სტანდარტებს და მოთხოვნებს. კანონში შეტანილი ცვლილებები უარყოფითია, იმის გამო, რომ ხშირი ცვლილებები მეტყველებს კანონის არამდგრადობაზე, კანონის უხარისხობაზე. ამას გარდა, კანონში ხშირი ცვლილებები მეწარმისთვისაც პრობლემაა, რადგან მას გამუდმებით უწევს ცვლილებების გაცნობა, მათთან შეგუება და ყოველ ჯერზე საკუთარ საქმიანობაში რაღაც-რაღაცების შეცვლა, მუდმივი კონსულტაციების მიღება სპეციალისტებისაგან და სხვა. მოკლედ, კანომდებლობის არასტაბილურობა აისახება ბიზნესის არასტაბილურობაში.პრობლემები გვხვდება დამწყები და უკვე მოქმედი მეწარმეების არაინფორმირებულობაში. პოტენციურმა მეწარმემ არ იცის რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეარჩიოს და როგორ შეფუთოს იდეა ბიზნეს-გეგმაში და სტრატეგიაში.

მეწარმეობის ესა თუ ის ორგანიზაციული ფორმა უნდა შეირჩეს იმის მიხედვით თუ რომელი ფორმა შეესაბამება უკეთ ჩვენ ბიზნესს და რომელი ფორმის უპირატესობების რეალიზაციისა და ნაკლოვანებების პრევენციისათვის (გამკლავებისათვის) ვართ მზად.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის რომელ ორგანიზაციულ ფორმას ვირჩევთ, იმიტომ რომ ბიზნესის დაწყებისა, თუ კეთების რიგი მახასიათებლები (ბიზნესის რეგისტრაციისა და დაწყების საჭირო ხარჯები; ვალების გადახდისა და საწარმოს გაკოტრების შემთხვევაში პირადი პასუხისმგებლობის შეზღუდულობა თუ შეუზღუდაობა; დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება და რისკები; საწარმოს ფინანსური ინფორმაციის საჯაროობა; დაბეგვრის რეჟიმი; ფინანსებზე, კრედიტებზე და ინვესტიციებზე წვდომა, საწარმოს სიცოცხლის ხანგრძლივობა და მრავალი სხვა) სწორედ ოგანიზაციულ ფორმაზეა დამოკიდებული.

ამიტომაა, რომ საბანკო დაწესებულება თუ ინვესტორი დიდ ყურადღებას იჩენს საწარმოს ორგანიზაციული სტატუსის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ფორმა თავიდანვე სწორად შეირჩეს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ორგანიზაციული ფორმის შეცვლა არაა შესაძლებელი. რა საკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ეს იქნება გარკვეულ დამატებით პროცედურებთან, დროსთან, ენერგიასთან და ფულთან დაკავშირებული.

კვლევები გვიჩვენებენ, რომ მზარდი კომპანიების მენეჯერების უმრავლესობა გარკვეულწილად უგულვებელყოფს დაგეგმვას, რადგანაც მათი ძირითადი ძალისხმევა მიმართულია ყოველდღიური პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტისაკენ. დაგეგმვის პროცესისადმი ამგვარი დამოკიდებულება გვაგონებს ზღვაში უკომპასოდ გასულ გემს. ეს ხშირად იწვევს იმას, რომ მენეჯერთა გუნდის ცალკეული წევრებს აქვთ დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიზნები ერთი ორგანიზაციის შიგნით.

ჩვენ ბიზნესმენებს უჭირთ დელეგირება ანუ როლების (ფუნქციების) გადაბარება სხვებზე. ყველაფერს თვითონ აკეთებენ (გემის კაპიტანივით თვითონვე ცეცხლფარეშობენ). **არსებობს სამი მთავარი მიზეზი, რომელთა გამოც მეწარმეებს არ სურთ მოვალეობების დელეგირება: 1) ფული** - „არ მაქვს საკმარისი სახსრები, საქმის გასაკეთებლად დამატებითი თანამშრომელი რომ ავიყვანო; "**2) დრო** - „სხვა თანამშრომლისთვის დავალების განმარტება ბევრ დროს მოითხოვს. ეს თავად უფრო სწრაფად შემიძლია გავაკეთო;" 3) ხარისხი - „ჩემსავით ამას ვერავინ გააკეთებს." ასეთი, ბიზნესის ყველა დეტალებში ცხვირის ჩამყოფი, ადამიანები ერთხელ ჩაკეტეს 3 დღით დარბაზში და არ მისცეს იქიდან გამოსვლის საშუალება. რომ გამოუშვეს, ნახეს, რომ მათი ბიზნესი უკეთ მუშაობდა. ისინი არა თუ არ აცნობიერებენ დელეგირების აუცილებლობას, არამედ კადრებს არ აძლევენ საშუალებას გამოიჩინონ ინიციატივა და აიღონ თავიანთ თავზე პასუხისმგებლობა.

**სამწუხაროდ, ქართულ ფირმებში სახეზეა ფინანსური მენეჯმენტის სუსტი ცოდნაც**. გადაწყვეტილებათა მიღების დროს მხედველობაში არ მიიღება ალტერნატიული ღირებულებისა და დაუბრუნებელი ხარჯების ცნებები. მაგალითად, ძალიან ხშირად მოჰყავთ შემდეგი არგუმენტი: „ეს დანადგარი არ გვჭირდება და არც დაგვჭირდება, მასში 5 000 ლარს გვთავაზობენ, მაგრამ ჩვენ ის თავის დროზე 12 000 ლარად შევიძინეთ და უფრო იაფად არ გავყიდით“. ამავე დროს, ეს საწარმო იძულებულია, თავისი საჭიროებისათვის, ბანკიდან იგივე 5 000 ლარი ისესხოს თვეში 2%-იანი, წელიწადში 24%-იანი განა-

კვეთით; ასე, რომ ზედმეტად იკარგება თვეში 100 ლარი, წელიწადში კი: 12X100=1200ლარი. დანადგარი კი თავის მხრივ კიდევ უფრო ცვდება და კარგავს თავის ღირებულებას.

გადასახადებს შორის ყველაზე რთულად ადმინისტრირებადი გადასახადი არის **მოგებიდან გადასახადი**. საწარმოს ბუღალტრული სამსახური საგადასახადოსთან ურთიერთობისას ყველა ღონეს მიმართავს, რომ რაიმენაირად ხარჯი გაზარდოს და მოგება შეამციროს, რათა მცირე მოგებიდან გადასახადი გადახდეს და ხშირად აღწევს კიდეც მიზანს. ამავდროულად, ბანკისაგან სესხის მოთხოვნის შემთხვევაში საწარმოს ურთულდება მდგომარეობა მცირე მოგების გამო.

საერთაშორისო ბიზნესზე ორიენტირებულ კომპანიებში ბუღალტრული აღრიცხვა, დაბეგვრა და ადმინისტრირება უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით. თავის მხრივ, მაკონტროლებელი ორგანოები ისედაც სუსტი ბიზნესის მიმართ ხშირად იყენებენ ანგარიშების დაყადაღებას, გაყინვას, ჯარიმებს და არა პრევენციულ ზომებს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ჯანსაღი კონკურენცია ასუფთავებს ბაზარს ძვირი და უხარისხო პროდუქციისაგან. სამწუხაროდ საქართველოში ვხვდებით კარტელურ (ოლიგოპოლიურ) გარიგებებს, არა მხოლოდ ნავთობ პროდუქტების იმპორტიორებში, რომელთაც კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებით დაეკისრათ 55 მლნ ჯარიმის გადახდა, არამედ, საკომუნიკაციო (ჯეოსელი, მაგთიკომი, ბილაინი), ფარმავცეტულ (ავერსი",, შ "-,,ჯიპისი)" და ინტერნეტ („სილქნეტი" და „კავკასუს ონლაინი") ბაზარზე. არადა, მუშაობს კონკურენციის სააგენტო, რომელიც ღებულობს ბიუჯეტიდან დაფინანსებას.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, რეგიონული და დარგობრივი ჭრილით ბიზნესის განვითარებაში ასიმეტრიულობის დაძლევა. მსოფლიო ბანკის კვლევამ გამოკვეთა, რომ **ბიზნეს-სექტორი** ძირითადად თბილისსა და რამდენიმე დიდ ქალაქშია (რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და ფოთში) განვითარებული. ბიზნესის 72% მოდის თბილისზე და 28% დანარჩენ საქართველოზე. ამის გამოა, რომ თბილისში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 30% და მოსახლეობის ერთ სულზე ბიზნესის წლიური ბრუნვა 25 ათას ლარამდეა, რეგიონებში კი ეს მაჩვენებელი 3 ათას ლარზე ნაკლებია. მოკლედ, თბილისი თავკომბალას დაემსგავსა და გრძელვადიან პერიოდში სხვადასხვა საფრთხეების შემცველია. **სწორედ ამიტომ რეგიონებში, სადაც ბიზნესის წარმოებისათვის არახელსაყრელი პირობებია, სახელმწიფოს მხრიდან მეტი შეღავათების დაწესებაა საჭირო.** ისიც ხაზგასასმელია, რომ ბიზნეს-სუბიექტების დაახლოებით 70% ინდმეწარმეა, ხოლო 30% კომერციული იურიდიული პირი ანუ ორი ან მეტი პარტნიორის ხელშია. ე. ი. პრობლემა საწარმოთა რაოდენობაში კი არა, არამედ იმაშია, რომ მათგან 70% ერთი პირის ხელშია **[4, გვ.567]**. არადა, ხალხური სიბრძნის მიხედვით „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო და ძალა ერთობაშიაო".

**როგორც ითქვა, ბიზნესს აფერხებს მისი განვითარების ასიმეტრიულობა დარგობრივ ჭრილშიც.** ამის გამო, საქართველოში თვალსაჩინოა საქონლისა და ფულის ყიდვა-გაყიდვით ფულის მოგება, ანუ სავაჭრო და საბანკო ბიზნესი და უხილავია საწარმოო ბიზნესი. არადა, ქვეყანა საწარმოო ბიზნესის განვითარების გარეშე მხოლოდ იმპორტული საქონლის ყიდვ-გაყიდვით იფარგლება. მეწარმეთა კლასის წარმომადგენლების აზრით, ამჟამად ბიზნესის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ბანკებთან კონკურენცია, რასაც განაპირობებს ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა **[5]**. ამას გარდა, ბანკების მიერ გაცემული სესხების მხოლოდ 7% მოდის ბიზნესზე, დანარჩენი კი - კერძო პირებზე გაცემულ სამომხმარელო სესხებზე. ხშირად ილახება ბანკის კლიენტთა უფლებები, სახეზეა მათი ჭარბვალიანობა, რაც ზრდის სამომხმარელო სესხის მომსახურებაზე დანახარჯებს და აუარესებს მსესხებელთა ეკონომიკურ მდგომარეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ჩამოყალიბდეს საწარმოო ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული საბანკო სისტემა, რომელიც წაახალისებს პროდუქციის წარმოებას შიდა და გარე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის და ეროვნული წარმოების მასტიმულირებელ ვალუტის კურსს.

საქართველოში ბიზნესის პოლიტიზაცია და პოლიტიკის ბიზნესიზაცია აყალიბებს არაჯანსაღ კონკურენციას, არაეფექტიან ეკონომიკას, რომელში გამარჯვებული კომპანია საერთაშორისო ბაზარზე ვერ იქნება კონკურენტუნარიანი.

ხაზგასასმელია, რომ ქვეყანაში, სადაც ტურიზმი იმპორტზეა დამოკიდებული, მისი ეფექტიანობა ერთობ დაბალი და სარისკოა. სწორედ ამიტომ, საჭიროა ტურიზმი საქართველოს სოფლის მეურნეობამ უზრუნველყოს და არა იმპორტულმა პროდუქციამ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტული პროდუქტი არ არის პირველადი მოთხოვნის საქონელი. ტურისტული მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ გარკვეული შემოსავლების, დანაზოგების მქონე ადამიანებს, რომელთაც ამავდროულად აქვთ მზარდი დროის ბიუჯეტი და მოგზაურობის სურვილი (მოტივი). ეს ტურიზმს უაღრესად მგრძნობიარეს ხდის პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მიმართ.

საქართველოს კერძო სექტორში **რაოდენობრივად მსხვილი ბიზნესი მხოლოდ 5%-ია, დანარჩენი 95% კი მცირე და საშუალო საწარმოებია**. მაგრამ თუ მათ ბრუნვებს გადავხედავთ, მცირე და საშუალო ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მხოლოდ 17%-იანი წილი უდევს. ეს ძალიან დაბალი მაჩვენებელია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მცირე და საშუალო სექტორს შრომისუნარიანი მოსახლეობის 43% ჰყავს დასაქმებული, ხსენებული 17% კიდევ უფრო მეტყველი გახდება - ეს ნიშნავს, რომ აქ დასაქმებული ადამიანების ხელფასი ძალიან დაბალია, ხოლო თვით საწარმოები დაბალპროდუქტიული.

თუ გადავხედავთ სტატისტიკას, ვნახავთ, რომ მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა მცირე და საშუალო ბიზნესია და არა მსხვილი ბიზნესი. აშშ-ში მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 85%-ს შეადგენს, ევროპაში, დაახლოებით 70-75%-ს. საქართველოში კი მრავალი წელია 17%-ს ვერ გასცდა.

ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, სადაც განმარტებულია, რა არის მცირე და საშუალო ბიზნესი. ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს **საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც 2016-2020 წლებზეა გათვლილი**. სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები და ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის კუთხით **[6]**.

მსოფლიო პრაქტიკით, სადაც განვითარებულია მცირე და საშუალო ბიზნესი, იქ დასაქმებულთა და მშპ-ის უდიდესი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. ე. ი. იკვრება ერთგავრი სამკუთხედი: **დასაქმება ზრდის შემოსავალს, შემოსავალი ზრდის მოხმარებას და დაგროვებას, მოხმარება და დანაზოგები კი- წარმოებას (ეკონომიკას).**

**ეროვნულ მეურნეობას ააღორძინებს ცალკე აღებული არა მრეწველობა, ტურიზმი ან, თუ გნებავთ, აგრარული სექტორი, არამედ მეწარმეობა, რომელიც უფრო ფართო მოვლენაა და ეხება ეკონომიკის ყველა დარგსა და რეგიონს**. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის წახალისების პოლიტიკის გატარება რეგიონებში, რადგანაც მსოფლიო ბანკის კვლევებით, ქვეყნის ეკონომიკა როგორადაც უნდა გაიზარდოს, დოვლათი არ ნაწილდება რეგიონებზე და ძირითადად დედაქალაქში აკუმულირდება, რაც აღრმავებს შემოსავლებრივ უთანაბრობას თანმდევი უარყოფითი ეფექტებით (შრომითი ემიგრაცია შინ და გარეთ, ამის გამო ოჯახების ნგრევა და სხვ.).ხშირად გაიგონებთ, რომ ამათუიმ პროდუქციის თუ სერვისის ხარისხი არ ვარგა. ამის მიზეზია ის, რომ არ გვყავს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პროფესიონალი, კვალიფიციური მუშა-ხელი. როგორც ჩანს, ოსტატების შეგირდობით მიღებული პროფესიული ცოდნა თანამედროვე ბიზნესში საკმარისი აღარ არის. ე.ი. საჭიროა პროფესიული სწავლების გაუმჯობესება.

ლიტერატურა:


1. ერთ მოსახლეზე შემოსავლით საქართველო მსოფლიოში 108-ე ადგილზეა. Forbes.ge. *20 აპრილი, 2017 • მსოფლიო*
2. Вахтанг Чарая. Только 26% зарегистрированных в Грузии компаний реально работают. http://commersant.ge2017-05-27.

3. Гурьянов П., Критерии определения размеров малого и среднего бизнеса. №10, 2011с.4.
4. samadaSvili უ. biznesis safuZvlebi. Tb., "universali"; 2016.
5. http://commersant.ge17-05-31. Сегодня банки являются конкурентами бизнеса
6. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის

# Business - the Main Determinant of Economic Growth in Georgia

Ushangi Samadashvili

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor*
*Tbilisi Stat University*

**Resume**

The best determinant of economic development is business development.In turn, business innovation promotes innovative business, ie entrepreneurship. The symmetric development of business in the regional and sectoral context is necessary. The national economy will be developed separately from the non-industry, tourism, or, if you want, the agricultural sector, but entrepreneurship, which is a wider phenomenon and deals with all areas of economy and region. Tourism should ensure the agriculture of Georgia and not the imported products.

***Key words: Economic development, Innovative business, Entrepreneurship, determinant, symmetry and asymmetry, defect and reserve, delegation.***

# საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოებში თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის საკითხისათვის

სალომე საყვარელიძე

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და მათი ხელის შეწყობა, ვინაიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი ხელს უწყობს ინოვაციებს, ექსპორტის ზრდას, საერთაშორისო ბაზრების შესაძლებლობების გამოყენებას, ამასთან, დასაქმების ზრდას და თანამედროვე ბიზნეს კულტურის შექმნას. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შეფასებით (OECD) მცირე და საშუალო საწარმოები მსოფლიოში არსებული კომპანიების 90%-ია და მსოფლიო მოსახლეობის 63% ჰყავთ დასაქმებული [7, გვ. 35]. 2003 წლიდან მოყოლებული საქართველომ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესის დაწყების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ეფექტური გარემოს შექმნა და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება.*

*დღესდღეობით მსოფლიოში საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარი წყაროა. შესაბამისად, ყოველდღიურად უფრო მეტი საწარმო ცდილობს არსებული ვითარების გაანალიზებას და შესაძლებლობების გამოყენებას.*

*ნაშრომის მიზანია საქართველოში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გამოკვეთა. განხილულია 60 მცირე და საშუალო საწარმოებში თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.*

***საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო საწარმოები; ეკონომიკური განვითარება; ეკონომიკური რეფორმები; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; ტექნოლოგიები; ინტერნეტი.***

აშშ-ში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება ჯერ კიდევ დიდი დეპრესიის დროს დაიწყო. კომპანიების რიცხვი დღემდე იზრდება [1, გვ. 64], განსაკუთრებით მატერიალური წარმოების, ვაჭრობის, ფინანსურ სექტორის, სოციალური მომსახურების სექტორის და ინოვაციების სფეროების მიმართულებით [10, გვ. 5]. კრიტერიუმების თანახმად საშუალო საწარმოდ ითვლება საწარმო სადაც დასაქმებულთა ზღვარი 100 – 499 ადამიანამდე მერყეობს [5, გვ. 20] და წლიური ბრუნვა შეადგენს 1 მლრ. დოლარას [8], ხოლო მცირე საწარმოდ მიიჩნიეს საწარმო, სადაც დასაქმებულთა ზღვარი არის 10–99 ადამიანი, ხოლო წლიური ბრუნვა შეადგენს 10 მლნ. დოლარს [5, გვ. 20]. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 600 ათასი მცირე საწარმო რეგისტრირდება, საიდანაც 500 ათასი მალევე ლიკვიდირდება [2, გვ. 65]. მაგალითად, 1983 წლიდან 2006 წლამდე საწარმოების რაოდენობა 13 მილიონიდან 26 მილიონამდე გაიზარდა. დღეისათვის აშშ-ისამუშაო ადგილების 2/3 შექმნილია მცირე და საშუალო საწარმოების მიერ [10, გვ. 5]. შესაბამისად, ქვეყანაში სხვადასხვა გზით ხორციელდება აღნიშნული საწარმოთა სახელმწიფო მხარდაჭერა და მათი ეტაპობრივი განვითარება.

რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, ევროკავშირის კომისიის დადგენილებით საშუალო საწარმოდ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულთა ზღვარი 50–249 ადამიანამდე მერყეობს და წლიური ბრუნვა შეადგენს 50 მლნ ევროს, ხოლო მცირეა საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა ზღვარია 10 – 49 ადამიანი, ხოლო წლიური ბრუნვა შეადგენს 10 მლნ ევროს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 2012 წლისათვის მოქმედებდა 22 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომლებშიც 130 მლნ ადამიანი იყო დასაქმებული. მთლიანობაში ევროკავშირში მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 53%-ს და საქონელბრუნვის ერთ მეოთხედს. ამასთან ერთად, მომუშავეთა 70% დასაქმებულია ვაჭრობასა და მომსახურებაში [1, გვ. 56]. ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოების მხარდამჭერის ეფექტიანი პოლიტიკის შეთავაზებას, კონკურენტუნარიანობის ამღლებასა და წარმოების ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. მაგალითის-

თვის, **გერმანიამ** გაათავისუფლა მცირე ბიზნესი ბრუნვის გადასახადისაგან და დააწესა სპეციალური საგადასახადო შეღავათები ინვესტორებისათვის, ვინც თავიანთ ინვესტიციებს განვითარებად კომპანიებში განათავსებდნენ. **პორტუგალიამ** გაამარტივა გადასახადების აკრეფის პროცედურა იმ საწარმოებისათვის, რომელთა ბრუნვაც 150 ათას ევროზე ნაკლები იქნებოდა და საგადასახო შეღავათები დააწესა იმ მცირე საწარმოებისათვის, რომლებიც ინფორმაციულ ტექნოლოგიებში განახორციელებდნენ ინვესტიციებს. **ფინეთმა** კი შეამცირა გადასახადების განაკვეთი მცირე შემოსავლიანი მეწარმეებისათვის [1, გვ. 49].

2003 წლიდან მოყოლებული საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი იყო კორუფციასთან ბრძოლა, ბიზნესის დაწყების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი ეფექტური გარემოს შექმნა. წარმატებული სისტემის მისაღწევად საჭირო გახდა არსებული ბიოკრატიული პროცედურების გამარტივება, რაც, პირველ რიგში, მოიცავდა ადმინისტრაციული ბარიერებისა და გადასახადების შემცირებას და სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას. ბოლო წლებში გატარებული ეფექტური რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია და მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები [3, გვ. 10].

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო მეწარმეობის დაწყების და მისი განვითარების შესაძლო ტრეინინგების და საერთაშორისო სავაჭრო პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით, ასევე ფინანსებზე და ინოვაციებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, მხარდაჭერი სხვადასხვა ინსტიტუტების და მექანიზმების განვითარების კუთხით.

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ ლარს, ხოლო მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს. მცირე და საშუალო მეწარმეობის ძირითადი სეგმენტია: ვაჭრობა, მრეწველობა, რესტორნები, ფინანსური შუამავლობა და სხვა. 2014 წელს, მოქმედი საწარმოების რიცხვი 70 760-ს შეადგენდა, საიდანაც 6 170 იყო საშუალო, ხოლო 60 640 - მცირე საწარმო. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები 94%-ს (9% საშუალო, 85% მცირე) წარმოადგენენ. 2006-2014 წლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წლიური ბრუნვა 269%-ით (2.4 მლრდ ლარიდან 9.0 მლრდ ლარამდე) და გამოშვება 269.7%-ით გაიზარდა (1.4 მლრდ ლარიდან 5.2 მლრდ ლარამდე), ხოლო კადრების დასაქმება 53.7%-ით, 168.7 ათასიდან 259.4 ათას პირამდე გაიზარდა [3, გვ. 18]. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის და მათი ეკონომიკური წვლილის გაზრდის მიზნით ასევე ფუნქციონირებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, კერძო ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

XXI საუკუნეში, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაამარტივა [4, გვ. 2]. აღნიშნულთან ერთად, დღევანდელ მსოფლიოში საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენენ. შესაბამისად, ყოველდღიურად უფრო მეტი საწარმო ცდილობს არსებული ვითარების გაანალიზებას, ფეხის აწყობას და თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემების დანერგვას, სამომავლო განვითარებისა და მოგების ზრდის მიზნით, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა ინტერნეტი საწარმოებს სთავაზობს საერთაშორისო ვაჭრობის წამოწყება-გაფართოების, შიდა ბაზრის ათვისების, მომხმარებლის დამოკიდებულების განსაზღვრისა და ახალი ინვესტიციების მოძიების შესაძლებლობებს [10, გვ. 48]. მაგალითად, ინტერნეტის მომხმარებელი მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავალი 22 %-ით აღემატება იმ მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავალს, რომლებიც დღესდღეობით ინტერნეტით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით არ სარგებლობენ. ასევე, მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნეტის 10%-იანი მოხმარების მატების ფაქტი პირდაპირპროპორციულად აისახება 0.2%-იან ექსპორტის ზრდაში. საერთაშორისო ექსპერტებმა ინტერნეტის მოხმარების დადებით ფაქტორად ასევე ვაჭრობის ხარჯების 26%-იანი შემცირება მიიჩნიეს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტრონული ვაჭრობის მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავალი 2011 წლიდან, რო-

მელიც შეადგენდა 13.63 $ მლრდ-ს, 2013 წლისთვის 42.13 მლრდ დოლარს მიაღწია [9, გვ. 49].

აშშ-ში და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მცირე, საშუალო და დიდი საწარმოები ცდილობენ ინტერნეტის შესაძლებლობების გამოყენებას თავიანთი საქმიანობის კონკუტენტუნარიანობის გაზრდის და გაფართოების მიზნით (იხ. დიაგრამა).

**2014 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება** [6].




კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2011 წელთან შედარებით გაზრდილია დედაქალაქსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს ყოველდღიური რეჟიმით იყენებენ. თუ 2011 წელს თბილისში ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა, 2012 წლისთვის იგი 46%-მდე, ხოლო სოფლების შემთხვევაში 4%-დან 7%-მდე გაიზარდა [4, გვ. 3].

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ანალიზის მიზნით, 2016 წლის ნოემბრის თვეში, კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 60 მცირე და საშუალო ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები. გამოკითხული 37 კომპანია მცირე, ხოლო 23 საშუალო ბიზნესს წარმოადგენდა.

შერჩეულ ფირმებში კადრების უმეტესოდა (86.7%) განათლებული, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი იყო. ამასთან, მეწარმეთა 51.7% აცხადებდა, რომ საზღვარგარეთ გამართულ სემინარებზე არასოდეს მიუღია მონაწილეობა. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეების გრძელვადიანი განათლების უზრუნველსაყოფად. გამოკითხულთა 45% თანამშრომლობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, 20% მოძიების პროცესში იყო და დარჩენილი 35%-ს არ ჰქონდა პარტნიორული ურთიერთობები.

კვლევის თანახმად, მეწარმეთა უდიდესი ნაწილი (88.3%) ჯეროვნად აფასებდა თანამედროვე საკომონიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობას. ამასთან, მეწარმეთა (95%) ცდილობდა ინტერნეტის დადებითი შესაძლებლობების გამოყენებას მოგებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. მეწარმეთა (51.7%) აზრით, ინტერნეტი ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენტუნარიანობის გაზრდაში და 86.7% დაინტერესებული იყო სამომავლოდ პროდუქტებისა და სერვისების ცნობადობის ამაღლების მიზნით ინტერნეტის გამოყენება დაენერგა. აღნიშნულთან ერთად, გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 61.7%-ს ჰქონდა ვებგვერდი. კომპანიები რეკლამისთვის (78.3%), კლიენტების მომსახურებისთვის (61.7%), ინცორმაციის შეგროვებისთვის (75%), ბაზრის კვლევისთვის (56.7%), ურთიერთობისთვის - შიდა და გარე კომუნიკაციისთვის (75%) იყენებდნენ საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებაში, სოციალური უთანაბრობის შემცირებასა და დასაქმების ზრდაში. თავიანთი მოქნილობისა და დინამიკურობის წყალობით, სწრაფად ახდენენ რეაგირებას მოთხოვნილების ცვლილებაზე, ასევე წარმოადგენენ ინოვაციის წყაროს. აღნიშნულთან ერთად, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, ინოვაციების და კვლევის დაბალი დონე, ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები, კვალიფიციური კადრების მოძიება და შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები კვლავ სახელმწიფოსთვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

თანამედროვე ტექნოლოგიებმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია მნიშვნელოვნად გაამარტივა. შესაბამისად, დღევანდელ მსოფლიოში მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის და ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი და ეფექტიანი საშუალებაა. მიზანშეწონილია, ყოველდღიური რეჟიმით, საწარმოებმა სამომავლო გაფართოებისა და მოგების გაზრდის მიზნის მისაღწევად, ბაზარზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემები დანერგონ და ეფექტიანად გამოიყენონ, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართვას საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე შიდა ბაზრის ათვისებასა და ახალი ინვესტიციების მოძიებას.

**ლიტერატურა:**


1. **გობეჯიშვილი, ე. (2013).** საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები. PHD თეზისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი.
2. **გოგიაშვილი, ო. (2013).** მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. PHD. თეზისი. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი.
3. **საქართველოს მთავრობა.** საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. მოძიებულია http://gov.ge/files/439_54422_706524_100-1.pdf
4. **ტურაშვილი, თ. (2013).** *ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში - ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.* მოძიებულია https://idfi.ge/public/migrated3%90.pdf
5. **Berisha, G., Pula, J. (2015).** Defining Small and Medium Enterprises: a critical review. *Academic Journal of Business, Administration, Law and Social Sciences 1 (1),* 17-27.
6. **Eurostat Statistics Explained (2015).** Statistics on small and medium-sized enterprises. მოძიებულია http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Digital_economy_and_society_statistics_-_enterprises
7. **International Finance Cooperation. (2013).** Closing the Credit Gap for Formal and Informal Micro, Small, and Medium Enterprises. მოძიებულია https://www.ifc.org/wps/wcm/connect/4d6e6400416896c09494b79e78015671/Closing+the+Credit+Gap+Report-FinalLatest.pdf?MOD=AJPERES
8. **Merritt, C.** What size company is considered a mid-size company?. Chron. მოძიებულია http://smallbusiness.-chron.com/size-company-considered-midsize-company-71776.html
9. **Suriyapperuma, H. Yajid, M. Khartibi, A. Premarathne, P. (2015).** The Impact of Internet Adoption on SME performance in Sri Lanka: Development of a Conceptual Framework. International Journal of Arts and Commerce 4 (1), 48-49.
10. **Калинин, А. (2011).** Анализ развития и состояние малого и среднего бизнеса в мире. *Экономика, предпринимательство и право, 4.*


## Towards the Issue of Efficient Use of Modern Communication Technologies in Small and Medium-Sized Enterprises of Georgia


Salome Sakvarelidze

*Doctor Student*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

One of the main priorities of any country is the development of Small and Medium-Sized Enterprises, while they are promoting the development of any countries economy. A strong and well-developed small and medium-sized enterprise sector creates and develops innovation, increases export and the use of opportunities of international markets. Also has direct imapct on employment growth and development of modern business culture. The Organization for Economic Co-operation and Development (OECD) estimates that small and medium-sized enterprises represent 90% of companies in the world and employes 63% of the world's population [7, p. 35].

From 2003, Georgia has made significant economic reforms. The main purpose of the reform was to fight corruption, to start a business easily and to create a favorable environment for direct foreign investments.

Today, communication technologies are one of the main sources of competitiveness and efficiency of small and medium-sized enterprises. Consequently, more enterprises are trying to analyze the current situation and utilize opportunities every day.

The purpose of the work was to identify the problems and challenges in Georgia. The possibilities for using modern communication technologies are discussed in 60 small and medium sized enterprises.

*Keywords: Small and Medium-Sized enterprise; Economic Development; OECD; Economic Reforms; Technologies; Internet*

# მარკეტინგის გამოყენების თავისებურებების განმსაზღვრელი პირობები მოგზაურობასა და ტურიზმში

მაია სეთური

*ეკონომიკის აკადმიური დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*დღევანდელი კონკურენტული ბაზრის პირობებში, მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებას ტურისტული ინდუსტრიის სისტემაში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციისა და საწარმოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ტურიზმი გამოირჩევა სხვა დარგებისაგან სპეციფიკით, რაც განაპირობებს მარკეტინგის გამოყენების თავისებურებებს. აქ ადგილი აქვს როგორც მომსახურების, ასევე, მატერიალური სახის პროდუქციის გაყიდვას. ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული საწარმოების მიერ ტურისტების მოზიდვა, საბაზრო წილის და მოგების ზრდა შეუძლებელია მარკეტინგის ეფექტიანი საშუალებების გამოყენების გარეშე. მარკეტინგი ხელს უწყობს ბაზარზე ხარისხიანი ტურისტული პროდუქტის მიწოდებას, უზრუნველყოფს მოთხოვნის სტიმულირებას.*

*საკვანძო სიტყვები: მარკეტინგი; მოგ ზაურობა და ტურიზმი; მომსახურება; კლიენტთა კმაყოფილება.*

მარკეტინგის გამოყენების საფუძველი ტურიზმში - მარკეტინგის კონცეფციები და პრინციპებია, რომლის განხორციელებაც ხასიათდება თავისებურებებით, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დარგის სპეციფიკასთან. მოგზაურობა და ტურიზმი ერთ-ერთი უმსხვილესი ინდუსტრიაა მსოფლიოში. იგი რთული და კომპლექსური სისტემაა, რადგან მისი ეფექტიანი ფუნქციონირება დაკავშირებულია სხვადასხვა დარგში შემავალი საწარმოების საქმიანობასთან. ტურპროდუქტების წარმოებაში მონაწილეობენ სხვადასხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციები: ტუროპერატორები, ტურაგენტები, სასტუმროები, ავიაკომპანიები და ა.შ. როგორც ბაზარი, ტურიზმი ასახავს მრავალფეროვან ტურისტულ პროდუქტებზე მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. თავად ტურიზმი გულისხმობს მოგზაურობას დასვენების, თავისუფალი დროის გატარების ან საქმიანი (ბიზნეს) მიზნებით.

დღეისათვის ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელმაც პერსპექტივაშიც განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს. ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას, დამატებითი სავალუტო შემოსავლების მიღებას, აგრეთვე, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და ხელს შეუწყობს ქართული ტრადიციებისა და ისტორიულ-კულტურული ფასეულობების პოპულარიზაციას [1, გვ.17].

ბოლო წლებში საქართველოში ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. რასაც ადასტურებს ისეთი სტატისტიკური მონაცემები, როგორიცაა, ტურისტული მომსახურების ექსპორტი. 2017 წლის პირველ კვარტალში მომსახურების ექსპორტი წლიურად 13.9%-ით, ხოლო იმპორტი 1.2%-ით გაიზარდა. მომსახურებით ვაჭრობიდან ყველაზე მაღალი დადებითი სალდოთი ტურისტული მომსახურება გამოირჩევა, რომლის ექსპორტი წლიურად 23.3%-ით გაიზარდა და 434.6 მლნ დოლარი (1.1 მლრდ ლარი) შეადგინა [2].

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 2017 წლის იანვარი -აგვისტოს თვის მონაცემებით, საქართველოს 5,059,106 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან +18.9%-ია. რაც შეეხება, 2017 წლის აგვისტოს თვეს, ჩვენს ქვეყანას 1,080,449 საერთაშორისო მოგზაური ეწვია. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +27.4%-ია [3].

მარკეტინგს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტურისტული ინდუსტრიის სისტემაში შემავალი სხვადასხვა სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საწარმოები და ორგანიზაციები განსხვავდებიან თავიანთი მარკეტინგული მიზნებით და საქმიანობის შინაარსით. ამიტომ ტურიზმის სისტემაში გამოიყოფა მარკეტინგის სხვადასხვა დონეები:

- ტურისტული საწარმოების მარკეტინგი. ტურსაწარმოები (ტუროპერატორები, ტურისტული სააგენტოები) მიზნად ისახავენ გაზარდონ მოგება. ტუროპერატორის ძირითად ტურისტულ პროდუქტს წარმოად-

გენს ტური. ტურის ფორმირებაში იგულისხმება ვადების, მიზნების მიხედვით ურთიერთდამოკიდებული, ფასა და ხარისხში შეთანხმებული ხელშეკრულებების შედგენა და მისი წარდგენა შესაბამისი დაჯავშნით. ხოლო უშუალოდ მომხმარებელზე ტურების საცალო გაყიდვას ტურისტული სააგენტო ახორციელებს. ტურისტული საწარმოების მარკეტინგი ორიენტირებული რიგი ღონისძიებების განხორციელებაზე, როგორიცაა: მიზნობრივი ბაზრების შერჩევა, ტურპროდუქტების დამუშავება, სტიმულირება, დისტრიბუცია და სხვა;

- ტურისტული პროდუქტების (მომსახურების) მიმწოდებელთა მარკეტინგი: ტურისტული პროდუქტის მიმწოდებლებს მიეკუთვნებიან განთავსების საწარმოები (სასტუმროები, დასასვენებელი სახლები, კემპინგები და ა.შ.), კვების ობიექტები, სატრანსპორტო ორგანიზაციები და სხვა. მარკეტინგი ძირითადად ორიენტირებულია კლიენტისათვის კომფორტის შესაქმნელად, მომსახურების ეფექტიანი მეთოდების დასანერგად და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- საზოგადოებრივი ტურისტული ორგანიზაციების მარკეტინგი მიმართულია ტურიზმის სფეროში მეწარმეთა ინტერესების დასაცავად, დადებითი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად და მხარდასაჭერად. მათი მიზანია პოპულარიზაცია გაუწიონ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას და მის სარგებლიანობას;
- ტერიტორიებისა და რეგიონების მარკეტინგი ორიენტირებულია კონკრეტული რეგიონის, ქვეყნის მიხედვით კლიენტების ქცევაზე ზემოქმედებისათვის. ძირითადად ამ საქმიანობას ახორციელებენ ტურიზმის მარეგულირებელი ორგანოები, როგორიცაა, ტურიზმის ეროვნული და მუნიციპალური ორგანოები. ისინი ძირითად მიზნად ისახავენ ქვეყანაში დიდი რაოდენობით ტურისტების მოზიდვას. მათი მთავარი მარკეტინგული ამოცანებია: ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე მარკეტინგული კონცეფციების შემუშავება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა, ტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციების განსაზღვრა, ქვეყნის მიმზიდველი იმიჯის შექმნა და სხვა.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მოგზაურობა და ტურიზმი ხშირად გამოიყენება, როგორც ერთიანი კომბინირებული ტერმინი. იქნება სრულფასოვანი ტურიზმის განმარტება, თუ ის არ მოიცავს მოგზაურობას? ტურიზმის განსაზღვრა აუცილებლად მოიცავს მოგზაურობის ყველა შესაბამის ასპექტს. მოგზაურობა და ტურიზმი წარმოადგენს ტერმინებს, რომლებიც ერთსა და იმავე ბაზარს უკავშირდება და გამოიყენება ურთიერთჩანაცვლებით. მოგზაურობა და ტურიზმი ის ტერმინებია, რომლებსაც უფრო ხშირად იყენებენ მენეჯერები, რადგან ეს მოსახერხებელი და პრაქტიკულია. ხოლო იქ, სადაც გამოიყენება მხოლოდ ტერმინი „ტურიზმი“, აქ თავისთავად იგულისხმება მოგზაურობაც [3, გვ.9].

მოგზაურობა და ტურიზმი გულისხმობს ადამიანის მიერ დიდი დროის დათმობას თავისი ინდივიდუალური დასვენებისათვის და მოიცავს ზევრ რეკრეაციულ აქტივობას. მაგრამ, მხოლოდ აღნიშნული არ გამოხატავს ტურიზმისა და მოგზაურობის არსს, რადგან ინდივიდმა შეიძლება დაისვენოს თავის ბინაშიც ან მის ახლომდებარე გარემოშიც. მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზრის მთლიანი მოთხოვნის განსაზღვრისას გაითვალისწინება სამი ძირითადი სექტორი: საერთაშორისო ტურიზმი, შიდა ტურიზმი და ერთდღიანი ვიზიტები. ეს უკანასკნელი დღეისათვის ფართოდაა გავრცელებული მრავალ ქვეყანაში.

მარკეტინგის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოგზაურობის ორგანიზაციაზე. მაგალითად, საკურორტო ადგილებში სტუმრების უმრავლესობა სასტუმროში ადგილს და ტრანსპორტის ბილეთს ერთდროულად ყიდულობს ერთი და იმავე სააგენტოსგან. სასტუმროებისათვის ხელსაყრელია თანამშრომლობა ასეთ სააგენტოებთან, რომლებიც ქმნიან მომსახურების პაკეტს, რათა უფრო მეტი წარმატებით გაუწიონ წინააღმდეგობა კონკურენტებს. ზუსტად ასევე, სასტუმროები და ავტომობილების გამქირავებელი კომპანიები აყალიბებენ საქმიან კავშირებს ავიახაზებთან, რომლებიც ჩარტერული რეისების ორგანიზებას ახდენენ.

მოგზაურობასა და ტურიზმში მარკეტინგის განუყოფელი ნაწილია საერთაშორისო და ადგილობრივი ტურისტული ბაზრების კვლევები. სწორედ ეს იძლევა საფუძველს ეფექტიანი მაკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ტურისტული ადგილის (ქვეყნის) პოპულარიზაციისთვის სწორი ღონისძიებების დაგეგმვის საქმეში, საერთაშორისო და ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების შერჩევაში. მარკეტინგული პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ტურისტული პროდუქტის ხარისხობრივი მაჩვენებლებლების ანალიზი, სარეკლამო ღონისძიებებების განხორციელება რეკლამის გავრცელების ყველაზე ეფექტიანი არხებით და სხვა.

მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში მარკეტინგს არცთუიშვიათად აიგივებენ სასტუმრო მომსახურების გაყიდვასთან. გაყიდვების განყოფილების მუშაკები სთავაზობენ პოტენციურ კლიენტებს მომსახურებებს, აწყობენ მათთვის გაცნობითი ხასიათის მგზავრობებს, უზრუნველყოფენ მათ გართობას. ამრიგად, გაყიდვების განყოფილების საქმიანობა თვალსაჩინოა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა განყოფილებების ფუნქციებზე. რესტორნების ბიზნესში არცთუიშვიათად ერთმანეთში ერევათ მარკეტინგი, რეკლამა და გაყიდვების სტიმულირება. სინამდვილეში კი რეკლამა და გაყიდვები მარკეტინგ-მიქსის მხოლოდ ორი შემადგენელი კომპონენტია [6, გვ.8].

მარკეტინგი მომხმარებელთა მოთხოვნილებების სწორ იდენტიფიცირებას ახდენს. მარკეტინგი არის მართვადი სოციალური პროცესი, რომლის საშუალებითაც ცალკეული ადამიანები და მათი ჯგუფები იძენენ იმას, რაც მათ ჭირდებათ და რისი მიღებაც სურთ [4,გვ.5]. ადამიანური მოთხოვნილება ესაა ადამიანის მიერ გაცნობიერება იმისა, რომ მისთვის რაღაც არ არის საკმარისი. ადამიანური მოთხოვნილებები ძალიან მრავალფეროვანია და რთული. ტურისტული პროდუქტი ესაა ნებისმიერი მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტების ამა თუ იმ მოთხოვნილებას, რისთვისაც ისინი იხდიან ფულს. ესენია: სასტუმროს, ტრანსპორტის, ექსკურსიის, გიდის, კომუნალური და სხვა მომსახურება. ძირითად ტურისტულ პროდუქტს წარმოადგენს კომპლექსური მომსახურება, ანუ მომსახურებათა სტანდარტული ნაკრები, რომელიც მიეყიდება ტურისტებს ერთიანი პაკეტით. მოთხოვნა ტურისტულ პროდუქტზე ფასების დონესთან მიმართებით მეტად ელასტიკურია, მაგრამ დამოკიდებულია პოლიტიკურ და სოციალურ პირობებზე, მოთხოვნის სეზონურ ცვლილებაზე.

XX საუკუნეში მარკეტინგი კომპანიების ფინანსური წარმატების საქმეში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ქალაქები, ქვეყნები, რეგიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტურისტების მოზიდვაში [7,გვ.7]. სწორედ მარკეტოლოგებმა უნდა განსაზღვრონ რომელი ფუნქციებია საჭირო ახალი მომსახურების შექმნის პროცესში, როგორი ფასი დააწესონ, რა თანხა დახარჯონ რეკლამაში, გაყიდვებში, ინტერნეტ აქტივობაში [7,გვ.4].

ტურისტული მომსახურების ბაზარზე კლიენტის კმაყოფილებას განსაზღვრავს მრავალი სხვადასხვა ასპექტის ერთობლიობა. მომსახურების დაგეგმვის პროცესში პოტენციური შესაძლებლობების შეფასებისას აუცილებელია დადგენილ იქნას, თუ რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისთვის? საერთაშორისო ექსპერტებს ამ კომპონენტში შეჰყავთ:

- ღირშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები - სანახავი ადგილები და ის, რითაც ტურისტი შეიძლება გაერთოს ადგილზე ყოფნისას;
- მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა - დაბინავებისა და კვების ადგილები;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება - საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალება;
- ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა - წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;
- მოგზაურობების ორგანიზება - ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;
- ტურისტული პროდუქციის წინ წაწევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა - ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს [8, გვ.4].

დღეისათვის მასპინძლობა და მოგზაურობის ორგანიზება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მიმართულებებია. მათ სჭირდებათ მარკეტინგის ისეთი სპეციალისტები, რომლებიც კარგად ერკვევიან ტურიზმის გლობალურ ასპექტებში და აქვთ უნარი ოპერატიული რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე და მათ ცვლილებაზე. ტურისტს საშუალება უნდა ჰქონდეს, თავისუფლად და ადვილად მიიღოს სრული ინფორმაცია მისთვის საინტერესო სამოგზაურო მარშრუტის, ობიექტის შესახებ, ყველა იმ მომსახურების შესახებ, რომელიც მას უნდა გაეწიოს მოგზაურობის დროს. ეს გავლენას ახდენს მის სამოგზაუროდ წასვლის გადაწყვეტილებაზე. ტურისტულმა საწარმოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ტურისტებმა წინასწარ უნდა მიიღონ მოგზაურობის ობიექტის (ქვეყნის) შესახებ სხვადასხვა საჭირო ინფორმაცია: ადგილმდებარეობა, მანძილი ძირითად ობიექტამდე, ტემპერატურული რეჟიმი, ტენიანობა, მოსახლეობის ტრადიციები, რელიგიური მიმართულება და სხვა.

მოგზაურობასა და ტურიზმში მარკეტინგმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მყიდველებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. ცხადია, ეს ამ პროცესის მართვასაც გულისხმობს. მყიდველთან ურთიერთობის მართვაში

იგულისხმება მისთვის საუკეთესო ფასეულობის შეთავაზებისა და მისი კმაყოფილების მიღწევის მთელი პროცესი. მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობა ყალიბდება საბაზრო სივრცესა და მყიდველთა მოთხოვნილებებში გარკვევის, მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის განსაზღვრის და საუკეთესო ფასეულობების შესაქმნელად საჭირო მარკეტინგული პროგრამების დამუშავებისა და ამოქმედების შემდეგ.

ტურიზმის ინდუსტრიაში ფასწარმოქმნა თავისებურებებით ხასიათდება. მომსა-ხურების ზოგიერთი სახე რეალიზდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებით შეფასებისას ერთიდაიგივე მომსახურებაზე მოქმედებს ფასის ორი სახე: შიდა და საერთაშორისო.

მოთხოვნა ტურისტულ მომსახურებაზე ელასტიკურია შემოსავლებისა და ფასების დონესთან დამოკიდებულებით, მაგრამ ზევრადაა დამოკიდებული პოლიტიკურ და სოციალურ პირობებზე. ტურპროდუქტის ფასებზე მოქმედებს, აგრეთვე, მომსახურების კლასი, სეზონურობა, მომსახურების ფორმა, კონკურენტუნარიანობა და სხვა.

ტურიზმის ინდუსტრიაში მარკეტინგ-მიქსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია მომსახურე პერსონალი. ამიტომ მარკეტინგის განყოფილებამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს კადრების სამსახურთან. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს მომსახურების ხარისხზე. მასპინძლობის ინდუსტრიის საწარმოებში მარკეტინგის განყოფილება არამარტო ტრადიციულ მარკეტინგს ახორციელებს, არამედ ყველა მუშაკს უვითარებს კლიენტზე ორიენტირებულ მენტალიტეტს.

ამრიგად, ტურისტული მომსახურების მწარმოებელი ორგანიზაციებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მომსახურების მარკეტინგის არსის ცოდნა, მისი თავისებურებების გათვალისწინება. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება მარკეტინგის შემდეგ ასპექტებზე:

- მარკეტინგი ბაზარზე საქმიანობის მართვის სისტემაა და მისი ამოსავალი წერტილია ბაზრის შესწავლა, მისი განვითარების პროგნოზირება. მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით მარკეტინგი უზრუნველყოფს კლიენტების სპეციფიკური მოთხოვნილებების გამოვლენას, მასზე ორიენტირებული ტურისტული მომსახურების შემუშავებას, ბაზარზე მის წინწაწევას და გაყიდვას;
- საუკეთესო მიდგომას ტურისტული პროდუქტის მომხმარებლისათვის შეთავაზებისა და მომგებიანად გაყიდვისათვის წარმოადგენს შემდეგი: წინასწარ განსაზღვრო კლიენტის მიზნები და მოთხოვნილებები, შემდეგ მისთვის ყველაზე მაღალი ფასეულობის მქონე შეთავაზებები გააერთიანო ერთიან ტურისტულ პროდუქტში და ინფორმაცია მარკეტინგული შეთავაზების შესახებ მიაწოდო მომხმარებელს მისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე;
- მოგზაურობისა და ტურიზმის ბაზარზე კლიენტის კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი. ტურისტული მომსახურება მოიცავს მრავალ ასპექტს, ზოგიერთი მათგანი ძირითადია, ხოლო სხვები თითქოს ნაკლები მნიშვნელობის მქონე. მაგრამ ტურისტის კმაყოფილებას განაპირობებს ყველა ერთობლივად. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ეფექტიანი მუშაობა მარკეტინგის ყველა დონეზე, ეს იქნება ტურისტული საწარმოების, ტურისტული მომსახურების მომწოდებლების, საზოგადოებრივი ტურისტული ორგანიზაციების, თუ ტერიტორიებისა და რეგიონების მარკეტინგის დონეზე;
- სარეკლამო ინფორმაციაში ყურადღება უნდა გამახვილდეს მომსახურების უპირატესობებზე კონკურენტებთან შედარებით. ტურიზმი მოგზაურობასთან და უცხო ქვეყნებში ყოფნასთან არის დაკავშირებული, ამიტომ უსაფრთხოების გარანტიები მყიდველისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.
- მომხმარებელი წინასწარ ყიდულობს მომსახურების შეძენის დამადასტურებელ დოკუმენტს, ტურს, ხოლო მომსახურება ტურისტს გაეწევა დასვენების და მოგზაურობის ადგილზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მომხმარებლის ნდობა სარეკლამო ინფორმაციასთან მიმართებით, რასაც გამართლება სჭირდება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2014-2017 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) თბილისი 2014, file:///C:/Users/User/Downloads/BDD%202014-2017.pdf
2. Business Media Georgia, მულტიმედიური რესურსი, 30.06.2017, http://www.bm.ge/ka/article/sagadasaxdelo-balansis-mimdinare-angarishis-deficitma-377-mln-dolari-sheadgina/12542
3. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურიზმის 2017 წლის აგვისტოს თვის სტატისტიკა, 04/09/2017, http://gnta.ge/
4. Victor T.C. Middleton, Alan Fyall, Mike Morgan, Marketing in Travel and Tourism, Elsevier, Butterworth-Heinemann, Oxford, UK, Fourth Edition, 2009
5. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი. მარკეტინგის საფუძვლები, მე-14 გამოცემა. თარგმანი ქართულ ენაზე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
6. P. Kotler, J. Bowen, J. Makens. Marketing for Hospitality and Tourism. 6th Edition, Pearson Education Inc.Publisher, 2014.
7. ფ. კოტლერი, კ. კელერი. მარკეტინგის მენეჯმენტი, მე-14 გამოცემა. თარგმანი ქართულ ენაზე, სამეცნიერო რედაქტორი ნ. თოდუა, თსუ გამომცემლობა, 2015.
8. ნ. კვარაცხელია, კულტურული ტურიზმი. თბილისი, 2009.

## Definition of the Characteristics of Marketing Use in Travel and Tourism

Maia Seturi

*Doctor of economics, Assistant professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Under the current competitive market conditions, marketing activities are of particular importance for various organizations and enterprises within the tourism industry system. Tourism is distinguished by specific features from other branches. So, using marketing in tourism has a number of peculiarities. Here take place the selling of services as well the selling of goods. By enterprises in the tourism industry attracting tourists, increase market share and profit increases are impossible without the use of effective marketing tools. Marketing promotes delivery of quality tourism products on the market, ensures demand stimulation.

***Keywords: Marketing; Travel & Tourism; Services; Customer satisfaction.***

# გლობალური მიგრაციით სამუშაო ძალის უთანაბრო გადანაწილება და მისი უარყოფითი ასპექტები

სალომე სილაგაძე,

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*მსოფლიოსა და მეცნიერების ყურადღების ცენტრში აქტიურადაა მოქცეული გლობალიზაცია და მის მიერ გამოწვეული მიგრაციის ახალი ტალღა, რომლის მოცულობა ყოველდღიურად იზრდება. აღნიშნული ტალღა როგორც გლობალურ, ასევე, ნაციონალურ ეკონომიკასა და საზოგადოებას მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს, რომლის არ დაძლევის შემთხვევაში შეიძლება კონკრეტულ სახელმწიფოებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები წარმოექმნას. ამასთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს გლობალიზაციის შედეგად გამოწვეულ მიგრაციას და მიგრაციის მიერ სამუშაო ძალის უთნაბრო გადანაწილების უარყოფით მხარეებს, მსოფლიო სამუშაო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას და ასევე, აანალიზებს იმ სოციო-ეკონომიკურ ასპექტებს, რომლებიც თან სდევს სამუშაო ძალის ქვეყნებიდან გადინებას. ავტორისეული არგუმენტები დასაბუთებულია სანდო სტატისტიკური ინფორმაციით და გამყარებულია მაგალითებით, რომლებიც დადასტურებულია აღიარებული საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევებით. ამასთან, ავტორი არამხოლოდ განიხილავს იმ პრობლემებს, რომლებიც თან სდევს სამუშაო ძალის უთნაბრო გადანაწილებას, არამედ წარმოადგენს მიგრაციის უახლოეს სტატისტიკას და ტრენდებს.*

***საკვანძო სიტყვები:* *გლობალიზაცია, გლობალური მიგრაცია, სამუშაო ძალის უთანასწორო გადანაწილება, მიგრაციის შედეგები განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნებისათვის;***

XX საუკუნედან გააქტიურებულმა გლობალიზაციის პროცესმა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, დასაბამი მისცა მიგრაციის ახალ ტალღებს მსოფლიოში. როგორც უახლოესი სტატისტიკა გვაჩვენებს, მიგრანტები უმეტეს შემთხვევაში ამჯობინებენ თავიანთი განვითარებადი, ღარიბი სამშობლოებიდან განვითარებულ ქვეყნებში საცხოვრებლად გადასვლას.

ასეთი, უთანაბრო გადანაწილება გარკვეულწილად კიდევ უფრო მეტად აძლიერებს და ეკონომიკურად ანვითარებს, ისედაც განვითარებულ ქვეყნებს, მაშინ როდესაც მცირე შემოსავლის მქონე ქვეყნებს უმცირდებათ შემდგომი წინსვლის შანსი.

ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე დიდი ეკონომიკური სიმდიდრე მისი მოქალაქეებია, რადგან სწორედ მათი განათლებისა და გონებრივი განვითარების საფუძველზე იქმნება უახლოესი ტექნოლოგიები თუ ინოვაციები, რომლებიც არამხოლოდ ანვითარებს ეკონომიკას, არამედ ამაღლებს ცხოვრების დონესაც.

იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში არ იქნება სამუშაო ძალის საკმარისი რაოდენობა, შემცირდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება, შეფერხდება ტექნოლოგიების განვითარება, წარმოიქმნება დეფიციტი მენეჯმენტის პოზიციებზე და თუ აღნიშნული პრობლემა დროზე არ გადაიჭრება, დროთა განმავლობაში დაჩქარდება ერის დაბერების პროცესი.

მიგრაციის პოლიტიკური ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით გაირკვა, რომ მსოფლიოს მასშტაბით 231.5 მლნ ემიგრანტი ცხოვრობს და მათი რაოდენობა განსაკუთრებული სისწრაფით 1990 წლიდან იზრდება გლობალიზაციის კვალდაკვალ.

გლობალიზაციამ, რომელსაც ხელს უწყობს ტექნოლოგიური განვითარება და ტრანსპორტის მასობრივი ხელმისაწვდომობა, თითქმის წაშალა საზღვრები ქვეყნებს შორის. საერთაშორისო ორგანიზაციები და უნივერსიტეტები, რომელთა უმეტესობაც განვითარებულ ქვეყნებშია, აქტიურად იზიდავენ თავისკენ მსოფლიოში არსებულ საუკეთესო ტალანტებს.

2015 წელს მიგრაციის პოლიტიკური ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ემიგრანტების 35% (ანუ 80.92 მლნ ადამიანი) გადანაწილებულია მსოფლიოს მხოლოდ ხუთ ქვეყანაში, რომლების ტერიტორიებზე ყველაზე მეტი მიგრანტი ცხოვრობს და მოღვაწეობს. ისტორიულად და 2015 წლის

მონაცემებითაც, ემიგრანტების უმეტესობა - 46 მლნ ადამიანი აშშ-ში ცხოვრებდა. მიმღები ქვეყნების რიგებში ასევე ლიდერობდნენ ისეთი ანვითარებული ქვეყნები, როგორიცაა გერმანია, რუსეთი , საუდის არაბეთი და ინგლისი (ნახაზი 1).

ასევე საყურადღებოა, სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ 1990- 2015 წლების ჩათვლით, ზემოთხსენებულ მიმღებ ქვეყნებში საცხოვრებლად გადასული უცხოელთა რაოდენობა 167%-ით არის გაზრდილი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას, რომ ემიგრაციაში სამუშაო ძალა უთანაბროდ ნაწილდება (ნახაზი 2).

ნახაზი 1: მიგრანტების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, 2010-2015 წწ [1]




ნახაზი 2: მიგრანტთა რაოდენობა 2015 წლის ტოპ-5 მიმღებ ქვეყნებში, 1960-2015 წწ [2]




იმ ქვეყნების პირველი ხუთეული კი, საიდანაც მოსახლეობა განსაკუთრებით გაედინება, შემდეგნაირად გამოიყურება: ინდოეთი - 15, 576,000 ემიგრანტი, მექსიკა - 12, 339,000 ემიგრანტი, რუსეთი - 10, 577,000 ემიგრანტი, ჩინეთი- 9,546,000 ემიგრანტი და ბანგლადეში - 7,205,000 ემიგრანტი. ცხადია, განათლებული ადამიანური კაპიტალის გადინებით განვითარებადი ქვეყნები ზარალდებიან, რადგან მათ ტერიტორიას ტოვებენ მაღალგანვითარებული და ინტელექტუალური მუშაკები.

განათლებული ადამიანები ტოვებენ თავის ღარიბ სამშობლოს და მიდიან განვითარებული ქვეყნებში სამუშაოს საპოვნელად, რაც მათ მშობლიურ ქვეყნებში ქმნის სამუშაო ძალის ნაკლებობას და დამატებით ეკონომიკურ პრობლემებს. მაშასადამე, გლობალიზაციის პირობებში, შედარებით გამარტივებული ემიგრაციის შედეგად ქვეყნებს წარმოექმნათ სრულიად ახალი გამოწვევა, რაც პრობლემებს უქმნის მათ ტერიტორიაზე არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის მონცემებით იამაკაში, სადაც ისტორიულად არსებობს მიგრაციის პრობლემა, 2,784,000 მოქალაქე ცხოვრობდა, მაშინ როდესაც ქვეყნის გარეთ 1,072, 481 იამაიკელი ბინადრობდა [3]. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი სამშობლოდან ჯამში მლნ-ზე მეტი მოქალაქეა უცხოეთში წასული. ქართველ ემიგრანტთა უმეტესი ნაწილი რუსეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს (ნახაზი 3).

ნახაზი 3: ქართველი ემიგრანტების მიმღები ქვეყნები, 2015 წწ [4]




გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2015 წლის მიგრაციის რეპორტში აღნიშნულია, რომ მიგრანტების უმეტესობა სწორედ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში ამჯობინებს ცხოვრების დაწყებას. მაღალი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მქონე ქვეყნებს უფრო დიდი განვითარების პოტენციალი აქვთ, ვიდრე ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც განვითარებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს არჩევენ სამშობლოში ყოფნას (ნახაზი 4).

ნახაზი 4: მიგრანტთა რაოდენობა და დანიშნულების ქვეყნის შემოსავლების დონე, 2000-2015 წწ [5]



გლობალიზაციის პირობებში, მაშინ როდესაც მიგრაციული პროცესები შედარებით გაადვილებულია, განვითარებული ქვეყნების სხვადასხვა ორგანიზაცია თუ საგანმანათლებლო ცენტრი, აქტიური ზრდის გამო, დაინტერესებულია საუკეთესო ადამიანური კაპიტალის მოძიებით არამხოლოდ თავიანთ ქვეყანაში, არამედ გლობალური მასშტაბით.

XXI საუკუნეს, როგორც ცნობილია, ტექნოლოგიის საუკუნედ მოიხსენიებენ, რადგან სწორედ მაღალი ტექნოლოგიების განვითარებით გაიზარდა თანამედროვე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკა. თუმცა, ასეთ პირობებში ემიგრანტების მიერ დატოვებული ქვეყნები, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, კარგავენ ერთ-ერთ ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური ზრდის ფაქტორს, რადგან სწორედ გონებრივად ყველაზე განვითარებული ტალანტები ქვეყნის გარეთ მიდიან საცხოვრებლად. იმ შემთხვევაში კი, თუ დიდი ნაწილი განათლებული ადამიანებისა დატოვებს სამშობლოს, მას ეკონომიკური კონკურენტული უპირატესობაც დაეკარგება, რადგან ქვეყანაში შენელდება ან საერთოდ შეჩერდება ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაციური პროდუქტების შექმნა, რაც საბოლოო ანგარიშით ეკონომიკას და მოქალაქეთა კეთილდღეობას დააზარალებს [6].

მაღალტექნოლოგიების შექმნას გონებრივად განვითარებული ადამიანები სჭირდება. შესაბამისად, გაუნათლებელი ადამიანები გარკვეულწილად დაუცველნი არიან გლობალიზაციის გამოწვევის წინაშე. მიგრაციული ქვეყნისთვის მთავარი საწარმოო ძალის დაკარგვას მოსდევს სხვა ეკონომიკური პრობლემებიც, რადგან არათუ ორგანიზაციები, არამედ ეკონომიკაც, მათ გარეშე სათანადოდ ვერ ვითარდება. საჭირო კადრების სიმცირე ან საერთოდ არ ყოლა, ინოვაციური განვითარებისა და წარმოების შემცირება კი საბოლოო ანგარიშით მშპ-ს შემცირებასაც იწვევს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გლობალიზაციის შედეგად გამარტივებული მიგრაცია ხელს უწყობს მუშაკთა ანაზღაურების უთანასწორობის გაღრმავებას განვითარებული და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ შრომის ინსტიტუტის (IZA) კვლევების შედეგის მიხედვით, განათლებული ადამიანები ასევე, ხელს უწყობენ თავიანთ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, საზოგადოებრივი შეგნების განვითარებას, დანაშაულის რიცხოვნობის შემცირებას და ეკოლოგიურ სისუფთავესაც კი[7].

დასასრულ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის გლობალიზაციამ გამოიწვია მიგრაციული ნაკადების სტრუქტურისა და მასშტაბების კარდინალური ცვლილება. ეს ფაქტი დაკავშირებულია იმასთან, რომ გლობალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირდება შრომის დანაწილების ახალი ფორმები, რომელშიც მიგრანტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამასთან, სტატიაში მინიშნებულია იმ წინააღმდეგობებზე, რაც თან ახლავს გლობალიზაციის პროცესს, თუმცა, მიგრაციისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირის ოპტიმიზაცია აღნიშნული წინააღმდეგობის დარეგულირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## ლიტერატურა


1. Migration Policy Institute, "Net Number of Migrants by Country, 1950-2015 ." Migrationpolicy.org, 16 June 2016, www.migrationpolicy.org/programs/data-hub/charts/net- number-migrants-country-1950-2015-five-year-intervals?width=1000&height=850&iframe=true;
2. Migration Policy Institute,"International Migrants by Country of Destination, 1960-2015." Migrationpolicy.org, 18 Oct. 2016, www.migrationpolicy.org/programs/data-hub/charts/international-migrants-country-destination-1960-2015?width=1000&height=850&iframe=true;
3. UNICEF,"MIGRATION PROFILES- Jamaica." UNICEF, esa.un.org/miggmgprofiles/indicators/files/Jamaica.pdf+;
4. Migration Policy Institute,"Immigrant and Emigrant Populations by Country of Origin and Destination." Migrationpolicy.org, 18 Oct. 2016, www.migrationpolicy.org/programs/data hub/charts/immigrant-and-emigrant-populations-country-origin-and- destination?width=1000&height=850&iframe=true;
5. United Nations ,"Migration Report 2015." doi:ST/ESA/SER.A/375;
6. International Monetary Fund," Globalization and Inequality, October 2007." IMF World Economic Outlook, Research Dept., 2007, www.imf.org/external/pubs/ft/weo/2007/02/.;

7. Machin, Stephen, et al. "The Crime Reducing Effect of Education*." The Economic Journal, vol. 121, no. 552, 2011, pp. 463–484., doi:10.1111/j.1468-0297.2011.02430.x.
8. Adams,, Richard H., Jr. "International Migration, Remittances and the Brain Drain: A Study of 24 Labor-Exporting Countries*." World Bank Policy Research Working Paper 3069. World Bank, June 2003. Web.

## Global Migration, Uneven Distribution of Human Resources and its Negative Aspects

Salome Silagadze

*Doctoral student*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The globalization, has been causing a havoc for roughly the past century. Despite, having positive effects on the global economy, the new analysis show that the migration is a side effect of globalization. The abolished borders, have given people the ability to move and live without restraint. However, the mentioned movement is like a one destination stop, meaning that people generally move from developed to developing countries. Therefore, it is evident that world is facing a new human resource challenge- the uneven distribution of talent.

The irregular allocation has also been causing troubles in the remittent countries, as the nations are facing problems in locating citizens for workplaces. Due to lack of talent, there is a lack of development, which causes the decrease of the FDI and GDP. If the human resource setback continues, income inequality among states will increase and some countries will face population aging issues.

***Keywords: globalization; global migration; uneven distribution of human resources; consequences of migration for developed and developing countries.***

# მდგრადი ტურიზმი: გლობალიზაციის გამოწვევა ეკონომიკასა და ბიზნესში

რუსუდან სირბილაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*გლობალიზაცია ეკონომიკასა და ბიზნესში, ზოგადად გლობალიზაციის ერთერთი ნაირსხეობაა, რომელიც მოიცავს ბიზნესში ჩართულ მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებისთვის.რადგან გლობალიზაციის პროცესი წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, მას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც ახასიათებს. გლობალიზაციის პროცესში ძნელია ნებისმიერი მდგრადობის მიღწევა, განსაკუთრებით, როდესაც ეს ეხება მდგრად ტურიზმს. ეკონომიკური და ბიზნესპროცესები მსოფლიოში სწრაფად იცვლება და ამის მიუხედავად, მდგრად და საერთშორისო ტურიზმს სხვაგვარად მსოფლიო ბიზნესის ფენომენად აღიარებენ. ამ ფენომენთან გამკლავება დამოკიდებულია თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე.*

*საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, მდგრადი ტურიზმი, ბიზნესსფერო, კორუფციული გარიგება, „გლობალური პატიოსნება“, კორელაცია, გლობალური მასობრივი წარმოება.*

გლობალიზაცია ეკონომიკასა და ბიზნესში ზოგადად გლობალიზაციის ერთერთი ნაირსახეობაა, რომელიც მოიცავს ეკონომიკასა და ბიზნესში ჩართულ მსოფლიოს, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. თავად გლობალიზაციის პროცესი წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, რადგან გლობალიზაციის პირობებში ძნელია მიაღწიონებისმიერ მდგრადობას ეკონომიკის ან ბიზნესსფეროში. განსაკუთრებით, როდესაც მსჯელობაა მდგრად ტურიზმზე. ეკონომიკური და ბიზნესპროცესები მსოფლიოში სწრაფად იცვლება, ამასთან ერთად ძნელდება რომელიმე დარგის მდგრადობაზე აქცენტების გაკეთება. თუმცა, მდგრად და საერთაშორისო ტურიზმს სხვაგვარად მსოფლიო ბიზნესის ფენომენად აღიარებენ. ამ ფენომენთან გამკლავება ზევრად არის დამოკიდებული თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან, რაც ასევე გლობალიზაციის გამოწვევაა ეკონომიკასა და ბიზნესში. ჭარბი კაპიტალის მქონე ქვეყნებიდან კაპიტალის დეფიციტის მქონე ქვეყნებში გადაადგილება განპირობებულია მხოლოდ მოგების მიღების სწრაფვით. ხშირად მოგების მისაღებად კორუფციული გარიგებები ხორციელდება. ეს გლობალური კორუფციაა, რაც აზარალებს, როგორც მსოფლიო წესრიგს ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და დარგების მდგრად განვითარებას [5,გვ.13]. იმის მიუხედავად, რომ საქართველო ამოღებულია მასშტაბური კორუფციის ქვეყნების სიიდან 2011წ. (საერთაშორისო ორგანიზაცია „გლობალური პატიოსნების“ მონაცემებით) მაინც გლობალური კორუფცია გავლენას ახდენს ყველა ეკონომიკურ და ბიზნეს პროცესზე. მსოფლიო გლობალიზაციის კანონზომიერებათა გათვალისწინება ნიშანდობლივია, როგორც განვითარებული ისე განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნებისთვისაც. საქართველომ უნდა შეძლოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ გლობალიზაციასთან. ეს ერთმნიშვნელოვნად აუცილებელია ისეთი დარგების განვითარებისთვის როგორიც ტურიზმია [8,გვ7]. მდგრადი ტურიზმი ეკონომიკური ზრდის წყაროა გლობალიზაციის ასპექტში და მისი განვითარება მცდელობაა წინა პლანზე გადმოვიდეს ის პრობლემები, რაც ხელს უშლის მის განვითარებას და ის ფაქტორებიც, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო წესრიგში მდგრადი ტურიზმის განვითარებას. მდგრადი ტურიზმი, როგორც გლობალიზაციის გამოწვევა ეკონომიკას და ბისნესში დამოკიდებულია, როგორც ენდოგენურ (ტურიზმის ინსტიტუციური სისტემა, ტურიზმის ეკონომიკური განვითარების ფაქტორები, სახელმწიფოს რეგულირება) ისე ეგზოგენურ ფაქტორებზე (საერთშორისო ბიზნეს გარემო, საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტები, საერთშორისო რეგულაციები და სხვა) [9,გვ.31]. სამყაროში ყველაფერი ციკლურად ვითარდება, მათ შორის ეკონომიკაც, გლობალიზაციაც, საზოგადოებაც. ციკლების განვითარების მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალური საქონლის მასობრივი განახლება, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება წარმოების

ტექნოლოგიური საფუძვლების შეცვლის პროცესს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სრულიად ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას საქართველოში და მის უპირობო ჩართვას გლობალიზაციის პროცესში, ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ზრდას [4,გვ.18]. ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია ქვეყანაში ვითარდებოდეს სასტუმროების ქსელი თავისი ინფრასტრუქტურით, რადგანთანამედროვე გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესს, სასტუმროების ქსელიც საქართველოში შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიოს სასტუმროების ქსელთან. ტურიზმის როლი თანამედროვე ეკონომიკაში მუდმივად იზრდება, იცვლება და მიმდინარეობს შიდა, გარდაქმნები. ქვეყნები, რომელთაც წამყვანი ადგილი ეკავათ ტურიზმში, მეორე და მესამე ადგილზე გადადიან, მათ კი ახალი ლიდერები ანაცვლებენ ეს ცვლილებები კი, როგორც შიდა ასევე გარე ფაქტორებითაცაა განპირობებული. ფუნდამენტური ეკონომიკის თვალსაზრისით, ტურიზმი ეკონომიკური კომპლექსია, რომლის განვითარება უმეტესწილად აიხსნება მსოფლიო მეურნეობრივი პროცესებითა და ურთიერთობებით, ვიდრე იმანენტური მიზეზებით, მაგრამ ტურიზმი ამავე დროს არის ბევრი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უმნიშვნელოვანესი კატალიზატორი, რადგან ასრულებს ქვეყნებს შორის შიდა ეროვნული პროდუქტის გამანაწილებელი არხის როლს. სხვა სიტყვებით, თუ იაპონელები დასასვენებლად ფილიპინებზე, ხოლო ქართველები თურქეთში მიდიან, მათ არა მარტო შეაქვთ იქ თავიანთი გამომუშავებული ფულის ნაწილი არამედ, აგრეთვე იქ ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე ტურიზმი, როგორც ეკონომიკური მოვლენა, უნდა დახასიათდეს შემდეგნაირად:მას აქვს ინდუსტრიული ფორმა;იგი გამოდის ტურპროდუქტისა და მომსახურების ფორმით, რომელიც არ გროვდება და არც ტრანსპორტირება; ტურიზმი ითვლება ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და ეროვნული ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების კატალიზატორად;არის ეროვნული შემოსავლის ერთ-ერთი მექანიზმი;მას თვლიან, როგორც ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ზრდის, დასაქმების და ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის მულტიპლიკატორად; აქვს ინვესტიციების ეფექტურად გამოყენების და სწრაფი უკუგების მაღალი დონე და ბუნების დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური საშუალებები-;აქვს შეთავსების უნარი მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგთან და ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სახეობასთან. ამგვარად, ტურიზმს შეუძლია, აქტიური გავლენა მოახდინოს ქვეყნის, რეგიონის ეკონომიკაზე, მის სამეურნეო, სოციალურ და ჰუმანიტარულ საფუძველზე, რომელშიც იგი ვითარდება.

ტურიზმს, როგორც მსოფლიოეკონომიკისშემადგენელ ნაწილს, პირველად ყურადღება მიაქცია ამერიკელმა ეკონომისტმა პ. როტოუმ, მან განსაზღვრა ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ სტადიებსა და დამახასიათებელ თავისებურებებს შორის კორელაცია. მეცნიერულ-ტექნიკურმა მიღწევებმა შეამცირა ტრანსპორტირების და მიმოსვლის შემაფერხებელი ფაქტორები [3,გვ.262]. თანამედროვე პირობებში ტურისტების მოძრაობას ხელს უწყობს გაიაფებული ავიაბილეთები. გლობალური მასობრივი წარმოება ხელს უწყობს გლობალური მდგრადი ტურიზმის განვითრებას. ეკონომიკური გლობალიზაციის და მდგრადი ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მთავარი მიზანი კი უნდა გახდეს ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე დინამიზმის განვითრება ეს კი მკაცრად არის დამოკიდებული გლობალიზაციაზე ეკონომიკასა და ბიზნესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც ხელს უწყობს საშინაო და საერთშორისო მიზნების განხორციელებას-[2,გვ.140].ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციაზე ითქვა, რომ საქართველო ესაა ქვეყანა, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა ეწვიოს. ამის შესახებ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმატალებ რიფაიმ ღვინის ტურიზმის პირველ საერთაშორისო კონგრესის გახსნაზე განაცხადა. მისივე თქმით ქართველი ხალხი ყველაზე ცოცხალი ერია, რომელსაც მდიდარი კულტურა და ტრადიციები აქვს.იმისთვის, რომ საქართველომ დაიკავოს განსაკუთრებული ადგილი მსოფლიო გლობალურ სივრცეში, აუცილებელია ეკონომიკურ პოლიტიკას ახორცილებდნენ ეკონომიკურიზრდის კუთხით, ამაში განსაკუთრებული როლი ინვესტიციებმა უნდა შეასრულოს.

| საქართველოშიგანხორციელებულიპირდაპირიუცხოურიინვესტიციები[10;11;12] | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მლნ. აშშდოლარი | | | | | |
| წელი | სულ | I კვ. | II კვ. | III კვ. | IVკვ. |
| 1996 | 3.8 | ... | ... | ... | ... |
| 1997 | 242.6 | ... | ... | ... | ... |
| 1998 | 265.3 | ... | ... | ... | ... |
| 1999 | 82.2 | ... | ... | ... | ... |
| 2000 | 131.2 | ... | ... | ... | ... |
| 2001 | 109.8 | ... | ... | ... | ... |
| 2002 | 167.4 | ... | ... | ... | ... |
| 2003 | 340.1 | ... | ... | ... | ... |
| 2004 | 499.1 | ... | ... | ... | ... |
| 2005 | 449.8 | 89.4 | 105.9 | 75.6 | 178.9 |
| 2006 | 1,190.4 | 146.0 | 306.9 | 280.7 | 456.7 |
| 2007 | 2,014.8 | 421.4 | 401.5 | 489.1 | 702.9 |
| 2008 | 1,564.0 | 537.7 | 605.4 | 134.7 | 286.2 |
| 2009 | 658.4 | 114.0 | 177.2 | 173.2 | 194.0 |
| 2010 | 814.5 | 166.5 | 208.3 | 225.6 | 214.1 |
| 2011 | 1,117.2 | 209.7 | 248.3 | 316.6 | 342.6 |
| 2012 | 911.6 | 261.2 | 217.7 | 199.0 | 233.7 |
| 2013 | 941.9 | 252.3 | 207.9 | 254.8 | 226.9 |
| 2014 | 1,758.4 | 309.5 | 196.2 | 726.0 | 526.7 |
| 2015 | 1,564.5 | 291.5 | 462.7 | 483.2 | 327.1 |
| 2016 | 1,565.9 | 390.1 | 404.3 | 501.3 | 270.2 |
| 2017* | 751.0 | 404.4 | 346.6 | | |

ეს ინვესტიციები წლების მანძილზე ხასიათდება ზრდის ტენდენციით, მაგრამ მაინც ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელიც გლობალიზაციის სივრცეში განსაკუთრებული ადგილის მოპოვებისთვის არის საჭირო. განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა ტურისტული სისტემის დახვეწაში ხელს უწყობს ამ სფეროს ეკონომიკურ მომგებიანობას. კარგი იქნება განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ირიბად ჩარევა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის, როგორც გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში რათა ამ ყოველივემ ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება ასე გამოიყურება. ივლისი 2017 წინასწარი შეფასებით, წინაწლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2017 წლი სივლისში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა 3,8%, ხოლო 2017 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო რეალურ მაზრდამ 4,4% შეადგინა. 2012 წლის იანვრიდან საქსტატი აწარმოებს ეკონომიკის ზრდის ყოველთვიურ წინასწარ შეფასებას, რომელიც იანგარიშება უწყებრივი სტატისტიკის (დღგ-ის გადამხდელი საწარმოებისბ რუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების) საფუძველზე. აღნიშნული შეფასებები საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკაა, რომელსაც იყენებენ მოკლევადიანი წინასწარი ოპერატიული მონაცემების მისაღებად. იმსფეროებში, სადაც ყოველთვიური მონაცემები (მაგალითად, სოფლისმეურნეობა, დაუკვირვებადი ეკონომიკის მოცულობა) არმოიპოვება, შეფასება გაკეთებულია წინაპერიოდის მონაცემებზე დაყრდნობით. განვითარებადი ქვეყნების ტურისტული სისტემის დახვეწაში სახელმწიფოს ჩარევა ხელს უწყობს ამ სფეროს ეკონომიკურ მომგებიანობას. განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში სახელმწიფოს ირიბად, მაგრამ მაინც ჩარევა ხელს შეუწყობდა ამ სფეროს მდგრად განვითარებას, როგორც ეკონომიკაში,ასევე ბიზნესში.ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით [7.გვ454] მსოფლიოში ლიდერია აშშ, შემდეგ ესპანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, გერმანია, ტაილანდი, ჰონგ-კონგი და ა.შ. [1,გვ.105]. 2017 წლის აგვისტოში 5.0 მლნ საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა, მათგან 2.4 მლნ ტურისტი, შემოსავალმა 435 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 6.8%-ია მშპ-ში.გლობალიზაცია იძლევა იმის შანსს, რომ გაფართოვდეს შიგა და გარე ბაზარი, რაც ზრდის ინვესტიციების მოცულობას და აჩქარებს ეკონომიკის განვითარებას. გლობალიზაციის პროცესმა გააღრმავა მდიდარი და ღარიბი ქვეყნების განვითარების დონეებს შორის, ასევე მდიდარი და ღარიბი ოჯახების განვითარების დონეებს შორის განსხვავება

[6,გვ.388].მდიდარი ქვეყნები ფლობენ განვითარებისთვის აუცილებელ სრულიად ახალ ტექნიკას და ტექნოლოგიებს და აწარმოებენ ახალ საქონელს, რომელიც აკმაყოფილებსახალ მოთხოვნილებებს და შესაბამისად იწვევს ეკონომიკურ ზრდას. მდიდარი ოჯახები იღებენ სრულიად თანამედროვე განათლებას, რაც ხელს უწყობს მათი ოჯახების ეკონომიკურ განვითარებას კიდევ მეტად. ხოლო რადგან ღარიბი ოჯახები ასეთი და სხვა მრავალი სიკეთით ვერ სარგებლობენ, კიდევ უფრო დუხჭირი ცხოვრებისთვის არიან განწირული. გლობალიზაციით გაძლიერებული ასეთი უთანასწორო ვითარება საბოლოო ანგარიშით ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას განვიტარებად ქვეყნებში. ამიტომ, აუცილებელია აღნიშნული მანკიერი წრის გარღვევა, როგორც სხვა ღონისშიებების განხორციელებით, ასვე, განსაკუთრებით, ტურიზმის განვითარება.

ლიტერატურა:


1. ზერიძე თ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომათა კრებული, 2016.
2. გელაშვილი მ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომათა კრებული, 2016.
3. თურმანიძეთ.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომათა კრებული, 2016.
4. მექვაბიშვილი ე. საერთაშორისო- სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია:" გლობალიზაცია, საერთასორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები, და განვითარების ტენდენციები, შრომების კრებული, 2012.
5. მესხია ი. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია:" გლობალიზაცია, საერთასორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები, და განვითარების ტენდენციები, შრომების კრებული, 2012.
6. ნაცვალაძე მ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომათა კრებული, 2016.
7. სირბილაძე რ, ოქროშიძე ლ.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომათა კრებული, 2016.
8. შენგელია თ. საერთაშორისოსამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია:" გლობალიზაცია, საერთასორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები, და განვითარების ტენდენციები, შრომების კრებული, 2012.
9. ხარაიშვილი ე.საერთაშორისოსამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია:"გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები, და განვითარების ტენდენციები, შრომების კრებული, 2012.
10. საქართველოს ეროვნული ბანკი;
11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
12. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


## Sustainable Tourism: Global Challenges in Economics and Business


Rusudan Sirbiladze

*Associate professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

In common, Globalization in business and economics, is variety of globalization. which involves the development of the world economy involved in business. Because the process of globalization is a contradictory process, it has its positive and negative side. In the process of globalization, it is difficult to achieve any sustainability, especially, when it refers to sustainable tourism. Economic and business processes are changing rapidly in the world and despite this, international and international tourism is recognized as a world phenomenon. To deal with this phenomenon depends on the modern world order.



*Keywords:Globalization, Sustainable Tourism, Business sphere; Corruption deals, Global honesty, Correlation, Global mass production.*

# მმართველობითი ეფექტიანობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

**დავით სიხარულიძე**

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ*

*კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოში სტრუქტურული ცვლილებების სხვადასხვა ასპექტზე სახელმწიფოს როლის შესწავლა, რაც განისაზღვრება მმართველობითი ეფექტიანობით. ეს გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და წარმატებულად განხორციელებას. თუმცა, მრავალ ქვეყანაში ადმინისტრაციული უნარების, ტექნიკური კომპეტენციების, ფინანსების და ზოგადი ხედვის ნაკლებობა ზღუდავს მთავრობის ეფექტიანობას, განახორციელოს კომპლექსური ინდუსტრიული პოლიტიკა. საქართველო, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან სხვადასხვა პერიოდში, განვითარების სხვადასხვა პოლიტიკას ატარებს დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, სტატიის მიზანია მმართველობის როლის შესწავლა ეკონომიკის ცალკეული სექტორის განვითარებაში.*

*კვლევაში გამოყენებული რეგრესული მოდელის დამოკიდებული ცვლადებია: ზრდა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მომსახურების დამატებული ღირებულება; ხოლო დამოუკიდებელი ცვლადებია: მმართველობითი ეფექტიანობა, რეგულაციის ხარისხი, სამართლებრივი ნორმები. კვლევაში, ასევე, გამოყენებულია მაკონტროლებელი ცვლადები: კორუფციის კონტროლი, ვაჭრობის გახსნილობა, ინვესტიციები, განათლება, კვლევა და განვითარება.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკური ზრდა, მმართველობითი ეფექტიანობა, რეგულაციის ხარისხი, კორუფციის კონტროლი.*

ზევრი ქვეყნისათვის დღეს დამახასიათებელი ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზანია დასაქმების, მწარმოებლურობის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. ინდუსტრიული პოლიტიკა არის მთავრობის სტრატეგია, მოარგოს ეკონომიკური სტრუქტურა არსებულ რეალობას და დაეხმაროს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში [6, გვ. 44-57]. თუმცა, არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც მთავრობის მიერ განხორციელებული ინდუსტრიული პოლიტიკის ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებისა და მისი ეფექტის შესახებ. პოლემიკა ინდუსტრიულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს. ინდუსტრიული პოლიტიკა დებატების საგანია, რადგან ის ქმნის რენტის მაძიებლებისათვის შესაძლებლობას და ხელს უწყობს კონკრეტული ინდივიდებისა და ფირმების განვითარებას. მრავალი მკვლევარისათვის ეკონომიკური განვითარება ინდუსტრიალიზაციასთან ასოცირდება. მათი მტკიცებით, სხვადასხვა სახის საბაზრო ფიასკოს გამო, შეუძლებელია, დაველოდოთ განვითარების ავტომატურად განხორციელებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ეკონომიკის სტიმულირებაში ინდუსტრიული პოლიტიკის გატარებით [9, გვ. 22-24]. თუმცა, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში, ზოგიერთი ეკონომისტი აკრიტიკებდა მეინსტრიმულ განვითარების ეკონომიკას და ირწმუნებოდა, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა ვერ იმუშავებს, რადგან მთავრობის ფიასკო უფრო უარესია, ვიდრე საბაზრო ფიასკო [7, გვ. 171]. მათი აზრით, ბაზარი განიხილება, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმი, შესაბამისად, ქვეყნების განვითარებისათვის ინდუსტრიული პოლიტიკა საჭირო არ არის. თუმცა, ვაშინგტონის კონსენსუსის ნეოლიბერალურმა მიდგომამ, ცარიელი ადგილები დატოვა ინდუსტრიული პოლიტიკისათვის [2, გვ. 2-11]. ინდუსტრიული პოლიტიკის გარშემო მწვავე დებატების შედეგად, ზოგიერთმა მთავრობამ ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ პოლიტიკის განხორციელება, განსაკუთრებით კი – კონკრეტული დარგების მხარდაჭერა. ყველაზე ნათელი და მკაფიო მტკიცებულება გამომდინარეობს აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური განვითარების ინტეპრეტაციების სერიიდან. [6, გვ. 6-34); (1, გვ. 400); (14, გვ. 27-347).

ინდუსტრიული პოლიტიკის თეორიული არგუმენტი ეფუძნება იდეას, რომ ბაზარმა თავისი მექანიზმით ნაკლებად შესაძლებელია გამოიმუშავოს სოციალურად ეფექტიანი შედეგი ექსტერნალიებისა და კოორდინაციის ფიასკოს გამო. ბაზარს განსაკუთრებით არ შეუძლია ასტიმულიროს დარგები, რომელიც წარმოქმნის მსხვილ ეკონომიკურ ეფექტს და ცოდნის დიფუზიას, მსხვილ ერთობლივ პროექტებს, რომელიც მოითხოვს კოორდინაციას ან საქმიანობას, რომელიც საერთაშორისო ექსტერნალიებს რთავს. ასეთ ვითარებაში მთავრობამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სოციალურად სასურველი შედეგების მისაღებად. კოორდინაცია გულისხმობს ,,კარგ მმართველობას", რაც ნაწილობრივი შესაძლებლობაა შეიმუშაოს და განახორციელოს პოლიტიკა ბაზრის არასრულყოფილების შედეგების შერბილებისათვის [11, გვ. 5-6]. ინდუსტრიული პოლიტიკის ძირითადი მიზანია სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რაც ეკონომიკური ზრდის სინონიმია. სტრუქტურული ტრანსფორმაციის გარეშე, ფაქტობრივად, მსოფლიოში ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია წარმატებებს. ეს ნიშნავს ეკონომიკური საქმიანობის გადანაწილებას სოფლის მეურნეობას, მრეწველობას და მომსახურებას შორის, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე ეკონომიკური ზრდის პროცესს [4, გვ. 855-941]. საყურადღებოა, რომ განსაკუთრებით ინდუსტრიულ პოლიტიკაში განვითარების პროცესი ორგანიზდება სტრატეგიულ დონეზე ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის განათლებისა და კომპეტენციების ფორმირების, ვაჭრობის, მიზნობრივი დარგების მხარდაჭერის, კონკურენტუნარიანობისა და კონკურენციის რეგულირებასთან ერთად [3, გვ. 1-42]. წარმატებული პოლიტიკა მიზნად ისახავს ტრანსფორმაციის ფორმების დაჩქარებას. მაგალითად, სამხრეთ კორეის რესპუბლიკის, ტაივანისა და ჩინეთის ეკონომიკის განვითარება არ უკავშირდებოდა ინსტიტუტების სწრაფ სრულყოფას, არამედ ისეთი პოლიტიკის წარმოებას, რომელმაც ბაზრის დაბრკოლებები გადალახა. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის პოლიტიკის, სუბსიდირების და საინვესტიციო პროექტების კოორდინაციის, მთავრობის კომპლექსური სტრატეგიის წყალობით, ეფექტიანად განხორციელდა რესურსების გადანაწილება თანამედროვე დარგებს შორის, რის შედეგად კაპიტალი და კვალიფიციური კადრები ინტენსიურად გამოიყენება. ამ თვალსაზრისით, როდრიკის ძირითადი არგუმენტის მიხედვით, ინდუსტრიულ პოლიტიკას გააჩნია მძლავრი პოტენციალი, ,,თუმცა ერთი ზომა ყველას არ მოერგებან [13, გვ. 280]. ინდუსტრიული პოლიტიკის წარმატებული სტიმულირება უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის ან დარგების სპეციფიკას. ამ შეხედულების მიხედვით, სხვადასხვა ქვეყანას შეუძლია იდენტური პოლიტიკის დანერგვა, თუმცა, განსხვავებული შედეგებით, რადგან მათ გააჩნიათ ბაზრის ფიასკოს განსხვავებული წინაპირობა [9, გვ. 4-5]. სპეციფიკური კონტექსტის (ქვეყნის, დარგის მახასიათებლები) იდენტიფიცირება მოითხოვს მთავრობის კომპეტენციას. მაგალითად, სამხრეთ კორეას გაუმართლა, რომ დარგების მახასიათებლებში გარკვევის შესაძლებლობა მიეცა ან ჰყავდა კარგი ეკონომისტები, რომლებმაც დარგების იდენტიფიცირება განახორციელეს [9, გვ. 4-5]. მმართველობითი კომპეტენციების გაუმჯობესება, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, პოლიტიკის წარმატების ალბათობას განსაზღვრავს. თუმცა, მრავალ ქვეყანაში ადმინისტრაციული უნარების, ტექნიკური კომპეტენციების, ფინანსების და ზოგადი ხედვის ნაკლებობა [10, გვ. 384-411] ზღუდავს მთავრობის ეფექტიანობას, განახორციელოს კომპლექსური ინდუსტრიული პოლიტიკა. სწორედ პროდუქტიული პოლიტიკის გასატარებლად დღის წესრიგში დგას მთავრობის ეფექტიანობის გაუმჯობესება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვას, რამდენად უწყობს ხელს მმართველობითი ეფექიანობა კომპლექსური ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებას და როგორია მისი გავლენა მთლიანად ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაზე?

კვლევაში გამოყენებული ეკონომეტრიკული მოდელის საშუალებით განხორციელდა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე მმართველობითი ეფექტიანობის გავლენის ტესტირება ინდივიდუალური სექტორების მიხედვით, მთავრობის ეკონომიკური აქტიურობის შესაფასებლად რამდენიმე არაძირითად ცვლადთან ერთად სექტორული მაჩვენებლების სხვა დეტერმინანტების კონტროლისათვის. ქვემოთ მოყვანილია ოთხი ძირითადი ემპირიული განტოლება:

$$GDPgr_t = \beta_0 + \beta_1 GE + \beta_2 RQ + \beta_3 RL + \beta_4 CC + \beta_5 EDU + \beta_6 INV + \beta_7 OPEN + \varepsilon_t \quad (1)$$

$$INDva_t = \beta_0 + \beta_1 GE_t + \beta_2 RQ_t + \beta_3 RL_t + \beta_4 CC_t + \beta_5 EDU_t + \beta_6 INV_t + \beta_7 OPEN_t + \varepsilon_t \quad (2)$$

$$AGRva_t = \beta_0 + \beta_1 GE_t + \beta_2 RQ_t + \beta_3 RL_t + \beta_4 CC_t + \beta_5 EDU_t + \beta_6 INV_t + \beta_7 OPEN_t + \varepsilon_t \quad (3)$$

$$SERVva_t = \beta_0 + \beta_1 GE_t + \beta_2 RQ_t + \beta_3 RL_t + \beta_4 CC_t + \beta_5 EDU_t + \beta_6 INV_t + \beta_7 OPEN_t + \varepsilon_t \quad (4)$$

რეგრესულ მოდელებში ეკონომიკურ ეფექტიანობას ვზომავთ შემდეგი დამოკიდებული ცვლადით: მთლიანი ეკონომიკის ზრდა (ტოლობა 1), მრეწველობის დამატებული ღირებულება (ტოლობა 2), სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულება (ტოლობა 3), მომსახურების სექტორის დამატებული ღირებულება (ტოლობა 4) t დროში. მთლიანი ეკონომიკის ზრდას ვზომავთ მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის ზრდის ტემპით. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მომსახურების დამატებული ღირებულება გაიზომება როგორც მათი პროცენტული წილი მშპ-ში. $\beta_1 - \beta_7$ არის ჩვენი კვლევის ინტერესის სხვადასხვა პარამეტრი და $\varepsilon_t$ შეცდომის წევრი. ძირითადად, დაინტერესებული ვართ $\beta_1$, $\beta_2$ და $\beta_3$ -ის შეფასებით, რომელიც, სავარაუდოდ, დადებითი იქნება და გვიჩვენებს, რომ პოლიტიკა წარმატებულია ზრდის სტიმულირების მიხედვით. კვლევაში საქართველოს მაგალითზე გავაანალიზებთ მმართველობით ეფექტიანობასა და ზრდას შორის კავშირს მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის გამოყენებით [14].

ოთხივე რეგრესული მოდელისათვის მაკონტროლებელი კონცეფციების სახით გამოვიყენებთ ვაჭრობის გახსნილობას (ცვლადი - საიმპორტო ტარიფის საშუალო განაკვეთი), ინვესტიციების დონეს (ცვლადი - მთლიანი კაპიტალის ფორმირება) და განათლების საშუალო წელს 25 წლის და მეტი ასაკის ქვეყნის მაცხოვრებლებისთვის (განათლება). გარდა ამისა, დამატებით მაკონტროლებელი კონცეფციის სახით შემოგვაქვს ქვეყნის ინსტიტუციონალური განვითარება, რომლის გასაზომად ვიყენებთ ცვლადს – კორუფციის კონტროლი. მკვლევართა შრომებში ყურადღება გამახვილებულია ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ეკონომიკურ ზრდაში. აღსანიშნავია, რომ ეს ინსტიტუტები დიდ გავლენას ახდენს ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებასა და ეფექტიან განხორციელებაზეც [11, გვ. 5-6]; [12, გვ. 280]. ჩვენი ვარაუდით, კოეფიციენტი $\beta_4$ დადებითი მნიშვნელობის იქნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ინსტიტუციონალური განვითარება (კორუფციის კონტროლი) დადებითადაა დაკავშირებული ეკონომიკურ მაჩვენებლებთან.

გარდა ამისა, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია მთავრობის მხარდაჭერასთან. რადგან ეს პოლიტიკა უახლოეს პერიოდში მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების ინდუსტრიული პოლიტიკის მძლავრი კომპონენტი გახდა, ჩვენი ინტერესის საგანი სწორედ ეკონომიკურ ზრდაზე მისი გავლენაა. კონცეპტუალური მიდგომის საფუძველზე, ინოვაციების გასაზომად გამოვიყენეთ ცვლადი, რომელიც კვლევასა და განვითარებაში ხარჯებს გულისხმობს. ამგვარად შეგვიძლია ავაგოთ მეხუთე რეგრესული მოდელი:

$$GDPgr_t = \beta_0 + \beta_1 GE + \beta_2 RQ + \beta_3 RL + \beta_4 CC + \beta_5 EDU + \beta_6 INV + \beta_7 OPEN + \beta_8 R\&D + \varepsilon_t \quad (5)$$

ამის შემდგომ ყურადღებას გავამახვილებთ ამხსნელი ცვლადების ფიქსირებული ეფექტის შედეგებზე, რომელიც შეისწავლის მმართველობითი ეფექტიანობის გავლენას ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე. პირველ რიგში, ვიკვლევთ მმართველობითი ეფექტიანობის, რეგულაციების ხარისხისა და სამართლებრივი ნორმების კოეფიციენტების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე. ცხრილი 1 გვიჩვენებს ეკონომიკური ზრდის რეგრესიის შედეგებს, რომელშიც მოცემულია სამი მოდელი, რომელთაგან უპირატესობა ენიჭება მესამეს, რომელიც მოიცავს მაკონტროლებელ ცვლადებს.

რეგრესიის მოდელის შედეგები

დამოკიდებული ცვლადი - ეკონომიკური ზრდა

ცხრილი 1

| | (1) | (2) | (3) |
|---|---|---|---|
| მმართველობითი ეფექტიანობა | 12.09359 | 11.17329 | .9288422 |
| | (6.185875) | (5.558966) | (.2553671) |
| რეგულირების ხარისხი | -15.76587 | -17.99267 | -.1019571 |
| | (5.466486) | (5.504662) | (.2427242) |
| სამართლებრივი ნორმები | 4.993304 | -4.856393 | .2785778 |
| | (4.852266) | (5.132791) | (.2683165) |
| კორუფციის კონტროლი | | 1.20269 | .1371079 |
| | | (4.637373) | (.1979462) |
| ინვესტიციები | | .5036615 | .0047327 |
| | | (.1796071) | (.0076692) |
| განათლება | | .1154576 | -.0043627 |
| | | (.2290221) | (.0097742) |
| ვაჭრობის გახსნილობა | | -1.40169 | -.0114903 |
| | | (.7160423) | (.0343696) |
| კვლევა და განვითარება | | | -.5490725 |
| | | | (.9534638) |
| | | | |
| R-sq | 0.4301 | 0.7749 | 0.9875 |
| P | | | 0.0000 |
| F | | | 79.1107 |

ცხრილი 1-ის პირველი მოდელი მოიცავს მხოლოდ მართველობით ინტიკატორებს. რომლის მიხედვით მმართველობითი ეფექტიანობის და სამართლებრივი ნორმის კოეფიციენტები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო რეგულირების ხარისხის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე არ არის მნიშვნელოვანი. მეორე მოდელში დამატებულია მაკონტროლებელი ცვლადები, კერძოდ კორუფციის კონტროლი, ინვესტიციები, განათლება, ვაჭრობის გახსნილობა, კვლევა და განვითარება. მეორე და მესამე მოდელში მმართველობითი ინტიკატორების დიაპაზონი უმნიშვნელოდ იცვლება და მათი გავლენა არ არის ცალსახა. მაგალითად, ინვესტიციები და კორუფციის ხარისხი დადებით დამოკიდებულებაში იმყოფება ეკონომიკურ ზრდასთან, მაშინ როდესაც განათლება, კვლევა და განვითარება არანაირ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

ცხრილი 2 გვიჩვენებს მმართველობითი ეფექტიანობის გავლენას მრეწველობის განვითარებაზე. პირველი მოდელში მოცემული ძირითად ინდიკატორებს შორის მმართველობითი ეფექტიანობის და სამართლებრივი ნორმის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მრეწველობის დამატებული ღირებულების ფორმირებაზე, ხოლო რეგულირების ხარისხი არანაირ გავლენას არ ახდენს. მეორე და მესამე მოდელში, სადაც დამატებულია მაკონტროლებელი ცვლადები, მმართველობითი ინდიკატორების დიაპაზონი უმნიშვნელოდ იცვლება.

რეგრესიის მოდელის შედეგები

დამოკიდებული ცვლადი - მრეწველობის დამატებული ღირებულება (პროცენტული წილი მშპ-ში)

ცხრილი 2

| | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|
| მმართველობითი ეფექტიანობა | 1.00898 | 3.376689 | 3.015308 |
| | (1.656339) | (1.119061 | (1.23011) |
| რეგულირების ხარისხი | -6.063799 | -5.037633 | -5.2711 |
| | (1.463715) | (1.108129) | (1.169209) |
| სამართლის ნორმები | 5.725486 | 3.541486 | 4.134044 |
| | (1.29925) | (1.033268) | (1.292487) |
| კორუფციის კონტროლი | | .8601046 | .8750365 |
| | | (.9335372) | (.9535121) |
| ინვესტიციები | | .1021914 | .1031628 |
| | | (.0361562) | (.0369429) |
| განათლება | | -.0012644 | -.0009833 |
| | | (.0461038) | (.0470825) |
| ვაჭრობის გახსნილობა | | .2675592 | .2074027 |
| | | (.1441446) | (.1655594) |
| კვლევა და განვითარება | | | 3.646139 |
| | | | ( 4.59286) |
| | | | |
| R-sq | 0.6746 | 0.9274 | 0.9327 |
| P | 0.0017 | 0.0002 | 0.0006 |
| F | 8.982987 | 16.41377 | 13.85076 |
| [95% Conf. Interval] | | | |

რაც შეეხება მაკონტროლებელ ცვლადებს, კერძოდ, კორუფციის კონტროლი, ინვესტიციები, ვაჭრობის გახსნილობა და კვლევა და განვითარება დადებით გავლენას ახდენს მრეწველობის დამატებული ღირებულების ფორმირებაზე. თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით განათლებაზე, რომლის გავლენა არ არის მნიშვნელოვანი.

რეგრესიის მოდელის შედეგები

დამოკიდებული ცვლადი - სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულება (პროცენტული წილი მშპ-ში)

ცხრილი 3

| | (1) | (2) | (3) |
|---|---|---|---|
| მმართველობითი ეფექტიანობა | 1.158811 | 3.512049 | -1.421574 |
| | (5.418852) | (5.334495) | (3.856932) |
| რეგულირების ხარისხი | -1.111254 | -4.158274 | -7.345613 |
| | (4.788664) | (5.282385) | (3.66598) |
| სამართლის ნორმები | -12.74711 | -13.73302 | -5.643332 |
| | (4.250605) | (4.92553) | (4.052512) |
| კორუფციის კონტროლი | | 1.466869 | 1.670723 |
| | | (4.450117) | (-.1935451) |
| ინვესტიციები | | -.2068058 | (-.1935451 |
| | | (.1723546) | (.1158322) |

| | | | |
|---|---|---|---|
| განათლება | | .5252187 | .5290562 |
| | | (.2197742) | (.1476241) |
| ვაჭრობის გახსნილობა | | .8040547 | -.0172106 |
| | | (.6871286) | (.5191009) |
| კვლევა და განვითარება | | | 49.77765 |
| | | | (14.40062) |
| | | | |
| R-sq | 0.8748 | 0.9407 | 0.9762 |
| P | 0.0000 | 0.0001 | 0.0000 |
| F | 30.28699 | 20.38852 | 41.03542 |
| [95% Conf. Interval] | | | |

ცხრილი 3-ში წარმოდგენილია შედეგები, რომელშიც დამოკიდებული ცვლადია სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულება. მოდელი 1 გვიჩვენებს ძირითადი ცვლადების გავლენას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე. ამ მოდელის მიხედვით, მმართველობითი ეფექტიანობის კოეფიციენტი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე დადებით, თუმცა უმნიშვნელო გავლენას ახდენს, სამაგიეროდ, რეგულაციის ხარისხისა და სამართლებრივი ნორმების კოეფიციენტი სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებულების კოეფიციენტთან უარყოფით დამოკიდებულებაში იმყოფება. მეორე და მესამე მოდელის მიხედვით, ძირითადი კოეფიციენტების მნიშვნელობა უარყოფითი მიმართულებით იცვლება, რაც შეეხება მაკონტროლებელ ცვლადებს, მათი გავლენა განსხვავებულია, კერძოდ ინვესტიციებისა და ვაჭრობის გახსნილობის კოეფიციენტი უარყოფით დამოკიდებულებაშია სოფლის მეურნეობის დამატებული ღირებლების კოეფიციენტთან, ხოლო კვლევა და განვითარება და განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაში დამატებული ღირებულების შექმნაზე.

რეგრესიის მოდელის შედეგები

დამოკიდებული ცვლადი: მომსახურების სექტორის დამატებული ღირებულება (პროცენტული წილი მშპ-ში)

ცხრილი 4

| | 1 | 2 | 3 |
|---|---|---|---|
| მმართველობითი ეფექტიანობა | -2.16779 | -6.888736 | -1.593733 |
| | (6.002195) | (5.573716) | (3.860486) |
| რეგულირების ხარისხი | 7.175051 | 9.195905 | 12.61671 |
| | (5.304166) | (5.519269) | (3.669358) |
| სამართლის ნორმები | 7.02163 | 10.19154 | 1.509289 |
| | (4.708185) | (5.146411) | (4.056246) |
| კორუფციის კონტროლი | | -2.326976 | -2.545761 |
| | | (4.649679) | (2.992431) |
| ინვესტიციები | | .1046144 | .0903824 |
| | | (.1800837) | (.115939) |
| განათლება | | -.5239543 | -.5280729 |
| | | (.2296298) | (.1477601) |
| ვაჭრობის გახსნილობა | | -1.071614 | -.1901922 |
| | | (.7179424) | (.5195792) |
| კვლევა და განვითარება | | | -53.42379 |
| | | | (14.41389) |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| R-sq | 0.8575 | 0.9399 | 0.9779 |
| P | 30.28699 | 20.1038 | 0.0000 |
| F | 0.0000 | 0.0001 | 44.20387 |
| [95% Conf. Interval] | | | |

ასევე, შევისწავლეთ მმართველობითი ეფექტიანობის გავლენა მომსახურების სექტორზე (ცხრილი 4). მოდელი 1-ის მიხედვით, გამოვლინდა მარეგულირებელი ხარისხისა და სამართლებრივი ნორმების კოეფიციენტების პოზიტიური და მნიშვნელოვანი გავლენა, ხოლო მმართველობითი ეფექტიანობა არანაირ გავლენა არ ახდენს მომსახურების სექტორის განვითარებაზე. რაც შეეხება მაკონტროლებელ ცვლადებს, მათი გავლენა მომსახურების სექტორის დამატებულ ღირებულების ფორმირებაზე უმნიშვნელოა.

## დასკვნა

ამრიგად, მნიშვნელოვანია მმართველობითი ეფექტიანობის გავლენა და მისი როლი ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე. კვლევიდან ჩანს, რომ მმართველობით ეფექტიანობას ძლიერი გავლენა აქვს როგორც ეკონომიკურ ზრდაზე, ასევე ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე, რაც ვლინდება ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკით. თუმცა რეგულაციების ხარისხის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე და ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე სუსტია. კორუფციის კონტროლი და ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკის ცალკეული სექტორის განვითარებაზე. რაც შეეხება სხვა მაკონტროლებელ ცვლადებს, მათი გავლენა არ არის ცალსახა. მაგალითად, ვაჭრობის გახსნილობა დადებით გავლენას ახდენს მრეწველობის სექტორის განვითარებაზე, ხოლო სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სექტორებზე მისი გავლენა უარყოფითია. ასევე აღსანიშნავი განათლება, რომელიც, ფაქტობრივად არანაირ გავლენას არ ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, რაც მიუთითებს განათლების სისტემის არაეფექტიანობაზე.

## ლიტერატურა:


1. Amsden, A. H. (1989). Asia's next Giant: South Korea and Late Industrialization. Oxford University Press. P 400.
2. Cimoli, M. D. (2009b). Industrial Policy and Development,chapter The Political Economy of Capabilities Accumulation:The Past and Futurechapter The Political Economy of Capabilities Accumulation: The Past and Future of Policies for Industrial Development. Oxford University Press. pp. 2-11.
3. Di Maio, M. (2009). Industrial Policy and Development, chapter Industrial Policies in Developing Countries: History and Perspectives. Oxford University Press. pp.1-42.
4. Herrendorf, B. R. (2013). Growth and Structural Transformation,". NBER Working Paper.pp. 855-941.
5. Johnson, C. A. (1982). MITI and the Japanese Miracle: The Growth of Industrial Policy 1925-1975. Stanford University Press. pp. 6-34.
6. Krauss, E. S. (n.d.). Political Economy: Policymaking and Industrial Policy in Japan. Political Science & Politics, Vol. 25(1), pp. 44-57.
7. Krueger, A. O. (1993). Political Economy of Policy Reform in Developing Countires. Cambridge:: MIT Press. pp. 171.
8. Pack, H. a. (2006). The case for industrial policy : a critical survey. Policy Research Working Paper Series 3839.
9. Robinson. J.A. (2009). Industrial Policy and Development: A Political Economy Perspective. World Bank ABCDE conference in Seoul June 22-24. pp.4-5.
10. Rodríguez-Pose, A. a. (2016). Firm competitiveness and regional disparities in Georgia. The Geographical Review. ISSN 0016-7428. Pp. 384-411.
11. Rodrik D. (2008). Normalizing Industrial Policy. The International Bank for Reconstruction and Development / The World Bank., pp.5-6.

12. Rodrik, D. (2007). One Economics, Many Recipes, . Princeton: Princeton University Press. p.280.
13. World Bank. (1993). The East Asian Miracle: Economic Growth and Public Policy. Oxford University Press.
14. Worldwide Governance Indicators http://info.worldbank.org/governance/wgi/index.aspx#home

# The Impact of Governance Efficiency on Economic Growth

David Sikharulidze

*Ph.D. Economics, Associate professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Most governments have industrial policies in an attempt to foster productivity and employment speed up the rate of industrialization and economic growth. To successfully promote development industrial policy has to be tailored to the specific context or institutions of country. According to this view different countries could adapt identical policies with very different results since they has different sets of market failures. Identifying specific context (country and industry characteristics) requires state capacity. Improving government's capacity to design and execute policy determines the likelihood of successful implementation. Although, in many countries, shortage of administrative skills, technical competencies, financing and more generally vision. limits the effectiveness of governments to implement complex industrial policies. Hence, key agenda item for productivity policy needs to be improving governance effectiveness. Georgia has experienced different development policies to ensure balanced development of the economy after independence. We tried to examine the role of governance in development of industry by empirical studies. We used regression equations where dependent variables were Growth, industry value added, agricultural value added, service sector value added and independent variables were government effectiveness, regulatory Quality, rule of law whilst control variables were control of Corruption, trade openness, Investment, education and research and development.

***Keywords: economic growth, management efficiency, regulation quality, and control of corruption.***

# Влияние процессов глобализации на сферу интеллектуальной собственности

Т.А. Соболева

*к.э.н., доцент кафедры менеджмента,*
*ГВУЗ «Киевский национальный экономический*
*университет имени Вадима Гетьмана»*

*Глобализация как явление, активно набирающее обороты под взаимовоздействием с научно-техническим прогрессом и развитием информационно-коммуникационных технологий (ИКТ), в последние десятилетия формирует единый мировой ландшафт для ведения бизнеса, как бросая вызовы росту целых национальных экономик, так и предоставляя уникальные возможности для прорывов в технологическом и социальном развитии обществ.*

***Ключевые слова: глобализация, патенты, торговые марки, PCT, интеллектуальная собственность.***

**Тенденции глобализационных процессов в экономике**. Процессы глобализации продолжают оказывать определяющее влияние на конфигурацию мировых потоков ресурсов, скорость и направления которых постоянно увеличиваются и усложняются. Если в 2012 г. потоки товаров, услуг и финансов составляли 26 трлн. дол. или 36% от мирового ВВП, что уже в 1,5 раза превышало уровень 1990 г., то по оценкам экспертов МакКинси (McKinsey), к 2025 г. глобальные потоки могут достичь 50- 80 трлн. дол. США, то есть удвоить или утроить нынешний масштаб. В настоящее время на развивающиеся страны приходится 38% глобальных потоков, что почти в три раза превышает их долю в 1990 году. Проведенные исследования также показали, что глобальные потоки оказывают существенный вклад в рост мирового ВВП, ежегодно увеличивая последний на 250 - 450 млрд. дол., что составляет от 15 до 25% от его общего объёма. Кроме того, страны с большей вовлеченностью в систему международных потоков демонстрируют на 40% больший рост национального ВВП, чем менее связанные с другими международными агентами страны [1].

Усиливается также глобализация финансовых потоков. Так, мировые иностранные инвестиции в 2016 году составили 132 трлн. дол., увеличившись почти на треть по сравнению с объёмом 2007 года в 103 трлн. дол. Более четверти акций по всему миру принадлежат иностранным инвесторам (в 2000 г. этот показатель составлял 17%). На мировых рынках облигаций удельный вес последних, принадлежащих иностранным инвесторам, за период 2000-2016 гг. вырос с 18% до 31% [2].

Международные наукоемкие потоки в таких отраслях как самолетостроение, автомобилестроение, производство полупроводников, микроэлектроники и фармацевтики растут заметно быстрее, чем трудоемкие потоки, составляя более половины от общего мирового объёма. Таким образом, если ранее развитие глобализации обуславливалось стремлением к более дешевым источникам сырья и рабочей силы, то движущей силой будущего роста станут информация и экономика знаний. Распространение Интернета и цифровых технологий трансформирует все типы потоков и создает их новые виды, такие как онлайн торговля. Менее чем за 10 лет торговля через Интернет выросла на 10% больше, чем традиционная торговля товарами. К 2025 г. прогнозируется увеличение онлайн трафика до 8 раз по отношению к текущему уровню.

Подтверждает тенденцию интеллектуализации международных потоков и динамика показателей, отслеживаемых Мировым Банком [3]. Так, мировой высокотехнологический экспорт за период 2009 – 2014 гг. вырос почти на 40% (рис.1). И если в абсолютном выражении возрастающий тренд очевиден, то в относительном выражении – более подвержен влиянию циклических колебаний экономики (рис.2). Так, рост удельного веса высокотехнологического экспорта в общем объеме промышленного мирового экспорта преломил спадающий тренд после последнего финансового кризиса лишь в 2012 г., достигнув уровня в 18,5% к 2015 году.




Рис. 1. Динамика мирового высокотехнологичного экспорта в 1999-2014 гг.




Рис. 2. Динамика удельного веса высокотехнологичного экспорта в промышленном экспорте в 1999-2015 гг.

**Влияние интеллектуальной собственности (ИС) на экономический рост**. Значение интеллектуальной собственности для развития бизнеса и экономики трудно переоценить. Результаты исследований демонстрируют синхронизацию изменений темпов роста ВВП с темпами роста количества заявок на патенты и товарные знаки [4].

В активах компаний сейчас широко представлены технологии (патенты на них), промышленные образцы и бренды, которые все больше определяют их ценность. Создавая полезные модели, товарные знаки, коммерческую тайну и авторские права, компании превращают свои идеи в интеллектуальную собственность. Активное внедрение инноваций на фоне развития высокотехнологических отраслей увеличивают удельный вес интеллектуальной собственности в стоимости компаний, приводя к преобладанию в десятки и сотни раз в последней нематериальных активов. Поэтому компании тщательно регистрируют свои идеи и технологии для защиты своей собственности.

В связи с этим необходимость и возможность защиты объектов интеллектуальной собственности при ведении бизнеса приобретает ключевое значение с точки зрения обеспечения конкурентоспособности разрабатываемых и внедряемых инноваций при соблюдении экономических стимулов к творчеству для авторов и разработчиков таких интеллектуальных объектов. Поэтому, зарегистрированная, а значит в большинстве случаев защищенная, интеллектуальная собственность становится не только барьером для вхождения в отрасль конкурентов, но и источником дополнительного дохода для компании в случае ее продажи путем переуступки прав или лицензирования. Например, компания Texas Instruments (США) зарабатывала от продажи лицензий около 1 млрд. дол. ежегодно, превысив через несколько лет доходы от этого источника над чистой прибылью от продажи своей продукции [5].

С ускорением процессов глобализации вопросы обеспечения защиты прав на объекты интеллектуальной собственности приобретают международный характер, усложняясь под воздействием цифровых технологий, так и особенностей национальных экономик при вхождении в них иностранных компаний со своей продукцией. Увеличение доступности к сети Интернет значительно увеличила возможности копирования и оборачиваемости контрафактной продукции. По оценкам экспертов, если обороты международной и внутренней торговли контрафактными и пиратскими товарами в 2013 г. составляли 710 - 917 млрд. дол., то к 2022 г. ее обороты могут достигнуть 991 млрд. дол. [6].

**Динамика активности в сфере интеллектуальной собственности**. Одним из основных показателей такой активности является количество заявок, поданных на регистрацию и получение охраны объектов интеллектуальной собственности, в частности заявок на получение патентов на изобретения, полезные модели и промышленный дизайн. Так, в 2015 году во всем мире количество поданных патентных заявок увеличилось на 7,8% относительно предыдущего года, достигнув количества в 2,9 млн.[7]. Основной вклад (84% от общего роста) в увеличение данного показателя обеспечил Китай, 8,6% роста составило увеличение количества заявок в США и Евросоюзе, что свидетельствует о том, что не более, чем на оставшиеся 2% от удельного веса роста патентной активности могут претендовать большинство не указанных выше стран мира. В то же время, темп роста патентной активности в 2015 году оказался чуть ниже темпов роста в период с 2011 по 2013 гг., который в те годы демонстрировал уровень 8-9%. Большинство поданных в 2015 году патентных заявок касались компьютерных технологий, электрооборудования, цифровой связи и медицины. Удельный вес этих технологий в 2014 году составил почти 30% среди заявок, поданных по всем технологическим группам.

Показательным с точки зрения активности на международных рынках является количество заявок, поданных по процедуре PCT (согласно договору о патентной кооперации), которая позволяет получить патентную защиту на международном уровне (в нескольких странах одновременно) быстрее и дешевле, чем того потребовало бы получение такой защиты в каждой из выбранных стран по отдельности. Так, в 2015 году по процедуре PCT было подано более 217 тыс. заявок, что почти на 1,5% больше, чем в 2014 году. Наиболее активными оказались заявители из США, Японии и Китая. Показательным является факт, что среди двадцати наиболее активных стран, регистрирующих свои заявки согласно договору о патентной кооперации, только две (Китай и Индия) относятся к странам со средним уровнем дохода.

Патентные заявки на полезные модели также демонстрируют увеличение активности в их подаче. Такое увеличение составило 27% в 2015 году, что в частности стало результатом роста на треть (29,8%) количества заявок, поданных в Патентный офис Китая. Всего же количество заявок на полезные модели, поданные заявителями в Китае, составило почти 94% от всех заявок, поданных в мире. Среди оставшихся 6% значительным количеством заявок отличаются Германия, Российская Федерация, Республика Корея и Украина. Заявки на полезную модель редко подаются за границу, поэтому около 99% поданных во всем мире в 2015 году заявок были поданы резидентами своих стран.

Самый большой рост за последние 15 лет, который в 2015г. составил 15,3%, продемонстрировали заявки, поданные на товарные знаки. Таких заявок было подано в два раза больше, чем в 2000г. Увеличение глобальной активности в подаче заявок на товарные знаки на 60% произошло благодаря Китаю, на 10% - Японии и на 5% -

Индии. Подтверждением влияния процессов глобализации на активизацию сферы интеллектуальной собственности является увеличение количества заявок на товарные знаки, поданные по мадридской системе, что позволяет получить защиту сразу в нескольких странах. В 2015 году самое большое количество международных заявок было подано заявителями США (7361 заявок), что на 11,2% больше, чем в предыдущем году. За ними следуют заявители из Германии (6759 заявок) и Франции (4143 заявок). Самым активным пользователем Мадридской системы является швейцарская фармацевтическая компания Новартис (Novartis), подавшая 193 международные заявки в 2015г. Немецкая розничная торговая сеть Лидл (Lidl) подала 142 международные заявки, французская косметическая компания Лореаль (L'Oréal) - 130. На промышленные образцы в 2015 г. было подано почти 873 тыс. заявок, что демонстрирует рост на 2,3% по сравнению с предыдущим годом, перекрывая резкое падение на 10% в 2014г. в связи с сокращением заявок в Китае.

Опубликованный в июне этого года ежегодный отчет «Глобальный индикатор патентов и трендов в ИС 2017» указывает на глобализацию процессов в сфере интеллектуальной собственности, что подтверждается выделенными трендами в проведенном исследовании. Так, согласно отчету, в 2016 г. более 73% респондентов подали заявки на патенты в четырех или более странах (в 2015г. этот показатель составлял 62%). Общая патентная активность и темп роста международных заявок также выросли, причем более 41% заявителей подали более половины своих патентных заявок за рубежом (в 2015 г. эта часть соответствовала 34%) [8].

**Выводы**. Мировое движение товаров и услуг, финансовых и интеллектуальных ресурсов увеличивается быстрыми темпами и уже достигло огромных масштабов. Глобальные потоки создают новую архитектуру связей между экономиками и отдельными компаниями. Среди современных мировых экономических тенденций можно выделить такие, как глобализация спроса на высокотехнологичную продукцию; интернационализация инновационной, в том числе исследовательской, деятельности; интеллектуализация мирового производства; инвестиционный глобализм, связанный с возможностью переливания финансовых ресурсов в различные рынки; увеличение расходов на научные исследования и разработки.

Таким образом, можно сделать вывод, что процессы глобализации и динамика показателей в сфере интеллектуальной собственности демонстрируют одинаковый вектор развития, направленный на их интеллектуализацию и интернационализацию, что, на наш взгляд, подтверждает взаимное влияние указанных императивов мировой экономики.

## Литература:


1. Global flows in a digital age. - McKinsey & Company.- April 2014 - Электронный ресурс. – Режим доступа: http://-www.mckinsey.com/business-functions/strategy-and-corporate-finance/our-insights/global-flows-in-a-digital-age
2. The New Dynamics of Financial Globalization. Report of McKinsey Global Institute. - August 2017. - Электронный ресурс. – Режим доступа: http://www.mckinsey.com/industries/financial-services/our-insights/the-new-dynamics-of-financial-globalization
3. World Bank Group – Data. – Indicators. - Электронный ресурс. – Режим доступа: https://data.worldbank.org/indicator
4. Masahiro Hashimoto. Global IP Protection Systems for Promotion of Innovation and Business Competitiveness: Japan's Experience. - Электронный ресурс. – Режим доступа: - http://www.wipo.int/edocs/mdocs/aspac/en/wipo_ip_tyo_10/-wipo_ip_tyo_10_ref_01_hashimoto.pdf
5. Lerner Josh. Monetizing IP: The Executive's Challenge. - Harvard Business School. - - Электронный ресурс. – Режим доступа: http://hbswk.hbs.edu/item/monetizing-ip-the-executives-challenge
6. The Economic Impacts of Counterfeiting and Piracy – Report prepared for BASCAP and INTA, 2016. - Электронный ресурс. – Режим доступа: https://iccwbo.org/publication/economic-impacts-counterfeiting-piracy-report-prepared-bascap-inta/
7. World Intellectual Property Indicators, 2016. - WIPO. - Economics & Statistics Series. – 173 p. ISBN: 978-92-805-2805-3
8. The 2017 Global Patent & IP Trends Indicator. RWS Group inovia. - Электронный ресурс. – Режим доступа: https://-www.inovia.com/resources/global-ip-trends-indicator/

# The Impact of Globalization on the Intellectual Property Sphere

Tatiana Soboleva

*C.E.Sc., Docent of the Management Chair,*

*Vadim Getman Kyiv National Economic University*

R e s u m e

The article highlights that the processes of globalization and the dynamics of indicators in the sphere of intellectual property demonstrate the same vector of development aimed at their intellectualization and internationalization, which confirms the mutual influence of these imperatives of the world economy.

*Keywords: globalization, patents, trademarks, PCT, intellectual property.*

# სადაზღვევო პრემიებითა და ზარალებით გამოწვეული სადაზღვევო მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღრიცხვა


## დალი სოლოღაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატია ეხება სადაზღვევო კომპანიების საქმიანობასთან დაკავშირებული სადაზღვევო ოპერაციების თავისებურებებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაზღვევო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვას, რომლის საფუძველსაც სადაზღვევო ხელშეკრულება წარმოადგენს. კერძოდ განხილულია:*

- *უშუალოდ სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და ვალდებულებები;*
- *სხვა სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები.*

*სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრულად აღრიცხვის გაუმჯობესებას ეხება ფასს 4, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მზღვეველის უფლება სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვალდებულებების ადეკვატურობა, გადაზღვეული აქტივების გაუფასურება, მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შეფასება, ჩრდილოვანი ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ.*



*საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, მზღვეველი, ხელშეკრულება, სადაზღვევო მოთხოვნები, სადაზღვევო ვალდბულებები, აღრიცხვა.*


სადაზღვევო საქმიანობა წარმოადგენს მზღვეველის საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან. სადაზღვევო ხელშეკრულება არის ის ძირითდი დოკუმენტი, რომლის საუძველზეც ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.ფასს 4 ეხება სადაზღვევო ხელშეკრულებებს. მოცემული სტანდარტი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ სადაზღვევო ხელშეკრულებისათვის მათ შორის გადაზღვევის ხელშეკრულებისათვისაც, რომელსაც სამეურნეო სუბიექტი ფლობს. ფასს 4-ის მიზანია გარკვეულ ჩარჩოებში:

- მოექცეს მზღვეველის სადაზღვევო ხელშეკრულებების ფინანსური ანგარიშგება;
- მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის რამდენადმე გაუმჯობესება;
- ინფორმაციის გაშუქება, რაც განსაზღვრული და ახსნილი იქნება მზღვეველის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს 4 განმარტავს: **სადაზღვევო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთი მხარე (მზღვეველი) თავის თავზე იღებს მეორე მხარის (პოლისის მფლობელის) მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, შეთანხმების თანახმად, კომპენსაცია გადაუხადოს პოლისის მფლობელს, თუ ესა თუ ის კონკრეტული განუსაზღვრელი მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა) უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე.**

თავის მხრივ, ამავე სტანდარტით განუსაზღვრელობა (ან რისკი) განიმარტება, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულების არსი. შესაბამისად, სადაზღვევო ხელშეკრულების დასაწყისში ქვემოთ ჩამოთვლილიდან სულ მცირე ერთდერთი მაინც გაურკვეველია:

ა) მოხდება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა;

ბ) როდის მოხდება; ან

გ) რამდენი უნდა გადაიხადოს მზღვეველმა, თუ სადაზღვევო შემთხვევა მოხდება.

სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრულად აღრიცხვის გაუმჯობესებას ეხება ფასს 4(1.1), რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მზღვეველის უფლება სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვალდებულებების ადეკვატურობა, გადაზღვეული აქტივების გაუფასურება, მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შეფასება, ჩრდილოვანი ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ. მაშასადამე, **სადაზღვევო ხელშეკრულება არის**

**ის სამოქალაქოდსამართლებრივი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ფინანსური ურთიერთობები მზღვეველსა და პოლისის მფლობელს შორის.**

სადაზღვევო ხელშეკრულებით მზღვეველი ვალდებულლია აუნაზღაუროს პოლისის მფლობელს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშკრულების პირობების შესაბამისად განსაზღვრული სადაზღვევო თანხით. ე.ი. ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვრება მზღვეველის ნეტო სახელშეკრულებო ვალდებულებები პოლისის მფლობელების (დაზღვეულბის) მიმართ გადაუხადოს კომპენსაცია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის შემთხვევაში. **სადაზღვევო შემთხვევა კი წარმოადგენს მომავალ განუსაზღვრელ მოვლენას, რომელსაც მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულება და რომელიც წარმოქმნის სადაზღვევო რისკს.**

ფასს 4-ის – ,,სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ერთდერთი ძირითადი მიზანია[3,გვ.608]. მზღვეველის მიერ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის რამდენადმე გაუმჯობესება, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მზღვეველის უფლება სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ვალდებულებების ადეკვატურობა, გადაზღვეული აქტივების გაუფასურება, მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შეფასება, ჩრდილოვანი ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ.

ფასს 4-ის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია განმარტებით შენიშვნებში ასახოს ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრავს და განმარტავს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ იმ თანხებს, რომელიც წარმოიშვა სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან. ამ მოთხოვნის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მზღვეველმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

ა) სადაზღვევო ხელშეკრულებების სააღრიცხვო პოლიტიკა და შესაბამისი აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯი;

ბ)სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები, ვალდებულებები, შემოსავლი და ხარჯი.

სადაზღვევო ხელშეკრულებაა საფუძველი, რომლის მიხედვითაც დგინდება სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები, მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, სადაზღვევო პრემიის ოდენობა და ა.შ.

სადაზღვევო კომპანების სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები ჯგუფდება:

1. **სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და ვალდებულებები;**
2. **სხვა სადაზღვევო მოთხოვნები და ვალდებულებები**

სადაზღვევო მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარებახდება დარიცხვის პრინციპის თანახმად, კონტრაქტების ძალაში შესვლის საფუძველზე. მოთხოვნები და ვალდებულებების წარმოშობა შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აგენტების, ბროკერებისა და პოლისებისმფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხებით.

სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული მოთხოვნები აღიარდება კონტრაქტის ძალაშიშესვლისას, რომელიც ბუღალტრულად გატარდება:

**დ – სადაზღვევო მოთხოვნები**

**კ – მოზიდულისადაზღვევო პრემია/გამოუმუშავებელი პრემია**

**მოზიდული სადაზღვევო პრემია** არის სადაზღვევო შენატანის თანხა, რომელსაც უხდი სდამზღვევი მზღვეველს მის მიერ აღებული ვალდებულებების ზარალის (ზიანის) ანაზღაურებისათვის, რომელიც შეიძლება მიყენებული იქნეს დაზღვევის ობიექტზე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევების ან გარემოებათა გამო. ე,ი, მოზიდული პრემია აღიარდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია.

სადაზღვევო მოთხოვნები კომპანიის ძირითად ისაქმიანობის შედეგად სადაზღვევოდ ამიღებული გადაზღვევის ოპერაციებიდან წარმოშობილი მოთხოვნებია. ხოლო მოზიდული პრემია (ბრუტო), რადგან ჯერ კიდევ არ ითვლება გამომუშავებულ პრემიად, და ამავდროულად იგი წარმოშობს სადაზღვევო კომპანიის ვალდებულებას დაზღვეულის მიმართ, ამიტომ ის შეიძლება ვაღიაროთ გადავადებულ შემოსავლებად.

სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში შესაძლებელია ადგილი ქონდეს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებას. სადაზღვევო კომპანია სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების სათანადო

მტკიცებულებების საფუძველზე ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებას გაუფასურების ზარალის ოდენობით. რომელიც გატარდება:

დ – სადაზღვევო მოთხოვნისგაუფასურების ზარალი

კ– სადაზღვევო მოთხოვნები

კომპანიას ასევეშეიძლება ჰქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი). რეგრესი სამართლებრივი ტერმინიადა პირდაპირი გაგებით ნიშნავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას მესამეპირისაგან.

თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუ კი ის უნაზღაურებს დამზღვევ სზიანს. რომელიც გატარდება:

დ – მოთხოვნები მესამე მხარის მიმართ ზარალის ანაზღაურებაზე

კ – შემოსავალი რეგრესით

თუ დამზღვევი უარს იტყვის მესამე პირის მიმართვის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლები სგანხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთა ნდაკავშირებით.

სადაზღვევო კომპანიებს სადაზღვევო კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე შესაძლებლობა აქვთ გადარჩენილი ქონებიდან მიღოონ შესაბამისი ანაზღაურება, რომელიც აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებულივალდებულების შემცირების სახით, რომელიც გატრდება:

დ– სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულებები

კ– გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება

ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება,როგორც სხვა აქტივი. გატარდება:

დ– სხვა აქტივები

კ – სხვა სადაზღვევო შემოსავლები

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას აძლევს უფლებასგაყიდოს (როგორც წესი,გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება , რომელსაც გადარჩენილი ქონებას უწოდებენ. ასეთი ქონება გატარდება;

1. დ – სხვა აქტივები
   კ– ზარალი
2. დ– ფულადი საშუალებები
   კ– გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება

მაშასადამე, სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხაარის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონებისრეალიზაციიდან.

კანონმდებლობის თანახმად, სადაზღვევო კომპანიას/მზღვეველ სშეუძლია განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით.

დაზღვევის აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებითა დასახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დაზღვევის აგენტის მიერ მიღებული სადაზღვევო შენატანი ითვლება მზღვეველის მიერ მიღებულ სადაზღვევო შენატანად, რომელიც გატარდება:

დ– ფულადი საშუალებები

კ– მოზიდული პრემია

სადაზღვევო ბროკერიც ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონ-მდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას.

კანონმდებლობის თანახმად, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს სამსახურს და გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია.

სადაზღვევო ბროკერის ურთიერთობამ ზღვეველთან და დამზღვევთან განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.

ბროკერსა და აგენტთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე წარმოიშობა შესაბამისი მოთხოვნები, რომელიც გატარდება:

**დ– სადაზღვევო მოთხოვნები**

**კ– გამოუმუშავებელი პრემია**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადაზღვევო კომპანიებს ჩვეულებრივ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოეშობათ ვალდებულებებიც. ფინანსურ ანგარშგებაში სადაზღვევო კომპანიებს ვალდებულებები კლასიფიცირებული აქვთ როგორც:

1. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები;
2. სხვა სადაზღვევო ვალდებულებები;
3. სხვა ვალდებულებები.

სადაზღვევო კონტრაქტის ვალდებულება გულისხმობს ყველა იმ ზარალის პირობით სრულ ღირებულებას, რომელიც მოხდა, თუმცა არ დარეგულირებულა ანგარიშგების თარიღისთვის, მიუხედავად იმისა, გაცხადდა თუ არა ის, ზარალების დარეგულირებას თანდაკავშირებულ ხარჯებთან, ნარჩენის პირობით ღირებულებასა და სხვა სახის ანაზღაურებასთან ერთად.

სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს:

- ✓ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს:
- ✓ პოლისების მფლობელთა მიერ განცხადებლ, მაგრამ დაურეგულირებელ ზარალის რეზერვს ;
- ✓ მომხდარ, მაგრამ განუცხადებელ ზარალის რეზერვს .

**გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, ეს არის მოზიდული პრემიების ნაწილი, რომლიც მიეკუთვნება მომდევნო პერიოდებს, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია.** ე.ი. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო ან შემდეგი წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ-ცალკე ყოველი სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად.

კანონმდებლობის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია გამოითვალოს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი ყველა ძალაში მყოფი სადაზღვევო ხელშეკრულების /პოლისისთვის.

მომხდარი, აგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის ოდენობა ჯანმრთელობის დაზღვევი სსახეობაში შეადგენს განსაზღვრული საბაზისო პრემიის 2%-ს ხოლო დაზღვევის სხვა სახეობისათვის განსაზღვრული საბაზისო პრემიის 5%-ს საბაზისო პრემიად მიიჩნევა მზღვეველის მიერ საანგარიშო წელიწადში მოზიდული პრემია.

მზღვეველის გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის მთლიანი ოდენობა წარმოადგენს ხელშეკრულებიდან/პოლისიდან დაანგარიშებული გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვების ჯამს.

როგორც აღვნიშნეთ,რეზერვები იქმნება ზარალის და სადაზღვევო ზარალთან დაკავშირებული ხარჯებისათვის, რაც მოხდა, მაგრამ კომპანიას ჯერ არ დაურეგულირებია. რეზერვების აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას, პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად.

რეზერვისაღიარება გატარდება:

**დ –მოზიდული პრემია**

**კ – გამოუმუშავებელიპრემიისრეზერვი**

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდს მისაკუთვნებელი მოზიდული პრემია გატარდება:

**დ– გამოუმუშავებელიპრემიისრეზერვი**

**კ– მოზიდული პრემია**

სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოცფა ორ კატეგორიად:

1) **განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის** რეზერვი, რომლის ფორმირებას კომპანია ან-ხორციელებს მზღვეველის მიმართ ცნობილი მოთხოვნების არსებობისას საანგარიშო თარიღსათვის, რაც შე-საბამისი განცხადებით დასტურდება.

განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა საანგარიშო თარიღისათვის არის დამზღვევთა ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თან-ხები, რომლებზეც არ არის მიღებული გადაწყვეტილება სადაზღვევო თანხების სრული ან ნაწილობრივი და-ფარვის დაუკმაყოფილებლობაზე.

განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვის ოდენობა აისახება ბალანსში, რო-გორც ვალდებულება, რომელიც გატარდება:

**დდცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში**

**კ – განცხადებული მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი**

კანონმდებლობის თანახმად, გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზა-რალების რეზერვში გამოითვლება თითოეული განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალისათ-ვის, მასთან დაკავშირებული გადაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში იცვლება მზღვე-ველის მიერ ზარალის ან მისი ნაწილის ანაზღაურების შესაბამისად. მზღვეველის მიერ ზარალის სრული ოდენობით ანაზღაურების შემთხვევაში, ამ ზარალთან დაკავშირებული გადამზღვევლის წილი განცხადებუ-ლი, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში უდრის ნულს.

2)მომხდარი, **მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი** – წარმოადგენს რეზერვს სადაზღვევო შემ-თხვევებით გამოწვეული იმ ზარალებისათვის, რომელთა დადგომის შესახებ განაცხადი საანგარიშო წლის დასრულებამდე მზღვეველს არ მიუღია. მისი დათვლა ხდება კომპანიის წინა გამოცდლებიდან გამომდინარე. იგი ბალანსში აისახება ვალდებულების სახით.

**დ– ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში**

**კდმომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი**

სადაზღვევო კონტრაქტებისათვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბო-ლოო ღირებულების დასაფარდ იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგა-რიშგებო თარიღისათვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე.

განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის შემოვიდა ინკასოს საფუძ-ველზე და
2. რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგ-რამ მისი ოდენობის შეფასება შესაძლებელია.

გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამგ ანუცხადებელი ზარალის რეზერვში კანონმდებლობის თა-ნახმად არ გამოანგარიშება.

ყოველი საბალანსო თარიღისათვის სადაზღვევო კომპანიები ამოწმებენ ვალდებულებების ადეკვატუ-რობას (შემოწმებას/ტესტს). მისი მიზანია შეფასედეს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვა-ტურობა, რომელიც შემცირებული იქნება აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანე-ბის ან სადაზღვევოხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულე-ბებით.

აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი **სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდეგნაირად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადა-ვადებული დანახარჯებისა დასაწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გა-დაცემის დროს შეძენილისადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურებისზარალის რეზერვის შექმნა.**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზემოთ განხილული ვალდებულებების გარდა, მზღვეველს შეიძლება გააჩნდეს სხვა ფინანსური ვალდებულებებიც. კერძოდ: სხვა სადაზღვევო ვალდებულებები, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მოსარგებლის მიმართ (მოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირია, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას). მასზე დარიცხული სადაზღვევო ანაზღაურება გატარდება:

**დ– სხვა სადაზღვევო ზარალი**

**კ– სხვა სადაზღვევო ვალდებულებები**

ბროკერებსა და აგენტებზე დარიცხული ვლდებულებები გატარდება:

**დ– საკომისიო ხარჯი**

**კ– დარიცხული ვალდებულება**

ცედენტისათვის (**ცედენტი – მზღვეველი, რომელიც გადასცემს მის მიერ დაზღვეულ რისკს ან მის ნაწილს** ) გაწეული ხარჯის დარიცხვა გატარდება:

**დ– საკომისიო ხარჯი**

**კ– საკომისიო ვალდებულება**

**ლიტერატურა:**


1. საქართველოს კანონი,,დაზღვევის შესახებ“. თბილისი, 1997 წლის 2 მაისი.
2. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №02 მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე. 2013 წლის 24 დეკემბერი, ქ. თბილისი.
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ნაწილი I. 2014 წ.


## Accounting Insurance Requirements and Liabilities Arising from Insurance Premiums and Losses


Dali Sologhashvili

*Academic Doctor of Economics,*
*Professor*



**R e s u m e**

The article deals with accounting insurance claims and liabilities arising from peculiarities of insurance operations related to the activities of insurance companies, based on which the insurance contract is the basis. Namely:

- The demands and obligations originated directly from insurance contracts
- Another insurance demands and obligations

The improvement of the insurance contracts accounting, refers to the price which IFRS 4 (1.1) determines the insurer's rights, about accounting politics, the adequacy of commitments, the devaluation of the reinsured assets, the valuation of the current market interest rates, a shadow accounting and etc.



***Keywords: insurance; insurer; contract; insurance requirements; insurance liabilities; accounting.***

# სახელმწიფო მართვის დეცენტრალიზაციის ინსტიტუციური სეგმენტირების თეორიული საკითხები


მარინა ტაბატაძე

*ასოცირებული პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში განხილულია მმართველობითი დეცენტრალიზაციის, როგორც დემოკრატიული ურთიერთობების დამკვიდრების თანამედროვე ფორმის მეცნიერული მიდგომები, მისი სპეციფიკა და ინსტიტუციური საფუძვლები, გაანალიზებულია სამეურნეო ორგანიზების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ფორმის, სივრცითი ეკონომიკის კონცეპტუალური საკითხები. ნაჩვენებია, რომ სივრცითი ეკონომიკური ურთიერთობები აუცილებლად განიცდის ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეთნოკულტურული ფაქტორების გავლენას, დეცენტრალიზაციის მექანიზმების შერჩევისას მათთან ერთად, საჭიროა იმ პრობლემების გათვალისწინებაც, რაც ყველაზე უკეთ განსაზღვრავს თვითმმართველობის რაციონულ ფორმას და ხარისხს, ტერიტორიული ერთეულების მასშტაბებს, მათი ბიუჯეტის შემოსავლების აკუმულირებისა და ხარჯვის მექანიზმებს. სტატიაში განხილულია მმართველობითი დეცენტრალიზაციის უპირატესობები, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის გატარებასთან შესაბამისობაში, ნაჩვენებია, თუ როგორ პირობებშია შესაძლებელი ამ ტენდენციების განვითარება და რომელ ფაქტორებს შეუძლია მათი მოქმედების შეზღუდვა.*



***საკვანძო სიტყვები:** მმართველობითი დეცენტრალიზაცია, სივრცითი ეკონომიკა, სახელმწიფო სტრატეგია, მართვის სისტემების ლიბერალიზაცია, დემოკრატიული საზოგადოება, თვითმმართველობის ინსტიტუციური სტრუქტურა, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუცია.*


მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნების ინტეგრირების მნიშვნელოვანი წინაპირობა მართვის სისტემების ლიბერალიზაციაა, ეს პროცესი ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების დამკვიდრებას და საზოგადოების ეფექტური თანაცხოვრების მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას ემყარება. სისტემური ცვლილებების თანამედროვე სახელმწიფო პოლიტიკა ცივილიზებულ სამყაროში ადაპტირებული სამართლებრივი ნორმების გამოყენებას, კანონის უზენაესობის, თანასწორუფლებიანობის და არადისკრიმინაციული სისტემის პრინციპების დამკვიდრებას ითვალისწინებს.

დემოკრატიული საზოგადოება აუცილებლად გულისხმობს მმართველობის დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას. განვითარების უნივერსალური პრობლემაა ის, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვის ინტერესებს ემსახურება იგი, რამდენად პროფესიული, კვალიფიციური სამართლიანი, ინტელექტუალურია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელიც თავისი გადაწყვეტილებებით უნდა ატარებდეს სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ, რეგიონულ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, ეკისტიკურ, კონფესიურ პოლიტიკას და უზრუნველყოფდეს ადგილობრივი ინტერესების პრიორიტეტულ დაცვას.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ქვეყნებში აუცილებლად ფუნქციონირებს რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუცია, დელეგირებული შესაბამისი უფლებამოსილებებით, ქონებითა და ბიუჯეტით. უნიტარული მმართველობის ქვეყნებშიც კი, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისათვის დამახასიათებელია გარკვეული დონის დამოუკიდებლობა შემოსავლების წყაროების განსაზღვრის, ბიუჯეტის ხარჯების ალოკაციის თვალსაზრისით და სხვა მექანიზმებთან მიმართებაში. საკითხი შეეხება ეკონომიკური ურთიერთკავშირის რთულ სისტემას სხვადასხვა დონის ხელისუფლებას შორის, რომლის დარეგულირება და რაციონალური მოწყობის გზების განსაზღვრა შესაძლებელია სწორედ, მხოლოდ სახელმწიფო მართვის ეფექტური დეცენტრალიზაციის პოლიტიკის პირობებში.

მართვის დეცენტრალიზაცია ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხის ძირითადი მახასიათებელია, იგი ითვალისწინებს უფლებათა დელეგირებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალიზაციას,

საჯარო სამსახურის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას, მის ინფორმირებულობას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობას. ყოველივე ეს მმართველობით დონეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას, ამ პროცესების ლიბერალიზაციას და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების გაფართოებას მოითხოვს.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა დემოკრატიული ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპია, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მმართველობის სისტემას, .ესაა ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება და შესაძლებლობა რეგლამენტაცია გაუკეთოს სახელმწიფო საკითხების მნიშვნელოვან ნაწილს და მართოს იგი კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად [1].

ადგილობრივი ხელისუფლება სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი ელემენტია, იგი მმართვის დეცენტრალიზებული ფორმაა, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება არჩევითი ორგანოების სისტემით, ადმინისტრაციული აპარატით, შესაბამისი უფლებამოსილებით და მუნიციპალურ საკუთრებად ჩამოყალიბებული მატერიალური ბაზის მეშვეობით ანხორციელებს [2, გვ.675].

ადგილობრივი თვითმმართველობა ის ინსტიტუციაა, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის ადგილზე გატარებას და, მეორე მხრივ, საფუძველს ქმნის მართვის პროცესებში მოსახლეობის თანამონაწილეობისათვის. პრობლემა, რომელიც მმართველობითი ინსტიტუციის იერარქიზაციას ახლავს, ქვეყნის მართვის სისტემის ცალკეულ დონეს შორის გადაწყვეტილებათა მიღების ფუნქციის ოპტიმალურ განაწილებაში მდგომარეობს, გასათვალისწინებელია ის უპირატესობები, რაც დეცენტრალიზებულ სისტემას ახასიათებს, კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობის პრეფერენციების მიმართ უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება, ლოგიკურია, რომ, რაც უფრო მეტი პრეფერენციაა ერთ სივრცით არეალში, მით უფრო მასშტაბურია დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების შედეგი. აღსანიშნავია, რომ სრულიად დეცენტრალიზებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას, ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მთელი ქვეყნისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სახელმწიფო დონეზე მიიღებოდეს, ლოკალური კი, - ადგილობრივი მართვის დონეზე. ამასთან, იმ გარემოებათა განსაზღვრა, რომლის დროსაც ადგილობრივთან შედარებით, უპირატესი ძალა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებას ექნება, საკმაოდ რთულია პოლიტიკური და ეთიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მართვის დეცენტრალიზებული სისტემის მოსალოდნელი უარყოფითი მხარეების კვლევა, პირველ რიგში, ეს რესურსების შესაძლო არაეფექტიან განაწილებას შეეხება, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება ტერიტორიული ერთეულების განვითარების გამოთანაბრებითი პოლიტიკის გატარების პირობებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საქართველოში. თვითმმართველობა, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი დონე, კონსტიტუციით განისაზღვრა, საკანონმდებლო აქტებით დარეგულირდა თვითმმართველობის ქონებრივი და ფინანსური კომპეტენციები და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობის ჩარჩო-სტანდარტები. არსებითი ცვლილებები ტარდება პოლიტიკური მმართველობის სისტემისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების, სახელმწიფო სივრცითი პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ადმინისტრირების გაუმჯობესების თვალსაზრისით. დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და ადგილობრივი დემოკრატიის დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია ის ტექნიკური დახმარებები, რომელსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია უწევს საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით /ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო - USAID, ურბანული ინსტიტუტი The Urban Institute და სხვა/. ერთობლივი პროექტების მიზანია ხელი შეუწყოს რეფორმების განხორციელებას საკანონმდებლო და ადგილობრივ დონეზე, საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლებას, დღევანდელი რეალობისა და ქვეყნის პერსპექტივების შესაბამისი მუნიციპალური მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, ადგილობრივი ორგანოების ფუნქციონირების სტრატეგიული მექანიზმების შემუშავებას [3].

განვითარებული საზოგადოება განათლებულ, მაღალპროფესიულ, პასუხისმგებლიან ხელისუფლებას მოითხოვს, ხელმძღვანელობის მიერ სწრაფი ადაპტირების, რეაგირებისა და გატადაწყვეტილების მიღების

უნარი საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების საშუალებაა. ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა ხელისუფლების ცალკეულ ინსტიტუციას შორის, მართვის დონეებს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის მმართველობის დემოკრატიზაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი და განვითარების თანამედროვე პროცესების ძირითადი ტენდენციაა. ეს საკითხები მოითხოვს ადგილობრივი ინსტიტუციების პროფესიული კომპეტენციების ამაღლებას, მმართველობითი დეცენტრალიზაციის პროცესის საჯაროობას, მოსახლეობისათვის მისი კონსტიტუციური უფლებების გაცნობას და ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებას, ადგილობრივი ინსტიტუტების მიერ განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის მეთოდიკის ათვისებას, მათი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებას, საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, მართვის პროცესებში მათ მონაწილეობას და ამ გზით, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

კრიზისი, როგორც ეკონომიკის ციკლური განვითარების ერთ-ერთი ნიშანი, განსაკურებულ სიმწვავეს ტერიტორიული ერთეულების დონეზე იძენს, აქ მას თავისი სპეციფიკა გააჩნია, - როგორც წესი, ადგილობრივი თვითმმართველობის კრიზისი წარმოიშობა არა მუნიციპალური მენეჯმენტის არაეფექტურობით, არამედ მაკრო და რეგიონულ დონეზე მიმდინარე სხვადასხვა კრიზისის გავლენით, ასეთი დამოკიდებულება ტრანზიტული მაკროგარემოს პირობებში მუნიციპალურ ეკონომიკას არამდგრად სისტემად აქცევს, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის სამეურეო აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, მაკროდონეზე ეკონომიკური რყევების დარეგულირებას და სივრცითი ეკონომიკის განვითარების დინამიკის სრულყოფას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს სამეურნეო სუბიექტებთან ურთიერთობა არაწონასწორულ გარემოში, პირველ რიგში კი, კვლევის საგანი ხდება მუნიციპალური საწარმოების გამართული ფუნქციონირება და მათთან ადგილობრივი ხელისუფლების სწორი კოორდინირება.

თანამედროვე პირობებში უპირატესობა მუნიციპალური საწარმოების მართვის კორპორატიულ მეთოდს ენიჭება, რაც უნიტარული საწარმოებისათვის დამახასიათებელი მართვის ადმინისტრირების საბაზრო-კონკურენტულ მექანიზმებთან სინთეზირების საშუალებას იძლევა, პოპულარული ხდება ასეთი კრებსითი ტიპის კლასტერული მუნიციპალური საწარმოები, მისი იდეა საწარმოო, მარკეტინგული, ტექნოლოგიური, სატრანსპორტო და სხვა სახის რესურსების ერთობლივი გამოყენების საფუძველზე მიღებულ სინერგიულ ეფექტში მდგომარეობს. კლასტერული საწარმო მუნიციპალური და სხვა ფორმის საწარმოების სტრუქტურიზებულ ქსელს წარმოადგენს, რომლებიც ადგილობრივი ეკონომიკის განსაზღვრულ სფეროში ერთიანი სტრატეგიული მიზნისათვის ანხორციელებენ ურთიერთკოორდინირებულ საქმიანობას. საწარმოო სიმძლავრეების ასეთი კოოპერირება შეიძლება ორიენტირებული იყოს ან კონკრეტული მუნიციპალური ამოცანის შესრულებაზე, ან კომერციული მოგების მიღებაზე, არამდგრადი ეკონომიკის პირობებში მათ შეიძლება მასტაბილიზებელი ფუნქციაც შეასრულონ, რაც პარტნიორებისათვის ტექნოლოგიურ პროცესებში ცენტრალიზებული დახმარების გაწევით მიიღწევა. სპეციფიკა, რაც მუნიციპალურ კლასტერებს კომერციულისაგან განასხვავებს, მათი პასუხისმგებლობის ხარისხში მდგომარეობს, ისინი საკუთარი საწარმოს ეკონომიკური ეფექტურობის გარდა, პასუხისმგებლები არიან მუნიციპალურ ერთეულში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზეც, სტრუქტურულად კოოპერიერებული ასეთი კლასტერის საქმიანობის შეფასებისათვის, წმინდა ეკონომიკურთან ერთად, კომპლექსური მაჩვენებლებიც გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების სახით.

კლასტერი სივრცითი ეკონომიკის ყველაზე პოპულარული და პერსპექტიული ინსტიტუტია, რომლის ბირთვიც მუნიციპალური საწარმოებია, რაც ადგილობრივი ორგანოების მხრიდან მათ მართვადობას უზრუნველყოფს, ეს კი, თავის მხრივ, ამარტივებს ფინანსური და ორგანიზაციული დახმარების გაწევის პროცესს. მსხვილი მუნიციპალური საწარმოო კლასტერების შექმნა სერიოზული საინვესტიციო პროექტების განხორციელებას უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე, ხოლო, რამდენადაც კლასტერში ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა, ეს ზრდის მის ნდობას კლასტერების მიმართ და, შესაბამისად, აფართოებს მოსახლეობის კაპიტალის საინვესტიციო აქტივობას. მუნიციპალური კლასტერების ეს პოზიტიური მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრატეგიული ინვესტორების დეფიციტის პირობებში. საწყის ეტაპზე ინვესტიციების გარანტად მუნიციპალიტეტი გამოდის, შემდგომში კი, მისი პროტექციონისტული პოლიტიკა კლასტერისათვის კონკურენტული უპირატესობის შექმნაში შეიძლება გამოვლინდეს - მუნიციპალური შეკვეთები, ბაზ-

რებზე პროდუქციის შესვლის მხარდაჭერა, შეღავათები ადგილობრივ გადასახადებზე და სხვა. ეს ხელს უწყობს ტერიტორიული ერთეულების მუნიციპალურ ინსტიტუციებში ეკონომიკის მდგრად განვითარებას და სხვა პოზიტიურ ცვლილებებს. ამასთან, რამდენადაც ბიზნესისადმი შეღავათების გაწევის შესაძლებლობები მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ შეზღუდულია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, დიდი ყურადღებით მოეკიდონ თითოეული სამეურნეო რგოლის ეკონომიკური აქტივობის საკითხს, პირველ რიგში, მათი რესურსული უზრუნველყოფის და საშეღავათო პოლიტიკის საკითხებს: მიწის ფართობის გამოყოფა, საგადასახადო შეღავათები, საკომუნიკაციო და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობაში შერბილებული სტანდარტების შემოღება. ყურადღება უნდა მიექცეს მუნიციპალური ორგანოების და კერძო ფირმების ინტერესთა არათანხვდობადობას, კერძოდ, თუკი ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია აქცენტს ექსტენსიურ ფაქტორებზე და ამ გზით ადგილობრივი გადასახადების გადიდებით, ტერიტორიული ბიუჯეტის შემოსავლის ზრდაზე აკეთებს, საბაზრო სუბიექტები რესურსების ეფექტური გამოყენების გზით, ეკონომიკის ინტენსიური გაძღოლის სისტემებზე არიან ორიენტირებული, ინტერესთა ამგვარი რადიკალიზაცია დამატებით მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ ინსტიტუციებს და ზრდის მათ მოვალეობებს.

არამდგრადი ეკონომიკისათვის მუნიციპალური ბაზრის სასაქონლო ასორტიმენტით უზრუნველყოფის დიდი ამპლიტუდით რყევაა დამახასიეთებელი. ამ გზით გაჩენილი საბაზრო ნიშების გამოყენება საკუთარი საქონლის პოზიციონირებისათვის მაღალი მობილობის მქონე ფირმებს შეუძლიათ, ამასთან, რეალურია მუნიციპალური სესხების ან სხვა სახის მხარდაჭერის მიღება ადგილობრივი ორგანოებიდან. ამ ორი ინსტიტუციის თანამშრომლობის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას მიზნობრივი საწარმოო პროგრამების ერთობლივი განხორციელება წარმოადგენს, რასაც დიდი მვნიშვნელობა ენიჭება ტერიტორიული ერთეულების განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავების დროს.

ადგილობრივი წარმოება ვიწროპროფილირებულია და ხშირად ეკონომიკური თვალსაზრისით, არაეფექტური, მთავარ პრობლემას ინვესტიციების დეფიციტი და, შესაბამისად, ინოვაციური ტექნოლოგიების სიმწირე განაპირობებს. მემკვიდრეობით მიღებული ვიწრო-ტექნოლოგიური სპეციალიზაცია არ აძლევს საწარმოებს ახალი, მათთვის არატრადიციული საქონლის დამოუკიდებლად წარმოების საშუალებას, ამ შემთხვევაში სწორედ მუნიციპალიტეტი ასრულებს ინვესტორებთან ფირმების დამაკავშირებელ ორგანიზაციულ ფუნქციას. ადგილობრივ ორგანოებს განსაკუთრებული აქტიურობით შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სწრაფად უკუგებად ინვესტიციურ პროექტებში, ამ მიზნით საჭიროა კონვერსიული საწარმოს მიერ შიდა რეორგანიზაციის გატარება, რაც პრობლემური რგოლების დახურვას და ამგვარი ლოკალიზაციის გზით, ეფექტურად სტრუქტურიზებული ერთობლივი მუნიციპალურ-საწარმოო რგოლის შექმნას ითვალისწინებს. სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სუბიექტების ამგვარი კოოპერაცია საწარმოების რეორგანიზაციას და მათ მოდერნიზაციას ედება საუძვლად, ერთობლივი პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების რისკებზე პასუხისმგებლობასაც სამეურნეო და მუნიციპალური საწარმოები ერთობლივად იღებენ საკუთარ თავზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებისათვის აუცილებელია მისი ეკონომიკური საფუძვლების სრულყოფა. ტერიტორიული ერთეულების საკუთარი შემოსავლები საკმაოდ მწირია და სახელმწიფო ხელისუფლება მას სატრანსფერო პოლიტიკის საშუალებით ავსებს, მიზანშეწონილია შეღავათების ნაწილის გაუქმება ქონების გადასახდზე, რაც ამცირებს დაბეგვრის ბაზას და უკუ-სტიმულს წარმოადგენს ეკონომიკისათვის. დასახვეწია გამოთანაბრებითი ტრანსფერის მუნიციპალიტეტებს შორის განაწილების მექანიზმი. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე გამოთანაბრებითი ტრანსფერის ამოცანად განისაზღვროს შემოსავლების გამოთანაბრება და არა სახელმწიფო სახსრების განაწილება მუნიციპალიტეტებს შორის. ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულაში ასევე უნდა ჩაერთოს ყველა ის სერვისი, რომლის მიწოდების უფლებამოსილებაც თვითმმართველობის კომპეტენციაა. საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მექანიზმები. აუცილებელია მოხდეს იმ სერვისების განფასება, რომლის დაფინანსებასაც ეს ტრანსფერები ემსახურება [4,გვ.29].

რამდენადაც თვითმმართველობის ინსტიტუტი საზოგადოებრივი ურთიერთობების პროგრესის მაჩვენებელი და სოციუმის უდიდესი მიღწევაა, მის ფორმირებას, ხანგრძლივი პერიოდთან ერთად, მნიშვნელოვა-

ნი საკანონმდებლო და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები სჭირდება შესაბამისი საკადრო და მენეჯერული პოტენციალის უზრუნველყოფით. სახელმწიფო მართვის სფეროში მიმდინარე თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება, სწორედ სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის ინსტიტუციური სისტემის, ეკონომიკური სისტემის რეგულირების, კოორდინაციისა და მართვის პრობლემებისადმი დამოკიდებულებას ეთმობა. მომავალში კვლევის კონცენტრირება უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მიმდინარე ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმირების ძირითად მიმართულებებზე. განსაკუთრებული ყურადღბა უნდა დაეთმოს ტერიტორიული ერთეულების განვითარების კომპლექსური პროგრამების შედგენას, მისი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლების შესწავლას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფინანსური ბაზის ფორმირების ეფექტური მეთოდების და ხერხების შემუშავებას.

ლიტერატურა:


1. საქართველოს კონსტიტუცია : - /მუხლი3,პ.1/, თბილისი, ფონდი Alpe, 2005.
2. კოპალეიშვილი მ. ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციონალური (სამართლებრივი მოწესრიგების) საფუძველი – ალმანახი № 10, (სახელმწიფო სამართალი)- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; ტ.4, სტ. *თვითმმართველობა.*
3. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია.
4. ხმალაძე ი. პეტრიაშვილი ვ. ადგილობრივი თვითმმართველობა: ეკონომიკური საფუძვლები და განვითარების პერსპექტივები, PPMCGroup, თბილისი, 2010.
5. საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", თბილისი, 2010.
6. საქართველოს კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" , თბილისი .,2005.
7. თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ოფიციალური ვებსაიტი: www.oecd.org


## Theoretical Issues of Goverment Decentralization Institutional Segmentation


Marina Tabatadze

*Tbilis State university*
*Assistant professor*



**R e s u m e**

The article discusses the scientific approaches of decentralization-as modern form of establishing democratic relations; its specificity and institutional basis. It also Analyzes the conceptual issues of spatial economy which is the one of the most current forms of organizing economy. The article notes that spatial economic relations are essentially influenced by historical, geographical, political and ethno-cultural factors. While selecting mechanisms of decentralization, they need to take into account the problems that best reflect the idea of self-government rational forms and defining of quality, scales of territorial units, accumulation and expenditure mechanisms for their budget revenues. The article reviews advantages of management decentralization which should serve to implement an overall state strategy. There is mentioned in which conditions can be developed this trends and which factors can restrict their action



***Keywords: Managing Decentralization; Spatial economic; State strategy; Liberalization of the management system; Democratic society; Institutional structure of self-governance; Regional and Local Government Institution.***

# ქ. რუსთავის როლი ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ფორმირებაში

მირიან ტუხაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქ. რუსთავის დაარსებამ და მისმა შემდგომმა ზრდამ დიდი როლი ითამაშა როგორც ქვემო ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. რუსთავი იქცა როგორც მთელი საქართველოდან, ასევე მის ფარგლებს გარედან სამუშაო ძალის მიზიდვის ცენტრად. ამან თავისებური ზეგავლენა მოახდინა ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ფორმირებაზე. სსრკ დაშლის და ღრმა ეკონომიკური კრიზისის დროს რუსთავის ქალაქწარმომქმნელი ბაზა უაღრესად შეიზღუდა, რამაც რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობა მკვეთრად შეამცირა. უკეთესი ცხოვრების ძიების მიზნით რუსთავი დატოვა ეროვნულ უმცირესობათა დიდმა ნაწილმა, რამაც საგრძნობი ცვლილებები შეიტანა როგორც რუსთავის, ისე მთელი ქვემო ქართლის ეთნოსტრუქტურაში.*

*საკვანძო სიტყვები: მოსახლეობა, მიგრაცია, ეთნიკური სტრუქტურა, რუსთავი, ქვემო ქართლი.*

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში როგორც მთელ საქართველოში, ასევე ქვემო ქართლში მოსახლეობის ეთნოსტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. მასზე დიდი გავლენა იქონია როგორც ეთნოფაქტორებით განსაზღვრულმა მოსახლეობის დიფერენცირებულმა ბუნებრივმა მატებამ, ასევე ინტენსიურმა მიგრაციულმა პროცესებმა.

თავის მხრივ, საბჭოთა პერიოდში ქვემო ქართლში ინტენსიური იმიგრაციული პროცესები გამოიწვია თბილისის საქალაქო აგლომერაციის სრულყოფამ, დედაქალაქის თანამგზავრი დიდი სამრეწველო ქალაქის განვითარებამ, ინტენსიურ საგარეუბნო მეურნეობაზე გადასვლამ და ამ რეგიონში ეკოლოგიური კატასტროფებისა და შეზღუდული დემოგრაფიული ტევადობის რაიონებიდან მოსახლეობის პერმანენტულმა ორგანიზებულმა ჩასახლებებმა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში კი ინტენსიური ემიგრაციული პროცესები გამოიწვია სსრკ დაშლამ, მოსახლეობის ქვეყანათაშორისი გადაადგილების ლიბერალიზაციამ, რეპატრიაციული ვითარების შექმნამ, ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაცემამ, მიგრაციის სტიმულატორების გაძლიერებამ. საბოლოოდ, იმიგრაცია-ემიგრაციის პროცესების შედეგად გამოიკვეთა ეთნოსტრუქტურის ცვლილება: ქვემო ქართლი პოლიეთნიკურიდან ბიეთნიკურ რეგიონად ფორმირდა(ცხრილი 1).

სამწუხაროდ, საკმაოდ ბლომად აღმოჩნდნენ მეზობელ ქვეყნებში საქართველოში სეპარატისტული მოვლენების მომხრე მეცნიერნი, ვინც მრუდე სარკეში დაინახა ჩვენი ქვეყნის განსახლების სისტემაში მიმდინარე ობიექტური მოვლენები.ისინი ადანაშაულებენ საქართველოს ხელისუფლებას ავტოქთომი მოსახლეობის ქვემო ქართლში ჩასახლების ხელშეწყობაში, აზერბაიჯანელთანაწილის საქართველოდან ემიგრაციაში, ეკოლოგიური კატასტროფის რეგიონებიდან ქვემო ქართლში მოსახლეობის გადმოსახლებაში და ზოგადად, ადამიანთა უფლებები დარღვევაში[13;14].

ცხრილი1. ქვემო ქართლის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურის ევოლუცია1939-2014 წწ. (%)

| წელი / ეროვნება | 1939 | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 12,9 | 27,8 | 31,4 | 32,1 | 35,5 | 44,7 | 51,3 |
| აზერბაიჯანელი | 37,1 | 35,0 | 34,7 | 38,8 | 40,5 | 45,1 | 41,8 |
| სომეხი | 20,1 | 12,6 | 9,7 | 8,5 | 6,5 | 6,4 | 5,1 |
| ბერძენი | 15,8 | 11,4 | 10,7 | 10,0 | 8,3 | 1,5 | 0,5 |
| რუსი | 6,7 | 9,2 | 8,4 | 7,2 | 5,7 | 1,3 | 0,6 |
| ოსი | 1,5 | 1,5 | 1,5 | 1,5 | 1,4 | 0,4 | 0,2 |
| უკრაინელი | §0,7 | 1,2 | 0,9 | 0,8 | 0,8 | 0,1 | 0,1 |
| სხვა | 5,2 | 1,3 | 2,7 | 1,1 | 1,3 | 0,5 | 0,4 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

წყარო: მოსახლეობის შესაბამისი წლის აღწერის მასალები.

ამ სტატიის მიზანი მათი მხილება და მათთან კამათი არაა. ჩვენ აღვნიშეთ ფაქტი მეტად მწვავე აგრესიისა, რასაც მომავალში ჩვენმა მეცნიერებმა საბუთიანი პასუხი უნდა გასცენ. ამჟამად შევჩერდებით მხოლოდ ქვემო ქართლის მხარის ეთნოსტრუქტურაზე. ქ. რუსთავის მოსახლეობის ცვლილებათა გავლენის შეფასებაზე, მის როლზე მთელი მხარის ეთნოსტრუქტურის ფორმირებაში, რომელიც შეიძლება მოკლედ ასე ფორმულირდეს: „პოლიეთნიკურობიდან ბიეთნიკურობისაკენ." ანალიზის საინფორმაციო ბაზად ამ სტა-ტიაში ვკმაყოფილდებით მოსახლეობის საყოველთაო აღწერებით, რომელიც მოიცავს 1939-2014 წწ. პერიოდს. იგი, ნაწილობრივ, გაანალიზებულია სხვა ნაშრომებშიც [1,2,3,4,7,8,9,10,11,12,15].

როგორც აღვნიშნეთ, ამ ცვლილებათა ზოგად ტენდენციაში უნდა გამოვყოთ რუსთავის მოსახლეობის ზეგავლენა მხარის ეთნოსტრუქტურის ფორმირებაზე.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსთავის დამაარსებლები და იმდროინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ვარაუდობდნენ რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად ქვემო ქართლში გაქრობის პირზე მდგარი ავტოქთონური ქართველი მოსახლეობის შენარჩუნებასაც და, შეძლებისამებრ, მის დემოგრაფიულ ზრდასაც, რაც არამცდაარამც არ იყო მიმართული აქ კომპაქტურად მოსახლე დიასპორათა შეზღუდვისკენ. ეს ხდებოდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და შრომატევადი აგრარული სექტორის ფორმირებით, რეგიონის დემოგრაფიული ტევადობის გაზრდით.

ქ. რუსთავის მშენებლობის დაწყება და ზრდა ძირითადად, მის სამრეწველო ფუნქციას უკავშირდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აქ ჩამოყალიბდა საქართველოს მნიშვნელოვანი სამრეწველო კვანძი. მთავარი ქალაქწარმომქმნელი დარგი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა იყო. სსრკ დაშლის წინ რუსთავის მრეწველობაში დასაქმებული იყო 25500 კაცი, მთელი ქვემო ქართლის მრეწველობაში დასაქმებულთა 65,3%. მათ შორის, მეტალურგიულ კომბინატში -11 ათასი კაცი(1987წ), "ქიმვოლოკნოში" – 4500 კაცი, ამდენივე ქარხანა"აზოტში", "ცენტროლიტში" -1370 კაცი. საწარმოო ძალთა განვითარების მაშინდელი სქემებით 2000 წლისათვის რუსთავში მოსახლეობის რიცხოვნობა 200 ათასს მიაღწევდა. ისტორიის ჩარხი კი სრულიად სხვაგვარად დატრიალდა. სსრკ დაშლის შემდგომი ეკონომიკური განადგურების შედეგად მთელი ქვემო ქართლის მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობამ ბოლო ხანს ძლივს მიაღწია 15 ათას კაცს. მთავარი ქალაქწარმომქმნელი დარგის, მრეწველობის კრახი, ბუნებრივია, მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაზეც აისახა(ცხრილი 2, 3).

ქ. რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება ეროვნებების მიხედვით

1959-2014წწ. (ათასიკაცი)

ცხრილი 2

| წელი / ეროვნება | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 27,7 | 55,2 | 79,8 | 103,5 | 102,2 | 114,8 |
| აზერბაიჯანელი | 3,7 | 5,8 | 7,4 | 11,6 | 5,0 | 4,7 |
| სომეხი | 4,4 | 5,9 | 6,7 | 6,9 | 2,8 | 2,0 |
| ბერძენი | 0,7 | 1,9 | 3,0 | 4,0 | 0,9 | 0,2 |
| რუსი | 19,7 | 21,6 | 23,1 | 21,2 | 3,6 | 1,5 |
| ოსი | 1,6 | 3,2 | 4,4 | 5,6 | 1,4 | 0,5 |
| უკრაინელი | 2,5 | 2,4 | 2,5 | 2,7 | 0,4 | 0,2 |
| სხვა და გაურკვეველი | 2,1 | 2,2 | 2,6 | 3,5 | 0,1 | 1,7 |
| სულ | 62,4 | 98,2 | 129,5 | 159,0 | 116,4 | 125,1 |

წყარო: მოსახლეობის შესაბამისი წლის აღწერის მასალები.

ქ. რუსთავის მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ცვლილება 1959-2014წწ.(%)

ცხრილი 3

| წელი / ეროვნება | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქართველი | 44,4 | 56,2 | 61,6 | 65,1 | 87,8 | 91,8 |
| აზერბაიჯანელი | 5,9 | 5,9 | 5,7 | 7,3 | 4,3 | 3,7 |
| სომეხი | 7,1 | 6,0 | 5,2 | 4,3 | 2,4 | 1,6 |
| ბერძენი | 1,1 | 1,9 | 2,3 | 2,5 | 0,8 | 0,02 |
| რუსი | 31,6 | 22,0 | 17,8 | 13,3 | 3,1 | 1,2 |
| ოსი | 2,6 | 3,3 | 3,4 | 3,5 | 1,2 | 0,4 |
| უკრაინელი | 4,0 | 2,4 | 1,9 | 1,7 | 0,3 | 0,02 |
| სხვა და გაურკვეველი | 3,4 | 2,2 | 2,0 | 2,2 | 0,1 | 1,26 |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100, |

წყარო: მოსახლეობის შესაბამისი წლის აღწერის მასალები.

ზემოაღნიშნული უმუშევრობისა და ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის პირობებში რუსთავი, პირველ რიგში, ეროვნულ უმცირესობათა იმ ნაწილმა დატოვა, ვისაც სხვა ქვეყნებში უფრო მეტად შემორჩენილი ეკონომიკისა და ცხოვრების დონის პირობებში საცხოვრებლად გადასვლის მეტი შანსი და სურვილი ჰქონდა. შეიქმნა ვითარება საქართველოს დიასპორული მოსახლეობის სამშობლოში რეპატრიაციისა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურ უმცირესობათა დიდი ნაწილი სწორედ სამრეწველო

წარმოებასთან იყო დაკავშირებული, სადაც ობიექტური და სუბიექტური (რუსეთის იზოლაციონისტური პოლიტიკა)პირობების გამო შეიქმნა ყველაზე მძიმე ვითარება. პოსტსაბჭოთა წლებში ქ. რუსთავი დატოვა19,7ათასმა რუსმა, 6,9 ათასმა აზერბაიჯანელმა საგრძნობი ნაწილი ქვემო ქართლის სხვადასვა მუნიციპალიტეტში გადანაწილდა), 4,9 ათასმა სომეხმა, 3,8 ათასმა ბერძენმა, 5,1 ათასმა ოსმა, 2,5 ათასმა უკრაინელმა. ავტოქტონ ქართველთა რიცხოვნობა კი თითქმის იგივე დარჩა (იხ. ცხრ.2,3). რუსთავის მოსახლეობა 159 ათასიდან (1989წ.) 116,4 ათასამდე შემცირდა (2002წ). 2014 წლისათვის კი მხოლოდ 125,1 ათასს მიაღწია, სადაც ავტოქტონური მოსახლეობა - 114,8 ათასია. ესაა ქვემო ქართლის ქართველი მოსახლეობის (217,3 ათასი 2014 წ.) 52,8%. ეს მაშინ, როცა 1959 წელს იგი მხოლოდ 25% იყო.

ამრიგად, ქ. რუსთავის ზრდა-განვითარებამ, სამუშაო ძალის მთელი საქართველოდან მიზიდვამ დიდი როლი ითამაშა ქართველი მოსახლეობით კატასტროფულად შეთხელებულ მხარეში ავტოქტონური მოსახლეობის გადარჩენასა და დამკვიდრებაში.

## ლიტერატურა:


1. ეთნოსებისაქართველოში.(2008). საქართველოსსახალხოდამცველისბიბლიოთეკა. თბილისი.
2. ზუბიაშვილი თ. (2011). ქართლის თანამედროვე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, განსახლება, დინამიკა. წიგნში:ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ. წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით.(რედ. ლ ბითაძე). მერიდიანი, თბილისი, 2011. გვ.577-650.
3. თოთაძე ა. (2009). საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. უნივერსალი. თბილისი.
4. მენაბდიშვილი ე., მენაბდიშვილი ნ., მენაბდიშვილი მ.(2005). მოსახლეობის დინამიკა და სტრუქტურა ქვემო ქართლში. ჟურნალი დემოგრაფია, #1-2. გვ.
5. ჟურნალი “მიგრაცია”(2007-2017). 1,2,3,4,5,6,7,8. თსუ.
6. საქართველოს მოსახლეობის 1897,1926,1939,1959,1970,1979,2002,2014 წლის საყოველთაო აღწერების მასალები.
7. სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. (2011). (რედ. ლ. მელიქიშვილი და ნ. ხაზარაძე) “მწიგნობარი”. თბილისი.
8. ფუტკარაძე თ., (2005). აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნიკურ-დემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში. ბათუმი.
9. წულაძე გ. სულაბერიძე ა.,(2016). საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებანი. თბილისი.
10. ჯაოშვილი ვ.(1996). საქართველოს მოსახლეობა. თბილისი.
11. Komakhia, M.,(2004).GEORGIA’S AZERBAIJANIS: PROBLEMS OF CIVILIAN INTEGRATION. CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS.# 5.
12. Shelia, M.,(2014). Employers’ Demand for Labour Force in Georgia’s Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. Cambridge Scholars Publishing. UK.p.113-118
13. РумянцевС.(2012). Иммигранты в Азербайджане: Современное состояние и перспективы политики (ре)интеграции.http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RU-42.pdf
14. Ибрагимов Халадин.(2006). Азербаиджанци Грузии. Москва
15. Тухашвили М.(2014). Влияние миграционных процессов на проживающии в Грузии диаспоры в постсоветском обществе. В сб: Роль этнического, языкового и культурного разнообразия в современном обществе. Могильев, МДУХ.

# The Role of Rustavi City in the Formation of the Ethnic Structure of Kvemo Kartli's Population

Mirian Tukhashvili

*Professor*

*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The foundation of Rustavi and its subsequent growth has played a major role in socio-economic development of both Kvemo Kartli region and Georgia. Rustavi has become a center for attracting labor force from all over Georgia and beyond. This made a peculiar influence on the formation of ethnic structure of Kvemo Kartli's population. During the collapse of the USSR and the deep economic crisis Rustavi the city-generating base has been restricted, which reduced the number of Rustavi population sharply. In order to find a better life a large number of ethnic minorities left Georgia, which made significant changes in both Rustavi and the whole Kvemo Kartli's ethnic structure.

***Keywords: Population; Migration; Ethnic Structure; Rustavi; Kvemo Kartli.***

# საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა

ეკატერინე უროტაძე

*ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მეღვინეობა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა და დღესაც მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობისა და კულტურული დონის გაუმჯობესების ძირითადი წყაროა. ბოლო ხანებში საქართველოს ღვინის ბაზარზე შეინიშნება მნიშვნელოვანი აქტივობები, რაც ამ სფეროში მიმდინარე ტენდენციების მიმართ დიდ ინტერესს იწვევს. განსაკუთრებით, ეს ეხება ღვინის მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებს. საქართველოს ღვინის ბაზარზე მიმდინარე სამომხმარებლო ტენდენციების გამოვლენის მიზნით ჩატარებულია მარკეტინგული კვლევა. კვლევის შედეგად გამოვლენილია ქართველი მომხმარებლების მიერ ღვინის მახასიათებლების აღქმის თავისებურებები, ღვინის ბრენდების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები, მარკირებისადმი დამოკიდებულება, ღვინის ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და პრიორიტეტების მიხედვით მათი რანჟირება. შესწავლილია აგრეთვე ქართველი მომხმარებლების მიერ ღვინის ყიდვისა და მოხმარების მიზეზები, სიხშირე და მათზე გაწეული დანახარჯები. ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები, რომლებიც საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებებს ასახავს.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველო, ღვინის ბაზარი, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა*

**პრობლემის აქტუალობა და შესწავლის დონე.** საქართველოს ეკონომიკაში აგრარულ სექტორს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მე-20 საუკუნის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შედეგად უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე აგროსასურსათო წარმოება. ამ სფეროში გატარებული რეფორმების მიუხედავად, საწარმოო პოტენციალის სრულად გამოყენება ვერ ხორციელდება, მცირე და საშუალო აგრობიზნესი ნაკლებად ვითარდება. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში საქართველოს ინტეგრირებისათვის კი აუცილებელია ისეთი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება. ამისათვის საჭიროა ადგილობრივი პროდუქციის საგარეო ბაზარზე გატანისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. სამწუხაროდ, საქართველოში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქციის უმეტესობა საშინაო ბაზრის მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს, რაც აფერხებს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

საქართველოს აგროსასურსათო სფეროს სრტატეგიული დარგია მეღვინეობა, რომელიც ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. არსებული პრობლემების მიუხედავად, საქართველოს ღვინის ბაზარი მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში თანდათანობით აქტიურად ინტეგრირდება. თავის მხრივ, ბოლო ხანებში ღვინის მსოფლიო ბაზარი აღმავლობას განიცდის. კერძოდ, 2000-2015 წლების განმავლობაში ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა, რაოდენობრივად გაიზარდა 75%-ით, ხოლო ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვით - გაორმაგდა [1]. საერთაშორისო ვაჭრობის განვითრება ზრდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ღვინის მოხმარებას. ამ თვალსაზრისით, 2017 წლისათვის ლიდერი ქვეყნების ათეული ასე გამოიყურება: აშშ (31 მლნ ჰექტოლიტრი), საფრანგეთი (27,2 მლნ ჰექტოლიტრი), იტალია (20,5 მლნ ჰექტოლიტრი), გერმანია (20,5 მლნ ჰექტოლიტრი), ჩინეთი (16 მლნ ჰექტოლიტრი), ინგლისი (12,9 მლნ ჰექტოლიტრი), არგენტინა (10,3 მლნ ჰექტოლიტრი), ესპანეთი (10 მლნ ჰექტოლიტრი), რუსეთი (8,9 მლნ ჰექტოლიტრი), ავსტრალია (5,4 მლნ ჰექტოლიტრი) [2].

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციია (FAO) ყოველწლიურად აქვეყნებს მეღვინეობის დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მიხედვით ქვეყნების სიას. 2016 წელს ასეთი სიის ათეულში შევიდა: საფრანგეთი (4,2 მლნ ტონა), იტალია (4,1 მლნ ტონა), აშშ (3,2 მლნ ტონა), ესპანეთი (3,2 მლნ ტონა), ჩილე (1,8 მლნ ტონა), ჩინეთი (1,7 მლნ ტონა), არგენტინა (1,5 მლნ ტონა), ავსტრალია (1,2 მლნ ტონა), სამხრეთ აფრიკა (1,1 მლნ ტონა) და გერმანია (0,8 მლნ ტონა). საქართველო ამ სიაში ოცდამეორე ადგილს იკავებს (0,1 მლნ ტონა) ტონა და მისი წილი მსოფლიო ბაზრის 0,4 % -ს შეადგენს [3].

დღეისათვის საქართველოში ვენახების ფართობი დაახლოებით 48 ათას ჰექტარია, რაც 30 წლის წინანდელ მონაცემებს (120 ათასი ჰექტარი) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება და გასული საუკუნის 30-იანი წლების მაჩვენებელს უტოლდება [4-5]. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 150-200 ათასი ტონა ყურძენი იწარმოება, საიდანაც თითქმის 100 ათასი ტონა გადამუშავდება ღვინის კომპანიებში, ხოლო 15 ათასი ტონა მოიხმარება სუფრის ყურძნად. საქართველოში გაცილებით მეტია თეთრი ჯიშის ყურძნის წარმოება, რომლის წილი 70 %-ს შეადგენს, რაც, ძირითადად, რქაწითელის ჯიშის ყურძნის დამსახურებაა. წარმოებული ყურძნის ღვინის სახით მოხმარებამ შეადგინა 129 ათასი ტონა [6]. ღვინის მოხმარების მიხედვით საქართველო 2014 წელს მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებდა (წელიწადში 78 მლნ ლიტრი). შესაბამისად, ღვინის მსოფლიო მოხმარების მხოლოდ 0,32% მოდის საქართველოზე [7]. The International Wine & Spirits Research (IWSR)-ის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე ღვინის მოხმარება წელიწადში დაახლოებით 15-20 ლიტრს შეადგენს [8], რაც საშუალოევროპულ მაჩვენებელთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ აღემატება პოსტსაბჭოთა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს [9].

ქართული მეღვინეობა, ძირითადად, ექსპორტზეა ორიენტირებული. საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამავე პერიოდში ექსპორტირებულია 113,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. 2016 წელს საექსპორტო ქვეყნების ლიდერების ათეულში შევიდა: რუსეთი (27,2 მლნ ბოთლი), უკრაინა (5,8 მლნ ბოთლი), ჩინეთი (5,3 მლნ ბოთლი), ყაზახეთი (3,4 მლნ ბოთლი), პოლონეთი (2,3 მლნ ბოთლი), ლატვია (1,3 მლნ ბოთლი), ბელორუსი (1,2 მლნ ბოთლი), ესტონეთი (0,6 მლნ ბოთლი), ლიტვა (0,6 მლნ ბოთლი) და აშშ (0,3 მლნ ბოთლი) [10].

ზემოაღნიშნული დადებითი ძვრების მიუხედავად, საქართველოს ღვინის ბაზარი გაჯერებულია უხარისხო, ფალსიფიცირებული და ხშირად სიცოცხლისათვის საშიში პროდუქტებით, რაც მომხმარებელთა უკმაყოფილებას იწვევს. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა საქართველოს ღვინის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენებას. შესაბამისად, ღვინის ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს არა აქვთ სრულფასოვანი წარმოდგენა ბაზრის განვითარების ტენდენციებზე, მომხმარებელთა ქცევაზე და ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების განმსაზღვრელ ფაქტორებზე. ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე იშვიათი როდია შემთხვევა, როცა მომხმარებლების გემოვნებისა და ჯანმრთელობისათვის შეუსაბამო ღვინო იყიდება. ასეთი პრობლემა განსაკუთრებით იგრძნობა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, სადაც ხშირად გაუგებარი წარმოშობის ღვინო მოიხმარება. ასევე, ბაზარზე მწვავედ დგას ღვინის მარკირებისა და მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საკითხი. არადა, საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ქართველი მომხმარებლებისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტების მიწოდებას. პრობლემის აქტუალობის მიუხედავად, ნაკლებადაა შესწავლილი საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებები. ასეთი კვლევები ინტენსიურად ხორციელდება უცხოეთში. საზღვარგარეთელი მკვლევარები (ვერდონკი, კაუფმანი, კუნჰა, ლოურეირო, ჩორარო და სხვ) ხაზს უსვამენ ღვინის ბაზრის განვითარებისათვის მომხმარებელთა აღქმისა და კმაყოფილების განსაზღვრას [11-14]. ღვინისა და აგროსასურსათო ბაზრის ცალკეული საკითხების კვლევა ტარდება საქართველოშიც (კობალავა, მესხია, ხარაიშვილი, ჩავლეიშვილი და სხვ), თუმცა, ისინი, ძირითადად, მიკროეკონომიკურ ასპექტებს ეხება [15-16]. შესწავლილია აგრეთვე მომხმარებლების ქცევის თავისებურებები საქართველოს სასურსათო ბაზარზე (აპილი, გოგიტიძე, დოჭვირი, თოდუა, მღებრიშვილი, სეთური, უროტაძე, ქაინაქი, ჯაში და სხვ), რომლებშიც მთავარი აქცენტი გაკეთებულია ქართველი მომხმარებლების ინფორმირებასა და ბრენდებისადმი დამოკიდებულებაზე [17- 29]. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკმაოდ მწირია ღვინის ქართველი მომხმარებლების ქცევის შესახებ გამოკვლევები, რაც სათანადო დამუშავებას მოითხოვს. დასახელებული ხარვეზის, გარკვეულწილად, აღმოფხვრის მიზნით ჩავატარეთ მარკეტინგული კვლევა, რომლის მიზანია საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების გამოვლენა და მათზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების დადგენა.

**კვლევის მეთოდოლოგია.** პირველადი მონაცემების შესაგროვებლად კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც რამდენიმე სტრუქტურიზებული კითხვისგან შედგებოდა. ანკეტაში ვისარგებლეთ ლიკერტის ხუთბალიანი სკალით და არასაალბათო შერჩევის მეთოდით [30]. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინ-

ტერვიუს მეთოდით, ასევე ინტერნეტისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. გამოიკითხა 18–დან 65 წლამდე ასაკის, უმეტესად, დასაქმებული ადამიანები. შერჩევის მოცულობა იყო 500 რესპონდენტი.

**კვლევის შედეგები**. გამოკითხულთა 65%-ს შეადგენდნენ მამაკაცები, ხოლო 35%-ს -ქალები. რესპონდენტთა უმეტესობას წარმოადგენდა ახალგაზრდა ასაკის, უმაღლესი განათლების, დასაქმებული ადამიანები, რომლებიც, ძირითადად, კერძო სექტორში მუშაობენ. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 52% ღვინოს ყიდულობს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, 23% - თვეში ერთხელ, 19% - თვეში 2-3 ჯერ და მხოლოდ 6% - კვირაში ერთხელ. რაც შეეხება ღვინის მოხმარების სიხშირეს, აქ გამოიყო 6 განსხვავებული ჯგუფი. გამოკითხულთა 35% ღვინოს მოიხმარს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, 25% - თვეში ერთხელ, 23% - თვეში 2-3 ჯერ, 7%- კვირაში 2-3 ჯერ, 8% - კვირაში ერთხელ, ხოლო 2% - „ყოველ ვახშამზე“. ამასთან, ღვინოს ყოველდღე, კვირაში ერთხელ ან 2-3-ჯერ მხოლოდ მამაკაცები მიირთმევენ. რესპონდენტთა უმრავლესობა (37%) ღვინოს ყიდულობს საცალო ვაჭრობის მაღაზიებში, 28% - აგრარულ ბაზრებში ან გლეხებისგან, 22% - ღვინის სპეციალიზებულ მაღაზიებში, 12% - რესტორნებში ან ბარებში, ხოლო 1% - ონლაინ მაღაზიების მეშვეობით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღვინის საშუალო მომხმარებელი ეძებს ნამდვილ პროდუქტს და ცდილობს, შეიძინოს იგი კონსულტანტების დახმარებით. ამასთან, სპეციალიზებულ მაღაზიებში ღვინის მყიდველთა 75% პროდუქტს თვითონ მოიხმარს. რაც შეეხება ღვინის მოხმარების ადგილს, ყველაზე უფრო პოპულარულია სხვადასხვა სახის წვეულებები, სადაც გამოკითხულთა 57% მოიხმარს ღვინოს, შემდგომ მოდის სახლი (32%) და ბარი/რესტორანი (11%). ღვინის შესაძენად გამოკითხულთა 41% თვეში ხარჯავს 20 ლარამდე, 27% - 20-50 ლარს, 22% ასეთ ხარჯებს ვერ ასახელებს, ხოლო 10% პასუხის გაცემაზე უარს ამბობს. ამასთან, ფორმალურ შეხვედრებზე და განსაკუთრებულ შემთხვევებში რესპონდენტები მზად არიან, მეტი გადაიხადონ.

გამოკითხვის თანახმად, ღვინის ყიდვის ძირითადი მიზეზია მისი სასაჩუქრედ გამოყენება, რასაც აცხადებს რესპონდენტთა 60%. შემდგომ მოდის ღვინის ყიდვა საკუთარი მოხმარებისათვის (38%). ძალიან მცირეა იმ ადამიანების რაოდენობა (2%), რომლებიც ღვინოს საკუთარი კოლექციის გამდრებისათვის ყიდულობენ. ღვინის მოხმარების ძირითად მიზეზად კი გამოკითხულთა 68% ასახელებს იმას, რომ მათ, უბრალოდ, მოსწონთ სასმელის გემო, 27% - ღვინოში განტვირთვის საშუალებას ხედავს, ხოლო 5% - ღვინოს ნაზახუსევზე თვითშეგრძნების გაუმჯობესების საშუალებად მიიჩნევს. ეს ფაქტი მიანიშნებს იმას, რომ ქართველი მომხმარებლებისათვის ღვინის ორგანლეპტიკური თვისებები განსაკუთრებით მნიშნელოვანია და მისი მოხმარება მათ სიამოვნებას ანიჭებს. რაც შეეხება ღვინის აღქმას, რესპონდენტთა 28%-სათვის ღვინო არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებული ფასეულობების მატარებელს და მასში მხოლოდ ალკოჰოლურ სასმელს ხედავს. გამოკითხულთა 26%-სათვის ღვინო არის თვითგამოხატვის წყარო, 25%-სათვის - სოციალიზაციის საშუალება, 9%-სათვის - სტატუსი, 12% კი ღვინოს ეროვნულ ფასეულობად მიიჩნევს.

ღვინის შეფუთვასთან მიმართებით, რესპონდენტების უმეტესობა (81%) უპირატესობას ანიჭებს 0,75 ლიტრის ტევადობის მინის ბოთლს, 9% - მუყაოს ყუთს, 5% - პლასტმასის ბოთლს, 3% - ტეტრაპაკს და 2% - თიხის ჭურჭელს. შეფუთვაზე მოცემული ეტიკეტის მიმართ რესპონდენტების 87% საკმაო დაინტერესებას ავლენს. აღმოჩნდა, რომ ეტიკეტზე მითითებული ინფორმაციიდან რესპონდენტთა უმეტესობა დიდ ყურადღებას აქცევს ალკოჰოლის შემცველობას. გამოკითხულთა 60% ამ მახასიათებელს ყოველთვის აკვირდება, 40% კი მაშინ, როცა მისთვის უცნობ ბრენდს ყიდულობს, ხოლო 7%-ს ეს საერთოდ არ აინტერესებს და მას ყურადღებას არასოდეს არ აქცევს.

ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორების შესაფასებლად რესპონდენტებმა გამოიყენეს ლიკერტის ხუთბალიანი სკალა (1-დან 5-მდე, მნიშვნელობების ზრდადობის მიხედვით). ფაქტორების მიღებული რეიტინგები შემდეგნაირად განაწილდა: ფასი (4,9), ბრენდის დასახელება (4,7), სტანდარტებთან შესაბამისობა (4,6), შეფუთვა (4,2), დამამზადებელი საწარმო (3,8), ალკოჰოლის შემცველობა (3,6), წარმოშობის ქვეყანა (3,5), ჯილდოების არსებობა (3,1). აშკარაა, რომ მომხმარებლებს, ყველაზე მეტად, ფასთან ერთად, ბრენდის დასახელება და ხარისხთან შესაბამისობა აინტერესებთ. ამასთან, გამოკითხულთა უმრავლესობა (81%) უპირატესობას ანიჭებს ქართულ ბრენდებს, 12%-ს უცხოური ბრენდები ურჩევნია, 7%-სათვის კი ბრენდის წარმოშობას მნიშვნელობა არა აქვს.

ღვინის შესახებ ინფორმაციას რესპონდენტების უმეტესობა (43%) ინტერნეტის მეშვეობით ღებულობს. 23% ამისათვის იყენებს რეკლამებს, 19% - საკუთარ გამოცდილებას, 10% - ახლობლების რჩევებს, 5% - სპეციალისტების მოსაზრებებს. რაც შეეხება ინფორმაციის მიღების დასახელებულ წყაროებს, რესპონდენტთა 42% ენდობა საკუთარ გამოცდილებას, 19% - ახლობლების რჩევებს, 18% - სპეციალისტების მოსაზრებებს, 17% - რეკლამებს და მხოლოდ 4% - ინტერნეტში განთავსებულ მასალებს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რესპონდენტებს აქვთ საკმაოდ დადებითი დამოკიდებულება ღვინის რეკლამების მიმართ. გამოკითხულთა 57%-ის აზრით, რეკლამა ღვინის მიმართ დადებით ემოციებს აღვივებს, 18% რეკლამაში მოყვანილი ინფორმაციის უმეტესოებას უსარგებლოდ მიიჩნევს, 11 % რეკლამას მომხმარებელთა ინფორმირებისათვის სასარგებლოდ თვლის, 8% ფიქრობს, რომ რეკლამა მომხმარებელთა ყურადღებას იპყრობს და მათ მეტი ინფორმაციის მოპოვების სურვილს უჩენს, 6%-ის განცხადებით, რეკლამაში შემოთავაზებული ინფორმაციის უმეტესობა ხშირად მცდარია.

საყვარელი ღვინის შეძენაზე უარის თქმის ძირითად მიზეზად რესპონდენტთა 55%-მა დაასახელა ხარისხის გაუარესება, 31%-მა - ფასების ზრდა, 9%-მა გემოს შეცვლა, ხოლო 5%-მა - შეფუთვის განახლება. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შეფუთვას საკმაო რეიტინგი აქვს, ის ბრენდის მიმართ ლოიალურობაზე, ფაქტობრივად, არ მოქმედებს.

ლიკერტის ზემოაღნიშნულ სკალაზე დაყრდნობით რესპონდენტებმა ასევე დააფიქსირეს თავიანთი შეფასებები ღვინის ფიზიკურ მახასიათებლებთან მიმართებაში. მიღებული რეიტინგები შემდეგნაირად გამოიყურება: ხარისხი (4,9), გემო (4,8), არომატი/ბუკეტი (4,6), ფერი (4,5), დაძველება (4,2) და ალკოჰოლის შემცველობა (3,7). რესპონდენტებმა ასევე მოახდინეს ღვინის ტიპების (წითელი, თეთრი, შუშხუნა, ვარდისფერი) დალაგება პრიორიტეტების მიხედვით. ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა წითელი ფერის ღვინო, შემდგომ მოდის შუშხუნა, თეთრი და ბოლოს - ვარდისფერი. რესპონდენტებმა პრიორიტეტები მიანიჭეს აგრეთვე ღვინის გემოს და ალკოჰოლის შემცველობას. რანჟირების შედეგად ღვინის გემოს რეიტინგები ასე დალაგდა: მშრალი, ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი. რაც შეეხება ალკოჰოლის შემცველობასთან დამოკიდებულებას, რესპონდენტების უმეტესობამ ნეიტრალური განწყობა აირჩია, ხოლო მაღალმა და დაბალმა შემცველობამ თითქმის თანაბარი რეიტინგი მიიღო. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტებიდან, რომლებმაც უპირატესობა ალკოჰოლის მაღალ შემცველობას მიანიჭეს, 81% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო ვინც ალკოჰოლის დაბალ შემცველობას დაუჭირა მხარი, 73% მდედრობითი სქესისაა.

საკმაოდ საინტერესო იყო რესპონდენტების დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ხშირად იცვლიან ისინი ბრენდებს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 76% ღვინის ბრენდს გამოჩენილი შემთხვევის მიხედვით იცვლის, 11% - ყოველთვის ასე იქცევა, 8% - არჩეული ბრენდის მიმართ ლოიალურობას გამოხატავს, ხოლო 5% - ამას ყურადღებას არ აქცევს და პასუხის გაცემა უჭირს.

**დასკვნები**. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგად შესაძლებელია, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ქართველი მომხმარებლები მგძნობიარე არიან ღვინის ფასისა და ხარისხის მიმართ. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ღვინის მწარმოებლებს, ბრენდის დასახელებას, შეფუთვის სახეს და მასზე არსებულ მარკირებას. ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სწორედ, აღნიშნული ფაქტორები გადამწყვეტია.
- ღვინის შესახებ ინფორმაციის მიღებისას ქართველი მომხმარებლები, ძირითადად, ენდობიან საკუთარ გამოცდილებას და ახლობლების რჩევებს. ამასთან, ისინი გამოხატავენ პოზიტიურ დამოკიდებულებას რეკლამების მიმართ, თუმცა, სტიმულირების ამ მეთოდს ხშირად ფრთხილად ეკიდებიან.
- ღვინის მახასიათებლებიდან ქართველი მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ ხარისხს და გემოს. მათი გაუარესების შემთხვევაში ისინი მზად არიან, უარი თქვან ჩვეულ ბრენდებზე და თავიანთი არჩევანი შეცვალონ.
- ქართველი მომხმარებლების უმეტესობას მოსწონს წითელი ფერის მშრალი ღვინო. მათი უპირატესობა ალკოჰოლის დაბალი შემცველობისკენ იხრება, რითაც ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე იკვეთება ევროპული ტენდენცია, სადაც მომხმარებლები, ძირითადად, დაბალალკოჰოლიან ღვინოს ირჩევენ, რაც ამ სასმელის გემოვანი თვისებების უკეთ გამოვლენას უზრუნველყოფს.

- ქართველი მომხმარებლების დიდ ნაწილი, განსაკუთრებით, ახალგაზრდული სეგმენტი, უპირატესობას ანიჭებს მსუბუქ ღვინოს, ვინაიდან ისინი ღვინოს, ძირითადად, განტვირთვისა და სოციალიზაციის საშუალებად აღიქვამენ.

ამრიგად, საქართველოს ღვინის ბაზარზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გავლენით, მომხმარებელთა ქცევა ცვლილებებს განიცდის. ვფიქრობთ, მათი გათვალისწინება სასარგებლო იქნება ღვინის ბიზნესით დაკავებული კომპანიებისათვის, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ შესაბამისი მარკეტინგული ინსტრუმენტები, რათა მომხმარებელთა კეთილგანწყობა და ლოიალურობა მოიპოვონ.

## ლიტერატურა:


1. http://www.moa.gov.ge/m/Public/Annual
2. https://www.wineinstitute.org/
3. http://www.fao.org/publications/en/
4. http://www.geostat.ge/
5. ხარბედია მ. ქართული ღვინის გზამკვლევი. თბილისი, 2016.
6. http://georgianwine.gov.ge/
7. https://bpn.ge/biznesi/10605-ra-problemebi-arsebobs-qarthuli-ghvinis-bazarze.html?lang=ka-GE
8. http://www.iwsr.co.uk
9. http://www.gwa.ge/upload/file/Sector_Export_Market_Development_Action_Plan.pdf
10. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade__01_2017_GEO-with%20cover.pdf
11. Chocarro, R., and Cortiñas, M. (2013). *The impact of expert opinion in consumer perception of wines.* International Journal of Wine Business Research, Vol. 25 No. 3, pp.227-248.
12. Cunha, N., Loureiro, S., and Rego, A. (2015). *Exploring the Attitudes of Bottled Wine Distributors toward Wine Producers in the Portuguese Wine Sector.* Journal of International Food and Agribusiness Marketing, Vol. 27, No.1, pp. 15-32.
13. Loureiro, S., and Kaufmann, H. (2012). *Explaining love of wine brands.* Journal of Promotion Management, Vol.18, No.3, pp. 329–343.
14. Verdonk, N., Wilkinson, J., Culbert, J., Ristic, R., Pearce, K., and Wilkinson, K. (2017). *Toward a model of sparkling wine purchasing preferences.* International Journal of Wine Business Research, Vol. 29, No. 1, pp.58-73.
15. ხარაიშვილი, ე. ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2017.
16. Meskhia, I. (2016). *Food security problems in post Soviet Georgia.* Annals of Agrarian Science. Vol. 14. pp. 46-51.
17. Apil, A., Kaynak, E., and Todua, N. (2008). *Georgian Consumers Evolution of Products Sourced From a Geographically Close Proximity Country.* Journal of Euromarketing, Vol. 17, No. 3/4, pp.199-218.
18. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Characteristics of Food Products Labeling in Georgia.* Proceedings of International Scientific Symposium „Economics, Business & Finance", Jurmala, pp. 135-138.
19. Mghebrishvili, B., and Urotadze, E. (2016). *Characteristics of Food Products Labeling in Georgia.* Journal of International Economic Research. Vol. 2, No. 1, pp. 129-133.
20. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). *About Marketing Process Model and Relationship Marketing.* Proceedings of BSLab-SYDIC International Workshop „Model-Based Governance for Smart Organizational Future ", Roma, pp. 169-171.
21. Seturi, M., and Urotadze, E. (2017). *About the importance of brand as a system.* Proceedings of WOSC Congress: „Science with and for Society: Contributions of Cybernetics and Systems". Sapienza University of Roma, Italy.
22. Todua, N. (2017). *Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers.* Ecoforum Journal. Vol. 6, No. 2.
23. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *_Anova in Marketing Research of Consumer Behavior of Different Categories in Georgian Market.* Annals of'Constantin Brancusi University of Targu-Jiu. Economy Series, Issue 1, pp. 183-190.
24. Todua, N., and Dotchviri, T. (2015). *_On the Marketing Research of consumer prices and inflation process.* British Journal of Marketing Studies. Vol. 3, No. 2, pp. 48-57.
25. Todua, N., and Gogitidze, T. (2017). *Marketing Research of Attitudes Towards Genetically Modified Crops by Georgian Farmers.* Annals of'Constantin Brancusi' University of Targu-Jiu. Economy Series. Issue 1, pp. 69-76.

26. Todua, N., Babilua, P., and Dochviri, T. (2013). _ *On the Multiple Linear Regression in Marketing Research.* Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 7, No.3, pp. 135-139.
27. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, B. (2017). *Georgian Farmers Attitudes towards Genetically Modified Crops.* Economics World, Vol. 5, No.4, pp. 362-369.
28. Todua, N., Gogitidze, T., and Phutkaradze, J. (2015). *Georgian consumer attitudes towards genetically modified products.* International Journal of Management and Economics, Vol. 46, No.1, pp. 120-136.
29. Todua, N., and Jashi, C. (2014). *Perception of Consumer loyalty of Foreign Brands (Georgian Case).* Proceedings of 19th International Conference on Corporate and Marketing Communication. Milan (Italy), pp. 159-160.
30. Малхотра, Нэреш К. Маркетинговые исследования. Практическое руководство, 3-е издание: Пер. с англ. – М.: Издательский дом `Вильямс˜, 2003.

## Marketing Research of Consumer Behavior on the Georgian Wine Market

Ekaterine Urotadze

*Ph.D, Assistant Professor,*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The article shows, that Winemaking has always played a significant role in the national economy of Georgia and is still the main source of improvement of the state of the population and their cultural level. In recent years, there has been a significant activity in Georgian wine market, which causes high interest in the tendencies of this field. Especially this is true of the changing behavior of wine consumers. To identify consumer trends in the Georgian wine market, is conducted marketing research. Based on the conducted research, revealed the peculiarities of the perception of wine characteristics of Georgian consumers, as well as sources of information about brands, the relation to labeling, the main factors of the decision making about the purchase and their ranking, taking into account the priority. The paper studies the main causes, frequency and costs of purchasing and consuming wine by Georgian consumers. On the basis of the conducted research, conclusions were drawn that reflect the behavior of wine consumers on the Georgian market.

*Key words: Georgia, wine market, consumer behavior, marketing research .*

# მულტინაციონალურ კომპანიებში დასაქმებულ მენეჯერთა გამოწვევები


ნინო ფარესაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ბადრი გეჩბაია

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ანა ჩაგელიშვილი

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*გლობალიზაცია ცივილიზაციის განვითარების თანმდევი, თანამედროვეობის ყველა სფეროს მომცველი შეუქცევადი პროცესია, რომლის განვითარების შედეგი გლობალიზებული ეკონომიკის - პლანეტარული მასშტაბის ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც დაეფუძნება ეკონომიკებს შორის ბარიერების გარეშე ურთიერთობებს.*

*გლობალიზაციის თვითდინებით მიმდინარე ყოვლისმომცველ პროცესში, კომპანიები სულ უფრო მეტ ყურადღებას ადგილობრივის ნაცვლად გლობალურ ბაზრებს უთმობენ, ხოლო მენეჯერებს უწევთ ინტერნაციონალურად აზროვნება და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება. გლობალური მენეჯმენტის საშუალებით მენეჯერები წარმატებით იყენებენ საერთაშორისო შესაძლებლობებს და უმკლავდებიან საერთაშორისო საფრთხეებს.*

*გლობალიზაციის ძირითად მონაწილეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო კორპორაციებს, რომლებსაც გლობალური მენეჯერები მართავენ. ბიზნესის ფუნქციონირების ადგილობრივი ბაზრებიდან უცხოურ ბაზრებზე გასვლა ცვლის და ართულებს მენეჯმენტის ფუნქციებს, ქმნის გამოწვევებს საერთაშორისო ბიზნესისთვის და არაერთი უნარის ფლობის აუცილებლობის წინაშე აყენებს გლობალურ მენეჯერებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმატებული მენეჯერები გამოირჩევიან ანალიტიკური, პრაქტიკული და ინოვაციური უნარებით და მოტივაციით, დაუპირისპირდნენ და დაძლიონ მულტიონაციონალური მენეჯმენტის გამოწვევები.*



***საკვანძო სიტყვები:*** ***გლობალური მენეჯერი და მისი ფუნქციები, გლობალური მენეჯერის თვისებები და ინტელექტკომპლექტი, სტრუქტურული ცვლილებების ფაზები, გლობალური გადაწყვეტილების მოდელი, უცხოურ ბაზრებზე წარმატების მიღწევის საკვანძო ფაქტორები.***


გლობალიზაციის მასშტაბური ზრდისა და გაღრმავების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მსხვილი ტრანსნაციონლური კომპანიები. ამ პროცესში წარმატებული კონკურენციის საწინდარია მულტინაციონალური მენეჯმენტისადმი სტრატეგიული მიდგომა. მულტინაციონალური სტრატეგიის ჩამოყალიბება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში არსებული შესაძლებლობების გამოყენებასა და კონკურენციის პრობლემებთან გამკლავებას ემსახურება, ხოლო ამგვარი სტრატეგიის შემუშავება-განხორციელება გლობალური მენეჯერების კომპეტენციაა [2, გვ.22–25].

გლობალურ მენეჯერების ერთ-ერთი პასუხისმგებლობაა კომპანიის გლობალური ეფექტიანობა და კონკურენტუნარიანობა. ეს მიზანი მენეჯერებისგან მხოლოდ შესაძლებლობების აღმოჩენისა და გარისკვის უნარებს არ მოითხოვს, საჭიროა მაქსიმალური სარგებლის მიღება გლობალური ოპერაციებისგან. იმისათვის, რომ მოპოვებულ იქნას ეფექტიანობა, გლობალურმა მენეჯერმა უნდა შეასრულოს სამი ძირითადი როლი: მენეჯერი, როგორც მსოფლიო აქტივებისა და კონფიგურაციის „არქიტექტორი“, სტრატეგიის განმსაზღვრელი და გარიგებების კოორდინატორი [6, გვ. 3].

ბიზნესის გლობალიზებას დიდი გავლენა აქვს მენეჯერების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე, რომელიც თავის მხრივ რთული პროცესია. ძირითადი ელემენტი, რომელთა ფლობაც დაეხმარება მენეჯერებს

გლობალური საკითხების მოგვარებაში, არის მრავალმხრივი ინტელექტი. ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება გლობალურ კონტექსტით მოიცავს სამ ძირითად მახასიათებელს:

- რისკების მიღების სურვილს;
- გახსნილობას გადაწყვეტილების მიღებისას;
- გადაწყვეტილებების კონსესუსს.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობა დაკავშირებულია ბიზნესის სტრატეგიულ არჩევანთან. გადაწყვეტილების მიღება ადვილია, თუმცა, რთულია სწორი მიმართულების არჩევა აღნიშნულ პროცესში. გადაწყვეტილების მიღება არის ფორმალური დადგენა, როგორც პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისა. პრაქტიკაში ბევრია გადაუწყვეტელი პრობლემა, საჭიროა, იმის დადგენა, თუ რა არის არასწორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი: შეზღუდული ყურადღება, შეზღუდული მეხსიერება, შეზღუდული აზროვნება, შეზღუდული კომუნიკაცია თუ სხვა რამ. მნიშვნელოვანია, რომ ეფექტური გლობალური მენეჯერი, გადაწყვეტილების მიღებისას, მეტ ყურადღებას უთმობდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ინტუიცია; შიდა და გარე რესურსების გაერთიანება; შემოქმედებითობა; ორიენტირებულობა არა მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან მოგებაზე და სხვ [1, გვ. 119].

მენეჯერების მიერ გლობალური გადაწყვეტილების მიღების უნარის შეფასება შესაძლებელია მრავალმხრივი ინტელექტ (IQ) კომპლექტის გამოყენებით(იხ. სქემა), რომელიც იყოფა 3 კატეგორიად [3, გვ.357- 367]:

➢ **პრაქტიკული ინტელექტი**, რაც აერთიანებს ყოველი შესაძლებლობიდან მიღებულ არა აშკარა ინტელექტს, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ, ქსელურ და ორგანიზაციულ ცოდნას. პოლიტიკური საკითხების ცოდნა გულისხმობს გლობალური მენეჯერის უნარს გამოიყენოს ფორმალური და არაფორმალური ძალაუფლება ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. სოციო-კულტურული ცოდნა გულისხმობს როლების, ნორმების, ტაბუების და სხვათა გაგებას. ქსელური ცოდნა გულისხმობს ორგანიზაციის შიგნით არსებული ურთიერთობების მართვის ისეთ უნარს, რომელიც ემსახურება გლობალური მენეჯერის მიერ ფორმულირებული მიზნების მიღწევას. ორგანიზაციული ცოდნა არის გლობალური მენეჯერის ისეთი უნარი, რომელიც მიმართულია როგორც ფუნქციონალური, ასევე დროითი ფაქტორების მართვით კონკრეტული მიზნების მიღწევისკენ;

**გლობალური გადაწყვეტილების მიღების მოდელი [3]**

სქემა




➢ **ინოვაციური ინტელექტი** არის პრობლემის ინოვაციურად მოგვარების ინდივიდუალური უნარი, რომელიც მოიცავს ინტუიციურ და კრეატიულ შესაძლებლობებს. გლობალური მენეჯერების მიერ ინტუიციური შესაძლებლობების ფლობის უპირატესობებია: გადაწყვეტილების მიღების დაჩქარებული

პროცესი, თვისობრივად და ხარისხობრივად გაუმჯობესებული გადაწყვეტილებები და ა.შ. მულტინაციონალური მენეჯერის ინოვაციური ინტელექტი მოიცავს რამოდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის:

- საბაზისო ცოდნა - ინოვაციური ინტელექტი ზოგადად ეფუძნება სპეციფიკური სფეროს ცოდნას და მათ საფუძველზე პირადი იდეების განვითარებას;
- ინოვაციური აზროვნების/სწავლის უნარი - ამგვარი უნარის მქონე მენეჯერებს აქვთ ახლებური გზების დანახვის და ათვისების უპირატესობა;
- პრობლემაზე/საკითხზე და მისი გადაჭრის გზებზე ფოკუსირება;
- რისკისადმი გახსნილობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იქნეს ახალი შესაძლებლობების გამოყენებასთან;

➢ **ანალიტიკური ინტელექტი** მოიცავს ემოციურ და კოგნიტურ შესაძლებლობებს და აერთიანებს პრობლემის მოგვარების პროცესის დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას. გლობალური მენეჯერის კოგნიტური შესაძლებლობები მოიაზრებს: აბსტრაქტული მსჯელობის მაღალ დონესა და ფოკუსირებას პრობლემის მოგვარებაზე; კონკრეტული საზოგადოების ფასეულობების დანახვის უნარს. ემოციური ინტელექტის მნიშვნელობა იზრდება პრობლემის კომპლექსურობასთან ერთად. მენეჯერის ემოციური სიმწიფე ფასდება ისეთი კრიტერიუმებით როგორებიცაა: თვითგანვითარებულობა, თვითკონტროლი, თვითშეგნება.

გლობალიზაციის პროცესში საერთაშორისო ბიზნესი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რაც დაკავშირებულია: მულტინაციონალური კომპანიის სტრუქტურასთან; უცხო ქვეყნების კანონმდებლობასა და რეგულაციებთან; საერთაშორისო დონეზე აღრიცხვასთან; დანახარჯების კალკულაციასა და ფასწარმოქმნასთან საერთაშორისო დონეზე; უნივერსალური გადახდის მეთოდებთან; ვალუტების კურსების ცვლილებებთან; გლობალური გადაზიდვის შესაბამისი მეთოდის არჩევასთან; კომუნიკაციის სირთულეებსა და კულტურული განსხვავებებთან; სხვადასხვა სახის პოლიტიკურ რისკებთან; მომარაგების ჯაჭვის კომპლექსურობისა და სამუშაო ძალასთან დაკავშირებულ რისკებთან; გარემოსდაცვით მსოფლიო საკითხებთან და სხვ.

გლობალურ ბაზარზე გასვლისას ცვლილებებს განიცდის მენეჯმენტის 5 ფუნქციაც: დაგეგმვა - ინტერნაციონალური დაგეგმვის პირველი ეტაპია იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს ბიზნესმა გლობალური მასშტაბით: ექსპორტით, ლიცენზირებით, ერთობლივი წარმოებით, თუ კომპანიამ იფუნქციონიროს როგორც მულტინაციონალურმა კოორპორაციამ, რომელსაც უცხო ქვეყნებში ექნება საკუთარი ფილიალები. პროგნოზების, მიზნებისა და საერთაშორისო გეგმების გაუმჯობესების მიზნით, მენეჯერებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ ისეთი საკვანძო ფაქტორები, როგორებიცაა: პოლიტიკური არასტაბილურობა, ვალუტის არასტაბილურობა, მთავრობის მხრიდან კონკურენცია და ზეწოლა, პატენტისა და სასაქონლო ნიშნის დაცვა და ინტენსიური კონკურენიცია.

ორგანიზება - საერთაშორისო კომპანიები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ მათი გეგმების მასპინძელი ქვეყნის კულტურასთან შესაბამისობაში. როგორც წესი, აშშ-ის ფირმები ფიქრობენ, რომ გრძელვადიანი გეგმები უნდა მერყეობდეს სამიდან ხუთ წლამდე, მაგრამ ზოგიერთ კულტურაში ეს პერიოდი ძალიან მცირეა. საერთაშორისო ბიზნესი უნდა ორგანიზდეს იმგვარად, რომ მას შეეძლოს ადაპტირება კულტურულ და გარემო ცვლილებებთან. უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ღია საკომუნიკაციო სისტემა, სადაც პრობლემები და იდეები სწრაფად იქნება განხილული მენეჯმენტის ყველა დონეზე. აღნიშნულის გარეშე, თანამშრომლები ვერ ჩაერთვებიან გლობალური ბიზნესის მართვაში, ხოლო მათი ცოდნა და იდეები შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ბიზნესის წარმატებისთვის.

როდესაც ორგანიზაცია გადაწყვეტს გლობალურ ბაზარზე გასვლას, ის გადის სტრუქტურული ცვლილების 3 ფაზას:

❖ *პრეინტერნაციონალური ეტაპი.* კომპანიები, რომლებიც ფლობენ უახლეს, უნიკალურ პროდუქტს ან წარმოების უახლეს ტექნოლოგიებს, მზად არიან საეთაშორისო არენაზე წარსადგენად. პირველი სტრატეგია, რომელიც გამოიყენება უცხოურ ბაზარზე პროდუქტის დანერგვისთვის, ექსპორტირების გზების მოძიებაა.

❖ *ინტერნაციონალური განყოფილების შექმნის ეტაპი.* სხვა ქვეყანაში დაფუძნებული განყოფილების მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის აღსრულებამ, სავაჭრო შეზღუდვებმა და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა

კომპანიაზე ზეწოლა გაამძაფროს. თუ კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას უცხოურ ბაზარზე მისი პოზიციების დაცვისა და გაფართოებისას, შეუძლია შექმნას ცალკეული, ინტერნაციონალური განყოფილება, რომლის კონტროლიც მოხდება სათავო ფილიალიდან.

❖ *გლობალური სტრუქტურის შექმნის ეტაპი.* კომპანიას შეუძლია გადავიდეს ინტერნაციონალური განყოფილების ფაზიდან და შექმნას გლობალური სტრუქტურა, როდესაც შეძლებს შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას:

- ➢ უცხოური ბაზარი ისეთივე მნიშვნელოვანი გახდება კომპანიისთვის, როგორც ადგილობრივი;
- ➢ კომპანიის მაღალი რანგის მენეჯერები ფლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ გამოცდილებას;
- ➢ საერთაშორისო გაყიდვები მთლიანი გაყიდვების 25%-35%-ს მიაღწევს;
- ➢ ადგილობრივ ბაზარზე გამოყენებული ტექნოლოგიები უკეთესია უცხოურ ბაზრებზე გამოყენებულ ტექნოლოგიებთან შედარებით.

პერსონალი/მოტივაცია - იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის წარმატებისთვის ადამიანისეულ რესურსებს დიდი მნიშვნელობა აქვს, თანამშრომელთა შერჩევისა და განვითარების პროცესს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. თავდაპირველად უნდა მოხდეს უცხოური შრომითი კანონმდებლობის გაცნობა და მხოლოდ შემდგომ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება უცხოელი თუ ადგილობრივი კადრების, მათ შორის მენეჯერების აყვანის შესახებ. მაგალითად, აშშ-ის კომპანიები, ადგილობრივი კადრების აყვანით მიღებული გაზრდილი ხარჯების გამო, უპირატესობას ძირითადად ანიჭებენ მხოლოდ რამდენიმე ექსპატრიატი მენეჯერისა და უცხოელი კადრების დაქირავებას;

განკარგულება - დამოკიდებულება საქმისა და პრობლემების მოგვარების მიმართ, ისევე როგორც ლიდერობის სტილი და წახალისების სისტემები, განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია, მენეჯერსა და თანამშრომლებს შორის არაფორმალური ურთიერთობები მიუღებელია, ხოლო იაპონიასა და შვედეთში, პირიქით. აშშ-ში გამოყენებული სტიმულები ვერ იქნება ეფექტიანი იაპონიასა და ევროპაში, სადაც გაცილებით მნიშვნელოვანია სტაბილურობა, ვიდრე ბონუსები/-დანამატები. კულტურული განსხვავებები მეტ სირთულეს ქმნის ტრანსნაციონალური მენეჯერისთვის გადაწყვეტილების მიღების/განკარგულების პროცესში. როგორც წესი, კულტურული განსხვავებებით წარმოშობილი ამ სირთულეების მოსაგვარებლად კომპანიები მენეჯერებს უზრუნველყოფენ კროსკულტურულ მენეჯმენტში სპეციალური ტრენინგ პროგრამებით.

კონტროლი - გეოგრაფიული დაშორებულობა, ენობრივი ბარიერები და სამართლებრივი შეზღუდვები ართულებს კონტროლის ფუნქციას, რომელიც მოიცავს შეხვედრებს, ანგარიშებს და ინსპექციას.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, წარმატებულ მულტინაციონალურ მენეჯერებს შემდეგი თვისებები უნდა ჰქონდეთ [2, გვ.23–24]:

- ➢ ***გლობალური აზროვნება*** - მსგავსი აზროვნების მქონე მენეჯერი ხვდება, რომ ბიზნესის სამყარო სწრაფად იცვლება და თანამედროვეობა სულ უფრო დამოკიდებული ხდება ბიზნეს - ტრანზაქციებზე. მენეჯერი ვალდებულია შეამჩნიოს გლობალური ბაზრების ტენდენციები და ამავდროულად, შეძლოს ცალკეული ქვეყნის ადგილობრივ პირობებთან მორგება. გლობალური აზროვნება სჭირდება ყველას, აღმასრულებელი დირექტორიდან დაწყებული ნებისმიერ თანამშრომლით დამთავრებული;
- ➢ ***ემოციური გონიერება*** - ემოციების მართვის უნარის, ანუ ემოციური გონიერების მეშვეობით მენეჯერი უკეთესად ადაპტირდება და უკეთესად ურთიერთობს ახალ კულტურებსა თუ ადამიანებთან;
- ➢ ***გრძელვადიანი ხედვა*** - თანამედროვე, გლობალურ ეკონომიკაში მოკლევადიანი ხედვით იშვიათად თუ მიიღწევა წარმატება;
- ➢ ***თანამშრომლების მოტივირების ნიჭი მათი სრულყოფის მიზნით*** - ორგანიზაციების ლიდერებს მოტივაციის პრობლემებთან უწევთ შეხება. თანამშრომელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნიდან ან ცხოვრობდეს ნებისმიერ ქვეყანაში და შესაძლოა საკუთარ ქვეყანასთან აკავშირებდეს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას და არა ორგანიზაციასთან. სწორედ ამგვარ მულტიკულტურულ გარემოში უწევთ გლობალურ მენეჯერებს მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა;

➢ *მოლაპარაკებების დახვეწილი უნარი* - ვინაიდან მრავალ ბიზნესტრანზაქციას წინ უსწრებს მოლაპარაკება, გლობალური ეკონომიკის ლიდერებს სულ უფრო მეტი დროის გატარება უწევთ მულტიკულტურულ მოლაპარაკებებში, რომლის განმავლობაშიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამატებით არაერთი ფაქტორი;

➢ *საერთაშორისო დავალებების შესრულების სურვილი* - გლობალური ლიდერები მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილებით უნდა იქნენ აღჭურვილი. მათ მოუწევთ მენეჯმენტის ნიჭის გამოვლენა და წარმატების მიღწევა სხვადასხვა კულტურულ გარემოში;

➢ *ეროვნული კულტურის გააზრების უნარი* - გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება მსოფლიოს ერთ ბაზრად აქცევს, მაგრამ ეროვნული კულტურები მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდება. მულტინაციონალური ლიდერი ან ბიზნესი ვერ მიაღწევს წარმატებას იმ ეროვნული კულტურის ღრმად გააზრების გარეშე, სადაც ბიზნესი წარმოებს. მულტინაციონალურ მენეჯერებს ხშირად დასჭირდებათ ადგილობრივი კულტურული ნიუანსების გააზრება.

ეჭვგარეშეა, რომ XXI საუკუნის მენეჯერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უცხო კულტურაში გარკვევის და უცხო ქვეყნებში წარმატების მიღწევის უნარი. წარმატება სამ ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული [2, გვ.23]:

1. *ინტელექტუალური კაპიტალი* - გულისხმობს საერთაშორისო ბიზნესის ცოდნას ან მისი შეძენის უნარს. ინტელექტუალური კაპიტალის შეძენა, რამდენადაც ჩანს, ყველაზე მარტივია. მენეჯერს ახალი კულტურის გასაცნობად შეუძლია გამოიყენოს ჟურნალები, წიგნები და თოქ-შოუები;
2. *ფსიქოლოგიური კაპიტალი* - მისი შეძენა ყველაზე რთულია, ვინაიდან ის ხშირად ვლინდება პიროვნულ თვისებებში. ეს ადამიანის გახსნილობაა განსხვავებებისა და ცვლილებების მიმართ. მაღალი ფსიქოლოგიური კაპიტალის მქონე მენეჯერი კეთილგანწყობილია მრავალფეროვნების მიმართ და არ აფერხებს ცვლილებები. ფსიქოლოგიური კაპიტალის შესაძენად აუცილებელია საკუთარი თავის უკეთესად გაცნობა, ანუ თავისთავის შეცნობა.
3. *სოციალური კაპიტალი* - არის მენეჯერის უნარი, დაამყაროს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები უცხო კულტურის წარმომადგენლებთან. აქ იგულისხმება კულტურის მიმართ სიმპათიისა და დიპლომატიის გამოჩენის უნარი. სოციალური კაპიტალი უპირატესად ურთიერთობებს ეფუძნება და გამოცდილებას სდევს თან. სოციალური კაპიტალის დასაგროვებლად აუცილებელია მენეჯერი იუმჯობესებდეს სოციალურ უნარებს და ურთიერთობდეს მრავალფეროვანი ინტერესების მქონე ადამიანებთან. სოციალური კაპიტალის დაგროვებას ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო დავალებებში მონაწილეობა და უცხო ქვეყნებში დავალების შესრულება.

გლობალიზაციის დინამიკური და შეუქცევადი პროცესიდან გამომდინარე, მულტინაციონალური კომპანიების მენეჯერებისთვის წარმოშობილი არაერთი გამოწვევის გადალახვა შეუძლებელია ადეკვატური უნარებისა და ცოდნის საფუძველზე, საჭიროა ახალი აზროვნება და ახალი მენეჯერული უნარები [5, გვ. 57]. გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიებისთვის სულ უფრო და უფრო რთული ხდება ამგვარი კადრების მოძიება ან განვითარება. გლობალიზაციის თანმდევ უამრავ შესაძლებლობასთან ერთად, სირთულეების გადალახვა ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯერთათვის ამავდროულად გლობალიზაციის გამოწვევებიცაა. მენეჯმენტის გაერთიანებული ინსტიტუტის ანგარიშის თანახმად მომავლის მენეჯერების წარმატების უმთავრესი მახასიათებელი იქნება ცვლილებებისა და რისკის მართვის უნარის არსებობა [4, გვ. 445].

თანამედროვე კოსმოპოლიტმა მენეჯერმა აუცილებელია იცოდეს, როგორ მოიქცეს, როდესაც ბიზნესარეალზე კონკურენტის უპირატესობა გამოიკვეთება და როდესაც ცვლილებები სირთულედ იქცევა. გლობალური მენეჯერი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას/ბაზარს უდგება როგორც მშობლიურს და გახსნილია ნაციონალური სიახლეებისთვის [5, გვ.59]. მულტინაციონალურ კორპორაციებს სჭირდებათ ინტერნაციონალურად კომპეტენტური სამუშაო ძალა, მათ შორის საერთაშორისოდ მოაზროვნე, განსწავლული გლობალური ლიდერები, ვინაიდან დღესდღეობით ბიზნესი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ლიდერები საკუთარი თავის განახლებას ახერხებენ.

ლიტერატურა:


1. Gunter K.S., Bjorkman B., Morris S., Handbook of Research in International Human Resource Management, Northampton, USA, Edward Elgar Publishing , Inc., 2012 year, 597
2. Cullen J. B., Parboteeah K. P., Multinational Management, South-Western CENGAGE learning, USA, 2013 year, 737
3. Harvey M. G., Mcphail R., Moeller M., „Globalization and its impact on global managers' decision processes“, Human Resource Development International, Published Online: USA, 2009, 410
4. Mullins L.J., Management & Organisational Behaviour., Pearson Education Limited, England, 2010 year, 10th edition, 897
5. Gibson J.L., Ivancevich J.M., Donnelly J. H., „Konopaske R., Organizations, Behavior, Structure, Processes“, 14th edition, McGraw-Hill, 2012 year, USA, 642
6. Bartlet A. C., Ghoshal S., „What is a global manager?“, Harvard Business Review., published online., 2003 year, 18


## Challenges of Managers Employed in Multinational Companies


Nino Paresashvili,

*Academic Doctor of Economics, associatedProfessor*
*Tbilisi state university*

Badri Gechbaia,

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Batumi Shota Rustaveli Shtate University,*

Ana Chagelishvili,

*Doctoral student*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

This scientific article analysis the challenges of multinational managers while the company is entering in foreign markets, that are related to globalization process. There are a number of difficulties for modern companies, that have gone beyond the local market of functioning and want to do business worldwide. Solving these difficulties are prerogatives of multinational managers. In the process of overcoming the difficulties they have to acquire specific skills or abilities, foresee key factors and perform complicated functions of management. One of the goals of human resource management is to develop new skill and competencies in global managers. Ownership and development of a such universal managerial capital is quite difficult for companies. The individual level of decision-making needs to develop an inventory of an individual manager's multiple IQs.



***Keywords:*** ***Global manager, Five function of global managers, IQ of global managers, phases of structural changes, abilities of global managers, model of decision making process, key factors of success in foreign markets.***

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში


## შორენა ფარჯიანი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში დაიწყო ახალი ეკონომიკური ეტაპი. გლობალიზაციის პროცესმა დრამატულად დააჩქარა საინვესტიციო კაპიტალის მობილობა მთელ მსოფლიოში, კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და პუი-ებს შორის გახადა კომპლექსური. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის და მდგრადი ეკონომიკური განვითარების წინაპირობაა. ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების დონე ერთგვარი ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად სტაბილურია პოლიტიკური მდგომარეობა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური გახსნილობა, სავაჭრო რეჟიმები, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა, ასევე, კრიმინალისა და კორუფციის დონე. შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი თუ ხელშემშლელი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაშიდა მათ შორის საქართველოში.*

*სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, რეგისტრირებული დანაშაულის და მსჯავრდებულ პირთა სტატისტიკასა და მათ შორის კორელაციაზე.*



***საკვანძო სიტყვები:პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მთლიანი შიგა პროდუქტი; რეგისტრირებული დანაშაული; მსჯავრდებულთა რაოდენობა.***


ყოფილი საბჭოთა სისტემის ქვეყნებისათვის ბოლო ათწლეულები შეიძლება განხილულ იქნეს დიდი რეფორმების და საერთაშორისო სავაჭრო ქსელებში ჩართვისკენ სწრაფვის პერიოდად. აღნიშნული ქვეყნების უმრავლესობამ დასწია ბარიერები პუი-ების მისაღებად და ჩაერთო კონკურენციის პროცესში. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან მოიზიდონ უცხოურ ინვესტიციათა დიდი ნაკადები, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს. აღნიშნული ქვეყნები ხასიათდებიან კაპიტალის დეფიციტით, არასაკმარისი შიდა დანაზოგი ვერ აფინანსებს შიდა საინვესტიციო მოთხოვნას, რაც უარყოფითად აისახება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ინვესტიციებზე [1, გვ.3653].

უცხოურ ინვესტიციათა მნიშვნელოვანი მოცულობის მიღწევისათვის არსებით როლს ქვეყნისათვის ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ქონა წარმოადგენს. საინვესტიციო გარემო ფართო ცნებაა და მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს. თითოეულ ქვეყანას თავისი უნიკალური საინვესტიციო გარემო გააჩნია, რომლის შემადგენელი ფაქტორების აქტუალურობა იცვლება როგორც ქვეყნების, ასევე დროის მიხედვითაც. ზოგადად, ინვესტიციებს იზიდავს ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, დაბალი გადასახადები და ნაკლები რეგულაციები, იაფი ან კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, კორუფციისა და კრიმინალის დაბალი დონე.

ჩვენს რეგიონში აზერბაიჯანის და რუსეთის შემთხვევაში უცხოეულ ინვესტორთა მოტივაციას ძირითადად რესურსები წარმოადგენს. აღნიშნული განიხილება, როგორც რესურსმაძიებელი უცხოური ინვესტიციების მაგალითი. აღნიშნული ტიპის ინვესტირება ხშირად იწვევს ეკონომიკის სხვა სექტორებიდან საინვესტიციო ნაკადების გადაქაჩვას. რესურსებით ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნების შემთხვევაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორების მხრიდან. მაგალითად, დაბალი ინფლაცია და ფისკალური კრიზისების არარსებობა მნიშვნელოვანი სიგნალია უცხოელი ინვესტორებისათვის ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობის შესახებ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში პუი-ის მოცულობაზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს შორის სახელდება ე.წ. ინსტიტუციონალური ფაქტორები, მათ შორის, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და სამართლებრივი გარემოს არსებობა.

საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომელმაც ღია პოლიტიკა აწარმოა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში. ინვესტორზე ორიენტირებული გარემოს მისაღწევად განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეფორმა [2,გვ.36]. მათ შორის, სამართლებრივი კუთხით.დღესდღეობით,საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები, განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და ლიბერალური სავიზო რეჟიმი მრავალ ქვეყანასთან. ამასთან, საინვესტიციო მიმზიდველობას ამცირებს ის, რომ ქვეყანა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით და შესაბამისი სამუშაო ძალით. თუმცა, ამავე დროს, ინვესტიციებს იზიდავს საქართველოს სტრატეგიულიმდებარეობა, რასაც ადასტურებს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა.

პუი საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა [3,გვ.102], რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10%-ს, ან ასეთი მონაწილეობის ევივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები [4, გვ.127].

საქართველოში განხორციელებული პუი-ს შესახებ ინფორმაციის წყაროებს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ წარმოებული კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიიღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ასევე აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კერძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პუი-ის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ყოველკვარტალურად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის მიწოდებას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის ნაწილიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ამჟამად მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს (კონტროლირებად ტერიტორიებს) და 2000-მდე სამეწარმეო სუბიექტს. გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით [6]:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი;
- ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან აქვს აღებული სესხი ან გაცემული მათზე;
- დეპოზიტები აქვს განთავსებული არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10%-ს და მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

საქსტატის მიერ ყოველკვარტალურად ხორციელდება შერჩეულ საწარმოთა განახლება მათი საქმიანობისა და დამფუძნებელთა კლასიფიკაციის მიხედვით.

პუი-ების ძირითადი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სხვა კაპიტალი. პუი-ის შემცირების მიზეზები შეიძლება იყოს: არარეზიდენტის მიერ წილის დათმობა რეზიდენტისათვის, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის ინვესტორად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულების შემცირება.

დაზუსტებული მონაცემები ყოველთვის განსხვავებულია წინასწარისაგან. ამის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები საქსტატს წელიწადში წარუდგენენ დაზუსტებულ მოგება-ზარალის მაჩვენებლებს.წინასწარ და დაზუსტებულ მონაცემებს შორის სხვაობა კვარტალურ დინამიკაში ზოგიერთ შემთხვევაში 20%-ზე მეტსაც აღწევს, რადგან პუი-ია არ არის ინვესტიცია განხორციელებული მხოლოდ ფიქსირებულ აქ-

ტივებში. იგი ფინანსური კატეგორიაა და მისი დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობაც საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სტანდარტებში თავსდება.

XX საუკუნის 90-იანი ბოლოსპუი-ები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იქცა. 1996 წლიდან 2017 წლის პირველი ორი კვარტლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პუი-ებმა 17.1მლრდ აშშ დოლარსგადააჭარბა. მათ შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2014,8 მლნ აშშ დოლარი (ჯამური მაჩვენებლის 11,8%) დაფიქსირდა 2007 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 3,8 მლნ აშშ დოლარი - 1996 წელს. წლიური პუი 1997 წელს გაიზარდა 242,6 მლნ აშშ დოლარამდე, ხოლო 1998 წელს - 265,3 მლნ აშშ დოლარამდე. უცხოური კაპიტალის ზრდა განაპირობა ძირითადად ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. 1996-2002 წლებთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი ნაკადები დაფიქსირდა ასევე 2003-2004 წლებში. 2005 წლიდან საქართველოში განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და საინვესტიციო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, ინვესტიციათა ყველაზე მაღალი ნაკადები საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდა 2007 წელს. 2008 წლის II ნახევრში, აგვისტოს ომის მოვლენებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა პუი-ების მასშტაბები მინიმუმამდე შეამცირა, შესაბამისად, 2009 წელს პუი-ების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა და შეადგინა 658,4 მლნ აშშ დოლარი. 2010-2011 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციები სტაბილურად (წელიწადში საშუალოდ 200-300 მლნ აშშ დოლარი) იზრდებოდა. 2012-2013 წლებში-საინვესტიციო ნაკადების კლებაზე მოქმედ მთავარ ფაქტორად წინასაარჩევნო მოლოდინები და პოსტსაარჩევნო განუსაზღვრელობა სახელდება.2008 წლის შემდეგ პუი-ების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს და შეადგინა 1758.4 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 10.3%). 2014 წლიდან საინვესტიციო ნაკადების ზრდა მნიშვნელოვნად უკავშირდება ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის -„შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობას.




ნომინალური რიცხვებით გამოხატული ინვესტიციების მოცულობასთან ერთად საინტერესოა პუი-ების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკის, ამ შემთხვევაში, მშპ-ის მიმართ. თუ დავაკვირდებით იმ პერიოდს, როდესაც უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადები განხორციელდა საქართველოში, შევამჩნევთ, რომ 2007 წელი ყველაზე წარმატებული იყო - ინვესტიციებმა მშპ-ის 17,01% შეადგინა. ბოლო ათწლეულის მანძილზე ამ მხრივ ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2009 წლის შემდეგ 2012-2013 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ინვესტიციებმა მშპ-ის 6.4% – 6.4% შეადგინა. 2014 წლიდან ინვესტიციები მშპ-ის მიმართაც იზრდება და ყველაზე მაღალ ნიშნულს - 13.7%-ს 2016 წლის მშპ-ის წინასწარ მონაცემებთან მიმართებით მიაღწია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ლარის გაუფასურების გამო 2015-2016 წლებში დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ამან ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას.




ეკონომიკის სექტორების მიხედვით სტატისტიკური მონაცემები პუი-ების შესახებ ხელმისაწვდომია 2007 წლიდან. შესაბამისად, 2007-2017 წლის პირველი ორი კვართლის მონაცემებით საქართველოში სულ განხორციელდა 13.66 მლრდ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, მათ შორის ყველაზე მეტი - 3.45 მლრდ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 25.3%) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში ჩაიდო. ეს სექტორი პირველ ადგილს მილსადენ ტრანსპორტში განხორციელებული ინვესტიციების გამო იკავებს. მეორე ადგილზე ენერგეტიკაა 1.76 მლრდ დოლარით (12.9%). ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციები ძირითადად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას უკავშირდება. 2007-2017 წლებში ყველაზე დაბალი მოცულობის უცხოური ინვესტიცია სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელდა - 135.8 მლნ დოლარი (1%).




ინვესტორი ქვეყნების ჩამონათვალში ლიდერობენ აზერბაიჯანი და გაერთიანებული სამეფო, რაც ასევე უკავშირდება რეგიონსა და უშუალოდ საქართველოში მიმდინარე პროექტებს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში.

საინვესტიციო გარემოს მახასიათებელი საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით საქართველო სტაბილურად დადებით პოზიციებს ინარჩუნებს, რაც უდავოდ აღსანიშნავი ფაქტია. მათ შორის ისეთი ინდიკატორის მიხედვით, როგორიცაა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 2017 წლის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით საქართველო მეცამეტე ადგილზეა (2017 წლის ინდექსი მოიცავს 2015 წლის მეორე ნახევრისა და 2016

წლის პირველი ნახევრის მონაცემებს). თუმცა, ეკონომიკური თავისუფლების თორმეტი კომპონენტიდან საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (მსოფლიოში 77-ე ადგილი) მინიჭებული აქვს საკუთრების უფლების კომპონენტში - 100-ქულიანი შკალიდან 55.1% (2016 წელს - 40%). საკუთრების უფლების კომპონენტი თვისობრივი შეფასებაა იმისა, თუ რამდენად არის ქვეყანაში დაცული კერძო საკუთრების უფლება. კომპონენტი მოიცავს ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, სახელმწიფოს მიერ ქონების ჩამორთმევის, ექსპროპრიაციის ალბათობას და ინვესტორების დაცვას [7].

იურიდიულ სტატისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც უშუალოდ ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკი სგანსაზღვრისა და სწორად განხორციელების პროცესში, ასევე ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ეკონომიკურ პროცესებში, როგორც მიკრო, ასევე მაკროდონეზე [4,გვ.46].ცხადია, უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების საქმიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სტაბილურობა და კრიმინალის დაბალი დონე. დამნაშავეობის მაღალი დონე ხელს უშლის როგორც ადგილობრივ, ასევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, იმდენად, რამდენადაც ქმნის გაურკვევლობას, იწვევს რესურსების არასწორად გადანაწილებას და ამცირებს კონკურენტუნარიანობას. ეკონომიკური ზრდის შენელებასთან ერთად კრიმინალის ზრდა მეტ ხარჯებს მოითხოვს მასთან საბრძოლველად, რაც ასევე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების მოცულობის კორელაცია ცალ-ცალკე გამოვთვალეთ რეგისტრირებულ დანაშაულსა და მსჯავრდებულ პირთა რაოდენობასთან მიმართებით, კოეფიციენტებმა შესაბამისად შეადგინა 0.32 და 0.55. ამდენად, კავშირი ორივე შემთხვევაში საშუალო სიდიდისაა.

საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის დინამიკა არაერთგვაროვანი ტენდენციით ხასიათდება. 2005 წლიდან 2017 წლის პირველი ორი კვარტლის ჩათვლით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2006 წელს, ამავე წელს წინა წელთან შედარებით, ყველაზე მეტად არის დანაშაული გაზრდილი. სულ რეგისტრირებული დანაშაულის წლიური მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო 2011 წელს.

**რეგისტრირებული დანაშაული**
(ათასი) [8]




საქართველოში მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა 2005-2017 წლებში ყველაზე მაღალი იყო 2007 წელს და შეადგენდა 21170 მსჯავრდებულს, 2008 წლიდან შეინიშნებოდა მცირედი კლება, მათ შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს - 10922, რაც ძირითდად უკავშირდება წლის ბოლოს განხორციელებულ საყოველთაო ამნისტიას.




2005 წლიდან 2017 წლის პირველი ორი კვარტლის ჩათვლით, საქართველოში მსჯავრდებულ პირთა სტრუქტურა დანაშაულის სახეობების მიხედვით, თითქმის ერთგვაროვანი ტენდენციით ხასიათდება: ჭარბობს ეკონომიკური დანაშაულები, კერძოდ, საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები, მათ შორის ქურდობა, ძარცვა და ყაჩაღობა, შემდეგ მოდის ნარკოდანაჩშაულები, რასაც მოყვება ხულიგნობა საზოგადოებრივი უშიშროების და წესრიგისა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა სატრანსპორტო დანაშაულებიდან.

მსჯავრდებულ პირთა სტრუქტურა ასაკობრივ ჭრილში შემდეგნაირია: დინამიკაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი უკავია 30-დან 50 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს (საშუალო წლიური პროცენტი-46.5%), შემდეგ მოდის 18-დან 25 წლამდე(საშუალო წლიური პროცენტი-21.1%) და 25-დან 30 წლამდე((საშუალო წლიური პროცენტი-17.7%) პირთა ჯგუფები. აქვე უნდა აღინიშნოს ის დინამიკა, რომელიც ახასიათებს 14-დან 18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს,კერძოდ, 2005 წლიდან 2009 წლამდე ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით, შესაბამისად ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 1166 მსჯავრდებული (საერთო რაოდენობის 5.6%)შეადგინა 2008 წელს, ხოლო მომდევნო წლების დინამიკა ცალსახად დადებითია და ხასიათდება კლებით, შესაბამისად, წლიურ ჭრილში ყველაზე ცოტა - 146 მსჯავრდებული იყო 2016 წელს (საერთო რაოდენობის 0.9%) [9].

რაც შეეხება სტრუქტურას გენდერული ჭრილით, მსჯავრდებულ ქალთა დინამიკა მერყეობს საერთო რაოდენობის 3.7%-დან (დაფიქსირდა 2013 წელს) 8.6%-დე (დაფიქსირდა 2011 წელს).

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ვითარება პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია დანაშაულის მაჩვენებლებთან. ეკონომიკური სიდუხჭირე და უმუშევრობა დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ მოტივად სახელდება. სტატისტიკური ინფორმაციით, დანაშაულის ჩამდენ პირთა 88% დანაშაულის ჩადენის მომენტში უმუშევარი იყო, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ჩამდენ პირთა მხოლოდ 12% ფლობდა უმაღლეს განათლებას [9],უმუშევრობის დონეს გარკვეულწილად განათლების დონეც განსაზღვრავს და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებლების შესამცირებლად სახელმწიფომ ფუნდამენტური ინსტიტუციური ცვლილებები უნდა განახორციელოს მათ შორის განათლების სექტორში, რაც პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სხვა თანაბარ პირობებში, ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საქართველოში წელიწადში მინიმუმ ორჯერ მეტი პუი უნდა შემოვიდეს. ამისათვის კი საჭიროა იმ ფაქტორების გამოსწორება რაცქვეყნის ბიზნესგარემოს აზიანებს.

ლიტერატურა:

1. Pharjiani Sh., Foreign Direct Investment on Economic Growth by Industries in Central and Eastern European Countries. World Academy of Science, Engineering and 192 Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:9, No:11, 2015;
2. Kbiltsetskhlashvili T. Attracting Investors: Case of Impact of FDI on the Achievements of Economic Growth in Georgia, IBSU Scientific Journal 2010;
3. Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6)". International Monetary Fund. Washington, 2009;
4. Organization for Economic Cooperation and Development (OECD), OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment (fourth edition), Chapter 8, FDI and Globalisation;
5. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ.; იურიდიული სტატისტიკა, სახელმძღვანელო. თბ., 2011;
6. საქართველოსსტატისტიკისეროვნულისამსახური. http://www.geostat.ge/
7. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2017 http://www.heritage.org/index/country/georgia
8. საქართველოსშინაგანსაქმეთასამინისტრო http://police.ge/ge/useful-information/statistics
9. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო http://www.moc.gov.ge/ka/statistika/

## Direct Foreign Investment and Criminal Statistics in Georgia

Shorena Pharjiani

*PhD in Economics;*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Globalization, technological innovations, cheaper communication and low level of crime give incentives to investors to diversify their investment in oversea markets. In the contemporary world foreign direct investment becomes the crucial factor in economic integration. FDI generally supports growth in developing, emerging and transition countries. In the case of poor countries savings are low to funding the major investment. In this case FDI is always considered one of the fundamental sources of stable long term investment.

Based on the empirical and theoretical analyses it should be stressed that the main massage that comes from the article is that there is clear positive relationship between FDI and level of crime and the main argument that supports this issue is that there are a lot of mechanisms which play a crucial role in this relationship and some of them may outweigh others.

*Keywords: Foreign Direct Investment (FDI); GDP; Recorded Crimes; Number of Convicts.*

# საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ტენდენციები

**რამაზ ფუტკარაძე**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატია განხილულია საქართველოდჩინეთის სავაჭრო ურთიერთოზების დინამიკა, პერსპექტივები და გამოწვევები. თავისუფალი ვაჭრობის გავლენა სავაჭრო ურთიერთობებზე. ასევე მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობები. აღნიშნულია ჩინეთის მასშტაბების ზრდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთიობებში.თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭროდეკონომიკური (და არა მხოლოდ) ურთიერთობები მასშტაბურად იზრდება. ჩინეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები, რამაც მისცა სტიმული მხარეებს შორის არსებული ისტორიული და კულტურული, ასევე სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.*

*საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა. თავის მხრივ შეთანხმება პერსპექტივაა ერთის მხრივ, მაგრამ მეორეს მხრივ იგი დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. აღნიშნულია, რომ, ჩინეთი საქართველოს ერთდერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა და მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს დიდი პოტენციალი გააჩნია, რამაც უნდა უზრუნველყოს სხვა ღონისძიებებთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მომავალში ცხოვრების საერთო დონის ამაღლება.*

*საკვანძო სიტყვები: საქართველო, ჩინეთი, საგარეო ვაჭრობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება.*

ჩინეთი თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებში აქტიურადაა ჩართული, დიდი და მზარდია მისი სავაჭრო თუ ეკონომიკური პოტენციალი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, მისი მშპ 11,2 ტრლნ აშშ დოლარია [1], ხოლო სხვადასხვა კვლევით, ის მომავალში გაუსწრებს აშშ–ს. ჩინეთს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში ლიდერი პოზიციები უკავია, ის პირველი ექსპორტიორი და მეორე იმპორტიორია მსოფლიოში [2, გვ. 94; 8, გვ. 9]. ამასთან მას მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში მოწინავე პოზიციები უკავია. ბოლო პერიოდში საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შესამჩნევი და მზარდია ჩინეთის როლი და ადგილი. შესაბამისად მხარეებს შორის სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობერის კვლევა ფრიად აქტუალური პრობლემაა.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭროდეკონომიკური (და არა მხოლოდ) ურთიერთობები მასშტაბურად იზრდება. ჩინეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები, რამაც მისცა სტიმული მხარეებს შორის არსებული ისტორიული და კულტურული, ასევე სავაჭროდეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდგომ, საქართველომ და ჩინეთმა ათეულობით ორმხრივი შეთანხმების აქტს მოაწერეს ხელი. შეთანხმება ორმხრივი ვაჭრობის, ინვესტიციური შეთანხმებების ორმხრივი დაცვა და ა.შ. თავის მხრივ კი ჩინეთი საქართველოსთვის უმსხვილეს სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორს წარმოადგენს და ის შედის იმ 5 ქვეყანას შორის, რომელთაც მჭიდრო სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნიათ საქართველოსთან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ხელი მიმდინარე წლის 13 მაისს მოეწერა, შედეგად, ჩვენს ქვეყანას 1,37 მლრდ მომხმარებლის ბაზარი გაეხსნა. დოკუმენტს ხელი საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელითÆჩინეთის კომერციის მინისტრმა მოაწერეს [3].

მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატების ერთდერთი საფუძველი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის მიღწევაა, თუმცა, აღნიშნულს ქვეყანათა მცირე ჩამონათვალი თუ ახერხებს. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქვეყნების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სწრაფად მზარდ ქვეყნებს უმე-

ტესად აზიის სახელმწიფოები მიეკუთვნებიან: ჩინეთი, ასევე სამხრეთ კორეა, სინგაპური, ტაილანდი და იაპონია.

ჩინეთი, განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ქვეყანად ითვლება. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ ჩინეთი კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო გლობალიზაციის პროცესში და მიაღწია განვითარების მაღალ ეტაპებს. 2002 წლიდან 2011 წლამდე ამ ქვეყნის მშპ-ის საშუალო წლიური ზრდის ტემპი აღწევდა 10.6%-ს. გრძელვადიანი სწრაფი ზრდის ტემპის შემდგომ – 2012 წლიდან, ჩინეთის ეკონომიკა დაუბრუნდა ზრდის ნორმალურ ტემპებს და 2015 წლის ჩათვლით მისი მშპ-ს საშუალო ზრდის ტემპი 7.5%–ის ტოლი იყო. 2016 წელს მშპ-მ 11,2 ტრლნ დოლარი [1] შეადგინა, რითიც ის მეორე ადგილს იკავებს როგორც მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური ეკონომიკა, აშშდის შემდგომ, ბოლო წლებში თანმიმდევრულად იზრდება მისი გამოშვება მოსახლეობის ერთ სულზე.

ჩინეთის ეკონომიკა და საგარეო ვაჭრობა მეტად მზარდია, ჩინეთთან ევროკავშირს ყველაზე დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს [6, გვ. 99]. საგარეო ვაჭრობა დიდ როლს ასრულებს ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში. მას შემდგომ, რაც ჩინეთის ეკონომიკა გახდა ღია, ვაჭრობიდან მიღებულმა სწრაფმა ზრდამ, მშპ-ის ასევე მაღალი ზრდის ტემპი განაპირობა. 2005 წლიდან 2011 წლამდე ჩინეთი ინარუნებდა საშუალოს წლიურ 17%-იან ზრდის ტემპს საგარეო ვაჭრობაში. 2009 წელს კი ჩინეთის საქონლით სავაჭრო ბრუნვა 13.9 %-ით დაეცა (ექსპორტი 16%-ით, იმპორტი 11.2%-ით). 2012 წლიდან შედარებით ნელი ტემპით ზრდას აქვს ადგილი საგარეო ვაჭრობის ბრუნვას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით 2015 წელს ჩინეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (საქონლით ვაჭრობა) შეადგინა, დაახლოებით 4 ტრლნ აშშ დოლარი. აქედან 2.3 ტრლნ დოლარი მოდის ექსპორტზე, ხოლო 1.7 ტრლნ დოლარი – იმპორტზე.

2013 წელს ჩინეთის მთლიანმა სავაჭრო ბრუნვამ კომერციული მომსახურების სფეროში პირველად გადააბიჯა 500 მლრდ ნიშნულს, ხოლო 2015 წელს 751 მლრი დოლარი შეადგინა. მათ შორის 285 ტრლნ დოლარი (6%) მომსახურების ექსპორტზე, ხოლო 466 (10,1%) მომსახურების იმპორტზე მოდის [2, გვ. 96–97]. ამ მაჩვენებლებით ჩინეთს ექსპორტიორ ქვეყნებში უსწრებს აშშ და გაერთიანებული სამეფო, ხოლო იმპორტიორ ქვეყნებში უმნიშვნელოდ აშშ (469 ტრილიონი აშშ დოლარი და 10,2%). უნდა აღინიშნოს, ჩინეთში 2010 წლიდან 2015 წლის ჩათვლით საშუალო წლიური ზრდის ტემპი მომსახურების სფეროში 10%-ს აღემატება.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქონლით ორმხრივი ვაჭრობა ახალ, უფრო მაღალ დონეზე გადავიდა. ცხრილში მოცემულია მხარეებს შორის სავაჭრო მონაცემები 2005–2016 წლებში. აშკარააა, თუ როგორი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება 2005 წლიდან საქონლით ვაჭრობის ტემპები. ორმხრივი ვაჭრობის ბრუნვა 1992 წელს სულ რაღაც 4 მლნ დოლარს შეადგენდა. 10 წლის შემდგომ, 2002 წელს ამ მაჩვენებელმა 10 მლნ დოლარიან ნიშნულს მიაღწია. უკვე 2014 წლისთვის კი საქონლის სავაჭრო ბრუნვა 250-ჯერ გაიზარდა და 800 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. უკანასკნელი წლებია ორმხრივი სავაჭრო ბრუნვის მოცულობა ზრდის მაღალ ტემპებს აღწევს, რაც მომავალშიც კიდევ უფრო გაიზრდება.

მეტად მზარდია საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები. საქსტატის მონაცემების მიხედვით, თუ საქართველოს ექსპორტი ჩინეთში 1996 წელს 0,4 მლნ დოლარს შეადგენდა, 2006 წელს 10,3 მლნ დოლარამდე, ხოლო 2016 წელს 167,9 მლნ დოლარამდე გაიზარდა. ასევე თუ საქართველოს იმპორტ ჩინეთიდან 1996 წელს 1,4 მლნ დოლარს შეადგენდა, 2006 წელს 103,3 მლნ დოლარამდე, ხოლო 2016 წელს 547 მლნ დოლარამდე გაიზარდა. საქართველოს ექსპორტის მაჩვენებელმა ჩინეთში 100 მლნ დოლარს გადააჭარბა 2015 წელს. იმპორტმა ჩინეთიდან 100 მლნ დოლარს მიაღწია 2006 წელს, ხოლო 500 მლნ დოლარს – 2011 წელს. საქართველოდან ჩინეთში ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2016 წელს (168 მლნ დოლარი), ხოლო ჩინეთდან იმპორტის – 2014 წელს (733,5 მლნ დოლარი).

ჩინეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და ჩინეთს შორის ბოლო წლების განმავლობაში ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. საქსტატის 2016 წლის მონაცემებით, ჩინეთი საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის (715,7 მლნ დოლარი) მიხედვით მე-3 პოზიციაზეა (თურქეთისა და რუსეთის შემდეგ), ასევე ექსპორტისა (168 მლნ დოლარი) და იმპორტის (547,8 მლნ დოლარი) მიხედვით მე-3 ადგილზეა (ისევ თურქეთისა და რუსეთის შემდეგ). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის ექსპორტის ზრდა, როგორიცაა: ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური წყლები და სხვა.ჰჩვენი აზრით ახლო მომავალში ჩინეთი საქართველოს მე–2 სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა გახდება.

ცხრილი 01. [4]

საქართველოს ექსპორტი ჩინეთში და საქართველოს იმპორტი ჩინეთიდან 2005-2016 წლებში (ათასი აშშ დოლარი)

| წლები | საქართველოს ექსპორტი, სულ | *მათ შორის ჩინეთში* | | საქართველოს იმპორტი, სულ | *მათ შორის ჩინეთში* | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | აბსოლუტური | % | | აბსოლუტური | % |
| 2005 | 865 455,6 | 5 599,1 | 0,6 | 2 487 548,3 | 46 712,8 | 1,9 |
| 2006 | 936 374,6 | 10 351,0 | 1,1 | 3 674 832,4 | 103 331,8 | 2,8 |
| 2007 | 1 232 110,5 | 8 272,5 | 0,7 | 5 212 150,2 | 206 709,4 | 4,0 |
| 2008 | 1 495 345,2 | 8 992,7 | 0,6 | 6 301 540,3 | 298 331,1 | 4,7 |
| 2009 | 1 133 630,2 | 5 965,5 | 0,5 | 4 475 724,5 | 174 571,3 | 3,6 |
| 2010 | 1 677 306,9 | 27 050,4 | 1,6 | 5 235 964,6 | 335 160,0 | 6,4 |
| 2011 | 2 186 421,2 | 28 970,0 | 1,3 | 7 072 259,8 | 527 701,1 | 7,5 |
| 2012 | 2 376 635,4 | 25 674,7 | 1,1 | 8 056 379,0 | 614 416,7 | 7,6 |
| 2013 | 2 910 314,5 | 33 956,0 | 1,2 | 8 022 739,0 | 612 250,2 | 7,6 |
| 2014 | 2 861 045,2 | 90 393,3 | 3,2 | 8 601 814,4 | 733 467,5 | 8,5 |
| 2015 | 2 204 685,3 | 125 803,2 | 5,7 | 7 300 293,1 | 587 298,9 | 8,0 |
| 2016 | 2 113 136,1 | 167 896,2 | 7,9 | 7 294 281,2 | 547 768,8 | 7,5 |

სტაბილურად ვითარდება საქართველოსა და ჩინეთს შორის, სხვადასხვა სფეროში მომსახურებით ვაჭრობა. დღეისათვის ორი მთავარი სფერო, რომლებშიც ხდება ძირითადად მომსახურება არის ფინანსური და ტურისტული. მნიშვნელოვანია კომპანია ,,ჰუალინგ ჯგუფის'' საქმიანობის მასშტაბები საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში და მისი როლი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში.

საქართველოსა და ჩინეთს შორის არსებობს მასშტაბური განსხვავებები, როგორც ეკონომიკურ, ინდუსტრიულ სტრუქტურაში, ასევე პროდუქციის მრავალფეროვნებასა და წარმოების მოცულობაში. ორ ქვეყანას შორის დადებული თავისუფალის ვაჭრობის შეთანხმება, როგორც საქართველოს, ასევე ჩინეთს მოუტანს დამატებით მშპ-ის ზრდას, მაგრამ, ჩვენი აზრით, შეთანხმების გავლენა ჩინეთის ეკონომიკაზე იქნება ძალიან უმნიშვნელო. იგი ასევე გამოიწვევს ორივე ქვეყანაში სოციალურ კეთილდღეობის და ექპორტის რაოდენობის ამაღლებას. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ორივე მხარეს მოუტანს მნიშვნელოვან სავაჭრო–ეკონომიკურ სარგებელს და გააღრმავებს არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა. ამასთან შეთანხმება პერსპექტივაა ერთი მხრივ, მაგრამ მეორეს მხრივ, იგი დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ჩინეთ-საქართველოს შორის მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ხელს შეუწყობს ორმხრივი ვაჭრობის განტკიცებას და ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობების შექმნას. მართალია, ორივე ქვეყანაში საქონლის ბაზარი დღეს მაღალი ხარისხის ლიბერალიზაციით ხასიათდება, მაგრამ შეთანხმება კიდევ უფრო გაზრდის ბაზრების ეფექტიანობის დონეს და ქვეყნებს მიცემს საშუალებას სრულყოფილად გამოიყენონ ის შეფარდებითი უპირატესობები, რაც მათ სხვადასხვა საქონლის წარმოებაში გააჩნიათ.

გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტიც, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გავლენას მოახდენს არამარტო პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის ზრდაზე, არამედ გამოიწვევს უარყოფითი სავაჭრო სალდოს კიდევ უფრო გაზრდას. შეთანხმება ასევე სტიმულია, მხარეთა შორის მომსახურებით ვაჭრობის განვითარებისათვის. ორმხრივი ვაჭრობის შეთანხმება მასშტაბურ გავლენას მოახდენს მომსახურების სფეროს კიდევ უფრო განვითარებაზე, განსაკუთრებით საქართველოსთვის უზრუნველყოფს ფინანსური

საშუალებების მოზიდვას რაც მომავალი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. როგორც მოყვანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ჩინეთისა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის დინამიკა უკანასკნელ წლებში სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ჩინეთი შეუცვლელი პარტნიორი ხდება საქართველოსთვის სავაჭრო ურთიერთობებში. მართალია, იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მოცულობას, მაგრამ ბოლო წლებში შეინიშნება ექსპორტ-იმპორტის სალდოს შემცირება, რაც საქართველოს საგადასახდელო სალდოზეც დადებითად აისახება.

ჩინეთის ეკონომიკა ერთ–ერთი ყველაზე მზარდია მსოფლიოში. შესაბამისად, მისი წილი საქართველოს საგარეო ურთიერთობებში გაიზრდება, რაც საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობის ერთ–ერთ ძირითად გამოწვევად რჩება, უარყოფითი სავაჭრო სალდო. ჩინეთში დამზადებული საქონელი კონკურენტუნარიანობით გამოირჩევა მსოფლიოს მასშტაბით, შესაბამისად, არსებობს საფრთხე მხარეთა შორის უარყოფითი სავაჭრო სალდო კიდევ უფრო გაიზარდოს, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ეფექტით.

მიუხედავად ამისა, ჩინეთი, როგორც ერთ–ერთი უდიდესი ქვეყანა მსოფლიოში, საქართველოს ერთ–ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორია და მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს დიდი პოტენციალი გააჩნია, რამაც უნდა უზრუნველყოს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მომავალში ცხოვრების საერთო დონის ამაღლება.

## ლიტერატურა:


1. World development indicators, World bank, 2017.
2. World Trade Organization, ,,World Trade Statistical Review", 2016.
3. http://www.economy.ge/?page=news&nw=180
4. საქართველოს საგარეო ვაჭრობა (2016). საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2016 . სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). www.geostat.ge
5. მსოფლიო ეკონომიკა. პროფ. გ. თოდუასა და შ. ვეშაპიძის საერთო რედაქციით. თბილისი, 2001.
6. ფუტკარაძე რ. საქართველო–ევროკავშირის სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობები: პრობლემები და პერ-სპექტივები, თბილისი, ,,უნივერსალი'', 2010.
7. ფუტკარაძე რ. საქართველოს საგარეო ვაჭრობის აქტუალური საკითხების შესახებ. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტომი VIII. 2015
8. Wayne M. Morrison, China's Economic Rise: History, Trends, Challenges, and Implications for the United States. Congressional Research Service, 2014
9. Putkaradze R. (2010). Perspectives of Georgia-European Union Trade Relations. Istanbul International Annual Con-ference on the Economic Cooperation and Development within the Black Sea Basin Countries. Donetsk Nacionaluniversity. Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck.

# Development Tendencies of the Trade Relations between Georgia and China

Ramaz Putkaradze

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

Currently, trade and economic (and not only) relations between Georgia and China are widely increasing. China was one of the first states that recognized Georgia's independence and established diplomatic relations with the country. This led to further development of historical and cultural, as well as trade and economic relations between the countries.

Georgia is the first country in the region with whom China has signed a free trade agreement. On the one hand, the agreement is a perspective, but on the other hand it is also related with great challenges.

China is an important trade partner of Georgia. Bilateral trade relations between Georgia and China have had increasing trend in recent years. According to the 2016 data provided by the National Statistics Office of Georgia, China holds the third position (following Turkey and Russia) among the largest trade partners of Georgia by trade turnover (USD 717.7 million) as well as by export (USD 168 million) and by import (USD 547.8 million) (also following Turkey and Russia). Increase in the export of the products such as wine, alcohol drinks, beer, mineral waters and others is especially important. In our opinion, China will become the second largest trade partner of Georgia in near future.

The free trade agreement between Georgia and China will contribute to the strengthening of bilateral trade and creation of the conditions essential for economic growth. Although commodity markets in both countries are characterized by high level of liberalization, the future agreement will further increase efficiency of the markets and provide opportunities for the countries to utilize the advantages that they have in the production of different goods.

Thus, China is one of the main trade partners for Georgia and the trade relations between the countries have great potential, which, together with other activities, should ensure economic growth of the country and improvement of the overall level of living in future.

***Keywords***: Georgia, China, foreign trade, free trade agreement.

# სოციალური რეკლამის მნიშვნელობა და ეფექტურობა თანამედროვე საქართველოში

ნარგიზა ქარქაშაძე

*ასოცირებული პროფესორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სოციალური რეკლამის მნიშვნელობისა და ეფექტურობის განსაზღვრის საკითხი საკმაოდ რთულია და მოითხოვს ღრმა და სისტემურ შესწავლას. სტატიაში აღწერილია სოციალური მარკეტინგის და მისი ინსტრუმენტის სოციალური რეკლამის როლს. ასევე გადმოცემულია სოციალური რეკლამის ეფექტურობის არსი და მიდგომები,- შეფასებულია ამ კუთხით ჩატარებული კვლევის შედეგები. სტატიაში ასევე მოყვანილია სოციალური რეკლამის მაგალითები და შედეგები, რაც მოჰყვა მის გაშუქებას და ის ღონისძიებები, რომელიც უნდა გაატაროს ხელისუფლებამ იმ სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც არსებობს საზოგადოებაში.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური მარკეტინგი, სოციალური რეკლამა, სოციალურიპ რობლემები, სოციალური რეკლამის ეფექტურობა.*

თანამედროვე პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციას, რომელიც ეხება სოციალური საკითხების გაშუქებას. ეს კი, 1906 წლიდან იწყება, როდესაც საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ამერიკის სამოქალაქო ასოციაცია", შექმნა პირველი რეკლამა, რომელშიც ნიაგარის ჩანჩქერის მიერ ენერგოკომპანიებზე მიყენებული ზარალი აისახა [1].

მოსახლეობის მესამედზე მეტი მსოფლიოში თავისი ცხოვრების წესით შორს დგას კეთილდღეობის სტანდარტებისაგან. სოციალურად სამართლიანი საზოგადოების მოთხოვნა დღეს პოპულარულია არა მარტო პოლიტიკური სპექტრისთვის. სოციალური ფასეულობებით აპელირება ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი გახდა. საზოგადოებაში განსხვავებული ფასეულობების დამკვიდრებამ, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისაკენ სწრაფვა მსოფლიო ახალი ინტერნატივების წინაშე დააყენა. სოციალური უთანასწორობის გაღრმავებამ, შემოსავლების წარმოუდგენელმა დისპროპორციამ, სოციალური ცხოვრების სისტემური ცვლილებების აუცილებლობა მოითხოვა. საჭირო გახდა მძლავრი სოციალური ინსტიტუციის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფდა ბიზნესის და საზოგადოებრივი მოთხოვნების ინტერესთა ერთიანობას საზოგადოებრივი კეთილდღეობის დამკვიდებისათვის [2,გვ.7].

სოციალური მარკეტინგის კამპანია მიზანმიმართული ღონისძიებათა სისტემაა მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტის, ქცევის შეცვლისა და საზოგადოების ჩართულობის ზრდის თვალსაზრისით. სოციალური მარკეტინგის კამპანიები დიდი წარმატებით ხორციელდება მთელ მსოფლიოში და მათი საქმიანობის სფერო მეტად მრავალფეროვანია, თუმცა პოზიტიური ცვლილებები ჯერ კიდევ არასაკმარისია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური კეტილდრეობისაკენ მიმართული ღონისძიებების მხრივ. სოციალური მარკეტინგული კამპანიები მიმართულია ისეთი პრევენციული ღონისძიების გატარებისა და არასასურველი ქცევის შეცვლისაკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ კეთილდრეობის ზრდას ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით გარკვეული წარმატებები არის მიღწეული [2,გვ.256].

სოციალური მარკეტინგის კონცეფციის ფორმირებასა და განვითარებაზე გავლენა მოახდინა შემდეგმა ფაქტორებმა:

- მარკეტინგული გარემოს პერმანენტულმა ცვლილებებმა მომხმარებლისა და მწარმოებლის ურთიერთობაზე;
- სოციალური ცვლილების მიმდინარეობამ და ინოვაციების გამოყენების აუცილებლობამ;
- სოციალური ქსელების გავლენა ბიზნესის სფეროზე;
- ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო რეგულირების ზრდის ტენდენციამ, ბიზნესისა და სახელმწიფო ურთიერთობის გაღრმავებამ;

- ბიზნესის პოზიტიური იმიჯის შენარჩუნების აუცილებლობამ;
- არაკომერციული სფეროს განვითარებამ;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ხელმძღვანელობის ინფორმირების აუცილებლობამ.

სოციალური მარკეტინგი ადამიანთა საჭიროების უკეთ გაგებისა და მატი ინტერესების დამცველად გვევლინება. მისი მიზანია საზოგადოების ქცევაზე აქტიური რეაგირება, მაგალითად, დაარწმუნოს მომხმარებელი არ მოწიოს სიგარეტი, იცხოვროს ჯანმრთელი ცხოვრეის წესით. სოციალური პრობლემების გამწვავებამ, რესურსების არათანაბარმა და არათანამიმდევრულმა გადანაწილებამ განაპირობა სოციალური უთანასწორობის პრინციპების გაღრმავება საზოგადოებაში. დღის წესრიგში დადგა ახალი სოციალური იდეებისა და ფასეულობების განხორციელების აუცილებლობა [2,გვ.29-30].

სოციალური რეკლამის მიზანია გაამახვილონ ყურადღება კონკრეტული პროდუქტის მიმართ, ეს პირდაპირი მნიშვნელობით იქნება თუ საზოგადოების მიპყრობით ამა თუ იმ საკითხთან. მაგრამ ზოგჯერ საზოგადოების ნაწილი თვალს ხუჭავს იმ მნიშვნელოვან ფაქტებზე, რომელიც ჩვენ ცხოვრებას ანადგურებს, ასეთია ავტოსაგზაო შემთხვევა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია, მიტოვებული ბავშვები და სხვა. როგორ არ უნდა იმოქმედოს ამ ყველაფერმა ადამიანზე? სწორედ იმიტომ შეიქმნა სოციალური რეკლამა, რომ დავფიქრდეთ, ჩავუღრმავდეთ საკუთარ თავს და არ განვიცადოთ აღნიშნული მარცხი[3].

სოციალური პრობლემების ჩამონათვალი საკმაოდ ბევრია, რაც განაპირობებს სოციალური რეკლამის აუცილებლობას. ეს პრობლემები შეეხება საჭესთან ტელეფონზე საუბარს, რომლის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულია ფულადი ჯარიმა 40 ლარი და 100 ქულას აკლდება 15 ქულა; ოჯახში ძალადობის ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია როგორც ქალების, ასევე ბავშვების მიმართ ძალადობას. საქართველოში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია. საქართველოში გააქტიურდა სოციალური რეკლამა, რომელიც ძალადობის შედეგად დაზარალებულ ბავშვებს ეხმარება; მიტოვებულბავშვებს და მშობელთა მზრუნველობასმოკლებულ ბავშვებს. „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ დაეხმარა 6425 ოჯახს. აღნიშნულ საკითხში სოციალური რეკლამის მეშვეობით, დაინტერესება ხდება საზოგადოების, რაც ეხმარება ახალი პარტნიორი ორგანიზაციებისა და მეგობრების მოძიებაში;საჭესთან მთვრალი მძღოლების დაჯდომის აკრძალვას. 2016 წლის მონაცემებით, საქართველოში ავტოავარიების შედეგად დაააავდა 2159 და დაიღუპა 581 ადამიანი. აქედან, 145 -ის ასაკი არ აღემატება 18-ს; ცხოველების დაცვის, ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებზე მრავალი სოციალური რეკლამაა მიძღვნილი; იგივე შეიძლება ითქვას ნაგვის დაყრის; ბავშვთა მოწევის წინააღმდეგ კამპანიაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე[4].

ასევე, აღსანიშნავია გლობალური სოციალური პრობლემა –შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა, მსოფლიოში სოციალური მარკეტინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, წარმატებული მიმართულებაა, რომელიც იყენებს მარკეტინგულ ინსტრუმენტებს ამ მეტად საშიში დაავადების წინააღმდეგ.რაც პირდაპირ ან ირიბად არეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ხელს უწყობს სასოფლო–სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას.

სოციალური მარკეტინგული საქმიანობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გარემოს დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან. ეკოლოგიური პრობლემები გლობალური ხასიათისაა. ყველა ქვეყანაში მოქმედებს გარემოს დაცვითი ნორმები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად არეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას და ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას.

სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიაა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანსაღ ცხოვრებას. საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრობიზნესის კომერციული და სოციალური მარკეტინგული სტრატეგიების მიზანმიმართულ რეალიზაციაზე.

სოციალური მარკეტინგის მნიშვნელოვან მიმართულებად ითვლება ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პროგრამები. საქართველოში სოციალური მარკეტინგის ეგიდით განხორციელდა USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „Sustain “(შენარჩუნება). პროექტის ფარგლებში მოეწყო კამპანია ლოზუნგით „კონტრაცეფცია: უსაფრთხო და სანდო არჩევანი“. აღნიშნული კამპანია ტარდება საქართველოს

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და სხვა მაღალი რანგის დაწესებულებებთან თანამშრომლობით[2,გვ.256, 259–260].

მეტად ინტენსიურია იოდდეფიციტის პროგრამა საქართველოში. იოდის დეფიციტი აღინიშნება როგორც სრულწლოვან ადამიანებში, ასევე ბავშვებსა და ორსულებში. ბავშვთა/მოზრდილთა 38%-ს აღენიშნება ჩიყვი. დღესდღეობით, საქართველოში აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია. გარკვეული მუშაობა ჩატარდა იოდიზირებული მარილის, როგორც სოციალური პროდუქტის პოზიციონირებაზე მომხმარებლის ცნობიერებაში. აუცილებელია გაცნობიერებული იქნეს ის ფაქტი, რომ ჯანსაღ კვებას და ორგანიზმისათვის საჭირო მინერელების მუდმივ მიღებას შეუძლია სიცოცხლის გახანგრძლივება, ენერგიული და ბედნიერი ცხოვრების შექმნა.

სიმსუქნე და ჭარბი წონა თანამედროვე მსოფლიოს მეტად მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა. სწრაფი კვების ინდუსტრიის ბიზნესის განვითარებამ იგი აქცია სხვადასხვა დაავადებისა და ჯანმრთელობის პრობლემის რისკის მატარებლად.

მსოფლიოში არსებობს სიმსუქნესთან ბრძოლის მრავალი გამოცდილება და პროგრამა. მათგან აღსანიშნავია სასკოლო ინიციატივები, რაც დასაწყისშივე ცდილობს პრობლემის პრევენციას. ეს არის „დღეში 5“, რომელიც შემუშავებული იქნა კვების ნაციონალური ორგანოს მიერ და ხელს უწყობს მოზარდებში ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებას. ასევ მნიშვნელოვანია კამპანიები, რომელიც მოუწოდებს ადამიანებს მეტი ფიზიკური აქტივობისაკენ.

თამბაქოს მოწევის წინააღმდეგ მოძრაობის აქტიური გამტარებელია სოციალური მარკეტინგის კამპანია, რომელიც მეტნაკლებად წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში თამბაქოს მოხმარების შესამცირებლად მიმართულ საკანონმდებლო ღონისძიებები საკმაო, მაგრამ მისი განხორციელების მექანიზმები არ არის ეფექტიანი. თამბაქოს რეკლამა აკრძალულია ტელევიზიასა და რადიოში, მაგრამ ბეჭდური მედია და გარე რეკლამები, ასევე სიგარეტის რეალიზაციის პუნქტებში არსებული რეკლამა უხვად არსებობს.სიგარეტის მოხმარება განსაკუთრებით გავრცელებულია 13–55 ასაკობრივ ჯგუფებში –73%. საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული სიგარეტის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. გამოკვლევის მიხედვით თამბაქოს ბაზარი საქართველოში 10 მლრდ ღერის დონეზეა, რომლის საშუალო ღირებულება 0,58 მლრდ ლარს შეადგენს. საქართველოში ამ პრობლემის მოსაგვარებლად გასატარებელ ღონისძიებებს ჯერ კიდევ არ შეიძლება ეწოდოს ეფექტიანი, რადგანაც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველო ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მწეველ სახელმწიფოდ ითვლება. აქ მილიონ შვიდასი ათასი მწეველია, რაც ქვეყნის მოსახლეობის მესამედზე მეტია. უმძიმესი ვითარებაა მოზარდებში, განსაკუთრებით გოგონებს შორის.

მთლიანობაში, როგორც საქართველოში, ასევემსოფლიო, ქვეყნების მოსახლეობის გაცნობიერებულობა აღნიშნულ საკითხში იზრდება, რაც იძლევა თამბაქოსთან ბრძოლის რეალურ საფუძველს და ქმნის მნიშვნელოვან ბერკეტებს ანტინიკოტინური მოძრაობის გაძლიერებისათვის.

ბოლო ათწლეულებში მომხდარმა სოციალურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა გამოიწვია მომხმარებელთა მიერ სპირტიანი სასმელებისადმი დამოკიდებულების ზრდა. დღესდრეობით მსოფლიოში დაახლოებით 2 მლრდ ადამიანი მოიხმარს ალკოჰოლურ სასმელებს, რასაც შესაძლოა მათ ჯანმრთელობასა და სოციალური ცხოვრებაზე უარყოფითი ზეგავლენა მოჰყვეს.

საქართველო ღვინის ქვეყანაა და ღვინოსთან დაკავშირებული ტრადიციები საუკუნეებს ითვლის, თუმცა ბოლო დროს ადგილი აქვს ალკოჰოლიზმის უამრავი შემთხვევის გამოვლინებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში, რაც საგანგაშოა.ამიტომ, აუცილებელია ალკოჰოლიზმთან ბრძოლა ადრეულ ასაკშივე დავიწყოთ.

ალკოჰოლიზმის მასობრიობას ხელი შეუწყო სოციალურიპრობლემების გამწვავებამ, უმუშევრობის ზრდამ, ძალადობის შემთხვევებმა ოჯახებში, სადაც თუნდაც ერთდერთი მშობელთაგანი ალკოჰოლის მომხმარებელია. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია ალკოჰოლური სასმელების ხშირი მოხმარებით გამოწვეული მავნე შედეგების შეესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საქართველოში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ხშირია ალკოჰოლის მიღება ახალგაზრდულ სეგმენტში. ამიტომ აუცილებელია ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილება, რათა საზოგადოებამ გააცნობიეროს აღნიშნული სოციალური პრობლემის სიმწვავე.

საგზაო უსაფრთხოების სფეროში, მსოფლიოს მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილება უსაფრთხო ღვედების მოხმარებასთან დაკავშირებით. ამ კუთხით ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო ღვედების მოხმარების მიმართ მძღოლებისა და მგზავრების დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის შედეგად გამოვლინდა უსაფრთხოების ღვედების მოხმარების ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. რესპონდენტებმა პოზიტიური დამოკიდებულება დააფიქსირეს ღვედის შესახებ კანონმდებლობის მიღების აუცილებლობის მიმართ. სწორედ ამ კუთხით 2010 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოში კანონიღ სავალდებულო გახდა უსაფრთხოების ღვედის ხმარება. ამ მუხლის შეუსრულებლობისათვის დაწესდა ჯარიმა 40 ლარის ოდენობით. ამ კანონით მიღებამ და სათანადო ინფორმაციულმა კამპანიამ კარგი ზემოქმედება მოახდინა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე, რაც გამოიხატა მომხმარებელთა ქცევის შეცვლით.

სოციალური რეკლამის დანიშნულების შესწავლისათვის ჩატარებული იქნა ექსპერტთა გამოკითხვა, რის შედეგადაც 43,8 % აღნიშნა, რომ ის დანიშნულია „‡”‘-,‣† პრობლემებზე ყურადღების მისაპყრობათ. სწორედ ყურადღების მიპყრობის პროცესში წყდება სხვა ჩამოთვლილი დანიშნულებები. ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ არსებობს სოციალურ რეკლამაზე მოთხოვნილება, რით არის ეს განპირობეული? ამ კითხვით მივმართეთ 100-ზე მეტ რესპოდენტს, რომელთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა (იხ.დიაგამა 1).

ასევე მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რითაა განპირობებული მოთხოვნილება სოციალურ რეკლამაზე (იხ. დიაგრამა 2)[5].

დიაგრამა 1




თუ არსებობს მოთხოვნილება სოციალურ რეკლამაზე, მაშინრითაა ეს განპირობებული?

დიაგრამა 2




ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოციალური პრობლემის გადჭრისათვის გატარებული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია სოციალური რეკლამის ეფექტურობის საკითხი. სოციალური რეკლამის ეფექტურობა იზომება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა: ამ და სხვა სოციალური ფენომენის, ცნობადობა საზოგა-

დოების მიერ მასთან დამოკიდებულებაში საზოგადოებრივი პოზიციის შეცვლა, მდგრადი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

სოციალური რეკლამის ეფექტურობა მდგომარეობს მიზნობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების შედეგებში, გამოვლენილ ტრანსფორმაციებში მის ნეგატიურ სტერეოტიპებსა და მრწამსთან, ცხოვრების წესის და ქცევის შეცვლასთან, სოციალური ფასეულობების ფორმირებასთან. ამასთან ძირითადი შედეგი, რაც მას მოაქვს, შეიძლება გამოვლინდეს გრძელვადიან პერსპექტივაში – რამდენიმე წლის ან მთელი თაობის შემდეგ. რაც უფრო ღრმაა სოციალური რეკლამის ზემოქმედება ადამიანის ცნობიერებაზე, მით უფრო მეტია მისი ეფექტურობა.

სოციალური რეკლამის ეფექტურობას აქვს ხუთი დონე, ესენია:მიღწევა მიზნობრივი ქცევის მიღწევა;- რეციპიენტის სურვილი მიჰყვეს ქცევის შეთავაზებულ მოდელს;მრწამსის ფორმირება;მათ მიერ ინფორმაციის შეთვისება;რეციპიენტის ცნობიერების ამაღლება.

რაც შეეხება სოციალური რეკლამის ეფექტურობის კრიტერიუმებს, შემდეგია: კონცენტრაცია ერთ იდეაზე; ზუსტი მიზნობრივი აუდიტორია; უნარი მიიპყროს და შეინარჩუნოს ყურადღება; გაგება; ცნობადობა; დამახსოვრებადობა; დამაჯერებლობა; მოტივირების უნარი.

დაბოლოს, სოციალური რეკლამის ეფექტურობის შეფასების ამოცანის გადაწყვეტისას, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კომპლექსური კვლევით მეთოდიკები, მიმართული აღქმის ეფექტურობის შეფასებაზე ჯერ კიდევ სარეკლამო პროდუქტის შემუშავების სტადიაზე. სოციალური ეფექტის შეფასებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია ინოვაციური შეფასებითი მეთოდიკებისშემუშავება [6].

**ლიტერატურა:**


1. http://kpfu.ru/portal/docs/F1284211246/Socialnaya.i.politicheskaya.reklama.pdf
2. ჩარიტა ჯაში სოციალური მარკეტინგის საფუძვლები გამომცემლობა „უნივერსალი" 2012 წელი
3. http://intermedia.ge
4. https://www.marketer.ge/look-the-road-in-the-eye/
5. კვლევის შედეგები
6. http://www.sociama.ru


## Social Advertising, its Importance and Effectiveness in Modern Georgia


Nargiza Karkashadze

*Associated professor*

*Akaki Tsereteli State University*



**R e s u m e**

The issue of defining the importance and effectiveness of social advertising is actually quite difficult and requires a deep and systematic study.In this article we will describe social marketing and the role of social advertising of its instrument. We also convey the essence of the effectiveness of social advertising and point out the existing approaches to its assessment and the results of the survey conducted in this regard. The article also includes examples of social advertising, which has resulted in its coverage and measures to be taken by the government to address the social problems that exist in society.



***Keywords: Social Marketing, Social Advertising, Social Problems, Effectiveness of Social Advertising.***

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და მართვის ძირითადი ასპექტები საქართველოში

გიული ქეშელაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და მართვის აქტუალური საკითხები. გაანალიზებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ საქართველოს კანონის შინაარსი, მეპაიეს უფლებები და ვალდებულებები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მონიტორინგის ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი. გამოვლენილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის თავისებურებანი საქართველოში. ევროპის წამყვანი სახელმწიფოების კოოპერაციის სამართლებრივი რეგულაციების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები კოოპერატივების მართვის სრულყოფისათვის.*

*საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; ეკონომიკური მონაწილეობა; მეპაიე; მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.*

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და განვითარების საკითხი საქართველოს აგრარული სექტორის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. დარგს, რომელშიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 43 %-ია დასაქმებული, მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 9,2 %-იანი წილი უკავია. დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80 % იმპორტირებულია. აგრარული წარმოების კრიზისული მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის სტიმულირებას. ამ თვალსაზრისით საქართველოს მთავრობის მხრიდან გარკვეული ნაბიჯები იდგმება. განსაკუთრებით აქტუალურია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საკითხი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქართული სოფლის განვითარებისა და სასურსათო და კვების უსაფრთხოების პრობლემათა მოგვარებაში. ჩვენი კვლევის მიზანია წინა პლანზე წამოვწიოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და მართვის პრობლემები, რომელიც სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართულ სოფელში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის გარეშე ვერ მოხდება მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, მიგრაციის შეჩერება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, აგროეკოლოგიური და ბიოლოგიური წარმოების დანერგვა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ჩამოყალიბება საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. კოოპერაციული მოძრაობა ფართოდ აისახა იმ პერიოდის პრესაში. 1909 წელს თბილისში გამოიცა კონსტანტინე კანდელაკის წიგნი ,,კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“. 1911 წლიდან ქუთაისში დაიწყო ჟურნალ ,,კოოპერაციის“ გამოცემა, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა სიახლეები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მკითხველი ეცნობოდა ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და მიღწევებს კოოპერატივების შესახებ, იკითხებოდა ლექციები აღნიშნულ თემაზე და კოოპერაციული მუშაობა მასშტაბური ხდებოდა. ადამიანებს სჯეროდათ, რომ კოოპერატივები გახდებოდა სიღარიბისაგან თავის დაღწევის საშუალება. აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მრავალი კოოპერატივი ფუნქციონირებდა: მეცხვარეთა კოოპერატივი ,,მწყემსი“, სავაჭრო ამხანაგობა ,,კოლხიდა“, ,,ავლევის“ სამეურნეო ამხანაგობა, სავაჭრო ამხანაგობა ,,შუამავალი“ და სხვ. ზემოაღნიშნულ კოოპერატივებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან. მათი საქმიანობის მასშტაბები, გასაღების ბაზრები და პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება მუდმივად იზრდებოდა. ამ თვალსაზრისით, საქართველოში ყველაზე წარმატებული კახეთის რეგიონი იყო, სადაც უმეტესად მევენახეთა კოოპერატივები იქმნებოდა. 1921 წლისათვის საქართველოში უკვე 900-მდე კოოპერატივი ფუნქციონირებდა, რომელიც მილიონზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. საქართველო დინამიური და დემოკრა-

ტიული განვითარების პროცესებში აქტიურად იყო ჩართული. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმატებულ ფუნქციონირებას 1921 წელს ბოლო მოუღო საბჭოთა ოკუპაციამ. კოლექტივიზაციის პროცესის განხორციელების შედეგად კოოპერატივები საბოლოოდ დაშალეს და ლიდერთა ჯგუფი ფიზიკურად გაანადგურეს.

დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა და განვითარება საქართველოს აგრარული სექტორის ერთ-ერთი გამოწვევაა. ,,საქართველოსთვის ფერმერულ მეურნეობათა განვითარებას მნიშნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. დღეს ქვეყანაში უმეტესად მცირემასშტაბიანი მეურნეობები ფუნქციონირებენ და ისინი პროდუქტების მხოლოდ თვითმოხმარების ფუნქციას ასრულებენ. ფაქტიურად მოსახლეობა მეტ იმპორტირებულ აგროსასურსათო პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს"[1].

2017 წლის 1 იანვრის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 1586 სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: კახეთი-156; ქვემო ქართლი-224; მცხეთა-მთიანეთი-86; შიდა ქართლი-119; სამეგრელო - ზემო სვანეთი-127; გურია-53; აჭარა-155; სამცხე-ჯავახეთი-358; იმერეთი-124; რაჭა-ლეჩხუმი-132; თბილისი-52 [2]. კოოპერატივები რაჭა--ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთის რეგიონებში ყველაზე თანაბრადაა განაწილებული, ხოლო ყველაზე არათანაბრად სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სადაც ძირითადად კარტოფილის მწარმოებელი კოოპერატივებია გავრცელებული. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებიდან საქართველოში დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია მეფუტკრეობის, რძის მწარმოებელი, თხილის მწარმოებელი და მევენახეობის კოოპერატივები.

ამჟამად კოოპერატივები წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მასში დაახლოებით მლრდ ადამიანია გაერთიანებული. ყველაზე ფართოდაა გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო (30%), სავაჭრო (23%), სადაზღვევო (22%) და საკრედიტო კოოპერატივები (19%). ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ევროპის სახელმწიფოთა სოფლის მეურნეობის სტუქტურაში. ევროპაში პირველად წარმოებებში მცირე ფერმერთა დიდი ნაწილია გაერთიანებული. მათი უმრავლესობა კოოპერატივების წევრია. სასოფლოდსამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ევროკავშირის მასშტაბით 9 მილიონს აღწევს, ანუ ყოველი სამი ფერმერიდან ორი მაინც ერთ კოოპერატივშია გაწევრიანებული. სასოფლოდსამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშვებისა და მარკეტინგის 60%-ზე მეტი კოოპერატივებზე მოდის.

ევროპის ქვეყნების კოოპერატივების მაგალითები საინტერესო ინფორმაციაა საქართველოში მათი გამოცდილების განზოგადებისათვის. ევროპის ქვეყნებში კოოპერაციის სამართლებრივი რეგულაციები დაფუძნებულია კონსტიტუციაზე, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, კოოპერატივების, საბანკო და საგადასახადო კანონმდებლობებზე. მაგალითად, გერმანიაში კოოპერაციული საქმიანობა დაფუძნებულია გერმანიის ფედერალურ კანონზე ,,კომერციული და სამეურნეო ამხანაგობების" შესახებ, რომელიც 1889 წელს იქნა მიღებული, დიდ ბრიტანეთში – ,,სამრეწველო გაერთიანებებისა და ურთიერთდახმარების საზოგადოებების" შესახებ კანონზე. პორტუგალიაში კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობის ძირითად საფუძველს წარმოადგენს კოოპერაციული კოდექსი. აქ კოოპერატივები წარმოადგენენ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსის იურიდიულ პირებს, რაც გამოიხატება კოოპერატივების მიმართ საგადასახადო შეღავათების დაწესებაში. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის ღონისძიებები გათვალისწინებულია კოოპერატივების განვითარების პროგრამაში. იტალიაში კოოპერატივების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს სხვადასხვა კანონი, მაგალითად, კონსტიტუციის 45-ე მუხლში, ნათქვამია, რომ რესპუბლიკა აღიარებს კოოპერაციის სოციალურ ფუნქციას, კოოპერაციის მიზნები ჩამოყალიბებულია იტალიის სამოქალაქო კოდექსში, სადაც მითითებულია, რომ კოოპერაციის მიზანს წარმოადგენს მისი წევრებისათვის უკეთესი მომსახურეობისა და სამუშაო პირობების შექმნა, ვიდრე ეს შეუძლია მოახდინოს თავისუფალმა ბაზარმა. უკრაინაში ყველა იურიდიული პირი დაყოფილია სამეწარმეო და არასამეწარმეო საზოგადოებებად. მწარმოებელი კოოპერატივები აღიარებულია სამეწარმეო საზოგადოებად, ხოლო სამომხმარებლო კოოპერატივები – არასამეწარმეო საზოგადოებად. არასამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია უკრაინის სამოქა-

ლაქო კოდექსით. დანიასა და ბელგიაში დღემდე არ არსებობს სამართლებრივი აქტები, რომელიც დაარეგულირებს კოოპერატივების საქმიანობასა და კოოპერატივების ფუნქციონირების ძირითად მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს. აქ კოოპერატივების საქმიანობა რეგულირდება კოოპერატივების მიერ შემუშავებული შიდა ნორმატიული აქტებით.

ევროპული გამოცდილების თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი რასაც კოოპერატორები იღებენ კოოპერაციის შედეგად, არის ხელმისაწვდომობა ტექნიკასა და მანქანა-დანადგარებზე, ბაზარსა და ინფორმაციაზე, ხელმისაწვდომობის ზრდა სპეციალიზაციაზე და საქმის განაწილება. ევროპაში ძირითადად გავრცელებულია ორი ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: საწარმოო კოოპერატივები და მომსახურების ტიპის კოოპერატივები. საწარმოო კოოპერატივებში კოოპერატივების წევრები ერთობლივად ახორციელებენ პროდუქციის წარმოებას; საერთო საკუთრებაში აქვთ წარმოების საშუალებები (მიწა, შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა; მექანიზაციის საშუალებები და სხვა.) და ერთობლივად იყენებენ მათ. საწარმოო კოოპერატივებში ეკონომიკური საქმიანობა ეფუძნება კონსოლიდირებულ საწარმოო საშუალებებს, რაც ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მათ ინდივიდუალურ, მცირე მეურნეობებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოებული მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ მასშტაბის ეკონომია პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეზე არ გვაქვს. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ირკვევა, რომ საწარმოო კოოპერატივები ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან შედარებით ნაკლებ ეფექტიანია. ამას ადასტურებს, ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს კოოპერატივების ალიანსის (ICA) მონაცემებით საწარმოო კოოპერატივების ხვედრითი წილი გლობალურ კოოპერაციულ სისტემაში 5%-ს არ აღემატება [3]. მომსახურების ტიპის კოოპერატივები კოოპერატივების ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. ამ ტიპის გაერთიანებაში კოოპერატივის წევრები არ ახდენენ ქონებისა და საწარმოო საშუალებების კონსოლიდაციას. კოოპერატივი მის წევრებს შესაძლებლობას აძლევს საწარმოო აქტივები შეიძინონ შედარებით დაბალ ფასად (თუ გაერთიანებამდე ისინი ინდივიდუალურად წარმოქმნიდნენ საცალო მოთხოვნას, გაერთიანების შემდეგ წარმოქმნიან საბითუმო მოთხოვნას); მოახდინონ პროდუქციის გაერთიანება, გადამუშავება და ერთობლივი რეალიზაცია; აწარმოონ ერთობლივი მარკეტინგი; მიიღონ დარგობრივი და სხვა ტიპის კონსულტაციები. მომსახურების ტიპის კოოპერატივების ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ტრანზაქციებში ყველაზე დიდია; მაგალითად, აშშ-ში საშუალოდ 30%-ს შეადგენს, ევროკავშირში 50%-ს, ხოლო იაპონიაში კი 85%-ს [3].

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში გაუაზრებლად ჩატარებული მიწის რეფორმის შედეგად საკმაოდ დანაწევრდა ქართული მიწები. მოსახლეობის 90%-ზე მეტს მფლობელობაში აქვს მხოლოდ 2 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, რომელზე მუშაობაც არაეფექტიანია. აღნიშნული პრობლემების მოგვარებისა და მცირე ფერმერთა დახმარების მიზნით აქტიური მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესაქმნელად. 2013 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ამავე პერიოდში დამტკიცდა საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. შეიქმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბაზა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობისათვის.

საქართველოს კანონში - ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის" შესახებ, განსაზღვრულია მათი შექმნისა და ფუნქციონირების ორგანიზაციული ნორმები. აღნიშნულ კანონს უპირატესობა გააჩნია ,,მეწარმეთა შესახებნ საქართველოს კანონთან შედარებით, რომელიც არეგულირებს ყველა სახის სამეწარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებთან ურთიერთობებს. ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ძირითადი პრიციპები, დემოკრატიული მართვა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიზნები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საქმიანობის სფეროები, ,,სასოფლო-სამეურნეო სააგენტოს" ფუნქციები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვება და შეწყვეტა, კოოპერატივების საქმიანობის მონიტორინგი, კოოპერატივის წევრობა, წევრთა უფლებები და მოვალეობანი, წევრების მიერ პაის შეტანის წესი, პაის სახეები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მოგების განაწილება და სხვ. ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" კანონის გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ორგანიზაციული მოწყობა და შიდასაწარმოო ურთიერთობები რეგულირდება კოოპერტივის წესდებით და კოოპერატივსა და მის წევრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით [4].

რადგან კოოპერატივი ეფუძნება ნებაყოფლობითი წევრობის, საქმის ერთგულების, ლიდერობის, ჯანსაღი და ეფექტიანი მართვის პრინციპებს, იგი მცირე ფერმერს საშუალებას აძლევს, რომ თავისი საქმე დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით ააგოს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაწევრიანება ნებაყოფლობითია, ყველა წევრი თანასწორია, მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა რაოდენობის ქონებით შევა გლეხი კოოპერატივში - 100 ჰა-ით, თუ 1 ჰა-ით. ერთ წევრს ყველა შემთხვევაში ერთი ხმა აქვს. კოოპერატივის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: ნებაყოფლობითი წევრობა; დემოკრატიული მართვა; მეპაიეთა ეკონომიკური მონაწილეობა; სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ურთიერთდახმარება.

კოოპერატივის მართვა ხორციელდება კოოპერატივის საერთო კრების მიერ არჩეული მმართველობითი და მაკონტროლებელი ორგანოების მიერ. მმართველობით ორგანოებს მიეკუთვნება სამეთვალყურეო საბჭო, წარმომადგენელთა კრება და გამგეობა, ხოლო მაკონტროლებელ ორგანოს – სარევიზიო კომისია. კოოპერატივის წევრები აკონტროლებენ მმართველი ორგანოების ფუნქციონირებას სამეწარმეო საქმიანობის ყველა დონეზე. მართვის დემოკრატიული ფორმა საშუალებას აძლევს კოოპერატივს დაიცვას და შეინარჩუნოს მისი ინდენტურობა და ღირებულებები, რაც მას არსებითად განასხვავებს სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებიდან. ,,ეკონომიკური მონაწილეობა“ გულისხმობს სასაქონლო ბრუნვაში მეპაიეს მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებული, ან მიწოდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ან გაწეული მომსახურების ღირებულების ხვედრით წილს. იგი გამოხატავს მეპაიეს ფუნქციას, რომ უშუალოდ იყოს ჩართული კოოპერატივის საქმიანობაში. „მეწარმეთა შესახებ“ კანონისგან განსხვავებით, სადაც კოოპერატივის წევრი საქართველოში დივიდენდს იღებს მისი პაის პროპორციულად, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ კანონის მიხედვით მეპაიე დივიდენდს იღებს მისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც ექვემდებარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სააგენტო ამოწმებს კოოპერატივის საქმიანობის შესაბამისობას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, გეგმიური, ან არაგეგმიური მონიტორინგის საშუალებით. გეგმიური მონიტორინგის დროს, წინასწარ, მონიტორინგის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე უნდა ეცნობოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. თუ არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არღვევს საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სააგენტოს თავმჯდომარის დავალებით უფლებამოსილი პირები ანხორციელებენ არაგეგმიურ მონიტორინგს. თუ მონიტორინგის განხორციელების დროს აღმოჩნდა დარღვეული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხორციელდება კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტა.

კვლევის პროცესში ჩატარებულმა გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში მოქმედი კოოპერატივებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელია მაღალი შემოსავლიანობა, წარმოების ზრდა, დასაქმების ხელშეწყობა, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება, ხე ლმისაწვდომობის ზრდა ნედლეულზე, მასალებზე, ინფრასტრუქტურასა და ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის პროცესის კვლევისას გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები, რომლებიც წარიმართა პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირებისათვის. კვლევის პროცესში განისაზღვრა ინფორმაციის მიღება შემდეგი საკითხების ირგვლივ: მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა, კომუნიკაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ორგანიზაციის სტრატეგია, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა კოოპერატივის მართვის პროცესზე მოქმედი შემდეგი ფაქტორები: ფერმერთა განათლების დონე, კოოპერატივის წევრთა საკუთრებაში მყოფი აქტივების მოცულობა, საკანონმდებლო გარემოს სტაბილურობა, კოოპერატივის საქმიანობის სპეციფიკა და ბიზნესის მართვის უნარი.

საქართველოში ტიპიური პრობლემაა ფერმერთა გამოუცდელობა. კოოპერატივები ძირითადად იმართება საერთო კრების მიერ, რომელიც ირჩევს გამგეობას, გამგეობა კი – გამგეობის თავმჯდომარეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც გამგეობის თავმჯდომარეს არ აქვს ლიდერული და მენეჯერული უნარები. ფერმე-

რებს არ გააჩნიათ გრძელვადიანი ხედვა, მათი უმეტესობა ორიენტირებულია ერთწლიან პერსპექტივაზე და მიზანმიმართულად ვერ ანვითარებენ საკუთარ მეურნეობას. ზოგადად, კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი, ბუღალტრების, ფინანსური მენეჯერებისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალისტე-ბის სიმწირე ხელს უშლის ეფექტიან მუშაობას.

კოოპერატივების მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების ძირითად პრობლემას კოოპერატივების სიდიდე წარმოადგენს. საქართველოში არსებული კოოპერატივების უმეტესობა „საოჯახოა", მათი უმეტესობა შეიქმნა დაფინანსების მიღების მიზნით და კვლავ დაბლია ნდობა კოოპერატივის იდეისა და ახალი წევრების მოზიდვისათვის. საქართველოში კოოპერატივების უმეტესობას ჰყავს 3 ან 5 წევრი, რაც კანონმდებლობის მინიმალურ მოთხოვნას აკმაყოფილებს. რადგან წევრთა რაოდენობა მწირია, იგი არ არის შემოსავლიანი და პერსპექტიული ეკონომიკური თვალსაზრისით. კოოპერატივები და მათი წევრები ძირითადად ფოკუსირებულნი არიან სარგებლის მიღებაზე მოკლევადიან პერსპექტივაში, რადგან არ გააჩნიათ დიდი თანხები ბიზნესის განვითარებისათვის.

კოოპერატივში გადაწყვეტილების მიღების პროცესი საკმაოდ რთულია. კოოპერატივი ბიუროკრატიული ორგანიზაციაა. მის მართვას ახორციელებს საერთო კრება, რომელიც ირჩევს საწარმოს მმართველ დირექტო-რატს კოოპერატივის წევრებიდან. კოოპერატივი დაფუძნებულია წევრთა მიერ გადაწყვეტილების ერთობლივ მიღებაზე. კოოპერატივის თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა და ეს დამოკიდებული არ არის მის მიერ პაის ფლობის რაოდენობაზე. ამიტომ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია კონსესუსამდე მისვლა.

,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ხშირად არააქვთ ფორმულირებული მისია, მიზანი და ამოცანები. ისინი მოკლევადიან პერსპექტივაში უმეტესად ერთჯერადი სარგებლის მისაღებად (ტექნიკის, გრანტის ან სხვა სარგებლის მისაღებად) იქმნება. კვლავ მნიშვნელოვანია ტრადიციული სოფლის მეურ-ნეობის ზემოქმედების გავლენა. ფერმერები ძირითადად მიჰყვებიან იმ გამოცდილებას, რომელიც წინაპრებისაგან მიიღეს, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინოვაციებს. პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკაში დანერგვა კოოპერატივებისთვის სერიოზული პრობლემაა" [9, გვ. 140-141].

*მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ძირითადად ხორციელდება ტრადიციული ცოდნით. ფერმერებს არ აქვთ ინფორმაცია წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რისი გამოყენებითაც შეძლებდნენ მწარმოებლურობის გაზრდას და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებას. განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს დარგობრივი ტრენინგები. ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამედროვე ტექნოლოგიური ცოდნის მიწოდებასა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობაზე. ფერმერების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს ცოდნა აგრობიზნესის მართვის, საკუთარი მეურნეობის დაგეგმვის, მომგებიანობის შეფასების, ფინანსური გათვლების გაკეთების და ბიზნესთან დაკავშირებული სხვა საკითხების. ,,მეცნიერების განვითარება სულ უფრო და უფრო მეტად უნდა გახდეს ორიენტირებული მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესზე, ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ მოტივაციებსა და მომავლის ტენდენციებზე" [10, გვ.552].*

*დღეისათვის საქართველოში მოქმედი ყველა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ჩამოყალიბებულია I დონის კოოპერაციულ საწარმოდ. აქ სამეურნეო პროცესი ზოგადად მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, დაფასოების, შენახვისა და რეალიზაციის ციკლს. მნიშვნელოვანია ერთი პროფილის მქონე კოოპერატივების გაერთიანება, ანუ II დონის კოოპერატივების (კოოპერატივების მიერ დაფუძნებული კოოპერატივის) შექმნა. ეს ხელს შეუწყობს გადამამუშავებელი საწარმოების, სასაწყობო, სამაცივრე მეურნეობებისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებას; კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას; სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.*

**დასკვნები და რეკომენდაციები**. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და მართვის საკითხების შესწავლა-გაანალიზების შედეგად მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

- განხორციელდეს კონკრეტულ ინდიკატორებზე დაფუძნებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სტრატეგიული მიზნები;
- წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტების დანერგვის ხელშეწყობა;
- კოოპერატივების წევრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- უზრუნველყოფილ იქნეს კოოპერატივებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა, სადაც პროდუქციის უშუალო მწარმოებლები შუამავალი რგოლების გარეშე მიიღებენ გაზრდილ შემოსავალს პროდუქციის რეალიზაციიდან;
- ჩამოყალიბდეს ვერტიკალური ინტეგრირების პრინციპზე დაფუძნებული, ევროპული ტიპის ორ და სამდონიანი კოოპერაციული სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოხდება პროდუქციის მწარმოებელი, გადამამუშავებელი, რეალიზატორი და მარკეტინგული კოოპერატივების გაერთიანება;
- 3-5-წევრიანი კოოპერატივების ნაცვლად, მოხდეს მრავალწევრიანი (მაგალითად, 30 წევრიანი) კოოპერატივების შექმნის სტიმულირება და პირველი დონის კოოპერატივები ჩამოყალიბდეს გაფართოებული ფუნქციებით;
- პროდუქციის ბრენდირებასა და პოპულარიზაციასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნეს ბაზარზე წვდომისა და გაყიდვების ხელშეწყობა;
- აქცენტი გაკეთდეს მომსახურების ტიპის კოოპერატივების ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე, რომელიც მის წევრებს საშუალებას მისცემს შედარებით დაბალ ფასად შეიძინონ საწარმოო აქტივები; მოახდინონ პროდუქციის გაერთიანება, გადამუშავება და ერთობლივი რეალიზაცია; აწარმოონ ერთობლივი მარკეტინგი; ერთობლივად შეისწავლონ და დანერგონ ბიოწარმოების ტექნოლოგია; შექმნან საერთო სამაცივრე მეურნეობა.

ლიტერატურა:


1. Kharaishvili, E. (2016). 'Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 113, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(5), 1376 - 1379.
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი, http://acda.-gov.ge/index.php/geo/static/118
3. International Co-operative Alliance, https://ica.coop/.
4. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/-1972742
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, http://geostat.ge/
6. Chokheli, E. (2016) The Impact of the Competitive Strategy on the Success of Wine Companies (The case of Georgia), Proceedings of 24th international academic conference, Barcelona,
7. http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=the-impact-of-the-competitive-strategy-on-the-success-of-wine-companies-the-case-of-georgia-
8. Chokheli E and Narmania D. (2015) Information Tecnnologies In Management And Prospects To Improve Their Use By Georgian Companies. Int J Recent Sci Res, 6(9), 6515-6518.
9. Facilitate Sustainable Linkages of Agricultural Cooperatives with Market Players and Extension, Evoluxer S.L International Consulting, 2017.
10. Keshelashvili G., (2017), Characteristics of Management of Agricultural Cooperatives in Georgia, Proceedings of 32nd International Academic Conference, 27-30 June, Geneva ,.
11. http://www.iises.net/proceedings/32nd-international-academic-conference-geneva/table-of-content/detail?article=characteristics-of-management-of-agricultural-cooperatives-in-georgia

12. Keshelashvili G. Jibuti M. (2015). The Commercialization of Ideas and Customer's Needs in the Georgian Market, 15th International Academic Conference, 14-17 April, Rome,
13. http://www.iises.net/proceedings/international-academic-conference-rome/table-of-content/detail?article=the-commercialization-of-ideas-and-customer-s-needs-in-the-georgian-market

## Key Aspects of Formation and Management of Agricultural Cooperatives in Georgia

Giuli Keshelashvili

*Doctor of Economics, Associate professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Article offers discussion of the significant issues of formation and management of agricultural cooperatives. It provides analysis of the contents of Georgian Law on Agricultural Cooperatives, members' rights and obligations, agricultural cooperative monitoring functions, decision-making process. It identifies specific features of agricultural cooperatives management in Georgia. Based on the analysis of legal regulations applicable to cooperatives in the leading European countries the recommendations are developed for improvement of the cooperatives management.

***Keywords: agricultural cooperative; economic participation; shareholder; management organizational structure.***

# ტრანსნაციონალიზაცია და კორპორატიული კულტურების თავსებადობა

**თამარ ღამბაშიძე**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*ყოველ კომპანიას გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული კულტურა, რაც მოიცავს ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას და პრინციპებს, ფასეულობათა სისტემას, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებს და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს, შრომით ატმოსფეროს, "ფოლკლორს" ანუ კომპანიის ფასეულობების ისტორიას, ტაბუს სისტემას ან "მიუღებელ გადაწყვეტილებებს". ორგანიზაციული კულტურა არის აზროვნების სტილი და მოქმედებების საშუალება, რომელიც გადაიზარდა ჩვევებში და გახდა ტრადიცია. მას ამა თუ იმ ხარისხით ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის აგრეთვე უნდა აითვისონ და ნაწილობრივ მაინც აღიარონ ახალბედებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გახდებიან კოლექტივის სრულფასოვანი წევრები.*

*საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალიზაცია; ადამიანური კაპიტალი; მულტიკულტურული ორგანიზაცია; ფასეულობათა სისტემა; ორგანიზაციული ქცევა; კოლექტიური პარტნიორობა.*

ხელმძღვანელობის მიერ კულტურის ძირითადი პრინციპების ფორმულირების შემდეგ იწყება მათი განმტკიცება. ამისთვის უმთავრესია იმ თანამშრომლების აყვანა სამუშაოზე, რომელთა პიროვნული თვისებები, მრწამსი, უნარები შეესაბამება ორგანიზაციაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. შემდეგ ეტაპზე ახალბედებს გააცნობენ კომპანიაში დამკვიდრებულ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ წესებს. პირველ შემთხვევაში ამას აკეთებენ ხელმძღვანელები და გამოცდილი თანამშრომლები, ხოლო მეორე ამოცანას თავს წარმატებითართმევენ კოლეგებიც. ახალწვეულებს აგრეთვე გააცნობენ კომპანიის ისტორიას, მათ შორის ლეგენდების მეშვეობითაც და განაწყობენ არსებული კულტურის მოთხოვნების დასაცავად, რისთვისაც ხდება იმ თანამშრომელთა წახალისება, ვინც სანიმუშოდ იცავს მას, ხოლო ვინც სისტემატურად არღვევს, ისჯებიან.

გლობალიზაციის პირობებში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციული კულტურა, როგორც წესი, რამდენიმე სუბკულტურისგან შედგება. ფასეულობები, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები ხშირად ფრიად განსხვავდება განყოფილებების, გეოგრაფიული რეგიონების და ფუნქციონალური ერთეულების მიხედვით. განყოფილებათა სუბკულტურები შესაძლოა არ იყოს ერთმანეთის შესაბამისი, უფრო მეტიც, კონფლიქტურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან, თუკი მათთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილი, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები. გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიები მეტნაკლებად მულტიკულტურულები არიან, რაც მათში დასაქმებულებს შორის არსებული ფსიქოლოგიური, ტრადიციული და ენობრივი განსხვავებებით აიხსნება.

ორგანიზაციულ კულტურას აყალიბებს შიდა გარემოს მრავალრიცხოვანი ფაქტორი, რომლის საფუძველია ორგანიზაციის მრწამსი და ფილოსოფია, რომელიც განმარტავს, თუ რატომ მოქმედებს იგი არსებული სახით და არა სხვაგვარად. კომპანიის კულტურა ვლინდება თანამშრომელთა შეხედულებებსა და ბიზნესის იმ პრინციპებში, რომლებიც დეკლარირებულია ხელმძღვანელობის მიერ. ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენლებია: კომპანიის ეთიკური სტანდარტები, ოფიციალური პოლიტიკა, სხვადასხვა პარტნიორებთან ურთიერთობები, ტრადიციები, კონტროლის მეთოდები, მოთხოვნები თანამშრომელთა ქცევისადმი, ის ატმოსფერო, რომელიც სუფევს კომპანიაში და გამოარჩევს მას სხვებისგან. ყველა ზემოთ მოტანილი ფაქტორი, რომელთაგან ზოგიერთი ყოველთვის არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, განსაზღვრავს ორგანიზაციულ კულტურას.

ყოველ კომპანიას გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული კულტურა, რაც მოიცავს ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას და პრინციპებს, ფასეულობათა სისტემას, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებს და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს, შრომით ატმოსფეროს, „ფოლკლორს", ანუ კომპანიის ფასეულობების ისტორიას, ტაბუს სისტემას ან „მიუღებელ გადაწყვეტილებებს". ორგანიზაციული კულტურა

არის აზროვნების სტილი და მოქმედებების საშუალება, რომელიც გადაიზარდა ჩვევებში და გახდა ტრადიცია. მას ამა თუ იმ ხარისხით ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის აგრეთვე უნდა აითვისონ და ნაწილობრივ მაინც აღიარონ ახალბედებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გახდებიან კოლექტივის სრულფასოვანი წევრები[1,გვ.112].

ორგანიზაციული კულტურა არის ქცევების, სიმბოლოების, რიტუალების და მითების ერთობლიობა, რომლებიც შეესაბამება ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ და მის მიერ გაზიარებულ ფასეულობებს და გადაეცემა ყოველ მის წევრს ზეპირი ფორმით, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება.

ქცევის ნორმები. ორგანიზაციული კულტურა სხვებისგან რომ განსხვავდებოდეს, მან უნდა გამოიმუშაოს მისთვის დამახასიათებელი ქცევის ნორმები, რომლებიც გავლენას მოახდენს ორგანიზაციის ყველა წევრის გადაწყვეტილებაზე. განვითარებული და კარგად ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები ეფექტურ გავლენას ახდენს კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე. ქცევის ნორმებს გააჩნია ორი მახასიათებელი[(3,გვ. 22]: ინტენსიურობა, ანუ მოსალოდნელ შედეგთან თანხმობის ან უთანხმოების დონე და კონსენსუსი, ანუ ქცევის ნორმის კოლექტივის მიერ აღიარება. ქცევის ნორმები ასტიმულირებს საერთო ფასეულობების შესაბამის ქმედებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კულტურის ძირითადი პრინციპების ფორმულირების შემდეგ იწყება მათი განმტკიცება. ამისთვის უმთავრესია იმ თანამშომლების აყვანა სამუშაოზე, რომელთა პიროვნული თვისებები, მრწამსი, უნარები შეესაბამება ორგანიზაციაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. შემდეგ ეტაპზე ახალბედებს გააცნობენ კომპანიაში დამკვიდრებულ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ წესებს. პირველ შემთხვევაში ამას აკეთებენ ხელმძღვანელები და გამოცდილი თანამშრომლები, ხოლო მეორე ამოცანას თავს წარმატებით ართმევენ კოლეგებიც. ახალწვეულებს აგრეთვე გააცნობენ კომპანიის ისტორიას, მათ შორის ლეგენდების მეშვეობითაც და განაწყობენ არსებული კულტურის მოთხოვნების დასაცავად, რისთვისაც ხდება იმ თანამშრომელთა წახალისება, ვინც სანიმუშოდ იცავს მას, ხოლო ვინც სისტემატურად არღვევს, ისჯებიან.

ძალიან მდგრადი კულტურაც კი არ არის სტატიკური, ის იცვლება ორგანიზაციის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისად. შიდა კრიზისები, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოჩენა, ახალი პრობლემები და საქმიანობის წარმატებული მეთოდები ცვლის კულტურას. ორგანიზაციის წევრების და ლიდერების ბუნებრივი ცვლა ასევე განაპირობებს საქმიანობის ახალი მეთოდების და ფასეულობების წარმოშობას, რაც გავლენას ახდენს კულტურაზე. ბიზნესის ახალი სახეების ათვისება, საქმიანობის სხვა გეოგრაფიულ რეგიონებზე გავრცელება (განსაკუთრებით საზღვარგარეთ) [2,გვ.111] სწრაფი ზრდა და ამასთან დაკავშირებული შტატების გადიდება, შერწყმა და შესყიდვა _ ყველა ეს ფაქტორი აჩქარებს კულტურაში მიმდინარე ცვლილებებს. სადღეისოდ ყველაზე ძლიერ გავლენას ორგანიზაციულ კულტურაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახდენს გლობალიზაცია და ინტერნეტი.

ძლიერი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას განაპირობებს სამი ფაქტორი: ძლიერი ლიდერი, რომელიც ამკვიდრებს იმგვარ ფასეულობებს, მეთოდიკას და პრინციპებს, რომელიც კეთილსასურველია კლიენტურისთვის, კონკურენტული ბრძოლის წარმართვისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის; კომპანიის მიერ არსებული ტრადიციების დაცვა, რაც დიდად ეხმარება გადაწყვეტილებების მიღებას და სტრატეგიის რეალიზებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს; სამ საკვანძო პარტნიორზე - კლიენტებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე გულწრფელი ზრუნვა.

ძლიერი კულტურის ჩამოყალიბებას ასევე განაპირობებს ლიდერებს შორის მემკვიდრეობითობა, კოლექტივის არამრავალრიცხოვნება და მდგრადობა, ტერიტორიული კონცენტრაცია და კარგი ორგანიზაციული სტრუქტურა. ძლიერი ორგანიზაციული კულტურა, რომელიც შეესაბამება სტრატეგიას, მეტად ღირებული აქტივია, ხოლო ძლიერი კულტურა, რომელიც ეწინააღმდეგება მას -

სწრაფად ცვალებად გარე გარემოში ღირებულ აქტივად გვევლინება ადაპტური ორგანიზაციული კულტურა. თუ დინამიკურ გარემოში მოქმედ კომპანიას უნდა, დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს ეფექტიანობა, მას ახალი სტრატეგიების დანერგვა მოუწევს, რაც ორგანიზაციული კულტურის ცვლილებასაც გამოიწვევს. ამგვარი მანევრულობის მიღწევა მოითხოვს (5,გვ.19) ისეთი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებას, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიას, ეფექტურად მოახდინოს რეაგირება გარე გარემოს ცვლილებებზე. ადაპტური კულტურის მქონე ორგანიზაციის წევრებს არ ეეჭვებათ, რომ კომპანია გადალახავს ნებისმიერ საფ-

რთხეს და მოახდენს ყველა შესაძლებლობის რეალიზებას, ამიტომ ისინი მზად არიან რისკის გასაწევად, არ უფრთხიან ექსპერიმენტებს, სიახლეებს, სტრატეგიისა და მუშაობის მეთოდების ცვლილებებს და მზად არიან მათთვის, როდესაც ეს საჭიროა დაინტერესებული მხარეების - კლიენტების, თანამშრომლების, აქციონერე-ბის, მიმწოდებლების და საზოგადოებრიობისთვის.

XX საუკუნის 60-70 იან წლებში ვითარდება ე.წ. სისტემური მიდგომა კულტურისადმი. ამ თეორიაში ნა-ვარაუდევია, რომ კულტურა განისაზღვრება მისი შემადგენელი ქვესისტემების ურთიერთქმედებით და ჩა-რევით. პ.რ. ჰარისი და რ.ტ. მორანი გამოყოფენ 8 ძირითად ქვესისტემას: ნათესაობრივი სისტემები, განათლე-ბა, ეკონომიკა, პოლიტიკა, რელიგია, საზოგადოებრივი გაერთიანებების ხასიათი და მიღებული ფორმები, ერის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დასვენების ფორმები და ტრადიციები.

კულტურები ერთმანეთისაგან ასევე განსხვავდება საორგანიზაციო სისტემის მიერ შეძენილი განათლე-ბით და შესაძლებლობებით. განათლების სისტემა შეიძლება შეიცავდეს საფეხურების განსხვავებულ რაოდე-ნობას,გვაძლევდეს ალტერნატიულ შესაძლებლობებს ან მკაცრად განსაზღვრავდეს ადამიანის პროფესიული განვითარების ტრაექტორიას,სწავლება შეიძლება მიმდინარეობდეს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ და მი-ღებულ სასწავლო დაწესებულებების ქსელში ან იყოს არაფორმალური, ხორციელდება სამუშაო და დასვენე-ბის დროს, სამსახურში, სამუშაო ადგილზე, დასასვენებელ ადგილებში და ა.შ.

ამერიკული კულტურა [3,გვ.123] საჭირო კვალიფიკაციის მიღების პასუხისმგებლობას აკისრებს მომუ-შავე პირს. მისი ამოცანაა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაცია და იპოვოს დამსაქმებელი. ამერიკელები უჩვეუ-ლოზ მობილიზებულები არიან კარგი სამსახურის ძებნაში. ამერიკული კომპანიები მომავალ თანამშრომლებს ძირითადად აფასებენ ტესტირების შედეგების მიხედვით და სამუშაო გამოცდილებით და არა სპეციალური განათლების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. შეიძლება ითქვას, რომ შესარჩევი სისტემა დემოკ-რატიულია და ქმნის კონკურენტულ გარემოს. დამატებითი განათლება ფირმისგან მიიღება მხოლოდ სამუ-შაო ადგილის სპეციფიკის მიხედვით. „ადამიანური კაპიტალი" ფასდება, მაგრამ ცდილობენ რომ მაში ჩადე-ბული ინვესტიციები იყოს მომუშავის მხრებზე. ეს კეთდება იმისათვის, რომ საწარმოდან თანამშრომლის წას-ვლის შემთხვევაში არ დაიკარგოს ფული.

გერმანიაში[5,გვ.77], პროფესიული მომზადების სისტემა სუბსიდირდება და ძირითადად ორგანიზირე-ბულია სახელმწიფოს მიერ. გაიცემა ფართო პროფესიონალური განათლება, რომლის ხარიხი და ეფექტურობა კონტორლირდება პროფ. გაერთიანებების და დამსაქმებლების ასოციაციების მიერ. ამის შედეგად დამსაქმე-ბელი და დასაქმებული იღებს „სამუშაო ადგილის" უფრო ფართო ჩარჩოებს. გერმანელ მენეჯერს, ამერიკელისგან განსხვავებით, საკმაოდ თავისუფლად შეუძლია თანამშრომლების გადაადგილება ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე, მწარმოებლური საჭიროებების შესაბამისად, საწარმოს საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

იაპონიაში პიროვნება იღებს ძირითად განათლებას, ხოლო სპეციალურ უნარ-ჩვევებს სწავლობს და ითვისებს სამუშაო ადგილზე. სისტემური განათლების ესეთი ფორმირება მხარდაჭერილია იაპონური ფასეულობებით, რაც ორიენტირებულია ჯგუფის, ფირმის და ა.შ. ლოიალურობაზე[5.გვ.118], ასევე, ინსტიტუციონალური ჩარჩოებით, რომლებშიც ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკა: ხელშეწყობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია დამსახურებაზე, რის მიხედვითაც ხდება მნიშვნელოვანი ბონუსების გადახდა პენსიაზე გასვლის შემდეგ და ა.შ. ამ ხერხით ხდება პერსონალის და კომპანიის ერთმანეთზე დამო-კიდებულება, რომლის დროსაც პროფესიონალური სწავლება შეიძლება იყოს „საფირმო".

ქვესისტემა - „ეკონომიკა", აღწერს წარმოების მეთოდებს: საქონლის და მომსახურების გადანაწილებას და გაცვლას. კერძო კაპიტალისტური სისტემის ფარგლებშიც კი, მენეჯმენტის თავლთახედვით, აღმო-ჩენილია სერიოზული ვარიაციები. მწარმოებლური ურთიერთობები შეიძლება ჩამოყალიბდეს კონტრაქტის საფუძველზე ან არასაბაზრო მექნიზმების გამოყენებით, ჯგუფზე ან ინდივიდზე ორიენტაციით და ა.შ. საკმაოდ ხშირად ადარებენ ერთმანეთს ანგლოსაქონურ (ლიბერალურ) და რეგულირებადი ბაზრის ეკონომიკურ მოდელებს, „რეინსის კაპიტალიზმს" შორის, როგორც უწოდებდა ამ სისტემას მ. ალბერი. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება თავისუფალ ბაზარზე და ინდივიდზე, ხოლო მეორე შემთხვევაში შემოდის გარკვეული არასაბაზრო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ სიმშვიდეს და

მოქალაქეების დაცვას მნიშვნელოვანი საბაზრო რყევებისაგან. ლიბერალური საბაზრო მოდელის რეალიზაციის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ა.შ.შ., ხოლო სოციალური საბაზრო ეკონომიკის მაგალითს, გერმანია, რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მეორე მიდგომის რეალიზაციის დამახასიათებელ მაგალითს.

მწარმოებლური ურთიერთობების სისტემის განსხვავებულობები და მწარმოებლური კულტურა ზეგავლენას ახდენს ფირმის ინოვაციურობაზე, მათ ტექნოლოგიურ პოლიტიკაზე და ანაზღაურების სისტემაზე, გასაზღვრავს გაყიდვების არხებზე გადაწყვეტილებებს და მთლიანად მარკეტინგულ პოლიტიკას.

ქვესისტემა - „პოლიტიკა" თან ირთავს ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას. პოლიტიკური უფლებამოსილების მოწყობილობა (დიქტატურა, დემოკრატია, სახელმწიფოებრიობის სხვა და სხვა ფორმები) განსაზღვრავს ბიზნესის წარმოების თავისუფლებას [4, გვ.37].

უნდა გამოიყოს ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ორი ასპექტი: ბიზნესის მონაწილეობა ხელისუფლებაში და ხელისუფლების მონაწილეობა ეკონომიკაში. არსებობს პოლიტიკური სისტემები, რომლებიც არ უშვებენ ბიზნესის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას. ეს ავტომატურად არ ნიშნავს სახელმწიფოს ბიზნესის საქმეებში ჩარევას, მაგრამ ხშირად ეს დაკავშირებულია ამა თუ იმ დონეზე ხელისუფლების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევაზე. აქ უკიდურეს შემთხვევად ითვლება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების თეორია და პრაქტიკა, რომლებმაც „გასრისეს" ბიზნესი თავიანთი უხეში ჩახუტებით. საპირისპირო პოლუსზე იმყოფება პოლიტიკური სისტემები, რომლებსაც მინიმუმამდე დაჰყავთ ხელისუფლების ეკონომიკაში ჩარევა სამრეწველო საქმიანობის სუბიექტის როლით.

ამ ქვესისტემის როლი მენეჯმენტისთვის ხდება ნათელი, თუკი ვახსენებთ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ცენტრალიზებული დაგეგმვა, ეკონომიკის პროგრამირება, სამხრეთ კორეის ჩობოლების ევოლუცია, თავისუფალი მრეწველობის იდეოლოგია და პრაქტიკა და ა.შ.

ქვესისტემა - „რელიგია" განიხილება, იმაზე უფრო ფართოდ, ვიდრე შეიძლება მისი დასახელების მიხედვით მსჯელობა. მასში შედის ხალხის მსოფლმხედველობა, მათი ეთიკური ფასეულობები და ნორმები. მაგალითად, ხშირად, მ. ვებერის მიერ ჩადებული და ჩამოყალიბებული ტრადიცის მიხედვით, რომელიც აკავშირებს კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას პროტესტანტობის გავლენით, ხაზგასმულია საქმიანი ეთიკის18 რელიგიური წარმოშობა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეთიკური ნორმები იცვლება ეკონომიკის ცვლასთან ერთად და ადამიანის ქცევების პროტესტანტული იდეალი უკვე დიდი ხანია სერიოზულად მოდიფიცირდა. თუმცა, ეს უფრო მეტად უსვავს ხაზს სხვა და სხვა მსოფლმხედველური სისტემების მნიშვნელობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ მმართველობით პრაქტიკაზე. საკმაოდ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ისლამის ბანკების შექმნა, რომლებიც ასრულებენ ფინანსურ ოპერაციებს ისე, რომ არ კვეთენ შარიათის ნორმების საზღვრებს. განსაკუთრებულ შემთხვევებში რელიგიური დოგმატები ასევე საზღვრავენ ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას, რისთვისაც გამოიყენება საეკლესიო და სახელმწიფო სტუქტურები. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, თუ ეკლესია არ არის გამოყოფილი სახელმწიფოსგან.

ქვესისტემა - „გაერთიანებების ფორმების და ხასიათის მიღება", აღწერს, თუ როგორი ხალხის გაერთიანებები მიიღება მოცემულ კულტურაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეპატრიანტებისთვის იმიტომ, რომ სხვადასხვა გაერთიანების წევრობა კარს ხსნის გავლენის და ინფორმაციის მართვის სიტემაში, რომლებთანაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელია მიღწევა. ასოციაციის მიერ მიღებული ფორმები ასევე გათვალისწინებულია ფირმაში მომუშავე პირების გაერთიანებების შექმნის დროს, რაც აუმჯობესებს კლიმატს საწარმოში და აადვილებს მათ მართვას.

ქვესისტემაში - „ერის ჯანმრთელობის მდგომარეობა", განიხილება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვები. ჯანმრთელობა წარმოადგენს მწარმოებლური რესურსის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მაგრამ მისადმი დამოკიდებულება და მისი შენარჩუნების სისტემა განსხვავდება კულტურიდან კულტურაში.

თანამედროვე მრავალნაციონალურ კომპანიებში სამედიცინო დაზღვევა გახდა მომუშავისადმი შეთავაზებული სოციალური პაკეტის შემადგენელი ნაწილი და ხელშეწყობის სისტემის უნიშვნელოვანესი ელემენტი.

ქვესისტემა - „დასვენების ფორმები და ტრადიციები" ყურადღების ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ როგორ ატარებენ ადამიანები თავიანთ თავისუფალ დროს. ქვეყნების ერთ ნაწილში ურჩევნიათ აქტიური

დასვენება და სპორტით დაკავება, ხოლო მეორეში - ბარსა და კინოთეატრებში სიარული; სადღაც ტრადიციულად ისვენებენ ოჯახთსა და მეგობრებთან ერთად, სხვა კულტურებში სასურველად ითვლება დროის გატარება ძირითადი საურთიერთობო წრისგან მოშორებით. ს. რონენის გამოკვლევებმა [6,გვ.132] აჩვენა სამუშაო ადგილებზე ადამიანების ქცევაზე, დასვენების ფორმების და ორგანიზების კულტურული განსხვავებების ზეგავლენა.

ლიტერატურა:


1. *МясоедовС.П.*Основы кросс-культурного менеджмента: Как вести бизнес с представителями других стран и культур. – М.: Дело, 2003;
2. *Никитаев В. В., Жефруа Ф.* Опыт создания и развития кластеров технического текстиля во Франции / Технический текстиль №22 – 2009;
3. *ПогорлецкийА.И.*Международноеналогообложение.—СПб., 2006.
4. *ПортерМ., ТакеутиХ., СакакибараМ.* Японская экономическая модель: 2009.
5. *Triandis H.* Dimensions of Cultural Variations as Parameters of Organizational Theories // International Studies of Management and Organization. V. 12. N 4. 2002, p. 139— 169
6. *Ronen S.* Comparative and Multinational Management. — N.Y., 2006.


## Transnationalization and Compatibility of Corporate Cultures


Tamar Ghambashidze

*Doctor of Economics, Associate Professor*
*Georgian Tecnical University*



**R e s u m e**

Organizational culture encompasses values and behaviours that "contribute to the unique social and psychological environment of an organization". According to Needle organizational culture represents the collective values, beliefs and principles of organizational members and is a product of such factors as history, product, market, technology, strategy, type of employees, management style, and national culture; culture includes the organization's vision, values, norms, systems, symbols, language, assumptions, environment, location, beliefs, and habits. Business executive Bernard L. Rosauer (2013) developed what he refers to as an actionable definition of organizational culture: "Organizational culture is an emergence – an extremely complex incalculable state that results from the combination of a few simple ingredients. In "Three Bell Curves: Business Culture Decoded Rosauer outlines the three manageable ingredients he says guides the culture of any business. Ingredient #1 – Employee (focus on engagement) #2 The Work (focus on eliminating waste increasing value) waste #3 The Customer (focus on likelihood of referral). The purpose of the Three Bell Curves methodology is to bring leadership, their employees, the work and the customer together for focus without distraction, leading to an improvement in culture and brand. Reliance of the research and findings of Sirota Survey Intelligence.



***Keywords: transnationalization; collective values; Organizational culture; human capital; organizational behaviors; focus of referral.***

# საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინდექსების შედარებითი ანალიზი

გიორგი ღაღანიძე

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ გატარებული განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები.გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობაში მიღწეული რეზულტატები, ასევე გაკეთებულია სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსების მიხედვით შედარებითი ანალიზი.*

*საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, საექსპორტო პოტენციალი, ექსპორტის გეოგრაფია*

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასევე დაიშალა მის ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ქვეყნებში ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები. ამან ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მეტად მტკივნეული გავლენა მოახდინა. ვაჭრობაში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას თან ახლდა ურთულესი პრობლემები. ამ თვალსაზრისით შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბალტიისპირა ყოფილი „საბჭოთა რესპუბლიკები", რომლებმაც იმთავითვე ევროპული კურსი აირჩიეს. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სხვადასხვა განვითარების ვექტორები აირჩიეს, კერძოდ საქართველომ დაგვიანებით, მაგრამ დააფიქსირა ევროკავშირისაკენ სწრაფვა, სომხეთმა საპირისპიროდ აირჩია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და შემდგომ ევრ-აზიული საბაჟო კავშირი, ხოლო აზერბაიჯანმა არ დააფიქსირა თავისი პრიორიტეტები. საინტერესოა რა მდგომარეობაა საგრეო ვაჭრობაში, ვინ რა სარგებელი მიიღო და როგორია სამომავლო პერსპექტივები. ეს საკითხები მოექცა წინამდებარე კვლევის სფეროში, რომელიც განხილულია შედარებითი ანალიზის ფონზე. ანალიზისას აქცენტირებულია: ექსპორტის გეოგრაფია, საექსპორტო პროდუქტები, ცვლილებები საგარეო ვაჭრობაში. ყურადღება მიექცა სახელმწიფოების მიერ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებას და დამოკიდებულებას სამი ძირითადი ბაზრის მიმართ - ევროკავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (ნაფტა). ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსმა საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა საექსპორტო პოტენციალის ათვისების მდგომარეობა სამივე მითითებულ ბაზარზე.

მსოფლიოში, გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, რომელმაც მკვეთრად გაამწვავა კონკურენცია, უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა ბრძოლა ახალი საგარეო ბაზრებისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ წარმოჩინდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ ქვეყნებში, რომლებმაც თავიდანვე ევროპული ვექტორი არ აირჩიეს. საექსპორტო გაყიდვების ზრდა გახდა ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა. მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მკვლევართა დიდი ნაწილი მიანიშნებდა საგარეო ბაზრების გახსნის აუცილებლობაზე და ამდენად ცხადი იყო სხვადასხვა ქვეყნების მთავრობების სურვილი მიეღწიათ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისათვის ევროკავშირთან (ასევე ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების – ნაფტა, წევრ სახელმწიფოებთან). რამდენად გამართლდა ეს ვარაუდები? რამდენად სწორია და პრაგმატული ეკონომიკური ზრდის მოდელის აგება ბაზრების გახსნილობაზე? დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემას შევეცდებით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე. ასეთი მიდგომა განაპირობა საერთო ისტორიულმა წარსულმა, სამივე სახელმწიფოს მიერ განვითარების განსხვავებული პრიორიტეტების არჩევამ.

## ექსპორტის როლი ეკონომიკურ ზრდაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამივე სახელმწიფოს აქვს საერთო ნიშნები, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს სხვა მახასიათებლებიც. სომხეთსა და საქართველოსათვის მცირე შიდა ბაზრის პირობებში ეკონომიკის სწრაფი ზრდა წარმოუდგენელია ექსპორტის მასშტაბების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე. შიდა ბაზრის მოცულობით აზერბაიჯანი რასაკვირველია გაცილებით უფრო დიდია, თუმცა მისთვისაც საგარეო ბაზრებზე

გაყიდვები ასევე წარმოადგენს სტაბილური, ინკლუზიური ზრდის ერთ-ერთ პირობას. აზერბაიჯანის შემთხვევაში, რომელსაც გააჩნია დიდი ოდენობით ნავთობპროდუქტები, ეკონომიკური ზრდის ამოცანა უმეტესწილად დაიყვანება ნავთობპროდუქტებიდან მიღებული შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების საკითხზე. ამ მხრივ მათი ეკონომიკური განვითარება იმეორებს ახლო აღმოსავლეთის სხვა ნავთობით მდიდარი სახელმწიფოების განვითარების მოდელებს. საქართველოსა და სომხეთისათვის ექსპორტის ზრდის ე.წ. "უპსალას" მოდელი არ გამოდგება. შიდა ბაზრის დაბალი ტევადობა არ იძლევა შესაძლებლობას გაყიდვები ჯერ შიდა ბაზარზე განხორციელდეს, ხოლო შემდგომ მოხდეს მათი საგარეო ბაზრებზე გადანაცვლება. მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოების ექსპორტიორი კომპანიებისათვის ალბათ აქტუალურია ედიტ პერნროუზის მიერ შექმნილი ფირმის განვითარების მოდელი. მკვლევართა უმრავლესობა მიანიშნებდა, რომ: "პენროუზი აღიარებდა, რომ არა მხოლოდ მენეჯერები აკონტროლებენ და კოორდინირებას უწევენ რესურსებს, არამედ რესურსებიც ახდენენ გავლენას მენეჯერებზე და განსაზღვრავენ მათ გადაწყვეტილებებს."[2]. ამდენად, საექსპორტო სტრატეგიის ფორმირებაში ამოსავალი დებულება იყო თუ რა რესურსებს ფლობდა ფირმა, სწორედ მასზე დაყრდნობით ახდენდნენ ფირმები საექსპორტო სტრატეგიების ფორმირებას და კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციას. ეს დებულება აბსოლუტურად შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც შეზღუდული რესურსების და მცირე ტევადობის მქონე შიდა ბაზრის პირობებში კომპანიები ორიენტირებული არიან მცირე რაოდენობით საგარეო ბაზრებზე და შეზღუდულ საექსპორტო ასორტიმენტზე. აზერბაიჯანის შემთხვევაში საექსპორტო ზრდა მთლიანად აგებულია ნავთობპროდუქტების ექსპორტის ზრდაზე. განვიხილოთ ექსპორტის როლი სამივე სახელმწიფოს ეკონომიკაში და მისი წილი, მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ). (ცხრილი 1).

**ცხრილი 1. ექსპორტის წილი (%) მთლიან შიგა პროდუქტში**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 31.84 | 31.56 | 33.75 | 32.87 | 31.21 | 28.62 | 29.74 | 34.95 | 36.24 | 38.15 | 44.69 | 42.94 | 44.74 | 43.48 |
| სომხეთი | 32.15 | 29.74 | 28.81 | 23.36 | 19.19 | 15.05 | 15.47 | 20.83 | 23.76 | 27.57 | 28.36 | 28.57 | 29.80 | 33.14 |
| აზერბაიჯანი | 42.01 | 48.79 | 62.94 | 66.51 | 68.13 | 65.78 | 51.64 | 54.31 | 56.43 | 52.97 | 48.33 | 43.26 | 37.80 | 46.45 |

შედგენილი: http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2016&locations=GE-MD-UA &start=1987& view =chart ; 25.07.2017.

როგორც ვხედავთ, ექსპორტი სამივე სახელმწიფოსათვის ეკონომიკის მნიშვნელოვანი სეგმენტი და ეკონომიკური ზრდის აუცილებელ პირობაა. ამასთან, ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლები იყო საქართველოში 2003-2012 წლებში. ცხადია, რომ აზერბაიჯანში აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად უკავშირდება ნავთობ პროდუქტების ექსპორტს, ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზე. ამდენად, აზერბაიჯანისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია არასანავთობო სფეროების განვითარება. ამ მოცემულობიდან გამომდინარე გასაგებია, რომ სამივე სახელმწიფოს ოფიციალური პირები ცდილობენ ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოძებნას.

ცხრილი 2. ექსპორტის დინამიკა 2003-2016 წწ., ათას. აშშ დოლარი

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქარ-თველო | 461,406 | 646,903 | 865,454 | 935,139 | 1,232,361 | 1,497,485 | 1,133,629 | 1,677,299 | 2,186,407 | 2,376,634 | 2,910,582 | 2,861,043 | 2,204,676 | 2,113,734 |
| სომხე-თი | 670,475 | 722,912 | 936,977 | 1,003,961 | 1,121,222 | 1,055,013 | 683,989 | 1,011,425 | 1,320,411 | 1,428,121 | 1,467,800 | 1,490,190 | 1,482,667 | 1,775,573 |
| აზერბა-იჯანი | 2,591,719 | 3,615,450 | 4,347,151 | 6,372,165 | 6,058,319 | 47,756,229 | 14,688,728 | 21,278,420 | 26,480,189 | 23,827,186 | 23,904,108 | 21,751,737 | 11,326,841 | 12,636,624 |

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

ცხრილი 3. სავაჭრო ბალანსის დინამიკა, 2003-2016წწ. ათასი აშშ დოლარი

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქ. | -679,759 | -1,198,652 | -1,624,498 | -2,739,334 | -3,981,770 | -4,558,190 | -3,341,689 | -3,558,454 | -4,885,202 | -5,677,238 | -5,111,679 | -5,740,764 | -5,525,406 | -5,122,036 |
| სომხეთი | -566,109 | -626,850 | -754,565 | -1,190,397 | -1,931,344 | -3,046,204 | -2,490,642 | -2,770,342 | -2,788,937 | -2,838,775 | -2,788,418 | -2,669,327 | -1,774,298 | -1,454,561 |
| აზერბაიჯა | -34,708 | 99,589 | 135,944 | 1,105,421 | 346,141 | 40,594,382 | 8,569,668 | 14,681,623 | 16,747,320 | 14,185,462 | 13,140,716 | 12,573,149 | 2,115,715 | 5,479,928 |

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

1) განსახილველ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება აზერბაიჯანში. მათ შორის მაქსიმალური მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს 2007 წელს (68,13%), რომელიც 2016 წელს 46,45%-მდე შემცირდა;

2) საქართველოსა და სომხეთს აქვთ დაახლოებით ერთნაირი ზრდის დინამიკა, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი უფრო მაღალია. საქართველოში ამ მაჩვენებელთა შესამჩნევი ზრდა (38 %-დან - 43.4%-მდე) დაფიქსირდა 2012-2016 წლებში.

ამჯერად განვიხილოთ ექსპორტის დინამიკის ფაქტობრივი მაჩვენებლები. (იხ.ცხრილი 2.).

ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ სამივე სახელმწიფოში ექსპორტის ზრდა იმეორებდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ ექსპორტი იზრდებოდა 2008 წლის ჩათვლით, შემდეგ მაჩვენებლები შემცირდა, 2013-2014 წწ. კი ისევ გარკვეული ზრდა დაფიქსირდა. ცხადია, აზერბაიჯანის ექსპორტზე გავლენას ახდენს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დინამიკა, რაც ბოლო პერიოდში აშკარად კლების ტენდენციით ხასიათდება. ამდენად სამივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რათა ექსპორტმა უფრო სტაბილური ხასიათი მიიღოს. სხვა მხრივ კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ: ექსპორტის ზრდა დაკავშირებულია ექსპორტის ზრდასთან ცალკეულ ბაზრებზე, საქართველოს შემთხვევაში ესაა ევროკავშირი, მაგრამ შემდგომ ექსპორტი აღარ იზრდება, ვინაიდან არაა კონკურენტუნარიანი ახალი საექსპორტო პროდუქტები. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება საგარეო ვაჭრობის სალდოს დინამიკის განხილვა იმავე პერიოდში (იხ. ცხრილი 3,).

სავაჭრო ბალანსის დინამიკა არ იძლევა ცალსახა პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე. კერძოდ, საქართველოში სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო იზრდება, რაც განპირობებულია ექსპორტში საიმპორტო მდგენელის მაღალი წილით; სომხეთში შეინიშნება საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირების ტენდენცია; აზერბაიჯანში კი, საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთლიანად იმეორებს ნავთობპროდუქტების ექსპორტის ტრენდს, მისი ზრდისას დადებითი ბალანსი იზრდება, ხოლო კლებისას მცირდება.

შემდგომ ეტაპზე უნდა განვიხილოთ საექსპორტო ბაზრებისა და წამყვანი საექსპორტო პროდუქტების საკითხები.

### წამყვანი საექსპორტო პროდუქტები და საექსპორტო ბაზრები

შემდგომი ანალიზი აგებულია საექსპორტო პროდუქტებისა და საექსპორტო ბაზრების განხილვაზე. კერძოდ, აღებული იქნა ხუთი წამყვანი საექსპორტო პროდუქტები ჰარმონიზებული სისტემის 4-ნიშნა დონეზე.

ცხრილის მონაცემების მიხედვით, ვიღებთ შემდეგ სურათს, აზერბაიჯანის ექსპორტი მთლიანად მონო ზუნებისაა, სომხეთის და საქართველოს ექსპორტი ავლენს მაღალ კონცენტრაციას, თუმცა საქართველოს მაჩვენებელი უფრო დაბალია. სოხეთისა და საქართველოსათვის ცხადია, რომ საექსპორტო პროდუქციის რაოდენობა მცირეა და ასევე არ იქმნება ახალი საექსპორტო პროდუქტები. ამდენად საქართველოსა და სომხეთის შემთხვევაში ხდება არსებული საექსპორტო პროდუქტების რეალიზაციის ზრდა. ანალიზის შემდგემ ეტაპზე განვიხილოთ საექსპორტო გეოგრაფია. ეს მოგვცემს შესაძლებლობას დავასკვნათ, თუ რომელი მიმართულებით უნდა წარიმართოს ექსპორტის ზრდა: ა)არსებული პროდუქტის უფრო დიდი ოდენობით გაყიდვა; ბ) არსებული პროდუქტის უფრო მაღალ ფასად გაყიდვა; გ) ახალი საექსპორტო პროდუქტის გაყიდვა.

საექსპორტო გეოგრაფიის გასაანალიზებლად შეირჩა სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი: ევროკავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ნაფტა.

ცხრილი 4. წამყვანი საექსპორტო ჯგუფები 4-ნიშნა დონეზე 2012-2016 წწ.( ათასი აშშ დოლარი)[1]

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | %-ად მთლიან ექსპორტში 44,18 | % -ად მთლიან ექსპორტში 47,80 | %-ად მთლიან ექსპორტში 49,47 | % -ად მთელ ექსპორტში 41,61 | % -ად მთელ ექსპორტში 44,47 |
| 2603 | 53,535 | 161,633 | 248,008 | 270,601 | 311,703 |
| 0802 | 83,658 | 166,735 | 183,399 | 176,632 | 178,904 |
| 7202 | 260,578 | 230,748 | 285,806 | 194,766 | 169,265 |
| 8703 | 587,296 | 703,817 | 517,787 | 179,646 | 166,634 |
| 2204 | 64,828 | 128,299 | 180,402 | 95,796 | 113,497 |
| სომხეთი | % მთელ ექსპორტში 48,16 | % მთელ ექსპორტში 54,61 | % მთელ ექსპორტში 55,83 | % მთელ ექსპორტში 58,54 | % მთელ ექსპორტში 63,92 |
| 2603 | 227,580 | 279,914 | 235,872 | 316,636 | 356,721 |
| 71; (7102; 7108) | 172,525 | 187,085 | 228,000 | 205,399 | 336,799 |
| 2402 | 41,841 | 68,040 | 115,850 | 170,541 | 210,463 |
| 2208 | 164,773 | 186,193 | 163,736 | 92,529 | 152,308 |
| 7607 | 81,061 | 80,355 | 88,478 | 82,872 | 78,664 |
| აზერბაიჯანი | % მთელ ექსპორტში 95,01 | % მთელ ექსპორტში 94,55 | % მთელ ექსპორტში 94,72 | % მთელ ექსპორტში 91,08 | % მთელ ექსპორტში 95,40 |
| 27 | 22,259,198 | 22,229,819 | 20,177,193 | 9,879,277 | 11,532,661 |
| 08; (0802, 0810) | 207,986 | 173,508 | 192,165 | 220,186 | 231,094 |
| 0702 | 19,162 | 40,657 | 48,875 | 58,006 | 92,054 |
| 7601 | 94,492 | 81,882 | 80,304 | 71,897 | 79,750 |
| 3901 | 61,638 | 75,810 | 104,637 | 86,772 | 119,356 |

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Product_SelCountry_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

ცხრილი 5. ექსპორტის გეოგრაფია ( ათასი აშშ დოლარი)

| | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| *საქართველო* | **2,376,634** | **2,910,582** | **2,861,043** | **2,204,676** | **2,113,734** |
| ევროკავშირი | **353,016 9(14,85)**[2] | **607,331(20,87)** | **624,271(21,82)** | **645,2979(29,27)** | **571,102(27,02)** |
| დსთ | **1,231,166(51,80)** | **1,607,224(55,22)** | **1,452,772(50,78)** | **814,335 (36,94)** | **738,534(34,94)** |
| ნაფტა | **341,711(14,38)** | **221,955(7,63)** | **262,374(9,17)** | **174,693(7,92)** | **120,722(5,71)** |
| *სომხეთი* | 1,428,121 | 1,467,800 | 1,490,190 | 1,482,667 | 1,775,573 |
| ევროკავშირი | 560,934(39,23) | 509,196(34,69) | 436,814(29,31) | 440,390(29,70) | 478,154(26,93) |
| დსთ | 397,213(27,81) | 460,927(31,40) | 413,878(27,77) | 380,288(25,65) | 552,869(31,13) |
| ნაფტა | 172,335(12,07) | 175,822(11,98) | 180,425(12,11) | 166,155(11,21) | 177,872(10,01) |
| *აზერბაიჯანი* | 23,827,186 | 23,904,108 | 21,751,737 | 11,326,841 | 12,636,624[3] |
| ევროკავშირი | 11,529,513(48,39) | 11,513,568(48,17) | 11,567,663(53,18) | 6,113,107(53,97) | |
| დსთ | 1,822,711(7,65) | 2,030,214(8,49) | 1,367,605(6,29) | 1,021,662(9,01) | |
| ნაფტა | 1,609,856(6,76) | 990,375(4,14) | 966,156(4,44) | 135,154(1,19) | |

შედგენილი: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 25.07.2017.

სახეზეა ორი ცალსახად გამოკვეთილი ტენდენცია: საქართველოში იზრდება ევროკავშირის წილი და მცირდება დსთ-ს წილი, ხოლო სომხეთში ეს ტენდენცია პრიქითაა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ტენდენცია შეესაბამება ამ სახელმწიფოების მიერ აღიარებულ განვითარების პრიორიტეტებს, რაც სავსებით ლოგიკურია. აზერბაიჯანის შემთხვევაში კი, ექსპორტის გეოგრაფია განპირობებულია ნავთობპრო-

[1] ჰარმონიზებული სისტემის კოდები იხ. დანართში 1.

[2] ფრჩხილებში მითითებულია შესაბამისი ბაზრების წილები მთელ ექსპორტში

[3] აზერბაიჯანის შემთხვევაში არაა ექსპორტის გეოგრაფიის მაჩვენებელი 2016 წლისათვის

დუქტების ექსპორტის გეოგრაფიით. ამდენად ჩვენი ვარაუდი საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში, რომ მოხდა არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა სავსებით სანდოა. ამავდროულად არსებული საექსპორტო პროდუქტების რე-ორიენტაცია ატარებს საპირისპირო მიმართულებებს, საქართველოს შემთხვევაში დსთ-დან ევროკავშირისაკენ, ხოლო სომხეთის შემთხვევაში პირიქით, ევროკავშირიდან დსთ-საკენ. ამდენად საქართველოსა და სომხეთის განვითარების ვექტორების დადასტურებამ მოახდინა საექსპორტო პროდუქციის გადანაწილება, თუმცა რჩება გარკვეული შესაძებლობები ახალი ინვესტიციების ხარჯზე შეიქმნას ახალი საექსპორტო პროდუქტები. საქართველოს შემთხვევაში ცხადია ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირიდან, ხოლო სომხეთის შემთხვევაში დსთ სივრციდან. ასევე უნდა შევეხოთ ნაფტას მიმართულებას, ცხადია, რომ აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს სომხეთს, თუმცა ევრ-აზიული საბაჟო კავშირისაკენ სწრაფვა არ შეიძლება დადებითად აისახოს ამ მიმართულებაზე. საქართველოს შემთხვევაში, რომლისთვისაც ჩრდილო ამერიკა ყოველთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი იყო უნდა ველოდოთ ექსპორტის მოცულობის ზრდას. ამის გათვალისწინებით სავსებით გასაგებია საქართველოს მთავრობის სურვილი მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ-სთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც მოხდება არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება, ხოლო ახალი საექსპორტო პროდუქტების შესაქმნელად აუცილებელი იქნება ახალი ინვესტიციები.

საექსპორტო პოტენციალის ათვისების გასაანალიზებლად მიზანშეწონილია გამოვიყენოთ კარგად აპრობირებულ მეთოდიკა, კერძოდ კი დავიანგარიშოთ ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი სამივე სახელმწიფოსათვის სამივე (ევროკავშირი, დსთ, ნაფტა) ძირითადი საექსპორტო ბაზრის მიმართ. ეს ინდექსი, გარკვეულწილად იძლევა კარგ შესაძლებლობას შევაფასოთ ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის მიხედვით საექსპორტო პოტენციალი. ფორმულაში გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები: Xij - I ქვეყნის ექსპორტი j ქვეყანაში; Xi - I ქვეყნის მთლიანი ექსპორტი; Mj - j ქვეყნის მთლიანი იმპორტი; M –მსოფლიო იმპორტი. ფორმულას შემდეგი სახე აქვს: Iij=(Xij/Xi)/(Mj/M). თუ მიღებული მაჩვენებელი Iij მეტია 1-ზე, მაშინ მოცემული ქვეყნის სავაჭრო პარტნიორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ვიდრე ეს ქვეყანა სავაჭრო პარტნიორისათვის. თუ მიღებული მაჩვენებელი ერთის ტოლია, მაშინ საექსპორტო პოტენციალი პროპორციულად არის ათვისებული, ხოლო თუ ეს მაჩვენებელი 1-ზე ნაკლებია, მაშინ თქვენ სრულად ვერ იყენებთ სავაჭრო პარტნიორის საექსპორტო პოტენციალს. ამ შემთხვევაში აუთვისებელი საექსპორტო პოტენციალი განისაზღვრება როგორც სხვაობა არსებულ ექსპორტსა და ექსპორტის შესაძლო მნიშვნელობას შორის როცა ინდექსი 1-ის ტოლი იქნებოდა. განვიხილოთ ინდექსის მნიშვნელობა ცალკეული სავაჭრო პარტნიორების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მოლდოვას მაჩვენებლები დათვლილია 2016 წლისათვის, ხოლო აზერბაიჯანის 2015 წლის მონაცემების საფუძველზე.

**ცხრილი 6. ვაჭრობის ინტენსივობის ინდექსი**

| | ევროკავშირი | დსთ | ნაფტა |
|---|---|---|---|
| საქართველო | 0.84 | 13.5 | 0.32 |
| სომხეთი | 0.84 | 15.57 | 0.53 |
| აზერბაიჯანი | 1.74 | 4.5 | 0.06 |

შედგენილია: http://www.trademap.org/tradestat/Bilateral_TS.aspx?nvpm 17.07.2017.

ცხრილის ანალიზი აჩვენებს, რომ დსთ ყველა სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია, რაც აიხსნება ტრადიციული სამეურნეო კავშირებით. თუმცა საქართველოს შემთხვევაში ექსპორტის წილი აქ შემცირდება, ხოლო სომხეთის შემთხვევაში გაიზრდება. ევროკავშირთან მიმართებაში საექსპორტო პოტენციალის ათვისება საქართველოსა და სომხეთის მიერ ერთნაირია, მაგრამ სამომავლოდ უნდა ველოდოთ საქართველოს მხრიდან კიდევ უფრო მეტად ამ პოტენციალის ათვისებას, ხოლო სომხეთის მხრიდან პირიქით შემცირებას. აზერბაიჯანის მიერ ნავთობპროდუქტების ძირითადად ევროკავშირში რეალიზაცია ცხადია, ევროკავშირთან მიმართებაში ზრდის ინდექსის მნიშვნელობას. ნაფტას შემთხვევაში სომხეთის საკმაოდ

კარგი (შედარებით ორ მეზობელთან) მაჩვენებელი უნდა აიხსნას ძლიერი დიასპორით აშშ-ში, თუმცა სამომავლოდ გაცხადებული ევრაზიული მისწრაფებების გამო ძნელად სავარაუდოა ამ მიმართულებით ზრდის პროგნოზირება. ნაფტა წარმოადგენს საექსპორტო პოტენციალის ათვისების დიდ რეზერვს სამივე სახელმწიფოსათვის, თუმცა საქართველოს მიერ უნდა გაძლიერდეს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევად, ხოლო აზერბაიჯანმა უნდა განავითაროს ახალი საექსპორტო პროდუქტები.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ საექსპორტო პოტენციალის სრულად ათვისებისათვის აუცილებელია ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, რაც ახალი, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე წარმოუდგენელია. სომხეთისათვის ინვესტიციების ძირითადი წყარო უნდა გახდეს დსთ, საქართველოსათვის კი ევროკავშირი.

საინტერესოა სამივე სახელმწიფოს შედარება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მიხედვით.

**ცხრილი 7. ქვეყნების ადგილები, ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მიხედვით**

| | 2016 | 2014 |
|---|---|---|
| საქართველო | 41 | 46 |
| სომხეთი | 68 | 54 |
| აზერბაიჯანი | 71 | 66 |

ასევე საინტერესო იქნება განვიხილოთ საქართველოს,სომხეთისა და აზერბაიჯანის სხვადასხვა ინდექსის მაჩვენებლები. აღებული იქნა ადამიანური განვითარების ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსების საბოლოო მაჩვენებლები 2016 და 2017 წლებისათვის

**ცხრილი 8. სხვადასხვა ინდექსების მნიშვნელობები**

| | HDI | GCR | DB | Ec. Freedom |
|---|---|---|---|---|
| საქართველო | 71 | 66 | 16 | 13 |
| სომხეთი | 85 | 82 | 38 | 33 |
| აზერბაიჯანი | 77 | 40 | 65 | 68 |

## დასკვნა

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობა ძირითადად იმეორებს მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე ტენდენციებს. 2002-2008 წლების აღმავლობა საგარეო ვაჭრობაში აისახა სამივე სახელმწიფოზე. ასოცირების შეთანხმებამ ევროკავშირთან, ცხადია, მოახდინა სერიოზული გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, ისევე როგორც ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებამ სომხეთზე, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნავთობპროდუქტების ფასების კლებამ მსოფლიო ბაზარზე. ცალსახად გამოხატულია ტენდენცია, როდესაც საექსპორტო ბაზრებში მცირდება დსთ წილი, იზრდება ევროკავშირის წილი და პირიქით. ამდენად ხდება გარკვეული ჩანაცვლება საექსპორტო ბაზრებში და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების ფორმირება, წამყვანი საექსპორტო პროდუქტების ჯგუფები სამივე სახელმწიფოში სტაბილურია. ვაჭრობის ინტენსივობის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ საქართველოსათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროკავშირის ბაზარი, სომხეთისათვის დსთ, ხოლო აზერბაიჯანმა უნდა განავითაროს ახალი საექსპორტო პროდუქტები, ან შექმნას უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქცია ნავთობის ბაზაზე.

ლიტერატურა:


1. O'Cass, Aron and Craig Juliann (2003), "Examining Firm and Environmental Influences on Export Marketing Mix Strategy and Export Performance of Australian Exporters". European Journal of Marketing, 37 9314) 366-84
2. Best, M.H./ Garnsey, E., Edith penrose, 1914-1996, The Economic Journal, 109,453, 1999, pp.187-201; Garnsey, E, The Resource Based Theory of the Growth of the Firm, in Ellis, k./ Gregory, a./Ragsdell,G. (eds) Critical Issues in Systems Theory and Practice, New York:Plenum Press 1995,pp. 239-244
3. Alberto Portugal-Perez, John S. Wilson, წელი? WB- Policy Research Working Paper, Export Performance and Trade Facilitation Reform.
4. Shoham (1999), "Bounded Rationality, Planning, Standartization of International Strategy and Export Performance: A Structural Model Examination," Journal of International Marketing, 792), 24-50
5. Lages, Sandy D. Jap, and David A. Griffith (2008), "The Role of past Performance in Export Ventures:A Short-TermReactive Approach," Journal of International Business Studies, 39, (2), 304-325
6. Christophe Cordonnier, EU Export Market Conditions for the Realisation of the Competitive Advantages of Georgian Agricultural Products. Policy Paper, 2010
7. Sakarya, S., Eckman, M. and Hyllegard, K. H. (2007). "Market selection for international expansion: Assessing opportunities in emerging markets", International Marketing Review, Vol. 24(2), pp. 208-238.
8. Gaganidze, G.(2016). Georgian Export Potential Utilization on the EU Market, Journal of International Management Studies, Volume16, Number 1.
9. Gaganidze, G.(2015). Export Potential and Competitive Advantage, scientific and practical journal, Economics and Business, N3.
10. Gaganidze,G. (2014). Systematic Approach to Research the Competitive Advantage, TSU, scientific and practical journal, Economics and Business, N4, 2014
11. Silagadze, A., Atanelishvili,T. (2014). The main economic indicators of the EU and Georgia "Topical problems of the development of economy and economic science." Collection of scholarly works of Paata Gugushvili Institute of Economics TSU, pp.50-52.
12. Kharaishvili,E.(2016). Demand for Georgian Wine and the Evaluation of Competitive Advantage Factors of Viticulture and Winemaking Sector TSU, scientific and practical journal, Economics and Business, N4.
13. მსოფლიო ბანკი: http://data.worldbank.org/indicator/NE.EXP.GNFS.ZS?end=2016&locations=GE-MD-UA&start=1987&-view=chart ; 17.07.2017.
14. ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი: http://www.trademap.org/tradestat/Product_SelProduct _TS.aspx?nvpm=1|||||TO-TAL|||2|1|1|1|2 ; 17.07.2017.


## Comparative Analysis of Foreign Trade and International Indexes of Georgia, Armenia and Azerbaijan


Giorgi Ghaghanidze

*Doctor of Economics, Professor*

*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The South Caucasus Republics declared different vectors of their development: Georgian vector is the joining of the European Union, on the contratorary Armenia stayed close with CIS and later accepted the Euro-Asian Custom Union, Azerbaijan preferred to stay neutral. The Analysis is focused on several aspects of foreign trade, such as export geography, major exporting products, changes in foreign trade. In addition, Trade Intensicification Index in all the three States is computed in order to find out the export potential utilization on the major markets – the EU, CIS and NAFTA. The research led us to the following conclusions: all three States have been heavily influenced by the World Trade trends. In case of Azerbaijan, its foreign trade is fully depend on the oil world prices;for Georgia EU market is becoming more important, for Armenia CIS, in case of Azerbaijan is clear the urgent need to develop new, not oil connected export products.



***Keyword: Export, Export potential, export geography***

დანართი 1.

ტექნიკური დანართი ჰარმონიზებული სასაქონლო სისტემის კოდების გაშიფრვა

| | |
|---|---|
| 2603 | Copper ores and concentrates |
| 0802 | Other nuts, fresh or dried, whether or not shelled or peeled (excluding coconuts, Brazil nuts . . . |
| 7202 | Ferro-alloys |
| 8703 | Motor cars and other motor vehicles principally designed for the transport of persons, incl. . . |
| 2204 | Wine of fresh grapes, incl. fortified wines; grape must, partly fermented and of an actual . . |
| 8544 | Insulated "incl. enamelled or anodised" wire, cable "incl. coaxial cable" and other insulated . . . |
| 1206 | Sunflower seeds, whether or not broken |
| 9401 | Seats, whether or not convertible into beds, and parts thereof, n.e.s. (excluding medical, . . . |
| 1512 | Sunflower-seed, safflower or cotton-seed oil and fractions thereof, whether or not refined, . . |
| 1001 | Wheat and meslin |
| 1005 | Maize or corn |
| 2601 | Iron ores and concentrates, incl. roasted iron pyrites |
| 7207 | Semi-finished products of iron or non-alloy steel |

# სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობა


## ლარისა ყორღანაშვილი

*ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი) მდგრადი განვითარება მათ გლობალურ კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. ნაშრომში წარმოდგენილია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის გლობალური კონკურენტუნარიანობის არსებული მდგომარეობის ანალიზი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსისა და მისი კომპონენტების გამოყენებით. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ამ სამი ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ინოვაციური განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მათი ეკონომიკების თავისუფლების დონის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ქვეყანას შეუძლია გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდული დონის პირობებში*



***საკვანძო სიტყვები: კონკურენტუნარიანობა, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ინოვაციური განვითარება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.***


გლობალიზაციისა და მძაფრი კონკურენციის პირობებში ყოველი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მათ კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (მეფ) კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც „ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ეკონომიკის მწარმოებლურობის დონის განმსაზღვრელ ნაკრებს, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს ქვეყნის მიერ კეთილდღეობის მისაღწევ დონეს“ [1, გვ. 4]. ღია ეკონომიკის პირობებში ფორმალურად ყველა ქვეყანა, როგორც მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, მაგრამ ქვეყანათა განვითარების ასიმეტრიულობის გამო, რეალური სურათი სულ სხვანაირად გამოიყურება. პოლიტიკურად გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ სტრატეგიული ლიდერობისა და ბაზრების მონოპოლიზაციის ხარჯზე. თავის მხრივ, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და რეგიონები იხდიან “ჩამორჩენილობის რენტას” თავიანთი ბუნებრივი რესურსებით, ადამიანისეული კაპიტალით, ეკოლოგიური კვოტებით და ა. შ. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული დისპროპორციები (განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების უნარში) გლობალური კონკურენტუნარიანობის არსებითად განსხვავებულ დონეებში გამოიხატება [2, გვ. 528].

ქვეყნების გლობალურ კონკურენტუნარიანობას მრავალი მეცნიერი და ორგანიზაცია სწავლობს, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეფ-ის კვლევებს. მეფ-ის მეთოდოლოგიის თანახმად, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სამი სუბიმდექსისა და 12 ქვეჯგუფის ცვლადებზე.

I სუბინდექსი “ძირითადი მოთხოვნები” მოიცავს 4 (1-4) ქვეჯგუფს, რომლებიც მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორებით განპირობებული ეკონომიკის განვითარების სტადიაზე. II სუბინდექსი “ეფექტიანობის ფაქტორები” აერთიანებს ეფექტიანად განვითარებადი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან 6 (5-10) ქვეჯგუფს. III სუბინდექსში “ინოვაციები“ შედის ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ხელშემწყობი 2 (11-12) ქვეჯგუფი.

მეფ-ი ქვეყნების კლასიფიკაციას განვითარების 3 საფეხურის მიხედვით ახდენს. განვითარების პირველ ეტაპზე ეკონომიკური ზრდა და კონკურენტუნარიანობა წარმოების ფაქტორების (უპირველესად, შრომისა და ბუნებრივი რესურსების) ფლობას ეფუძნება. კომპანიები ამ სტადიაზე ფასისმიერ კონკურენციას ახორციელებენ და მსოფლიო ბაზარზე დაბალტექნოლოგიური პროდუქციით ვაჭრობენ, რაც შრომის დაბალ ანაზღაურებაში გამოიხატება. ეკონომიკის კონკურენტუანრიანობა ამ სტადიაზე დამოკიდებულია საჯარო და კერძო ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მაკროეკონომიკური

გარემოს სტაბილურობაზე, სამუშაო ძალის ჯანმრთელობას და განათლების ხარისხზე (ძირითადი მოთხოვნები). მეფ-ის მეთოდოლოგიის თანახმად ამ კატეგორიაში შედიან ის ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე 2000 აშშ დოლარზე ნაკლებია.

განვითარების მეორე ეტაპი ეფექტიანობის ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორებში შედის: უმაღლესი განათლება და პროფესიული სწავლება, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომის ბაზრის ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრის განვითარებულობა, ტექნოლოგიური მზადყოფნა და შიდა ბაზრის ზომა. ქვეყანათა ამ ჯგუფში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 3000-8999 აშშ დოლარს შეადგენს.

განვითარების მესამე ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე და ცხოვრების მაღალი სტანდარტები. ამ ქვეყნების კონკურენტუნარიანობა უახლესი და უნიკალური პროდუქციის გამოშვების უნარში გამოიხატება. ამ ჯგუფის ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 17 ათასზე მეტ აშშ დოლარს შეადგენს.

ამ სამი ეტაპის გარდა, მეფ-ი აგრეთვე გამოყოფს ქვეყნების განვითარების გარდამავალ საფეხურებს: პირველიდან მეორე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნები, რომლებსაც აქვთ 2000-დან 2,999 აშშ დოლარის მშპ ერთ სულ მოსახლეზე და მეორედან მესამე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნები, რომელთა მშპ-ს მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 9000-დან 17,000 აშშ დოლარამდე შეადგენს. მეფ-ის კლასიფიკაციით საქართველო და სომხეთი ეფექტიანი განვითარების სტადიაზე მყოფი ქვეყნების ჯგუფში შედიან, ხოლო აზერბაიჯანი პირველიდან მეორე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნების ჯგუფს მიეკთვნება. ქვეყნების განვითარების საფეხურები მოცემულია ცხრილში[ 1].

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების გაანგარიშებისას გამოიყენება 7-ქულიანი შეფასების სისტემა, რომლის თანახმად ქვეყნებს ენიჭებათ შემდეგი შეფასებები: 5,45-დან 7 ქულამდე - ძალიან მაღალი შეფასება; 4,5-დან 5,44 ქულამდე - მაღალი მაჩვენებელი; 3,51-დან 4,50 ქულამდე - ზომიერი მაჩვენებელი; 3,01-დან 3,50 ქულამდე - დაბალი მაჩვენებელი და 1-დან 3 ქულამდე- ძალიან დაბალი მაჩვენებელი.

ქვეყნების განვითარების საფეხურები [ცხრილი 1].

| განვითარების საფეხურები | მშპ 1 სულ მოსახლეზე | ძირითადი მოთხოვნები | ეფექტიანობის გამაძლიერებელი | ინოვაციები და განვითარების ფაქტორები | ქვეყნების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| საფეხური 1: აქტორ-მამოძრავებელი | < 2000 | 60% | 35% | 5% | 35 ეკონომიკა |
| გარდამავალი 1-დან მე-2 საფეხურზე | 2000-2.999 | 40-60% | 35-50% | 5-10% | 17 ეკონომიკა (მათ შორის აზერბაიჯანი) |
| საფეხური 2: ეფექტიანობის მამოძრავებელი | 3000-8.999 | 40% | 50% | 10% | 30 ეკონომიკა (მათ შორის საქართველო და სომხეთი) |
| გარდამავალი მე-2 დან მე-3 საფეხურზე | 9000-17.000 | 20-40% | 50% | 10-30% | 19 ეკონომიკა |
| საფეხური 3: ინოვაციის მამოძრავებელი | > 17000 | 20% | 50% | 30% | 37 ეკონომიკა |

წყარო: The Global Comparatitiveness Report. 2016-2017.Word Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2016-2017_FINAL.pdf, გვ.38

2016-2017 წწ. გლობალური კონკურენტუნარიანობა შესწავლილია 138 ქვეყნის მიხედვით. ამ რეიტინგში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს აზერბაიჯანს - 37-ე ადგილი 140 ქვეყანას შორის. საქართველო 66-ე ადგილზეა და სომხეთი - 79-ეზე. აზერბაიჯანს ასევე უკეთესი მდგომარეობა აქვს ეფექტიანობის ფაქტორების (59-ე ადგილი) და ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორების (49-ე ადგილი) სუბინდექსებში, ხოლო საბაზისო პირობების სუბინდექსში მას უსწრებს საქართველო - 46-ე ადგილი. 12 ქვეჯგუფიდან აზერბაიჯანს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს (26-ე ადგილი), საქართველოს - მაკროკონომიკურ გარემოში (მე-40 ადგილი) და სომხეთს - სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობაში (45-ე ადგილი). მთლიანობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აზერბაიჯანს შედარებით მაღალი კონკურენტუნარიანობა ახასიათებს შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (26-ე ადგილი), მაკროეკონომიკურ გარემოში (39-ე ადგილი) და ინოვაციურ პოტენციალში (44-ე ადგილი), საქართველოს - მაკროკონომიკურ გარემოში (მე-40 ადგილი), შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (43-ე ადგილი) და ინსტიტუტებში (43-ე ადგილი), სომხეთს - სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობაში (45-ე ადგილი), შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (55-ე ადგილი) და ინსტიტუტებში (66-ე ადგილი). თავის მხრივ, აზერბაიჯანს ყველაზე ცუდი პოზიციები აქვს ფინანსური ბაზრის განვითარებულობაში (97-ე ადგილი), უმაღლეს განათლებასა და ტრეინინგში (78-ე ადგილი) და ჯანმრთელობასა და დაწყებით განათლებაში (75-ე ადგილი), საქართველოს - ინოვაციურ პოტენციალში (116-ე ადგილი), ბიზნესის განვითარებაში (102-ე ადგილი) და ბაზრის ზომაში (101-ე ადგილი), სომხეთს - ბაზრის ზომაში (120-ე ადგილი), ჯანმრთელობასა და დაწყებით განათლებაში (93-ე ადგილი) და ფინანსური ბაზრის განვითარებულობაში (90-ე ადგილი) (ცხრილი 2).

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, 2016-2017 წწ.** [ცხრილი 2].

| | აზერბაიჯანი | | საქართველო | | სომხეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რანგი | ქულა | რანგი | ქულა | რანგი | ქულა |
| **გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი GCI** | 37 | 4.6 | 59 | 4.3 | 79 | 4.1 |
| **I. საბაზისო პირობები** | 49 | 4.9 | 46 | 4.9 | 83 | 4.4 |
| ინსტიტუტები | 48 | 4.2 | 43 | 4.4 | 66 | 4.0 |
| ინფრასტრუქტურა | 55 | 4.3 | 65 | 4.1 | 82 | 3.8 |
| მაკროეკონომიკური გარემო | 39 | 5.2 | 40 | 5.2 | 88 | 4.3 |
| ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება | 75 | 5.7 | 64 | 5.9 | 93 | 5.4 |
| **II. ეფექტიანობის ფაქტორები** | 59 | 4.2 | 69 | 4.1 | 80 | 4.0 |
| უმაღლესი განათლება და ტრენინგი | 78 | 4.2 | 89 | 4.1 | 71 | 4.4 |
| სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა | 50 | 4.5 | 46 | 4.6 | 45 | 4.6 |
| შრომის ბაზრის ეფექტიანობა | 26 | 4.8 | 43 | 4.5 | 55 | 4.4 |
| ფინანსური ბაზრის განვითარებულობა | 97 | 3.5 | 58 | 4.2 | 90 | 3.7 |
| ტექნოლოგიური მზადყოფნა | 55 | 4.5 | 65 | 4.2 | 71 | 4.0 |
| ბაზრის ზომა | 63 | 3.9 | 101 | 3.0 | 120 | 2.7 |
| **III. ინოვაციები და განვითარების ფაქტორები** | 49 | 3.8 | 113 | 3.2 | 81 | 3.5 |
| ბიზნესის განვითარება | 60 | 4.0 | 102 | 3.6 | 81 | 3.8 |
| ინოვაციური პოტენციალი | 44 | 3.6 | 116 | 2.8 | 87 | 3.2 |

წყარო: The Global Comparatitiveness Report. 2016-2017.Word Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2016-2017_FINAL.pdf, გვ. 100-101, 106-107, 184-185

როგორც ცხრილი 3-ის მონაცემებიდან ჩანს, 2016-2017 წლის რეიტინგში წინა რეიტინგთან შედარებით, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები გაუმჯობესებულია, თუმცა, გაუმჯობესების სისტემატური ტენდენცია მხოლოდ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი.

უკანასკნელი პერიოდიდან მოყოლებული მისი პოზიცია გლობალურ კონკურენტუნარიანობის ინდექსში დადებითი ტენდენციით ხასიადება.

მეფ-ის მიდგომით, გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე. ამიტომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებისას დიდი ყურადღება ექცევა გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გავლენას. აღსანიშნავია, რომ მ. პორტერის აზრით, კონკურენტული უპირატესობის უმაღლესი ფორმაა ინოვაციების მოძრაობა, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი მსოფლიო რესურსის მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას [3, გვ. 102].

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეიტინგები, 2012-2017 წწ.[ცხრილი 3].

| წლები | აზერბაიჯანი | | საქართველო | | სომხეთი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რანგი | ქულა | რანგი | ქულა | რანგი | ქულა |
| 2012-2013 | 46 / 144 | 4.4 | 77 / 144 | 4.1 | 82 / 144 | 4.0 |
| 2013-2014 | 39 / 148 | 4.5 | 72 / 148 | 4.2 | 79 / 148 | 4.1 |
| 2014-2015 | 38 / 144 | 4.5 | 69 / 144 | 4.2 | 85 / 144 | 4.0 |
| 2015-2016 | 40 / 140 | 4.5 | 66 / 140 | 4.2 | 82 / 140 | 4.0 |
| 2016-2017 | 37 / 138 | 4.6 | 59 / 138 | 4.3 | 79 / 138 | 4.1 |
| წყარო: The Global Comparatitiveness Report. 2012-2013, 2013-2014, 2014-2015, 2015-2016, 2016-2017.Word Economic Forum. https://www.weforum.org/reports | | | | | | |

ინოვაციების თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე კარგ მდგომარეობაშია აზერბაიჯანი, რომელსაც ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორების სუბინდექსში 49-ე ადგილი უკავია, ხოლო ინოვაციური პოტენციალის ქვეჯგუფში - 44-ე. საქართველოს ამ სუბინდექსში ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვს და ინოვაციური პოტენციალის განვითარების დაბალი დონით გამოირჩევა. საქართველოსთან შედარებით სომხეთი უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ ინოვაციებისა და განვითარების ფაქტორების სუბინდექსით იგი აზერბაიჯანს 32 პოზიციით ჩამორჩება, ბიზნესის განვითარებით - 21 პოზიციით და ინოვაციური პოტენციალით - 43 პოზიციით. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველოს მე-13 ადგილი უკავია და სომხეთს - 33-ე. ისინი ძირითადად თავისუფალი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნებიან, აზერბაიჯანი კი 68-ე ადგილზეა და ზომიერად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში შედის [4]. ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლებისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსებით შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ აზერბაიჯანს შედარებით შეზღუდული თავისუფლების პირობებში ბევრად უფრო მაღალი გლობალური კონკურენტუნარიანობა ახასიათებს, ვიდრე მასთან შედარებით თავისუფლების უფრო მაღალი დონის საქართველოსა და სომხეთს. შესაბამისად, გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე ეკონომიკური თავისუფლება არსებით გავლენას არ ახდენს.

ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, საჭიროა ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა. აღნიშნულ ქვეყნებს სჭირდება ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც მძლავრი ინოვაციული სექტორის ჩამოყალიბებას, მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას განაპირობებს. ყველა ქვეყანამ უნდა გაითავისოს, რომ ინოვაციების გარეშე შეუძლებელია აღმავლობა და მდგრადი განვითარება,

## ლიტერატურა:


1. The Global Comparatitiveness Report. 2016-2017. Word Economic Forum http://www3.weforum.org/docs/GCR2016-2017/05FullReport/TheGlobalCompetitivenessReport2016-2017_FINAL.pdf
2. ლ.ყორღანაშვილი. საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის პრობლემა გლობალიზაციის პირობებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში”. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფა-

კულტეტი. 11-12 ნოემბერი, 2016 წ. მოხსენებათა კრებული. თბილისი, გამომცემლობა «უნივერსალი», 2016, გვ. 528-532.
3. Портер М. Конкурентное преимущество: как достичь высокого результата и обеспечить его устойчивость. М.: Экон. наука, 2008.
4. Index of Economic freedom 2017. http://www.heritage.org/index/ranking

## Global Competitiveness of the South Caucasus

Larisa Korghanashvili

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,*
*Tbilisi State University*

**Resume**

The sustainable development of the countries of the South Caucasus (Azerbaijan, Georgia and Armenia) depends on their global competitiveness. The article presents an analysis of the current state of global competitiveness of Azerbaijan, Georgia and Armenia using the Global Competitiveness Index and its components developed by the World Economic Forum. Based on the comparative analysis, the strengths and weaknesses of the global competitiveness of these three countries, the opportunities and prospects for their innovative development are shown. Based on a comparative analysis of global competitiveness and the level of economic freedom of the countries of the South Caucasus, the conclusion is drawn that a country can increase global competitiveness in conditions of a limited level of economic freedom.

***Key words: competitiveness, global competitiveness index, innovative development, the South Caucasus countries.***

# პოლიტიკური შეხედულებები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

**შოთა შაბურიშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირება, როგორც წესი, სახელმწიფოს პრეროგატივაა, მისი საფუძველი კი ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფების პოლიტიკური შეხედულებებია. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებები ორ პოლუსს შორის ყალიბდება. ერთ მხარესაა დოგმატური იდეოლოგია, რომელიც ნეგატიურად აღიქვამს უცხოური კაპიტალის იმპორტს და მასზე მკაცრი კონტროლის დაწესებას ემხრობა, მეორე უკიდურესობა კი მკვეთრად ლიბერალურია და საბაზრო ძალების მოქმედებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპებს ეფუძნება. ამ რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებს შორის, ბუნებრივია, არსებობს მესამე მიდგომა, რომელიც უფრო პრაგმატულად შეიძლება მივიჩნიოთ.*

*საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციების რეგულირება, საინვესტიციო სტრატეგიები.*

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნებმა აქტიურად მიმართეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების-(პუი) განხორციელებას. 1950-1960 წლებში კაპიტალის მოძრაობამ გლობალური ხასიათი შეიძინა, მასში განვითარებადი ქვეყნებიც აქტიურად ჩაერთვნენ რეციპიენტის სახით. ამ პროცესმა მკვლევარი ეკონომისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და მრავალი თეორიაც ჩამოყალიბდა. მეცნიერთა ყურადღება ძირითადად გადატანილია პუი-ების განმსაზღვრელი დეტერმინატების გამოვლენაზე, თუმცა ,უნდა აღინიშნოს, პუი-ების საერთაშორისო ბიზნესის კლასიკური ფორმაა და ის ორი ქვეყნის სუბიექტის მონაწილეობას გულისხმობს, ამიტომ მასზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს დონორი და რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფების პოლიტიკური შეხედულებებით განისაზღვრება.

საერთაშორისო ორგანიზაციების (ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე) კვლევები გვიჩვენებს, რომ:

- ეროვნულ ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების დადებითი ზემოქმედება სახელწიფოს მკაფიოდ ფორმულირებული და გონივრულად დამუშავებული პოლიტიკის პირობებში მიიღწევა;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეფექტიანი პოლიტიკის არ არსებობა შეიძლება უარყოფითად აისახოს ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდაზე;
- უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის ასამაღლებლად მიზანშეწონილია სახსრების დაბანდება ინტენსიური კონკურენციის მქონე დარგებში [1].

პუი-ებთნ დაკავშირებული პოლიტიკური შეხედულებები ორ პოლუსს შორის ყალიბდება. ერთ მხარესაა დოგმატური იდეოლოგია, რომელიც ნეგატიურად აღიქვამს უცხოური კაპიტალის იმპორტს და მასზე მკაცრი კონტროლის დაწესებას ემხრობა, მეორე უკიდურესობა კი მკვეთრად ლიბერალურია და საბაზრო ძალების მოქმედებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპებს ეფუძნება. ამ რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებს შორის ბუნებრივია არსებობს მესამე მიდგომა, რომელიც უფრო პრაგმატულად შეიძლება მივიჩნიოთ.

დოგმატური მიდგომა ძირითადად მარქსისტულ იდეოლოგიას ეფუძნება. მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ტრანსანაციონალური კომპანიები იმპერიალისტური ბატონობის ინსტრუმენტებია,რაც ხელს უწყობს ღარიბი ქვეყნების ექსპლუატაციას მდიდარი ქვეყნების სასარგებლოდ. მათი აზრით, ტრანსნაციონალური კომპანიები განვითარებადი ქვეყნებიდან იღებენ არაეკვივალენტურ მოგებას, მკაცრად აკონტროლებენ საკვანძო ტექნოლოგიებს, ხოლო წამყვან თანამდებობებს მათ უცხოურ ქალიშვილ კომპანიებში ადგილობრივები ვერ იკავებენ. შედეგად ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული პუი-ები იწვევს გან-

ვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულების ზრდას განვითარებულ ქვეყნებზე ისეთ გადამწყვეტ სფეროებში, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები და მაღალკვალიფიციური კადრები და სხვა [2, გვ. 32].

დოგმატური შეხედულებით, ტრანსნაციონალური კომპანიები აღიქმევა ძლიერ მონოპოლიურ ინსტიტუტებად, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს სახელმწიფოზე და შეამციროს რეციპიენტი ქვეყნის კეთილდღეობა. ასეთი მიდგომის მომხრეები მიუთითებენ, რომ შეუძლებელია ტრანსნაციონალური კომპანიების როლის დადებითად შეფასება[3]. მათი მიზნები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ეროვნულ ინტერესებთან და ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების გამომწვევი ფაქტორია:

- ✓ ტრანსნაციონალური კომპანიები მძლავრ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ კომპანიებს და ავიწროებენ მათ შიდა ბაზარზე, არ აძლევენ განვითარების საშუალებას;
- ✓ ტრანსნაციონალური კაპიტალის თავისუფალმა გადაადგილებამ შეიძლება შეარყიოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, საფრთხე შეუქმნას განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას;
- ✓ უცხოური კაპიტალი აღწევს ისეთ დარგებში, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან და შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინონ მათ განვითარებაზე;
- ✓ ტრანსეროვნული კაპიტალისათვის შინაგანად თანმდევ კოსმოპოლიტიზმს შეუძლია ჩაახშოს განვითარებადი ქვეყნების ჯერ კიდევ მოუმაგრებელი სახელმწიფოებრიობა და დანერგოს ისეთი იდეოლოგია, რომელიც ეროვნული ბიზნესის განვითარების ინტერესებს ეწინააღმდეგება;
- ✓ ტრანსეროვნულ კაპიტალს, იცავს რა თავის ინტერესებს, შეუძლია მძლავრი პოლიტიკური ზეწოლის მოხდენა მიმღებ ქვეყნებზე ისეთი მიმართულებით, რომელიც არ ემთხვევა ეროვნულ ინტერესებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრაგმატული იდეოლოგიის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ უნდა შეიზღუდოს პუი-ების შემოდინება ეკონომიკაში, რადგან ის არ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტს და მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას ემსახურება. ასევე აუცილებელია მოხდეს იმ დარგების ნაციონალიზაცია, სადაც უკვე შეაღწიეს უცხოურმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა.

დოგმატური იდეოლოგია განსაკუთრებით გავრცელებული იყო XX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე. სოციალისტური სისტემის დაშლამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ეწინააღმდეგებოდნენ პუი-ების შედინებას. სხვა სოციალისტური ქვეყნებიც (ჩინეთი, კუბა) იზიარებდნენ ამ მიდგომას. ის ქვეყნები, სადაც პოლიტიკური იდეოლოგია უფრო მეტად ეროვნული იყო ვიდრე კომუნისტური რადიკალიზმში უფრო შორს წავიდნენ, მაგალითად, პუი-ებს მკაცრად ზღუდავდნენ ირანი და ინდოეთი[4, გვ. 89].

XX საუკინის ბოლოს ასეთი შეხედულებები მკვეთრად შეიცვალა, რასაც ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა:

1. კომუნიზმის პრაქტიკის კრახმა;
2. იმ ქვეყნების ეკონომიკური ეფექტიანობის შემცირებამ, რომლებიც ზღუდავდნენ პუი-ებს;
3. იმ ქვეყნების ეკონომიკურმა წარმატებებმა, რომლებიც არ ზღუდავდნენ უცხოურ კაპიტალს.

ლიბერალური მიდგომა სათავეს კლასიკური ეკონომიკური სკოლიდან იღებს. ამ შეხედულების საფუძველია შეფარდებითი უპირატესობის შესაბამისად შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპი. ქვეყნები უნდა დასპეციალდნენ იმ პროდუქტის წარმოებაზე, როლსაც უფრო ეფექტიანად ქმნიან. ამ კონცეფციის თანახმად ტრანსნაციონალური კომპანიები პროდუქციის წარმოების პროცესის ეფექტიან საერთაშორისო დანაწილებას ემსახურება, ამიტომ პუი-ები ზრდის მსოფლიო ეკონომიკის საერთო ეფექტიანობას.

ლიბერალურმა მიდგომამ ფართო გავრცელება ჰპოვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამაც საინვესტიციო ბარიერების მოხსნის გლობალური ტენდენცია წარმოშვა. თუმცა პრაქტიკაში არცერთმა ქვეყანამ არ მიიღო ლიბერალური მიდგომა მისი წმინდა სახით. ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც ცნობილნია ეკონომიკური ლიბერალური დამოკიდებულებით უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით - დიდი ბრიტანეთი, აშშ, იტოვებენ უფლებას ჩაერთონ საინვესტიციო პროცესში. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის მთავრობა უფლებას იტოვებს დაბლოკოს ადგილობრივი კომპანიების შთანთქმა თუ ის ეწინააღმდეგება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს. აშშ-ში ასეთი შეზღუდვები უფრო ნაკლებად ფორმალურ ხასიათს ატარებს. პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ამერიკის მთავრობა ამერიკულ კომპანიებს უკრძალავს ინვესტიციები განახორციელონ ზოგიერთ მტრულად

განწყობილ ქვეყანაში. ასევე არსებობს შეზღუდვები უცხოური ინვესტიციების შედინებაზეც. აშშ-ში უცხოელებს ეკრძალებათ ამერიკული ავიაკომპანიების აქციების 25 %-ზე მეტის შეძენა, ასევე სატელეკომუნიკაციო კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტის ფლობა [5, გვ. 223] .

პრაქტიკაში ქვეყნების უმრავლესობა არ ითვალისწინებს არც დოგმატურ და არც უკიდურესად ლიბერალურ მიდგომას. ისინი ძირითადად ისეთ მიდგომებს ემხრობიან, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც პრაგმატული. ამ კონცეფციის თანახმად პუი-ებს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები. რეციპიენტ ქვეყანაში პუი-ებს შეუძლია უზრუნველყოს სარგებელი კაპიტალის მიღების, ახალი ცოდნის და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლების სახით, მაგრამ ამ სარგებლის მიღება გარკვეულ დანახარჯებს უკავშირდება. როდესაც ქვეყანაში პროდუქციას აწარმოებს უცხოური კომპანია, მოგება საზღვარგარეთ გაედინება, ასევე, ბევრი ქვეყანა წუხს იმის გამო, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების ქალიშვილი კომპანიები ძალიან ბევრი დეტალის და მაკომპლექტებლის იმპორტს ახორციელებენ, რაც უარყოფითად აისახება საგადასახდელო ბალანსზე[6, გვ. 13].

ამ პრობლემების გამო, პრაგმატული იდეოლოგიის მიმდევარი ქვეყნები ცდილობენ განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ეროვნული სარგებლის მაქსიმიზაციას მოახდენს. ასეთი პოლიტიკა გულისხმობს პუი-ების მოდინების სტიმულირებას იქამდე სანამ მისი სარგებელი აღემატება დანახარჯებს. პრაგმატული მიდგომის თვალსაჩინო მაგალითია იაპონია. 1980 წლებში იაპონია ატარებდა მკაცრს (შემზღუდავ) პოლიტიკას უცხოური ინვესტიციების მიმართ. ამის საფუძველი იყო იაპონელების შეხედულება იმის შესახებ, რომ უცხოური ფირმების პირდაპირი შეღწევა იაპონურ ბაზარზე ხელს შეუშლიდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ტექნოლოგიების სრულყოფას. თუმცა, ასეთ მიდგომაში ყოველთვის არსებობდა გამონაკლისები. თანამედროვე ტექნოლოგიებზე მომუშავე კომპანიებს გზა ქონდათ გახსნილი იაპონიის ბაზარზე ინვესტირებისათვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ არ სურდათ იაპონური კომპანიებისათვის ლიცენზიების გადაცემა ან კიდევ მათთან ერთობლივი საწარმოების დაფუძნება. IBM-მა და Texas Instruments-მა მოახერხეს იაპონიაში შეექმნათ მთლიანად მათ საკუთრებაში არსებული ქალიშვილი კომპანიები. იაპონიის მთავრობის აზრით, სტიმული რომლის მიცემა აღნიშნულ კომპანიებს შეეძლოთ იაპონიის ეკონომიკისათვის, მნიშვნელოვნად აღემატებოდა მოსალოდნელ დანახარჯებს [5, გვ. 240].

პრაგმატულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკის სხვა ასპექტი ვლინდება პუი-ების აქტიური მიზიდვის ტენდენციაში. მიიჩნევა, რომ ამ ინვესტიციების მოზიდვა ეროვნულ ინტერესებში შედის და ამისათვის მიზანშეწონილია სხვადასხვა მასტიმულირებელი ღონისძიების გამოყენება. მაგალითად სუბსიდიები ან საგადასახადო შეღავათები.

ბოლო პერიოდში მკვეთრად შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც დოგმატურ იდეოლოგიას იზიარებენ, ამასთან, ქვეყნების მხოლოდ მცირე რიცხვი მიმართავს ლიბერალურ მიდგომებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს პრაგმატული მიდგომა, რომელიც უფრო ლიბერალურისკენაა გადახრილი. შესაბამისად, სულ უფრო მეტი ქვეყანა ხსნის შეზღუდვებს პუი-ებზე. მათ შორისაა ისეთი ქვეყნებიც, რომლებიც ჯერ კიდევ 30 წლის წინ დოგმატურ იდეოლოგიაზე დაფუზნებულ პოლიტიკას ატარებდნენ. ამის შედეგად სწრაფი ტემპებით იზრდება პუი-ების გლობალური ნაკადები.

ამრიგად, დონორი და რეციპიენტი ქვეყნების საინვესტიციო პოლიტიკა განისაზღვრება ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფების პოლიტიკური შეხედულებებით. სახელმწიფოს პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პუი-ების ეფექტიანობას. მთავრობის ძალისხმევა კი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის მაქსიმიზაციისაკენ უნდა მიიმართოს.

ლიტერატურა:


1. Прямые иностранные инвестиции. https://utmagazine.ru/posts/7824-pryamye-inostrannye-investicii (ნანახია 12.09.2017)
2. Rayome D., Baker J. Foreign direct investment: A review and analysis of the literature, International Trade Journal, vol. 9, N1, 1995.
3. Dinkar N., Rahul N. A selective review of foreign direct investment theories, http://www.unescap.org/sites/default/-files/AWP%20No.%20143_0.pdf (ნანახია 02.09.2017)
4. Гриффин Р., Пастей М., Международный Бизнес, М. 2009.
5. Charles W. L. Hill, international Business, New York, 2009.
6. R. E. Lipsey, Home and Host Country Effects of FDI, National Bureau of Economic Research, working paper no. 9293, October 2002.


## Political Views and Direct Foreign Investments


Shota Shaburishvili

Doctor of Economics, Associate Professor

Tbilisi State University



**R e s u m e**

Political views toward foreign direct investment within a nation has ranged from a dogmatic radical stance that is hostile to all inward foreign direct investment at one extreme to an adherence to the noninterventionist principle of free market economics at the other. Between these two extremes is an approach that might be called pragmatic nationalism. In recent years the number of countries that adhere to a radical ideology has markedly declined. Although few countries have adopted a pure free market policy stance, an increasing number of countries are gravitating toward the free market end of the spectrum and have liberalized their foreign investment regime.



*Keywords: Foreign Direct Investments, Investment Policy, Regulation of Investments, Investment Strategies.*

# კულტურული დეტერმინანტების ზეგავლენა ბიზნესინოვაციების მართვის პროცესზე

**თეიმურაზ შენგელია**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ბაზრების გლობალიზაცია მსოფლიო მასშტაბით იწვევს არამარტო კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ტექნოლოგიების თავისუფალ გადაადგილებას, არამედ ინოვაციური პრობლემების ერთობლივ მართვას. ღია ინოვაციები გახდა ქვეყანა-ინოვატორების ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების წყარო. თანამედროვე პირობებში ტრანსეროვნული კორპორაციები ხასიათდება ინოვაციების დარგში ურთიერთანამშრომლობისა და კოორდინაციის მაღალი დონით და ორიენტაციას იღებს ღია (საერთაშორისო) ინოვაციებზე, რაც, ერთი მხრივ, არის ტექნოლოგიური პროგრესის, ხოლო მეორე მხრივ, მოგების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო.*

*საქართველოში ინოვაციური პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან თემებად მიჩნეულია: ინსტიტუტები, ფინანსები, მენეჯმენტი, პერსონალი, ტექნოლოგია, ხოლო ეროვნული და ბიზნესკულტურა, როგორც ინოვაციის კონტექსტი - თითქმის არ განიხილება. ეს მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ ინოვაციების ტექნოლოგიური კომპონენტი უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, ვიდრე ჰუმანიტარული. ბაზრების, დარგებისა და ინოვაციების გლობალიზაციის კონტექსტით ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორების შესწავლა და ანალიზი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაციები; ტექნოლოგიური წინსვლა; ეკონომიკური ზრდა; პროგრესი; რეზისტენტული.*

## ეროვნული და ბიზნესკულტურა, როგორც ინოვაციების კონტექსტი

გლობალიზაციის ეპოქაში ინოვაციური განვითარება მიჩნეულია ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. საქართველოს დამკვიდრება დასავლეთის ბაზრებზე, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციური პროდუქციის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ აზიის წამყვანი ქვეყნების (ჩინეთი, ჰონ-კონგი, ტაივანი, სინგაპური) გამოცდილებას, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მათი „ეკონომიკური სასწაულის" საწინდარი არამხოლოდ ღია, ლიბერალური ეკონომიკა, არამედ ინოვაციური პოლიტიკაცაა. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ამ ქვეყნებში უპირატესად წარიმართება ტექნოლოგიურ დარგებში, რომლებიც ხასიათდება ღრმა ინოვაციური ეფექტით. ორიენტაცია იმ დარგებზე, რომლებიც ხასიათდება სწრაფი ეკონომიკური შედეგებით (მაგ. ტურიზმი) არ იძლევა ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტისა და ინვესტიციების სწორი მიზნობრივი განაწილების შესაძლებლობას. ამიტომაც არის, რომ ევროპის რიგ ქვეყანაში, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლებითა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მზარდი დინამიკით გამოირჩევიან, მომსახურების სფეროსთან ერთად, პრიორიტეტულ ადგილს იმკვიდრებს მეცნიერებატევადი დარგები (მაგ. შვეიცარია, რომელიც ტურიზმთან ერთად მაღალ შემოსავლებს ღებულობს ინოვაციური პროდუქციისაგან: ელექტრონიკა, საათები, ტელეკომუნიკაცია).

საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის დაბალი მახასიათებლის ერთ-ერთი მიზეზია გახლავთ ის უსისტემო რეფორმები, რომლებიც XX-საუკუნის 90-იანი წლებიდან ტარდება და რასაც საბოლოო ანგარიშით, მოჰყვა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის გამოშიგვნა, ტექნოლოგიური დეგრადაცია. ამითაა მოტივირებული ის, რომ ქვეყანა ფაქტობრივად მომსახურების დარგებიდან მიღებული შემოსავლების იმედად დარჩა. საექსპორტო პოტენციალში ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო პროგრესირებად დარგად მიჩნეულია ტურიზმი, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა სავალუტო რეზერვების შევსებისა და ქვეყნის სავალუტო სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

არასახარბიელოა საქართველოს პოზიციები ინოვაციათა გლობალურ ინდექსში. 2017 წლის „ინოვაციების გლობალურ ინდექსში" მსოფლიოს 127 ქვეყანას შორის საქართველო 34 ქულით 68-ე პოზიცია-

ზეა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის ინდექსთან შედარებით, საქართველო ოთხი პოზიციით დაქვეითდა.Ⴙკორნელის უნივერსიტეტისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ინდექსი 82 კომპონენტისგან შედგება. აქედან 7 ძირითადია: ინსტიტუციები, ადამიანი-კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარების დონე, ბიზნესის განვითარების დონე, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითი მიღწევები.Ⴙინსტიტუციების კომპონენტში საქართველო 47-ე, ბიზნესგარემოს ნაწილში - 53-ე, ბიზნესის წამოწყების სიმარტივით მე-8, გადასახადების გადახდის სიმარტივით - 20-ე ადგილზე, ადამიანური კაპიტალისა და კვლევის კომპონენტში - საქართველოს 89-ე, ინფრასტრუქტურა - 74-ე, ბაზრის განვითარების დონით - 53-ე, ბიზნესის განვითარების დონით - 101-ე, ცოდნა და ტექნოლოგიებით - 54-ე, შემოქმედებითი მიღწევებით - 69-ე პოზიციაზე.Ⴙპგლობალური ინოვაციების ინდექსის" პირველ ხუთეულში აღმოჩნდნენ შვეიცარია, შვედეთი, ნიდერლანდები, აშშ და დიდი ბრიტანეთი. რაც შეეხება მეზობელ ქვეყნებს, სომხეთი რეიტინგში 59-ე, აზერბაიჯანი - 82-ე, თურქეთი - 43-ე, რუსეთი - 45-ე, უკრაინა კი 50-ე ადგილზეა [1].

სურათი 1




წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი. www. bpn.ge/ekonomika

ინოვაციების გლობალური ინდექსი ორ ქვეინდექსს მოიცავს: ინოვაციების დანახარჯები (innovation input) და ინოვაციური პროდუქცია, რითაც დგინდება ინოვაციური ეფექტიანობის კოეფიციენტი. ინოვაციების დანახარჯების ქვეინდექსი პირველი ხუთი ინდიკატორის (ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი/კვლევა, ინფრასტრუქტურა, ბაზრისა და ბიზნესის განვითარება) საშუალო ქულაა. ინოვაციური პროდუქცია კი ბოლო ორი ინდიკატორის (შემოქმედებითი პროდუქცია და ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება) საშუალო მაჩვენებელია. ინოვაციების ეფექტიანობის კოეფიციენტი ინოვაციური პროდუქციის ინოვაციების დანახარჯებთან თანაფარდობით გამოითვლება. მისი მაჩვენებელი 0-დან 1-მდე მერყეობს, სადაც 1 არის საუკეთესო ქულა.

ინოვაციური პროდუქციის კრიტერიუმით საქართველო 26.7 ქულით მე-60 ადგილს იკავებს; ინოვაციებზე მოსული დანახარჯებით კი 41 ქულით 67-ე ადგილზეა. შედეგად, ქვეყნის ინოვაციური ეფექტიანობის კოეფიციენტმა 0.7 შეადგინა, რითიც 128 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზე ვიმყოფებით.

ქვეყნების ინოვაციურობის თვალსაზრისით გამოყოფილია ძლიერი და სუსტი მხარეები. საქართველოს შემთხვევაში ძლიერ მხარეებად დასახელებულია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე (97.8 ქულით მე-6 ადგილი); ტარიფების განაკვეთი (95.7 ქულით მე-5 ადგილი); კრედიტის აღების სიმარტივე (85 ქულით მე-7 ადგილი); ბეჭდვითი და საგამომცემლო პროდუქცია (83.2 ქულით მე-4 ადგილი); მცირე აქციონერთა ინტერესების დაცვა (68.3 ქულით მე-20 ადგილი); პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა მშპ-სთან მიმართებაში (66.8 ქულით მე-10 ადგილი). ქვეყნის სუსტი მხარეებია: უნივერსიტეტებისა და კომპანიების/კერძო ბიზნესის თანამშრომლობის ხარისხი (27.3 ქულით 117-ე ადგილი);განათლებაზე გაწეული ხარჯები (10.4 ქულით მე-115

ადგილი); კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები (1.3 ქულით 103-ე ადგილი); კერძო კომპანიების მიერ საკუთარი თანამშრომლების გადამზადებისთვის საჭირო ტრენინგების შეთავაზება (9.4 ქულით 91-ე ადგილი); ქვეყნის პირველი სამი უნივერსიტეტის ადგილი მსოფლიო რეიტინგში (0 ქულა და ბოლო ადგილი მსოფლიოს სხვა 56 ქვეყანასთან ერთად) [1].

**სურათი 2: საქართველოს 2016 წლის შედეგები – ინოვაციების გლობალურ ინდექსი**




წყარო: ინოვაციების გლობალური ინდექსი. www. bpn.ge/ekonomika

საქართველოში ინოვაციების ქვეშ, როგორც წესი, ესმით ტექნიკური ინოვაციები. თუმცა, ის საერთო ინოვაციური პროცესის მხოლოდ ნაწილია და როგორიც პრაქტიკა მეტყველებს, არ შეიძლება წარმატებული იყოს ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური პროცესების გათვალისწინების გარეშე.

ტექნიკური ინოვაციების პრობლემა დღეს სცილდება ახალი პროდუქტების განვითარების ჩარჩოებს, აქცენტი გადატანილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბიზნეს მოდელი, კორპორაციული სტრუქტურა, ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის, მომსახურება, ბრენდი, დამკვეთის გამოცდილება [2, გვ. 8]. ინოვაცია რომლის ცენტრში - ახალი პროდუქტია შეუძლებელია განხორციელდეს მარკეტინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ორგანიზაციული, სოციალურ-კულტურული, ფინანსური პრობლემების გადაჭრის გარეშე. გლობალიზებულ ბიზნესგარემოში ღია ინოვაციური პროცესი მოითხოვს ინოვაციების უფრო ფართო და ინკლუზიური განხილვას, ვიდრე ტრადიციულად მიღებულია საქართველოში. ამ პროცესისადმი ინტეგრირებული, მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მიდგომა საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ მრავალ შეკითხვას, რომელიც საქართველოს რეალობის გათვალისწინებით აქტუალურია.

ინოვაციური პროცესი გულისხმობს ინოვაციათა შექმნის ეტაპობრიობას. ცნობილი მეცნიერი მ. მაქკეონი [3, გვ. 341] წარმოგვიდგენს ინოვაციური პროცესის შემდეგ ეტაპებს:

| |
|---|
| *იდეა - იდეის დანაწილება - მის პრაქტიკულ რეალიზაცია - სიახლის შექმნა* |

როგორც ამ სქემიდან ჩანს, გლობალიზაციის პირობში ინოვაციურმა პროცესმა შეიძლება მოიცვას რამდენიმე ორგანიზაცია. შესაბამისად, ინოვაცია რომელიც ხორციელდება ერთი ორგანიზაციის მიერ - ლოკალურია, ხოლო ის, რომელიც ხორციელდება რამოდენიმე გლობალური ორგანიზაციის მიერ ღიაა. ამ სქემიდან ჩანს, რომ თანამედროვე პირობებში ტრანსეროვნული კორპორაციები ხასიათდება ინოვაციების დარგში ურთიერთანამშრომლობისა და კოორდინაციის მაღალი დონით და ორიენტაციას იღებენ ღია (საერთაშორისო) ინოვაციებზე, რაც ერთის მხრივ არის ტექნოლოგიური პროგრესის, ხოლო მეორეს მხრივ მოგების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო.

ამდენად, ღია ინოვაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული, თანამედროვე საბაზრო პირობების მქონე ქვეყნებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მაღალი ხარისხით. საქართველო ასეთ ქვეყანათა რიცხვს არ მიეკუთვნება, რაც წარმოადგენს იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ ის ფაქტობრივად არ მონაწილეობს ღია ინოვაციურ პროცესში, რის გამოც იზღუდება ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორიდან ქვეყნის შემოსავლების შევსების შესაძლებლობა. ცხადია ისიც, რომ ის დიდი სხვაობა, რომელიც არსებობს ინოვატორ ქვეყნებსა და საქართველოს შორის, განსაზღვრავს მის პერიფერიულ ადგილს მსოფლიოს ტექნოლოგიურ განვითარებაში. უახლოეს პერსპექტივაში, არსებული ინოვაციური პოტენციალით საქართველოს დასჭირდება 30-40 წელი იმისთვის, რომ ტექნოლოგიური განვითარების დონით გაუტოლდეს განვითარებულ ქვეყნებს.

მეცნიერს ჰ. ჩესბროუს [4, გვ. 403] სწორად მიაჩნია, რომ ღია ინოვაციები დიდადაა „დამოკიდებული იდეებისა და ტექნოლოგიის საშუამავლო ბაზრების განვითარებაზე“. საქართველოში ასეთი საშუამავლო ბაზარი არა თუ განვითარებული, არამედ ფორმირებულიც კი არ არის. ღია ინოვაციების ბიზნესმოდელები განპირობებულია ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორიცაა ბაზრების გლობალიზაცია და გლობალური კონკურენცია, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შემცირება, ახალი ტექნოლოგიების შექმნის მზარდი სირთულე (შესაბამისად იზრდება ხარჯები და რისკები), ტექნოლოგიების, პერსონალისა და ფინანსური გადაწყვეტილებების ბაზრების განვითარება. თანამედროვე პირობებში ინოვაციები კვეთენ საზღვრებს, ისინი განსხვავებულ კულტურულ გარემოში იბადებიან და ვითარდებიან. შესაბამისად, ინოვაციური პროცესის კულტურული შემადგენელი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

საქართველოში ინოვაციური პროცესის ყველაზე განხილვად თემებად მიჩნეულია: ინსტიტუტები; ფინანსები; მენეჯმენტი, პერსონალი, ტექნოლოგია, ინტელექტუალური საკუთრების უფლება, ხოლო კულტურის ფაქტორი მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაკლებად შესწავლილია. ეროვნული და ბიზნეს კულტურა, როგორც ინოვაციის კონტექსტი - თითქმის არ განიხილება. ეს მოტივირებულია იმითაც, რომ ინოვაციების ტექნოლოგიური კომპონენტი უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, ვიდრე ჰუმანიტარული. ამავდროულად, ბაზრების, დარგების და ინოვაციების გლობალიზაციის კონტექსტში ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორების გათვალისწინება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

### ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორები

ინოვაციაში, ტექნიკურ შემადგენელთან ერთად, მნიშვნელოვანია კულტურული საწყისი. კულტურა განსაზღვრავს ინოვაციური პროცესის სპეციფიკასა და თავისებურებებს. ღია ინოვაციური პროცესის წარმატება მოითხოვს ერების მულტიკულტურული თავისებურებების გათვალისწინებას, სახელმწიფოს დომინანტი ფუნქციის სწორ აღქმას, ინოვაციებისადმი რელიგიური მიდგომების შესწავლას. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ლ.ჰარისონი სწავლობდა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების კულტურულ თავისებურებებს. მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნებში გაბატონებულ სიღარიბესა და უსამართლობას ღრმა კულტურული ფესვები აქვს და ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურის ისეთმა დეტერმინანტმა, როგორიცაა რელიგია. „ზოგიერთი რელიგია უკეთ არის ორიენტირებული პერსონალურ პასუხისმგებლობაზე, მეწარმეობაზე, განათლებაზე და ნდობაზე ვიდრე სხვები. რაც შეეხება დემოკრატიას, კეთილდღეობასა და კანონის უზენაესობას, პროტესტანტული საზოგადოებები, განსაკუთრებით ჩრდილოეთის ქვეყნები (დანია, ფინეთი, ისლანდია, ნორვეგია და შვედეთი) მნიშვნელოვნად უსწრებენ კათოლიკურ ერებს. კონფუციურმა საზოგადოებებმა (იაპონია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩინეთი) მიაღწიეს ტრანსფორმაციულ ეკონომიკურ ზრდას. ისლამური ქვეყნები, თუნდაც ნავთობით მდიდარ რეგიონებში, კვლავაც გამოირჩევიან ეკონომიკური შენელების ტემპით"[5,გვ.134]. რელიგიის ფაქტორით შეიძლება აიხსნას ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი, რაც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაასაბუთა ცნობილმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა თავის ნაშრომში: „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“[10]. ,საეკლესიო რეფორმაციამ, რომელიც შთაგონებული იყო კალვინიზმის, ლუთერანიზმის იდეებით, გამოიწვია ევროპის ეკონომიკის ძლიერი და პროგრესული ბიძგი. ლ.ჰარისონი, რომელიც კაპიტალიზმს დემოკრატიასა და თავისუფლებით უკავშირებს, ასევე გამოყოფს ორთოდოქსული ეკლესიის როლს, რომელმაც ხელი შეუწყო ანტიკაპიტალისტურ ტენდენციებს მართლმადიდებლურ ქვეყნებში, რაც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენდა ამ რეგიონების ინოვაციურობაზე [5,გვ.108].

ლ. ჰარისონის მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში (რამდენიმე თაობის ცვლას) შეუძლია განავითაროს კულტურა, რაც თავის მხრივ გამოიწვევს პოლიტიკურ პლურალიზმს და ეკონომიკურ განვითარებას. ცვლილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტებია:1) განათლება, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიულ და სამეწარმეო ღირებულებების განვითარებას; 2) ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესება; 3) რელიგიური რეფორმა [5, გვ. 132].

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა ინოვაციებისადმი რეზისტენტულია. ის ეწინააღმდეგება პროგრესს. ქვეყნის საბაზისო სამართლებრივი, ეკონომიკური, დემოკრატიული პირობები არ შეესაბამება ქვეყნის კულტურული რეფორმაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოთხოვნებს.

ტექნოლოგიური პროგრესის კულტურულ ფაქტორებს შორის, ბრიტანელი მკვლევარი გ.გელადე გამოყოფს ღია ინტელექტუალურ გარემოს, ინტელექტუალურ ავტონომიასა და სოციალურ თანასწორობას [6, გვ. 412]. ამერიკელი მკვლევარი ს.შანე [7, გვ. 51] აღნიშნავს, რომ გაურკვევლობისადმი დამოკიდებულება (როგორც რისკისა და ცვლილებებისადმი მზაობა), ინდივიდუალიზმი (როგორც ავტონომია, დამოუკიდებლობა და თავისუფლება), და ხელისუფლების დისტანციის ნაკლებობა (როგორც იერარქიისა და ავტორიტარიზმის ანტიპოდი) ასოცირებულიდება ერების მაღალ ინოვაციურობასთან. "ინოვაციათა ეროვნული მაჩვენებლები განპირობებულია უფრო ფუნდამენტური ძალებით, ვიდრე ეკონომიკური პირობებით. სოციალური ცვლილებები აუცილებელი შეიძლება იყოს იმისათვის, რომ ნაკლები ინოვაციური საზოგადოება უფრო ინოვაციური გახდეს» [7, გვ. 38]. მკვლევარი ტ.ფრიდმანის აზრით, ქვეყნის განვითარება განპირობებულია ისეთი კულტურული ფაქტორებით, როგორიცაა საგარეო იდეების გახსნილობა და ერის უცხოელებთან თანამშრომლობის სურვილი[8, გვ. 178]. ლ.ჰარისონის მიხედვით, "ზოგიერთი კულტურა პროგრესისადმი უფრო მიდრეკილიას, სხვები კი არა.“ თავის წიგნში [5, pp.36-37]. მეცნიერმა წარმოადგინა პროგრესისადმი მიდრეკილი და პროგრესის საწინააღმდეგო კულტურების შედარებითი თვისებები. კულტურების ფაქტორები გაერთიანებულია 4 ჯგუფში - „სამყაროზე წარმოდგენა", „ფასეულობები", „ეკონომიკური ქცევა", „სოციალური ქცევა"(იხ. სქემა).

**პროგრესისადმი მიდრეკილი და პროგრესის საწინააღმდეგო კულტურების ტიპოლოგია ლ. ჰარისონის მიხედვით**

| კულტურის ფაქტორები | პროგრესისადმი მიდრეკილი კულტურები | პროგრესის საწინააღმდეგო კულტურები |
|---|---|---|
| **სამყაროზე წარმოდგენა** | | |
| რელიგია | ქადაგებს რაციონალობას, მიღწევებს, ასტიმულირებს მატერიალურ სიმდიდრის დაგროვებას, ახდენს ფოკუსირებას ამქვეყნიურ რეალობაზე | ქადაგებს ირაციონალობას, თრთგუნავს მატერიალური სიმდიდრის დაგროვებას, ფოკუსირებას ახდენს იმქვეყნიურ სამყაროზე |
| ბედი | შესაძლებელია საკუთარ ბედზე ზეგავლენა | შეუძლებელია საკუთარ ბედზე ზეგავლენა |
| დროითი ორიენტაცია | პრიორიტეტი ენიჭება მომავლის განჭვრეტას, დაგეგმვას, პუნქტუალობას | პრიორიტეტი არ ენიჭება მომავლის განჭვრეტას, დაგეგმვას, პუნქტუალურობას |
| სიმდიდრე/კეთილდღეობა | ადამიანის საქმიანობის პროდუქტია, შესაძლებელია მისი ზრდა | რაც გაგვაჩნია, ის არის სიმდიდრე |
| ცოდნა | პრაქტიკული, ვერიფიცირებული | კოსმოლოგიური, არავერიფიცირებული, აბსტრაქტული, თეორიული |
| **ფასეულობები** | | |
| ეთიკური კოდექსი | მკაცრად ფორმალიზებული, იწვევს ნდობას | არაფორმალიზებული |
| განათლება | აუცილებელია, არაორთოდოქსულია, კრეატიულია | დამოკიდებული, ორთოდოქსული |

ეკონომიკური ქცევა

| | | |
|---|---|---|
| შრომა/მიღწევები | ვიცხოვროთ შრომისთვის; შრომას მივყავართ სიმდიდრისკენ | ვშრომობთ, რომ ვიცხოვროთ, სამუშაოს არ მივყავართ სიმდიდრისკენ |
| ყაირათიანობა/რაციონალობა | პრიორიტეტი ენიჭება ინვესტიციებს, რაციონალობას | თანასწორობის საფრთხეა |
| მეწარმეობა | კრეატიული | რენტაზე ორიენტირებული |
| ინოვაციურობა | ღია ინოვაციები | ინოვაციებისადმი ნელი ადაპტაცია |
| კონკურენცია | მივყავართ სრულყოფილებისკენ | თანასწორობის წინააღმდეგია |

სოციალური ქცევა

| | | |
|---|---|---|
| კანონის უზენაესობა | კანონმორჩილება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა | კანონის სისუსტე, კორუფცია |
| ნდობის და იდენტიფიკაციის რადიუსი | ფართო საზოგადოებისადმი იდენტიფიკაცია | ვიწრო საზოგადოებისადმი იდენტიფიკაცია |
| ინდივიდუალური/ჯგუფური | ინდივიდუალიზმი | კოლექტივიზმი |
| ავტორიტეტი | დაბალანსებული კონტროლი, კონსენსუსი | ცენტრალიზებული |
| ეკლესიისადმი დამოკიდებულება | სეკულარული | რელიგია თამაშობს საზოგადოებრივ ურთიერთობებში მთავარ როლს |
| გენდერული ურთიერთობები | სქესის თანასწორუფლებიანობა | ქალი ყველა სფეროში ემორჩილება მამაკაცს |

წყარო: Harrison, The Central Liberal Truth. Oxford University

## ქართული ინოვაციების სფეროში მულტიკულტურული კომპეტენციის განვითარება

კულტურა მოიცავს აბსტრაქტულ და მატერიალურ ელემენტებს. აბსტრაქტული ელემენტები მოიცავს ფასეულობებს, ნორმებს, იდეებს. კულტურის ყველა კომპონენტი ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი ს.შემანი აღნიშნავს, რომ დემოკრატია შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს არ აღემატება 10,000 აშშ დოლარს [8, გვ.71].

კულტურას, საზოგადოების კეთილდღეობის დონესა და საჯარო ინსტიტუტებს შორის კავშირზე მიუთითებს მკვლევარი ჯ. მოვენი [9, გვ. 702). მეცნიერის მიხედვით, საზოგადოების კულტურული კონცეფცია მოიცავს სამ კომპლექსურ ფაქტორს, რომლებიც ქმნის კულტურის სამგანზომილებიან მატრიცას. ესენია:

1. კულტურული ფასეულობები (აშშ-ისთვის - ინდივიდუალიზმი, მიღწევები, ინფორმატიულობა, თანასწორობა, პროგრესი, მატერიალიზმი);
2. მატერიალური გარემო (ეკონომიკური განვითარება, გეოგრაფიული მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსები, ტექნიკური/სამეცნიერო დონე),
3. ინსტიტუციური/სოციალური გარემო (იურიდიული, პოლიტიკური, რელიგიური, ბიზნესი, სუბკულტურა).

იმისათვის, რომ მოხდეს ქართული ბიზნესის ღია ინოვაციებში მონაწილეობის აქტივიზაცია, მულტიკულტურული ბარიერების დაძლევის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია:

1. ინოვაციათა ბაზრის ფორმირება, საქართველოში მისი განვითარების ინსტიტუციური პირობების შექმნა.
2. ქვეყანაში ინოვაციათა შუამავლების ინსტიტუტის ფორმირება, ამ ფუნქციის დაკისრება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტისადმი.
3. ღია ინოვაციების სფეროში კულტურული რელატივიზმის პრინციპების დანერგვა.
4. ნაციონალური მარშების საპირწონედ კულტურული ტოლერანტიზმისა და სხვა კულტურების პატივისცემის იდეის დანერგვა და მისი აქტიური პროპაგანდა მოსახლეობაში.

5. განათლებისა და ბიზნესის, მეცნიერების სფეროების ინტერნაციონალიზაცია, მათი ღიაობის პრინციპების დაცვა.

6. ინოვაციური ღირებულებების პროპაგანდა, მეცნიერ-ინოვატორების მატერიუალური და მორალური წახალისების პირობების შექმნა.

7. ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის წახალისების ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ფინანსური პირობების შექმნა.

ამ და სხვა ღონისძიებების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის საქართველო არაინოვაციური ქვეყნების რიგებიდან ინოვაციურ ქვეყანათა კატეგორიას შეუერთდეს, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

ლიტერატურა:


1. ინოვაციების გლობალური ინდექსი. www. bpn.ge/ekonomika ;
2. Andrew J., The Innovation Imperative in Manufacturing. How the United States Can Restore Its Edge. BCG, MI, NAM. March, 2009;
3. McKeown, M., (2008). *The Truth About Innovation*. London, UK: Prentice Hall,-249 p;
4. Chesbrough H., Open Business Models. Cambridge, Massachusetts: Harvard Business Press, 2006. – 256 pp;
5. Harrison L., (2006 a) The Central Liberal Truth: How Politics Can Change a Culture and Save It from Itself. Oxford University Press, 2006. -288 pp;
6. Gelade G., IQ, cultural values, and the technological achievement of nations. // Intelligence. Volume 36, Issue 6, November-December 2008, pp. 711-718;
7. Shane S., Cultural influences on national rates of innovation.// Journal of Business Venturing. Volume 8, Issue 1, January 1993, Pages 59-73;
8. Sheann S., Yegor Gaidar, the Man Who Killed the Command Economy. The New York Times, December 22, 2009;
9. Mowen J., Consumer Behavior. 4-th ed. Macmillan Publishing Co., 1995. - 862 pp;
10. Weber, Max The Protestant Ethic and “The Spirit of Capitalism”. Roxbury publ. Co.2002.


## The Impact of Cultural Determinants on the Management of Business Innovations


Teimuraz Shengelia

*Doctor of Economics, Professor*
*Tbilisi State University*



**R e s u m e**

Innovations are the phenomenon of globalizing, dynamic and highly competitive markets of goods, services and ideas. Open innovations cross the borders of companies, of countries and of continents and because of it are regarded as cross-cultural process. Georgia’s wide-scale integration into global innovation networks supposes the development of cross-cultural competencies for Georgia society. The knowledge and understanding at least, and possibly, the adoption of cultural values of the nations – global innovation leaders - are important.



*Keywords: innovations; technological development; economical growth; progress; resistant.*

# თანამედროვე მენეჯმენტის პერსპექტივები პიტერ დრაკერის მიხედვით

**გიორგი შიხაშვილი**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს უკავია. პროფესიული მენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო პერიოდი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად".*

*მართვის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო პ. დრაკერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად". იგი იყო მეცნიერი, რომელიც ყოველმხრივ უსვამდა ხაზს მენ-ჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომის აუცილებლობას.*

*მენეჯერები არ უნდა აზროვნებდნენ მხოლოდ ტექნოკრატიულად, ისინი ვალდებულნი არიან ესმოდეთ სა-კუთარი მოღვაწეობის სოციალური მნიშვნელობა.*

*პ. დრაკერი გვთავაზობს ახალ პარადიგმას: „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეცი-ფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა"*

*საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღ-წევების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აუცილებლად უნდა განხორციელდეს.*

***საკვნძო სიტყვები: თანამედროვე მენეჯმენტის მამა. პროფესიული მენეჯმენტის თეორია და პრაქტიკა. პიტერ დრაკერის ეპოქა. მენეჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომა. ტექნოკრატიული მენეჯერები. მენეჯმენტის სოციალური მნიშვნელობა. თანამედროვე მენეჯმენტის პერსპექტივები და ამოცანები.***

თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს (Peter Ferdinand Drucker) უკავია. პროფესიული მენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის ისტორიაში ბოლო პერიოდი სამართლიანად არის მიჩნეული „პიტერ დრაკერის ეპოქად".

მართვის მეცნიერების და პრაქტიკის განვითარების სფეროში უდიდესი დამსახურების გამო პ. დრა-კერი აღიარებულია „თანამედროვე მენეჯმენტის მამად" (The Father of Modern Management) [1]. სწორედ ამიტომ განუზომელია ის დიდი დანაკარგი, რომელიც განიცადა მართვის მეცნიერებამ 2005 წლის 11 ნოემბერს პ. დრაკერის გარდაცვალების გამო.

პ. დრაკერის ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესოა [1]; [2, გვ. 316-322, 1085-1086]. იგი დაიბადა 1909 წლის 19 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. პ. დრაკერმა მიიღო დოქტორის ხარისხი ფრანკფურტის უნივერსიტეტში სამოქალაქო და საერთაშორისო სამართლის სფეროში და 1933 წელს საცხოვრებლად გადავიდა ლონდონში, სადაც საინვესტიციო ბანკირად მუშაობდა. 1937 წელს იგი საცხოვრებლად აშშ-ში გადადის და მუშაობას იწყებს ჟურნალისტად.

1942 წელს პ. დრაკერი არჩეულ იქნა ფილოსოფიის და პოლიტიკის პროფესორის თანამდებობაზე ვერმონტის შტატის ბენინგტონის კოლეჯში. 1950 წელს იგი გადავიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მენეჯ-მენტის პროფესორის თანამდებობაზე მენეჯმენტის კათედრაზე. 1971 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პ. დრა-კერი მუშაობდა საზოგადოებრივი მეცნიერებების და მენეჯმენტის პროფესორის თანამდებობაზე კლერ-მონტის (კალიფორნია) უნივერსიტეტში, რომლის მენეჯმენტის უმაღლეს სკოლას ჯერ კიდევ 1987 წელს მიენიჭა პ. დრაკერის სახელი.

1990-2002 წლებში პ. დრაკერი იყო საპატიო თავმჯდომარე მისივე სახელობის ფონდისა სახელ-წოდებით: The P.F. Drucker Foudation for Nonprofit Management (არამომგებიანი მენეჯმენტის პ. დრაკერის ფონდი), რომელსაც დღეს ეწოდება Leader to Leader Institute (ინსტიტუტი - ლიდერი ლიდერს).

ამერიკაში ცხოვრების პირველივე წლებიდან იწყება და ცხოვრების ბოლო დღეებამდე გრძელდება პ. დრაკერის გამოჩენილი კარიერა როგორც სწავლული ეკონომისტის, პედაგოგისა და ცნობილი კონსულტან-ტისა. იგი იყო მეცნიერი, რომელიც ყოველმხრივ უსვამდა ხაზს მენეჯმენტისადმი ჰუმანისტური მიდგომის აუცილებლობას. თავისი სამწერლობო და ორატორული ხელოვნებით მან მრავალი ადამიანის სიმპათია და-იმსახურა. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა 2002 წელს პირადად დააჯილდოვა პ. დრაკერი თავისუფლების საპ-რეზიდენტო მედლით.

პ. დრაკერი დიდი რაოდენობის, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორია. მან გამო-აქვეყნა 40 წიგნი, რომლებიც თარგმნილია მსოფლიოს 20-ზე მეტ ენაზე. ამ წიგნებიდან თითქმის ნახევარი ეძღვნება უშუალოდ მენეჯმენტის პრობლემატიკას, სხვები - კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური თეორიის და პოლიტიკის, აგრეთვე ხელოვნების (იაპონური ფერწერის) აქტუალურ საკითხებს. მისი წიგნებიდან აღსანიშნავია, ასევე, ორი რომანი და ავტობიოგრაფია. პ. დრაკერმა შექმნა აგრეთვე 4 სასწავ-ლო ფილმი მენეჯმენტის თემატიკაზე. პ. დრაკერის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სტატია და ესსე, რომელ-თაგან რეკორდული რაოდენობა - 30-ზე მეტი გამოქვეყნებულია მენეჯმენტის სფეროს მსოფლიოში ყველაზე ავტორიტეტულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ჰარვარდ ბიზნეს რევიუ“ (The Harvard Busiess Review).

1975 წლიდან პ. დრაკერი პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა ისეთ გამოცემებში, როგორიცაა The Wall Street Journal, The Harvard Busiess Review, The Atlantic Monthly, The Economist. იგი სიცოცხლის ბოლო წლებშიც აქტიურ საკონსულტაციო მომსახურებას უწევდა სამეწარმეო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

1936 წელს, 27 წლის ასაკში, იგი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს The End of Economic Man („ეკონომიკური ადამიანის დასასრული“), მიძღვნილს ფაშიზმის ეკონომიკური საწყისების კვლევისადმი. 1942 წელს გამოდის მისი მეორე წიგნი The Future of Industrial Man („ინდუსტრიული ადამიანის მომავალი“). ამ წიგნში ავტორი ცდილობს განჭვრიტოს ომისშემდგომი მომავალი და აღწეროს ახალი მსოფლიოს არსი. თავის მესამე წიგნში The Concept of Corporation (“კორპორაციის კონცეფცია”) (1946 და 1993 წ.წ.) პ. დრაკერი ახდენს ორგანიზაციების ისეთი ტიპების ინდენტიფიცირებას, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ჭარბობდნენ მომავლის საზოგადოებაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

შემდგომი წლების გამოცემებიდან აღსანიშნავია პ. დრაკერის შემდეგი წიგნები:

- 1954 და 1994 წელს - The Practice of Management (მენეჯმენტის პრაქტიკა);
- 1964 და 1993 წელს - Managing for Results (მართვა შედეგების მიხედვით);
- 1966 და 1993 წელს The Effective Executive (ეფექტური ხელმძღვანელი);
- 1970 წელს - Technology, Management and Society (ტექნოლოგია, მენეჯმენტი და საზოგადოება);
- 1974 და 1993 წელს - Management: Tasks, Responsibilities, Practicies (მენეჯმენტი: ამოცანები, მოვა-ლეობები, განხორციელების მეთოდები);
- 1980 და 1993 წელს - Managing in Turbulent Times (მართვა მძაფრ, მძვინვარე დროებაში);
- 1981 წელს - Towards the Next Economics (გზა მომავალი ეკონომიკისაკენ);
- 1982 წელს - The Changing World of the Executive (ხელმძღვანელის ცვალებადი სამყარო);
- 1985 წელს - Innovation and Enterpreneurship (ინოვაციები და მეწარმეობა);
- 1986 და 1997 წელს - The Frontiers of Management (მენეჯმენტის საზღვრები);
- 1990 და 1992 წელს - Managing the Non-profit Organization: Principles and Practices (არამომგებიანი ორგანიზაციის მენეჯმენტი - თარგმნილია ქართულ ენაზე სახელწოდებით: არაკომერციული ორგანიზაციის მართვა: პრინციპები და პრაქტიკა. თბილისი, მესამე სექტორის ფონდი “ჰორიზონტი”, 2001);
- 1992 წელს - Managing for the Future: The 1990s and Beyond (მართვა მომავლისათვის: 1990-ანები და შემდგომ)
- 1999 წელს - Management Challenges for the 21 st Century (მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში);
- 2002 წელს - Managing in the Next Society (მართვა მომავალ საზოგადოებაში);
- 2005 წელს - The Effective Executive in Action (ეფექტიანი ხელმძღვანელი მოქმედებაში).

პ. დრაკერი თავის ნაშრომებში მენეჯმენტს განიხილავს როგორც თავისებურ ახალ ფილოსოფიას. იგი აქცენტს აკეთებს წარმოების საბოლოო შედეგზე, რის საფუძველზეც აყალიბებს „მიზნების მიხედვით მართვის“ კონცეფციას. პ. დრაკერისათვის უმნიშვნელოვანესია მომავლის ხედვა და ინოვაციური საქმიანობა.

პ. დრაკერის ფილოსოფიის მიხედვით, საწარმოს საბოლოო მიზანი არის საზოგადოებრივი სიკეთეების შექმნა. ორგანიზაცია არსებობს იმისათვის, რომ კონკრეტულ პროდუქციად გარდაქმნას ადამიანის ძალისხმევა - „პირადი ძალისხმევა ქმნის საზოგადოებრივ სარგებლიანობას“ [3, გვ. 81]. ასეთი პარადიგმა წარმოადგენს მენეჯმენტის ფილოსოფიის დრაკერისეული გააზრების ძირეულ არსს.

პ. დრაკერის ნაშრომების მნიშვნელოვანი ფაქტორია აზრი, რომლის მიხედვითაც მენეჯერებისათვის აუცილებელია გაითვალისწინონ ის სოციალური ზეგავლენა, რასაც მათი ორგანიზაცია ახდენს გარე გარემოზე. მენეჯერები არ უნდა აზროვნებდნენ მხოლოდ ტექნოკრატიულად, ისინი ვალდებულნი არიან ესმოდეთ საკუთარი მოღვაწეობის სოციალური მნიშვნელობა. რაც უფრო მეტად მსხვილდება და ძლიერდება საწარმო, მით უფრო მეტ სოციალურ ზეგავლენას ახდენს იგი გარემოზე და შესაბამისად იზრდება ამ ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა - „სოციალური პასუხისმგებლობის მოთხოვნა მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს წარმატების საზღაურს“ [4, გვ. 28]. ამასთან დაკავშირებით ჯ. ტარანტი წერს: „პ. დრაკერი არასოდეს კარგავს მხედველობის არედან საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც ზოგადად მდებარეობს ორგანიზაციის შიგნით და კერძო შემთხვევაში - კორპორაციის შიგნით. კორპორაციების მართვა უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ პრაგმატული წესების ნაკრების შესაბამისად, არამედ ასევე იმ ფილოსოფიური ცნებების ფარგლებში, რომლებიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის როლს ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ [5, გვ. 84].

პ. დრაკერის ფილოსოფიურ-კონცეპტუალური მიდგომა სრულად ეხმიანება გაეროს მიერ 1992 წელს მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებულ მდგრადი განვითარების კონცეფციას და პროგრამას XXI საუკუნისათვის [6]. ამ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განვითარების ტენდენციების მიხედვით აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს სამეურნეო-მმართველობითი კონცეფციები, პარადიგმები და სამენეჯმენტო პრაქტიკა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თითოეულ სახელმწიფოში და ყოველ ცალკეულ სამეწარმეო და არასამეწარმეო დარგში.

ახლა მოკლედ განვიხილოთ უმთავრესი პარადიგმები, რომლებიც ასახულია პ. დრაკერის წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში“, რომელშიც შესწავლილ-გაანალიზებულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა [7]:

- ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანები;
- მენეჯმენტის ახალი პარადიგმა;
- დღევანდელი მმართველობითი კონცეფციების ანალიზი სამომავლო ტენდენციების ფონზე;
- ორგანიზაციული სტრუქტურების, პერსონალის მართვის, ტექნოლოგიების, იურიდიული გარემოს და სხვა სფეროების განვითარების პერსპექტივები;
- ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიები და ორგანიზაციის სტრატეგია;
- ცვლილებების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები;
- ცვლილებები და სტაბილურობა;
- მომავლის შენება;
- გონებრივი შრომის მუშაკთა მწარმოებლურობა;
- მენეჯერის როლი კარიერასა და ცხოვრებაში.

თავის ამ ნაშრომში პ. დრაკერი აღნიშნავს, რომ „ის, ვინც დღეს მუშაობს ხვალინდელი დღის პრობლემებზე და ამით ამზადებს საკუთარ თავს და თავის ორგანიზაციას ახალი ამოცანებისათვის, ახლო მომავალში დაიკავებს მოწინავე პოზიციებს. ხოლო ის, ვინც ამოცანების გადაჭრას გადადებს სამომავლოდ, უკან ჩამორჩება და, ალბათ, ვერასდროს აინაზღაურებს დაკარგულს“ [7, გვ. 11].

პ. დრაკერი აანალიზებს დღეისათვის გაბატონებულ უმთავრეს მმართველობით პარადიგმებს და კონცეფციებს და ასკვნის, რომ მათ დღეისათვის სრულიად ამოწურეს საკუთარი თავი და უფრო დაცინვას იმსახურებენ ვიდრე პატივისცემას. დღეს ისინი იმდენად დაშორდნენ რეალობას, რომ ამუხრუჭებენ მენეჯმენტის თეორიის განვითარებას და, რაც უფრო უარესია, ხელს უშლიან პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, დადგა დრო

მათი გადასინჯვისა, რათა ფორმულირებულ იქნეს ახალი შეხედულებები, რომლებიც გამოაცოცხლებენ მენეჯმენტის მეცნიერებასაც და პრაქტიკასაც [7, გვ. 18]. პ. დრაკერი განიხილავს ასეთ შეხედულებებს, იძლევა წინადადებებს მათი შეცვლისათვის და გვთავაზობს შესაბამის პარადიგმებს.

მაგალითად, დღეისათვის თითქმის საყოველთაოდ, განსაკუთრებით - საქართველოში, გავრცელებულია აზრი, რომ მენეჯმენტი - ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია. პ. დრაკერი სათანადო მსჯელობის საფუძველზე ასკვნის, რომ ასეთი შეხედულება მცდარია და გვთავაზობს ახალ პარადიგმას: „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა" [7, გვ. 23] და დასძენს, რომ „თანამედროვე საზოგადოების, ეკონომიკისა და ადამიანური ურთიერთობების საფუძველი არის მართვადი ორგანიზაცია, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომლის მიზანს შედეგის მიღწევა წარმოადგენს. ხოლო მენეჯმენტი - არის სპეციალური ინსტრუმენტი, განსაკუთრებული ფუნქცია, სპეციფიური აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციას საჭირო შედეგების მიღწევის საშუალებით. საკითხის ასეთი გაგება მოითხოვს მენეჯმენტის სრულიად ახალ პარადიგმას. მენეჯმენტის ყურადღების და პასუხისმგებლობის სფეროში შედის ყველაფერი, რაც რამენაირად ახდენს გავლენას ორგანიზაციის მწარმოებლურობაზე და მისი საქმიანობის შედეგიანობაზე - ორგანიზაციის შიგნით, თუ მის ფარგლებს გარეთ, ორგანიზაციის მიერ კონტროლირებად, თუ არაკონტროლირებად სფეროებში" [7, გვ. 64-64].

მენეჯმენტის ახალი პარადიგმის გააზრებასთან დაკავშირებით ქვემოთ მოვიყვანთ პ. დრაკერის სათანადო მსჯელობას და არგუმენტაციას. მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი ფრიად აქტუალურია ჩვენი სამეცნიერო წრეებისათვის, ვინაიდან ჩვენში აზრთა სხვადასხვაობა და პოლემიკაა მენეჯმენტის ადგილთან, ტერმინოლოგიასა და დეფინიციებთან დაკავშირებით.

მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ აუცილებელია მკვეთრად გაიმიჯნოს დეფინიციები და მენეჯმენტი ეწოდებოდეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტს, ხოლო პოლიტიკური, სამთავრობო-აღმასრულებელი, სამართალდამცავი და სასამართლო, გარემოსდაცვითი, რელიგიური და არაკომერციული სფეროებისათვის გამოიყენებოდეს სხვა მმართველობითი ტერმინოლოგია და არავითარ შემთხვევაში (!? - გ.შ.) - ტერმინი „მენეჯმენტი". ჩვენ არ ვიზიარებთ ასეთ შეხედულებას, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენში უკვე ინტენსიურად მკვიდრდება ისეთი თეორიული კონცეფციები, პარადიგმები, სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინები, პრაქტიკული მმართველობითი საქმიანობის სახეობები და სტრუქტურები, როგორიცაა: „სოციალური სისტემების მენეჯმენტი", „ინფორმაციული სისტემების მენეჯმენტი", „პოლიტიკური მენეჯმენტი", „პარტიული ორგანიზაციების მენეჯმენტი", „სასამართლოების მენეჯმენტი", „სამთავრობო მენეჯმენტი", „ადგილობრივი მენეჯმენტი", „სამინისტროს მენეჯმენტი", „საგარეო ურთიერთობათა მენეჯმენტი", „საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, გაეროს, უშიშროების საბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკავშირის და სხვ.) მენეჯმენტი", „განათლების (უნივერსიტეტების, სკოლების და საბავშვო ბაღების) მენეჯმენტი", „დიპლომატიური მენეჯმენტი", „ბუნებრივი სისტემების, ბიოგეოცენოზების და მათი ცალკეული ელემენტების (ტყის, წყლის, მიწის და სხვ.) მენეჯმენტი", „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი", „ტელეკომუნიკაციური სისტემების მენეჯმენტი", „ჯანდაცვის და მედიცინის (მათ შორის მშობიარობის, ქირურგიული ოპერაციის და სხვ.) მენეჯმენტი", „ორგანიზაციული მენეჯმენტი", „პროექტების მენეჯმენტი", „არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტი", „რელიგიური ორგანიზაციების (ეკლესიის, მონასტრის, სამრევლოს, საძმოს) მენეჯმენტი" და სხვ.

მაგალითად, ეკლესიის მენეჯმენტის მაგისტრებს (Master of Church Management - MCM) ამზადებს აშშ-ს ილინოისის შტატის ქ. კანკაკის Olivet Nazarene University, Institute for Church Management. აშშ-ს სხვადასხვა უნივერსიტეტებში სტუდენტებს აგრეთვე ამზადებენ ისეთი სპეციალობებით, როგორიცაა: Master of Nonprofit Management (MNM - არასამთავობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Public Management (MPM - სამთავრობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Pest Management (MPM - სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მენეჯმენტის მაგისტრი), Master of Natural Resource Management (MNRM - ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის მაგისტრი) და სხვ. (იხილეთ ბოლო წლების გამოცემები წიგნისა: Peterson's Guide to Graduate Programs in the Humanities, Arts and Social Sciences. Peterson's. Princeton, New Jersey).

ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ პ. დრაკერისეულ უზოგადეს ფორმულირებას _ „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა", რომელსაც იგი ასაბუთებს შემდეგი მსჯელობის საფუძველზე:

XX საუკუნის 30-ან წლებამდე მეცნიერებს, - ფ. ტეილორით (1856-1915) დაწყებული და ჩ. ბარნარდით (1886-1961) დამთავრებული, - მიაჩნდათ, რომ ბიზნესის მენეჯმენტი ეს მხოლოდ საერთო, ზოგადი მენეჯმენტის ქვესახეობაა.

მენჯმენტის თეორიის პრაქტიკული გამოყენება დაიწყო სრულიადაც არა კომერციულ, არამედ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებში. 1912 წელს აშშ-ს კონგრესისადმი თავის მოხსენებაში ფ. ტეილორმა „მეცნიერული მენეჯმენტის" გამოყენების საცდელი მაგალითის სახით მოიტანა არა კომერციული საწარმო, არამედ არაკომერციული ორგანიზაცია - მეიოს კლინიკა. სწორედ ამ მოხსენების შემდეგ დაიწყეს აშშ-ში სერიოზული ფიქრი მენეჯმენტის შესახებ. „მეცნიერული მენეჯმენტის" გამოყენების ყველაზე სერიოზული ფაქტი აღინიშნა ასევე არა კომერციულ ორგანიზაციაში, არამედ აშშ-ს არმიის ოუთერ-თაუნის არსენალში, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა. 1922 წელს პრაღაში ჩატარებული I კონგრესი მენ-ჯმენტში, ორგანიზებული იყო არა ბიზნესმენების, არამედ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. მერი პ. ფოლეტი არ ანსხვავებდა კომერციულ და არაკომერციულ მენეჯმენტს, იგი ლაპარაკობდა ორგანიზაციის მე-ნეჯმენტზე, რომელიც ეყრდნობოდა ერთსა და იმავე პრინციპებს.

ზოგადი მენეჯმენტის ბიზნესის მენეჯმენტთან გაიგივებას ბიძგი მისცა დიდმა დეპრესიამ, როდესაც მტრულად და სიძულვილით აღიქვამდნენ კომერციას და ბიზნესმენებს. ამიტომ, იმისათვის, რომ ერთმანეთ-ში არ არეოდათ ბიზნესის მენეჯმენტი და საზოგადოებრივი სექტორის მენეჯმენტი, ამ უკანასკნელს გადაარქვეს სახელი, უწოდეს რა „სახელმწიფოებრივი მართვა" და გამოაცხადეს ცალკე საუნივერსიტეტო დისციპლინად, თავისი ტერმინოლოგიით და საკარიერო კიბით. სხვა სიტყვებით, დეპრესიის პერიოდის „პოლიტიკურმა კორექტულობამ" მოითხოვა და გამოიწვია სიტყვა „მენეჯმენტის" უარყოფა.

II მსოფლიო ომის პერიოდში მეწარმეობის წარმატების კვალობაზე ომის შემდეგ მოდა შეიცვალა და სიტყვა ბიზნესი საპატიო ტერმინად იქცა. ტერმინი „ბიზნესის მენეჯმენტი" გახდა პოლიტიკურად კო-რექტული, პირველ რიგში - როგორც მეცნიერების დარგი. ამ დროიდან მოყოლებული მენეჯმენტი როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ასევე სამეცნიერო სამყაროში გაიგივდა ტერმინთან - „ბიზნესის მენეჯმენტი".

დღეს უკვე იწყება ამ შეცდომის გამოსწორება: ბევრი „ბიზნეს სკოლა" გადაკეთდა „მენეჯმენტის სკოლად", სადაც მკვიდრდება ისეთი პროგრამები და სპეციალობები, როგორიცაა „ბიზნეს-მენეჯმენტი", „არაკომერციული მენეჯმენტი", „ტოპმენეჯმენტი", „ეკლესიის მენეჯმენტი" და სხვ.

მაგრამ წარმოდგენა, რომ მენეჯმენტი - ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია, კვლავ არსებობს. ამიტომ მნიშვნელოვანია რაც შეიძლება ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ მენეჯმენტი არ არის ბიზნესის მენეჯმენტი, ისევე როგორც, ვთქვათ მედიცინა არ არის მეანობა [7, გვ. 19-21].

ასეთი მოსაზრებების დასადასტურებლად პ. დრაკერი თვითონ ქმნის ახალ მიმართულებებს და შესაბამის ნაშრომებს, რის მაგალითსაც მისი შემდეგი ზემოაღნიშნული წიგნი - Managing the Non-Profit Organization: Principles and Practices და მასში ასახული იდეები, პარადიგმები და პრაქტიკული რჩევები წარმოადგენს. აქ აღვნიშნავთ იმას, რომ ამ შემთხვევაში ინგლისური სიტყვა Managing ზემოაღნიშნულ ქართულ გამოცემაში (არაკომერციული ორგანიზაციის მართვა: პრინციპები და პრაქტიკა. თბილისი, მესამე სექტორის ფონდი „ჰორიზონტი", 2001) თარგმნილია როგორც „მართვა", ხოლო არსებულ რუსულ გამოცემაში - როგორც „მენეჯმენტი" (Менеджмент), რაც მიუთითებს იმაზე, რომ რიგ შემთხვევებში, საჭიროებისა და კონტექსტების მიხედვით ამ ტერმინების („მართვა" და „მენეჯმენტი") ხმარება ქართულ ენაზე საჭირო და შესაძლებელია როგორც სინონიმებისა და ურთიერთშემცვლელებისა.

ამასვე ადასტურებს ჩვენში არსებული ინგლისურ-ქართული ზოგადი და სპეციალური ლექსიკონების დიდი ნაწილი, სადაც სიტყვა მანაგემენტ უმეტეს შემთხვევებში თარგმნილი და განმარტებულია როგორც მენეჯმენტი, მართვა, მართვა-გამგეობა, მმართველობა, ასევეა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონებში, სადაც სიტყვა Management-ის თარგმნა-განმარტებისას ძირითადად გამოიყენება ანალოგიური ტერმინები: управление, заведование.

იმავეს დასტურს ვხვდებით ცნობილ ინგლისურენოვან ენციკლოპედიებსა და განმარტებით ლექსიკონებში, რომლებზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ: უზოგადესი გაგებით, მენეჯმენტი (Management) არის ადამიანთა ჯგუფის ან რაიმე რეალურად არსებულის (Entity): ნებისმიერი ორგანიზაციის, ყოველგვარი არსების, ორგანიზმის, ნივთის, ობიექტის, ყოფის, არსებობის და არსის ხელმძღვანელობა, მართვა, წარმართვა მიზნის მისაღწევად. ხოლო ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით მენეჯმენტი ეს არის წარმოების, სოციალური და კულტურული პროცესების მართვის ზოგადი პრინციპების და მეთოდების ერთიანობა. სხვაგვარად, მენეჯმენტი ეს არის მართვის, ან ხელმძღვანელობის, კონტროლის და ა. შ. აქტი, ან ხელოვნება ან ხერხი [8].

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს პ. დრაკერის ზემოაღნიშნული პარადიგმის სისწორეს, რომ „მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა“.

განსახილველ წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში“ ავტორი სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად კრიტიკულად აანალიზებს გავრცელებულ მოსაზრებას, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს ორგანიზაციული სტრუქტურის მხოლოდ ერთადერთი სწორი ტიპი. იგი ასკვნის, რომ აუცილებელია ასეთი სტრუქტურის ძიების ნაცვლად გამოვავლინოთ, ჩამოვაყალიბოთ და პრაქტიკაში გამოვცადოთ ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც შეესატყვისებიან დაყენებულ ამოცანებს.

მსგავსი სიტუაციაა პერსონალის მართვის სფეროშიც. დღეს მიჩნეულია, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს მუშაკთა მართვის მხოლოდ ერთი სწორი მეთოდი. აქაც სათანადო მსჯელობის საფუძველზე პ. დრაკერი გვთავაზობს ახალ მიდგომას: „ადამიანები არ უნდა „ვმართოთ“, ისინი უნდა წარვმართოთ. ამოცანაა - მაქსიმალურად მწარმოებლური გავხადოთ ყოველი ცალკეული მუშაკის სპეციფიკური ცოდნა და ჩვევები“ [7, გვ. 40].

ყოველი ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სწორი სტრატეგიის შემუშავება და მისი ეფექტიანი რეალიზაცია. ამისათვის არ კმარა ორგანიზაციის მხოლოდ შიდა ფაქტორების გათვალისწინება.

დღევანდელ პირობებში, XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო დადგა დიდი ცვლილებების და სრულიად ახალი, ხშირად, განუსაზღვრელი რეალობების წინაშე, რასაც თითქმის არ ითვალისწინებს დღევანდელი ბიზნესი და მენეჯმენტი. პ. დრაკერი ჩამოთვლის ასეთ რეალიებს:

- შობადობის მკვეთრი დაცემა განვითარებულ ქვეყნებში;
- ცვლილებები შემოსავლების განაწილებაში;
- ეფექტიანობის განსაზღვრის ცვლილება;
- კონკურენციის გლობალიზაცია;
- ზრდადი შეუსაბამობა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და პოლიტიკურ განკერძოებას შორის.

მათი განხილვის შედეგად მეცნიერი ასკვნის, რომ „ეს რეალიები აყენებენ საკითხებს, რომლებზეც ყოველმა ცალკეულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს პასუხები; ეს პასუხები იქნება სწორედ სტრატეგიის საფუძველი“ [7, გვ. 102]. თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ღირსეულად „შეხვდეს“ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, მას არ უნდა ჰქონდეს არათუ აყვავების, არამედ წარმატების იმედიც კი, „ერთადერთი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს წარმატება, არის მომავლის შეგნებული შენება. ...მომავლის შენების დაწყება, საკმაოდ სარისკოა, არდაწყება - უფრო უარესი“ [7, გვ 130].

მთლიანობაში, პ. დრაკერის ნაშრომებში ასახული მმართველობითი პრობლემები და მიდგომები მათი გადაჭრისადმი, უაღრესად აქტუალურია მენეჯმენტის ისეთი კლასიკური ქვეყნისათვის, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის მთელი რიგი ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ თავისი ეკონომიკურ-მმართველობითი მომავლის შენებას და წარმატებებსაც აღწევენ ამ სფეროში.

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევების და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და სამეურნეო-მმართველობით საქმიანობაში მისი დანერგვა-გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში აუცილებლად უნდა განხორციელდეს.

ლიტერატურა:

1. http://en.wikipedia.org./wiki/Peter_Drucker
2. Классики менеджмента. Под ред. М. Уорнера. Пер. с англ. под ред. Ю.И. Каптуревского. СПб.: Питер, 2001.
3. Drucker Peter F.Management: Tasks, Responsibilities, Practicies. N. Y., Harper & Row, 1974.
4. Drucker Peter F. People and Performance. London. Heinemann, 1973.
5. Tarrant, John C. Drucker: The Man Who Invented the Corporate Society. 1976.
6. Программа действий. Повестка дня на 21 век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
7. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. Пер. с англ. М. «Вильямс», 2002.
8. http://en.wikipedia.org/wiki/management; http://multilex.mail.ru.

## Modern Management Prospects according to Peter Drucker

Giorgi Shikhashvili

*Doctor of economics, Assoiate professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Among the leaders of modern management, Peter Ferdinand Drucker is the most prominent. The last period in the history of the theory and practice of professional management without exaggeration can be called “The Era of Peter Drucker”. In connection with the great merits in the field of science and management practice, P. Drucker is recognized as the “Father of Modern Management”. P. Drucker was a scientist who always stressed the need for a humanistic approach to management.

Managers should not think only technocratically, they must understand the social significance of their activities. P. Drucker offers a new paradigm: “Management is the specific and determining structure of all and every organization”.

It is very important for Georgia to study the theoretical achievements and practical experience of the civilized economic world and their use in economic and management activities, which, in our opinion, should be implemented in the near future.

***Keywords: Father of modern management. Professional management theory and practice. Peter Draker's epoch. Humanistic approach to management. Technocrat managers. Social Importance of Management. Modern management prospects and tasks.***

# ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ანალიზი საქართველოს რეგიონების მიხედვით

ლია ჩარექიშვილი

*ასოცირებული პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელებული საყოველთაო სისტემის ამუშავება დროული და წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელმაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეუმსუბუქა მდგომარეობა. ეს განსაკუთრებით აისახა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, რაზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. სტატიაში გაანალიზებულია ავადობის მაჩვენებლები საქართველოს რეგიონების დონეზე; წარმოჩენილია რეგიონების მიხედვით მეტად და ნაკლებად გავრცელებული დაავადებები.*

*საკვანძო სიტყვები: სტატისტიკა, ავადობა, საყოველთაო ჯანდაცვა.*

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში განხორციელებული საყოველთაო სისტემის ამუშავება დროული და წინგადადგმული ნაბიჯია, რამაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეუმსუბუქა მდგომარეობა. ეს განსაკუთრებით აისახა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, რომელზეც სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს.

ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა, სოციალური სტატისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის მეშვეობითაც ხასიათდება ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. საქართველოში ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა-სიღარიბე. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია სხვადასხვა სახეობის დახმარების პროგრამები სოციალურად დაუცველი და იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის, ბევრი პრობლემა მაინც გადაუჭრელია.

### ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ანალიზი [1,4]

საქართველოს მოსახლეობის ავადობა რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, გავრცელებულ დაავადებებზე, გარემო ფაქტორებზე და სხვა. სამედიცინო დაწესებულებები ყველა რეგიონშია განთავსებული, მნიშვნელოვანია, თუ როგორია მათი დატვირთვა და უზრუნველყოფა. 2016 წელს, მაგალითად, საწოლთა ფონდის უზრუნველყოფა მოსახელობის 100 000 სულზე თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია აჭარის არ-ში (386.1) და იმერეთში (384.5), ხოლო ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთსა (126.6) და გურიაში (113.5). რაც შეეხება ბრუნვის მაჩვენებელს, ყველაზე მაღალია გურიაში (46.5, ლოგიკურია, რადგან უზრუნვეყოფის მაჩვენებელი ყველაზე ნაკლებია), კახეთში (44.9), ხოლო ყველაზე მცირეა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (12.4). დაყოვნების მაჩვენებლი ყველაზე მაღალია შიდა ქართლსა (7.8) და იმერეთში (6.7), ხოლო ყველაზე დაბალია გურიაში (3.6), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (2.7). დატვირთვის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შიდა ქართლსა (297.2) და იმერეთში (236.6), ხოლო ყველაზე დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთსა (140.2) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (33.3).

ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების მიხედვით, მაჩვენებელი 100 000 სულზე, თბილისის შემდეგ მოდის აჭარის არ (7823.4), იმერეთი (6626.4), ქვემო ქართლი (4938.9), ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთსა (1760.6) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (613.4).

სამწუხაროდ, 2016 წელს კვლავ ჰქონდა ადგილი დედათა სიკვდილიანობას. თბილისის (5 შემთხვევა) შემდეგ მაღალი მაჩვენებელია აჭარის არ-ში (3, მაჩვენებლი 100 000 ცოცხალშობილზე 47.6), კახეთსა და იმერეთში 1-1 შემთხვევა (მაჩვენებლი შესაბამისად 29.8 და 13.6).

აბორტების რაოდენობა-მაჩვენებელი 100 ცოცხალშობილზე, ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (94.6), ქვემო ქართლში (86.9), აჭარის არ-ში (60.0), კახეთში (44.9), ხოლო ყველაზე დაბალია გურიაში (28.7).

ცოცხალშობადობის მაჩვენებელი 1000 სულზე - ყველაზე მაღალია აჭარის არ-ში (17.7), ქვემო ქართლში (16.1), შიდა ქართლში (15.4), ხოლო ყველაზე დაბალია - მცხეთა - მთიანეთში (12.6) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (10.4).

ჯანდაცვის სტატისტიკის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია როგორია პაციენტთა მიმართვიანობა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში. მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე, ყველაზე მაღალია თბილისის შემდეგ, მცხეთა-მთიანეთში (5.6), აჭარის არ-ში (3.0), იმერეთში (2.8), ყველაზე ნაკლები იყო სამცხე-ჯავახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1.3-1.3).

სასწრაფო დახმარების გაწევის მაჩვენებელი 1 სულზე - აჭარის არ, მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - თანაბარია (0.4).

საქსტატის მიერ ჩატარებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის მიერ ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მოსახლეობის საშუალო თვიურ ხარჯებში, რეგიონების მიხედვით განსხვავებულია (იხილეთ გრაფიკი 1). ქ. თბილისის მაჩვენებელთანაა (10.7) თითქმის გათანაბრებული იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მაჩვენებელი (10.1), ყველაზე დაბალია სამეგრელო–ზემო სვანეთის (7.2) მაჩვენებელი (იხ. გარაფიკი 1)[2].

*გრაფიკი 1*

**ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მოსახლეობის საშუალო თვიურ ხარჯებში, %**




* მოიცავს გურიის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით, პირველად დადგენილი დიაგნოზით 2016 წლის ბოლოსთვის, რეგისტრირებულია ინციდენტობა 100 000 მოსახლეობის სულზე, ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობით - ყველაზე მაღალი მაჩვენებლია აჭარის არ-ში (13213.2), იმერეთში (12270.2), გურიაში (11628.4). ყველაზე დაბალი მაჩვენებლია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (3800.0) და სამცხე-ჯავახეთში (3203.2).

კიბოს პოპულაციური რეგისტრის მონაცემების მიხედვით, ავთვისებიანი სიმსივნეებით ინციდენტობა 100 000 სულზე, თბილისის შემდეგ ყველაზე მაღალია აჭარის არ-ში (242), იმერეთში (159), სამეგრელო-ზემო სვანეთში (74). ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (34), მცხეთა-მთიანეთში (12).

ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობებით ინციდენტობა ყველაზე მაღალია აჭარის არ-ში (2993.8), ქვემო ქართლში (2953.4), შიდა ქართლში (2639.1). ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (926.5), სამცხე-ჯავახეთში (1038.6).

ნერვული სისტემის ავადმყოფობები – ინციდენტობა ყველაზე მაღალია იმერეთში (2633.7), ქვემო ქართლში (1787.3), სამეგრელო-ზემო სვანეთში (1756.2). ყველაზე დაბალია მცხეთა-მთიანეთში (878.7), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (216.7)

თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობების შემთხვევების მაღალი ინციდენტობით ხასიათდება იმერეთი (3287.2), აჭარის არ (3225.7), შიდა ქართლი (3025.8). დაბალი მაჩვებელია სამცხე-ჯავახეთში (1286.6), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (300.0).

ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობების მაღალი ინციდენტობით ხასიათდება იმერეთი (2500.3), შიდა ქართლი (2116.8), სამცხე-ჯავახეთი (2012.5). დაბალი მაჩვენებელია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (862.6), მცხეთა-მთიანეთში (797.9).

საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები. თითქმის ყველა რეგიონში ინციდენტობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. კერძოდ, იმერეთი (7524.6), შიდა ქართლი (7293.4), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (5578.3), მცხეთა-მთიანეთი (5444.7), სამცხე-ჯავახეთი (5398.1), სამეგრელო-ზემო სვანეთი (5102.7), აჭარის არ (4807.4) და ა. შ.

სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები, ყველაზე მაღალი ინციდენტობით ხასიათდება მცხეთა-მთიანეთი (24481.9), შიდა ქართლი (24091), იმერეთი (22635.2), ხოლო დაბალია სამცხე-ჯავახეთსა (14024.3) და ქვემო ქართლში (12755.0).

საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები – მაღალია აჭარის არ-ში (12415.1), იმერეთში (9831.9), ხოლო დაბალია სამცხე-ჯავახეთსა (2108.4) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1821.1).

კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები - აჭარის არ (1964.8), შიდა ქართლი (1813.1), ქვემო ქართლი (1480.2), ხოლო დაბალია კახეთსა (1039.6) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1006.4).

შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები მაღალი მაჩვენებელია აჭარის არ-ში (5529.9), იმერეთში (3826.7), სამეგრელო-ზემო სვანეთში (3536.8), ხოლო დაბალია კახეთში (1888.3), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (974.4).

მნიშვნელოვანი მაკრო მაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების წილი მშპ-ში, რეგიონების მიხედვით, განსხვავებულია. 2 გრაფიკიდან კარგად ჩანს, რომ სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება რამოდენიმე რეგიონში შემცირებულიცაა 10 წლის განმავლობაში. მნიშვნელოვანი შემცირებაა კახეთში (2006 წლის 8.0%-დან 2015 წლის 4.8%-მდე), ქვემო ქართლი (შესაბამისად 9.1-5.6), სამცხე-ჯავახეთი (5.4-2.2). ზრდა არის შიდა ქართლში და მცხეთა-მთიანეთში (3.9-5.3), აჭარის არ (8.0-10.2).

გრაფიკი 2

**ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით, % [3]**



შაქრიანი დიაბეტით ავადობა, ქ. თბილისის (7147) შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება იმერეთი (3518 შემთხვევა), ქვემო ქართლი (2747), სამეგრელო-ზემო სვანეთი (1965). ხოლო ბავშვებში ქ. თბილისის (49) შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება სამეგრელო-ზემო სვანეთი (25), აჭარის არ (23), ქვემო ქართლი (15).

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) ახლად გამოვლენილი შემთხვევები, ქ. თბილისის (მთლიანი რაოდენობის 40.2 %) შემდეგ მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება სამეგრელო-ზემო სვანეთი (12.1 %), იმერეთი (11.1 %), აჭარის არ (8.8 %), ქვემო ქართლი (7.0 %), კახეთი (5.6 %).

გულის იშემიური ავადმყოფობის მიხედვით, ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით განლაგდება: შიდა ქართლი (1741.5), აჭარის არ (1625.4), იმერეთი (1514.2), მცხეთა-მთიანეთი (1293.6), სამცხე-ჯავახეთი (1286.0), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (1041.5), გურია (817.4), ქ. თბილისი (739.7), ქვემო ქართლი (664.1), კახეთი (576.6).

ჰიპერტენზიული ავადმყოფობა, ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე, ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (3853.3), იმერეთში (3503.3), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (3373.8), მცხეთა-მთიანეთში (2733), ხოლო ყველაზე დაბალია კახეთში (1608.1).

ბრონქული ასთმა - ეს დაავადება გავრცელებულია განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ინციდენტობა ყველაზე მაღალია იმერეთში (123.5), შიდა ქართლში (92.1), გურიაი (91.3), სამცხე ჯავახეთში (79.1), სამეგრელო-ზემო სვანეთში (74.2). ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (28.8).

ანალიზმა აჩვენა, რომ ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა დაავადებაა გავრცელებული. არის შემთხვევები, როდესაც რეგიონში ავადობის საერთო მაჩვენებელი არც ისე მაღალია, მაგრამ მაღალია იგივე მაჩვენებელი ბავშვებში. აქედან გამომდინარე პრევენციის აქტივობაა გასაძლიერებელი.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები და განხორციელდა ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამა, პრობლემა მაინც მნიშვნელოვანია. ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მიზანი დასახულია და ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ წინ, თუმცა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის ამაღლება, შესაბამისი სერვისების გაწევის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემაა.

სასურველია შემუშავდეს თითოეული რეგიონისთვის შესაბამისი სტრატეგია, რათა რეგიონის მოსახლეობის ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამასთან, აუცილებელია გაძლიერდეს პრევენცია, რაც კიდევ უფრო აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და არა ამა თუ იმ დაავადებების გამოვლენის შემდეგ. თუმცა, გარკვეული ხარვეზები არის, მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გამოსწორებადია და მენეჯმენტის აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა შესაძლებელია.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამედიცინო_საინფორმაციო სისტემების და სამკურნალო_პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას რეგიონის დონეზე.

სერვისების მიწოდება კვლავ პრობლემად რჩება რეგიონის დონეზე, რაც მარტივად გადასაწყვეტია კარგი მენეჯმენტის პირობებში.

ლიტერატურა:


1. http://ncdc.ge/ka-GE/DiseaseStatistics/StatisticalYearbook
2. საქსტატი, შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა.
3. www.geostat.ge
4. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი 2016, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2017 (http://ncdc.ge/ka-GE/DiseaseStatistics/StatisticalYearbook)

# Statistical Analysis of Condition of Health Care by the Regions of Georgia

Lia Charekishvili

*Associated Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The elaboration of the universal system of health care in Georgia was a timely step forward, which created access to health services for most of the population. It was especially reflected in the population of Georgia's regions in statistical data. Considering the political, economic and social crisis of Georgia, creating the nationwide health insurance policy has been a significant challenge. These reasons led to the conversion of the state policy in the field of health care and increasing of the access of the population to it.

The wide-ranging program of nationwide health insurance has a positive impact both on health and financial conditions of the population. Most of the Georgian families use the program mentioned above and as the healthcare prices have been quite high, the insurance makes their life easier. Analyzed data by regions of Georgia and identified more common and less frequent diseases by regions of Georgia. There are some defects in terms of service delivery but they can be improved and the management gaps can be eradicated.

***Keywords: Statistics, Morbidity, Nationwide health insurance.***

# Роль инноваций в деятельности бизнес-организаций прямых продаж

Татьяна Петровна Щекина

Алина Викторовна Прохорова

*Киевский национальный экономический университет имени Вадима Гетьмана*

Современное развитие конкурентных отношений доказывает необходимость постоянного поиска новых возможностей. Применение инновации - это мощный двигатель, который повышает конкурентоспособность бизнес-организаций не только в пределах страны, но и во всем мире.

Принятие инновационных решений в технико-технологической, организационно-производственной, экологической и социальной сферах – суть настоящего современной бизнес-организации. Это позволяет развернуть большой конкурентный полигон за лояльность конечного потребителя. В связи с появлением рынка инновационных предложений приобретают значение научные знания, которые вдохновляют специалистов создавать новейшие технологии и уникальные продукты, предоставляя новые возможности для человечества.

Анализ публикаций по инновационной деятельности бизнес-организаций дает основания отметить недостаточный уровень внимания к такой инновационной форме современного бизнеса, как бизнес-организация прямых продаж [[1], [2], [3], [4], [5], [6], [7], [8], [9], [10], [11], [12],[13]], что и обусловило направление исследования.

На сегодняшний день прямые продажи в Украине - это очень перспективная отрасль с объемом продаж около 4 млрд.грн., а компании отрасли - крупные налогоплательщики страны , которые пополняют госбюджет на 900 млн.грн. ежегодно. Эта отрасль стабильна и уверенно растет, что является немаловажным фактором. Эта форма бизнеса занимает значительный сектор экономики Украины [[14]].

---

1 Інноваційний менеджмент [Електронний ресурс] : навч. посіб. / С. В. Гарбуз, Т. Є. Пєнкіна, Л. М. Хоменко, Т. О. Соболєва ; М-во освіти і науки, молоді та спорту України, Держ. ВНЗ "Київ. нац. екон. ун-т ім. Вадима Гетьмана". - Електрон. текстові дані. - Київ : КНЕУ, 2013. - 667, [5] с. - Назва з титул. екрану. - ISBN 978-966-483-658-3 : Б. ц.

2 Глущенко Л. Д. Исследование классификационных признаков инноваций / Л. Д. Глущенко // Прометей: регіональний зб. наук. праць з економіки. Донецький економіко-гуманітарний ін-т МОНМС України. Ін-т економіки промисловості НАН України. – Донецьк : Видво ДЕГІ. – 2011. – № 1 (34). – С. 94-98.

3 Інвестиційна та інноваційна діяльність : монографія / О. Є. Кузьмін, С. В. Князь, Н. В. Тувакова, А. Я. Кузнєцова / за наук. ред. проф., д-ра екон. наук О.Є. Кузьміна. – Львів : Вид-во ЛБІ НБУ, 2003. – 233 с

4 Ілляшенко С. М. Інноваційний менеджмент : підручник / С. М. Ілляшенко. – Суми : ВТД – Університетська книга: 2010. – 334 с.

5 Косцик Р. С. Види інновацій на промислових підприємствах / Р. С. Косцик // Науковий вісник НЛТУ України: збірник науково-технічних праць . –( 2012. – Вип . 22.2) – Львів: НЛТУ 2012. – 402 с.

6 Луциків І. Економічна суть інноваційної діяльності / І. Луциків // Галицький економічний вісник. – Сер.: Економіка України. – 2010. – № 2 (27). – С. 89-95.

7 Микитюк П. П. Інноваційна діяльність : навчальний посібник / П. П. Микитюк, Б. Г. Сенів. – Київ: Центр учбової літератури, 2009. - 391 с.

8 Прокопець Л. В. Інновації як фактор економічного зростання / Л. В. Прокопець // Вісник Чернівецького торговельно-економічного ін-ту. – Сер.: Економіка України. – 2010. – №IV (40). – С. 114- 120.

9 Сиротинська Н. М. Види інновацій підприємств промисловості / Н. М. Сиротинська // Менеджмент та підприємництво в Україні: етапи становлення і проблеми розвитку : [збірник наукових праць] / відповідальний редактор О. Є. Кузьмін. - Львів : Видавництво Львівської політехніки, 2012. – С. 314-319. – (Вісник / Міністерство освіти і науки, молоді та спорту України, Національний університет «Львівська політехніка» ; № 727).

10 Федулов Л. Развитие национальной инновационной системы Украины / Л. Федулов, Н. Пашута // Экономика Украины. – 2005. – № 3. – С. 35-47.

11 Фурсіна О. В. Классифікація інновацій та зміст інноваційної діяльності / О. В. Фурсіна // Науковий вісник НЛТУ України. – 2010. – №20.11. – С. 249-255

12 Чухрай Н. Товарна інноваційна політика: управління інноваціями на підприємстві : підручник / Н. Чухрай, Р. Патора. – К. : Вид-во «Кондор», 2010. – 398 с

13 Розбудова системи управління бізнес-організацій в інноваційній економіці [Л.О.Лігоненко, О.І.Гарафонова, Т.В.Омельяненко та ін.] – К.:КНЕУ, 2017. – 520 с.

14 Томаш Мурас С компаниями прямых продаж сегодня сотрудничают более 1 млн украинцев. Журнал Фокус 16.11.2015 Електронний ресурс: http://focus.ua/money/340360/

В деятельности бизнес-организаций прямых продаж (БОПП) можно выделить следующие составляющие: продуктовая, партнерская и сервисная. Продуктовая составляющая - это товары/услуги, которые производит компания. Партнерская - это предоставление предложения партнерского взаимодействия. Сервисная – предоставление сервисного сопровождения продукта (услуги). Классифицировать БОПП можно и в соответствии с рыночным сегментом, на который ориентируется их деятельность: люкс/премиум; мидл-маркет/мастиж; масс-маркет. Специфика деятельности бизнес-организаций прямых продаж предусматривает сопровождение продукта или услуги возможностью партнерства и сервисом.

Как правило, продукция бизнес-организаций прямых продаж по качеству и цене намного выше среднего рыночного уровня. Следовательно, компании прямых продаж чаще всего используют конкурентную стратегию дифференциации по М.Портеру [1].

Примером инновационной бизнес-организации прямых продаж является компания Amway, которая сделала ставку на высокотехнологичность, высокое качество и экологичность своих брендов. Партнерство с Amway заключается в соответствии с планом по продажам и маркетингу, который действует уже почти 60 лет.

Правильность стратегического выбора Amway сегодня подтверждают тенденции развития конкурентного рынка и изменения в объемах и структуре продаж компании [2]. Законы конкуренции действуют в любом бизнесе. Однако, специфика формы бизнеса обуславливает некоторые преимущества инновационных бизнес-организаций прямых продаж по сравнению с другими инновационными организациями, где результаты связаны с затратами труда и времени, а прибыль зависит от объема продаж [3].

Во-первых, каждый продукт, созданный в рамках бизнес-организаций прямых продаж, уже является уникальным, так как, кроме инновационных решений по продукту, содержит инновационные решения и выгоды по возможности партнерства для потребителя.

Во-вторых, прямые продажи имеют особые преимущества по сервисной составляющей при реализации наукоемкой и инновационной продукции. Ведь продавец имеет возможность объяснить покупателю уникальные свойства товара, что легче сделать при наличии прямых контактов с конечным потребителем.

В-третьих, этот вид продажи практически не применяет активной рекламы для продвижения своих товаров. Освобожденные средства инвестируются в мотивацию предпринимателей и образовательные программы для участников бизнеса. Единственная реклама, в которой может быть заинтересована компания, - это имиджевая, благодаря которой можно улучшить репутацию на определенном рынке [4].

В-четвертых, следует отметить кризисоустойчивость такой формы бизнеса. Преимуществом БОПП в Украине является то, что они -дочерние предприятия или представительства международных корпораций. Именно поддержка материнских структур позволила реализовать эластичный подход к ценовой политике. Растет количество дистрибьюторов: в период экономических потрясений многие ищут альтернативные источники дохода и поэтому часто используют возможность самозанятости, которую предлагают компании прямых продаж [5].

По прогнозам специалистов, рыночная доля прямых продаж продуктов и услуг в общем объеме продаж на мировых рынках в ближайшее десятилетия значительно увеличится и будет развиваться опережающими темпами. Такая перспектива открывается и перед украинским рынком, на котором, как свидетельствует статистика, объемы торговли в режиме прямых продаж растут очень быстро [6].

---

1 Конкурентная стратегия: Методика анализа отраслей и конкурентов/ Майкл Е. Портер; Пер. с англ. — М.: Альпина Бизнес Букс, 2005. — 454 с. 75-76с.

2 DSN Announces the 2016 Global 100! // Direct selling news, – Режим доступу : http://directsellingnews.com/index.php/-view/2016_dsn_global_100_list#.V0yw8PmLS71

3 Маркетинг: Підручник/ В.Руделіус, О.М. Азарян, Н.О Бабенко, та ін.; Ред.-упор. О..Сидоренко, Л.С.Макарова,-3-тє вид.- К.: Навчально-методичний центр «Консорціум із удосконалення менеджмент-освіти в Україні», 2008.- стор.543

4 Надія Васильєва: Багато успішних бізнесів будується не одинаками, а цілими сім’ями 7 грудня 2011 року http://innovations.com.ua/ua/interview/finance/17856/nadiya-vasiljeva-bagato-uspishnih-biznesiv-budujetsya-ne-odinakami-a-cilimi-sim-yami

5 Томаш Мурас Криза прямим продажам не завадила. Газета Українська правда 10.04.2015 Електронний ресурс: http://www.epravda.com.ua/columns/2015/04/10/538022/

6 Маркетинг: Підручник / В. Руделіус, О. М. Азарян, Н. О. Бабенко та ін.; Ред.-упор. О. І. Сидоренко, Л. С. Макарова. – 4-те вид. – К. : Навчально-методичний центр «Консорціум із удосконалення менеджмент-освіти в Україні», 2009. – с. 527.

На сегодняшний день в Украинскую ассоциацию прямых продаж входит 10 бизнес-организаций мирового масштаба, лидером среди которых является инновационная бизнес-организация Amway, которая в основу своей конкурентоспособности закладывает современные достижения науки [1].

Amway является мировым лидером в сфере прямых продаж согласно рейтингу Direct selling news global 100 2016 г. По результатам 2014 эта бизнес-организация занимает 26 место в списке журнала Forbes «Крупнейшие частные бизнес-организации Америки» [2,3,4].

По состоянию на 31.12.2016г. официальный объем продаж бизнес-организации Amway составил 8,8 млрд. долларов США. За период 2004-2014гг. рост продаж составил 68%, среднегодовой рост за последние 5 лет - 5,1% [5,6,7,8,9] (рис. 1).




| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|
| Amway | 11.8 | 10.8 | 9.5 | 8.8 |
| Avon | 9.95 | 8.9 | 6.16 | 5.7 |
| Herbalife | 4.8 | 5 | 4.47 | 4.5 |
| Vorverk | 3.07 | 3.9 | 4 | 4.2 |
| Mary Kay | 3.6 | 4 | 3.7 | 3.5 |

**Рис. 1. Динамика объемов продаж крупнейших мировых бизнес-организаций прямых продаж, млрд.дол.США**

Длительное сохранение лидерских позиций инновационной бизнес-организации Amway на мировом рынке свидетельствует о целесообразности и эффективности внедрения инноваций. Результаты современной конкурентной борьбы зависят от уровня инновативности бизнес-организации, стратегических ориентиров и точки зрения на место бизнес-организации в мировом прогрессе.

---

1 Офіційна інтернет-сторінка Української асоціації прямого продажу, – Режим доступу : http://www.udsa.org.ua/ukr/members

2 Amway.Справочник для средств массовой информации, 2015, – Режим доступу : http://globalnewsassets.amway.-com/501484/amway_media_guide_brochure_2015_refresh_final_revised_15jan30_russian_lores1.pdf?r=1440

3 Global 100 Annual Report 2014 // Directsellingnews, – Режим доступу : https://directsellingnewsproducts.com/dsn-global-100-special-report-2014-10-pack.html

4 Спеціальна глобальна доповідь, 2014 //Directsellingnews – Режим доступу : https://directsellingnewsproducts.com/dsn-global-100-special-report-2014-10-pack.html

5 Global 100 Annual Report 2016 // Direct selling news, – Режим доступу http://directsellingnews.com/index.php/view/2017-_profiles?_ga=2.77667156.11197061.1505498701-430234540.1505498701#.WbwWXbJJbcu

6 Amway. Справочник для средств массовой информации, 2015, – Режим доступу : http://globalnewsassets.amway.-com/501484/amway_media_guide_brochure_2015_refresh_final_revised_15jan30_russian_lores1.pdf?r=1440

7 Офіційна інтернет-сторінка новин AmwayNewsroom, – Режим доступу : http://news.amway.ua/объем-продаж-компании-amway-составил-108-млр

8 Global 100 Annual Report 2014 // Direct selling news, – Режим доступу : https://directsellingnewsproducts.com/dsn-global-100-special-report-2014-10-pack.html

9 Global 100 Annual Report 2015 // Direct selling news, – Режим доступу : https://directsellingnewsproducts.com/special-reprints/-dsn-global-100-special-report-2015-10-pack.html

# The Role of Innovation in the Activities of Direct Sales Business Organizations

Tatiana Shchekina
Alina Prokhorova
*Kyiv national economic university named after Vadym Hetman*

**R e s u m e**

Modern development of competitive relations proves the necessity of a constant search of the new opportunities. Application of the innovation is a powerful engine that improves the competitiveness of business organizations not only within the country but also worldwide.

The emergence of innovative offerings market raises the importance of the scientific knowledge that inspires professionals to create new technologies and unique products, providing new opportunities for mankind.

Business organization of direct sales is an innovative form of modern business. Nowadays direct sales in Ukraine is a very promising industry, it is stable and is growing steadily. This form of business takes a considerable sector of the Ukrainian economy.

# თამბაქოზე აქციზის განაკვეთის ზრდის გავლენა იმპორტსა და საბიუჯეტო შემოსულობებზე საქართველოში

მიხეილ ჩიკვილაძე

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

იზა ბუკია

*დოქტორანტი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში გაანალიზებულია რა გავლენა მოახდინა თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის განაკვეთის ეტაპობრივმა ზრდამ თამბაქოს მოხმარებაზე 2015 წლიდან დღემდე, როგორ იმოქმედა აღნიშნულმა იმპორტსა და საგადასახადო შემოსულობებზე. განხილულია რა ადგილი უჭირავს თამბაქოს მოხმარების თვალსაზრისით საქართველოს მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, საჭიროებს თუ არა არსებულ ვითარებას შესაბამისი ყურადღება, რა ტენდენცია შეინიშნება თამბაქოს პროდუქციის იმპორტის მხრივ, როგორია საგადასახადო შემოსულობების დინამიკა აქციზის განაკვეთების მატების პერიოდებში, დაზარალდა თუ არა ბიუჯეტი თამბაქოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გამო და ა.შ.*

*საკვანძო სიტყვები: აქციზის განაკვეთი; აქციზის გადასახადი; თამბაქოს იმპორტი; საბიუჯეტო შემოსულობები;*

საქართველოში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2015 წლისათვის თამბაქოს მომხმარებელი იყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 57,7%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სწორედ, აქციზის გადასახადის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად (საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებასთან ერთად) გაცხადებულ იქნა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა. აღსანიშნავია, რომ აქციზი არის ერთადერთი გადასახადი, რომლის გაზრდაც შესაძლებელია მთავრობის გადაწყვეტილებით და არ სჭირდება რეფერენდუმი. აღნიშნულს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია და `ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" ორგანული კანონი.

2015 წლიდან მოყოლებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსში თამბაქოზე აქციზის განაკვეთი 4-ჯერ შეიცვალა. ამასთან, ცვლილებები შეეხო არამარტო აქციზის ფიქსირებულ განაკვეთს, არამედ მასთან ერთად ამოქმედდა ე.წ. ადვალური გადასახადი, რომელიც დგინდება პროცენტულად, საქონლის სარეალიზაციო ფასთან მიმართებით (აქციზის ფიქსირებული განაკვეთისა და დღგ-ის ჩათვლით). ცვლილებების პირველი ნაწილი, რომელიც ამოქმედდა 01.01.2015 წლიდან, შეეხო მხოლოდ თამბაქოს ორ კატეგორიას (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები თამბაქოს შემცველობით). უფრო კონკრეტულად, ფილტრიან სიგარეტზე აქციზის განაკვეთი გაიზარდა 15 თეთრით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით. 2015 წლის პირველი ივლისიდან ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებთან მიმართებაში, დამატებით ამოქმედდა ადვალური გადასახადი, თამბაქოს სარეალიზაციო ფასის 5 პროცენტის ოდენობით. 2016 წლის პირველი იანვრიდან კი, ცვლილება შეეხო თამბაქოს პროდუქციის ყველა სახეობისათვის დადგენილ განაკვეთს. კერძოდ განაკვეთები გაიზარდა: სიგარაზე 40 თეთრით, სიგარილაზე 50 თეთრით, ფილტრიან სიგარეტზე 20 თეთრით, უფილტრო სიგარეტზე 5 თეთრით, თამბაქოს შემცველ სხვა დანარჩენ ნაწარმზე 5 თეთრით, ხოლო ადვალურმა გადასახადმა 5% ნაცვლად შეადგინა 10%. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე საგრძნობი ცვლილებები ამოქმედდა 2017 წლიდან, აქციზის განაკვეთი გაიზარდა: სიგარაზე 60 თეთრით, სიგარილაზე 70 თეთრით, ფილტრიან სიგარეტზე 60 თეთრით, უფილტრო სიგარეტზე 30 თეთრით, თამბაქოს შემცველ სხვა დანარჩენ ნაწარმზე 10 თეთრით, ხოლო ადვალური გადასახადი შენარჩუნდა 10%-ის დონეზე ( იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

| სასაქონლო კოდი | დასახელება | რაოდენობა | განაკვეთი და მისი ამოქმედების თარიღი | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 01/01/2013 | 01/01/2015 | 01/07/2015 | 01/01/2016 | 01/01/2017 | |
| 2402 10 000 01 | - - სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, თამბაქოს შემცველობით | 1 ღერი | 0.9 | 0.9 | 0.9 | 1.3 | 1.9 | |
| 2402 10 000 02 | - - სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით | 20 ღერი | 1 | 1 | 1 | 1.5 | 2.2 | |
| 2402 20 | ფილტრიანი სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით | 20 ღერი | 0.75 | 0.9 | 0.9 | 1.1 | 1.7 | |
| | უფილტრო სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით | 20 ღერი | 0.2 | 0.25 | 0.25 | 0.3 | 0.6 | |
| | | | | | 5% | 10% | 10% | ადვალო |
| 2403 11 000 00* | - - ყალიონით მოსაწევი თამბაქო, ამ ჯგუფის სუბპოზიციისათვის 1-ლი შენიშვნის შესაბამისად | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | |
| 2403 19 000 00* | - - დანარჩენი | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | |
| 2403 99 100 00 | - - - საღეჭი ან საყნოსი (ბურნუთი) თამბაქო | 1 კგ | 20 | 20 | 20 | 25 | 35 | |

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

თუ შევადარებთ 2015 წლამდე არსებულ და დღეისათვის მოქმედ აქციზის განაკვეთებს, ვნახავთ, რომ თამბაქოს სახეობების მიხედვით განაკვეთის ზრდა მერყეობს 75 დან 200%-მდე დიაპაზონში. აქედან ყველაზე მაღალი, 200%-იანი ზრდა დაფიქსირდა უფილტრო, ხოლო 127%-იანი ზრდა ფილტრიან სიგარეტთან მიმართებით. ცალკე აღსანიშნავია 10%-იანი ადვალური გადასახადი, რომელიც მანამდე არ არსებობდა. როგორც ვხედავთ, ყველაზე დიდი წნეხი განხორციელდა თამბაქოს პროდუქციის იმ სახეობებზე, რომელთა მოხმარებაც ყველაზე გავრცელებულია - ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2014 წლის კვლევების თანახმად, თამბაქოს მოხმარების სტატისტიკა საგანგაშოა. ქვეყანაში თამბაქოს მოწევით გამოწვეული დაავადებებით ყოველწლიურად იღუპება 9000-დან 11000-მდე ადამიანი, მათ შორის პასიური მოწევის მსხვერპლია 3000. ანალოგიურ საგანგაშო ვითარებას აჩვენებს 2015 წლის მონაცემებზე დაყრდნობით აგებული გრაფიკი, რომელშიც მოცემულია ქვეყნების რანჟირება თამბაქოს მოხმარების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი2




წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევის შედეგები 2015 წლის მდგომარეობით.

როგორც ვხედავთ, 2015 წლისათვის საქართველოს ერთ -ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს თამბაქოს მოხმარების ყველაზე მაღალი გავრცელების ქვეყნებს შორის 57,7%-იანი შედეგით. შესაბამისად, მოცემული

ვითარების გამოსასწორებლად აუცილებელია დროული ნაბიჯების გადადგმა და შესაბამისი გადაწყვე-ტილებების მიღება.

თამბაქოს მოხმარებაზე ზემოქმედების მიმართულებით არსებობს სხვადასხვა მიდგომა, მაგალითად, მოხმარების შემცირება შესაძლოა მიღწეულ იქნეს შემდეგი ღონისძიებებით:

- ჯანსაღი ცხოვრების წახალისება და მაქსიმალური პოპულარიზაცია;
- თამბაქოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, მათ შორის არაპირდაპირი გადასახადების გამოყენებით ფასზე ზემოქმედების თვალსაზრისით;
- საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის შეზღუდვა;
- თამბაქოს რეკლამირების შეზღუდვა და მისი საზიანო ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის სავალდებულო დატანა სიგარეტის შეფუთვაზე;
- თამბაქოს წარმოებასა და იმპორტზე ლიცენზირების პირობების გამკაცრება;
- არასრულწლოვან პირებზე სიგარეტის მიყიდვის კონტროლის გამკაცრება;
- საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე თამბაქოს რეალიზაციის აკრძალვა და სხვა.

როგორც ვიცით, საქართველოში თითქმის ყველა ზემოხსენებული მიმართულებით გადაიდგა გარ-კვეული ნაბიჯები. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენი ინტერესის საგანია საგადასახადო ზემოქმედების შეფასება. განვიხილოთ, თუ როგორი იყო გადასახადების დინამიკა, აქციზის განაკვეთების ცვლილებების პერიოდების მიხედვით (იხ. ცხრილი 3).

**ცხრილი 3**

| თამბაქოზე გადახდილი აქციზი წლების მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2013 წელი | 2014 წელი | 2015 წელი | 2016 წელი | 2017 წლის 8 თვე |
| 302,894,744 | 349,451,875 | 377,344,782 | 555,125,548 | 416,475,494 |

წყარო: სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდი: http://treasury.ge/5585

როგორც ვხედავთ, აქციზის გადასახადის მობილიზების ტენდენცია წლების მიხედვით დადებითია, რასაც რა თქმა უნდა, მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ტემპს ვერ მივაწერთ, რადგანაც აღნიშნულს თამბაქოს მოხმარებასთან შედარებით ნაკლები კავშირი უნდა ქონდეს. ასევე არ იქნება გასათვალისწინებელი ფასების დონის ზრდა 2015 წლის ივლისამდე პერიოდში, რადგანაც მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ იქნა ამოქმედებული ადვალური დაბეგვრის რეჟიმი, ხოლო აქციზის ფიქსირებული განაკვეთი, პროდუქციის ფასზე დამოკიდებული არ არის. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ 2014 წელს არსებული 15%-ნი ზრდა წინა წელთან შედარებით, სიგარეტის მოხმარების ზრდის შედეგია (არსებულ ან/და ახლად დამატებულ მწეველთა მოხმარების კუთხით). რაც შეეხება 2015 წელს, აქ უკვე შეინიშნება 8%-ნი ზრდა იმ პირობებში, რომ შუა წლიდან, გაძვირებულ ფიქსირებულ აქციზის განაკვეთებთან ერთად, ამოქმედდა ადვალური დაბეგვრის რეჟიმიც. 2016 წლიდან კვლად მნიშვნელოვნად მოიმატა შემოსულობებმა თამბაქოზე აქციზის გადასახადის სახით, კერძოდ 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემოსულობები გაიზარდა 47%-ით (117,7 მილიონი ლარით), რაზეც რა თქმა უნდა გავლენა მოახდინა სიგარეტზე ფასების საერთო დონის ზრდამაც. მოხმარების შემცირება ასახულია სიგარეტის იმპორტის მონაცემებშიც (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

| თვე | 2015 | 2016 | 2017 |
|---|---|---|---|
| | ღირებულება დოლარი | ღირებულება დოლარი | ღირებულება დოლარი |
| იანვარი | 347,388 | 3,433,151 | 4,992,318 |
| თებერვალი | 3,474,840 | 6,723,240 | 4,134,679 |
| მარტი | 6,764,987 | 8,664,373 | 4,827,167 |
| აპრილი | 8,464,307 | 7,407,829 | 4,669,331 |
| მაისი | 8,437,109 | 8,731,183 | 4,483,744 |
| ივნისი | 18,554,281 | 9,551,363 | 4,400,087 |
| ივლისი | 3,703,229 | 7,246,787 | 6,858,464 |
| აგვისტო | 8,796,028 | 9,074,756 | 6,335,718 |
| სექტემბერი | 7,758,619 | 6,655,807 | |
| ოქტომბერი | 7,842,684 | 6,843,637 | |
| ნოემბერი | 9,182,789 | 8,070,240 | |
| დეკემბერი | 16,363,008 | 11,556,023 | |
| სულ ჯამი | 99,689,270 | 93,958,389 | 40,701,508 |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - http://mof.ge/export_importis_informacia

თუ გავიხსენებთ, რომ 2015 წლამდე არსებულთან შედარებით, დღეს მოქმედი აქციზის განაკვეთები თამბაქოზე გაზრდილია საშუალოდ 110%-ზე მეტით, ვნახავთ, რომ აღნიშნულს არ შეესაბამება ამავე პერიოდის ზრდა, საგადასახადო შემოსულობების თვალსაზრისით - 59%. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლები აქციზის გადასახადის მატების პროპორციულად არ იზრდება. ამის რეალური მიზეზი კი მხოლოდ სიგარეტის მოხმარების შემცირება შეიძლება იყოს. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება მიმდინარე წლის 8 თვის შედეგებიდან გამომდინარეც. ანუ აქციზის განაკვეთების ზრდის შედეგად მიღწეულ იქნა როგორც სიგარეტის მოხმარების შემცირება, ასევე საგადასახადო შემოსულობების მატება, რაც რაღა თქმა უნდა დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ, რომ თამბაქოს მოხმარების მაღალი დონე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. 2015 წლის მონაცემებით, თამბაქოს მომხმარებელი იყო ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, უფრო ზუსტად კი 57,7%. აღნიშნული, რა თქმა უნდა, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ანალოგიური დონის შენარჩუნებაა ასევე ნავარაუდევი, 2020 საპროგნოზო წლისათვის. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია მოცემული მიმართულებით ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა; როგორიცაა: ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება, თამბაქოს ხელმისაწვდომობისა და რეკლამირების შეზღუდვა, თამბაქოს წარმოებასა და იმპორტზე ლიცენზირების პირობების გამკაცრება და თამბაქოზე არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთის ზრდა. 2015 წლიდან პერიოდულად განხორციელებული ცვლილებების შედეგად, აქციზზე გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 75%-დან 200%-მდე დიაპაზონში, საიდანაც ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გაიზარდა პროდუქციის იმ სახეობათა აქციზის განაკვეთები (ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტი), რომელთა მოხმარებაც ყველაზე მეტად არის გავრცელებული. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ აქციზის გადასახადის განაკვეთი მკვეთრად არის მომატებული, პროცენტულ მონაცემებს თუ შევადარებთ, საბიუჯეტო შემოსულობების ნაწილში, ფიქსირდება მხოლოდ 47%-59%-იანი ზრდა თამბაქოზე გადახდილი აქციზის სახით, ხოლო იმპორტის ნაწილში კი შეინიშნება შემცირების დინამიკა, რაც გამოწვეულია, როგორც აქციზის განაკვეთის ზრდით, ასევე თამბაქოს მოხმარების შემცირებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ, საქართველოში საბიუჯეტო შემოსულობების ზრდის პარალელურად, გამოიწვია, თამბაქოს იმპორტისა და მოხმარების შემცირება, რაც ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
2. საქართველოს კონსტიტუცია
3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - http://www.moh.-gov.ge/news/3339/
4. საქართველოს სახაზინო სამსახური - http://treasury.ge/5585
5. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია - http://www.who.int/gho/tobacco/use/en/,
6. http://gamapserver.who.int/gho/interactive_charts/tobacco/use/atlas.html
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - http://mof.ge/export_importis_informacia

# The Impact of Increased Tobacco Excise Rates on Import and Tax Revenues

Mikheil Chikviladze

*Doctoral student*
*Tbilisi State University*

Iza Bukia

*Doctoral student*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

In many countries as well as in Georgia, tobacco consumption represents one of the main problem of public healthcare. There are different approaches towards tackling this problem and make some impact on tobacco consumption. For example: Stimulation and maximum popularization of healthy lifestyle, restriction of tobacco ads, mandatory picturing of information about unhealthy influence on cigarette packs, etc. Subject of the current analysis is intended to be influence of increased excise rates on tobacco consumption, as a main factor, leading to tobacco accessibility restriction. Depended on World Health Organization data, in 2015 Georgia took one of the worst places, among countries with the prevalence of tobacco smoking, having the score equal to 57.7%. Along with it, influence of increased excise rates (starting from 2015) on tobacco consumption, import and tax revenue is assessed. As a result of periodical changes, excise tax rates on tobacco products increased by 75% to 100% (depended on category of product). Despite of the fact that the excise rate is abruptly increased, we have only 47%-59% increase of paid tax on tobacco products, also reduction tendency of importation is observed. Of course above mentioned is caused by increased prices as well as reduced consumption of tobacco products. Hence we can conclude that incremental changes of excise rates, increased tax revenue and at the same time reduced importation of tobacco products, which unambiguously can be deemed as a positive result.

*Keywords: Excise rate; Excise tax; Tobacco import; Tax revenues.*

# საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი: შემოსულობები, სტრუქტურა, პროგნოზი

მიხეილ ჩიკვილაძე

*ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პრინციპების შესრულების აუცილებლობას, საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის შემოსავლებისა და ხარჯების გამიჯვნისას ამ პრინციპების შესრულების როლს. გაანალიზებულია 2017 წლის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების შემოსულობების სტრუქტურა, საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობა, ძირითადი აქცენტები გადატანილია გადასახადებზე, გრანტებსა და „სხვა შემოსავლებზე“, აგრეთვე ეკონომიკაში არსებულ დადებით და უარყოფით მოვლენებზე, მათ გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე.*

***საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, სტრუქტურა, პროგნოზი; გადასახადები; გრანტები, „სხვა შემოსულობები“; საფინანსო-საკრედიტო სისტემა; ეროვნული; შემოსავალი, მშპ; ფინანსური აქტივები; დივიდენდები; საბაჟო მოსაკრებლები; ჯარიმები, საურავები; ინვესტიციები, ტრანსფერები; ბაზრის კონიუნქტურა; საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა.***

საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის წლებში არადინამიკურად ვითარდება, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში წარმოების მოცულობის განახევრებას, შუა პერიოდში აღმავლობა, შემდეგ კი ისევ დაცემა მოჰყვა, „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში ეკონომიკაში მიმდინარე გამოცოცხლება ზრდის ტემპის - 4.0%-იანმა ვარდნამ შეცვალა. ამ ფონზე, ბოლო წლებში, შედარებით წარმატებული სფეროა ფინანსურ-საკრედიტო სექტორი, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდა[3, გვ.146-147] .

სახელმწიფო ბიუჯეტი, ქვეყნის ფინანსური რესურსების მობილიზების მთავარი ინსტრუმენტია, რომლის ეფექტიან ფუნქციონირებაზეც მიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთლიანად საბიუჯეტო სისტემის ფორმირება და მყარი ფინანსური ბაზის შექმნა. საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი სახელმწიფო ბიუჯეტს განეკუთვნება, რომლის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ეკონომიკის, სოციალური სფეროს დარგებსა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეფუძვნება ძირითად პრინციპებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილისათვის, საბიუჯეტო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ამ პრინციპებს შორის მთავარია: საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის, საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის შემოსავლების და ხარჯების გამიჯვნის, დამოუკიდებლობის, ყოვლის მომცველობის, გამჭვირვალობის, უნივერსალობის, ანგარიშვალდებულების პრინციპები.

როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ბოლო წლების, ასევე მიმდინარე წლის ექვსი თვის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზიდან ირკვევა, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, სამწუხაროდ ჯერაც სრულად არ ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიკურად და ეფექტიანად გამოყენების პრინციპებს, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება სახელმწიფო სახსრების ყაირათიანად ხარჯვასა და მაღალ საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ჯერაც არ იღებს მხედველობაში ბიუჯეტის უტყუარობის (სისწორის) პრინციპს, რის გამოც საქმე გვაქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების არარეალურობასთან, რაც ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის აუცილებლობას განაპირობებს [1, გვ. 56, 58, 59].

ბიუჯეტი (იგივე შემოსულობები) შედგება შემოსავლების, არაფინანსური, ფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდისაგან. შემოსავლები თავის თავში მოიცავს: საგადასახადო შემოსავლებს (ფიზიკური პირებისაგან: საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი საწარმოებიდან, მოგების გადასახადი და სხვ., გადასახადები ქონებაზე: გადასახადები უძრავ ქონებაზე, გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე:

დღგ, აქციზი, გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე: იმპორტის გადასახადი და სხვა გადასახადები).

გრანტებს (საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები) და სხვა შემოსავლებს (შემოსავლები საკუთრებიდან: პროცენტები, დივიდენდები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან: საბაჟო მოსაკრებლები და სხვ., სანქციები: ჯარიმები, საურავები და სხვა შემოსავლები).

ნათელია, რომ შემოსულობები ბიუჯეტში სხვადასხვა წყაროდან მიღებული ფინანსური სახსრების შემოდინებას გვიჩვენებს, თუმცა ამ წყაროებიდან ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას ყველაზე რეალურად მხოლოდ საგადასახადო შემოსავლები ასახავს, ამას ჩვენს მიერ განხილული სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული ქვეპუნქტის ანალიზიც ადასტურებს, სადაც საგადასახადო შემოსავლები ყველა იმ შემოსავალს მოიცავს (მოგების, საშემოსავლო, აქციზის, დღგ, იმპორტის, ქონების გადასახადები), რაც ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ყველაზე რეალური ამსახველია[4, გვ. 20-21].

ამ მიმართებით მიზანშეწონილად მივიჩნიე 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა მიმოვიხილოთ.

2017 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 4.483.4 მლნ ლარით, მიმდინარე წლის ექვს თვეში მობილიზებულია 4.671.6 მლნ ლარი (საპროგნოზო მაჩვენებლის 106,6 %), აქედან გადასახადებმა 4.288.3 მლ ლარი (105.1 %), გრანტებმა - 187.0 მლნ ლარი (164.0 %), სხვა შემოსავლებმა 200.7 მლნ. ლარი (103.8%).

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით (2017 წლის იანვარ-ივნისში) შეადგენს:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1.280.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 99.7%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 490.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 125.3 %-ია.
- უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საგადასახადო კონდექსში განხორციელებიული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი, რაც გულისხმობს კლასიკური მოგების გადასახადის ჩანაცვლებას განაწილებული მოგების გადასახადით, კერძოდ, მოგების რეინვესტირებისას კომპანიები თავისუფლდებიან მოგების გადასახადით დაბგვრისაგან და მოგება იბეგრება მხოლოდ განაწილებისა და მისი დივიდენდად გაცემის შემთხვევაში. უკვე 2017 წლის მაისიდან, შესაძლებელია რეფორმის ეფექტის გამოყოფა. მიმდინარე წლის მაისში, გასული წლის მაისთან შედარებით მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში შემოსულია 120.0 მლნ ლარით ნაკლები, სწორედ აღნიშნული თანხა წარმოადგენს მოგების გადასახადის რეფორმის პირველ ეფექტს და ბიზნესისათვის მოპოვებულ რესურსს, რაც ხელს შეუწყობს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და ინვესტიციების ზრდას. აღნიშნული რეფორმის ეკონომიკაზე რეალური ზეგავლენის შეფასება შესაძლებელი იქნება გრძელვადიან პერიოდში. [7]
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით, მობილიზებულია 1.914.8 მლნ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 116.0 %-ია. აუცილებელია აღინიშნოს, რომ დღგ-ს გადასახადი თავისი ეკონომიკური ბუნებით გამართლებულია, რადგანაც დაბეგვრას ბიზნესის ყველა სტადია ექვემდებარება და ამდენად, საგადასახადო ტვირთი ყველა ამ სტადიაზე ნაწილდება. სწორედ ამით აიხსნება დღგ-ს ასეთი მაღალი ხვედრითი წილი მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში [5, გვ. 82].
- აქციზის სახით მობილიზებულია 660.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 89%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 34.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 95%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდის შემოღების შემდეგ, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლების

ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად „სხვა გადასახადის“ შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სიდიდე[4, გვ. 296, 304, 323, 345, 362, 379].

• ამრიგად, გადასახადების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 9.540.0 მლნ ლარს შეადგენს, იანვარ-ივნისის საპროგნოზო შემოსავლების გეგმა შესრულებულია 4.748.2 მლნ. ლარით, რაც გეგმის 49.8%-ია. აღნიშნული გარემოება მიგვანიშნებს, რომ საგადასახადო შემოსავლების შემცირება პირდაპირ კავშირშია სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბების შეკვეცასთან, ამას ემატება კიდევ ერთი უარყოფითი ტენდენციაც, საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილის მობილიზება სახელმწიფო ბიუჯეტში ხდება (91.6%), რაც კიდევ მეტად ასუსტებს ადგილობრივ ბიუჯეტებს და უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის მათ „ცენტრთან“ [3, გვ. 150-151].

• გრანტები - საპროგნოზო მაჩვენებელი მობილიზებულია 187.0 მლნ ლარით (73.0 მლნ ლარით მეტი)

• „სხვა შემოსავლები“ - საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 193.3 მლნ. ლარის ოდენობით, შესრულებამ 103.8% შეადგინა.

• 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9.121.2 მლნ. ლარით, აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4.455.8 მლნ. ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 50.0%-ია, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4.346.7 მლნ ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.1 %-ია. საქართველოს 2017 წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 11.415.5 მლნ ლარით, ამ სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 5.598.8 მლნ ლარი, რაც წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის 49.1 %-ია, საკასო შესრულებამ შეადგინა 5.326.5 მლნ ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.1 %-ია [7].

• უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2017 წლის პირველ ექვს თვეში მშპ-ის საშუალოორეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან, 4.5% შეადგინა (ზრდა აღინიშნებოდა მშენებლობაში - 21.1%, კავშირგაბმულობაში - 11.5%, საფინანსო საქმიანობაში 6.8% და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლის ივნისში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა წლის ივნისთან შედარებით 7.1% შეადგინა, წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათის, უალკოჰოლო სასმელების, ტრანსპორტის, თამბაქოს და სხვა ჯგუფებში. 2017 წლის ექვს თვეში ლარმა გამყარება დაიწყო, როგორც აშშ დოლართან, ისე ევროსთან მიმართებაში, 2017 წლის ივნისში, 2016 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 9.1%-ით გამყარდა და 2.4 ლარი შეადგინა. 2017 წლის იანვარ-ივნისში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.1%-ით გაიზარდა (რუსეთიდან - 28%, ისრაელიდან - 100.4%, აშშ - 18%). ფულადი გზავნილები ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის მნიშვნელოვანი ფაქტორია, იგი დიდ როლს ასრულებს შიდა მოთხოვნის ზრდაში და ეროვნული ვალუტის გამყარებაში [3, გვ. 159]. აღნიშნული ტენდენციები იმედის მომცემია, თუ წლის ბოლომდე დაძლეულ იქნება ის უარყოფითი მაჩვენებლები, რომლებიც 2017 წლის ექვსი თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას ახლავს თან, კერძოდ, ხუთი სახელმწიფოებრივი გადასახადიდან 2017 წლის იანვარ-ივნისში საპროგნოზო მაჩვენებელი შეუსრულებულია გადასახადის ოთხ სახეში (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი) შეუსრულებლობის მიზეზი უცნობია. შეუსრულებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის საპროგნოზო მაჩვენებელიც (საკასო შესრულებამ შეადგინა 95.1%), რაც ბევრ უარყოფით შედეგს მოიცავს. აქედან გამომდინარე საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ამ პერიოდის გაჭიანურების პარალელურად, სრულყოფილად ვერ იქნა შესაძლებელი ქვეყანაში ისეთი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფდა მასზე დაკისრებული ამოცანების სრულფასოვან შესრულებას, რის გამოც იგი დღეისათვის კვლავ გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება, კერძოდ:

_ სახელწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერაც ვერ გახდა შესაძლებელი საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული, მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება.

– ქვეყანაში არ არსებობს ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავლების ოპტიმალური, სამართლიანი განაწილების ეფექტიანი მექანიზმი. წლების მანძილზე თვითმმართველობების ბიუჯეტები შემოსავლების სიმწირეს განიცდის, რის გამოც მრავალი კომპეტენცია რჩება დაუფინანსებელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი ტრანსფერებიდან ყველაზე მიზანშეწონილად გათანაბრების ტრანსფერია მიჩნეული, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ფაქტობრივად ვერ წყვეტს აღნიშნულ პრობლემას და ისედაც ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი რეგიონებიდან საგადასახადო შემოსავლების ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მიემართება, რაც სერიოზული მსჯელობის საგანია და დროულ გადაწყვეტას საჭიროებს. აუცილებელია, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს მიეცეთ საკუთარი კომპეტენციის ეფექტიანი განხორციელების საშუალება[6,გვ.342]. შეინიშნება ბიუჯეტის დაგეგმვასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების სრულყოფის აუცილებლობა და როგორც მცნიერული გამოკვლევების, ისევე თეორეტიკოს - მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული დასკვნებისა და წინადადებების გათვალისწინების საჭიროება. აქედან გამომდინარე, მართებული იქნება, მეცნიერ-ეკონომისტების მიერ საბიუჯეტო საგადასახადო სფეროს შემდგომი სრულყოფის მიმართულებით ჩატარებული გამოკვლევებისა და ჩამოყალიბებული მოსაზრებების პრაქტიკული გამოყენება რიგი საკითხის გადაწყვეტის პროცესში.

ლიტერატურა:


1. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა. თბილისი: გამომცემლობა „სიახლე", 2012, 308 გვ.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე. თბილისი, 2007, 442 გვ.
3. თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი", 2011, 312 გვ.
4. კოპალეიშვილი თ., ჩიკვილაძე მ. გადასახადები და დაბეგვრა, თბილისი, 2011,338გვ.
5. პაპავა ვ., რეფორმები, ფსევდო რეფორმები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი", 2015, 236 გვ.
6. ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები. თბილისი, 2007, 416 გვ.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მასალები, 31.07.2017, საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.
8. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, 2010.
9. საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2011-2014 წწ.
10. www.mof.ge


## The State Budget of Georgia: Revenues, Structure, Forecast


Mikheil Chikviladze

*Associated Professor*

*Tbilisi state university*



**R e s u m e**

The article focuses on the need to fulfill the basic principles of the budget system, the role of the implementation of these principles in the separation of income and expenditures between the different levels of budgetary system. Structure of the revenues of the 2017 state and compound budgets and the performance of their forecast parameters, the main attention is paid on taxes, grants and "other incomes" as well as positive and negative events in the economy, their causes and ways of solving.



***Keywords:*** *Revenues, structure and forecast of Georgian State Budget; taxes, grants and "other incomes"; Financial-credit system; National Income, GDP; Financial assets; Dividends; Customs duties; Fines; Investments, transfers; Market conjuncture; Tax and Budget Policies*

# უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში

ქეთევან ჩიტალაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რუსუდან ქინქლაძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაც ადასტურებს ქვეყანაში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევა. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ასევე სოფლად, თუმცა, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მისი დონე ქვეყანაში ბოლო მონაცემებით, მართალია, მცირედ, მაგრამ მაინც შემცირდა და ის 11,8 % -ის დონეზეა.*

*სტატიაში განხილულია საქართველოში უმუშევრობის სტატისტიკური სურათი. გაანალიზებულია უმუშევრობის დონეები რეგიონალური ჭრილით, მოცემულია ქალაქად და სოფლად მის მაჩვენებლთა სისტემის ცვლილების ტენდენციები გამომწვევი მიზეზების ჩვენებით. დახასიათებულია უმუშევრობის ზრდის მაჩვენებლები, როგორც რეგიონულ, ასევე სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილით და გამოვლენილია მის ზრდაზე მოქმედი ფაქტორები. დასახულია უმუშევრობის შემცირების გზები და გამოკვეთილია მოსალოდნელი ტენდენციების სტატისტიკური სურათი.*

*საკვანძო სიტყვები: უმუშევრობის დონე, დასაქმების დონე, დასაქმებულები, თვითდასაქმებულები, ზრდის ტემპი.*

ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომითი რესურსების, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულების, აგრეთვე უმუშევრობის სიტუაციური მოვლენები და პროცესები ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში [1გვ.511]. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიგა პროდუქტისა(მშპ), ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს.

ცხოვრების დონის სტატისტიკის წინაშე დგას რიგი ამოცანები რომელთაგან ძირითადია: ცხოვრების დონის და დინამიკის დახასიათება, მოსახლეობის შემოსავლების და მოხმარების დონეების და სტრუქტურის შესწავლა, შემოსავლებისა და მოხმარების დონეებში და სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ასახვა-ანალიზი [2,გვ.315]. უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა სტატისტიკური, კონიუქტურული თუ სოციალური გამოკითხვებით, საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია და პირველ ადგილს იკავებს რთულად გადასაჭრელ ისეთ საკითხთა ნუსხაში, როგორიცაა ქვეყნისა და ქართველი საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. უმუშევრობის დროს ფართოდ იკვეთება ეკონომიკური არასტაბილურობის შემდეგი ფაქტორები: ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგებს იწვევს. ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ე.წ. გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვღებულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. ერთი კი ცხადია, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში უმუშევრობა დღემდე ნომერ პირველ პრობლეად რჩება[3 ].

**უმუშევრობის დინამიკა საქართველოში**: საქართველოში უმუშევრობის დონემ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO – გაეროს შვილობილი ორგანიზაცია) მონაცემებით, 2015 წელს 12-13% შეადგინა,რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია (13,5%).

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში უმუშევრობის დინამიკას (საქსტატის მიხედვით) აქვს შემდეგი სახე (იხ.სქემა1)[4 ].

სქემა 1




როგორც სქემიდან ჩანს - უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 2008-2009 წლებში ფიქსირდება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით იყო გამოწვეული. 2008 წელთან შედარებით, 2016 წელს უმუშევრობა 4,7%-ით შემცირდა და 11,8 % შეადგინა, რაც თავისთავად ნიშნავს 51 ათასამდე ადამიანის დასაქმებას და მათი ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა უმრავლესობა სტატისტიკაში თვითდასაქმებულთა და დაქირავებულთა გამიჯვნის მომხრეა. ჩვენი კანონმდებლობა, რომელიც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის კანონმდებლობას და წესებს ეყრდნობა, თვითდასაქმებულ ადამიანებსაც დასაქმებულად მიიჩნევს. ეს მეთოდოლოგია ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული, თუმცა არიან ქვეყნები, რომლებიც ცალკე ითვლიან თვითდასაქმებულებს და დასაქმებულებს. ერთი მხრივ, თვითდასაქმებული ადამიანი შესაძლოა წარმატებული მეწარმე იყოს, მეორე მხრივ კი, ადამიანი, რომელსაც უჭირს „.”†‘-,‣†‘” სამუშაოს პოვნა და იძულებულია, თავის გადასარჩენად თვითდასაქმდეს. ჩვენი აზრით, სწორი იქნება თუ ჩვენი ქვეყანა გამიჯნავს თვითდასქმებულთა და სახელმწიფო ან სხვა კერძო სტრუქტურეში მომუშავეებს, ამით ნათელი მაგალითი გვექნება თუ რა გამოწვევის წინაშე ვდგავართ და შეგვეძლება უკეთ შევაფასოთ არსებული სიტუაცია.

უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. 2016 წელს, 2015 წელთან მიმართებით, უმუშევრობის დონე ქალაქის ჭრილით შემცირებულია 0,4 პროცენტული პუნქტით და 21,1 % შეადგინა, რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქ შესაბამისი მაჩვენებელი გაზრდულია 0,2 პროცენტული პუნქტით და 5,0 % შეადგინა. განვიხილოთ ეს მონაცემები 21-ე საუკუნის საქართველოს რეტროსპექტივაში(იხ.სქემა2[4]):

სქემა 2




მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე სოფლად ბევრად დაბალია, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, თითქოს მოსახლეობა უფრო მდიდარია. პირიქით, სიღარიბის პრობლემები ძალზედ მწვავეა სქართველოს რეგიონებში, რაც სოფლის მოსახლეობის ნაკლები პრიორიტეტებით შეიძლება აიხსნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს საწარმოები, სადაც მოხდება სოფლის ნატურალური პროდუქციის დამუშავება და მათი მზა სახით წარდგენა. მაგალითად, რძის ჩამბარებელი პუნქტები რომ აშენდეს, რძის პროდუქტების დამამზადებელი მცირე საწარმოები, მოსახლეობა სოფლად დასაქმდება. ასევე, აღარ ექნება ადგილი სოფლების დაცლას მაღალმთიანი რეგიონებიდან, აქ მოსახლეობას არ აქვს სათანადო პირობები საკუთარი ან ოჯახის წევრების, თუნდაც მინიმალური ცხოვრებისათვის. ამ ანალიზშიც უმუშევრობის დონე ქალაქში 2008 წელთან შედარებით (28,9%) შემცირდა და გახდა 21,1 %. რას შეეხება სოფილის მოსახლეობას აქ უმუშევრობის მაღალი დონე დაფიქსირდა 2010 წელს - 7,9 % და 2016 წლისათვის შემცირებულია 2,1 პროცენტული პუნქტით, რაც არ არის მაღალაი მაჩვენებელი, მაგრამ შეიძლება იმედის მომცემად ჩავთვალოთ.

უმუშევრობის დონეები უშუალოდ რეგიონებში შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. სქემა 3) [4]:




ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება თბილისში - 21,4%. რეგიონებიდან მაღალი უმუშევრობით გამოირჩევა აჭარის რეგიონი - 15,1%-ით და სამეგრელო-ზემო სვანეთი - 12,5%-ით. ძალზე მნიშვნელოვანია უმუშევრობის დონის განხილვა სქესობრივი ჭრილით (იხ.სქემა 4).

უმუშევრობის დონე სქესობრივი ჭრილით [4 ]

სქემა 4




2015 წლის მდგომარეობით, უმუშევრობის დონე მამაკაცებში 13,5%, ხოლო ქალებში - 10,2%-ია. ამასთან, თუ დასაქმებას ეკონომიკური კუთხით განვიხილავთ, სხვა რეალობას დავინახავთ. კერძოდ, უმუშევარ ქალთა რაოდენობა თითქმის 50%-ით მეტია უმუშევარ მამაკაცებთან შედარებით და ეს თანაფარდობა სენსაციურია უკანასკნელი წლების განმავლობაში. გლობალური დასაქმების კუთხით, რომელიც ეკონომიკურ დასაქმებასთან ერთად საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ბავშვების აღზრდას, ინვალიდებისა და მოხუცების მოვლას მოიცავს, ამ საქმიანობაში ჩართული ქალები ითვლებიან დასაქმებულად ხოლო არააქტიურობის დონე ქალებში თითქმის ორჯერ აღემატება მამაკაცების იგივე მაჩვენებლებს.

განსხვავებულია უმუშევრობის დონე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებშიც. მეტად მწვავეა ეს პრობლემა ქვეყნის ახალგაზდობისთვის (იხ,სქემა 5) [4 ]:




როგორც ვხედავთ, ახალგაზრდა, შრომისუნარიან მოსახლეობაში მეტად მაღალია უმუშევრობის დონე და ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება. დასაქმების მხრივ ყველაზე მძიმე პირობებში 20-35 წლამდე ასაკის მოსახლეობა იმყოფება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ასაკიან მოსახლეობაში უმუშევრობის დაბალი დო-

ნე განპირობებულია მათი გადასვლით ეკონომიკურად არააქტიურთა რიგებში. საპენსიო ასაკი იწყება 60 წელს ზემოთ, რის გამოც, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ხოლო ახალგაზრდა მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონე გამოწვეულია, ხშირ შემთხვევაში, მათი არაკვალიფიციურობით. ამ ადამიანებს არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები, სადაც მათ სამუშაო გამოცდილებას სთხოვენ. რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ? ვფიქრობ, ერთ-ერთი ბერკეტი ისაა, რომ განათლების ხარისხი გააუმჯობესოს. საინტერესოა სისტემა, რომელსაც „ბოლო შესაძლებლობის დამქირავებელი" ეწოდება. ამ სისტემას, რომელმაც ბრიტანეთში გაამართლა, ბრიტანეთის ხელისუფლება იყენებდა და ეხება ახალკურსდამთავრებულებს, რომლებსაც არა აქვთ სამუშაოს მოძებნის გამოცდილება. ამ შემთხვევაში, მთავრობა ახალგაზრდებს დასაქმებით უზრუნველყოფს შედარებით დაბალი ხელფასებით და ამგვარი პრაქტიკა სასარგებლოა ორივე მხარისათვის – ახალგაზრდები იძენენ გამოცდილებას, ხოლო სამთავრობო სექტორი ახალ ძალებს და იდეებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო რთულად დგას, ვიდრე ეს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს. სადავო არაა ის გარემოება, რომ დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობასთან შედარებით, ფაქტობრივ უმუშევართა რიცხვი მნიშვნელოვნად მეტია. ეს ეხება საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობას. მაგრამ, არის კიდევ სამუშაო ძალის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომლებიც როგორც საქართველოს მოქალაქეები, შრომით საქმიანობას ეწევიან უცხოეთის ქვეყნებში, რადგანაც მათთვის სამუშაო ადგილი საკუთარ ქვეყანაში ვერ მოიძებნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას, რომელშიც ადამიანს უხდიან ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას. თუ ამ ტერმინის შესაბამისად ვიმსჯელებთ, საქართველოს მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია, რადგან ცოტა თუ მოიძებნება, რომელსაც საკუთარი ხელფასით შეუძლია, თავიც და ოჯახიც ნორმალურად არჩინოს.

**დასკვნები და რეკომენდაციები**: იმისათვის, რათა დავსახოთ უმუშევრობის გადაჭრის რეალური გზები, პირველ რიგში, აუცილებელია განვიხილოთ მისი გამომწვევი მიზეზები. უშუალოდ მიზეზების გარკვევის შემდეგ შესაძლებელი იქნება სწორი სტრატეგიის შერჩევა აღნიშნულ პრობლემასთან საბრძოლველად.

შრომის ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობა, მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული მკვეთრი დისბალანსი, მოქმედების შეზღუდული არეალი, ნაკლები ელასტიკურობა, სამუშაო ძალის დაბალი მობილობა, დაბალი ანაზღაურება და ხანგრძლივ უმუშევართა მაღალი წილი უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, რაც თავისთავად აისახება უმუშევრობის გამომწვევ ძირითად მიზეზებში. კერძოდ:

- შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;
- სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე;
- შრომის დისკრიმინაციული პირობები;
- შრომის დაბალი ანაზღაურება;
- პროფესიული მომზადების დაბალი ხარისხი;
- სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილობა;
- სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;
- სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა (ე.წ. „იმედგაცრუებულები");
- დასაქმების სფეროში საშუამავლო სერვისის განუვითარებლობა/ ხელმიუწვდომლობა.

აღნიშნული მიზეზებიდან ნაწილი ობიექტურია, ნაწილი სუბიექტური. შედეგად კი, საქართველოში სამუშაო ადგილის მოძიება და დასაქმება ძალიან რთულია, ხოლო დასაქმებიდან მიღებული შემოსავლები ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისი საკუთარი თავისა და ოჯახის სარჩენად[5].

შეფასების სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ, ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი და ძირითადი

ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით, რაც, შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის განსაზღვრას მოითხოვს, ასევე საჭიროებს სათანადო საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას.

ჩამოთვლილი მიზეზების მეტ-ნაკლებად აღმოფხვრა უმუშევრობის დონესაც შეამცირებს და ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. ამ პრობლემის მოგვარება, თავის მხრივ, აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს მხიდან ჩარევასა და რეგულიერებას. თუმცა, მხოლოდ ეს საკმარისი ვერ იქნება თუ საზოგადოებამ, დამსაქმებლებმა, სამუშაოს მაძიებლებმა, დასაქმებულებმა და არააქტიურმა მოსახლეობამაც არ გაითავისა აღნიშნული საკითხის აქტუალურობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყნებშიც კი (მაგალითად, ნორვეგია, სინგაპური) მოსახლეობის 2-3% უმუშევარია. ეს მოსახლეობის ის ნაწილია, რომელიც უკეთ ანაზღაურებად სამსახურს ან მისი პროფესიის შესაფერის სამსახურს ეძებს, ასე ვთქვათ, მობილობის პროცესშია. ასეთ დროს მიჩნეულია, რომ ქვეყანაში უმუშევრობა არ არის გამოწვეული ეკონომიკაში არსებული პრობლემებით. საქართველოში კი, უმუშევრობის მთავარი მიზეზი მცირე ეკონომიკაა და, შესაბამისად, პრობლემის გადაჭრის გზაც სწორედ ეკონომიკურ ზრდაზეა დამოკიდებული.

## ლიტერატურა:


1. ბიკენტი გაბიძაშვილი, სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., გამომცემლობა უნივერსალი, 2008 წ.
2. მ. ხმალაძე, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწილი მეორე, თბ. 2015
3. ქ. ჩიტალაძე ,,უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში“ თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაცია და სტატისტიკა”, შრომების კრებული 2014 წ.
4. www.geostat.ge
5. www.civil.ge


## The Unemployment Trends in Georgia


Ketevan Chitaladze

*PhD in Economics*
*Tbilisi state university*

Rusudan Kinkladze

*PhD in Economics*
*Georgian technical university*



**R e s u m e**

Unemployment is the heaviest socio-economic problem in Georgia, which is confirmed by different researches held in our country. The Unemployment is high in cities, as well as in villages, but according to the latest official statistics the level of unemployment, although by little, decreased and it amounted to 11,8 %.

In the Article there is discussed the statistical picture of Unemployment in Georgia. Unemployment rates are analyzed by Regions. There is given a system of indexes on unemployment together with the tendencies of the changes in cities and villages and the reasons behind. The unemployment growth rates are described in terms of region, age and gender and there are displayed the influential factors on the growth. The way of reducing the unemployment is projected and statistical picture of expected tendencies is also outlined.



***Keywords: Unemployment level, employment level, employed, self-employed, growth rate.***

# საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ეკა ჩოხელი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

დავით ნარმანია

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია თვითმმართველობის პროცესის განვითარების საკითხი საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია იმ თავისებურებებზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობას სდევს თან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.*

*კვლევის მიზანი იყო იმ ტენდენციების გამოვლენა, რაც საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას უკავშირდება. კვლევა დაეფუძნა რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს, რისთვისაც გამოყენებული იქნა ნორმატიული დოკუმენტები, სამთავრობო ანგარიშები, სხვადასხვა ორგანიზაციების შეფასებები და.შ*

*საკვანძო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტი, თვითმმართველი ერთეული.*

საქართველოში თვითმმართველობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობა ბოლო პერიოდში განსაკუთრების აქტუალურია. მრავალი ქვეყნის გამოცდილების შესწავლა ცხადყოფს, რომ რეალური თვითმმართველობის ფორმირების პირობებშია შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მდგრადი და თანაბარი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, წარმოების ზრდა და ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა [2, გვ.158].

ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არა მარტო უფლებას, არამედ რეალურ შესაძლებლობასაც, კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი [7, გვ.13].

მას შემდეგ, რაც საქართველოში აქტიურად დაიწყო მსჯელობა თვითმმართველობის განვითარებასთან დაკავშირებით, გადაიდგა არაერთი ნაბიჯი. თუმცა ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებები საზოგადოების მუდმივი მსჯელობის საგანია.

ეფექტიანი და დემოკრატიული თვითმმართველობის მიღწევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად განიხილება თვითმმართველი ერთეულების შექმნის სპეციფიკა. მუდმივად გაისმის კითხვები: თუ რამდენი თვითმმართველი ერთეულია ოპტიმალური, როგორი უნდა იყოს თვითმმართველი ერთეულების ზომა და საზღვრები, კომპეტენციები, ფინანსური უზრუნველყოფა, ტერიტორიაზე საოფისე ფართების განლაგების ადგილმდებარობა, პოლიტიკური იდენტურობის დაცვა და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე სრულყოფილ და დემოკრატიულ ფორმად მიიჩნევა „თითოეულ დასახლებაში საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება.“ საქართველოს შემთხვევაში თუ დასახლებად განვიხილავთ „სოფელს“, ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა მრავალი მცირე თვითმმართველი ერთეულის არსებობას ქვეყანაში. მას აქვს ისეთი ეფექტები, როგორიცაა: დემოკრატიის შექმნა, რათა სოფლის მოსახლეობა საჯარო გადაწყვეტილების პროცესში ჩაერთოს, როდესაც საკითხი ეხება მათ ადგილობრივ ინტერესებს; საზოგადოებრივი სერვისების უკეთესად განაწილება სოფლებში, განვითარების სტიმულირება და მოსახლეობის შენარჩუნება და ა.შ.

თუმცა გასათვალისწინებელია ასეთ თვითმმართველი ერთეულების არსებობის შემთხვევაში ისეთი თანმდევი პრობლემები, როგორიცაა: ფინანსების სიმცირე, ადამიანური რესურსების ნაკლებობა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების უნარის არ ქონა, ადმინისტრაციული ამოცანების განხორციელების ნაკლები შესაძლებლობები, ძალაუფლების კონცენტრირება 2-3 ოჯახის ხელში, ინვესტიციების მო-

ზიდვის სირთულე და ა.შ. ამასთან ასეთი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა რთულია და ფინანსურ ხარჯებთანაც არის დაკავშირებული [3, გვ. 105].

საქართველოში თვითმმართველ ერთეულს მუნიციპალიტეტი ეწოდება და ის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განასხვავებს ორი ტიპის მუნიციპალიტეტს: თვითმმართველი ქალაქი, როგორც ადმინისტრაციული საზღვრის მქონე ერთი დასახლება, და თვითმმართველი თემი, როგორც დასახლებათა ერთობლიობა, რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი.

საქართველოს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით, მუნიციპალიტეტად მიიჩნევა „დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები.“ მუნიციპალიტეტების ფუნქციებია საკუთარი ანუ შიდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (ფიზიკური ინფრასტრუქტურა - გზები, ხიდები, სანიაღვრე სისტემა, წყალმომარაგება, კეთილმოწყობა და ა.შ; სოციალური ინფრასტრუქტურა: პარკები, საბავშვო ბაღები, კულტურის ობიექტები, სოციალური სერვისები და ა.შ) განვითარება და დელეგირებული უფლება-მოვალეობების (საერთო-სახელმწიფოებრივი ცალკეული სერვისები, რომელიც მოქალაქის ხელისუფლებასთან უშუალო ურთიერთობას გულისხმობს) განხორციელება.

საქართველოში თვითმმართველობის პროცესის გახორციელება გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობს [1, გვ. 279]. თუ ისტორიას მივყვებით და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესის განვითარებას გადავავლებთ თვალს, მრავალ საინტერესო თავისებურებას აღმოვაჩენთ.

ისტორიულად საქართველოში ადმინისტრაციული მოწყობის ორი დონეა დამკვიდრებული. ესენია:

- პირველი დონე - ქალაქი, დაბა, სოფელი და თემი (რამდენიმე მცირე და საშუალო სოფლის გაერთიანება) ;
- მეორე დონე - ისტორიული მხარეები, რომლებიც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს ან ერთიანი ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ.

ქვეყნის ადმინისტრაციულ–ტერიტორიული დაყოფა რაიონებად (დღევანდელ მუნიციპალიტეტებად) ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩა, საბჭოთა კავშირის დაშლისას საქართველოში არსებობდა:

- 3 პოლიტიკური ავტონომია (აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ოლქი),
- 75 რაიონი და რაიონის სტატუსის მატარებელი ქალაქი (დედაქალაქში-10 რაიონი),
- 1051 პირველი დონის (ქალაქი, დაბა, სოფელი, თემი) ერთეული [10, გვ. 35].

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ცენტრალურ ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, არ მომხდარა საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ აღიარებული პრინციპების მიხედვით მუნიციპალური მოწყობის განხორციელება. ამის მრავალი მიზეზი განიხილება, თუმცა მათ შორის ხაზს უსვამენ თვითმმართველობის როლის გააზრებას, რეფორმის განხორციელებისადმი მზაობის და/ან პოლიტიკური ნების არ ქონას.

1991 წლიდან 2006 წლამდე საქართველოში მკვეთრი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება არ განხორციელებულა, თუ არ ჩავთვლით ისტორიულ რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების (9 ერთეული) დანიშვნას სტრუქტურული ერთეულის გარეშე.

2006 წელს გაუქმდა თვითმმართველობის პირველი დონე და მუნიციპალიტეტების რაოდენობა 1004 ერთეულიდან 64-მდე შემცირდა. ქალაქებიდან ხუთს მიენიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, რუსთავი. ამ პერიოდს უკავშირდება „რაიონის“ ნაცვლად „მუნიციპალიტეტის“ ცნების შემოღებაც. ამ პროცესის შედეგად კვლავ მაღალი იყო დისბალანსი მუნიციპალიტეტებს შორის ტერიტორიული კუთხითა და მოსახლეობის რაოდენობით. მაგალითად, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა რაოდენობა ოთხჯერ აღემატებოდა სხვა მუნიციპალიტეტებში ამომრჩეველთა რაოდენობას (არ იგულისხმება დედაქალაქი). 2006 წლის მუნიციპალიტეტების გამსხვილების პროცესს წილად არ ხვდა მხარდაჭერა ევროსაბჭოს მხრიდან. რადგან იგი ეწინააღმდეგებოდა „ევროპულ ქარტიას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, რომელიც 1985 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო. საქართველომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26

ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება და 2005 წლის 1 აპრილიდან ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის" რატიფიცირების თაობაზე (თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, №515–IIს).

ამის შემდეგაც, 2012 წლამდე, თვითმმართველობის განვითარების კუთხით, თითქმის არაფერი შეცვლილა. მიუხედავად თვითმმართველობის დამკვიდრების მცდელობისა და დეცენტრალიზაციის საჭიროების დეკლარირებისა, ეს პერიოდი, განსაკუთრებით კი 2008 წლის შემდეგი პერიოდი, განიხილება ცენტრალიზებული მართვის პერიოდად, როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავისი მკაცრი კონტროლს ქვეშ მოაქცია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები [6, გვ. 487].

2012 წლის არჩევნების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ, კვლავ წამოსწია თვითმმართველობის განვითარების აუცლილებლობის საკითხი. დაიგეგმა თვითმმართველობის მთელი რიგი ღონისძიებები. იგი მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული მმართველობის სისტემის შეცვლას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ვერც საზოგადოებრივი მომსახურების ადექვატურ მიწოდებას მოსახლეობისათვის და ვერც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას. შემუშავდა საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგია, რომლის ძირითადი პრინციპები გახდაԺქვეყანაში მოქალაქეებზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება და რეალური დეცენტრალიზაციის განხორციელდება [8, გვ. 189]. დაიწყო მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის პროცესი.

პირველი ეტაპი გაგრძელდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე. ამ პერიოდში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა და გაიზარდა თვითმმართველი ერთეულების რაოდენობა. 2014 წლის 5 თებერვალს პარლამენტის მიერ მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" ხუთ თვითმმართველ ქალაქს დაემატა შვიდი და საქართველოში 2017 წლამდე იყო თორმეტი „თვითმმართველი ქალაქი": თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, მცხეთა, თელავი, ამბროლაური, გორი, ოზურგეთი, ახალციხე, ზუგდიდი და ფოთი. ასევე დაფიქსირდა საქართველოში ცხრა ტერიტორიულ–ადმინისტრაციული ერთეული (მხარე) ან რეგიონი: გურია; იმერეთი; კახეთი; მცხეთა–მთიანეთი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; სამეგრელო და ზემო სვანეთი; სამცხე–ჯავახეთი; ქვემო ქართლი; შიდა ქართლი (ადმინისტრაციულად სეპარატისტული სამხრეთ ოსეთი შიდა ქართლის რეგიონის ნაწილია). ამ რეგიონებს მართვის სათავეში არიან გუბერნატორები. რეგიონები (მათ შორის აჭარა) მუნიციპალიტეტებად არის დაყოფილი, რომლებიც სოფლებს და ქალაქებს აერთიანებს. 76 მუნიციპალიტეტს პირდაპირი წესით არჩეული საკრებულო ჰყავს და აღმასრულებელ შტოს ამ მუნიციპალიტეტების დონეზე გამგებლები უძღვებიან. გამგებლები სოფლის რწმუნებულებს ნიშნავენ შესაბამისი მუნიციპალიტეტების შემავალ სასოფლო დასახლებებში.

მეორე ეტაპი გულისხმობდა პერიოდს 2014 წლიდან 2017 წლის ბოლომდე. რაც მოიცავდა იმ რეფორმების განხორციელებას, რაც რეალურად შეუწყობდა ხელს თვითმმართველობის განვითარებას, მათ შორის იყო, მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მკაფიოს გახდიდა ადგილობრივი მმართველობის ფუნქციებს, უფლებამოსილებების დელეგირების სრულყოფით აამაღლებდა მათი მმართველობის ბერკეტებს, რადგან უფლებამოსილებების ზუსტი განსაზღვრა ხელს უწყობს ნებისმიერი საქმიანობის ეფეტიანობის ამაღლებას [5, გვ. 91]; „სახელმწიფოს მხრიდან ტელეკომუნკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება მთელი ქვეყნის მასშტაბით [4, გვ. 6518]", რაც სახელმწიფო სერვისების გამოყენების ხარისხს აამაღლებდა. ასევე ამ ეტაპს უკავშირდებოდა თვითმმართველი ერთეულების რაოდენობის ზრდა ოპტიმიზაციის ფარგლებში. თუმცა საქართველოს პარლამენტმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, 12 თვითმმართველი ქალაქიდან დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულის სტატუსი ჩამოართვა შვიდს და დღევანდელი მდგომარეობით მხოლოდ ხუთი ქალაქი - თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი და ბათუმი ინარჩუნებს აღნიშნულ სტატუსს. ამ გადაწყვეტილების საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა. საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს ფაქტი აღიქვა, როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ნაბიჯი არ შეუშლის ხელს თვითმმართველობის განვითარებას და პირიქით უზრუნველყოფს მისი პრინციპების რეალურ განხორციელებას.

იმ ფაქტთან დაკავშირებით, როგორ აფასებს მოსახლეობა თვითმმართველი ქალაქებისთვის სტატუსის ჩამორთმევას ჩატარდა გამოკითხვა იმ თვითმმართველ ქალაქებში, რომლებსაც ჩამოერთვა სტატუსი.

გამოკითხული მოსახლეობის 72 % ამ ფაქტს არ აფასებს დადებითად, 12%-აფასებს დადებითად, ხოლო დარჩენილ 16 %-ს არ აქვს პასუხი (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.




ამასთან საზოგადოების უმეტესობა აღნიშნავს, რომ თვითმმართველი სტატუსის მინიჭების შემდეგ მრავალი ისეთი პრობლემა მოგვარდა, რომლებიც წლების განმავლობაში მოსახლეობისთვის „აქილევსის ქუსლს“ წარმოადგენდა. თვითმმართველი ქალაქების ხელისუფლებამ ყურადღება მიაქცია ქალაქებისთვის მნიშვნელოვან ისეთი საჯარო პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაშია, თვითმმართველი ქალაქის მართვის ორგანოები კონცენტრირებული გახდნენ საკუთარი პრობლემების მოგვარებაზე და თავისი ბიუჯეტს იმ მიმართულებით, რომელიც მნიშვნელოვანია ქალაქის სპეციფიური პრობლემების გადასაწყვეტად. ამავე დროს იზრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და კონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობაზე, რაც საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეფექტური ხარჯვას შეუწყობდა ხელს.

კითხვაზე, თუ რა პრობლემები მოგვარდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსის პერიოდში, მოსახლეობა პრიორიტეტულობის მიხედვით ასახელებს შემდეგს: გზები (92%), პარკები (78%), კეთილმოწყობა (78%), სანიაღვრე სისტემები (31 %), სოციალური სერვისები (29%), და სხვ (27%) (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



ამრიგად, საქართველოს სწრაფვა ევროპისკენ, ქვეყნის სწრაფი განვითარება გარკვეულწილად ეფუძნება თვითმმართველობის შემდგომ განვითარებას. ერთი შეხედვით თვითმმართველი ერთეულების ზრდა ქმნის ქვეყნის სწორი, თანაბარი, დემოკრატიული განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა ოპტიმალური დონისა და იმ პრინციპების განსახორციელებლად, რაზეც დგას გავითარებული ქვეყნების თვითმმართველობები, მნიშვნელოვანია კომპლექსური მიდგომის გამოყენება, სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ანალიზზე და კვლევებზე დაფუძნებული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, ხოლო საზოგადოების მხრიდან თვითმმართველობის გააზრება მოსახლეობის უფრო მაღალი ჩართულობისა და რეალური თვითმმართველობის მისაღწევად.

ლიტერატურა:


1. Chokheli E. Narmania D. Peculiarities and development prospects of local self-government in Georgia., 2016. Available from: http://iises.net/registration-edit?hash=2ed1e4ef9881aab833a3eb47620cc06398ab0361
2. Narmania D. Financial Management of Self-government. Tbilisi. 2012. Available from: http://www.nplg.gov.ge/-ec/en/cart/search.html?cmd=search&pft=biblio&qs=606%3
3. Narmania D. Local Economical Development, Tbilisi. 2010.
4. Chokheli E and Narmania D. 2015, Information Tecnnologies In Management And Prospects To Improve Their Use By Georgian Companies . Int J Recent Sci Res, 6(9), 6515-6518
5. Chokheli, E. 2015. Role of the organizational design in the company's success. European Scientific Journal. 2015. P.90
6. Mikiashvili N., Chokheli E. The Ways for the improvement of competitive environment and some directions of antimonopoly regulation. Economics and Management. 18.3 .2013. P. 485-489.
7. Svanishvili A. Fundamentals of Self-government . Tbilisi. 2010
8. The basic principles of decentralization and local development strategy for the years 2013-2014, Available from: http://www.mrdi.gov.ge/ge/news/press/52a35343e4b073169dbbb6fb
9. European Charter of Local Self-Government., Council of Europe, March 2010.,p.14. http://www.coe.int/t/-congress/sessions/18/Source/CharteEuropeenne_en.pdf
10. ლოსაბერიძე დ., კანდელაკი კ.,აბულაძე მ., კონჯარია ო. ადგილობრივი თვითმმართველობა., მწვანე კავკასია, თბილისი, 2016, გვ.369


## On some Issues of Local Self-government in Georgia


**Eka Chokheli**

*Academic Doctor of Economics, Associate Professor*
*Tbilisi state university*

**Davit Narmania**

*Academic Doctor of Economics, Professor*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

The article discusses issues of self-governance process development in Georgia. The focus is on those peculiarities that are characteristic of local self-government reforms since Georgia gained independence.

The goal of the research was to identify the trends related to development of local self-government in Georgia. The study was based on the qualitative and quantitative analysis by using the governmental reports Normative documents, assessments of various organizations and more.



*Keywords: local self-government, municipality, self-governing unit.*

# დანაზოგების ნორმა და ცვლილებები საპენსიო სისტემაში

**ავთანდილ ჩუთლაშვილი**

*ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*განვითარებადი ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან და საინტერესო ასპექტს მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირება და შემდგომი ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი მიმართულება შესაძლოა დაგროვებადი საპენსიო სქემების ამოქმედება გახდეს. ამის დიდი გამოცდილებაა განვითარებულ ქვეყნებში. შესაბამისად, სტატიაში განხილულია განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე ის პროცესები, რაც იწვევს დანაზოგის ნორმის ცვლილებას, შესწავლილია დანაზოგის განხორციელების მოტივები და მათზე მოქმედი ფაქტორები.*

***საკვანძო სიტყვები: დანაზოგის ნორმა, საპენსიო სქემები, მდგრადი ეკონომიკური განვითარება, სამუშაო ძალა***

.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დანაზოგების მოცულობა წლიდან წლამდე მცირდება. ასე, მაგალითად, აშშ-ში წმინდა ეროვნული დანაზოგის (Net National Saving) მაჩვენებელი 1960 წელს 9.6 %, 1971 წელს 8.4 %, 1981 წელს 8.1 %, 1991 წელს 3.3 %, 2001 წელს 3.0 %, 2011 წელს 0.7 %, 2016 წელს 1.8 %-ს უდრიდა, მაშინ როცა დანაზოგის ნორმამ (Saving Rate) 1960-იან წლებში 13.0 %, 1970-იან წლებში 10.3 %, 1980-იან წლებში 7.6 %, ხოლო 2015 წელს 3.7 % შეადგინა [1].

აშშ-ში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა პერსონალური დანაზოგის ნორმა (Personal Saving Rate). მაგალითად, 1960 წელს იგი 10.4%, 1971 - 12.9 %, 1981 – 12.0 %, 1991 – 9.1 %, 2001 – 3.8 %, 2011 – 6.4 %, ხოლო 2016 წელს მხოლოდ 3.2% იყო [2], რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია არა მარტო შეერთებული შტატებისათვის, არამედ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც, რადგანაც იმავე ჩინეთში აღნიშული მაჩვენებელი 30 %-ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როცა აშშ-ში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ მიმართულებით 1975 წელს იყო და იგი 17 %-ს შეადგედა [3]. ალბათ, ამითაც უნად აიხსნას აშშ-ის მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი, რომელიც მ/წ სექტემბრისთვის 116 781.0 მლნ დოლარს გაუტოლდა[4]. აღნიშნული ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციების მოცულობა აშშ-ში უფრო მეტია, ვიდრე ამერიკელთა ინვესტიციები საზღვარგარეთ. გამოდის, რომ ამერიკელები ზევრს აღარ ან ვეღარ ზოგავენ, მათ აღარ აქვთ საშუალება ინვესტირება არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ თვით აშშ-ში განახორციელონ. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ სხვაობას უცხოელები ავსებენ და აშშ-ის ეკონომიკაში მოცულობით ინვესტიციებს ახორციელებენ.

ჩნდება კითხვა - რატომ მცირდება დანაზოგების მოცულობა სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით? განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტორი (მოტივი), რომელიც დანაზოგის გაკეთებაზე ახდენს გავლენას, კერძოდ, დანაზოგის მოტივები, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, დემოგრაფიული ფაქტორები, სამუშაო ძალისა და დასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ. ყველა ეს ფაქტორი სხვადასხვანაირად მოქმედებს და მათი მნიშვნელობა იცვლება ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით.

ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის ფრანკო მოდელიანის ცხოვრებისეული ციკლის თეორიის მიხედვით (FRANCO MODIGLIANI life-cycle model), ადამიანები აკეთებენ დანაზოგს და ინახავენ აქტივებს, რათა თავიანთი სიბერე უზრუნველყონ (შემდგომში თავიანთი პენსია დააფინანსონ). ამგვარად ისინი ხარჯავენ დაგროვილ აქტივებს პენსიაზე ყოფნის დროს. შესაბამისად, რაც უფრო მეტი დამზოგველია, ხანდაზმულ მხარჯავებთან შედარებით, მით უფრო მაღალი უნდა იყოს ეროვნული დანაზოგების ნორმა, მაგრამ 1980-ანი წლების დასაწყისში ლორენ სამერსმა (Lawrence H. Summers) ჰარვორდის უნივერსიტეტიდან და ლოურენს კოტლიაკოვმა (Laurence J. Kotlikoff) ბოსტონის უნივერსიტეტიდან [5] აჩვენეს, რომ ქვეყნის საერთო დანაზოგში საპენსიო დანაზოგები აშშ-ის სიმდიდრის მხოლოდ ნახევარს წარმოადგენენ, ხოლო მათ დიდ ნაწილში აკუმულირებულია ის დანაზოგები, რომლებიც ანდერძით ან უბრალო ჩუქებით აქვს

მიღებული მომდევნო თაობას თავისი წინაპრებისგან. აღნიშნული ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ პენსიონერთა გარკვეული რაოდენობა ვერ ან არ ხარჯავდა თავის დანაზოგებს სიკვდილამდე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანები ზოგავდნენ არა იმიტომ, რომ **თავიანთი** დანაზოგი ვინმესთვის ეანდერძათ, გადაეცათ ან ეჩუქებინათ, არამედ თვითონ რომ მოეხმარათ. მაგრამ საბოლოო ჟამს ქონებამ ანდერძით (ჩუქებით, გადაცემით) შეიცვალა მფლობელი, ანუ დაიზოგა.

ბოლო წლებში (განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან), აშშ-ში ამოქმედდა სპეციალური პროგრამები (სქემები), რომლებიც ითვალისწინებს პენსიონერთათვის პერიოდულ გადახდებს სიცოცხლის ბოლომდე, გარდაცვალების შემდეგ დანაზოგის ანულირების სანაცვლოდ. შედეგად ხანდაზმული ამერიკელების საპენსიო დანაზოგების დიდი ნაწილი ანულირებული იქნა ანუ მას აღარ აქვს საშუალება თავისი აქტივები ანდერძის ან ჩუქების სახით გადასცეს ვინმეს. აღნიშნული სიახლის ერთ-ერთი შედეგი შესაძლოა გახდეს ის, რომ პენსიაზე გასულ ადამიანს ნაკლები სტიმული დარჩეს თავისი დანაზოგის შესანარჩუნებლად.

დაზოგვის კიდევ ერთ მოტივად ადამიანის ბუნებრივი წინდახედულობა უნდა ჩაითვალოს. ვზოგავთ, რათა უკეთ ვიყოთ შემზადებული მომავალში შესაძლო რისკებთან ბრძოლაში. მაგალითად, სამსახურის დაკარგვის რისკი ან დიდი სამედიცინო ხარჯების შიში და ა. შ.

## დემოგრაფია და ეკონომიკა

ფრანკო მოდელიანის ცხოვრებისეული ციკლის თეორიის მიხედვით, დანაზოგის ნორმის და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. თუ ახალგაზრდების რაოდენობა ჭარბობს ხანდაზმულთა რაოდენობას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ უფრო მეტი დანაზოგი გაკეთდება საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით, ვიდრე პენსიაზე მყოფები გახარჯავენ. შედეგად წმინდა დანაზოგების ნორმა დადებითი გახდება. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალი უნდა იყოს დანაზოგის ნორმა ქვეყანაში და პირიქით. ასე მაგალითად, აშშ-ის შრომის სამინისტროს სტატისტიკური სამსახურის მიხედვით, სამუშაო ძალის აქტივობის მაჩვენებელი (Civilian labor force participation rate) საუკუნის დასაწყისიდან თანმიმდევრულად მცირდებოდა. კერძოდ, 2001 წელს იგი 66.7 %, 2011 წელს 64.0 %, ხოლო 2016 წელს 62.7 %-მდე შემცირდა [6], რაც აისახა დანაზოგების მაჩვენებლებზე (იხილეთ სტატიის დასაწყისი). უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე დამოკიდებულება არის მოსალოდნელი ტექნოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში. ვთქვათ, რომ ახალგაზრდა და ხანდაზმულ ადამიანთა რაოდენობა ტოლია. ახალგაზრდები უფრო მეტს გამოიმუშავებენ, ვიდრე თავის დროზე მათი უფროსი თაობა. შესაბამისად, ახლანდელი ახალგაზრდები უფრო მეტს დაზოგავენ თავიანთი პენსიისათვის, ვიდრე ახლანდელი პენსიონერები გახარჯავენ. ამ შემთხვევაშიც დაზოგვის ნორმა დადებითი იქნება.

მართებული უნდა იყოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თუ ქვეყანაში არ ვითარდება თანამედროვე ტექნოლოგიები ან არ იზრდება შრომისუნარიანი მოსახლეობა, მან შესაძლებელია ვერ მოახერხოს დანაზოგების გაკეთება. შედეგად ქვეყანას ვერ ექნება (აღარ ექნება) ეკონიმიკური ზრდისათვის საჭირო მამოძრავებელი შინაგანი ენერგია, რასაც, ჩვენი აზრით, მოსახლეობის დანაზოგები წარმოადგენს. პირველ ეტაპზე, სულ ცოტა, საჭიროა, რომ ახალგაზრდების მიერ გაკეთებულმა საპენსიო დანაზოგებმა ზუსტად გაათანაბროს პენსიონერების მიერ გაწეული ხარჯები. აღნიშნულის შედეგად ეკონომიკაში მთლიანი დანაზოგების მოცულობა უარყოფითი ნიშნულიდან ნულის ტოლი გახდება.

ის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში დანაზოგების ნორმა შეიძლება ნულის ტოლი იყოს, არ ნიშნავს, რომ დანაზოგს არავინ არ აკეთებს. უფრო მეტიც, ეს ნიშნავს, რომ აკუმულირებული აქტივები აბალანსებენ გახარჯულ აქტივებს. განვითარებადი ეკონომიკებისათვის დანაზოგები დადებითი უნდა იყოს, რათა ძირითადი ფონდების მარაგებმა შეინარჩუნონ გარკვეული პარიტეტი დასაქმებულთა რიცხოვნებასთან და მათ შრომის ნაყოფიერებასთან.

დანაზოგის ნორმის შემცირება აშშ-ში, ევროპასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში უკავშირდება სამუშაო ძალაში მიმდინარე ცვლილებებს, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ეგრეთ წოდებულ „შობადობის

ბუმთან“ (baby boomers) და რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის მკვეთრ ზრდასა და მის თანხვედრ მოვლენებში გამოიხატა. „შობადობის ბუმმა“ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამჟამად კი 1960-იან წლებში დაბადებული თაობა თავისი ცხოვრებისეული ციკლის დაღმავალ მრუდეზე იმყოფება ანუ გადის პენსიაზე, ნაკლებს ზოგავს და მეტს ხარჯავს.

ასევე აღსანიშნავია, რომ დღევანდელი თაობის სამუშაო ადგილი გაცილებით უკეთაა აღჭურვილი (კაპიტალ და ტექნიკური მხარდაჭერა, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით), ვიდრე „შობადობის ბუმის“ თაობის. ყოველივე, სულ ცოტა, იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერება გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე 20-30 წლის წინათ. შესაბამისად, მათ მეტი დანაზოგის გაკეთების საშუალება აქვთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში დანაზოგის ნორმა მცირდება. განვიხილოთ სხვა ფაქტორები, რომლებიც, შესაძლოა, სერიოზულ გავლენას ახდენენ დანაზოგებზე.

სამუშაო ძალა

აშშ-ის ეროვნულ შემოსავალში სამუშაო ძალის წილად დაახლოებით 75 % მოდის. ამიტომ ცვლილებები სამუშაო ძალის სტრუქტურასა და შემოსავლებში ადეკვატურად უნდა აისახოს მათი მოხმარების სტრუქტურაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს დანაზოგის მაჩვენებელზე. მაგალითისათვის განვიხილოთ ქალების ხვედრითი წონის ცვლილება აშშ-ის სამუშაო ძალის სტრუქტურაში. ასე მაგალითად, თუ 1960 წელს 16 და მეტი წლის ასაკის ქალების ნახევარზე ნაკლები იყო სამუშაო ძალის შემადგენლობაში (38.1%), 1971 წლისათვის მათი რაოდენობა 43.8 %-მდე გაიზარდა, 1981 წლისათვის მან 52.0 % შეადგინა, 1991 წლისათვის - 57.5 %, 2001 წლისათვის - 59.7 %, 2011 წლისათვის - 57.8 %, ხოლო 2016 წლისათვის იგი 56.7 %-მდე შემცირდა [5]. სამუშაო ძალაში ქალების ასეთმა ზრდამ, მართალია, გაზარდა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები, მაგრამ დანაზოგის ნორმა შემცირა, რაც ნაკლებად მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო. მართებული იქნებოდა მოსაზრება, რომ დასაქმებულ ქალბატონებს მეტი დანაზოგი უნდა გაეკეთებინათ, ვიდრე დაეხარჯათ. აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინდივიდუალური სამომხმარებლო ხარჯების ზრდაში უნდა ვეძებოთ. ასე მაგალითად, თუ 1962 წელს იგი მხოლოდ 62.0 % იყო, 2010 წელს მან 70 %-ს [7, გვ. 35] გადააჭარბა და ზრდას განაგრძობს.

ასევე აღსანიშნავია, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ამერიკელი, განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იან წლებში დაბადებული, გადის პენსიაზე და მათ მიერ დანაზოგის გაკეთების სტიმულები სულ უფრო მცირდება. ამასთან, იზრდება სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა. დღეს 30 წლის ასაკის მქონე მამაკაცის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობამ განვითარებულ ქვეყნებში 75 წელს გადააბიჯა. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პენსიაზე გასვლის ასაკის კიდევ უფრო გადაწევა მხოლოდ დროის და ტექნიკის საკითხია. აქედან კი შემდეგი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი - საპენსიო ასაკის მოსალოდნელი აწევა, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, გრძელვადიან პერსპექტივაში, გაზრდის დანაზოგის ნორმას.

ეროვნულ დანაზოგზე დიდ გავლენას მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ახდენს. დავიწყოთ იმით, რომ თვითონ მთავრობაა საქონლისა და მომსახურების უმსხვილესი მომხმარებელი. მაგალითად, აშშ-ში ფედერალური, ადგილობრივი (შტატი) და მუნიციპალური ხელისუფლება ეროვნული მოხმარების დაახლოებით 20 %-ზე მეტს ხარჯავს. ასე მაგალითად, თუ 1960 წელს ფედერალური და შტატების მთავრობების ხარჯები 137.4 მლრდ დოლარს შეადგენდა, 2016 წლისათვის მათი მოცულობა 5 899.2 მლრდ დოლარს გაუტოლდა [7].

ზემოაღნიშნულ საკითხზე კერძო სექტორის, შინამეურნეობებისა და ფიზიკური პირების რეაქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იხდის მთავრობის სამომხმარებლო ხარჯებს. მაგალითად, თუ მთავრობა ვალებს გაზრდის და მათი ამოღების მიზნით მომავალ თაობებს დიდ გადასახადებს დაუწესებს ანდა ვალების გასტუმრების საკითხს მომავლისათვის გადადებს, მაშინ დღევანდელ თაობებს ძალიან პატარა მიზეზი ექნებათ შეამცირონ თავიანთი სამომხმარებლო ხარჯები.

თუ ქვეყნის დღევანდელ მოსახლეობას მოუწევს მთავრობის ხარჯების გასტუმრება, გადასახადების გადამხდელებისათვის (კერძო სექტორი, შინამეურნეობები, ფიზიკური და იურიდიული პირები) მნიშვნელოვანია, რომელ თაობას წარედგინება ანგარიში. რაც უფრო ასაკიანი ადამიანი იბეგრება, მით უფრო მეტი იქნე-

ბა მათი მხრიდან მოხმარების შემცირება და დარჩენილი დანაზოგის გაფრთხილება. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ასაკიანი ადამიანები, რომლებიც უფრო ახლოს არიან თავის სასიცოცხლო ციკლთან, დარჩენილი რესურსების მოხმარებისაკენ (გახარჯვისკენ) არიან მიდრეკილნი, ვიდრე ახალგაზრდები. შესაბამისად, პენსიონერთა და არა, ვთქვათ, ორმოცი წლის ასაკის მქონე ადამიანების დამატებით დაბეგვრა შეამცირებს ასაკიანი მოსახლეობის ხარჯვის სურვილს, რამაც უნდა შეკვეცოს კერძო სექტორის მოხმარება და გაზარდოს ეროვნული დანაზოგები, მაგრამ, როგორც ვიცით, აშშ-ში დანაზოგების ნორმა მცირდება. განვიხილოთ ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები (მიზეზი).

ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავრობის მოხმარების (ხარჯების) ზრდაა. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, თუ 1960-იან წლებში, როდესაც ეროვნული დანაზოგების ნორმა 13.0%, თანაფარდობა მთავრობის მოხმარებასა და ეროვნული შემოსავალს შორის 18.6 %-ია, 1990-იან წლებში იგი 5.5 % (დანაზოგების საშუალო დონე) და 17.5 % (მთავრობის მოხმარების დონე) იყო [8, გვ.36], 2016 წლისათვის დანაზოგების ნორმამ (Saving Rate) 3.7%-ს, ხოლო თანაფარდობამ მთავრობის მოხმარებასა და ეროვნულ შემოსავალს შორის 31.5%-ს ჩვენი გაანგარიშებით მიაღწია.

მაგრამ მთავარი მიზეზი, რომელიც ამცირებს ეროვნულ დანაზოგს აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკაა. ეს უკანასკნელი კი მიმართულია ახალგაზრდებისაგან უფრო მეტი რესურსის ამოღებისაკენ და მათ ხანდაზმულებზე გადაცემაზე. რადგანაც ხანდაზმულები უფრო ახლოს არიან თავიანთი სასიცოცხლო ციკლის დასასრულთან, მათ მეტი მიდრეკილება აქვთ მოხმარებისაკენ, ვიდრე დაზოგვისაკენ. ახალგაზრდა თაობას კი, პირიქით, მეტი უნდა დაზოგოს, რათა მეტი მოიხმაროს სიბერეში (პენსიაზე გასვლის შემდეგ). ამიტომ, მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია აქტივების გადანაწილებაზე ახალგაზრდა თაობიდან ხანდაზმულებისაკენ, ზრდის ეროვნულ მოხმარებას და ამცირებს დანაზოგებს.

თაობებს შორის რესურსების ამგვარი გადანაწილება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტარით. მაგალითად, დეფიციტის დაფინანსების მეშვეობით, სხვადასხვა სახის შემწეობის (სოციალური დაზღვევა და პროგრამები) გაცემით, საგადასახადო დაბეგვრის სტრუქტურის ჩანაცვლებით (შეცვლით), როდესაც შემოსავლებისა და მოხმარების დაბეგვრის სანაცვლოდ (რაც, ჩვენი აზრით, საგადასახადო ადმინისტრირების ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს) აქცენტი ხელფასებისა და საამორტიზაციო ანარიცხების აღრიცხვაზე კეთდება.

ბოლო წლებში რესურსების ზემოთ აღნიშნული გადანაწილება ორი ძირითადი ფორმით ხორციელდება. პირველი, ხანდაზმულები დამატებით სამედიცინო შემწეობებს იღებენ. მაგალითად, აშშ-ში ეს „Medicare" და „Medicaid" პროგრამების ფარგლებში ხორციელდება. აღნიშნული შემწეობები ნატურალური ფორმისაა და ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დაზოგვა შეუძლებელია, იგი გამოყენებული უნდა იყოს. ეს კი ზრდის საერთო მოხმარებას და ამცირებს დანაზოგების მოცულობას. მეორე ფორმა კი იმ გადასახადების შემცირებას გულისხმობს, რომლებსაც ხანდაზმულები იხდიან.

განვითარებულ ქვეყნებში, მიუხედავად დანაზოგის ნორმის შემცირებისა, მთლიანობაში დანაზოგების მოცულობა კვლავ მაღალია. მაგალითად, ამერიკელების საერთო მატერიალური სიმდიდრე ათეულ ტრლნ დოლარს აღემატება. ეს საკმარისია, რომ ყველა ამერიკელის სამომხმარებლო ხარჯები რამდენიმე წლის განმავლობაში იქნეს დაფინანსებული. მაგრამ ამ სიმდიდრის დაახლოებით 60% 50 და მეტი წლის ასაკის ადამიანებს ეკუთვნის, რომლებიც მას თავის თავზე ხარჯავენ. შედეგად, თუ აშშ-ის მოსახლეობის აღნიშნული კატეგორია თავის სიმდიდრეს ბოლომდე გახარჯავს და ვერ ან არ უანდერძებს ახალგაზრდა ამერიკელებს, ჩნდება სერიოზული პრობლემა. კერძოდ, შეძლებს კი ახალგაზრდა თაობა დააგროვოს საკმარისი აქტივები (ქონება), რომ საკუთარი სიბერე ღირსეულად უზრუნველყოს?

განვითარებული ქვეყნების (აშშ, დასავლეთი ევროპა, ავსტრალია, კანადა და ზოგიერთი სხვა) ახალგაზრდებს, თავიანთ მშობლებთან შედარებით, აქვთ საშუალება, ადრე გავიდნენ პენსიაზე, იცოცხლონ ხანგრძლივად, მიიღონ ნაკლები დახმარება შვილებისა და სახელმწიფოსგან, აიღონ ნაკლები რეალური ხელფასი, გადაიხადონ უფრო მაღალი გადასახადები, ნაკლები იმედი იქონიონ სამკვიდროს მიღებაზე, შეხვდეთ უფრო ნაკლები სოციალური შემწეობები და ა.შ.

ამასთან, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, თუ მათ არ შეცვალეს თავიანთი ჩვევები, მიდგომები და მიდრეკილებები, სიბერეში სიღარიბის უფრო მაღალი დონე ელით, ვიდრე ამჟამად მათ ხანდაზმულ მშობლებს აქვთ.

საქართველოში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, დანაზოგის ნორმასთან დაკავშირებით განსხვავებული მდგომარეობაა. იგი იზრდება როგორც აბსოლუტური, ასევე მთლიან შიგა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაშიც. ასე მაგალითად, თუ 1997 წელს მისი მოცულობა (Gross saving in current $) მხოლოდ 18 მლნ დოლარი იყო, 2001 წელს - 773 მლნ დოლარი, 2015 წლისათვის მისმა მოცულობამ 3.1 მლრდ დოლარს მიაღწია. რაც შეეხება დანაზოგების მიმართება მშპ-თან (Gross saving % of GDP), მონაცემები ასეთია: 1997 წელი - 0.5%, 2001 წელი -24.0%, ხოლო 2015 წელს - 22.4% [1.]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში გაჩნდა შიდა საინვესტიციო რესურსი, რომლის რაციონალური განკარგვა მნიშვნელოვანია ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის.

ჩვენი აზრით, არსებული დანაზოგების გამოყენების ერთ-ერთ საინტერესო მიმართულება დაგროვებითი საპენსიო სისტემის ინსტიტუციონალური და ფინანსური ბაზის გააქტიურებაა.

ამ კონტექსტით, განვითარებული ქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილების კრიტიკულად შესწავლა--გაანალიზება მნიშვნელოვანია. იგი უდავოდ დაგვეხმარება არსებული სირთულეების უკეთ გამოვლენა-გადაწყვეტაში.

### ლიტერატურა:


1. https://data.worldbank.org/indicator/NE.CON.PETC.ZS?locations=GE
2. www.fred.stlouisfed.org/series/W207RC1Q156SBEA
3. http://www.investopedia.com/terms/s/savings-rate.asp
4. https://www.bea.gov/newsreleases/glance.htm
5. https://tradingeconomics.com/united-states/current-account
6. The Adequacy of Savings Laurence J. Kotlikoff; AviaSpivak; Lawrence H. Summers. The American Economic Review, Vol. 72, No. 5. (Dec., 1982), pp. 1056-1069 .http://public.econ.duke.edu/~hf14/teaching/socialinsurance/readings/Kotlikoff_etal82(6.16).pdf
7. https://data.bls.gov/pdq/SurveyOutputServlet
8. https://www.whitehouse.gov/omb/budget/Historicals(table 14.2)
9. ჩუთლაშვილი ა. , აშშ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი, 2013/6


## The Savings Rate and Changes in the Pension System


Avtandil Chutlashvili

*Associate Professor*

*Tbilis State University*



**R e s u m e**

An important and interesting aspect of sustainable economic growth in developing countries is accumulate of assets. Transformation of that assets in the pension schemes is very useful for the improving competitiveness of the financial markets. The article discusses the ongoing processes in developed countries that lead to changes in the savings rate and motivation of the savings. There was carried out comparative analysis saving rate by year.



***Keywords: savings rate; pension schemes; sustainable economic development; working force.***

# უმუშევრობა და დასაქმების აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში

მურმან ცარციძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ნათელა ლაცაბიძე,

*აკადემიური დოქტორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის*
*მართვის დეპარტამენტის უფროსი*

*„არ შეიძლება ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა,*
*უმუშევარი იყოს ადამიანი“*

*ილია II,*
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*

*შრომის ბაზრის ფორმირების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. უმუშევრობა თანამედროვეობის სერიოზული გამოწვევა და გლობალური ხასიათის პრობლემაა, ამიტომ მის სისტემატურ კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.*

*ნაშრომში გაანალიზებული და შეფასებულია უმუშევრობის თანამედროვე მდგომარეობა, გამოკვლეულია მისი გამომწვევი მიზეზები და მასზე მოქმედი ფაქტორები. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია უმუშვრობის დაძლევისა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები - ეროვნული შრომის ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით.*

*საკვანძო სიტყვები: უმუშევრობა, სიღარიბე, დასაქმება, შრომა, დასაქმების აქტიური პოლიტიკა.*

დღეს, როცა ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მიზნით, საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან სერიოზული მხარდაჭერის პირობებში, სხვადასხვა სფეროში აქტიური რეფორმირების პროცესი მიმდინარეობს, საქართველოში მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა კვლავ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად რჩება. ეს მაშინ, როცა ქვეყანა თანამედროვე გლობალიზაციისა და საგარეოდეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარების პირობებში აქტიურადაა ჩართული ევროინტეგრაციის პროცესში. უმუშევრობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში განიხილება როგორც ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და ფენომენი, რომლის დაძლევის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ნორმალური, ეფექტიანი ფუნქციონირება. თუმცა, საქართველოში მისი დონე და მასშტაბები სერიოზულად განსხვავებულია და რიგი თავისებურებებით ხასიათდება. „საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს“ [6,გვ.2]. უფრო მეტიც, ქვეყანაში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ, უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალმა დონემ სერიოზულად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა და სხვა უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოშვა, რომელთაგან უნდა გამოიყოს არაფორმალური დასაქმება და არალეგალური შრომითი მიგრაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმუშევრობის პრობლემებისა და მისი გამოწვევი მიზეზების კვლევა, მისი შემცირების მიმართულებით, დღეს ძალზე მნიშვნელოვანია. საკითხის აქტუალობას აძლიერებს სხვა გარემოებებიც. კერძოდ: ბიზნესდგარემოს რეფორმირებასა და ინვესტიციების ზრდას დასაქმების დონის ცვლილებაზე სერიოზული გავლენა არ მოუხდენია; მაღალია უმუშევრობა 15–19 და 20–24 წლის ახალგაზრდებში (შესაბამისად, საშუალოდ 28.0% და 37.0%), რაც მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ბევრი ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს; ეკონომიკურად აქტიური მოსახლების შემადგენლობაში ახალგაზრდებს დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ; უმუშევართა შორის ხანგძლივი უმუშევრების (1 წელი და მეტი) მაღალი წილი (67.0%–68.0%), მათი დასაქმების პერსპექტივას ამცირებს; უმუშევართა შორის მაღალია უმაღლესი და პროფესიული გამნათლების მქონე პირთა რიცხვი, რაც მიანიშნებს, რომ განათლების თანამედროვე სისტემა ნაკლებად არის ორიენტირებული შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებზე. „ევროკავშირის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა განათლების დაბალი დონის მქონე მუშაკებშია კონცენტრირებული, საქართველოში უმუშევართა 50 %-ს საშუალო სკოლა აქვს დასრულებული, ხოლო 40 %-ს უმაღლესი განათლება აქვს“ [10-გვ.12]. აღნიშნულიდან გამომდინარე, „პრობლემას წარმოადგენს შრომის ბაზარზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. ბევრია ისეთი სპეციალობის მქონე ადამიანი, რომლებზეც შრომის ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია. ამავე დროს, არასაკმარისია სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრი“ [5,გვ.21]. უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები, ქრონიკული უმუშევრობა, მოქმედებს არა მართო მოსახლეობის ცხოვრების დონესა და სიღარიბის მასშტაბებზე, არამედ არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყანაში უმუშევრობის სიმწვავეს ადასტურებს მისი დეტალური ანალიზი სხვადასხვა ჭრილით (იხ. ცხრილი 1).

**15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში 2000-2016 წლებში [14,გვ.1].**

ცხრილი 1

| მაჩვენებლები | 2000წ. | 2009წ. | 2013წ. | 2015წ. | 2016წ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სულ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 2049,2 | 1991,8 | 2003,9 | 2021,5 | 1998,3 |
| 1.1.დასაქმებული | 1837,2 | 1656,1 | 1712,1 | 1779,9 | 1763,3 |
| 1.1.1.დაქირავებული | 683,9 | 596,0 | 658,2 | 753,4 | 745,4 |
| 1.1.2.თვითდასაქმებული | 1041,2 | 1059,0 | 1043,8 | 1018,1 | 1010,9 |
| 1.1.3.გაურკვეველი | 112,1 | 1,2 | 10,0 | 8,4 | 7,0 |
| 1.2.უმუშევარი | 212,0 | 335,6 | 291,8 | 241,6 | 235,1 |
| 2. ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა | 1092,3 | 1139,3 | 1022,3 | 958,3 | 963,2 |
| **უმუშევრობის დონე (%)** | **10,3** | **16,9** | **14,6** | **12,0** | **11,8** |
| **აქტიურობის დონე (%)** | **65.2** | **63,6** | **66,2** | **67,8** | **67,5** |
| **დასაქმების დონე (%)** | **58,5** | **52,9** | **56,6** | **59,7** | **59,5** |

ოფიციალური მონაცემებით, 2000-2016 წლებში უმუშევრობის დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 11.8%-მდე მერყეობდა (2016 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს-16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია. ოფიციალური მონაცემებისაგან განსხვავებით, საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 32.0-36.0%-ის ფარგლებშია. მაგ. პროფესორი ი. არჩვაძე აღნიშნავს: „სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი, რესურსი, დონე) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს“... „უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ. კი არა, თითქმის 0.8 მლნ. კაცი (ჩვენი შეფასებით, 766.0 ათასი კაცი) იქნება. ეს კი საქართველოს

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39.1%-ია.“ [1,გვ.111, 115], ანუ მისი შეფასებით უმუშევრობის დონე 39.0%-40.0%-ის ფარგლებშია.

ოფიციალური და საექსპერტო შეფასებების მიხედვით, უმუშევრობის დონის მაჩვენებლებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის აღრიცხვის მოქმედი მეთოდოლოგია არასრულყოფილია და არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ამიტომ, ძნელია არ დაეთანხმო პროფესორ ნ. პაიჭაძის საკმაოდ ობიექტურ დასკვნას, რომ „დღეისათვის მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის გაანგარიშების მეთოდოლოგია ვერ პასუხობს მისადმი წაყენებულ მთავარ მოთხოვნას (ობიექტურობის უზრუნველყოფა) და აუცილებელია მისი გაუმჯობესება“ [2,გვ.18].

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით საქართველოში რეგიონული ჭრილით 2016 წელს [14,გვ.1]

ცხრილი 2

| | კახეთი | თბილისი | შიდა ქართლი | ქვემო ქართლი | აჭარის ა.რ. | სამეგრელო-ზემო სვანეთი | იმერეთი | დანარჩენი რეგიონები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 192,7 | 440,1 | 149,4 | 209,7 | 189,4 | 211,4 | 376,7 | 229,0 |
| დასაქმებული | 182,3 | 343,1 | 135,6 | 191,7 | 164,9 | 190,2 | 335,9 | 219,6 |
| დაქირავებული | 49,7 | 290,1 | 41,9 | 61,0 | 75,2 | 66,4 | 108,9 | 52,2 |
| თვითდასაქმებული | 132,5 | 53,1 | 93,6 | 130,6 | 89,7 | 118,9 | 225,4 | 167,2 |
| გაურკვეველი | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,2 | 0,0 | 4,9 | 1,6 | 0,2 |
| უმუშევარი | 10,4 | 96,9 | 13,8 | 17,9 | 24,5 | 21,2 | 40,8 | 9,4 |
| ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა | 71,6 | 335,7 | 63,5 | 90,9 | 86,0 | 86,5 | 155,1 | 73,8 |
| **უმუშევრობის დონე (%)** | **5,4** | **22,0** | **9,2** | **8,6** | **13,0** | **10,0** | **10,8** | **4,1** |
| **აქტიურობის დონე (%)** | **72,9** | **56,7** | **70,2** | **69,7** | **68,8** | **71,0** | **70,8** | **75,6** |
| **დასაქმების დონე (%)** | **69,0** | **44,2** | **63,7** | **63,8** | **59,9** | **63,8** | **63,2** | **72,5** |

რეგიონული ჭრილით უმუშევრობის ანალიზი (**იხ. ცხრილი 2**) გვიჩვენებს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე გაზრდილია ქვემო ქართლის, სამეგრელო–ზემო სვანეთისა და იმერეთის რეგიონეში, შესაბამისად 0.2%, 3.6% და 1.1%–ით. რაც შეეხება ქალაქ თბილისს და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც უმუშევრობის დონე 2006 წელს ყველაზე მაღალი იყო (შესაბამისად 30.2% და 18.9%), 2016 წელს მისი დონე ორივე რეგიონში შესაბამისად 8.2% და 5.9%–ით არის შემცირებული. განსაკუთრებით შესამჩნევია უმუშევრობის დონის მაჩვენებლის დიფერენციაცია სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. უმუშევრობის დონე მამაკაცებში 5,4%–ით მეტია ქალებთან შედარებით. იმის გამო, რომ ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის შემადგენლობაში ქალების რიცხვი 2,2–ჯერ აღემატება ეკონომიკურად არააქტიური მამაკაცების რიცხვს, შესაბამისად ქალთა ეკონომიკურად აქტიურობის საერთო დონე 20.2%–ით დაბალია მამაკაცებთან შედარებით. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით (30.0%) გამოირჩევა 20-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2.0%–ით წინა წელთან შედარებით.

უმუშევრობის სფეროში არსებული პრობლემები ადეკვატურად აისახება ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონეზე, ხასიათსა და მასშტაბებზე. შესაბამისად საინტერესოა დასაქმებულთა სტატუსის

გარკვევაც. 2016 წელს სულ ეკონომიკაში დასაქმებული მოსახლეობის 57,3% თვითდასაქმებული იყო, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 77.0% - თვითდასაქმებული. თუ გავაანალიზებთ თვითდასაქმებულთა შემადგენლობას და სტრუქტურას, შესამჩნევია, რომ მათი 41.6% ოჯახურ საწარმოში/მამულში უსასყიდლოდ მომუშავე პირები, ხოლო 0.2%-ახლობლისათვის უსასყიდლოდ დამხმარე პირებია [3,გვ.65]. ცხადია, მოსახლეობის ეს ნაწილი რეალურად არაა დასაქმებული და მათთვის დასაქმებულის სტატუსის მინიჭება ხელოვნურად ამცირებს უმუშევრობის დონის მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „საქართველოს მთავარ გამოწვევას უმუშევრობა და თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლები წარმოადგენს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში" [13,გვ. 2]. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის აღრიცხვის მოქმედი მეთოდოლოგიის სრულყოფის აუცილებლობას. უმუშევრობის დონის ხელოვნური შემცირება თვითდასაქმებულთა ზრდის ხარჯზე პირდაპირ აისახება დასაქმებაზე და მნიშვნელოვნად ამცირებს მის ეფექტიანობას, რაც განსაკუთრებით საგრძნობია სწორედ სოფლის მეურნეობაში. ასე მაგალითად, 1990 წლის ჩათვლით საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა–25,2%). დარგი აწარმოებდა მშპ-ის 29,8%-ს, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ. მანეთს. 2016 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1763,3 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1099.7 ათასი კაცი ანუ 62.4%, რომელმაც აწარმოა მშპ-ის მხოლოდ 9,3% [4,გვ.184]. მაშასადამე, თუ 2016 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 62.4%-მდე, მშპ-ის მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 9,3%-მდე შემცირდა.

ქრონიკული უმუშევრობის ასეთი დონითა და მასშტაბებით არსებობა საქართველოში, გარდა ზემოაღნიშნულისა, განპირობებულია რიგი მიზეზებით, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ:

✓ შრომის ბაზარი მიმდინარე ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას, სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების შექმნას, შრომითი უფლებების თანაბარ რეალიზაციას. ამასთან მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი შრომის ბაზრის სხვადასხვა სახის სერვისსა და ღონისძიებაზე;

✓ დღემდე ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს უმუშევართა სოციალური დაცვის მექანიზმი. არ არის განვითარებული სოციალური პარტნიორობის სისტემა შრომის სფეროში;

✓ ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპები განაპირობებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას, რაც შესაბამისად ზღუდავს დასაქმების შესაძლებლობას და ამცირებს მის პერსპექტივებს;

✓ პროფესიული განათლების სისტემის განვითარების დაბალი დონე და ხარისხი, მისი არაორიენტირებულობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. უმაღლესი და პროფესიული კადრების მომზადებადგადამზადების ადექვატური სისტემის არარსებობა, რაც თავის მხრივ იწვევს კვალიფიცირებული სამუშაო ძალის ნაკლებობას და კონკრეტულ პროფესიებში ქმნის კადრების მოძიების კუთხით სერიოზულ სირთულეებს;

✓ მნიშვნელოვანი პრობლემებია შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სფეროში, დაბალია სამუშაო ძალის ფასი, რაც თავის მხრივ იწვევს ე.წ. „ღარიბი დასაქმებულების" არსებობას. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს შრომის პირობების მოუწესრიგებლობა, შრომის სტიმულირებისა და მოტივაციის დაბალი დონე;

✓ შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის არარსებობა, რაც თავის მხრივ ხელს უშლის სპეციალობით სამუშაოს მოძიებას, ასევე დამსაქმებლებს უქმნის სერიოზულ სირთულეებს მათთვის საჭირო კადრების მოზიდვისა და დაქირავების პროცესში;

✓ სამუშაო ძალის პროფესიული მობილურობის დაბალი დონე;

✓ პრაქტიკულიად არ არსებობს უმუშევართა გადამზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები. ეს მაშინ როცა ცალკეული კვლევების მიხედვით, დამსაქმებელთა წლიური დანახარჯები მომუშავეთა პროფესიულ სწავლებაზე, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, წელიწადში ძალიან მიზერულია და საშუალოდ მხოლოდ 4-5 ლარს შეადგენს;

✓ არ არსებობს დასაქმებისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული მართვის პრაქტიკა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია არ დაეთანხმო დასკვნას, რომ: „ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დასაქმების სფეროში აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაზე, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების, უმუშევართა პროფესიული სწავლებისა და დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობის მხარდაჭერას" [6,გვ.3]. ასე რომ, საქართველოს მთავრობამ ბოლო პერიოდში, ზემოაღნიშნულთან ერთად სხვადასხვა სფეროში მიღებული კანონების, სტრატეგიებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების [5;6;7;8;9;10;11;12] საფუძველზე, უკვე დაასაბუთა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის შემუშავებისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ობიექტური აუცილებლობა.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევისა და ანალიზიდან შედეგებიდან გამომდინარე, ქვეყანაში ქრონიკული უმუშევრობის დაძლევისა და მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფარგლებში შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

1. საქართველოს განათლების, განსაკუთრებით პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა თანამედროვე, ცოდნაზე დაფუძნებული პრინციპების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული სამუშაო ძალის მომზადებას და შესაბამისად აქ არსებული დისბალანსის აღმოფხვრას. აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა თავის მხრივ საჭიროებს:

- ✓ აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის დახვეწას;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის სტატუსისა და პრესტიჟის ამაღლებას, მის განვითარებას საშუალო, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სისტემის ფარგლებში;
- ✓ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციების აღიარებას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- ✓ სამოქალაქო სექტორის ინტერესისა და ინფორმირებულობის გაძლიერებას პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსა და რეფორმებთან დაკავშირებით;
- ✓ პროფესიული განათლების თანამედროვე პროგრამების, სასწავლო მასალების, სახელმძღვანელოების, შესაბამისი სასწავლო ინფრასტრუქტურის, სახელოსნოების, სასწავლო ბაზების ფორმირებასა და სწავლების ახალი მეთოდების, მეთოდოლოგიის გამოყენებას, მათ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ მიმართულებით დღეს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა პროფესიულ განათლებაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე მეთოდის გამოყენებას;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის მენეჯმენტის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და სხვა;

2. ადამიანური კაპიტალის განვითარება[1]. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს მსოფლიო ბაზარზე სახელმწიფოსა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორს, პირობას და იგი მიმდინარე ეტაპზე ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანური კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ხარისხიანი სერვისის უზრუნველყოფით, სოციალური სამართლიანობით და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებით, რაც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებზე ხელმისაწვდომობას. აუცილებელია ამ სფეროს დარგების ინვესტირების დონის ამაღლება და მასზე მიმართული სახსრების მიზნობრივად გამოყენება, მონიტორინგის განხორციელება. ადამიანურ

[1] საქართველოში დაბალია ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (HDI) და რეიტინგი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით (75-ე ადგილი 187 ქვეყანას შორის), რაც ძირითადად ამ სფეროს განვითარებაზე ორიენტირებული დარგების (განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, კულტურა) ინვესტირების დაბალი დონით აიხსნება.

კაპიტალსა და მეცნიერების განვითარებაზე მიმართული ინვესტიციები ორიენტირებული უნდა იყოს კადრების მომზადების სისტემისა და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებაზე;

3. დასაქმების აქტიური პოლიტიკის ეფექტიანობისა და ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების მიზნით აუცილებელია დასაქმებისა და სოციალურ–შრომითი ურთიერთობების სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება;

4. შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება, მისი ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფორმირება;

5. შრომის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციაში ხელშეწყობა, კანონით განსაზღვრული სამუშაო პირობებისა და შრომითი უფლებების დაცვა;

6. სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მათი პროფესიული კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ანუ პროფესიონალიზმის გაუმჯობესება შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების მიხედვით, რაც შესაძლებელია სამუშაო ადგილზე სტაჟირების მეთოდის გამოყენებით;

7. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის წარმატებით რეალიზაციის მიზნით მიზანშეწონილია მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის დანერგვა.

ლიტერატურა:


1. არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. მიგრაცია N6, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, "უნივერსალი", თბ., 2013წ. გვ. 111, 115.
2. ნუგზარ პაიჭაძე, უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი IX, N1, 2016წ. გვ. 18.
3. M. Tsartsidze. Poverty and the Economic Development Factors in Georgia. «European Journal of Humanities and Social Sciences», Scientific journal, №1, vienna 2016. p. 65.
4. Tsartsidze Murman. Labour Market Regulation and Employment Policies in Georgia. European Applied Scinces N2/2, 2013. stuttgard, Germany. p.184.
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე", 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი.
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.
7. საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება N300 "პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე (2013-2020 წლები)", 26 დეკემბერი 2013 წელი.
8. კანონი „პროფესიული განათლების შესახებ" N4528, 28 მარტი 2007 წელი.
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება N150 „საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ" 2005 წლის 31 აგვისტო. ქ. თბილისი.
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" 2016 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი.
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №733 „შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების კონცეფციისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" 2014 წლის 26 დეკემბერი ქ.თბილისი.
12. საქართველოს მთავრობისდადგენილება №68 „შრომის ბაზრის ანალიზისა და საინფორმაციო სისტემის დანერგვისა და განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი.
13. ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით. http://www.ge.undp.org/
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. www.moh.gov.ge
16. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, www.mes.gov.ge
17. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. www.mof.ge
18. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, www.eqe.ge

## Unemployment and the Active Employment Policy at the Current Stage of Labor Market Formation in Georgia

Murman Tsartsidze

*Doctor of Economics, Associate professor,*
*Tbilisi State University*

Natela Latsabidze

*Academic Doctor,*
*Chair of the Personnel Management Department,*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

At the current stage of labor market formation in Georgia the mass, chronic unemployment overcome and the effective employment of population is the main macroeconomic policy of the state. Unemployment is serious challenge of modern world and the global-character problem, that's why its systematic research has very important role.

In the work the detailed analyses of modern situation are considered, researched are its causing factors and the affecting nuances. In the conclusive part the unemployment overcome is presented and the main directions of the active employment policy, taking into the account the peculiarities of labor market formation in Georgia.

*Key works: unemployment; poverty; employment; labor; active employment policy.*

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი სოფლად სიღარიბის დაძლევაში

**დემნა ძირკვაძე**

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ტენდენციები საქართველოში, გამოვლენილია ამ პროცესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.*

*საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა ჩართულია სოფლის მეურნეობაში, თუმცა, მწარმოებლურობა ძალიან დაბალია, რაც სიღარიბის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად არის მიჩნეული. შეფასებების საფუძველზე სტატიაში დასაბუთებულია კოოპერატივების როლი სოფლად სიღარიბის დასაძლევად.*

*სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში არსებული პრობლემების იდენთიფიკაციის საფუძველზე კლასიფიცირებულია ფერმერთა ის სტიმულები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს კოოპერირების პროცესის შემდგომ განვითარებას.*

*კვლევითი აქცენტები გაკეთებულია კოოპერატივებზე, როგორც ბიზნეს მოდელებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების ფუნდამენტის ფუნქციის როლს შეასრულებს და საზოგადოებას მიმართულებას მისცემს კოოპერატივების როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, კერძოდ სიღარიბის დაძლევაში. შესაბამისად, შემოთავაზებულია დასკვნები და რეკომენდაციები კოოპერატივების განვითარების ბიზნეს მოდელების შესახებ.*

***საკვანძო სიტყვები:** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი; ბიზნეს მოდელი; სიღარიბის დონე; სიღარიბის დაძლევა.*

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დარგის რესტრუქტურიზაციის სხვადასხვა სტრატეგია განახორციელდა, მათგან მიწის რეფორმამ მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია გამოიწვია. ფაქტობრივად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწების დიდი ნაწილი მცირე ნაკვეთების სახით გადანაწილდა კერძო საკუთრებაში, რის შედეგადაც ქვეყანაში 640 ათასზე მეტი საოჯახო/გლეხური მეურნეობაა ჩამოყალიბებული. ამ მეურნეობათა უმეტესობა არაკომერციულ საქმიანობას მისდევს და მოიხმარს მათ მიერ წარმოებული პროდუქციის უმეტეს ნაწილს.

საქართველოს მოსახლეობის თითქმის 48% პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია სოფლის მეურნეობაში, თუმცა, დოვლათის ძალიან მცირე ნაწილს ქმნის, შედეგად ქვეყანა იმპორტულ აგროსასურსათო პროდუქტებზეა დამოკიდებული[1]. ქვეყანაში საკმაოდ მაღალია სიღარიბის დონე. წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობისა თუ სხვა ქვეყნების მთავრობების დახმარებით ხორციელდებოდა მიზნობრივი, საგრანტო თუ ტექნიკური დახმარების პროექტები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ეს პროექტები ძირითადად მიმართული იყო ქვეყანაში სიღარიბის დონის შესამცირებლად და ნაკლებად მოიცავდა ფერმერული მეურნეობების კომერციალიზაციის კომპონენტებს. აუცილებელი გადა აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის შემცირება და ექსპორტის სტიმულირება. ამ პროცესების დარეგულირებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კოოპერატივებს. კოოპერატივების ფორმირებით გაერთიანდება ფინანსური და ადამიანური კაპიტალი, შეიქმნება აგროსასურსათო სექტორის არაეფექტიანობის დაძლევის შესაძლებლობა[2].

კოოპერატივების შექმნას ფერმერთათვის რიგი სტიმულები გააჩნია: წარმოების საშუალებების შესყიდვის დროს ისინი სარგებლობენ უპირატესობით, რაც დიდი მოცულობებით შესყიდვების განხორციელებისას ფასდათმობით აიხსნება; კოოპერატივები დამატებითი საკონსულტაციო მომსახურებით სარგებლობენ; მკვეთრად იზრდება გრანტებსა თუ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში მათი წარმატებული მონაწილეობის ალბათობა; სახელმწიფოს კოოპერატივების მხარდაჭერის შესაბამისი პოლიტიკა აქვს, ამ საქმეში საერთაშორისო დონორებიც აქტიურად არიან ჩართულნი, შედეგად კოოპერატივები სამართლებრივადაც არიან დაცული რისკებისაგან და სხვ. კოოპერატივებისადმი მხარდაჭერის მიუხედავად გადასაჭრელია მთელი რიგი

პრობლემები, განსაკუთრებით აქტუალურია კოოპერატივების როლის შეფასება სიღარიბის საკითხის გადაწყვეტაში. ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევით აქცენტები უნდა გაკეთდეს ბიზნეს მოდელებზე, რომლის ფუნქციაც იქნება შეასრულოს სოფლის მეურნეობის დარგის მდგრადი განვითარების ფუნდამენტი და მისცემს საზოგადოებას ნათელი მიმართულება კოოპერატივების როლის შესახებ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, კერძოდ სიღარიბის დაძლევაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია სოფლად კოოპერატივების როლის შეფასება სიღარიბის დაძლევაში და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისათვის გამოყენებულია კვლევისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდი: ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, შედარების და სხვ შეფასებები დაეფუძნა ადგილობრივი ექსპერტებისა და მთავრობის მოხელეთა, ასევე, ფერმერთა ინტერვიუებს.

საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ სიღარიბის ზვარს მიღმა იმყოფება და ისინი ძირითადად სოფლად ცხოვრობენ. სიღარიბე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საბაზრო ეკონომიკამ მოითხოვა კონკურენუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების გამოყენებით. ქართველ ფერმერებს და გლეხებს ნაკლები წვდომა საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებთან, რამაც გამოიწვია კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ვერ მოხერხდა მოკლე დროში თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, რამაც გამოიწვია ფერმერების და საოჯახო მეურნეობების განათლების დონის შემცირება და მიუწვდომლობა.

საქართველოში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად მივიღეთ დანაწევრებული და წვრილკონტურიანი მიწის ფონდი, რომელიც არ არის ბაზარზე ორიენტირებული და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას ამწვავებს. მიწების გამსხვილების პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კოოპერატივების ჩამოყალიბებას.

კოოპერატივების ჩამოყალიბებას მთელი რიგი ფაქტორები აფერხებს, მათგან მნიშვნელოვანია ამ პროცესებისადმი უნდობლობა. შეიძლება ითქვას, რომ კოოპერატივებისადმი უნდობლობა ფერმერებს შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების ყველაზე დიდ გამოწვევაა. როგორც ინტერვიუებით გაირკვა, მათი უმრავლესობის აზრით დღეს არ არსებობს სტიმულები კოოპერატივში გაერთიანებისათის. მათ მიაჩნიათ, რომ რომ ერთმა უნდა აკეთოს საქმე და მოგება ყველამ გაინაწილოს, რაც თავისთავად იწვევს უნდობლობას, კოოპერატივის წარუმატებლობას და საბოლოოდ დაშლას.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გააჩნიათ შემდეგი პრობლემები:

ა) სუსტი მენეჯმენტი;

ბ) კაპიტალის ნაკლებობა;

გ) კომუნიკაციის ნაკლებობა;

დ) მცირე მიწიანი ნაკვეთები კონსოლიდაციასთან დაკავშირებული საკითხები;

ე) საზოგადოების ფეოდალურ დამოკიდებულება კოოპერატივების მიმართ;

ვ) შეუსაბამო განათლება, ტრეინინგი და ექსტენციის სამსახურები;

ზ) სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა კოოპერატივების განვითარებისა.

ასევე, შეგვიძლია გამოვყოთ სოფლის განვითარების შემდეგი პრობლემები:

ა) საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდა;

ბ) მაღალი ტრანსპორტირების და ლოჯისტიკის ხარჯები:

გ) საწვავის ფასების ზრდა;

დ) აგროკლიმატური პირობები, სტიქიები, ღვარცოფი, სეტყვა;

ე) ღარიბი სოფლის მოსახლეობა, დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმაა.

კოოპერატივები უზრუნველყოფს ფერმერების რესურსების გაერთიანებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეფასდეს ბიზნესის ერთად კეთების დადებითი და უარყოფითი მხარეები, როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ასრულებს თუ არა კოოპერატივები თავის ფუნქციებს და მოაქვს თუ არა სარგებელი წევრებისათვის და საერთოდ საქართველოს

სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე, უნდა განვიხილოთ კოოპერატივების განვითარების სამომავლო პერსპექტივები. სხვადასხვა მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველზე შევიმუშავოთ რეკომენდაციები კოოპერატივებში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს რესურსების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისათვის, რათა შეზღუდული რესურსებით მივიღოთ დარგის მდგრადი განვითარება.

მნიშვნელოვანია იმის მეცნიერულად დასაბუთება, არის თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები კორპორაციული ფორმა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში. არსებული მდგომარეობის ანალიზით, ნათელია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები თავისი ფუნქციონორებით და მენეჯმენტით არ არის ისეთივე, როგორიც თანამედროვე სამყაროში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, როგორც ბიზნეს მოდელი არის ახალი კონცეფცია საქართველოსთვის. კოოპერატივის პრინციპები ჯერ არის კარგად და ნათლად გაგებული სოფლად მცხოვრებლებისა და ფერმერებისათვის. სოფლის მოსახლეობასა და მცირე ფერმერებს არ ესმით კოოპერატივების წარმატებებისა და ეფექტიანობის შესახებ, ისე როგორც სხვა ბიზნეს მოდელებისა, რადგან არ აქვთ სრული ინფორმაცია თუ როგორ იქმნება და იმართება კოოპერატივი და რა არის ერთად ბიზნესის კეთების სარგებელი. უმეტესი მათგანი ფიქრობს, რომ ახალ თანამედროვე კოოპერატივს აქვს იგივე ფუნქციები და მნიშვნელობა, როგორიც ჰქონდა საბჭოთა კოოპერატივებს, რომლის ფუნქციაც იყო ყველაფერი სახელმწიფოს და არაფერი გლეხებს.

დღეისათვის კოოპერატივების განმარტების სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ უნივერსალურად განისაზღვრება, როგორც „ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება ერთიანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტერესების ირგვლივ ქონების ერთობლივი მფლობელობით და დემოკრატიული მმართველობით“. კოოპერატივები განსხვავდება სხვა ორგანიზაციული ფორმებისაგან თავისი რესურსების კონსოლიდაციით, ორგანიზაციაში ეთიკური ნორმების მაღალი დაცვით და გეოგრაფიული კონკურენტული უპირატესობით. საქართველოში აგრარული დარგის განვითარების მიზნით 2012 წელს საქართველოს მთავრობა რამდენჯერმე გაზარდა სოფლის მეურნეობის განვითარების ბიუჯეტი და 2013 წელს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება-კომერციალიზაციის მიზნით საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი ,,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“[3]. ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ფერმერებისთვის წარმოების საშუალებების ხელმისაწვდომობა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და რეალიზაცია. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ კოოპერატივების აქტიური მუშაობა სახელმწიფოს ეფექტიანი, სისტემური და შედეგზე ორიენტირებული მხარდაჭერის შემთხვევაში ფუნდამენტს ჩაუყრის საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივების მთავარი პრინციპი, როგორიც არის ფერმერების ნებაყოფლობოთი გაერთიანება, არ უნდა იქნეს დარღვეული. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის მიხედვით კოოპერატივებმა უნდა უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლება და რაოდენობის ზრდა; რეალიზაციის მაჩვენებლების ზრდა როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უმრავლესობა დღეს მწვავედ განიცდის საჭირო ინფორმაციის სიმცირეს, რომელიც მათ დაეხმარება საკუთარი საქმიანობის უკეთ დაგეგმვასა და მოსალოდნელი შედეგების უკეთ პროგნოზირებაში.

დღეისათვის საქართველოში შექმნილია 1600-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც საჭიროებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს - თუ რა როლი აქვს კოოპერატივებს დარგის განვითარებაში, ასევე შესწავლილ უნდა იქნას თუ როგორ ფუნქციონირებენ ისინი და არის თუ არა კოოპერატივების პრინციპები დაცული. აუცილებელია განვითარებული ქვეყნების მაგალითებზე მოხდეს რისკების შეფასება კოოპერატივების ჩამოყალიბება განვითარების გზებზე, რათა არ მოხდეს ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსების არამიზნობრივად გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კოოპერატივების შექმნის ტენდენციის 3 წელი საკმარისი არ არის, რათა მოახდინოს მნიშვნელოვანი ეფექტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. არ იქნება სწორი ვთქვათ, რომ კოოპერაციული სისტემა არ მუშაობს საქართველოში. წარმატებული კოოპერატივების მცირე რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონში არსებობს.

სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნაში კოოპერატივებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სოფლისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაში, უზრუნველყო ფერმერების წვდომა ხარისხიან მომსახურებაზე მისაღებ ფასად. კოოპერატივებმა მოიპოვეს ვაჭრობისა და მოლაპარაკებების ძალაუფლება, რაც შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად. მათ ასევე შეძლეს მიეღოთ დაბალი ფასი დიდი მოცულობის შეძენისას, ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს, შეამცირეს სადისტრიბუციო ხარჯები და ერთობლივი რეკლამირებით და ბრენდირებით შესაძლებლობების განვითარება მოახდინეს.

აუცილებლად დამატებით შესწავლის საგანს წარმოადგენს, თუ რას ელოდება სოფლის მოსახლეობა კოოპერატივისაგან. არის თუ არა კოოპერატივის წევრები გასაღები და ძირითადი წყარო კოოპერატივების ეკონომიკური სიძლიერისა სოფლად; ასევე წევრებმა არ უნდა იგრძნონ, რომ ისინი კოოპერატივზე არიან დამოკიდებული, მათ უნდა ჰქონდეს სხვა ალტერნატივებიც, თუმცა კოოპერატივმა უნდა შესთავაზოს მიმზიდველი პირობები.

საქართველოს ღარიბი მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლად ცხოვრობს და მათი გაღარიბება უფრო გაგრძელდება სანამ ისინი არ გაერთიანდებიან იმ მომსახურებისა და საქონლის მისაღებად, რომლის მიღებაც ინდივიდუალურად შეუძლებელია. ყოველდღიურად ახალი გამოწვევები ემატებათ სოფლის მოსახლეობას როგორიცაა კლიმატის ცვლილება, საწვავზე, ენერგიაზე და საკვებზე ფასების ზრდა, მიგრაცია და ურბანიზაცია.

ქვეყანაში არსებული ტრადიციული ეკონომიკური განვითარების და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა სხვადასხვა რეკომენდაციები სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის:

- სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების ფუნდამენტური განვითარება ბიზნეს იდეებზე უნდა იყოს ორიენტირებული, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებს იგი სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის კეთიდღეობის ამაღლების ამოცანას;
- საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება აუცილებელი პირობაა სიღარიბის დასაძლევად, ასევე, მდგრადი განვითარების, სასურსათო უზრუნველყოფისა და ფერმერული მეურნეობების კომერციალიზაციისათვის. აუცილებელია სახელმწიფომ გაატაროს ძლიერი აგრარული პოლიტიკა ამ მიმართულებით;
- კოოპერატივები უნდა იყოს არაპოლიტიკური გაერთიანება და ფოკუსირებული საკუთარი და წევრების ინტერესებზე;
- კოოპერატივები უნდა იმართებოდეს ბიზნესის პრინციპებით და არა როგორც საქველმოქმედო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- კოოპერატივებმა უნდა უზრუნველყონ დროული, კონკურენტუნარიან და ხარისხიანი საქონსლის, ნედლეულისა და მომსახურების მიწოდება ფერმერ წევრებზე;
- კოოპერატივს უნდა ხელმძღვანელობდეს პროფესიონალი და არა მოხალისე;
- არჩეულ მენეჯმენტს და თანამშრომლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კარგი ანაზღაურება;
- მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბება-განვითარება აუცილებელია გარდამავალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში;

## ლიტერატურა:


1. www.geostat.ge
2. ხარაიშვილი ე., ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, 2017, გვ. 101.
3. საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, თბილისი, 2013.
4. ბერიძე ზ., ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში, თბ., 2011.

5. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი ,,მიმდინარე მიწის ბაზრის მდგომარეობა საქართველოში“, 2013.
6. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის, 2015, http://enpard.ge/ge/საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია.
7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ეროვნული სააგენტო (2015) http://acda.gov.ge/
8. ხარაიშვილი ე., „ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, 27-28 ივნისი, 2015.
9. B. Bouckova “Agricultural Cooperatives: Perspectives for the 21st Century”, Check University of Agriculture, Prague, Check Republic http://www.cazv.cz/2003/2002/ekon4_02/bouckova.pdf
10. Brandon University Brandon, Manitoba R7A 6A9, Canada http://www.brandonu.ca/rdi/Publications/JointCoop-DevProj/TheRoleOfCooperativesInC ED-WorkingPaper2005-3.pdf
11. Bruce Gardner and Zvi Lerman “Agricultural Cooperative Enterprise in the Transition from Socialist Collective Farming”
12. http://departments.agri.huji.ac.il/economics/lermangardner.pdf
13. Do Yourself a Favor: JOIN a Cooperative, United States Department of Agriculture, Rural Business/Cooperative Service Cooperative Information Report 54, http://www.rurdev.usda.gov/RBS/pub/cir54.pdf
14. Progress report, Economic Development and Poverty Reduction Program http://siteresources.worldbank.org/-INTPRS1/Resources/cr05113-Georgia.PDF Tbilisi, Georgia January 2005 .
15. Kharaishvili E., Farm Diversification and the Corresponding Policy for its Implementation in Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Science index 101, International Journal of Social, Education, Economics and Management Engineering 9(5), 2015.

## The Role of Agricultural Cooperatives in Overcoming Poverty in Rural Areas

Demna Dzirkvadze

*PhD Student*

*Tbilisis state university*

**R e s u m e**

The paper discusses formation trends of agricultural cooperatives in Georgia, and the hindering factors influencing the development of this process are revealed.

Most of Georgia’s population is engaged in agricultural sector, but their production and productivity is very low, which is considered to be one of the causes of rural poverty. On the basis of the assessment, the role of cooperatives is proved to be a key indicator to overcome poverty in rural areas.

Based on the identification of problems existing in agricultural cooperatives, those incentives of farmers are classified, which strengthens further development of the cooperative process.

Research focuses on the cooperatives as business models, which serves as the foundation of sustainable development of agricultural sector, and will educate society regarding the role of cooperatives in the development of country economic sector, particularly in overcoming rural poverty. Consequently, conclusions and recommendations are drawn and proposed on the cooperative development business models.

*Keywords: agricultural cooperatives; business model; poverty level; poverty overcome.*

# სახელმწიფო როლის მოდიფიკაცია ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

**მაია ჭანია**

*ასისტენტ პროფესორი*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*სტატიაში განხილულია ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოს როლი და მისი მოდიფიკაციის საკითხები. Gგაანალიზებულია სახელმწიფოს ეკონომიკური როლი და მასზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი პროცესები, როგორიცაა გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საგრძნობლად იზრდება სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მხრივ, ასევე მათი დამოკიდებულება ზესახელმწიფო ინსტიტუტებზე. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ასპექტია მათი თანამშრომლობა, რომელიც იძლევა მკაცრი და სწრაფად ცვალებადი მეგა და მაკროგარემოსადმი ეკონომიკური აგენტების უმტკივნეულო ადაპტაციის შესაძლებლობას, ახალისებს კონკურენციას და ინოვაციებს. ყალიბდება მართვის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ავსებს და აწესრიგებს ბაზარს. უაღრესად აქტუალურია ის გარემოება, რომ თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის გარეთ და ,,ზევიდან კი არ უყურებსნ ბაზარს, არამედ ორგანულადაა ჩაშენებული ბაზარში, წარმოადგენს ბაზრის აქტიურ მოთამაშეს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა რეალიზაციაზე. ამავე დროს იგი არსებითად განსხვავდება ბაზრის სხვა მოთამაშეებისაგან იმით, რომ ორიეტირებულია არა ინდივიდუალურ სარგებლიანობაზე (მოგებაზე), არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის მაქსიმიზებაზე.*

*საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; გლობალიზაცია; სუვერენიტეტი; კაპიტალი.*

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, მნიშვნელოვანწილად, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელ მსოფლიოს, მასში სულ უფრო მეტი ახალი სახელმწიფო ერთვება და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის განხორციელებით კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება თანამედროვე გლობალიზაციური პროცესებისა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

სახელმწიფოს ეკონომიკურ როლზე თანამედროვე პირობებში ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი ზემოქმედებს: გლობალიზაცია და პოსტინდუსტრიული საზოგადოების (ეკონომიკის) ჩამოყალიბება. პირველი გამოიხატება იმით, რომ საგრძნობლად იზრდება როგორც სხვადასხვა სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთდამოკიდებულება ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე მათი დამოკიდებულება ზეეროვნულ (ზესახელმწიფო) ინსტიტუტებზე [1,გვ.21]. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ზღუდავს ეროვნულ მთავრობათა სუვერენიტეტის ხარისხს, ავიწროებს მათი ავტონომიურობის სივრცეს და წარმოშობს ცალკეულ ქვეყანაში მარეგულირებელ ღონისძებათა უნიფიცირებისა და შეთანხმების აუცილებლობას.

ზემოაღნიშნული ხომ არ ნიშნავს იმას, რომ გლობალიზაციის ეპოქაში მიმდინარეობს სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესუსტება და უფრო მეტიც – სახელმწიფოს კვდომა? ამ თეზისს არც თუ ისე ცოტა მომხრე ჰყავს სამეცნიერო წრეებში, რომლებიც სხვადასხვა არგუმენტის გამოყენებით ცდილობენ მის დასაბუთებას რამდენად შეესაბამება ეს მოსაზრებები რეალობას?

როგორც ცნობილია, თანამედროვე სახელმწიფოს ისტორია, რომელიც ვესტფალის სისტემიდან იწყება, რამდენიმე ისტორიული ეტაპის მომცველია. პირველ ეტაპზე (XVI-XVII საუკუნეები) განხორციელდა სახელმწიფოს, როგორც ძალადობის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და უმაღლესი სახელისუფლებო ძალაუფლების გადასვლა სასულიერო ფენიდან საერო ფენის ხელში. მეორე ეტაპი უკავშირდება XVIII საუკუნის ევროპაში პირველი რესპუბლიკის წარმოქმნას და ხელისუფლების დაყოფას, პირველ კონსტიტუციებს და ადამიანის უფლებათა იდეის აღმოცენებას; მესამე ეტაპი მოიცავს XIX საუკუნეს, რომელიც გამოირჩეოდა კოლონიური სახელმწიფოების წარმოშობით, მსოფლიოს დაყოფით მეტროპოლიებად და კოლონიებად; მეოთხე ეტაპზე

(XX საუკუნე) დაიწყო სტიქიურად ფუნქციონირებადი ბაზრის სახელმწიფო რეგულირება და სახელმწიფოს სოციალიზაცია; მეხუთე ეტაპი – XXI საუკუნის დასაწყისია, როცა გლობალიზაციის პროცესების ინტენსიურად განვითარების შედეგად დღის წესრიგში დადგა სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისა და პერსპექტივის პრობლემა.

ფართო გაგებით, სახელმწიფო, როგორც სოციუმი, საკუთარ თავში მოიცავს: 1.სახელმწიფოს, საკუთარი აზრით, ანუ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა; 2. საზოგადოებას და 3. ბაზარს. ეს ორი უკანასკნელი თავის მხრივ მრავალი სოციალურ-ეკონომიკური სუბიექტისგან შედგება, რომლებიც მოქმედებენ პრინციპით „აქ“ და „ახლავე“. მათგან განსხვავებით სახელმწიფო მოწოდებულია შეასრულოს ქვეყნის ერთიანობის „ხერხემლის“ როლი, უზრუნველყოს საზოგადოებრივ ეკონომიკური ცხოვრების სტაბილურობა და უწყვეტი განვითარება. ნებისმიერ ქვეყანაში, მათი განვითარების დონის მიუხედავად, ბევრი პრობლემაა, რომლის დამოუკიდებლად გადაწყვეტა არც ბაზარს შეუძლია, არც საზოგადოებას და იგი მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. მართალია, საყოველთაოდაა აღიარებული ბაზრის როლი ცივილიზაციის განვითარებაში, მაგრამ ის არ არის ყოვლისშემძლე ფენომენი და ყველა პრობლემის პანაცეა. რეალურ ცხოვრებაში მრავალი ისეთი „სტანდარტული“ სიტუაციაა, როცა ბაზარი შეცდომებს უშვებს, რასაც ეკონომიკურ თეორიაში „ბაზრის ჩავარდნებს“ ან „ბაზრის ფიასკოს“ უწოდებენ. ასეთ ჩავარდნის ზონებში ხშირად ექცევა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება – განვითარებისათვის ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მეცნიერება, განათლება, კულტურა, სოციალური უზრუნველყოფა[3,გვ. 67].

სახელმწიფო განსაზღვრავს და იცავს იმ ზოგად კონტექსტს, რომელშიაც ბაზარი თვითრეგულირდება. ამის გარეშე, თავის დროზე, შეუძლებელი იქნებოდა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და მისთვის ცივილიზებული ფორმების მინიჭება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთმიმართების მნიშვნელოვანი ასპექტია მათი თანამშრომლობა, რომელიც იძლევა მკაცრი და სწრაფად ცვალებადი მეგა და მაკროგარემოსადმი ეკონომიკური აგენტების უმტკივნეულო ადაპტაციის შესაძლებლობას, ახალისებს კონკურენციას და ინოვაციებს. ყალიბდება მართვის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც ავსებს და აწესრიგებს ბაზარს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ძალიან მნიშნელოვანია, თუმცა, არ ამოწურავს მრავალმხრივ და რთულ ურთიერთკავშირს სახელმწიფოსა და ბაზარს შორის განვითარებულ ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სისტემაში. დღეს უაღრესად აქტუალურია ის გარემოება, რომ თანამედროვე სახელმწიფო იმყოფება არა ბაზრის გარეთ და „ზევიდან კი არ უყურებს“ ბაზარს, არამედ ორგანულადაა ჩაშენებული ბაზარში, წარმოადგენს ბაზრის აქტიურ მოთამაშეს, რომელიც პასუხისმგებელია მთელი საზოგადოების ინტერესთა რეალიზაციაზე. ამავე დროს იგი არსებითად განსხვავდება ბაზრის სხვა მოთამაშეებისაგან იმით, რომ ორიეტირებულია არა ინდივიდუალურ სარგებლიანობაზე (მოგებაზე), არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის მაქსიმალიზაციაზე.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მის შემდეგ ფუნქციებში რეალიზდება:

- წარმოების რეგულირება იმ დარგებში, რომლებშიც წარმოიშობა ბუნებრივი მონოპოლის პირობები (ელექროენერგიის წარმოება და განაწილება, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, წყალმომარაგება და ა.შ.);
- საბაზრო ეკონომიკის არახელსაყრელი სოციალური შედეგების კორექტირება, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, უმუშევრობისა და სიღარიბის ზრდას;
- ეკონომიკის სტაბილიზაცია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ეკონომიკა კრიზისული დაცემისა და ფასების ინფლაციური ზრდისაგან.

როგორც ჩამონათვალიდან ვხედავთ, ეს არის ფუნქციები, რომლებიც ახასიათებს სახელმწიფოს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის (ინდუსტრიული ტიპის) ქვეყნებში. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში იცვლება მხოლოდ მათი განხორციელების წესები და ფორმები.

ევროკავშირის თანამედროვე რეალობა ადასტურებს, რომ ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოს ზოგიერთი სუვერენული ფუნქციის გადაცემას ამ უდიდესი რეგიონული გაერთიანების დონეზე: მაგალითად,

ფულად საკრედიტო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პარამეტრს ევროპის ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს. ამასთანავე, ევროკავშირში ამჟამად შექმნილი რთული სიტუაციის მიუხედავად ეროვნულ სახელმწიფოთა მთავრობები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ზეეროვნულ(ზესახელმწიფო) დონეზე ფისკალურ უფლებამოსილებათა დელეგირებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ გლობალიზაცია თავად წარმოშობს რიგ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგალითად, მიგრაციის რეგულირების, ნარკოტრაფიკის, ტერორიზმის გავრცელების, `შავი ფულის გათეთრების˜, ტრანსნაციონალურ კომპანიებზე კონტროლის დაწესების და სხვ.).

პოსტინდუსტრიული სახელმწიფო ნებისმიერი თავისი გამოხატულებით, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოა და განსხვავება ცალკეული ქვეყნების მიხედვით ამ ,,სოციალურობისნ მხოლოდ ხარისხშია.

სოციალური თანასწორობის ან უთანასწორობის ხარისხზე ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა ქვეყნების შესაბამისი მაჩვენებლების ურთიერთშედარების საფუძველზე. პოსტინდუსტრიულ სახელმწიფოებში შემოსავლების განაწილებაში მიღწეული თანასწორობის ხარისხი საკმაოდ მაღალია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი უზრუნველყოფს საზოგადოებაში სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას, იცავს მას ძლიერი რყევებისა და რევოლუციებისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, უთანასწორობის შემცირება სამომხმარებლო მოთხოვნის ზრდის აუცილებელი პირობაა, რომელიც თავის მხრივ ასტიმულირებს წარმოებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შემოსავლების განაწილებაში გარკვეული თანასწორობის მიღწევა, ბევრი მკვლევარის მიერ განიხილება, როგორც მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, შესაბამისად ადამიანიდკაპიტალის დაგროვების, მცირე მეწარმეობის განვითარების პირობა, რასაც, როგორც უკვე დავინახეთ, წამყვანი როლი აკისრია თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღნიშნულ საკითხს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც გააჩნია. კერძოდ: განათლებასა და ჯანდაცვაზე გაწეულ დანახარჯებს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პიროვნების, როგორც დამოუკიდებელი ფასეულობისა და უმნიშვნელოვანესი საწარმოო ფაქტორის განვითარების თვალსაზრისით. მისი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ იგი ხელს უწყობს მოსახლეობის ინდივიდუალური შემოსავლების გამოთანაბრებას. ადამიანი – კაპიტალის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი, ეკონომისტი თ. შულცი ამის შესახებ წერდა: `ვინაიდან ჩვეულებრივი კაპიტალიდან (შემოსავლების მომტანი საკუთრებიდან) მიღებული პირადი შემოსავლების განაწილება გაცილებით უფრო უთანაბროა, ვიდრე ადამიანი – კაპიტალიდან მიღებული შემოსავლების და რადგანაც ადამიანი – კაპიტალის მარაგი გაცილებით სწრაფად იზრდება ჩვეულებრივ კაპიტალთან შედარებით, სხვა თანაბარ პირობებში, პირადი შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობა ყოველივე ამის გამო მცირდება˜[6. გვ.46].

შემოსავლების დიფერენციაციის ხარისხის გამზომ სინთეზურ მაჩვენებელს წარმოადგენს ჯინის კოეფიციენტი. ევროპის ქვეყნებში ახალი ათასწლეულის დასაწყისში იგი მერყეობდა 25–35%-ის ფარგლებში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა შვედეთს ანუ აქ შემოსავლები ყველაზე თანაბრად იყო განაწილებული საზოგადოებაში. იმავე დროს, ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებში, მაგალითად, დიდი ბრიტანეთსა და აშშდში, იგი შედარებით მაღალი იყო (აშშდში 40%). ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ სოციალური უთანასწორობის საკითხი ევროპელებს გაცილებით მეტად აღელვებთ, ვიდრე ამერიკელებს. ამასთანავე ევროპის ქვეყნებში განათლების სფეროში დაბანდებული კაპიტალიდან უკუგება განსაკუთრებით მაღალია, რაც მნიშვნელოვნად აკომპენსირებს შემოსავლებში სხვა ფაქტორებით განპირობებულ უთანაბრობას.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი გააცილებით უფრო მაღალია და მსოფლიო ბანკის მონაცემებით, იგი მერყეობდა 50–60%ის ფარგლებში და განუწყვეტელ ზრდას განიცდიდა ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე.

მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც ზომავს შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობას, არის მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10%-ის შემოსავლების შეფარდება ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10%-იან შემოსავლებთან. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ეს მაჩვენებელი არის აშშდში (16–ჯერ). ევროპის ქვეყნებში იგი მერყეობს 6–10–ჯერ ფარგლებში. განსაკუთრებით

მაღალია იგი ლათინური ამერიკის ქვეყნებში (23–25–ჯერ) [2,გვ.64].

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესთან მიმართებით მნიშვნელოვანია ეროვნული სახელმწიფოს ფსიქოლოგიური, მენტალური, კულტუროლოგიურდ ისტორიული და ყოფითი ასპექტები. ისეთ ძლიერ ინტეგრაციულ წარმონაქმნებშიაც კი, როგორიცაა ევროკავშირი და თავისუფალი ვაჭრობის ზონა აშშდსა და კანადას შორის, ადამიანებში ეროვნული იდენტურობის შენაჩუნების სურვილი საკმაოდ ძლიერია. ამასთან დაკავშირებით აი რას შენიშნავს ერთდერთი კანადელი ბიზნესმენი:

,,რა თქმა უნდა, მე ინტეგრაციის მომხრე ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი ქვეყანა საუკეთესოა და მასზე არასდროს ვიტყვი უარს". ევროგაერთიანებაში, სადაც მიმოსვლის სრული თავისუფლებაა, საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს 5,5 მლნ.კაცი ანუ ამ გაერთიანების მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1,5% [4,გვ.216].

ამრიგად, მრავალი არგუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფო, გლობალიზაციისა და პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებშიც, აქტიურ როლს თამაშობს ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში. შესაბამისად, თეორიულად არასწორი და პრაქტიკულად მიუღებელია იმ მკვლევართა მოსაზრება, რომლებიც ცდილობენ აღნიშნულის საწინააღმდეგოს დამტკიცებას. ამასთანავე ისიც აშკარაა, რომ დღეს არც ერთ ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია შეიმუშაოს და განახორციელოს ეკონომიკური პოლიტიკა სხვა ქვეყნებისა და განსაკუთრებით გლობალიზაციის წამყვანი სუბიექტების ქცევის ნორმების გათვალისწინების გარეშე. გლობალიზაცია, როგორც აღვნიშნეთ, არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, იწვევს ეკონომიკის რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების მნიშვნელოვან ცვლილებას [5,გვ.89].

გლობალიზაციის ეპოქაში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა არამხოლოდ და არა იმდენად ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარე ფაქტორების ზემოქმედებისაგან, ანუ ე.წ. ,,გარეგანი შოკებისგანნ, რაც დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არამედ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მისი ეფექტიანი ჩართვის უზრუნველყოფა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება გლობალური მასშტაბით. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სახელმწიფოს როლი მეტად მნიშვნელოვანია. მხოლოდ მას შეუძლია გლობალური ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე და მისი კონიუნქტურის შესაბამისი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის შექმნა, რომელშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სამეცნიეროდ ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, ახალი ცოდნის გენერირებასა და ძველი ცოდნის შენახვადდაგროვებადგავრცელებაზე დამყარებული ინფორმაციული ტიპის ეკონომიკის შექმნა [3,გვ.118].

სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიხატება ეკონომიკური კრიზისებისა და პოსტკრიზისული განვითარების პერიოდებში. 2007–2008 წლების გლობალურმა კრიზისმა ყველას თვალნათლივ დაანახა სახელმწიფოს უდიდესი მნიშვნელობა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკისათვის ამ უაღრესად რთული და სახიფათო პროცესების დაძლევაში. სწორედ სახელმწიფო გამოვიდა ამ შემთხვევაში ე.წ. ,,ბრიჯდმენეჯერისნ როლში.

ბოლო პერიოდში ბიზნესის რეგულირებაში კუთხით არსებული უამრავი პოზიტივის მიუხედავად, რიგი პრობლემა მოგვარებას საჭიროებს. სახელდობრ, კერძო სექტორის დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სრულად დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ბიზნესის საქმიანობაში მთავრობის უკანონო ჩარევისგან და საკუთრების უფლების ხელყოფისგან მის დაუცველობას განაპირობებს; სუსტია ბიზნეს-სექტორის კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასთან; ბიზნეს-სექტორის განვითარების პრიორიტეტულობის მიუხედავად, მიგვაჩნია რომ ,,ათპუნქტიანი გეგმან მეტისმეტად ოპტიმისტურია და არ გამომდინარეობს ქვეყნის განვითარების რეტროსპექტული კანონზომიერებებიდან. მასში კრიტიკულად არ არის შეფასებული უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ განვითარებაში ჩამოყალიბებული რეალური კანონზომიერებები, დღეისათვის არსებული პოზიტიური და ნეგატიური მხარეები და არაა გახსნილი მათი განმპირობებელი ძირითადი ფაქტორები და პირობები[3,გვ.212].

მეწარმეობის აქტიურ მხარდასაჭერად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი ეფექტიანი მექანიზმი, როგორიცაა ბიზნესინკუბატორები, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივების გამოვლენას და

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების სწრაფად დანერგვას. საქართველოში ბიზნესინკუბატორების საქმიანობა მიზანშეწონილია წარიმართოს მატერიალური წარმოების სფეროში მეწარმეობის მხარდასაჭერად და მომსახურების სფეროში – მეწარმეობის განსავითარებლად; მიზანშეწონილად მიგვაჩნია უნივერსიტეტების ბაზაზე ტექნოლოგიური ტრანსფერისა და ინტელექტუალური მომსახურების ცენტრის ფორმირება, რომელიც შეიძლება იქცეს ინოვაციური მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მიმართულებად. ამისათვის მრავალ უნივერსიტეტსა და დარგობრივ უმაღლეს სასწავლებელს გააჩნია ძლიერი პროფესიული და ტექნიკური ბაზა.

ლიტერატურა:


1. ასათიანი რ., მომსახურება და საბაზრო სისტემა. თსუ 1993
2. უფლისაშვილი გ., ფიქსირებული დაბეგვრის რეჟიმი საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები" შრომების კრებული. ქუთაისის უნივერსიტეტი 2012.
3. ჭანია მ., მეწარმეობა - როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოსავალი. თბ. გამომცემლობა „უნივერსალი". 2016
4. Engelschalk M. Creating a Favorable Tax Environment for Small Business Development in Transition Countries. Paper presented at Conference on the Hard-to-Tax. Andrew Young School of Public Policy. Georgia State University. 2003
5. European Commission, Community Research and Deve¬lopment Information Service -
6. First Section of the Annual Report on EU Small and Medium-sized Enterprises. By David Audretsch, Rob van der Horst, Ton Kwaak, Roy Thurik. Published by EIM, the Netherlands, January 2009.


## Modification of the State's Role in the Context of Economic Globalization


Maia Chania

*Doctor of Economics*
*Sukhumi state university*



**Resume**

For the successful functioning and development of business, it is necessary to have an appropriate environment in which the state (government) has a leading role. The prerequisites for business and entrepreneurship development can be combined into three groups:

- State policy towards business
- Society culture and value system;
- People's tendency to entrepreneurial (business) activity and their ability.

Since the beginning of the 90s of the last century, which historically coincided with the emergence of developed industrial industries, companies started to create complex teaching centers and prepare their own qualified staff. These centers are equipped with modern technical means and are employed as qualified teachers who mainly take theoretical courses and enterprise practices, mainly young instructors. Consequently, in such centers, the synthesis of fundamental theoretical knowledge and practical skills is achieved and the process of totally correcting is closer to the real production environment.



*Keywords: Innovation; Globalization; Sovereignty; Capital.*

# Challenges of the Inflation Targeting in Low-Income Countries

Vakhtang Charaia

*Associated Professor*
*Business and technology university*

Vladimer Papava

*Professor*
*Tbilisi State University*

*The inflation index fails to fully reflect the expectation of the population in low-income countries. Some of the commodity groups fail to reflect the problem of the low-income population. Under these conditions, a logical question arises concerning the kinds of problems which might occur when the main goal for a central bank's monetary policy is only to retain price stability, which is known as inflation targeting.*

***Keywords: inflation, inflation targeting, imflation, agflation, munflation.***

A consumer basket in different countries is rather balanced and covers all of the products required by an ordinary citizen. However, the majority of these commodity groups fails to reflect the problem of the local population as well as for other developing and, especially, poorer countries. In particular the price dynamics whether it decreases or increases on expensive alcoholic beverages, furniture, recreation and entertainment, and hotel and restaurant services are of no importance. Consequently, we can conclude that the abovementioned basket fails to adequately reflect the expenditures of average (poorer) consumer.

Under these conditions, a logical question arises concerning the kinds of problems which might occue when the main goal for a central bank's monetary policy is only to retain price stability. This is known as inflation targeting. Ignorance of the importance of the national currency exchange rate rather painfully affects a wider group of the population and business which ultimately increases both fear and uncertainty (Anguridze, Charaia, Doghonadze, 2015).

Beginning from 1967, New Zealand experienced a stretch of high inflation lasting for more than two decades (the average annual inflation was 15% and it peaked at 20%) (Sherwin, 1997). In 1984, the Reserve Bank of New Zealand issued an act under which the desired maximum inflation level was set for the monetary policy which paved the way for the so-called inflation targeting. By doing this, New Zealand was the first country in the world to renounce the internationally recognized priority of the monetary aggregates and exchange rate (e.g. Archer, 2000; Brash, 2002). By 2006, there were 25 inflation targeting countries (Mishkin, Schmidt-Hebbel, 2007) with the number growing to 62 by 2017 (CBN, 2017).

Central banks employing inflation targeting frequently justify their decisions to do so and state that they have reached not only their desired target (price stability) but have also contributed to stable economic growth such as, for example, was announced by Canada's central bank (Bank of Canada, 2006). The fact that the average inflation level was comparatively low in both developing and developed countries utilizing inflation targeting is proven by research studies (Mishkin, Schmidt-Hebbel, 2007; Vega, Winkelried, 2005).

However, inflation targeting does have serious opposition (Snooks, 2008). For example, Joseph Stiglitz, the Nobel Prize winner in Economic 2001, is almost confident that this system will be changed because the central banks of developing economies are incapable of managing their inflation which is frequently imported (Stiglitz, 2008). In the opinion of Jeffrey Frankel, inflation targeting died and central banks have not yet decided what new commitment monetary policy should be given in order to become a new hope for stability (Frankel, 2012).

The Bank for International Settlements resists inflation targeting which, in most cases, runs counter to financial stability (BIS, 2010; Jones, 2016). Inflation targeting does not take into account the financial cycle and thus produces an excessively expansionary and asymmetric monetary policy (Weber, 2015). It is noteworthy that inflation targeting creates

a great deal of questions. A major argument in favor of inflation targeting – that it has contributed to a decline in inflation since the early 1990s – is questionable at best. From the 1980s on, the inflation trend was already on the decline where globalization and China's integration into the world economy – and not inflation targeting – have probably been the most important reasons for the drop (Weber, 2015).

For an adequate reflection of the reality in developing and mostly poorer countries, other indices must also be used together with the inflation index. For countries where import exceeds export by several times, it should be clear that calculations must be made not only by the traditional inflation index but also according to their consumer basket made up exclusively of imported goods and services. Such an index can be called *imflation* which is a combination of two terms – "import" and "inflation" (Charaia, Papava, 2017).

If targeting parameters also include imflation together with ordinary inflation, then central banks will need to adequately respond to the issue of national currency devaluation in order to prevent price increases of imported goods on the domestic market owing to the particularly large volume of import.

In some cases neither inflation nor the imflation index will meet the goal of assessing price dynamics in those spheres important for the poorer population, especially in developing countries. As is well known, agrarian inflation (or the growth of average prices for agricultural products) or the *agflation* index, becomes more and more popular in economics. The term "agflation" is relatively new and its introduction is associated with the substantial increase in the prices for fruit, eggs, grain and other commodities in 2006-2007 (Chorafas, 2016). The agflation measurement is very important in developing and, especially, poorer countries which are characterized by permanent increases in foodstuff prices like in India (Suryanarayana, 2008).

Many studies have proven that the agflation index is higher and rather more important in developing countries where food products constitute about half of the total consumer basket: Russia – 50%, Azerbaijan – 50%, Armenia – 50%, Tajikistan – 57% and Turkmenistan – 60%, in contrast to developed Western countries: USA – 15% and Eurozone countries – 18%.

It is noteworthy that agflation is not only a problem for developing economies. This is evidenced by the challenges experienced by the new EU Member States (the ten Eastern European countries which joined in 2004) (IMF, 2008).

As is also well known, food inflation is not only higher, more instable, shows great volatility and lasts longer than non-food inflation, it also needs more time to adapt to new reduced prices which is unlike the process of price increases (EPRC, 2012). Given that the population in poorer countries gives special attention to how prices of food products, medication and utilities (mainly water, electricity, sewage, gas and other fuels) fluctuate, the statistical indicator adequately reflecting these prices should be calculated.

Hence, we propose a new statistical indicator, *munflation*. This new term comes from the first letters of the English words – medication, utilities and nutrition (Charaia, Papava, 2017).

The respective parameters for medication, utilities and food products from the consumer basket should be used for a munflation calculation. Food products prices are also used for the agflation calculation.

The issue of the possibility of extending the existing inflation targeting practice and studying the indicators of imflation, agflation and munflation in developing and relatively poorer countries, together with the inflation index, is the subject for a separate study.

## References:


1. Anguridze O., Charaia V., Doghonadze I. (2015) Security Problems & Modern Challenges of the Georgian National Currency. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, http://analytica.tsu.ge/www/files/2015/07/Security-Problems-Modern-Challenges-of-the-Georgian-National-Currency2.pdf.
2. Archer D. J. (2000) Inflation Targeting in New Zealand, International Monetary Fund, March 20-21, https://www.-imf.org/external/pubs/ft/seminar/2000/targets/archer.htm.
3. Bank of Canada (2006) Renewal of the Inflation-Control Target: Background Information. Ottawa, Bank of Canada, p.3, http://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/06/background_nov06.pdf.

4. BIS (2010) Perspectives on Inflation Targeting, Financial Stability and the Global Crisis, Bank for International Settlements Papers, No 51, March, http://www.bis.org/publ/bppdf/bispap51.pdf.
5. Brash D. (2002) Inflation Targeting 14 Years On, Reserve Bank of New Zealand, January, http://www.rbnz.-govt.nz/research-and-publications/speeches/2002/speech2002-01-05.
6. CBN (2017) Inflation Targets Table for 2017, Central Bank News, http://www.centralbanknews.info/p/inflation-targets.html.
7. Charaia V., Papava V. (2017) From Inflation to Imflation, Agflation and Munflationa, The Market Oracle, April, http://www.marketoracle.co.uk/Article58686.html.
8. Chorafas D. N. (2016) Energy, Environment, Natural Resources and Business Competitiveness: The Fragility of Interdependence. New York, Routledge, p. 139, https://books.google.ge/books?id=DmIWDAAAQBAJ&pg=PA136&lpg=-PA136&dq=Chorafas+D.+N.+Energy,+Environment,+Natural+Resources+and+Business+Competitiveness:+The+Fragility+of+Interdependence&source=bl&ots=RbHJWxVfBo&sig=IyJVopR6XblF-V4zqPHTeHwc11M&hl=ka&sa=X&ved=0ahUK-EwifoIXyu4jSAhUDESwKHRvDAw4Q6AEIHjAB#v=snippet&q=agflation&f=false.
9. EPRC (2012) Inflation in Georgia – Causes and Cures, Economic Policy Research Center Issue in Focus, 5th Report, June, pp. 12, 31, 32, https://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/Report_Eng-%20Inflation.pdf.
10. Frankel J. (2912) The Death of Inflation Targeting, Project Syndicate, May, https://www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=true.
11. IMF (2008) Agflation in the New Member States—Some Stylized Facts, IMF, https://www.imf.org/external/-CEE/2008/120107.pdf.
12. Jones C. (2016) BIS Warns of too Much Focus on Inflation, The Financial Times, June, https://www.ft.com/content/5e4d0560-3a13-11e6-9a05-82a9b15a8ee7.
13. Mishkin F., Schmidt-Hebbel K. (2007) Monetary Policy under Inflation Targeting: An Introduction, Banco Central de Chile Working Papers, No. 396, December 2007, p. 1, http://si2.bcentral.cl/public/pdf/documentos-trabajo/pdf/dtbc-396.pdf.
14. Sherwin M. (1997) Inflation Targeting—The New Zealand Experience. In Price Stability, Inflation Targets and Monetary Policy. Bank of Canada, May, p. 261, http://www.bankofcanada.ca/1997/05/price-stability-inflation-targets-monetary-policy/>, <http://www.bankofcanada.ca/wp-content/uploads/2010/07/cn97-14.pdf.
15. Snooks G. D. (2008) The Irrational “War on Inflation”: Why Inflation Targeting is Both Socially Unacceptable and Economically Untenable, The Australian National University Global Dynamic Systems Centre Working Papers, No. 1, March,https://0a85f5e1-a-62cb3a1a-s-sites.googlegroups.com/site/institutegds/home/workingpapers/WP001.pdf?attachauth=ANoY7cpy5w_EenI0XhuOlCm0jgEJXR4LDX3HCCXfX7Z7JGYvDgnfSPdSztRpxIrI1mmHwCEgOSQTWWjquluayS UkycpsZ4LKHsLqXo28R7d1J-fgBc3RIc0F3MqMRiN6nJXl6Gvu1YvgsiZJ0MEuwLEXDB1lo5LusA2jVc8Nzdup_kSbvpgBnVzLk7LnD4I484y7gLlNN-5WgPhopLtVJP3WIco5mjlhpWWJodzM3uD3Gj42zfm_RX0%3D&attredirects=1.
16. Stiglitz J. (2008) The Failure of Inflation Targeting, Project Syndicate, May, http://www.project-syndicate.-org/print_commentary/stiglitz99/.
17. Suryanarayana M. H. (2008) Agflation and the PDS: Some Issues, Indira Gandhi Institute of Development Research, WP-2008-009, April, http://www.igidr.ac.in/pdf/publication/WP-2008-009.pdf.
18. Vega M., Winkelried D. (2005) Inflation Targeting and Inflation Behavior: A Successful Story? International Journal of Central Banking, vol. 1, no. 3, http://www.ijcb.org/journal/ijcb05q4a5.pdf.
19. Weber A. (2015) Rethinking Inflation Targeting, Project Syndicate, June, https://www.project-syndicate.org/commentary/rethinking-inflation-targeting-price-stability-by-axel-weber-1-2015-06?barrier=true.

# ინფალაციის თარგეთირების გამოწვევები დაბალშემოსავლიან ქვეყნებში

**ვახტანგ ჭარაია**

*ასოცირებული პროფესორი*
*ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი*

**ვლადიმერ პაპავა**

*პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

რ ე ზ ი უ მ ე

ინფლაციის იდექსი და მისი თარგეთირება სულ უფრო მეტად კარგავს აქტუალურობას და მასთან ერთად ნდობასაც, განსაკუთრებით კი დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. სამომხმარებლო კალათაში შემავალი პროდუქტების გარკვეული ნაწილი ვერ ასახავს მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების სფეროს. ამ პირობებში ლოგიკურა იბადება კითხვა, თუ რამდენად ადეკვატურია ცენტრელური ბანკების მონეტარული პოლიტიკა ინფლაციის თარგეთირებასთან დაკავშირებით.

*საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, ინფლაციის თარგეთირება, იმფლაცია, აგფლაცია, მანფლაცია.*

# საქართველოსა და კომერციული ბანკების ეკონომიკური ზრდის შედარებაითი ანალიზი

**იზოლდა ჭილაძე**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*კომერციული ბანკები სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდის ერთერთი მნიშვნელოვანი სექტორია. აღნიშნული ბანკები ბანკები ,ერთი მხრივ ,მოქმედებენ როგორც ქვეყნის სიმდიდრის დამცველები, ხოლო მეორე მხრივ, ეკონომიკას აწვდიან ისეთ რესურსებს, რაც აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის. ჩვენი კვლევის მიზანია ბანკების წვლილის შეფასება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, ასევე შეაფასოს როგორი კორელაცია არსებობს საქართველოში მოქმედ კომერციული ბანკების ზრდასა და საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების უმრავლესობა თითქოს საქართველოს ეკონომიკისაგან დაშორებულია, ისინი აქტიურ ზეგავლენას ვერ ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და დასაქმების ზრდაზე.*

*კვლევის დასკვნაში ჩამოყალიბებულია წინადადებები, რაც ხელს შეუწყობს ბანკების როლის ზრდას საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, სტაბილურობის გამტკიცებასა და დასაქმების ამაღლებაში.*

*საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკები, ეკონომიკური ზრდა, აქტივების მომგებიანობა.*

ბანკების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მრავალმხრივია [5,გვ.1]. კერძოდ, ისინი ახდენენ კაპიტალის ფორმირებას, როცა მოქალაქეების მიერ ანაბრებზე ფულის შეტანის გზით თავს უყრიან რა საზოგადეობის წევრთა მცირე დანაზოგებს, მას ხელმისაწვდომს ხდიან ბიზნესისათვის, რათა პროდუქტიულად გამოიყენონ ის. თუკი ბანკები ამ ფუნქციას ვერ ასრულებენ, მაშინ დანაზოგი რჩება უმოქმედოდ ან გამოიყენება ისეთი ქონების შესაძენად, რომლის მასშტაბი საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში ძალიან მცირეა; ბანკები ქმნიან კრედიტებს, როგორც ახალი პროექტების განვითარების დამატებით საშუალებას. საკრედიტო პორტფელის შექმნა ზრდის წარმოებას, დასაქმებას, ვაჭრობას და შედეგად აჩქარებს ეკონომიკის განვითარებას; კაპიტალის ფორმირება არ წარმოდგენს კომერცული ბანკების ერთადერთ ფუქნციას. ისინი დაგროვილი დანაზოგების განაწილებას ახდენენ ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით; ბანკების მიერ დაგროვილი დანაზოგები აგრეთვე წარმატებით გამოიყენება ქვეყნის სხვადახვა რეგიონის განვითარებისათვის. ეს უზრუნველყოფს ფინანსური რესურსების უფრო სრულყოფილ გამოყენებას; ბანკები წაახალისებენ ქვეყნის მრეწველობის სათანდო დარგების განვითარებას დაბალი საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით. ისინი აკრედიტებენ და აავანსირებენ იმ მწარმოებლებს, რომელთა პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნაა; ბანკები წაახალისებენ სწორ დარგობრივ სტრუქტურას სახელმწიფოში. განსაკუთრებით, აფინანსებენ იმ დარგებს, სადაც გამოიყენება წარმოების ახალი მეთოდები და ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის მშპ-ის მოცულობაზე [1. გვ.23].

აგრეთვე, მნიშვნელოვანია საბანკო საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკა, რითაც სპეციალისტების აზრით, ბანკებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეკონომიკაში არსებული ფულის მასაზე. ამიტომ, სახელმწიფოში ეროვნული ბანკი არეგულირებს საბნკო საპროცენტო განაკვეთების მაქსიმალურ ნორმებს ანაბრებსა და სესხებზე; ხორციელდება ვალების მონეტიზაცია ბანკების მიერ, ანუ კომერციული ბანკები სესხებს გარკვეული დროის შემდეგ ფულად გადააქცევს, რაც შეიძლება დუყოვნელივ გამოიყენოს ბიზნესსაქმიანობაში. მაგრამ, კრედიტის გაყიდვებმა შეიძლება კაპიტალის ბლოკირება გამოიწვიოს. შედეგად, პროდუქტიულობა შეიძლება შემცირდეს, რამდენადაც ბანკები სესხებს საფონდო ბირჟის დისკონტირებული თამასუქებით გასცეემენ, საქმიანი პრობლემები შეუერხებლად გვარდება [2. გვ. 2] .

ბანკები ახორცილებენ, აგრეთვე, ხელისუფლების დაფინანსებას. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ხელისფლება გამოდის დარგების პრომოუშენის სახით, რომელთაც სესხები ჭირდებათ. ბანკები

ხელისუფლებას წარუდგენენ გრძელვადიან სესხებს სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ინვესტირების სახით და მოკლევადიან სახაზინო თამასუქების დაფინანსების სახით [7. გვ.1].

აგრეთვე, ბანკირები არიან რა მესაკუთრეები, ბანკების გაერთიანებით იქმნება დიდი მოცულობის ბანკები, რაც მსხვილი საბანკო ინტდუსტრიის განვითარებას უწყობს ხელს. ბანკების განყოფილებები შეიძლება გაიხსნას სოფლებშიც კი, რაც დასაქმების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ბანკები, აგრეთვე მეწარმეებიც არიან. ბოლო პერიოდში ბანკებმა შეითავსეს მეწარმეობის როლი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში და ასევე საქართველოშიც. მეწარმეობის განვითარება რთული და კომპლექსური პროცესია. იგი მოიცავს ყოველი ახალი პროექტის იდეის ფორმირებას, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებას, შესაბამისი კადრების მოძიებას მოცემული პროექტის განხორცილებისათვის და ტექნიკური მომსახურების გაწევას, როგორიცაა ტექნიკური და მმართველობითი საქმიანობა. ამით კომერციული ბანკები ეხმარება მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში [4.გვ33].

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ბანკები ახორციელებენ მთლიან ფულად-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ქვეყნის მასშტაბით. ფულით კი გამოხატულია ქვეყნის ყველა მოქალაქის ნაშრომი და ნაღვაწი. ასე რომ, ჩვენი შრომა ფულის სახით ბანკებში იმყოფება. ამიტომ, მისი გაფრთხილება, დაცვა და მიზნობრივი გამოყენება თითოეული მოქალაქის ცზოვრების პირობების განვითარებაა. თუკი ბანკები არ დაიცავენ ადეკვატურ კანონებს და წესებს, მცირედი გადახვევაც კი სერიოზულად აზიანებს მთელი ქვეყნის ეკონომიკას და თითოეული მოქალაქის ცხოვრების ფინანსურ სტაბილურობას.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკაზე კომერციული ბანკების საქმიანობის შედეგების გავლენების შესწავლა როგორც მეცნიერულად, ასევე პრაქტიკულად, სასიცოცხლოდ აქტუალურია.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკური და შედარებითი ანალიზის მეთოდები. შრომაში შესწავლილია საქართველოში დღეისათვის მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მაჩვენებლები, საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშების ინფორმაციის საფუძველზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წ) კომერციული ბანკების შექმნას უკვე გასაქანი მიეცა, მაგრამ შიგა არეულობების გამო მათი დაარსება ქაოსურად დაიწყო. ამასთან, 90-იან წლებში, საბანკო-საფინანსო სექტორი საერთაშორისო საბანკო კანონდმებლობით ჯერ არ რეგულირდებოდა და ძალიან მარტივად, საქართველოში 300-მდე კომერიული ბანკი შეიქმნა, რომელთა უმრავლესობამ მოსახლეობა გააწბილა. მათ მიერ ბანკში შეტანილი ფული მიითვისეს და „უკვალოდ“ გაქრა. ეს იმთავითვე ცხადი იყო, რადგან 300 კომერციული ბანკი საქართელოს მასშტაბის ეკონომიკისათვის ძალიან ბევრია. შემდეგ, ქართული ფულის გამოშვების პარალელურად, საქართველოში თანდათან დაიწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეგულაციები, სახელმწიდფოში შეიქმნა სათანადო საბანკო კანონმდებლობა, რამაც ხელი შეუწყო საბანკო საქმიანობის მოწესრიგებას და სტაბილურობას საქართველოში.

დღეისათვის საქართველოს კომერციული ბანკების სისტემას გააჩნია თანამედროვე ეკონომიკის შესაბამისი სტრუქტურა და ფუნქციური ოპერაციების განხორციელების ტექნიკური და ადამიანისეული რესურსები. მათ კანონის შეზამისად ზედამხედვლობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი და სერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები.

საქართველოში ამჟამად თექვსმეტი კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, რომლებიც სააქციო საზოგადოებებია. ესენია: თიბისი ბანკი, საქართელოს ბანკი, ლიბერთი ბანკი, ბაზის ბანკი, ვითიბი ბანკი ჯორჯია, ბანკი ქართუ, პროკრედიტ ბანკი, სილქ როუდ ბანკი, აზერბაიჯანის საერაშორისო ბანკი - საქართველო, ზირაათ ბანკი საქართველო, იშ ბანკი საქართველო, ხალიკ ბანკი საქართველო, ტერაბანკი, პაშა ბანკი საქართველო, ფინკა ბანკი საქართველო, კრედო ბანკი [7].

ვინაიდან კვლევის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სამქიანობის შედეგები საქართველოს ეკონმიკური ზრდის ტენდენციებთან შედარებით შეგვესწავლა, ერთმანეთთანაა შედარებული კომერციული ბანკების აქტივების, ერთ ლარ აქტივზე მოგების დონის და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებლების დინამიკური მწკრივები, რაც შესაბმის ცხრილებშია წარმოდგენილი.

კომერციული ბანკების ზრდის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია მათი აქტივების ცვლილების ტენდენციები. პირველი ცხრილის მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ აქტივების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი საანალიზო 2010-2016 წლებში ჰქონდა თიბისი ბანკს, საქართველოს ბანკს, ვითიბის, ლიბერთის და ქართუს. განსაკუთრებით მაღალი ტემპი აქვს ჰალიკ ბანკს. მაგრამ, მაღალია ვალდებულბების ზრდის ტემპებიც. ასე, მაგლითად, ჩვენ მიერ ჩატრებული გამოთვლების მიხედვით, საქართველოს ბანკში აქტივები 2016 წელს, 2015წელთან შედარებით გაიზარდა 269%, ვალდებულებები 287%, საკუთრი კაპიტალი 183% და მოგება 316%-ით; თბს ბანკში შესაბამისად: 475, 486, 417 და 634%-ით; ქართუ ბანკში - 249,286, 162 და 198 %-ით; ლიბერთი ბანკში: 304, 288, 529 და 965%-ით. მოგების ყველაზე მაღალი ზრდა ამ ბანკში დაფიქსირდა და ა.შ.

საქართველოს კომეციული ბანკების აქტივების მაჩვენებლების დინამიკა %-ად 2010 წელთან შედარებით

ცხრილი 1.

| კომერციული ბანკები | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 117 | 143 | 163 | 188 | 225 | 269 |
| თიბისი ბანკი | 146 | 172 | 196 | 239 | 306 | 475 |
| ბანკი ქართუ | 68 | 73 | 104 | 134 | 209 | 249 |
| ვითიბი | 124 | 160 | 245 | 301 | 359 | 453 |
| ლიბერთი | 138 | 157 | 244 | 297 | 296 | 304 |
| პროკრედიტ ბანკი | 113 | 122 | 121 | 125 | 141 | 161 |
| ტერა ბანკი | 129 | 151 | 176 | 207 | 275 | 291 |
| პროგრეს ბანკი | 124 | 148 | 394 | 523 | 1381 | - |
| ბანკი რესპუბლიკა | 87 | 99 | 133 | 149 | 205 | - |
| ბაზის ბანკი | 126 | 177 | 253 | 276 | 313 | 331 |
| ფინკა ბანკი | 134 | 164 | 243 | 271 | 376 | 479 |
| სილქროუდ ბანკი | 113 | 118 | 122 | 108 | 59 | 74 |
| ჰალიკ ბანკი | 139 | 206 | 361 | 522 | 768 | 1087 |
| ზირაათ ბანკი | 97 | 103 | 166 | 266 | 261 | 275 |
| პაშა ბანკი | - | 100 | 123 | 442 | 806 | 2517 |

მოგება-ზარალის მაჩვენებლები მოტანილია მეორე ცხრილში. ექვსი ბანკი რამდენიმე წელს ზარალიანი იყო. ამის გამო მოგების ცვლილების ტემპები პროცენტულად ვერ დავთვალეთ და მე-2 ცხრილში მოგების თანხობრივი მაჩვენებლებია მოტანილი.

მოგების მოცულობის მიხედვით პირველ ადგილზეა ჰალიკ ბანკი და ფინკა ბანკი. თუმცა, აქტივების მოცულობით მათ გაცილებით აღემატება საქართველოს ბანკი და თბს ბანკი.

საქართველოს კომერციული ბანკების მოგება (ზარლის) მაჩვენებლები (მლნ ლ)

ცხრილი 2.

| კომერციული ბანკები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 82,7 | 135,7 | 185,7 | 249,7 | 281,8 | 295,2 | 261,8 | |
| თიბისი ბანკი | 0,494 | 0,916 | 0,112 | 0,140 | 0,183 | 0,248 | 0,317 | |
| ბანკი ქართუ | 0,042 | (0,075) | 0,013 | 0,085 | 0,024 | 0,069 | 0,083 | |
| ვითიბი | (0,015) | 0,010 | 0,009 | 0,016 | 0,024 | 0,017 | 0,027 | |
| ლიბერთი | 0,004 | 0,008 | 0,098 | 0,154 | 0,225 | 0,351 | 0,444 | |
| პროკრედიტ ბანკი | 0,024 | 0,023 | 0,025 | 0,023 | 0,028 | 0,033 | 0,028 | |
| ტერა ბანკი | 0,001 | 0,003 | 0,007 | 0,008 | (0,006) | 0,004 | 0,005 | |
| პროგრეს ბანკი | 0,421 | (0,048) | (0,883) | (0,463) | (1,915) | (1,009) | - | |
| ბანკი რესპუბლიკა | (0,034) | (0,037) | 0,022 | 0,032 | 0,042 | 0,056 | - | |
| ბაზის ბანკი | 1,325 | 2,000 | 1,076 | 0,118 | (1,115) | (3,188) | (14,955) | |
| ფინკა ბანკი | 3,665 | 6,921 | 8,094 | 9,634 | 5,917 | (0.104) | 1.087 | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სილქროუდ ბანკი | (1,177) | 0,534 | (4,082) | (5,562) | 6,722 | 2,947 | (2,027) | |
| ჰალიკ ბანკი | (2,610) | (0,418) | (0,224) | 1,704 | 2,561 | 7,006 | 9,911 | |
| ზირაანთ ბანკი | 0,0006 | 0,0005 | 0,0002 | (0,0004) | 0,0007 | 0,003 | 0,002 | |
| პაშა ბანკი | - | - | - | 0,033 | (0,003) | 0,0007 | 0,005 | |

ბანკებს შორის, შედარებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოგების ფარდობითი მაჩვენებლები, რომელიც მე-3 ცხრილშია წარმოდგენილი, საიდანაც ჩანს, რომ აქტივები დაბალი მომგებიანობით ხასიათდება, თუმც ხშირად ეს მაჩვენებელი არასტაბილურია.

მოგება 1 ლარ აქტივზე (თეთრი)

ცხრილი 3.

| კომერციული ბანკები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 2,1 | 2,9 | 3,2 | 3,8 | 3,7 | 3,3 | 2,4 |
| თბს | 2,2 | 2,8 | 2,9 | 3,1 | 3,4 | 3,6 | 2,9 |
| ბანკი ქართუ | 7,3 | (19,4) | 3,1 | 14,2 | 3,2 | 5,8 | 5,8 |
| ვითიბი | (4,5) | 2,4 | 1,6 | 2,0 | 2,3 | 1,4 | 1,8 |
| ლიბერთი | 0,9 | 1,2 | 1,2 | 1,2 | 1,4 | 2,2 | 2,8 |
| პროკრედიტი | 2,8 | 2,3 | 2,4 | 2,2 | 2,6 | 2,8 | 2,0 |
| ტერა ბანკი | 0,4 | 0,9 | 1,7 | 2,0 | (1,2) | 0,7 | 0,8 |
| პროგრეს ბანკი | 3,0 | (0,3) | (4,2) | (0,8) | (2,6) | (0,5) | - |
| ბანკი რესპუბლიკა | (4,2) | (5,2) | 2,7 | 3,0 | 3,5 | 3,4 | - |
| ბაზის ბანკი | 2,2 | 2,6 | 1,0 | 7,5 | (0,6) | (1,6) | (7,3) |
| ფინკა ბანკი | 6,3 | 8,9 | 8,1 | 6,9 | 3,8 | (0,001) | 0.4 |
| სილქროუდ ბანკი | (1,1) | 0,4 | (3,2) | (4,2) | 5,7 | 4,6 | (2,5) |
| ჰალიკ ბანკი | (7,5) | (0,9) | (0,3) | 1,4 | 1,4 | 2,6 | 2,6 |
| ზირაანთ ბანკი | 2,5 | 2,5 | 0,6 | (1,1) | 1,1 | 3,6 | 3,4 |
| პაშა ბანკი | - | - | 0,1 | (6,8) | 2,5 | 0,2 | 1,9 |

პირველი და მე-4 ცხრილის მაჩვენებლების შედარებისას, აშკარაა, რომ კომერციული ბანკების აქტივების ზრდის ტემპი (გარდა პროკრედიტის და სილქროუდ ბანკისა) თითქმის ორჯერ (და ზოგჯერ უფრო მეტადაც) აღემატება საქართველოს მშპ-ის ზრდის ტემპს.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები

ცხრილი 4.

| მაჩვენებლები | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ 2010 წლის ფასებით მლნ ლარი | 20743,4 | 22241,4 | 23653,8 | 24454,9 | 25585,6 | 26322,5 | 27044,8 |
| მშპ %-ული ცვლილება | 100 | 107,2 | 114,0 | 117,9 | 123,3 | 126,9 | 130,4 |
| მშპ 1 სულზე (ლარი) | 4675,7 | 5447,1 | 5818,1 | 5987,6 | 6491,6 | 8550,9 | 9117,7 |
| 1 სულზე მშპ %-ული ცვლ. | 100 | 116 | 124 | 128 | 139 | 183 | 195 |

მაშასადამე, აღებული ეკონომიკური მაჩვენებლების შედარებითი შესწავლის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების დიდი უმრავლესობის ქონება 2010-2016 წლების პერიოდში გაორმაგდა, ხოლო, თიბისი-ის, ვითიბის, ლიბერთის, ბაზის ბანკის და ჰალიკ ბანკსი აქტივები ოთხჯერ აღემატება 2010 წლის მოცულობას. მაგრამ, მათი მომგებიანობა დაბალია. ზოგჯერ, მაგალითად, ბაზის ბანკის აქტივები სამჯერ გაიზარდა, მაგრამ ბოლო წლებში ზარალიანია. ამდენად, ბანკების უმრავლესობა თითქოს ვითარდება, მაგრამ ზოგჯერ არასტაბილური და ზარალიანია.

ასეთი ვითარება, ჩვენი აზრით გამოწვეულია იმით, რომ ბანკების უმრავლესობის მენეჯმენტი აქტიურად არ მონაწილეობს ქვეყანაში ახალი პროექტების და იდეების დაფინანსებასა და დაკრედიტებაში; მოსახ-

ლეობა დათრგუნულია ეროვნული ვალუტის ინფლაციით, რადგან, ლარით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ორჯერ მაღალია, ვიდრე დოლარით გაცემულ სესხებზე. ბანკები პოზიტიურ გავლენას ვერ ახდენენ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობაზე, არ ჩანს, რომ ბანკებს დამუშავებული აქვთ საქართველოს რეგიონების განვითარების პროექტების დაფინანსების პროგრამები, ჯერ კიდევ არაა გავრცელებული ფინანსური ლიზინგი და ფაქტორინგული მომსახურების სახეობები.

ამრიგად, ბოლო ათი წლის შედეგების ანალიზი ადასტურებს, რომ საბანკო სექტორი საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა, განვითარდა და გაფართოვდა. მაგრამ, კომერციული ბანკების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ ასტიმულირებს ქვეყნის მაკროეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, რასაც შედეგად დასაქმების ზრდა უნდა მოჰყვეს. კომერციული ბანკების ადეკვატურ და სამართლიან საფინანო-საკრედიტო პოლიტიკას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკა განვითარებული და სტაბილური გახადოს. მაგრამ ასევე, შეუძლია პირიქითაც, განვითარებული ეკონომიკა ჩამოშალოს. ამიტომ, მოწესრიგებულ და ქვეყნის განვითარების მიმდინარე ამოცანების ადკვატური პროექტების და იდეების დაფინანსება და დაკრედიტება უნდა იყოს საქართველოს ყველა კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის კონცეპტუალური საუძველი.

საქართველოს ეკონომიკის ზრდაში კომერციული ბანკების გააქტიურების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- კომერციული ბანკების მიერ მცირე ბიზნესის დაკრედიტების პროექტების დამუშავება და განხორციელება;
- ინოვაციური პროექტების მოძიება და დაკრედიტება;
- ახალგაზრდების საქართველოში დასაქმების პროექტების შემუშავება მთვრობასთან ერთდ და მათი დაკრედიტება დაბალი საპოროცენტოგანკვეთიანი სესხებით.

ლიტერატურა:


1. Journal Banking and Finance. http://www.mass.gov/ocabr/banking-and-finance/
2. Essay on the Role of Banks in Economic Development
3. http://www.economicsdiscussion.net/essays/essay-on-the-role-of-banks-in-economic-development/1875
4. Mihail Petrkovkci and Jordan Kjosefski, Does banking sector development promote economic growth? An empirical analysis for selected countries in Central and South Eastern Europe
5. http://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/1331677X.2014.947107
6. The Role of Development Banks in Promoting Growth and Sustainable Development in the South. Economic Cooperation and Integration among Developing Countries. UNCTAD. December 2016
7. http://unctad.org/en/PublicationsLibrary/gdsecidc2016d1_en.pdf
8. Joseph Olusegun Ajibola, Commercial Bank Lending and Economic Growth—The Nigerian Experience (1970-2013)
9. http://www.oalib.com/articles/3143908?utm_source=Linkedin&utm_campaign=papersubmission&utm_medium=wangjing-L#.Wb4zHbIjHIU
10. Role of Commercial banks in Economic Development of Country. 2016. https://accountlearning.com/role-of-commercial-banks-in-economic-development-of-country/
11. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403
12. http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

# Compar ative Analysis of Growth Rates of Georgian Economy and Commercial Banks

Izolda Chiladze

*Doctor Economics, Associated professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Banks play an important role in capital formation, which is essential for the economic development of a country. Banks create credit for the purpose of providing more funds for development projects. Credit creation leads to increased production, employment, sales and prices and thereby they cause faster economic development.

The purpose of the research is to assess the correlation between the growth of commercial banks in Georgia and the economic growth indicators of Georgia.

As a result of the study, the majority of commercial banks operating in Georgia do not have an active impact on the economic growth and employment growth of the country. the analysis shows that the banking sector has grown significantly in Georgia, developed and expanded but the vast majority of commercial banks still can not stimulate the macroeconomic growth of the country that resulted in an increase in employment.

by reason to activate commercial banks in the growth of Georgian economy, is necessery the following measures to be implemented:

- Develop and implement small business lending projects by commercial banks
- Finding and lending innovative projects;
- Development of young people's employment projects with the government and their lending with low interest margin loans.

***Keywords: commercial banks, economic growth, profitability of assets.***

# გადასახადები და მათი აღრიცხვის ზოგიერთი საკითხი

ელენე ხარაბაძე

*პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

მერაბ ჯიქია

*ასოც. პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*თანამედროვე საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადასახადი დამატებული ღირებულების გადასახადია (დღგ), რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.*

*აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღგ-ს არსებობაჟევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობაა. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით საქართველომ აიღო ვალდებულება მოახდინოს დღგ-ის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაცია ევროპის საბჭოს (№2006/112) დირექტივასთან (ასოცირების შეთანხმების 285-ე მუხლი და 22-ე დანართი), რომელიც არეგულირებს საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხებს. სწორედ აღნიშნული იქნა გათვალისწინებული და სსკ-ში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვით დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა წინასწარი გადახდა (ავანსი). დღგ ერიცხება მიღებული თანხის ოდენობას და გადაიხდება გადახდის მიღების მომენტში.*

***საკვანძო სიტყვები: დამატებითი ღირებულების გადასახადი; საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, საბუღალტრო, საგადასახადო ანგარიშგება, საჯარო ფინანსები; მოგების გადასახადი; ბუღალტრული აღრიცხვა; სააღრიცხვო პოლიტიკა; ანგარიშთა გეგმა; გაუნაწილებელი მოგება; საერთაშორისო დაბეგვრა.***

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საწარმოსათვის არაპირდაპირი გადასახადია. დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია: დასაბეგრი ოპერაცია; იმპორტი; ექსპორტი, რეექსპორტი; დროებითი შემოტანა.

დღგ-ს გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაყოფლობით რეგისტრირებულები არიან დღგ-ს გადამხდელებად.

სსკ თანახმად, დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან საქონლის იმპორტის თანხის 18 პროცენტს. დღგ-ს საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ მოიხსენიება, როგორც გადასახდელი დღგ, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული, როგორც გადახდილი, ანუ ჩასათვლელი დღგ. სხვაობა გადასახდელ და ჩასათვლელ დღგ-ს თანხებს შორის არის ბიუჯეტში გადასახდელი დღგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალკ-ცალკე ანგარიშებზე აღირიცხება გადასახდელი დღგ (ანგარიში 3330) და გადახდილი დღგ (ანგარიში 3340) დღგ.

გაყიდვებიდან მიღებული თანხა შეიცავს ბიუჯეტისათვის გადასახდელ დღგ-ს თნხასაც. ე.ი. ერთდროულად წარმოიქმნება შემოსავალი რეალიზაციიდან და დავალიანება ბიუჯეტის წინაშე. ჩასათვლელი დღგ-ს თანხა არის ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით.

ზასს-თ დარიცხვის მეთოდის მიხედვით, სამეურნეო მოვლენებისა და ოპერაციების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მაშასადამე, საქონელი გაყიდულად ითვლება მიწოდებისთანავე. საგადასახადო კოდექსით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი, და საკომპენსაციო თანხის ნაწილის გადახდის მომენტი (ავანსი) რაც ნიშნავს, რომ დღგ-ს გადახდის ვალდებულება დგება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე ან ავანსის თანხის მიღების მომენტში.

თუ საწარმოს მიერ რეალიზებულია საქონელი, განაღდების განუსაზღვრელი პერიოდით, რომელშიც არ არის დაფიქსირებული მისაწოდებელი საქონლის სახეობა და რაოდენობა, აღნიშნული ოპერაცია, საწარ-

მოს მიერ მიღებული ავანსი, არ დაიბეგრება დღგ-თ. რადგან საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში არ არის განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა. შესაბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების და არა საკომპენსაციო თანხის მიღების მომენ-ტი. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს ფულადი საშუალებების ამსახველი ანგა-რიშების დებეტსა და მიღებული ავანსების ანგარიშის კრედიტში, ხოლო დღგ-ს გადახდის ვალდებულება ორგანიზაციას წარმოექმნება კლიენტის მიერ აღნიშნული ვაუჩერის გამოყენების მომენტში.

თუ საწარმოს, რომელიც ანხორციელებს როგორც საცალო, ასევე, სადილერო ვაჭრობას, ერთ-ერთ კომ-პანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გახსნილი აქვს ე.წ. საკრედიტო ხაზი, მხარეთა შორის ანგარიშსწორებისას ხდება, როგორც მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის წინასწარ გადახდა, ასევე, მიწოდებულ საქონელზე არსებული დავალიანებების ანაზღაურება და საბოლოო ანგარიშსწორება მხა-რეთა შორის ხდება გარკვეული პერიოდულობით, ურთიერთშედარების საფუძველზე, აღნიშნული პირობე-ბით წინასწარ გადახდილი თანხის (ავანსის) დღგ-თი დაბეგვრა არ განხორციელდება რადგან თანხის მიღები-სას არ არის განსაზღვრული იგი წარმოადგენს მისაწოდებელი საქონლის თუ მიწოდებულ საქონელზე არსე-ბული დავალიანების საკომპენსაციო თანხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საქონლის მიწოდების მომენტი.

თუ მყიდველ და გამყიდველ საწარმოს შორის გაფორმებლი ხელშეკრულების თანახმად გამყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ დროის კონკრეტულ მომენტამდე მყიდველს მიაწოდებს სხვადასხვა დასახელების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს და მყიდველმა ავანსის სახით აანაზღაურა საკომპენსაციო თანხის ნაწილი, იგი უნდა აისახოს ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშების დებეტში და მიღებული ავანსების ანგარიშის კრედიტში. საქონლის მიწოდების ეტაპობრივად განხორციელებისა და მყიდველის მიერ თანხის სრულად ანაზღაურების შესაბამისად, ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა შემცირდეს მიღებული ავანსები და მიწოდებული საქონლის ღირებულება უნდა აღიარდეს შემოსავლად, რომელიც იმავდროულად, დაექვემდებარება დღგ-თ დაბეგვრას და აისახება „გადასახდელი დღგ-ს“ ანგარიშის კრედიტში. რეალი-ზაციის მომენტში უნდა მოხდეს მიწოდებული საქონლის ჩამოწერა თვითღირებულებით.

აღნიშნნულ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ოპერაციის განხორციელების თა-რიღები. შეიძლება ადგილი ჰქონდეს სსკ-თ (მ. 309, ნაწილი 98) გათვალისწინებული შემთხვევას. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ავანსის თანხის ნაწილი გადახდილი იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე და 2017 წლის თებერვალში, ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი აღნიშნული გარიგების საფუძველზე განხორციელებულ ოპერაციებზე არ გამოიყენება და დღგ-თ დაბეგვრა მოხდება „ძველი პრინციპით" ე.ი. გამყიდველი დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ს თანხას დაადეკლარირებს 2017 წლის იანვარის და მარტის (საქონლის მიწოდების საანგარიშო პერიოდის) თვის დღგ-ს დეკლარაციით.

დავუშვათ, მყიდველსა და გამყიდველს შორის 2017 წლის 5 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად გამყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ 2017 წლის 30 მაისამდე მყიდველს მიაწოდოს სხვადასხვა დასახელების (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ) საქონელი. მყიდველმა ავანსის სახით 2017 წლის 15 მარტს გადაუხადა საკომპენსაციო თანხა სრულად. საქონლის მიწოდება განხორციელდა ეტაპობრივად, 2017 წლის 20 მარტს მოხდა საქონლის მიწოდება და წარმოიქმნა შესაბამისი მოთხოვნა საერთო თანხით, ხოლო მაისის თვეში მიწოდებული საქონლით ასევე, წარმოქმნილია მოთხოვნა.

საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტში განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი, მისი რაო-დენობა და ღირებულება, მისაწოდებელი საქონელი წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას. შესა-ბამისად, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს წარმოადგენს საკომპენსაციო თანხის მიღების მომენტი. სსკ-ის თანახმად მყიდველმა წინასწარ გადახდილი თანხა, ავანსი, დაბეგრა მარტის თვეში, გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და შესაბამისად, ასახა ბუღალტრულ აღრიცხვაში შემოსავალი რეალიზაციიდან, გადასახდელი დღგ და საერთო თანხით შეამცირა მიღებული ავანსები.

სსკ-ს მიხედვით (მ.161) გამყიდველი ვალდებულია მიღებულ ავანსზე (სალდირებულ ნაშთზე) გადაიხადოს დღგ. შესაბამისად, 31 მარტს ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს მიღებულ ავანსებზე

გადასახდელი დღგ-ს დარიცხვა, მაგრამ იმის გამო, რომ ზასს და ფასს მიხედვით მიღებული ავანსები შემოსავლად არ აღიარდება, უნდა განხორციელდეს მაკორექტირებელი გატარება, ჯერ მიღებული ავანსების დღგ-თ დაბეგვრის აღსარიცხავად ანგარიშს 3330 „გადასახდელი დღგ" უნდა გამოეყოს ცალკე ქვეანგარიში „გადასახდელი დღგ მიღებულ ავანსებზე", შემდეგ კი, 31 მარტს მოხდეს ამ ანგარიშის გადახურვა და მასზე რიცხული თანხის გადატანა ანგარიშზე 3330 „გადასახდელი დღგ", კრედიტში.

ანალოგიურად აისახება ბუღალტრულ აღრიცხვაში მაისის თვეში განხორციელებული ოპერაცია. სსკ-ის (მ. 174) მიხედვით, მყიდველს აქვს უფლება გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით მარტის თვეეში ჩაითვალოს გადახდილი დღგ-ს თანხა.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი სსკ-ში მოგების გადასახადის ნაწილში. შეიცვალა ან დაზუსტდა მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული პარამეტრები: **გადასახადის გადამხდელები, დაბეგვრის ობიექტი, გადასახადის განაკვეთი და საანგარიშო პერიოდი**. დაბეგვრის მიზნებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა განაწილებული და გაუნაწილებელი მოგების გამიჯვნა, ასევე, დაბეგვრას დაექვემდებარა ხარჯები და გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა. დაზუსტდა წარმომადგენლობითი ხარჯების დაბეგვრის წესი, შეიცვალა გადასახადისგან გათავისუფლების პარამეტრები, ხოლო 2008-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასახადი დაექვემდებარა ჩათვლას.

სსკ მიხედვით, **გადასახადის გადამხდელად აღიარებულ იქნა** რეზიდენტი საწარმო, არარეზიდენტი საწარმო საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალზე და არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულება.

**რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება**, აგრეთვე, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა და საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. **არარეზიდენტი საწარმოს** მუდმივი დაწესებულებისათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განხორციელებული განაცემი (გაწეული ხარჯი), იმავე პრინციპებით, რაც დადგენილია რეზიდენტი საწარმოსთვის, ხოლო ორგანიზაციის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით დადგენილ გამოქვითვებს შორის.

არარეზიდენტი კომპანიებისათვის, რომლებიც შეღავათიან დაბეგვრის რეჟიმში ფუნქციონირებენ, გადახდილი ავანსები იბეგრება მოგების გადასახადით. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში განცალკევებულად უნდა აღირიცხოს:

- შეღავათიან ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები;
- არაშეღავათიან ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები.

შესაბამისად, საჭირო გახდება ანგარიშზე „მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები", გამოიყოს აღნიშნული დასახელების ორი ქვეანგარიში. ავანსის გადარიცხვისთანავე მოხდება მოგების გადასახადის დარიცხვა ოპერაციის მოხდენის მომენტისათვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსით.

ასევე, არარეზიდენტ კომპანიებზე და ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება მოგების გადასახადით, აქედან გამომდინარე, ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალ-ცალკე უნდა აღირიცხოს:

- ფიზიკურ პირებზე და არარაეზიდენტებზე გაცემული სესხები;
- სხვა პირებზე გაცემული სესხები.

საჭირო გახდება ცალკე ანგარიში გაცემული სესხებისათვის, ზემოაღნიშნული დასახელების ორი ქვეანგარიშით, მაგალითად, ანგარიშების ჯგუფში: „სხვა მიმდინარე აქტივების".

მნიშვნელოვანია ის, რომ საგადასახადო კოდექსით დაზუსტდა საანგარიშო პერიოდი და მოგების გადასახადის განაკვეთი. რეზიდენტი საწარმოსათვის, არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისთვის, კომერციული ბანკისთვის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისათვის (2019 წლის 1 იანვრიდან) მოგების გადასახადის საანგარიშო პერიოდია კალენდარული თვე.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის (გაწეული ხარჯის) ოდენობის 0.85-ზე (85%-ზე) გაყოფით.

ორგანიზაციისთვის, არარეზიდენტი საწარმოსათვის, რომლის შემოსავალი არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, კომერციული ბანკისთვის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდისათვის (2019 წლის 1 იანვრამდე) საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი, გადასახადის განაკვეთი კი, 15%.

მაშასადამე, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია **განაწილებული მოგება**, რომელიც არის მოგების ნაწილი, საწარმოს მიერ აქციონერებზე (მოწილეებზე) განაწილებული დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით, ხოლო **დივიდენდი** აქციონერის მიერ აქციებიდან ან უფლებებიდან (წილებიდან) მიღებული ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც მიიღება მოგების განაწილების შედეგად აქციონერებზე (მოწილეებზე), კაპიტალში მათი კუთვნილი აქციების (უფლებების) პროპორციულად ან პროპორციის დაცვის გარეშე.

**არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად** ითვლება ამ მუდმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეზიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი.

მიგვაჩნია, რომ გაურკვევლობა შეიძლება გამოიწვიოს თუ რა აისახება მოგების განაწილებად ბუღალტრულ აღრიცხვაში, რამეთუ, საქართველოს კანონით მეწარმეთა შესახებ „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში შესაბამისად, პარტნიორთა საერთო კრების ან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური მოგებისა და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება. ...“დივიდენდები კი უნდა გაიცეს წესდებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მოგების განაწილების შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 9 თვისა.“ (კანონი მეწარმეთა შესახებ, მ.8). აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას წმინდა მოგებიდან დივიდენდის გაცემის შესახებ და მოგების განაწილებად მიჩნეულ იქნება საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მოგების განაწილების გამოცხადების თარიღი, ჯერ გაანგარიშებულ უნდა იქნეს განაწილებულ მოგებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის თანხა, რომელიც მიიღება განაწილებული მოგების გაყოფით 85% და მიღებული თანხის გამრავლებით 15%. ამ გაანგარიშებით მიღებული თანხით მოხდება ბუღალტრულ აღრიცხვაში გადასახდელი მოგების გადასახადის დარიცხვა. იმავდროულად, გაანგარიშებულ და დარიცხულ უნდა იქნეს გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მიიღება განაწილებული მოგების თანხის გამრავლებით 5%-ზე. ორივე თანხის ჯამი წარმოადგენს გადასახადის საერთო თანხას.

იმ შემთხვევაში, თუ ბუღალტრულ აღრიცხვაში მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება დივიდენდის ხელზე გაცემული თანხის მიხედვით, გაცემის მომენტისათვის, მაშინ გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის თანხა ტოლი იქნება ხელზე გაცემული თანხა გაყოფილი 95%-ზე და გამრავლებული 5%-ზე, ხოლო განაწილებული მოგების გადასახადის თანხა უდრის ხელზე გაცემული თანხა გაყოფილი 95%-ზე, მიღებული თანხის 85%-ი გამრავლებული მოგების გადასახადის განაკვეთზე (15 %-ზე). სულ გადასახდელი გადასახადი კი, ორივე თანხის ჯამს შეადგენს.

დავუშვათ, კომპანიის წილის მფლობელები არიან: რეზიდენტი ფიზიკური პირი - 40%, რეზიდენტი იურიდიული პირი - 40%, არარეზიდენტი იურიდიული პირი - 20% და პარტნიორთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დივიდებდების განაწილების შესახებ, ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს: 1. დივიდენდების დარიცხვა და 2. დარიცხულ დივიდენდზე საშემოსავლო და მოგების გადასახადის დარიცხვა. დივიდენდზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადის თანხა გაანგარიშებულ უნდა იქნეს დარიცხული დივიდენდის თანხის 60%-ის გამრავლებით საშემოსავლო გადასახადის კუთვნილ 5%-იან განაკვეთზე, ხოლო მოგების გადასახადის თანხა ტოლი იქნება დარიცხული დივიდენდის თანხის 60% გაყოფილი 85%-ზე და გამრავლებული მოგების გადასახადის განაკვეთზე (15 %-ზე).

თუ კომპანიას არარეზიდენტი პირისაგან მიღებული აქვს დივიდენდი და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე დივიდენდის განაწილების შესახებ,

მაშინ დივიდენდის სახით დარიცხული თანხა უნდა დაიბეგროს საშემოსავლო გადასახადით (დარიცხული დივიდენდის თანხა გამრავლებული 5%-ზე), ხოლო გაცემულ დივიდენდზე მოგების გადასახადის გაანგარიშებისათვის დარიცხული დივიდენდის თანხა შემცირდება არარეზიდენტი პირისაგან მიღებული დივიდენდის თანხით, რომლის 85% გამრავლდება მოგების გადასახადის განაკვეთზე (15 %-ზე).

იმის გამო, რომ საწესდებო კაპიტალის შემცირება გარკვეულ შემთხვევებში იბეგრება მოგების გადასახადით, გადასახადის სწორად გაანგარიშებისა და აღრიცხვის მიზნით ბუღალტრულ აღრიცხვაში ანგარიშების ჯგუფში „საწესდებო კაპიტალი" უნდა გამოიყოს ცალკე ანგარიშები:

- დამფუძნებლის მიერ შევსებული საწესდებო კაპიტალი;
- დივიდენდით შევსებული საწესდებო კაპიტალი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით **მოგების განაწილებად ითვლება**: საწარმოს მიერ ურთიერთა-მოკიდებულ პირთან (გარდა, პირისა რომელიც იბეგრება ახალი წესით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება საბაზრო ფასისაგან. ამ შემთხვევაში გადასახადით იბეგრება:

- სხვაობა გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის, თუ საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;
- სხვაობა გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და საბაზრო ფასს შორის, თუ გარიგების შედეგად გა-წეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს.

იგივე პრინციპით იბეგრება გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის არსებული განსხვავება თუ ოპე-რაცია განხორციელდა მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ პირმა, რომელიც იბეგრება განაწილებული მოგების გადასახა-დით, ურთიერთდამოკიდებულ პირს, რომელიც გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, მიაწოდა საქონელი ღირებულებით 10000 ლარი, რომლის საბაზრო ფასია 12000 ლარი, განაწილებული მოგების გადა-სახადით დაიბეგრება საქონლის საბაზრო ღირებულებასა და მიწოდების ღირებულებას შორის სხვაობა, რომ-ლის 85% გამრავლდება მოგების გადასახადის განაკვეთზე (15 %-ზე) [(12000-10000) / 85% x 15%] .

საწინააღმდეგო შემთხვევაში, როდესაც კომპანიამ შეიძინა საქონელი 15000 ლარად, რომლის საბაზრო ფასი შეადგენდა 12000 ლარს, განაწილებული მოგების გადასახადით დაიბეგრება საქონლის საბაზრო ღირებულებასა და მიწოდების ღირებულებას შორის სხვაობა, რომლის 85% გამრავლდება მოგების გადასახადის განაკვეთზე (15 %-ზე) ე.ი.[(15000-12000) / 85% x 15%] .

მოგების გადასახადის მიზნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარჯებსა და გადახ-დებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, იბეგრება მოგების გადასახა-დით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ანგარიშზე „სხვა საერთო ხარჯებიწ გამოიყოს რამდენიმე ქვეანგა-რიში:

- დოკუმენტალურად დაუდასტურებელი ხარჯი;
- მიკრობიზნესის (ფიქსირებული) გადასახადის გადამხდელი პირისგან შეძენილ საქონელზე (მომსა-ხურებაზე) გაწეული ხარჯი;
- უსასყიდლო მიწოდება არასახელმწიფო სტრუქტურებზე;
- უსასყიდლო მიწოდება სახელმწიფო სტრუქტურებზე;
- სხვა არაეკონომიკური ხარჯი.

თუ ოპერაცია დაიბეგრა მოგების გადასახადით, ხარჯი, რომელიც მას უკავშირდება, არ ექვემდებარება მოგების გადასახადით დამატებით დაბეგვრას.

თუ კომპანიამ იანვარში ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მქონე პირისაგან მიიღო მომსახურება ღი-რებულებით 1000 ლარი და მისი გადახდა მოხდება თებერვლის თვეში, განაწილებული მოგების გადასახადის თანხა შეადგენს მიღებული მომსახურების ღირებულების 85% გამრავლებული მოგიების გადასახადის განაკ-ვეთზე (15 %-ზე) %-ზე) ე.ი.[(1000 / 85%) x 15%]. მოგების გადასახადის აღნიშნული თანხის დეკლარირება უნდა მოხდეს თებერვლის თვის დეკლარაციაში, რომლის დეკლარირების და გადახდის ვადა 15 მარტამდეა.

იმის გათვალისწინებით, რომ არარეზიდენტი კომპანიის წილის შესყიდვაზე ან მასში კაპიტალის გაზრდაზე გადახდილი თანხები იბეგრება მოგების გადასახადით, მოგების გადასახადის სწორად გაანგარიშების მიზნით ანგარიშზე „მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში“ (ანგარიში 2430) უნდა გამოიყოს ორი ქვეანგარიში:

- ინვესტიცია არარეზიდენტ კომპანიებში;
- ინვესტიცია სხვა კომპანიებში.

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის, რადგან შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის მიერ დარიცხული პირგასამტეხლო ან/და სხვა ჯარიმა იბეგრება მოგების გადასახადით, საჭირო ხდება ცალკე ანგარიშზე „დარიცხული პირგასამტეხლო და სხვა ჯარიმა“ (მაგალითად, ანგარიშების ჯგუფი „არასაოპერაციო ხარჯები“) ქვეანგარიშებად გამოიყოს:

- შეღავათიან ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიების მიერ დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმა;
- სხვა პირების მიერ დარიცხული პირგასამტეხლო და ჯარიმა.

**ფიზიკური და არარეზიდენტი პირების** მოგების გადასახადით დაბეგვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ კომპანია, რომელიც არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს, გასცემს სესხს ფიზიკურ პირზე, სესხის გაცემის დროის მიხედვით მოახდენს მოგების გადასახადით დაბეგვრას (სესხის თანხის 85% x 15%), ასახავს იმავე თვის დეკლარაციაში და ახდენს ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან კუთვნილი თანხის გადახდით, ხოლო იმ თვის დეკლარაციაში, როდესაც ფიზიკურმა პირმა სრულად დაფარა სესხით დავალიანება, უფლება აქვს საგადასახადო ორგანოსგან მოითხოვოს აღნიშნული თანხის დაბრუნება ან სხვა გადასახადებში ჩათვლა.

იმის გამო, რომ მოგების გადასახადის მიზნებისათვის სესხის საპროცენტო ხარჯებს კოდექსით განსაზღვრული აქვს გარკვეული შეზღუდვა, ბუღალტრულ აღრიცხვაში ანგარიში „საპროცენტო ხარჯი“ წარმოდგენილ უნდა იქნეს ორი ქვეანგარიშით:

- საპროცენტო ხარჯი ნორმის ფარგლებში;
- საპროცენტო ხარჯი ნორმის.

მოგების გადასახადის მიზნებისათვის საქველმოქმედო ხარჯებზე საგადასახადო კოდექსით დადგენილია ზღვრული ოდენობა, ამიტომ მოგების გადასახადის სწორად აღრიცხვის მიზნით საჭირო გახდება ანგარიშების ჯგუფში „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ გამოიყოს ანგარიშები:

- საქველმოქმედო ხარჯები ზღვრული ნორმის ფარგლებში;
- საქველმოქმედო ხარჯები ზღვრულ ნორმაზე ზევით.

**მოგების გადასახადით იბეგრება** საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული **წარმომადგენლობითი ხარჯი**.

მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნებისათვის წარმომადგენლობით ხარჯებს აქვს რა გარკვეული შეზღუდვა (ზღვრული წლიური ნორმა), გადასახადის სწორად გაანგარიშებისა და აღრიცხვისათვის საჭირო იქნება „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ ჯგუფში გამოიყოს ორი ანგარიში, მაგალითად:

- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ნორმის ფარგლებში;
- წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრულ ნორმაზე ზევით.

საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის შემთხვევები. გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა ხორციელდება იმ საანგარიშო პერიოდში რომელშიც დადგება ჩათვლის განსახორციელებლად აუცილებელი პირობის შესრულება. იმ შემთხვევაში თუ ჩათვლის შედეგად წარმოიქმნა ზედმეტობა მისი დაბრუნება შესაძლებელია ზედმეტობის დაბრუნებისათვის დადგენილი წესით.

საგადასახადო კოდექსით საწარმო უფლებამოსილია **ჩაითვალოს** საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი შესაბამისი საგადასახადო წლისათვის ამ მოგებაზე საქართველოში გადასახადის გადახდისას, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან. ასევე, საწარმო, რომელიც მოგების გადასახადით მოგების განაწილებისას იბეგრება, უფლებამოსილია გაცემული დივიდენდის მიხედვით მოგების გადასახადის გადახდისას შესაბამისი საგადასახადო პერიოდისათვის ჩაითვალოს საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი მოგების გადასახადი იმ შემოსავალზე, რომელიც მიღებული არ არის საქართველოში არსებული წყაროდან, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ჩათვლილი

თანხების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადების იმ თანხების ოდენობას, რომლებიც ამ მოგებაზე საქართველოში იქნებოდა დარიცხული, საქართველოში არსებული წესითა და განაკვეთებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ანგარიშზე „მოგების გადასახადი“ უნდა გამოიყოს ქვეანგარიშები:

- დაბრუნებადი მოგების გადასახადი;
- არადაბრუნებადი მოგების გადასახადი.

საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები შეეხო გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლას. ახალი ნორმებით საწარმოს უფლება აქვს 2008-2016 წლის ფინანსური მოგების განაწილებისას მოახდინოს ამ პერიოდში დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა. ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება ფორმულით – A×B/(C-D), სადაც:

A - დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხაა;

B - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხაა;

C - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობაა;

D - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის სანაცვლოდ პარტნიორისთვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების (წილის) ღირებულება.

აღნიშნული ცვლილებები საწარმოს აძლევს რა უფლებას 2008-2016 წლის ფინანსური მოგების განაწილებისას მოახდინოს ამ პერიოდში დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის ჩათვლა, ჩასათვლელი და გადასახდელი მოგების გადასახადის სწორად გაანგარიშებისა და აღრიცხვისათვის საჭირო გახდება ანგარიშზე - „დაგროვილი მოგება“ გამოიყოს რამდენიმე ქვეანგარიში, მაგალითად: ანგარიში „დაგროვილი მოგება საწარმოს დაარსებიდან 01.01.2008 წლამდე“; ანგარიში „დაგროვილი მოგება 01.01.2008 წლიდან 01.01.2017 წლამდე“; ანგარიში „დაგროვილი მოგება 01.01.2017 წლიდან“; ანგარიში „არარეზიდენტი (არაშეღავათიანი) შვილობილი კომპანიიდან მიღებული დივიდენდით ან ბანკის მიერ დარიცხული პროცენტით მიღებული მოგება“.

## ლიტერატურა:


1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2017 წლის აგვისტო
2. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა
3. ელენე ხარაბაძე, მუხრან ქამადაზე, მოგების გადასახადი და მისი აღრიცვის თავისებურებები'', 73-83, ჯურნალი ,,ინოვაციური ეკონომიკსა და მარტვა'', 2017 წლის მეოთხე ნომერი.

# Taxes and Selected Accounting Issues

Elene Kharabadze

*Professor*
*Tbilisi State University*

Merab Jikia

*Associate Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

One of the most important taxes throughout the world is Value-Added Tax (VAT), which represents the most prominent component in the formation of Georgia's state budget.

It is noteworthy that one of the requirement of becoming a member of the European Union (EU) is to enact VAT in the country's tax system. According to the Association Agreement, Georgia has taken obligation to harmonize its VAT regulations with EU Directive N 2006/112 (Article 285, Appendix 22 of the Association Agreement), which regulates issues related to VAT regarding supplying goods and rendering services. The Tax Code of Georgia (TCG) was amended due to the above-mentioned directive, which mandates taxing of advance payments. VAT is credited to the amount received and the tax is paid at the moment of receipt of advance payment.

The recent changes in Georgian tax legislation specifically affected the Corporate Income Tax (CIT). The following concepts related to the Corporate Income Tax have either been changed or modified: Taxpayer, Taxable Income, Tax Rate and Accounting Period. Therefore, important changes have to be implemented to the accounting of CIT. In order to correctly calculate and account for Corporate Income Tax, we believe that certain changes have to be made to firms' chart of accounts by creating special accounts and sub-accounts, defined by firms' accounting policy. These changes are related to the following groups of accounts: Account 1480 "Advances paid to suppliers", Account 5100 "Shareholders equity", Account 7490 "Other general expenses", Account 2430 "Investments in other entities" and a special account has to be created under issued loans.

***Keywords: Value Added Tax, Georgian Tax Legislation, Accounting Accounts, Chart of Accounts, Corporate Income Tax, Accounting, Accounting Policy, Retained Earnings,***

# სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში - ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები


ეთერ ხარაიშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ტენდენციები, შეფასებულია მათი განვითარების მაჩვენებლები. დასაბუთებულია, რომ სოფლის მეურნეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფად საქართველოსთვის აქტუალურია კოოპერატივების შექმნა და გაფართოება.*

*ნაშრომში გამოკვლეულია ფერმერთა დამოკიდებულება კოოპერირების პროცესისადმი, ფერმერთა ქცევის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი შედეგები. გაკეთებულია დასკვნა, რომ კოოპერირებაზე ორიენტირებული პროგრამები მიმდინარე პერიოდში მასტიმულირებელ როლს ასრულებს კოოპერირების განვითარებაში.*

*კოოპერატივების განვითარების ტენდენციებისა და ფერმერთა ქცევის შესახებ გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები კოოპერირების გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობებზე.*



***საკვანძო სიტყვები:*** *სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, წარმოების მასშტაბი, აგრობიზნესი, ფერმერი, ფერმერთა ქცევა.*


საქართველოში ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერატივების განვითარება, ევროკავშირის ერთ-ერთი რეკომენდაციაა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი," შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო." შესაბამისად, საქართველოში სამართლებრივად უზრუნველყოფილია სასოფლო--სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭება, შეწყვეტა, მონიტორინგი,სახელმწიფო პროგრამებისა და სხვა გადაწყვეტილებების განხორციელება [1].

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება, საქართველოსთვის, როგორც მცირემიწიანი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დღეს მოსახლეობის 75%-ზე მეტი მხოლოდ 1-დან 3 ჰა-მდე მიწის ფართობს ფლობს [2]. ცხადია, ასეთი მასშტაბის პირობებში აგროპროდუქტების წარმოება არაეფექტიანია. წარმოების მასშტაბების გამსხვილებაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. კოოპერირება ჩამოყალიბება უზრუნველყოფს მიწების გამსხვილების პროცესის დაჩქარებას, სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გაუმჯობესებას, ფერმერთა კონსოლიდაციას, აგროსასურსათო პროდუქტების გაყიდვების არხების გაფართოებას, ადგილობრივი პროდუქტების საექსპორტოპოტენციალისზრდასდა სხვ.

საქართველოში კოოპერატივების საქმიანობასა და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს, ასევე, კოოპერატივების განვითარების ხელშემწყობ ეკონომიკურ პოლიტიკას, ანხორციელებს შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზა, კოოპერატივების განვითარების მიმართულებებზე აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სექტორიც სხვადასხვა პროგრამის საშუალებით, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. უპირველესად აღსანიშნავია, რომ ფერმერთა უმეტესობა კოოპერატივებში ძირითადად გრანტის ან/და შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ერთიანდება. მხოლოდ მცირე მათგანისათვის არის კოოპერატივი წარმოების განვითარებისა და მოგების მიღების მასტიმულირებელი გაერთიანება. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს კოოპერაციის იდეას და ის კვლავ კოლექტიურ კოლმეურნეობასთან ასოცირდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ასეთი კოოპერატივების გრძელვადიან განვითარებას. ამ თვალსაზრისით კი გადამწყვეტია ფერმერთა დამოკიდებულების კვლევა კოოპერატივების განვითარებისადმი. შესაბამისად, კვლევის მიზანია საქართველოში კოოპერატივების განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ფერმერთა ქცევის შესწავლა ამ პროცესებისადმი და კოოპერატივების გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოსთვის აქტუალურია კოოპერატივების შექმნა და გაფართოება. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მთლიან რაოდენობაში 2017 წლის 1 იანვრის მონაცემებით, კოოპერატივების წილი მხოლოდ 0,8%-ს შეადგენს[3]. დასაქმებულთა რაოდენობის, გამოშვებული პროდუქციის მოცულობისა და დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურების მხრივაც კოოპერატივების როლი უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი)[4].

**კოოპერატივების განვითარების მაჩვენებლები საქართველოში**

| წელი | დასაქმებულთა რაოდენობა (ათასიკაცი) | პროდუქციის გამოშვება (მლნლარი) | დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი) |
|---|---|---|---|
| **2006** | 1.3 | 3.7 | 79 |
| **2007** | 0.5 | 1.1 | 66 |
| **2008** | 0.7 | 1.6 | 129 |
| **2009** | 0.6 | 1.3 | 118 |
| **2010** | 0.2 | 0.7 | 103 |
| **2011** | 0.5 | 1.1 | 161 |
| **2012** | 0.2 | 0.7 | 104 |
| **2013** | 0.1 | 0.6 | 161 |
| **2014** | 0.1 | 0.5 | 190 |
| **2015** | 0.2 | 3.0 | 350 |

როგორც 2006-2015 წლების მონაცემები გვიჩვენებს, კოოპერირებულ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ყველაზე მაღალი 2006 წელს იყო, ეს მაჩვენებელი დინამიკაში კლებადი ტენდენციისა და მხოლოდ 2015 წლიდან კვლავ ზრდა დაფიქსირდა. კლებადი ტენდენციისა კოოპერატივებში დასაქმებულთა რაოდენობაც. თუმცა, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურება 2015 წელს 2006 წელთან შედარებით 4,4-ჯერ არის გაზრდილი.

საქართველოში 2016 წლის მონაცემებით 1586 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივია რეგისტრირებული. კოოპერატივები რეგიონების მიხედვით განსხვავებულად არის განაწილებული: კახეთში – 156; ქვემო ქართლში - 224; მცხეთა-მთიანეთში – 86; შიდა ქართლში-119; სამეგრელო-ზემო სვანეთში – 127; გურიაში – 53; აჭარა – 155; სამცხე-ჯავახეთში – 358; იმერეთში – 124; რაჭა-ლეჩხუმში – 132; თბილისში – 52[4].

ფერმერთა კოოპერატივებისადმი დამოკიდებულების კვლევა, თავის მხრივ, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერი პროგრამების შეფასებას. კოოპერატივების განვითარების სააგენტო შემდეგ პროგრამებს ანხორციელებს: ა/ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს კოოპერატივებისათვის მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად გადაცემას. 2016 წლის მონაცემებით, დაკმაყოფილდა 1539 აგრო კომპლექტითა და დამატებით 201 ხელის სათესით დაკმაყოფილებულია სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე 684 კოოპერატივი; ბ/ „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით", რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 2015 წელს და მისი მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა. თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა;

გ/„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“, რომლის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრემეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება, მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება; დ/ რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული რეგისტრაციის შედეგად 9 სასოფლო--სამეურნეო კოოპერატივს სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარები გადაეცა. კოოპერატივებმა, ასევე, მიიღეს ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა; ე/ კოოპერატივების ტექნიკური დახმარება. 2015 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 30-მდემუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივებისთვის ჩატარდა პრაქტიკული ტრენინგი „საგადასახადო კოდექსთან“ დაკავშირებით. ტრენინგების ციკლში 233 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 387 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა[5].

დიაგრამა 1. კოოპერატივების რაოდენობა მიზნობრივი პროგრამების მიხედვით რეგიონებში[5].




ფერმერთა უმეტესობაზემოთ დასახელებული პროგრამებიდან პირველი პროგრამით სარგებლობს (იხ. დიაგრამა 1). მონაცემები ცხადყოფს, რომ მოტობლოკების პროგრამას ყველაზე მეტი მომხმარებელი ფერმერი ჰყავდა სამცხე-ჯავახეთში, ხოლო მეფუკრეობის პროგრამას რაჭა-ლეჩხუმში. ყველა პროგრამის მიხედვით მონაცემების დაჯგუფებამ გვიჩვენა, რომ კოოპერატივების ყველაზე დიდი რაოდენობა წილი სამცხე ჯავახეთის რეგიონის წილად მოდის 24%. ეს მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში შეადგენს 17%-ს, ქვემო ქართლში12%-ს. დანარჩენ რეგიონებში მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად მსგავსია და 3%-დან 8%-მდე მერყეობს.

რეგისტრირებული კოოპერატივების ნახევარზე მეტი (55%) შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მომხმარებელია (იხ. დიაგრამა 2).მონაცემების რეგიონულ ჭრილში ანალიზმა აჩვენა, რომ კოოპერატივებში გაერთიანებული ფერმერები შედარებით აქტიურები არიან გურიისა (რეგისტრირებულილ კოოპერატივების 77%) და სამცხე ჯავახეთის(რეგისტრირებული კოოპერატივების 58%) რეგიონებში. გამოკაკლისია რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი, სადაც კოოპერეტივების უმეტესობა რამდენიმე პროგრამის მომხმარებელია.აქტიურობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა აჭარა (19% ) და კახეთის რეგიონი (34%).

დიაგრამა 2. სასოფლო-სამეუნეო სტატუსის მქონე და მიზნობრივი პროგრამების კოოპერატივების რაოდენობა რეგიონების მიხედვით[5].




სოფლად მცხოვრები ფერმერთათვის კოოპერატივების თანამედროვე კონცეფცია სიახლეა, შესაბამისად, გრძელვადიან პერიოდში კოოპერირების მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფერმერთა დამოკიდებულების გამოკვლევა ამ პროცესისადმი.ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ევროპის სოფლის მეურნეობის სტუქტურაში. ევროპის უმეტეს ქვეყნებში პირველად წარმოებაში ჩართული მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე ფერმერია. ევროკავშირის მასშტაბით სასოფლოდსამეურნეო კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 9 მილიონს აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სამი ფერმერიდან სულ მცირე ორი ერთ რომელიმე კოოპერატივში მაინც არის გაწევრიანებული. ევროპაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლზე ისიც მიუთითებს, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, გადამუშვებისა და მარკეტინგის 60%-ზე მეტი სწორედ მათზე მოდის[6].

კახეთისა და იმერეთის რეგიონებში განხორციელებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ თანამედროვე კონცეფციის შესაბამისი კოოპერირება განვითარების საწყის ეტაპზეა[7, გვ. 89]. ჯერჯერობით ფერმერთა უმეტესობას კოოპერირების პროცესისადმი ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ და აღნიშნავენ, რომ კოოპერატივები სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის ან გრანტების მისაღებად შექმნეს. ფერმერთა მხოლოდ მცირე ნაწილი კოოპერატივს რესურსების გაერთიანების, მართვისა და ბაზარზე წარმატებით გასვლის ეფექტიან შესაძლებლობად მიიჩნევს[8, გვ. 11].

კოოპერატივებისადმი დამოკიდებულებების შესაბამისად გამოიკვეთა კოოპერირების დადებითი და უარყოფითი შედეგები. დადებით შედეგებად ფერმერების მიერ განიხილება: მატერიალური და შრომითი რესურსების გაერთიანება და ეფექტიანი გამოყენება; გრანტებსა და სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა; წარმოებისა და გასაღების დანახარჯების შემცირება; წარმოების მასშტაბების ზრდა; გაიზრადა ინტერესის გაჩენა სხვადასხვა პროგრამებიდან ფინანსური რესურსების მიღებასა და წარმოების შექმნაზე; კონკრეტული დარგების განვითარება; ტექნიკურად აღჭურვილი კოოპერატივები და სხვ. უარყოფითი შედეგებად მიჩნეულია:ბიუროკრატიული ბარიერები; კოოპერატივის გართულებული მენეჯმენტი; შეფერხებები გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში; ოპერატიულობის დაბალი დონე წარმოებისა და გასაღების სფეროებში; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე; სირთულეები დოკუმენტების წარმოებაში, ახალგაზრდობის ჩართულობის და ინეტერესის დაბალი დონე და სხვ.

კოოპერირირების პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერებით, ასევე, ფერმერთა ქცევის ანალიზით შესაძლებელია ვივარაუდოდ, რომ საქართველოში მიმდინარე პერიოდში წარმოებისა და გასაღების სფეროებში კოოპერირება საკმარისი არ არის წარმოების მასშტაბების ზრდისათვის. გრძელვადიან

პერიოდში ამ პროცესის სტიმულირება რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებითა და დარგების მომცველობის გაზრდით ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის მდგრად განვითარებას.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- მიმდინარე პერიოდში სოფლის მეურნეობაში კოოპერირების პროცესი საწყის ეტაპზეა. გრძელვადიან პერიოდში წარმოების მასშტაბების გაზრდისათვის აუცილებელია სახელმწიფო პროგრამებმა მასტიმულირებელი როლი შეასრულოს ამ პროცესში;
- ფერმერთა უმრავლესობა სკეპტიკურად არის განწყობილი კოოპერატივების მიმართ. საჭიროა კოოპერაციის კონცეფციის თანამედროვე იდეის რეკლამა დაფერმერთათვის შესაბამისი ცოდნის მიწოდება;
- კოოპერირება დარგების მცირე რაოდენობას მოიცავს, ამასთან, ძირითადად განვითარებულია წარმოების პროცესში. მიზანშეწონილია კოოპერირების პროცესის სტიმულირება დარგების მომცველობის გაფართოებისა და გასაღების სფეროების მიხედვითაც წარიმართოს;
- სირთულეებია ფერმერთა მხრიდან საკანონმდებლო ნორმატივებისა და საჭირო პროცედურების აღქმის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია კოოპერატივის წევრებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოების შემუშავება და მიწოდება კვლევებზე დაფუძნებული მოთხოვნების შესაბამისად;
- დაბალია კოოპერატივის წევრების ცოდნა და უნარ-ჩვევები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სახეობების შესახებ.სასურველია ფერმერების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო კურსების შემუშავება და მათთვის ეფექტიანი ფორმებით მიწოდება.

ლიტერატურა:


1. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივისშესახებ, თბილისი, 2013.
2. ხარაიშვილი ე., ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ,,ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები, 27-28 ივნისი, 2015.
3. სტატისტიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები http://www.geostat.ge/?action=page&p_-id=238&lang=geo
4. სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივები http://eugeorgia.info/ka/articlevideo/28/sasoflo-sameurneo-kooperativebi/
5. სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივებისგანვითარებისსააგენტოს მონაცემები http://acda.gov.ge/
6. სოფლისმეურნეობისკოოპერატივებისაქართველოშიhttp://www.interpressnews.ge/ge/thvalsazrisi/315831-soflis-meurneobis-kooperativebi-saqarthveloshi-imedebi-da-gamotsvevebi.html?ar=A
7. ფერმერული მეურნეობების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები - ევროკავშირის მოდელები და გამოწვევები საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სამეცნიერო-პრაქტიკული კვლევის პროექტის ანგარიში (ხარაიშვილი ე., ჩავლეიშვილი მ., ნაცვალაძე მ., ნაცვლიშვილი ი., გაგნიძე ი., ლაზარიაშვილი თ., თბილისი, 2016.
8. მცირე ფერმერთა კოოპერაციისა და პროდუქტიულობის ზრდა იმერეთსა და რაჭაში, ქართველ ფერმერთა კოოპერაციის მხარდაჭერა, http://pin.ge/plugins_images/opportunities/booklet_2015.pdf

# Development of Agricultural Cooperatives in Georgia - Farmers' attitude and assessments

Eter Kharaisvili

*Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The article analyzes the trends of agricultural cooperatives in Georgia and assesses the indicators of their development. It is substantiated that the creation and expansion of cooperatives is important for ensuring sustainable socio-economic development of agriculture in Georgia.

In this paper there is investigated the farmers' attitude towards the process of cooperating, based on the analysis of farmers' behavior, positive and negative results of this process are revealed. There is made a conclusion that the cooperating-oriented programs perform a stimulating role in the development of cooperation in the current period.

There are made the conclusions on the development of cooperatives and the behavior of the farmers and are proposed the recommendations on the long-term development opportunities for cooperatives.

*Keywords: Agricultural cooperatives, production scale, agribusiness, farmer, Farmers behavior.*

# სოციალური მარკეტინგი როგორც სოციალური ტექნოლოგია

ელისაბედ ხახუტაშვილი

*აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*მარკეტინგულმა საქმიანობამ თანამედროვე საზოგადოებაში შეიძინა მრავალი ნაირსახეობა და შეინარჩუნა არსებითი კავშირი გაცვლის პროცესებთან. სოციალური მართვის ინოვაციები მოიცავენ მარკეტინგულ მეთოდებს სოციალური პროგრამის მეთოდოლოგიაში იმის მისაღწევად, რომ მოსახლეობის პოზიტიური საქციელი შეიცვალოს უფრო მეტი უკეთესობისაკენ, რითაც მნიშვნელოვნად ფართოვდება მისი გამოყენების არეალი.*

*სტატიაში შედარებითი ანალიზის მეთოდით გამოკვლეულია სოციალური და კომერციულ მარკეტინგს შორის განსხვავება, განხილულია სხვადასხვა სოციალური ტექნოლოგიები, ასევე დამოკიდებულება სოციალური დაგეგმარების გამოყენებით, სოციალურ მართვისა და ქვეყნის სოციალურ პოლიტიკის მოდელს შორის. სოციალური სფეროს კომერციალიზაცია ხელს უწყობს სოციალურ მარკეტინგზე შეხედულების გავრცელებას როგორც სოციალური მომსახურების ეფექტიანი გასაღება, რის გამოც დაშორებულია მის აუთენტური აზრისგან, რომელიც პრაქტიკაში რეალიზდება საქველმოქმედო პროექტებით. სოციალური მარკეტინგის ამოცანები სრულდება სოციალური ცოდნის და სოციოლოგიური მეთოდოლოგიის საფუძველზე, როცა პროექტიდან არ მიიღება მოგება, და განისაზღვრება მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. სხვადასხვა თეორიული პოზიციის, მიდგომის და მიმართულების განხილვა-შეფასებისას გამოყენებული იქნა მარკეტინგული მეთოდები სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ავტორის მიერ შემოთავაზებულია სოციალური მარკეტინგის ორიგინალური განსაზღვრება. სტატიის მასალებს და დასკვნებს აქვს მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისათვის.*

***საკვანძო სიტყვები:** სოციალური მართვა; სოციალური პოლიტიკა; კომერციული მარკეტინგი სოციოლოგიური კვლევები; აუთენტური აზრი.*

მარკეტინგი საზოგადოებაში სამეურნეო საქმიანობის უძველესი ფორმაა პროდუქტის გასაღებისთვის, რის გამოც მიიღო კოლოსალური სპეციალიზებული განვითარება. მარკეტინგის მრავალრიცხოვანმა განმარტებამ, როგორც ეკონომიკური საქმიანობის სახემ, გამოხატა მისი საბაზო მიზანი – ხელი შეუწყოს ბალანსირებულ ეკონომიკურ გაცვლას საქონლისა და მომსახურების წარმატებული ორგანიზაციის მეშვეობით. საქმიანობის ეს სახეობა დაკავშირებულია ეკონომიკური მიზნით დანახარჯების ამოღებასთან სამეწარმეო პროდუქტიდან. როგორც ამბობენ, „მარკეტინგს იყენებენ ყველაფრისთვის, რისი გაყიდვაც შეიძლება ბაზარზე"[1,გვ.348].

დროთა განმავლობაში მარკეტინგში შეიქმნა მიმართულება, რომელიც შეისწავლის პროდუქტის შემქმნელ მყიდველს. ლოზუნგის - "საქონელი მყიდველისთვის" ამ მიმართულების შესწავლა გახდა მარკეტინგის წამყვანი სახე. დანახარჯების შემცირება, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება, გაყიდვების უზრუნველყოფა ინფორმაციული ტექნიკით უკვე აღარ ითვლება გაყიდვების ორგანიზაციის მთავარ მეთოდად. "მარკეტინგმა თავდაპირველად უნდა უზრუნველყოს საწარმოში მომხმარებელთა სურვილები, რითაც განსაზღვრავს გამოშვებული პროდუქციის სპეციალიზაციას და ასორტიმენტს, შემდეგ უნდა მოხდეს საწარმოში პროდუქციის რეალიზაცია საწარმოსთვის მაქსიმალური მოგებით[2,გვ.285].

ჰუმანური პრინციპების ზეგავლენით საზოგადოებამ მოსთხოვა მიმწოდებლებს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა ბიზნესში მომხმარებლის მხრიდან, რის შედეგადაც წარმოიქმნა კიდევ ერთი მარკეტინგის სახე: ბიზნესი იწყებს მიმართულების განვითარების შეზღუდვას, ზრუნავს საზოგადოების უსაფრთხოებაზე, იმიჯზე, ხაზს უსვამს საზოგადოების საქმიანობის ინტერესებს. მწარმოებლის სოციალური პასუხისმგებლობის ქვეშ იგულისხმება ორიენტაცია საქმიანობაში საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით, სადაც დაცულია მაღალი სტანდარტები საქმიან საქციელში. მორალური პრინციპების დაცვა და

ზრუნვა საქონლის შემქმნელსა და მომსახურებაზე, მათ შორის მარკეტოლოგების ზრუნვა საწარმოს სოციალურ დადებით შედეგებზე. პროდუქტის და მომსახურების განაწილებას ეწოდება **სოციალური პასუხისმგებლობითი მარკეტინგი**. თანამედროვე საბაზრო ურთიერთობაში მწარმოებლის იდეალად ითვლება მისი ორიენტაცია სოციალურ შედეგებზე მისი საქმიანობიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს:

– გარემოს დაცვას ალტერნატიული ენერგიის გამოყენებით, ეკოლოგიურად შეფუთულად გადამუშავება;

– სოციალურ სამუშაოს და ქველმოქმედებას;

– თანამშრომლების დახმარებებს და შეღავათებს;

– უარის თქმა არასწორი და ამორალური მეთოდებით მარკეტინგული საქმიანობისადმი (ქრთამი, რეკლამით შეცდომაში შეყვანა, მონოპოლიური ხელშეკრულებანი, წინააღმდეგობა საქონლის გაყიდვაში კონკურენტებთან, უხარისხო პროდუქცია, ჯანმრთელობის საწინააღმდეგო პროდუქცია, ფასისმიერი დისკრიმინაცია, არამართებული მარკირება და ა.შ.).

მარკეტინგული საქმიანობისადმი მიდგომა, მიმართული მიმწოდებლის სასურველი მყიდველობითი საქმიანობით, ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70-იან წლებში და ადაპტირებული იქნა მოსახლეობის ნეგატიური საქციელის შეცვლით საზოგადოების კეთილდღეობის მისაღწევად. ბოლო პერიოდში შეიქმნა საზოგადოებრივი და კომერციული ორგანიზაციების მიერ შექმნილი პროექტები საზოგადოების სოციალური პრობლემების გასაუმჯობესებლად. წარმოიქმნა ცნება „სოციალური მარკეტინგი“, რომელიც პირველად გამოყენებული იქნა მსოფლიო ბანკის და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში.

**სოციალურმა მარკეტინგმა**, როგორც ინსტრუმენტმა, მოსახლეობის საქციელის პოზიტიური შეცვლა და სოციალური ცვლილებების ევოლუცია მოახდინა. დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, რეალიზდება სოციალური მარკეტინგის პროგრამები (ღონისძიებები), მიმართული მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან ერთად მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ესენია: საზოგადოების ჯანმრთელობის დონის ამაღლება; ტრავმატიზმის და სიკვდილიანობის შემცირება მანქანაში უსაფრთხოების ღვედის გაკეთების შედეგად; გარემოს გაუმჯობესება მანქანებიდან მავნე აირების გამონაბოლქვის შემცირებით ტექდათვალიერების ჩატარების გამო; C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელება; ონკოლოგიური დაავადების მკურნალობა ადრეული დიაგნოსტიკის შედეგად, ახალგაზრდებში ნარკოტიკული და ალკოჰოლური სასმელებისგან თავის შეკავება; ხანდაზმული ადამიანებისათვის ფეხსაცმელებზე ზამთრის პერიოდში სპეციალური კბილანების გაკეთება ტრამვის თავიდან აცილებისათვის; უსახლკარო ცხოველებისადმი ზრუნვის აღმოჩენა და კიდევ ბევრი სხვ.

**სოციალური მარკეტინგი** ეს რაღაც სოციალური ფასეულობების წინ წაწევა, შესრულება, შესწავლის ინსტრუმენტია ასევე სოციალური იდეების აღქმის ამაღლება საზოგადოების გარკვეულ ფენებში.

მეცნიერთა აზრით, სოციალური მარკეტინგი იყოფა სამ ჯგუფად: **პირველ ჯგუფში** შედიან ისინი, ვინც „სოციალური მარკეტინგის“ მცნებაში დებენ აუთენტურ აზრს, ასახულს დოკუმენტში „ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია“. სოციალური მარკეტინგი ესმით როგორც სოციალური ტექნოლოგია, რომელიც აუმჯობესებს საზოგადოების კეთილდღებას[3,გვ.13]. **მეორე ჯგუფში** შედიან ის მეცნიერები და მარკეტოლოგები, რომლებიც ვერ ხედავენ განსხვავებას **სოციალურ** და **კომერციულ** მარკეტინგს შორის, ანუ არსებითად აიგივებენ მათ[4,გვ.224]. **მესამე ჯგუფის** წარმომადგენლები, კომერციულ მარკეტინგს უწოდებენ **ქცევის შეცვლის პროექტებს**, რის გამოც სოციალური მარკეტინგის ცნება რჩება შინაარსობრივად **განსხვავებული**.

კომერციული და სოციალური მარკეტინგის გაიგივების მიდგომით, შეიძლება გამოიყოს ორი მიმართულება: **პირველი**, ბევრი მარკეტოლოგი, კომერციულ (მომგებიანი) მარკეტინგის სოციალურ ასპექტებს უწოდებენ სოციალურ მარკეტინგს, აიგივებენ მასთან სოციალურ პასუხისმგებლობას, ან სოციალურ ეთიკურ მარკეტინგს. ამ ტენდენციას ამაგრებს ის გარემოება, რომ პრაქტიკული მარკეტინგი დღეს შეუძლებელია მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის გარეშე. მარკეტოლოგები ატარებენ ეკონომიკურ ანალიზს მიზნობრივ ჯგუფებთან ერთად და იზიარებენ მომხმარებელთა სოციალურ ინტერესებს. საქონლის

და მომსახურების მწარმოებლებისთვის ხელსაყრელია გადაწყვიტოს სხვადასხვა სოციალური პრობლემა, რითაც ზემოქმედებას მოახდენს სოციალურ პროცესებზე, კომერციული ინტერესების გათვალისწინებით. საბაზრო ინტერესების გაცვლით წარმოიქმნება მწარმოებელსა და ფართო მომხმარებლის ინტერესების სიმბიოზი, რაც ეკონომისტების მიერ მოიაზრება როგორც სოციალური მარკეტინგი.

სოციალური მარკეტინგში იგულისხმება სოციალურ სფეროში (ჯანმრთელობის დაცვა, საგანმანათლებლო კულტურა). ხშირად სოციალურ მარკეტინგის საქმიანობაში იყენებენ სოციალურ ტექნიკას კომერციული სოციალური სფეროსთვის. ამ მიმართულებით მოსახლეობის სოციალური დაცვა ხორციელდება როგორც სოციალური მაკეტინგი, ანუ, **წარმოება, განაწილება, გაცვლა და მომხმარებელთა სოციალური მომსახურება**. მაგალითად, საბაზრო პრინციპების წინწაწევა და პრაქტიკული მარკეტინგი სოციალურ სფეროში, ასევე სამედიცინო ჯანდაცვის სისტემა განიხილება როგორც სოციალური მარკეტინგის ტექნოლოგია, რომლის საშუალებით მოსახლეობა დაკმაყოფილებულია სამედიცინო ხარისხიანი მომსახურებით ადეკვატური გაცვლით ეკონომიკური ეფექტურობის ხერხით, რომელიც ამაღლებს მოსახლეობის კეთილდღეობას.

სოციალური მარკეტინგის გავრცელებული პროგრამა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალური პოლიტიკის თავისებურებასთან. მისი პროექტები აქტიურად რეალიზდება იქ, სადაც ფინანსირდება სოციალური დაცვა - უპირველესად, ევროპულ ქვეყნებში და აშშ-ში სოციალური მარკეტინგი ჩვენს ქვეყანაში შემოტანილი იქნა უცხოური ფონდების საქმიანობით XX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ.

ცნობილია, საქართველოში სოციალური მარკეტინგის შემდეგი პროგრამები: ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო, შიდსისგან თავდაცვა, თავდაცვის ქამრების გაკეთება, ყველაზე მნიშვნელოვანი ამჟამად საქართველოში C-ჰეპატიტთან ბრძოლაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, კომერციულ და სოციალურ მარკეტინგს შორის მკვეთრი განსხვავება: საერთოა მათ შორის პოზიტიური პროდუქტის (იდეის) ხარისხი და მისი ღირებულება, გავრცელების ადგილი, რომელიც პრინციპიალურად არ ცვლის ამ მდგომარეობას. კომერციული და სოციალური მარკეტინგი მხედველობაში იღებს სოციალურ კავშირებს, მაგრამ განსხვავებული მიზნებით. თუ **სოციალური მარკეტინგი** იკვლევს რომელიმე სოციალურ თემას (საზოგადოებას), რათა შეცვალოს მისი შეხედულება მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, მაშინ **კომერციული მარკეტინგი შეისწავლის** მოსახლეობის რომელიმე კატეგორიას და გამოიყენებს სოციალურ ცოდნას საწარმოს საქონლის შეცვლის მიზნით. სოციალური მარკეტინგი არ არის ჩართული სამეწარმეო საქმიანობის სისტემაში. მისი დახმარებით გადაწყდება სოციალური ამოცანები და არა კომერციული (მოგების მიღება ან მისი გაზრდა). მარკეტინგული მეთოდები გამოიყენება პროდუქტის წინ წაწევისთვის (გაყიდვა) კომერციულ და სოციალურ მარკეტინგში. სოციალურ მარკეტინგში „წინ წაწევან არის არა პროდუქტები და მომსახურება, არამედ სხვადასხვა სახეობის ინიციატივების პროგრამები, მატერიალური და ფსიქოლოგიური დახმარების სახით. ხალხის გაერთიანებაში, ინფორმაციის შეკრებაში და სხვ. ეს პროგრამები წარმოადგენენ ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც გამოხატავენ საზოგადოებისათვის სასარგებლო იდეებს.

**სოციალური მარკეტინგი უნდა განვასხვავოთ სხვა სოციალური ტექნოლოგიებისაგან, მაგალითად, სოციალური რეკლამისაგან, სოციალური მუშაობისა და პოლიტიკური მარკეტინგისაგან. სოციალური რეკლამა ეს სახელმწიფო ორგანოს** სოციალურ-ინფორმაციული კომპანიაა და არაკომერციული ორგანიზაციები. „‡"'-‚‣-†' რეკლამის საგანია იდეა, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული სოციალური მნიშვნელობან. ეს ტექნოლოგია იყენებს ქცევის შეცვლის ვიზუალურ ხერხებს (გარეთა რეკლამა, საფოსტო რეკლამა, რეკლამა თითოეულ სახლში და სხვა), სოციალური რეკლამა ინსტრუმენტად იყენებს პროექტებში სოციალურ მარკეტინგს. სოციალური მუშაობის ტექნოლოგია მდგომარეობს დეპრივირებული (რაღაც კეთილდღეობის აღკვეთა) სოციალური ჯგუფების ადაპტაციას არსებულ სოციალურ წესრიგთან. სოციალურ მუშაობაში, ისე როგორც სოციალურ მარკეტინგში, ტარდება დაინტერესებული ჯგუფების სოციოლოგიური კვლევები (მაგალითად, ინვალიდების, მოხუცების, მიგრანტების და სხვ.). სოციალური მუშაობის მიზანია კეთილდღეობის მიცემა დეპრივირებულ (სოციალურ) ჯგუფებისათვის არსებული სოციალურ წესრიგისადმი.

პოლიტიკურ მარკეტინგში ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის და პოლიტიკური სტრუქტურის ცალკეული პიროვნებების და იდეების წინწაწევა. სოციალური მარკეტინგის მიზნები და ამოცანები არ გადა-

იკვეთება სოციალურ ტექნოლოგიებთან. მისი ორიგინალობა არის ის, რომ საზოგადოება პროექტში ჩართულია რომელიმე პრობლემის ირგვლივ სპონსორის სახსრებით, რის შედეგად საზოგადოება იგრძნობს სარგებლობას და გამორჩენას თავისთავის ალტერნატიული (პოზიტიური) მოდელისაგან. პროექტის დამთავრების შემდეგ თვითონ მოუნდება საზოგადოებას განახორციელოს ყოველდღიურ ცხოვრებაში კეთილდღეობის მიზნით. მიზნობრივი აუდიტორიის წარმომადგენლებს პროექტის მსვლელობისას, შეუძლიათ შეცვალონ ან უარი თქვან უარყოფითი მოდელისაგან. პროექტის ეფექტურობის შესახებ სოციალური პრობლემების გადაწყვეტისას, მიზნობრივი აუდიტორია ყოველთვის მხარს დაუჭერს დადებითი ქცევის პროგრამის მოდელს.

სოციალური მარკეტინგის კუთვნილება სოციალური ცოდნით დასტურდება იმით, რომ სოციოლოგია არსებობს პროგრამის დაწყებისა და დამთავრებისას. პროგრამის დამუშავების და მისი შესრულებისთვის აუცილებელია სოციალური ქცევის და სოციალური უთანაბრობის კონკრეტული სოციოლოგიური მეთოდების ცოდნა მიზნობრივი აუდიტორიის შესწავლისათვის, მონიტორინგის განხორციელება და მისი შეფასება, განხორციელება მისი შემსრულებლების რეალიზაციისათვის. სოციალური მარკეტინგის ტექნოლოგიაში არის სოციოლოგიური კვლევის შესატყვისი ეტაპების ელემენტები. კომერციული მარკეტინგისგან განსხვავებით და სოციოლოგიური კვცლევის ანალოგიურად, სოციალური მარკეტინგის პროგრამის შემუშავება იწყება სოციალური პრობლემის განსაზღვრით, პრობლემა ფორმულირებული უნდა იყოს გარკვეულად და სრულად. საგნის შესწავლის პარალელურად, მასში მოცემული უნდა იყოს საზოგადოების კეთილდღეობა პროგრამით გათვალისწინებული.

პრობლემის ჩამოყალიბების შემდეგ მკვლევარები გადადიან პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაზე, ირჩევენ მიზნობრივ აუდიტორიას, პროგრამის მიზნების და ხალხთა ჯგუფის განსაზღვრა მიმდინარეობს უწყვეტად. მკვლევარებმა, უნდა გაითავისონ პრობლემა ადამიანის პოზიციიდან გამომდინარე. მიზნობრივი აუდიტორია უნდა განისაზღვროს პროგრამის მიზნებისა და ამოცანებია მიხედვით, მაგალითად, თუ პროგრამის მიზანია ახალგაზრდებში სიგარეტის მოწევის წინააღმდეგ ბრძოლა, მკვლევარებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა სტატუსის ნიშნები (მაგალითად, ოჯახური და განათლების სტატუსი) მოწევის ჩვევაზე დამოკიდებული.

პროგრამის გეგმის მიხედვით, მიზნობრივი აუდიტორიის მიერ ტარდება სოციოლოგიური გამოკვლევა დაკვირვებით, ინტერვიუების მეთოდიკით, არაფორმალური გამოკითხვებით, ღრმა თავისუფალი საუბრის სახით. კვლევის საგანია ფასეულობები (შინაგანი, პირადული), სისტემური (გარე სოციალური) ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ მოითხოვს ქცევის შეცვლას. სოციალური მარკეტინგის სპეციალისტები ამუშავებენ სოციალური მარკეტინგის კომპლექსურ გეგმას. პროგრამის მოცემულ ეტაპზე ტარდება სიტუაციური ფაქტორების ანალიზი, რომელიც დადებითად თუ უარყოფითად, მოქმედებს შეცვლილ ქცევაზე. პრაქტიკაში სოციალური მარკეტინგის პროექტის გეგმა შედგება შემდეგი საკითხებისაგან: მიზანშეწონილია ქცევის (პროდუქტის) ახალი მოდელის შექმნა; შეფასდეს შეცვლილი ქცევა მიზნობრივი აუდიტორიის ცალკეული წარმომადგენლისათვის; განსაზღვრული უნდა იყოს ადგილი, სადაც მიიღებს ინფორმაციას ახალი მოდელის შესახებ; დამუშავებული გეგმის ღონისძიებების მხარდაჭერის და სახსრების შესახებ.

ქცევის ახალი მოდელი, მაგალითად, კატეგორიული უარის თქმა მოწევაზე, ამცირებს თამბაქოს ნაწარმთა გამოყენების შემცირებას. ადამიანებმა მაქსიმალურად ღიად უნდა გაიაზრონ პროექტის სარგებლობა. პროექტის მონაწილეთა მატერიალური და არამატერიალური სახსრების „ფასი“ არის მავნე ჩვევებისგან – მოწევისგან უარის თქმა. არამატერიალური ხარჯები დროის მიხედვით ფსიქოლოგიურ მუშაობაზე მიდის. სოციალური მარკეტინგის პროგრამაში შედის აგრეთვე ღონისძიებები, რაც ამცირებს ინდივიდუალურ დანახარჯებს (მაგალითად, დონორის სისხლის მიტანა დანიშნულების ადგილზე ან რაიმეს გაყიდვა განვადებით). სოციალურ მარკეტინგში ღონისძიებების ლოკალიზაციის „ადგილს“ ეწოდება პროდუქტების და საგნების უზრუნველყოფის ხელმისაწვდომობა.

ამრიგად, სოციალური თეორიის და პრაქტიკის საფუძველზე საზოგადოების ინიციატივების წინ წაწევით, მიზანშეწონილია განისაზღვროს ღონისძიებათა რეალიზაციის გეგმა, როგორც სოციალური ტექნოლოგია: ხალხის ცალკეული ჯგუფების ქცევის შეცვლა საზოგადოების ეფექტიანი მართვით, რათა მიღწეული იქნეს მათი კეთილდღეობა.

ლიტერატურა:

1. დიდი ეკონომიკური ენციკლოპედია., 2007, გვ. 816, მ.
2. კოტლერი ფ., ლი ნ., სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარკეტინგი. 2008, გვ. 384, პიტერი.
3. რუმიანცევი ე., ახალი ეკონომიკური ენციკლოპედია. 2010, გვ. 826, მ.
4. რეშეტნიკოვი ა.ვ., სოციალური მარკეტინგი და სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. 1998, გვ. 333, ფინანსები და სტატისტიკა.

## Social Marketing as Social Technology

Elisabed Khakhutashvili

*Associate Professor,*
*Georgian Technical University*

**R e s u m e**

Marketing activity in a modern society acquired many types, preserving sufficient think with the processes of change, Social innovation management included marketing methods into methodology of social programs to reach positive changes in population behavior, having increasingly expanded sphere of their application. The author compares the differences of the social and commercial marketing, various social technologies, showing the dependence of the usage of social engineering for social management on the model of the social policy of the state. Commercialization of the social sphere in Georgia promoted the spreading of view on the social marketing as efficient sale of the social services. And it goes far away from the practice of realization of charitable projects. The tasks of the social marketing are performed on the basis of social knowledge and social methodology and are not aimed at profile making but at the welfare of view on estimation of marketing methods for solving social and economic problems. Materials and conclusions of the article may be used to practice of state and business organizations.

*Keywords: social management; social policy; commercial marketing; social research.*

# პრობლემების იდენტიფიცირება ტურიზმში ტრანსდისციპლინური მიდგომების გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე)

იოსებ ხელაშვილი

*გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*კვლევა ეძღვნება ტურიზმის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, რაც ხორციელდებ აუახლესი, ე.წ. ტრანსდისციპლინარული მიდგომები სგამოყენებით. კვლევა ჩატარდა საქართველოს რეგიონების მაგალითზე. მდგრადი განვითარების კონცეფცია იძენს ფართო პოპულარობას და, იმავ დროულად, იმყოფება სრულყოფის პროცესში. მიმდინარე ეტაპზე, გამოვლინდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთმანეთისაგან დაშორების ტენდენცია. ამან განაპირობა ე.წ. ტრანსდისციპლინარული მიდგომების აღმოცენება, რაც ორიენტირებულია აღნიშნული პრობლების დაძლევაზე. სტატიაში გაანალიზებულია მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმირების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები, იმ საკვანძო დებულებების გამოსავლენად, რასაც ენიჭება პრიორიტეტული მნიშვნელობა ტრანსდისციპლინარულ მიდგომებში. აქცენტი კეთდება ტრანსდისციპლინარული ხასიათის პრობლემების იდენტიფიცირებაზე, რაც წარმოადგენს ამ კონცეფციის კვლევითი პროცესის საწყის ეტაპს. სტატია შეიცავს აღნიშნული მეთოდიკით განხორციელებული პირველი საცდელი კვლევების შედეგებს. პრობლემების იდენტიფიცირება და პირველი მიახლოებით სტრუქტურიზება ჩატარდა საქართველოს განსხვავებული გეოგრაფიული პირობების მქონე - ზღვის პირა, მთინდადაცული ტერიტორიების მაგალითებზე.*

*საკვანძო სიტყვები: ტრანსდისციპლინარული კვლევა; პრობლემის იდენტიფიცირება; მდგრადი ტურიზმი; მდგრადი განვითარება; საქართველო.*

### მდგრადი განვითარების კონცეფციის ტრანსდისციპლინარული მიდგომები

მდგრადი განვითარება შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელმაც ჩამოყალიბება დაიწყო 1987 წლიდან, გაეროს კომისიის, ე.წ. „ბრუტლანდის ანგარიშის“ გამოქვეყნებით [6]. ეს დოკუმენტი, თავის მხრივ, ეფუძნებოდა 1972 წ გაეროს ეგიდით ჩატარებული, გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ კონფერენციის შედეგებს. ეს შედეგები ცნობილია სახელწოდებით: „სტოკჰოლმის დეკლარაცია“ [13]. მას შემდეგ, მდგრადი განვითარების კონცეფციამ მიიღო არაერთი მხარდაჭერა და განახლება გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან (იხ. ნახ. 1).

ტურიზმის მდგრადი განვითარების საკითხები პირველად აღინიშნა 2000 წელს, გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში, რომელიც მიეძღვნა 2015 წლამდე უკიდურესი სიღარიბის დაძლევის ამოცანებს. იგი ცნობილია სახელწოდებით: მილენიუმის სტრატეგიული მიზნები (MSG). 8 განსაზღვრული მიზნიდან, 4-ში აღნიშნულია ტურიზმის როლი. ეს მიზნებია: შიმშილისა და სიღატაკის დაძლევა, ქალთა უფლებების დაცვა და თანასწორუფლებიანობისათვისხელშეწყობა, ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა და განვითარების საკითხებში მსოფლიო თანამშრომლობის (პარტნიორობის) ჩამოყალიბება [11].

მდგრადი განვითარების ზოგადი კონცეფციის განვითარების პარალელურად სტაბილურად ვითარდებოდა და ვითარდერბა გლობალური ტურიზმი (იხ.ნახ.1), რომელიც გამოირჩევა თავის კომპლექსურობით, ფართო პოპულარობით და გარემოსთან განსაკუთრებულად მრავალმხრივი კავშირურთიერთობით. ამ ვითარებაში სავსებით ლოგიკურია აღნიშნული კონცეფციის გადაკვეთა ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებასთან. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) და ამავე ორგანიზაციის განვითარების პროგრამამ (UNDP), 2004 წ. გამოსცეს სახელმძღვანელო იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკაზე. იგი ითვალისწინებს 12 მიზნის მიღწევას[10, გვ. 25-46, 24 ]. (იხ. ჩანართი 1).

ნახაზი 1 გლობალური ტურიზმის ზრდა და მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმირების ეტაპები




წყარო: [9; 14; 16]

*ჩანართი : მდგრადი ტურიზმის დღის წესრიგის 12 მიზანი (ავტორის პირობითი თარგამანი ) ავტორის): 1) ეკონომიკური სიცოცხლი სუნარიანობა; ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობა; 3) დასაქმების ხარისხი; 4) სოციალურ ითანასწორობა; 5) ვიზიტორების მოლოდინების დაკმაყოფილება; 6) ადგილობრივი ჩართულობა; 7) საზოგადოებრივი ფასეულობები; 8) კულტურული სიმდიდრე; 9) გარემოს სტაბილურობა; 10) ბიომრავალფეროვნება; 11) რესუსრების ეფექტური გამოყენება;12) გარემოს სისუფთავე*

დღესასევე მოქმედებს საერთაშორისო რეგულირება, რომელიც დამტკიცებულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ, 2015 წელს. მას ეწოდება „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. რეზოლუცია შეიცავს 17 სტრატეგიულ მიზანს და 169 ამოცანას. მათ შორის ტურიზმის როლიკ ონკრეტულად ხაზგასმულია 3 პუნქტში ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ხელშეწყობა სამუშაო ადგილების შექმნაში, ადგილობრივი კულტურის შენარჩუნებაში და ადგილორივი პროდუქტების წარმოებაში (მუხლები 8.9; 12.ბ), მცირე მიწიანი კუნძულოვანი ქვეყნების რესურსების რაციონალურ გამოყენებაში (მუხლი 14.7)[15].

მდგრადი განვითარების კონცეფცია სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს საქართველოს მიმართაც [1; 2; 3; 4; 5], სადაც ტურიზმი წარმოადგენს ტრადიციულ, მზარდი ტემპებით განვითარებად და დღეს უკვე ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას. კერძოდ, ბოლო წლების მონაცემებით 3.7 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ქვეყანას ესტუმრა 6,4 მილიონამდე ვიზიტორი, მ.შ. 2,7 მილიონი ტურისტი (2016 წ). ტურიზმის ინდუსტრიის წილმა ქვეყნის მშპ-ში შეადგინა 6,6%-ი, ექსპორტში - 30%-ზე მეტი, შემოსავალმაკი გადააჭარბა 2,2 მილიარდ აშშ დოლარს, პირდაპირმა და ირიბმა დასაქმებამ ჯამში შეადგინა საერთო დასაქმების 17%-ი. შედარებით მოკრძალებულია ტურიზმის როლი უცხოურ ინვესტიციებში, რომლის წილი შეადგენს მხოლოდ 3,3%-ს (2015 წ). [7; 16].

ტურიზმის პროცესების შესწავლა მდგრადი განვითარების პოზიციებიდან ფეხს იკიდებს აკადემიურ და განათლების სფეროშიც. ამაზე მეტყველებს ქვეყნის ექსპერტების და დაწესებულებების ჩართვა შესაბამის საერთაშორისო კვლევით პროგრამებში, მდგრადი განვითარების სალექციო კურსების პოპულარიზაცია უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებში და სხვა. ეს მიდგომები ინერგება სახელმწიფო პოლიტიკაშიც. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ, 2015 წელს შემუშავდა ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც შედგება 8 მიზნისაგან. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, თითქმის ყველა პუნქტში მოიაზრება. ამასთან, პირდაპირი მითითება ასახულია ორმიზანში და შესაბამის ამოცანებში (იხ. ჩანართი 2) [4]:

მდგადი განვითარების მიზნები და მათი აღიარების დონე ცხადყოფს, რომ ეს მიმართულება წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალკომპონენტიან კონცეფციას, რომელიც აქტუალურია როგორც გლობალურად, ისე საქართველოში. კონცეფციის განვითარების მიმდინარე ეტაპს ახასიათებს განმარტებების და პრინციპული დებულებების სიმრავლე, რაც გაპირობებულია ამ პროცესის მულტიდისციპლინარული ხასიათით. მათი შესწავლისა და ანალიზის შედეგად, გამოვყავით ჩვენი აზრით 5 საკვანძოდებულებება, რომლებიც განზოგადებულად ასახავენ ამ მიდგომის ძირითად თავისებურებებს და გააჩნიათ პრიორიტეტული მნიშვნელობა ტრანსდისციპლინარული კვლებებისთვის. კერძოდ მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს:

1. ტურისტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობების გათვალისწინებით;
2. ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების დაბალანსებას, იგულისხმება - ტურისტების, ბიზნესის, ადგილობრივი მოსახლეობის, სახელმწიფოს და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესები;
3. მოცემულიდარგის (ტურიზმის) განვითარების ხედვას გარემოსთან მჭიდრო ურთიერთობში. ამასთან, გარემო პირობითად იყოფა სოციალურ, ეკონომიკურ და ბუნებრივ შემადგენლებად;
4. გარემოსთან ორმხრივ ურთიერთობას - დარგის ზეგავლენას ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოზე და ამ გარემოს ზეგავლენას ტურიზმის განვითარებაზე;
5. პროცესების შესწავლას ტურიზმის დანიშნულების ადგილებში (დესტინაციებში), სადაც აქტუალურია ამ დარგის მდგრადი განვითარების საკითხები (იხ. ნახ 2).

## პრობლემების იდენტიფიცირება ტრანსდისციპლინარულ კვლევებში საქართველოს მაგალითზე

პრობლემი სტრანსდისციპლინარული შესწავლის მეთოდოლოგია მოიაზრება მდგრადი განვითარების კონცეფციის კონტექსტში [8; 12]. შესაბამისად, ტრანსდიციპლინარული კვლევის ობიექტის აქტუალობა უნდა განისაზღვროს ამ კონცეფციის პოზიციებიდან, სულ ცოტა ზემოთ აღნიშნული 5 კრიტერიუმის გათვალისწინებით. ამასთან, ეს მახასიათებლები შესაძლოა ვლინდებოდეს ფრაგმენტულად, აღიქმებოდეს ცალმხრივად დაინტერესებული მხარეების მიერ, კერძოდ, იმდენად რამდენადაც ისინი უკავშირდება მათ ინტერესებს და ცოდნას. შესაძლოა არ ჩანდეს და ვერ აღიქმებოდეს ურთიერთკავშირი ერთი პრობლემის ცალკეულ გამოვლენებს შორის.

ნახაზი 2. ურთიერთკავშირი მდგრადი ტურიზმის სტრატეგიულ მიზნებისა და ძირითად კომპონენტებს შორის

**Figure 1.1: Relationship between the 12 aims and the pillars of sustainability**




წყარო: [10] (დამატებულია ავტორის მიერ)

*ჩანართი 2: <u>მიზანი 4</u>. კონკურენტუნარიანობის გაზრდამ სოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით; ამოცანა 4.1. ტურიზმის ინდუსტრიაში ხარისხის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავება და სტანდარტიზაციის ხელშეწყობა;*

*<u>მიზანი 6</u>.საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა, დაცვა და წარმოჩენა; ამოცანა 6.1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და დაცული ტერიტორიების მართვის, (მათ შორის ვიზიტორთა მართვის) გეგმების შემუშავება საქართველოს ბუნებრივი დაკულტურული მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენების მიზნით.*

მსგავსი პრობლემების იდენტიფიცირების ეფექტური საშუალებაა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პრაქტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების, მეცნიერების, ექსპერტების, ადგილობრივი მოსახლეობის და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ერთობლივ კვლევებში.ასეთი მიდგომა წარმოადგენს ტრანსდისციპლინარული მიდგომის სპეციფიკას და მის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. ამიტომ, აღნიშნული კონცეფციის მეთოდოლოგიაში პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი სტრუქტურიზების ამოცანები, გამოიყოფა როგორც კვლევის პროცესის ცალკე და აუცილებელი საწყისი ფაზა.

ტრანსდისციპლინარული კვლევისერთი პრინციპული თავისებურება მდგომარებს კვლევის ობიექტისადმი არასტანდარტულ მიდგომაშიც. კერძოდ, **საწყისი ფაზა** გულისხმობს, რომ შესასწავლი პრობლემა თავდაპირველად არ არის გათვითცნობიერებული და საჭიროა მისი იდენტიფიცირება. შესაბამისად, ამ ეტაპზე გაურკვეველია მისი კვლევის მეთოდიკა და მიზნობრივი (მისაღები) შედეგებიც (ე.წ. Target State)[8]. ამასთან, კვლევის **მომდევნო ეტაპებზე** გათვალისწინებულია მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ ჩატარებული მულტიდისცილნარული კვლევის შედეგების სინთეზი ახალ ცოდნაში (პარადიგმაში), რომელსაც უნდა გააჩნდეს პრაქტიკული, მეცნიერული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა. ეს ტრანსდისციპლინარული მიდგომის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურაბაა.

ტურიზმის მდგრადი განვითარების ტრანსდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით, შევეცადეთ მოგვეხდინა შესაბამისი კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება ქვეყნის განსხვავებულ გეოგრაფიულ პირობებში - სანაპირო ზონაში, მთიან რეგიონში და დაცულ ტერიტორიებში. ასევე ჩატარდა ამ პრობლემების სტრქუტურიზების მცდელობა, მათი შემადგენელი კომპონენტების ურთერთკავშირების დაფიქსირებით (იხ. სქემა 1).

სქემა 1 . ტრანდისციპლინური პრობლემები და სავარაუდო სტრუქტურა



ცხრილში წარმოდგენილია პირველი მიახლოვებით იდენტიფიცირებული და სტრუქტურიზებული პრობლემები, რომლებიც უკავშირდება ტურიზმის განვითარებას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში. მიღებული შედეგები განიხილება მიმდინარე ტრანსდისციპლინარული სამეცნიერო-სასწავლო პროგრამის ერთ-ერთ პირველ და საცდელ კვლევად.

მოცემული კვლევის ფარგლებში განხილული იქნა მდგრადი განვითარების კონცეფციის ფორმირების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები ტურიზმის სფეროში, იმ პრინციპული დებულებების გამოსაყოფად, რომლებსაც გააჩნიათ პრიორიტეტული მნიშნელობა ტრანსდისციპლინარული კვლევებისათვის. გამოიყო 5 ასეთიდებულება: ტურისტთა მიმდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილება პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით; დაინტერესებული მხარეების ინტერესების გათვალისწინება და დაბალანსება; ტურიზმის განხილვა გარემოსთან ურთიერთკავშირით, სადაც გარემო კლასიფიცირებულია ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ კომპონედებად; მდგრდი ავნითარების დამოკიდებულება კონკრეტულ დისტანციაზე.

ტრანსდისციპლინარული მეთოდოლოგიაში ზოგადი ანალიზის ფონზე ყურადღება დაეთმო კვლევის საწყის ფაზას და მის ძირითად თავისებურებებს, რაც გამოყენებული იქნა საქართველოში შესაბამისი პრობლემები იდენტიფიცირებისთვის. ეს თავისებურებები ითვალისწინებს პრობლემის კომლექსურიბას და შემადგენელი კომპონენტები სურთუერთ კავშირების გამოვლენას.

ჩატარებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულია 7 ტრანსდისციპლინარული ხასიათის პრობლემა გეოგრაფიული პირობებით განსხვავებულ ზღვისპირა, მთიან და დაცული ტერიტორიების რეგიონებში. გამოვლენილი პრობლემები განიხილება, როგორც საწყისი ეტაპი შემდგომი კველებისთვის.

## ლიტერატურა:


1. ადეიშვილი დ. დღის წესრიგი: მდგრადი განვითარები სმიზნები - 2030. 12.10.2015.
2. http://european.ge/dghis-wesrigi-mdgradi/;
3. ადეიშვილი დ. საქართელოს მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის. 28.05.12.
4. http://european.ge/saqartvelos-mdgradi-ganvitarebis-koncefciistvis/;
5. მდგრადი განვითარების მიზნები. გაერო საქართველოში. 2015
6. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WXeBhoSGOUk;
7. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. http://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf;
8. ჭარაია ვ. - მდგრადი განვითარების შესაძლებლობები საქართველოსა და ევროკავშირში. ევროპის მცოდნეობი სქართული ჟურნალი. N1. თბილისი, 2015 (70-96). http://ies.tsu.edu.ge/data/file_db/Journal/Georgian_Journal_for_-European_Studies.pdf;
9. Bruntland Report's publication of "Our Common Future" 1987. Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future. http://www.un-documents.net/our-common-future.pdf
10. Georgian Tourism in Figures. Structure and Industry Data. GNTA. 2016. http://gnta.ge/wp-content/uploads/2016/-06/2015-eng..pdf
11. Hirsch Hadorn, G.etc.: 2008. Handbook of Transdisciplinary Research. Springer. p.31
12. International Tourist Arrivals (1950-2005). Tourism Market Trends, 2006 Editiona. Anex 3. UNWTO.http://www.-ontit.it/opencms/export/sites/default/ont/it/documenti/archivio/files/ONT_2006-01-01_01014.pdf
13. Maiking Tourism More Sustainable. A Guide for Policy Makers.UNEP. UN WTO. 2005
14. http://www.unep.fr/shared/publications/pdf/DTIx0592xPA-TourismPolicyEN.pdf
15. Millennium Development Goals. UNDP.
16. http://www.undp.org/content/undp/en/home/sdgoverview/mdg_goals.html
17. Muhar A., Mitrofanenko T., Transdisciplinarity in Research and Teaching. etc University of Natural Resources and Life Sciences, Vienna (BOKUTransdisciplinarity in Research and Teaching. Teacher Workshop 1CaucaSusT Project, Yerevan, April 2017.
18. Quick Guide to Sustainable Development: History and Concepts http://www.assembly.wales/research%20documents/qg15-003%20-%20sustainable%20development%20history%20and%20concepts/qg15-003.pdf

19. The World Bank. DataBank. World Development Indicators. International Tourism, Number of Arrivals. http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=ST.INT.ARVL&country=#
20. Transforming Our World : the 2030 Agenda for Sustainable. Sustainable Development Knowledge Platform. https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld
21. ravel & Tourism Economic Impact 2015 Georgia. WTTC. https://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%-20impact%20research/countries%202015/georgia2015.pdf

# Problem Identification in Tourism through Transdisciplinary Research (Georgia as a case)

Ioseb Khelashvili

*Professor*
*Tbilisi State University*

**R e s u m e**

The article deals with the identification of tourism-related problems by applying a newly developed transdisciplinary approach, selecting Georgia for the case-study. The transdisciplinary methodologystems fromgrowing needs to bridge the gap between progressing theoretical knowledge of sustainabledevelopment and growing empirical knowledge in tourism.The study focuses on the first phase of such approach designed to identify and structure the problems of transdisciplinry nature, which are determined by the interaction of complex social, economical and environmental processes. The search was implemented in Georgia's three different regions – seaside, mountains and protected areas.As a result of the first-approachstudy 7 relevant problems were identified and structured.

*Keywords: transdisciplinary researche;problem identification. sustainable tourism; sustainable development; Georgia.*

# ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მისია გლობალიზაციის პირობებში და მისი გავლენა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე

ლალი ხიხაძე

*ეკონომიკის დოქტორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია და წარმოადგენს საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების გლობალური ბაზრების ფორმირების პროცესს, რომელსაც თან ახლავს ამ პროცესში ჩართული სახელმწიფოებისა და ეკონომიკური სუბიექტების თვისობრივი ტრანსფორმაცია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის წამყვანი განზომილება საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილება, სტრატეგიული ალიანსებისა და ქსელების ფორმირების მზარდი ტენდენციები, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა, ცოდნის საზოგადოების ფორმირება, რაც ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ბიზნესის ეს ფორმები იღებს გლობალურ სახეს და მოიცავს მთელ მსოფლიოს, ამასთან ერთად მათი ერთობლივი მოქმედება აღრმავებს ქვეყნების ინტეგრირებულობას, ურთიერთზემოქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას.*

*გლობალიზაციის თანამედროვე პროცესს აქვს მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური მხარდაჭერა. რისი დასტურიცაა გლობალური ორგანიზაციების არსებობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვმო, რომელიც სახელმწიფოებთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერასა და რეგულირებას ახორციელებს. ამასთან, ვმო პასუხისმგებელია დაიცვას მსოფლიო ვაჭრობის სისტემა და ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც არ არღვევენ ვმო-ს შეთანხმებებსა და სამართლებრივ ნორმებს. სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების შემცირებით ხელს უწყობს გლობალური ბიზნესის სტაბილურ განვითარებასა და ლიბერალიზაციას, რათა დაარეგულიროს და მინიმუმამდე შეამციროს დისკრიმინაციის ფაქტები და კომერციული დავები განვითარებულ და გ არდამავალ ქვეყნებს შორის.*

***საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკის გლობალიზაცია; ლიბერალიზაცია; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია; გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნები; საგარეო სავაჭრო პოლიტიკა; საბაჟო ტარიფები; პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი; უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.*

ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია, რადგანაც გლობალიზაციის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებასთან. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და უნიფიკაციასთან, რაც გამოიხატება ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების გამოყენებით და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებით.

გლობალიზაციის პირობებში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ვმო არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური ორგანიზაცია თანამედროვე მსოფლიოში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილურ განვითარებასა და ლიბერალიზაციას, დაარეგულიროს და მინიმუმადე შეამციროს ვაჭრობასთან დაკავშირებული დავები სახელმიწფოთა შორის. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა ეკონომიკური აღმავლობის, ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის უნდა გამოიყენოს. ვმო-ს წევრმა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ უნდა შეამციოროს სავაჭრო ეკონომიკური, ფინანსური, ენერგეტიკული, ეკოლოგიური კრიზისების წარმოქნის საშიშროება და სიღარიბის დონე.

გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციები - საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ვმო და სხვა მნიშვნელოვანი გლობალური ინსტიტტები უნდა დაეხმარონ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისა და ჰარმონიზაციისათვის, რათა გლობა-

ლური პროცესებისაგან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა მიიღოს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფართო შესაძლებლობები.

გლობალიზაციის პირობებში საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკის საკმაოდ რთული სფეროა, რომელიც წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის ოპერაციების ისეთი ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის მიღწევას, რომლის დროსაც ქვეყანას უნდა შეეძლოს, როგორც ეროვნული ბაზრის დაცვა, ასევე ხელსაყრელი საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან.

სხვადასხვა ქვეყანასთან საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დამყარების, განვითარებისა და რეგულირების მიზნით ვმო იყენებს ისეთ მარეგულირებელ ნორმებსა და შეთანხმებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ არა მხოლოდ განვითარებული ქვეყნების, არამედ განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებათა მიღებას. ლიბერალიზაციის პოლიტიკა, რომელიც დაამკვიდრა ვმო-მ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში შეესაბამება XXI საუკუნის თანამედროვე მოთხოვნებს. მიგვაჩნია რომ ლიბერალიზაციის პოლიტიკა უნდა გავრცელდეს გლობალურ ფინანსურ ინსტიტუტებზე, მოდერნიზაციისა და ტრანსფორმაციის პროცესი უნდა შეეხოს საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკის ჯგუფს, რათა თავიდან ავიცილოთ გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები.

გლობალიზაციის პირობებში ვმო-ს ძირითადი მიზანია საიმპორტო ტარიფების თანამიმდევრული შემცირება და სხვადასხვა არასატარიფო ბარიერის გაუქმება. საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და ბარიერების მინიმუმამდე შემცირება საშუალებას მისცემს განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ეფექტიანად, რაციონალურად გამოიყენონ მსოფლიო რესურსები, რაც უზრუნველყოფს ვმო-ს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას. ვმო-ს წევრი სახელმწიფოები (163 ქვეყანა) ვალდებულებას იღებენ, რომ მათი სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები მიმართული იქნება ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, სრული დააქმების, რეალური შემოსავლების მუდმივად მზარდი დონის, ეფექტიანი მოთხოვნის, განვითარებული წარმოების, საქონლითა და მომსახურებით გაფართოებული ვაჭრობის უზრუნველყოფისაკენ. მსოფლიო თანამეგობრობა ვმო-ს ფარგლებში აღიარებს, რომ განვითარებადი და განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის აუცილებელია გარანტირებული იყოს საერთაშორისო ვაჭრობაში მათი ეკონომიკის განვითარების მოთხოვნილებათა შესაბამისი წილი. ამ მიზნების მისაღწევად ქვეყნები დებენ მრავალმხრივ და ორმხრივ ხელსაყრელ ხელშეკრულებებს, კონვენციებს, რომლებიც მიმართულია საბაჟო ტარიფებისა და არასატარიფო ბარიერების შემცირებისაკენ და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დისკრიმინაციული რეჟიმის გაუქმებისაკენ. ვმო-ს შეთანხმებები საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის (GATT), მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის (GATS), ინტელექტუალური საკუთრების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS), მსოფლიოში ქმნიან თამაშის ისეთ წესებს, რომელთა შეცვლაც წევრ სახელმწიფოებს საკუთარი ნება-სურვილით თითქმის არ შეუძლიათ და გააჩნია იმპერატიული ხასიათი. არაკეთილსინდისიერი ვაჭრობისაგან თავდაცვის მიზნით ვმო-ს შემუშავებული აქვს ორი შეთანხმება ანტიდემპინგური პოლიტიკის (AdP), სუბსიდირებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ (SCM), რომელსაც ვმო-ს შეთანხმებების შესაბამისად სახელმწიფოები იყენებენ ეროვნული ბაზრის დასაცავად.

ვმო-ს წესების თანახმად, ყველა ქვეყანას აქვს უფლება განახორციელოს ეროვნული ბაზრის დაცვითი ღონისძიებები, თუ ქვეყნის ეკონომიკას და ადგილობრივ წარმოებას საფრთხე ემუქრება, რაც გულისხმობს, რომ იმპორტიორ ქვეყანას შეუძლია დროებით გაზარდოს საბაჟო ტარიფები ბმულ ტარიფებთან შედარებით, ან დააწესოს იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები და გამოიყენოს ვაჭრობაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართული წესები, ისე როგორც ანტიდემპინგისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ, რაც გამიზნულია კეთილსინდისიერი სავაჭრო პირობების დასაცავად. არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში დაზარალებულ ქვეყანას შეუძლია მიმართოს დავების მოგვარების ორგანოს (DSU-ს), რომელიც წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივი რეგულირებისა და უსაფრთხოების ძირითად საფუძველს. ვმო-ს წევრი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ ცალმხრივად არ განიხილონ სავაჭრო წესების დარღვევის საკითხები, არამედ მოძებნონ კომერციული დავების მოგვარების სამართლებრივი მექანიზმი მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში და დაიცვან ვმო-ს შეთანხმებები და წესები.

საქართველო, სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა და მისი სავაჭრო- ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მსოფლიო ეკონომიკაში სრულფასოვანი ინტეგრაცია და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გაფართოება. ამ ამოცანის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა ვმო-ში გაწევრიანების გარეშე, რომელიც მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ საფუძველს, სავაჭრო მოლაპარაკებებისა და კოლექტიური დისკუსიების მეშვეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების შორის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისა და რეგულირების ერთადერთ მექანიზმს წარმოადგენს.

საქართველოს ვმო-ში გაწევრიანების შემდეგ (2000 წლის 14 ივნისი) განხორციელდა საგარეო ვაჭრობის ღრმა ლიბერალიზაცია, კერძოდ გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება, ლიცენზირება, იმპორტზე ტარიფი დაწესდა საბაჟო ღირებულებიდან 12% ან, 5 % განაკვეთით, ექსპორტის გაფართოების მიზნით საქართველოში გაუქმებულია ექსპორტზე საბაჟო გადასახადი, მთელი რიგი შეღავათები დაწესებულია სამრეწველო დანიშნულების საქონლის იმპორტზე, ამგვარმა ლიბერალურმა სავაჭრო პოლიტიკამ კარგი წინაპირობები შექმნა საქართველოს ვმო-ში დასამკვიდრებლად.

ვმო-ს შეთანხმებებთან მიერთება განაპირობებს მსოფლიო სავაჭრო სისტემაში საქართველოს სრულ ინტეგრაციას (ვმო-ს ქვეყნების წილად მოდის მსოფლიო ვაჭრობის 97% -ზე მეტი), ასევე საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას საგარეო ვაჭრობის, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში.

საქართველოს საექსპორტო პროდუქციისათვის საერთაშორისო ბაზრებზე ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება და დისკრიმინაციული მოქმედების თავიდან აცილება, ვმო-ს ფარგლებში კომერციული სადავო საკითხების წამოჭრისას გარანტირებულია სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეფექტიანი ამოქმედება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობებისა და საინვესტიციო კლიმატის ფორმირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია , რადგანაც უცხოური ინვესტიციების მიზანდასახული გამოყენება ექსპორტის ზრდისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ინტეგრირების უმთავრესი საფუძველია.

საქართველოს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანის ვმო-ში გაწევრიანებამ, უამრავი დადებითი შედეგი მოუტანა, თუმცა საჭიროა გარკვეული პრობლემების ეკონომიკური დასაბუთება კერძოდ, სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების პრეფერენციულ მდგომარეობაში ჩაყენება სახელმწიფოს მხრიდან და საექსპორტო პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება, რათა თავდაპირველმა ზმულმა სატარიფო განაკვეთებმა ხელსაყრელი პირობა შეუქმნას ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფ ადგილობრივ წარმოებას. ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანი უნდა გახდეს ჯერ ქვეყნის შიდა ბაზარზე, ხოლო შემდეგ მსოფლიო ბაზარზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის ხარისხს, სამომხმარებლო თვისებებსა და ეკოლოგიურ სისუფთავეს, როგორც ექსპორტის გაფართოების უპირველეს გარანტს.

საქართველოს, როგორც ვმო-ს წევრ ქვეყანას გაფორმებული აქვს მრავალმხრივი ხელშეკრულება თავისუფალ ვაჭრობაზე ევროკავშირთან, დსთ-თან, აშშ -თან და ჩინეთთან. ორმხრივი ხელშეკრულებები გაფორმებულია 140 -ზე მეტ სავაჭრო პარტნიორ სახელმწიფოსთან, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 10 სტრატეგიულ ქვეყანას: თურქეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს, რუსეთს სომხეთს, მოლდოვას, ბელორუსიას, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, ამდენად საქართველოს მეზობელ ქვეყნებში პროდუქციის ექსპორტირება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით დაუბეგრავად შეუძლია და მთლიანად ექვემდებარება ვმო-ს საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპებს.

ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა ტარიფების შემცირების შედეგად ეკონომიკურ გაუმჯობესებას ადასტურებს. საერთაშორისო ბაზრებთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ადგილობრივი წარმოების განვითარებისა და ახალი პროდუქციის შექმნის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ხოლო გლობალურ ბაზარზე მკაცრი კონკურენციული მექანიზმი მნიშვნელოვნად განაპირობებს გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას და პროდუქციის ასორტიმენტის მრავალფეროვნებას. სწორედ

ასეთ კონკურენციაში მონაწილეობა აძლევს კომპანიებს შანსს შეიძინონ ორგანიზაციული და ტექნოლოგიური გამოცდილება.

ვმო-ს წევრმა ქვეყნებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა საექსპორტო ბაზრების მოსაპოვებლად და გრძელვადიანი პერიოდით გარკვეული ბაზრის სეგმენტის ათვისება განახორციელონ, მაგრამ საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფაქტობრივი მდგომარეობით (2015- 2016წწ.) თუ ვიმსჯელებთ, საქართველოდან ექსპორტი არ განხორციელებულა მსოფლიოს 60 ქვეყანაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ქვეყნები, რომლებიც მლნ ლარზე მეტ საიმპორტო ოპერაციებს ახორციელებენ საქართველოში, მათ შორისაა ფინეთი, არგენტინა, მაროკო, სლოვენია, ინდონეზია, ირლანდია ეგვიპტე, ნორვეგია, ხორვატია ახალი ზელანდია, ჰონკონგი და სხვა.

ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია მნიშვნელოვანი მოცულობის პროდუქცია, როელიც ქვეყნისათვის არ წარმოადგენს სტარტეგიული მნიშვნელობის საქონელს, რადგანაც იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკით ადგილობრივი რესურსების გამოყენებით შესაძლებელია მომხმარებლისათვის უფრო საიმედო, სასარგებლო და მაღალ ხარისხიანი პროდუქცია ვაწარმოოთ.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის უპირატესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას, რადგანაც მის სტრატეგიულ და სავაჭრო ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირის ინტეგრაციულ ბლოკში გაწევრიანება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს და რატიფიცერბულია 2015 წლის 1 სექტემბრიდან. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ხელს შეუწყობს სავაჭრო-ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში ევროპული ნორმებისა და სტანდარტების დამკვიდრებას, სხვა არასატარიფო ბარიერებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირებას, სოფლის მეურნეობის, ელექტრონიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მსუბუქი მრეწველობის დარგების კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში შეუცვლელია უკრაინის, რუსეთის ფედერაციის- ,,თურქეთის, აზერბაიჯანის როლი და მნიშვნელობა. განსაკუთრებით რუსეთთან, უკრაინასთან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს, რაც შეასალებლობას იძლევა, რომ დამოუკიდებელმა სახელმიწფოებმა კვლავ ააღორძინონ საგარეო სავაჭრო ურთიერთობები თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი პრინციპების დაცვით და განახორციელონ სავაჭრო-ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაცია. დადასტურებულია, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისათვის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა მეზობელი სახელმწიფოა, ამდენად, დსთ-ს ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა და სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება. 2012 წლის 20 აგვისტოდან ვმო-ს წევრია რუსეთის ფედერაცია, რაც ხელს შეწყობს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ემბარგოს სრულიად გაუქმებასა და სავაჭრო პოლიტიკის გამუჯობესებას. საქართველოსა და რუსეთს შორის უახლოეს პერსპექტივაში მეტად მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის განვითარება და კონფლიქტურ რეგიონებში (აფხაზეთი და სამაჩაბლო) თავისფალი ეკონომიკური ზონების შექმნა.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, მაღალგანვითარებული ქვეყნების - აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, ჩინეთის, რუსეთის ფედერაციის და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესების სფეროში მოექცა, რადგანაც საქართველოს გააჩნია უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები, ის მსოფლიოს გზაჯვარედინზე მდებარეობს და დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი ბუნებრივი ხიდია,საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება უკვეე რეალობაა და განვითარებული ქვეყნები დაინტერესებული არიან მოახდინონ ძველი აბრეშუმის გზის მოდერნიზაცია XXI საუკუნის მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან ერთად, გლობალურ ორგანიზაციებსა და ვმო-სთან აქტიური თანამშრომლობა განაპირობებს, რომ ღირსეული ადგილი დაიკავოს საქართველომ საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში და ასევე სავაჭრო- ეკონომიკური თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაზარდოს ვმო-ს წევრ ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო და თანასწორუფლებიანი სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე.

გარდამავალი ქვეყნების სრულფასოვანი ინტეგრაცია ვმო-ში უდავოდ პროგრესული და დინამიკური პროცესია, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებთან, საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და პროდუქციის ნომენკლატურის უპირატესი გაფართოება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების გარანტი გახდება.

ლიტერატურა:


1. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ., 2016.
2. ე. მექვაბიშვილი,ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009.
3. ლ. ხიხაძე, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი შეთანხმებები და საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, თბ., 2014.
4. www, wto.org
5. www. statistic.ge
6. www, economi. ge
7. www,ictplgeorgia.ge


## The World Trade Organization's Mission in the Conditions of Globalization and its Influence on the Transition Economies


Lali Khikhadze

*Doctor of economics*
*Tbilisi state university*



**R e s u m e**

Economic globalization is the current world's real process. Deterring it, is impossible. It represents the global marketplace's forming process of the merchandise, the service and the factors of reproduction. It is followed by the qualitative transformation of the states and the economic individuals, both involved in this process. The different dimensions of the world economic globalization process include: Free trading of merchandise and service, the international circulation of the capital, the international shifting of the working power, the growing tendencies of the strategic alliances and the growing networks, the free movement of the technologies, information, ideas and the knowledge. This means, that these types of international economic relationships become global and cover the whole world. Moreover, their united operation deepens the integration, theinteraction and the interdependence of the countries.

Nowadays' process of globalization has an important institutional support. The existence of global organizations proves this. The world trading organization plays a special role, which implements the support and the regulation of the trade – economic work with the states.

The world trading organization is one of the most important organizations in today's world, which is determined to promote the stable development and liberalization of the global trading, to regulate and minimize the trading litigations in between the states.



***Keywords: globalization of economy; Liberalization; World Trade Organization Transitional and developing statements; Foreign trade policy; Custom tariffs; Preferential and free trade regime; Preferred Promotion Mode.***

# მასალატევადობის სტატისტიკური ანალიზი


## მერაბ ხმალაძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*



*მასალატევიდობა შესწავლილია როგორც საქმიანობის სახეობის, ასევე მთლიანად ეკონომიკის მიხედვით. საქმიანობის სახეები მასალატევადობის მიხედვით დაიყო სამ ჯგუფად: დაბალი, საშუალო და მაღალი მაჩვენებლე-ბით. პირველ ჯგუფზე მოდის პროდუქციის მთლიანი გამოშვების 27,0%, მეორეზე - 33,0%, მესამეზე - 40,0%. მთლიანად ეკონომიკის მიხედვით მასალატევადობა 2000-2015 წლებში გაიზარდა 39 თეთრიდან 43 თეთრამდე , რამაც გამოიწვია საერთო დანახარჯების ზრდა 11.0%-ით.*



*საკვანძო სიტყვები: მასალატევადობა; პროდუქციის გამოშვება; შუალედური მოხმარება; მასალატევადობის ინდექსი.*


მასალატევადობა ეკონომიკის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ინდიკატორია. პროდუქციის მასალატევადობის შემცირება ნიშნავს მისი თვითღირებულების შემცირებას რაც ფასების შემ-ცირების საშუალებასიძლევა და ობიექტურად მოქმედებს ხალხის ცხოვრების დონის ზრდაზე. მასალატევა-დობის მაჩვენებლის მთლიანად ეკონომიკის მიხედვით გაანგარიშებისას ეყრდნობიან მშპ-ის, მეშ-ის ან წეშ-ის მოცულობის მაჩვენებლებს [1,გვ.320].

ვინაიდან მშპ, მეშ და წეშ განსხვავებული ეკონომიკური კატეგორიებია, ისინი ერთმანეთისგან განსხვავ-დებიან არამარტო შინაარსით, არამედ რაოდენობრივადაც. შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავდება მათ საფუძველზე გაანგარიშებული მასალატევადობის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი1) [2;5].

**საქართველოს ეკონომიკის მასალატევადობის მაჩვენებლები 1996-2015 წლებში. მშპ, მეშ, წეშ მიმდინარე ფასით, მლნ ლარი მასალატევადობა (ლარი)**

ცხრილი1

| | 1996 | 2000 | 2004 | 2005 | 2008 | 2012 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შუალედური მოხმარება | 2527,5 | 3626,4 | 6044,0 | 7159,0 | 11796,9 | 16787,6 | 20782 |
| 2. მშპ | 3868,5 | 6043,1 | 9824,0 | 11621,0 | 19074,9 | 26167,3 | 31756 |
| 3. მეშ | 3779,6 | 6274,9 | 10004,9 | 11791,7 | 18818,0 | 25925,6 | 30885 |
| 4. წეშ | 3474,3 | 5643,2 | 9024,8 | 10669,4 | 17060,0 | 23128,6 | 27611 |
| მასალატევადობა: | | | | | | | |
| 1. მშპ-ისმიხედვით (1:2) | 0,65 | 0,60 | 0,62 | 0,62 | 0,62 | 0,64 | 0,65 |
| 2. მეშ-ისმიხედვით (1:3) | 0,67 | 0,58 | 0,60 | 0,61 | 0,98 | 0,65 | 0,67 |
| 3. წეშ-ისმიხედვით (1:4) | 0,73 | 0,64 | 0,67 | 0,67 | 0,89 | 0,73 | 0,75 |

როგორც მოყვანილი გაანგარიშებები გვიჩვენებს, საქართველოს ეკონომიკაში, სხვადასხვა მიდგომის შესაბამისად, მასალატევადობის მაჩვენებლები განსხვავდება.

ცხადია, მასალატევადობის მოცემულ მაჩვენებლებს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მასალატევადობის „ჭეშმარიტ" დონეს გვიხასიათებს მასალატევადობა პროდუქციის გამოშვებასთან მიმართებით [5], რაც ნაჩვენებია ცხრილ 2-ში.

მასალატევადობის მაჩვენებლები საქართველოში საქმიანობის სახეობების მიხედვით 2015 წელს
(მიმდინარე ფასებით - ლარი)

ცხრილი 2

| საქმიანობის სახეობები | მასალატევადობა |
|---|---|
| 1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეომეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა | 0,35 |
| 2. მრეწველობა | 0,60 |
| 3. პროდუქტების გადამუშავება შინამეურნეობების მიერ | 0,68 |
| 4. მშენებლობა | 0,60 |
| 5. ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 0,23 |
| 6. სასტუმროები და რესტორნები | 0,55 |
| 1. ტრანსპორტი | 0,37 |
| 8. კავშირგაბმულობა | 0,32 |
| 9. საფინანსო საქმიანობა | 0,38 |
| 10. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 0,28 |
| 11. სახელმწიფო მმართველობა | 0,25 |
| 12. განათლება | 0,18 |
| 13. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 0,23 |
| 14. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 0,46 |
| 15. შინა მეურნეობებში დაქირავებული მომსახურება | 0,08 |

როგორც მოყვანილი გაანგარიშებები გვიჩვენებს, 2015 წელს, მასალატევადობა საქმიანობის სახეების მიხედვით საკმაო ვარიაციას განიცდის და 0,08 ლარიდან მერყეობს 0,68 ლარამდე.

საინტერესოა საქმიანობის სახეების და ჯგუფებმა მასალატევადობის მიხედვით სამჯგუფად: დაბალი, საშუალო და მაღალი მასალატევადობით.

შესაბამისი სტატისტიკური ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ დაბალი მასალატევადობის ჯგუფში მოხვდნენ საქმიანობის სახეობები, რომლებშიც მასალატევადობა მერყეობს 0,08 - 0,28 ლარის ფარგლებში.

საქმიანობის ასეთ სახეებებს მიეკუთვნება:

1. ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და მოხმარების საგნების რემონტი;
2. სახელმწიფო მმართველობა;
3. განათლება;
4. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება;
5. ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა;
6. შინამეურნეობებში დაქირავებული მომსახურება.

საშუალო მასალატევადობის ჯგუფში მოხვდნენ საქმიანობის სახეობები, რომლებშიც მასალატევადობა მერყეობს 0,28-0,48 ლარის ფარგლებში. ასეთებს მიეკუთვნება:

1. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, თევზჭერა;
2. ტრანსპორტი;
3. კავშირგაბმულობა;
4. საფინანსო საქმიანობა;
5. კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა.

მაღალი მასალატევადობის ჯგუფში მოხვდნენ საქმიანობის სახეები, რომლებშიც მასალატევადობა მერყეობს 0,48-0,68 ლარის ფარგლებში. ასეთებს მიეკუთვნება:

1. მრეწველობა;
2. პროდუქტების გადამუშავება შინამეურნეობების მიერ;
3. მშენებლობა;
4. სასტუმროები და რესტორნები.

თუ შევადარებთ მოცემულ დაჯგუფებებს 2012 წლის შესაბამის გაანგარიშებებს, აღმოჩნდება, რომ ცვლილებები შეეხო მხოლოდ დაბალი და საშუალო მასალატევადობის ჯგუფებს. კერძოდ, 2012-2015 წლებში საშუალო ჯგუფიდან დაბალ ჯგუფში გადავიდა „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებ-ლისთვის მომსახურების გაწევა“.

მასალატევადობის საკითხში შეშფოთებას იწვევს ის მდგომარეობაა, რომ დაბალი მასალატევადობის ეკონომიკური საქმიანობის სახეობებზე მოდის პროდუქციის მთლიანი გამოშვების მხოლოდ 27%, საშუალო-ზე - 33%, ხოლო მაღალზე - 40%.

ეკონომიკურ და ბიზნეს სტატისტიკაში, შესაბამისი ინფორმაციის არსებობის პირობებში, შეიძლება მა-სალატევადობის გაანგარიშება პროდუქციის ცალკეული სახეობების მიხედვით.

ასევე შეიძლება გამოვთვალოთ პროდუქციის მასალატევადობის ნატურალურ-ღირებულებითი მაჩვე-ნებელი. მისი დახმარებით შეიძლება განისაზღვროს ნატურალური ერთეულებით გამოსახული დანახარჯე-ბის ცალკეული სახეობების (ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია, გაზი, თხევადი სათბობიდა ა. შ.) მო-ცულობა, რომელიც მოდის წარმოებული პროდუქციის ერთ ლარზე.

სტატისტიკაში მასალატევადობის დონის დინამიკა ანალიზდება ინდექსების საშუალებით. კერძოდ, პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული ნედლეულის და მასალების მოცულობა, ანუ შუალედური მოხმარება (მარტივად დანახარჯები) დამოკიდებულია მასალატევადობასა და წარმოებული პროდუქციის მოცულობა-ზე. საინდექსო ანალიზი საშუალებას იძლევა დავაგინოთ დანახარჯების ცვლილებაზე თითოეული კომპო-ნენტის გავლენა. ჩვენი შესაბამისი ანალიზით დგინდება, რომ 2000-2015 წლებში ნედლეულის, მასალების და სხვა ხარჯები გაიზარდა 5,73-ჯერ, მათ შორის: მასალატევადობის ზრდის ხარჯზე 1,1-ჯერ და პროდუქციის გამოშვების ზრდის ხარჯზე 5,21-ჯერ. აბსოლუტურ სიდიდეებში ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში ნედ-ლეულის მასალების და სხვა ხარჯები საქართველოს ეკონომკაში გაიზარდა 17155,6 მლნ ლარით, საიდანაც 1930 მლნ.ლარი მოდიოდა მასალატევადობის ზრდაზე, ხოლო 15225,6 მლნ.ლარი პროდუქციის გამოშვების ზრდის ხარჯზე.

## დასკვნა

მასალატევადობა საქმიანობის სახეების მიხედვით დამოკიდებულია საქმიანობის სახეობის თავისებუ-რებებზე. ბუნებრივია, რომ მრეწველობას, პროდუქციის გადამუშავებას შინამეურნეობების მიერ, მშენებლო-ბას და სასტუმროებს და რესტორნებს, რომლებიც მოხვდნენ მაღალი მასალატევადობის მქონე ჯგუფში, პრო-დუქციის საწარმოებლად უფრო მეტი მატერიალური დანახარჯები ესაჭიროებათ, ვიდრე განათლებასთ ან სა-ხელმწიფო მმართველობას. აქედან გამომდინარე, თავისთავად მაღალი მასალატევადობა კი არ არის უარყო-ფითი მოვლენა, არამედ უარყოფითია მასალატევადობის ზრდა.

### ლიტერატურა:

1. Экономическаястатистика, М., 2014, с. 320.
2. გაანგარიშებულია: საქართველოს ეროვნული ანგარიშები. 1996-2004. თბ., 2005, გვ. 20, 35.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2006. თბ., 2007, გვ. 136. 146.
4. საქართველოს ეროვნული ანგარიშები. 2009. თბ., 2005, გვ. 20, 37.
5. ჯეოსტატ.გე. 2015.

# Statistic Analysis of Material Capacity

Merab Khmaladze

*Doctor of economics, Associate professor*
*Tbilisi state university*

**R e s u m e**

Material capacity is studied as according to the type of activity, so according to the whole economy as well. Types of activity according to material capacity was divided in three groups: according to low, middle and high indexes. The first includes 27.0% of the whole manufacturing of production, the second-33.0%, and the third-40.0%. In full, according to the economy, in 2000-2015 material capacity increased from 39 tetri to 43 tetri, what caused increase of total expenses by 11.0%.

***Key words:material capacity; production manufacture; intermediate consumption; index of material capacity*.**

# ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკა საქართველოში

მერაბ ხოხობაია

*ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ტურიზმი თანამედროვე მსოფლიოში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი მძლავრი ეკონომიკური სექტორი, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. ცხადია, რომ ტურიზმს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს რეგიონების განვითარებაზე. ტურისტული აქტივობის ზრდა ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, გადასახადების გენერირებას, ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას. ტურიზმის ინდუსტრიას სტაბილურად განვითარებისათვის ჭირდება შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული განვითარების თვალსაზრისით. პოლიტიკის შემუშავება აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტიანად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს, რომელიც ჩამოყალიბდა კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის მასშტაბით როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან დინამიკაში. საქართველოს როგორც ტურისტულ დანიშნულების ადგილს, განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. დინამიკაში საგრძნობლად იზრდება ტურისტების რაოდენობა, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას როგორც ტურიზმის ინდუსტრიაში, ასევე მომიჯნავე სექტორებში. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ტურიზმის განვითარების რეგიონულ პოლიტიკასa და ეკონომიკურ ასპექტებზე. საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, რეგიონული ჭრილი გაანალიზებულია თემზე დაფუძნებული ტურიზმის, ტურიზმის როგორც სიღარიბის დაძლევის, საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების განვითარებასა და არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებული საკითხები.*

*საკვანძო სიტყვები: ტურიზმის ინდუსტრია, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, რეგიონული პოლიტიკა, ეკონომიკაზე ტურიზმის ზეგავლენა*

ტურიზმის ინდუსტრიამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სტაბილური ზრდის დონე შეინარჩუნა. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრია მაღალი სენსიტიურობით გამოირჩევა პოლიტიკური, ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ, დინამიკაში ზრდის ტენდენცია დღემდე გრძელდება. აღნიშნულ მოსაზრებას, ინდუსტრიის ზრდის ტემპთან დაკავშირებით ამყარებს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები. საერთაშორისო ტურისტული ჩამოსვლები 1950-დან 1980 წლამდე გაიზარდა 25 მლნ-დან 278 მლნ-მდე, ხოლო 1995-2014 წლებში 527 მლნ-დან 1133 მლნ-მდე. გარდა ამ მაჩვენებლისა, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 1950 წელს მსოფლიო მასშტაბით 2 მლრდ აშშ დოლარს შეადგენდა, 1980 წელს კი 104 მლრდ დოლარი შეადგინა. 1995-2014 წელს შემოსავლები 415-დან 1245 მლრდ დოლარმდე გაიზარდა [13, გვ.1-16].

ტურიზმის ინდუსტრიას დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის სრულყოფის, სამუშაო ადგილების შექმნის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია გახდეს განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ფაქტორი [7, გვ.45-50]. ცნობილია, რომ ინდუსტრიიდან მიღებული სარგებელი სწაფად ვრცელდება საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ვინაიდან ტურიზმის ინდუსტრია არის შრომა-ინტენსიური და მჭიდროდ არის დაკავშირებული მომიჯნავე სექტორებთან. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შეფასებისათვის საჭიროა გაანალიზდეს ტურიზმის განვითარების დეტერმინანტები, მასზე მოქმედი ფაქტორები და დასაბუთდეს არის თუ არა ეს ფაქტორები განსხვავებული კონკრეტული ქვეყნების მიხედვით [12, გვ.173-176].

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება საქართველოში ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, ქვეყანას გააჩნია, როგორც უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები, ასევე საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები. აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ქვეყანაში სრულყოფილად ვერ ხერხდება არსებული რესურსების ათვისება-დატვირთვა, რასაც გააჩნია როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზე-

ბი. ხელისუფლების ლიბერალური პოლიტიკის მიუხედავად არსებობს გამოწვევები, რომელთა გადაჭრა აუცილებელია ტურიზმის ინდუსტრიის ეფექტიანი განვითარებისათვის.

შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნული საკითხი შეფასდეს რეგიონული ჭრილით, ვინაიდან რეგიონების სიძლიერე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. პროცესების სიღრმისეულად შეფასებისათვის საჭიროა რეგიონების სტრუქტურული ანალიზი, რაც მოიცავს არსებული ტურისტული პოტენციალის შეფასებას, ინდუსტრიაში მომუშავე სუბიექტების კოორდინაციას, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაციას, არსებული პრობლემების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას და ა.შ. საქართველოს რეგიონებს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია. იგი მდიდარია, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ასევე ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით. რომელიც, თანმიმდევრული პოლიტიკის და ეფექტიანი მართვის პირობებში შესაძლოა გახდეს ეკონომიკურად დეპრესიული არეალების გამოცოცხლების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფექტიანი შედეგების მისაღწევად საჭიროა ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის შესწავლა და არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით პოზიტიური შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია რეგიონებისათვის ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება. მკვლევარების უმრავლესობა ტურიზმის პოლიტიკას განიხილავს, როგორც ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს [6, გვ.286-287]. ეკონომიკური პოლიტიკა არის ზოგადი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს. შესაბამისად, იგი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ზოგად პოლიტიკასთან. ზოგადი პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს იმ ბაზისების კვლევა და შესწავლა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა სფეროზე, ასევე მან უნდა უზრუნველყოს შესაბამისი გარემო პირობების შექმნა სხვადასხვა ინსტიტუციების ჩამოყალიბებით, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების აქტივობების გაძლიერებას, ასევე მათი საქმიანობისათვის საჭირო რეგულაციებს.

ცალკე უნდა გამოვყოთ ე.წ სპეციალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის მიზანია ეკონომიკის ცალკეული სექტორების, რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ სექტორული ეკონომიკური პოლიტიკის ჭრილში უნდა განვიხილოთ ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრია. რომელიც ფრაგმენტული ბუნებიდან გამომდინარე კავშირშია და გავლენას ახდენს ეკონომიკის სხვადასხვა მომიჯნავე სექტორებზე. შესაბამისად, ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბება არის სპეციფიკური და იგი მოითხოვს დარგის თავისებურებებიდან გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებას. ეს საკითხი განსაკუთრებულად აქტუალურია რეგიონალური განვითარების კუთხით. როგორც სექტორული, ასევე, რეგიონული განვითარების ზემოქმედების გაანალიზება და კვლევა ხორციელდება სტრუქტურული პოლიტიკის საშუალებით [1, გვ. 15-16].

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი გამტარებელია სახელმწიფო დაწესებულებები. მათ მიერ ჩამოყალიბებულ პრიორიტეტებს და ხედვებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ეკონომიკური პოლიტიკა მოითხოვს მიზნების და ამოცანების ნათლად ჩამოყალიბებას, ასევე არსებული რესურსების შეფასებას და იმ პრიორიტეტების გამოყოფას, რომელი მიმართულებითაც არის სასურველი რეგიონის განვითარება. ამ კუთხით საინტერესოა ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუციების ქცევის ანალიზი [2, გვ.337]. საქართველოში სხვადასხვა ინსტიტუციებია პასუხისმგებელი რეგიონული პოლიტიკის გატარებაზე. როგორიცაა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ა.შ. ასევე, კონკრეტული ინსტიტუტები ადგილობრივ დონეზე, გუბერნია, თვითმმართველი ერთეულები, ადგილობრივი წარმომადგენლობები. შესაბამისად მათ მოქმედებებზე და მიღებულ გადაწყვეტილებებზე არის დამოკიდებული სხვადასხვა მიმართულებების განვითარება.

თანამედროვე პირობებში, არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია სამმართველო ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეიმუშავებს ეფექტიან პოლიტიკას რეგიონის კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების თვალსაზრისით. ამ კუთხით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) ეფექტიანი მმართველო-

ბის აუცილებელ ელემენტებს აყალიბებს შემდეგი სახით: **ანგარიშვალდებულება** – მთავრობამ აჩვენოს მზადყოფნა, რამდენად არის მიღებული გადაწყვეტილებები და ქმედებები, განსაზღვრულ ამოცანებთან და მიზნებთან შესაბამისობაში; **გამჭვირვალობა** – სამთავრობო ქმედებები, გადაწყვეტილება და მისი მიღების პროცესი უნდა იყოს ღია და გახსნილი, როგორც სხვა სამთავრობო რგოლების, ასევე საზოგადოების და დაინტერესებული ჯგუფებისათვის. **პასუხისმგებლობა** – მთავრობას უნდა გააჩნდეს უნარი და შესაძლებლობა უპასუხოს სოციალურ გამოწვევებს, ასევე გაითვალისწინოს საზოგადოების მოლოდინები და ინტერესები, რაც მთავარია კრიტიკულად შეხედოს საკუთარ როლს და ქმედებებს. **სამომავლო ხედვები** – მთავრობას უნდა შეეძლოს პროგნოზების, სამომავლო ხედვების ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებული იქნება მიმდინარე ტენდენციებზე და მონაცემებზე, რომელიც შესაძლოა იყოს, დემოგრაფიული, ეკონომიკური, გარემო და ა.შ [9, გვ.14-15].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოს რეგიონებისათვის არის მათი არათანაბარი განვითარება. ამ კუთხით არსებობს არაერთი პრობლემა, საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ეკონომიკურად აქტიურ არეალებში. ამ შემთხვევაში აუცილებელია სწორად გავაანალიზოთ უთანაბრობის მიზეზები, რომელიც შესაძლოა დამოკიდებული იყოს ერთი მხრივ, ბუნებრივ და გეოგრაფიულ თავისებურებებზე, ხოლო მეორე მხრივ, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებულ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ტურისტული ატივობების გაძლიერება ხელს უწყობს ადგილობრივების დამაგრებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ტურიზმს შეუძლია მოახდინოს სტიმულირება სხვა ეკონომიკური აქტივობების და სექტორების, როგორიცაა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და ხელოსნობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და ა.შ [14].

საქართველოში რეგიონების განვითარების სტრატეგიები ჩამოყალიბებულია 2014-2021 წლისათვის. სტრატეგიული გეგმები წარმოადგენს ვექტორს რეგიონების გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით. რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზანია რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, სამუშაო ადგილების შექმნა, გასაღების ახალ ბაზრებზე დამკვიდრება, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და ა.შ. წარმოდგენილ დოკუმენტებში ტურიზმი ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებადაა აღიარებული რეგიონული განვითარების სისტემაში. დღეს არსებული გამოწვევები და არასტაბილური გარემო მოითხოვს საკითხების სიღრმისეულად გაანალიზებას და სიტუაციიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმები მოიცავს საკმაოდ მრავალფეროვან ხედვებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კუთხით, აუცილებელია მიმართულებების მიხედვით დაკონკრეტებული იყოს შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები და კონკრეტულ მოქმედებაზე პასუხისმგებელი ორგანოები. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს არსებული პრობლემები ხშირ შემთხვევაში საქართველოს უმეტესი რეგიონებისათვის იდენტურია. დარგობრივი ფაქტორული პირობებიდან უნდა გამოვყოთ, ადამიანური რესურსების განვითარების დაბალი დონე, ტურიზმის, როგორც ბიზნესის საქმიანობის არასაკმარისი ცოდნა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, კულტურული და ისტორიული ძეგლების სუსტი კომერციალიზაცია, ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი რეგიონული და მუნიციპალური პროექტების განხორციელების აუცილებლობა და ა.შ. [14].

რეგიონული პოლიტიკის და დარგობრივი განვითარების ასპექტებით საყურადღებოა ცალკეული ინსტიტუტების გადაწყვეტილებების და მოქმედებების შეფასება. ამ მხრივ, ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია დეცენტრალიზაციის დაბალი დონე. გარკვეულწილად არსებობს კომპეტენციის თვალსაზრისით პრობლემები, რასაც ადასტურებს არაერთი კვლევა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის სათანადოდ განვითარებული ადგილობრივი განვითარებისა და დაგეგმარების ინსტრუმენტები, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის [15].

რეგიონული განვითარების პოლიტიკის წარმატების ფუნდამენტური ბაზისია პროცესებში საზოგადოების, ბიზნესის, პოლიტიკის მგეგმავების მაქსიმალური ჩართულობა. ტურიზმის მკვლევარები ედგელი და სვანსონი (David L.Edgell, Jason R. Swanson) ხაზს უსვამენ იმას, რომ მთავრობასთან ერთად ტურიზმის პოლი-

ტიკის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოებრივი, კერძო და არასამთავრობო სექტორი. მათი ჩართულობა პროცესებში საშუალებას მოგვცემს ობიექტურად შევაფასოთ არსებული სიტუაცია და მოკლევადიან და გრძელვადიან დინამიკაში შევიმუშავოთ გეგმები კონკრეტული მიმართულებით [10, გვ.511-512]. იმისათვის, რომ პროცესები წარიმართოს წარმატებულად, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე პოლიტიკის შემუშავების და იმპლემენტაციის კუთხით, სვანსონი და ედგელი მიიჩნევენ კვლევების განხორციელების აუცილებლობას. სწორედ მეცნიერული ანალიზის, კვლევის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკის ძირითადი დეტერმინანტების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრად განვითარებას. კვლევის პროცესში უნდა მოხდეს ეკონომიკური, გარემოს დაცვის, სოციალური, ადამიანური, ფინანსური რესურსების და სხვა ფაქტორების გაანალიზება [5, გვ.11-12].

ბუნებრივია, რეგიონული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაა. ტურიზმის ინდუსტრიას ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გააჩნია. ეკონომიკური აქტივობის ზრდის თვალსაზრით აუცილებელია პროცესებში საზოგადოების ჩართულობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მოიცავს ტურიზმის ინდუსტრიასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებულ სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების საკმაოდ ფართო სპექტრს. მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება დამოკიდებულია ტურისტულ აქტივობებში ადგილობრივი რეზიდენტების ჩართულობაზე. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა საზოგადოებაზე, თემზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების კონცეფცია (Community Based Tourism). რომელიც მოიცავს აქტივობებს რომელშიც ჩართულები არიან ადგილობრივი რეზიდენტები, ძირითადად იგი ხორციელდება სოფლად. მის უპირატესობას წარმოადგეს ის, რომ მასში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი რეზიდენტები როგორც მეწარმეები, სერვისის მიმწოდებლები და დასაქმებულები. ადგილობრივ რეზიდენტებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ეროვნულ და საერთაშორისო ტურ-ოპერატორებთან და სხვა ორგანიზაციებთან საჯარო და კერძო სექტორიდან. აღნიშნული აქტივობები აუცილებელია იმისათვის, რომ ადგილობრივებმა განავითარონ პროდუქტები და გაზარდონ ტურისტული აქტივობიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული კონცეფცია ეფუძნება ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპებს. რომელიც გულისხმობს ტურიზმის პოზიტიური ეფექტების წინ წამოწევს და ნეგატიური ეფექტების მაქსიმალურ შეზღუდვას [10, გვ.511-515].

საზოგადოებაზე, თემზე დაფუძნებულ ტურიზმის განვითარების კონცეფციას და მიდგომას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს რეგიონებს, ინფრასტრუქტურის სრულყოფის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. გარდა ამისა, ადგილობრივ ეკონომიკაზე პოზიტიური ზეგავლენის თვალსაზრისით უნდა გამოიყოს შემდეგი საკითხები: დასაქმება, შემოსავლების ზრდა, სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაცია, სიღარიბის დაძლევა [12, გვ. 430-431].

**დასაქმება** - მნიშვნელოვანი სარგებელი რომელიც მოაქვს ტურიზმის ინდუსტრიას ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. სამუშაო ადგილები იქმნება როგორც პირდაპირ, ტურ-ოპერატორების, სამოგზაურო აგენტების, ტურისტული სერვისების მიმწოდებელი კომპანიების მიერ, ასევე არაპირდაპირ სხვა სექტორებშიც, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი და ა.შ. **შემოსავლების ზრდა** - მაღალი ტურისტული აქტივობები ქვეყანაში, რეგიონში იწვევს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. ტურიზმის ინდუსტრია შრომა-ინტენსიურია, რაც გულისხმობს იმას, რომ შემოსავლების უდიდესი ნაწილი გენერირდება ხელფასების სახით. შეიძლება ითქვას, რომ შემოსავლები მაღალია იმ ტურისტული დანიშნულების ადგილებში, რომლებსაც მოინახულებს ვიზიტორთა მეტი რაოდენობა, ასევე მნიშვნელოვანია ადგილზე გაჩერების ხანგრძლივობა და შესაძლებლობები, სადაც მოხდება ფულადი სახსრების დახარჯვა. ამ თვალსაზრისით აუცილებელია, ინფრასტრუქტურის, გართობის, ტურისტული დანიშნულების ადგილების მოწესრიგება, ასევე სხვადასხვა სახის ტურისტული სერვისის შეთავაზება. უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები სწრაფად ვრცელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. **სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა** - იქმნება ახალი შესაძლებლობები მეწარმეებისათვის, რათა ჩამოაყალიბონ და განავითარონ ტურისტული საწარმოები. ასევე, ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას და განახლებას, რაც გამოიხატება ახალი ტექნოლოგიე-

ბის დანერგვაში, სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენაში. აღნიშნული განაპირობებს ადამიანური რესურსების განვითარებას, რაც შემდგომში ადვილად ტრანსფერირებადია სხვა ეკონომიკურ აქტივობაში [3, გვ. 119-128].

ადგილობრივი ტრადიციების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას და კონსერვაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებაში. ტურისტებისათვის ერთ-ერთ ძირითად მოტივაციას წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს გააჩნიათ უდიდესი პოტენციალი, რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. თემზე დაფუძნებული ტურიზმი ტურისტებს საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ ბუნება და ავთენტური გარემო. ასევე, ადგილობრივი რეზიდენტების ყოველდღიური ცხოვრება და ტრადიციები. ადგილობრივი რეზიდენტები კარგად უნდა აცნობიერებდნენ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას და ღირებულებას, იმისათვის რომ დაიცვან ისინი და გამოიყენონ ტურიზმის განვითარებისათვის.

რაც შეეხება სიღარიბის დაძლევას, ტურიზმი მრავალი ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტებში აღიარებულია და მიჩნეულია სიღარიბის დაძლევის მექანიზმად. რადგან იგი შესაძლებლობას ქმნის განსაკუთრებულად რეგიონებში მცხოვრებთათვის თვითდასაქმების საშუალებას და ხელს უწყობს ეკონომიკური აქტივობების ზრდას. რაც ცხადია, პოზიტიურად აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციას (UNWTO) პუბლიკაციაში ,,ტურიზმი და სიღარიბის დაძლევან, მოცემული აქვს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელიც დაფუძნებულია შვიდ ძირითად მექანიზმზე (ST-EP Initiative:): 1. ადგილობრივების დასაქმება ტურისტულ ორგანიზაციებში; 2. ტურისტული ორგანიზაციებისათვის ადგილობრივების მიერ საქონლისა და მომსახურების მიწოდება, ან იმ ორგანიზაციების მიერ რომლებშიც დასაქმებულები არიან რეზიდენტები; 3. საქონლისა და მომსახურების პირდაპირი გაყიდვები ვიზიტორებზე, რომლებიც მიწოდებული იქნება ადგილობრივების მიერ; 4. ადგილობრივების მიერ ტურისტული ორგანიზაციების დაფუძნება და განვითარება; 5. გონივრული საგადასახადო პოლიტიკა ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე, რომელიც სარგებელს მოუტანს საზოგადოებას; 6. მოხალისეობრივი საქმიანობით ტურისტული ორგანიზაციების და ტურისტების მხარდაჭერა. 7. ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, რომელიც სტიმულირებულია ტურიზმის მიერ და ორიენტირებულია ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობაზე [8, გვ. 1-20].

ადგილობრივი რეზიდენტების ჩართულობასა და ინტერესების გათვალისწინებაზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოცირების შეთანხმებაში. რომელიც ითვალისწინების თანამშრომლობას და ურთიერთობის გაღრმავებას ტურიზმის მიმართულებით. ხელშეკრულებაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სოფლად მცხოვრები ადამიანების მიმართ, ცალკე გამოყოფილია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და ტურიზმისა და გარემოს დაცვას შორის დადებითი ინტერაქციის აუცილებლობა. თანამშრომლობა ასევე მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილების გაზიარება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიის სტაბილურად განვითარებისათვის. პარტნიორობის გაძლიერება სამთავრობო, კერძო, საზოგადოებრივ სექტორებს შორის, რათა შეიქმნას წინაპირობა მდგრადი განვითარებისათვის [4].

ამრიგად, საქართველოს რეგიონებში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ცვალებად გარემოსთან ადაპტირებული გადაწყვეტილებების მიღება. ეროვნული, რეგიონული სოციალურდეკონომიკური მიზნების მთლიანობაში განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სათანადო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება-განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის, ფუნქციების განაწილებას ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს შორის. მეტი ძალისხმევაა საჭირო ადგილობრივ დონეზე კოორდინაციის თვალსაზრისით, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობა, კომპლექსური ჩართულობა საშუალებას მოგვცემს ობიექტურად გავაანალიზოთ არსებული სიტუაცია და მივიღოთ გადაწყვეტილებები რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზე.

ლიტერატურა:


1. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა, ეკონომიკური პოლიტიკა, უნივერსალი, 2008, გვ,15-16.
2. კლუმპი რაინერ, ეკონომიკური პოლიტიკა, მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები, თსუ გამომცემლობა, 2015, გვ. 337.
3. ხოხობაია მერაბ, ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ეკონომიკა და ბიზნესი, ნოემბერ-დეკემბერი #6, 2014 წელი, გვ.119-128.
4. Association Agreement EU-Georgia, European Commission 2014.
5. Edgell David, Swanson Jason R, Tourism Policy and Planning, Yesterday, Today and Tomorrow, 2nd edition, Routledge 2013 pp.11-12 .
6. Gee Chuck, Fayos-Sola Eduardo, International Tourism: A Global Perspective, WTO, 1998, pp.286-287.
7. Khokhobaia Merab, Economic Impact of Tourism in South Caucasus Region, Review of Business Research, Volume 15, Number 2, 2015, pp.45-50 .
8. Making tourism a tool to fight poverty: ten years of the ST-EP Initiative, World Tourism Organization, 2016, pp.1-20.
9. OECD Tourism Trends and Policies, OECD Publishing 2012, pp.14-15.
10. Okazaki Etsuko, A Community-Based Tourism Model: Its Conception and Use, Taylor & Francis, 2008, pp.511-512 .
11. Vanhove Norbert, The Economics of Tourism Destinations, Elsevier, 2005, pp.173-176 .
12. Vikneswaran Nair, Amran Hamzah, Successful community-based tourism approaches for rural destinations, Worldwide Hospitality and Tourism Themes Vol. 7 No. 5, 2015 pp. 430-431.
13. World Tourism Organization, Tourism Highlights, 2016 Edition, pp.1-16.
14. www.mrdi.gov.ge/ge/news
15. http://www.ge.undp.org/


## Regional Policy of Tourism Development in Georgia


Merab Khokhobaia,

*Doctor of Economics, Assistant Professor*
*Tbilisi State University*



Tourism has become one of the most powerful sector of the economy in the modern world, which positively affects both developed and the developing countries. Elaboration of correct, pragmatic policy of tourism development stimulates positive effects of tourism industry, increases the revenues of the residents, creates workplaces, generates taxes, inflow of foreign currency, production of goods and services in other adjacent sectors, develops economy of the region.

The issues of research the theoretical and practical aspects of the regional development policy of tourism and it's implementation in practice represent the distinguished topics in contemporary circumstances. These matters are especially relevant in the developing countries. The paper deals with the study of the development of regional policy of tourism and focuses on the economic aspects of tourism development. Due to the importance of the issue, regional development aspects are analyzed on community based tourism, tourism as poverty reduction and through the prism of tourism development opportunities in the regions of Georgia.



*Keywords: Tourism Industry, Local Economic Development, Regional Policy, Economic Impact of Tourism*

# ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები

**დიმიტრი ჯავახაძე**

*დოქტორანტი*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*დაქსელილი სამყარო და ქსელური ურთიერთობები ბიზნესში თანამედროვეობის მონაპოვარია. ახალი ტექნოლოგიები, ელექტრონული პლატფორმები, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის პლატფორმები ცვლის გლობალურ ეკონომიკას სწრაფი ტემპით. სტატიაში მიმოხილულია ელექტრონული სერვისების განვითარების გლობალური ტენდენციები, რაც ცხადყოფს ელექტრონული სერვისების გავრცელების მზარდ დინამიკას და აჩვენებს მისი დანერგვისა და გამოყენების უალტერნატივო სურათს.*

*საკვანძო სიტყვები: ელსერვისები; ელკომერცია; ელმმართველობა; ელპლატფორმები.*

ახალი ათასწლეულის დასაწყისში სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, იზრდება საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის მასშტაბებიც. ბიზნესის ყველა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება განვითარების საშუალებას აძლევს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე ბიზნესმოდელებს, სადაც ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი მიწოდება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ელსერვისები მრავალფეროვანია, იცვლება პერმანენტულად და იზრდება შეუჩერებლად. ისინი მიმწოდებლისგან მუდმივ, საიმედო და სწარაფ ხელმისაწვდომობას მოითხოვენ[2.გვ.339-359]. ელსერვისები სამყაროს მასშტაბით განუხრელად ვრცელდება, როგორც ელექტრონული მმართველობის, ასევე ელექტრონული კომერციის სახით. ელექტრონული მმართველობის გლობალური ტენდენციების მიმოხილვისთვის მნიშვნელოვანია გაეროს 2016 წელის კვლევა - „გლობალური ელმმართველობის მიმოხილვა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში", რომელიც ტრადიციულად შემდეგ პარამეტრებს მოიცავს: ონლაინსერვისების, ელექტრონული ჩართულობის, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის და ადამიანი-კაპიტალის ინდექსები. ელექტრონული სერვისების განვითარების ოთხ ეტაპს გამოარჩევენ: დაკავშირების დონე; ტრანსნაციონალური დონე; გაუმჯობესების დონე; საწყისი დონე. სხვადასახვა ქვეყანაში განსხვავებული პოლიტიკური თუ ტექნიკური პირობების გამო, აღნიშნულ დონეებს რამდენიმე ქვეყანა თუ აკმაყოფილებს და შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი მუდმივად დახვეწვას ექვემდებარება, თვით სერვისების მრავალფეროვნებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე. გაეროს 2014 წლის კვლევით, ყველა 193 წევრ ქვეყანას გააჩნდა ეროვნული სერვის-პორტალები. გაეროს 2016 წლის კვლევა კი აჩვენებს ძალსიხმევას გარკვეული ქვეყნებისა გააუმჯობესონ არსებული მდგომარეობა. ელმმართველობის განვითარება, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, ამტკიცებს რომ ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტი მობილური სმარტფონები და სხვა ხელსაწყოები სრაფად ვითარდება. ხელმისაწვდომობა დაარქივებულ ინფორმაციაზე, ჩამოტვირთვად განცხადების ფორმებზე, სმს თუ ემეილსერვისებზე, ასევე აპლიკაციებზე მსოფლიო მასშტაბით გაზრდილია. ბაზარზე გამოჩნდა სოციალურ მედეაზე დაფუძნებული მომხმარებლისთვის მეგობრული ხელსაწყოები, რომლებმაც გაზარდა ინფორმაციის განახლების მახასიათებლები და თუ დავაკვირდებით ყველა სექტორში მობილური Apps და SMS ის გამოყენების ტენდენციები გაზრდილია[1].

მსოფლიოს მოსახლეობა იზრდება და ის 2050 წლისთვის 9 მლრდ-ს მიაღწევს,ზრდა ყველაზე ღარიბ და დაუცველ რეგიონებშია მოსალოდნელი, აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში. სწრაფი განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარე, აფრიკული ქვეყნები არაპროპორციულ მდგომარეობაში არიან გლობალური გამოწვევებთან მიმართებით, შესაბამისად მათ არ შესწევთ უნარი მდგრადი განვითარებისა ელ-მმართველობის მიმართულებით და უმრავლესობა მათგანი 193 ქვეყნიდან ჩამონათვალის მეორე ასეულში იკავებენ ადგილებს. ამერიკის კონტინენტიდან კი, როგორც მოსალოდნელი იყო აშშ და კანადა ლიდერობენ, თუმცა მსოფლიოში მე-12 ადგილი არც თუ ისე სახარბიელო უნდა იყოს აბსოლიტური უპირატესობის მქონე ქვეყნისთვის,

რომელსაც ევროპული ქვეყნების უმეტესობა უსწრებს. შემდეგი სამი ქვეყანა სამხრეთ ამერიკიდანაა, ესენია: ურუგვაი 34, არგენტინა 41, ჩილე 42 ადგილებით. „ურუგვაის ციფრული დღის წესრიგი“ „ADU„ წარმოადგენს დინამიკურ გზამკვლევს სამთავრობო პოლიტიკის განსახორციელებლად. სახელმწიფო მოდერნიზაციის გეგმის ფარგლებში არგენტინის მთავრობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინტელექტუალური ქალაქების შექმნას მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც სახელმწიფო განახორციელებს სერვისების მოიწოდებას და წაახალისებს ადმინისტრაციულ ორგანოებს. ანალოგიურია ჩილეში , რომლის ციფრული განვითარების დღის წესრიგი მოიცავს 2013-2020 წლებს და მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკის 1%-ით ზრდას მთლიან შიგა პროდუქტან მიმართებით. (GCC) არბული ყურის თანამშრომლობის საბჭოში ექვსი არაბული ქვეყანაა გაერთიანებული, რომლებიც თავად გვევლინებიან განვითარების ინდიკატორებად ელექტრონულ მმართველობაში, მათ ბევრი გააკეთეს განვითარებისთვის, ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების ხელშეწყობისთვის რეგიონში. ადგილები ასე გადანაწილდა: კორეის რესპუბლიკა მე-3 ადგილზე, სინგაპური მე-4, იაპონია - 11, ისრაელის - 20, ბაჰრეინი - 24 და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში - 29, ხოლო ყაზახეთი - 33, ქუვეითი - 40, საუდის არაბეთი - 44 და ყატარი - 48 აზიის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი EGDI დონეზე [1]. 10 ლიდერი სახელმწიფო ევროპაში ელმმართველობის განვითარების ინდექსში არიან დიდი ბრიტანეთი 1, ფინეთი 5, შვედეთი 6, ჰოლანდია 7, დანია 9, საფრანგეთი 10, ესტონეთი 13 გერმანია 15, ავსტრია 16 და ესპანეთი 17. ზოგიერთ ქვეყანას როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და დანია აქვთ მიზანი ციფრული სტანდარტიზაციის. ციფრული იდენტიფიცირება სწრაფად ხდება ნორმა და „Must-Have-Feature“ აუცილებელი ფუნქცია, ყველა ფუნქციონირებადი ელექტრონული მმართველობის ვებგვერდისა ევროპაში, მაშინ როცა ეს ჯერ კიდევ წინ გადადმულ ინოვაციურ ნაბიჯად მიიჩნევა სხვა რეგიონებში. საფრანგეთში ინოვაციური მიდგომაა ისაა, რომ პოლიტიკის შემუშავების პროცესში იყენებენ crowdsourcing-ი („საგულშემატკივრო რესურსებს“) ახალი ციფრული საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, რომელიც არის მცდელობა ფართო მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს თავი მოუყაროს ერთ სივრცეში და ღია მონაწილეობის პროცესი წარმართოს ახალი კანონის მისაღებად. ესტონეთში განსაკუთრებით თვალში საცემი პრინციპია „once only“, ელმმართველობასა და მონაცემთა მართვაში. როცა სახელმწიფოს არა აქვს უფლება ერთი და იგივე ინფორმაცია მოქალაქეებს ორჯერ კითხოს ან მოთხოვოს. ეს ყველაფერი დეცენტრალიზებული მონაცემთა გაცვლის სისტმით მიიღწევა და ამ პლატფორმას X-Road-ი ჰქვია, რომელიც ყველა ციფრულ აპლიკაციებს ესტონეთის მთავრობისა აერთიანებს. სწორმა კანონშემოქმედებამ და მისი იმპლემენტაციის პრაქტიკებმა, ევრო კავშირის ციფრულმა სისტემის დღის წესრიგმა ხელი შეუწყო თავსებადობას, გამჭვირვალობას, ხარჯების შემცირებას, ხელმისაწვდომობას

**ელმმართველობის განვითარების ინდექსი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში [2]. სქემა1**

| ქვეყანა | 2008 | 2010 | 2012 | 2014 | 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 13 | 20 | 20 | 15 | 13 |
| ლიტვა | 28 | 28 | 29 | 29 | 23 |
| ლატვია | 36 | 37 | 42 | 31 | 45 |
| უკრაინა | 41 | 54 | 68 | 87 | 62 |
| ბელარუსია | 56 | 64 | 61 | 55 | 49 |
| რუსეთი | 60 | 59 | 27 | 27 | 35 |
| თურქეთი | 76 | 69 | 80 | 71 | 68 |
| ყაზახეთი | 81 | 46 | 38 | 28 | 33 |
| აზერბაიჯანი | 89 | 83 | 96 | 68 | 56 |
| საქართველო | 90 | 100 | 72 | 56 | 61 |
| მოლდავეთი | 93 | 80 | 69 | 66 | 65 |
| ყირგიზეთი | 102 | 91 | 99 | 101 | 97 |
| სომხეთი | 103 | 110 | 94 | 61 | 87 |
| თურქმენეთი | 128 | 130 | 126 | 128 | 140 |
| ტაჯიკეთი | 132 | 122 | 122 | 129 | 139 |

მოქალაქეებისა და მთავრობების ურთიერთობებში[1]. საინტერესოა, საქართველოს მაჩვენებელი, სხვა მეზობელ და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით, აქ წლების განმავლობაში ესტონეთი ლიდერობს, ყველაზე ჩამორჩენილები ტაჯიკეთი და თურქმენეთია, ხოლო საქართველო საშუალო პოზიციებს ინარჩუნებს, აღსანიშნავია აზერბაიჯანი, ბელორუსი და ყაზახეთი, სადაც წლებია ხელისუფლებები არ შეცვლილა და მათ საქართველოზე უკეთესი პოზიციები უკავიათ წარმოდგენილ კვლევებში(იხ. სქემა 1).

ელექტრონული კომერციის გლობალური ტენდენციები შესაძლებელია გაანალიზდეს თუ გავეცნობით „we are social" კვლევას , რომელიც თავის მხრივ ცნობილი ორგანზაციების შესაბამის კვლევებს ეყრდნობა, როგორიცაა GlobalWebIndex, GSMA Intelligence, Mobile Connectivity Index; Statista, Akamai ის State of the Internet , Google-ის Consumer Barometer , StatCounter, Ericsson-ის Mobility Reports -სი. გლობალურად თუ მიმოვიხილავთ, ციფრულ სამყაროს გასაოცარი ზრდა აქვს გაკეთებული 2016 წელს თითქმის ყველა მნიშვნელოვან მაჩვენებლებში 2015 წელთან შედარებით, 2017 წლის მთავარი ციფრები ასე გამოიყურება: 3.773 მლრდ გლობალურად ინტერნეტმომხმარებელი, რაც პენეტრაციის 50%-ს შეადგენს. 2.8 მლრდ გლობალურად სოციალური მედიის მომხმარებელი, რაც პენეტრაციის 37%-ის ეკვივალენტურია. 4.92 მლრდ გლობალურად მობილურის მომხმარებელი, რაც 66% პენეტრაციის. 2.56 მლდ გლობალურად მობილურით სოცმედიის მომხმარებელი 34% პენეტრაციის. 1.61 მლრდ გლობალურად ე-კომერციის მომხმარებელი, რაც 22% პენეტრაცის [3;7]. აქტიური სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი 222 მლნ-ითაა გაზრდილი, რაც 5%-იანი ზრდაა და მობილური სოციალური მედიის მომხმარებლები შთამბეჭდავი, 581 მლნ-ით 2016 წელის განმავლობაში 30 %-ითაა გაზრდილი. რეგიონული ჭრილით თუ მიმოვიხილავთ, ვნახავთ, რომ ინტერნეტმომხმარებლის მონაცემები ასახავს ზოგიერთ მნიშვნელოვან ცვლილებას 2016 წელთან შედარებით. ციფრული მონაცემები აფრიკაში მხოლოდ ოდნავაა გაზრდილი 2017 წელს, მაგრამ ათიდან შვიდი ყველაზე სწრაფად მზარდი ინტერნეტ მოსახლეობისა მსოფლიოში აფრიკაშია. მობილური სოციალური მედიის გამოყენება აფრიკაში გაიზარდა თითქმის 50%-ით 2016 წელთან შედარებით, მაშინ როცა მხოლოდ 12% -ითაა გაზრდილი აქტიურად მობილური სოცმედიის მოხმარებლების რაოდენობა მთელს რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ უამრავი სხვა სივრცეა ასათვისებელი. ამერიკის კონტინენტზე შთამბეჭდავი მიღწევებია ბოლო 12 თვის განმავლობაში, იქ 53 მლნ ახალი ინტერნეტმომხმარებელია, რაც 8%-იანი ზრდაა რეგიონული გავრცელების. ასევე საგულისხმოა, რომ 2017 წელს მხოლოდ აშს-ში 22 მლნ (25%) ახალი სოციალური მედიის მომხმარებელი გვყავს, სრული 88 მლნ-დან ამ კონტინენტისა[4]. ციფრული ზრდაა აზიასა და წყნარი ოკეანის ქვეყნებშიც, სადაც ბოლო 12 თვეში ინტერნეტმომხმარებლების რიცხვი 15 %-ითაა გაზრდილი და 1, 9 მლრდ-ს შეადგენს, რაც მთლიანი გავრცელების 46%-ია. ასევე 50%-ითა გაზრდილი სოციალური მედიის მოხმარება 2015 შედარებით. 1.5 მლდ სოციალური მედიის მომხმარებელია აზიისა და წყნარი ოკიანის ქვეყნებში, რომელთაგან 95 % მობილურ ხელსაწყოს იყენებს კავშირისთვის, რაც მსოფლიოს მასშტაბით უპრეცედენტო ციფრია. ევროპის კონტინენტზე ინტერნეტმომხმარებელთა რიცხვის ოდნავ შენელებული ზრდის ტემპი შეინიშნება, თუმცა რეგიონში მაინც იქმნება მზარდი სურათი 21მლნ ახალი მომხმარებლით წელიწადში და ჯამში 637 მლნ მომხმარებლით, რაც 3%-იანი ზრდაა. სოციალური მედიის მომხმარებლები 5%-თაა გაზრდილი და 412 მლნ-ს შეადგენს, ხოლო მობილურით სოციალური მედიის მომხმარებლები 11%, ჯამში 340 მლნ-ით 2016 წელთან შედარებით[4]. რაც შეეხება საქართველოს ციფრულ მონაცემებს, მცირე ,მაგრამ მაინც უარყოფითი ტენდენციაა მოსახლეობის რაოდენობაში , რომელიც 1 %-მდეა შემცირებული და 2% -იანი ნაკლებობა შეინიშნება მობილურ აბონენტთა სტატისტიკაში. მნიშვნელოვანია ასევე მზარდი დინამიკის აღნიშვნა აქტიურად სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვში, რომელიც 38%-ითაა გაზრდილი სხვაობა ნახევარ მლნ მომხმარებელს შეადგენს, ხოლო ზოგადად სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობაში 22%-იანი ზრდა ფიქსირდება 2016 წლის განმავლობაში. ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდილია 4%-ით, ხოლო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, ყველა ძირითად მაჩვენებლებში შთამბეჭდავი ზრდა აქვთ ნაჩვენები. ინტერნეტმომხმარებლების რაოდენობა 15%-ითაა გაზრდილი და 150 მლნ-ის ნიშნულს უახლოვდება, სოციალური მედიის მომხმარებლები 47%-ით, ხოლო მობილურით სოციალური მედიის მომხმარებლები 44%-ით [3].




აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი 80%-ზე მეტი-თაა გაზრდილი და დღეს ნახევარი მსოფლიო მისი მომხმარებელია, ასევე თვალში საცემია ის ფაქტი რომ ამ მომ-ხმარებელთა 90% ინტერნეტს მობილური ტელეფონის საშუალებით მოიხმარს. ასევე 20% -ითაა გაზრდილი სო-ციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი 2016 წელს, სადაც Facebook - ბრწყინვალე შედეგებს აჩვენებს, ის ბოლო 10 წლის განმავლობაში ლიდერია სოციალური პლატფორმებისა, თითქმის 2,8 მლრდ ადამიანი დღეს მსოფლიო-ში აქტიურობს სოციალურ ქსელებში, სხვადსხვა ადგილიდან სხვდასხვა ხელსაწყოების გამოყენებით და მათგან 91% მობილური ტელეფონით. ციფრები, მართლაც შთამბეჭდავია, თუმცა ზრდის ტემპის შენელებას ნამდვილად არ გვკარნახობენ, რადგან სახეზეა მობილური სოციალური მედიის მომხმარებლები 2.5 მლრდ-ით, რაც 2016 წელს 581 მლნ-ით გაიზარდა და დედამიწის მთელი მოსახლეობის 8% შეადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ წამში მას ახალი 18 მომხმარებელი ყავს[3;7]. საინტერესო და მნიშვნელოვანი ხდება თავად არსებული პლათფორმებისა და ელექტრონული გაყიდვების ანალიზი გლობალური მასშტაბით და მთავარი ტენდენციების გამოვლენა.

EMarketer -ის კველევების მიხედვით, როგორიცაა მსოფლიო მასშტაბით საცალო გაყიდვებისა და მათ შორის ელექტრონული ფორმით საცალო გაყიდვების სტატისტიკა და პროგნოზები, ჩანს, რომ 2016 წელს საერთო საცალოდ განხორციელებულმა გაყიდვებმა, სამოგზაურო და ღონისძიებათა ბილეთებიდან შემოსავლების გამოკლებით, 22,049 ტრლნი დოლარი შეადგინა, რაც 6%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით და სავარაუდო ციფრ 2020 წლისათვის 27 ტრლნ-ს მიაღწევს. საცალო ელკომერციის გაყიდვები, რომელიც მოიცავს პროდუქტსა და მომსახურებას (გარდა სამოგზაურო, სარესტორნო და ღონისძიებების ბილეთების ბიზნესისა), რომელიც ინტერნეტით სხვადასხვა სახის ინსტრუმენტით ხორციელდება - 1.195 ტრლნ-ს აჭარბებს, რომელიც მსოფლიო მასშტაბით საცალო გაყიდვის 8.7%-ს შეადგენს მიუხედავად იმისა, რომ ეს ციფრი მცირდება, ციფრული გაყიდვების პროცეტული მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება და 2016 წლისთვის 23.7 %-ს შეადგენა. საცალო ელბაზრის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ საპროგნოზო მაჩვენელით 2020 წელს ეს ციფრი 4.058 ტრლნ-ს შეადგენს, რაც მთლიანი საცალო ვაჭრობის 14,6% იქნება(იხ. სქმემა 3) [8].

აზია-წყნარი ოკიანის რეგიონი იყო და რჩება ყველაზე მსხვილ საცალო ელვაჭრობის ბაზრად, 1 ტრლნ-ზე მეტი დოლარით 2016 წლის მონაცემებით და 2020 წლის საპროგნოზო 2.275 ტრლნ დოლარით, რასაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ზრდა, ინტერნეტის გავრცელების ზრდა, ასევე ელექტრონული ვაჭრობის აგენტების მზარდი კონკურენცია ბაზარზე, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და ინფრასტუქტურის განვითარება რეგიონში. ძირითადი ნაწილი საცალო გაყიდვებისა ელექტრონულ კომერციაში ჩინეთზე მოდის, რამაც 900 მლრდ-ს მიაღწია 2016 წელს, რაც თითქმის ნახევარია(47%) მთილიანად მსგავსი გაყიდვებისა მსოფლიოს მასშტაბით. მიუხედავად იმისა რომ ზრდის პოტენციალი კიდევ არსებობს, აზია-წყნარი ოკიანის ქვეყნებში კვლავ არის პრობლემები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ,რეალურად ელექტრონული ვაჭრობა

შეადგენს მცირე ნაწილს მთლიანი გაყიდვებისა. სუსტად განვითარებულმა ინფრასტუქტურამ და ციფრული გადახდის სერვისებმა, ასევე სუსტმა ლოგისტიკურმა სტრუქტურებმა დაწყებით სტადიაშივე ეს ქვეყნები აქციეს მოუმზადებელად დიდი ბრუნვებისა და შეკვეთების დამუშავებისთვის ელექტრონულ კომერციაში. საცალო გაყიდვების ბრუნვით ელკომერციაში ჩრდილოეთი ამერიკა 2016 წელს 15,6%-მდე ავიდა და 423,34 დოლარი შეადგინა და ამით რეგიონს სტატუსი შეუნარჩუნა, როგორც მეორე ადგილოსანს მსოფლიოში ელექტრონული საცალო გაყიდვების ბაზარზე. შესაბამისად ამ რეგიონშიც სავარაუდოა სტაბილური ზრდა 2020 წლამდე.ელექტრონული კომერციის პლატფორმები, რომლებიც ბიზნესს ონლაინ მაღზიების, ელბაზრების მოსაწყობად აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფასა და გადაწყვეტებს სთავზობენ მომხმარებლებს. საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში სხვდასხვანაირად არის გავრცელებული(იხ.სქემა 4) [9].

სქემა 3




სქემა 4

საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული ელ-კომერციის პლატფორმები .% . 2016

| | საქართველო | რუსეთი | აზერბაიჯანი | თურქეთი | სომხეთი | უკრაინა | მოლდოვეთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| OpenCart | 16.01 | 35.02 | 37.11 | 31.06 | 14.22 | 44.45 | 21.46 |
| CS Cart | 10.46 | | 1.03 | | | 1.45 | 1.37 |
| PrestaShop | 7.19 | 4.1 | 9.62 | 3.43 | 5.17 | 7.17 | 8.22 |
| VirtueMart | 5.23 | 10.56 | 5.84 | 1.77 | 3.88 | 10.38 | 10.05 |
| Magento | 3.59 | 1.92 | 3.09 | 3.43 | 14.66 | 4.38 | 4.79 |
| WooCommerce Add To Cart | 2.94 | 1.97 | 1.72 | 1.6 | 2.59 | 2.0 | 2.05 |
| Hikashop | 1.31 | | | | | | |
| WooCommerce | 48.69 | 24.39 | 34.71 | 48.51 | 42.24 | | 37.21 |
| Wix Stores | 1.31 | 3.65 | 2.06 | 1.49 | 1.72 | | |
| Ecwid | 0.65 | | 0.69 | | | | |
| Shopify | | | | | 2.59 | | 1.14 |
| Shopify Conversations | | | | | 2.59 | | |
| Ubercart | | 2.91 | | | 1.72 | 2.17 | 1.6 |
| osCommerce | | 2.95 | | | | 4.48 | 1.14 |

კვლევა აჩვენებს WooCommerce-სა და OpenCart-ის მაღალ მაჩვენებლებს რეგიონში, ასევე საინტერესო გამოვლენაა, ის, რომ ელ-პლატფორმები, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, ფეხი არ არის მეზობელ ქვეყნებში და პირიქით.

ბიზნეს კომპანიები, რომლებსაც წარმატება სურთ, ჩაბმული არიან სამარათონო რბოლაში, რათა ადაპტირება და გამოყენება შეძლონ ახალი ტექნოლოგიების, სანამ ისინი ჯერ კიდევ აქტუალურები, რელევანტურები და სასარგებლოა. თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციებიდან 6 ფაქტორს გამოვყოთ:

➢ გადახდების განხორციელება გაადვილდება. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი ბიზნესისთვის საკრედიტო ბარათი მისაღებია, და ნებისმიერი ასაკის ადამიანები იყენებენ Paypal გადახდის აპარატებს ან ბანკომატებს, მაინც მოსალოდნელია ამ სახით გადახდების შემცირება, რადგან Apple Pay, Google Pay და სხვა მთელი რიგ მობილური გადახდის შესაძლებლობებს ახლო მომავალში ბაზრის დატბორვის პოტენცია აქვს. გადახდების მიმართულებით ტენდენცია დაახლოებით ისე ვითარდება, როგორც ადვილდება ერთი შეხება სმარტფონის ეკრანზე. ასევე ადვილდება უკუკავშირი ტრანზაქციების რევერსული მოძრაობა და ინვოისის ავტომატურად ე-მეილით გადაგზავნა სმარტფონით, დღეისათვის ეს ნამდვიალად არის ბიზნეს led ტექნოლოგიური ტენდენცია. Gartner-ი კი პროგნოზირებს, რომ მობილურით გადახდის ინდუსტრია 2017 წლისთვის, 2014 წლის 235 მლრ დოლართან შედარებით, 270 მლრ დოლარამდე გაიზრდება[4;5];

➢ უსაფრთხოების საკითხები კვლავ უმნიშვნელოვანესია. არცერთი ბიზნესკომპანია არ ტოვებს ღამით კარებს ღიად, თუმცა უმრავლესობა კომპანიებისა და მათი სერვისების პროვაიდერები ეთამაშებიან თავისუფლად და სწრაფად ციფრულ უსაფრთხოებას: ეს მაშინ, როცა ასე მიმზიდველია ინოვაციური ტექნოლოგიები, უსაფრთხოების თემები ხშირად მეორე პლანზე გადადის, თუმცა როგორც ბიზნესისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის აუცილებელია გაიღვიძოს პასუხისმგებლობამ უსაფრთხოების დაცვის მიმართ[5];

➢ კომუნიკაციები ჩართულია, გააქტიურებულია და შემოთავზებულია. გამარტივებული გადახდების ფუნქციებთან ერთად, კომუნიკაციები პირდაპირ აპებსა და ვებ-გვერდებზეა გააქტიურებული. დღეისათვის სკაიპი და ვოთსაპი ყველაზე მოწონებადი და გავრცელებულია სასაუბროდ, ვიდეოსა თუ სხვა ფაილების გასაზიარებლად, ისინი დღესაც მოითხოვენ მომხმარებლებისგან შექმნან ერთგული სანდო აპები. რადგან რეალურ დროში მიმდინარე კომუნიკაციები(RTC) და განვითარებადი ჩაშენებული კომუნიკაციების სტანდარტი, WebRTC, ცვლიან მათ. ComScore -ის კვლევის თანახმად, 11.3% (მზარდი დინამიკით) ყველა ინტერნეტმომხმარებლისა ეყრდნობიან თავიათ მობილურ ტელეფონებს ონლაინშესასვლელად[5];

➢ ქსელში ჩართული მოწყობილობები რეალურ დროში განახლებების საშუალებას იძლევა, საკომუნიკაციო ინვენტარი თავად გვატყობინებს პრობლემის შესახებ;

➢ აღჭურვილი თანამშრომლები. თანამშრომლებიც ხდებიან უფრო მობილურები, მათ შეუძლიათ თან ატარონ კომპიუტერული მოწყობილობები, რაც შესაძლებლობაა თანამშრომლებისთვის რეალურ სივრცეში დღის განმავლობაში ერთმანეთთან ინტერაქციისა და კომუნიკაციისა. ასევე, თვით ანგარიშგებადი მოწყობილობები აჩქარებს ბიზნესს და ხვეწავს საქმიან ურთიერთობებს[4;5];

➢ ქლაუდები მოიცავს და იპყრობს ყველაფერს. ქლაუდი (cloud) ინტერნეტის მეტაფორაა, cloud computing-ი გულისხმობს სხვადასხვა მოწყობილობასა და აპლიკაციას და მათ შორის ინტერნეტკავშირით ურთიერთობის სისტემურ მხარეს. თითქმის ყველა კომპანია (93%) რაღაცა ფორმით იყენებს clouds-ს ყველა ან ზოგიერთი ბიზნესპროცესის პროგრამული უზრუნველყოფისთვის. დღეისათვის 68% კომპანიებისა, ერთ მეხუთედს, მათი სააპლიკაციო პორთფოლიოსი თუ პროდუქტებისა აწარმოებენ ონლაინ[5] ქლაუდების სამი სახეობა გამოიყოფა: პროგრამული უზრუნველყოფა(SaaS), პლათფორმა (PaaS) და ინფრასტრუქტურა როგორც სერვისი, იგივე საწყისი მონაცემთა ბაზის დონე (IaaS)[6].

არამხოლოდ ინსტრუმენტები იცვლება, არამედ ბიზნესპროცესებიც, რაც ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას მოყვება, მუდმივად განვითარებადი და ადაპტირებადი ტექნოლოგიები მართავს და გარდაქმნის ბიზნესპროცესებს ყოველდღიურად. პარტნიორებსა და მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის ბიზნესი გამუდმებით ცდილობს იპოვოს უკეთესი საშუალებები, შესთავაზოს უკეთესი ხარისხი და კომფორტული

გახადოს საქმიანი ურთიერთობები, ამაში ელექტრონული სერვისების როლი განუსაზღვრელად მაღალია, რომელიც ბიზნესს ყველა ფუნქციონირებად რგოლში ეხმარება და უალტერნატივო საშუალებაა ბიზნესპროცესების გაუმჯობესებისთვის.

## ლიტერატურა:


1. "ელმმართველობის განვითარების ინდექსი " გაერთიანებული ერების კვლევები 2008- 2016. United Nations E-Government Surveys:2016 E-Government for Sustainable Development,2014 E-Government for the Future We Want, 2012 E-Government for the People, 2010 Leveraging E-Government at a Time of Financial and Economic Crisis,2008 From E-Government to Connected Governance. www.publicadministration.un.org . გაერო ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი. ა.შ.შ. ნიუორკი. 2008-2016 .
2. Rowley, J. (2006) An analysis of the e-service literature: towards a research agenda. Internet Research, Vol. 16 Issue: 3, გვერდები :339-359.
3. სიმონ კემპი . დიგიტალ-2017. გლობალური მიმოხილვა,ინტერნეტ-ჟურნალი" we are social". 26 Mercer St, New York, NY 10013 24.01.2017 .https://wearesocial.com / we are social 2016-2017.
4. ფლორიან კარლსტეტერი. დამოუკიდებელი cloud-ბაზრები, ბიზნეს აპლიკაციებისთვის."cloudcomputinginsider-ი". გერმანია http://www.cloudcomputing-insider.de/. 18.01.2017.
5. პეტერ სკოტი და ჯთ რიპტონი. „ რა არის cloud-computing-ი". BotfreiBlog. ეკო-გაერთიანება ინტერნეტეკონომიკა. გერმანია,13.01.2016 https://thenextweb.com/business/2016/01/13/6-business-technology-trends
6. პეტერ სკოტი და ჯთ რიპტონი. ბიზნეს-ტექნოლოგიური ტენდენციები-2016 . BotfreiBlog. ეკო-გაერთიანება ინტერნეტეკონომიკა.გერმანია,13.01.2016 https://blog.botfrei.de/2012/12/cloud-computing-oder-was-ist-eigentlich-die-cloud/
7. სტატისტიკების პორტალი statista.com . ელ-სერვისები მსოფლიოს მასშტაბით. გერმანია.2016 წლის დეკემბერი. https://de.statista.com/outlook/261/100/eservices/weltweit#
8. კორეი მაკნაირი. ელ-კომერციის საცალო გაყიდვები. emarketer-ი. ლონდონი.W1D 1BS. 2017 ივლისი. www-.emarketer.com
9. builtwith. ელ-კომერციის პლატფორმების გამოყენების სატისტიკა. სიდნეი. 4.09.2017 https://trends.builtwith.com/shop


# The Global Trends of Development of E-services


Dimitri Javakhadze

*Doctoral student*

*Tbilisi State University*



**R e s u m e**

The world of network and network relationships are the latest achievements in business. New technologies, electronic platforms, and especially social media platforms change the global economy at a rapid pace. Due to the main goals of business, save time and financial resources, decrease administrative pressure, simplify communication with partners, more efficiently and effectively manage self-sustaining in the existing competitive world, without the introduction of electronic services in compliance with international standards, it is unacceptable. The article reviews global trends of e-services development, which show the dynamic of the spread of electronic services and show a undisputed picture of their implementation and use.



*Keywords: electronic services; e-commerce; e-government; electronic platforms.*

# სოციალური მარკეტინგის ინტერვენციები მოზარდებში ჯანსაღი კვების დასანერგად

**თამარ ჯანგულაშვილი**

*დოქტორანტი,*

**ჩარიტა ჯაში**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ნაშრომში განხილულია სოციალური მარკეტინგის გამოწვევები ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით, სოციალური მარკეტინგის ინტერვენციების გამოცდილება ჯანსაღი კვების დამკვიდრების ასპექტით; ასევე განხილულია ახალი კონცეპტუალური მიდგომა „კვება კეთილდღეობისათვის„ სოციალური მარკეტინგის ბენჩმარკის 6 კრიტერიუმსა და და FWB-ის 5 სფეროს ურთიერთქმედებაზე დაფუძნებული, რაც ხელს უწყობს ჯანსაღი კვების ქცევის დამკვიდრებას ბავშვებსა და მოზარდებში. სურსათის უსაფრთხოება და ჯანსაღი კვება პრიორიტეტული მიმართულებაა საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებისკონტექსტიდან გამომდინარე.*

*საკვანძო სიტყვები: სოციალური მარკეტინგი; ჯანსაღი კვება; კვებაკეთილდღეობისთვის; ქცევის შეცვლა.*

ჯანდაცვაში ეფექტიანი და წარმატებული პროგრამების განსახორციელებლად სოციალური მარკეტინგის როლი უაღრესად დიდია. სოციალური მარკეტინგი სოციალური ცვლილებების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტია, რაც ხელს უწყობს სოციალური პროდუქტის ფორმირებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობას [1,გვ.18-23; 7,გვ.28]. სოციალური მარკეტინგი არის ინსტიტუციურ დონეზე წარმართული პოლიტიკა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში არსებულ პრობლემების წარმოჩენასადა მისი გადაჭრის გზებზე[2,გვ:25-26].

მრავალი წლის განმავლობაში ჯანსაღი კვების შესახებ მეცნიერული კვლევები მხოლოდ ექიმ დიეტოლოგების პრეროგატივას წარმოადგენდა. თუმცა, ბოლო პერიოდში მას სოციალური მიმართულება მიეცა. კვლევებმა ცხადყო სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებების პირდაპირი კავშირი ადამიანის ცხოვრების წესთან. საზოგადოებრივი ჯანდაცვა რთულ და კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს, მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებისყველა შტოსაქტიური ჩართვითა და ეფექტიანი კომუნიკაციით. ჯანსაღ კვებასა და ჯანმრთელობას შორის ურთიერთკავშირი კარგად არის ცნობილი, მაგრამ ბევრად უფრო რთულია მომხმარებელთა ქცევითი ცვლილებების განხორციელება, ზემოქმედება მათზესისტემური მიდგომით. სოციალური მარკეტინგი სახელმწიფოს, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების მიზანმიმართულ პარტნიორულ თანამშრომლობას გულისხმობს. სოციალური მარკეტინგის ინტერვენცია პრობლემების იდენტიფიკაციით, მიზნობრივ მომხმარებლის საჭიროების შერჩევითა და მარკეტინგული კომპლექსის 4 დამატებითი ელემენტის (4 P +4 P-ის) გამოყენებით ხორციელდება [3,გვ.13,გვ.18]. მომხმარებელთა დარწმუნებისა და სტიმულირების სხვადასხვა მეთოდით ხდება სოციალურ პროცესებზე ზემოქმედება. სოციალური იდეის მიმზიდველად წარმოჩენა და მისი ისეთი `შეფუთვა, რომ გამოიწვიოს საზოგადოებრივი მომხმარებლის კეთილგანწყობა და მზადყოფნა ახალი სოციალური პროდუქტის მისაღებად [4,გვ.151-175].

სოციალური მარკეტინგის მიზანი არამარტო სწავლება და ცნობიერების ამაღლებაა, არამედ ინდივიდის ქცევის ცვლილებების პროცესია, რომელიც გარდაიქმნება ახალ სოციალურ პროდუქტად – სასურველ ქცევად, რასაც შემდგომში მოყვება არსებული მწვავე სოციალური პრობლემის მოგვარება [5,გვ.13-15];[6,გვ.19-28];[7, გვ:12-6].

ზოგადად, ქცევის ცვლილება პრობლემურია დაბალი ცნობიერებისა და არასასურველი სოციალური გარემოს გამო. სოციალური მარკეტინგი იყენებსქცევის შეცვლის აპრობირებულ თეორიებს ინდივიდზე ზემოქმედებითა და დარწმუნებით, რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობისათვის საზიანო რისკების შემცირებას.

სოციალური მარკეტინგის მრავალრიცხოვანი კამპანიებია ჩატარებული ჯანსაღი კვების მხარდასაჭერად მსოფლიოში. დიდ ბრიტანეთში სოციალური მარკეტინგის ჯანსაღი კვების კამპანიამ მთავარი აქცენტი გააკეთა სასკოლო ინიციატივებსა და ჯანსაღი კვების პოპულარიზაციაზე მოზარდებში. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობილი "სკოლის ჯანსაღი ცხოვრების კოორდინირებული პროგრამა" (CoordinatedSchoolHealthProgram CSHP), რომელიც გამიზნულია სასწავლო დაწესებულებებში მოზარდებისა და ახალგაზრდების ცნობიერების გაზრდაზე, ხარისხიანი სასკოლოკვების ხელშეწყობასა და ოჯახისა და საზოგადეობრივი ინსტიტუციების ჩართვაზე. ადგილობრივი სურსათის გამოყენება მოსწავლეების საკვებში ძალიან პოპულარული კამპანიაა. ვერმონტის სკოლის კვების მარკეტინგი დღეს წარმატებულია ყველა შტატში. „ფერმიდან სკოლაში" პროგრამები, რომლის ინიციატორია ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, 2014 წლის მონაცემებით, მოსწავლეთა 42% მონაწილეობსაღნიშნულ პროგრამაში. ასევეძალიან პოპულარულია სოციალური მარკეტინგის კამპანია „კვების პროდუქტების გმირი„(Food Hero), რომელიც 2009 წელს ორაგონის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო. კამპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჯანსაღი კვების დანერგვა დაბალშემოსავლიან ოჯახებში, მათი მხარდაჭერა სიმსუქნის პრევენციისათვის. კამპანიის შესაბამისად სპეციალურად შემუშავდა ხილისა და ბოსტნეულის მრავალფეროვანი რეცეპტები. პროგრამა აგროვებდა 20,000-ზე მეტ შეფასებას ბავშვებისგან, რომლებმაც დაიწყეს „კვების პროდუქტების გმირის„ რეცეპტების გამოყენება სკოლაში,ოჯახში და სკოლის გარეთ. ტესტირებული რეცეპტების დაახლოებით 36%-მა მიიღო ბავშვების მხარდაჭერა. მასში ჩაერთო კერძო ბიზნესი, დაიწყეს ხილის დამმამუშავებელი ობიექტების გახსნა, რომელიც მრავალფეროვან პროდუქციას სთვაზობდა მოზარდებს. აღნიშნული სოციალური პროდუქტი, სწრაფი და იოლად მოსამზადებელი რეცეპტები მშობლებისა და ბავშვებისათვის ერთნაირად მისაღები გახდა. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხილისა და ბოსტნეული პოპულარიზაციის დონე. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბავშვებისა და მოზარდების ჯანსაღი კვებით უზრუნველყოფის პრობლემა პრიორიტეტული ხდება. შემუშავებულია ჯანსაღი კვების სტანდარტები, რომლის პრაქტიკული განხორციელება სავალდებულოა ყველასათვის. პრაქტიკულ აქტივობასთან ერთად, ჯანსაღი კვების-კონცეპტუალური ასპექტების სრულყოფაზე მუშაობენ მეცნიერები. ამერიკელ მეცნიერთაერთი ჯგუფის მიერ ახალი კონცეპტუალური ხედვა „კვება კეთილდღეობისათვის" (Food Well-Being) შემუშავდა. მათ მიერ ჩამოყალიბებულიათეზა:ჯანსაღი კვება თანამედროვე ცხოვრების მთავარი კომპონენტია და ჰოლისტიკურად უნდა იქნას განხილული. ჯანმრთელობაზე ზრუნვა არ უნდა ხდებოდეს ინდივიდისთვის გარკვეული შეზღუდვების დაწესებით, არამედ პოზიტიური აღქმა უნდა დომინირებდეს, მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ ჯანსაღი კვება ადამიანის კეთილდღეობის საფუძველია. კონცეფცია „კვება კეთილდღეობისათვის „კვებასთან დაკავშირებული პოზიტიური, ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ემოციური და სოციალური ურთიერთობები ინდივიდუალურ დასაზოგადოებრივ დონეებზე განიხილება [8,გვ.5-13]. კონცეფცია „კვება კეთილღეობისათვის „სოციალური მარკეტინგის ბენჩმარკს იყენებს, როგორც ნორგანიზაციულ ჩარჩოს. მკვლევარებმა, პრაქტიკოსებმა და პოლიტიკის წარმართველებმა კარგად უნდა გაანალიზონ ქცევაზე მოქმედი ფაქტორები, გაზარდონ მომხმარებელთა მოტივაცია ცვლილებების მისაღებად, მიიჩნევენ ამ თეორიის შემქმნელები [9, გვ.1211-1218] ბენჩმარკის 6 კრიტერიუმისა და FWB-ის 5 სფეროს ურთიერთქმედებას, მათ ერთობლივ აქტივობასუდიდესი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღიკვების დანერეგვისათვის მოსახლეობაში. კვების სოციალიზაცია სწავლობს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა დემოგრაფია, გარემო და კულტურა, რაც უშუალოდ ზემოქმედებს მომხმარებელთა კვების არჩევანზე.ინდივიდუალური და ადამიანთა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება კვებასთან მიმართებით წარმოაჩენს არა მარტო განათლების როლსპროდუქტის არჩევისას, არამედ ამ ცოდნის გამოყენების მნიშვნელობას საყოველთაო კეთილდღეობის მისაღწევად.

კვების სოციალიზაციაზე დიდი გავლენა მოახდინა ე. წ. კვების რევოლუციამ, რაც ბრიტანელი შეფპოვარის ჯემი ოლივერის სახელთან არის დაკავშირებული. მის მიერ ბოსტნეულისა და ხილის სხვადასხვა რეცეპტით მომზადებული ჯანსაღი პროდუქტი სკოლაში საყოველთაოდ აღიარებული იქნა. ამასათან ერთად აღსანიშნავია, რომ ბავშვები თვითონ მონაწილეობენ კერძების მომზადებაში.იგი პოპულარული გახდა არამარტო დიდ ბრიტანეთში, არამედ ამერიკაშიც. ყოველივე ამან ხელმისაწვდომი გახადა ჯანსაღი კვება

სკოლაში და მის გარეთ. სოციალური მარკეტინგის კამპანიის ეფექტიანობას ხელი შეუწყო ანდრიასენის ცნობილი ბენჩმარკის 6 კომპონენტის მოდელის ინტეგრირებამ ამ პროცესებში. (იხ. ცხრილი 1).

სოციალური მარკეტინგის ბენჩმარკის 6 კრიტერიუმი და FWB-ის სფეროები[1, pp. 3-28]

| სოციალური მარკეტინგი | კვების სოციალიზაცია | განათლება | კვების მარკეტინგი | ხელმისაწვდომობა | პოლიტიკა |
|---|---|---|---|---|---|
| ქცევის შეცვლა | ორიენტაცია ჯანსაღ კვებაზე ჯანსაღი კვების მომზადების პროცესში მონაწილეობა | ნუტრიციაზე და კვებაზე ცნობიერების ამაღლება გაიდლაინი კამპანიები, რეკლამა | მოთხოვნის ფორმირება ახალ პროდუქციაზე | ადგილის შერჩევა და მიტანა | ფასების რეგულირება, ეტიკეტზე მოცემული ინფორმაციის სანდოობის უზრუნველყოფა |
| კვლევა | არსებული ვითარების ქვეყნის, რეგიონალურ დონეზე | კვების დეფიციტი, სიმსუქნის დონე | მოთხოვნისა და მიწოდების დონე | ბარიერები, ფასები ჯანსაღ პროდუქტზე | კვების უსაფრთხო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა |
| მიზნობრივი სეგმენტი | ბავშვები, მოზარდები | მასწავლებლები მშობლები პროფესიონალები | კვების რეცეპტების შეცვლა | მზა პროდუქტის მიღება | ადგილობრივი თვითმმართველობა, რეგიონალური და ეროვნული დონეები |
| მარკეტინგული მიქსი | ჯანსაღი პროდუქტის მოხმარება სკოლაში და სკოლის გარეთ | ნუტრიციული განათლება პროდუქტის შესახებ | სტიმულირება პოსტერები რეკლამები ბროშურები ფილმები | ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, პროდუქტის მრავალფეროვნება | პარტნიორული ურთიერთობა სახელმწიფო, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება |
| გაცვლა | ქცევის შეცვლა სკოლაში | ტრადიციების გათვალისწინება | მხოლოდ ეკოლოგიური | ყველასათვის | სასარგებლო პროდუქტი |
| კონკურენცია | | ცნობიერების დაბალი დონე | მომარაგების უზრუნველყოფა | სხვადასხვა პროდუქტების შეზღუდვა სკოლაში | ჯანსაღი პროდუტების სუბსიდირება |

ჯანსაღი კვება სოციალური მარკეტინგის მიზნობრივი ქცევაა, რომელიც ემსახურება ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად.. ამ მიმართულებით მრავალი პუბლიკაცია არსებობს, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკვლევარების მიერ შესრულებული. [4, გვ.151-175]; [10,გვ.1-28]; [11, გვ.128-136];[12,გვ.99-103],[13,გვ.94-102];[14.გვ.17-31]; [15,გვ.59-65]; [16,გვ.7];[17, გვ.8];[18, გვ.290].

საყოველთაოდ ცნობილია, რომსასურსათო უსაფრთხეობა და ჯანსაღსაკვებზე ხელმისაწვდომობა არის ადამიანის ხელშეუვალი უფლება. თუმცა, ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა საქართველოში. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი კონტიგენტისათვის პრობლემას წარმოადგენს კვების ისეთი რაციონის მიღება, რომელიც გაჯერებულია სხვადასხვა მიკრო ელემენტებით,რაც აუცილებელია ჯანმრთელობის კვების დამკვიდრებისათვის საქართველოში. საქართველოსმოსახლეობის 95% სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ რეკომენდებულ ნორმაზე მეტ კალორიას იღებს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით კვების უკმარისობა არ არის ფართოდ გავრცელებული პრობლემა. მოსახლეობის დიდი ნაწილი სათანადო რაოდენობის კალორიებს იღებს,ჲმაგრამ მათი საკვები სრულფასოვანი არ არის. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა მოზარდების კვებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სკოლები ვერ უზრუნველყოფებენ ხელსაყრელ გარემოს მოზარდებში ჯანსაღი კვების დანერგვასათვის. საქართველოს 10-17 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით ნახევარი მოკლებული ავიტამინებითა და ცილებით მდიდარ საკვებს, რაც აუცილებელია ბავშვის მზარდი ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების ხელშეწყობისთვის საქართველოშიჲ2 085ჲსაჯარო დაჲ250ჲკერძო სკოლაა, სადაც ყოველწლიურად, 6-დან 18 წლამდე ასაკისჲ600 000-მდე მოსწავლე სწავლობს. უმეტეს სკოლას სასადილო იმავე შენობაში აქვს განთავსებული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლების თითქმის ნახევარს ბუფეტი საერთოდ არა აქვს.როგორც სურსათის ეროვნულ საა-

**გენტოში განმარტავენ, სკოლის ბუფეტების შემოწმება 2015 წელს ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. მთელი წლის განმავლობაში, ქვეყნის მასშტაბით მათ 345 გეგმური ინსპექტირება, 4 არაგეგმური და 255 განმეორებითი ინსპექტირება განახორციელეს.**

საქართველოს ევროპასთან ასოცირებისა დაყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებები (DFCTA), რომელიც ძალაში 2016 წლის 1 ივლისიდან შევიდა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სურსათის უსაფრთხოებისა და კვების პრობლემებზე. აღნიშნული პრობლემა სახელმწიფოს ყურადღების არეალში მოექცა. შემუშავდა ნორმატიული აქტები და სხვადასხვა პროგრამა.ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის დიეტური ჩვევების შესახებ ინფორმაცია ძალიან მცირეა. თუმცა, არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მიერ საკვების მიღების ჩვევებს საფუძვლიანი კორექტირებას ჭირდება. აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურად ახალ ხილსა და ბოსტნეულს მოზრდილი მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედი ღებულობს.

**საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიაში (2010-2015 წწ),ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია სოციალური მარკეტინგის ეფექტიანი ინტერვენციების გამოყენება, კვების სტანდარტების დანერგვის ადვოკატირება სკოლებში, სასწავლო დაწესებულებებში.ასევე საინტერესო კვლევა ჩაატარა ოქსფამმა საქართველოში.** მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ საქართველოში მიმდინარეობს სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების პოლიტიკის შემუშავება, საკანონმდებლო ბაზრის სრულყოფა.(18, გვ:32-33) აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურად არის ჩართული გაეროს სასურსათო ორგანიზაცია (FAO), საერთაშორისო ორგანიზაცია ოქსფამის ადგილობრივი წარმოადგენლობა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. სასურსათო და კვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, შემოსავლების ზრდა და სიღარიბის დაძლევა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის მიღწევის ამოცანაა ჯანსაღი კვება განსაზღვრავს კეთილდღეობის დონეს, განსაკუთრებით მომავალი თაობის ჯანმრთელობას. ცხადია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინსტიტუციური გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, სასურსათო უსაფრთხოების, კვების პროდუქტების ხარისხისა და ჯანსაღი კვების სისტემის დანერგვის ხელშეწყობას. [19, გვ.4-48];[20, გვ.3-52]. სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის შესაბამისად ჯანმრთელი ცხოვრების წესის მხარდაჭერა და დანერგვა დაიწყო. მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ 2015 წელი ჯანსაღი კვების წლად იქნა გამოცხადებული. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2015 წელს დაამტკიცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - „ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში“, რაც ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი კვების პრინციპების გატარებას ითვალისწინებს. დღესაც პრობლემატურია სასკოლო დაწესებულებების ჯანსაღი კვების პროდუქტებით მომარაგება. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა ამ მიმართულებით გახორციელებული ქმედებები არასაკმარისად ეფექტიანია. თბილისის სახელემწიფო უნივერსიტეტის მარკეტინგის კათედრაზე ხორციელდება პროექტი, რომელიც უშუალოდ ამ საკითხებს ეხება [17, გვ.8].

ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ არასათანადო ინფორმირებულობა ხელს უშლის სოციალური მარკეტინგის კამპანიის განხორციელებას საქართველოში. სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებებში განთავსებულ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში უნდა მოქმედებდეს საყოველთაოდ შემუშავებული ჯანსაღი კვების სტანდარტები. გამოკვლევები, რაც ამმ იმართულებით ტარდება, უფრო ეპიზოდური ხასიათისაა. მასში ნაკლებად მონაწილეობენ აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. ამიტომ რეალური სურათის წარმოჩენა ძნელდება. ასევე არ არსებობს ნუტრიციისა და ჯანმრთელი კვების მონიტორინგის სისტემა. მოზარდებში ჯანსაღი კვების ქცევის შესასწავლად მიმდინარეობს კვლევა, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისებრივი, რომელიც წარმოაჩენს პრობლემებსა და პერსპექტივებს ამ სფეროებში. ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით სოციალური მარკეტინგის მსოფლიო გამოცდილება ფართოდ უნდა იქნეს განზოგადებული და გაანალიზებული, რათა საქართველოში დამკვიდრდეს ჯანსაღი ცხოვრების საყოველთაო სტანდარტები რაც მნიშვნელოვანია მოსახლეობის საყოველთაო კეთილდღეობისათვის.

ლიტერატურა:


1. Andreasen A,R. (2006) Marketing Social Change: Changing Behavior to Promote Health, Social Development, and the Environment, Jossey-Bass, San Francisco,p:3-13. Andreasen A,R. Marketing Social Change: Changing Behavior to Promote Health, Social Development, and the Environment, Jossey-Bass, San Francisco. (2006) pp:7 -28;
2. Donovan,R. (2011) The role of social marketing in public health program , Australian Review public health , volume 10, number 1. Sydney University.) pp:22-40;
3. Weinreich, N. . (2011); Hands-on social marketing: a step-by-step guide to designing change for good,SAGE publicationspp:13-15;
4. Lee, N & Kotler, P.(2011). Social marketing: influencing behavior for good (4rd ed.). Thousand Oaks, CA: Sage.(P:132) The Handbook of Persuasion and Social Marketing [3 volumes] (2015) edited Stewarts D., Praeger p: 151-175;
5. Lefebvre R. Cr. Transformation Social-marketing: Co-creating the Social Marketing Disciples and Brand.(2012). Vol.2 No2; pp:9-13;
6. Carins, JE, Rundle-Thiele(2014),SR.Eating for the Better: ASocial Marketing Review (2000-2012)Public Health Nutr. Jul;17(7):28-39;
7. Ewans, D.(2006) How Social Marketing Works in Health Care, The National Social Marketing Centre UK.;Evans, W.D., Christoffel, K. K., Necheles, J. W., Becker, A. B., Social marketing as a childhood obesity prevention strategy. Obesity (Silver Spring), 2010. 18 Suppl 1: pp: 23-36;
8. Block, G., Grier,S.,Childers,T., Davis, B., Ebert, J., Kumanyika, Russell , N. Laczniak, Jane E., Machin, J., Motley, C., Peracchio, L., Pettigrew, S., Scott, M. and Bieshaar. M. From Nutrients to Nurturance: A Conceptual Introduction to Food Well-being, Journal of Public Policy & Marketing, 30 (1),pp: 5-13;
9. Bublitz,M.,Peracchio,L.,Andreasen,A.,Kees, G.,Kidwell, B., Miller ,G., Motley,C., Peter,P., Rajagopal,P., Scott,M., Vallen,B.( 2011) The Quest of Right Eatening: Advancing Food Well-being, Journal of Research for Consumers.pp:1211-1218;
10. Cheng,H., Kotler P.,&Lee, N. (2011)Social marketing for Public health: global trends and success stories, Business &Economics. (2011);pp:1-28;
11. Tobey, L., and Manore, M.(2013) Social Media and Nutrition Education: The Food Hero Experience, ,Journal of Nutration Education and Behavior,pp:128-136;
12. Wymer,W( 2010), . Rethinking the boundaries of social marketing: Activism or advertising? Journal of Business Research, pp:63, 99–103;Wymer, W. (2011). Developing more effective social marketing strategies, Journal of Social Marketing, 1(1),.17–31.
13. Wood, M. (2012). Marketing, social marketing, Journal of Social Marketing, 2(2), pp. 94–102.
14. თოდუა, ნ., ჯაში, ჩ. (2014) სოციალური მარკეტინგის გამოწვევები, თსუ მეცნიერება, თბილისი, 2014 წ. დეკემბერი, გვ.59- 64;
15. ჯაში, ჩ. (2012) სოციალური მარკეტინგის საფუძვლები, თბილისი, უნივერსალი, 2012 წ. გვ: 290 ;
16. Jashi Ch. (2017) Changing Health Behavior of Youth Through Social Marketing (Georgian Case) Journal Ecofium,, Issue2 (11);
17. Todua,N. (2017) Influence of Food Labelling Awareness on Healthy Behavior of Georgian Consumers, Journal Ecofium, Issue2 (11)
18. საქართველოს ჯანმრთელობის ხელშეწყობის სტრატეგიაში 2010-2015 ,( 2009) ,თბილისი, პოლიტიკის მართვისა და კონსალტინგის ჯგუფი (PMCG),გვ: 32-33 ;
19. ჯიბუტი, მ. საქართველოშიარსებულისასურსათოუსაფრთხოებისშემადგენელიინტიტუციურიმექანიზმებიდაშესაბამისისა ხელმწიფოპოლიტიკა- დიაგნოსტიკურიმიმოხილვა, თბილისი, ოქსფამი, 2014 წ.გვ:4-48;
20. საქართველოშიკვებისეროვნულიკვლევა (2016) ოქსფამი, თბილისი; გვ: 3-52.

# Social Marketing Interventions for the Implementation of Healthy Eating among Adolescents

Tamar Jangulashvili

*PhD Student*

Charita Jashi

*Associated Professor*

*Tbilisi state university*

**R e s u m e**

The paper explores the challenges of social marketing regarding healthy eating issue.Analyzed experiences of social marketing interventions on healthy eating. The new conceptual approach "Food for Wellness" - based on 6 criteria of social marketing benchmark and 5 areas of FWB is discussed in the article , which is considered as effective approach for the integration of healthy eating at the school. Food security and healthy eating are priority direction according the requirement of Georgia's Association Agreement with Europe.

***Keywords:social marketing;healthy eating; food for wellness; behavior change.***

# ეკონომიკური ზრდის ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში

მერაბ ჯულაყიძე

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*სტატიაში განხილულია ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ტრანსფორმაციის საკითხები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. ჩამოთვლილია გლობალიზაციის თანამედროვე ფაზის დამახასიათებელი ნიშნები. განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის როლი გლობალიზაციაში, მისი ნაციონალური და საერთაშორისო რეგულირება, სახელმწიფოს როლი გლობალიზებულ ეკონომიკაში. გაანალიზებულია ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი და მისი ზემოქმედება მიწოდების ფაქტორებზე: ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, გაფართოებული კაპიტალი, ტექნოლოგიური პროგრესი, მეწარმეობრივი აქტივობა. დაბოლოს, იგი განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდის პირდაპირი ფაქტორი. აგებულია მშპ-ზე ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გავლენის მოდელი და გაანალიზებულია შედეგები.*

*საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა; გლობალიზაციის ნიშნები; ეკონომიკური ზრდის ფაქტორები; ეკონომიკური გლობალიზაცია; ეკონომიკური ზრდის მოდელი.*

ეკონომიკური ზრდა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომელიც მეტ-ნაკლებად ყოველი ქვეყნის წინაშე დგას. მისი დინამიკის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, თუ როგორ მოგვარდება რესურსების შეზღუდულობის პრობლემა. ეკონომიკური ზრდა ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის(მშპ) ზრდის წლიური ტემპით იზომება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

გლობალიზაცია მანამდე შედარებით იზოლირებული კაპიტალის, საქონლის და შრომის (რამდენადმე შეყოვნებული და შეზღუდული მასშტაბით) ლიბერალიზაციის და შემდგომი ინტეგრაციის ისტორიული პროცესია. ამ განმარტებაში გლობალიზაციის განვითარების მექანიზმის ხასიათი კი არა, არამედ მხოლოდ მისი აღწერაა მოცემული. გლობალიზაციის პროცესის რეალიზაცია შეიმჩნევა როგორც ეკონომიკაში, ისე პოლიტიკაში, სოციალურ, ეკოლოგიურ და ტექნოლოგიურ სფეროებში. ყოველი სამეცნიერო დისციპლინა თავისებურად განმარტავს მას. ძირითადად გლობალიზაცია მაინც ეკონომიკური პროცესია, რომელსაც მთლიანობაში ერთიან მსოფლიო ბაზართან მივყავართ ურთიერთ დაკავშირებული რეგიონული, ეროვნული და ლოკალური სეგმენტებით. გლობალიზაციის შედეგები ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ვლინდება. გლობალიზაციის წინა ეტაპები დაკავშირებულია დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან (XV-XVII სს.) დიდ ტექნიკურ აღმოჩენებსა და გამოგონებებთან (XIX-XX სს.). ამჟამად გლობალიზაციის პროცესი გრძელდება და დიდხანს გაგრძელდება, თუ მარადიულად არა.

თანამედროვე მსოფლიო კონტრასტებითა და გათიშულობით ხასიათდება და იგი ერთიან, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებულ ორგანიზმად უნდა გადაიქცეს. უნდა წარმოიშვას უდიდესი რთული სტრუქტურა, რომელსაც თამაშის საერთო წესები დაიცავს ნგრევისაგან, სხვა სიტყვებით, მთელი ორგანიზმი ერთიან წესებს უნდა დაექვემდებაროს. მსოფლიო ეკონომიკამ ისეთი თვისებები უნდა შეიძინოს, რომელიც ამჟამად ეროვნული ეკონომიკებისთვის არის დამახასიათებელი. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ბაზარზე მძლავრი ეროვნული კომპანიები შედიან, რომლებიც კონკურირებენ, ხოლო ზოგჯერ შერწყმას ახდენენ მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის მიზნით. ნაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიების მოქმედება მსოფლიო ბაზარზე ხშირად ზიანს აყენებს ნაციონალურ ეკონომიკებს. მომავალში ზოგჯერ მოსალოდნელია გლობალიზაციის პროცესის დროებითი შეფერხება, მაგრამ ზოგადად პროცესი შეუქცევადია. თანდათან იცვლება მსოფლიო მეურნეობის ფუნქციონირების ხერხი, ამიტომ შესაბამისად უნდა შეიცვალოს ნაციონალურ მეურნეობებს შორის ურთიერთკავშირის ინსტრუმენტები. ამიტომ გლობალიზაციას ბოლო არ უჩანს და იგი უკუქცევას არ ექვემდებარება. ამიტომ მომავალში გლობალიზაციის პერმა-

ნენტული ევოლუცია გველოდება, რომელიც მის განხორციელებაში მდგომარეობს. ეს გამოხატული იქნება მეტ ლიბერალიზაციაში და მის კვალდაკვალ ყველა ბაზრის შემდგომ ინტეგრაციაში მომსახურების ბაზართან და რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია, სამუშაო ძალის ბაზართან.

**გლობალიზაციის თანამედროვე ფაზის განმასხვავებელი ნიშნებია:**

1. სავაჭრო ბრუნვის, საერთაშორისო ვაჭრობაში ტრადიციული ექსპორტის და იმპორტის სწრაფი ზრდა (თითქმის ორჯერ მეტად, ვიდრე წარმოების ზრდა), რომელიც წარმოების ზრდის განმსაზღვრელია;
2. კაპიტალის გლობალური ნაკადების უფრო სწრაფი, მაგრამ ამასთან უფრო არამდგრადი ზრდა, განსაკუთრებით დინამიური და ქაოტურია ფინანსური კაპიტალის ნაკადები;
3. წარმოების და განაწილების ახალი ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება, ასევე განვითარებული ქვეყნების მიერ ტექნოლოგიის გადაცემა განვითარებად ქვეყნებზე.
4. სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის გაძლიერება და მისი სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების კონტროლიდან გამოსვლა;
2. პოსტსოციალისტური სისტემური ტრანსფორმაცია დემოკრატიაში, საბაზრო ურთიერთობებსა და სამოქალაქო საზოგადოებაში;
3. ხარისხობრივი ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში კულტურისა და პოლიტიკის მიმართულებით.

**საერთაშორისო ვაჭრობის როლი გლობალიზაციის განვითარებაში.** საერთაშორისო სპეციალიზაციის პროცესი წარმოების სფეროში საწარმოო ძალების განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს. ხდება სამეცნიერ-ტექნიკური და ორგანიზაციული პოტენციალის დაგროვების პროცესის ინტენსიფიკაცია, მისი გამოყენება პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაში. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია გამოიხატება კაპიტალის, საქონლის და სამუშაო ძალის ნაკადების მოძრაობის ინტენსიფიკაციაში. ბოლო ათწლეულში სავაჭრო ბრუნვა ორჯერ მეტად გაიზარდა, ვიდრე მსოფლიო წარმოება(8% 4%-ის წინააღმდეგ). ამის შედეგად ათობით მილიონმა ადამიანმა იპოვა სამუშაო, ასობით მილიონი კი სიღარიბის მონუსხული წრიდან გამოვიდა. ცდილობენ რა მაქსიმალურად გამოიყენონ გლობალიზაციის სიკეთე, მრავალი ქვეყანა აქტიურად ავითარებს ნაციონალური პროდუქციის ექსპორტს, მოითხოვს უცხოური ბაზრების გახსნას და ლიბერალიზაციას. გლობალიზაციის პროცესის პროგრესული მხარე, ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მათი დადებით გავლენა, განუხრელადაა დაკავშირებული კონკურენციის გამძაფრებასთან და არაეფექტური წარმოების გაქრობასთან. თუმცა ეს პროცესი ზოგიერთი ქვეყნისთვის შემოსავლის დაკარგვასთან არის დაკავშირებული, რომლებმაც ვერ შეძლეს ფეხი შეეწყონ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს.

გლობალიზაციის შედეგად ზოგჯერ შეიმჩნევა შემოსავლების განაწილების უთანაბრობის გაუმართლებელი გაძლიერება. თუმცა, ამავე დროს საბაზრო ეკონომიკაში შემოსავლების გათანაბრებისაკენ მოწოდება მიზანშეწონილი არ იქნება. უცხოურ ბაზრებზე უკეთესი პირობებით შესვლისათვის ბრძოლაში მრავალი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში შეიმჩნევა დუალიზმი: მოუწოდებენ რა სხვა ქვეყნებს ბაზრების გახნისაკენ, ამავე დროს განვითარებული ქვეყნების ნაწილი უცხოელი კონკურენტებისაგან საკუთარი ბაზრის დაცვის ღონისძიებებს ატარებენ. რადგან იმპორტზე ტარიფების გამოყენებით საშინაო ბაზრის დაცვას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია(მსო) ზღუდავს, მის ნაცვლად სიტყვიერი ეკვილიბრისტიკა გვაქვს. წარმატება ღია ეკონომიკის ატრიბუტია, როცა კონკურენციის არ გეშინია, თამამად შედიხარ კონკურენციაში სწორ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და მართვის შესაბამის თეორიაზე დაყრდნობით. თუმცა ზოგჯერ ბაზრის უმსხვილესი მონაწილენი კონკურენციის უსამართლო მეთოდებს და პროტექციონისტულ პოლიტიკასაც კი იყენებენ, ამის მაგალითია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრები, როცა სამამულო მწარმოებელს უცხოური კონკურენციისაგან იცავენ აშშ-ში, ევროკავშირსა და იაპონიაში. ამიტომ საჭიროა ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია.

**გლობალიზაციის პროცესის ნაციონალური და საერთაშორისო რეგულირება.** გლობალიზაციის მიმართულების რეგულირება ცალკეულ სახელმწიფოში ჩვეულებრივ შიგა ეკონომიკური პროცესების რეგულირებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ გლობალიზაციის პროცესების რეგულირების ინიციატივით გამოდიან

ცალკეული ქვეყნების მთავრობები და მათგან დავალებული საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს გასაგებიცაა, რადგან გლობალიზაციის პროცესზე მუდმივად ახდენს გავლენას კონფრონტაცია თავისუფალ ბაზარსა და სახელმწიფო კაპიტალიზმს შორის. გლობალიზაცია თავისებური პოლიტიკური და ეკონომიკური თამაშია, რომელშიც უმძლავრესი ინტერესები ეჯახებიან ერთმანეთს. იგი არაა ნულოვანი ჯამის თამაში, რომელიც რისკისაგან თავისუფალია, ამიტომ გლობალური ბაზარი არ შეიძლება ბედის ანაბრად იქნეს დატოვებული. იგი კოორდინაციას და რეგულირებას მოითხოვს, რაც არაა ადვილი საქმე: უკვე გამოჩნდა ურთიერთდაკავშირებული გლობალური ეკონომიკა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩანს შესაბამისი სუბიექტი და ეკონომიკური პოლიტიკის მსოფლიო კოორდინაციის ეფექტური მექანიზმები. გლობალიზაციის პროცესის სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო შეთანხმებები და საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტებია, რომელთა შესრულებას თვალყურს ადევნებენ მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. მსოფლიო გარემოცულია ქცევის წესებით, რომელთა შესრულებისაკენ მოუწოდებენ სამეურნეო სუბიექტებს. მომავალში უფრო მეტი პრინციპები, ნორმები და სტანდარტები იქნება შემოღებული. ამჟამად შეიმჩნევა ტენდენცია გაკეთდეს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის დასკვნები და ცდილობენ გაანალიზონ ეკონომიკა არა მარტო ქვეყნების და რეგიონების მიხედვით, არამედ საზოგადოების საშინაო ცხოვრების სოციალური და პოლიტიკური ასპექტები. გლობალიზაციის რეალური რეგულირებისათვის მოსალოდნელია შეიქმნას ერთიანი ვალუტა, ერთიანი წესები და ერთი მთავრობა, როგორც ეს ჩრდილოეთ ამერიკის ნაწილზე მოხდა: ამერიკანიზაციის შედეგად შეერთებული შტატების ერთიანი ეკონომიკა წარმოიშვა მრავალკულტურული, რთული, ფედერაციის ფორმით, მაგრამ ერთიანი ვალუტით, ერთიანი ინსტიტუტებით და ცენტრალური მთავრობით. მაგრამ ასეთი მიზნის მიღწევა გლობალიზაციის პროცესში ნაკლებად მოსალოდნელია.

**სახელმწიფოს როლი გლობალიზებულ ეკონომიკაში.** უახლოეს მომავალში სახელმწიფო უწყებების ეკონომიკაზე ზემოქმედება თვისებრივად შეიცვლება; შეიცვლება მათი ერთმანეთთან მიმართება, ყოველი მათგანის მიმართება მთელი გლობალური სისტემის მიმართ. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეცვლის მიზეზი ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის გაფართოებაა წარმოებასა, განაწილებასა და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საბანკო საქმეში. გლობალურ ბაზარზე ფუნქციონირებენ მძლავრი ფირმები, რომლებიც ერთი მხრივ, ყველაზე ძლიერი ქვეყნების კონტროლიდან გამოდიან, მეორე მხრივ, შეუძლიათ იზრუნონ საკუთარ კერძო ინტერესებზე, მოისყიდონ ამ ქვეყნების მმართველი ორგანოები, განსაკუთრებით ვინც ბაზრის რეგულირებაზე აგებს პასუხს. მათი მნიშვნელობა იზრდება ნაციონალური ელიტის შესუსტების ხარჯზე. შეიძლება თუ არა საკუთარი ინტერესებით მოქმედებისას ასევე საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ მათი კეთილდღეობისათვის იზრუნო? სრულად ამის განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც დონეზე ყოველთვის შესაძლებელია. რა დონით - დამოკიდებულია ღირებულებებზე, ინსტიტუტებზე და პოლიტიკაზე, ოღონდ ამჯერად გლობალური მასშტაბით. ჩვენს დროში ყველაფერს ეკონომიკური ძალაუფლება წყვეტს, ფინანსური მძლავრი კორპორაციები ფარული შეთანხმებებით არა მარტო ნაციონალური ქვეყნების სუვერენულობის ტრადიციულ დომენს ზღუდავენ, არამედ დემოკრატიასაც, რადგან სხვადასხვა გადაწყვეტილება უმრავლესობით კი არა, არამედ სხვა მექანიზმების ძალით მიიღება. მომავალში გაგრძელდება დავა სახელმწიფოს როლზე ეკონომიკაში, კერძოდ, ნაციონალური სახელმწიფოს „სასურველ“ ზომაზე ეროვნული შემოსავლის და ფისკალური გადანაწილების თანაფარდობის კუთხით და საბაზრო პროცესებზე სახელმწიფოს გავლენის დიაპაზონის მიმართულებით. ოპტიმალური მდგომარეობა, რომლისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ მაშინაც კი, როცა იგი მიუღწევადია, ეკონომიკური ურთიერთობების ისეთი სისტემაა, რომელიც მხარს უჭერს კაპიტალის ფორმირებას, მის ეფექტურ დაბანდებას და საზოგადოების ერთიანობას. მომავალში დავა გაგრძელდება ინტერვენციის დიაპაზონის ფორმისა და ინსტრუმენტების შესახებ. საჭიროა სახელმწიფოს და ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის დაკავშირება დემოკრატიის განვითარებასთან. ამას „გლობალიზაციის პარადოქსი“ ეწოდება და მისი გადაჭრა შეიძლება შემდეგი სამი ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევით: 1) დემოკრატიის შეზღუდვა გამოიწვევს გლობალიზაციის გაღრმავებას და ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას; 2) გლობალიზაციის ყოვლისმომცველობის და სიღრმის შეზღუდვა, რათა შემდგომ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში დემოკრატია განვითარდეს; 3) მოხდეს დემოკრატიის გლობალიზაცია სახელმწიფოთა ნაციონალური სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე.

„გლობალიზაციის პარადოქსი" გვიჩვენებს, რომ არ შეიძლება ერთდროულად გვქონდეს სამი რამ ერთდროულად: გლობალიზაცია, დემოკრატია და სახელმწიფოებრიობა. გონივრული იქნება გლობალიზაციის და დემოკრატიზაციის გაძლიერება მათ სამსხვერპლოზე დიდი სახელმწიფოების სახელმწიფო ძალის მიტანით [1, გვ. 508].

**ეკონომიკური გლობალიზაცია(ეგ)** უცხოური კომპანიების და კაპიტალის ნაციონალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის პროცესია ინვესტიციური და საწარმოო საქმიანობის განხორციელების გზით მაქსიმალური მოგების და მოცემულ ქვეყანაში ფუნქციონირებით ირიბი სარგებლიანობის მიღებით. ირიბ სარგებლიანობაში იგულისხმება სარგებელი, რომელსაც კომპანია ღებულობს მოცემულ ქვეყანაში ფუნქციონირებით, როგორიცაა სამეცნიერო ნამუშევრებზე და ინფორმაციულ რესურსებზე წვდომა, საქმიანი რეპუტაციის მიღება, განვითარების პოტენციური შესაძლებობების რეალიზაცია და სხვა. ირიბი სარგებლიანობა უმეტესად არამატერიალური ხასიათის რესურსია, რომელიც კომპანიის კონკურენტუნარიან განვითარების სტიმულირებას ახდენს და მორალური და ტექნოლოგიური ცვეთის რისკს ამცირებს. ეგ კომპანიის შესაძლებობებს ზრდის და საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს ბაზირების ქვეყნის გარეთ. ამ შემთხვევაში არა მარტო ტრანსნაციონალური კომპანიები, არამედ საშუალო და მცირე კომპანიებიც განიხილება, რომელთა პროდუქცია სხვა ქვეყნებში მოთხოვნადია.

ამჟამად ეგ ახალ დონეზე გავიდა და მისი დაჩქარების პროცესი დაიწყო. სწორედ გლობალიზაციის მიღწეული სიჩქარე, უფრო ზუსტად მისი ფარდობით სიჩქარე, ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია როგორც ქვეყნის ეკონომიკაში მთლიანად, ისე კომპანიისათვის კერძოდ. ეგ განვითარების თანამედროვე სტადიაზე ეკონომიკური ზრდის კატალიზატორად გადაიქცა, რომელიც განვითარების, ზრდის დაჩქარებაში, სისტემის ფუნქციონირების ხარისხობრივ გაუმჯობესებაში გამოიხატება. ეკონომიკური ზრდის პოტენციალის გაზრდა სისტემის დიდი მობილობის შედეგად და ინოვაციების მიმართ მზადყოფნა ეგ-ს ეკონომიკური ზრდის და განვითარების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად აქცევს. ეგ დადებითი გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე კარგად ჩანს მსოფლიო ეკონომიკაში. ეგ ძირითადი ტრენდი ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის გადალახვისკენ არის მიმართული ცალკეული ქვეყნების დისკრეტული ეკონომიკებიდან ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის შექმნის მიზნით.

მეგაეკონომკის შექმნის მიმართულებით მოძრაობა ყველა დონის კომპანიებს შორის კონკურენციის სტიმულირებას და ბაზრის დემონოპოლიზაციას ახდენს. იგი როგორც არსებული, ასევე ახალი ფინანსური ინსტრუმენტების შექმნას უწყობს ხელს. ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი ინტერპრეტაციის მიზნით რეალური მშპ მაჩვენებელს იყენებენ, რომელიც საბოლოო საქონლის და მომსახურების ღირებულებას გამოსახავს საბაზო წლის ფასებში. რეალური მშპ უფრო სრულად ასახავს ეკონომიკური ზრდის არსს ამ კატეგორიის თანამედროვე გაგებით ეკონომიკური დინამიკის შესაფასებლად. იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სტაბილური ეკონომიკური ზრდა, კერძოდ, რეალური მშპ-ს გადიდების მისაღწევად საჭიროა ყოველ მომდევნო წელს საქონლის და მომსახურების გადიდების ტრენდი იქნეს უზრუნველყოფილი, რომელიც ეკონომიკური ციკლების ზემოქმედებისგან გამოცალკავებულია. ეკონომიკური ზრდა საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდების გრძელვადიანი ტენდენციაა, ხოლო წარმოების ზრდა ეკონომიკური ციკლის პერიოდში საქმიანი აქტივობის ფაზასთან არის დაკავშირებული, რომელსაც გრძელვადიანი ხასიათი არა აქვს. ამიტომ ეკონომიკური ზრდა საქმიანი აქტივობის ფაზებთან დაკავშირებული ზრდისაგან უნდა განვასხვაოთ.

განვიხილოთ ეგ ზემოქმედება მიწოდების ფაქტორებზე, ე.ი. პირდაპირ ფაქტორებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდას ფიზიკურად შესაძლებელს ხდიან, ესენია ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, გაფართოებული კაპიტალი, ტექნოლოგიური პროგრესი, მეწარმეობრივი აქტივობა. ეგ ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის განსაზღვრა ეკონომიკური ზრდის თეორიას შეავსებს და დააზუსტებს.

**ბუნებრივი რესურსები**, მისი ყველაზე ზოგადი გაგებით, მატერიალური წარმოების და მისგან გამომდინარე მთელი თანამედროვე ეკონომიკის საფუძველია. ეგ ზემოქმედების შედეგად დედამიწის მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებით ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება მისი შეზღუდულობის პირობებში. თუმცა ყველაზე მძლავრი და ინოვაციური ეკონომიკაც კი ვერ შეძლებს მდგრადად და ეფექტიანად გაიზარდოს ყველაზე ზოგადი ხასიათის ბუნებრივი რესურსების სტაბილური

მიწოდების გარეშე. ბუნებრივი რესურსები ქვეყნების მიხედვით არათანაბრად არის განაწილებული. ამრიგად წარმოიშვა სიტუაცია, როცა ქვეყნების ერთ ჯგუფში შეიმჩნევა ბუნებრივი რესურსების პროფიციტი, რადგან მოცემული ქვეყნის ეკონომიკას არ შესწევს უნარი ბუნებრივი რესურსების არსებული რაოდენობა სრულად მოიხმაროს. საპირისპირო მდგომარეობა შეიმჩნევა არასაკმარისი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნებში, როცა ქვეყანა ვერ ღებულობს ბუნებრივ რესურსებს იმ რაოდენობით, რომლის მოხმარებაც მას ეფექტური ფუნქციონირებისათვის შეუძლია. რესურსების დისბალანსის მოცემული სიტუაცია ეგ ინსტრუმენტებით შეიძლება მოგვარდეს.

ბუნებრივი რესურსების სარეალიზაციო სასაქონლო-სანედლეულო ბირჟების არსებული ქსელი ეკონომიკური სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გარიგებათა განხორციელებისას ბუნებრივი რესურსების მყიდველთა და გამყიდველთა მოთხოვნებს სრულად და ეფექტიანად აკმაყოფილებს. თუმცა ბუნებრივი რესურსებით საბირჟო ვაჭრობას თან სდევს სპეკულაციური ოპერაციების რისკები, რომელიც ბუნებრივი რესურსების განაწილებაზე შეიძლება უარყოფითად აისახოს, გამოიწვევს რა ბაზრის მოცემული სეგმენტის დესტაბილიზაციას, რაც ეკონომიკურ ზრდაზე ნეგატიურად აისახება. მომავალი საბირჟო განაწილებიდან ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი საფრთხე ენერგომატარებელებზე ფასების მკვეთრი რყევაა, რომელიც სისტემათაშორისი სახით ზემოქმედებს მთელ ეკონომიკურ სისტემაზე. ასეთმა სიტუაციამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკას. შიგა-სისტემური წინააღმდეგობრივი და ასევე კრიზისული ხასიათის სიტუაცია რომ თავიდან ავიცილოთ, ზენა-ციონალური კონტროლია საჭირო. მსოფლიო ბუნებრივი რესურსების განაწილების ბაზრების არასაბაზრო კონტროლი ეგ პირობებში ნეგატიური რისკის მინიმიზაციის საშუალებას მოგვცემს.

თანამედროვე ეგ ავითარებს რა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას, ხელს უწყობს შრომის ბაზრის და **შრომითი რესურსების** ცვლილებას, კერძოდ, ახდენს ამ ორი კატეგორიის ოპტიმიზაციას თანამედროვე ეკო-ნომიკური სისტემის მოთხოვნების მიხედვით. რომ განვსაზღვროთ ეგ შრომაზე გავლენა, საჭიროა ეკონომი-კური ზრდის მოცემული პირდაპირი ფაქტორის ორ კატეგორიაზე გამახვილდეს ყურადღება: მსოფლიო შრო-მის ბაზარი და თანამედროვე შრომის ბაზრის შედგენილობა. ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე-ებს შორის განსხვავება მოსახლეობის შრომით მიგრაციას იწვევს. გათვალისწინებული უნდა იქნეს შრომის ხა-რისხი, რომლებიც ეგ გავლენით მეტად ექვემდებარებიან შრომით მიგრაციას. ესაა მაღალკვალიფიციური მუ-შაკები (მეცნიერები, ინჟინრები, უმაღლესი კლასის მენეჯერები და სხვა) და დაბალკვალიფიციური მუშაკები, რომლებიც ნებისმიერ სამუშაოზე არიან თანახმა. ეს ორი კატეგორია უფრო ექვემდებარება შრომით მიგრაცი-ას, ხოლო საშუალო კვალიფიკაციის შრომა ნაკლებად ექვემდებარებია შრომით მიგრაციას, რადგან სოციალუ-რი და ეკონომიკური ასპექტების მიხედვით ისინი შეიძლება ეფექტურად ფუნქციონირებდნენ საკუთარ ქვე-ყანაში. ამიტომ მათში შრომითი მიგრაციის სურვილი უმნიშვნელოდ არის გამოხატული.

